

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
მასალების კრებული

ეკონომიკური განვითარების
სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები
(23-24 ივნისი, 2017)

Proceedings of Materials
of International Scientific Conference
Dedicated to the 65th birth anniversary of Professor George Tsereteli

STRUCTURAL AND INNOVATIVE PROBLEMS OF
ECONOMIC DEVELOPMENT
(23-24 June, 2017)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE
OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

თბილისი Tbilisi
2017

UDC (უპკ) 338(47+57)33(479.22)(063)

პ – 645

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში 2017 წელს გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები

Materials of reports made at the international scientific conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2017

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: რ. აბესაძე (მთავარი რედაქტორი), ნ. არევაძე, თ. არნანია-კეპულაძე, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, ალ. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ი. ნათელაური, ს. პავლიაშვილი, ვლ. პაპავა, ს. პარტიცკი, ა. სილაგაძე, დ. სოროკინი, ქ. ქველაძე, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, თ. ჩხეიძე

Scientific-editorial Board: R. Abesadze (Editor-in-Chief), N. Arevadze, T. Arnanian-Kepuladze, N. Bibilashvili (Executive Secretary), T. Chkheidze, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, E. Kakulia, K. Kveladze, N. Khaduri, M. Khuskivadze, Al. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, I. Natelauri, V. Papava, S. Partycki, S. Pavliashvili, A. Silagadze, D. Sorokin

რეცენზენტები: ემდ ვ. ბურდული
ემდ გ. ბერულავა

**Reviewers: Doctor of Economic Sciences V. Burduli
Doctor of Economic Sciences G. Berulava**

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი:

თ. გოგოხია (ხელმძღვანელი), ნ. კედია, ე. ჯაბანაშვილი, მ. ბაღატურია

Organizing Group of the Conference:

T. Gogokhia (Head), N. Kedia, E. Jabanashvili, M. Bagaturia

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2017

© IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS, 2017

ISBN 978-9941-13617-7

გიორგი წერეთელი – 65



წელს თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, საქართველოს ეკონომიკური სამეცნიერო საზოგადოება აღნიშნავს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 65-ე წლისთავს.

პროფესორი გიორგი წერეთელი დაიბადა 1952 წლის 20 იანვარს ქ. ლანჩხუთში. 1967 წელს წარჩინებით დაამთავრა ლანჩხუთის №1 საშუალო სკოლის 8 კლასი და სპეციალური კონკურსის გავლის შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში. საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ ამ სკოლაში მხოლოდ მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებულთ შეუძლიათ სწავლა.

1969 წელს, აღნიშნული სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, იგი სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა 1975 წელს ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით. მას მიენიჭა ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაცია, რამაც სამეცნიერო მოღვაწეობის მთელ მანძილზე საშუალება მისცა, ეკონომიკურ კვლევებში მათემატიკური მეთოდები წარმატებით გამოეყენებინა. უნივერსიტეტში სწავლის წლებში მან თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა და აქტიურმა სტუდენტმა. მისი პირველი ნაშრომები, სწორედ, სტუდენტობის წლებს განეკუთვნება.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბატონი გიორგი მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტში ინჟინერ-პროგრამისტის თანამდებობაზე. 1976 წელს იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი გახდა, რის გამოც შრომითი საქმიანობა დროებით შეწყვიტა. 1978 წლიდან სწავლას აგრძელებს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის დასწრეულ ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1980 წელს. ამავე ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1980 წლიდან იგი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში ჯერ უმცროსი, უფროსი, წამყვანი მეცნიერი თანამშრომლისა და შემდეგ დირექტორის მოადგილისა და დირექტორის თანამდებობებზე.

1990 წელს კიევში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1995 წელს მიიღო პროფესორის წოდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ გიორგი წერეთლის მოღვაწეობა დიდი ტრადიციების მქონე პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის (რომლის დამაარსებელი და 32 წლის განმავლობაში უცვლელი დირექტორი იყო აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, დირექტორები კი ცნობილი მეცნიერები – აკადემიკოსი ავთანდილ გუნია და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვლადიმერ პაპავა) დირექტორის თანამდებობაზე. ამ პერიოდში მან გამოავლინა მეცნიერისა და მეცნიერების ორგანიზატორის საუკეთესო თვისებები – ნიჭიერება, ნებისყოფა, მიზანსწრაფვა, საქმისადმი ერთგულება, სიძნელეების გადალახვის უნარი, პრინციპულობა, ორგანიზატორული ნიჭი. იგი თავის კოლეგებთან ერთად გარკვეული დროის განმავლობაში, ფაქტიურად უხელფასობისა და ინსტიტუტის მიმე მატერიალური უზრუნველყოფის პირობებში, ახერხებდა ინსტიტუტს არათუ შეენარჩუნებინა ტრადიციები, არამედ უფრო მაღალ საფეხურზე აეყვანა იგი.

პროფესორ გიორგი წერეთელს გამოქვეყნებული აქვს 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის 20 წიგნი (5 თანაავტორობით). მისი სამეცნიერო ნაშრომები ძირითადად ეძღვნება ეკონომიკურ-მათემატიკური, ეკონომიკურ-ეკოლოგიური, მაკროეკონომიკის, ეკონომიკური თეორიისა და სხვა პრობლემების კვლევას. მისი მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია: გარემო ბუნების დაცვის პროცესთა ეკონომიკური რეგულირების საკითხები საბა-

ზრო ურთიერთობების პირობებში". თბილისი, "მეცნიერება", 2003; „პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები (საქართველოს მაგალითზე)". თბილისი, "მეცნიერება", 2004 (თანაავტორი აკადემიური დოქტორი ნ. ბიბილაშვილი); "ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების საფუძვლები და მათი ეკონომიკაში გამოყენების ზოგიერთი პრაქტიკული მაგალითი". თბილისი, "მეცნიერება", 2000 და სხვ.

პროფესორ გიორგი წერეთლის ნაშრომებში დასმული და გადაწყვეტილია არა ერთი ეკონომიკური და ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანა. კერძოდ:

– შემუშავებულია ქვეყანაში ბუნებათსარგებლობის ეკონომიკურ პროცესთა მრავალმიზნიანი ოპტიმიზაციის საფუძვლები, რამაც ავტორს მისცა საშუალება, პრინციპულად ახალი მეცნიერული მიდგომით გადაეწყვიტა ბუნებათსარგებლობის (მიწათსარგებლობის, ტყესარგებლობის, წყლისსარგებლობის, ატმოსფერული ჰაერის დაცვის) ეკონომიკურ პროცესთა სრულყოფის მსხვილი მეცნიერული პრობლემა.

– შემოთავაზებულია ბუნებათსარგებლობის ეკონომიკურ პროცესთა ოპტიმიზაციისადმი კონცეპტუალური (მრავალმიზნიანი) მიდგომა. დასმული და გადაწყვეტილია საქართველოს ტყის რესურსების გამოყენებისა და დაცვის ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანა.

– გადმოცემულია გარემოს დაცვის ეკონომიკური საფუძვლების სრულყოფის ავტორისეული პოზიცია, დასმულია გარემო ბუნების დაცვის ეკონომიკური პრობლემები როგორც მიკრო-, ასევე მაკრო- და მეზოდონეებზე, მოცემულია ამ პრობლემათა ეკონომიკურ-ეკოლოგიური ანალიზი და დასახულია მათი გადაჭრის ეფექტიანი გზები, კვლევის ეკონომიკურ-მათემატიკური აპარატის გამოყენებით. შესწავლილია აღნიშნული სახის პრობლემების სპეციფიკა საქართველოში და შემუშავებულია მათი გადაწყვეტის ეკონომიკურ-მათემატიკური მექანიზმი.

– შემუშავებულია გარემო ბუნების დაცვაზე ორიენტირებული საბაზრო ურთიერთობების ფორმირებისა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების მექანიზმი და მისი გამოყენებით შექმნილია საქართველოში ასეთი ბაზრის ჩამოყალიბების ეკონომიკური საფუძვლები (მათ შორის აგებულია ასეთი ბაზრის ფორმირების ეკონომიკური მოდელი).

– შემუშავებულია პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების ამსახველი მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდური საფუძვლები და დასახულია ამ შედეგთა შემცირებისათვის საჭირო ეფექტიანი გზები და სხვა.

ერთ-ერთი მონოგრაფიისათვის – „ბუნებათსარგებლობის პროცესების ოპტიმიზაციის ეკონომიკური საკითხები“ – 1984 წელს პროფესორ გიორგი წერეთელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური მედალი და პრემია ახალგაზრდა მეცნიერთა შორის. 2003 წელს სხვა ავტორებთან ერთად (პროფესორები: ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, იური ანანიაშვილი, კლიმენტი აჩელაშვილი) ნაშრომთა ციკლისათვის მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

გიორგი წერეთელი, ინტენსიურ მეცნიერულ და მეცნიერულ-ორგანიზაციულ მუშაობასთან ერთად, ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებში. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში. გარდა იმისა, რომ აღზრდილი ჰყავს სტუდენტ-ეკონომისტთა რამდენიმე თაობა, მისი, როგორც ინსტიტუტის დირექტორის, საერთო ხელმძღვანელობით მომზადდა ხუთ ათეულზე მეტი სამეცნიერო ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური ეკონომისტი, ხოლო უშუალო ხელმძღვანელობით – ორი მეცნიერებათა დოქტორი და ხუთი მეცნიერებათა კანდიდატი.

იგი სამეცნიერო მუშაობასთან ერთად ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. 1996-2003 წლებში იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს და მისი დარგობრივი ეკონომიკური სექციის წევრი, სეს-ის სანოსტროფიკაციო კომისიის წევრი. 1998-2001 წლებში

იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოსთან არსებული ეკონომიკის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ კი თავმჯდომარე; 1996-2003 წლებში საქართველოს ეკონომიკის, ფინანსთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის სამინისტროებთან, საქართველოს ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და კონტროლის პალატასთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების წევრი; 1998-2006 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ეკონომიკის საკოორდინაციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; 2000 წლიდან გარდაცვალებამდე საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ასოციაციის თანათავმჯდომარე; 2001-2003 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე; 2003-2006 წლებში საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის წევრი, ამავე საბჭოს ეკონომიკის დარგობრივი სექციის თავმჯდომარე; 2004 წლიდან გარდაცვალებამდე საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი. იგი იყო არა ერთი საერთაშორისო ჟურნალის რედაქციის წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში, სესიებსა და სემინარებში.

ბატონი გიორგი იყო მრავალი სამეცნიერო ნაშრომის რედაქტორი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მისი რედაქტორობით, უშუალო სამეცნიერო ხელმძღვანელობით და თანაშესრულებით გამოქვეყნდა ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების ოთხი ტომი სახელწოდებით: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“.

პროფ. გიორგი წერეთელი არჩეული იყო ისეთ დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილ წევრად, როგორცაა: ნიუ-იორკის, რუსეთის ეკონომიკისა და სამეწარმეო საქმიანობის, საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიკურ, საქართველოს ეკონომიკურ და ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიები.

პროფესორი გიორგი წერეთელი საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და ეკონომიკის დარგში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში შეტანილი პირადი წვლილისა და, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის 2001 წელს დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით.

პროფესორი გიორგი წერეთელი გახლდათ პიროვნება მატარებელი განსაკუთრებული თვისებებისა, რაც მას აძლევდა საშუალებას, ყოფილიყო კარგი მეცნიერი, პედაგოგი, მეცნიერების ორგანიზატორი, ოჯახის უფროსი, მეგობარი და მოქალაქე. ეს თვისებები იყო: ნიჭიერება, დიდი ნებისყოფა, მიზანსწრაფვა, პრინციპულობა, ერთგულება, მომთხონელობა.

ბატონი გიორგი წავიდა ჩვენგან, მაგრამ დატოვა თავისი მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა და, რაც მთავარია, კარგი ოჯახი, მეუღლე და მშვენიერი ვაჟი, რომელშიც გრძელდება ბატონი გიას სიცოცხლე. იგი მამასავით მათემადიკური ნიჭითაა დაჯილდოებული. მან არა ერთხელ გაიმარჯვა ქვეყნის მათემადიკურ ოლიმპიადებში. ამჟამად კი იმავე, კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის წარჩინებული მოსწავლეა, რომელიც მამამ თითქმის ნახევარი საუკუნის წინ დაამთავრა.

რამაზ აბესაძე

ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კლენარული სხლომა

რამაზ აბესაძე

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების სახელმწიფო რეგულირების პრობლემები საქართველოში

ანოტაცია. იმისათვის, რომ განვითარებად ქვეყნებში დაჩქარდეს ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობა, აუცილებელია შესაბამისი პროცესების სახელმწიფო რეგულირება, რომელიც უნდა განხორციელდეს ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის მეშვეობით, რომლის სტრუქტურა და შინაარსი დამოკიდებულია ქვეყნის ინოვაციური განვითარების დონეზე, ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიასა და ტაქტიკაზე.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკის ინოვაციური განვითარება, ინოვაციური სისტემა, სახელმწიფო რეგულირება

შესავალი

საზოგადოებრივი პროგრესის მთავარი მიმართულება თანამედროვე ეტაპზე ყველა განვითარებადი ქვეყნისათვის არის **ეკონომიკის ინოვაციური განვითარება**. მოწინავე ქვეყნები XX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან შევიდნენ პოსტინდუსტრიული განვითარების სტადიაში, რომლის მახასიათებელია ცოდნისა და ინოვაციების უდიდესი მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარებისათვის. ამიტომ ასეთ ეკონომიკას ცოდნაზე დაფუძნებულ ანუ ინოვაციურ ეკონომიკას უწოდებენ. იგი ემყარება სწორედ ცოდნას, ინოვაციების ნაკადს, ტექნოლოგიების, ინსტიტუციების, ადამიანისეული კაპიტალის, წარმოების ორგანიზაციის ფორმების, პროდუქციისა და ა.შ. გამუდმებულ სრულყოფას, მეცნიერთა და ნოვატორთა ინტელექტუალურ შრომას და არა უბრალოდ კაპიტალს. ასეთი კონდიციის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების, მეცნიერების, ინდუსტრიული და აგრარული სექტორების განვითარების, დარგობრივი და სოციალური სტრუქტურების სრულყოფისა და ა.შ. გზით [აბესაძე რ. 2016].

ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებას მნიშვნელოვანწილად თვით საბაზრო მექანიზმი განაპირობებს შიგა და საერთაშორისო კონკურენციის გამო, მაგრამ სახელმწიფოს მიერ ამ პროცესის რეგულირება აუცილებელია, ვინაიდან მას შეუძლია უზრუნველყოს: 1. საბაზრო ჩავარდნების თავიდან აცილება; 2. ინოვაციური პროცესების გეგმაზომიერი გაძლიერება (ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესაბამისობა ინოვაციური განვითარების მიზნებთან და პირიქით); 3. რესურსების ეფექტიანი მობილიზება; 4. ქვეყნის მეცნიერებისა და განათლების სისტემის ეფექტიანი ორგანიზება; 5. საერთაშორისო გამოცდილების ეფექტიანი გამოყენება; 6. ფინანსური, ინსტიტუციური და ორგანიზაციული მხარდაჭერა და ა. შ. ბიზნესის, მეცნიერებისა და სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევით ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება შეუძლებელი იქნება.

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების სახელმწიფო რეგულირების არსი ისაა, რომ სახელმწიფომ, საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით, ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების პროცესთა დაჩქარებას. მისი თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ რეგულირების ძირითადი აქცენტი გადატანილია ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფაზე. მისი მთავარი მიზანია არა მხოლოდ ხელი შეუწყოს საბაზრო ძალების მოქმედებას, რათა დაჩქარდეს ინოვაციური განვითარების პროცესი, არამედ იმაშიც, რომ თავიდან ავიცილოთ ეკონომიკური საქმიანობისაგან ბუნებისადმი მიყენებული ნეგატიური შედეგები. უკვე არცთუ მცირე ხანია, რაც მსოფლიოში გამოიკვეთა მომავალი მოსალოდნელი კატასტროფების შემაშფოთებელი კონტურები. მაშასადამე, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ისეთ ინოვაციურ პროცესებს, რასაც მდგრადი ეკონომიკური განვითარება მოჰყვება. ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციური განვითარება და მდგრადი ეკონომიკური განვითარება ერთ ჭრილში უნდა განიხილებოდეს.

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების სახელმწიფო რეგულირების მოქნილი მექანიზმის არსებობა განვითარებად ქვეყნებში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების აუცილებელი პირობაა.

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი და მისი ელემენტები

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ქვეყანაში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებას, შეავსოს ის ნაკლოვანებები, რომელიც საბაზრო მექანიზმს გააჩნია ამ მიმართულებით. როგორც უკვე აღინიშნა, მისი სტრუქტურა და შინაარსი დამოკიდებულია ქვეყნის ინოვაციური განვითარების დონეზე, ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიასა და ტაქტიკაზე.

საქართველოში ის ჭეშმარიტება, რომ სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ინოვაციური პროცესების რეგულირება, წინა მთავრობის პირობებში უგულვებლყოფილი იყო. საქართველოს,

სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისაგან განსხვავებით, არ გააჩნდა ინოვაციური პოლიტიკა, სტრატეგია, გეგმა და ა. შ. ახალი მთავრობის პირობებში მდგომარეობა შეიცვალა, ქვეყნის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებულია ინოვაციური განვითარება. პარლამენტმა მიიღო “საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ”, აშენდა ინოვაციების ცენტრი, გარკვეული წარმატებებია საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის საქმეში [Абсадзе Р. 2016], ხორციელდება ინოვაციური პროექტების ხელშეწყობა და სხვა. თუმცა არსებული მდგომარეობა არასახარბიელოა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პროცესი ჩანასახოვან მდგომარეობაშია. აქ ჯერჯერობით არაინოვაციური ეკონომიკაა. ქვეყნის ინოვაციური სისტემა ძირულ განვითარებას საჭიროებს.

აღნიშნული მექანიზმის შემუშავების დროს, უწინარეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს თუ რა ელემენტებისაგან შედგება ის. ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ფორმირებასა და მართვას ახორციელებენ რეგულირების სახელმწიფო ორგანოები, ხოლო ამ მექანიზმის ძირითადი ელემენტებია: რეგულირების საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა; რეგულირების ინსტრუმენტები; რეგულირების ინდიკატორთა სისტემა; ინოვაციური სისტემის ინფრასტრუქტურა; ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ღონისძიებათა სისტემა.

რეგულირების სახელმწიფო ორგანოები

სწორედ რეგულირების სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების სახელმწიფო რეგულირებას. მასში მონაწილეობს ხელისუფლების თითქმის ყველა შტო. საქართველოში ეს ორგანოებია: მთავრობა (სამინისტროები), პარლამენტი, სამართალდამცავი სისტემა, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. სწორედ ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, რამდენად აქტიურად და ეფექტიანად განხორციელდება ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პროცესი. მთავრობამ უნდა განსაზღვროს ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა, ინოვაციური განვითარების სტრატეგია და პროგრამა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიასა და პროგრამასთან შესაბამისობაში. ამ პროცესში მონაწილეობს ყველა სამინისტრო. განსაკუთრებული როლს თამაშობს ეკონომიკური და მასთან დაახლოებული პროფილის სამინისტროები: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგია და პროგრამა უნდა შეიმუშაოს ქვეყანაში ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის გათვალისწინებით. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად, ხელი შეუწყოს ისეთი ინოვაციების განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად განვითარებაზე გადასვლას. ფინანსთა სამინისტრო, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრისას, მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს საგადასახადო შედაგაობებსა და საბიუჯეტო დახმარებებს ინოვაციების წარმოებაში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით. ენერგეტიკის სამინისტრო უნდა ატარებდეს ენერგოდამზოგ და განახლებადი და არატრადიციული ენერგორესურსების ათვისების პოლიტიკას. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხელს უნდა უწყობდეს სოფლად სასაქონლო ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბებას ინოვაციების დანერგვის გზით. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, ხელს უნდა უწყობდეს რეგიონული ინოვაციური სისტემის შექმნასა და განვითარებას.

დიდაა ასევე ეროვნული ბანკის წვლილი ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში, ვინაიდან სწორი მონეტარული პოლიტიკა დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე, საერთოდ, და, ბუნებრივია, ინოვაციური პროცესების წარმართვაზე. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტატისტიკის სამსახური, ვინაიდან, საწარმოებში ინოვაციების განხორციელების შესახებ მონაცემთა უქონლობის გარეშე სწორი ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება და ღონისძიებათა დაგეგმვა შეუძლებელი იქნება.

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა აქვს არაეკონომიკური პროფილის სამინისტროთა საქმიანობასაც, ვინაიდან ეკონომიკურ განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორები, არამედ არაეკონომიკურიც. ამ მხრივ გამოირჩევა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელიც ქვეყნის ინოვაციური სისტემის ფუნდამენტის – განათლებისა და მეცნიერების განვითარებაზეა პასუხისმგებელი. დადებით გავლენას ახდენენ სხვა სამინისტროებიც, მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამყარებს რა კარგ ურთიერთობებს მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან, უმჯობესდება საინვესტიციო გარემო, რაც ხელს უწყობს ინოვაციების შემოღინებას ქვეყანაში და ა. შ.

პარლამენტმა უნდა მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტები საკუთარი ინიციატივების ან მთავრობის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტების საფუძველზე.

სამართალდამცავი სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაზე დიდადაა დამოკიდებული ბიზნეს-გარემო. სამართლიანობის დაცვის შემთხვევაში როგორც შიგა, ისე გარე ინვესტიციები იზრდება და პირიქით.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უფლებამოსილი არიან, მხარი დაუჭირონ ინოვაციური პროექტების განხორციელებას, რეგიონული ინოვაციური სისტემების ფორმირებასა და განვითარებას.

რეგულირების საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა

ინსტიტუციები უდიდეს როლს თამაშობს ეკონომიკური განვითარების საქმეში. ამდენად, სრულყოფილი ინსტიტუციური ბაზის ფორმირება სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ფუძემდებლური ელემენტია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინსტიტუციების როლი ერთი ეკონომიკური წყობიდან სხვა ეკონომიკურ წყობაზე გადასვლის დროს. მაშინ, როდესაც თითქმის მთლიანად ინგრევა ძველი და საჭიროა ახალი სრულყოფილი ინსტიტუციების ფორმირება რაც შეიძლება მაქსიმალურად მოკლე დროში, რათა არ შეფერხდეს ეკონომიკური განვითარების პროცესი და გარდაქმნების განხორციელებას ხელი არ შეეშალოს. სწორედ ასეთ ვითარებას ჰქონდა ადგილი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. იმ ქვეყნებმა, რომლებმაც შეძლეს ძირეული და სწრაფი ცვლილებები მოეხდინათ ინსტიტუციებში, სწრაფადვე დაამთავრეს გარდაქმნის პროცესი და ჩამოაყალიბეს საკმაოდ განვითარებული შერეული ეკონომიკა, ხოლო იმ ქვეყნებმა (რომელთა შორისაა საქართველოც), რომლებმაც სწრაფად ვერ განახორციელეს სრულყოფილი ინსტიტუციური ცვლილებები, ჯერ კიდევ ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით ხასიათდებიან.

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ფორმალური ინსტიტუციების ყველაზე აქტიური ნაწილის – საკანონმდებლო ბაზის (კანონები, ნორმატიული აქტები, დადგენილებები) ფორმირება, რაც მიმართულია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისა და საბაზრო მექანიზმის მაქსიმალური ეფექტიანობით ფუნქციონირებისაკენ. ისინი ხელს უწყობენ ინოვაციურ პროცესებს, მეწარმეობის განვითარებას, მომხმარებელთა ინტერესების დაცვას; არეგულირებენ მწარმოებელს, რესურსების მფლობელსა და მომხმარებელს შორის დამოკიდებულებას; განსაზღვრავენ საკუთრებით ურთიერთობებს და სხვ. ეკონომიკური ხასიათის ასეთი კანონებიდან შეიძლება გამოიყოს: “კანონები მეწარმეობის შესახებ“, “სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, “დაზღვევის შესახებ“, “გააოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, “რეკლამის შესახებ“, “მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, “პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“, “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, “ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, “საგადასახადო კოდექსი“, “საბაჟო კოდექსი“ და მრავალი სხვ.

გარდა ეკონომიკური ხასიათის კანონებისა, ეკონომიკური განვითარების საკანონმდებლო ბაზას ავსებს აგრეთვე არაეკონომიკური ხასიათის კანონებიც. უპირველეს ყოვლისა, ესაა ქვეყნის “კონსტიტუცია“, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მოწყობის ძირითად მიმართულებებს, განსაზღვრავს საკუთრების ფორმებს და იცავს მათ ხელშეუხებლობას. კონსტიტუციით ასევე დაცულია ადამიანთა უფლებები და თავისუფლებები, შრომის თავისუფლება და შრომითი უფლებები, შრომის სამართლიანი ანაზღაურება, თავისუფალი მეწარმეობა და კონკურენციის განვითარება. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა და ა. შ.

კონსტიტუციის გარდა შეიძლება გამოიყოს: “სისხლის სამართლის კოდექსი“, “სამოქალაქო სამართლის კოდექსი“, “ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, “საარბიტრაჟო სამართალი“ და მრავალი სხვა. სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს დანაშაულს საკუთრების, სამეწარმეო, ფულად-საკრედიტო და სხვა სფეროში. იგი კორუფციული დანაშაულებების აღმოფხვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია. სამოქალაქო სამართლის კოდექსი უშუალოდ არეგულირებს ისეთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ურთიერთობებს, როგორცაა ქონებრივი, ვალდებულებითი, სახელშეკრულებო (ნარდობა, ლიზინგი, ფრანჩაიზინგი, იჯარა) და სხვ. ურთიერთობები.

დღეისათვის საქართველოში ასეთი ზოგადი კანონები, მიუხედავად შეფერხებებისა და გარკვეული ნაკლოვანებებისა, მიღებულია.

საქართველოში არც ერთი წინა მთავრობა არ იხილავდა ინოვაციებს სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტულ სფეროდ, ამიტომაც, რომ ინოვაციების სამართლებრივი ბაზის ფორმირება ძირითადად ახლა იწყება. თუმცა შეიძლება დავასახელოთ დოკუმენტები, რომლებიც არაპირდაპირ პასუხობს ინოვაციური განვითარების მოთხოვნებს (საქართველოს კანონები: “მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ” (1994), უმაღლესი განათლების შესახებ (2004), “ზოგადი განათლების შესახებ”, (2005), “პროფესიული განათლების შესახებ” (2007); საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია (“საქართველო 2020”), მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმა (2016) და სხვ.

2016 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ინოვაციების შესახებ“, რომლის მოქმედებაც ვრცელდება ინოვაციური საქმიანობების სუბიექტებზე, ინოვაციური საქმიანობების ხელშეწყობ ინფრასტრუქტურაზე, ინოვაციური საქმიანობების დაფინანსებასა და ინოვაციების კომერციალიზაციაზე. კანონპროექტით განსაზღვრულია სახელმწიფო სტრატეგია ინოვაციების სფეროში,

რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს წარდგინებით. ასევე განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოს – “კვლევებისა და ინოვაციების საბჭოსა” და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – “საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს” ამოცანები და ფუნქციები ინოვაციის სფეროში და სხვა. ბუნებრივია, ამ კანონის მიღება დადებით გავლენას მოახდენს ინოვაციური საქმიანობის გაძლიერებაზე საქართველოში, მაგრამ, ამასთან ერთად, აუცილებელია: მიღებულ იქნეს “საქართველოს ინოვაციური განვითარების სტრატეგია”; “საქართველოს ინოვაციური განვითარების პროგრამა” და “საქართველოში მეცნიერებისა და განათლების სისტემის განვითარების პროგრამა”; “მცირე ინოვაციურ საწარმოთა განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამა” და სხვ. მათ საფუძველზე უნდა განხორციელდეს ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობა, ეროვნული ინოვაციური სისტემის განვითარება, რაც უნდა უზრუნველყოფდეს მთელი ინოვაციური ციკლის (მეცნიერება-გამოგონება-წარმოება) შეუფერხებელ განხორციელებას (მათ შორის რეგიონულ დონეზე), სადაც მთავარი როლი უნდა ითამაშოს ბაზარმა და სახელმწიფომ კი არეგულიროს ეს პროცესები.

რეგულირების მეთოდები და ინსტრუმენტები

რეგულირების ფორმების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების შერჩევა დამოკიდებულია ეკონომიკის განვითარების დონეზე და იმ ღონისძიებათა ხასიათზე, რომელთა განხორციელებაც არის დაგეგმილი რეგულირების დროს. ძირითადად ერთმანეთისაგან შეიძლება განვასხვავოთ ადმინისტრაციული და ეკონომიკური ხასიათის მეთოდები, რომელთაც აქვთ პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმა.

ადმინისტრაციული ხასის მეთოდები გულისხმობს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ეფუძნება აკრძალვებს, ნებართვებს, ძალდატანებებს ანუ იძულების მეთოდებს. მაგ., ლიცენზირება, კვოტირება, ლიმიტირება, ანტიმონოპოლიური შეზღუდვები, რეგისტრირება, ბუნებისდაცვითი ხასიათის აკრძალვები და სხვ. ადმინისტრაციული ხასის მეთოდები ძირითადად პირდაპირ ხასიათს ატარებს.

ეკონომიკური მეთოდები არის როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ხასიათის. პირდაპირი ეკონომიკური მეთოდები ეკონომიკური განვითარების პროცესზე გავლენას ახდენს უშუალოდ – სუბსიდიების, დოტაციების, სახელმწიფო პროგრამების განხორციელების, სახელმწიფო მეწარმეობის განვითარების გზით და ა.შ. არაპირდაპირი მეთოდები გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში უშუალო ჩაურევლობას, სხვადასხვა ეკონომიკური პოლიტიკის (ფულად-საკრედიტო, ფისკალური, მონეტარული და სხვ.) გატარებით მიზნის მიღწევას.

რეგულირების ინსტრუმენტების მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს ეკონომიკური განვითარების ღონისძიებებს. ისინი შესაძლებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. მაგალითად, ეკონომიკური, საკანონმდებლო, პირდაპირი, არაპირდაპირი, სელექციური, რაოდენობრივი, თვისებრივი, ადმინისტრაციული და სხვა ხასის ინსტრუმენტები.

რა თქმა უნდა, რეგულირების ინსტრუმენტების დაყოფა გამართლებულია, მაგრამ მას მაინც პირობითი ხასიათი აქვს, ვინაიდან ნებისმიერი ინსტრუმენტი, რომელიც ეკონომიკის სფეროში მოქმედებს, თავისი შედეგით ეკონომიკურია. თუმცა შესაძლებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ **საკანონმდებლო-ნორმატიული, ეკონომიკური და ორგანიზაციული ხასიათის ინსტრუმენტები**. საკანონმდებლო-ნორმატიული ხასიათის ინსტრუმენტებია: კანონები, ნორმატიული აქტები, დადგენილებები, ლიცენზიები, კვოტები, ლიმიტები, ანტიმონოპოლიური შეზღუდვები, რეგისტრირება, ბუნებისდაცვითი ხასიათის აკრძალვები და სხვ. ეკონომიკურ ინსტრუმენტებს შეიძლება მივაკუთნოთ ფულად-საკრედიტო, ფისკალური და მონეტარული ბერკეტები, ასევე მასტიმულირებელი თუ საჯარიმო გადასახდელები და სხვა. ორგანიზაციული ხასიათის ინსტრუმენტებს კი მიეკუთვნება სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ამა თუ იმ სფეროს რეორგანიზაციის თუ ინსტიტუციური მოწყობის შესახებ.

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მიმართულებით **საკანონმდებლო-ნორმატიულ ინსტრუმენტებს** შეიძლება მივაკუთნოთ: კანონი ინოვაციების შესახებ, კანონები მეცნიერებისა და განათლების შესახებ, ინოვაციური განვითარების სტრატეგია, ინოვაციების სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა და მრავალი სხვა. **ეკონომიკური ხასიათის ინსტრუმენტებს**: სავადასახადო შეღავათები საწარმოთა შემოსავლებზე, რომელიც ხმარდება ინოვაციებს; შეღავათები კრედიტებზე, რომელიც გამოიყენება ინოვაციების განსახორციელებლად; საფინანსო სისტემის სრულყოფა, სავალუტო კურსისა და საპროცენტო განაკვეთის ისეთ ნიშნულზე მიყვანა, რომელიც ხელს შეუწყობს ინოვაციური პროცესების გაძლიერებას; უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების საბიუჯეტო დაფინანსება; საბაჟო პოლიტიკის წარმართვა ინოვაციური პროცესების გაძლიერებისაკენ და სხვ. **ორგანიზაციული ხასიათის ინსტრუმენტებს**: მეცნიერების და განათლების სისტემის რეორგანიზაცია; ინოვაციური ინფრასტრუქტურის ახალი სუბიექტების დაფუძნება; სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ საწარმოთა რეორგანიზაცია და სხვა.

რეგულირების ინდიკატორთა სისტემა

ინოვაციური განვითარების დონის დადგენა და შემდეგ კი შესაბამის დონისძიებათა სისტემის შემუშავება შეუძლებელია ინდიკატორთა (მაჩვენებელთა) სისტემის არსებობის გარეშე. ასეთი მეთოდოლოგია ჯერჯერობით საქართველოში არ არსებობს და სპეციალურ შემუშავებას საჭიროებს როგორც მთელი ეკონომიკის, ისე ცალკეული საწარმოებისა და სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციებისათვის.

ასეთი სისტემა შეიძლება მოიცავდეს: 1. ქვეყნის ინოვაციური განვითარების მაჩვენებლებს; 2. რეგიონის ინოვაციური განვითარების მაჩვენებლებს; 3. საწარმოთა ინოვაციური განვითარების მაჩვენებლებს.

ქვეყნის ინოვაციური განვითარების მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოიყოს: ინვესტიციების მოცულობა ინოვაციებზე, განათლებაზე, მეცნიერულ კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე; მწარმოებლურობა, წარმოების რენტაბელობა, კაპიტალის უკუგება, მასალატევადობა; კვლევებზე (მეცნიერებაზე) და განათლებაზე დანახარჯების ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან ეროვნულ პროდუქტში; ინოვაციური პროდუქციის ხვედრითი წილი მთლიანად გამოშვებულ პროდუქტში; ინოვაციური სისტემის ინფრასტრუქტურის სრულყოფილება; სახელმწიფოს მხრიდან შეკვეთები სამეცნიერო კვლევებზე; საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციების მოცულობა; საგარანტო სისტემის განვითარების დონე; ტექნოლოგიების ექსპორტ-იმპორტის სადღო და სხვ.

რეგიონის ინოვაციური განვითარების მაჩვენებლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ქვეყნების და მათი განვითარების დონის მიხედვით. ის შეიძლება იყოს: საერთო დანახარჯები კვლევებსა და შემუშავებებზე რეგიონში; ბიზნესის დანახარჯები კვლევებსა და შემუშავებებზე; ახლად შექმნილი პროდუქციის რაოდენობა; მცირე საწარმოთა რაოდენობა; განათლების დაწესებულებების რაოდენობა; კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების არსებობა; ჯიშთა გამოცდისა და საკონსულტაციო სადგურების, ბიზნესინკუბატორების არსებობა და სხვ.

საწარმოთა ინოვაციური განვითარების მაჩვენებლებიდან გამოიყოფა: ახალი პროდუქციის ხვედრითი წილი მთლიან გამოშვებაში; თავისუფალი ფულადი სახსრები; სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი; მატერიალურ-ტექნიკური რესურსები; ადამიანისეული კაპიტალი; ახალი ტექნოლოგიების დანერგვა; საწარმოთა რესტრუქტურისა; საწარმოთა რეკონსტრუქცია-გადაიარაღება და ა. შ.

მსოფლიო მასშტაბით ქვეყნის ინოვაციური განვითარების შესაფასებლად იყენებენ ინოვაციის გლობალურ ინდექსს (The Global Innovation Index), რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო ბიზნესსკოლის – INSEAD-ის მიერ. ამ ინდექსის მიხედვით მსოფლიოს ქვეყნებიდან პირველ ათეულში შედიან: შვეიცარია, შვეცია, გაერთიანებული სამეფო, აშშ, ფინეთი, სინგაპური, ირლანდია, დანია, ნიდერლანდები, გერმანია.

ინოვაციური სისტემის ინფრასტრუქტურა

ინოვაციური სისტემა უზრუნველყოფს ახალი ცოდნის ინტენსიურ მოძინებას, მის გარდაქმნას სამეცნიერო-ტექნიკურ სიახლეებად და მათ კომერციალიზაციას. ეს პროცესი (მათ შორის, ინოვაციების იმპორტი) კი ხორციელდება ინოვაციური ინფრასტრუქტურის მეშვეობით. ინოვაციური სისტემის ერთმანეთისაგან განსხვავდება ქვეყნების და მათ წინაშე მდგომი ამოცანების მიხედვით [ბურდული 2016].

ინოვაციური სისტემის ინფრასტრუქტურა შედგება იმ სუბიექტებისაგან, რომელთა საქმიანობა მიმართულია საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კერძო და სახელმწიფო სექტორის დაკავშირების, თანამშრომლობისა და ინოვაციური საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისკენ. სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდება სახელმწიფო ორგანოთა და კერძო სექტორის გადაწყვეტილებათა გარდაქმნა ინოვაციად ანუ ყველა პროცესი მეცნიერული აღმოჩენებიდან ინოვაციებამდე.

საქართველოში აღნიშნული ინფრასტრუქტურა მეტად განუვითარებელია, თუმცა ამ მიმართულებით ნაბიჯები გადადგმულია. 2015 წელს შეიქმნა მთავრობის სათათბირო ორგანო ინოვაციების სფეროში - **კვლევებისა და ინოვაციების საბჭო**. მისი ფუნქციებია: ინოვაციების შესახებ სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების კოორდინაცია და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა; ეროვნული და რეგიონული ინოვაციების ეკოსისტემის განვითარების კოორდინაცია როგორც სახელმწიფო უწყებებს, ასევე სახელმწიფო, კერძო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო სექტორებს შორის; საქართველოს მთავრობისთვის საქართველოში ინოვაციის საქმიანობების შესახებ ანგარიშის მომზადების კოორდინაცია და წარდგენა¹.

2014 წელს, მთავრობის დადგენილებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – **საქართველოს**

¹ საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციების კომერციალიზაციას და ასტიმულირებს ინოვაციების გამოყენებას.

გარდა ამისა, ინოვაციური საქმიანობის ხელშესაწყობად სახელმწიფო ორგანოს ან სხვა პირის მიერ შეიძლება შეიქმნას ინფრასტრუქტურის შემდეგი სუბიექტები: სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკები; ბიზნესინკუბატორები; ბიზნესამაჩქარებლები; ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრები; სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები (FabLab) და ინოვაციების ლაბორატორიები (ILab); ინოვაციების ცენტრები².

სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკი უზრუნველყოფს განსახდვრულ სივრცეში ინფრასტრუქტურულ და პროფესიულ მომსახურებებს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ინოვაციური საქმიანობის სხვა სუბიექტებისათვის. იგი ხელს უწყობს აქ ჩამოთვლილი პირების თანამშრომლობას, ახალი ტექნოლოგიების შესაძლო უსწრაფეს გამოყენებას, ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების შექმნას და ბაზარზე მათ გატანას.

ბიზნესინკუბატორის ძირითადი ფუნქციაა კონკურსის წესით შერჩეული ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებისთვის სამუშაო სივრცის უზრუნველყოფა, ადმინისტრაციული და სხვა სახის ტექნიკური დახმარების გაწევა არაუმეტეს 2 წლის ვადით.

ბიზნესამაჩქარებლის ძირითადი ფუნქციაა, კონკურსის წესით შერჩეული ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებისთვის უზრუნველყოს სამუშაო სივრცე, მათი ბიზნესიდეისა და მოდელის განვითარება და დახვეწა, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს შესაბამისი კონკურსის პირობებით განსახდვრული ინვესტირება.

ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი უზრუნველყოფს ინოვაციების გადაცემას, რაც მოიცავს ინოვაციის კომერციული პოტენციალის შეფასებას, პარტნიორთა მოძიებას ინოვაციის გადაცემისათვის და კომერციალიზაციის მიზნით ასეთი გადაცემის შეფასებას.

სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია განსახდვრულ სივრცეში ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურულ და პროფესიულ მომსახურებას, რაც გულისხმობს იდეების ტესტირებასა და ნიმუშის დამზადებას.

ინოვაციების ლაბორატორია, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან თანამშრომლობის შედეგად ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურულ და პროფესიულ მომსახურებებს და ტრენინგებს, რომელიც გულისხმობს კონკრეტულ ბიზნესზე ორიენტირებულ სწავლებას, იდეების ტესტირებასა და ნიმუშის დამზადებას.

ინოვაციების ცენტრი უზრუნველყოფს მოსახლეობის კომპიუტერული უნარ-ჩვევების ამაღლებას, ინოვაციების სფეროში სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას, დისტანციური სწავლებებისა და დასაქმების პლატფორმების დანერგვას.

გარდა ამისა, ინოვაციური ინფრასტრუქტურა შეიძლება მოიცავდეს სხვა სუბიექტთა ფართო სპექტრს: **მცირე ინოვაციურ, ინჟინირინგულ, კონსალტინგურ და ინფორმაციულ სამსახურებს, ტრენინგ-ცენტრებს, ლიზინგური მომსახურების კომპანიებს, ინოვაციური მეწარმეობის მხარდამჭერი სახელმწიფო და არასახელმწიფო ფონდებს. ფინანსური მხარდაჭერის გასაუმჯობესებლად სასურველია ასევე არსებობდეს ინოვაციური ბანკი, რომელიც ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად გაცემს გრძელვადიან კრედიტებს დაბალი საპროცენტო განაკვეთით, დაახდევს მათ და სხვ.**

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ღონისძიებათა სისტემა

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ღონისძიებებს შეიმუშავებს მთავრობა, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნებიდან გამომდინარე. ეს ღონისძიებები შეიძლება დაიყოს საერთო და სპეციფიკური ხასიათის ღონისძიებებად.

საერთო ხასიათის ღონისძიებებს მიეკუთვნება ღონისძიებები, რომელიც დამახასიათებელია მთელი ეკონომიკისათვის და ხელს უწყობს საბაზრო მექანიზმის მაქსიმალურად ეფექტიან ფუნქციონირებას სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის ასევე ეფექტიანი რეგულირების პირობებში.

როგორც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება გვარწმუნებს, საბაზრო მექანიზმის მაქსიმალური ეფექტიანობა მიიღწევა მაშინ, როდესაც ეკონომიკაში დომინირებს კერძო საკუთრება, ადგილი აქვს სამეწარმეო თავისუფლებას, კონკურენციას, ჯანსაღ ფინანსურ ურთიერთობებს, ბიუჯეტის დაბალანსებულობას, გადასახადების ოპტიმალურ სიდიდეს და ა.შ. ამისათვის აუცილებელია: ბიზნესი თავისუფალი იყოს სახელმწიფოს მხრიდან არაეკონომიკური ჩარევებისაგან; მეწარმეობის, როგორც პრესტიჟული საქმიანობის, ყოველმხრივი რეკლამირება; ბიზნესის გადაქცევა შემოქმედებით, საზოგადოებრივ კიბეზე ყველაზე სწრაფი წინსვლის სფეროდ; კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა საკუთრების ფორმათა სრული პლურალიზაციის პირობებში; კანონიერი სიმდიდრის მოპოვებისა და ინვესტიციების გაწევის ყოველმხრივი წახალისება, რათა ბიზნესმენტა

² იქვე

მიერ მიღებული მოგება გამოიყენებოდეს ქვეყანაში ეროვნული კაპიტალის გასაზრდელად; საბაზრო კონკურენციის გაძლიერება, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ცხოვრებაში განუხრელი გატარება; სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების გაძლიერება;

გარდა ამისა, საქართველოში აუცილებელია: **1. უმუშევრობის დონის შემცირება.** ხანგრძლივ ვადიანი უმუშევრობა ამცირებს ეროვნული ადამიანისეული კაპიტალის სიდიდეს, ვინაიდან უმუშევარი ადამიანის კვალიფიკაციის დონე, ფიზიკური და გონებრივი უნარი თანდათან ქვეითდება. უმუშევრობის დროს, ადგილი აქვს რა გამოუმუშავებული პროდუქციის დანაკარგებს, მცირდება დანაზოგების მოცულობა, რაც ამცირებს ინვესტიციებს, მათ შორის, ინვესტიციებს ინოვაციებზე. ასევე მცირდება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან, რაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარების პროცესებზე არა მხოლოდ მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან პერიოდშიც; უმუშევრობა, აძლიერებს რა შემოსავლების უთანაბრობასა და სოციალურ დაძაბულობას, გარდა რესურსების გამოუყენებლობით გამოწვეული დანაკარგებისა, იწვევს დამატებით დანაკარგებს (ინვესტიციების შემცირებას), რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და კრიმინოგენური დაძაბულობის ზრდასთან; **2. უცხოური კრედიტებისა და დახმარებების გამოყენებაზე მკაცრი კონტროლის დაწესება,** რათა ის მიიმართოს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისაკენ; **3. საბანკო კრედიტების წარმართვა იპოთეკის სფეროდან უპირატესად მატერიალური წარმოების სფეროში;** **4. მცირე ბიზნესის განვითარების დაჩქარება,** რაც უდიდესი რეზერვია სიღარიბისა და უმუშევრობის დონის შემცირების, საშუალო ფენის გაძლიერებისა და, საერთოდ, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისათვის. მცირე ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია შეიქმნას მისი სახელმწიფო მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა; **5. დაბალმწარმოებლური, განუვითარებელი ინფრასტრუქტურის მქონე, ძირითადად ნატურალური წარმოების მქონე სოფლისადმი სახელმწიფოს დახმარების გაძლიერება,** რომელიც მიმართული იქნება ფერმერების სტიმულების გაძლიერებისაკენ, რათა რაც შეიძლება მაღე ჩამოყალიბდეს თანამედროვე სასაქონლო ფერმები და სხვ.

სპეციფიკური ხასიათის ღონისძიებებიც შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ინოვაციების იმპორტს და ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს საკუთარი ინოვაციური სისტემის გაძლიერებას.

სანამ საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციური სისტემა ჩამოყალიბდებოდეს, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ინოვაციების გარედან შემოდინებას, რაც ხორციელდება უცხოური ინვესტიციების მეშვეობით ან ეროვნული ფირმების მიერ საზღვარგარეთიდან ტექნოლოგიების შექმნის გზით. ამისათვის სახელმწიფომ უნდა: **1. ხელი შეუწყოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას;** **2. დააწესოს შეღავათები ტექნოლოგიების იმპორტზე;** **3. გააძლიეროს კონკურენცია;** **4. ხელი შეუწყოს შესაბამისი კადრების მომზადებას;** **5. შექმნას ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერის ცენტრები (ან ხელი შეუწყოს მათ შექმნას);** **6. გამოიყენოს ინოვაციური ვაუჩერები,** რომელიც წარმოადგენს ფინანსურ სტიმულს კომპანიების მიერ საერთაშორისო ინოვაციური საკონსულტაციო მომსახურების შესაძენად, რის საფუძველზეც შეიქმნება ახალი ინოვაციები და სხვ.

უპირველეს ყოვლის საჭიროა იმ ინოვაციური პოტენციალის გამოყენება, რომელიც დღეისათვის არსებობს ქვეყანაში: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, ინოვაციების პარკი, სკოლები, პროფესიული სასწავლებლები, კადრები, სოფლად ჯიშთა გამოცდისა და საკონსულტაციო სადგურები, საკონსულტაციო ცენტრები, ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური, გეოდეზიური, მეტროლოგიური, სეისმოლოგიური, სამოდელი, ხარისხის მართვის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, სტანდარტიზაციისა და სხვ. სამსახურები, რომელთა უმრავლესობა ცუდ მდგომარეობაში იმყოფება და აღდგენას და განვითარებას საჭიროებს.

ღონისძიებებიდან, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარი ინოვაციური სისტემის გაძლიერებას, შეიძლება გამოიყოს:

1. ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების კონცეფცია. იგი თავისთავად უნდა მოიცავდეს: არსებული მდგომარეობის ანალიზს; მიზნებს და ამოცანებს; ინოვაციურ პოლიტიკას; ინოვაციური სისტემის განვითარებას (მეცნიერება, განათლება, ინოვაციური ინფრასტრუქტურა); განხორციელების ეტაპებს და სხვ.

2. ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების პროგრამა, რომელშიც დაკონკრეტებული იქნება სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები, განხორციელების ვადები და ღონისძიების შესრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლებში ინოვაციური განვითარების მიმართულებით გარკვეული ღონისძიებები გატარდა ამ მხრივ მაინც მრავალი პრობლემა არსებობს:

1. არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა, რომელიც დაარეგულირებდა ინოვაციური საქმიანობის ყველა სტადიას და მისი სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებებს;

2. არ არსებობს ინოვაციური სისტემის ინფრასტრუქტურისა და მის სუბიექტებს შორის ურთიერთკავშირის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა;

3. საგალალო მდგომარეობაშია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი: მიუხედავად გარკვეული ზრდისა, მცირეა მეცნიერთა ხელფასი, საგანგაშოდ კლებულობს მათი რაოდენობა, მოშლილია მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მსოფლიოში თითქმის ყველაზე დაბალია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეცნიერების დაფინანსების ხვედრითი წილი მთლიან შიგა პროდუქტში და ა.შ.

4. სერიოზულ გარდაქმნას მოითხოვს უმაღლესი, პროფესიული მომზადებისა და უწყვეტი განთლების სისტემა. იგი ჯერ კიდევ სრულად არ არის ორიენტირებული ცოდნასა და ეკონომიკის მოთხოვნაზე. განათლების მიღება ვერ გახდა მომავალში შემოსავლის ზრდის გარანტირებული საშუალება. განუვითარებელი და არაეფექტურია კადრების გადამზადების სისტემა და სხვ.

5. დაბალგანვითარებულია სამეცნიერო კვლევების მომსახურების სისტემა (სოფლად ჯიშთა გამოცდისა და საკონსულტაციო სადგურები, საკონსულტაციო ცენტრები, ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური, გეოდეზიური, მეტროლოგიური, სეისმოლოგიური, სამოდულო, ხარისხის მართვის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, სტანდარტიზაციისა და სხვ. სამსახურები).

6. თითქმის არ არსებობს კვლევის შედეგების წარმოებაში გადაცემის სისტემა (ბიზნესინკუბატორები, ტექნოპარკები, საკონსულტაციო და ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრები და სხვ.).

7. არ არსებობს საწარმოთა მოთხოვნა ინოვაციურ პროდუქტაზე ფინანსური შეზღუდულობის გამო;

8. განუვითარებელია ინოვაციური მეწარმეობის მხარდაჭერის საფინანსო ინსტრუმენტები, კერძოდ ვენჩურული ფონდები და საფონდო ბაზარი;

9. არ გამოიყენება ინოვაციური მენეჯმენტისა და სიახლის კომერციალიზაციის თანამედროვე ფორმები

10. არ არსებობს ტექნოლოგიების დიფუზიის ხელშემწყობი მექანიზმები - მაღალტექნოლოგიური ეკონომიკური ზონები და სხვ.

11. დაბალია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონე არ არსებობს მცირე საწარმოთა მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა და ინოვაციური მცირე საწარმოები.

12. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აღიარებს ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის აუცილებლობას, მიღებულია კანონი ინოვაციების შესახებ, არ არსებობს მკვეთრად გამოკვეთილი საინოვაციო პოლიტიკა - შესაბამისი სტრატეგია და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი; არ არსებობს შესაბამისი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და ინოვაციების განვითარების მასტიმულირებელი სისტემა, წამახალისებელი საფინანსო, საგადასახადო და სხვა მექანიზმები.

13. განსაკუთრებით უგულვებელყოფილია რეგიონული საინოვაციო საქმიანობა.

14. არ ხდება დონორების მიერ პროექტების განხორციელების შემდგომი მხარდაჭერა, რასაც ნულამდე დაჰყავს დონორთა საქმიანობა.

15. განუვითარებელია საგრანტო სისტემა და დაბალია მისი მენეჯმენტი.

16. თითქმის არ არსებობს კავშირი მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის.

17. თითქმის არ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან შეკვეთები სამეცნიერო კვლევებზე.

18. თითქმის არ ხორციელდება საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციები. ინოვაციების იმპორტი შედარებით ხორციელდება მხოლოდ კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, რასაც განაპირობებს ის, რომ არსებობს ახალი ტექნოლოგიების შემოტანის დამამუხრუჭებელი მრავალი ფაქტორი - ცოდნის უქონლობა, პოლიტიკური ნებისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის არარსებობა, ფინანსური რესურსების სიმწირე და სხვ.

აქედან გამომდინარე, ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგადი მიმართულებები საქართველოში შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. ნათლად განსაზღვრული ინოვაციური პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება;

2. ინოვაციური სისტემის გაძლიერება; საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციური სისტემის ფორმირება და განვითარება.

3. ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება;

4. ტექნოლოგიების შიგა და საერთაშორისო სატრანსფერო და ინოვაციური ვაუჩერული სისტემების დანერგვა;

5. მეცნიერებისა გათლების სისტემის სრულყოფა;

6. სამეცნიერო კვლევების მომსახურების სისტემის სრულყოფა;

7. ტექნოლოგიების დიფუზიის ხელშემწყობი მექანიზმების ამოქმედება;

8. ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დაჩქარება;

9. რეგიონული საინოვაციო საქმიანობის განვითარება;

10. დონორების მიერ განხორციელებული პროექტების დანერგვის მხარდაჭერა;

11. კონკურენტუნარიანი მეწარმეობის განვითარება;

12. სოფლის ეკონომიკის ინოვაციური განვითარება;

13. მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის კავშირების დამყარება და გაძლიერება;
14. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა;
15. კადრების კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების სისტემის სრულყოფა. მეწარმეთა მომზადების სწავლების დანერგვა და სხვ.

დასკვნა

ანალიზი გვიჩვენებს, რომ განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად აუცილებელია ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობა. ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო რეგულირებას, რისთვისაც ქვეყანაში უნდა არსებობდეს ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი. მისი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებას, შეავსოს ის ნაკლოვანებები, რომელიც საბაზრო მექანიზმს გააჩნია ამ მიმართულებით.

საქართველოში ის ჭეშმარიტება, რომ სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ინოვაციური პროცესების რეგულირება, წინა მთავრობის პირობებში უგულებელყოფილი იყო. საქართველოს, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისაგან განსხვავებით, არ გააჩნდა ინოვაციური პოლიტიკა, სტრატეგია, გეგმა და ა. შ. ახალი მთავრობის პირობებში მდგომარეობა შეიცვალა, ქვეყნის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებულია ინოვაციური განვითარება გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით. თუმცა არსებული მდგომარეობა არასახარბიელოა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პროცესი ჩანასახოვან მდგომარეობაშია. აქ ჯერჯერობით არაინოვაციური ეკონომიკაა. ქვეყნის ინოვაციური სისტემა ძირეულ განვითარებას საჭიროებს.

აღნიშნული მექანიზმის შემუშავების დროს, უწინარეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს თუ რა ელემენტებისაგან შედგება ის. ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ფორმირებასა და მართვას ახორციელებენ რეგულირების სახელმწიფო ორგანოები, ხოლო ამ მექანიზმის ძირითადი ელემენტებია: რეგულირების საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა; რეგულირების ინსტრუმენტები; რეგულირების ინდიკატორთა სისტემა; ინოვაციური სისტემის ინფრასტრუქტურა; ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ღონისძიებათა სისტემა. ყველა ეს ელემენტი ნაშრომში დახასიათებულია ცალ-ცალკე, რის დროსაც გამოვლენილია საქართველოში ინოვაციური განვითარების სფეროში არსებული ნაკლოვანებები და დასახულია ინოვაციური ეკონომიკის ზოგადი მიმართულებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. 2016 პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკა. წიგნში: “ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში”. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები (თბილისი, 1-2 ივლისი, 2016)
2. Абесадзе Р. 2016. ИНФОРМАЦИОННЫЕ И ТЕЛЕКОММУНИКАЦИОННЫЕ ТЕХНОЛОГИИ И ПРОБЛЕМЫ ИХ РАЗВИТИЯ В ГРУЗИИ. Международная научно-практическая Интернет-конференция «ЭКОНОМИКА И МЕНЕДЖМЕНТ 2016: ПЕРСПЕКТИВЫ ИНТЕГРАЦИИ И ИННОВАЦИОННОГО РАЗВИТИЯ» (г. Днепропетровск – 14-15 апреля 2016 года)
3. Бурдули В., Абесадзе Р. 2016. Опыт трансформации национальных инновационных систем в развитых странах и направления его использования в Грузии. СТИЙКИЙ РОЗВИТОК НАЦІОНАЛЬНОЇ ЕКОНОМІКИ: АКТУАЛЬНІ ПРОБЛЕМИ ТА МЕХАНІЗМИ ЗАБЕЗПЕЧЕННЯ. МАТЕРІАЛИ I Міжнародної науково-практичної Інтернет-конференції (27 квітня 2017 року)
4. Беляева Ю., Тимонин А. 2012. Региональная инновационная политика: опыт Развитых стран и уроки для России - <http://www.vps.ns.ac.rs/SB/2012/9.6.pdf>

Ramaz Abesadze

**PROBLEMS OF STATE REGULATION OF INNOVATIVE ECONOMY FORMATION IN GEORGIA
Summary**

In order to accelerate the development of innovative economics in developing countries, the state regulation of the relevant processes must be implemented through the State Regulation Mechanism for the formation of innovative economics. Its essence is that it has been based on state regulation of market principles it must promote the acceleration of innovative development of the economy.

Formation and management of state regulation mechanism for formation of innovative economy is carried out by regulatory state bodies. The main elements of this mechanism are: legislative and statutory basis of regulation; regulation tools; system of regulation Indices; innovative system infrastructure; system of innovative economy formation measures.

For the formation of innovative economics, it is essential to form the most active part of the formal institutions - legislative basis (laws, normative acts, regulations) that are aimed at improving the business environment and the maximum efficient functioning of the market mechanism.

None of the previous governments in Georgia would have seen the innovations as a priority of state interests, and that is why the formation of the legal basis of innovation starts mainly now.

Selection of regulation forms, methods and instruments is based on the level of economic development and the nature of the measures the implementation of which is planned during the regulation. Basically, you can distinguish between administrative and economic methods.

Determining the level of innovative development of the country and then developing the appropriate system of measures is impossible without the existence of Indicators system. Such a system may include: 1. Innovative development indicators of the entire country; 2. Innovative development indicators of the region; 3. Innovative development indicators of enterprises. In the innovative development of the country can include: the volume of investments on innovations, education, scientific research and experimental projects; productivity, return of capital, material intensity; the share of studies on research (science) and education in the country's gross national product; the share of innovative products in gross output; improvement of Innovative system Infrastructure; government order on scientific research the volume of innovations based on their own research; level of development of grant system and others.

To the innovative development indicators of the region can be attributed: the joint costs on research and development in the region; Business expenses on research and development; number of newly created products; number of small enterprises; number of educational institutions; the existence of research and experimental organizations; existence of testing types and consultation stations, business incubators etc.

The innovative development indicators of enterprises can distinguish: the share of new products in gross output; Free cash; Scientific-technical potential; Material-technical resources; Human capital; Introduction of new technologies; Enterprise restructuring; Reconstruction and re-equipment of enterprises etc.

Innovative system infrastructure consists of subjects whose activities are aimed at facilitating the communication cooperation of educational, scientific, private and public sectors and implementation of innovative activities. It is through this infrastructure to transform the decisions of state agencies and private sector into innovation. That means that all processes are made from scientific discoveries to innovations.

The measures for the formation of innovative economy will be developed by the Government, due to the economic and social development of the country. These measures can be divided into common and specific events.

Common measures include activities that characterize the entire economy and facilitate maximum operational efficiency of the market mechanism, in the conditions of the same effective regulation of economy by the state.

Specific characteristic events can also be divided into two groups: events that provide the import of innovations and measures that strengthen their own innovative system.

While the innovative system based on its own research is formed the priority should be given to the inflow of innovations that are carried out through foreign investments (mainly by transnational corporations) or through acquisition of technologies by national firms. The state should: 1. Promote the improvement of the investment environment; 2. Implement benefits for importing technologies; 3. Enhance Competition; 4. Facilitate the development of relevant personnel. 5. Create technologies for international transfer centers (or facilitate their creation) 6. Use innovative vouchers that provide financial incentives for companies to buy international innovative consulting services based on which new innovations and others will be created.

From the events that provide the strengthening of its own innovative system can be distinguished:

1. The concept of formation of innovative economics is embedded. It will include: analysis of the current situation; Goals and objectives; Innovative policy; Development of innovative system (science, education, innovative infrastructure); Implementation stages, etc.

2. An innovative economy formation program in which the goals defined by the strategy, the deadlines for implementation and the state bodies responsible for the performance of the event will be concretized.

The work also defines the shortcomings in the field of innovative development in Georgia and offers general directions for forming innovative economics in the country.

როზეტა ასათიანი

კეტილღღეობა ყველასათვის, კეტილღღეობა კონკურენციის გზით

ანოტაცია. კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის შედეგად, კერძო კაპიტალისტური საკუთრების ბატონობაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ახალ თვისებებში გადაზრდამ ტრაექტორია შეუცვალა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას. სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ფორმირება თანამედროვე მსოფლიოს განვითარების მნიშვნელოვან ტენდენციად იქცა და ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების გარანტად აღიარებული. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო უნებობრივი ფასეულობების წინა პლანზე წამოწევას, რომელმაც სამო-

ტოვა მანამდე ფესვებგადგმული, შეიძლება ითქვას, სოციალური ინსტიტუტით განპირობებული მოთხოვნები და მათზე მდგა დადგა.

საბაზრო ეკონომიკაში სოციალური ორიენტაციის გაძლიერებამ წინა პლანზე კეთილდღეობის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების კვლევა წამოსწია. კეთილდღეობის ეკონომიკა ორგანულად დაუკავშირდა კონკურენციის ეკონომიკას, მეტიც, თანამედროვე ცივილიზებულ ეკონომიკაში ეს უკანასკნელი ინკლუზიური კეთილდღეობის მიღწევის განმსაზღვრელ საშუალებადაც კი არის აღიარებული. ამიტომ დღეს მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში აქტუალური გახდა კონკურენციის გაძლიერების გლობალური ტენდენციებისა და კონკურენტუნარიანობაზე ორიენტირებული ქვეყნის ახალი პერსპექტივების კვლევა.

ცივილიზებულ სამყაროში საკმაოდ აპრობირებულ თეზას – „კეთილდღეობა კონკურენციის გზით“ – მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების არსებობამ, რომლებიც აღიარებულია კონკურენციის მიღწევის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად.

კონკურენტუნარიანობა, როგორც ქვეყნის განვითარების გარანტი, განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის ადგილსა და როლს მსოფლიო ეკონომიკაში. ქვეყანა რომ კონკურენტუნარიანი იყოს, მან თავისი პროდუქცია უნდა გაყიდოს საზღვარგარეთ საერთაშორისო საბაზრო ქსელის მეშვეობით. ეს არის დიდი „სათამაშო ველი“, რომელიც თავისებურ კომპასს წარმოადგენს თითოეული ქვეყნისთვის – რა გზას დაადგავს, რომელი დარგები განავითაროს, რა უნდა იყოს მისი ეკონომიკური განვითარების გენერალური სტრატეგია. განვითარებული ქვეყნები, იმისათვის, რომ ეკონომიკას მისცენ სოციალური ორიენტაცია და ხელი შეუწყონ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებასა და განვითარებას, საბიუჯეტო ხარჯებში ზრდიან სოციალურ ხარჯებს, ჯანდაცვისა და განათლების ხარჯებს, რითაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საბაზრო ეკონომიკის, როგორც სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის, სოციალურ ეკონომიკაში ევოლუციური გზით გადაზრდაში.

დღეს, XXI საუკუნეში, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა იყოს ერთობლივი მოთხოვნის გაზრდის ახალი ფორმების დანერგვა, რაც შემუშავებულია ახალი კეინზიანელების მიერ და ასახულია „ახალ ნეოკლასიკურ სინთეზში“, კონკურენტული გარემოს შექმნა და კონკურენციის განვითარება, პარტნიორული ურთიერთობების წინა პლანზე წამოწევა, მეცნიერების მიღწევების მოკლე ვადებში დანერგვა, რესურსდამზოგველი და უნარჩენო ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელება, საინფორმაციო ინდუსტრიის სწრაფი განვითარება, ფინანსური კაპიტალის მობილურობის ზრდა, კერძო და სახელმწიფო საკუთრების თანაფარდობის რეგულირება, სამართლებრივი გარემოს შექმნა და რეგულირება და ა.შ. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრინციპებს უნდა წარმოადგენდეს: 1) კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა; 2) მონეტარული სტაბილურობა; 3) ბაზრების გახსნილობა; 4) გარიგებებისა და კონტრაქტების დადების თავისუფლება; 5) თანმიმდევრულობა ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში; 6) მოქნილი ფისკალური და ფულად-საკრედიტო ანტიციკლური პოლიტიკის ვატარება და ა.შ.

დასავლეთ ევროპაში ამჟამად „ჩაკეტილი“, ინტერვენციული სოციალური პოლიტიკის ადგილს იკავებს „ღია“, სტაბილური და სიცოცხლისუნარიანი სოციალური პოლიტიკა, როგორც თანამედროვე ცივილიზაციის გამოწვევა. ამ გზით მიმავალი ქვეყნები დღეს უპირატესობას ანიჭებენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სისტემის ორგანიზაციას, თვითდასაქმების სისტემის განვითარებასა და არა სოციალური დახმარების ჩვეულებრივ, შეიძლება ითქვას, ვადავასულ სისტემას.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკა მაღალი ცხოვრების დონითა და მნიშვნელოვანი სოციალური დანახარჯებით უნდა განვასხვაოთ საკუთრივ სოციალური საბაზრო ეკონომიკისაგან. პირველი არის ლიბერალური საზოგადოებები, რომელთაც მიადწიეს მატერიალური სიმდიდრის უმაღლეს დონეს და ამიტომ შეუძლიათ გამოეყონ სოლიდური სახსრები ღარიბების დასახმარებლად, ჯანდაცვის დაფინანსებისათვის, განათლებისა და სხვა სოციალური მიზნებისათვის. ასეთი საზოგადოების ყველაზე მკაფიო მაგალითია აშშ და კანადა. მაგრამ ამ ქვეყნებს არა აქვთ სოციალურ ჯგუფებს შორის ინტერესების შეჯერების მძლავრი „ჩამენებული“ მექანიზმები. ამის საწინააღმდეგოდ, პატარა დასავლეთევროპული ქვეყნები, მაგალითად ავსტრია, ბელგია, შვეიცარია და ა.შ., შეიძლება მივაკუთნოთ ახალი ტიპის საბაზრო ეკონომიკას სწორედ იმის გამო, რომ მათი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი სისტემები მიმართულია სოციალური თანხმობისა და მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მაღალი ცხოვრების დონისა და ხარისხის მიღწევისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტური მაჩვენებლებით ეს ქვეყნები ბევრად ჩამორჩებიან აშშ-სა და კანადას. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ 2015 წლის მონაცემებით, ცხოვრების ხარისხისა და „კომფორტულობის“ კრებებით ინდექსის მიხედვით, 188 ქვეყანას შორის მსოფლიოში პირველ ადგილზეა შვეიცარია (222,94), მეორე ადგილზე – გერმანია (195,94), ხოლო, 193,86 ინდექსით, მესამე ადგილზეა შვედეთი. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო 64,96 ინდექსით 57-ე ადგილზეა.

XXI საუკუნე, რომელიც აღიარებულია ცოდნისა და ინტელექტუალური კაპიტალის საუკუნედ, მნიშვნელოვნად ცვლის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საფუძვლებს. დღეს ქვეყნები კონკურენტულ უპირატესობას ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების გზით აღწევენ, აფუძნებენ ახალ სტანდარტებს,

ინვესტიციებს დებენ ცოდნის განახლებაში, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნასა და ა.შ. ყოველივე ეს განაპირობებს ქვეყნის სახელმწიფო სექტორში არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებას, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებასა და ჯანსაღი კონკურენციის საფუძველზე საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას.

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია. ნორდიკული ქვეყნები. ორდოლიბერალიზმის ფრაიბურგის სკოლა. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა. სოციალური საბაზრო ეკონომიკა. კონკურენციული ეკონომიკა. კონკურენტული უპირატესობა. საინფორმაციო ტექნოლოგიები. ინოვაციური პროგრესი. კრეატიული პოტენციალი. დაიმონდის მოდელი. საკვანძო კომპეტენტურობის თეორია. კრეატიული ქსელი. კონკურენტული უპირატესობის როლში.

შესავალი

თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით, კეთილდღეობის სახელმწიფოს სტატუსის მქონე და, პირველ რიგში, ნორდიკულ ქვეყნებში³ საკმაოდ აპრობირებულია თეზა – „კეთილდღეობა ყველასათვის, კეთილდღეობა კონკურენციის გზით“. ეს სიტყვები ეკუთვნის ლუდვიგ ერხარდს – მოცემულია მის ცნობილ ნაშრომში – „კეთილდღეობა ყველასათვის“ (1956)⁴. ლ. ერხარდმა – ორდოლიბერალიზმის ფრაიბურგის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, რომელიც იყო ომის შემდგომი გერმანიის ჯერ ვიცეკანცლერი, ხოლო შემდეგ კანცლერი (ვ. ოიკენთან, ა. მიულერ-არმაკთან, ა. რიუსტოვთან, ი. როპკესთან და ა.შ. ერთად, საფუძველი ჩაუყარა **ნეოლიბერალიზმის ორდოლიბერალურ მიმართულებას**, რომელშიც საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევის მთავარ საშუალებად კონკურენციაა აღიარებული.

კონკურენციის თეორიები და მათთან დაკავშირებული პრობლემები მსჯელობის საგანი უფრო ადრეც, წინა საუკუნეებშიც იყო და კონკურენციის თემაზე მნიშვნელოვანი ნაშრომებიც ჰქონდათ ისეთ ცნობილ ეკონომისტებს, როგორებიც იყვნენ ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ისიდრო ეჯლოურტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ედვარდ ჩემბერლინი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი ჯოან რობინსონი და ა.შ. მაგალითად, მონოპოლისტური კონკურენციის მოდელი ერთობლივად შექმნეს ე. ჩემბერლინმა და ჯ. რობინსონმა. ე. ჩემბერლინმა 1933 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „**მონოპოლისტური კონკურენციის თეორია**“, გააანალიზა მონოპოლისტური კონკურენციისათვის დამახასიათებელი ფასწარმოქმნის მექანიზმი, შემოიტანა ტერმინი – წმინდა კონკურენცია, ხოლო 1933 წელს ჯ. რობინსონმა, ე. ჩემბერლინისაგან დამოუკიდებლად, ჩამოაყალიბა „**არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური თეორია**“, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კონკურენციის კონცეფციაზე აგებული ღირებულების თეორიის განვითარებაში.

საინტერესოა ა. რიუსტოვის შეხედულება მონოპოლიების შესახებ. მისი აზრით, ეკონომიკურ ცხოვრებაში მონოპოლიების გაბატონება Laissez-faire-ის პოლიტიკის შედეგია, რომლის აღმოფხვრა შესაძლებელია აქტიური ეკონომიკური პოლიტიკით, განსაკუთრებით, ანტიმონოპოლიური ღონისძიებების გატარებითა და კონკურენციის განვითარებით.

გერმანელი ორდოლიბერალები კაპიტალიზმის მთავარ პრობლემად ეკონომიკის მონოპოლიზაციას აღიარებდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს არა ერთობლივი მოთხოვნის რეგულირებას (ამით დაუპირისპირდნენ კეინზიანურ მიმდინარეობას), არამედ კონკურენტული გარემოს შექმნასა და კონკურენციის განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ II მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიაში ორდოლიბერალების თეორია ვერ იქნებოდა გამოყენებული, რადგან იმდროინდელ გერმანიაში შეიქმნა ვითარება, როდესაც აუცილებელი გახდა ეკონომიკაში უფრო მოქნილი მეთოდებით სახელმწიფოს მხრიდან ზემოქმედება, ვიდრე ამას გულისხმობდნენ ორდოლიბერალები.

„დიდი დეპრესიისა“ და მეორე მსოფლიო ომის გაყვანით გადატაკებულმა მოსახლეობამ, უადრესად დაბალი ერთობლივი მოთხოვნის პირობებში, თავიანთი მხარდაჭერა გამოხატა ჯონ მენარდ კეინზის მაკროეკონომიკურ თეორიაზე მორგებული იდეების მიმართ.

40-იანი წლების დასაწყისში ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე შექმნილი მონოპოლიზებული ეკონომიკის „მკურნალობა“ კონკურენციის განვითარებით ნაადრევი იყო, ამიტომაც მოსახლეობა არ უჭერდა მხარს კონკურენციის იდეას, ხოლო კეინზის მულტიპლიკაციური ეფექტი მიმზიდველი გახდა საზოგადოებისათვის.

მოსახლეობის მხარდაჭერამ პოზიტიური როლი შეასრულა „კეინზიანური რეველუციის“ სახელწოდებით ცნობილ მაკროეკონომიკურ რეგულირების წარმატებაში წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში კეინზიანური თეორიის პოსტულატების გატარებით, „გელური“ კაპიტალიზმის ისტორიაში ერთობლივი მოთხოვნის გაზრდით დაიწყო ახალი ათწლეულის წერტილი, ჩამოყალიბდა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა, რომლის თითქმის 70-წლიანი ევოლუციური გზით განვითარების შემდეგ, დღეს, ეკონომიკურად წარმატებულ ქვეყნებში მიმდინარეობს

³ ასათიანი რ. კეთილდღეობის სახელმწიფოს თანამედროვე მოდელები. „ეკონომისტი“, 2017, №1.

⁴ Эрхард Л. Благосостояние для всех. Перевод с немецкого. М., Начала-Пресс, 1991, с. 15.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში გადაზრდა.

ეკონომიკა მაღალი ცხოვრების დონითა და მნიშვნელოვანი სოციალური დანახარჯებით უნდა განვასხვავოთ სოციალური საბაზრო ეკონომიკისაგან. პირველს მიეკუთვნება ლიბერალური საზოგადოებები, რომელთაც მიაღწიეს მატერიალური სიმდიდრის უმაღლეს დონეს და ამიტომ შეუძლიათ გამოყონ სოლიდური სახსრები სოციალურად დაუცველი ფენების დასახმარებლად, ჯანდაცვის დაფინანსებისათვის, განათლებისა და სხვა სოციალური მიზნებისათვის. ამჟამად ასეთი საზოგადოების მკაფიო მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა. დასავლეთეუროპული ქვეყნები კი, რომლებიც ზოგიერთი აბსოლუტური მაჩვენებლით ჩამორჩებიან ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხასიათდებიან „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის გაცილებით მაღალი დონით. მათი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები მიმართულია ჰუმანიზაციის პროცესების გადრმავების, სოციალური თანხმობის, მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მაღალი ცხოვრების დონის მიღწევისა და საშუალო ფენის გაძლიერებისაკენ.

* * *

კონკურენციის თეორიებმა განსაკუთრებული აქტუალურობა თანამედროვე პირობებში, XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში შეიძინა.

გლობალურმა ეკონომიკამ და მსოფლიოში შექმნილმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ კონკურენციის თეორიები წინა პლანზე წამოსწია და პრაქტიკაში მათი გამოყენების აუცილებლობა დააყენა. საეკონომიკო, რომ დღეს დასავლეთის უნივერსიტეტებში ისწავლება „კონკურენციული ეკონომიკა“ როგორც ცალკე აკადემიური დისციპლინა. მაიკლ პორტერი გახდა კონკურენტული სტრატეგისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის კონცეფციების მსოფლიოში აღიარებული მკვლევარი. მისი ცნობილი ნაშრომებია: „კონკურენცია, კონკურენციის სტრატეგია“, „სხვადასხვა ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა“, „საერთაშორისო კონკურენცია“ და ა.შ. მაიკლ პორტერის აზრით, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა იქმნება არა გარე, არამედ შიდა ბაზრებზე⁵. სწორედ შიდა ბაზრების განვითარებლობის გამო, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (მათ შორის, საქართველოში) ფერხდება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და, ფაქტობრივად, ყალიბდება საუკუნისწინანდელი კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობები, რომლისგანაც თავის დაღწევა შეძლო მხოლოდ ცივილიზებულმა სამყარომ და დღეს იგი განვითარებული ქვეყნებისთვის ისტორიის კუთვნილებაა. კონკურენციის გარეშე ბაზარი ფიქციაა. უკვე დიდი ხანია კონკურენცია გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და გლობალური მასშტაბი შეიძინა.

ერთ ქვეყანას არ შეუძლია მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა ეკონომიკის ყველა დარგში ან რომელიმე (აგრარული, ინდუსტრიული თუ მომსახურების) სექტორის უმეტეს დარგებში. ქვეყნები წარმატებას აღწევენ მხოლოდ კონკურენტულ დარგებში. ქვეყანა რომ კონკურენტუნარიანი იყოს, მან თავისი პროდუქცია უნდა გაყიდოს საზღვარგარეთ საერთაშორისო საბაზრო ქსელის მეშვეობით, რომელიც თავისებურ კომპასს წარმოადგენს თითოეული ქვეყნისთვის – რა გზას დაადგეს, რომელი დარგები განავითაროს, რა უნდა იყოს მისი ეკონომიკური განვითარების გენერალური სტრატეგია.

წარმოების პროცესების კომპლექსურმა ავტომატიზაციამ, ენერჯის ახალი წყაროებისა და ბიოტექნოლოგიის გამოყენებამ, მიკროელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციური ტექნიკის მიღწევათა ათვისებამ და ა.შ. თვისებრივად ახალი ეტაპი შექმნა ეკონომიკურ განვითარებაში, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გენერალური განვითარების სტრატეგიაში. არნახულმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა გამოიწვია კაპიტალიზმის ტრანსფორმაცია ახალ საზოგადოებაში, რაც აისახა კიდევ პოსტინდუსტრიალიზაციის პროცესში, ეკონომიკური ზრდის ტემპების ამადლებასა და მომსახურების სექტორის სწრაფ განვითარებაში.

ბოლო პერიოდში არა მხოლოდ პოსტინდუსტრიულ, არამედ მრავალ ახალინდუსტრიულ ქვეყანაშიც მეცნიერება განიხილება უმნიშვნელოვანეს ნაციონალურ პრიორიტეტად. ამ ქვეყნებმა თითქმის 2-ჯერ გაზარდეს თავიანთი ინოვაციური პოტენციალი და უახლოვდებიან ევროპული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა ჩინეთშიც. ინოვაციური ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით, უდიდეს წარმატებას მიაღწიეს ევროკავშირის ქვეყნებმაც. მაგალითად, ირლანდია ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადაიქცა ინოვაციური კაპიტალის დაბანდებისათვის ერთ-ერთ მიმზიდველ ქვეყნად, რაც დაეცო კიდევ მის განვითარებას. ინოვაციური პროცესების სტიმულირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ვენჩურული დაფინანსების ინსტიტუტები გახდა. ვენჩურული კაპიტალის ფორმირებაში მონაწილეობას იღებენ ბანკები, საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები და ა.შ.

ამჟამად მსოფლიოში მაღალტექნოლოგიური წარმოებით პირველ ათეულშია ფინეთი, აშშ, შვედეთი, იაპონია, სამხრეთი კორეა, ნიდერლანდი, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია და სინგაპური. მათ მოჰყვება ჩინეთი.

⁵ Портер М. Конкуренция. Перевод с английского. Санкт-Петербург, Москва, Киев, “Вильямс”, 2000, с. 218.

ამიტომაცაა, რომ XXI საუკუნეში სტრუქტურული გარდაქმნების ბირთვს ინოვაციური ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT). მისი განვითარება ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული მიმართულებაა. ეს პროცესი დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ მატერიალური რესურსების, არამედ ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხზე და განაპირობებს ცოდნის ფენომენის წინა პლანზე წამოწევას.

დღეს ტექნოლოგიური ბუმი ტრანსფორმაციას უცვლის მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, უდიდესი პოზიტივი შეაქვს მასში, რომლის არგათვალისწინება ჩამორჩენილობის დაუძლეველობას ნიშნავს და საეკონომიკურ ხდის საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას.

ინოვაციების განვითარება, რომელიც დღეს მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს რესურსად არის აღიარებული, ვრცელდება არა მხოლოდ საბაზრო, არამედ არასაბაზრო სექტორზეც და უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, ყველა ინსტიტუციურ ფორმასა და სტრუქტურაზე.

გლობალურ სამყაროში ინოვაციური ეკონომიკის უპირატესმა განვითარებამ მაღალი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების საფუძველი შექმნა. **ინოვაციურმა პროგრესმა მძლავრი ბიძგი მისცა კრეატიული პოტენციალის ყოველმხრივ განვითარებას, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას.**

განვითარებული ქვეყნები გამოირჩევიან საერთო კეთილდღეობითა და სოციალური ორიენტაციით, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავდებიან „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის ხარისხის მიხედვით. მაგ, აშშ-ს, რომლისთვისაც დამახასიათებელია მნიშვნელოვანი სოციალური დანახარჯები და, მართალია, შეუძლია გამოიყოს სოლიდური სახსრები სოციალურად დაუცველი ფენების დასახმარებლად, ჯანდაცვის დასაფინანსებლად, განათლებისა და სხვა სოციალური მიზნებისათვის, აბსოლუტური მანქანებლებით ჩამორჩებიან დასავლეთევროპული ქვეყნები, მაგრამ ისინი „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის გაცილებით მაღალი დონით ხასიათდებიან, ვიდრე აშშ. დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები, შემოსავლების გადანაწილებაში უთანაბრობის ხარისხის შემცირებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, მიმართულნი არიან ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავების, სამართლიანობისა და სოციალური თანხმობის, მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ცხოვრების დონის ამაღლებისა და საშუალო ფენის გაძლიერებისაკენ.

XXI საუკუნეში, მისი „უდიდებულესობის“ – ინტელექტუალური კაპიტალის საუკუნეში, მნიშვნელოვნად შეცვალა კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის საფუძველები. თუ უახლოეს წარსულში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ყველაზე მძლავრ დეტერმინანტებს წარმოადგენდა ვალუტის კურსის სიმყარე, ბუნებრივი რესურსები, მენეჯმენტის განვითარების დონე, მასშტაბის ეფექტი, ანუ წარმოების გაფართოების ხარჯზე მიღწეული ეკონომია და ა.შ., ამჟამად აქცენტი კონკურენტუნარიანობის სრულიად ახალ წყაროებზე კეთდება, თუმცა, აღნიშნულ დეტერმინანტებს, გარკვეული თვალსაზრისით, თავიანთი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ.

თანამედროვე ეკონომიკაში ახალი სტრატეგიის შექმნა ეყრდნობა ახალ ინოვაციურ სისტემას, რაც მოიცავს როგორც უახლეს ტექნოლოგიებს, ასევე, გულისხმობს საქმის ახლებურად კეთებას, ახალი უნარ-ჩვევების ათვისებასა და ცოდნის განახლებას. განვითარებული ქვეყნების წარმოების მატება 75%-დან 100%-მდე სწორედ ინოვაციების გამოყენებით მიიღწევა⁶. აქედან გამომდინარე, ასეთ პირობებში ინვესტიციებს სრულიად ახალი როლი აკისრიათ და ისინი, წინანდელთან შედარებით, განსხვავებული მიმართულებებით წარიმართება. საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს ამ სიახლეთა ჭეშმარიტებას. საკმარისია მოვიყვანოთ ბუნებრივი რესურსებით ღარიბი იაპონიის მაგალითი, რომელიც მყარი სტრატეგიითა და ახალი, კონკურენტული ინოვაციებით მაღალი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა, ან ბუნებრივი რესურსებით მდიდარი აფრიკის ქვეყნების წარუმატებლობა, რომლებიც უაღრესად დაბალი კონკურენტუნარიანობით ხასიათდება.

გლობალური ეკონომიკის პირობებში კონკურენციის ხელოვნების დაუფლება როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზრებზე ქვეყნის წარმატების საწინდარია. **დღეს ჭეშმარიტ კეთილდღეობას ის ქვეყნები და ის კომპანიები აღწევენ, რომლებიც სწრაფად აღიქვამენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და ითვალისწინებენ გლობალიზაციის მოთხოვნებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, მწარმოებლებისაგან ახლებურ აზროვნებასა და ინფორმაციის ყველა დონეზე გაფილტვრას უკავშირდება.**

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კომპანიებმა წარმატებას საერთაშორისო ბაზარზე ეკონომიკის ახალი სტრატეგიით – ახალი ინოვაციური სისტემით მიაღწიეს, სტრატეგიით, რომელიც კომპრომისების გადაჭრის ხელოვნებად არის აღიარებული კონკურენციაში.

როგორც მსოფლიო პრაქტიკიდან ჩანს, კონკურენტული უპირატესობა ყველაზე პროგრესულ და დინამიკურ დარგებში მიიღწევა. მომთხოვნი მომხმარებლები კომპანიებს არ აძლევენ მოღუნების საშუალებას, ამიტომ მეწარმეები წარმოების მუდმივი განახლების, სიახლეების დანერგვისა და განვითარების რეჟიმში არიან.

⁶ <http://www.chelt.ru/2001/12/uzbashianz-12.html>

თანამედროვე განვითარებულ ეკონომიკაში სტრუქტურულმა და ტექნოლოგიურმა დივერსიფიკაციამ შეცვალა ეროვნული ეკონომიკის განვითარების კურსი. წარმოების პროცესების ავტომატიზაციამ, ენერჯის ახალი წყაროებისა და ბიოტექნოლოგიების გამოყენებამ, მიკროელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციური ტექნიკის მიღწევათა ათვისებამ და ა.შ. თვისებრივად ახალი პერსპექტივები შექმნა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში.

ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე კონკურენტულ ეკონომიკაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **საკვანძო კომპეტენტურობის თეორია (core competence theory)**⁷. იგი ასახავს იმ ახალ ტენდენციებს, რომლებიც ყალიბდება კომპანიაში კოლექტიური ცოდნის სახით. ურთიერთ-თანამშრომლობის პრინციპზე აგებული საკვანძო კომპეტენტურობა ეხმარება კომპანიებს არსებული სამეწარმეო თვისებების კოორდინირებასა და განვითარებაში, ინოვაციებზე ორიენტირებული, მუდმივად ცვალებადი ტექნოლოგიური ნაკადების ინტეგრირებაში. ის გარემოება, რომ თანამედროვე ბიზნესმა განიცადა დივერსიფიკაცია, შეუძლებელი ხდება ცენტრიდან ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელება. ამიტომ დღეს დიდი ყურადღება ექცევა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნას. ასეთ ორგანიზაციულ სტრუქტურას წარმოადგენს **„კრეატიული ქსელი“** (“Creative net”). მასში შემავალი კორპორაციები ერთმანეთზეა დამოკიდებული, რომელთა წარმატება ურთიერთ-თანამშრომლობაზეა აგებული. „კრეატიული ქსელი“ ახდენს მასში შემავალი კომპანიების საქმიანობის კოორდინაციას. დიდი კომპანიები (ტრადიციული იერარქიული პირა-მიდისგან განსხვავებით) სულ უფრო მეტად აკისრებენ პასუხისმგებლობას მცირე კომპანიებს გადაწყვეტილების მიღებაში, დასამზადებლად გადასცემენ მათ პროდუქციის ცალკეულ დეტალებს და ა.შ. მენეჯმენტში განხორციელებული ეს ახალი მიდგომები სტიმულს აძლევს კომპანიათა ცალკეულ ჯგუფებს სიახლეების დანერგვაში, ახალი პროდუქციის, მომსახურების ახალი სახეობების წარმოებაში და ა.შ. ამიტომ XXI საუკუნეში „კრეატიული ქსელის“ განვითარებაზე დიდად იქნება დამოკიდებული მენეჯმენტში წარმატება. კონკურენციის განვითარებაში ასახული პოზიტიური ცვლილებები უდიდეს გავლენას ახდენს როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია კონკურენტუნარიანობა განვიხილოთ როგორც მიკრო- და მეზოდონეზე, ისე მაკრო- და მეგადონეზე.

კონკურენტუნარიანობა მიკრო- და მეზოდონეზე არის ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტთა თვისება, კონკურენცია გაუწიონ ქვეყნის შიდა ბაზარზე ანალოგიური თვისების მატარებელი ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტებს. ამ თვისების შეფასება იძლევა დაბალი, საშუალო და მაღალი ლოკალური კონკურენტუნარიანობის განსხვავების საშუალებას. კონკურენტუნარიანობა მაკრო- და მეგადონეზე არის ქვეყნის თვისება, კონკურენცია გაუწიოს მსოფლიო ბაზარზე სხვა ქვეყნების ანალოგიური თვისებების მქონე ეკონომიკური ურთიერთობების მქონე სუბიექტებს, რაც, საბოლოო ანგარიშით, მოცემული ქვეყნის კონკურენტუნარიანობაში აისახება. აქედან გამომდინარე, **გლობალური კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს ქვეყნის ადგილს მსოფლიო ეკონომიკაში და იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. მასში აისახება ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის დონე.** ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ დღეს, კონკურენციის გლობალიზაციის ფონზე, შეიცვალა ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის საფუძვლები.

თანამედროვე საგარეო ვაჭრობაში შეფარდებითი უპირატესობის თეორია სულ უფრო უთმობს ადგილს კონკურენტული უპირატესობის თეორიას. მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას განაპირობებს მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური დარგები. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პრაქტიკა აჩვენებს, რომ დღეს ყველაზე მომგებიანი ის დარგებია, რომლებიც აწარმოებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს, კავშირგაბმულობის საშუალებებსა და ტელეკომუნიკაციების მთელ სისტემას. მათ წარმატებას მსოფლიო ბაზარზე, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ინოვაციების დანერგვა და არა წარმოებრივი შესაძლებლობების ზრდა, ინტენსიური და არა ექსტენსიური წარმოება.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ეს შედარებით ახალი თეორია აქცენტს ისეთ ფასეულობებზე აკეთებს, როგორცაა ხარისხი, „ნოუ-ჰაუ“, ბაზრისადმი ახლებური მიდგომა, ინფორმაციის ყველა დონეზე გაფილტვრა, ახალი დიზაინი, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნა და ა.შ.

ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების პრობლემა მეტად აქტუალურია თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში, ფართო მსჯელობის საგანია ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ მას. **ეს პრობლემა ორგანულად უკავშირდება ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბს, რომელიც მაიკლ პორტერის დაიმონდის მოდელის სახელწოდებითაა ცნობილი**⁸. იგი დღევანდელ პირობებში ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების მიმართულებებში გარკვევის საშუალებას იძლევა.

ის გარემოება, რომ გლობალიზაცია აჩქარებს ცალკეულ ქვეყნებში ღია საზოგადოების ჩამოყალიბებას და ანგრევს ჩაკეტილ, ტოტალიტარულ რეჟიმებს, ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მეცნიერული მიღწევების მოკლე დროში დანერგვას, რესურს-

⁷ Porter M. Competitive Advantages of Nations. “Harvard Business Review”, 1990, № 2.

⁸ Портер М. Конкуренция. Перевод с английского. Санкт-Петербург, Москва, Киев. «Вильямс», 2000.

დამზოგველი და ნაკლებნარჩენიანი ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებას, ინტერნეტული ქსელისა და, საერთოდ, საინფორმაციო ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას, კაპიტალის თავისუფალ მოძრაობასა და ა.შ., ახალი დროის დადგომის მაუწყებელია.

მაიკლ პორტერის დაიმონდის მოდელი, როგორც ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ქვაკუთხედი, აისახება ლოკალური კონკურენტული უპირატესობის ოთხ დეტერმინანტში, რომლებიც ერთობლიობაში წარმოქმნიან იმ სპეციფიკურ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებასა და ახალი კონკურენტუნარიანი კომპანიების აღმოცენებას, აყალიბებს იმ „სათამაშო ველს“, რომელსაც კონკურენტუნარიანი ქვეყანა ქმნის საკუთარი ინდუსტრიის განვითარებისათვის. ეს დეტერმინანტებია:

1. ფაქტორული პირობები. ქვეყნის შიდა ბაზარზე ყურადღების გამახვილება იმ წარმოების ფაქტორებზე (კვალიფიციური სამუშაო ძალა, ადმინისტრაციული, ტექნოლოგიური და წარმოებრივი ინფრასტრუქტურა, კაპიტალის ბაზარი, მიწოდების პირობები), რომლებიც აუცილებელია მოცემული დარგის კონკურენტუნარიანობის მიღწევისათვის. ძალზე მნიშვნელოვანია თუ რა ტემპით და რამდენად ეფექტიანად ქმნის და განახლებს ქვეყანა ამ ფაქტორებს კონკურენტულ დარგებში. მაგ., კოლექტდამთავრებული მუშახელი არ განაპირობებს კონკურენტულ უპირატესობას თანამედროვე პირობებში. ამისათვის იგი სპეციალიზებული უნდა იყოს დარგის კონკურენტული მოთხოვნების შესაბამისად, რაც ვენჩურულ კაპიტალსა და სტაბილურ ინვესტიციებს მოითხოვს;

2. მოთხოვნის პირობები. ქვეყნის ბაზარზე კონკურენტული დარგის პროდუქციის წარმოებისას ყურადღების გამახვილება მოთხოვნის რაოდენობრივ და ხარისხობრივ დეტერმინანტებზე. მოცემული ქვეყნის კომპანიებმა კონკურენტული უპირატესობა შეიძლება იმ შემთხვევაში მოიპოვონ, თუ ადგილობრივ მყიდველთა მოთხოვნა (ხარისხობრივი მაჩვენებლის გათვალისწინებით) წინ უსწრებს სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. ეს უბიძგებს კომპანიებს მოდერნიზაციისა და ინოვაციისკენ და ამით აიძულებს მათ დააკმაყოფილონ მაღალი სტანდარტები.

3. ქვეყანაში საერთაშორისო დონეზე ერთმანეთთან დაკავშირებული კონკურენტუნარიანი დარგებისა და დამხმარე სფეროების არსებობა. ეს დეტერმინანტები სწრაფი და შედეგითიანი გზით ხელსაყრელ პირობებს ქმნიან კონკურენტუნარიანობის ამადღებისათვის;

4. კომპანიის მყარი სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენტული გარემო. ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომში, როგორც სისტემა, გავლენას ახდენს კომპანიათა კონკურენტუნარიანობის ისეთ კომპონენტებზე, როგორებიცაა: რესურსების ხელმისაწვდომობა, დასაბუთებული უახლესი ინფორმაციის მოპოვება, უნარ-ჩვევების აკუმულირება, ინფორმაციის სწრაფი მოპოვების გზით ბაზრის მდგრადი სეგმენტის მოძიება და ა.შ. როდესაც კომპანიები არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ნედლეულის სიმცირის, მიწის მაღალი ფასის, მუშახელის დეფიციტის გამო, იმისათვის რომ გაუძლონ კონკურენციას, ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს, ამით ქმნიან ახალ ბაზრებს და არაფასისმიერი კონკურენციით აღწევენ წარმატებას.

ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომში, თავისი ოთხი დეტერმინანტით, ხელს უწყობს კონკურენტულ სფეროებში მაღალტექნოლოგიური პარკების – **კლასტერების** წარმოშობას.

ამრიგად, თანამედროვე გლობალურ სამყაროში ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, როგორც განვითარების და, აქედან გამომდინარე, საზოგადოების კეთილდღეობის უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი, განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის ადგილსა და როლს მსოფლიო ეკონომიკაში⁹.

ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს. ეს მოდელი ინოვაციურ ეკონომიკას ეფუძნება, რომელშიც წამყვან როლს ინტელექტუალური კაპიტალი, საინფორმაციო და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები ასრულებენ. მათი განვითარების დონეს კი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ხარისხი განსაზღვრავს.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია განუზომლად ზრდის კონკურენციის წესრიგის პოლიტიკის მნიშვნელობას. ამიტომაცაა დღეს ეს პრობლემა წინა პლანზე წამოწეული, მყარად დამკვიდრდა საზოგადოების ცხოვრებაში და იგი, შეიძლება ითქვას, უდიდეს გავლენას ახდენს ინსტიტუციური წესრიგის დონესა და ხარისხზე. კონკურენტული წესრიგის პოლიტიკის მოთხოვნათა გათვალისწინება და სწორად წარმართვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, რაც უშუალო გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე.

საგულისხმოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: **კონკურენტული წესრიგის გატარებაში უდიდეს როლს ეროვნული იდეოლოგია ასრულებს, მაგრამ თუ იგი მოსწყდა ეროვნულ ფესვებსა და სარწმუნოებას, რელიგიას, მაშინ ზედმეტია მსჯელობა კონკურენციის წესრიგზე, ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე და ინსტიტუციურ მოწყობაზე. ქვეყანა, რომელიც არ ატარებს კონკურენცი-**

⁹ Портер М., Кетелс К. Конкуренентоспособность: Экономике нужны ясные цели. – www.vedomosti.ru/newspaper/article/2007/11/26/136711

ული წესრიგის პოლიტიკას, ვერასდროს განვითარდება და განწირულია ქრონიკული ჩამორჩენილობისათვის, უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების თეორია. თბილისი, „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2016;
2. ასათიანი რ. კეთილდღეობის ეკონომიკის თანამედროვე მოდელები. „ეკონომისტი“, 2017, №1;
3. ასათიანი რ. კონკურენციის თეორიები და ახალი ინოვაციური სისტემა. „ახალი ეკონომისტი“. 2016, №2;
4. ასათიანი რ. XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2015;
5. ასათიანი რ. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014;
6. ასათიანი რ. ეკონომიკური წესრიგი და დემოკრატიული სისტემა. „საქართველოს ეკონომიკა“, 2012, №9;
7. ასათიანი რ. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი და საქართველო. „საქართველოს ეკონომიკა“. 2011, №2;
8. ასათიანი რ. ახალი მსოფლიო წესრიგი და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2003, №4;
9. ლორთქიფანიძე რ. რაციონალური კონკურენცია – ეკონომიკური ეფექტიანობის საფუძველი. „შრომები“. XII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, „უნივერსალი“, 2015;
10. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკისი. თბილისი, 2011;
11. Asatiani R. Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. “The Caucasus Region: Economic and Political Developments”. New York, Nova Science Publishers Inc, 2011;
12. Asatiani R. Post-communist Transition Period in the Georgian Economy. “The Caucasus & Globalization”. Vol3(2-3), Volume 3, Issue 4, “Ca&CC Press”, Sweden, 2009;
13. Coase R. The Problem of Social Cost. “Journal of Law and Economics”. Vol. 3, 1996;
14. Асатиани Р. Теории конкуренции и новые перспективы стран ориентированных на конкурентноспособность. “Кавказ и глобализация”, Швеция, “Ca&CC Pres”, 2015;
15. Асатиани Р. Усиление глобальных тенденции конкуренции и новые перспективы конкурентоспособности Грузии. „სოციალური ეკონომიკა“, 2015, №6;
16. Асатиани Р. Экономика Грузии сквозь призму нового мирового порядка. „სოციალური ეკონომიკა“, 2014, №5;
17. Кетелс К., Портер М. Конкурентноспособность: экономике нужны ясные цели; www.vedomosti.ru/newspaper/article/2007/11/26/136711
18. Надель С. Социальные факторы экономического роста. «МЭ и МО», 2015, №5;
19. Пигу Е. Экономическая теория благосостояния. Перевод с английского. М., 1985;
20. Портер М. Конкуренция. Перевод с английского. Санкт-Петербург, Москва, Киев. «Вильямс», 2000;
21. Портер М. Международная конкуренция. М., «Международные отношения», 1993;
22. Эрхард Л. Благосостояние для всех. Перевод с английского. М., 1991;
23. Хайлбронер Р., Тароу Л. Экономика для всех. Перевод с английского. Лондон, “Overseas Publications Interchange Ltd”, 1991;
24. <http://www.chelt.ru/2001/12/uzbashianz-12.html>
25. www.economics.ge

Rozeta Asatiani

WELFARE FOR EVERYBODY, WELFARE THROUGH COMPETITION

Summary

As a result of the transformation of capitalism, the development of an economic system based on the dominance of private capitalist ownership into a new property has changed the trajectory of the world development. The formation of the socially oriented economy has become an important trend of the development of the modern world and it is recognized a guarantor of forming civil society. This circumstance contributed to bringing moral values to the forefront which left behind hitherto rooted demands, one might say, conditioned by social instinct and rose above them.

In market economy, strengthening of social orientation has put forward the study of socio-economic aspects of the welfare. The welfare economics is organically linked with competitive economy, moreover, in modern civilized economy this latter is even recognized as a means of determining the achievement of inclusive welfare. Therefore, today in the world economic literature of topical importance has become global trends of strengthening competition and study of

new perspectives of a country oriented on competitiveness.

In civilized world rather approved thesis – “welfare through competition” was considerably favored by the existence of anti-monopoly legislation and anti-monopoly regulation which are recognized as one of the best means to achieve competitive advantage.

Competitiveness as a guarantee of the country’s development determines the place and role of each country in the world economy. In order for a country to be competitive, it should sell its goods abroad through the international market network. This is a great “playing field” which represents a kind of compass for each country on which way to go, what industries need to develop, what should be the general strategy of its economic development.

In order to give social orientation to the economy and promote the functioning and development of market economy, the developed countries increase welfare expenditure, healthcare and expenditure on education with which fulfill important role and hence, fulfill an important role in the development of the market economy as a socially-oriented economy into the social economy through evolution.

Today, in the 21st century, the main goal of a country’s economic policy should be the introduction of new forms of growth in the total demand which has been developed by new Keynesians and reflected in “new neoclassic synthesis”, creation of competitive environment and development of competition, bringing to the forefront partnership, implementation of scientific achievements in short terms, wide dissemination of resource-saving and non-waste technologies, rapid development of the information industry, increase of the mobility of financial capital, regulation of the ratio of private and public property, creation of legal environment and regulation, etc. Therefore, the main principles of economic policy should be: 1) inviolability of private property; 2) monetary stability; 3) market openness; 4) freedom of transactions and contract agreements; 5) consistency in the implementation of economic policy; 6) conduction of a flexible fiscal and monetary anti-cyclical policy and so forth.

Currently, in Western Europe, the place of a “closed”, interventional social policy is occupied by open, stable and viable social policy, as a challenge to modern civilization. The countries following this way give priority to the system organization for creating new jobs, development of the self-employment system rather than ordinary, one could say, time-worn system of social assistance.

Hence, the economy with a high standard of living and significant social expenditures should be distinguished from the social market economy proper. The first refers to liberal societies who have reached the highest level of material wealth and, therefore, can allocate solid funds to help the poor, financing of healthcare, education and other social purposes. The clearest example of such a society is the US and Canada. However, these countries do not have strong “built-in” mechanisms to reconcile the interests between social groups. In contrast, the small West European countries, for instance, Austria, Belgium, Switzerland, etc., may be given a new type of market economy just due to the fact that their socio-economic and legislative systems are directed to social agreement and achievement of a high standard of living and better quality of life, in spite of the fact that according to absolute indices these countries are far behind the US and Canada. This is confirmed by the fact that according to the data of 2015, the summary index of quality of life and “comfort” among

188 countries in the world, Switzerland is on the 1st place (222.94), Germany (195.94) holds 2nd place and Sweden with index 193.86 holds 3rd place. According to the mentioned index Georgia 64.96 holds 57th place. The 21st century proving to be a century of knowledge and intellectual capital, significantly changes the principles of competitiveness of a country. Today, countries achieve a competitive advantage, establish new standards, invest money in renewal of knowledge, creation of a new type of production, etc. All this determines the effective use of existing resources in the public sector of the economy, development of public sector economics and growth of welfare on the basis on healthy competition.

Today the technological boom changes the trajectory of the world economy development, brings a huge positive to it and its disregard means insuperability of backwardness and makes doubtful the development of the public sector economics.

The development of innovations which is currently recognized as the most important resource of economic growth is spread not only on market sector but also on nonmarket sector and makes great influence on functioning of the economy, all institutional forms and structure.

In modern economy the creation of a new structure is based on new innovative system which includes cutting-edge technologies and implies doing the job anew and knowledge renewal. Production growth in developed countries from 76% to 100% is achieved precisely through the use of innovations¹⁰.

In conditions of a global economy, mastering the skill of competition in the global economy, both domestic and foreign markets are a prerequisite for success. Today, the real prosperity is achieved by those countries and those companies that rapidly response to the processes taking place in the world and take into consideration the requirements of globalization, which is, first of all, linked with new way of thinking which producers need and information filtration at all levels.

¹⁰ <http://www.chelt.ru/2001/12/uzbashianz-12.html>

საქართველოს საბარეო ვალის სტრუქტურა და არსებული სიტუაციის გამომწვევები

ანოტაცია. სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს საგარეო ვალის სტრუქტურა (15,5 მლრდ აშშ დოლარი) და გადახდის გრაფიკი, მოცემულია საგარეო ვალის გადახდაზე გამოთქმული რიგი მოსაზრების არგუმენტაცია და ის გამოწვევები, რისი გადალახვა უწევს საქართველოს ბიზნესს 2017 წლის განმავლობაში.

საკვანძო სიტყვები: საგარეო ვალი, დაუყოვნებლივ დაფარვა, პროლონგაცია, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ვალარების პროგრამა

საქართველოს ეკონომიკის განვითარების მიზნით ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან საგარეო ვალის აღება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. საგარეო ვალის აღებისას კი მისი პრიორიტეტია საერთაშორისო ბაზარზე არსებული დაბალი განაკვეთი, ვალის გრძელვადიანობა (10 წელი და მეტი) და, საჭიროების შემთხვევაში, ვალის გახანგრძლივების (პროლონგაციის) შესაძლებლობა.

საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით საქართველოს სახელმწიფო და საგარეო ვალი შეადგენს 15,5 მლრდ აშშ დოლარს, საიდანაც სახელმწიფო ვალის ოდენობა 4,5 მლრდ დოლარია¹¹. 11 მლრდ აშშ დოლარი კი კერძო სექტორის საგარეო ვალია (მათ შორის სახელმწიფო საწარმოების მიერ აღებული საგარეო ვალი).

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სახელმწიფო საგარეო ვალის ოდენობა და გადასახდელი თანხა მიმდინარე და მომდევნო წლებში არის უმნიშვნელო (400 – 500 მლნ აშშ დოლარის), უპრიანია დეტალურად ვიცოდეთ, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას ქვეყნის კერძო სექტორი, რომლის მიერ აღებული საგარეო ვალების ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად აჭარბებს სახელმწიფო ვალის ოდენობას.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით და განმარტებითი ბარათის მიხედვით¹², 2012–2015 წწ. განმავლობაში, მიუხედავად საგარეო ვალის დიდი ოდენობისა, მისი მომსახურება რაიმე არსებით პრობლემას არ უქმნიდა საქართველოს ეკონომიკას.

ცხრილი 1

ერთ წელზე ნაკლებ დროში გადასახდელი თანხები, სხვადასხვა პერიოდში გამოქვეყნებული "საგარეო ვალის გადახდის გრაფიკის" ცხრილების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)

	31 დეკ - 12	31 დეკ - 13	21 დეკ - 14	31 დეკ - 15	31 მარტ - 16
საგარეო ვალის მომსახურება, სულ	4 751.1	4 777.7	4 661.4	4 780.3	4 223.0

ამასთანავე, სახეზეა ლარის კურსის მკვეთრი დეველვაცია ნიშნულიდან 1 აშშ დოლარი=1.65 ლარს, ნიშნულამდე 1 აშშ დოლარი = 2,45 ლარი (2017 წლის 1 მაისის მდგომარეობით). ამასთანავე, 2016 წლის ნოემბერში კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და ბლუმბერგის მონაცემებით 1 აშშ დოლარი = 2,8175 ლარს გაუტოლდა¹³.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ცხრილში მოცემული გადასახდელი თანხები საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება, მაგრამ, ეს არ არის ის თანხები, რაც ქვეყანამ უნდა გადაიხადოს, რადგან, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, გადახდა ნაწილობრივ (დაახლოებით ნახევრის) ხდება საქონლისა და მომსახურების მიწოდებით. ამასთანავე, ეროვნული ბანკის მონაცემებით, გრძელვადიანი სავალო ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) შემთხვევაში, ხშირად გადახდის თარიღის მოახლოებისას ხდება ახალი ობლიგაციების გამოშვება და ძველის გამოსყიდვა, ანუ გადახდის თარიღის გადაწვევა.

ამასთანავე, ეროვნული ბანკის აზრით, ყველა სავალო ინსტრუმენტის შემთხვევაში ხდება როგორც ძველი ვალდებულებების გადახდა, ისე ახალი ვალდებულებების აღება, ხოლო ცხრილში 2 "საგარეო ვალის გადახდის გრაფიკი", ვხედავთ მხოლოდ გადახდის მხარეს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ვალდებულებების აღება უმეტესწილად ჭარბობს გადახდას, რის გამოც წმინდა ნაკადი დადებითია, რაც ჩანს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან.

¹¹ წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო <http://mof.ge/5033>

¹² წყარო: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=2920>

¹³ წყარო: <https://www.bloomberg.com/quote/USDGEL:CUR>

საგარეო ვალი და წმინდა ცვლილება
(მლნ აშშ დოლარი)

	2012	2013	2014	2015	2016
საგარეო ვალის ნაშთი პერიოდის ბოლოს	12 035.7	13 290.1	13 741.8	15 036.7	14 607.8

ამ მხრივ საქართველოს ეროვნულ ბანკს მიაჩნია, რომ ქვეყანაში სავალუტო სახსრების შემოდინების და გადინების ანალიზისას უმჯობესია ვიხელმძღვანელოთ არა "საგარეო ვალის გადახდის გრაფიკით" (რომელიც საორიენტაციოა), არამედ საგადასახდელო ბალანსით, რომელშიც მოცემულია შემომავალი და გამავალი ნაკადები სხვადასხვა ეკონომიკური აქტივობის მიხედვით დროის გარკვეული პერიოდებისათვის.

თუმცა რეალობა სხვაგვარად გამოიყურება. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ყოფილი ხელისუფლების პერიოდში აღებული საგარეო ვალი დღეს ეროვნული ვალუტის სისუსტის მთავარი მიზეზია.

2016 წლის ივნისის მონაცემებით საქართველოს მომდევნო 6 თვის მანძილზე 1,628 მლრდ დოლარის საგარეო ვალი ჰქონდა გასასტუმრებელი. ეს თანხა მე-3 და მე-4 კვარტალში როგორც სამთავრობო, ასევე სხვა სექტორებში კრედიტორებს უნდა გადაეხადათ.

ამ მასშტაბით საგარეო ვალის მომსახურება ეროვნულ ვალუტას სერიოზულ პრობლემას უქმნიდა, რაც ლარის კურსის ვარდნაში გამოიხატა. ამ მხრივ, გაუმჯობესებული მაკრო-ეკონომიკური მაჩვენებლების ფონზე, ლარის სუსტი პოზიცია სწორედ საგარეო ვალის მომსახურებას უკავშირდება.

2016 წლის მონაცემით, სიტუაცია კიდევ უფრო მიმდებოდა 2017 წლის განმავლობაში. მთლიანობაში, მხოლოდ 2016 წელს გადასახდელი საგარეო ვალის ოდენობა 4,780 მლრდ აშშ დოლარს უდრიდა და ის მთლიანი შიდა პროდუქტის 34%-ს შეადგენდა. სამწუხაროდ, 2017 წელს სიტუაცია კვლავ არასახარბიელოდ გამოიყურება.

2017 წლის აპრილში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნდა საგარეო ვალებზე მომსახურების ახალი გრაფიკი 2017 წლისთვის¹⁴.

ცხრილის მიხედვით, რომლის მოკლე ვერსია შეგიძლიათ იხილოთ აგრეთვე თანდართულ ცხრილში (ცხრილი 3), ირკვევა, რომ მიმდინარე წელს კერძო სექტორში მოდგაწე კომერციული ბანკების და კერძო კომპანიების საგარეო ვალის ტვირთი შეადგენს 3,8 მლრდ აშშ დოლარს (აქედან ძირითადი: 3.15 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო მასზე გადასახდელი პროცენტი – 673 მლნ აშშ დოლარი).

დამატებით გასათვალისწინებელია ე.წ. „დაუყოვნებლივ“ მუხლი, რომელიც შეადგენს 875 მლნ აშშ დოლარს (აქედან ძირითადი: 750 მლნ აშშ დოლარი, ხოლო პროცენტი – 125 მლნ აშშ დოლარი). მუხლი „დაუყოვნებლივ“ მოიცავს ისეთ ვალდებულებებს, რომლებიც უკვე ვადაგადაცილებულია და მათზე მომსახურება ჯერ კიდევ 2017 წლის 1 იანვრამდე უნდა დასრულებულიყო, თუმცა ვერ მოხერხდა. ჯერ კიდევ 2016 წლის 1 ოქტომბრის მონაცემებით, მუხლი „დაუყოვნებლივ“ 735 მლნ დოლარს შეადგენდა, ე.ი. 2016 წლის მეოთხე კვარტალში 140 მლნ დოლარით გაიზარდა. განსაკუთრებით თვალშისაცემია ის გარემოება, რომ ე.წ. „დაუყოვნებლივ“ მუხლის მნიშვნელოვანი ნაწილი – 508 მლნ აშშ დოლარი (ე.ი. 60%) მოიცავს საბანკო სექტორის დავალიანებებს საერთაშორისო კრედიტორების წინაშე.

ამ „დაუყოვნებლივ“ მუხლის გათვალისწინებით, ჯამურად მიმდინარე წელს საქართველოს საგადასახადო ტვირთი საერთაშორისო კრედიტორების წინაშე შეადგენს 4.7 მლრდ აშშ დოლარს (აქედან დასაფარი ძირითადი თანხა 3.9 მლრდ აშშ დოლარია, ხოლო პროცენტი – 800 მლნ). თუ დავუმატებთ ამ ციფრს სახელმწიფო საგარეო ვალის გადასახდელ ნაწილს – 400 მლნ აშშ დოლარს, ვიღებთ 5,1 მლრდ აშშ დოლარის საგარეო ვალის გადასახდელ თანხას.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ მიაღწია მსოფლიო ბანკის პროგრამის განახლებას. თუმცა, 4.7 მლრდ აშშ დოლარის დასაფარი საგარეო ვალის ოდენობასთან მიმართებით სავალუტო ფონდის დანაპირები 285 მლნ დოლარის მოცულობის სესხად გამოყოფა (რაც თავისთავად მნიშვნელოვანია) არ არის საკმარისი ამ ოდენობის საგარეო ვალის ტვირთის უმტკივნეულოდ გადატანის საქმეში. საგარეო ვალის აღნიშნულ მოცულობაზე მომსახურება შეიძლება მიხნეულ იქნეს აგრეთვე, როგორც მნიშვნელოვანი ტვირთი სავალუტო ბაზრისთვის.

ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია რიგი საკითხის გარკვევა:

– რატომ დაგროვდა და გაიზარდა მუხლი „დაუყოვნებლივ“ და 875 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

¹⁴ იხილეთ სრულად: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304/edgrfgeo.xls>

- არსებობს თუ არა კომერციულ ბანკებთან ერთად შემუშავებული გეგმა, თუ როგორ აპირებს ეროვნული ბანკი სავალუტო ბაზარზე სტაბილურობის შენარჩუნებას, განსაკუთრებით იმის პირობებში, რომ ე.წ. „დაუყოვნებლივ“ მუხლის მნიშვნელოვანი ტვირთი მოდის საბანკო სექტორზე.

- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ, საგარეო ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული სავალუტო რისკების ფონზე, როგორც მომხმარებლებს, ისე ბიზნესს შესთავაზოს სესხების გაღარების საყოველთაო პროგრამა, მოიხსნას ყოველგვარი თანხობრივი ან დროითი შეზღუდვა და საკრედიტო პორტფელი სრულად გაღარდეს.

მიგვაჩნია, რომ სანიმუშო ფისკალური დისციპლინით მიღწეული საბიუჯეტო პროფიციტის პირობებში, გაცვლითი კურსის შესაბამისი სუბსიდირების განხორციელება არის საგნებით რეალური და აქვს წარმატების კარგი წინაპირობები.

ცხრილი 3

საგარეო ვალის გადახდის გრაფიკი

2016 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული საგარეო ვალის გადახდის გრაფიკი (BPM5) (მლნ აშშ დოლარი)

	დაუყოვნებლივ*	(თვეები)				სულ 2017	total
		0-3	4-6	7-9	10-12		
		2017 1 კვ.	2017 2 კვ.	2017 3 კვ.	2017 4 კვ.		
სამთავრობო სექტორი	60.3	46.1	71.0	73.7	75.0	265.7	326.0
Задачей же данного исследования является научное обоснование необходимости внедрения – Философии социальной цели, Теории верховенства интересов народа и Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц, в качестве мировоззренческих и политико-правовых основ инновационного социально-экономического развития, служащего интересам человека – служащего интересам народа и человечества.

Научная новизна. Главной новизной предложенного здесь научного исследования является рассмотрение созданных мной принципиально новых научных направлений и принципиально новых научных теорий – Философии социальной цели [1; 2; и др.], Теории верховенства интересов народа [3; 4; и др.] и Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц [5; 6; и др.], в качестве мировоззренческих и политико-правовых основ инновационного социально нацеленного социально-экономического развития общества и государства.

Изложение основного материала

Рассматривая проблему инновационного социально нацеленного социально-экономического развития общества и государства, считаю необходимым обратить внимание на следующее:

Без экономического развития – не может быть социального развития, что не подлежит сомнению.

Вместе с тем, важно обратить особое внимание на то, что **экономическое развитие – не может само собой означать социальное развитие, и не может оно автоматически служить социальному развитию, ибо экономическое развитие, в зависимости от целевой направленности функционирования общественно-государственной системы** [7; 8; и др.], **может быть – либо результатом эффективной социально нацеленной деятельности, а значит, может служить социальной цели – может служить интересам народа, либо же «экономическое развитие» может быть результатом антисоциально нацеленной «деятельности» – может быть результатом прямого или завуалированного ограбления народа, а значит, может служить экономической самоцели средств, может служить порабощению и экономическому изнашиванию народа** [9; и др.].

В частности, если, например, показателем экономического развития считать увеличение государственного бюджета, то это не всегда может быть показателем и социального развития в обществе и в государстве, а, порой, даже наоборот (!).

Поэтому, принципиально важно обратить внимание на следующее:

Хотя вообще не подлежит сомнению, что увеличение государственного бюджета является – *должен быть* – важным показателем экономического развития, но если увеличение государственного бюджета является результатом ограбления людей – *если оно является результатом ограбления народа*, путем, *например*, допущения в государстве азартных так называемых «игр» [10; 11; 12; и др.], путем допущения в государстве мошеннических деяний финансово-кредитных организаций [13; и др.] и т.д., то такое будто бы «экономическое развитие» является результатом преступного деяния государственной власти, допускающей антисоциальные – *явно криминальные* – деяния в обществе и в государстве (!).

В связи с вышеотмеченным, вызывает удивление и недоразумение, когда некоторые «представители» сферы науки, «мыслящие» чисто «экономически» – узко «экономически», *что с точки зрения истинной цивилизованности – весьма примитивно*, и в то же время являющиеся апологетами грабительского капитализма – *привыкшие считать лишь доходы и расходы, но скорее всего не понимающие и/или не учитывающие, что экономика должна существовать для человека – для народа, а не наоборот*, не обращают внимание на то, что увеличение государственного бюджета *в подобных случаях* является результатом ограбления народа – является результатом проявления грабительского капитализма (!).

Притом, считаю необходимым особо отметить, что грабительский капитализм проявляется наиболее грабительно в условиях и в результате оплодотворения псевдосоциализма на почве дикого капитализ-

ма, или же, *иначе говоря*, в условиях и в результате возращения и оплодотворения дикого капитализма на почве псевдосоциализма (?!).

Следовательно, вместо осознания необходимости борьбы за искоренение в обществе и в государстве грабительского капитализма и, *в частности*, вместо борьбы за искоренение азартных так называемых «игр», вместо борьбы за искоренение мошеннических деяний финансово-кредитных организаций и т.д., эти – *чисто «экономически» мыслящие, а точнее, криминально мыслящие* – лица и, *в том числе, некоторые представители сферы науки*, «оправдывают» отмеченные уголовно наказуемые преступные деяния – доходами, полученными и получаемыми за счет ограбления и порабощения народа (?!).

Удивительно, но факт (?!).

Исходя из вышеизложенного, для истинного социально-экономического развития общества и государства, для подчинения экономического развития социальной цели, *а равно*, для социально нацеленного комплексного социально-экономического развития общественно-государственной системы, считаю необходимым, чтобы инновационное социально нацеленное комплексное социально-экономическое развитие общества и государства базировалось на принципиально новых мировоззренческих и политико-правовых основах.

Следовательно, в качестве мировоззренческих и политико-правовых основ инновационного социально нацеленного комплексного социально-экономического развития общества и государства, предлагаю созданные мной принципиально новые научные направления и принципиально новые научные теории – Философию социальной цели, Теорию верховенства интересов народа и Теорию сбалансированности прав и ответственности должностных лиц, *лишь на основе которых может быть построено и может функционировать* Истинно человеческое общество и Истинно человеческое государство [14; 15; 16; и др.] – общество и государство, реально призванное служить и служащее интересам каждого человека – служащее интересам обеспечения истинного качества жизни народа, интересам общества, государства и человечества в целом.

Притом, Философия социальной цели должна рассматриваться как исходная мировоззренческая – методологическая – основа инновационного социально нацеленного комплексного социально-экономического развития общества и государства, и как исходная мировоззренческая – методологическая – основа построения и функционирования Истинно человеческого общества и Истинно человеческого государства.

Теория верховенства интересов народа должна рассматриваться как определяющая целевая направленность инновационного социально-экономического развития общества и государства, и как определяющая целевая направленность построения и функционирования Истинно человеческого общества и Истинно человеческого государства.

Теория же сбалансированности прав и ответственности должностных лиц должна рассматриваться как необходимая научная основа практической реализации Философии социальной цели и Теории верховенства интересов народа – как необходимая научная основа утверждения справедливости и равноправия всех людей перед законом в обществе и в государстве, как необходимая научная основа защиты прав и реализации интересов каждого человека – интересов народа, и как необходимая научная основа построения и эффективного функционирования Истинно человеческого общества и Истинно человеческого государства.

Заключение

Решение проблем инновационного социально-экономического развития общества и государства является необходимым условием и показателем реализации интересов народа.

Притом, реализация социальной цели – реализация интересов народа – возможна лишь в условиях социально нацеленного комплексного социально-экономического подхода к проблеме развития общества и государства, ибо одностороннее «экономическое развитие» может даже противоречить интересам народа.

Следовательно, при решении проблем инновационного социально-экономического развития общества и государства, в качестве мировоззренческих и политико-правовых основ этого развития принципиально важно и необходимо рассматривать созданные мной новые научные направления и новые научные теории – Философию социальной цели, Теорию верховенства интересов народа и Теорию сбалансированности прав и ответственности должностных лиц, *лишь на основе которых может быть построено, и лишь на основе которых может функционировать* Истинно человеческое общество и Истинно человеческое государство – *лишь на основе которых может функционировать общественно-государственная система, призванная служить и реально служащая интересам каждого человека – интересам народа, интересам общества, государства и человечества.*

Использованная литература

1. Кураташвили Альфред А., 1997, *Философия цели – альтернатива философии средств* (монография на грузинском и русском языках). Тбилиси: “Мецниереба”, – 100 с.
2. Кураташвили Альфред А., 2003, *Философия социальной цели. Принципиально новое научное направление – исходная теоретическая основа формирования и функционирования истинно человеческого общества и государства* (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», – 352 с.
3. Кураташвили Альфред А., 1997, *Теория диктатуры интересов народа. Определяющее научное направление социально-экономического развития истинно человеческого общества и государства* (монография на грузинском и русском языках). Тбилиси: “Мецниереба”, – 76 с.
4. Кураташвили Альфред А., 2003, *Теория верховенства интересов народа. Принципиально новое научное направление и системообразующая теория управленческого права, правовой системы истинно человеческого общества и социально-экономических наук в целом* (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», – 336 с.
5. Кураташвили Альфред А., 1997, *Сбалансированность прав и ответственности должностных лиц – политико-правовая теория эффективного функционирования общества* (монография на грузинском и русском языках). Тбилиси: “Мецниереба”, – 76 с.
6. Кураташвили Альфред А., 2003, *Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц. Принципиально новое научное направление – необходимая научная основа защиты интересов человека и социально-экономического прогресса* (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», – 256 с.
7. Кураташвили Альфред А., 2012, *Теория Преимуществ Социально Нацеленной Политической Системы перед Капитализмом. Социальные проблемы и государственное управление. Материалы Международной научной конференции* (14-15.11.2012). Тбилиси: Международное издательство “Прогресс”, с. 31-50.
8. Кураташвили Альфред А., 2014, *Теория Преимуществ Социально Нацеленной Политической Системы перед Капитализмом – как научное обоснование необходимости движения по кардинально новому пути. Ни капитализм, ни социализм, и не их конвергенция, а Истинно Человеческое Общество и Государство!!!* Международный научный журнал “Прогресс”, 2014, №3-4. Международная Академия социально-экономических наук. Тбилиси: Международное издательство “Прогресс”, с. 5-18.
9. Кураташвили Альфред А., 2003, *Права человека и теории экономического выживания народа. Экономический и морально-психологический геноцид: политико-правовые и социально-экономические пути и механизмы его искоренения* (монография на грузинском, русском и английском языках). Тбилиси: Международное издательство “Прогресс”, – 400 с.
10. Кураташвили Альфред А., 2014, *Азартные «игры» – как преступление против человечности: Международно-правовая проблема защиты прав и интересов человека (!!). Свобода Человека – не есть свобода дикаря в лесу, а, следовательно, свобода Человека должна регулироваться разумными, нравственными и справедливыми законами в интересах самого Человека – в интересах народа!!!* Международный научный журнал “Прогресс”, 2014, №5-6. Международная Академия социально-экономических наук. Тбилиси: Международное издательство “Прогресс”, с. 33-46.
11. Кураташвили Альфред А., 2016, *Предпринимательство с использованием сети – необходимое условие эффективного функционирования общества, но предпринимательская «деятельность» в виде азартных «игр» – криминальное деяние, и оно категорически недопустимо, ибо это преступление против человечности. Материалы XVII Международной научной конференции: „Предпринимательство, социальная организация в структурах сети. Опыт и перспективы развития в Центральной и Восточной Европе”* Наленчов (Польша), 23-25 мая 2016 года. Монография, состоящая из статей (докладов). Под научной редакцией Алины Бетлей, Славомира Партицкого, Магды Иоланты Пажишек. Люблинский католический университет Иоанна Павла II (Польша). Люблин: Издательство KUL, с. 186-192.
12. Кураташвили Альфред А., 2017, *Экономико-теоретические проблемы искоренения азартных «игр».* Международный Научно-практический журнал “Экономисти”, 2017, №1. Том XII. Института экономики имени П. Гугушвили Тбилисского государственного университета имени Ив. Джавахишвили. Издательство Института экономики имени П. Гугушвили ТГУ. Тбилиси, с. 70-87.
13. Кураташвили Альфред А., 2015. «Охота» на людей мошенническими методами со стороны коммерческих банков и других финансовых организаций – преступное деяние в завуалированной форме, направленное против народа, но ... (!!). (На грузинском языке). Государственное управление: Проблемы и перспективы. *Материалы Международной научной конференции* (15.11.2015). Тбилиси: Международное издательство “Прогресс”, с. 25-28.
14. Кураташвили Альфред А., 1998, *Теория истинно человеческого – классического (образцового) – общества.* Труды Грузинского технического университета, 1998, №3 (419). Тбилиси: “Технический университет”.

15. Кураташвили Альфред А., 1999, Социально-экономическая теория будущего – истинно человеческого общества. Известия Академии наук Грузии. Серия экономическая. Том 7, 1999, №1-2. Тбилиси: "Мецნიერება".

16. Кураташвили Альфред А., 1999, Альтернативное представление об ориентации общества и государства. Bulletin "Medicine, Science, Innovation and Business New" ("Новости медицины, науки, инновации и бизнеса – голос профессионалов и бизнесменов США, СНГ и других стран мира"). Volume 6, Number 10 (60), October, 1999, New York, USA.

Alfred Kuratashvili

WORLDVIEW AND POLITICAL-LEGAL FOUNDATIONS OF INNOVATIVE SOCIAL-ECONOMIC DEVELOPMENT OF THE SOCIETY AND THE STATE

Summary

In scientific work, the author's fundamentally new worldview and political-legal foundations of innovative, socially targeted social-economic development of society and the state are proposed.

Particular attention in scientific work is drawn to the fact that without economic development – there can not be social development, which is beyond doubt.

At the same time, special attention is paid to the fact that economic development – can not itself mean social development, and it can not automatically serve social development.

In particular, in scientific work it is noted that if, for example, an increase in the state budget is considered an indicator of economic development, this can not always be an indicator of social development in society and in the state, and, sometimes, even on the contrary (?!).

It is important to note here that although the increase in the state budget is undoubtedly an important indicator of economic development, but if the increase in the state budget is the result of the robbery of people – the result of the robbery of the people, for example, by allowing in the state of so-called gambling "games", by fraudulent acts of financial-credit organizations, etc., it seems that "economic development" is the result of a criminal act of state power that allows antisocial – obviously criminal – acts in society and in the state (?!).

In this connection, special attention is paid to the fact that the criminal acts noted are a manifestation of predatory capitalism.

Moreover, predatory capitalism manifests itself most extensively in conditions and as a result of the fertilization of pseudosocialism on the basis of wild capitalism, or, in other words, under conditions and as a result of the rebirth and fertilization of wild capitalism on the basis of pseudosocialism (?!).

Therefore, it is necessary to fight for the eradication of predatory capitalism in society and in the state, for the eradication of gambling so-called "games", for the eradication of fraudulent acts of financial-credit organizations, etc.

Special attention is also paid to the fact that instead of fighting against the marked criminal acts, narrow "economically" thinking individuals – including some representatives of the sphere of science – "justify" the criminal offenses mentioned in the criminal code with incomes obtained from the robbery and enslavement of the people (?!).

Proceeding from the above, for the true socio-economic development, for the subordination of economic development to the social goal, the author considers it necessary that the innovative socially oriented complex social-economic development of society and the state be based on fundamentally new worldview and political-legal bases.

As the bases of social-economic development of a society and the state, in scientific work – Philosophy of the social goal, the Theory of supremacy of interests of the people and the Theory of balance of the rights and responsibility of officials created by the author are offered.

ელგუჯა მექვაბიშვილი

ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების პრობლემა კრიზისების თეორიის კუთხით

მსოფლიო ეკონომიკამ პოსტინდუსტრიულ ეპოქაში უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ცვლილებები განიცადა. ეკონომიკის გლობალიზაციის გავლენით ეს პროცესი ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს და ბევრ პრობლემას წარმოშობს.

განხორციელებული და მიმდინარე სტრუქტურული ძვრების არსის გასაგებად, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პრობლემისადმი სწორ მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელშიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვგულისხმობთ პირველი თერმოდინამიკური კანონის გამოყენებას. იგი გვეუბნება, რომ ნებისმიერი სისტემის შემადგენელი ელემენტები განსხვავებული სიჩქარით იცვლება (ვითარდება), „სიჩქარის“ ცნებას ანალიზში განსაკუთრებული აზრობრივი დატვირთვა გააჩნია. თუკი ელემენტთა ცვლილების სიჩქარეთა შორის დიდ განსხვავებას არ აქვს ადგილი, ეს ნორმალურია და საფრთხეს არ უქმნის სისტემის მდგრადობას. პრობლემები წარმოიშობა სიჩქარეთა

მკვეთრი განსხვავების შემთხვევაში, რომელსაც სისტემა არამდგრადობის ანუ ტურბულენტობის მდგომარეობაში შეჰყავს.

ბოლო ათწლეულების მანძილზე მსოფლიო ეკონომიკა სწორედ ასეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომელიც გამოწვეულია ეკონომიკის რეალური და ფინანსური სექტორების ცვლილების სინქარეთა შორის მკვეთრი განსხვავებით, ეკონომიკის საყოველთაო ფინანსიზაციით, ფინანსური ეკონომიკის მოწვევით რეალური („ფიზიკური“) ეკონომიკისგან, მისი ჰიპერტროფირებული ზრდით რეალური წარმოების შევიწროებისა და გამოდგენის ხარჯზე. აღნიშნული პროცესის დამადასტურებელი უამრავი ციფრობრივი და ფაქტობრივი მასალა არსებობს [1: 9-34], რომელთაგან ჩვენ მხოლოდ ერთზე გავამახვილებთ ყურადღებას: ბოლო პერიოდების მანძილზე სისტემურად მცირდება ეკონომიკის რეალურ სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების ხვედრითი წილი. კერძოდ, 1959 წელს იგი შეადგენდა 60%-ს, 1972 წელს 55%-ს, 1987 წელს 52%-ს, 1995 წელს 48%-ს, 2000 წელს 41%-ს, 2008 წელს კი 35%-ს [1: 17].

არსებითი სტრუქტურული ძვრები ხორციელდებოდა საკუთრივ ფინანსურ სექტორში, რაზედაც ნათელ წარმოდგენას იძლევა გლობალური ლიკვიდურობის თანამედროვე სტრუქტურა. ფულადი მასა (ანუ ლიკვიდურობის ბაზა) შეადგენს მსოფლიო მშპ-ს 9%-ს და მსოფლიო ლიკვიდურობის 1%-ს; ე.წ. „ფართო ფული“ – 122%-ს და 10%-ს; სეკურიტიზებული ვალი - 138%-ს და 11%-ს; დერივატივები - 964%-ს და 78%-ს (!) [2: 9]

ამრიგად, გლობალიზაციის ეპოქაში მომსახურების სფეროს, მის შიგნით განსაკუთრებით ფინანსური მომსახურების, მოცალეობის (გასართობი) ინდუსტრიის სწრაფი ტემპით განვითარება აშშ-ში და განვითარებული საბაზრო ეკონომიკის სხვა ქვეყნებში წარმოადგენდა ეკონომიკური ზრდის წარმმართველ ძალას.

ვფიქრობთ, რომ ეკონომიკური სისტემის ასეთი ტრანსფორმაცია არ შეიძლება პროგრესულ მოვლენად ჩაითვალოს, სულ მცირე ორი გარემოების გამო. პირველი, წრეგადასული ფინანსიზაცია იწვევდა იმას, რომ ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში წარმოების სფეროში არ დაფიქსირებულა რაიმე ინოვაციური გარდევვა, რომელიც მოახდენდა რადიკალური ტექნოლოგიური ცვლილებების ინიცირებას. სწორედ ეს მიგვაჩინა ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელების მთავარ მიზეზად. პოსტინდუსტრიულ ეპოქაში ადგილი ჰქონდა ინდუსტრიული წარმოების ფრაგმენტაციას, რაც, ვფიქრობთ, ასევე გახდა შრომის მწარმოებლურობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპის დაქვეითების საფუძველი. მეორე, ფინანსურ სექტორში მხოლოდ ფიქტიური (ვირტუალური) სიმდიდრე წარმოიქმნება, რომელიც „ყალბი სოციალური ღირებულების“ უკიდურესად თავისებური ფორმაა. როგორც ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი და პოლიტიკოსი ლ. ლარუში აღნიშნავს: ფინანსური სექტორი „არაფერს იძლევა წმინდა პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ზრდის თვალსაზრისით, თუმცა მისი მოგება ოფიციალურად მაინც შეაქვთ „ეროვნული შემოსავლის ზრდის საერთო ყულაბაში“ [3: 87]. კრიზისის დროს ასეთი ფიქტიური ღირებულება სწრაფად ქრება და უამრავ პრობლემას წარმოშობს. ასე მოხდა 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად, რომელმაც მსოფლიო ბაზრის კაპიტალიზაცია 30 ტრლიონი აშშ დოლარით, ანუ თითქმის ორჯერ შეამცირა [4: 122].

კრიზისების როლი კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის მთავარი და დისპროპორციის აღმოფხვრაში უმნიშვნელოვანესია. „ფინანსური სექტორის დაშორება რეალური სექტორისგან, რომელშიაც ადამიანთა ცხოვრებისა და კვლავწარმოებისთვის აუცილებელი საქონელი და მომსახურება იქმნება, ისეთი დიდია, რომ ამ დაშორების შემცირება შეიძლება იყოს მხოლოდ კრიზისული, შოკური. რასაც პოლიტიკა ვერ აკეთებს apriori, კრიზისმა უნდა გააკეთოს aposteriori“ [5: 59].

კრიზისების მიმართ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად არსებობს ცალმხრივი და გამარტივებული შეხედულება, რომელიც ორი მიმართულებით გამოიხატება: პირველი, საზოგადოებრივი განვითარება განიხილება სწორსაზოგადო, თანაბარზომიერი პროცესის სახით. რეგულარულად მიმდინარე ციკლური რყევები და კრიზისები აღიქმება როგორც „ნორმიდან“ გადახვევა, სტაბილური განვითარების ქვეშ კი იგულისხმება უკრიზისო ცვლილებები. მეორე, კრიზისის ფენომენი ხასიათდება მხოლოდ უარყოფითი კონტექსტით და ნგრევის (მოსპობი) სინონიმად მიიჩნევა.

კრიზისებისადმი პრინციპულად განსხვავებული მიდგომები გააჩნიათ ცნობილ ეკონომისტებს ი.შუმპეტერს და ა.ბოგდანოვს. შუმპეტერმა სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა „შემოქმედებითი ნგრევის“ ცნება. იგი კრიზისებს საბაზრო ეკონომიკის დინამიკური განვითარების აუცილებელ პირობად მიიჩნევდა და ხატოვნად წერდა: „მუხრუჭებიანი ავტომობილი უფრო სწრაფად მოძრაობს, ვიდრე უმუხრუჭო“ [6: 385].

გასული საუკუნის 20-იან წლებში რუსმა ეკონომისტმა ა. ბოგდანოვმა შექმნა კრიზისების ორიგინალური და საინტერესო თეორია, რომელიც გვეუბნება, რომ კრიზისი ერთდროულად არის წონასწორობის დარღვევაც და ახალ წონასწორულ მდგომარეობაზე გადასვლაც [7: 253]. სიტყვა „კრიზის“ სემანტიკურად სწორედ აღნიშნულ ორ მხარეს აერთიანებს. ბერძნულ ტრანსკრიპციაში იგი ნიშნავს „გადაწყვეტის“ ან „შემობრუნების“ წერტილს, ლათინურში - „გაყოფას“, „გარდატეხას“, ხინურში - იგი ერთდროულად გულისხმობს „საფრთხეს“ და შესაძლებლობას“.

ამგვარად, კრიზისი განხილული უნდა იქნეს როგორც არა მხოლოდ დამანგრეველი, არამედ შემქნელი (შემოქმედი) ძალა და ამ თვალსაზრისით იგი განსხვავდება „კატასტროფისგან“, რომელიც „კრიზისის“ დესტრუქციული ელემენტია.

კრიზისი, ასევე, „შესაძლებლობების ფანჯარაა“, მოქვეყნებული, დროის გამოწვევების არაადეკვატური სისტემის ან მისი ცალკეული ელემენტების და საზოგადოებრივი განვითარების პარადიგმების შესაცვლელად. საზოგადოებრივი ინსტიტუტები თუკი თავს ვერ ართმევენ მათ წინაშე წარმოქმნილ პრობლემებს, წარმოიშობა მათი რეორგანიზაციის, მოდერნიზაციის ან ახალი ინსტიტუტებით ჩანაცვლების აუცილებლობა, რომლის რეალიზების მთავარ ინსტრუმენტს კრიზისი წარმოადგენს.

კრიზისის თეორიის მთავარი პოსტულატების გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისზე მისადაგებით, შეიძლება გაკეთდეს, რამდენიმე, ჩვენი აზრით, საჭურადლებო დასკვნა:

პირველი, გლობალური კრიზისი წარმოადგენს პოსტინდუსტრიულ ეპოქაში ეკონომიკურ სისტემაში განხორციელებული სიღრმისეული ცვლილებების კანონზომიერ შედეგს. ამ ცვლილებებში, პირველ რიგში, იგულისხმება ფინანსური სფეროს მოწვევა რეალური ეკონომიკიდან და მისი გადაქცევა ეკონომიკური ცხოვრების დემიურგად;

მეორე, გლობალური ფინანსური კრიზისი აღმოჩნდა სწორედ ის „შესაძლებლობების ფანჯარა“, რომელმაც წარმოქმნა პოსტკრიზისული ეკონომიკური განვითარების რამდენიმე ვარიანტი:

ა) ეკონომიკის „ზომბირების“ ანუ „ზომბიეკონომიკის“ წარმოშობის შესაძლებლობა. როგორც აკად. ვ. პაპავა აღნიშნავს, „ფინანსური კრიზისის დასრულების შემდეგ ეკონომიკა იღებს მის არასიცოცხლისუნარიან ნაწილს“ [8: 6]. აქედან გამომდინარე, „შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზომბიეკონომიკა ფინანსური კრიზისის მექანიზმებს წარმოადგენს“ [იქვე];

ბ) პოსტკრიზისულ პერიოდში იმ ღონისძიებათა გატარების შესაძლებლობა, რომლებიც ხელს შეუწყობდა ეკონომიკური სისტემის სტრუქტურის „ნორმალურ მდგომარეობაში“ დაბრუნებას;

გ) წინა პუნქტიდან გამომდინარე, იმის აუცილებლობა და შესაძლებლობა, რომ კომპანიების მხრიდან ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე მოთხოვნა მჭიდროდ „მიბმოდა“ მათი მხრიდან ტექნიკური გადაიარაღების უპირობო ვალდებულების აღებას. სწორედ ამ გზით იქნებოდა შესაძლებელი ზომბირების საფრთხის აღმოფხვრა, რის შესახებაც უკვე აღვნიშნეთ;

დ) განსაკუთრებით აღსანიშნავია გლობალური ფინანსური კრიზისის კავშირი საზოგადოებრივი სისტემის სხვა ელემენტების (პოლიტიკურ-სამხედრო, დემოგრაფიულ, სოციო-კულტურულ, ეკოლოგიურ და სხვ.) ძირეულ ცვლილებებთან. ამ თვალსაზრისით გამოვეყოფთ ეკონომიკური კრიზისისა და ტექნოლოგიური კრიზისის ურთიერთმიმართებას. უახლესი ისტორიიდან (1970-იანი წლებიდან) ცნობილია ფაქტი, რომ ენერგეტიკული კრიზისი ეკონომიკური კრიზისის დაწყების მიზეზი გახდა. ამჟამად ჩვენ საქმე გვაქვს სიტუაციასთან, როცა დღის წესრიგში დგას წარმოების ტექნოლოგიურ საფუძვლებში რევოლუციური ხასიათის ცვლილებების აუცილებლობის საკითხი, რომლის გათვალისწინებითაც ეკონომიკური სისტემის სტრუქტურული ცვლილებების პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეულია ტოტალური რეინდუსტრიალიზაცია. ეს უკანასკნელი გულისხმობს არა ძველი, მრეწველობის ტრადიციული დარგების აღდგენას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ინოვაციური ტიპის რესურსდამზოგავი, ენერჯიადამზოგავი, მეცნიერებათტევადი და ტექნოლოგიათტევადი წარმოებების განვითარებას.

ზემოაღნიშნულის კონტექსტში, საქართველოს ეკონომიკის წინაშე, ჩვენი აზრით, ამჟამად დგას ორის სტრატეგიული ამოცანა:

ა) ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების „გლობალურ ჯაჭვში“ ეფექტიანი ჩართვა;

ბ) დეინდუსტრიალიზებული პოსტკომუნისტური ეკონომიკური სისტემიდან რეინდუსტრიალიზებულ ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა. ეს არის „ორერთიანი ამოცანა“, რომლის წარმატებით გადაჭრა იქნება ჩვენი ქვეყნის ცივილიზებულ სამყაროში ღირსეული ინტეგრირების აუცილებელი პირობა და მყარი საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მექვაბიშვილი ე. გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტეკონომიური ანატომია. – „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2015, ტ. VIII, №2.
2. Смирнов А. Кредитный „пузырь“ и перелокация финансового рынка – „Вопросы Экономики“, 2008, №10.
3. გუნია ნ. ლა რუში ფიზიკური ეკონომიკის შესახებ - „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2009, №1.
4. Бузгалин А., Колганов А. Мировой экономический кризис и сценарий посткризисного развития - „Вопросы Экономики“, 2009. №11.
5. Колодко Гж. Неолиберализм и мировой экономический кризис - „Вопросы Экономики“, 2010. №3.

6. Sherer F. and Periman M. (eds.) Entrepreneurship, Technological Innovation and Economic Growth: Studies in the Shumpeter Tradition. The University of Michigan, 1992.

7. Богданов А. Тектология. Всеобщая организационная наука. М. Экономика, 1989.

8. პაპავა. ვ. ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები). საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტ.VIII, თბ.,2010.

Elguja Mekvabishvili

STRUCTURAL CHANGES IN ECONOMY IN TERMS OF CRISIS THEORY

Summary

The work describes the nature of world economy's structural changes in the epoch of globalization. The main focus is made on developing the financial sector at a very fast pace and turning it into the main driving force of economic growth. Characterized the contradictions that accompany this process and indicated that the mechanism for solving the resistance between the real and financial sectors of the modern economy is the economic crisis. It contains both - destructive and constructive elements and is a necessary condition for the recovery of the economic system.

ნუგზარ პაიჭაძე

შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯები როგორც სამუშაო ძალის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების ფაქტორი

ანოტაცია. ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია სამუშაო ძალის ბაზრის ფორმირებასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული გამოწვევების მეცნიერული შესწავლა. მოცემულ პრობლემაზე მრავალი მეცნიერული შრომაა გამოქვეყნებული როგორც უცხოელ, ასევე ქართველ ეკონომისტ-მეცნიერთა მიერ. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პრობლემის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯები როგორც სამუშაო ძალის ფორმირებისა და ფუნქციონირების ფაქტორი, შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი ქართველი მეკლავარ-ეკონომისტების მიერ. აღნიშნული ხარვეზის შემცირების ერთ-ერთი ცდაა წინამდებარე სტატია.

საკვანძო სიტყვები: სამუშაო ძალა; შრომის ბაზრის ფორმირება და ფუნქციონირება; დანახარჯები სამუშაო ძალის მოზიდვასა და მის პროფესიულ მომზადებაზე; დანახარჯები მომუშავეთა დახმარებებსა და შედავათებზე, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევაზე; დღესასწაულებთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან, მომუშავეთა ავადმყოფობასთან და სამუშაოს დაკარგვასთან დაკავშირებული დანახარჯები.

შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯები: არსი და სახეები

შრომაზე დანახარჯები რთული სტრუქტურისაა. იგი მოიცავს დანახარჯებს არა მარტო ხელფასზე, არამედ მომუშავეთა შერჩევასა და დაქირავებაზე, მათ სწავლებაზე, ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა სიკეთის (მაგალითად, კორპორატიული სამედიცინო და საპენსიო დაზღვევის) გაწევაზე და ა. შ. შრომაზე ამ სახის დანახარჯების სიდიდე დამოკიდებულია არა ნამუშევარი დროის მოცულობაზე, არამედ დაქირავებულ მომუშავეთა რიცხოვნობაზე. ეს უკანასკნელი ცნობილია სახელწოდებით – **”შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯები”**.

მოცემულ პრობლემაზე მომუშავე მეცნიერები [2, გვ. 151-153] შრომაზე კვაზიმუდმივ დანახარჯებს ყოფენ ორ კატეგორიად: პირველ კატეგორიაში შეჰყავთ დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი სამუშაო ძალის მოზიდვასა და მის პროფესიულ სწავლებასთან, ხოლო მეორე კატეგორიაში შეიტანება მომუშავეთა დახმარებებსა და შედავათებთან, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევასთან, დღესასწაულებთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან, შევებულებებთან, მომუშავეთა ავადმყოფობასა და სამუშაოს დაკარგვასთან დაკავშირებული დანახარჯები.

სამუშაო ძალის მოზიდვაზე დანახარჯებში შეიტანება ყველა დანახარჯი მასთან (სამუშაო ძალის მოზიდვასთან) დაკავშირებულ რეკლამაზე, მოზიდული კანდიდატებიდან სასურველი პერსონალის პროფესიულ შერჩევასა და შერჩეულ კანდიდატებთან შემდგომ მუშაობაზე. აღნიშნულ კატეგორიაში შეიტანება, აგრეთვე, შერჩეული კანდიდატების ორგანიზაციის მომუშავეებად გაფორმებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

ორგანიზაციაში ახლადმიღებული მომუშავენი, როგორც წესი, გადიან პროფესიული სწავლების კურსს და ეუფლებიან საერთოგაცნობით და სპეციალურ ცოდნას. ამ კურსებზე ითვისებენ ისეთ ახალ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, როგორცაა: მოწყობილობაზე მუშაობის ცოდნა. კერძოდ, როგორ უნდა იმოქმედო მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლისას, როგორ უნდა გააფორმო ესა თუ ის საკმისი დოკუმენტი და ა.შ. ფორმები თავის თავზე იღებს შრომაზე კვაზიმუდმივ დანახარჯებში შემაჯავალ პროფესიულ სწავლებაზე სულ მცირე შემდეგი სამი ტიპის დანახარჯს: 1) კად-

რების მომზადების უზრუნველყოფელი პერსონალის შენახვასთან, აგრეთვე, პროფესიული სწავლების პროცესში გამოყენებული სპეციალური მოწოდებლობისა და მასალების შექენასთან დაკავშირებული პირდაპირი ფულადი დანახარჯები; 2) გამოცდილი მუშაკების (ე. წ. დამრიგებლების) მიერ ახალმიღებულ მომუშავეთა სწავლების პროცესთან დაკავშირებული ირიბი დანახარჯები და 3) სწავლების პროცესში აღსაზრდელის მიერ შრომის მწარმოებლურობის დაცემასთან დაკავშირებული ირიბი დანახარჯები. იმის გამო, რომ ახალმიღებულ მომუშავეთა პროფესიულ სწავლებასთან დაკავშირებული დანახარჯების დიდი ნაწილი ირიბია, მისი გაანგარიშება რთულია.

ორგანიზაციათა ეფექტიანი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მომუშავეთა დაქირავებისა და მათი პროფესიული მომზადების სწორი სტრატეგიის არჩევას. ფირმები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებს მაღალკვალიფიციურ და, შესაბამისად, მაღალანაზღაურებად მომუშავეთა დაქირავების სტრატეგიას, თითოეულ ვაკანსიაზე ერთდროულად იწვევს მრავალ კანდიდატს, რაც, როგორც წესი, აფართოებს პროფესიულად ყველაზე უკეთ მომზადებულის და გამოცდილი მუშაკების არჩევის შესაძლებლობას. მართალია, ახალდაქირავებულ მაღალკვალიფიციურ და გამოცდილ მუშაკებს უხდებიან მაღალ ხელფასს, მაგრამ, სამაგიეროდ, ამით თავიდან იცილებენ ახალდაქირავებულთა პროფესიულ მომზადებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. ის ფირმები კი, რომლებშიც პრიორიტეტულია დაბალანაზღაურებად და, შესაბამისად, დაბალკვალიფიციურ და გამოცდილ მუშაკთა დაქირავების სტრატეგია, იძულებულია სოლიდური ხარჯები გაიღოს მათ პროფესიულ სწავლებაზე. ამასთან ერთად, არსებობს იმის საშიშროება, რომ დაბალ ანაზღაურებაზე ახალმიღებულმა და შემდგომ მიმდებ ფირმაში სწავლაგაველი მუშაკმა დატოვოს სამუშაო და წავიდეს იმ დამქირავებელთან, რომელიც მეტ ხელფასს სთავაზობს. ამდენად, ხშირად ფირმა ნაკლებანაზღაურებადი მუშაკის დაქირავებით, ეკონომიის მაგიერ ხარჯავს უფრო მეტს, ვიდრე ამას ადგილი ექნებოდა მაღალანაზღაურებად მუშაკთა დაქირავების სტრატეგიისას.

შრომაზე კვაზიმულმივი დანახარჯებში, როგორც უკვე აღინიშნა, შეიტანება მომუშავეებზე კანონმდებლობით და ფირმების მიერ დადგენილი სხვადასხვა დახმარებები და შედავათები. ასეთებია: ანარიცხები სოციალურ დაზღვევაზე, დახმარება სამუშაოს დაკარგვის ან შრომისუნარიანობის დროებით დაკარგვის გამო, ფირმის მიერ გაწეული ხარჯები სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით, ფირმის ფონდიდან ანაზღაურებული პენსიები, გაწეული დანახარჯები ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევაზე და სხვ.

შრომაზე კვაზიმულმივი დანახარჯების ბუნება და მასზე მოქმედი ფაქტორები

შრომაზე კვაზიმულმივი დანახარჯების ბუნების ერთ-ერთი მთავარი თავისებურება ისაა, რომ იგი ძირითადად გამოითვლება არა მომუშავეთა მიერ ნამუშევარი საათების და, შესაბამისად, მათზე დარიცხული ხელფასის სიდიდის, არამედ მათი (მომუშავეთა) რაოდენობიდან გამომდინარე. თუმცა, მისი ზოგიერთი სახის გაანგარიშების მეთოდოლოგია უშუალო კავშირშია გამომუშავებული ხელფასის სიდიდესთან. მაგალითად, შრომისუნარიანობის ან სამუშაოს დაკარგვასთან დაკავშირებული დახმარების ოდენობა გაიანგარიშება მოცემული კონკრეტული მომუშავეის ხელფასის სიდიდიდან გამომდინარე. იგივე შეიძლება ითქვას ორგანიზაციის სოციალურ ფონდში გადასარიცხი თანხის ოდენობის მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში სოციალური განვითარების ფონდში ფირმის მიერ გადასარიცხი თანხის ოდენობა ლიმიტირებულია. მაგალითად, აშშ-ში XX საუკუნის ბოლო წლებში საპენსიო და შრომისუნარიანობის დაკარგვასთან დაკავშირებულ ფონდში გადასარიცხებოდა ფირმის წლიური ხელფასის 6.2%, ხოლო ე. წ. უფასო სამედიცინო მომსახურების ფონდში – წლიური ხელფასის 1.45%. ლიმიტირებული იყო, აგრეთვე, ერთ მომუშავეზე გასაწევი დახმარების ოდენობა [2, გვ. 157].

ცხადია, შრომაზე კვაზიმულმივი დანახარჯების ბუნება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დამქირავებელთა მიერ მომუშავეთა დაქირავებისა და მათი სამუშაო რეჟიმის პოლიტიკის გატარებაზე. ამიტომ, იგი უნდა იყოს მოქნილი და მისაღები როგორც დამქირავებლების, ასევე მომუშავეთათვის.

როგორც ცნობილია, შრომაზე მოთხოვნის სიდიდე ყალიბდება მომუშავეთათვის კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო დღისა და სამუშაო კვირის ხანგრძლივობიდან გამომდინარე. ორგანიზაციას (ფირმას, საწარმოს), სხვა თანაბარ პირობებში, შეუძლია დაამზადოს პროდუქციის მოცემული რაოდენობა ან შეასრულოს მოცემული რაოდენობის სამუშაო მომუშავეთა რაოდენობისა და კვირაში მათ მიერ ნამუშევარი საათების რაოდენობის სხვადასხვა კომბინაციისას. სამუშაო კვირის ხანგრძლივობის გადიდებით მცირდება მოთხოვნა მომუშავეებზე. სამუშაო კვირის ხანგრძლივობის შემცირება კი იწვევს მომუშავეთა რიცხოვნობაზე მოთხოვნის გადიდებას [3, გვ. 9]. ყოველივე აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო დღის (კვირის) ოპტიმალური ხანგრძლივობის დადგენას. იგი უნდა ითვალისწინებდეს როგორც დამქირავებლების (საკმარისი მოგების მიღება), ასევე დასაქმებულების (ღირსეული ანაზღაურების მიღება და საკმარისი თავისუფალი დროის არსებობა) ინტერესებს. სამუშაო დღის (კვირის) ხანგრძლივობის დადგენილმა ნორმამ უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის სიკეთით თანაბრად სარგებლობის პირო-

ბების შექმნა როგორც დამქირავებლების, ასევე დაქირავებულების მხრიდან. საქმე ისაა, რომ თანამედროვე რობოტებისა და კომპიუტერების ეპოქაში პარალელურად თუ არ შემცირდება მომუშავეთა სამუშაო დღის (სამუშაო კვირის) ხანგრძლივობა და, შესაბამისად, არ გაიზრდება თავისუფალი დრო, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა კატასტროფულად შემცირდება და გაიზრდება უმუშევრობა.

ყოველივე ზემოაღნიშნული უშუალო კავშირშია შრომაზე კვაზიმუდმივ დანახარჯებთან. საქმე ისაა, რომ სამუშაო დღის (სამუშაო კვირის) ხანგრძლივობის გადიდებით დამქირავებელი აღწევს შრომაზე კვაზიმუდმივ დანახარჯების ეკონომიას, რამდენადაც აღნიშნული მოვლენა, როგორც უკვე აღინიშნა, იწვევს მომუშავეებზე მოთხოვნის რაოდენობის შემცირებას, რომლის მიხედვითაც გაიანგარიშება იგი. სამუშაო დღის (სამუშაო კვირის) შემცირებისას კი ადგილი აქვს საპირისპირო მოვლენას – იზრდება შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯები. აქედან გამომდინარე, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს მომუშავეთა რიცხოვნობასა და მათი სამუშაო დღის (სამუშაო კვირის) ხანგრძლივობას, შორის ისეთი თანაფარდობის სტრატეგიის შერჩევას, რომელიც მისაღები იქნება როგორც დამქირავებლების, ასევე მომუშავეთათვის.

მოცემულ პრობლემასთან უშუალო კავშირშია პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული ე. წ. ზეგანაკვეთური მუშაობა, რაც გულისხმობს კვირაში კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო საათების რაოდენობის გადიდებას. იგი საზოგადოებრივად უარყოფითი მოვლენაა, რომელიც, ერთი მხრივ, ზრდის უმუშევრობის დონეს, რაც განსაკუთრებით არასასურველია სამუშაო ადგილების დევიციტის მქონე ისეთ ქვეყნებში, როგორც საქართველოა, მეორე მხრივ, აქვეითებს მომუშავეთა შრომისუნარიანობას და ამცირებს ადამიანის თავისუფალ დროს და, შესაბამისად, აფერხებს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და პიროვნების თვითგანვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ზეგანაკვეთურად ნამუშევარ თითოეულ საათში დამქირავებელი მომუშავეს უხდის გადიდებული ტარიფით, დამქირავებლები ხშირად მიმართავენ ზეგანაკვეთური მუშაობის პრაქტიკას. ამის მთავარი მიზეზი სწორედ შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯებია, რამდენადაც, როგორც უკვე აღინიშნა, როცა იზრდება ფირმაში ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის წილი, მცირდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე და, შესაბამისად, შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯები, რადგან იგი გაიანგარიშება მომუშავეთა რიცხოვნობიდან და არა ნამუშევარი დროის ხანგრძლივობიდან გამომდინარე. ზეგანაკვეთური მუშაობის შესამცირებლად მიმართავენ სხვადასხვა ღონისძიებებს [3, გვ. 9], რომლებიც ძირითადად გამიზნულია სამუშაო ადგილების გაზრდაზე. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნულმა მოვლენამ შეიძლება გამოიწვიოს შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯების მეტისმეტი გადიდება და ამან აიძულოს დამქირავებლები, გადავიდნენ განვითარების კაპიტალიზმის სფეროში წესზე, რითაც, საბოლოო ანგარიშით, შემცირდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე. ამიტომ, ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების შემცირების ღონისძიებათა დასახვისას საჭიროა სიფხიზლის გამოჩენა. იგი უნდა იყოს არც ისე მაღალი, რომ დამქირავებლები არ აიძულოს წარმოების განვითარება განახორციელონ მხოლოდ კაპიტალის ზრდის საშუალებით და არც ისე დაბალი, რომ მან წაახალისოს ზეგანაკვეთური მუშაობის წილის გადიდება მთლიანად ნამუშევარ დროში. ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს დამქირავებელთა დაინტერესება – უპირატესობა მიანიჭონ ახალ მომუშავეთა დაქირავებას და არა ზეგანაკვეთურ მუშაობას. ეს კი ხელს შეუწყობს ქვეყანაში დასაქმების დონის ამაღლებას და, შესაბამისად, უმუშევრობის დონის შემცირებას.

შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯების სიდიდეზე გავლენას ახდენს, აგრეთვე, სრული და არასრული სამუშაო დღით (სამუშაო კვირით) დასაქმებულთა რაოდენობას შორის არსებული თანაფარდობა. თავისთავად, არასრული სამუშაო დღით (სამუშაო კვირით) დასაქმების ფორმა პროგრესულია. იგი ქვეყანაში დასაქმებას ზრდის და, შესაბამისად, უმუშევრობის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა, რამდენადაც მოსახლეობის იმ ნაწილის (დიახალისეების, მცირეწლოვანი ბავშვების დედების, მუშაობის მსურველი ხანდაზმულების და ა. შ.) შრომაში ჩაბმის საშუალებას იძლევა, რომელთაც, ოჯახური და სხვა პირობების გამო, არ შეუძლიათ დასაქმდნენ სრული სამუშაო დღით (სამუშაო კვირით). ცხადია, მოსახლეობის დასაქმების მოცემულ სფეროშიაც ორგანიზაციას (ფირმას, საწარმოს და ა. შ.) უნდა გააჩნდეს საკუთარი სტრატეგია. იმ შემთხვევაში, თუ არასრული სამუშაო დღით (სამუშაო კვირით) მომუშავეებზე გავრცელებულია სოციალური დაცვის სრული პაკეტი ან მათი ხელფასები არ იქნება უფრო ნაკლები, ვიდრე სრულად დასაქმებულებისა, როგორც მოცემულ პრობლემაზე მომუშავე ცნობილი მეცნიერები სამართლიანად აღნიშნავენ, მოხდება შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯების მეტისმეტად გაზრდა. ეს კი გამოიწვევს ამ ფორმით დასაქმებულთა რაოდენობის მკვეთრ შემცირებას, ვინაიდან დამქირავებლები პერსონალის დაქირავებისას იძულებული იქნებიან, უპირატესობა მიანიჭონ სრული სამუშაო დღით (სამუშაო კვირით) მომუშავეთა სამუშაოზე მიღებას [2, გვ. 167-168].

სამუშაოზე ახალმიღებულთა დაქირავებასა და სწავლებასთან დაკავშირებული შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯები როგორც უკვე აღინიშნა, შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯების

მნიშვნელოვანი ნაწილია ფირმის დანახარჯები სამუშაოზე ახალმიღებულთა დაქირავებასა და სწავლებაზე. ფირმას, ოპტიმალური დასაქმების დონის ძიებისას, შეუძლია მიიღოს ახალ მომუშავეთა დაქირავებასა და სწავლებაზე სახსრების დაბანდების სხვადასხვა გადაწყვეტილება. ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორი ვარიანტი იქნება მისთვის მისაღები? დავეშვათ, ფირმა სამუშაოზე ახალმიღებულთა დაქირავებასა და სწავლებაზე სწევს დანახარჯებს მხოლოდ საწყის პერიოდში (პერიოდი 1) და ერთ მომუშავეზე იგი x -ის ტოლია. დავეშვათ, აგრეთვე, რომ სამუშაოზე ახალმიღებულთა მიერ პროფესიული სწავლებისას მათი შრომისმწარმოებლურობა კლებულობს და თითოეულზე რეალური ზღვრული პროდუქტი მცირდება z -დან z_1 -მდე. მოცემულ შემთხვევაში სხვაობა ($z-z_1$) არის ერთი მომუშავეის სწავლებაზე ე. წ. “უხილაგი“ დანახარჯები. ვთქვათ, შემდგომ პერიოდში (პერიოდი 2) ფირმაში სწავლებაგაველილი მომუშავე აღწევს უფრო მაღალმწარმოებლურობას და ერთი მომუშავეის ზღვრული პროდუქტი იზრდება z_2 -მდე. დავეშვათ, ახალმიღებულ თითოეულ მომუშავეთა ხელფასი საწყის და მომდევნო პერიოდებში არის, შესაბამისად, k_1 და k_2 . ზემოხსენებულ შემთხვევაში დასაქმების ოპტიმალური დონის განსაზღვრისას, ცხადია, ფირმამ უნდა გაითვალისწინოს დანახარჯები კადრების დაქირავებასა და მომზადებაზე და შრომის ზღვრული პროდუქტები თითოეულ პერიოდში. მოცემულ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე, დაგროვილი კაპიტალიდან სარგებლის მიღების დროით გაუფასურების ფაქტორი, რომლის მიხედვითაც მომავალ პერიოდში გაწეული ხარჯები ნაკლებ დამამძიმებელია, ვიდრე მოცემულ პერიოდში გაწეულისა. ამის ძირითადი მიზეზია სესხად გაცემულ ფულად სახსრებზე საპროცენტო განაკვეთების არსებობა. საქმე ისაა, რომ ფირმის მიერ გამომუშავებული თითოეული დოლარი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კრედიტის სახით და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ფირმამ მიიღოს გარკვეული ფულადი შემოსავალი. აქედან გამომდინარე, ფირმა მომუშავეთა დაქირავების სხვადასხვა ვარიანტებიდან, სხვა თანაბარ პირობებში, უპირატესობას მიანიჭებს იმ ვარიანტს, რომელიც საშუალებას იძლევა რაც შეიძლება სწრაფად გაიზარდოს წარმოებული პროდუქცია, რომლის გაყიდვის შედეგად შემოვა დამატებითი ფინანსური სახსრები, რომელთა ინვესტირების შედეგად მიიღება გარკვეული შემოსავალი. ამიტომაც, რომ ნებისმიერი გადასახადის გადავადება, თუ ეს შესაძლებელია რაიმე სადამსჯელო ღონისძიების (ჯარიმა, საურავი და სხვ.) გარეშე, ფირმისთვის ხელსაყრელია, რამდენადაც მას შეუძლია ეს თანხა გაუშვას ბრუნვაში და მისგან მიიღოს შემოსავალი პროცენტის სახით.

ზოგადად, განსაკუთრებით კი ინდუსტრიულად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიღოს სამუშაოზე ახალმიღებულთა პროფესიულ სწავლებაზე. გამოყოფენ მის ორ ტიპს. გ. ბეკერის [2. გვ. 175] აზრით, სამუშაოზე ახალმიღებულთა პროფესიული სწავლების ტიპებია: ზოგადი და სპეციალური. ზოგადი სწავლებისას, მაგალითად, მდივნების მომზადება ან კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევების ათვისება, ახალმიღებულ მომუშავეთა მომზადება ხდება საქმიანობის ისეთ სახეებში, რომლებიც არაა სპეციფიკური მოცემული ფირმისათვის. სპეციფიკური სწავლებისას კი, სამუშაოზე ახალმიღებულთა პროფესიული მომზადება ხდება მოცემული კონკრეტული ფირმისათვის დამახასიათებელი საქმიანობის კონკრეტულ სახეებში. სწორედ ესაა პროფესიული სწავლების თითოეული ამ ფორმის გავლის შემდეგ სხვადასხვა მომუშავეთა მომავალ ქცევაში განსხვავების მიზეზი. კერძოდ, როცა ფირმა ახორციელებს სამუშაოზე ახალმიღებულთა სწავლების ზოგად კურსს და სწევს შესაბამის ხარჯებს, იზრდება მათი (სამუშაოზე ახალმიღებულთა) მწარმოებლურობა და იმატებს ხელფასი, მაგრამ არა იმ დოზით როგორც იზრდება გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, რამდენადაც ფირმა, მომუშავეთათვის ხელფასის დადგენისას, ითვალისწინებს მათ ზოგად მომზადებაზე გაწეულ ხარჯებს, ანუ უნიშნავს უფრო ნაკლებს, ვიდრე მათი, როგორც სამუშაო ძალის, საბაზრო ღირებულებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ მომუშავეს შეუძლია წავიდეს სხვა ფირმაში, რომელსაც მის სწავლებაზე არ გაუწევია დანახარჯი და მიიღოს უფრო მაღალი ხელფასი. ყოველივე ამის გამო ფირმა ხშირად იძულებულია, ზოგადსწავლებაგაველილ მომუშავეთათვის ხელფასის სიდიდის დადგენისას არ გაითვალისწინოს მათ სწავლებაზე გაწეული დანახარჯები. რაც შეეხება სპეციალურ სწავლებას, აქ განსხვავებულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე. მოცემულ შემთხვევაში, რამდენადაც სწავლება მიბმულია კონკრეტული ფირმის სპეციფიკასთან, ნაკლები ალბათობაა ამ ტიპის სწავლებაგაველილებმა შემდგომ დატოვონ ფირმა, სხვა ფირმაში უფრო მაღალი ხელფასის მიღების მიზნით. თუმცა, აღნიშნული არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ სპეციალური სწავლების გავლის შედეგად მომუშავეთა შრომისმწარმოებლურობის ზრდას არ უნდა ახლდეს გონივრულ ფარგლებში მათი ხელფასის ზრდაც, ანუ სამუშაოზე ახალმიღებულთა სპეციალურმა სწავლებამ დადებითი ეფექტი უნდა მოუტანოს როგორც დამქირავებლებს, ასევე მომუშავეებსაც. ამის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მომუშავეთა სპეციალური სწავლებიდან მიღებული ეფექტის სტიმულირება (ფულად გამოხატულებაში) გონივრულად გადანაწილდება დამქირავებლებსა და მომუშავეებს შორის. ამით მიიღწევა იმ დანახარჯის ამოღებაც, რომელიც ფირმამ გასწია სამუშაოდ ახალმიღებულთა სწავლებაზე.

არის შემთხვევები, როცა სპეციალურ სწავლებაზე დანახარჯებს არა დამჭირავებელი, არამედ მომუშავე ანაზღაურებს. ამ შემთხვევაში მომუშავენი ხშირად შიშში არიან – არ გაათავისუფლონ, რამდენადაც ფირმა მათი წასვლით დიდად არ ზარალდება, რადგან მათ სწავლებაზე ხარჯი არ გაუწევია. მათი სამუშაოდან გაათავისუფლების ნაკლები ალბათობა იქნება მხოლოდ მაშინ, თუ მათ დამჭირავებლებისათვის დამატებით მოაქვთ მნიშვნელოვანი ნამეტი პროდუქცია. პრაქტიკით დასტურდება, რომ ყველაზე უფრო ხელსაყრელია, როცა საწყის პერიოდში სწავლებაზე დანახარჯების სიდიდე გადანაწილებულია დამჭირავებლებსა და მომუშავეებს შორის. ამ შემთხვევაში ყველაზე უკეთ მიიღწევა მათ შორის ხანგრძლივი თანამშრომლობა, რაც ორივე მხარის ინტერესშია.

შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია ორგანიზაციებში ახალ მომუშავეთა შერჩევასა და დაქირავებასთან. ორგანიზაციები, როგორც წესი, დაინტერესებულია მომუშავეთა შერჩევასა და დაქირავებასთან დაკავშირებული ხარჯები იყოს რაც შეიძლება მცირე. სხვა თანაბარ პირობებში, ისინი უპირატესობას ანიჭებენ ისეთ სამუშაო ძალას, რომლის პროფესიული მომზადებისთვის ნაკლები დანახარჯებია საჭირო. აქედან გამომდინარე, დაქირავებისას უპირატესობა ენიჭება კანდიდატებს, რომლებშიც შეამჩნევენ სწავლების უფრო სწრაფად ათვისების უნარს. ამ მიზნით, კანდიდატთა შერჩევისას ხშირად მიმართავენ ამ უკანასკნელთა ანკეტური მონაცემების გამოყენებას, ტესტირებას, მათთან გასაუბრებას და ა. შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანკეტურ მონაცემთა საფუძველზე ახალ მომუშავეთა შერჩევის მთავარი ნაკლი ისაა, რომ იგი საკმაოდ სუსტ კავშირშია შესარჩევ კანდიდატთა რეალურ შესაძლებლობებთან – შესარულონ კონკრეტული სამუშაო მოცემულ კონკრეტულ პირობებში. ამასთან ერთად, ინდივიდუალური თვისებები, როგორცაა მუშაობაში დაინტერესებულობა, პატიოსნება, გულადობა და სხვ., საკმაოდ რთულია გამოავლინო მხოლოდ ანკეტური მონაცემების საფუძველზე. ამიტომ, ამ სიძნელის თავიდან აცილების მიზნით, უმჯობესია ორგანიზაციამ აირჩიოს ისეთი სტრატეგია, რომლის შესაბამისად კანდიდატს ჯერ იღებენ ნაკლებ კვალიფიციურ სამუშაოზე ე. წ. გამოცდელი ვადით, რომ შემოსხენებული თვისებებიდან და მათი მუშაობიდან გამომდინარე შეაფასონ მათი შესაძლებლობა – შესარულონ უფრო რთული და საპასუხისმგებლო სამუშაო. ყოველივე ამას მივყავართ შრომის შიგა ბაზრის წარმომადგენელს. ამ უკანასკნელის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაში ფირმას მეტი საშუალება აქვს, უფრო სრულყოფილი წარმოდგენა ჰქონდეს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დასანიშნი პრეტენდენტის ისეთ თვისებებზე, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოცემული ფირმისათვის დამახასიათებელი მაღალკვალიფიციური სამუშაოების შესასრულებლად. აღნიშნულ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის იმ დარგებში, მაგალითად, მეტალურგიასა და ნავთობქიმიურ მრეწველობაში, რომლებიც გამოირჩევიან ავტომატიზაციის შედარებით მაღალი დონით და ტექნოლოგიური პროცესების სირთულითა და ურთიერთდამოკიდებულებით.

იმის გამო, რომ ფირმები დაინტერესებულია იმ პირთა მოხიდეით, რომელთა პროფესიული მომზადება უფრო ადვილია და, შესაბამისად, იაფი, შრომის შიგა ბაზარი უფრო მიმზიდველია შემდეგ გარემოებათა გამო: 1) მოცემულ შემთხვევაში ფირმას მომუშავეთა გაცნობა და მათი სწავლისადმი უნარის შეფასება შეუძლია უშუალოდ მათი მუშაობის პროცესში; 2) ფირმა თავისუფლდება სამუშაოზე ახალმიღებულთა ფირმასთან ადაპტაციაზე გასაწევი ხარჯისაგან და სხვ.

მომუშავეთა სამუშაოზე მიღებისას, შრომაზე კვაზიმუდმივ დანახარჯებთან დაკავშირებული დისკრიმინაციის ზოგიერთი სახის შესახებ

აღსანიშნავია რომ, მომუშავეთა სამუშაოზე მიღებისას, არც ისე იშვიათად, ადგილი აქვს შრომაზე კვაზიმუდმივ დანახარჯებთან დაკავშირებულ დისკრიმინაციის ზოგიერთ სახეს. მაგალითად, როგორც პრაქტიკიდანაა ცნობილი, ხშირად სამუშაოზე დაქირავებისას, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებენ პირებს 25-55 წლის ასაკში. ეს კი ძირითადად გამოწვეულია დამჭირავებელთა სურვილით – თავიდან აიცილონ ან შეამცირონ სამუშაოზე ახალმიღებულთა დაქირავებასა და სწავლებასთან დაკავშირებული შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯები. როცა ფირმა ახალმიღებულ მომუშავეთა დაქირავებასა და სწავლებაზე სწევს გარკვეულ დანახარჯებს, სხვა თანაბარ პირობებში, იგი სამუშაოზე მიღებისას უპირატესობას აძლევს მათ, რომლებიც უფრო ნაკლები ასაკისაა და გამოთქვამენ სურვილს – ხანგრძლივად იმუშაონ მოცემულ ფირმაში, რაც ქმნის მომუშავეთა დაქირავებასა და სწავლებაზე გაწეული დანახარჯების ამოღების უფრო ხელსაყრელ პირობებს და უზრუნველყოფს ფირმის ეფექტიან და სტაბილურ მუშაობას. რაც შეეხება 55 წელს გადაცილებულებს, მეტი ალბათობაა, რომ ისინი მალე გავლენ პენსიაში და, ცხადია, მათი სამუშაოზე მიღებისგან დამჭირავებლები თავს იკავებენ. იმ შემთხვევაში კი, თუ ფირმას არ გაუწევია ხარჯი ახალმიღებულ მომუშავეთა დაქირავებასა და სწავლებაზე, მაშინ მათი ფირმაში მომავალი მუშაობის ხანგრძლივობას ნაკლები ყურადღება ექცევა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხანდაზმულები, მუშაობის სურვილის შემთხვევაში, იძულებული არიან,

თვით გაიღონ სწალებასთან დაკავშირებული ხარჯები ან დათანხმდნენ უფრო ნაკლებ ხელფასზე, ვიდრე ახალგაზრდებს აქვთ ანალოგიურ სამუშაოზე (თანამდებობაზე).

ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ქალების სამუშაოზე მიღებისას იმ ორგანიზაციებში, რომლებიც მნიშვნელოვან სახსრებს ხარჯავენ მომუშავეთა დაქირავებასა და მათ მომზადებაზე. როგორც პრაქტიკიდანაა ცნობილი, ქალები ხშირად წყვეტენ შრომით საქმიანობას გათხოვებისა და მშობიარობის პერიოდში. მართალია, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ბრუნდება შრომით საქმიანობაში, მაგრამ ეს ხდება არც ისე ხანმოკლე დროის გასვლის შემდეგ. ძირითადად ამ მიზეზითაა გამოწვეული, რომ, როგორც წესი, ერთ ორგანიზაციაში უწყვეტი მუშაობის ხანგრძლივობა მამაკაცებში უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში. ყოველივე ეს აქვეითებს დაქირავებულთა სურვილს – დააბნდონ სახსრები ქალების დაქირავებასა და მომზადებაზე, განსაკუთრებით ისეთ სამუშაოებზე, სადაც მეტი მოთხოვნილებაა მაღალკვალიფიციურ მომუშავეებზე. მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე. წ. სტატისტიკურ დისკრიმინაციასთან, რამდენადაც პიროვნებების (ამ შემთხვევაში ქალების) შრომაში ჩაბმის მიზანშეწონილობა ფასდება მოცემული ჯგუფისათვის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. ცხადია, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს უსამართლობასთან, თუნდაც იმ ქალების მიმართ, რომლებიც არ გეგმავენ შრომით სტაჟის გაწვევას. ამას კიდევ უფრო ამძაფრებს შესაბამისი კვლევების მიერ გამოვლენილი ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, ბოლო წლებში მამაკაცებისა და ქალების ერთ საწარმოში მუშაობის უწყვეტი სტაჟის ხანგრძლივობა ერთმანეთს უახლოვდება, ანუ მოცემულ ასაკობრივ პერიოდში მამაკაცებთან შედარებით ქალების სამუშაოდან ნებაყოფლობით წასვლის მეტი სისშირე არ ფიქსირდება [2, გვ. 188].

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია, შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯების არსისა და ბუნების დრმა შესწავლის საფუძველზე შემუშავდეს მისი ფორმირებისა და გამოყენების ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მოცემული დანახარჯებიდან მაქსიმალური ეფექტის მიღებას. სამწუხაროდ, საქართველოში ფუნქციონირებდა ორგანიზაციებში (საწარმოებში, ფირმებში და ა. შ.) შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯების ბუნების, თავისებურებებსა და მის სიდიდეზე მოქმედი ფაქტორების შესწავლას სათანადო ყურადღება არ ექცევა როგორც ეკონომისტ-მკვლევარების, ასევე წარმოების ხელმძღვანელი მუშაკების მხრიდან. თითქმის არც ერთ ორგანიზაციაში არ ხდება განვლილ პერიოდში შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯების რეალური მდგომარეობის სირღმისეული ანალიზი, ხელმძღვანელებს არასაკმარისი წარმოდგენა აქვთ მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯების სიდიდესა და სტრუქტურაზე. ეს კი შეუძლებელს ხდის მათ შეიმუშაონ მისი (შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯების) ფორმირებისა და გამოყენების ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მოცემული დანახარჯებიდან მაქსიმალური ეფექტის მიღებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ქართველმა ეკონომისტ-მეცნიერებმა სათანადო ყურადღება დაუთმონ შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯების ბუნების, მისი თავისებურებებისა და მის სიდიდეზე მოქმედი ფაქტორების მეცნიერულ შესწავლას. ამასთან ერთად, აუცილებელია ორგანიზაციათა მართვის შესაბამისი მუშაკები აქტიურად დაკავდნენ შრომაზე კვაზიმუდმივი დანახარჯების სისტემატური ანალიზით და, მოცემულ პრობლემაზე მომუშავე მეცნიერებთან ერთად შეიმუშაონ მოცემული დანახარჯებიდან მაქსიმალური ეფექტის მიღების უზრუნველყოფელი მექანიზმი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Армстронг М. Практика управления человеческими ресурсами. Перевод с английского. 8-е издание. М., 2012, 846с.
2. Рональд Дж. Эренберг, Роберт С. Смит. Современная экономика труда. Перевод с английского. М., издательство Московского университета, 1996, 777с.
3. პაიჭაძე ნ. უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და მისი დაძლევის გზები, ჟურნ. "ეკონომიკა და ბიზნესი", 2016, №1, გვ. 9-27.
4. ტულუში მ. დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფოებრივი რეგულირებისათვის, ჟურნ. "ეკონომიკა და ბიზნესი", 2013, №2, გვ. 28-46.
5. ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ. შრომის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ჟურნ. "ეკონომიკა და ბიზნესი", 2012, №1, გვ. 77-96.
6. <http://bugabooks./book/304-yekopomika-truda-yekonomicheskaya-teoriya-yruda/23-6postoyannye-izderhki-i-spros-na-trud.html>
7. http://e-lib.biz/trudovyye-resursyi_761/postoyannye-izderjki-spros-19941.html
8. <http://www.megos.org.ua/navczannia/ru/mikro7.%20page4.html>

QUASI-FIXED COSTS ON WORK AS THE FACTOR OF MARKET FORMATION AND FUNCTIONING

Summary

This work is performed in relation to the issues of quasi-fixed costs influence on market formation and functioning of working forces. On the basis of critical analysis of scientific literature existed about the given problems, are considered such actual issues as: the essence and types of labor quasi-fixed costs; its nature and the factors determining its size; labor quasi-fixed costs in relation to newcomers' hiring and training and when hiring the newcomer workers, some types of discrimination concerning this costs. There are given the author's point of view over this topic.

At the end of the article, on the basis of scientific study of the issues concerning the labor quasi-fixed costs being in force at Georgian organizations and brief critical analysis of the organization's leading employee's activity about this problem, are made events providing to reduce the defects in given sphere.

ვლადიმერ პაიჩაძე

რეტროეკონომიკა და ბაკოტრეზა

ანოტაცია. სტატიაში განხილულია რეტროეკონომიკის, როგორც ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის თეორიის, პრობლემა. რეტროეკონომიკის მოვლენის დასაძლევად ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი. იმისათვის, რომ გამოირიცხოს რეტროეკონომიკის ნეკროეკონომიკად გარდაქმნის საფრთხე, სხვა თანაბარ პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვაკოტრეზის კანონმდებლობას, იმას თუ რამდენადაა ის ქმედითი.

საკვანძო სიტყვები: რეტროეკონომიკა, ნეკროეკონომიკა, ზომბიეკონომიკა, ვაკოტრეზა.

ნეკროეკონომიკა, ანუ „მკვდარი ეკონომიკა“, თავისი არსით არის მოძველებული ტექნოლოგიით წარმოებული პროდუქციის მიწოდება, რომელზედაც რეალურად მოთხოვნა არ არსებობს მისი დაბალი ხარისხის (ან სულაც უხარისხობის) ან/და წარმოების მაღალი დანახარჯების გამო, თუმცა ამ მოთხოვნას ხელოვნურად ქმნის სახელმწიფო. ეკონომიკის ეს მახინჯი ფენომენი გამოვლინდა პოსტკომუნისტურ ეკონომიკაში [Papava, 2002], რადგან მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში კონკურენციის გამორიცხვამ ეკონომიკის ბევრ დარგში (ძირითადად, გარდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა) ჩაკლა საწარმოთა ტექნოლოგიური ბაზის განახლების ეკონომიკური ინტერესი [Lipowski, 1998: 13-17].

იმის გამო, რომ კონკურენციის შეზღუდვა არის ნეკროეკონომიკის შექმნის წინაპირობა, ყველგან, სადაც ტექნოლოგიურად მოძველებული აღჭურვილობის მქონე საწარმოები მხოლოდ მთავრობის ხარჯზე ფუნქციონირებენ, შეიძლება ითქვას, რომ თავს იჩენს ნეკროეკონომიკის ფენომენი. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია გასული საუკუნის 80-იანი წლების ინდოეთი [OECD, 2007: 69-85]. ამრიგად, გამოდის, რომ ნეკროეკონომიკა გვხვდება არამარტო პოსტკომუნისტურ ქვეყნებში.

იმ ტიპის ეკონომიკას, სადაც ფუნქციონირებენ მსოფლიოს თანამედროვე მიღწევებთან შედარებით ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი ფირმები (ანუ რეტროფირმები), მაგრამ, ამის მიუხედავად, მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნა მაინც არსებობს, ვუწოდებთ *რეტროეკონომიკას* (ლათინური სიტყვა „რეტრო“ ნიშნავს უკან, წარსულისკენ მიპყრობილს). ეკონომიკის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის თეორიას რეტროეკონომიკისი ვუწოდოთ.

რა მსგავსება და რა განსხვავებაა ნეკროეკონომიკასა და რეტროეკონომიკას შორის? მსგავსება ისაა, რომ ორივე ტიპის ეკონომიკაში გამოიყენება მოძველებული ტექნოლოგიები; განსხვავება კი ისაა, რომ ნეკროეკონომიკის პირობებში ამ საწარმოებში იმდენად მოძველებული ტექნოლოგიები გამოიყენება, რომ მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე რეალურად არ არსებობს მოთხოვნა და, ამდენად, ეს საწარმოები ფუნქციონირებენ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს დახმარებით; რეტროეკონომიკის პირობებში კი ამ საწარმოების მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნა არის, რასაც განაპირობებს სახელმწიფოს ზომიერი მხარდაჭერა. სხვა სიტყვებით, ნეკროეკონომიკასაც და რეტროეკონომიკასაც სჭირდება სახელმწიფოს მხარდაჭერა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ხარჯზე არსებობს, ხოლო მეორეს სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის შიგა ბაზრის დაცვა ესაჭიროება საერთაშორისო კონკურენციისაგან.

რეტროეკონომიკის შექმნის ფაქტორებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ზომბიეკონომიკა, ანუ ფინანსური კრიზისის შედეგად გადახდისუნარიან ფირმების (და მათთან დაკავშირებული ბანკების) ერთობლიობა, რომლებიც განაგრძობენ ფუნქციონირებას სახელმწიფოს მიერ გაცემული სამთავრობო გარანტიის საფუძველზე აღებული საბანკო კრედიტებით [Ahearne, Shinada, 2005; Hoshi, 2006; LeLaulu, 2009]. ბუნებრივია, ზომბი-ფირმებს არ აქვთ ინტერესი, ტექნოლოგიურად განაახლონ წარმოება ან/და შეცვალონ მენეჯმენტი, რადგან სახელმწიფოს მხრიდან მათი მხარდაჭერის გამო ისინი ამ ტიპის ქმედებათა გარეშეც ახერხებენ საქმიანობის გაგრძელებას,

რასაც ადასტურებს იაპონიის გამოცდილება [Ahearne, Shinada, 2005; Hoshi, 2006]. გასაგებია, რომ ზომბიეკონომიკა ფაქტობრივად უშუალოდ ხელს უწყობს რეტროეკონომიკის შექმნას. ამავდროულად, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე ზომბიეკონომიკის გლობალიზაციის პრობლემამ [Harman, 2010; Onaran, 2012; Quiggin, 2010], თავის მხრივ, წარმოქმნა ნეკროეკონომიკის (იქ, სადაც ის იყო) ზომბირების საფრთხეც [Papava, 2010], რისი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითიც რუსეთის ეკონომიკაა [Lindsey, 2002: 210-212].

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ არასიცოცხლისუნარიანი ფირმების შენარჩუნებას აქტიურად უჭერს მხარს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ზეგავლენის მქონე სხვადასხვა ჯგუფი, ხოლო ჯერ არ შექმნილი ახალი დარგებისა თუ ფირმების ინტერესების გამომხატველი ჯგუფები, სწორედ იმის გამო, რომ ეს დარგები და ფირმები ჯერ არ შექმნილა, არ არსებობენ [Anderson, 2004: 199]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ არასიცოცხლისუნარიან ფირმებს პყავთ ლობისტური ჯგუფები, ჯერ არ შექმნილ ახალ დარგებსა თუ ფირმებს მსგავსი ლობისტები ვერ ეყოლებათ. ამ ვითარებაში, ჩვენი აზრით, ერთადერთი, ვინც პოტენციურად უნდა იყოს შესაქმნელი ახალი დარგებისა თუ ფირმების ლობისტი, არის სახელმწიფო.

ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზომბირებული რეტროფირმების მიმართ გაკოტრების პროცედურების ამოქმედებას. ცნობილია, რომ გაკოტრების უნივერსალური კანონმდებლობა არ არსებობს და მთავარი პრინციპი, რომელიც დამახასიათებელია გაკოტრების რეჟიმისთვის, არის ბალანსის შენარჩუნება, ერთი მხრივ, კრედიტორების ინტერესების დაცვასა და, მეორე მხრივ, სიცოცხლისუნარიანი ფირმების ვადაზე ადრე ლიკვიდაციის თავიდან აცილებას შორის [Stiglitz, 2001: 3]. ჩვენი აზრით, ეს პრინციპი სრულად ვერ ასახავს იმ სირთულეებს, რის წინაშეც დგას თანამედროვე ეკონომიკა, განსაკუთრებით, ეკონომიკურად ჩამორჩენილ, დარბ ქვეყნებში.

ფირმის სიცოცხლისუნარიანობის მეტ-ნაკლებად ობიექტურად შეფასება გართულებულია, რადგან ერთმანეთს უნდა შეედაროს მოქმედი საწარმოს ღირებულება და სალიკვიდაციო ღირებულება: თუ მოქმედი საწარმოს ღირებულება აღემატება სალიკვიდაციო ღირებულებას, მაშინ ეს საწარმო სიცოცხლისუნარიანია. სირთულე, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია მოქმედი საწარმოს ღირებულების განსაზღვრასთან, რადგანაც უნდა შეფასდეს საწარმოს მომავალი შემოსავლები და ხარჯები, რისი სათანადო სიზუსტით გაკეთებაც არ არის მარტივი ამოცანა. მის გადასაწყვეტად აუცილებელია ამ საწარმოს ბიზნესგეგმის და რეორგანიზაციის გეგმის შემუშავება. შესაბამისი ფირმების მესაკუთრეების განწყობის მიხედვით, ეს გეგმები უნდა იყოს ოპტიმისტური, კრედიტორების დამოკიდებულება კი ამ გეგმების მიმართ უფრო კრიტიკულია. სალიკვიდაციო ღირებულების განსაზღვრა შედარებით ადვილია, თუმცა ამ შემთხვევაშიც გადასაწყვეტია რამდენიმე რთული ამოცანა (უნდა შეფასდეს, თუ რა შემოსავლები იქნება მიღებული საწარმოს აქტივების გაყიდვიდან) [Anderson, 2004: 175-176]. შედეგად, ფირმის გაკოტრების ფორმის შესახებ გადაწყვეტილების მიღები, როგორც წესი, იხრება საწარმოს რეორგანიზაციის და არა ლიკვიდაციის სასარგებლოდ [White, 2001: 32]. თუ აქვე გავიხსენებთ ზემოაღნიშნულ გარემოებას, რომ არასიცოცხლისუნარიანი ფირმების შენარჩუნებას აქტიურად უჭერს მხარს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ზეგავლენის მქონე სხვადასხვა ჯგუფი, მაშინ ნათელი გახდება, რომ ბაზარზე ადგილს ზომბირებული რეტროფირმები, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, ზომბირებული ნეკროფირმებიც კი ინარჩუნებენ.

აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, რეტროეკონომიკის ზომბირების თავიდან აცილებისათვის უნდა შეიცვალოს გაკოტრების კანონმდებლობის მთავარი პრინციპი და ნაცვლად ზემოხსენებული-სა (ანუ ბალანსის შენარჩუნება, ერთი მხრივ, კრედიტორების ინტერესების დაცვასა და, მეორე მხრივ, სიცოცხლისუნარიანი ფირმების ვადაზე ადრე ლიკვიდაციის თავიდან აცილებას შორის), უნდა იყოს ბალანსის შენარჩუნება, ერთი მხრივ, კრედიტორების ინტერესების დაცვასა და, მეორე მხრივ, არასიცოცხლისუნარიანი ფირმების დროულად ლიკვიდაციას შორის. ამგვარი მიდგომა გააუმჯობესებს კონკურენტულ გარემოს, ხოლო კონკურენცია არის ერთადერთი საფუძველი იმისა, რომ ფირმებს რეალურად გაუჩნდეს მოთხოვნა ინოვაციებზე [Бубенко, Гусев, 2016: 84].

გასათვალისწინებელია, რომ ინოვაციების პრობლემებზე მეცნიერთა მიერ მომზადებული წინადადებები ხშირად ვერანაირ ქმედით გამოხმაურებას ვერ პოულობს პოლიტიკოსების, სახელმწიფო მოხელეების მხრიდან, ანუ იმ ადამიანების მხრიდან, ვინც უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები [Бубенко, Гусев, 2016: 83]. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბაზარი გათავისუფლდება არასიცოცხლისუნარიანი ფირმებისაგან, კონკურენცია არა უბრალოდ აიძულებს ფირმებს ორიენტაცია აიღონ ინოვაციებზე, არამედ შესაბამისი მეწარმეების მოთხოვნით პოლიტიკოსები და სახელმწიფო მოხელეები იძულებული გახდებიან, თავისი გადაწყვეტილებებით მხარი დაუჭირონ ამ მეწარმეების ინტერესებს.

საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით ითვლება, რომ განსაკუთრებით დარბ ქვეყნებში, გადახდისუუნარო ფირმის სიცოცხლისუნარიანობის საკითხი, უწინარეს ყოვლისა, უნდა გადაწყდეს უშუალოდ კრედიტორებსა და ამ ფირმის მესაკუთრეებს შორის შეთანხმების გზით, ხოლო სახელმწიფოს ჩარევა ამ პროცესში გაკოტრების კანონმდებლობის საფუძველზე უნდა მოხ-

დეს იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორები და მესაკუთრეები ვერ შეთანხმდებიან [Anderson, 2004: 176-178].

საყურადღებოა, რომ ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი ფირმების შენარჩუნება-განვითარებაში მართო გაკოტრების კანონმდებლობაზე აქცენტის გაკეთება არ არის გამართლებული, რადგან ეს უკანასკნელი, მართალია, საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ მაინც ერთ-ერთია ქვეყნის საკანონმდებლო ბაზაში, რომელიც, სხვა კანონებთან ერთად, ხელს უნდა უწყობდეს ბაზარზე ჯანსაღი სამართლებრივი სივრცის შექმნას [White, 2001: 43]. ასე მაგალითად, თუ რომელიმე ქვეყანას გაკოტრების კანონმდებლობის პარალელურად აქვს საგადასახადო დავალიანებათა რეგისტრუქტურიზაციის კანონმდებლობაც, მაშინ ამ უკანასკნელით პრაქტიკულად დაბლოკილია გაკოტრების პროცედურების წამოწყება.

ზემოსხენებულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ რეტროეკონომიკის დაძლევის მიზნით განსაკუთრებული როლი ენიჭება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას. სხვა თანაბარ პირობებში, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს ის, რომ ბაზარზე არ დარჩნენ არასიცოცხლისუნარიანი საწარმოები, რასაც, უწინარეს ყოვლისა, სჭირდება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. ამისათვის გაკოტრების ეროვნული კანონმდებლობა უნდა დაეყრდნოს ამოსავალ პრინციპს, რომლის თანახმადაც, დაცული უნდა იყოს ბალანსი, ერთი მხრივ, კრედიტორების ინტერესებსა და, მეორე მხრივ, არასიცოცხლისუნარიანი ფირმების დროულად ლიკვიდაციას შორის. მიზანშეწონილია, რომ გადახდისუუნარო ფირმის სიცოცხლისუნარიანობის საკითხი გადაწყდეს უშუალოდ კრედიტორებსა და ამ ფირმის მესაკუთრეებს შორის შეთანხმების გზით, ხოლო სახელმწიფო გაკოტრების კანონმდებლობის ფარგლებში მხოლოდ მაშინ ჩაერიოს ამ პროცესში, როცა კრედიტორები და მესაკუთრეები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ. სახელმწიფომ ბაზარზე უნდა შექმნას ჯანსაღი სამართლებრივი სივრცე, რაც გამორიცხავს გაკოტრების კანონმდებლობის ფექტიანად მოქმედების შემაფერხებელ სხვა კანონებსა თუ რეგულაციებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ahearne A. G., Shinada N., 2005. Zombie Firms and Economic Stagnation in Japan. *International Economics and Economic Policy*, Vol. 2, No. 4.
2. Anderson R. E., 2004. Get Out of the Way: How Government Can Help Business in Poor Countries. Washington, D.C., CATO Institute.
3. Harman C., 2010. Zombie Capitalism. Global Crisis and the Relevance of Marx. Chicago, Haymarket Books.
4. Hoshi T., 2006. Economics of the Living Dead. *The Japanese Economic Review*, Vol. 57, No. 1;
5. LeLaulu L., 2009. Zombie Economics? *The Development Executive Group*, 13 January, <<http://www.devex.com/articles/zombie-economics>>.
6. Lindsey B., 2002. Against the Dead Hand: The Uncertain Struggle for Global Capitalism. New York, John Wiley & Sons.
7. Lipowski A., 1998. Towards Normality. Overcoming the Heritage of Central Planning Economy in Poland in 1990-1994. Warsaw, Adam Smith Research Center, Center for Social and Economic Research.
8. OECD, 2007. OECD Economic Surveys: India 2007, <http://www.keepeek.com/Digital-Asset-Management/oecd/economics/oecd-economic-surveys-india-2007_eco_surveys-ind-2007-en#.V7F969R95kg#page1>.
9. Onaran Y., 2012. Zombie Banks. How Broken Banks and Debtor Nations are Crippling the Global Economy. Hoboken, John Wiley & Sons.
10. Papava V., 2002. Necroeconomics – the Theory of Post-Communist Transformation of an Economy. *International Journal of Social Economics*, Vol. 29, No. 9-10.
11. Papava V., 2010. The Problem of Zombification of the Postcommunist Necroeconomy. *Problems of Economic Transition*, Vol. 53, No. 4.
12. Quiggin J., 2010. Zombie Economics. How Dead Ideas Still Walk Among Us. Princeton, Princeton University Press.
13. Stiglitz J. E., 2001. Bankruptcy Laws: Basic Economic Principles. In Claessens S., Djankov S., Mody A., eds. *Resolution of Financial Distress: An International Perspective on the Design of Bankruptcy Laws*. Washington, D.C., The World Bank.
14. White M. J., 2001. Bankruptcy Procedures in Countries Undergoing Financial Crises. In Claessens S., Djankov S., Mody A., eds. *Resolution of Financial Distress: An International Perspective on the Design of Bankruptcy Laws*. Washington, D.C., The World Bank.
15. Бубенко П. Т., Гусев В. А., 2016. Продолжаем заговаривать инновационное развитие. *Экономика Украины*, № 7, с. 84.

RETROECONOMICS AND BANKRUPTCY

Summary

A necroeconomy, or a “dead economy,” in its essence, is the supply of goods manufactured using outdated technology for which (goods) there is no demand due to their low quality (or absence thereof) and/or high production costs but where demand is artificially generated by the government. This ugly economic phenomenon was identified for the purposes of the post-Communist economy since the elimination of competition under the conditions of a command economy wiped out the economic interest to upgrade the technological base in many sectors of the economy (generally, with the exception of the military-industrial complex).

Due to the fact that the restriction of competition is a precondition for the creation of a necroeconomy, it can be concluded that the phenomenon of the necroeconomy is present wherever enterprises with technologically obsolete equipment operate solely at the expense of government support. One example of this can be found in the India of the 1980s. Thus, it appears that a necroeconomy is not only a symptomatic problem for post-Communist countries (as initially indicated in the publications referenced above), but it can be encountered in other countries where enterprises with outdated technology and no real demand for their products operate with government support and, in select cases, entirely at government expense.

The type of economy that fosters the functioning of firms (i.e., retro-firms) that are relatively technologically backward in comparison to contemporary global achievements but where, nevertheless, the demand for their products still exists is referred to as a *retroeconomy* (“retro” being Latin for “back”). We suggest calling the theory of the technological backwardness of an economy *retroeconomics*.

The main similarity between a necroeconomy and a retroeconomy is that both types of economies make use of outdated technology; the difference is that under necroeconomic conditions, enterprises use equipment so out-of-date that the demand for products they manufacture is virtually nonexistent and, therefore, these enterprises operate solely with government support while in a retroeconomy, the demand for such products does exist and enterprises enjoy only moderate support from the government. In other words, both types of economies require government intervention but while the former exists exclusively at the expense of the government, the latter requires a government-sanctioned protection of the domestic market from international competition.

It is an unfortunate fact that the preservation of non-viable firms receives active support from various politically and socially influential groups while groups representing the interests of yet unestablished industries or firms do not exist, precisely due to the fact that they (industries, firms) have not yet been established. Under these circumstances, we believe, the only actor potentially able to lobby for new industries or firms to be created is the government.

Much significance is given to the enforcement of bankruptcy procedures against retro-firms. There is admittedly no universal bankruptcy legislation and the key principle typical of bankruptcy regimes is the preservation of the balance between the protection of creditors’ interests, on the one hand, and the avoidance of premature liquidation of viable firms, on the other. In our view, this principle does not fully reflect the challenges facing a modern economy, especially in economically backward poor countries. In particular, the problem is as described below.

A more-or-less objective assessment of a firm’s viability is complicated as it calls for a comparison between the going concern value and the liquidation value: if the going concern value exceeds the liquidation value, then the enterprise is viable. The complexity is primarily associated with the determination of the going concern value which entails an evaluation of the future revenues and expenses of an enterprise for which achieving accuracy is not a simple task. This requires the development of a business plan and a reorganization plan for the enterprise. Based on the attitudes of the firm’s proprietors, these plans must be optimistic while the perspective of the creditors in terms of the plans is more critical. The estimation of liquidation value is relatively easier, although this process also involves the resolution of several complex tasks (estimation of revenues to be derived from the sale of assets). As a result, the decision-maker on the form of a firm’s bankruptcy, as a rule, leans towards the reorganization, rather than the liquidation, of the enterprise. If we recall the circumstances mentioned above, where non-viable firms are actively preserved by various politically and socially influential groups, it becomes clear that zombified retro-firms and, in extreme cases, zombified necro-firms retain their place on the market.

Therefore, in our view, in order to evade the zombification of a retroeconomy or to contribute to creative destruction, the core principle of bankruptcy legislation should change and, in lieu of the above (i.e., the preservation of the balance between the protection of creditors’ interests on the one hand, and avoiding the liquidation of viable firms, on the other), a balance must be maintained between the requirement to protect creditors’ interests and the need for a timely liquidation of non-viable firms. This approach will improve the competitive environment while competition is the sole basis for firms to generate demand for innovation without which the process of creative destruction, as such, is unfeasible.

ANTI-CORRUPTION LEGISLATION OF UKRAINE WITHIN THE CONTEXT OF TERRITRIAL REFORM

Annotation. *Anti-corruption legislation of Ukraine is reflected in the 17 main legal acts. Reforming of the legislation started with adoption of Law of Ukraine «On principles of prevention and countering of corruption in Ukraine». At the moment, the basic legal act in Ukraine is Law of Ukraine «On Prevention of Corruption». Law defines legal and organizational basis of the system of preventing corruption in Ukraine, the content and the implementation of preventive anti-corruption mechanisms, rules to eliminate the consequences of corruption. The main objectives of the Law are: harmonization of Ukrainian legislation with international norms and legal standards, the definition of a common approach to the understanding of the nature of corruption, the varieties of corruption activities, legislative regulation of legal liability for corruption.*

Key words: *anti-corruption policy, Law of Ukraine, National Agency for Prevention of Corruption, corruption, corruption offenses.*

Introduction

Corruption as a complex social phenomenon negatively affects all aspects of political, social and economic development of the state, threatens democracy, human rights and social justice.

Corruption has become widespread and universal problem in Ukraine. Corruption hits mostly system of relations between citizens, state authorities and local self-governing authorities during the process of constitutional rights enforcement by citizens. Corruption overturned the foundations of enforcement of the society's principle of supremacy of law. Citizens of Ukraine assume corruption as the «simplified form» of receiving administrative services.

Integral system of corruption prevention, which shall create and settle the procedures of anti-corruption steps, should become the basis for public trust formation in authorities.

Since 2011, significant complex measures regarding overcoming of certain corrupt practices have been initiated and continue to be used at all levels of the authorities in Ukraine, along with introducing system of mechanisms of corruption prevention.

Unfortunately, despite significant attempts to reform anti-corruption legislation, no world rating documents decrease of the level of corruption in our country. Even opposite situation can be traced.

Since 1995, International Organization Transparency International forms the annual rating of countries of the world in terms of corruption, which is based on the opinions of businessmen and analytics. This indicator is called Corruption Perceptions Index, CPI. Till 2010 the index had the scale from 0 (the highest level of corruption) to 10 (no corruption). In 2010 Ukraine filled 134th place out of 178 countries with the rating of 2,4. During the period of 2010-2003 years, Corruption Perceptions Index equals respectively 2,4; 2,2; 2,5; 2,8; 2,6; 2,2; 2,3; 2,4.

Since 2011, International Organization Transparency International changed the system of evaluation. Countries in the rating are sorted by index from 0 (highest level of corruption) to 100 (no corruption).

In 2015, according to the analytical rating of Transparency International, Ukraine took up 130th place among 168 countries in this rating, receiving the index of CPI amounting to 27. Iran, Cameroon, Nepal, Nicaragua and Paraguay became «colleagues» of Ukraine with anti-corruption index of 27 points. In 2015, Denmark, Finland and Sweden are three leaders in the world's most famous anti-corruption ranking of CPI with 91, 90 and 89 points respectively. Most corrupted countries of the world are North Korea and Somalia with 8 points [Transparency, 2015].

According to the analysis of Transparency International, Ukraine managed to earn only one additional point in the CPI ranking. In 2014 country took up 142nd place among 175 positions. From 2014 to 2012 Index of CPI was respectfully 26, 25, 26. For comparison - in 2007 Ukraine took up 118th place out of 179 countries [Transparency, 2016].

In 2012, international auditing company Ernst & Young put Ukraine among three top corrupted countries in the world, together with Colombia and Brazil [Ernst, 2012].

Anti-corruption legislation of Ukraine is reflected in the following main legal acts:

1. Constitution of Ukraine.
2. Resolution №950 of the Cabinet of Ministers of Ukraine after 13th of June, 2000 «On Approval of the Procedure of Conducting Official Investigation against Civil Servants».
3. Resolution № 265 of the Cabinet of Ministers of Ukraine after 29th of April, 2015 «On Approval of the State Program on implementation of the principles of the state anti-corruption policy in Ukraine (the Anti-Corruption Strategy) for 2015-2017».
4. Resolution № 65 of the Cabinet of Ministers of Ukraine after 11th of February, 2016 «On approval of rules of ethical conduct for public officials».
5. Section XVII of the Criminal code of Ukraine «Crimes in the field of performance management and professional activities related to the provision of public services».
6. Criminal Procedure Code of Ukraine.
7. Law of Ukraine №3341-XII «On the organizational and legal foundations of struggle against organized crime» after 30th of June 1993.

8. Law of Ukraine «On Amendment of Certain Legislative Acts of Ukraine as regards the Aligning of the National Legislation with the Standards of the Criminal Law Convention on Corruption» after 18th of April, 2013 №221-VII (amendments to the articles 354, 368, 369, 370 of the Criminal Code of Ukraine).

9. Order of the Ministry of Justice of Ukraine №1380/5 «On Approval of Guidelines for Expert Assessment of Draft Regulatory Acts for Possible Corruptogenic Provisions» dated June 23rd, 2010.

10. Law of Ukraine «On Public Appeals» after 2nd of October, 1996, №393/96-BP.

11. Instruction on the procedure of recording the criminal and administrative corruption offenses, approved by the joint order of General Prosecutor Office, Ministry of internal affairs, Security Service of Ukraine, Ministry of income and fees, Ministry of defense and State Judicial Administration after 22nd of April, 2013 №52/394/172/71/268/60.

12. Law of Ukraine «On State Service» after December, 10th 2015 №889-VIII.

13. Law of Ukraine «On Access to Public Information» after January, 13, 2011, №2939-VI.

14. Law of Ukraine «On principles of state anti-corruption policy in Ukraine (Anti-corruption strategy) for years 2015-2017» after 14th of October 2014, № 1699-VII.

15. Law of Ukraine «On the prevention of corruption in Ukraine» after 14th of October, 2014, №1700-VII.

16. Law of Ukraine «On principles of prevention and countering of corruption in Ukraine» after 7th of April, 2011, №3206-VI (lost effect).

17. Law of Ukraine №1698-VII «On the National Anti-corruption Bureau of Ukraine» after 14th of October, 2014.

International cooperation of Ukraine in preventing and fighting corruption is reflected in the following legal acts:

1. United Nations Convention against corruption (ratified by the Law of Ukraine after 18th of October, 2006, №251-V).

2. Council of Europe Civil Law Convention on Corruption (ratified by the Law of Ukraine dated March 16th, 2005 № 2476-IV).

3. Council of Europe Criminal Law Convention on Corruption (ratified by the Law of Ukraine dated October 18th, 2006 № 252-V).

4. Additional Protocol to the Criminal Law Convention on Corruption (ratified by the Law of Ukraine dated October 18th, 2006 № 253-V).

5. Charter of Group of States Against Corruption (GRECO) Multilateral agreement (not CIS) Charter after 05th of May, 1998.

6. Agreement establishing the Group of States against Corruption (GRECO).

Reforming of the legislation started with adoption of Law of Ukraine «On principles of prevention and countering of corruption in Ukraine» after 07th of April, 2011 № 3206-VI (hereinafter Law 3206) [Law, 2011].

At the moment, the basic legal act in Ukraine is Law of Ukraine «On Prevention of Corruption» after 14th of October, 2014 №1700-18 (hereinafter Law 1700). On October 23rd, 2014, President of Ukraine Petro Poroshenko has signed a package of anti-corruption laws, including the Law 1700. With this law taking effect, Law 3206 lost effect [Law, 2014].

Law 1700, which came into force on 24th of April 2015, defines legal and organizational basis of the system of preventing corruption in Ukraine, the content and the implementation of preventive anti-corruption mechanisms, rules to eliminate the consequences of corruption. The main objectives of the Law are: harmonization of Ukrainian legislation with international norms and legal standards, the definition of a common approach to the understanding of the nature of corruption, the varieties of corruption activities, legislative regulation of legal liability for corruption.

Law 1700 takes into account the experience of legal regulation of foreign countries, the law takes into account recommendations of GRECO; provisions of the Law generally comply with anti-corruption conventions of the UN and the Council of Europe and other international instruments ratified by Ukraine.

Law 1700 defines

– the nature of corruption offenses and the offense, associated with corruption; the list of subjects covered by this law and subjects of avowal (Section I).

– status, body, powers, work arrangement, guarantees of independency and logistics of National Agency for Prevention of Corruption, which is the central executive authority with special status, which ensures the formation and implementation of the state anti-corruption policy (Section II).

– formation and realization of anti-corruption policy (Section III);

– prevention of the corruption offenses and offenses associated with corruption offenses (Section IV);

– prevention and settlement of the conflict of interests (Section V);

– rules of ethical behavior (Section VI);

– financial control (Section VII);

– protection of persons, who provide assistance in preventing and combating corruption, by state (Section VIII);

– mechanisms of anticorruption examination and background check, requirements regarding transparency and access to information (Section IX);

- liability for the corruption offenses and offenses associated with corruption and elimination of their consequences (Section XI);
- legal and organizational foundations of prevention and counteraction corruption subject to the provisions of international agreements on these matters (Section XII).

Law expands the list of subjects of corruption, who are covered by this law and restrictions regarding such subjects. These subjects include: persons who provide public services (appraisers, notaries, auditors, experts, mediators, arbitrators); persons who hold positions related to providing organizational or administrative services; legal entities of public law, which receive salary from local or state budget.

Article 1 of Section 1 of the Law 1700 provides new terms:

- «anti-corruption examination - activities for identification in regulatory legal acts, drafts of regulatory legal acts of provisions which independently or in combination with other regulations can promote making of the corruption offenses or offenses connected with corruption»;
- «private interest - any interest in property or else, including due to personal, family, or other unofficial friendly relationship with natural or legal persons, including those arising from membership or activity in public, political, religious or other organizations»
- «gift - cash or other property, advantages, benefits, services, intangible assets that have been provided / received for free or at a price below the minimum market price».

Innovation of the law is the distinction of the definitions «corruption offense» and «offence related to corruption», «real conflict of interests» and «potential conflict of interest», «close persons» and «family members».

Law 1700 imposes restrictions regarding using official authority or official status, taking gifts; combining of holding the office with other types of activity; termination of the activity associated with the functions of state, self-governed local authorities; co-operation of close persons.

Law prohibits the relationship between people working in one company, organization, institution. Officials (heads of higher authorities, MPs, civil servants, military, who hold an office, judges, officials of fiscal authorities, department officers of the public prosecution office, Security Service of Ukraine, etc.) according to article 4 of Law 1700 cannot have close persons under their command.

According to the Article 1 close persons are persons who live jointly, connected by general life and have the mutual rights and obligations with the subject, including persons who are not married, and also - irrespective of the specified conditions – children, married couple, parents, brothers and sisters, adoptive parents or adopted children. The definition «family members» is primarily used for the purposes of declaration.

Law 1700 prohibits to receive gifts from and especially from those who are in direct subordination. Gifts accepted can match the widely accepted conception of the hospitality and their one-time cost cannot exceed 50% of the minimum wage. The total value of gifts from one source cannot not exceed one minimum wage.

Law 1700 prohibits hiding or misrepresentation of public information, that must be disclosed under the Law.

Law provides for dismissal of officials against whom administrative or criminal action was brought for the violation of anti-corruption legislation within three days starting from receiving of the court decision that took effect by the institution, company or self-governed local authority.

The entire Section 2 of the Law 1700 is dedicated to the new executive authority with special status, which provides for formation and realization of state anti-corruption policy, - National Agency for Prevention of Corruption. Law regulates the procedure of creation, rights, list of powers, organization of member's activity and president of agency activity; guarantees of independency, the issue of control of agency activity. Law does not provide for the mechanism of agency interaction with specially authorized entities in combating corruption.

In Law 1700, special attention is drawn to the liability for corruption or corruption-related offenses and elimination of their consequences. For the commitment of corruption or corruption-related offense subjects determined by the law are brought to criminal, administrative, civil and disciplinary liability in accordance with the law. It is also provided, that damages caused to the state due to the commitment of corruption offense subject to confiscation upon the court decision. Money and other property received as a result of commitment of corruption offense, are to be confiscated by the court.

The adoption of new anti-corruption legislation is the starting point in the process of counteracting, preventing and combating the corruption. For an effective anti-corruption system functioning, in addition to the provisions of the law, it is necessary to express strong political will and active public position in support of anti-corruption policy. It is necessary to raise population's public intolerance to corruption, to convince people, that state is able to punish officials for offenses committed.

References

1. Ernst & Young Ukraine. [Official site, access mode: <http://www.ey.com/ua/uk>.
2. Law of Ukraine «On Prevention of Corruption» after 14th of October, 2014, №1700-18. Site: Legislation of Ukraine, access mode: <http://zakon0.rada.gov.ua/laws/show/1700-18>.
3. Law of Ukraine «On principles of prevention and countering of corruption in Ukraine» after 7th of April, 2011, №3206-VI. Site: Legislation of Ukraine, access mode: <http://zakon4.rada.gov.ua/laws/show/3206-17>.

4. Transparency International. Official site, 2015, access mode: <https://www.transparency.org/>.
5. Transparency International Ukraine. Official site, 2016, access mode: <http://ti-ukraine.org/>.

ავთანდილ სილაგაძე

ქართული ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან

ფეოდალური ეპოქის საქართველოში ჩამოყალიბებული ბევრი საინტერესო ეკონომიკური მოსახრება, ფეიქრობო, სპეციალისტთა ყურადღებას იმსახურებს თანამედროვე პერიოდშიც. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ბექასა და აღბუღას „სამართლის წიგნი“. იგი განსაკუთრებით საყურადღებოა მერკანტილისტური დოქტრინის პოზიციებიდან გამომდინარე და არამარტო! ის ქართულ ენაზე დაიწერა (XIII-XIV) და სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირებას ითვალისწინებდა საქართველოს ერთ-ერთ უძველეს რეგიონში – სამცხე-საათაბაგოში. უფრო კონკრეტულად, ფეოდალური მეურნეობის განკერძოებულობის პირობებში. იგი რეგიონის პოლიტიკურ მისწრაფებებს ასახავდა, მაგრამ ირკვევა, რომ ეს რეგიონი არ ივიწყებდა ქართულ სულს და ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისადმი პატივისცემას გამოხატავდა. „წიგნი“ გვაწვდის უძვირფასეს მასალას იმდროინდელი სამხრეთ საქართველოს (რომლის დიდი ნაწილი ამჟამად ქვეყნის ფარგლებში აღარ შედის) პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წყობილებაზე. ის 98 მუხლისაგან შედგება და, წმინდა სამართლებრივი ნორმების გარდა, ადგენს საკუთრების, გირავნობის, სასესხო ურთიერთობების, მემკვიდრეობის, ფინანსური და ვაჭრობის, დაქირავებული შრომითი ურთიერთობების და სხვ. წესებს.

„სამართალში“ დადგენილია საზოგადოების წევრთა უფლებების დიფერენცირება სხვადასხვა წოდებრივი სტატუსის მიხედვით. კერძოდ, მაღალი ფენის წარმომადგენლის უფლებების შელახვა ათმაგად მკაცრად ისჯებოდა სხვებთან შედარებით; ბატონს გაქცეული გლეხის უკან დაბრუნების უფლება ჰქონდა, თუ მას 30 წლის ვადაში იპოვიდა; იცავს მიწაზე ფეოდალთა საკუთრებას; განსაზღვრავს ბატონისა და გლეხის ურთიერთდამოკიდებულების ნორმებს; ოჯახის ერთიანობის შესანარჩუნებლად შვილს არ შეეძლო მამის ქონების გაყოფა; ქურდმა მოპარული ქონება ორმაგი რაოდენობით უნდა დააბრუნოს და სხვ.

საათაბაგოში დამკვიდრებული ფეოდალური ურთიერთობების მიხედვით, „ფეოდი“ პატრონს ეკუთვნოდა და მამულის ჩუქება და ფლობა მორჩილებასა და ერთგულ სამსახურს მოითხოვდა. „ფეოდში“ ბატონი ყველაფერს მართავდა. სამართლის წიგნიდან ირკვევა, რომ საკუთრების მფლობელ გლეხობას თავისუფალი და დროებითი დამოკიდებულება ჰქონდა მიწის მფლობელთან, რომელთანაც ხელშეკრულებით დამოკიდებულებაში ყოფილა; ყმების შევსების წყარობად დასახელებულია ტყვეები და ასევე ადამიანთა მიერ ვალის გადაუსხდელობა.

„სამართლის წიგნი“ მერკანტილისტური დოქტრინის მსგავსად, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ვაჭრობის განვითარებას, განსაკუთრებით – მსხვილი ვაჭრების დაცვას; დადგენილია, რომ მსხვილი ვაჭრის ხელყოფა ორჯერ მეტად ისჯებოდა წვრილი ვაჭრის ხელყოფასთან შედარებით და 3-ჯერ მეტად – ვიდრე გლეხის ხელყოფა (მუხლი 96). ასეთი მეთოდების გამოყენება შემთხვევითი არ იყო, ვინაიდან ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ვაჭრობას, მათ შორის საგარეო ვაჭრობას და ვაჭრებს, როგორც გამორჩეულ ფენას, ასტიმულირებდა მეფის ხელისუფლება. ამ მიზნით შექმნილი იყო ვაჭრობის ასოციაცია „ორთალი“, რომელიც განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობით იყო დაკავებული, პარალელურად, საკრედიტო საქმიანობასაც ეწეოდა და უძრავი ქონების გირაოს ქვეშ სესხებს გასცემდა.


შემთხვევითი როდია, რომ „სამართალში“ საკმაოდ ვრცელადაა საუბარი საკრედიტო ვალდებულებებზე. როგორც ირკვევა, სესხის აღებისას ვერცხლი და პური გამოიყენებოდა. თუ ადამიანი სესხს აიღებდა პურით გასტუმრების პირობით, მაშინ მას ძირითადი ვალის გარდა, მასზე დამატებითი 50% პურით უნდა გადაეხადა. აქედან გამომდინარე, „სამართლის წიგნი“ ნატურით გასესხებისას სარგებლის მაქსიმალურ ზღვრად 50%-ს, ხოლო ფულის (თეთრის) გასესხებისათვის კი 20%-იან სარგებელის განაკვეთს ადგენს. „სამართალი“ გარკვეულ შეღავათებსაც ადგენდა სასესხო ურთიერთობებში.

„კანონის“ მიხედვით, გირაო ითვალისწინებდა დაგირავებული მამულის ფასდაკლებით გაყიდვის პირობებს, რაც მესაკუთრეს მისი გამოსყიდვის შესაძლებლობას აძლევდა; აუცილებელი იყო კეთილსინდისიერების დაცვა ბაზარზე საქონლის ყიდვა-გაყიდვისას; მყიდველს სრულყოფილი ინფორმაცია უნდა მიწოდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეეძლო ნაყიდი საქონლის უკან დაბრუნება და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა. „სამართალი“ შეეხო თანამედროვე ეპოქისათვისაც მეტად აქტუალურ თავდებობის ინსტიტუტსაც; ვალის გაუსტუმრებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა თავდებ პირსაც მოეთხოვებოდა – თუ ვალის ამღები პირობას დაარღვევდა, მოვალეს შეეძლო მისგან მოეთხოვა ვალის დაფარვა. „სამართალში“ გამოყენებული ტერმინები ქირა და საქირავნო ხელშეკრულება ვრცელდებოდა როგორც უსულო საგნების, ასევე ადამიანთა მიმართ.

დაქირავებული შრომის გამოყენება შესაძლებელი იყო ნებისმიერ, მათ შორის სამრეწველო საქმიანობაში, მაგრამ წინასწარ, ხელშეკრულებით უნდა განესაზღვრათ ქირის რაოდენობა. ამასთან, დაქირავებულს დაქირავებულისთვის ცუდად მოპყრობის უფლება არ ჰქონდა. იმდროინდელ ფეოდალურ ეპოქაში გამოთქმული მსგავსი მოსაზრებები აშკარად წინ უსწრებდა დროს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმები ერთი მხრივ შეესაბამებოდა იმდროინდელ მოთხოვნებს, მაგრამ სშირად წინაც უსწრებდა იმავე ეპოქის დღის წესრიგში მდგომ საკითხებს და ვეღარ თავსდებოდა ფეოდალურ ჩარჩოებში. მაგალითად, სამუშაო ძალის დაქირავების თავისუფლად დაშვება გარკვეული სიახლე იყო ფეოდალურ ეპოქაში და მომავალში კაპიტალისტური ურთიერთობების საკვანძო საკითხი გახდა. ცენტრისა და რეგიონის ურთიერთპატივისცემა აშკარად სახეზეა, მიუხედავად რეგიონის განცალკევებისა. მათ მჭიდრო ურთიერთკავშირს აძლიერებს სინქრონული ეკონომიკური განვითარება.

სამწუხაროდ, თანამედროვე საქართველოში ქალაქსა და სოფელს შორის ისევ დიდი „უფსკრულია“, რეგიონებიც ასიმეტრიულად ვითარდებიან: დღგ-ს დაახლოებით ნახევარი დედაქალაქის წილად მოდის, ხოლო რესურსებით მდიდარი სამცხე-ჯავახეთის წილი მხოლოდ 2.8%-ის ფარგლებშია (დიაგრამა 1). მართალია, ამ რეგიონის „ძველი“ და ამჟამინდელი ტერიტორიები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, მაგრამ მას საკმაოდ მნიშვნელოვანი რესურსები (აგარაული, ენერგეტიკული, წყლის, წიაღისეულის...) გააჩნია განვითარებისათვის. მით უმეტეს, რომ ამ სასაზღვრო რეგიონზე ვადის ევროპისკენ მიმავალი ახალი სარკინიგზო ხაზი.



დიაგრამა 1. მთლიანი დღგ-ს სტრუქტურა (%) რეგიონების მიხედვით (2015)

- 1) კახეთი, 2) თბილისი, 3) შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი, 4) ქვემო ქართლი, 6) აჭარა, 7) გურია, 8) სამეგრელო-ზემო სვანეთი, 9) იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.

http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

ამრიგად, დიაგრამაზე ასახული მაჩვენებლების მიხედვით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი ბოლოდან მეორე ადგილზეა! ცხადია მას აშკარად მეტი პოტენციური შესაძლებლობები აქვს იმისთვის, რომ მწვავე ფინანსური დეფიციტის პირობებში არ ფუნქციონირებდეს.

მთლიანობაში, ბექასა და ალბუდას „სამართლის წიგნი“ ერთ-ერთი ძვირფასი წყაროა საზოგადოების ეკონომიკური განვითარების პირველი დოქტრინის – მერკანტილიზმის წინა ისტორიისა და, ასევე, საბაზრო ეკონომიკის დოქტრინების ცალკეული ელემენტების ანალიზისთვის, რამდენადაც მასში განსაზღვრულია თანამედროვეობისათვის მეტად აქტუალური საკითხები: ზოგადად ეკონომიკის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ფინანსურ-საკრედიტო ურთიერთობების სფეროებში; ვაჭრობისა და ვაჭრების წახალისების მერკანტილისტური ელემენტები; გირავნობის ინსტიტუტის პირობები; სამუშაო ძალის დაქირავების თავისუფალი შესაძლებლობა და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ათანელიშვილი თ., 2006. ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. თბილისი.
2. ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., 1973. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. I, თბილისი.

3. ბექასა და აღბუღას სამართალი, 1963. ქართული სამართლის ძეგლები. ტ.1, თბილისი.
 4. თევზაძე გ., 1981-1982. შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები. ნაწ. I და II, თბილისი.
 5. მეტრეველი რ., 1972. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან. თბილისი.
 6. სილაგაძე ა., 2010. ეკონომიკური დოქტრინები. თბილისი.
 7. ურბნელი ნ., 1890. ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი. ტფილისი.
- http://www.library.court.ge/upload/atabagni_beqa_da_aghbugha_da_maTi_samartali.pdf
8. ხარიტონაშვილი ჯ., 1997. ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები. წიგნი 1. თბილისი.
 9. Zubiasvili, T., Atanelishvili, T., 2017. Some Aspects of National economic Doctrine.. J. Ecoforum. Vol. 6. №1.
 10. Silagadze, A. , 2017. About Regional Economic Thought. J. Ecoforum. Vol. 6. №2.
 11. Silagadze, A., 2016. Historical Parallels of the National Economic Doctrines. J. Ecoforum. Vol. 5. №2.
 12. Silagadze, A., 2013. Priorities for the Economy of Post-communist Georgia in the Context of the World Financial Crisis. J. Problems of Economic Transition (USA). Issue: Vol. 56, Number 8 / December, pp. 3–16.
 13. Silagadze, A., 2010. Economic Thought in Feudal Georgia. The Caucasus & Globalization. Volume 4, Issue 3- 4, pp. 57–66. CA&CC Press, Sweden.
 14. Silagadze, A., Atanelishvili, T., 2010. Aspects of Economic Doctrines in Georgia. San Francisco.
 15. ინტერნეტმასალები: <http://www.qim.ge/agbuga.html>; (<http://tsulawstudents.blogspot.com/2012/11/1-2-3-4.html> ; <http://teona-giorgelashvili.blogspot.com/2013/09/blog-post.html>); <http://teona-giorgelashvili.blogspot.com/2013/09/blog-post.html> 29.04.2017.

Avtandil Silagadze

FROM THE HISTORY OF GEORGIAN ECONOMIC THINKING Summary

The feudal age in Georgia gave way to multiple economic thoughts that are still significant these days. This article covers one of those thoughts - The Code of Laws of Beka and Agbuga (XIII-XIV cc.) published in Georgian, which, first of all, is dedicated to the issues of regional governance. According to the author, a number of ideas expressed in the Code precede the creation of the School of Mercantilism. The Code is an important historical source for market economy researchers, because it determined several essential issues of the economy in general, and agriculture, industry and financial-credit relations, in particular. The Code includes several noteworthy opinions concerning the possibility to hire a labour force and labour remuneration, which to some extent was an innovation for the thinking of that age.

*Магбат Уарысбекович Спанов
Куралай Оразгалиевна Нурғалиева*

САМОЗАНЯТОСТЬ: КАК ФАКТОР ЭКОНОМИЧЕСКОГО РОСТА

***Аннотация:** Исследование конгломерата различных групп самозанятого населения в двух областях Казахстана в т. ч. городского и сельского в разрезе регионов и сфер деятельности для возможности сравнения показателей развитости или неразвитости социально-экономической системы РК с общемировыми тенденциями оценки самозанятых. Предлагается комплекс мер для снижения количества самозанятых и их включения в экономическую деятельность страны.*

***Ключевые слова:** трудовые ресурсы, самозанятое население, безработица, социальная сфера, валовой внутренний продукт, экономическое развитие, рынок труда*

Институтом инновационной экономики были проведены социологические исследования по самозанятым в Южно-Казахстанской и Костанайской областях.

Главной целью было исследование конгломерата различных групп самозанятого населения в т. ч. городского и сельского в разрезе регионов и сфер деятельности для возможности сравнения показателей развитости или неразвитости социально-экономической системы РК с общемировыми тенденциями оценки самозанятых.

Основными задачами исследования:

- проведение социологического исследования самозанятых (городских и сельских жителей) по сферам деятельности в двух регионах Казахстана: Южно-Казахстанской и Костанайской;
- исследование позитивных и сдерживающих факторов, влияющих на развитие самозанятости (формальной и неформальной) в городской и сельской местности в разрезе различных регионов РК;

- определение мер по выводу категорий самозанятых из теневой экономики для создания благоприятного климата и возможности самозанятым быть одним из главных составляющих элементов малого и среднего бизнеса в городе и на селе;

Scientific fundamentals of research on conception of the social capital and the confidence are established in the works of E. Durkheim and M. Weber. The scientists consider that the confidence is not an individual feature, which characterizes only a person, but spreads completely on the social group or the society (Demkin, 2004). For the first time the term "social capital" was used by renowned scientist L. Hanifan in the discussion "Important substances in everyday life of people". Group solidarity and social relations are considered by L. Hanifan to be such "substances" (Lanzmann, 2007). We come across a systematic analysis of the social capital in the works of French sociologist Bourdieu. He explains the social capital, as "unity of potential resources, which are related by institutionalized strong networks of mutual acquaintance and acknowledgement" (Bourdieu, 2002). It is seen from this explanation of P. Bourdieu that the social capital represents the resources existing in the social networks. Concept "the social capital" is quite widely explained by J. Coleman. In his opinion, the social capital is the potential of mutual confidence and mutual support, which is deliberately established in interpersonal relations (Coleman, 2001). In the studies, conducted by R. Patnem, in the analysis of the social capital, the accent is focused on the nature of its economic, public wellbeing. The present approach, which was further developed in the works of F. Fukuyama and other scientists, much determined the present condition of scientific discussions in this branch. Main idea of F. Fukuyama is that excess of confidence in the society generates the social capital, which differs from other forms of the human capital by that it is formed and transferred through such cultural mechanisms, as is religion, tradition or historical customs and habits (Fukuyama, 2006).

On the basis of comparison of capital with the material forms and their analysis a conclusion can be made that the category “social capital” is characterized by the following features: 1. The social capital, the same as the material forms of the capital, is a resource, which is formed in the sphere of social relations and has an ability of conversion; 2. The social capital differs from the material forms of the capital, as it is located in the structure of relations; 3. The social capital is not an object of property, it is formed in the social networks (Shengelia, 2012).

Conception of the social capital is based on the concept of confidence (Lanzmann, 2007). It should be surely said that without confidence the society development is impossible only by the economic mechanisms. On the basis of ethical-philosophical analysis we can outline four most important sides of the present phenomenon: confidence is discussed as the system of moral relations between people; an act of confidence is characterized as a voluntary manifestation of the subject; confidence is realized by way of transmitting the intimate ideas and sentiments.

Research of Methodology

51 persons took part in the research, which were engaged in the international company “Wendy’s”. In the process of research were selected people from 30 to 55 years of age, which had high education; in the group were 25 women and 25 men. Thus a gender balance was preserved.

In the process of research was used the methodology of assessment of the social capital of organization, established by R. Shaw (Shaw, 2014), which involved several stages.

1. At the first stage the questions involved 10 polar evidences, connected with the factor of confidence in the organization. The answers were evaluated from 1 to 5 scores.

2. Second stage involved the questions, concerning motivation of human labor activity. The methodology for evaluation of the motives for work was elaborated in the socio-psychological laboratory of the Tbilisi State University Center of Fundamental Research (Shengelia, 2012). By this methodology a respondent was demanded to define priorities, to select meaning of each motive. In the process of assessment were used scores from 1 to 10. An important priority was assessed by 1 score and unimportant – by 10.

3. Further questions were oriented to revealing of stimuli, which motivate best performance of professional activity by the employees. The questionnaire suggests 5 stimuli, such as: high salary, possibility to receive a premium, participation in the profit of the organization, the perspective to become one of the owners of the company, possibility to settle important tasks. The answers vary from 1 score – “do not stimulate” to 5 scores – “stimulate very much”.

III. Next group of questions is connected with the individual data of the personnel. Here was determined: age of a respondent, gender, national belonging, occupied position, religious belonging, education, etc.

For processing the primary data a standard packet SPSS 9.0 for Windows was used. Average mathematical calculation was done by the confidence scale and the analysis was made by the method of partial correlations. The method of correlation analysis was used for establishment of the union between the confidence and the motivation. In the process of analysis average meaning and dispersion were determined in the organization by the scale of the social capital evaluation (Table 1).

Table 1

Average meaning and dispersion according to the social capital evaluation scale in the organization

issues	average meaning and dispersion according to the scale of social capital evaluation in the organization	dispersion
1. Power and control are in the hands of only several persons or a group; at all the levels people have power and control	2,64	1,20
2. Contradictions between different groups are a usual case; different groups positively cooperate with one another	3,60	1,35
3. Employees cannot freely express their opinions; employees freely express their opinions	2,86	1,34
4. Much control and restriction are as to what can be done; employees are given freedom of activities to conduct work.	3,01	1,20
5. People have no confidence to one another; people have important confidence to one another	3,39	0,61
6. Employees concentrate on internal problems of the organization; employees concentrate on the competitors	3,05	1,25
7. Employees want to determine higher goals; employees do not try to set wider goals	3,17	1,21

8. No agreement is reached on the goals and criteria of the company activities; full agreement is reached on the goals and criteria of the company activities	3,51	1,44
9. Employees often do not reach results; employees almost always reach the planned results	3,25	0,91
10. Weak connection exists between work, payment and recognition; strong connection is between them	2,97	1,69

By the scale of the social capital evaluation an average meaning equals 3,15

By the primary results we have obtained, it is impossible to reveal existence or inexistence of confidence in the entire organization. That's why, with the purpose of deeper research average meaning and dispersion are determined by the scale of work motives evaluation. (Table 2).

Table 2

Average meaning and dispersion according to the work motives evaluation scale

issues	average meaning by the work motives evaluation scale	
1. Satisfaction from work	4,11	8,62
2. Amount of salary	3,54	5,22
3. Possibility for selfrealization	4,81	6,31
4. Positive atmosphere	3,83	5,91
5. Improvement of qualification	5,61	6,15
6. Career development	5,42	8,65
7. Awareness of the company image and designation	6,55	7,40
8. Location of work place	7,10	5,71
9. Possibility to use preferences	6,98	7,28
10. Regime of work	6,77	6,53

Average meaning and dispersion according to the work motives scale equals 3,01

To deepen the research we have established average meaning and dispersion according to the scale of main labor stimuli evaluation (Table 3)

Table 3

Average meaning and dispersion according to the scale of main labor stimuli evaluation

issues	average meaning by the scale of main labor stimuli	dispersion
1. Participation in the organization profit	3,01	1,80
2. High salary	4,11	0,63
3. Possibility to receive premium	3,71	1,39
4. Perspective to be one of the owners of the company	2,41	2,18
5. Settlement of interesting tasks	3,78	1,20

average meaning and dispersion according to the work stimuli scale equals 3,48

After a short review of the situation of confidence was conducted in the company and we received average meanings according to the each respondent, on the basis of a correlative analysis we determined the relation between the factors. The methodology for organizational confidence evaluation was specified by Cronbach's coefficient.

Table 4

Check of confidence evaluation scale by α -Cronbach's coefficient

confidence evaluation scale	α -Cronbach's coefficient
1. Power	801
2. Cooperation	695
3. Possibility to express ideas	701
4. Freedom	717

5. Confidence	809
6. Foreign orientation	821
7. Goals	801
8. Adoption of ideology	778
9. Success	789
10. Payment for work	802

Analysis of agreement (n = 47) showed that it is high and - Cronbach's coefficient = 0,87, which points to validity of the methodology we have used.

By the confidence evaluation scale the partial correlations of polar evidences, motives and motivation stimuli, according to gender and age, are presented in Table 5.

Table 5

		i10	i9	i8	i5	i4	i2	i1	m1	m3	m4	m5
soc1	coeff. k	-0,093	-0,252	0,058	0,304	-0,164	0,086	0,025	0,089	0,313	-0,020	0,300
	value	0,543	0,095	0,706	0,043	0,281	0,576	0,870	0,561	0,036	0,894	0,045
soc3	coeff. k	0,387	-0,220	0,316	0,224	0,096	0,249	0,211	0,343	0,296	0,150	0,329
	value	0,009	0,147	0,035	0,140	0,533	0,099	0,165	0,021	0,048	0,325	0,027
soc4	coeff. k	-0,189	-0,133	0,305	-0,059	0,109	0,189	0,181	0,157	0,118	-0,202	0,129
	value	0,214	0,383	0,041	0,702	0,475	0,215	0,234	0,303	0,441	0,183	0,399
soc6	coeff. k	-0,320	-0,246	-0,276	0,086	0,260	0,182	0,166	0,362	0,218	0,348	0,145
	value	0,032	0,103	0,066	0,574	0,085	0,232	0,275	0,015	0,150	0,019	0,342
soc7	coeff. k	0,292	-0,014	-0,177	0,116	0,166	0,190	0,033	0,239	0,069	0,291	0,147
	value	0,052	0,925	0,244	0,449	0,276	0,212	0,828	0,113	0,653	0,053	0,334
soc8	coeff. k	0,349	-0,261	-0,157	-0,100	0,114	0,285	0,429	0,056	0,023	-0,073	-0,001
	value	0,019	0,084	0,304	0,512	0,455	0,058	0,003	0,713	0,880	0,634	0,994
soc9	coeff. k	-0,108	-0,250	-0,017	0,039	0,130	0,005	0,105	0,184	-0,041	-0,040	-0,102
	value	0,481	0,098	0,913	0,797	0,396	0,972	0,492	0,228	0,790	0,794	0,505
soc10	coeff. k	0,012	-0,201	-0,030	-0,097	-0,103	0,081	0,000	0,316	-0,161	0,180	-0,124
	value	0,939	0,186	0,847	0,528	0,502	0,597	0,999	0,035	0,290	0,236	0,418

Analysis and Results

It is seen from Table 1 that by the social capital evaluation scale an average meaning is higher than 0,05, and no important relation was noticed between an average index of confidence per each respondent and motivation. But if we assess the motivation correlation table with separate aspects of confidence, then we can establish some important correlations. Namely, in the company "Wendy's" exists positive correlation between freedom of activity and possibility of selfrealization; payment for work is connected with such stimulus, as participation in the company profit; close relations exist between power and career; the scale of expression of ideas is positively related with satisfaction received from work, possibility of selfrealization and settlement of interesting tasks; orientation on competition is positively related with participation in the organization profit and the perspective to become one of the owners of the company, and negatively – with satisfaction received from work; payment for work is connected with such a stimulus, as participation in the company profit.

Thus, proceeding from the obtained results, we can make the conclusion that main hypothesis of our research, according to which was proved that the level of interpersonal and organizational confidence positively influences the motivation of employees.

Conclusion

In result of the research, existence of positive correlation between the social capital and motivation was established. That mutual relation is revealed, which exists between the social capital and the motivation. Establishment of the mutual relation of these components is of practical value, because study and analysis of the confidence parameters for formation of an employee's motivation is an important task from the viewpoint of increase of the company competitiveness. Therefore, to increase an employee's motivation to the work activity, it is necessary to influ-

ence these parameters, which determine the company success, the possibility of which is given by the methodology we have elaborated.

References

1. Bourdieu P. (2002) Forms of capital. Economic sociology. Vol. 3. №5, November. P. 82.
2. Demkin O. (2004) Social capital: theoretical research foundation and operational parameters. Sociology: theory, methods, marketing. № 4. P. 67.
3. Malevich A. (2006) Social capital and economic interaction. Krakov, U-Press. P. 128.
4. Coleman J. (2001) Capital social and human / Social sciences and contemporaneity. № 3. P. 49.
5. Lanzmann A. (2007) Essence of social capital of the organization // New in economy and management. Issue 11. – Krakov, KSU. P. 87.
6. Lebedeva N., Tatarko A. (2007) Values of culture and society development. M.: SU-HSE Publishers. P. 241.
7. Minkute-Henriksen P., Imanavichene Zh. (2006) Social capital of the organization: methodology of research. Sosis № 3. P. 98.
8. Nort V. (2005) Economic sociology. London. 448 p.
9. Fukuyama F. (2006) Confidence. Katowice, I-press.
10. Hekhauzen. (2011) Motivation and activity. Vol. I. 234 p.
11. Shaw P. (2014) Keys to confidence in the organization. M. "Delo" Publishers. P. 98.
12. Shengelia T. (2012) Modernization and the society. Tbilisi, Universal. P. 236.

მიხეილ ჩიკვილაძე

საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი რადიკალური ცვლილებები და სახელმწიფო ბიუჯეტი

ანოტაცია. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება დიდად არის დამოკიდებული საგადასახადო სისტემის სწორ ორგანიზაციაზე, ამიტომ უმნიშვნელოვანესია, რომ საგადასახადო განაკვეთების კორექტირებით შეიქმნას საგადასახადო ბაზის განვითარების აუცილებელი პირობები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამეურნეო აქტივობების ამაღლებას, ინვესტიციების მოზიდვას, დასაქმების ზრდას და სხვ.

სახელმწიფომ უნდა შექმნას დამატებითი სტიმულები ფინანსური რესურსების გასაღივებლად. გადასახადების გონივრული განაკვეთების დადგენისას აუცილებელია საგადასახადო ოპტიმუმის დაცვა, რაც ძირითადად გულისხმობს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შევსებას და გადამხდელთათვის შემოსავლის ისეთი წილის დატოვებას, რომელიც მას საშუალებას მისცემს, გააფართოოს წარმოების მასშტაბები და შექმნას ახალი სამუშაო ადგილები.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო კანონმდებლობა, საგადასახადო განაკვეთები, სახელმწიფო ბიუჯეტი.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება დიდად არის დამოკიდებული საგადასახადო სისტემის სწორ ორგანიზაციაზე, ამიტომ უმნიშვნელოვანესია, რომ საგადასახადო განაკვეთების კორექტირებით შეიქმნას საგადასახადო ბაზის გაფართოების პირობები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამეურნეო აქტივობების ამაღლებას, ინვესტირების მოზიდვას, დასაქმების ზრდას და სხვ. საგადასახადო განაკვეთების შეცვლით (თუ ეს აუცილებელია) სახელმწიფომ უნდა შექმნას დამატებითი სტიმულები ფინანსური რესურსების გასაღივებლად. გადასახადების გონივრული განაკვეთების დადგენისას აუცილებელია საგადასახადო ოპტიმუმის დაცვა, რაც ძირითადად გულისხმობს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შევსებას და გადამხდელისათვის შემოსავლის ისეთი წილის დატოვებას, რომელიც მას საშუალებას მისცემს, გააფართოოს წარმოების მასშტაბები და შექმნას ახალი სამუშაო ადგილები. სწორედ ეს მოთხოვნები დაედო საფუძვლად საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებულ ზოგიერთ ცვლილებას, რომლებიც 2016-2017 წლებშია შესული ძალაში, კერძოდ:

- მიღებული მოგების რეინვესტირების შემთხვევაში ბიზნესი მოგების გადასახადისაგან გათავისუფლდება, თუმცა ეს შეღავათი არ გავრცელდება ზოგიერთ ბიზნესსაქმიანობაზე, მაგალითად ტოტალიზატორის მოწყობაზე და სხვ., მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ საფინანსო სექტორი ამ პრივილეგიებით მხოლოდ 2019 წლიდან ისარგებლებს. მოგების გადასახადის წარმატებული რეფორმა დამოკიდებულია მის იმპლემენტაციაზე. ამჟამად, ჯამში, მოგების გადასახადის დეკლარაცია ახალი წესით 50 000-მდე ბიზნესმენმა წარმოადგინა, რაც დადებითი ტენდენციის მანიჭებელია და რეფორმა ფაქტობრივად წარმატებული ადმინისტრირების დარგში, ვინაიდან მოგების გადასახადის რეფორმა ოთხი წლის განმავლობაში 2

მილიარდ ლარზე მეტ თავისუფალ ფულად რესურსს მოუტანს ბიზნესს გაფართოებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის, მეტი რეინვესტიციის განვითარებისათვის.

- განსაკუთრებული ცვლილებებია აქციზის გადასახადში. კერძოდ, გაზრდილია აქციზის გადასახადი თამბაქოს პროდუქციაზე (მაგ., ერთი კოლოფი ფილტრიანი სიგარეტის, ასევე 1 სიგარის აქციზი გაიზარდა 0.60 თეთრით, ხოლო ერთი კოლოფი უფილტრო სიგარეტის აქციზი კი – 0.30 თეთრით). ანალოგიური ხასიათის ცვლილებები განხორციელდა თამბაქოს სხვადასხვა დასახელების ნაწარმზე (ნედლეულის გარდა), თუმცა ცნობილია ისიც, რომ თამბაქოს ფასი სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალია საქართველოში. საგულისხმოა, რომ იცვლება აქციზის გადასახადის სტრუქტურა ალკოჰოლიან სასმელებზეც, კერძოდ სპირტიანი სასმელების აქციზით დაბეგვრა განხორციელდება მასში ალკოჰოლის შემცველობიდან გამომდინარე, ლუდის შემთხვევაში ალკოჰოლის პროცენტული მაჩვენებლით, ხოლო ეთილის სპირტის შემცველ საქონელზე – სასმელში სუფთა ალკოჰოლის მოცულობით.

როგორც ცნობილია, ნავთობპროდუქტების მოხმარება ავტომობილების რაოდენობის ზრდასთან ერთად მატულობს, რაც უარყოფითად აისახება ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, გართულებულია თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობები, შეიმჩნევა მოსახლეობის, განსაკუთრებით ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მაჩვენებლებიც. ასეთ გარემოში მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარდა ნავთობპროდუქტებზეც. კერძოდ, გაიზარდა აქციზის გადასახადი, მაგ., 1000 მ³ გათხევადებული ბუნებრივი აირის აქციზი 80 ლარის ნაცვლად 200 ლარი გახდა, 1 ტონა ბენზინის აქციზი 250 ლარიდან 500 ლარამდე გაიზარდა, 1 ტონა დიზელის საწვავი 150 ლარიდან 400 ლარამდე, ხოლო 1 ტონა ძრავის ზეთი 400 ლარიდან 800 ლარამდე გაზრდილი. აქციზის გადასახადის განაკვეთის ზრდა შეეხო იმპორტირებულ ავტომობილებსაც (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის რეგიონის ქვეყნებში არსებულ განაკვეთებზე დაბალია), გაზრდილია აქციზის გადასახადი ბენზინისძრავიან მსუბუქ ავტომობილებზე, რაც უფრო ძველია ავტომობილი, მით უფრო დიდია აქციზის გადასახადი. გასამშავდა მარჯვენასაჭიან მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის სტანდარტული განაკვეთი, მაშინ, როდესაც ექვს წლამდე ასაკის ჰიბრიდულ მსუბუქ ავტომობილებზე სტანდარტული აქციზის განაკვეთი 60%-ით შემცირდა (მაგ., 10 წლის ასაკის ჩამოყვანილი მანქანის აქციზი განისაზღვრა 2.2 ათ. ლარის ფარგლებში. იმ შემთხვევაში კი, თუ ეს ავტომობილი ამავე დროს მარჯვენასაჭიანია, მაშინ აქციზის გადასახადი გასამშავებულია და 6.6 ათ. ლარს შეადგენს). მნიშვნელოვანი ცვლილებაა ისიც რომ, თუ 2016 წელს ოჯახის წლიური შემოსავალი 40.0 ათ. ლარიდან 100.0 ათ. ლარამდე შეადგენდა, ამავე დროს ოჯახს ჰყავს ავტომობილი, ამ შემთხვევაში გარდაუვალია 2017 წლის 1 ნოემბრამდე მისი დეკლარირება და შესაბამისად ავტომობილზე ქონების გადასახადის გადახდა მისი ღირებულების 0.005%-დან 0.2%-მდე ოდენობით. საგულისხმოა ისიც, რომ ოჯახის წლიური შემოსავალი თუ აღემატება 100.0 ათ. ლარს, გადასახადით დაიბეგრება 0,8%-დან 1%-მდე. დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლდება საჭირო გადახიდვის და საავიაციო სამუშაოების მომსახურების გაწევა, ასევე დღგ და აქციზისგან გათავისუფლდება შიდა საავიაციო რეისებისათვის განკუთვნილი იმპორტი და მიწოდება.

- ცვლილებები შეეხო აგრეთვე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელსაც. გაიზარდა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი მისი სახეების მიხედვით. კერძოდ, სამორინეს ერთ მაგიდაზე მოსაკრებლის ცვლილებამდე განაკვეთი 15.0 ათ. – 30.0 ათ. ლარი იყო. ცვლილებების შემდეგ, განაკვეთმა ერთ მაგიდაზე 20.0 ათ. ლარი – 40.0 ათ. ლარი შეადგინა.

- ძალზე მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ 2016 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადის გარკვეული ნაწილი მთლიანად მიემართება ადგილობრივ ბიუჯეტებში, საგადასახადო შემოსულობების განაწილების ახალი პრინციპი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შევსებას.

ზემოთ აღნიშნული გატარებული საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად მოსალოდნელია საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების საგრძნობი ზრდა, კერძოდ:

- 2017 წელს თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადის გაზრდით (იმპორტის ნაწილობრივი შემცირების გათვალისწინებით) დამატებით ბიუჯეტში 200.0 მლნ ლარის შემოსავლის მიღებაა მოსალოდნელი. ამავე წელს, ავტომობილებზე აქციზის გადასახადის გაზრდით მოსალოდნელია 45.0 მლნ. ლარის მობილიზება ბიუჯეტში, ხოლო ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადის განაკვეთის გაზრდა კი 250.0 მლნ ლარის დამატებით შემოსავალს მოუტანს სახელმწიფო ბიუჯეტს.

აღნიშნული საგადასახადო და ეკონომიკური ხასიათის სხვადასხვა რადიკალური ცვლილებები, რომლებიც 2017 წლიდან შესულია ძალაში, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომენტარებიდან ირკვევა, გაზიარებულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ და მათი განხორციელების შემთხვევაში, საქართველოს საერთაშორისო ფონდებიდან დამატებით რამდენიმე მილიარდი დოლარის მოზიდვის შესაძლებლობა გაუზინდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ბახტაძე, რ. კაკულია, მ. ჩიკვილაძე, „საგადასახადო საქმე“, თბ., 2007.

2. თ. კობალეიშვილი, მ. ჩიკვილაძე, „გადასახადები და დაბეგვრა“, თბ., 2016.
3. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, 18/12/2009წ; კანონი 2440-III.
4. „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ – 17/09/2010წ; კანონი 3591-II-ს მეთოდური მითითება “გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ” – 18/05/2016; შემოსავლების სამსახურის ბრძანება 13446.
5. „ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდექსის დამტკიცების შესახებ“ – 22/11/2007; საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება 1226.
6. mpress.ge

Mikheil Chikviladze

RADICAL CHANGES IN THE TAX LEGISLATION AND STATE BUDGET Summary

Effective functioning of economic system in any country highly depends on precise organization of tax system, therefore it is important to create essential conditions for development of tax base through correcting tax rates, that will compliment to increasing of agricultural activities, attracting of investments, raising employment rate etc.

The state should create additional incentives for increasing financial resources. During determining reasonable tax rates, it is necessary to follow optimum, which assumes replenishment of the budget income and remaining portion of income to taxpayers, that will enable them to expand the scale of production and create new jobs.

*ეთერ ხარაიშვილი
ეკატერინე ზვიადაძე*

სასურსათო უზრუნველყოფისა და აგროსასურსათო სექტორის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები საქართველოში

ანოტაცია. სტატიაში შეფასებულია სასურსათო უზრუნველყოფისა და აგროსასურსათო სექტორის მდგრადი განვითარების როლი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში. გაანალიზებულია საქართველოს სოფლის მეურნეობაში წარმოების პარამეტრები, ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტების თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები, ევროკავშირის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებითი ანალიზის გზით განხილულია სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები.

კვლევისა და ექსპერტული გამოკითხვის საფუძველზე გამოვლენილია სასურსათო უზრუნველყოფისა და აგროსასურსათო სექტორის მდგრადი განვითარების პრობლემები: სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონე, წვრილმასშტაბური ფერმერული მეურნეობები, მაღალი ფასები აგროსასურსათო პროდუქტებზე, ინფლაციის მაღალი დონე, აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტი-იმპორტის არასასურველი თანაფარდობა, ინვესტიციების მცირე მოცულობა, სოფლის მეურნეობისადმი სუსტი საბიუჯეტო და პოლიტიკური მხარდაჭერა. გამოვლენილი პრობლემების შესახებ წარმოდგენილია დასკვნები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: სასურსათო უზრუნველყოფა, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, აგროსასურსათო სექტორი, მდგრადი განვითარება, პრიორიტეტების სქემა.

გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკის მთავარ გამოწვევად კვლავ მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა განიხილება. ათასწლეულის განვითარების მიზნებით მიღწეული შედეგები, როგორც მსოფლიოში, ასევე, საქართველოში, საკმარისი არ აღმოჩნდა სიღარიბის დასაძლევად და სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად.

მსოფლიოს განვითარების ახალი დოკუმენტი „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ სამ ურთიერთდაკავშირებულ პრიორიტეტს მოიცავს: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა¹⁷. მკვლევართა მიერ აღიარებულია, რომ სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, აუცილებელია ეკონომიკური ზრდისთვის. მშპ-ში სოფლის მეურნეობის დარგში ეკონომიკური ზრდა გაცილებით მეტად ამცირებს სიღარიბეს, ვიდრე სხვა დარგში¹⁸. ამასთან, ეკონომიკური ზრდა მდგრადი განვითარების კონცეფციაზე უნდა იყოს დაფუძნებული. თუმცა, მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფისათვის

¹⁷ „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ http://unyd.ge/?page_id=350

¹⁸ Thematic Group on Sustainable Agriculture and Food Systems of the Sustainable Development Solutions Network. 2013. Solutions for Sustainable Agriculture and Food Systems. Technical report for the post-2015 development agenda.

აუცილებელია ამ პრობლემის არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მხარდაჭერის პრობლემების შესწავლა¹⁹. პერსპექტივაში მოსალოდნელია, რომ შემოსავლებისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად მოთხოვნა საკვებზე კვლავ გაიზრდება. გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კი საჭირო იქნება რეალური გარდაქმნები აგროსასურსათო სექტორში²⁰.

საქართველოში აგროსასურსათო სექტორის განვითარების ტემპი დღესაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარების მაჩვენებლებს²¹. ასეთმა ეკონომიკურმა ზრდამ დღემდე ვერ შექმნა ეკონომიკის მდგრადი განვითარების პირობები: საკმაოდ დაბალია აუცილებელი აგროსასურსათო პროდუქტებით დაკმაყოფილების დონე, არსებითად არ გაზრდილა სამუშაო ადგილების რაოდენობა, დაბალია შემოსავლების დონე, კვლავ მაღალია სიღარიბის მაჩვენებლები და სურსათის დეფიციტის შევსება ძირითადად იმპორტული პროდუქტებით ხდება. ქვეყნისათვის განსაკუთრებით აქტუალურია დღის წესრიგით გათვალისწინებული 17 მიზნიდან პირველ ხუთეულში განთავსებული მიზნების მიღწევა: სიღარიბის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოება და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად, საქართველო სასურსათო უზრუნველყოფისა და აგროსასურსათო სექტორის მდგრადი განვითარების თვალსაზრისით ახალი გამოწვევების წინაშე დადგა.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია სასურსათო უზრუნველყოფის სფეროსა და აგროსასურსათო სექტორში არსებული პრობლემების გამოვლენით მდგრადი განვითარების პრიორიტეტების დადგენა.

კვლევის მეთოდები. კვლევის პროცესში გამოყენებულია სამაგიდე კვლევის, ასევე, ანალიზის, სინთეზის, ინტერვიუსა და სხვა მეთოდები. თვისებრივი კვლევის მეთოდით ჩატარებულია ჩადრმავებული ინტერვიუები ფერმერებთან და აგრარული სექტორის ექსპერტებთან.

მოსახლეობისათვის სასურსათო უზრუნველყოფისა და აგროსასურსათო სექტორის მდგრადი განვითარება ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდის შესაძლებლობაა. ამ კეთილდღეობას ადამიანები იყენებენ ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ინფრასტრუქტურული განვითარების და გარემოს დაცვის საკითხებში.

საქართველოში აგროსასურსათო სექტორის განვითარების პრიორიტეტებს უპირველესად საფუძვლად უნდა დაედოს მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის პრინციპები. ამით სექტორის განვითარებაში არსებული პრობლემების გადაჭრა სისტემური მიდგომებისა და აგროსასურსათო ბაზრების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზით იქნება შესაძლებელი. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიის შესაბამისად, „აგროსასურსათო სექტორის განვითარება მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას“²².

აგროსასურსათო სექტორის მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულია სოფლად სიღარიბის დაძლევა, უმუშევრობის შემცირება და სურსათის დეფიციტის აღმოფხვრა. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს დადებითი სავაჭრო ბალანსის ფორმირებას, ადგილობრივი წარმოების ზრდით გამოიწვევს იმპორტის ჩანაცვლებას, ხოლო მოსახლეობის შემოსავლების გადიდებით უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

მდგრად სასურსათო უზრუნველყოფას სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს, მათგან უმნიშვნელოვანესია სოფლის მეურნეობის განვითარება. გლობალური ეკონომიკის პირობებში მკვლევარები განიხილავენ უშუალო კავშირს სოფლის მეურნეობასა და სურსათით უზრუნველყოფას შორის. მოსახლეობის ზრდა, ურბანიზაცია კიდევ უფრო აქტუალურს ხდის სასურსათო უზრუნველყოფის მდგრადი განვითარების აუცილებლობას²³.

აგროსასურსათო სექტორსა და მდგრად სასურსათო უზრუნველყოფას შორის დამოკიდებულების განხილვისას მეცნიერები მთავარ გამოწვევად მიიჩნევენ:

¹⁹ KPMG International. 2013. The agricultural and food value chain: Entering a new era of cooperation. www.kpmg.com

²⁰ Dobermann, A. & Nelson, R. 2013. Opportunities and Solutions for Sustainable Food Production. Sustainable Development Solutions Network Thematic Group on Sustainable Agriculture and Food Production.

²¹ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015 - 2020 წწ. გვ. 11.

²² საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015 - 2020 წწ.

<http://www.moa.gov.ge/7/Strategy>

²³ KPMG International. 2013. The agricultural and food value chain: Entering a new era of cooperation. www.kpmg.com


1. სურსათის დანაკარგების შემცირებას. ეს მაჩვენებელი სურსათის მთლიანი რაოდენობიდან 30-40% საზღვრებში მერყეობს. ამის გამო აგროსასურსათო ბაზრებზე დიდი რაოდენობით პროდუქტი არ მოქმედებს მომხმარებელს, შესაბამისად, იგი განიხილება როგორც სურსათის დანაკარგი.

2. სურსათის მიწოდების სფეროში მიზნების სწორად შერჩევას. ადამიანებს ესაჭიროებათ სურსათის ის რაოდენობა, რაც დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. აუცილებელია სწორად მოხდეს მიწოდების ჯაჭვის მიხედვით სურსათის გადანაწილება და ჯანსაღი პროდუქტების შეთავაზება.

3. სურსათის ფასებს. გასათვალისწინებელია სურსათზე ფასების მერყეობა საბაზრო პირობების მიხედვით.

4. მთავრობის ჩარევას. ხშირად საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები/სრულყოფა აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და გასაღების სფეროებში. ასევე მნიშვნელოვანია სექტორის საბიუჯეტო მხარდაჭერაც²⁴.

საქართველო ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის უთანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური ქვეყანაა. 2015 წელს წინა წელთან შედარებით საშუალოდ 2-4%-ით არის გაზრდილი მემცენარეობასა და მეცხოველეობაში წარმოების მაჩვენებლები (იხ. დიაგრამა 1)²⁵, მაგრამ ეროვნული აგროსასურსათო პროდუქტების უსაფრთხოების პრობლემები კვლავ მოუგვარებელია.




დიაგრამა 1. სოფლის მეურნეობის, ნადირობის, სატყეო მეურნეობისა და მეთევზეობის პროდუქტების გამოშვება, მლნ ლარი

საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტების თვით-უზრუნველყოფის კოეფიციენტები და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები მოუგვარებელია. მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები დაბალია ხორბალზე, მცენარეულ ზეთზე, ფრინველის ხორცზე (17%-დან 31%-მდე), შედარებით მაღალია ბოსტნეულზე, მსხვილფერა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, კარტოფილზე (67%-დან 91%-მდე).

ისტორიულად საქართველოში, აგროსასურსათო სექტორი გადამწყვეტ როლს ასრულებდა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში. თუმცა, ბოლო პერიოდის მონაცემები გვიჩვენებს, რომ დღეს სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები დაბალია (იხ. დიაგრამა 2).


²⁴ Giovannucci, D., Scherr, S., Nierenberg, D., Hebebrand, C., Shapiro, J., Milder, J. & Wheeler, K. 2012. Food and Agriculture: The future of sustainability.

²⁵ www.geostat.ge



დიაგრამა 2. ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები საქართველოში²⁶

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი სასურსათო ბაზარი კვლავ უცხოური პროდუქტებით არის გაჯერებული და აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის თვალსაზრისით უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს. საქართველოში ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ იმპორტის მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება ექსპორტს და აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებულია დინამიკაში (იხ. დიაგრამა 3).



დიაგრამა 3. ექსპორტისა და იმპორტის დინამიკა 2013-2015წლებში თვეების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)

ადგილობრივი წარმოების ზრდა და ექსპორტის სტიმულირება სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესებისა და დადებითი სავაჭრო ბალანსის ფორმირების მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იქნება.

მკვლევარები განიხილავენ რამდენიმე ფაქტორს, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის მიმართულებით:

²⁶ დიაგრამა აკებულია მონაცემების საფუძველზე www.geostat.ge

1. საჭიროა შემუშავდეს შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც მაღალხარისხიანი პროდუქტის მიწოდებას დააყვავდებულებს მიმწოდებლებს;

2. აუცილებელია სასურსათო სისტემების მუშაობა მდგრადი განვითარების კონცეფციის შესაბამისად;

3. მნიშვნელოვანია, გატარდეს რეფორმები, რომელიც ხელს შეუწყობს გრძელვადიან პერიოდში მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის შენარჩუნებას²⁷.

მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის მიღწევა შეუძლებელია აგრარული სექტორის განვითარების გარეშე. დღეს საქართველოში ამ დარგში დაბალია მწარმოებლურობის დონე და მაღალია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებლები. დარგის განვითარებისათვის პრიორიტეტულია ფერმერული მეურნეობების განვითარება. მკვლევარები დობერმანი და ნელსონი ფერმერული მეურნეობების განვითარების პრიორიტეტულობას აუცილებელ პირობად მიიჩნევენ მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფისათვის²⁸. მეცნიერები აფასებენ სასურსათო წარმოების ზრდის მთავარ მიზნებს და ამასთან მნიშვნელოვნად განიხილავენ წყლის, ენერჯის, სამედიცინო საშუალებების და მიწის უტილიზაციასაც. ისინი ასაბუთებენ რა ფერმერული მეურნეობების განვითარების აუცილებლობას, მიაჩნიათ, რომ ძირითადად ამ გზით არის შესაძლებელი სურსათზე გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

პერსპექტივაში მოთხოვნა საკვებზე აუცილებლად გაიზრდება შემოსავლებისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად. სოფლის მეურნეობა საჭიროებს გარდაქმნებს, რათა დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნა. გარდაქმნებისათვის აუცილებელია ინვესტიციები. 2016 წლის III კვარტლის მონაცემებით სოფლის მეურნეობაში ინვესტიციებმა 3 მლნ დოლარი შეადგინა²⁹, რაც ინვესტიციების მთლიანი მოცულობის მხოლოდ 0,6%-ია და საგრძობლად ჩამორჩება ეკონომიკის სხვა სექტორებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობას. სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოცულობის გაზრდა საშუალებას მისცემს მოსახლეობას, გადალახოს პრობლემები, რომლებიც უკავშირდება ჯანმრთელობის, განათლების, ეკონომიკური და სოციალური ზრდის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის პრობლემებს.

სასურსათო უზრუნველყოფისა და აგრარული სექტორის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ფაქტორია ფასები. ბოლო წლებში სურსათზე ფასების ზრდა მეცნიერებისა და პოლიტიკოსების მსჯელობის საგანი გახდა. საერთაშორისო სასურსათო ბაზრებზე სწორედ ფასების ცვლილებას განიხილავენ, როგორც სასურსათო უზრუნველყოფის მთავარ გამოწვევას³⁰.

საქართველოში სამომხმარებლო კალათის 30% სურსათზე მოდის. ევროზონაში ეს მაჩვენებელი 15%-ს არ აღემატება³¹. ასეთ პირობებში სურსათზე ფასების ზრდა განსაკუთრებით მგრძობიარეა საზოგადოებისათვის. სურსათზე ფასების მატებას იწვევს აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის ზრდა და შიდა ბაზარზე სურსათზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია. საბოლოოდ ეს პროცესები აისახება საარსებო მინიმუმისა და ინფლაციის მაჩვენებლების ინდიკატორებში. 2016 წლის მონაცემებით სასურსათო სფეროში ინფლაცია თითქმის 2,5-ჯერ აღარაბებს არასასურსათო საქონლის ინფლაციას. 2016 წლის სექტემბერში სურსათი დაახლოებით 8,4%-ით გაძვირდა 2015 წლის სექტემბერთან შედარებით, ხოლო არასასურსათო საქონელი მხოლოდ 3,3%-ით. ამავე პერიოდში საარსებო მინიმუმი 5,5%-ით გაიზარდა³². მაშასადამე, სურსათის ფასების ზრდა აღემატება საარსებო მინიმუმის ზრდას. ფასების ზრდისა და ინფლაციის ტვირთი ყველაზე მძიმედ აისახება დაბალშემოსავლიან ოჯახებსა და შინამეურნეობების ბიუჯეტზე. შესაბამისად ასეთი ოჯახებისთვის ფასების 1%-ით ზრდა მნიშვნელოვნად აუარესებს მსყიდველობითუნარიანობას.

სასურსათო უზრუნველყოფისა და აგროსასურსათო სექტორის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ გამოწვევად არასაკმარისი საბიუჯეტო მხარდაჭერის პოლიტიკაც უნდა განვიხილოთ. ევროკავშირთან

²⁷ International Panel of Experts on Sustainable Food Systems. 2015. The New Science of Sustainable Food Systems – Overcoming Barriers to Food Systems Reform.

²⁸ Dobermann, A. & Nelson, R. 2013. Opportunities and Solutions for Sustainable Food Production. Sustainable Development Solutions Network Thematic Group on Sustainable Agriculture and Food Production.

²⁹ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, 2016 წელი, III კვარტალი, www.geostat.ge

³⁰ International Panel of Experts on Sustainable Food Systems. 2015. The New Science of Sustainable Food Systems – Overcoming Barriers to Food Systems Reform.

³¹ ი. არჩვაძე, „სოფლის მეურნეობა ჯერჯერობით ეკონომიკის ყველაზე სუსტ რგოლად რჩება“ <https://bnp.ge/finanssebi/7141-sursathis-fasebis-inflacia-arasasursatho-saqonelze-25-jer-metia.html>

³² www.geostat.ge

შედარებით სოფლის მეურნეობის საბიუჯეტო დახმარება საქართველოში მცირეა³³. 2012 წლამდე საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორი პრიორიტეტად არ განიხილებოდა, შესაბამისად ამ სექტორისთვის გაწეული საბიუჯეტო ხარჯებიც ცვალებადი და თანაც მცირე, კერძოდ, საერთო ხარჯების 0.44% იყო. 2012 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგად გამოცხადდა და ეს მაჩვენებელი 2015 წლისთვის 3.0%-ის ოდენობით დაიგემა³⁴, თუმცა, ეს საკმარისი არ არის მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის მისაღწევად.

კვლევით შედეგი დასკვნები და რეკომენდაციები გამოვლინდა:

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების დღევანდელი დონე ვერ უზრუნველყოფს მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის მიღწევას. აუცილებელია დარგში მწარმოებლურობის გაზრდის თვალსაზრისით გარდაქმნების განხორციელება.

ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები საქართველოში დაბალია და რამდენჯერმე ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს. მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის მთავარი გამოწვევაა სოფლის მეურნეობის, მათ შორის ფერმერული მეურნეობების, განვითარება, წარმოების მასშტაბზე ორიენტაცია, სასურსათო და მიწის ბაზრების განვითარება და სხვა;

აგრარულ სექტორში გამოყენებული ინვესტიციების მოცულობა მცირეა და ფერმერებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია გრძელვადიანი კრედიტები. ინვესტიციების გაზრდა გამოიწვევს დარგში გამოყენებული ტექნოლოგიების გაუმჯობესებას და მწარმოებლურობის ამაღლებას, გაადვილებს ეკონომიკური და სოციალური ზრდის, სასურსათო უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პრობლემების მოგვარებას. ფერმერებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს გრძელვადიანი სესხები, საჭიროა შეიქმნას შესაბამისი დაზღვევის მექანიზმები.

- სურსათზე ფასების ზრდა აღემატება საარსებო მინიმუმის ზრდას. ფასების ზრდისა და ინფლაციის ტვირთი მიმდებარე აისახება დაბალშემოსავლიან ოჯახებსა და შინამეურნეობების ბიუჯეტზე და მნიშვნელოვნად მცირდება მსყიდველობითი უნარიანობა. ფასების სტაბილურობის მიღწევა მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის პირობაა.

- არასაკმარისია სახელმწიფოს მხრიდან დარგის ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერა. აუცილებელია საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდა, მნიშვნელოვანია ფერმერული მეურნეობების შესახებ კანონის მიღება, სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ბუნდოვანი კანონების სრულყოფა.

- შეუსწავლელია ექსპორტის სტიმულირების პროგრამების სახეობები და განხორციელების ეტაპები. მიზანშეწონილია ადგილობრივი წარმოების ზრდის სტიმულირება შესაბამისი პროგრამების გამოყენებით.

დასაბუთებული, ეფექტიანი სასურსათო უზრუნველყოფისა და აგრარული სექტორის მდგრადი განვითარების კონცეფციის შექმნა გამოიწვევს მოსახლეობის ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის დონის გაუმჯობესებას, ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის გაზრდას, ადგილობრივი წარმოების ზრდით ექსპორტის ჩანაცვლებას, სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

*Eter Kharaisvili
Ekaterine Zviadadze*

PRIORITIES FOR FOOD SECURITY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF AGRICULTURAL SECTOR IN GEORGIA

Summary

The paper evaluates the role of food security and sustainable development of agricultural sector in improving welfare of the population. Production parameters in agriculture in Georgia and the indicators of self-sufficiency of key agricultural products are analyzed and based on the comparative analysis of these figures and corresponding European data the problems of food security are discussed.

Based on the research and expert interviews, the problems facing food security and sustainable development of agricultural sector are identified; in particular, these are low level of agricultural development, small-scale farming, high prices on agricultural products, high inflation rate, undesirable ratio of export and import of agricultural products, low investments, and weak political and budgetary support for the agricultural sector. Conclusions are made regarding the problems identified and recommendations are suggested.

³³ სოფლის მეურნეობის სტრატეგია: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო, 2014, გვ. 7.

³⁴ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ეკონომიკური თეორიისა და ინოვაციური ეკონომიკის სექცია

ნაწილი არეგატი

სინგაპურისა და მალაიზიის ეროვნული ინოვაციური სისტემები (მის)

ანოტაცია. სტატიაში გაანალიზებულია სინგაპურისა და მალაიზიის ეროვნული ინოვაციური სისტემების ჩამოყალიბების თავისებურებები და განვითარების ეტაპები განხორციელებული სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და უცხოური კაპიტალის ფართომასშტაბიანი მოზიდვის საფუძველზე. ნაჩვენებია, რომ სწრაფი ინოვაციური განვითარება შესაძლებელი გახდა მჭიდრო თანამშრომლობით სახელმწიფო ორგანოებს, კერძო სექტორსა და სამეცნიერო წრეებს შორის და მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინვესტიციებით მეცნიერებაში. შედარებითი მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა სინგაპურის ეის მნიშვნელოვანი უპირატესობა თავის „დიდ მეზობელთან“ შედარებით.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული ინოვაციური სისტემები, ინოვაციური განვითარება, სახელმწიფო ინვესტიციები მეცნიერებაში

სინგაპურისა და მალაიზიის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ისტორია წარმოადგენს ეროვნული ინოვაციური სისტემების „პარადიგმული“ მშენებლობის ერთ-ერთ მაგალითს. ისინი გეოგრაფიულად მეზობლები არიან და თავიანთი ინოვაციური სტრატეგიები ერთმანეთის მსგავსად შეიმუშავეს, ამასთან, მალაიზიამ ბევრ რამეში გამოიყენა ეკონომიკურად უფრო განვითარებული სინგაპურის გამოცდილება.

სინგაპური სამხრეთ აზიის ყველაზე პატარა ქალაქ-სახელმწიფოა 5,18 მილიონი მოსახლეობით, რომელთაგან მუდმივი მცხოვრები მხოლოდ 3,49 მილიონია და რომელმაც სულ რაღაც რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში წარმატებით განახორციელა თავისი ეკონომიკის ტრანსფორმაცია და უკვე XX ს. ბოლოს გადაიქცა აზია-წყნარი ოკეანისა და მთელი მსოფლიოს ერთ-ერთ ლიდერად სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური მაჩვენებლის მიხედვით (მშპ მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე, საინვესტიციო მიმზიდველობა, მუშაობის, ცხოვრებისა და დასვენების პირობები, წიგნიერების დონე და ა. შ.). დამოუკიდებლობის მიღების მომენტში (1963 წ. აგვისტოში) მან დიდი ბრიტანეთისაგან დამოუკიდებლობა მიიღო, 1965 წ. კი დატოვა მალაიზიის ფედერაცია) სინგაპური ძალზე პატარა და იმდენად ღარიბი ქვეყანა იყო, რომ სჭირდებოდა სასამელო წყლისა და სამშენებლო ქვიშის იმპორტიც კი. მეზობელ სახელმწიფოებს არამეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ. მოსახლეობის მესამედი სიმპათიურად იყო განწყობილი კომუნისტებისადმი, რასაც ემატებოდა რესურსებისა და ტერიტორიის სიმცირე. ასეთ სიტუაციაში დამოუკიდებელი არსებობის შენარჩუნება ძალზე სათუო იყო. ამის მიუხედავად ქვეყანამ ეს შეძლო ინოვაციური სტრატეგიის შემუშავებითა და რეალიზაციით, მთავრობის ახალი მეთაურის ლი კუან იუს ხელმძღვანელობით. სტრატეგია გულისხმობდა სინგაპურის გადაქცევას სამხრეთ აზიის ფინანსურ და სავაჭრო ცენტრად და უცხოური ინვესტიციების მაქსიმალურ მოზიდვას.

დღეს სინგაპური საქმიანი აქტივობის ერთ-ერთი მსხვილი საერთაშორისო ცენტრია ფინანსების, ტრანსპორტის, IT ტექნოლოგიების და ბიოტექნოლოგიების სფეროებში.

როგორც არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, განსაკუთრებით კი მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მოღვაწე სინგაპურელი ეკონომისტი პო კამ ვონგი თავის სტატიაში – „ინოვაციური მოდელი სინგაპურის სამრეწველო სექტორში“ – სინგაპურის ეკონომიკურმა განვითარებამ გაიარა ეროვნული ინოვაციური სისტემის 4 ეტაპი, მათგან პირველი (1965-70 წლების შუა პერიოდამდე) – ინდუსტრიული ბიძგის ეტაპი იყო და ხასიათდებოდა მაღალი დამოკიდებულებით ტექნოლოგიების ტრანსფერებზე უცხოური ტრანსეროვნული კომპანიებიდან და მრეწველობის შრომატევადი დარგების განვითარებით.

„ხელოვნური აპარტიდის“ პოლიტიკის განხორციელების შედეგად ყველაზე შრომატევად დარგებში, საზღვარგარეთული ტრანსეროვნული კომპანიების (ტეკ) აქტიური მოზიდვის შედეგად სინგაპურში სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის დაახლოებით 3/4 ახლა ამ კომპანიების საზღვარგარეთული ფილიალების წილად მოდის. ამასთან, უცხოელები ფლობენ სამრეწველო საწარმოების აქციონერული კაპიტალის 60%-ზე მეტს. სინგაპურის ეს მკაცრი სტრატეგიული მიზნობა უცხოურ ტექნოლოგიურ წყაროებზე სამრეწველო განვითარების ადრეულ ეტაპზე, მას სხვა „აზიური ვეფხვების“ წრიდან აშკარად გამოარჩევს.

მიდა ტექნოლოგიური რესურსების განვითარების მეორე ეტაპზე (70-იანი წლების შუა პერიოდთან 80-იანი წლების ბოლომდე) ეროვნული ტექნოლოგიური სტრატეგიის შემუშავებლებმა განსაკუთრებული ყურადღება ადგილობრივი დამამარე დარგების სწრაფი განვითარების სტიმულირებას მიაქციეს, რაც შესაძლებელი გახდა ტეკ-ის მიერ ახალი და განახლებადი ოპერაციებისა და პროდუქციის წარმოებით და ხელშემწყობი დარგების განვითარებით.

მესამე ეტაპი (80-იანი წლების ბოლოდან 90-იანი წლების ბოლომდე) ხასიათდებოდა გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების განვითარებისადმი ყურადღების ამაღლებით საზღვარგარეთული ტრანსნეოლოგიური კომპანიების (ტეკ) ადგილობრივი ფილიალების ბაზაზე, აგრეთვე ადგილობრივი ახალი სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების აქტიური შექმნის გზით IT ტექნოლოგიების, მიკროელექტრონიკის და „სიცოცხლეზე მეცნიერებების“ (life sciens) სფეროში, რომელთა საქმიანობა მიმართული იყო ინოვაციური პროცესების მხარდაჭერისა და ინოვაციური საქმიანობიდან შედეგების მიღებაზე.

მეოთხე ეტაპი, რომელიც 1990-იანი წლების ბოლოს დაიწყო, მდგომარეობდა სინგაპურის ხელმძღვანელობის მიერ მორიგი ამბიციური ამოცანის დასახვაში ეროვნული მაღალტექნოლოგიური წარმოების სწრაფი განვითარების თაობაზე, სამეცნიერო-ტექნოლოგიური კვლევებისა და დამუშავებების ბაზაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებით იმ მახვენებლებისათვის, რომლებიც ტექნოლოგიური ინოვაციებისათვის არის დამახასიათებელი, და დიდი მნიშვნელობის მინიჭებით IT და ბიოლოგიური სექტორისათვის.

ძირითადი სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკის საერთო კოორდინაციას, არის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ეროვნული საბჭო (WSTB). ამის გარდა, პრიორიტეტული ტელესაკომუნიკაციო სფეროს განვითარების მხარდაჭერისათვის შექმნილი კომუნიკაციური ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალური სამინისტრო ორ სამთავრობო სააგენტოსთან ერთად.

1996 წ. სინგაპურის მთავრობამ გამოაცხადა ახალი გრძელვადიანი პროექტის – ინოვაციური პროგრამის – განხორციელების თაობაზე, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფართომასშტაბიანი სამეცნიერო-ტექნოლოგიური ბაზის განვითარება ქვეყანაში კრეატიული კვლევების სტიმულირებისათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სინგაპურში ბიოტექნოლოგიური ინოვაციების დანქარებული განვითარების პროგრამა. მისმა ინიციატორმა სახელმწიფო იდეოლოგიებმა დასახა მორიგი ამბიციური მიზანი – ბიოსექტორის ყოველწლიური 6%-იანი ზრდა, რომლის მისაღწევად შემუშავდა ახალი პროექტების სახელმწიფო დაფინანსების ფართომასშტაბიანი ცალკე სქემა.

წამყვანი უცხოური კომპანიების მოსაზიდად სინგაპურის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების (სკსს) განახორციელებლად შეიქმნა სპეციალური „Biomedical Science Investment Fund“ 600 მლნ აშშ დოლარი სასტარტო კაპიტალით, ასევე, მიზნობრივი ვენჩურული კომპანია „Singapore Bioinnovatives“ (SBI) 21 მილიარდი აშშ დოლარი კაპიტალით, რომელიც გამოიზიდაა როგორც ახალი ეროვნული კომპანიების შექმნის მხარდასაჭერად, ისე სხვადასხვა უცხოურ ბიოტექნოლოგიებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

სინგაპურის მთავრობის სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივას წარმოადგენს კვლევითი აღიანსების აქტიური შექმნა დასავლურ წამყვან ბიოტექნოლოგიებთან. მათგან ერთ-ერთია მსოფლიოს უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანიის Eli Lilly-სა და სინგაპურის ეროვნული უნივერსიტეტის აღიანსი ერთობლივი სამედიცინო კვლევების ჩატარების მიზნით.

სინგაპურის ეფექტიანი სამეცნიერო-კვლევითი სისტემის აგების გრძელვადიანი პროგრამის განხორციელების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკების განშტოებული ქსელის შექმნა. მათგან პირველი სამეცნიერო პარკი სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ იქნა ჯერ კიდევ 1980 წელს და გახდა მაღალტექნოლოგიური კომპანიების წარმომქმნელი საბაზო ინკუბატორი და ეროვნული სკსს ძირითადი ცენტრი, რომელშიც უპირატესი განვითარება პოვა უფრო გამოყენებითი ხასიათის კვლევებმა, ვიდრე ფუნდამენტურმა.

მრავალწლიანი წარმატებული განვითარებით შთაგონებულმა სინგაპურის მთავრობამ ორი საუკუნის მიჯნაზე განახორციელა კიდევ ერთი ტექნოპარკული პროექტი – „სუფთა ველზე“ ჰაი-ტექ კომპლექსის მშენებლობა, რომელმაც უნდა შეასრულოს უკვე არსებული და ახლად შექმნილი ცენტრების უნივერსალური ინტეგრატორის როლი, უკვე ფუნდამენტურ კვლევებზე ორიენტაციით, რომელზეც 2010-2015 წლებში დაიხარჯა 9 მლრდ აშშ დოლარი.

სინგაპურის ინოვაციური კომპანიები წარმატებით წყვეტენ დიდი ქალაქების პრობლემას და ეს გადაწყვეტილებები მისაღებია არა მხოლოდ ლოკალური, არამედ გლობალური ბაზრისათვის ეფექტიანობისა და ეკოლოგიის თვალსაზრისით. ისინი ეფექტიანად ახორციელებენ საკუთარ პრაქტიკაში შემოწმებული ისეთი ფორმატის გადაწყვეტილებების ექსპორტირებას, რომლის მიხედვითაც განხორციელდა ჩინურ-სინგაპურული ინდუსტრიული პარკის მშენებლობა სუნჯოუში, საერთაშორისო ტექნოპარკისა ბანგალორში (ინდოეთი) და ვიეტნამ-სინგაპურის ინდუსტრიული პარკი.

ჩამდინარე წყლების ინოვაციური უტილიზაციის განხორციელებით, მიწის ფართობის შეზღუდულობის პირობებში, წვიმის წყლის შენახვით, სინგაპურმა შეიმუშავა სხვადასხვა სახის ეკონომიკური და საიმედო წყალმომარაგება, რომელიც ხორციელდება „ოთხი ეროვნული წყაროს“

პროექტის სახელწოდებით და მოიცავს გადამუშავებულ, გამტკიცებულ, დრენაჟირებულ და იმპორტულ წყალს. ამ პროექტმა 2010 წ. პრემია მიიღო „წყლის მეორადი გამოყენების“ სფეროში.

სინგაპურში, ინოვაციური საქმიანობის განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით, შექმნილია სპეციალური საგადასახადო პირობები იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც სამეცნიერო კვლევებს ახორციელებენ. ამის გარდა, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და მოზიდვის მიზნით, რეფორმირებას განიცდის განათლების სისტემა პროექტის „ინოვაციური ერის“ რეალიზაციის ფარგლებში. ინოვაციურ პარკებში კი იქმნება ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციურ საქმიანობას, სკოლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ჩათვლით. სინგაპურის საშინაო ეკონომიკური პოლიტიკა კი ეფუძნება ე.წ. სამ „ვეშაპს“:

- სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას;
- კონფუციურ დინამიზმს;
- საერთაშორისო თანამშრომლობის მაქსიმალურ განვითარებას.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას იმაზეც, რომ სინგაპურში კვლევების დაფინანსება სახელმწიფოს ხარჯზე ხორციელდება. საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ ქვეყანაში 2009 წ. შეიქმნა ეკონომიკური სტრატეგიის სპეციალური კომიტეტი, რომელიც მოწოდებულია, გახდეს საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემმუშავებელი აზრობრივი ცენტრი ინოვაციების სფეროში. მოცემულმა კომიტეტმა, რომელიც წარმოადგენს ერთობლივი (კერძო-სახელმწიფოებრივი) ექსპერტების კომისიას, განსაზღვრა სინგაპურის განვითარების საბაზო სტრატეგია უახლოესი წლებისათვის:

- ცოდნის წარმოების მხარდაჭერა;
- ახალი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა;
- კვლევებსა და დამუშავებებზე ხარჯების ზრდა მშპ 3%-დან 3,5%-მდე.

პროგნოზების მიხედვით, 2020 წ. ნაგარაუდგეია საქმიანი აქტივობის ცენტრის გადანაცვლება ევროპიდან და ამერიკიდან აზიაში (მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 60%-მდე). რამდენადაც სინგაპური სტრატეგიულად აზიისა და მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შუაგულშია, ეს კიდევ უფრო განამტკიცებს მისი, როგორც ცენტრის პოზიციებს.

თავის მხრივ, მაღალიზიის ეროვნული ინოვაციური სისტემის (ეის) განვითარებისა და განმტკიცების სტრატეგია ეფუძნება სპეციალურ პროგრამას, Vision 2020-ს, რომელიც მისი ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან გეგმას წარმოადგენს. ამასთან, ქვეყნის ხელისუფლების მიერ, მრავალი წლის მანძილზე, ყურადღების მთავარ ობიექტს წარმოადგენს ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები (იკტ). მაღალიზიის საკვანძო სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებიც ახდენენ პოლიტიკის კოორდინაციას ამ სფეროში, წარმოადგენენ, – მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამინისტრო (NITC), ინფორმაციის სამინისტრო და მაღალიზიის განვითარების კორპორაცია.

1994 წ. შექმნილი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამინისტრო (NITC) წარმოადგენს სახელმწიფო სტრატეგიის მთავარ შემმუშავებელს ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების (იკტ) სფეროში და იმართება უშუალოდ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მიერ. მაღალიზიის განვითარების კორპორაცია ხელმძღვანელობს მაღალიზიის ეკონომიკის საკვანძო სამეცნიერო-ტექნოლოგიური კლასტერის სინგაპურის ტექნოპარკული სისტემის თავისებური „გაფართოებული ვერსიის“ მულტიმედია სუპერკორიდორის (Multimedia SuperCorridor (MSC)) – მუშაობას. მულტიმედია სუპერკორიდორში ფორმალურად შედის მაღალიზიის დედაქალაქი კუალა-ლუმპუსი და ხუთი პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტი: ტყუპი კომპლექსი Petzonas, ახალი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დედაქალაქი პუტრაჯაია, ფუტურისტული „ჰაკვიანი კვლევებისა და განვითარების ქალაქი“ კიბერჯაია, მაღალიზიის ტექნოლოგიური პარკი და კიდევ ერთი დედაქალაქური კომპლექსი – კუალა ლუმპური.

1990-იანი წლების დასაწყისიდან მაღალიზიის მთავრობამ მნიშვნელოვნად გაააქტიურა თავისი ძალისხმევა ქვეყნის გადასაქცევად იკტ ერთ-ერთ მსოფლიო ლიდერად მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების დახმარებით რიგ სპეციალურ პროგრამებში, რომელიც ფოკუსირებული იყო იკტ ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური შემადგენელი სექტორის დაჩქარებულ განვითარებაზე. კერძოდ, ახლა მულტიმედია სუპერკორიდორის ფარგლებში პარალელურად ხორციელდება რვა ამბიციური პროექტი, გამოზნული წამყვანი მსოფლიო კომპანიების მოსაზიდად ამ სფეროში, მაღალიზიაში თავიანთი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების შესაქმნელად.

ამის გარდა, დასმული ამოცანის მისაღწევად მაღალიზიის მთავრობა უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ახორციელებს სახელმწიფო დაფინანსების აგრესიული ზრდის პოლიტიკას R&D. ასე მაგალითად, თუ 2000წ. სკსს იხარჯებოდა მშპ 0,5%-ზე ნაკლები, 2010 წელს მან 1,0-ს გადააჭარბა (აბსოლუტურ ციფრებში ინვესტიციების მოცულობა 2000-2011 წლებში 6-ჯერზე მეტად გაიზარდა).

მთლიანობაში, თუ ერთმანეთს შევადარებთ სინგაპურისა და მაღალიზიის ეის, შეიძლება აღვნიშნოთ საერთო ნიშნები მათ სტრატეგიებში. ორივე ქვეყანაში აქცენტი კეთდებოდა უცხოური

მრავალეროვნული კორპორაციების მოზიდვაზე ქვეყნის ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარების მიზნით, ხოლო განვითარების გარკვეულ ეტაპზე ორივე ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკამ გადაინაცვლა ეროვნული ტექნოლოგიური პოტენციალის ზრდის წახალისების მიმართულებით. როგორც სინგაპურის, ისე მალაიზიის მთავრობები ხელს უწყობდნენ და ახლაც უწყობენ და აქეზებენ სამეცნიერო და ხაიტექური პარკების ფართო ქსელის განვითარებას, მუდმივად აბანდებენ მასში სახსრებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

თუმცა, ამავე დროს, შეიძლება რიგი პრინციპული განსხვავების დანახვაც ამ ქვეყნების ეის ევოლუციაში. მათგან სინგაპურის სამრეწველო ტექნოლოგიური პოლიტიკა უფრო წარმატებული და უფრო მრავალფეროვანია. ის ბევრად უფრო დივერსიფიცირებულია დარგებისა და მიმართულებების მიხედვით. საბოლოო ჯამში, სინგაპურის ეის ბევრად უსწრებს თავის „დიდ მეზობელს“, არა მხოლოდ მისი მაღალტექნოლოგიური სექტორის დიდი მოცულობის გამო, არამედ სინგაპურის კომპანიების მიერ გამოშვებული პროდუქციის სირთულთა და წინ წაწევის მასშტაბებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესაძე, ინოვაციები და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგადი მიმართულებები საქართველოში. თსუ, პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის, VIII, თბ., 2015.
2. ნ. არევაძე, სინგაპურის ინოვაციური პოლიტიკის თავისებურებები. თსუ, პ. გუგუშვილის სახელმძღვანელო ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, IX. თბ., 2016.
3. Д. Нармания, М. Схиерели, По стопам Сингапура [http:// birgone, info/ articles 1344631928, php](http://birgone.info/articles/1344631928.php).
4. Селезнев П. С., Инновационная политика современного государства: стратегия, модели, практика. М. 2014, [http:// libray. fa, ry/filey/Seleznev.pdf](http://libray.fa.ru/filey/Seleznev.pdf).
5. Беседан К. В. Сингапурская модель экономики для развития бизнеса на современном этапе. // молодой ученый – 2015 - №2- ст. 253-255 [http:// moluch ru/archive/82/14956/](http://moluch.ru/archive/82/14956/)

Nanuli Arevadze

NATIONAL INNOVATION SYSTEMS OF SINGAPORE AND MALAYSIA Summary

The article analyzes peculiarities and development stages of national innovation systems formation of Singapore and Malaysia implemented on the basis of large-scale attraction of state, private sector and foreign capital. It is shown that close cooperation between state bodies, public sector and scientific circles and significant state investment in science made possible quick innovative development. The analysis of comparative data showed the advantage of national innovation system of Singapore over its „great neighbor“.

გიორგი ბრეგვაძე

თურქეთის ინოვაციური სისტემა

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ეროვნული ინოვაციური სისტემების მოდელები და გაანალიზებულია თურქეთის ინოვაციური სისტემა. შესწავლილია თურქეთის მთავრობის მიერ ეროვნულ ინოვაციური სისტემის ჩამოსაყალიბებლად განხორციელებული სტრატეგია.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული ინოვაციური სისტემა, ინოვაციური განვითარება, სახელმწიფო სტრატეგია

დღეს ეკონომიკური განვითარება ეფუძნება ცოდნას, ხოლო მათი განხორციელება ხდება ეკონომიკური ზრდის და ინოვაციის წყარო. ამასთან, ბევრ განვითარებად ეკონომიკურ ქვეყანაში ეროვნული ინოვაციური სისტემების ფორმირება ახლა მიმდინარეობს.

ეროვნული ინოვაციური სისტემის თეორიის ფუძემდებლად მიჩნეული არიან ფ. ფრიმანი (დიდი ბრიტანეთი. ვესექსის უნივერსიტეტი. სამეცნიერო პოლიტიკის კვლევების ინსტიტუტი), ბ.ა. ლუდვალა (შვეცია, უპასალას უნივერსიტეტი) და რ. ნელსინი (კოლუმბიის უნივერსიტეტი, აშშ). მართალია თითოეული მათგანი თავისებურად განმარტავს ეროვნულ ინოვაციურ სისტემას, მაგრამ ყოველი მათგანი ეფუძნება საერთო მეთოდოლოგიურ პრინციპებს. პირველი ეკონომიკის განვითარებაში საგანგებო როლს ასრულებს ცოდნა, მეორე, ეკონომიკის დინამიკური განვითარებისათვის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მეწარმეებს შორის კონკურენცია, რომლის საფუძვლებსაც ინოვაცია წარმოადგენს. მესამე, ინოვაციური საქმიანობის ინსტიტუციური კონტექსტი პირდაპირ ახდენს გავლენას მის შინაარსსა და სტრუქტურაზე.

მსოფლიოში არსებული ეროვნული ინოვაციური სისტემების ანალიზი საშუალებას იძლევა, გამოიყოს ეროვნული ინოვაციური სისტემების ოთხი ტიპი. პირველი - „ევროატლანტიკური“, მეორე „აღმოსავლეთ აზიური“, მესამე „ალტერნატიული“ და მეოთხე „სამმაგი სპირალი“.

„ევროატლანტიკური“ მოდელი წარმოადგენს მთლიანი ინოვაციური ციკლის მოდელს. ინოვაციური იდეის წარმოქმნიდან მზა პროდუქციის მასიურ წარმოებაამდე. იმ ქვეყნებში, რომლებიც ამ მოდელს იყენებენ, როგორც წესი, წარმოდგენილია ინოვაციური სისტემის სტრუქტურის ყველა კომპონენტი. ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერება, კვლევები და გამოგონებები, საცდელი ნიმუშების შექმნა და მასიური წარმოებაში ჩაშვება. ამ მოდელს იყენებენ განვითარებული ქვეყნები, რომლებიც ლიდერობენ მსოფლიო ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის რეიტინგებში. ესენია - დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და ა.შ.

„აღმოსავლეთ აზიური“ მოდელი ინოვაციური განვითარების ის მოდელია, სადაც ინოვაციურ ციკლში გამოტოვებულია ფუნდამენტური იდეის ფორმირება. ამ მოდელის საფუძვლებში მთლიანადაა უგულვებლყოფილი ფუნდამენტური მეცნიერებისა და ნაწილობრივ გამოყენებითის როლი. ეს მოდელი გამოიყენება აღმოსავლეთ აზიის რეგიონის ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: იაპონია, სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, ტაივანი. ორიენტირებული არიან რა მაღალტექნოლოგიური პროდუქტის ექსპორტზე, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, როგორც წესი, ტექნოლოგიებს იღებენ იმ ქვეყნებიდან, რომელთაც აქვთ „ტრადიციული“ მოდელი. ამის კლასიკური მაგალითია იაპონიის ინოვაციური განვითარების სისტემა.

ეროვნული ინოვაციური განვითარების „ალტერნატიული“ მოდელი უპირატესად გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, სადაც უფრო მეტად არის განვითარებული სოფლის მეურნეობა, რომელთაც არ გააჩნიათ პოტენციური ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებაში და არ აქვთ ნედლეულის მდიდარი მარაგები, გადამუშავების ტექნოლოგიები, რომელთა გაყიდვებიც შეიძლება ყოფილიყო ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საფუძველი. ამიტომ, ასეთ ინოვაციურ სისტემებში სუსტად არის წარმოდგენილი, ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი არა მარტო ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერება, არამედ მაღალტექნოლოგიური კომპონენტი, როგორც ასეთი. არ არიან რა მზად, მიღწიონ რაიმე ხელსაყრელ შედეგებს ახალი ტექნოლოგიების შექმნის მიზნით, ეს ქვეყნები თავის ინოვაციურ პოლიტიკაში აქცენტს აკეთებენ კადრების მომზადებაზე ისეთ სფეროებში, როგორცაა ეკონომიკა, ფინანსები, მენეჯმენტი, სოციოლოგია და შრომის ფსიქოლოგია, ასევე ისეთი დარგების განვითარებაზე, როგორცაა მსუბუქი მრეწველობა, კრეატიული ინდუსტრია და რეკრეაცია. დიდი ყურადღება ექცევა ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმომადგენლობებისათვის, საერთაშორისო ბანკებისა და საერთაშორისო პოლიტიკური სტრუქტურებისათვის მენეჯმენტის კადრების მომზადებას. ამ მოდელის გამტარებელ ქვეყნებს მიეკუთვნება ტაილანდი, ჩილე, თურქეთი, პორტუგალია.

და, ბოლოს, მოდელი „სამმაგი სპირალი“, რომელმაც განვითარება პოვა მხოლოდ აშშ-ში. ამ მოდელს აქვს პრინციპული განსხვავება აქ ჩამოთვლილ მოდელებთან შედარებით არა მხოლოდ ეროვნული ინოვაციური სისტემების სტრუქტურაში, არამედ მათი ცალკეული ელემენტების ზემოქმედების მექანიზმებითაც. ამჟამად ამ მოდელის ცალკეული ელემენტების ფორმირების პროცესი იწყებს განვითარებას დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასა და იაპონიაში.

თურქეთის ეკონომიკა ბოლო წლებში დინამიურად სტაბილური განვითარების ტენდენციით ხასიათდება. თუ ადრე ამ ქვეყნის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობა დომინირებდა, დღეს მრეწველობაც საკმაოდ კარგად არის განვითარებული. ასევე მომსახურების სექტორი და საგანგებო აღნიშვნის ღირსია ტურიზმი, რაც ბოლო წლებში ძალზე განვითარდა.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული, თურქეთი აქტიურად იწყებს მუშაობას ეროვნული ინოვაციური სტრატეგიის ფორმირებისათვის. აკეთებს რა აქცენტს ინოვაციური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაზე 1963 წ. ქვეყანაში შეიქმნა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საბჭო (TUBITAK): ეს არის ცენტრალური ორგანო, რომელიც პასუხს აგებს სამეცნიერო კვლევებსა და ტექნოლოგიის განვითარებაზე. საბჭოს გააჩნია დიდი უფლებები ინოვაციურ სფეროში - სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრიდან დაწყებული, ახალგაზრდა ტალანტების მოძიებისა და მხარდაჭერით დამთავრებული. ესაა სტაჟირების ორგანიზება, ოლიმპიადები და ა.შ. ასევე ესმარება მათ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებაში და მონოგრაფიების დაბეჭდვაში. საბჭოს შიგნით მოქმედებს რვა კომიტეტი, სადაც შედიან მეცნიერების შესაბამისი დარგების სპეციალისტები. კომიტეტებს უფლება აქვთ, არა მარტო გაანაწილონ საგრანტო დაფინანსებები, არამედ განახორციელონ ინოვაციური ექსპერტიზის ფუნქციები. გარდა ამისა TUBITAK-ის ფარგლებში შექმნილია ეროვნული აკადემიური ქსელი, დოკუმენტური ცენტრი და ასევე მთელი რიგი ლაბორატორიები.

2011 წელს მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო გაფართოვდა და ეწოდება მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის სამინისტრო, რომელიც ახლა კურირებს თურქეთის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ტექნოლოგიურ კვლევებში.

2011 წელს სახელმწიფო საგეგმო სააგენტო გადაკეთდა განვითარების სამინისტროდ და ამჟამად პასუხს აგებს სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების ინოვაციური სექტორის ბიუჯეტის მომზადებაზე, რომელიც 2012 წელს შეადგენდა 1.7 მილიარდ აშშ დოლარს და ასევე კოორდინაციას უწევს განვითარების რეგიონულ სააგენტოებს.

თურქეთის აკადემიის სამეცნიერო საბჭო იკრიბება პრემიერმინისტრის ხელმძღვანელობით. მაგ., 2013 წელს სხდომა ეძღვნებოდა ენერგეტიკას. 2014 წელს ჯანდაცვას. მათი საქმიანობა რეგულირდება ეროვნული მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების სტრატეგიით (2011 – 2016), რომელსაც დაწესებული ჰქონდა შემდეგი დარგობრივი პრიორიტეტები. ესენია ავტომობილების მრეწველობა, მოწყობილობების წარმოება. ასევე დასახულია შემდგომი განვითარების მიმართულებები, ესენია თავდაცვა, კოსმოსი, ჯანდაცვა, ენერგეტიკა, წყალი და საკვები პროდუქტები.

განათლების სისტემა თურქეთში დასავლეთის ქვეყნების მსგავსია. თურქეთის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, ისწავლოს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სასწავლებლებში. სკოლამდელი აღზრდა მოიცავს 3-5 წლამდე საბავშვო ბაღებსა და ნულ კლასებს. დაწყებითი სკოლა მოიცავს 6-14 წლამდე და წარმოადგენს სავალდებულო 8 წელს. ყველა სახელმწიფო სკოლა თურქეთში უფასოა. 8 კლასის დამთავრების შემდეგ ეძლევათ დიპლომი. არსებობს კერძო დაწყებითი კლასებიც, კოლეჯები, სადაც სწავლა უფრო გაძვირებული პროგრამით მიმდინარეობს და სწავლის საფასური შეადგენს 1000 ლირიდან და მეტი თვეში.

საშუალო სკოლაში სწავლება მოიცავს 3 წელს ზოგად განათლებას და ერთ წელს პროფესიულ-ტექნიკურ კოლეჯებში. 12 კლასის დამთავრების შემდგომ აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს და შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც მრავლადაა თურქეთში (118 უმაღლესი სასწავლებელი). უმაღლესი სასწავლებლის სისტემა თურქეთში ისეთივეა დაახლოებით, როგორც ევროპის ქვეყნებში და საქართველოში. თითქმის ყველა პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში სწავლება მიმდინარეობს თურქულ და ინგლისურ ენაზე.

თურქეთი დღეს არ დგას იმ ქვეყნების რიგში, რომლებიც საგრძნობლად გამოირჩევიან ეროვნული ეკონომიკის ინოვაციური პროდუქტიულობით. მაგრამ წარმოადგენს საგრძნობლად ეფექტური ინოვაციური სისტემის სტრუქტურულიზაციის მაგალითს.

Global Compo 2011-2012 წელს გამოქვეყნებული მასალებით კონკურენტუნარიანობის მიხედვით მსოფლიო რეიტინგში თურქეთმა 59-ე ადგილი დაიკავა 142 ქვეყანას შორის, ხოლო ისეთ საკითხში, როგორცაა „ინოვაცია და ეკონომიკური ცოდნის განვითარება“- მას უკავია 58-ე ადგილი. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხის მიხედვით 89-ე ადგილზეა, ხოლო სამეცნიერო კადრების და ინჟინერთა კადრების მომზადების მხრივ 44-ე ადგილზე. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტების მონაცემებით საკუთარი გამოგონებები თურქეთში ცოტაა, ვიდრე ნაყიდი ლიცენზიები. ამ მხრივ 55-ე ადგილზეა, ხოლო სამეცნიერო შრომების პუბლიკაციების მიხედვით თურქეთმა დიდი ნაბიჯი გადადგა და 44-ე ადგილიდან 23-ე ადგილზე გადავიდა.

„სტრატეგიული განვითარება 2023“ - თურქეთის განვითარების ძირითადი მიზნები, შემუშავდა 2008 წელს. ამ პროგრამის მიხედვით თურქეთს დიდი ამბიციური გეგმები გააჩნია. მაგალითად, მშპ - ერთ ნულზე (აშშ დოლარებში) 2012 წლიდან - რაც შეადგენდა 10666, 2023 წლისთვის 25000 მდე უნდა გაიზარდოს, ხოლო პროდუქციის ექსპორტი (მლრდ აშშ დოლარი) 2012წ. – 152, ხოლო 2023 წლისთვის 500-მდე გაზრდას ელოდებიან. მეცნიერთა რაოდენობა 2012 წ. იყო 72109, ხოლო 2023 წლისთვის უნდა გაიზარდოს 176000 -მდე.

დღეს თურქეთის უმაღლესი სასწავლებლები წარმოადგენენ „სამეცნიერო-კვლევითი შრომებისა და გამოგონებების“ მთავარ შემსრულებლებს (64,3%), რაც მაღალი მანევრებელია ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით.

უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით შექმნილია ტექნოპარკები, რომლებიც ბიზნესის ხელშეწყობის საქმეში თურქეთის მთავრობის მთავარი თემაა. პირველი ასეთი ტექნოპარკები ჯერ კიდევ 2001 წელს შეიქმნა ანკარაში და ქოჯაელში - თურქეთის ტრადიციულ სამრეწველო ცენტრებში.

2013 წლისათვის თურქეთში აღირიცხებოდა 43 ტექნოპარკი, რომელთაგან 32 იყო მოქმედი, მათი რაოდენობა 2014 წლისათვის უკვე 52 შეადგენდა. თურქეთის ტექნოპარკები მოიცავენ დაახლოებით 2500 ფირმას, მათ შორის 9 ფლობს უცხოურ კაპიტალს. 2013 წელს მათ მოიზიდეს 23000 სამეცნიერო პერსონალი, ხოლო ექსპორტიდან შემოსავალმა შეადგინა 1.5 მილიარდი დოლარი (მთლიანი შემოსავლის 1%). მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ციფრები შთამბეჭდავია, უკანასკნელი მოსვენებები ამ საკითხებში კრიტიკულად აფასებს თურქეთში მიმდინარე ტენდენციებს. ასე რომ, გაიზარდა უნივერსიტეტები, რომლებიც ხსნიან ტექნოპარკებს მხოლოდ იმისათვის, რომ იბრძოლონ პროფესიული მმართველობისა და ადეკვატური დაფინანსებისათვის. მოსვენებებში აღნიშნულია, რომ, სამწუხაროდ, არ არსებობს ამ ტექნოპარკების ეფექტურობის შეფასების მაჩვენებლები. ასევე არ არსებობს გამოქვეყნებული ისეთი მონაცემები, როგორცაა დანახარჯები და საგადასახადო შედავათები იმ ფორმების მიმართ, რომლებსაც მხარს სახელმწიფო უჭერს. 2009 წლის სახელმწიფო

კომიტეტის აუდიტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ აუცილებელია არსებული პროგრამების მდგომარეობის მიუკერძოებელი შეფასება. ეს ასევე დაამტკიცა 2012 წელს მოხსენებაში მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის სამინისტროს ინსპექტორმა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, თურქეთი დღეს მდგრადი და დინამიკური ეკონომიკური განვითარების გზას ადგას და ყოველგვ ამაში იმ ინოვაციურ სისტემებსა და სტრატეგიას შეაქვს თავისი წვლილი, რომელიც თურქეთის მთავრობის მიერ ხანგრძლივი დროის მანძილზე მზადდებოდა და მხარდაჭერით ხორციელდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ბრეგვაძე, თურქეთის ინოვაციური პოლიტიკა, პ. გუგუშვილის ეკ. ინსტ საერთაშორისო სამეცნ-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, 2016.
2. Ольга Андриюшевич, Модели формирования национальных инновационных системы, 2013 г. Капитал страна.
3. Доклад Юнеско по науке 2015 – на пути к 2030 году, стр. 333.

George Bregvadze

THE INNOVATION POLICY OF TURKEY Summary

It is discussed an innovative policy of Turkey, it is shown analyzes of results and method of approaches, which Turkey has reached with new innovative policy development and implementation

ნათა დავლაშერიძე

НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ РЕГИОНАЛЬНОГО ИННОВАЦИОННОГО РАЗВИТИЯ

Аннотация. В работе рассматриваются актуальные вопросы региональной инновационной политики, заключающейся в поиске наиболее рациональных решений, которые смогли бы обеспечить не только расширить бюджетную поддержку сферы R&D как в фундаментальных, так и в прикладных исследованиях, но и принять целый ряд конкретных мер и действий, призванных активизировать процесс превращения нового знания в коммерческие инновационные продукты и технологии. Отмечается, что несмотря на различие инновационной политики в разных странах, она несет огромный положительный потенциал для экономического развития страны, ее отдельные инструменты имеют универсальное применение.

Ключевые слова: инновация, кластер, «инновационные районы» - innovation districts, научно-образовательно-технологический кластер - HOT-кластер, глобализация плюс локализация: think globally – act locally, мейкерство, g-локализация, citizen science и crowd-технологии.

Развитие региональной инновационной системы и разработка соответствующей региональной инновационной политики являются одним из основных условий экономического прогресса на современном этапе. Насколько важны эти вопросы говорит тот факт, что в конце 2016 года американский Фонд информационных технологий и инноваций (Information Technology and Innovation Foundation, ITIF) подготовил набор предложений для администрации Дональда Трампа.

Государственная научно-технологическая политика, как подчеркивают американские исследователи, должна осуществляться сразу на трех основных уровнях — собственно технологическом, промышленно-отраслевом и региональном («пространственном», в оригинале – spacial). При этом главной ее составляющей было и остается стабильное, а в идеале постоянно растущее госфинансирование R&D. Однако, с учетом затянувшегося на многие годы бюджетного кризиса, администрации Белого дома и Конгрессу будет очень нелегко изыскать в обозримом будущем дополнительные финансовые ресурсы для увеличения поддержки научно-технических исследований. Соответственно, наиболее рациональным подходом для руководства страны в сложившейся ситуации, по мнению авторов доклада, должен стать поиск решений, которые смогли бы обеспечить рост КПД уже осуществленных инвестиций и действующих госпрограмм в научно-технической сфере.

В докладе были предложены возможные меры и шаги будущей президентской администрации по трем важнейшим экономическим направлениям:

- стимулирование инноваций,
- повышение производительности,
- усиление конкурентоспособности экономики США.

Если они будут реализованы, региональная политика США в сфере науки, технологий и инноваций может измениться.

Базирующийся в Вашингтоне ITIF был основан недавно, в 2006 году, однако, несмотря на свою молодость, очень быстро сумел занять ведущие позиции в элитном клубе независимых американских центров, спе-

циализирующихся на анализе ключевых научно-технологических трендов и на разработке экономических стратегий. К рекомендациям и советам этого мозгового центра уже внимательно прислушиваются как ведущие американские политики и бизнесмены, так и представители политического истеблишмента других стран мира. Например, в специализированном глобальном рейтинге лучших мозговых центров (2015 Global Go To Think Tank Index Report), опубликованном в феврале 2016 г. Университетом Пенсильвании (University of Pennsylvania), ITIF был признан первой в США и второй в мире (после немецкого Max Planck Institutes) исследовательской организацией в категории «наука и технологии» (Top Science and Technology Think Tanks).

Меньше чем через месяц совместно с другим крупнейшим мозговым трестом США, The Brookings Institution, аналитики ITIF представили куда более подробный доклад «Локализуя экономический эффект R&D: предложения по осуществлению политики для администрации Трампа и Конгресса» (Localizing the economic impact of research and development: Policy proposals for the Trump administration and Congress), в котором обозначены еще 50 политических решений и инструментов (policy actions), призванных содействовать повышению эффективности государственной научно-технологической и инновационной политики крупнейшей мировой державы.

В предисловии к докладу его авторы констатируют вполне очевидную генеральную идею: американскому правительству необходимо не только расширить бюджетную поддержку сферы R&D как в фундаментальных, так и в прикладных исследованиях, но и принять целый ряд конкретных мер и действий, призванных активизировать процесс превращения нового знания в коммерческие инновационные продукты и технологии.

В разделе «Усиление инновационных районов и региональных технологических кластеров» обобщается необходимость решения нескольких основных задач.

По мнению авторов доклада, критически важным компонентом инновационной политики и важнейшим драйвером экономического роста являются региональные технологические кластеры. Впрочем, согласно их трактовке, в экономике XXI века – особенно в наиболее высокотехнологических секторах, таких как lifesciences, компьютерная индустрия, цифровое проектирование, робототехника – на первый план постепенно выходят новые компактные географические зоны, называемые в докладе «инновационными районами» - **innovation districts - ID**. В роли якорных резидентов в **ID** выступают ведущие хайтек-фирмы, стремящиеся максимально сконцентрировать в непосредственной близости от себя (точнее, от своих исследовательских подразделений) различных бизнес-контрагентов, крупные университеты и научные лаборатории, и, как правило, подобные **ID** возникают в городских деловых центрах или непосредственно примыкающих к ним кварталах, то есть в плотно заселенных районах, являющихся наилучшим логистическим вариантом с точки зрения возможностей привлечения новой рабочей силы.

Вместе с тем большинство созданных в США вскоре после Второй мировой войны федеральных научно-исследовательских лабораторий располагаются на значительном расстоянии от современных очагов инновационной активности, что весьма затрудняет дальнейшее эффективное взаимодействие между «старыми» и «новыми» центрами научно-технологического развития.

С учетом этого все более заметного дисбаланса, как полагают американские аналитики, остро назрела необходимость серьезного пересмотра и апгрейда государственной кластерной, или регионально-технологической, политики. В этом разделе представлены 15 рекомендаций, призванных помочь новой администрации Белого дома успешно реконфигурировать региональную технологическую стратегию.

Первым в данном списке значится пожелание отдать приоритет в различных бюджетных программах и проектах федеральных агентств поддержке развития **ID**: «Федеральные гранты в сфере инжиниринга, компьютерных наук, lifesciences и прочих ключевых направлений должны в первую очередь предоставляться академическим институтам, расположенным внутри **ID** или рядом с ними!» (Prioritize innovation districts within federal R&D outlays; Support technology clusters by assessing and managing local-level federal R&D investments).

Следующая общая рекомендация от ITIF и The Brookings Institution — принятие на себя всеми крупнейшими федеральными ведомствами (министерствами обороны, энергетики, здравоохранения и социального обеспечения, а также Национальным научным фондом) четких обязательств активно поддерживать экономическое развитие тех регионов, в которых расположены их основные научно-исследовательские подразделения и лаборатории - федеральные центры R&D, FFRDCs. «Все федеральные ведомства и федеральные лаборатории должны рассматривать региональное экономическое развитие в качестве своей важнейшей миссии» (Task federal laboratories with a local economic development mission).

Третья идея авторов доклада заключается в создании разветвленной сети так называемых микролабораторий (microlabs) при ведущих федеральных научно-исследовательских центрах и институтах, которые располагались бы вне их основной территории (off-campus). Такие небольшие лаборатории, как нетрудно догадаться, прежде всего рекомендуются организовывать в наиболее динамично развивающихся ИР. Причем, как отмечается в докладе, целый ряд известных федеральных центров уже пошел по этому пути: например, подобный микролаб создан Аргоннской национальной лабораторией в Чикаго (район Chicago Innovation Exchange), а национальная лаборатория Лоуренса в Беркли запустила специальную программу Cyclotron Road, предусматривающую техническую поддержку и обучение частных предпринимателей-исследователей непосредственно в местах их основной работы (Create off-campus “microlabs” to provide a front door to labs).

Особое внимание уделено авторами и теме критической переоценки местоположения различных научно-исследовательских объектов, находящихся в федеральной собственности, и, опять-таки, они предлагают по мере возможности ускорить процедуру частичного физического переноса (реаллокации) этих объектов в новые **ID** (Assess federal real estate holdings and reallocate physical research assets to innovation districts).

Среди прочих мер и решений, предлагаемых в первом разделе, следует также выделить идею формирования в годовых бюджетах федеральных лабораторий и центров специального экстренного фонда (в размере, не превышающем 5% их общего бюджета), средства которого могут расходоваться на незапланированные ранее новые исследовательские проекты и коллаборации со сторонними фирмами и контрагентами (Allow labs to repurpose a small portion of existing funds for timely local collaboration).

Системе Национальных институтов здравоохранения (NIH), ежегодно предоставляющей порядка 50 тыс. бюджетных грантов для увеличения коммерческой отдачи от реализуемых научных проектов, рекомендуется рассмотреть возможность приоритетного рассмотрения заявок, поступающих от так называемых региональных доконкурсных (pre-competitive) консорциумов, новой формы коллективного получения грантов, не связанной с необходимостью обязательного принятия на себя патентных обязательств (Create NIH regional pre-competitive consortia to address national health concerns).

В свою очередь министерству энергетики США (DOE) предложено наконец отказаться от устаревшей модели предварительного одобрения на высшем уровне всех проектов и программ, реализуемых вне подведомственных ему лабораторий и научно-исследовательских подразделений. Эта сильно бюрократизированная схема особенно заметно тормозит налаживание перспективных коллабораций DOE с различными региональными технологическими кластерами, IR (Allow DOE labs to engage in non-federal funding partnerships that do not require DOE approval).

Авторы доклада предлагают создавать межведомственные бюджетные фонды для упрощения процесса взаимодействия федеральных научно-исследовательских центров друг с другом и с внешними (региональными) бизнес-партнерами, увеличить госфинансирование специальной Программы поддержки региональных инноваций (Regional Innovation Program), курируемой управлением экономического развития при министерстве торговли США, и разработать новую технологическую программу стимулирования роста инновационной активности сельскохозяйственных территорий страны (Dismantle funding silos to support regional collaboration; Incentivize cross-purpose funding based on the economic strength of cities; Expand the national Regional Innovation Program).

В целом, можно выделить следующие ключевые рекомендации меморандума ITIF:

- Необходимо собрать команду экспертов в области «мезоэкономики», в которой основное внимание уделяется отраслевому и межфирменному анализу, и живому инновационному процессу;
- В обмен на обещания Белого дома предоставить специальный набор финансовых и фискальных послаблений для инновационно активных компаний последние должны сформулировать ответные обязательства по части сокращения будущих издержек, найма нового персонала и других целевых бизнес-ориентиров;
- Во всех федеральных министерствах и агентствах надо ввести новую должность «директор по инновациям», который займется разработкой и реализацией инновационных стратегий развития;
- Обязательное учреждение внутри федеральных ведомств специальных инновационных фондов, финансируемых непосредственно из их собственных бюджетов (минимальная планка отчислений в такие фонды должна составлять 3%);
- Необходимо запустить рейтинг национальных исследовательских университетов США, оценивающий уровень коммерциализации разрабатываемых ими новых технологий.

Определенный интерес представляет и инновационная политика в **России**, которая строится с учетом инновационной политики США. Так, Центром стратегических разработок (одна из ведущих аналитических организаций в России) были создано несколько рабочих групп по основным направлениям НТИ, одна из которых специализировалась именно на региональной политике.

В результате работы группы были расставлены следующие приоритеты, которые хотя во многом совпадают с рекомендациями ITIF в США, но также и имеют свою специфику:

1. Единицей организации исследований, разработок и производств в России выступает интегрированный в глобальную сетевую науку научно-образовательно-технологический кластер- НОТ-кластер).

НОТ-кластер – это интеграционная модель, представляющая собой институциональное образование, которое покрывает цепочку от идеи до готового продукта, принятого рынком и имеющего платежеспособный спрос в виде бизнес-партнера. В состав НОТ-кластера входят следующие институциональные единицы: университеты, фундаментальные лаборатории, прикладные лаборатории, акселераторы, технопарки, зоны перспективного бизнеса и индустрий, индустриальные парки. Каждый НОТ-кластер формирует специализацию в рамках 3–4 новых технологических рынков, соответствующих «глобальным вызовам» для России. В качестве центров сборки и интеграции могут выступать университеты – оптимальная институциональная форма для ядра НОТ-кластера. Современные лидерские университеты, так называемые университеты 3.0, развивают лидерство в следующих основных направлениях:

- **Проекты** (Университет как корпорация знаний; Города-университеты; Синергетический университет)
- **Технологии** (Трансфер технологий, Инкубация и акселерация, Proof-of-Concept, Инжиниринг, Прототипирование, Промышленный дизайн, Translation Science, Корпоративные R&D, ILP – программы, Форсайт, Мэйкерство)

- **Форматы** (Advanced Studies Institute, Межотраслевые исследовательские проекты, Междисциплинарные лаборатории, 5 научных школ Университета НТИ; Корпоративное управление, Project Management, Аудит, Shared Governance; Networking, Создание сообществ, Виртуальное образование, Коллаборации).

Наиболее оптимальными метриками качества науки в рамках НОТ-кластеров видятся следующие:

- выпуск РСТ-патентов (по 300–500 за 10 лет от одного НОТ-кластера);
- создание компаний спин-офф, профинансированных венчурными инвесторами и имеющих потенциал масштабирования (50–70 спин-оффов за 10 лет от одного НОТ-кластера);
- участие в международных научно-исследовательских коллаборациях – как в России, так и в мире.

2. Учет тенденций г-локализации (глобализация плюс локализация: think globally – act locally).

Г-локализация предполагает соразмерное развитие трендов на глобализацию и локальную интеграцию цепочек. Главные проблемы организации исследований, разработок и производств (как единого комплекса) постсоветского периода – это одновременно неполная интеграция в мировую науку и технологии (на уровне приоритетов, тематик, инструментов, принципов устройства, методов и проч.), провалы в ключевых элементах цепочки (например, в области прикладной науки) и растянутость цепочек по всей стране.

В этой связи особо остро встает вопрос формирования НОТ-кластеров, имеющих глобальную интеграцию, посредством мирового уровня приоритизации. Мировая приоритизация достигается путем как отстраивания эффективной модели корпоративного управления НОТ-кластерами, так и формирования специализированной структуры по отработке глобального партнерства в науке, технологиях и инновациях через участие в мировых коллаборациях. Кроме того, важнейшим критерием эффективности НОТ-кластера становится формирование при нем глобально удобной системы логистики (международные аэропорты, высокоскоростная связь, конференц-площади, качественный гостиничный фонд и проч.).

3. Формирование 5–7 региональных центров в рамках территориального распределения исследований, разработок и производств.

В рамках каждого территориального образования возможно формирование одного НОТ-кластера, специализирующегося на 5–6 тематических направлениях исследований и разработок. В настоящий момент при определении тематик будущих НОТ-кластеров можно основываться на существующем распределении, сформированном в рамках федеральной программы по формированию в России 25 инновационных территориальных кластеров, а также в рамках территориального распределения академических институтов. В целом, в аналитических материалах ЦСР предлагаются следующие инструменты регулирования и развития региональных инноваций:

- 1) Создание институциональных интерфейсов, понятных международным участникам/партнерам НОТ-кластеров.
- 2) Встраивание НОТ-кластеров в глобальные научно-исследовательские и технологические цепочки непрерывных исследований по принципу сочленения тайм-зон.
- 3) Виртуальные инструменты на службе НОТ-кластеров.
- 4) Активизация мейкерского движения в рамках территориальных образований вокруг НОТ-кластеров.
- 5) Активизация citizenscience и crowd-технологий (сорсинг, фандинг, инвестинг и др.) в рамках территориальных образований вокруг НОТ-кластеров.
- 6) НОТ-кластер – центр опережающего культурного и социального развития региона.
- 7) Осуществление помощи участникам/партнерам НОТ-кластеров за счет открытия доступа к федеральным данным (opendata, проект, уже запущенный в рамках Открытого правительства).

Как известно, Парламентом Грузии был принят Закон Грузии «Об инновациях» (22 июня 2016 года), согласно статье 3 этого закона, государственную стратегию в сфере инноваций утверждает Правительство Грузии по представлению совещательного органа Правительства Грузии – Совета по исследованиям и инновациям. К его функциям относится как координация разработки государственной стратегии в сфере инноваций и ее представление Правительству Грузии, так и координация развития экосистем национальных и региональных инноваций между государственными ведомствами, а также государственным, частным, образовательным и научным секторами. Для содействия коммерциализации инноваций и стимулирования их применения было создано Агентство инноваций и технологий Грузии (2014г.).

Согласно заявлению исполняющего обязанности председателя Агентства по инновациям и технологиям Автандила Касрадзе, на развитие инновационных технологий в Грузии Всемирный банк выделил 40 миллионов евро, что предусматривает «создание экосистемы инноваций для социально-экономического развития Грузии, строительство в стране экономики на основании знаний и инноваций, повышение экспортного потенциала интеллектуальных продуктов, инноваций и технологий и др. Его действие распространяется на субъекты иннова-

ციონი დაქვეყნებულია ინფრასტრუქტურა, რომელიც, მათ შორის, მოიცავს რეგიონებში მინი-ტექნოპარკების, ინოვაციური ცენტრების და ბიბლიოთეკების განვითარებას.

შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი მთავარი პირობა ეკონომიკური ზრდისთვის ქვეყნის რეგიონული ინოვაციური სისტემის განვითარება და შესაბამისი რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებაა, რომელიც მოიცავს რაციონალური გადაწყვეტილების ძიებას, რომელიც არა მხოლოდ გაზარდოს ბიუჯეტური მხარდაჭერის სფეროში R&D-ს როლი ფუნდამენტურ და აპლიკაციურ კვლევებში, არამედ დააარსოს მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც აქტივიზირებს ახალი ცოდნის გაცდენის პროცესს და ხელს უწყობს ინოვაციური პროდუქტების და ტექნოლოგიების შექმნას. განსაკუთრებით, აშშ-ში რეგიონული ტექნოლოგიური კლასტერების განვითარება ინოვაციური პოლიტიკის მთავარი დრეივერია ეკონომიკური ზრდისთვის. რუსეთში რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის განვითარება ასევე ინტერესს იწვევს, რადგან ის განსაკუთრებით იმის გათვალისწინებითაა მნიშვნელოვანი, რომელიც განსაკუთრებით ახლოსაა რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის განვითარებისას აშშ-ს პოლიტიკის განვითარებისას.

Использованная литература

1. Transition Memo to President Trump: How to Spur Innovation, Productivity, and Competitiveness. <https://itif.org/publications/2016/11/16/transition-memo-president-elect-trump-how-spur-innovation-productivity-and>
2. Report. Localizing the economic impact of research and development. Fifty policy proposals for the Trump administration and Congress. Scott Andes and Stephen Ezell. Wednesday, December 7, 2016. <https://www.brookings.edu/research/localizing-the-economic-impact-of-research-and-development/>
3. «Территориальная организация исследований и разработок» http://sntr-rf.ru/upload/iblock/0f1/270316_%D1%82%D0%B5%D1%80%D1%80%D0%B8%20%D0%BE%D1%80%D0%B3%D0%B0%D0%BD%D0%B8%D0%B7%D0%B0%D1%86%D0%B8%D1%8F%20%D0%BD%D0%B0%D1%83%D0%BA%D0%B8.pdf
4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3322328>
5. <http://www.gita.gov.ge/>

Nata Davlasheridze

SOME ASPECTS OF REGIONAL INNOVATIVE DEVELOPMENT

Summary

At the present stage one of the main conditions for economic progress is the development of a regional innovation system and the development of a corresponding regional innovation policy. The paper discusses topical issues of regional innovation policy, trying to find the most rational solutions that could ensure not only expanding budgetary support for R & D in both fundamental and applied research, but also to take a number of concrete measures and actions designed to intensify the process of transformation of new knowledge into commercial innovative products and technologies. In particular, it is noted that in the US the regional technology clusters are a critical component of innovation policy and the most important driver of economic growth. The innovative policy in Russia is also of interest, which is built taking into account the innovation policy of the United States. It is noted that despite the difference in innovation policy in different countries, it has a huge positive potential for the economic development of the country, its individual instruments have universal application.

ლინა დავლასერიძე

სახელმწიფოს როლი ეკონომიკური განვითარების ინოვაციური სისტემის განვითარებაში

ანოტაცია. სტატიაში გასულია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პირობებში რაციონალური გადაწყვეტილებების და გამოწვევების მოკლე გლობალიზაციის პროცესს ევროკავშირის ქვეყნებისათვის, რომლებიც ცდილობენ, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში სიახლისა და ინოვაციის დახერხებით მიიღონ ლიდერის პოზიციას. განსაკუთრებული ინოვაციური სისტემის არსი, მნიშვნელობა და ამ სისტემების ფორმირებისა და განვითარების აუცილებლობა ევროკავშირის ქვეყნებში, რასაც ხელი შეუწყო მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა, როგორც არის: თანამედროვე ეკონომიკის სწრაფი ზრდა, კაპიტალისა და შრომის ბაზარს შორის გაზრდილი ურთიერთკავშირი, ცოდნისა და ტექნოლოგიების ფორმირებისა და გამოყენების მასშტაბური ხასიათი და, რაც მთავარია, კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოება და მისი ექსპორტი. სტატიაში შესწავლილია ეროვნული თავისებურებებისა და ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით ეროვნული ინოვაციური სისტემის ოთხი მოდელი, როგორცაა:

1. „ვეროატლანტიკური“ (ვეროკავშირის ქვეყნები: გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ფინეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვა);
2. „აღმოსავლეთ აზიური“ (იაპონია, ტაივანი, პონკონგი, სამხრეთ კორეა და სხვა);
3. „აღტერნატიული“ (ჩილე, თურქეთი, ტაილანდი, პორტუგალია და სხვა);
4. „სამშავი სპირალი“ (აშშ, ევროპის რიგი ქვეყნები).

დაწერილებით დახასიათებულია თითოეული მოდელის ბირთვი, ცალკეული მოდელის სრული და არასრული ინოვაციური ციკლი, ინოვაციური სისტემის სტრუქტურის კომპონენტები და სხვ.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ევროკავშირის განვითარებულ ქვეყნებში – ფინეთი, საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი (მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს დიდი ბრიტანეთი რეფერენდუმის გზით გამოვიდა ევროკავშირიდან და რომელიც წლების მანძილზე ევროკავშირის აქტიური წევრი იყო) – ინოვაციური სისტემების ძლიერ და სუსტ მხარეებზე, რომელთა გათვალისწინება, ვფიქრობთ, კარგი იქნება როგორც ამ ქვეყნების, ისე ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა დონის ქვეყნებისთვისაც.

საზგაშთიანი წარმატებული ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებაში სახელმწიფოს აქტიური როლი ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი პერიოდისთვის, უპირველესად განათლების სისტემის გაუმჯობესებაში, როგორც ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლებაში, ისე სამეცნიერო საქმიანობის, პროფესიული და საუნივერსიტეტო განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრებაში; ასევე, ინოვაციური პროექტების დაფინანსებასა და კომერციალიზაციაში, ინოვაციურ სფეროში სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობის, ახალი ტექნოლოგიების დასესხება-გადმოტანისა და გაძლიერების სტრატეგიის მხარდაჭერაში; კადრების მომზადების უზრუნველყოფაში და სხვა.

ნაჩვენებია დღეს არსებული გამოწვევების ფონზე როგორია სახელმწიფოს ფუნქცია და როლი ევროკავშირის ქვეყნების ინოვაციური სისტემების განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური სისტემები, ეროვნული ინოვაციური სისტემის მოდელები, სახელმწიფოს როლი ინოვაციურ განვითარებაში

ეროვნული ინოვაციური სისტემა არის ურთიერთდაკავშირებული ინსტიტუტების ერთიანობა, რომლებიც დაკავებული არიან მეცნიერული ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიების ფორმირებით, წარმოების განვითარებითა და კომერციული რეალიზაციით კონკრეტული სახელმწიფოს ფარგლებში (უნივერსიტეტები, ლაბორატორიები, ტექნოპარკები, ინკუბატორები, მცირე და საშუალო კომპანიები). ამასთან, ეს არის ფინანსური, სამართლებრივი და სოციალური ინსტიტუტების კომპლექსური სისტემა, რომელთა საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა ინოვაციური პროდუქტის შექმნას, გაგრძელებასა და დანერგვას კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და კომერციული მოგების მიღების მიზნით.

ეროვნული ინოვაციური სისტემის (ეის) ფორმირების, განვითარებისა და სტრუქტურირების თანამედროვე თავისებურებების ღრმა და კომპლექსური შესწავლის აქტუალობა ეკონომიკის განვითარების ახალ პირობებში მნიშვნელოვნად იზრდება არა მხოლოდ ევროკავშირის და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, არამედ განსაკუთრებით ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა დონის ქვეყნებშიც.

ეის-ის განვითარებას ხელი შეუწო XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა, როგორც არის თანამედროვე ეკონომიკის სწრაფი განვითარება, კაპიტალის ბაზრებსა და ახალ ტექნოლოგიებს შორის გაზრდილი ურთიერთკავშირი და გაძლიერებული სოციალური ორიენტაცია, პროდუქციისა და მომსახურების ფორმირებისა და გამოყენების მასშტაბური ხასიათი და სხვა. აღნიშნულმა განაპირობა ეროვნული ინოვაციური სისტემის, როგორც ქვეყნის ინოვაციური განვითარების ინსტიტუციური საფუძველი.

ინოვაციური სისტემების ფორმირებისა და ფუნქციონირების პრინციპები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს როგორც ეროვნული რესურსებიდან და იმ ამოცანებიდან გამომდინარე, რასაც თავის თავს უყენებს ქვეყნის ხელისუფლება, ასევე ინოვაციური განვითარების მოდელთან დაკავშირებით. ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში ეის-ის განვითარების სტრატეგია განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ გატარებული მაკროეკონომიკური პოლიტიკით, ნორმატიული სამართლებრივი უზრუნველყოფით, სახელმწიფო რეგულირების ფორმებით, მეცნიერულ-ტექნიკური და სამრეწველო პოტენციალით, შიგა სავაჭრო და შრომითი ბაზრებით, ასევე ქვეყნის ისტორიული და კულტურული ტრადიციებითა და თავისებურებებით.

ინოვაციური განვითარების მოდელისაგან დამოუკიდებლად, ხშირად სახელმწიფო გამოდის ინოვაციური გზით ქვეყნის მოძრაობის მთავარ ინიციატორად და კოორდინატორად, ამიტომ სახელმწიფო მხარდაჭერის ინსტრუმენტები ორიენტირებული უნდა იყოს საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებაზე, ინოვაციაზე მოთხოვნის სტიმულირებაზე, ეის-ის ყველა სუბიექტს შორის ურთიერთხემოქმედების გაძლიერებაზე.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალური განვითარების თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია არა მარტო ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, არამედ ამ დარგების აქტიური კვლავწარმოებისათვის უფრო კეთილსასურველი პირობების შექმნა სტრუქტურულად და ხარისხობრივად ეფექტური ინოვაციური სისტემის საფუძველზე, მოწინავე მეცნიერული, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ფაქტორების დაჩქარებული და კონკურენტული განვითარების გათვალისწინებით [5].

ეროვნული თავისებურებებისა და ეკონომიკური პოტენციალიდან გამომდინარე, ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების ფორმებისა და მეთოდების შერჩევა დამოკიდებულია როგორც ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის პრიორიტეტებსა და მიზანზე, ისე ეროვნული ინოვაციური სისტემის მოდელზე. თანამედროვე პერიოდში შეიძლება გამოყვით ეროვნული ინოვაციური სისტემის ოთხი მოდელი:

1. “ევროატლანტიკური” (ევროკავშირის ქვეყნები: გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ფინეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვა).

2. “აღმოსავლეთ აზიური” (იაპონია, ტაივანი, ჰონკონგი, სამხრეთ კორეა და სხვა).

3. “ალტერნატიული” (ჩილე, თურქეთი, ტაილანდი, პორტუგალია და სხვა)

4. “სამმაგი სპირალი” (აშშ, ევროპის რიგი ქვეყნები).

თითოეული მოდელი თავისი არსით ასე გამოიყურება.

“ევროატლანტიკური” მოდელის ბირთვს წარმოადგენს უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები. იგი ინოვაციური ციკლის სრული მოდელია – ინოვაციური იდეის წარმოშობიდან მზა პროდუქციის მასიურ წარმოებაამდე, აქ სრულად არის წარმოდგენილი ინოვაციური სტრუქტურის ყველა კომპონენტი: ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერება, კვლევები და დამუშავებები, საცდელი ნიმუშის შექმნა და მისი მასიურ წარმოებაში გაშვება.

“აღმოსავლეთ აზიური” მოდელის ბირთვს წარმოადგენს კორპორაციებთან არსებული კვლევითი ლაბორატორიები. ამ მოდელის ინოვაციურ ციკლში ამოვარდნილია ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების კომპონენტები. ეს ქვეყნები ყიდულობენ ტექნოლოგიებს, აუმჯობესებენ და შემდეგ ორიენტირებული არიან მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტზე.

“ალტერნატიული” მოდელის ბირთვს წარმოადგენს უნივერსიტეტები და ტექნოპარკები. ამ მოდელის ინოვაციურ ციკლში პრაქტიკულად არ ფიგურირებს ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების კომპონენტები. ეს მოდელი უპირატესად გამოიყენება აგრარულ ქვეყნებში, რომლებსაც არ გააჩნიათ მდიდარი სანედლეულო ბაზა და არ აქვთ შესაძლებლობა, მიაღწიონ მნიშვნელოვან შედეგებს ახალი ტექნოლოგიის შექმნაში. ამასთან, თავიანთ საინოვაციო პოლიტიკაში ყურადღებას ამახვილებენ ეკონომიკის სფეროში კადრების მომზადებაზე, ფინანსებზე, მენეჯმენტზე, შრომის ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაზე. დიდ ყურადღებას უთმობენ მენეჯერების მომზადებას ტრანსნაციონალური კორპორაციის ადგილობრივი წარმომადგენლობებისათვის.

“სამმაგი სპირალის” მოდელის ბირთვს წარმოადგენს სამი მნიშვნელოვანი კომპონენტი: მეცნიერება – სახელმწიფო – ბიზნესი და მათი ურთიერთშემოქმედება. ამ მოდელს გააჩნია სრული ინოვაციური ციკლი. მან პრაქტიკული რეალიზაცია მხოლოდ ბოლო ათწლეულში მიიღო აშშ-ში. მას გააჩნია გარკვეული განსხვავება ზემოთ განხილული მოდელებისაგან როგორც ეის-ის სტრუქტურის, ისე მისი ცალკეული ელემენტის ურთიერთქმედების მექანიზმის მიხედვით. ამჟამად “სამმაგი სპირალის” მოდელის ცალკეული ელემენტი ინერგება დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასა და იაპონიაში [6].

ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება ეროვნული ინოვაციური სისტემის სხვადასხვა სახის მოდელის ფორმირებასა და განვითარებაზე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დღეისათვის ქვეყნების უმრავლესობა თავიანთი ეკონომიკის განვითარების ორიენტირებას ინოვაციის მხარეზე ახდენენ, ირჩევენ ეროვნულ თავისებურებებთან უფრო ადეკვატურ ეის-ის მოდელს. ამასთან, მოდელის არჩევა მნიშვნელოვნად განისაზღვრება ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების, განათლების სისტემისა და მეცნიერების არსებული დონით. კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკისათვის ეის-ის ამა თუ იმ მოდელის ფორმირება-განვითარება ხანგრძლივი პროცესია, რომელშიც ჩართული არიან სახელმწიფო და კერძო სექტორი, ბიზნესი და სხვა ინსტიტუტები. ლიდერებად გვევლინებიან ქვეყნები მეცნიერებისა და განათლების მაღალი პოტენციალით, რომლებსაც გააჩნიათ ინოვაციური დამუშავებების შედეგების წარმოებაში სწრაფად დანერგვის შესაძლებლობა. ამ ამოცანის გადაწყვეტას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მეცნიერებასა და ბიზნესს შორის საქმიანი კავშირის დარეგულირება, ასევე სახელმწიფოს აქტიური პროტექციონისტული პოლიტიკა.

აღნიშნული ინოვაციური სისტემის მოდელები ცალკეულ ქვეყნებში ხელს უწყობენ კონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოებას და რეალიზაციას, რითაც უზრუნველყოფენ ქვეყნის ეკონომიკის ზრდას და განვითარებას. ამასთან, ინოვაციურ სისტემებს გააჩნია გარკვეული ძლიერი და სუსტი მხარეები. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში დინამიურად განვითარებადი ფინეთის ეის-ის ძლიერ მხარეს შეიძლება მივაკუთვნოთ ინსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზის შედარებით მაღალი დონე; მჭიდრო კავშირი უნივერსიტეტებსა და სამრეწველო ლაბორატორიებს

შორის; იტალიის ეის-ისა და ინოვაციური პოლიტიკის ძლიერ მხარეს წარმოადგენს შედარებით ეფექტური კლასტერული სტრატეგიის ფორმირება; საფრანგეთის ეის-ის ძლიერი მხარვა შედგაითიანი საგადასახადო სისტემა, მნიშვნელოვანი სახელმწიფო დანახარჯები კვლევებსა და დამუშავებებზე; მიუხედავად 2016 წელს, დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან რეფერენდუმის გზით გამოყოფისა, ეს ქვეყანა წლების მანძილზე ევროკავშირის აქტიური წევრი და ერთ-ერთი ლიდერი სახელმწიფო იყო, ამიტომ ვფიქრობთ, საჭიროა, დიდი ბრიტანეთის ეროვნული ინოვაციური სისტემის ძლიერ მხარეს გაავსვათ ხაზი – ეს არის უნივერსიტეტებსა და სამრეწველო საწარმოებს შორის არსებული კავშირების, აგრეთვე ვენჩურული დაფინანსების მაღალი დონე.

ევროკავშირის ქვეყნებში ინოვაციური სისტემების სუსტ მხარეებს შეიძლება მივაკუთვნოთ: ფინეთში – ინოვაციური პროდუქციისთვის შედარებით მცირე შიგა ბაზარი, ახალი სასაქონლო მარკებისა და სამრეწველო დიზაინის განვითარების დაბალი მაჩვენებელი; იტალიაში – არასაკმარისი ინვესტიციები კვლევებსა და დამუშავებებზე, ვენჩურული დაფინანსების განვითარებლობა; საფრანგეთში – უნივერსიტეტებსა და საწარმოებს შორის არასაკმარისი აქტიური კავშირები, მცირე და საშუალო ფირმების ჩართულობის არასაკმარისი მასშტაბები, ვენჩურული კაპიტალის გამოყენების დაბალი დონე; დიდ ბრიტანეთში – სახელმწიფო სექტორის დანახარჯების დაბალი დონე სამრეწველო კვლევებსა და დამუშავებებზე [5].

ევროკავშირის მოწინავე ქვეყნების ინოვაციური სისტემების აღნიშნული ძლიერი და სუსტი მხარეები, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია როგორც ამ ქვეყნების, ისე ევროკავშირისა და სხვა ქვეყნების მიერ ინოვაციური სისტემების შემდგომი სრულყოფის მიზნით.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს როლი ეის-ის კონკურენტული, დანქარებული და ხელსაყრელი განვითარების უზრუნველყოფაში კიდევ უფრო იზრდება XXI საუკუნეში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ აუცილებელია მთავრობების დასაბუთებული პოზიცია და ძალისხმევა ეის-ის სტრუქტურის სრულყოფისათვის, რათა მათ სასურველი კალაპოტით წარმართონ ეროვნული ეკონომიკის ინოვაციური განვითარება.

ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ახალ კონკურენტულ პირობებში მნიშვნელოვნად იცვლება სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია (საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზა, საგადასახადო სისტემა, საინვესტიციო გარემო და სხვა), რაც ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ინტეგრირებული და ინოვაციაზე ორიენტირებული სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირებას, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემო პირობების ჩამოყალიბებას უფრო ხელსაყრელი შემოქმედებითი ინიციატივისათვის, ასტიმულირებენ კერძო კაპიტალის მოზიდვას მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოებისათვის, ხელს უწყობენ სახელმწიფოსა და ბიზნესსექტორს შორის აქტიურ კოოპერაციას, უზრუნველყოფენ მოთხოვნის გადიდებას ინოვაციურ პროდუქციასა და მომსახურებაზე ხარისხობრივი კრიტერიუმების წინა პლანზე წამოწევით, რაოდენობრივის საპირისპიროდ, როგორც ეროვნული, ისე გლობალური მასშტაბით.

ცალკეული ქვეყნის ინოვაციურ სისტემას გააჩნია ამ ქვეყნისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ბუნება და ამასთან ერთად ისინი ვითარდებიან ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ისტორიული თავისებურებების გავლენით, ამიტომ არ შეიძლება არსებობდეს უნივერსალური ეის-ი, პირიქით, ფაქტობრივად არსებობს მრავალი სახის ეის-ი თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით. თანამედროვე განვითარებადი ეროვნული ინოვაციური სისტემები მუდმივად განიცდიან ადაპტაციას და გარდაიქმნებიან ახალი შესაძლებლობების გამოჩენის შესაბამისად.

გლობალიზაციის გაღრმავებასთან დაკავშირებით დღეისათვის სახელმწიფოს როლი მსოფლიო არენაზე უფრო მეტად აქტიურდება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, რომელიც თავის მხრივ პირდაპირ დამოკიდებულია ქვეყნის ინოვაციური სისტემის სტრუქტურასა და ეფექტურობაზე. სწორედ ინოვაციური სისტემა აძლევს სახელმწიფოს შესაძლებლობას, დაიკავოს განსაზღვრული ნიშა როგორც კონკურენტუნარიანი საქონლის ბაზარზე, ისე შრომის საერთაშორისო განაწილების სისტემაში, მოიპოვოს დამსახურებული სტატუსი და ადგილი მსოფლიო არენაზე.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკის ლიდერი ქვეყნები გამუდმებით ცდილობენ დაიპყრონ მსოფლიო ბაზარზე სწრაფად განვითარებადი და უფრო ეფექტური ინოვაციურ-ტექნოლოგიური სეგმენტები, აბანდებენ რა მნიშვნელოვან მატერიალურ და ინტელექტუალურ რესურსს თავიანთი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების (სკსსს) წინმსწრები განვითარებისთვის. კვლევებით დასტურდება, რომ ინოვაციურ სფეროში მსოფლიო ლიდერობისთვის ძირითადი მეტოქეობა აშშ-ს, იაპონიასა და ევროკავშირის მოწინავე ქვეყნებს შორის მიმდინარეობს. მაგრამ ჯერჯერობით ევროკავშირის ქვეყნები ვერ ახერხებენ ადეკვატური შესაძლებლობებით დაუპირისპირდნენ ზემოთ აღნიშნული ქვეყნების მნიშვნელოვან სამთავრობო რესურსებს.

წარმატებული ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებისას აუცილებელია სახელმწიფო სექტორის აქტიური როლის გათვალისწინება გრძელვადიან პერიოდში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გავრცელებასა და დანერგვაში როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო ბაზარზე.

ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირება-განვითარებაში სახელმწიფოს როლი გამოიხატება ინოვაციური პროექტების დაფინანსებასა და კომერციალიზაციაში; ინოვაციურ სფეროში სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის, ასევე ახალი ტექნოლოგიების დასესხება-გადმოტანისა და გაძლიერების მხარდაჭერაში; პრიორიტეტული სფეროების გამოყოფის, კადრების მომზადების უზრუნველყოფაში; სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განვითარებისა და შედეგების რეალიზაციაში, აგრეთვე უნივერსიტეტებსა და აკადემიურ დაწესებულებებთან საკვლეფ-სამეცნიერო პროფილის კომპანიების შექმნის სტიმულირებაში და სხვა.

XXI საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიოს მრავალი ქვეყანა გადადის “ცოდნის ეკონომიკაზე”. ინოვაციური ეკონომიკის მქონე განვითარებული ქვეყნების გამოცდილება იმის დასტურია, რომ ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციის გზით (ცოდნის ფორმირება, გამოყენება, მართვა, სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაძლიერება და სხვა) არის შესაძლებელი ეკონომიკის ადაპტირება გლობალიზაციის პირობებთან.

დღეს არსებული გამოწვევების ფონზე, ინოვაციური საქმიანობის განვითარებისათვის სახელმწიფომ პირველ რიგში არ უნდა დაიშუროს ძალისხმევა განათლების სისტემის განვითარებისათვის, რაც გულისხმობს საყოველთაო ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლებას, პროფესიული და საუნივერსიტეტო განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრებას. სახელმწიფომ საუნივერსიტეტო განათლების სრულყოფის უმთავრეს კომპონენტად უნდა აქციოს სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა [2].

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს როლი აქტიურდება ინოვაციური საქმიანობის (პოლიტიკა, სისტემა) ფორმირებისა და განვითარებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნით, რაც გამოიხატება:

- ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფით;
- კრედიტებისა და გადასახადების ოპტიმალური სატარიფო განაკვეთების დაწესებით;
- ინოვაციური საქმიანობის განვითარების მიზნით ინვესტიციების მოსახიდად და განსახორციელებლად ხელსაყრელი გარემოს შექმნით;
- ინვესტიციების სტრუქტურაში იმ თანხების მოცულობის გაზრდით, რომლებიც ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისკენ იქნება მიმართული;
- სახელმწიფო პროგრამების შემუშავებით, რომლებიც ხელს შეუწყობს ბაზარზე ახალი ეკონომიკური სუბიექტების შემოსავლას და არსებულის განვითარების სტიმულირებას.

სახელმწიფოს როლი იზრდება საინოვაციო საქმიანობის მხარდაჭერის სისტემის შექმნით კონკურენტუნარიანი და მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოების და ექსპორტის განვითარებისათვის;

- ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და საინოვაციო პროექტების რეალიზაციისათვის საკონკურსო სისტემის ჩამოყალიბებით;
- ამ სფეროს მხარდაჭერი ინფრასტრუქტურის, საინოვაციო საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნით, სახელმწიფო საინოვაციო ფონდის ფორმირებისა და სხვა ღონისძიებების გატარებით [4].

ეროვნული ინოვაციური სისტემის წარმატებულ განვითარებას ხელს უწყობს რიგი ფაქტორი, როგორც არის:

- სახელმწიფოს თანმიმდევრული გრძელვადიანი ინოვაციური პოლიტიკა მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნებითა და ამოცანებით;
- არსებული ინოვაციური პოტენციალის რაციონალური გამოყენება;
- მუდმივი ძალისხმევა კერძო და სახელმწიფო სექტორის ინოვაციურ სფეროში დასაქმებულ მკვლევარებს შორის თანამშრომლობის განმტკიცებისათვის;
- ინოვაციური პოტენციალის მქონე ფირმების დიდი რაოდენობით ჩართვა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებში;
- ინოვაციურ საქმიანობაში არსებული საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების სისტემატური შესწავლა, დამუშავება და დანერგვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესაძე, ინოვაციები – ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული „ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2014.

2. ვლ. პაპავა, რეტროეკონომიკიდან ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის პერსპექტივები საქართველოს ევრაზიული ინტეგრაციის შემთხვევაში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის

ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2016.

3. ი. მუჯირი, ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია და ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია. ავტორეფერატი, თბილისი, 2016. www.ciu.edu.ge/files/files/irina%20mujiri.pdf.

4. ჭალაგანიძე ვ. შ., საინოვაციო საქმიანობის პრობლემები საქართველოში. გამომცემლობა „რუბიკონი“, თბილისი, 2000.

5. Соснов Фёдор Геннадьевич. Особенности формирования национальной инновационной системы в Европейском Союзе. www.dissercat.com/.../osobennosti-formirovaniya-natsionalnoi-innovatsionnoi-sistemy-v-evropeiskom-soyuze.

6. Модели формирования национальных инновационных систем 13 сентября 2013 8799434 Исследования Kapital _ rus.ru> articles/article...formirovaniya...

7. #12 (158), 2011_ <http://www.studfiles.ru/preview/1792729/>

Lina Datunashvili

THE ROLE OF THE EU IN THE DEVELOPMENT OF INNOVATIVE SYSTEMS

Summary

The article covers the possibilities and challenges brought by globalization to the EU countries in modern conditions of development of the world economy that are trying to achieve leadership positions by implementing innovations in different fields of economy. The essence of the innovative system, the importance and the need for the formation and development of these systems in the countries of the EU contributed to the ongoing processes in the world, such as: rapid growth of the modern economy, increased relationship between capital and labor market, the formation and use of knowledge and technologies, most importantly, the production of competitive goods and its export. The article examines four national models of the national innovative system, taking into account the national peculiarities and economic potential, such as:

1. "Euro Atlantic" (EU countries: Germany, France, Italy, Finland, Great Britain and others);
2. "East Asian" (Japan, Taiwan, Hong Kong, South Korea and others);
3. "Alternative" (Chile, Turkey, Thailand, Portugal and others);
4. "Triple Spiral" (US, European countries).

It is characterized the core of each model, complete and incomplete innovative cycle of individual models, components of the innovative system structure and so on.

The article focuses on the development of the EU members, Finland, France, Italy and Great Britain (despite the fact that 2016 was a referendum and Great Britain the European Union and which was an active member of the European Union for years) on the strengths and weaknesses of innovative systems the consideration of which will be good for these countries as well as for the development of countries with economic level.

It emphasizes the active role of the state in the formation of a successful national innovative system for long-term economic development, primarily in improving the education system as well as raising the quality of general education and equity of scientific activities, and university education with international standards; as well as in the financing and commercialization of innovative projects, the state and private sector partnership in the innovative field, supporting the strategy of recruitment-transfer and enhancement of new technologies; Provision of training and other.

The article shows the current state of the challenges and the role of the state in the development of innovative systems of the EU countries?

ლია დატუნაშვილი

მეცნიერების და ინოვაციების გლობალიზაცია

ანოტაცია. მეცნიერება როგორც შემოქმედებითი მოღვაწეობის სფერო, ყოველთვის გლობალური იყო, თუმცა მხოლოდ XX ს-ის მეორე ნახევარში გახდა მეცნიერება წარმოების ახალ ცოდნისა და ტექნოლოგიების დარგი. აღნიშნულია თავდაპირველი მეცნიერული კვლევები, რომლებიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ინოვაციების აღმოცენებას. მითითებულია იმ ინოვაციათა შესახებ, რომლებიც მეცნიერული ცოდნის გამოყენების ხარისხის მიხედვით იქმნება. მოცემულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გამოწვევები და მათი გადაჭრის აუცილებელი პირობები. ხაზგასმულია ინოვაციათა სასიცოცხლო აუცილებლობა და მეცნიერებაზე დანახარჯების გადიდება. მოცემულია რეკომენდაციები გრძელვადიანი ინოვაციური პოლიტიკის განხორციელებისათვის, ეკოლოგიურად სუფთა, ტექნიკურად უსაფრთხო ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენებისათვის.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ინტელექტუალური რესურსები, ინოვაცია, მეცნიერება, ერთიანი გლობალური კომპლექსი, ტექნოლოგიური ინოვაციები.

მსოფლიო ეკონომიკა XX ს-ის ბოლო მეოთხედიდან მოყოლებული, ვითარდება გლობალური ანუ ზოგად მსოფლიო პრობლემათა მზარდი გავლენით. ამ პრობლემათა წარმოქმნა მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის ცხადი გამოვლინებაა, რომელიც მიმდინარეობს კონფლიქტური, პრობლემური, წინააღმდეგობრივი ფორმით.

„გლობალიზაცია მიმდინარე პროცესია, რომელსაც, როგორც მიხნევენ, პლანეტა მიჰყავს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ჰომოგენიზაციისაკენ ქვეყნებს შორის მზარდი ურთიერთქმედების საშუალებით, რომელსაც მინიმალურად აფერხებს მანძილები და სახელმწიფო საზღვრები“ [4].

„გლობალიზაცია იმ ფაქტის კონსტატაციაა, რომ ნებისმიერი ქვეყნის მდგომარეობა დღეს მნიშვნელოვნად განისაზღვრება იმით, რაც მის ფარგლებს გარეთ, საერთაშორისო მასშტაბით ხდება. ერთიანობის პულსაცია ჩვენი პლანეტის ყოველ ნაწილში იგრძნობა“ [2].

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ყველაზე მაღალტექნოლოგიური მართვადი კონტურის წყალობით, ჩვენი პლანეტის ბაზრის ნებისმიერ ბოლოში უმცირეს ცვლილებაზე გამოძახილი მყისიერია.

ყოველ გლობალურ პროცესს თავისი მოთამაშეები ჰყავს, რომლებიც, პლანეტარული მასშტაბით, სიგნალთა გადაცემისათვის განსაზღვრულ გლობალურ ტექნოლოგიებს იყენებენ.

მეცნიერება, როგორც შემოქმედებითი მოღვაწეობის სფერო, ყოველთვის გლობალური იყო, თუმცა მხოლოდ XX ს-ის მეორე ნახევარში გახდა წარმოების ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების დარგი.

თანამედროვე ეკონომიკამ ისწავლა, მიღებული დოვლათი გადააქციოს თავისუფალ დროდ და ეს დრო გადასცეს მეცნიერების განკარგულებაში, რომლებიც, ძალაუფლების წყურვილით შეპყრობილნი, გამოიმუშავენ თანამედროვე ცივილიზაციის ძირითად პროდუქტს – ცოდნას, რომელიც ეკონომიკის განვითარების ძირითად რესურსს შეადგენს.

მეცნიერს აუცილებლად სჭირდება საინფორმაციო გარემო და სამეცნიერო საზოგადოება, რომელსაც უნარი ექნება, მიმართულება მისცეს, განიხილოს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეაფასოს მისი მიღწევები. სამეცნიერო წრეში სახელის და გავლენის მოპოვებით მეცნიერი ზოგჯერ თავისი ქვეცნობიერის დონეზე ასერხებს მისი მიძიმე და, ჩვეულებრივ, არცთუ მაღალ-ანაზღაურებადი შრომის მოტივაციას.

ინდუსტრიული განვითარების ეტაპზე ძირითადი რესურსი გახდა ცოდნა და მისი მატარებლები – ცოდნის დამცველები და მწარმოებლები. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან არა მარტო ტრადიციული მეცნიერები, არამედ მენეჯერები, მეწარმენი, – ყველა, ვისაც უნარი აქვს გამოიმუშაოს ახალი ცოდნა, როგორც ტრადიციული აღმოჩენების და გამოგონებების, ასევე ტექნოლოგიური, ფინანსური და ნოუ-ჰაუს მართვის ფორმით.

ეს ადამიანები თანამედროვე ეკონომიკაში იძენენ უზარმაზარ დამოუკიდებელ ფასეულობებს, მათში თავმოყრილია უმეტესი კომპანიების ძირითადი ქონება, რომლებიც ინფორმაციის, ფინანსების, ინოვაციების, მრავალგვარი კონსალტინგის სფეროში მუშაობენ.

ცოდნის მატარებლები – საზოგადოების მნიშვნელოვანი ინტელექტუალური რესურსია.

თანამედროვე წარმატებული კომპანიები, აღიარებენ რა ცოდნას კაპიტალად, „ხვდებიან“, რომ ცოდნით მართვაზე უარის თქმა დაუშვებლად ძვირი დაუჯდებათ.

სწორედ ამიტომ, თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ზამბარას წარმოადგენს კონკურენცია ინტელექტუალური რესურსებისათვის და მასთან დაკავშირებული ინოვაციური შესაძლებლობებისათვის. ამასთან, საუბარი ეხება არა მარტო ტექნოლოგიებს, არამედ ორგანიზაციულ და მართვის ინოვაციებს, რომელთა მატარებლები მენეჯერები არიან. ეს ბრძოლა მიმდინარეობს ცალკეულ პირებს, კომპანიებს, ქვეყნებს და ეკონომიკურ სისტემებს შორის.

ამჟამად სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინოვაციები წარმოების ზრდის საფუძველი და კომპანიის კონკურენტუნარიანობის ძირითადი ელემენტი გახდა.

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად მეცნიერული კვლევები დაედო საფუძველად თანამედროვე ინოვაციის აღმოცენებას XX ს-ის დასაწყისში, როცა დაიწყო ტექნიკური სიახლეების მასშტაბური კანონზომიერებების შესწავლა. პირველი ინოვაციური კანონზომიერება აღმოაჩინა ნ. დ. კონდრატევიმა 1920-იან წლებში. მეცნიერის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა მძლავრი ბიძგი მისცა ინოვაციების შესწავლის დაწყებას და მათი როლის კვლევას ეკონომიკის განვითარებაში.

ნ. დ. კონდრატევის და მისი თანამოაზრეების იდეებმა, რომლებმაც აღმოაჩინეს ეკონომიკაში გრძელი და საშუალო ტალღების არსებობა, დიდი გავლენა მოახდინა ი. შუმპეტერის კვლევებზე, რომელსაც ინოვაციების თეორიის ფუძემდებლად თვლიან. იგი იკვლევდა ინოვაციურ პროცესებს და გამოავლინა მეწარმის როლი ინოვაციურ პროცესში. მეცნიერის აზრით, მეწარმე არის დამაკავშირებელი რგოლი გამოგონებასა და ინოვაციას შორის. მან მიუთითა, რომ „მოგება, არსებითად, არის ახალი კომბინაციების შესრულების შედეგი, განვითარების გარეშე არ არის მოგება, მოგების გარეშე არ არის განვითარება“ [7].

თანამედროვე ეტაპზე აუცილებლად ერთობლივად უნდა განვითარდეს მეცნიერება და ეკონომიკა. ეს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გამოწვევაა. ამისათვის კი რამდენიმე პირობის ერთდროულად თანაარსებობაა საჭირო. კერძოდ:

საზოგადოებაში უნდა იყოს ადამიანთა საკმარისი რაოდენობა, რომლებიც დაკავებულნი იქნებიან ინფორმაციის დამუშავებით, ახალი ცოდნის მოპოვებით და მისი მიყვანით გამოგონებამდე და ტექნოლოგიურ ინოვაციებამდე.

ეკონომიკა უნდა იყოს იმგვარად ორგანიზებული, რომ ადამიანებს, რომელთაც ბუნებით აქვთ ბოძებული მეცნიერის ან გამომგონებლის ტალანტი, შეეძლოთ შრომა მეცნიერებასა და ტექნოლოგიური ინოვაციების შემუშავების დარგში.

ამისთვის აუცილებელია არსებობდეს ეკონომიკური ინსტიტუტები, რომლებიც ისე გადაანაწილებენ საზოგადოებრივ სიმდიდრეს, რომ უზრუნველყოფენ ადამიანებს მეცნიერების დარგში მუშაობის შესაძლებლობით.

ინოვაციები ყოველთვის რისკთანაა დაკავშირებული, ზუსტად ხომ არ არის ცნობილი, მოიტანს თუ არა სიახლე მოსალოდნელ შედეგს. მეცნიერი და გამომგონებელი თავისი დროითა და დახარჯული ძალისხმევით რისკავს, ხოლო მეწარმე – ინოვაციურ პროექტში დაბანდებული ფულით. ასეთ რისკზე წასვლა დამოუკიდებლად შეუძლია მხოლოდ ისეთ ხალხს, რომელნიც შეჩვეულები არიან, გადაწყვეტილება მიიღონ თავისუფლად და მთელი პასუხისმგებლობით.

ჩვენ არაერთხელ შევხვედრივართ ისეთ სიტუაციებს, როცა ტექნოლოგიური ინოვაციები სწორად ტარდებოდა, ჰქონდათ სავსებით საკმარისი ინსტიტუციური უზრუნველყოფა, მაგრამ ეკონომიკური განვითარება პრაქტიკულად არ იყო. როგორც აღმოჩნდა, აუცილებელია კიდევ ერთი, მესამე პირობის შესრულება.

საზოგადოებას უნდა გააჩნდეს ღირებულებათა სისტემა, ის მიზანდასახულობანი, რომლებიც სტიმულს მისცემს ეკონომიკის განვითარებას.

ამერიკული მენეჯმენტის პატრიარქად წოდებული პიტერ დრუკერი თვლიდა, რომ წარმატებების 80% განისაზღვრება მეცნიერულ მიდგომებზე დამყარებული მართვის და მენეჯმენტის ეფექტიანობით. მისი აზრით, ეკონომიკური ბაზისი, ბუნებრივი რესურსები, ტექნოლოგია, ხალხის ტალანტი რაციონალურად ამოქმედებისან სამეურნეო ბრუნვაში და მოგვცემენ დადებით შედეგებს მართვის მოქნილი, გააზრებული და ეკონომიკური სისტემის გამოყენების პირობებში.

მეცნიერული ცოდნის გამოყენების ხარისხის მიხედვით იქმნება ინოვაციები, რომლებიც ემყარება ფუნდამენტურ მეცნიერულ ცოდნას, მეცნიერული კვლევების გამოყენებას შეზღუდული სფეროთი, არსებულ მეცნიერულ ცოდნას სხვადასხვა დარგში, მსხვილი პროგრამების გამოყენებას დამხმარე შედეგებში, უკვე ცნობილ ტექნოლოგიებს.

მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები, რომლებიც ინოვაციებს აქცევენ განვითარების პრიორიტეტულ წყაროდ, მოწინავე პოზიციებს იკავებენ მსოფლიოში ეკონომიკის განვითარების ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ინოვაციურად აქტიური საწარმოების ხვედრითი წილი განვითარებულ ქვეყნებში საწარმოთა მთელი რიცხოვნობის 80%-ს აღწევს. რუსეთში ეს მაჩვენებელი 5-6 %-ია.

სახელმწიფო და კორპორაციები იბრძვიან საუკეთესო სამეცნიერო ძალების მისაზიდად. წამყვანი სახელმწიფოები საკმაოდ გულუხვად ახდენენ არა მარტო ტექნოლოგიური კვლევების ასიგნებას, არამედ ფუნდამენტური მეცნიერებებისაც და, უბრალოდ, მეცნიერთა ურთიერთობასაც კი კონფერენციების, სიმპოზიუმების და ა. შ. სახით. ცნობილია, რომ ქვეყნის ეკონომიკის ზრდა მით უფრო წარმატებულია, მშპ-ის სულ მეტი წილი იხარჯება მეცნიერებაზე.

მიუხედავად ინოვაციათა სასიცოცხლო აუცილებლობისა, ეკონომიკურად წარმატებულ ქვეყნებშიც კი პრობლემატური ხდება მეცნიერებაზე დანახარჯების გადიდება. მიზეზთა შორის უპირველესია ის, რომ ნებისმიერი ახალი იდეა ან პროდუქტი უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს საზოგადოებასა და ეკონომიკაზე. ამასთან, თავად გამომგონებლები ხშირად ვერაფერს იღებენ და მოგება სხვებს რჩებათ, რის გამოც ახალი იდეების შექმნის ინტერესი ეკარგებათ არა მხოლოდ მეცნიერებს და ინოვატორებს, არამედ იმ ადამიანებს ან სტრუქტურებს, რომლებიც აფინანსებენ მეცნიერულ კვლევებს ადრეულ სტადიაზე. მეორე ფაქტორია ის, რომ გამომგონებელმა გაცილებით მეტი იცის საკუთარი გამოგონებისა და მისი პოტენციური გამოყენების შესახებ, ვიდრე იმ ინვესტორმა, ვისაც გააჩნია შესაბამისი სახსრები იდეის ფინანსური უზრუნველყოფისათვის. მეცნიერთათვის ძალზე რთულია ადეკვატურად წარადგინონ საკუთარ პროექტთა ღირსებანი და დაამტკიცონ, რომ წარმოდგენილი იდეა სამრეწველო რეალიზაციისას მოგებას მოიტანს.

აშშ-ში მეცნიერული კვლევები, ადრეულ სტადიაზე, სახელმწიფოს მიერ (ეს საბიუჯეტო თანხები, საშუალოდ, პროექტებში ჩადებული ფინანსური რესურსების 34%-ს შეადგენს) და „ვენჩერული“ კაპიტალით (ესეც 34 %-ია), ფინანსდება, კიდევ 25 %-ს მეწარმეები დებენ პროექტებში და მომავალში დიდი მოგების იმედი აქვთ.

ყოფილი სსრკ-დან გამოყოფილ ქვეყნებში მდგომარეობა აშშ-სთან შედარებით კარდინალურად განსხვავებულია: მეწარმეები, როგორც წესი, არ დებენ ფულს მეცნიერული აზრის

კომერციალიზაციისათვის, ხოლო სახელმწიფოებს კი, ან არ აქვთ შესაბამისი რესურსები, ან თუ აქვთ – არ იციან როგორ იმოქმედონ აღნიშნულ სფეროში (მეცნიერული იდეის კომერციალიზაციის თვალსაზრისით).

მეცნიერება, ანუ კვლევათა სისტემა, ის ერთადერთი ინოვაციის არხია, რომელზეც საქართველოს ხელისუფლება აქტიურად ზემოქმედებს რეფორმის პროცესში.

საქართველოში ინოვაციური საქმიანობის განვითარებას დიდად აფერხებს ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების უადრესად დაბალი დონე, დაუხვეწავი, არასრული საკანონმდებლო ბაზა, ვენჩურული ფონდებისა და ინოვაციური საქმიანობის რისკების დაზღვევის სისტემის არარსებობა, ინოვაციური მეწარმეობის ხელშემწყობი სატარიფო პოლიტიკის გაუტარებლობა, ინოვაციური საქონლის იმპორტის არაჯეროვანი წახალისება და სხვა.

მსოფლიო გამოცდილებიდან ვიცით, რომ მე-20 საუკუნეში მხოლოდ იმ ქვეყნებმა მიაღწიეს მაღალ შედეგებს, რომელთა მთავრობებმა მიზანდასახული გრძელვადიანი ინოვაციური პოლიტიკა განახორციელეს. ეროვნული ეკონომიკები განიცდიან როგორც ზრდის, ასევე ვარდნის პერიოდებს, მაგრამ ათობით წლის მონაკვეთზე გაზომილი საბოლოო ზრდა, შეიძლება მხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკურ ცოდნაში ინვესტირებას მივაწეროთ.

მიგვაჩნია, რომ სხვა ქვეყნების გამოცდილება აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

როგორც ილია ჭავჭავაძე გვასწავლის: „სხვების მიერ უკვე განვლილ გზას, მათ გამოცდილებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს და მას უეჭველად უნდა ვიყენებდეთ ადგილობრივი თავისებურების შესწავლისა და ყოველმხრივ დასაბუთებული გადაწყვეტილებების საფუძველზე“. იგი უმთავრეს მიმართულებად მიიჩნევდა, თუ როგორ უნდა ვისხელმძღვანელოთ მოწინავე ქვეყნების გამოცდილებით, რას უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება.

მაგალითისათვის, ილიას აზრით, მსოფლიო ასპარეზზე ევროპის დაწინაურება განაპირობა მეცნიერებამ და მხნეობამ, ჭკუამ და ხელმა, დღევანდელი დღით დაუკმაყოფილებლობამ და უკეთესობის წყურვილმა. იგი აღნიშნავდა: „ისტორია და წარმატება – მარჯვესი, გამარჯვების, მხნეის და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია. ამისთანად აღმოჩნდა ევროპელი... რადგანაც ამისთვის ხელში აქვს მეცნიერება და მხნეობა, ჭკუა და ხელი. ამ მეცნიერებასა და მხნეობას, ამ ჭკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხალხის უკეთესობისა და მწვავე უკმარისობა დღევანდელია. ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ძლევა მოსილი წინმსვლელობა... დიადი წარმატება“ [5, გვ. 114].

ბოლო ხუთი-ექვსი საუკუნის განმავლობაში ევროპელები უდავოდ მოწინავენი არიან მეცნიერებასა და ტექნოლოგიურ ინოვაციებში.

კაცობრიობა უფრო მეტად აღიქვამს თავის თავს ერთიან ორგანიზმად. ევროპის მოწინავე ქვეყნები, ამერიკა და აზია სულ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, თანდათან ქმნიან ერთიან კულტურას, ბიზნესის საერთო წესებს, ქცევის სტერეოტიპებს და განათლების სტანდარტებს.

ამჟამად მეცნიერების ძირითად დარგებში ჩამოყალიბდა მძლავრი ცენტრები სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, უნივერსიტეტების, სამეცნიერო ფონდების და ტეკ-ების კვლევითი ცენტრების ბაზაზე. მსოფლიოში მეცნიერთა გადაადგილება გახდა თავისუფალი. სხვაობა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების შემოსავალში ისე მუშაობს, როგორც ტუმბო, ოღონდ ამჯერად „ტვინთა გადასაქანად“. ინტერნეტი ქმნის პირობებს იდეებისა და ინოვაციების გაცვლის გასაძლიერებლად, ასევე, უცხოელ მეცნიერთა შესაძლებლობების გამოყენების, მათი ფიზიკური გადაადგილების გარეშე. ეს გარემოება უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად შეცვლის მეცნიერების გლობალიზაციის ხარისხს.

დღეს მეცნიერება და ინოვაცია ქმნის ერთიან გლობალურ კომპლექსს, რომელშიც ახალი იდეები და აღმოჩენები, მიუხედავად შეზღუდვებისა და აკრძალვებისა, საკმაოდ სწრაფად ხდება მსოფლიო მეცნიერების კუთვნილება და საყოველთაო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გაძლიერების ფაქტორი.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ხარისხობრივად ახალი სოციალური მიმართულებაა ეკოლოგიურად სუფთა, ტექნიკურად უსაფრთხო ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება. ინოვაციური საქმიანობის სწორედ ამ სფეროში, როგორც არსად, საჭიროა სახელმწიფოს მუდმივად ორგანიზებული და ხელმძღვანელი საქმიანობა, ვინაიდან ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების არასრულყოფილად ჩატარებული კვლევები და ასეთი ტექნოლოგიების გამოყენება შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის.

„დანერგე ინოვაციები, თუ არა და წააგებ“. ეს სიტყვები თანდათან ხდება ყველა მენეჯერის საერთო ღოზუნგი. თუკი კომპანიებს უნდათ წარმატებული კონკურენცია თანამედროვე დინამიკურ და ქაოსით მოცულ გლობალურ კონკურენტულ გარემოში, მათ გამუდმებით უნდა შეიმუშაონ პროდუქციისა და მომსახურების ახალი სახეები და ფართოდ გამოიყენონ ტექნოლოგიების ბოლო მიღწევები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვეშაპიძე შ., გრიშიაშვილი ა., ლეკაშვილი ე., ასლამაზიშვილი ნ., მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2008.
2. ლუტიძე ბ. გლობალიზაცია: არსი, პრობლემები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2003.
3. ქოქიაშვილი ლ., ქოქიაშვილი ნ. ინოვაციები, თბ., 2015,
4. ჩარკვიანი გ. პატარა ქვეყნები და გლობალიზაცია. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 16 იანვარი, 2003.
5. ჭავჭავაძე ი. თხზ., ტ. 9.
6. Друкер П. Рынок: как выйти в лидеры? Практика и принципы, М., 1992, с. 181.
7. Шумпетер И. Теория экономического развития. М., Прогресс, 1982.
8. Друкер П. Ф. Практика менеджмента. М., Вильмс, 2003.
9. www.wikipedia.org.ge
10. ka.wikipedia.org

Lia Dvalishvili

GLOBALIZATION OF SCIENCE AND INNOVATIONS

Summary

Science as a sphere of creative activity always was global but only in the second part of XX century it became a production field of new knowledge and technologies.

There are mentioned initial scientific researches, which laid down the foundation for modern innovation. There are noted innovations that have been created according to the use of scientific knowledge. The challenges of scientific-technical progress and necessary conditions for their solution are given in the article. The article emphasizes the vital necessity of innovations and the increase of costs in science.

Recommendations to implement long-run innovation policy to use widely ecologically pure, technically safe technologies are given.

Сохраб Исаев

ПРОБЛЕМЫ ФОРМИРОВАНИЯ НАЦИОНАЛЬНОЙ ИННОВАЦИОННОЙ СИСТЕМЫ

Аннотация. В статье анализируется текущее положение дел в сфере инновационной деятельности в Азербайджанской Республике. Описаны проблемы формирования национальной инновационной системы и меры организационного, экономического и институционального характера. В заключении предложены меры по усовершенствованию стратегии развития технологической и инновационной деятельности в республике.

Ключевые слова: инновационная система, технология, научно-техническая сфера, информация, инвестиции.

Неотъемлемой частью экономической политики Азербайджанского государства является формирование национальной инновационной системы. Национальная инновационная система должна обеспечить объединение усилий государственных органов управления всех уровней, организаций научно-технической сферы и предпринимательского сектора экономики в интересах ускоренного использования достижений науки и технологий в целях реализации стратегических национальных приоритетов страны (см. рис.1) [1]. Исходя из поставленной цели, создаваемая система должна носить сквозной и многоуровневой характер и включать следующие элементы по стадиям инновационного процесса и уровням управления, ориентируя их взаимодействие на конечные результаты. По стадиям инновационного процесса НИС должна обеспечить оптимальное взаимодействие:

- фундаментальных и поисковых исследований, направленных на открытие новых закономерностей в развитии природы, техники и общества во взаимодействии с природной средой и путей использования этих закономерностей в решении актуальных национальных проблем;

- прикладных исследований и конструкторских разработок, переводящих перспективные научно-технические идеи и изобретения в форму опытных образцов новых изделий и испытанных технологий и осуществляющих авторский надзор при реализации их в инновациях;

- изобретений и других оригинальных научно-технических решений, обеспечивающих конкурентоспособность отечественных товаров, услуг и технологий;

- инвестиций, реализующих базисные и улучшающие инновации в производстве и в сфере потребления;

- вузов, участвующих в рождении и обосновании новых технических идей и изобретений и осуществляющих подготовку, переподготовку и повышение квалификации кадров для инноваций и т. п.




Рисунок 1. Состав национальной инновационной системы (НИС)

Иными словами, национальная инновационная система должна охватывать и подчинять единой конечной цели все стадии инновационного процесса – от появления принципиально новой научно-технической идеи до ее реального воплощения. Такой подход предполагает единство иерархической, функциональной и обеспечивающей структуры национальной инновационной системы (см. рис. 2).

В ее составе необходимо выделить иерархические уровни. Каждый из этих уровней имеет свой круг задач и проектов структуру, но их цели и механизмы следует согласовывать по вертикали.



Рисунок 2. Структура национальной инновационной системы

Функциональная и обеспечивающая структуры национальной инновационной системы могут включать следующие основные подсистемы:

- научно-техническое и инновационное прогнозирование и выбор стратегических приоритетов - разработка, корректировка и продление каждые 4-5 лет долгосрочных прогнозов развития науки, техники и технологий в увязке с прогнозами социально-экономического, экологического и территориального развития республики и ожидаемых мировых тенденций; подготовка и корректировка перечня стратегических инновационных приоритетов;

- стратегическое планирование и программирование инновационно-технологического развития - обоснование концепций инновационного развития на перспективу; разработка и корректировка научно-технических и инновационных программ для реализации конкретных стратегических приоритетов;

- оценка и отбор для инновационного освоения, изобретений и других результатов научно-технической деятельности, технологий двойного назначения оборонно-промышленного комплекса, разработка, фундаментальных основ отдельных направлений шестого технологического уклада;

- интеграционный аспект инновационного развития, экспорт и импорт технологий и инновационных продуктов, формирование межгосударственных инновационных систем, ТНК и стратегических технологических альянсов по инновационным приоритетам;

- развитие инновационной инфраструктуры;

- финансовое обеспечение, создание государственных инновационных фондов, сети венчурных фондов, развитие инновационного кредита и страхования;

- привлечение иностранных инвестиций для реализации инновационных проектов;

- информационное обеспечение всех участников инновационного процесса о научных открытиях, изобретениях и инновациях в стране и за рубежом, о направлениях и перспективах социально-экономического и научно-технического развития;

- инновационный менеджмент, организация управления разработкой и реализацией инновационных программ и проектов, партнерства крупного, среднего и малого бизнеса, государства и общества в инновационном развитии, мониторинга и контроля выполнения программ и проектов;

- кадровое обеспечение инновационного развития, подготовка, переподготовка и повышение квалификации ученых, конструкторов, инженеров, рабочих по приоритетным направлениям научно-инновационного развития, по конкретным проектам и программам, инновационное наполнение программ обучения в средней и высшей школе, системы дистанционного обучения.

В республике идет становление национальной инновационной системы. Создаются технопарки, научно-образовательные центры и т.д. Но существуют проблемы правового и организационного характера в охране и передаче интеллектуальной собственности, сертификации инновационной продукции и др.

Для изменения ситуации требуются целенаправленные усилия со стороны государственных органов и хозяйственных субъектов. Прежде всего, необходимо разработать стратегию активизации технологической инновационной деятельности, то есть прикладных исследований на коммерческой основе, которые станут частью рыночной экономики.

Создание национальной инновационной системы в представленном выше виде - дело сложное и длительное, требующее новых подходов и немалых затрат. Современная НИС формируется, исходя из общей государственной макроэкономической политики и нормативно-правовой базы. Основными элементами инновационной системы являются подсистемы: генерации знаний, образования, профессиональной подготовки; производства продукции и услуг; инновационной инфраструктуры, включая финансовое обеспечение. Учитывая, что функционирование НИС строится исходя из условий рыночной экономики, сам по себе рынок наукоемкой продукции и услуг может рассматриваться как одна из подсистем НИС [4].

В области обмена инновациями и проведения совместных исследований в эпоху глобализации в качестве координатора выступает Центр Научных Инноваций Национальной Академии Наук Азербайджана (НАНА).

Центр Научных Инноваций (ЦНИ) изучает исследования, проводимые научно-исследовательскими институтами, и подготавливает запросы в соответствии с потребностями и предложениями министерств, учреждений и организаций. На основе этих запросов собираются технологии из иностранных баз данных, помещаются в свою базу данных, отображаются на портале Центра и публикуются в журнале.

В целях дальнейшего совершенствования управления, повышения качества информационного обслуживания в отраслях в ЦНИ созданы несколько информационных систем. Автоматизированная информационно-аналитическая система (ИАС) "Наука и инновации" является одной из них. Эта система с механизмом ведения распределенных информационных ресурсов о научно-технической деятельности субъектов инновационных проектов, носит динамичный, адаптивный характер и позволяет:

- осуществлять сбор первичной информации по научно-исследовательским работам и инновационным проектам в стране;

- обеспечивать эффективное хранение и защиту информационных баз данных;

- обеспечивать дифференцированный доступ к информации и сервисным услугам;

- выдавать информацию по запросам пользователей в структурированном виде;
- отслеживать информацию по научно-исследовательским работам и инновационным проектам;
- обеспечивать эффективную реализацию основных функций аналитического обеспечения на всех этапах инновационной деятельности;
- обеспечивать аналитическую обработку информации с учетом особенностей и потребностей конкретного потребителя.

Использование ИАС позволяет в ходе проведения информационно-аналитических работ обеспечить выполнение следующих функций информационно-инновационной деятельности:

- выявление, изучение и систематическое уточнение потребностей руководителей и специалистов предприятий в научно-технической технологической и экономической информации;
- накопление и анализ сопоставимых данных по научно-исследовательским работам и инновационным проектам;
- удовлетворение заявок предприятий и организаций на анализ научно-технической, технологической и экономической информации;
- печать реферативных журналов.

Интегрированное хранилище данных ИАС "Наука и инновации" позволяет организовать следующие информационно-аналитические процессы:

- научно-техническая экспертиза инновационного проекта, определение приоритетных направлений;
- подготовка ежегодных бюллетеней по инновационным проектам;
- финансово-экономическая экспертиза инновационного проекта;
- маркетинговые исследования инновационного проекта;
- передача и внедрение инновационного проекта;
- определение научно-кадрового потенциала;
- учет, охрана и введение в хозяйственный оборот объектов интеллектуальной собственности.

Из прошедших регистрацию в 2012 г. 883 НИОКР впервые экспертами по специальным методам было отобрано 335 работ инновационного направления. Из отобранных 335 работ - 100 работ относятся к физико-математическим и техническим наукам, 14 работ к химическим наукам, 64 работы к наукам о земле, 47 работ к биологическим наукам, 91 работа к гуманитарным и общественным наукам, 19 работ к межотраслевым наукам [3].

Были разработаны проекты документов, которые регулируют правовые и экономические отношения между субъектами инновационной деятельности, обеспечивают условия формирования и реализации государственной инновационной политики: «Концепция Национальной Инновационной Системы Азербайджанской Республики»; «Программа развития и формирования Национальной Инновационной Системы Азербайджанской Республики», «Концепция инновационной политики Азербайджанской Республики», проект закона «О Государственной Поддержке и Регулированию Инновационной Деятельности в Азербайджанской Республике». Также была подготовлена аналитическая сводка по научным основам трансфера технологий и собраны материалы по проводимым в республике передовым технологиям.

В целях выявления инновационного потенциала научных учреждений страны были разработаны формы для сбора информации об имеющихся инновациях. Эти формы были разосланы в 87 научных учреждений академического вузовского, отраслевого сектора науки. После получения информации выявилась следующая картина: из 87-и организаций лишь в 11-и имеются 112 инновационных работ, готовых к внедрению. Другая форма была разослана в 20 научно-исследовательских организаций НАНА и в 10 министерств. В этой форме были указаны следующие параметры: название, цель, краткое содержание, этап готовности к внедрению, патентная охрана, приблизительная цена внедрения; область применения; уровень инновации.

Часть организаций отметили отсутствие инновационных работ, другие включили в форму работы, не являющиеся инновациями (см. табл 1).

Таблица 1

Количество инновационных работ по ведомствам

Министерства и ведомства	Количество тем	Удельный вес, %
Азэнерго	5	3,40
Министерство оборонной промышленности	2	1,36
Министерство образования	18	12,24
ОАО Мелиорации и водного хозяйства	23	15,65
НАНА	33	22,45
Министерство здравоохранения	66	44,90
ВСЕГО	147	100

Как видно из этой таблицы, более всего инновационных работ зарегистрировано в Министерстве здравоохранения и НАНА. Из представленных работ 80% запатентованы (в т.ч. за рубежом). Сами разработчики оценили уровень инноваций (по 3-м уровням важности) (см. табл. 2).

Уровень инновационных проектов

Уровень	Количество	Удельный вес, %
Мировой уровень	93	63,27
Ниже мирового уровня	32	21,77
На республиканском уровне	22	14,97
ВСЕГО	147	100

Анализ также показал, что многие организации не всегда могут отделить научно-технический продукт от инновационной работы. По нашему мнению, необходимо создавать экспертные советы по инновационным работам, а также базы по инновационным технологиям.

Для изменения ситуации осуществляются целенаправленные усилия со стороны государственных органов и хозяйственных субъектов республики. Прежде всего, разрабатывается стратегия активизации технологической инновационной деятельности, то есть прикладных исследований на коммерческой основе, которые становятся частью рыночной экономики.

Указом Президента Азербайджанской Республики от 15 мая 2009 г. на НАНА возложена обязанность исследовать развитие наукоемких отраслей и новейшие технологии и инновации за рубежом. Для этого республика должна располагать научно обоснованной и практически ориентированной программой перевода национальной экономики в режим интенсивного инновационного развития. Главным и наиболее эффективным механизмом такого перевода, как показывает мировой и отечественный опыт, должна стать национальная инновационная система как современная институциональная модель генерации, распространения и использования знаний, их воплощения в новых продуктах, технологиях, услугах во всех сферах жизни общества.

Основными задачами активизации инновационной деятельности являются:

- построение национальной инновационной системы;
- формирование благоприятной для инновационной деятельности экономической, правовой и социально-культурной среды;
- достижение качественно нового технологического уклада в отраслях экономики;
- повышение уровня высокотехнологического экспорта, импортозамещения, экономической и энергетической безопасности;
- развитие интеллектуального потенциала и творческой активности населения.

Следует отметить, что рыночные элементы инновационной сферы в Азербайджане уже существуют: появились частные предприятия, крупные приватизированные производства освободились от опеки государства в распределении прибыли, имеется создававшийся десятилетиями научно-технический потенциал, государство участвует в поддержке приоритетных проектов. Тем не менее, инновационный механизм пока работает не в полную силу. Ресурсы и возможности существуют сами по себе, в отрыве от структурных преобразований экономики, а последние практически не повышают эффективность производства, т.е. не выполняют той задачи, ради которой начинались экономические реформы.

Поэтому инновационная политика должна быть направлена на системный подход к циклам «НТП - инновации - воспроизводство» и обеспечивать интеграцию всех элементов инновационного процесса в единый механизм, способный не только поглощать ресурсы, но и выдавать в качестве результата успешно реализованные проекты не только в единичных экземплярах, но и серийно.

Одной из возможных мер по стимулированию инвестиций в научно-технические разработки может стать решение о направлении 0,5 - 1% прибыли предприятий от реализации товаров и услуг на финансирование НИОКР и инноваций. При этом в соответствии с принципами либеральной экономики предприятия могли бы расходовать указанные средства по собственному усмотрению, исходя из интересов обеспечения прибыли и повышения конкурентоспособности своей продукции на рынке. У них появится возможность и необходимость размещать заказы на фундаментальные и прикладные исследования в НАНА, вузах или проводить собственные «фирменные разработки». По нашему мнению, эти меры позволят активизировать инновационные процессы в национальной экономике.

Использованная литература

1. «Стратегическая дорожная карта по развитию национальной экономики и ее секторов». Распоряжение Президента Азербайджанской Республики от 16 марта 2016 г.
2. Индикаторы инновационной деятельности: Стат. сборник. – М.: Росстат, 2014
3. Наджафов З.М. Национальная инновационная система. Баку, «Елм», 2014, 286 с.
4. Известия Национальной Академии Наук Азербайджана. Наука и инновации 2014, Центр научных инноваций НАНА., Баку, «Наука», 2015

THE PROBLEMS OF THE FORMATION OF NATIONAL INNOVATION SYSTEM

Summary

In the article analyzes the current situation of innovation activity in Azerbaijan Republic. Described problems of the formation national innovation system and measures of organizational, economic and institutional nature.

Finally are proposed to improve the strategy for enhancing technological and innovation activities in the republic.

ეთერ კაკულია
ნანა ბიბილაშვილი

მცირე ბიზნესი: ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ფაქტორი

ანოტაცია. განხილულია მცირე ბიზნესის უპირატესობანი მსხვილ და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში. ეს უპირატესი თავისებურებანი ხდის მას ინოვაციურ ფაქტორად. საუბარია ინოვაციურ მცირე ორგანიზაციის სახეებზე. მცირე ბიზნესის, როგორც თვითინოვაციურის როლზე ინოვაციებში. გამოკვეთილია ინოვაციების სფეროში მცირე ბიზნესის უპირატესობები. საუბარია მცირე ბიზნესის, მსხვილი საწარმოების (კორპორაციების), სამეცნიერო დაწესებულებების და სასწავლებლების ურთიერთობების საკითხებზე სკსს – სფეროში. გამოკვლეულია მცირე ბიზნესის ეფექტიანობის განმაპირობებელი მიზეზები. მოკლედ არის გადმოცემული ეკონომიკის ინოვაციური სტრუქტურა, მიზნის მიხედვით ჩამოთვლილი და დახასიათებულია მათი ტიპები.

გამოკვეთილია მცირე ბიზნესის ინოვაციური თავისებურებანი, ის სფეროები, სადაც მცირე ინოვაციური ბიზნესი მეტად არის წარმოდგენილი. განხილულია საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის, ცოდნის ეკონომიკის ფორმირების მიმართულებით ჩატარებული სამუშაოები კერძოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიასა და მნიშვნელობაზე. მოყვანილია განვითარებული ქვეყნების მცირე ინოვაციური ბიზნესის მიღწევების ამსახველი რიცხვითი მასალები და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შეფასებული საქართველოს შედეგები ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების საკითხებზე. საუბარია ამ მიმართულებით არსებულ ნაკლოვანებებზე. გამოთქმულია მოსაზრებანი მისი შემდგომი სრულყოფისა და რადიკალური სამუშაოების მოკლე დროში გატარების აუცილებლობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, სტრატეგიული ინოვაცია, მცირე ბიზნესი (საწარმო). მცირე ინოვაციური საწარმო (მის), სამეცნიერო-კვლევითი საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები (სკსს).

საბაზრო ეკონომიკის მსოფლიო განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დიდია მცირე ბიზნესის როლი ინოვაციურ საქმიანობაში და, მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარების დონე სხვადასხვაა ამ ქვეყნებში, იგი აღიარებულია, როგორც ეკონომიკაში ინოვაციების უპირობო ფაქტორი. მმასზე მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 60-70%. აქ აქტიურად უჭერენ მხარს მცირე ბიზნესს, რადგან მასზეა დამოკიდებული ასევე მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა და ხარისხი.

მსოფლიო გამოცდილებიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე, ეკონომიკის ნორმალური განვითარების ძირითად მახასიათებლად აღიარებულია მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესსექტორთა ოპტიმალური თანაფარდობა. მათ შორის ჭარბობს მცირე ბიზნესი მისი უპირატესობებიდან გამომდინარე. მცირე საწარმოები უფრო დინამიურები არიან, ისინი სწრაფად და ეფექტიანად რეაგირებენ ეკონომიკაში მიმდინარე აღმავალ თუ კრიზისულ მოვლენებს. მცირე ბიზნესი ხშირად დისპროპორციის მარეგულირებლის როლს თამაშობს რიგი საქონლის ბაზრებზე. სახელმწიფო დანახარჯები მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად ეფექტიანია, რადგან მცირე ბიზნესის მეშვეობით ხდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარება, საქონლითა და მომსახურებით ბაზრის სწრაფი გაჯერება, მასზე მოდის ეკონომიკაში ინოვაციების მეტი წილი.

განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესის სხვა ფორმებთან მიმართებაში, მცირე ბიზნესის ფუნქციონირებაზე დაკვირვებამ აჩვენა მისი რიგი უპირატესობები:

1. მცირე ბიზნესს შეუფასებელი წვლილი შეაქვს ჯანსაღი (ბუნებრივი) კონკურენტული გარემოს ფორმირებაში. კონკურენცია იწვევს შეჯობებას სამეურნეო სუბიექტებს შორის, რასაც მოსდევს დაინტერესება მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისი საქონლის რაოდენობის და ხარისხის პროდუქციის შექმნაში. მცირე ბიზნესი თავისი ბუნებით ანტიმონოპოლიურია, გარდა ამისა, მუდმივი ბალანსირებული კონკურენციის პირობებით ის მუდმივად ინოვაციურია, ამით არღვევს მსხვილი და საშუალო ბიზნესის მონოპოლიზმს ეკონომიკაში;

2. მაღალი მგრძობელობა (რეაქცია) საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებასთან მას ხდის მდგრადს და მანევრირებადს. მცირე ბიზნესის ეს უპირატესობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაშინ როცა სამომხმარებლო მოთხოვნების ინდივიდუალიზაციას, დიფერენციაციასა და საქონლისა და მომსახურების აქტიურ ზრდასთან გვაქვს საქმე;

3. მცირე ბიზნესს აქვს უნარი, უსწრაფესად დანერგოს ტექნიკური და კომერციული ინოვაციური იდეები. მცირე ბიზნესის სექტორის ყველა მონაწილე მოგების მიღების მიზნით, მოღვაწეობს კეთილსინდისიერი კონკურენციით, საკუთარი რისკის საფასურად. სწორედ მონაწილეთა ასეთი სახით შეჯიბრება(კონკურენცია), ანიჭებს მათ გზამკვლევის როლს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში. მაგალითად აშშ-ს მცირე ბიზნესში იქმნება მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავების და ინოვაციების 50%-ზე მეტი [6];

4. მცირე ბიზნესი დიდი ოდენობით ასაქმებს სამუშაო ძალს. სამუშაო ადგილების შექმნით მცირე ბიზნესით, ეკონომიკაში ციკლური ჩავარდნების და ეკონომიკის სტრუქტურული ძვრების პირობებში, აქტიურად წყდება მოსახლეობის დასაქმებისპრობლემა, ე.ი. იგი ხელს უწყობს უმუშევრობის შემცირებას და დასაქმების მაღალ დონეზე უზრუნველყოფას. ასე რომ, ეკონომიკაში მცირე ბიზნესის წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს საშუალო კლასის ფორმირებაში.

მოკლედ შეიძლება ჩამოყალიბდეს მცირე ბიზნესის უპირატესობები:

1. მონოპოლიის შესუსტებაზე გავლენის უნარი;
2. საქონლისა და მომსახურების ბაზრის სწრაფი გაჯერება;
3. დანახარჯების ამოსყიდვადობა და შედეგების ოპერატიულობა;
4. სამეურნეო სუბექტების დამოუკიდებელი ინიციატივების მობილიზაციის უნარი;
5. ძირითადად მცირე სასაქონლო წარმოება;
6. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაღალი ადაპტაციურობის თვისება;
7. ინოვაციების აქტიური განმახორციელებელი;
8. დამატებითი სამუშაო ადგილების განსაკუთრებით დიდი ოდენობით შექმნა;
9. საფუძველია ქვეყანაში საშუალო ფენის ფორმირების.

აქ ჩამოთვლილი უპირატესობანი ნათლად გვიჩვენებს მცირე ბიზნესის აუცილებლობას ეკონომიკაში არა მარტო ეკონომიკური სამეურნეო საქმიანობის განვითარების, არამედ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფორმირებისათვის.

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, მცირე მეწარმეობა (ბიზნესი) წარმოადგენს შედარებით ეფექტიან და დინამურად განვითარებად სექტორს. ისინი ხშირად ეწევიან საქმიანობას სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო შედეგების დანერგვებში. მსხვილი საწარმოები ფლობენ უპირობო უპირატესობას ეკონომიკის რიგ დარგებსა და საქმიანობის რიგ სფეროებში მსხვილი ინოვაციების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსების, მატერიალური და შრომითი რესურსების მოზიდვაში. ამავდროულად ეკონომიკის მთელ რიგ სფეროში უფრო შედეგიანი და ოპტიმალურია საქმიანობის ორგანიზაციის მცირე ფორმები. კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკაში ინოვაციები წარმოუდგენელია, პრაქტიკულად შეუძლებელია მცირე ბიზნესის გარეშე, რადგან ისინი, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, წარმოადგენენ ძირითად ელემენტს და წარმმართველ ძალას ეკონომიკის ინოვაციებში. მცირე ბიზნესი (საწარმოები) თავისი ბუნებით ინოვაციურია. ერთი მხრივ მცირე ბიზნესი ისეთი ინსტიტუციური სტრუქტურის ხარისხში გამოდის, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანად ეკონომიკური სისტემის დინამიზმს და წინსვლას. აქვს უნარი, სწრაფად განახორციელოს კვლევისა და შემუშავებების კომერციალიზაცია, ასევე შესწავს საქმიანობის ყველა სფეროში მიმდინარე ცვლილებების პირობებისადმი ადაპტაციის უნარი. ამით არის განპირობებული მცირე ბიზნესის დიდი გავლენა ინოვაციის განვითარებაზე. მეორე მხრივ, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების წყალობით, რომელიც ძირეულად ცვლის ცალკეული სტრუქტურის ფუნქციონირების მოდელს, მცირე საწარმოს დროის მცირე შუალედში უქმნის ინფორმაციის მიღების პირობებს უახლესი საქმიანობების შესახებ და ამით ხელს უწყობს მცირე მეწარმეობის ხვედრითი წილის გაზრდას საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარზე. გარდა აღნიშნულისა, ინფორმაციული ტექნოლოგიები ქმნის წარმოების დანახარჯების შემცირების პირობებს და მცირე საწარმოებს აძლევს შესაძლებლობას გაზარდონ თავიანთი კონკურენტუნარიანობა, ხოლო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი კი ფირმის ინოვაციურობის ერთ-ერთი მაჩვენებელია.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ინოვაციური სფეროს მცირე და საშუალო ორგანიზაციებს შეიძლება მივაკუთნოთ:

➤ ვენჩერული ორგანიზაციები - მცირე ტექნოლოგიური ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ მაღალი რისკის შემცველ პროექტებს. მათი დაფინანსებისათვის იქმნება სპეციალური ვენჩერული ფონდები. მათი განვითარების კონცეფცია მდგომარეობს შემდეგი ციკლის განხორციელებაში: იდეა - ინოვაცია - ინვესტიციები, საცდელ-საკონსტრუქტორო ან სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე - ინოვაციური საცდელი პროდუქციის პარტიის წარმოება - ბაზრის ნიშის

დაპერობა - სწრაფად გასვლა აქციების პირველადი გაყიდვების (IPO) ბაზარზე. ვენჩერული ტექნოლოგიური ბიზნესი წარმოადგენს ბაზას, ქვეყნის თანამედროვე განვითარების, პოსტინდუსტრიული და ცოდნის ეკონომიკის შექმნით;

➤ მცირე ინოვაციური ორგანიზაციები, - რომლების ეწვეიან ინოვაციური პროექტების რეალიზაციას ან უშვებენ ინოვაციურ პროდუქციას. თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის (OACP) წევრ-ქვეყნებში ინოვაციურად აქტიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25%-დან 80%-მდე. ინოვაციურ ეკონომიკებში ასეთი ორგანიზაციები მეტწილად ჭარბობს, რადგან თავისუფალი კონკურენციის პირობებში მხოლოდ მათ შესწევს არსებობის უნარი მათი კონკურენტული უპირატესობის ხარჯზე. ინოვაციური ორგანიზაციის ინვესტირების სტრატეგია - ინვესტიციების ძირითადი ნაწილის ჩადება, ისეთ პერსპექტიულ ინოვაციურ პროდუქტზე, რომელიც დაცულია დამცავი დოკუმენტით (საბუთით - პატენტი, მოწმობა გამოგონებაზე). ინოვაციურ ორგანიზაციებში რისკის შემცირების მიზნით იქმნება საინვესტიციო პროექტების პორტფელი.

რუსეთში მცირე ინოვაციურ საწარმოდ (მის) ითვლება ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც ბოლო სამი წლის განმავლობაში ჰქონდა ინოვაცია, ე.ი. ბაზარში დანერგილი ახალი ან საგრძობლად გაუმჯობესებული პროდუქცია, ახალი ან საგრძობლად გაუმჯობესებული მომსახურება, ან მეთოდი მათი წარმოების, ასევე დანერგვით ბაზარში; ახალი ან საგრძობლად გაუმჯობესებული საწარმოო პროცესი, დანერგილი პრაქტიკაში. კონკურენციის პირობებში ყოველი ორგანიზაცია ვალდებულია (იძულებულია), დააკავდეს ინოვაციური საქმიანობით. კონკურენციის 1%-ით ზრდა ნიშნავს ინოვაციური საქმიანობის 3%-ით ზრდას. კონკურენცია - „ეჯიკავება“ წინ ინოვაციას [6].

ევროკავშირში კი კომპანიები გამოყოფილია სპეციალურ კატეგორიად, რომელსაც ინოვაციურ მცირე საწარმოებს უწოდებენ. ისინი შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ:

- ბოლო სამი საანგარიშო წლიდან კვლევასა და შემუშავებაზე გაწეული ერთ-ერთი წლის ხარჯები უნდა აღემატებოდეს ბრუნვის 15%;
- ევროკავშირის შესაბამისმა წევრმა-სახელმწიფომ (მისმა კომპეტენტურმა სააგენტომ) უნდა დაადასტუროს, რომ საწარმოს პროდუქცია და მუშაობის მიმართულება კონკურენტუნარიანია ევროკავშირის ბაზარზე.
- საწარმო ახალგაზრდა უნდა იყოს – მისი ასაკი დაფუძნებულია 6 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

ეკონომიკა, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ინოვაციების გზით სიარული, გვერდს ვერ აუვლის მცირე ინოვაციურ საწარმოებს, რომლებიც ეკონომიკაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და ინოვაციების მეგზურები (წინამძღვრები) არიან. მთელი რიგი სიახლეები, მიმართული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისაკენ, კერძო სექტორში ვითარდება მცირე ბიზნესის ხარჯზე: იქნება ეს ბიოტექნოლოგია, პროგრამული უზრუნველყოფა თუ მეცნიერული ხელსაწყოთმშენებლობა.

მცირე ბიზნესის როლი ინოვაციებში მრავალმხრივია; ერთი მხრივ ის უზრუნველყოფს ინოვაციურ პროცესებს ეკონომიკაში, მართვისა და წარმოების განვითარების შესაძლებლობებით(უნარით), მეორე მხრივ, ჩართულია რა უშუალოდ მეცნიერებატევადი პროდუქციის (მომსახურების) შექმნაში, წარმოშობს მოთხოვნას ახალ ტექნოლოგიებსა და ცოდნაზე, რაც უზრუნველყოფს უწყვეტ პროგრესს. ინოვაციურ სფეროში მცირე საწარმოების (ბიზნესის) უპირატესობა ძირითადად შემდეგში გამოიხატება:

1. მეწარმეობის მცირე ფორმაში უფრო მეტად იქმნება ხელსაყრელი პირობები შემოქმედებისათვის, რაც თავისთავად ინდივიდუალური ხასიათის მატარებელია;
2. შემოქმედებითი საქმიანობისთვის, თავისი არსიდან გამომდინარე უცხოა ზედმეტი ორგანიზებულობა, იერარქიულობა, რაც დამახასიათებელია მსხვილი წარმოებისთვის, მცირე ბიზნესი კი გამორიცხავს. ამასთან, მცირე ბიზნესის თავისებური სწრაფვა თავისუფლებისაკენ, წარმატების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს დასახული მიზნის მისაღწევად;
3. მცირე საწარმოებში გამოძვინებული, მესაკუთრე და მენეჯერი ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ერთ პიროვნებას (საერთოდ საწარმოების ორგანიზაციული ფორმებიდან, მცირესთვის, ყველაზე მარტივია, - ორგანიზაციის სწორხაზოვანი ფორმა), რაც პრაქტიკულად გამორიცხავს კორპორაციული მმართველობისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს;
4. მცირე ინოვაციური საწარმოების სამეწარმეო საქმიანობა იმით განსხვავდება სხვებისგან, რომ მათთვის დამახასიათებელია ვიწრო საგნობრივი სპეციალიზაცია. რაც განაპირობებს ძალისხმევასა და სახსრების კონცენტრირებას სიახლის საბოლოო ფორმირების და მისი გავრცელების (დანერგვის, მასიური წარმოების) საწყის ეტაპზე. ეს ნიშნავს, რომ ფაქტობრივად საწარმო მეცნიერულ-სამეწარმეო საქმიანობას იწყებს უშუალოდ საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებით, რომლის მიზანია მაღალტექნოლოგიური ნაწარმის შექმნა და მისი სწრაფი გადაცემის უზრუნველყოფა მასიური წარმოებისთვის;

5. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობაში დანახარჯები მცირე მაღალტექნოლოგიურ საწარმოებში არც ისე იშვიათია, მაგრამ ანალოგიური დანახარჯები მსხვილ საწარმოებში რამდენჯერმე მაღალია, რაც განაპირობებს მცირე საწარმოების სწრაფ და ეფექტიან გამორჩენას ინოვაციის ბაზრებზე;

6. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელსაყრელ პირობებს უქმნის მცირე საწარმოებს წარმატებული ფუნქციონირებისათვის, რაც მხოლოდ მსხვილი საწარმოებისათვისადრე იყო ხელმისაწვდომი.

90-იან წლებში მცირე საწარმოების როლმა და მნიშვნელობამ არსებითი ცვლილებები განიცადა. ემპირიულმა გამოკვლევებმა მცირე საწარმოების წარმატებული ინოვაციების ბევრი მაგალითი დაადასტურა. მცირე ინოვაციური ფირმები უნივერსიტეტებთან და ახლგაზრდა მეცნიერებთან თანამშრომლობით ხშირად ანხორციელებენ ძირითად ტექნოლოგიურ გარღვევებს და ინოვაციებს, რითაც წინ უსწრებენ მსხვილ კორპორაციებს. მცირე ინოვაციური საწარმოები წარმოადგენს აუცილებელ წყაროს ცოდნის შექმნაში. მათი ინოვაციები და ტექნოლოგიები ხშირად შეისყიდება და კომერციალიზდება მსხვილი საწარმოების მიერ. თუკი დავაკვირდებით განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ გამოცდილებას მე-20 საუკუნეში, ვნახავთ, რომ მსხვილი სამრეწველო კაპიტალი იყო ძირითადი მამოძრავებელი ძალა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვაში, რაც უზრუნველყოფდა არა მხოლოდ თვით სამრეწველო კორპორაციების კონკურენტუნარიანობას, არამედ გარკვეული დოზით ნაციონალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობასაც. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მსხვილი ბიზნესი აგრძელებს მნიშვნელოვან როლს ინოვაციების რეალიზაციაში, რომლებიც მნიშვნელოვან კაპიტალ დაბანდებას ითხოვენ, მაგრამ მათი როლი ინოვაციების შექმნაში დღეისათვის რამდენადმე ტრანსფორმირებულია.

დღეს განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციების ნახევარს და რადიკალური ინოვაციების თითქმის 100%-ს ახორციელებს მცირე ბიზნესი. გარდა ამისა, ინოვაციური პროცესის ეფექტიანობა მცირე საწარმოებში საგრძნობლად მაღალია ვიდრე მსხვილში. ეს განპირობებულია იმით, რომ მცირე საწარმოებს, განსხვავებით დიდსგან, ახასიათებს ისეთ რისკზე წასვლა, რომლებიც წარმოიქმნება რადიკალური ინოვაციების რეალიზაციისას, რომელიც თავის თავში მოიცავს ტექნოლოგიურ გარღვევებს ამა თუ იმ სფეროში. შესაბამისად, იმისთვის რომ ინოვაციური პროდუქციით გავიდეს ბაზარზე და გახდეს რომელიმე სფეროში ნოვატორი, მცირე ინოვაციურ საწარმოებს უწევთ ამ რისკზე წასვლა. პირიქით, დიდი საწარმოების უმრავლესობა თავის საინვესტიციო საქმიანობაში ორიენტირებული არიან არა რადიკალურ, არამედ განვითარებულ ინოვაციებზე. ანუ დიდ საწარმოებს გააჩნიათ დიდი სამრეწველო პოტენციალი და არ არიან მზად, გასაწიონ რისკი რადიკალური ინოვაციების შესაქმნელად.

მაშასადამე, რადიკალური ინოვაციების უმრავლესობას აწარმოებს მცირე ბიზნესი. მაგრამ ინოვაციებზე დაფუძნებული საქონლის სერიული წარმოება ხდება მსხვილი კორპორაციების კონცენტრაციის ხარჯზე.

მცირე ბიზნესის ეფექტიანობა ინოვაციურ პროცესებში განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: პირველ რიგში, მცირე ინოვაციური საწარმოები, როგორც წესი, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევიან ისეთ სფეროებში, რომელსაც დიდი საწარმოები არაპერსპექტიულად მიიჩნევენ მათი მაღალი რისკის შემცველობის გამო. მეორე მხრივ, ვიწრო საგნობრივი სპეციალიზაცია განაპირობებს ძალებისა და რესურსების კონცენტრაციას კვლევის კონკრეტული მიმართულებით და ასევე ინოვაციური პროდუქტების შემდგომ შემუშავებასა და გავრცელებაში. მესამე, მცირე ინოვაციური ფირმების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინოვაციური პროცესების ერთიანობა კვლევიდან საბოლოო პროდუქციის შემუშავებამდე, მართვის რთული სტრუქტურების მქონე მსხვილი საწარმოებისგან განსხვავებით, ერთიანდება ერთი ადამიანის ხელმძღვანელობის ქვეშ, რაც აჩქარებს ინოვაციური საქმიანობის პროცესს საბოლოო შედეგის მისაღებად.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ განვითარებულ ქვეყნებში მცირე ინოვაციური ბიზნესი დაკავებულია ისეთი სამეცნიერო-კვლევით საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებით, რომლებიც არ ითხოვენ ფინანსური რესურსების მსხვილ დანახარჯებს და დასაქმებულთა დიდ რაოდენობას.

ეკონომიკის ინოვაციური სტრუქტურა მოიცავს:

- სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს - სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს; უნივერსიტეტებს; საკონსტრუქტორო ბიუროებს;
- მხარდაჭერ ინფრასტრუქტურას - მომსახურება; კონსალტინგურ კომპანიებს; ვენჩერულ ფონდებს; მეცნიერულ-ტექნიკურ პარკებს; მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში სახელმწიფო დაწესებულებებს კომიტეტების სახით;
- თვით ინოვაციურ კომპანიებს (კერძო ინოვაციური კომპანიები).

ინოვაციურ კომპანიებს, განსხვავებით კომპანიებისგან, რომლებიც დაკავებული არიან ინოვაციების კეთებით, თანამედროვე ინტენსიური კონკურენციის პირობებში განეკუთვნება, ის კომპანიები, რომლებიც შექმნილია და ფუნქციონირებს უახლოესი შემუშავებების (აღმოჩენების) დანერგვაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი ჩვეულებრივი კომპანიისთვის მიზანს წარმოადგენს პროდუ-

ქციის წარმოება, ინოვაცია არის საშუალება პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების და ასევე მთლიანად კომპანიებისთვისაც, ხოლო თვით ინოვაციური საწარმოების მიზანია ახალი მეცნიერული შედეგების პრაქტიკული რეალიზაცია, რომელიც ხორციელდება ახალი მეცნიერებატ-ევალი ნაწარმის შექმნაში (წარმოებაში).

ინოვაციური კომპანიების ადგილი სამეურნეო მექანიზმის სტრუქტურაში ხასიათდება იმით, რომ ისინი წარმოადგენენ დამაკავშირებელ რგოლს მეცნიერების სფეროსა და წარმოებას შორის: მეცნიერული სფეროსთვის მცირე ინოვაციური საწარმოები (კომპანიები) (მიკ) გამოდიან, როგორც მომხმარებელი მეცნიერული პროდუქციის და საშუალება მეცნიერული შედეგების კომერციალიზაციის, წარმოების სფეროსთვის მიკ-ები გამოდიან, როგორც მათი სრულყოფის ერთერთი წამყვანი წყარო (ძირითადი წყარო), რომელიც უზრუნველყოფს წარმოების მოდერნიზაციას და მთელი საწარმოო სიტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

შექმნის მიზნების მიხედვით შეიძლება გამოიყოს მიკ-ის შემდეგი ტიპები:

- დამწერგავი კომპანიები. კომპანიები, რომლებიც შექმნილია მეცნიერული კვლევების შედეგების რეალიზაციისა და კომერციალიზაციის მიზნით.

- კომპანია „პიონერები“ - მცირე ფირმები, რომლებიც შექმნილია მსხვილი კომპანიების მიერ ახალი პროდუქციის ან ტექნოლოგიის აპრობირებისთვის.

- სტანდარტული ალიანსები: - კომპანიები მ.შ. კონტრაქტული, რომლებიც შექმნილია მსხვილი კორპორაციების მიერ სკსს-ს შედეგების ერთობლივი რეალიზაციის მიზნით.

- კვლევითი კომპანიები - კომპანიები, რომლებიც შექმნილია კორპორაციებისა და სამეცნიერო ინსტიტუტებთან და რომლებიც მუდმივად არიან დაკავებულნი სათავო კომპანიის პროფილის მიხედვით მეცნიერული დამუშავებებით (კვლევებით).

- ვენჩურული კომპანიები: კომპანიები, რომლებიც შექმნილია ვენჩურული ფონდებით. ვენჩურული ფონდის კაპიტალის ეფექტური დაბანდების მიზნით, რომლის მოქმედების პრინციპები ითვალისწინებს კაპიტალის დაბანდებას რისკიან, მაღალმომგებიან, როგორც წესი, მეცნიერებატ-ევად პროექტებში.

მცირე ინოვაციური ფირმების საქმიანობის თავისებურებანი იდენტიფიცირდება ორი მიმართულებით: მცირე საწარმოს სამეურნეო საქმიანობის თავისებურებები (ბიუროკრატიზმის არარსებობა; სიახლეების აპრობაციის სისწრაფე, ინოვაციებისგან მაქსიმალური ეფექტის მიღებისათვის რესურსების ეკონომიურობა); ინოვაციური საქმიანობის თავისებურება.

ინოვაციური საქმიანობა ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

1. ნეგატიური შედეგების ალბათური ხასიათი, რისკი და დაშვებულობა; ათვისებაზე გაწეული დანახარჯები ამოსციდება დროის მნიშვნელოვან პერიოდში, რაც აუარესებს სამეურნეო სუბიექტის დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობას. ამიტომ ინოვაციური საქმიანობა გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს ბიზნესის დაგეგმვას;

2. პროდუქციის უნიკალური თვისებების განუმეორებადობა, რომელიც დაცული უნდა იყოს შესაბამისი კანონმდებლობით;

3. პროდუქციის ღირებულების ახალი სახის: „უნიკალური ღირებულების“ არსებობა. იგი გამოდის როგორც დამატებითი მოგება, რითაც ჯილდოვდება ინოვაციური საქმიანობა. ინოვაციური პროდუქციის ღირებულება განისაზღვრება არა მის შექმნაზე გაწეული დანახარჯებით, არამედ იმ სიახლით, რომელსაც შეიცავს მოცემული პროდუქტი მისი შესაძლებლობით, დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნები ხარისხობრივად ახალ დონეზე. ეს „უნიკალური ღირებულება“ საშუალებას აძლევს ნოვატორ კომპანიებს, დაფაროს დანახარჯები, რომლებიც მათ გაიღეს ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის პროცესში.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ამტკიცებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ეფექტიანად ითვისებს მოწინავე ტექნოლოგიებს და წარმატებით იყენებს ინოვაციების შესახებ ყოველგვარ ინფორმაციას. ბაზარი ხომ სიახლეებით იკვებება და ამიტომ ინოვაციური განვითარება არის მისი მდგრადი განვითარების საფუძველი. უცხოური ფირმები, დიდი რისკების და ხარჯების ზრდის მიუხედავად, ახალი პროდუქციის წარმოებაზე ძალიან ფრთხილად გადადიან. მსხვილი ამერიკული ფირმების მიერ პროდუქციის განახლების ანალიზი აჩვენებს, რომ მისი ახალი სახეობების 70% მოდიფიკაციებია, 20% - მცირე ნოვაციები და მხოლოდ 10% - ახალი პროდუქცია, რომელსაც ადრე არავინ აწარმოებდა [9].

მსოფლიო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში მცირე ინოვაციური ბიზნესი ყველაზე მეტად (უპირველესად) განვითარებულია შემდეგ სფეროში: მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, აღმოჩენების და გამოგონებების დანერგვა და გაშვება წარმოებაში, სხვადასხვა ინოვაციები, რომლებიც მაღალი რისკის შემცველია, მაგრამ აქვს პერსპექტივა.

განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, რომელიც წარმოდგენილია ინსტიტუციური სექტორით, ესენია: სახელმწიფო, კერძო სექტორი, „არაკომერციული“ (კვლევითი დაწესებულებები და ორგანიზაციები,

რომლებსაც პრაქტიკულად არ გააჩნიათ მოგება და გათავისუფლებული არიან გადასახადებისგან) და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა ანუ უმაღლესი სასწავლებლები.

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ინოვაციების სექტორში, მცირე და მსხვილი ბიზნესი მთლიანად ინტეგრირებულია ინოვაციური საქმიანობის განხორციელებისას. მცირე ინოვაციურ ბიზნესსა და კორპორაციას შორის ურთიერთზემოქმედების ხარჯზე არა მხოლოდ ინოვაციის მოკლე დროში და მინიმალური დანახარჯებით შემუშავება-დანერგვის უზრუნველყოფა ხდება, არამედ ამასთან ერთად ხორციელდება ახალი ბაზრების ფორმირება ან არსებულზე შეღწევის მასშტაბების გაფართოება.

განვითარებულ ქვეყნებში სკსს-ის სფეროში სახელმწიფოს და კერძო ინსტიტუტების ურთიერთობა წარმოადგენს ინოვაციურობის მექანიზმის მნიშვნელოვან თავისებურებას. აქ მცირე ფირმები იღებენ რისკის მნიშვნელოვან წილს შედარებით ნაკლები დანახარჯების შესაძლებლობით. ფუნდამენტური კვლევების გვერდით მცირე ბიზნესს შეუძლია ინოვაციების განხორციელება, ასევე, ხელი შეუწყოს მასიურ წარმოებას. მსხვილი საწარმოები კი ხანგრძლივი ინოვაციური პროცესების შედეგების რეალიზებას ახდენენ, ახორციელებენ მასიურ წარმოებას ინოვაციური პროდუქტის ან ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. კავშირი სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის „სკსს“-ის სფეროში წარმოადგენს მთავარ ხაზს(მიმართულებას) ინოვაციურ მექანიზმში.

მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციური პროცესების ხანგრძლივობა შეადგენს 5-6 წელს, მაშინ როცა საშუალოდ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში იგი უდრის 15-20 წელს [6].

განვითარებული ქვეყნებიდან მცირე ბიზნესი უმეტესად აშშ-ში, ევროპასა და იაპონიაში ფუნქციონირებს. ამ ქვეყნებმა, შეიძლება ითქვას, ამოქმედეს მცირე ბიზნესის ყველა ის მნიშვნელოვანი დადებითი თვისება და ჩააყენეს ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამსახურში, რაც ვლინდება შემდეგი მონაცემებით:

ჩატარებული ემპირიული კვლევების შედეგად გამოიკვეთა, რომ ინოვაციური საქმიანობა მაღალი აქტივობით გამოირჩეოდა იმ საწარმოებში (ფირმებში), სადაც დაკავებულია 100-ზე ნაკლები ადამიანი, მკვეთრად დაბალი დონეა იქ, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 100 კაცს. ამერიკის ნაციონალური სამეცნიერო ფონდის შეფასებით, სკსს-ის ყოველ ერთ დოლარზე ფირმები, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 100 კაცს, 4-ჯერ მეტ სიახლეს ნერგავს ვიდრე ფირმები, სადაც დასაქმებულია 1000-დან 10 000 ადამიანამდე, და 24-ჯერ მეტს, ვიდრე კომპანიები, სადაც დასაქმებულია 10 000 ადამიანზე მეტი [7]. აშშ-ში ახალი ნაწარმის მნიშვნელოვანი შემუშავების 98% ქვეყანაში განხორციელებულია მცირე ბიზნესის მიერ. მაშინ როდესაც მცირე საწარმოები ხარჯავენ 5%-ზე ნაკლებს ქვეყანაში კვლევებსა და დამუშავებაზე გამოყოფილი საშუალებებიდან [1, 11]. აშშ-ში მცირე ბიზნესში ორჯერ მეტი სამუშაო ადგილები იქმნება ვიდრე საშუალო და მსხვილ ბიზნესში, ორჯერ მეტად ინერგება ახალი ნაწარმი [6].

დანახარჯების ეფექტიანობა სკსსს მცირე ინოვაციურ ფირმებში აშშ-ში 4-ჯერ მეტია ვიდრე მსხვილ კორპორაციებში. გარდა ამისა, მცირე ინოვაციური ბიზნესი ქმნის ინოვაციებს 1 დასაქმებულზე 2,5-ჯერ მეტს და ნერგავს მათ ერთი წლით ადრე, ვიდრე მსხვილი ბიზნესი. ყოველივე ამის შედეგია ის რომ აშშ-ს მთლიან შიდა პროდუქციაში მცირე ბიზნესზე მოდის 60-70 %-ზე მეტი [6].

განვითარებულმა და განვითარებადმა ქვეყნებმა, გაიაზრეს რა ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების აუცილებლობა, მნიშვნელოვან სახსრებს აბანდებენ სკსსს-ში. მაგალითად, ამერიკა გამოგონებასა და დანერგვაზე წელიწადში ხარჯავს \$280 მილიარდს, იაპონია - \$100 მილიარდს, ევროკავშირის ძირითადი ქვეყნები კი - \$50-\$60 მილიარდს, ჩინეთმა ეს დანახარჯები 1995-დან 2002 წლამდე 4-ჯერ გაზარდა \$18-დან \$72 მილიარდამდე, ხოლო 2010 წელს გამოყოფა \$220 მილიარდი.

გერმანიაში მცირე ინოვაციური ფირმები „სკსსს“-ში დაახლოებით თავიანთი ბრუნვის 6.1%-ს [6] ხარჯავენ.

დღეისათვის ევროკავშირში 23 მლნ. საწარმო ახორციელებს საქმიანობას, რაც საწარმოთა საერთო რაოდენობის 99%-ია. მცირე საწარმოების მიერ შექმნილია 90 მილიონი სამუშაო ადგილი, რაც დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 67%-ს წარმოადგენს [6].

იაპონიაში გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში სკსსს-ის შემსრულებელი მცირე და საშუალო ფირმების წილი უდრიდა 22%-ს; ახლო წარსულში კი შეადგენდა 38%-ს. ამ მხრივ გაწეული რესურსების ხარჯები 75%-ით ნაკლებია, მსხვილ საწარმოსთან შედარებით .

კანადაში, ინგლისსა და გერმანიაში მცირე ბიზნესის წილად მოდის ქვეყნის მთლიანი წარმოების 60%-70%

საინტერესოა ის ფაქტი, რომ რიგი ქვეყნების მცირე საწარმოები მონაწილეობას იღებს პროდუქციის ექსპორტზე. საკმაოდ მაღალია ექსპორტის აქტივობის მაჩვენებელი. ასე მაგალითად, გერმანიის და ნიდერლანდების მთლიანი ექსპორტის წილად მცირე ბიზნესი მოდის შესაბამისად 40%-40%, იტალიაში-25%, აშშ-სა და იაპონიაში შესაბამისად 15% და 15% [6].

საქართველოში GCI-ის რეიტინგის მიხედვით, 2014-15 წლებში არასახარბი - ელო მდგომარეობა გვაქვს მთელი რიგი მიმართულებით, როგორცაა: ინოვაციური შესაძლებლობები (110), სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი (119), კომპანიის ხარჯი კვლევასა და განვითარებაზე (126), მეცნიერებისა და ინჟინრების არსებობა (122), ინდუსტრიული ინსტიტუტების მონაწილეობა კვლევა-განვითარებაში (128), პატენტებით სარგებლობა (65). ასევე საქართველოს 121-ე პოზიცია უკავია ინოვაციების მიხედვით.

GCI-ის რეიტინგის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015-2016 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენების“ („The Global Competitiveness Report“) მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 3 ადგილით გაუმჯობესდა და 69-ე ადგილიდან 66-ზე (4,22-იანი ქულით) გადმოინაცვლა 144 ქვეყანას შორის. ინოვაციები მახვენებლების მიხედვით გაუმჯობესდა, მაგრამ საქართველო ჯერ კიდევ ვერ იკავებს სასურველ პოზიციას, მეცნიერებისა და ინჟინრების არსებობა - გაუმჯობესდა 9 საფეხურით და 113-ე ადგილზე გადმოინაცვლა. პატენტით სარგებლობის საკითხში თანამშრომლობა გაუმჯობესდა 5 საფეხურით და მე-60 ადგილზე გადმოინაცვლა. მაგრამ იმ ინდიკატორებში, რომლებიც ზომავს ტექნოლოგიების და ინოვაციების დონეს ქვეყანაში, საქართველოს პოზიციები არასახარბიელია, მათ შორის:

- ინოვაციების შესაძლებლობა – 121-ე ადგილი;
- კომპანიის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე – 127-ე ადგილი;
- უახლეს ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა – 97-ე ადგილი;
- ფირმის დონეზე ტექნოლოგიების გამოყენება – 103-ე ადგილი [2]

საკითხის შესწავლიდან შეიძლება ითქვას, რომ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, სწრაფად მზარდი მეწარმეობის და ინოვაციის მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოში სამუშაო ადგილებისა და სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. საქართველოს ინოვაციური ეკონომიკის რელსებზე გადაყვანა ნამდვილად შეუძლია მცირე და საშუალო საწარმოებს, განსაკუთრებით, მცირე ბიზნესს როგორც შინაგანად, თავისი თვისებით ინოვაციურს. მსოფლიო ბანკის 2013 წლის კვლევის „მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“ მიხედვით, ქართული ინოვაციური საწარმოები 30%-ით მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან და ისინი როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ბაზრებზე არაინოვაციურ საწარმოებთან შედარებით გაცილებით უფრო კონკურენტუნარიანები არიან. აქედან გამომდინარე, მეწარმეობის ზრდის ხელშეწყობა, ინოვაციური და უფრო პროდუქტიული ფირმების განვითარებისა და სწრაფად ზრდისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ქვეყნის წინსვლასთან დაკავშირებული მიზნების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად უნდა იქცეს“.

საქართველოს ევროპის ინოვაციური პოლიტიკის ერთიან სივრცეში მოქცევას და ევროპასთან თანამშრომლობის გაღრმავებას ემსახურება ბოლო წლებში ევროკავშირთან გაფორმებული შეთანხმებანი თუ სხვა რიგი მნიშვნელოვანი დონისძიებანი, მათ შორის **განსაკუთრებით გამოსაყოფია: აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა (EaP), ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი საავტრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმება**, ასოცირების შესახებ შეთანხმება და 2016 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ბრიუსელის 2016 წლის 29 აპრილის შეთანხმება „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ევროკავშირის პროგრამაში „ჰორიზონტი 2020 კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო-პროგრამა (2014 2020)“ საქართველოს მონაწილეობის შესახებ“. ამ რატიფიციციებით საქართველო პროგრამის სრულყოფილებიანი ასოცირებული ქვეყანა გახდა.

ჰორიზონტი 2020 პროგრამაში, ასოცირებული ქვეყნის სტატუსი ქართველ მეცნიერებს, მეკვლევარებს და ინოვატორებს, ასევე, საქართველოში დაფუძნებულ იურიდიულ პირებს (უნივერსიტეტები, კვლევითი დაწესებულებები, მცირე და საშუალო საწარმოები, კვლევებზე ორიენტირებული ინდუსტრია, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესკომპანიები, ფონდები, სამთავრობო დაწესებულებები და ა.შ.) აძლევს უფლებას, იმავე პირობებით და უფლებებით ისარგებლონ, რითაც სარგებლობენ ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების წარმომადგენლები. ჰორიზონტი 2020-ის კონკურსებში გამარჯვების შემთხვევაში, ქართულ კვლევით ინოვაციურ ორგანიზაციებს შეეძლება მოიხილონ ასი ათასობით ევროს საგრანტო დაფინანსება, განახორციელონ კვლევები საქართველოში, უმასპინძლონ დამწყებ თუ გამოცდილ მეკვლევარებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, ხორცი შეასხან სამეცნიერო და ინოვაციურ იდეებს და გააძლიერონ კვლევითი ცენტრები საქართველოში [3].

ევროკავშირის სამოქმედო პროგრამების „მცირე ბიზნესის აქტის“ (SBA), სხვა პროგრამების თუ შეთანხმებების საფუძველზე საქართველოს მთავრობას შემუშავებული აქვს **საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის**. აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში, საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერების და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, გამოყოფილია მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები:

სტრატეგიული მიმართულება 1: საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიმართულება 2: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიმართულება 3: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიმართულება 4: ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია;

სტრატეგიული მიმართულება 5: ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა.

ამგვარაა, რომ სტრატეგიაში გაწერილი სამუშაოების განხორციელება ქართულ მცირე ბიზნესს დააყენებს განვითარების სწორ გზაზე და ეკონომიკის ზრდაში და მთლიან შიდა პროდუქტში დღეს მისი წილი მეტად დაბალი თუა, ნავარაუდევია, საბაზისო 2013 წელთან მიმართებაში, 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით; დასაქმებულთა ზრდა 15%-ით; მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით.

გაწერილი სამუშაოების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, დღემდე არ არის სასურველი შედეგი მიღებული, დღემდე არ არის განსაზღვრული საბოლოო სახით არც მცირე ბიზნესი და არც ინოვაციური მცირე ბიზნესი. ამის დასტურია ის, რომ, როგორც ზემოთ მოცემული რიცხვითი მასალებიდან ჩანს, არასახარბიელოდ გამოიყურება ქვეყნის ინოვაციურობის მაჩვენებლები. უნდა დანქარდეს მცირე ბიზნესის სამარღლებრივი რეგულირების საკითხი, მიღებულ იქნეს კანონთა პაკეტი, რომლის შესახებ ფართოდ არის საუბარი ნაშრომში [1]. დღეს ქვეყანაში მწირი ინფორმაცია მოიპოვება მოქმედ მიკრო და მცირე ბიზნესებზე და მათ ინოვაციურობაზე.

ქვეყანაში ამ მიმართულებით არსებული ხარვეზების გამოსწორებას ხელს შეუწყობს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების დროული გაზიარება, რაც საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების შესაძლებლობას აძლევს და გზას უხსნის მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროსკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესაძე, ე. კაკულია, მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში, თბილისი, 2009.
2. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016- 2020 წლებისთვის. <https://www.google.ge/search?q=>
3. საქართველო ჰორიზონტი 2020 პროგრამის ასოცირებული ქვეყანაა <http://www.mes.gov.ge/content.php?id=6888&lang=geo> 27.12.2016 მეცნიერება
4. მსოფლიო ბანკის 2013 წლის კვლევის „მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“ <https://www.google.ge/search?q>
5. Быковская Е.В. Инновационная деятельность малых предприятий как фактор роста эффективности их функционирования. <http://vernadsky.tstu.ru/pdf/2010/04/39.pdf>
6. Зарубежный опыт государственной поддержки инновационных малых и средних предприятий <https://kfpp.ru/analytics/material/innovation.php>
7. Мазоль С. Экономика малого бизнеса. Минск., «Книжный Дом», 2004
8. Муртазин А.С. О роли малого бизнеса для формирования инновационной экономики, 2011. <https://www.google.ge/search?q>
9. Муминов Р.; Абдираимов И.; Малеенова С. Малый инновационный бизнес: факторы устойчивого развития <https://www.google.ge/search?q>
10. Счастливая Н.В. Малый инновационный бизнес в экономике высокоразвитых стран, 2009 http://vestnik.osu.ru/2009_2/8.pdf
11. Речмен Д., Мескон М., Боуви К., Тилл Д. Современный бизнес в 2 т., М., «Республика», 1995.

*Eter Kakulia
Nana Bibilashvili*

SMALL BUSINESS: THE FACTOR OF INNOVATIVE DEVELOPMENT OF THE ECONOMY

Summary

The advantages of small businesses are discussed with respect to large and medium business. This preference features makes it an innovative factor. It is about the types of an innovative, small organization. Small business as an act of self-awareness in innovations. The advantages of small business in the field of innovation are outlined. It concerns the issues of small business, large enterprises (corporations), scientific institutions and educational institutions in the field of CSMS. The reasons for the effectiveness of small business efficiency are investigated. The innovative structure of the economy is summed up briefly, listed and characterized by their types.

The innovative features of small business are highlighted, the areas where small innovative business is more represented. The article discusses the work done in the direction of the development of innovative economy and knowledge economy, in particular, on small and medium business strategy and importance Numerical materials reflecting the small innovative business achievements of developed countries and the results of Georgia's assessment by international organizations on the formation of innovative economy are given. It is about deficiencies in this direction. The views on the necessity of further improvement and radical work in the short term are expressed.

ქეთევან კიწმარი შვილი

პრობლემული საწარმოო ტექნოლოგიები

ანოტაცია ცნება „ტექნოლოგია“ პრაქტიკაში სხვადასხვაგვარად განიმარტება, ტექნოლოგია (ბერძნ. სიტყვიდან techn – ხელოვნება, ოსტატობა, უნარი, პლუს ლოგია) – ეს არის სხვადასხვა გარემოებების – გარემოს დამუშავებისა და გადამუშავების ხერხებისა და მეთოდების მთლიანობა (ერთობლიობა).

საკვანძო სიტყვები: ტექნოლოგია; ტექნოლინამიკა; დისკრეტული ტექნოლოგია; ნანოტექნოლოგია

შესავალი

ტექნოლოგია არის საწარმოო პროცესების, მათი განხორციელების ინსტრუქციების აღწერა, ტექნოლოგიური ნორმები (რეგლამენტი), გრაფიკები, რუკები. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ტექნოლოგია არის საქმიანობა, რომლის შედეგადაც მიიღწევა დასახული მიზანი და ამის შემდეგ საქმიანობის ობიექტი იცვლება. სხვათა მოსაზრებით კი – ეს არის რთული პროცესის დანაწევრების გზით რეალიზების ხერხი, რომლის დროსაც ცალკეული ელემენტები გაერთიანებულია ურთიერთდაკავშირებული პროცედურებისა და ოპერაციების სისტემაში; სოციალური პროცესების ორგანიზების საშუალებებისა და ხერხების შესახებ არსებული ცოდნის ერთობლიობა ან თვით ის ქმედებები, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა დასახული მიზანი. ამ მოვლენების შემსწავლელ დისციპლინას ასევე ტექნოლოგია უწოდეს. ის გულისხმობს სხვადასხვა გარემოს დამუშავებისა და გადამუშავების პროცესების შესახებ ახალი ცოდნის მიღების ხერხების ერთობლიობას. ტექნოლოგიის კვლევის ობიექტისადმი საერთო მიდგომამ განაპირობა დასამუშავებელი (გადასამუშავებელი) გარემოს გაფართოება. მას მიაკუთვნებენ არა მარტო მატერიალურ რესურსებს (ლითონს, ქიმიურ ნივთიერებებს, ხეს, მინას, მინერალურ ნედლეულს, სოფლის მეურნეობის პროდუქტებს), არამედ არამატერიალურ რესურსებსაც (ინფორმაციას, სამეცნიერო ნაშრომებსა და პროექტებს, სანახაობებს ხელოვნებას, კანონშემოქმედებას, მართვას, ფინანსურ და სადაზღვევო მომსახურებებს).

* * *

ტექნოლოგიის, როგორც მეცნიერების ამოცანაა გადასამუშავებელი რესურსების ერთი სახეობიდან მეორეში გარდაქმნის ფიზიკური, ქიმიური, მექანიკური, კომერციული, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა კანონზომიერებების გამოვლენა, რაც საჭიროა ეფექტური საწარმოო პროცესების გამოვლენისა და ფართო პრაქტიკაში მათი გამოყენების მიზნით. მათი დროებითი ტენდენციების შესწავლა ტექნოლოგიების და წარმოების განვითარების მიმართულებებისა და ტემპის პროგნოზირებას შესაძლებლად ხდის. მეცნიერებაში ამ მიმართულებას **ტექნოლინამიკა** ეწოდება.

ტექნოლოგიას ასევე უწოდებენ საკუთრივ მოპოვების, გადამუშავების, ტრანსპორტირების, დასაწყობების, შენახვის, საკუთრების უფლების გადაცემის, გაყიდვის და ა.შ. ოპერაციებს, რომლებიც საწარმოო პროცესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ცნება „ტექნოლოგია“, ჩვეულებრივ, წარმოების კონკრეტულ დარგთან მიმართებაში განიხილება. განასხვავებენ შემდეგ ტექნოლოგიებს:

- მშენებლობის;
- კონკრეტული პროდუქტის მიღების;
- სოციალური;
- ქიმიურ პროდუქტის მიღების;
- პროექტირებისა და კონსტრუირების;
- ინფორმაციის დამუშავების;
- ლითონის შტამპვის;
- საბანკო და სადაზღვევო საქმის;
- თვითმართვის;
- ფულის დაბეჭდვის;
- განათლების;
- საქმიანი თვისებების შეფასების;

➤ ხელისუფლებისკენ სწრაფვის და ა.შ.

ტექნოლოგიური ოპერაციების ერთობლიობა ქმნის ტექნოლოგიურ პროცესს, რომლის შედეგადაც გადაშუაებების ობიექტი ხარისხობრივ-თვისებრივ ცვლილებებს განიცდის: იცვლება ფორმა, სტრუქტურა, ტექნიკური და სამომხმარებლო თვისებები. ინოვაციური მენეჯმენტის ფუნქციების განხილვისას ჩვენ „ტექნოლოგიაში“ მოვიხილავთ სხვადასხვა ტიპის რესურსების (გარემოს) გადაშუაებების მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობას.

ტექნოლოგიის ამგვარად გააზრების შემთხვევაში ყველა შეიძლება ჩაითვალოს საწარმოდ, ვინაიდან ნებისმიერი მოწოდებულია ამოსავალი (საწყისი) მასალიდან ახალი ხარისხის მისაღებად. საწარმოს, როგორც საწარმო პროცესის ორგანიზაციული ფორმის სპეციალიზაციიდან გამომდინარე, შესაძლებელია ტექნოლოგიაში პრიორიტეტების განსაზღვრა (მთავარი, ძირითადი, უზრუნველყოფი, დამხმარე).


მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად ტექნოლოგიები მუდმივად იცვლება. თანამედროვე საწარმო ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციებში გამოიყოფა ოთხი ძირითადი მიმართულება:

1. დისკრეტული (ციკლური) ტექნოლოგიებიდან უწყვეტ (ნაკადურ) საწარმო პროცესებზე გადასვლა, როგორც ყველაზე ეფექტურ და ეკონომიურზე.
2. წარმოებაში უნარჩენო ტექნოლოგიური ციკლების, როგორც ეკოლოგიურად ყველაზე ნეიტრალურის დანერგვა.
3. მაღალი და უახლესი ტექნოლოგიების, მეცნიერებატევალობის ამაღლება.
4. ნანოტექნოლოგიების განვითარება.

საწარმო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების შედეგს წარმოადგენს პროდუქტი (სამუშაო, მომსახურება), რომელიც მასზე არსებული მომხმარებლის მოთხოვნითაა განპირობებული. მომხმარებლის პროდუქტის გამოყენების შესაძლებლობის მიხედვით განასხვავებენ სამი ტიპის პროდუქტს:

1. მატერიალურს (მპ).
2. ენერგეტიკულს (ეპ).
3. ინტელექტუალურს (იპ).

ეს პროდუქტები სხვადასხვა კომბინაციებისა და შეფარდების პირობებში ურთიერთქმედებენ რგოლოვანი სქემით, ისე რომ არ გადაიკვეთებიან.



ტექნოლოგიური პროდუქტების (სამუშაოების, მომსახურების) ურთიერთქმედების სქემა

კონკრეტული პროდუქტის (სამუშაოს, მომსახურების) რომელიმე ამ ტიპისთვის მისაკუთვნებლად ძირითად მახასიათებლად მიიჩნევენ მოცემული პროდუქტის ფიზიკურ და მატერიალურ, მახასიათებლებს.

მატერიალური პროდუქტი:

- ლითონი.
- პლასტმასი.
- საღებავი.
- მღებავი სითხე.

ინტელექტუალური პროდუქტი:

- დიზაინი.
- კონსტრუქცია.
- სავაჭრო მარკა.
- კალმის წვერის დამზადების ნოუ-ჰაუ.
- წარმოების მეთოდი.

ენერგეტიკული პროდუქტი:

- მოხმარებული ენერგია (ელექტრო, სითბური, მექანიკური).
- ადამიანური რესურსი (ცოცხალი ძალა).

ტექნოლოგიებისა და მათი გამოყენების პრაქტიკის სრულყოფა ყველა საწარმოს (ფირმის) და სახელმწიფოს საწარმოო ძალების სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

საწარმოო ტექნოლოგიები რთულ სისტემებს განეკუთვნება, რომელთა შესწავლა და განვითარება მხოლოდ სისტემური მიდგომის პირობებშია შესაძლებელი.

რთული სისტემების დამახასიათებელი თვისებებია:

- პროცესების მრავალფეროვანი მოდელები.
- მართვის ამოცანათა სიმრავლე.
- სტრუქტურის იერარქიულობა.
- ნაწილების აგრეგაცია.
- ელემენტებისა და მათ შორის კავშირების სიმრავლე.
- ელემენტებისა და მთლიანად სისტემის მდგომარეობის განუსაზღვრელობა.
- ხელის შემშლელი ფაქტორებისადმი მგრძობელობა.

სისტემური მიდგომის არსი მისი განხორციელების ორგანიზების მეთოდოლოგიაშია. იგულისხმება სისტემური ანალიზის ობიექტის (ნივთიერების, მოვლენის, პროცესის, მომხდარი ამბის) გამოყოფა, ობიექტის შიდა და გარე არეალის საზღვრების განსაზღვრა, ობიექტის სტრუქტურისა და მიზნობრივი ფუნქციის დადგენა, ობიექტის მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმებისა და მისი აღწერის საშუალებების დადგენა, ელემენტებისა და მათი აგრეგაციის მეთოდების კლასიფიკაცია.

საწარმოო ტექნოლოგიების ანალიზისადმი სისტემურ მიდგომაში გულისხმობენ რთული ობიექტის მთლიანობას, ყოველმხრივ ავტომატიზებულ, გარკვეულ წესებზე დამყარებულ შესწავლას, რომლის დროსაც ობიექტი განიხილება შიდა და გარე კავშირების ერთობლიობაში და მიზანს კი – ობიექტის ფუნქციონირების გაუმჯობესების საშუალებათა გამოვლენა წარმოადგენს.

სისტემური ანალიზი ეფუძნება ლოგიკისა და სადი აზრის კანონებს რაოდენობრივი შეფასების მეთოდების გამოყენებით.

საწარმოო ტექნოლოგიებში ანალიზის ობიექტად შესაძლებელია იქცეს სხვადასხვა პროცესები, ანალიზის მიზნისა და დასახული კონკრეტული ამოცანის შესაბამისად. ასეთი პროცესებია:

- ქიმიური პროცესი.
- მექანიკური პროცესი.
- პროდუქციის რეალიზაციის პროცესი.
- ცალკეული ინდივიდის, ადამიანთა ჯგუფისა და/ან დიდი კოლექტივის შრომის პროცესი.
- ტექნიკურ ან სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში საინფორმაციო პროცესი.
- მატერიალური პროდუქტის, აგრეგატის, საამქროს, ქარხნის, კორპორაციის, დარგის დონეზე წარმოების პროცესი.

- ცოდნის წარმოების პროცესი.
- საზოგადოების სულიერი ფასეულობების შექმნის პროცესი.
- კვლევის პროცესი.
- პროექტირების პროცესი
- სუბიექტის უფლებების განსაზღვრა და დაკანონება.
- სისტემის ჩამოყალიბების (შექმნის, ორგანიზების) პროცესი.

ანალიზის ობიექტის სწორად ამოცნობასა და ამორჩევაზე დამოკიდებული მისი შედეგებიც და მათი ადეკვატურობა საწარმოო ურთიერთობების განვითარების პროცესებისადმი. ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით საწარმოო ტექნოლოგიების კონკრეტულ საორგანიზაციო-ტექნიკურ პირობებში განვითარების სისტემური ანალიზი წარმოადგენს ეკონომიკაში მართვის სისტემების შექმნისა და გაკონტროლების ძირითად ინსტრუმენტს.

ზემოთ აღნიშნულიდან ცნებები „ეკონომიკაში ანალიზისადმი სისტემური მიდგომა“, „ეკონომიკაში სისტემური ანალიზი“, „ეკონომიკური ანალიზი“ შეიძლება სინონიმებად ჩაითვალოს, მათი განზოგადებული ფორმულირება შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

ეკონომიკური (სისტემური) ანალიზი – ეს არის ყველა სახის ენერჯის ენტროპიის გამოკვლევა საზოგადოებისათვის მათი გამოყენების სარგებლიანობის კრიტერიუმით.

ენერჯის ენტროპიის (გაფანტვის) საზომად საზოგადოების საწარმოო ურთიერთობებში, რომელთაც ეკონომიკის თეორია შეისწავლის, გამოიყენება (მიღებულია) შრომითი დანახარჯები, რომელიც ფულადი სახით გამოისახება.

პროგრესულ ტექნოლოგიებს ანალოგებთან შედარებით საერთო მახასიათებლებით გააჩნია მოწინავე (საუკეთესო) ეკონომიკური მაჩვენებლები და ისინი მთლიანად შეესაბამება სარგებლიანობის კრიტერიუმს.

მატერიალურ და სულიერ სამყაროს შორის პროცესებში კავშირების სიმრავლის გათვალისწინებით ანალიტიკოსები იძულებულნი არიან, წინასწარ განსაზღვრონ ეკონომიკური ანალიზის პირობები და დააკონკრეტონ ისინი მართვის საკითხებში გადაწყვეტილებების დასაბუთებისათვის,

ხოლო ანალიზის პროცესი კონკრეტული ობიექტის მიმართ განიხილონ. ეს ანალიზის მნიშვნელოვანი პრინციპია, რომელიც, ერთი მხრივ, ართულებს დაზუსტებული ინფორმაციის მიღებას ანალიზის ობიექტისათვის, მეორე მხრივ კი, – მართვის საკითხებში გადაწყვეტილებების შემოქმედებითი დასაბუთებისათვის უტყუარ უპირატესობას იძლევა.

ამასთან მთავარია:

1. იმ ელემენტების გამოძებნა, რომლებიც სწორად ასახავს მართვის ობიექტის სტრუქტურას საზოგადოების სიცოცხლის უზრუნველყოფის პრაქტიკაში.

2. სისტემის არჩეულ სტრუქტურაში მართვის პროცესების დასრულების მოთხოვნის უზრუნველყოფა, ანუ საწყისი ინფორმაციის გადამცემიდან პროცესი უნდა „მოდიოდეს“ ობიექტის ახალი მდგომარეობის შეფასებასა და მმართველობით ზემოქმედებისკენ.

განხილული პრინციპის შესაბამისად, ყველა სახის საწარმოო ტექნოლოგია შეიძლება იქნეს განხილული ერთიანი მეთოდური მიდგომით, რაც უზრუნველყოფს მენეჯერთა ქმედებების უნივერსალიზაციას მათი პროფესიული საქმიანობის ფართო საგნობრივ არეალში.

ამა თუ იმ სფეროს სპეციალისტის სამუშაო ობიექტის მთელი რიგი ელემენტების ერთობლიობას, განზოგადებული სახით **საგნობრივ** სფეროს უწოდებენ. საგნობრივი სფეროს სწორად განსაზღვრაზეა დამოკიდებული საინჟინრო, ეკონომიკური, იურიდიული, სამედიცინო და სხვა სპეციალობებზე სწავლების შინაარსი, ფორმა და სტრუქტურა.

საწარმოო ტექნოლოგიები, როგორც კვლევის ობიექტი, შესაძლებელია მეცნიერულად დასაბუთდეს მათი აღწერის საშუალებათა არსებობისას. ტექნოლოგიების აღწერის საშუალებებში იგულისხმება ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენების აღწერის ენა, რომელსაც მიეკუთვნება:

- აზრობრივი, - ასო-ბგერითი, შინაარსობრივი ენა.
- მათემატიკური ფორმულების ენა.
- ლოგიკის ენა.
- გრაფიკული სიმბოლოების ენა.
- ალგორითმული.
- მეტაენები (შორის..., შემდეგ...).
- მაკეტირების ენა.
- ანალოგიების ენა.

ტექნოლოგიების აღწერის საშუალებები შეირჩევა საწარმოო ტექნოლოგიის პრაქტიკაში გამოყენებითი ამოცანების შინაარსიდან გამომდინარე.

ტექნოლოგიის აღწერის ენა – ეს არის ტექნოლოგიის ინტელექტუალური არსის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება მისი ანალიზისა და ავტორის საკუთრების უფლების შენარჩუნება-განსაზღვრისათვის.

პრაქტიკაში ტექნოლოგიების აღწერის საშუალებათა გავრცელება არაერთგვაროვანია. ყველაზე გავრცელებულია ასო-ბგერითი-აზრობრივ-შინაარსობრივი ენა. მაღალი დონის აღწერის საშუალებები ნაკლებადაა გავრცელებული, ზოგიერთი ფუნქციის შემთხვევაში უნიკალურიც კი.

საზოგადოებრივი წარმოების მართვის სისტემის სტრუქტურა შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. მონაცემთა მოგროვება და შეცდომების განსაზღვრა;
2. გამოყენების შედეგების ანალიზი;
3. სტრატეგიის ვარიანტების ამორჩევა;
4. მმართველობითი ზემოქმედების დაგეგმვა;
5. მატერიალური დოვლათის წარმოების შესახებ ინფორმაცია;
6. მატერიალური დოვლათის დანაწილების სოციალური შედეგები;
7. მართვის ობიექტი.

მმართველი პერსონალის საქმიანობის საგნობრივი სფეროს ქვეშ იგულისხმება საწარმოო ტექნოლოგიების სიმრავლე, ხოლო მათი ამორჩევა და დაკავშირება – ეს არის საწარმოო ურთიერთობების განსაზღვრის პროცესი, ანუ მართვის ობიექტი ეკონომიკაში.

ამ პროცესის რეალიზაციაში ინოვაციურ მენეჯმენტს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის კრიტერიუმებისა და მისი განვითარების გზების განსაზღვრისთვის სპეციფიკური და მნიშვნელოვანი როლი აკისრია.

დასკვნა

ანალიზის ობიექტის სწორად ამოცნობასა და ამორჩევაზეა დამოკიდებული მისი შედეგებიც და მათი ადეკვატურობა საწარმოო ურთიერთობების განვითარების პროცესებისადმი. ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით საწარმოო ტექნოლოგიების კონკრეტულ საორგანიზაციო-ტექნიკურ პირობებში განვითარების სისტემური ანალიზი წარმოადგენს ეკონომიკაში მართვის სისტემების შექმნისა და გაკონტროლების ძირითად ინსტრუმენტს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კიწმარიშვილი ქ., ინოვაციური მენეჯმენტი. „ბუკდვის სამყარო“. თბილისი, 2016.
2. აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ., საინოვაციო მენეჯმენტი, თბ., 2015.
3. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.
4. <http://www.russba.ru/>

Ketevan Kitsmarishvili

PROGRESSIVE INDUSTRIAL TECHNOLOGIES

Summary

Technology is a description of industrial procedures and instructions of their execution, technological standards (time limit), schedules and maps. From the standpoint of some researchers, technology is an activity resulting achievement of set objective and after that the operand is changed. But from the standpoints of others, it is the method of realization through breaking up complex procedure, when certain elements are united in the system of related procedures and operations; totality of knowledge about the means and methods of organization of social procedures or those actions itself through which are achieved set objectives.

*ირინე მამალაძე
მაია კაპანაძე*

ფირმის რესტრუქტურისაცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში

ანოტაცია. საბაზრო ეკონომიკაში ნებისმიერი ფირმის მთავარი მიზანია მოვების მაქსიმიზაცია. ეს გაზრდებით აძლიერებს ტრანსნაციონალური კორპორაციების როლს მსოფლიო ბაზარზე. რაც შეეხება შერეულ ეკონომიკას, აქ მთავარი მიზანი პროდუქციის, ფირმისა და მთელი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაა. ფირმების კონკურენტული უპირატესობები უზრუნველყოფს არა ერთჯერად მაქსიმალურ მოვებას, არამედ ოპტიმალურ შემოსავალს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. წარმოებული პროდუქციის ბაზარზე იმ ფირმას აქვს გადარჩენის შანსი, რომელსაც მეტი კონკურენტული უპირატესობები აქვს და არა იმას, რომელსაც მოვება აქვს მაქსიმალური. ასეთ პირობებში რესტრუქტურისაციის მთავარი ამოცანა ხდება ფუნქციონირების ახალ პირობებზე მორგება, აგრეთვე, ფირმის გარდაქმნა ისეთ მოქნილ სისტემად, რომელსაც მოკლე ხანში შეეძლება გარემოს ცვლილებების შესაფერისად გადაწყობა.

საკვანძო სიტყვები: რესტრუქტურისაცია; დემოგრაფია; საწარმოთა პრივატიზაცია; ხისტი კრიტერიუმი; ელასტიკური კრიტერიუმი.

შესავალი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფირმების რესტრუქტურისაცია მიზნად ისახავს გარემოს ცვალებად პირობებთან სწრაფად შეგუებას, მართვის მობილობას, ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების ზრდას.

საწარმო-სამეურნეო საქმიანობაში დამოუკიდებლობის მქონე ფირმები ინდივიდუალურად აგებენ თავიანთ სტრუქტურებს. ამას განსაზღვრავს ფირმის წინაშე მდგარი ამოცანებისა და მათი მიღწევის მეთოდების კომპლექსი. ფირმების სტრუქტურას სრულიად განსხვავებული კონფიგურაცია შეიძლება ჰქონდეს, რომელიც იცვლება დროსა და სივრცეში. სტრუქტურა შეიძლება წარმოდგენილი იყოს სამეურნეო ამხანაგობებითა და საზოგადოებებით, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებით, აქციონერული ტიპის მრავალდონიანი კომპანიებით ან ისეთი ტრანსნაციონალური კომპანიებით, რომელთა შემადგენლობაში შემაჯავ ფირმებს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სტრუქტურები შეიძლება ჰქონდეთ. მათ ცვლილებებს იწვევს ფირმების საქმიანობის სტრატეგიული მიზნები, კორუფციასთან ბრძოლისა და ბიუროკრატიული აპარატის შემცირების ტენდენციები, ფირმების ერთმანეთთან შერწყმა ან, პირიქით, დამოუკიდებელი ბიზნესების გამოყოფა.

საწარმოთა რესტრუქტურისაცია მუდმივი დინამიკური პროცესია. საქართველოში გატარებული რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი საწარმოთა რესტრუქტურისაციის დაგვიანებაა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფირმების რესტრუქტურისაცია მიზნად ისახავს გარემოს ცვალებად პირობებთან სწრაფად შეგუებას, მართვის მობილობას, ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების ზრდას. ფირმის რესტრუქტურისაციის (რეფორმირების) პროცესი შეიძლება **ძირითად ფაქტორებზე** დამოკიდებული:

- ფირმის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე;
- მისი საქმიანობის მიზნებსა და პრიორიტეტებზე;
- ფირმის მართვის ტიპზე;
- სპეციალიზაციის დონესა და კოოპერაციული კავშირების განვითარებაზე;

- შიდა და გარე ინვესტიციების დინამიკაზე;
- სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის მასშტაბზე;
- ეკონომიკაში ეროვნული პრიორიტეტების სისტემაზე.

თითოეული ეს ფაქტორი თავისებურად მოქმედებს ფირმის რესტრუქტურისაციის (რეფორმირების) ხასიათსა და ეფექტიანობაზე.

* * *

საწარმო-სამეურნეო საქმიანობაში დამოუკიდებლობის მქონე ფირმები ინდივიდუალურად აგებენ თავიანთ სტრუქტურებს. ამას განსაზღვრავს ფირმის წინაშე მდგარი ამოცანებისა და მათი მიღწევის მეთოდების კომპლექსი. ფირმების სტრუქტურას სრულიად განსხვავებული კონფიგურაცია შეიძლება ჰქონდეს, რომელიც იცვლება დროსა და სივრცეში. სტრუქტურა შეიძლება წარმოდგენილი იყოს სამეურნეო ამხანაგობებითა და საზოგადოებებით, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებით, აქციონერული ტიპის მრავალდონიანი კომპანიებით ან ისეთი ტრანსნაციონალური კომპანიებით, რომელთა შემადგენლობაში შემაჯავლ ფირმებს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სტრუქტურები შეიძლება ჰქონდეთ. მათ ცვლილებებს იწვევს ფირმების საქმიანობის სტრატეგიული მიზნები, კორუფციასთან ბრძოლისა და ბიუროკრატიული აპარატის შემცირების ტენდენციები, ფირმების ერთმანეთთან შერწყმა ან, პირიქით, დამოუკიდებელი ბიზნესების გამოყოფა.

ფირმის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა გავლენას ახდენს რესტრუქტურისაციის დონისძიებათა მთელ კომპლექსზე. მაგალითად, სრულ ამხანაგობაში პირველი რიგის ზომები იქნება მოწყობილობის მოდერნიზება, პროდუქციის ხარისხის კონტროლი, შრომის ნაყოფიერების ამაღლება და კადრების დენადობის შემცირება და ა.შ.; აქციონერულ საზოგადოებაში რესტრუქტურისაცია, ალბათ, დაიწყება საკუთრების გადანაწილებით მართვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით; პოლინგებში, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებსა და სხვა სახის კორპორაციებში – ფასიანი ქაღალდების პორტფელის „წმენდით“ (პორტფელიდან ზარალიანი ან დაბალეფექტიანი ფირმების ფასიანი ქაღალდების ამოღებით), პორტფელში აქცენტების გადასმით (იმ საწარმოების ფასიანი ქაღალდების დამატებითი პაკეტების შექმნით, რომლებითაც კორპორაციაა დაინტერესებული) და ა.შ.

ფირმებისა და ორგანიზაციების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, როგორც ვიცით, საკუთრების ფორმებსა და უფლებებზეა დაფუძნებული. იმას, თუ საკუთრების რომელი (კერძო, სახელმწიფო და ა.შ.) ფორმის მქონე ორგანიზაციები ჭარბობს ქვეყნის ეკონომიკაში, რომელ დარგში ფუნქციონირებენ ისინი, როგორია ფირმებისა და ორგანიზაციების შექმნისა და ოფიციალური ლიკვიდაციის დინამიკა, სხვა დისციპლინებთან ერთად სწავლობს სტატისტიკის ახალი დარგი, რომელსა და ფირმებისა და ორგანიზაციების დემოგრაფიას უწოდებენ და რომლის ძირითადი პრობლემაა საწარმოების „დაბადებისა და კვდომის“ პრობლემები.

მარტო 2003-2010 წლებში საქართველოში მოხდა 4300-მდე მსხვილი და მცირე საწარმოს პრივატიზება. ახალი კერძო მესაკუთრეები ხშირ შემთხვევებში ვერ ასრულებდნენ ნაკისრ ვალდებულებებს, რაც მათ ხშირ ცვლას იწვევდა. უკვე 2008 წლისათვის საგრძობლად შემცირდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოთა რაოდენობა, მსხვილი საწარმოებიდან კი მხოლოდ რამდენიმე (რკინიგზა, მაგისტრალური გაზსადენი და ენერგობიექტები) დარჩა სახელმწიფოს ხელში.

საბაზრო ეკონომიკაში ნებისმიერი ფირმის მთავარი მიზანია მოგების მაქსიმიზაცია. ეს გამუდმებით აძლიერებს ტრანსნაციონალური კორპორაციების როლს მსოფლიო ბაზარზე. რაც შეეხება შერეულ ეკონომიკას, აქ მთავარი მიზანი პროდუქციის, ფირმისა და მთელი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაა. ფირმების კონკურენტული უპირატესობები უზრუნველყოფს არა ერთჯერად მაქსიმალურ მოგებას, არამედ ოპტიმალურ შემოსავალს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. წარმოებული პროდუქციის ბაზარზე იმ ფირმას აქვს გადარჩენის შანსი, რომელსაც მეტი კონკურენტული უპირატესობები აქვს, და არა იმას, რომელსაც მოგება აქვს მაქსიმალური. ასეთ პირობებში რესტრუქტურისაციის მთავარი ამოცანა ხდება ფუნქციონირების ახალ პირობებზე მორგება, აგრეთვე, ფირმის გარდაქმნა ისეთ მოქნილ სისტემად, რომელსაც მოკლე ხანში შეეძლება გარემოს ცვლილებების შესაფერისად გადაწყობა.

ფირმების მართვაში მეტწილ შეცდომებს სტრატეგიების უქონლობა იწვევს, რის გამოც ისინი მოკლევადიან შედეგებზე არიან ორიენტირებულები. ხელმძღვანელობა ყოველთვის ღრმად არ იცნობს ბაზრის კონიუნქტურას, ფინანსური მენეჯმენტის და წარმოების ხარჯების მართვის ეფექტიანობა კი საკმაოდ დაბალია. პერსონალის მართვის არაეფექტიანობა აქვეითებს მის დაინტერესებასა და შრომის ნაყოფიერებას და ზრდის კადრების დენადობას. ამ შემთხვევაში რესტრუქტურისაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია ფირმების მართვის დარგობრივი ტიპიდან კორპორაციულ ტიპზე გადასვლა. ეს ხელს უწყობს პროდუქციის დივერსიფიკაციას, პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვის განვითარებას, ტექნოლოგიების გაუმჯობესებას და ა.შ.

საგვემო მეურნეობის პირობებში არსებული სამეურნეო კავშირთუერთობების რღვევის შემდეგ საწარმოების რესტრუქტურისა და ერთ-ერთი მიმართულება კოოპერირებული წარმოებისა და შიდა კორპორაციული სპეციალიზაციის ბაზაზე სამეურნეო კავშირების აღდგენა გახდა. ერთი დარგის ფირმები შეიძლება პოლიტიკაში, ასოციაციებსა და კონცენტრებში ერთიანდებოდნენ, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების ფირმები კი – საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებში. ასეთი ჯგუფები აერთიანებს საწარმოო სფეროს ფირმებს, საფინანსო და სავაჭრო-საშუამავლო ორგანიზაციებს. ფირმები და ორგანიზაციები მცირე დროითაც შეიძლება ერთიანდებოდნენ სამეურნეო კავშირებში, რისი მიზანიცაა ამა თუ იმ კონკურენტული უპირატესობის მიღწევა.

რესტრუქტურისათვის საჭირო ოდენობით ინვესტიციების მობილიზება ორი მიდგომითაა შესაძლებელი: სახელმწიფო (ადმინისტრაციული შეზღუდვები და სახელმწიფო კონტროლის გაძლიერება) და საბაზრო (კაპიტალის გატანისათვის არახელსაყრელი ეკონომიკური პირობების შექმნა). წლების მანძილზე საქართველოში ჩამოყალიბდა შიდა და გარე ფინანსური რესურსების კონცენტრაციის ერთგვარი სამკუთხედები: „ბანკი-ინვესტიციები-მშენებლობა/უძრავი ქონება“ და „ბანკი-მოსხმარება-ვაჭრობა“. პირველმა სამშენებლო ფირმებისა და უძრავი ქონების სექტორის „გაბერვა“ გამოიწვია, არასაინვესტიციო ბუნების მქონე აქტივები გააფართოვა და მწარმოებლური ფირმების განვითარებას მოაკლო ფინანსური რესურსები, მეორემ კი ინფლაციურ პროცესებს შეუწყო ხელი და არაუზრუნველყოფილი საკრედიტო ვადლებულებების პრობლემა შექმნა.

რესტრუქტურისათვის იმ ფირმებზეც ვრცელდება, რომლებსაც დაბალი ეკონომიკური ეფექტიანობა, მაგრამ დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვთ. ასეთი ფირმების რესტრუქტურისათვის პროცესში სახელმწიფოს ჩარევას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. განვითარებულ საბაზრო ეკონომიკურ სისტემებშიც კი განვითარების ინვესტირებას ასეთ შემთხვევებში სახელმწიფო ასორციელებს. ამ პროცესში იგი იყენებს ინვესტირების როგორც პირდაპირ, ისე ირიბ მეთოდებს, აგრეთვე, საგადასახადო, საკრედიტო და ფასების პოლიტიკის ოპტიმალურ კომბინაციას. გარდა ამისა, მსოფლიო ბაზრის მაღალი კონკურენტული გარემოს პირობებში აუცილებელი ხდება პროტექციონისტული ღონისძიებების გატარება გონივრული ზომით და სტრატეგიულ მიმართულებებზე.

2010 წ. 17 სექტემბერს მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსით დაწესებულია 6 გადასახადი, რომელთაგან 5 (საშემოსავლო, მოგების, დღგ, აქციზი და იმპორტის გადასახადი) საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია, 1 კი (ქონების გადასახადი) - ადგილობრივი, თუმცა, ეს ნაკლებად აისახა საგადასახადო ტვირთის შემცირებაზე.

საინვესტიციო სახსრების უკიდურესად შეზღუდვის გამო ქვეყანაში ჩნდება მათი დაბანდების ეროვნული პრიორიტეტების შერჩევის პრობლემა. სტრუქტურულ გარდაქმნათა გატარება წინ წამოსწევს ეკონომიკის სექტორების შემდეგ ჯგუფებად რანჟირების ახალი სისტემის საკითხს:

- საბაზო სექტორებად, რომლებიც წამყვანია მშპ-ის სტრუქტურაში და განსაზღვრავს მსოფლიო ბაზარზე ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობას;
- ისეთ პერსპექტიულ სექტორებად, რომლებიც ეკონომიკური ზრდის ბაზას განსაზღვრავენ;
- არაპერსპექტიულ სექტორებად, რომლებიც ნაწილობრივ უნდა შეიკვეცოს ან გაუქმდეს.

ფირმებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პრიორიტეტულ სექტორებამდე საინვესტიციო რესურსების დაყვანის მექანიზმის შექმნის პრობლემას. მის მოსაგვარებლად მთავრობამ უნდა შეიმუშაოს პრიორიტეტული სახელმწიფო პროგრამები, რომელთა დაფინანსება მოხდება მიზნობრივად და შედავათიანი პირობებით. ეროვნული პრიორიტეტების გრძელვადიანი პროგრამა მეცნიერებატევადი წარმოების განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

თუ საწარმო პრივატიზაციისთვის არაა განკუთვნილი, მაშინ რესტრუქტურისათვის შუალედურ ეტაპად ხორციელდება, რომელიც პრივატიზაციას უსწრებს. საქართველოში პრივატიზაცია ხშირად რესტრუქტურისათვის ხორციელდებოდა, რადგან საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნისა და გაჯანსაღებისთვის საჭირო ინვესტიციები არ არსებობდა. ამიტომ ამ პროცესს თან ახლდა მასობრივი უმუშევრობა და წარმოების მკვეთრი დაცემა, რამაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გაახანგრძლივა და გაართულა.

რესტრუქტურისათვის ხშირად არასწორად იყო გაგებული და მასში საწარმოს წვრილ ეროვნულებად დანაწევრებას გულისხმობდნენ, რომლებსაც კოლექტივის წევრები ან მათი ხელმძღვანელები ეპატრონდებოდნენ. ასეთი დანაწევრება იწვევდა საწარმოო აპარატის დაშლას, მის გაყიდვას ჯარტის სახით, რაც არაერთხელ დაფიქსირდა ცალკეულ დარგებში, მათ შორის – მსუბუქ და კვების მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში და ა.შ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საწარმოთა რესტრუქტურისათვის მსოფლიოში გამოცდილი მეთოდების თანმიმდევრულად გამოყენება.

საწარმოთა რესტრუქტურისათვის მუდმივი დინამიკური პროცესია. საქართველოში გატარებული რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი საწარმოთა რესტრუქტურისათვის დაგვიანებაა. ჯერ კიდევ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების პროგრამა ითვალისწინებდა საწარმოთა პრივატიზაციისა და რესტრუქტურისათვის განხორციელებას: საშუალო და მსხვილი საწარმოების პრივატიზებას 40%-მდე 1994 წელს, სახელმწიფოს სანაციური პოლიტიკის

განსახდვრას 1993-1994 წლებში და ა.შ. რეფორმის პირველ ეტაპზე (1996 წლამდე) წინა პლანზე ფინანსური წონასწორობის პრობლემა წამოიწია საწარმოთა რესტრუქტურისაციის მნიშვნელობის შეფასებლობის ფონზე, მაგრამ მომდევნო პერიოდში საწარმოთა რესტრუქტურისაციის სერიოზული შეფერხება და დაგვიანება გაუმართლებელი იყო. ამასთან, აუცილებელი იყო სახელმწიფოს გაეტარებინა ქმედითი ინსტიტუციური და ფინანსური ღონისძიებანი რესტრუქტურისაციის დროულად განხორციელებისთვის.

პოსტსოციალისტური ქვეყნებისა და საქართველოს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საწარმოთა რესტრუქტურისაციის მართვა მახვენებელთა გარკვეულ სისტემას უნდა ემყარებოდეს. ესენია:

1. რენტაბელობის დონე;
2. დადებითი ოპერაციული ნაკადი, ანუ საწარმოს გაყიდვის შედეგად მიღებულ შემოსავლებს გამოკლებული წარმოების ფუნქციონირების ღირებულება;
3. ოპერაციული ფულადი ნაკადი, ანუ მისი წილი გაყიდვების მოცულობის მიმართ;
4. სამუშაო ძალის მწარმოებლურობა, რომელიც განისაზღვრება როგორც დამატებული ღირებულება საწარმოო ფუნქციონირების ღირებულების გამოკლებით (ხელფასის გარეშე), გაყოფილი დახარჯული ადამიან-საათების რაოდენობაზე ან მუშაკთა საერთო რაოდენობაზე;
5. თითოეული ფაქტორის – სამუშაო ძალის, მატერიალური რესურსების, კაპიტალის მწარმოებლურობა.


საწარმოთა რესტრუქტურისაციის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას ამ მახვენებლების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი მართვა უნდა ედოს საფუძვლად. ამასთან, პრიორიტეტი უნდა გახდეს საწარმოს კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა როგორც შიდა, ისე მსოფლიო ბაზრებზე.

ფირმების რესტრუქტურისაციის ჩატარების ეფექტიანობა მისი კრიტერიუმების განსაზღვრასთანაა დაკავშირებული. ისინი ორი ტიპისაა: ხისტი, რომელთა რაოდენობრივად გაზომვაც შესაძლებელია, და ელასტიკური, რომელთა გაზომვაც შეუძლებელია. მათი შემადგენლობა პირველ სურათზეა მოყვანილი.

ხისტი კრიტერიუმების თანახმად, ინვესტორების მიერ რეკომენდებული ცვლილებები ფირმებმა ისე უნდა განახორციელონ, რომ შესაძლებელი იყოს მიღებული პოზიტიური შედეგების გაზომვა და დოკუმენტურად დადასტურება. თუმცა, ზოგიერთ ეკონომიკურ პირობებში ამ კრიტერიუმების გამოყენებას მთელი რიგი შეზღუდვები აქვს, რასაც იწვევს მოგების მაქსიმიზაციის სტიმულების უქონლობა (მისი დამალვა); დანახარჯების შემცირება პერსონალის შეკვეცის ან დაბალი ხარისხის ნედლეულისა და მასალების გამოყენების გამო; საინვესტიციო რესურსების არამიზნობრივად გამოყენება; ფინანსური რესურსების ნაკადების კონტროლის უქონლობა და ა.შ.

ამგვარად, ფირმის რესტრუქტურისაცია ეფექტიანად შეგვიძლია მივიჩნიოთ მაშინ, თუ დოკუმენტურად შეიძლება იმის დამტკიცება, რომ შემოთავაზებულ ცვლილებათა ხორცშესხმამ უზრუნველყო სტრატეგიული მიზნების მიღწევა საშუალოვადიან პერსპექტივაში (გასაღების ბაზრის გაფართოება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და გაყიდვათა მოცულობის გადიდება). თუ ფირმის შემოსავლები უცაბედად მატულობს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვის შედეგად, ეს ერთჯერადი მოვლენაა და რესტრუქტურისაციის კრიტერიუმად იგი არ გამოდგება.

ელასტიკური კრიტერიუმები ფირმის რესტრუქტურისაციის იმ დადებით შედეგებს ითვალისწინებს, რომლებიც ადამიანურ კაპიტალში განხორციელებულ გრძელვადიან ინვესტიციებს შეიძლება მივაკუთვნოთ. თუ ფირმის ხელმძღვანელებს არ ჰყოფნით საბაზრო პირობებში მუშაობისათვის საჭირო მრავალფეროვანი მმართველობითი და პროფესიული უნარ-ჩვევები, მაშინ რესტრუქტურისაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტი ხდება მმართველი პერსონალის მიერ პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზების გაცნობა, სტრატეგიული დაგეგმვისა და კონკურენტულ უპირატესობათა გამოყენების უნარების შექმნა, აგრეთვე, კონკურენტული ნაკლოვანებების ნეგატიური გავლენის შემცირება.



სურ. 1. რესტრუქტურის ეფექტიანობის კრიტერიუმები

ეფექტიანობის ხისტი და ელასტიკური კრიტერიუმები ამა თუ იმ ზომით მოქმედებენ ერთმანეთზე. მაგალითად, მმართველი პერსონალის მიერ ფინანსების სფეროში კვალიფიკაციის ამაღლება ფირმის ფინანსური რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენებისა და ეფექტიანად გაკონტროლების შესაძლებლობას ქმნის, რაც მისი დანახარჯების ოპტიმიზაციაზე, მომგებიანობასა და რენტაბელობაზე აისახება. ამიტომ, იმის მიუხედავად, რომ ელასტიკური კრიტერიუმების შეფასება ძნელია, ისინი ფირმის საქმიანობაში გაცილებით უფრო პოზიტიურ პროცესებს ასახავდნენ მისი რესტრუქტურის შედეგების მიხედვით.

დასკვნა

პოსტსოციალისტური ქვეყნებისა და საქართველოს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საწარმოთა რესტრუქტურის მართვა მაჩვენებელთა გარკვეულ სისტემას უნდა ემყარებოდეს. ესენია:

1. რენტაბელობის დონე;
2. დადებითი ოპერაციული ნაკადი, ანუ საწარმოს გაყიდვის შედეგად მიღებულ შემოსავლებს გამოკლებული წარმოების ფუნქციონირების ღირებულება;
3. ოპერაციული ფულადი ნაკადი, ანუ მისი წილი გაყიდვების მოცულობის მიმართ;
4. სამუშაო ძალის მწარმოებლურობა, რომელიც განისაზღვრება როგორც დამატებული ღირებულება საწარმოო ფუნქციონირების ღირებულების გამოკლებით (ხელფასის გარეშე), გაყოფილი დახარჯული ადამიან-საათების რაოდენობაზე ან მუშაკთა საერთო რაოდენობაზე;
5. თითოეული ფაქტორის – სამუშაო ძალის, მატერიალური რესურსების, კაპიტალის მწარმოებლურობა.

საწარმოთა რესტრუქტურის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას ამ მაჩვენებლების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი მართვა უნდა ედოს საფუძვლად. ამასთან,

პრიორიტეტი უნდა გახდეს საწარმოს კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა როგორც შიდა, ისე მსოფლიო ბაზრებზე.

ფირმების რესტრუქტურისაციის ჩატარების ეფექტიანობა მისი კრიტერიუმების განსაზღვრასთანაა დაკავშირებული. ისინი ორი ტიპისაა: ხისტი, რომელთა რაოდენობრივად გაზომვაც შესაძლებელია და ელასტიკური, რომელთა გაზომვაც შეუძლებელია.

ხისტი კრიტერიუმების თანახმად, ინვესტორების მიერ რეკომენდებული ცვლილებები ფირმებმა ისე უნდა განახორციელონ, რომ შესაძლებელი იყოს მიღებული პოზიტიური შედეგების გაზომვა და დოკუმენტურად დადასტურება. თუმცა, ზოგიერთ ეკონომიკურ პირობებში ამ კრიტერიუმების გამოყენებას მთელი რიგი შეზღუდვები აქვს, რასაც იწვევს მოგების მაქსიმიზაციის სტიმულების უქონლობა (მისი დამალვა); დანახარჯების შემცირება პერსონალის შეკვეცის ან დაბალი ხარისხის ნედლეულისა და მასალების გამოყენების გამო; საინვესტიციო რესურსების არამიზნობრივად გამოყენება; ფინანსური რესურსების ნაკადების კონტროლის უქონლობა და ა.შ.

ამგვარად, ფირმის რესტრუქტურისაცია ეფექტიანად შეგვიძლია მივიჩნიოთ მაშინ, თუ დოკუმენტურად შეიძლება იმის დამტკიცება, რომ შემოთავაზებულ ცვლილებათა ხორცშესხმამ უზრუნველყო სტრატეგიული მიზნების მიღწევა საშუალოვადიან პერსპექტივაში (გასაღების ბაზრის გაფართოება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და გაყიდვათა მოცულობის გადიდება). თუ ფირმის შემოსავლები უცაბედად მატულობს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვის შედეგად, ეს ერთგვარადი მოვლენაა და რესტრუქტურისაციის კრიტერიუმად იგი არ გამოდგება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. შუალედური ანგარიში. EI-LAT 2012 „ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისი“. გვ. 111-112
2. Экономика предприятия. Учебник. Под ред. В. Я. Горфинкеля, В. А. Швандара. «ЮНИТИ – ДАНА» М.: 2007.
3. <http://www.georgianreforms.com/>
4. <http://www.ghn.ge/print.php?print=92634>

*Irine Mamaladze
Maia Kapanadze*

RESTRUCTURING OF A FIRM IN THE CONDITIONS OF MARKET ECONOMY

Summary

The main aim of any firm in market economy is profit maximization. It constantly strengthens a role of multinational corporations in the world market. As concerns mixed economy, here the main reason is increase of competitiveness of a production, firm and the whole economy. Competitive advantages of firms provide not reusable maximum profit, but optimum income in an average and long-term outlook. Only that firm has a chance to save the made production, which has more competitive advantages and not the firm that has maximum yield. In such conditions adjusting to new conditions of operation becomes the main task of restructuring, also transformation of the firm into such a flexible system that will soon be able to adjust environmental changes.

*ირინე მამალაძე
ალექსანდრე ხვედელიანი*

შენიშნული კაპიტალის როლი ინოვაციურ ეკონომიკაში

ანოტაცია. ინოვაციური ეკონომიკა დაფუძნებულია ინტელექტუალურ რესურსებზე, სამეცნიერო და ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე. „ახალ ეკონომიკაში“ იგულისხმება „მთლიანად ეროვნული ეკონომიკის ხარისხობრივად ახალი ტექნოლოგიური დონე საზოგადოების მოქმედი სამეწარმეო ძალის გათვალისწინებით“.

თანამედროვე საქართველოსთვის ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც აწვრთნის ინოვაციურ საქმიანობას, და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, წარმოადგენს ფინანსური ფაქტორი – ინოვაციური პროექტების დაფინანსებისთვის საჭირო სახსრების უკმარისობა და ხელმიუწვდომლობა.

კაპიტალის ალტერნატიული ბაზრის განვითარება ინოვაციური ინვესტირების ფონდების ბაზაზე მოგვცემს ინვესტორების და მოწინავე ტექნოლოგიების შემქმნელების, რომელთაც დღეს არ გააჩნიათ საკმარისი სახსრები მათ განსახორციელებლად, ინტერესების შეთანხმების საშუალებას. კაპიტალის თანამედროვე ალტერნატიული ბაზრის ერთ-ერთი ელემენტის როლში გამოდის ეწინააღმდეგარე კაპიტალის ბაზარი.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ეკონომიკა; ცოდნის ეკონომიკა; ადამიანისეული კაპიტალი; ხარისხოვანი კაპიტალი; ვენჩურული ფონდები.

ბოლო წლებში აქტიურად ცდილობდნენ ვენჩურული კაპიტალის ბაზრის ფუნქციონირების თეორიული საფუძვლის ახსნას. უცხოური ქვეყნების მაგალითებზე, სხვადასხვა მიმართულებით, საქართველოსათვის გამოსადეგი გამოცდილების გამოვლენა ხდებოდა, მაგრამ ქართულ სინამდვილეში, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონის თავისებურებების გათვალისწინებით, მისი ფორმირებისა და რეგულირების მკაფიო დეფინიციების განსაზღვრა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. არსებული სტატუსკოს გათვალისწინებით, საბაზრო ურთიერთობების გაღრმავება, შემდგომი განვითარება და საინვესტიციო პოლიტიკის სახელმწიფო დონეზე ფორმირება შეუძლებელია ამ პრობლემის მოგვარების გარეშე. მდგომარეობას ამწვავებს ის გარემოებაც რომ, საქართველოს დამოუკიდებლობის ბოლო ოცწლეულის მანძილზე, საკმაოდ ხშირად იცვლებოდა ეკონომიკური და სოციალური სიტუაცია, საგადასახადო სისტემა თუ სხვა საკანონმდებლო აქტები. ამგვარად, საქართველოს ვენჩურული კაპიტალის ბაზრის ფორმირებისა და განვითარების გადაუდებელი საჭიროება განპირობებულია როგორც საინვესტიციო პროცესის გამოცოცხლების, ასევე მისთვის ინტენსიური ხასიათის მიცემის აუცილებლობით.

თანამედროვე საზოგადოების ფორმირების ძირითად მსოფლიო ტენდენციას წარმოადგენს გადასვლა ნედლეულისა და ინდუსტრიული ეკონომიკიდან „ახალ ეკონომიკაზე“, რომელსაც ზოგჯერ ასევე „ცოდნის ეკონომიკა“ უწოდებენ (knowledge based economy). ინოვაციური ეკონომიკა დაფუძნებულია ინტელექტუალურ რესურსებზე, სამეცნიერო და ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე. „ახალ ეკონომიკაში“ იგულისხმება „მთლიანად ეროვნული ეკონომიკის ხარისხობრივად ახალი ტექნოლოგიური დონე საზოგადოების მოქმედი სამეწარმეო ძალის გათვალისწინებით“ [2.13]. ეკონომიკის აღნიშნული სახეობა აქცენტს აკეთებს არა მარტო საკუთარი ცოდნის დაფინანსებაზე, არამედ ამ ცოდნის ეფექტიან წარმოებად გარდაქმნაზეც. საქართველომ არაერთხელ განაცხადა ჩვენი ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასვლის შესახებ, მაგრამ ამისათვის უბრალო დაანონსება არ მოგვიტანს მოსალოდნელ შედეგს. წარმოების ფაქტორების სტრუქტურაში სისტემური ინოვაციების აღმოჩენა გამოიწვევს გარკვეულ დისბალანსს არსებულ სისტემაში და მოითხოვს ფაქტორების კომბინაციების გადახედვას, მათი ოპტიმალური შეხამების ძიებას და, შესაძლებელია, განაპირობებს ახალი და კომპლექსური ფაქტორების წარმოქმნას, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საბაზრო განვითარების თანამედროვე ეტაპთან.

უკვე არსებული ფაქტორების სინერჯის შედეგად მიღებული კომპლექსური ფაქტორებიდან ერთ-ერთს წარმოადგენს ვენჩურული კაპიტალი, რომელიც ინოვაციურ მიმართულებასთან ერთად ითვალისწინებს ეკონომიკური სისტემების მომატებულ რისკებს, ეკონომიკური გარემოს არასტაბილურობას, ინოვაციების ციკლს, მეწარმეების რიგებში მმართველობითი უნარ-ჩვევების და საინვესტიციო პროცესის ცოდნის უკმარისობას. მის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ვენჩურული კაპიტალის ინოვაციური ხასიათი, რომელიც ეყრდნობა მიღწევებს მეცნიერების დარგში, ახალი ტექნოლოგიების სწრაფ ათვისებას და ეფექტურ მენეჯმენტს. ის ქვეყნები, რომლებიც დღეს აკონტროლებენ ახალი ტექნოლოგიების შექმნის პროცესს, ხვალ გააკონტროლებენ უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი პროდუქციის ბაზრებს. ამ პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ შედეგს წარმოადგენს **ლიდერი ქვეყნების სავარაუდო დომინირება მსოფლიოს ძირითად ბაზრებზე, ამ ბაზრებიდან პერიფერიული ქვეყნების (საქართველოს ჩათვლით) შეგნებული განდევნის თანხლებით.**

2016 წლის 30 ოქტომბერს დაილო გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მიერ მომზადებული ანგარიში, სადაც მოცემულია ქვეყნების რეიტინგი მეცნიერებასა და კვლევებზე დახარჯული თანხების მშპ-თან წილის მიხედვით. საქართველო ამ რეიტინგში რამდენიმე წელია საერთოდ არ მონაწილეობს. საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით კი სურათი შემდეგია (ცხრ. 1):

ცხრილი 1

სხვადასხვა ქვეყნების დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე

რეიტინგი	ქვეყანა	დანახარჯები (%)
1	ისრაელი	4,4
2	ფინეთი	3,88
3	სამხრეთ კორეა	3,74
4	შვედეთი	3,4
5	იაპონია	3,36
6	დანია	3,06
7	შვეიცარია	2,99
8	აშშ	2,9

9	გერმანია	2,82
10	ავსტრია	2,75
62	საქართველო	0,1

წყარო: <http://knoema.ru/atlas/topics...> [4]

საქართველო ჩამორჩება არა მარტო პოსტსაბჭოური და ჩვენთან საერთო წარსულის მქონე მეზობლებს (სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი), არამედ „მესამე სამყაროს“ წარმომადგენლებს - ტოგოს, კვიპროსსა და სხვა. ამიტომაც ქვეყნის ახალი იმიჯის შექმნის საკვანძო ფაქტორებად უნდა იქცეს სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის, განათლების, სამეცნიერო და ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენის გაძლიერება ეკონომიკაზე, სახელმწიფოზე და საზოგადოებაზე და მათ მიერ ხარისხობრივად ახალი მახასიათებლების და ფუნქციონირების მექანიზმების შექმნა.

წამყვან ინდუსტრიულ სახელმწიფოებში „ახალი ეკონომიკის“ შემოღება მნიშვნელოვანი ხარისხითაა განპირობებული ინოვაციების ტემპების, ინოვაციური პროცესების რეალიზების მიმართულებებისა და მექანიზმების ეკონომიკური როლის შეცვლით. არ შეიძლება არ გაითვალისწინო ეკონომიკაზე სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის ზეგავლენა, ვინაიდან მთლიანად ეკონომიკა ეფუძნება სამეცნიერო ცოდნას, ხოლო მისი ინოვაციური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ახალი სამეცნიერო ცოდნის და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ხარჯზე. საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი სამეცნიერო ბაზა და მაღალკვალიფიციური კადრები, თუმცა, ამავედროულად, ამ ინოვაციური პოტენციალის ორიენტაცია წარმოებაში და საქმიანობის სხვა სფეროებში საკმაოდ სუსტია.

საქართველო ვერ შეძლებს თავისი სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნებას მისი ეროვნულ ეკონომიკასთან დაკავშირების გარეშე, ხოლო ეკონომიკა ვერ გახდება კონკურენტუნარიანი სამეცნიერო საყრდენის გარეშე. ინოვაციური საქმიანობას ეკონომიკური ურთიერთობების საერთო სისტემაში უკავია საკვანძო ადგილი, რადგან მისი საბოლოო შედეგების (წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, სამეცნიერო პროდუქციის გამომშვების მოცულობის ზრდის) მიხედვით განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკური სიმძლავრე თანამედროვე პირობებში.

ინტეგრაცია მაღალტექნოლოგიურ გარე საბაზრო გარემოში საჭიროებს ახალ ინოვაციურ მენეჯმენტს, რომელიც ადეკვატურად და სწრაფად რეაგირებს მის მუდმივ ცვლილებებზე. ინოვაციებს აკავშირებს ხასიათით და მეთოდებით განსხვავებული ეკონომიკური საქმიანობის დარგები: მეცნიერება, წარმოება, ფინანსები.

თვით „ინოვაციის“ ცნება სამეცნიერო კვლევებში გამოჩნდა XX საუკუნეში. ითვლება, რომ ტერმინი – „ახლის დანერგვა“ („ინოვაცია“) – შემოიტანა იოზეფ შუმპეტერმა, რომელმაც განსაზღვრა იგი, როგორც საწარმოო ფაქტორების ახალი სამეცნიერო-საორგანიზაციო კომბინაცია, რომელიც მოტივირებულია სამეწარმეო სულის.

დღეს ტერმინს „ინოვაცია“ სხვადასხვა ავტორები ხშირად სხვადასხვა დატვირთვას ანიჭებენ. გამომდინარე კვლევის ობიექტიდან ან საგნიდან, ინოვაცია შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც:


- პროცესი (ტ. ბაიანი, დ. მ. გვიშიანი, ი.პინინგსი, ბ. სანტო, ბ. ტვისი);
- სისტემა (ი. შუმპეტერი);
- ცვლილება (ფ. ვალენტა, ლ. ვოლდაჩევი);
- შედეგი (დ. მ. გოსბერგი, ა. ლევისონი).

ასევე შესაძლებელია ინოვაციების კლასიფიკაცია შემდეგი თვისებების მიხედვით:

- გამოყენების საგანი და სფერო (ინოვაცია-საქონელი, ინოვაცია-პროცესები, ინოვაცია-სერვისები, ინოვაციები-ბაზრები);
- მოთხოვნების დაკმაყოფილების ხასიათი (ინოვაციები, რომლებიც ქმნიან ახალ მოთხოვნებს და ავითარებენ არსებულს);
- ინოვაციებში გამოყენებული ტექნოლოგიური პარადიგმები;
- სასიცოცხლო ციკლის დარგობრივი სტრუქტურა (წარმოქმნის დარგი, დანერგვის დარგი, მოხმარების დარგი) და ა.შ.

ინოვაციური პროცესების კვლევის და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მათი ადგილის შეფასების ძლიერ იმპულსად იქცა ნ. კონდრატევის ნაშრომები, განსაკუთრებით მის მიერ განხილული კონიუნქტურის დიდი ციკლები (გრძელი ტალღები), რომლებიც წარმოიქმნება „თითოეული საბაზისო სიახლისგან და წარმოადგენენ მეორადი, დახვეწილი ნოვაციების სიმრავლეს“. სიახლეს იგი „კუმულაციურ“ ელემენტებს მიაკუთვნებდა, რომლებიც განსაზღვრავს დინამიკას. როგორც შემდგომ გვაჩვენებს ი. ფრისტა და მ. პორტერმა, განვითარების მსგავსი ხასიათი განპირობებულია რეალური, ღია „სოციო-ტექნიკურ სისტემებში“ ადგილის მქონე პროცესების მიერ. კონდრატევის კვლევებმა მოახდინა ამ ციკლების და მათი ხანგრძლივობის შემდგომი შესწავლის ინიცირება.

ი. შუმპეტერმა პირველმა მიუთითა ტექნიკურ ნოვაციაზე, როგორც მაღალი მოგების მიღწევის ეკონომიკურ საშუალებაზე, ჯ. ფონ ნეიმანის ეკონომიკური ზრდის თეორიის საპირისპიროდ, რომელშიც ტექნიკური პროგრესი საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ნეიმანის ანალოგიურად, ზრდის თავისი მოდელი ააგო პარროდმა, მაგრამ, როგორც მოგვიანებით შენიშნა რობერტ სოლოუმ, მან ვერ შეძლო ინოვაციების ეკონომიკურ ზემოქმედებასთან შეტაკებისთვის თავის არიდება. შემდეგ აღმოცენდა კალეცის განვითარების სცენარი, შუმპეტერის კვლევები, რომლებიც ეფუძნებოდა ეკონომიკურ ზრდაზე ტექნიკური ცვლილებების დიდი ზეგავლენის ფაქტის აღიარებას.



დიაგრამა 1. ინოვაციური განვითარების ძირითადი ტალღების პერიოდიზაცია (ი. შუმპეტერის და კ. ფრიდმენის მიხედვით) [3]

მრავალი მეკვლევარის აზრით, ნოვატორული საქმიანობა განიხილება, როგორც ძირითადი ფაქტორი, რომელიც იწვევს ეკონომიკაში ტალღისებრი ხასიათის დინამიურ ცვლილებებს. ინოვაციური განვითარების ძირითადი ტალღების პერიოდიზაცია ი. შუმპეტერის და კ. ფრიდმენის მიხედვით მოყვანილია დიაგრამაზე 1.

ამ და სხვა თეორიების საფუძველზე ვეროპელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ტექნოლოგიური წყობის კონცეფცია. ტექნოლოგიური წყობის ცნება. „წყობის“ ცნება გულისხმობს ნებისმიერი რამის მოწყობას ან დამკვიდრებულ წესს. ტექნოლოგიური წყობა ხასიათდება მის შემადგენლობაში არსებული, კვალიფიციური სამუშაო ძალის საერთო რესურსებზე, საერთო სამეცნიერო-ტექნიკურ რესურსებზე და ა.შ. დაყრდნობილი ხარისხით ერთგვაროვანი რესურსების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ნაკადებით დაკავშირებული საწარმოების ერთიანი ტექნიკური დონით. მეცნიერები გამოყოფენ 5 ტექნოლოგიურ, ან დასავლური ტერმინოლოგიის მიხედვით – „მრეწველობის გრძელი ციკლების“ წყობას. თითოეული ასეთი ციკლი იწყება მაშინ, როდესაც ინოვაციების კომპლექტი შედის მეწარმეების განკარგულებაში. ჩვენი, მე-5 ციკლის დაწყებას უკავშირებენ კომუნიკაციების ახალი საშუალებების, ციფრული ქსელების, კომპიუტერული პროგრამების და გენური ინჟინერიის განვითარებას. თითოეული ციკლის დასაწყისისთვის დამახასიათებელია ეკონომიკის აღმავლობა, მაშინ როდესაც დასასრულისთვის დამახასიათებელია მისი დაღმავლობა (ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს დიდი ამერიკული დეპრესია).

ტექნოლოგიური რევოლუციის თანამედროვე ეტაპზე კომპანიები მისწრაფვიან ინოვაციებში განხორციელებული ნოვატორობის და სიახლეების ხვედრითი წილის ზრდისკენ, რაც საშუალებას აძლევს მათ, გაზარდონ მონოპოლიზმის დონე მოცემულ სფეროში და უკარნახონ მომხმარებლებს და კონკურენტებს საკუთარი პოლიტიკა. საზოგადოების კეთილდღეობა განისაზღვრება არა საწარმოო ფაქტორების მასით, არა ინვესტიციების მოცულობით, არამედ **ინოვაციური საქმიანობის ეფექტურობით**, რაც იძლევა საბოლოო დადებით შედეგს.

ჩვენი აზრით, ინოვაციური საქმიანობა იძლევა უთანხმოებების გადაჭრის საშუალებას, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ თითოეული საგანი (პროცესი, მოვლენა) მოიცავს განვითარების (პოტენციის) ობიექტურ ტენდენციებს. მათი რეალიზება ხორციელდება სოციალური და ეკონომიკური სუბიექტების მიზანმიმართული ინოვაციური საქმიანობის შედეგად.

თვით ინოვაციური საქმიანობა ასევე იწვევს შიდა წინააღმდეგობებს, რადგან ცნობილი ცდომილება მიზნებსა და შედეგებს შორის ინოვაციური საქმიანობის დროს გარდაუვალია, რაც დაკავშირებულია თვითონ ინოვაციებში ობიექტურობის და სუბიექტურობის არსებობასთან. ინოვაცია მუდამ განუყოფელია საბოლოო შედეგში, როგორც ინოვაციური პროცესებში მონაწილე სუბიექტების განსხვავება და გულისხმობს საერთო ფუნქციის რეალიზებას, ანუ მიზანმიმართული საქმიანობის

მეშვეობით არსებული წინააღმდეგობების გადაწყვეტას, რაც თავიდან გვარიდებს წინააღმდეგობებს ან არბილებს მათი გამოქვეყნების სიმძაფრეს.

ინოვაციურ საქმიანობას განიხილავენ ამ სიტყვის ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. სიტყვის ფართო მნიშვნელობით ინოვაციური საქმიანობა წარმოადგენს საზოგადოების სიცოცხლის მომენტს, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი განვითარების ბუნებრივ და ხელოვნურ, სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა ფაქტორებს. სიტყვის ვიწრო („სპეციფიკურად ეკონომიკური“) მნიშვნელობით ინოვაციური საქმიანობა მიმართულია საწარმოო ფაქტორების ურთიერთქმედების ახალი დონის უზრუნველყოფაზე ახალი სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის გამოყენების მეშვეობით. ნებისმიერი ცვლილება სოციალური სუბიექტის ბუნებასთან და საზოგადოებრივ გარემოსთან ურთიერთქმედების მეთოდებში ჩნდება მისი პრაქტიკული (მათ შორის სასულიერო) საქმიანობის შედეგად. ინოვაციური საქმიანობა, რომელიც განიხილება ინოვაციებში კაპიტალური დაბანდების ეკონომიკური პროცესების კონტექსტში, წარმოადგენს საინვესტიციო-ინოვაციურ საქმიანობას.


თანამედროვე საქართველოსთვის ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც აფერხებს ინოვაციურ საქმიანობას, და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, წარმოადგენს ფინანსური ფაქტორი - ინოვაციური პროექტების დაფინანსებისთვის საჭირო სახსრების უკმარისობა და ხელმიუწვდომლობა.

ინოვაციების დაფინანსების ძირითადი წყაროების სახით გამოყოფენ:

- საკუთარი და ნასესხები ფინანსური სახსრები, აქტივების სხვა სახეობები (ძირითადი ფონდები, მიწის ნაკვეთები, სამრეწველო საკუთრება და ა.შ.);
- ასიგნებები ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან;
- უცხოური ინვესტიციები, რომელთა წარდგენა ხდება ფინანსური სახით ან საწესდებო კაპიტალში სხვაგვარი მონაწილეობით;
- დაბრუნებადობის საფუძველზე გაცემული კრედიტები, მათ შორის სახელმწიფო, კომერციული ბანკებისა და უცხოელი ინვესტორების.

საწარმოების მიერ დიდი იმედების დამყარება საკუთარ სახსრებზე ხდება არა იმიტომ, რომ ისინი საკმარისად აქვთ, არამედ სხვა წყაროების სიმწირის ან ხელმიუწვდომლობის გამო. ასე, საკრედიტო სისტემა იშვიათად გამოიყენება ინოვაციების დაფინანსების მიზნით. საქართველოს საბანკო სისტემის უუნარობა, უზრუნველყოს განვითარებადი კომპანიების ადეკვატური დაფინანსება, ხელს უშლის ძირითადი ფონდების განახლებას და ინვესტირებას ახალ ტექნოლოგიებსა და ადამიანურ კაპიტალში. ეს პრობლემა უფრო მძაფრად დგას პატარა და საშუალო მაღალტექნოლოგიური საწარმოების წინაშე.

კაპიტალის ალტერნატიული ბაზრის განვითარება ინოვაციური ინვესტირების ფონდების ბაზაზე, მოგვეცემს ინვესტორების და მოწინავე ტექნოლოგიების შემქმნელების (რომელთაც დღეს არ გააჩნიათ საკმარისი სახსრები მათ განსახორციელებლად), ინტერესების შეთანხმების საშუალებას. **კაპიტალის თანამედროვე ალტერნატიული ბაზრის ერთ-ერთი ელემენტის როლში გამოდის ვენჩურული კაპიტალის ბაზარი.** ვენჩურული პროექტებისთვის დამახასიათებელია დროის ხანგრძლივი პერიოდი საინვესტიციო დანახარჯებსა და მოგების მიღებას შორის (5-10 წელი). ვენჩურული კაპიტალისტების ინვესტიციური აქტიურობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ განვითარების რომელ სტადიაზე იმყოფება პატარა მაღალტექნოლოგიური კომპანია, და, ასევე, ვენჩურული ინვესტიციების განხორციელების პირობებზე ამა თუ იმ სახელმწიფოში. ვენჩურული კაპიტალის გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე ძალზე მნიშვნელოვანია. ვენჩურული კაპიტალის ევროპული ასოციაციის მონაცემების მიხედვით, ვენჩურული საწარმოები ყოველწლიურად ზრდიან სამუშაო ადგილებს 15%-ით, მაშინ როდესაც უმსხვილესი ევროპული საწარმოები მხოლოდ და მხოლოდ 2%-ით (დიაგრამა 2). [1]



დიაგრამა 2. საწარმოს განვითარების ძირითადი მაჩვენებლების საშუალო ყოველწლიური ზრდა

ინოვაციურ საქმიანობაზე დანახარჯების წილი ვენჩურულ საწარმოებში შეადგენს 8,6% გაყიდვების მოცულობიდან შედარებით 1,3%-სა სხვა ევროპულ საწარმოებში.

თუმცა ვენჩურული დაფინანსების ყველაზე დიდ უპირატესობას მეწარმეებისთვის წარმოადგენს ის, რომ ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად ისინი იღებენ საორგანიზაციო, მმართველობით და სხვა მხარდაჭერასაც. ვენჩურული საწარმოების მენეჯერების 80%-ის აზრით, მათი ბიზნესი ვერ იარსებებდა ან, ყოველ შემთხვევაში, ვერ განვითარდებოდა ამდენად ეფექტურად ვენჩურული ინვესტორების დახმარების გარეშე. ვენჩურული ინვესტირების ევროპული ასოციაციის მონაცემების თანახმად, ინვესტიციების მიმღები კომპანიის ტიპური პორტრეტი უნდა გამოიყურებოდეს შემდეგნაირად: ტექნოლოგიებზე ორიენტირებული კომპანია, რომლის არსებობის პერიოდი 5 წელზე ნაკლებია, თანამშრომლების რიცხვი ვარირებს 100-დან 500 ადამიანამდე და ვარაუდობს ინვესტირებიდან „გასვლას“ 3-4 წელიწადში.

მეწარმის მიერ ამა თუ იმ სახის დაფინანსების არჩევა დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, ესენია: დაფინანსების წყაროს ხელმისაწვდომობა, გადასახადი (პროცენტი) დაფინანსებისთვის, მეწარმის პროფესიონალიზმი და ამბიციურობა, დაფინანსების შემადგენლობა (მხოლოდ ფინანსური სახსრები თუ თანმხლები მომსახურებებიც) და ა.შ. ვენჩურულ დაფინანსებას გააჩნია დიდი უპირატესობა დაფინანსების დანარჩენ წყაროებთან შედარებით კომპანიის განვითარების დაწყებით ეტაპებზე, რადგან ფულად სახსრებთან, საორგანიზაციო, მმართველობით და სხვა ტიპის მხარდაჭერასთან ერთად, მეწარმეს შეიძლება შესთავაზონ ინვესტორის პირადი კავშირები, ინფორმაცია ბაზრებისა და ანალოგიური საქონლის შესახებ. კომპანიის განვითარებასთან ერთად, ვენჩურული ინვესტორის მიერ შეთავაზებული ადამიანური კაპიტალის როლი მცირდება და უკვე ვენჩურული დაფინანსების ნაცვლად ხდება სტრატეგიული დაფინანსება.

ამდენად, თანამედროვე საზოგადოების ფორმირების ძირითად მსოფლიო ტენდენციას წარმოადგენს ნედლეულისა და სამრეწველო ეკონომიკიდან ინოვაციურზე გადასვლა, რომელიც ეფუძნება ინტელექტუალურ რესურსებს, სამეცნიერო და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. საქართველოს მთავრობას ბოლო წლების განმავლობაში არაერთხელ გამოუცხადებია ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასვლის შესახებ, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს. სისტემური ინოვაციების გამოჩენა საწარმოო ფაქტორების სტრუქტურაში გამოიწვევს ერთგვარ დისბალანსს უკვე არსებულ სისტემაში და შექმნის ფაქტორების კომბინაციის გადახედვის, მათი ოპტიმალური შეხამების ვარიანტების ძიების საჭიროებას, ხოლო ამან კი შესაძლოა განაპირობოს ახალი ან კომპლექსური ფაქტორების გამოჩენა, რომლებიც შესაფერისი იქნება საბაზრო განვითარების თანამედროვე ეტაპისთვის. ერთ-ერთი ინსტრუმენტის როლში, რომელიც მოგვცემს საშუალებას, უზრუნველყოთ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მდგრადი ტემპები და შევამციროთ სხვაობა ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის მსოფლიოს სხვა წამყვან ქვეყნებთან შედარებით, შეიძლება წარმოვიდგინოთ ვენჩურული დაფინანსება.

დასკვნა

თანამედროვე საზოგადოების ფორმირების ძირითად მსოფლიო ტენდენციას წარმოადგენს გადასვლა ნედლეულისა და ინდუსტრიული ეკონომიკიდან „ახალ ეკონომიკაზე“, რომელსაც ზოგჯერ ასევე „ცოდნის ეკონომიკას“ უწოდებენ (knowledge based economy).

საქართველომ არაერთხელ განაცხადა ჩვენი ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასვლის შესახებ, მაგრამ ამისათვის უბრალო დაანონსება არ მოგვითმის მოსალოდნელ შედეგს.

ტექნოლოგიური რევოლუციის თანამედროვე ეტაპზე კომპანიები მისწრაფვიან ინოვაციებში განხორციელებული ნოვატორობის და სიახლეების სვედრითი წილის ზრდისკენ, რაც საშუალებას აძლევს მათ, გაზარდონ მონოპოლიზმის დონე მოცემულ სფეროში და უკარნახონ მომხმარებლებს და კონკურენტებს საკუთარი პოლიტიკა. საზოგადოების კეთილდღეობა განისაზღვრება არა საწარმოო ფაქტორების მასით, არა ინვესტიციების მოცულობით, არამედ **ინოვაციური საქმიანობის ეფექტურობით**, რაც იძლევა საბოლოო დადებით შედეგს.

თანამედროვე საქართველოსთვის ერთ-ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც აფერხებს ინოვაციურ საქმიანობას, და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, წარმოადგენს ფინანსური ფაქტორი - ინოვაციური პროექტების დაფინანსებისთვის საჭირო სახსრების უკმარისობა და ხელმიუწვდომლობა.

ინოვაციების დაფინანსების ძირითადი წყაროების სახით გამოყოფენ:

- საკუთარი და ნასესხები ფინანსური სახსრები, აქტივების სხვა სახეობები (ძირითადი ფონდები, მიწის ნაკვეთები, სამრეწველო საკუთრება და ა.შ.);

- ასიგნებები ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან;

- უცხოური ინვესტიციები, რომელთა წარდგენა ხდება ფინანსური სახით ან საწესდებო კაპიტალში სხვაგვარი მონაწილეობით;

- დაბრუნებადობის საფუძველზე გაცემული კრედიტები, მათ შორის სახელმწიფო, კომერციული ბანკებისა და უცხოელი ინვესტორების.

თანამედროვე საზოგადოების ფორმირების ძირითად მსოფლიო ტენდენციას წარმოადგენს ნედლეულისა და სამრეწველო ეკონომიკიდან ინოვაციურზე გადასვლა, რომელიც ეფუძნება ინტელექტუალურ რესურსებს, სამეცნიერო და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. საქართველოს მთავრობას ბოლო წლების განმავლობაში არაერთხელ გამოუცხადებია ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასვლის შესახებ, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს. სისტემური ინოვაციების გამოჩენა საწარმოო ფაქტორების სტრუქტურაში ერთგვარ დისბალანსს გამოიწვევს უკვე არსებულ სისტემაში და შექმნის ფაქტორების კომბინაციის გადახედვის, მათი ოპტიმალური შეხამების ვარიანტების ძიების საჭიროებას, ხოლო ამან კი შესაძლოა განაპირობოს ახალი ან კომპლექსური ფაქტორების გამოჩენა, რომლებიც შესაფერისი იქნება საბაზრო განვითარების თანამედროვე ეტაპისთვის. ერთ-ერთი ინსტრუმენტის როლში, რომელიც მოგვცემს საშუალებას, უზრუნველყოთ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მდგრადი ტემპები და შევამციროთ სხვაობა ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის მსოფლიოს სხვა წამყვან ქვეყნებთან შედარებით, შეიძლება წარმოგვიდგეს ვენჩურული დაფინანსება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Макки Д. Вклад венчурного капитала в экономику Великобритании. Общество и экономика, 2001, №1, с.57-58.
2. Хайман Д. Современная микроэкономика: анализ и применение. М.: Прогресс. 1992. Т.2.
3. Kalecki M. Thend and Business Cycles Reconsidered // Economic Journal. 1968. №310
4. <http://knoema.ru/atlas/topics>

*Irine Mamaladze
Alexander Khvedeliani*

THE ROLE OF VENTURE CAPITAL IN THE INNOVATIVE ECONOMY

Summary

The major global trend of modern society formation is the transition from raw materials and industrial economy to the "new economy", sometimes called the "knowledge based economy". The innovative economy is based on intellectual resources, scientific and information technologies.

Georgia has repeatedly stated about the transition to innovative path of our economic development. But the simple announcement will not give us an expected outcome. Discovery of system innovations in the structure of production factors will result in a certain imbalance in the existing system and require the reviewing of factors combinations, searching for their optimal mix, and possibly determine the creation of new and complex factors that are in line with the modern stage of market development.

One of the complex factors that have resulted from synergies of existing factors is a venture capital that, together with innovative direction, considers the enhanced risks of economic systems, instability of economic environment, innovation cycle, lack of knowledge of managerial skills and investment process among entrepreneurs. Its driving force is an innovative character of venture capital that relies on the achievement of science, the rapid development of new technologies and effective management. The countries that are now controlling the process of creating new technologies will control the market of products created using the latest technologies. One of the most important economic outcomes of this process is the probable dominance of leading countries in the world's major markets, with the conscious expulsion from these markets of peripheral countries (including Georgia).

At the modern stage of technological revolution, companies are striving to increase the share of novations implemented in innovations, allowing them to increase the level of monopolism in the given field and dictate to users and competitors their own policies. The wellbeing of the society is determined not by the mass of production factors, not by the volume of investment, but by the efficiency of innovative activity, which gives the final positive result.

In our opinion, innovative activities provide a way to solve disagreements related with the fact that each subject (process, event) includes objective tendencies of development (potential). Their implementation is realized through the objective innovative activities of social and economic subjects.

For the research of innovative processes and for assessing their place in the country's economic development Condratiev's works have become a strong impetus, especially the big cycles (long waves) of the conjuncture discussed by him, which arise from "every basic novelty, and represent a number of secondary sophisticated innovations." The novelty was regarded as "cumulative" elements that define the dynamics. As Frist and M. Porter showed later, a development-like character is due to the processes in real, open "socio-technical systems". Condratiev's studies have initiated further study of these cycles and their duration.

Schumpeter first mentioned technical innovation as the economic means of achieving high profits, contrary to the fundamental economic theory of von Neeman, in which technical progress is not provided at all. Harrod created the model similar to Nieman, but, as later noted by Robert Solow, he was not able to avoid clashes with the economic impact of innovations. Then came the Kaletski development scenario, Shmukler's studies based on the fact that a great impact of technical changes on economic growth was acknowledged.

Venture financing has great advantages over other sources of financing in the initial stages of development of the company, as the entrepreneurs might be offered investors' personal connections, information about markets and similar goods, in addition with cash, organizational, managerial and other types of support. With the development of the company, the role of human capital offered by the venture investor is reduced and instead of venture funding the strategic financing takes place.

Thus, the major global trend of modern society formation is the transition from raw materials and industrial economy to innovative economy, based on intellectual resources, scientific and information technologies. Georgian government in recent years has repeatedly announced about the transition of economic development to innovative way, but the results are not yet to be seen. System innovations appearance in the structure of factors of production will result in an imbalance in the structure of the existing system and creates the necessity to review factors combination, to search an optimal mix of options and this may lead to the appearance of new or complex factors, which will be suitable for the modern stage of development of the market.

*იოსებ მასურაშვილი
ალექსანდრე მიქელაძე*

ტექნოლოგიების ტრანსფერის ხელშეპრულებები და მათი მიზნები საქართველოს ბიზნესში

ანოტაცია. ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულება არ შეიძლება ჩაითვალოს გამონაკლისად, თუ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებიდან რომელიმეს ერთმევა შესაძლებლობა, მოახდინოს პროდუქციის ფასის ფორმირება საკუთარი შეხედულებისამებრ, რაც არ მოიცავს მაქსიმალური ფასის დაწესების ან ფასის რჩევის შემთხვევას არაკონკურენტ ეკონომიკურ აგენტებთან მიმართებით; ასევე ვერ ჩაითვლება გამონაკლისად შემთხვევა, როდესაც კონკურენტი ეკონომიკური აგენტებიდან რომელიმეს ერთმევა კვლევებისა და განვითარების სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შეზღუდვა უზრუნველყოფს ლიცენზირებული ნოუ-ჰაუს დაცვას.

საკვანძო სიტყვები: ტექნოლოგიური ტრანსფერი, ეკონომიკური აგენტები, საქართველოს ბიზნესი

შესავალი

ცოდნის ეკონომიკის ეპოქაში ახალი ცოდნა ეკონომიკური განვითარებისა და წარმატების საფუძველია. საწარმოების, რეგიონებისა და სახელმწიფოების კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად ხდება სამეცნიერო ცოდნის კომერ-

ციალიზაცია და გარდაქმნა პროდუქტებსა და სერვისებში; სამეცნიერო ცოდნის კომერციალიზაცია და ტექნოლოგიების ტრანსფერი დამოკიდებულია ეროვნული და რეგიონული განვითარების ე.წ. სამგანზომილებიან მოდელზე, სადაც სამეცნიერო, სამეწარმეო და სამთავრობო სექტორები ეფექტურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

ეფექტური საინოვაციო პოლიტიკისა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბება საქართველოსთვისაც უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს. ბუნებრივია, ევროკავშირის ზოგადი პოლიტიკა, მსხვილი დონორი ორგანიზაციებისა და ინვესტორების პრიორიტეტები დაუყოვნებლივ აისახა ქვეყნის სტრატეგიულ დოკუმენტებში, თუმცა ამ მიმართულებით ქვეყანაში მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადაიდგა და ახალი ხედვის განხორციელების გზაზე ჯერჯერობით ბევრი გამოწვევა არსებობს.

ინოვაციური კლიმატის გაუმჯობესების პრიორიტეტი დღეისათვის ასახულია ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტში:

- ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში აღნიშნულია კვლევისა და ინოვაციის საკითხების მნიშვნელობა ეკონომიკის მრავალი მიმართულებით (სოფლის მეურნეობა, ენერჯეტიკა, ტრანსპორტი, გარემო, წარმოება და წიაღისეულის მოპოვება, მეთევზეობა და ზღვის პრობლემები).

ხელშეკრულება ითვალისწინებს კვლევისა და ინოვაციისთვის განკუთვნილი ევროკავშირის სახსრების ხელმისაწვდომობას ქართული უნივერსიტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და მცირე საწარმოებისთვის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა Horizon – 2020-ის მეშვეობით. ხელშეკრულება დიდ ყურადღებას აქცევს კვლევითი მომსახურების 7 დონისძიებას, როგორცაა ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, პროდუქციის ლაბორატორიული ტესტირება და სხვა.

- მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში საქართველო – 2020 მოცემულია ქვეთავი „ინოვაცია და ტექნოლოგიები“, სადაც ხაზგასმულია ადამიანური კაპიტალის განვითარების, მცირე და საშუალო ბიზნესის, ფინანსებზე წვდომისა და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების აუცილებლობა. სამთავრობო პროგრამაში დიდი ყურადღება ექცევა შესაბამისი სერვისების, შესაძლებლობებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას, სამართლებრივი, რეგულაციური და ინსტიტუციური ბარიერების აღმოფხვრას.

- მსოფლიო ბანკის დახმარებით ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს საქართველოს საინოვაციო სტრატეგიაზე.

- The Patent Co-operation Treaty (PCT) არის საერთაშორისო ხელშეკრულება 125 წევრ ქვეყანას შორის, რომელსაც ადმინისტრირებას უწევს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია. PCT შესაძლებელს ხდის ინტელექტუალური საკუთრების დაცვას ერთდროულად ბევრ ქვეყანაში ერთი „საერთაშორისო“ საპატენტო განაცხადის რეგისტრაციით, ცალკეულ ეროვნულ და რეგიონულ საპატენტო განაცხადების ნაცვლად.

ინოვაციებისადმი, კვლევის კომერციალიზაციასა და ტექნოლოგიების ტრანსფერისადმი ინტერესის განმაპირობებელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია გარე საერთაშორისო მოთხოვნები, მაგალითად, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, რომელიც საერთაშორისო ბიზნესის სექტორის წარმომადგენლებს და საწარმოებს გარკვეულ სტანდარტებს უწესებს, განსაკუთრებით პროდუქტის უსაფრთხოების საკითხებში.

წარმატებული კომერციალიზაცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პროცესში ჩართული აქტორების ე.წ. სამეწარმეო უნარებზე. ინტერვიუს დროს რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტებისა და ბიზნესის ერთობლივი ხელშეკრულებები ძალიან განსხვავდება იმ ხელშეკრულებებისაგან, რომლებიც ფორმდება დონორებთან.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, იქმნება საჭიროება დეტალური ინფორმაციის მიღების ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ადგენს ჩარჩო-პირობებს სუბიექტებს შორის.

1. ხელშეკრულებების მიმოხილვა ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ

ხელშეკრულებები ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ მოცემულია 2014 წლის 1 სექტემბერს გამოცემული კანონმდებლობით „კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2015 წლის 1 იანვრიდან.

მოცემული კანონმდებლობით, ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულებად განიხილება ორ ეკონომიკურ აგენტს შორის დადებული ისეთი ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე მეორეს გადასცემს ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სალიცენზიო უფლებებს იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა თვითონ აწარმოოს ამ სალიცენზიო უფლებებთან დაკავშირებული პროდუქცია. ამავდროულად, ეს ხელშეკრულება ხელს უწყობს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს, ამასთანავე, ხელს უწყობს მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდას; ხელშეკრულების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ უწესებს შეზღუდვებს, ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას არ აძლევს, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე.

დადგენილება ვრცელდება იმ კორიზონტალურ/ვერტიკალურ ხელშეკრულებებზე, რომელიც გულისხმობს:

1. შეთანხმებას დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტთა შორის;
2. შეთანხმებას ავტორიზაციის სექტორში მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა შორის;
3. ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულებას;
4. სპეციალიზაციის შესახებ ხელშეკრულებას;
5. საერთო კვლევების წარმოების შესახებ ხელშეკრულებას.

ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულება დაკავშირებულია ტექნოლოგიების სალიცენზიო უფლებებთან, რომელიც მოიცავს:

1. პატენტს;
2. რეგისტრირებულ დიზაინს;
3. ტოპოგრაფიებს;
4. ნოუ ჰაუსს.

შეზღუდვები არ ვრცელდება ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებულ ისეთ ვერტიკალურ ხელშეკრულებებზე, რომლებიც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- გარიგების მხარეები წარმოადგენენ დისტრიბუტორებს, რომელთა წლიური ბრუნვა (ურთიერთდაკავშირებულ პირებთან ერთად) ბოლო საფინანსო წლის განმავლობაში არ აღემატება 15 000 000 ლარს;

- ხელშეკრულების მონაწილე ეკონომიკური აგენტები არ არიან კონკურენტი ეკონომიკური აგენტები.

გამონაკლისი ვრცელდება ვერტიკალურ ხელშეკრულებებზე, რომლებიც გულისხმობს არამატერიალურ სიკეთეთა გადაცემას და/ან ამ სიკეთეებით საერთო სარგებლობას.

დაწესებული გამონაკლისით სარგებლობა შეუძლიათ ეკონომიკურ აგენტებს, თუ ხელშეკრულების ერთ მხარეს წარმოადგენს მწარმოებელი, რომელიც ვაჭრობის უფლების დელეგირებას ახდენს ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტზე და ამავდროულად აშკარაა, რომ ეს უკანასკნელი ვაჭრობის უფლების განხორციელებით მოქმედებს მწარმოებლის ინტერესებისათვის. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მინიჭებული უფლებით ვერ ისარგებლებენ ეკონომიკური აგენტები, რომელთა შორის დადებული ხელშეკრულება გულისხმობს:

1. კონკურენციის პირდაპირ ან ირიბ შეზღუდვას დაზუსტებული ვადით, ან დაზუსტებული ვადის შემთხვევაში, 5 წელზე მეტი ვადით; განსაზღვრულ შემთხვევადა ითვლება ასევე, მხარეთა შეთანხმება დუმილზე, როგორც აქცეპტის ფორმაზე 5 წლის შემდეგ ხელშეკრულების უვადოდ გაგრძელებასთან დაკავშირებით.

2. მხარისათვის პირდაპირ ან ირიბ აკრძალვას ხელშეკრულების მოქმედების დასრულების შემდგომ, განახორციელოს გარკვეული საქონლის ან/და მომსახურების დამზადება ან გაყიდვა; გარემოებები არ ჩაითვლება გამონაკლისისადმი მიკუთვნების გამომრიცხავად, თუ ხელშეკრულებით ერთი მხარის მიერ მეორისთვის დაწესებული აკრძალვა აუცილებელია, რათა დაცულ იქნეს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მეორე მხარისთვის ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემული ნოუ-ჰაუს და ამასთანავე, ვრცელდება მაქსიმუმ ერთი წლით ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან ან/და ვრცელდება მხოლოდ იმ საქონელზე ან მომსახურებაზე, რომელიც ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს და რაზეც მიმწოდებელს/მწარმოებელს ექსკლუზიური უფლებამოსილებები გააჩნია ან/და ვრცელდება მხოლოდ იმ უძრავ ქონებაზე, რომელსაც მეორე მხარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის იყენებდა.

დაწესებული აკრძალვები არ ვრცელდება ეკონომიკურ აგენტთა შორის დადებულ ხელშეკრულებებზე ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ.

1. გამონაკლისი წესი კონკრეტული ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს იმ ვადითა და ფარგლებში, რა ვადით და ფარგლებშიც იმოქმედებს ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ის სალიცენზიო უფლება, რომელიც ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს.

2. სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ნოუ-ჰაუს შემთხვევაში, გამონაკლისის წესი მოქმედებს მანამ, სანამ ნოუ-ჰაუს შენარჩუნდება საიდუმლოდ. იმ შემთხვევაში, თუ საიდუმლოება დაირღვა ნოუ-ჰაუს მიმღების მხრიდან, გამონაკლისის წესი მოქმედებს ხელშეკრულების დადების ვადით.

3. დადგენილი გამონაკლისი ვრცელდება ასევე იმ პროდუქტებზეც, რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების საგანს იმ მიზეზით, რომ მათი გადაცემის გარეშე შეუძლებელია სალიცენზიო პირობებისა და სალიცენზიო ხელშეკრულების მიზნის მიღწევა.

ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულება არ შეიძლება ჩაითვალოს გამონაკლისად, თუ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებიდან რომელიმეს ერთმევა შესაძლებლობა, მოახდინოს პროდუქციის ფასის ფორმირება საკუთარი შეხედულებისამებრ, რაც არ მოიცავს მაქსიმალური ფასის დაწესების ან ფასის რჩევის შემთხვევას არაკონკურენტ ეკონომიკურ აგენტებთან.

ტებთან მიმართებით; ასევე ვერ ჩაითვლება გამონაკლისად შემთხვევა, როდესაც კონკურენტი ეკონომიკური აგენტებიდან, რომელიმეს ერთმევა კვლევებისა და განვითარების სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შეზღუდვა უზრუნველყოფს ლიცენზირებული ნოუ-ჰაუს დაცვას.

2. ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის ცნება ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულებებისათვის

ინოვაცია და კრეატიულობა აუცილებელი პირობაა ქვეყნის მდგრადი ზრდისა და განვითარებისათვის, ამასთანავე, კონკურენცია უნდა იყოს ჯანსაღი. 2000 წლიდან მოყოლებული გლობალური ეკონომიკა ყოველწლიურად 3.2%-ით იზრდება, ამ ზრდის მთავარი გასაღები კი ინოვაციებია. ინოვაცია არის გადამწვევტი წყარო კონკურენციის, ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის.

მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული მოხსენების თანახმად, „ინოვაციების ხელშეწყობა საქართველოში“, ქართული კომპანიები, რომლებიც აქტიურად გამოიყენებენ ინოვაციებს საკუთარ მოღვაწეობაში, უფრო სწრაფად ვითარდებიან და 30%-ზე მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან ვიდრე არაინოვაციური კომპანიები. ინოვაციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვის, რადგან იგი ინსტრუმენტია ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, შემოსავლების ზრდისთვის ახალი და ფართო საინვესტიციო შესაძლებლობების წარმოსაჩენად.

ხელშეკრულებები საკუთარი პირობებით ხელს უწყობს სუბიექტებს შორის არსებული ურთიერთობის უკეთ გარკვევაში, რათა აამაღლოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვისა და გამოყენების ეფექტურობა, განსაკუთრებით კი საფინანსო და ბიზნესსექტორში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა მათი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და მეწარმეების მიერ ინოვაციური პროექტებისა და დამწვები ბიზნესის დაფინანსების წასახალისებლად.

ხელშეკრულების დადების დროს აუცილებელია შემდეგი ფაქტორის გათვალისწინება: თუ ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ კონკურენტი ეკონომიკური აგენტები, რომლებიც არ ზღუდავენ კონკურენციას შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილზე, ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი განისაზღვრება შესაბამისი ბაზრის 20%-ით ხელშეკრულების მონაწილე ეკონომიკური აგენტებისათვის ერთობლივად. ამასთანავე, თუ ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ არაკონკურენტი ეკონომიკური აგენტები, ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი განისაზღვრება შესაბამისი ბაზრის 30%-ით ხელშეკრულების მონაწილე თითოეული აგენტისთვის. ეკონომიკური აგენტის წილი შესაბამის ბაზარზე ითვლება უკანასკნელი საფინანსო წლის მონაცემებით.

ხელშეკრულებები, თავის მხრივ, არ ზღუდავენ მხარეებს, შექმნან ან/და შეინარჩუნონ არსებული სახელმწიფო მონოპოლიები, სახელმწიფო საწარმოები ან მიაჩნონ საწარმოს სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებები ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

უცხოური ბაზრის სტანდარტებთან შესაბამისი ქართული კანონმდებლობის აღსრულება საშუალებას მისცემს საქართველოს, ჩამოაყალიბოს თავისუფალი, კონკურენტული და განვითარებული ქვეყნების მოთხოვნებთან თავსებადი ბაზარი.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ზემოთ მოცემული ინფორმაციიდან ვნახეთ, 21-ე საუკუნეში ცოდნა ყველა სფეროში წარმოადგენს წარმატებისა და ინოვაციების საწინდარს, განსაკუთრებით ეკონომიკაში, რომელზეც ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული.

მსგავსი პოლიტიკა საქართველოს შემთხვევაშიც უადრესად აქტუალურია, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კი პრიორიტეტს წარმოადგენს და ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტში არის ასახული ინოვაციების, ტექნოლოგიების, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, საინვესტიციო კლიმატის, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების, რეგულაციური და ინსტიტუციური ბარიერების აღმოფხვრისა და კვლევების საკითხების მნიშვნელობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №526 დადგენილება, „კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“.
2. გოგოძე ი. (რედ). (2014). ევროკავშირის რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა და აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა.
3. OECD (2009). “Regional Concentration of Patents”, in OECD Regions at a Glance 2009, OECD.
4. World Economic Forum. (2014) The Global Competitiveness Report 2014–2015.

5. The World Bank. (2015). Georgia National Innovation Ecosystem. Project Information document (PID). Concept stage.
6. The World Bank. (2014). Georgia Public Expenditure Review: Strategic Issues and Reform Agenda. Vol. 1.

*Ioseb Masurashvili
Aleksandre Mikeladze*

TECHNOLOGY TRANSFER AGREEMENTS AND THEIR GOALS IN INTERNATIONAL BUSINESS Summary

Technology transfer agreement can not be considered as an exception, if any one of competing economic agents is deprived of the possibility, to form the price of the product by their own discretion, which does not include the case of imposition of the maximum price or advice of the price, with respect of economic agents; can not also be considered as an exceptional case, when any competing economic agents has no the possibility of conducting research and development work, except for the cases when such restriction provides the protection of licensed know-how

მედეა მელაშვილი

ჯანდაცვის სფეროში ინოვაციური პროექტების დანერგვის აუცილებლობა

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ჯანდაცვა, როგორც მომსახურების სფეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი და გაანალიზებულია მისი ორგანიზების სამი ძირითადი ფორმა. ასევე გაანალიზებულია საქართველოში ჯანდაცვის სფეროში არსებული მდგომარეობა ბოლო წლების განმავლობაში, აქ მოქმედი ჯანდაცვის პროგრამების დადებითი შედეგები და პრობლემები.

საქართველოში ჯანდაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით და მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, ავტორს შემოთავაზებული აქვს დარგში ახალი ინოვაციური მეთოდის „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის“ დანერგვა.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვა, სოციალური პროგრამები, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამები, მომსახურების სფერო, ინოვაცია, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა.

ჯანდაცვა არის მომსახურების სფეროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი დარგი, რომელიც მუდამ უნდა იყოს სახელმწიფოს პირველმნიშვნელოვანი ინტერესების რიგში. იგი წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო დონისძიებების სისტემას, რომლის მიზანია ცალკეული ადამიანის და საერთოდ მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და მისი დონის ამაღლება. ეს არის უმსხვილესი სოციალური ინსტიტუტი, რომელიც მოიცავს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ამოცანებს: ჯანმრთელობის დაცვა, გაუმჯობესება, ადამიანებისათვის სამედიცინო და სოციალური დახმარების გაწევა, დაავადებათა რაოდენობის შემცირება, პროფილაქტიკა, სხვადასხვა ეპიდემიებთან ბრძოლა, ცხოვრების ხარისხის ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა და სხვა.

ჯანდაცვა, როგორც მომსახურების დარგი, აერთიანებს მომსახურებათა მრავალ არსებულ სახეობას და მოიცავს: სამედიცინო მომსახურებათა, ფარმაცევტულ, სანიტარულ და ჰიგიენის საშუალებების, მეურნალობის მეთოდების, სამედიცინო ტექნიკის, სამედიცინო ტექნოლოგიების, სამედიცინო დაზღვევის, სამეცნიერო-სამედიცინო იდეების და სხვათა ერთობლიობას. განვითარებული ქვეყნების ჯანდაცვის სფეროს უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს ზრუნვა იმაზე, რომ ადამიანები არ გახდნენ ავად. ამ ამოცანის გადასაწყვეტად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის დაცვის პრევენციული ზომების მიღება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარება, სწორი კვებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ინფორმაციის აქტიური გავრცელება.

რადგანაც მოსახლეობის ჯანმრთელობა ყველაზე მეტად ფასეული ეკონომიკური რესურსია და ვინაიდან მისი დაცვა სახელმწიფოს უპირველეს ამოცანას, სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს, ამიტომ ჯანდაცვის სისტემის დაფინანსება სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული უნდა იყოს. მოქალაქეები გარანტირებული უნდა იყვნენ საჭირო სამედიცინო მომსახურებით, ამ დარგში მოქალაქეების და სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, საჭიროების შემთხვევაში ისინი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სოციალური დახმარებებით, იღებდნენ პროფილაქტიკურ მომსახურებას დაავადებებისაგან დასაცავად და სხვ.

თანამედროვე პირობებში თითქმის ყველა მოწინავე ქვეყნის ჯანდაცვის სისტემები ერთნაირ პრობლემებს აწყდება: დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიება, სამედიცინო დახმარების ხარისხის ამაღლება და მისი ორგანიზების უფრო ეფექტური და ინოვაციური ფორმების დანერგვა და სხვ. რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანა ამ პრობლემის გადაჭრას ჯანდაცვის საკუთარი მოდელიდან

გამომდინარე უდგება. დღეისათვის გამოყოფენ ჯანდაცვის დარგის მოწყობის სამ სრულიად განსხვავებულ ფორმას:

1. სახელმწიფო სისტემა (დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, იტალია, შვეცია, პორტუგალია, ნორვეგია და სხვ.);

2. სადაზღვევო სისტემა (გერმანია, საფრანგეთი, პოლანდია, ავსტრია, ბელგია, შვეიცარია, იაპონია და სხვ.);

3. კერძო (ფასიანი) სისტემა (აშშ).

სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო სისტემის მქონე ქვეყანათა შორის ყველაზე ნათელი მაგალითი დიდი ბრიტანეთია. აქ ჯანდაცვის დაფინანსების ძირითად წყაროს სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს. სახელმწიფო პრაქტიკულად სრულად მოიცავს მთელი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას. წამყვან როლს თამაშობს სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულებები. სამედიცინო მომსახურებას მაქსიმალურად უზრუნველყოფს ჯანდაცვის ეროვნული სამსახური (NHS), რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს ექვემდებარება. იგი უზრუნველყოფს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას, მედიკამენტებით მომარაგებას სტაციონარული მკურნალობის დროს და ა.შ. ინგლისში, რა თქმა უნდა, კერძო სამედიცინო სექტორიც არსებობს, მაგრამ მისი მომსახურებით მოსახლეობის მხოლოდ 10% სარგებლობს. თვითონ დარგის დაფინანსების 90% მოდის ბიუჯეტზე. ამდგარი სისტემის დადებითი მხარე ისაა, რომ სამედიცინო მომსახურება აუცილებლობის შემთხვევაში უფასოდ ხორციელდება და ხელმისაწვდომია ყველასათვის. უარყოფითი კი ისაა, რომ ადგილი აქვს უხარმაზარ რიგებს ე.წ. ოჯახის ექიმებთან, ასევე წვადლებით მოპოვებული ჰოსპიტალიზაციის დრო და პაკეტიც ძალიან შეზღუდულია. ამის მიუხედავად, დღეისათვის დიდი ბრიტანეთი სწორედ ამ სისტემას იყენებს და იგი მეტად წარმატებულად ითვლება.

ბევრ ქვეყანაში გავრცელებულია სამედიცინო მომსახურების სადაზღვევო სისტემა. მის ავტორად ბისმარკი ითვლება. მისი ინიციატივით XIX საუკუნის მიწურულს გერმანიაში იქმნებოდა სოციალური სადაზღვევო ფონდები, საიდანაც ფინანსდებოდა მუშების (რომლებიც იმ დროისათვის პოტენციურ სამხედრო მოსამსახურეებად ითვლებოდნენ) მკურნალობა, გაიცემოდა დახმარებები უმუშევრობისათვის, პენსიები და ა.შ. ამ სისტემის მქონე ქვეყნებში ჯანდაცვის ბიუჯეტი იქმნება არა გადასახადების, არამედ სადაზღვევო შენატანების ხარჯზე, რომლებიც შეაქვთ ფონდში თვითონ დასაქმებულებს და ასევე მათ დამპირაველებს. ეს სისტემაც ხელმისაწვდომია მთელი მოსახლეობისათვის. ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო ითვლება სამედიცინო მომსახურების განხორციელების გარანტად.

როგორც აღვნიშნეთ, არსებობს ასევე სამედიცინო მომსახურების კერძო ანუ ფასიანი მოდელი. ეს ფორმა ითვალისწინებს კერძო სამედიცინო პრაქტიკის არსებობას, მომსახურების მიღება შეიძლება მხოლოდ პაციენტის ხარჯზე. ეს ფორმა განვითარებულია აშშ-ში. მისი ძირითადი ნიშანია სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო სისტემის არარსებობა. ეს სისტემა ეკონომიკურად ყველაზე მეტად ეფექტურად ითვლება, რადგანაც აძლიერებს კონკურენციას შიდა სამედიცინო ბაზარზე. აქ აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მისი არსებობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს კარგად განვითარებული ფართო სამედიცინო ქსელის არსებობა, მოსახლეობის მაღალი გადახდისუნარიანობა. თუმცა ამ შემთხვევაში სრულიად გამორიცხულია სამედიცინო მომსახურების სოციალური მხარე: მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი (ინვალიდები, ქრონიკული ავადმყოფები და სხვ.) რჩება სამედიცინო მომსახურების გარეშე, ან, უკეთეს შემთხვევაში, ძალიან დაბალკვალიფიციური მკურნალობის ამარა.

ჩვენს ქვეყანაში დღეისათვის ფუნქციონირებს ე.წ. სადაზღვევო სისტემა. საქართველოში 2013 წლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა რომლის მონიტორინგს ახორციელებდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ფრიდრიხ ებერტის ფონდი“-ს. ამ ფონდის მონაცემებით, 2012 წელს სამედიცინო მომსახურებაზე ე.წ. „ჯიბიდან გადახდების“ წილი დაახლოებით 79%-ს შეადგენდა. დღეისათვის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული, სტაციონარული, ქირურგიული, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა და მშობიარობის მაქსიმალური დაფარვა. ჩატარებული კვლევის თანახმად, 2014 წელს გამოკითხულ ბენეფიციართა 80.3% კმაყოფილი იყო აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ამბულატორიული, ხოლო 96.4% – ჰოსპიტალური სერვისით.

ოფიციალური ინფორმაციით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში 2 წელიწადში 2 882 238 მოქალაქე დაეხმარა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამაზე, ჯამში, 358 166 527 ლარი დაიხარჯა.

საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების 100% უზრუნველყოფილია სამედიცინო დაზღვევით, მაგრამ, რა თქმა უნდა, არის პრობლემები: ბენეფიციართა დაბალი ინფორმირებულობა, პროფილაქტიკური სერვისის გაუთვალისწინებლობა, მედიკამენტების მაღალი ფასი – ეს არის სამი ძირითადი ხარვეზი, რაც საქართველოში ჯანდაცვის პროგრამების კიდევ უფრო წარმატებით განხორციელებას უშლის ხელს, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „სოცკოდექსის“ მიერ 2014 წელს განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა. ბოლო პერიოდის მდგომარეობით, ჯანდაცვის დანახ-

არჯებიდან ძალიან მაღალია მედიკამენტებზე დახარჯული თანხა. ზოგი კვლევის მიხედვით, ეს არის 40%, ზოგი კვლევით კი – 60%, რაც წარმოუდგენლად მაღალია. სასურველია, რომ იგი მკურნალობის ხარჯების 1/3-ზე მეტი არ იყოს.

საქართველოს ბიუჯეტში ჯანდაცვის სფეროსათვის გამოყოფილი თანხები, რომლებიც აქ განხორციელებული პროგრამების დაფინანსებას მოხმარდა, 2012-2016 წლებში ასე გამოიყურება (მთელი ბიუჯეტის %): 2012 – 1 მლრდ 792 მლნ – 28.52%; 2013 – 2 მლრდ 369 მლნ – 34.37%; 2014 – 2 მლრდ 952 მლნ – 36.25%; 2015 – 3 მლრდ 445 მლნ – 39.08%; 2016 – 4 მლრდ 347 მლნ – 49.08%.

ამ პერიოდში ჯანდაცვის სფეროში საერთოდ მოქმედებდა 8 პროგრამა, მაგრამ ამათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შემდეგი ორი:

I. „სოციალური დაცვა და პენსია“ - 2012-2016 წლებში დახარჯულია (ჯანდაცვის ბიუჯეტის %):

2012 – 1 მლრდ 359 მლნ – 75.86%; 2013 – 1 მლრდ 652 მლნ – 69.74%; 2014 – 2 მლრდ 221 მლნ – 75.27%; 2015 – 2 მლრდ 430 მლნ – 70.54%; 2016 – 2 მლრდ 759 მლნ – 63.47%.

II. პროგრამისათვის „ჯანდაცვა“ - 2012-2016 წლებში დახარჯულია (ჯანდაცვის ბიუჯეტის %):

2012 – 357.6 მლნ – 19.95%; 2013 – 633.7 მლნ – 26.75%; 2014 – 633.4 მლნ – 21.46%; 2015 – 905.8 მლნ – 26.29%; 2016 – 1 მლრდ 470 მლნ – 33.8%.

2017 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ქვეყანაში პრიორიტეტულად რჩება ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის პროგრამის დაფინანსება. ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 3 მლრდ 330 მლნ ლარს. აღნიშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია: სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის – 2 413.0 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისათვის – 831.0 მლნ ლარი.

ჩვენ მიერ მოყვანილი ციფრებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში ბოლო პერიოდში, წლიდან წლამდე, ადგილი აქვს როგორც მთლიანად ჯანდაცვის სფეროს, ასევე, რაც განსაკუთრებულად საყურადღებოა, ჯანდაცვის სფეროში მოქმედი პროგრამების დაფინანსების ზრდას. თუმცა ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საკმარისი არ არის. აუცილებლად უნდა მოიძებნოს გზები ამ დარგში კიდევ უფრო ფართო პროგრამების ამოქმედებისათვის და ამ მიზნით დაფინანსების მნიშვნელოვნად გაზრდისათვის. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა არ არის დამახასიათებელი მხოლოდ საქართველოსათვის. ჩვენზე ეკონომიკურად შედარებით უკეთ განვითარებულ ქვეყნებშიც იგი ერთ-ერთ ძნელად გადასატარებელ პრობლემად რჩება. ჩვენ მიერ ჯანდაცვის სფეროს ორგანიზებაში ზემოთ აღწერილი არც ერთი მეთოდი არ არის უნაკლო.

ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს, შექმნას რაღაც ჰიბრიდული მოდელები, გამოიყენოს არსებული სისტემების გარკვეული ელემენტები. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ვერ ხერხდება იდეალური შედეგების მიღწევა. ყველა მოდელი ქმნის პირობებს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის საერთოდ სამედიცინო მომსახურების ან კვალიფიციური მომსახურების გარეშე დატოვებისათვის, თითქმის ყველგან, სამედიცინო დაზღვევის არსებობაც კი სრულებითაც არ ნიშნავს სრული სამედიცინო მომსახურების მიღებას, რადგან დაზღვევის პირობებით იგი „დოზირებულია“, ანუ ადამიანს ხშირად დიდხანს უხდება ლოდინი მკურნალობის კურსის ჩატარებისათვის და ა.შ. სწორედ ამიტომ თანამედროვე მსოფლიოში ფართოდ ინერგება ჯანდაცვის სისტემის ეფექტურად ფუნქციონირების სხვადასხვა ინოვაციური მექანიზმი. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება ჯანდაცვის სექტორში „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის“ მოდელის მსოფლიო გამოცდილება.

ჯანდაცვაში სახელმწიფოს და კერძო ბიზნესის პარტნიორობა არის მათი თანამშრომლობა ჯანდაცვის განვითარების პრიორიტეტული ამოცანების განსახორციელებლად, სარგებლების, ხარჯების და რისკების ერთმანეთს შორის განაწილების მეშვეობით, გრძელვადიანი და, რაც მთავარია, ნებაყოფლობითი პრინციპებისა და ჯანდაცვის სისტემაში არსებული არასაკმარისი დაფინანსების გათვალისწინებით. „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის“ მოდელის გამოყენება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი მექანიზმია. მსოფლიოში არსებული გამოცდილებით, „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის“ ახალი ინოვაციური მოდელის დანერგვა საშუალებას იძლევა, მოხდეს დანახარჯების ოპტიმიზაცია, სამედიცინო ბაზრის სისტემატიზაცია და იგი განვითარდეს რეალური საჭიროებების გათვალისწინებით. ასევე, მნიშვნელოვანია „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის“ მოდელის მეშვეობით ჯანდაცვის არსებული ობიექტების რეკონსტრუქციის ინვესტირება, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ახალი კლინიკების ქსელის შექმნა, მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვა, სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ამაღლება და სხვ.

„სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის“ მოდელის ინოვაციურობა, რაც საბოლოოდ მის ეფექტურობას განსაზღვრავს, მის ძირითად მახასიათებლებში გამოიხატება. ესენია:

- სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების სარგებლების, რესურსების, რისკების, პასუხისმგებლობის ერთმანეთს შორის განაწილება;

- სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტა სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესს შორის ურთიერთთანამშრომლობით;

- სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესს შორის თანამშრომლობის გრძელვადიანი ხასიათი;
- სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესს შორის თანამშრომლობის სამართლებრივად გამყარება;
- პარტნიორულ თანამშრომლობაში ნებაყოფლობითი მონაწილეობა;
- კერძო ბიზნესის მიერ შესრულებულ სამუშაოზე ხარისხის კონტროლის მექანიზმების არსებობა.

აღნიშნული მოდელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი დაბალშემოსავლიანი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, სადაც სახეზეა ჯანდაცვის სექტორის არასაკმარისი დაფინანსება და სადაც სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების ეკონომიკური ეფექტიანობა უმთავრესად ძალიან დაბალია.

საქართველოში „სახელმწიფო-კერძო პარტნიორული“ მოდელის ჯანდაცვის სექტორში დანერგვის უმთავრესი პრობლემა დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ეს მეთოდი მოწინავე ქვეყნებისთვისაც ახალია და ამიტომ ჯერ კიდევ არსებობს მისი დანერგვის და ამ დანერგვის შედეგად მისი ეფექტურობის და შესაძლო სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი შედეგების შეფასების სათანადო გამოცდილება. თუმცა, მიუხედავად ამისა, უკვე ნათლად ჩანს, აღნიშნული მეთოდი მეტად ეფექტურია სწორედ ისეთი ქვეყნებისათვის, როგორც საქართველოა, სადაც ჯანდაცვის სფეროში საკმაოდ შეზღუდული საბიუჯეტო რესურსები არსებობს, ადამიანებს კი აუცილებლად სჭირდებათ, დროულად მიიღონ საჭირო ხარისხიანი და სანდო სამედიცინო მომსახურება. ამიტომ საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაციის, სამედიცინო მომსახურების ეფექტიანობის ამაღლების და ამ საქმეში კერძო ბიზნესის წარმატებით ჩართვის მიზნით, ყველაზე ეფექტური გზა სწორედ „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის“ ინოვაციური მოდელის დანერგვაა, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის როგორც სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსურ ხელმისაწვდომობას, ასევე, რა თქმა უნდა, ხარისხსაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ბურდული ვ. – საქართველოს ეროვნული ინოვაციური სისტემის თანამედროვე მდგომარეობა და მისი ფორმირების პრიორიტეტები. საერთაშორისო უ „ეკონომისტი“ ტ. XII, 2017(1).
2. http://ru.theglobaleconomy.com/Georgia/Health_spending_as_percent_of_GDP/
3. http://gov.ge/files/53185_53185_636375_mtavrobis_programa_27.12_.15.pdf
4. <http://news.ge/ge/news/story/35175-akhali-samtavrobo-programa> ახალი სამთავრობო პროგრამა.
5. <http://www.georgianpolitics.com> ბიოსამედიცინო მეცნიერებისა და ჯანმრთელობის კვლევების როლი ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში
6. <http://www.ipress.ge/new/40158-sergo-chikhladzem->
7. <http://cardio.ge/new.php?id=20> სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელი – ჯანდაცვის ინოვაციური მექანიზმი.
8. <https://heconomic.wordpress.com/2013/07/28/strategy/> საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2011-2015 წწ. სახელმწიფო სტრატეგია.
9. <http://cyberleninka.ru/article/n/innovatsionnoe-razvitie-zdravoohraneniya> E. Ф. Бердникова ИННОВАЦИОННОЕ РАЗВИТИЕ ЗДРАВООХРАНЕНИЯ.
10. <http://bibliofond.ru/view.aspx?id=831308>.

Medea Melashvili

HEALTHCARE INNOVATIVE PROJECTS THE NECESSITY OF INTRODUCTION

Summary

Health Care is one of the most important areas in the field of service that should always remain in the forefront of the state's primary interests. Because the health of the population is the most valuable economic resource and since its defense is the primary task and the basis of state policy, the health care system funding should be a priority for the state. Today, three different forms of arrangement of health care sector are allocated:

1. State system (Great Britain, Greece, Denmark, Ireland, Italy, Sweden, Portugal, Norway and others);
2. Insurance system (Germany, France, Holland, Austria, Belgium, Switzerland, Japan and others);
3. Private (Paid) System (USA).

In our country today is functioning so-called Insurance system. Since 2013, universal health care program has been launched in Georgia. According to the official information, 2 882 238 citizens were insured within 2 years of the universal healthcare program, and 358 166 527 GEL was allocated from the state budget.

Various innovative mechanisms for the efficient functioning of the health system are widely introduced in the modern world. In this regard, it is particularly interesting to see the world experience of the "state-private partnership" model in the healthcare sector.

In healthcare the state and private business partnership is their cooperation in implementing priority targets for healthcare development, through the distribution of benefits, costs and risks between each other with regard to long-term and most importantly, voluntary principles and inadequate funding in the health care system.

This model is especially important for a low-income country like Georgia where there is insufficient funding for the health sector and where the economic efficiency of state medical institutions is mainly low.

იზა ნათელაური

**სოციალური ინოვაციები ევროკავშირის ძველმახში:
ბამოცლილება და საბარეო ეკონომიკური ასემატემა**

ანოტაცია. წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ინოვაციურ პროექტებს ჯანდაცვაში, დასაქმებაში, განათლებაში, გარემოს დაცვაში, ანუ სოციალურ ინოვაციებს, ევროკავშირის ქვეყნების (გერმანია, დანია, საბერძნეთი და ა.შ.) მაგალითზე. აქცენტირებულია როგორც ლოკალური-ინდივიდუალური, ისე გლობალური საზოგადოებრივი სოციალური ნოვაციები და ინოვაციები. გლობალიზაციის ფონზე გაანალიზებულია საგარეო ეკონომიკური ფაქტორის როლი სოციალური ინოვაციების გააქტიურების საქმეში.

საკვანძო სიტყვები: სოციალური ინოვაციები, საგარეო ეკონომიკური ფაქტორის, გლობალიზაცია

სოციალურ ინოვაციებს განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება ინოვაციური სისტემების ერთობლიობაში. ეს განსაკუთრებულობა განპირობებულია იმით, რომ, ერთი მხრივ, სოციალური სფერო მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს: ყოფას, შრომას, ჯანდაცვას, განათლებას და ა.შ. და მეორე მხრივ, სოციალური პრობლემები ერთნაირად ეხება ყველას – ცალკეულ პიროვნებებს, ოჯახებს, ორგანიზაციებს, თვითმმართველობებს, ქალაქებსა და სოფლებს, ქვეყნებს, რეგიონებს და მთელ პლანეტას.

სოციალური ინოვაციები – სოციალური პრობლემების ახალი, შემოქმედებითი და ორიგინალური გადაწყვეტა, ხორციელდება უპირატესად ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:

1. დასაქმება, რომელთანაც დაკავშირებულია შემოსავლები და მოსახლეობის ცხოვრების დონე;

2. ჯანდაცვა, დემოგრაფია;

3. სოციალური დაცვა და საზოგადოებრივი უსაფრთხოება;

4. განათლება, კულტურა და დასვენება;

5. გარემოს დაცვა [1, 2].

განასხვავებენ სოციალურ ნოვაციებსა და სოციალურ ინოვაციებს [3]. სოციალური ნოვაცია არის ორიგინალური სიახლე, რომელიც ჯერ დანერგილი არ არის; სოციალური ინოვაცია კი უკვე დანერგილი ორიგინალური სიახლეა. სოციალური ნოვაციები და ინოვაციები შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან საზოგადოებრივი, ლოკალური ან გლობალური.

ლოკალური-ინდივიდუალური ინოვაციების უამრავი მაგალითია ცნობილი. მათგან ყველაზე პოპულარულია შემდეგი [წყარო: ინტერნეტბიბლიოთეკა]:

1. „სკოლის ბაბუები“-შევეციის მაგალითი.

შევეციაში 50–60 წლის ასაკის 1000–ზე მეტმა უმუშევარმა მამაკაცმა გადაწყვიტა სკოლაში სიარული არა როგორც მასწავლებელმა, არამედ როგორც სკოლის ბაბუებმა. სკოლის ბაბუები ესმარებოდნენ როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს სკოლაში წარმოშობილი კონფლიქტების აღმოფხვრაში.

ინიციატივა დაიბადა 1996 წელს შევეციის ერთ-ერთ პატარა ქალაქში. ამჟამად ფუნქციონირებს 10 რეგიონული ოფისი.

სკოლის ბაბუები თვლიან, რომ მათი წარმატების საფუძველი გახდა მასწავლებლების, დირექტორებისა და დასაქმების ცენტრის მხარდაჭერა. ბაბუებმა, ამ ასაკოვანმა ადამიანებმა, თავი იგრძნეს, როგორც საზოგადოებრივად საჭირო პიროვნებებმა. მათი ნაწილი სკოლებში დასაქმდა, სკოლაში კი შეიქმნა უკეთესი პირობები.

2. „ახალგაზრდული მოძრაობა“

2009 წელს რიგის ერთ-ერთ რაიონში, რომელიც იმ დროს, კრიმინალურ რაიონად ითვლებოდა შეიქმნა ახალგაზრდული მოძრაობა. ამჟამად ეს რაიონი ცნობილია თავისი სპორტული ღონისძიებებითა და მიღწევებით.

სპორტს არ სჭირდება დიდი ფინანსური რესურსები, რამაც თავის მხრივ განაპირობა პროექტის წარმატება.

პროექტს საფუძველად დაედო ჯანსაღი ცხოვრების წესი, უარი ნარკოტიკებსა და ალკოჰოლს. მოძრაობა მთელი ლატვიის მასშტაბით ატარებს ქუჩის შეჯიბრებებს, ფესტივალებსა და კონცერ-

ტებს. შეჯიბრებები ეწყობა გუნდური პრინციპით. თითოეული გუნდის დევიზია გახდეს საუკეთესო. გარდა ამისა, მოძრაობა დაკავებულია ქველმოქმედებითაც: გაჭირვებულებისთვის აგროვებს ტანსაცმელსა და სხვა საჭირო ნივთებს.

მოძრაობა საუკეთესო მონაწილეებს აგზავნის ნიუ-იორკში, სადაც მათთვის იღებდნენ კლიპებს.

3. “შესაძლებელი მისია“

2010 წელს ლატვიაში სტარტი აიღო პროგრამამ სახელწოდებით: “შესაძლებელი მისია“. პროგრამა იყო სახელმწიფო მასშტაბის და მიზნად ისახავდა სკოლებში პოზიტიური განწყობილების შექმნასა და უკეთესად სწავლის მოტივაციის ამაღლებას. წარმატებულ კურსდამთავრებულებში პროგრამა ასტიმულირებდა სურვილს, გამხდარიყვნენ მასწავლებლები.

პროგრამის დირექტორს მიაჩნდა, რომ დაუშვებელია მასწავლებელს ჰქონდეს განცდა თითქოსადა პროფესიის არჩევისას შეცდა ან ვერ აირჩია პროფესია სწორად და ა.შ.

პროგრამას თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ლატვიაში განათლების გაუმჯობესებაში.

4. „გემრიელი შეფუთვა“

შესაფუთი მასალების ეკონომიის მიზნით შეიქმნა რძის ნაღებისაგან ფირი (მასალა), რომელიც 500–ჯერ უკეთესად ინახავს პროდუქტებს და, ამასთან ერთად, იჭმევა.

5. „რობოტი ადვოკატი“

ერთმა სტუდენტმა შექმნა რობოტი ადვოკატი იმ გაჭირვებული ადამიანებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ რეალური ადვოკატის დაქირავება.

6. „საცხოვრებელი უსახლკაროებისთვის“

ეს არის კარავი, რომელიც იცავს მობინადრეებს ნებისმიერ ამინდში. საცხოვრისის ერთი ნაწილი დაფარულია მასალით, რომელიც ინარჩუნებს სიგრილეს, მეორე ნაწილი კი დაფარულია მასალით, რომელიც ინარჩუნებს სითბოს.

7. „დეტექტორი სმენადაქვეითებულთათვის“

ხელსაწყო იწყებს ციმციმს და ვიბრაციას მაშინ, როცა ამუშავდება საშიშროების მაუწყებელი სიგნალიზაცია.

8. „ავტობუსი პორტალი“

გამოიგონეს ჩინეთში, გზებზე ავტომობილების შესამცირებლად. შეიქმნა ელექტრონული ავტობუსი, რომელიც მოძრაობს რელსებზე. რელსების ქვეშ მოძრაობს ჩვეულებრივი ტრანსპორტი. ელექტრონულ ავტობუსში ეტევა 1200 მგზავრი და ჯდება იაფი. უნდა ითქვას ისიც, რომ ასეთი ტრანსპორტი ჯერჯერობით ნაკლებ მოთხოვნადია.

9. „რობოტი – კოეზი“

გამოიყენება ავადმყოფი პაციენტებისთვის ცერებრალური დამბლით, პარკინსონის დაავადებით და სხვ., რომლებსაც უჭირთ დამოუკიდებელი კვება.

10. „ლამის ბუთა ასოციაცია“

„ლამის ბუთა ასოციაცია“ შეიქმნა 1998 წელს დანიაში. მასში მონაწილეობენ მოქალაქეები ნებაყოფლობით საფუძველზე. თანამშრომლობენ ადგილობრივ მთავრობასთან. მათი საქმიანობის სეგმენტებია: განათლება, პოლიცია, საქმიანი წრეები.

ასოციაციის მიზანია ძალადობისა და ვანდალიზმის აღმოფხვრა ახალგაზრდობაში; ახალგაზრდობის პასუხისმგებლობის ამაღლება.

თავიანთი მისიის განსახორციელებლად ასოციაციის წევრები გადიან სპეციალურ კურსს ეთიკაში, სწავლობენ სოციალურ სამსახურებთან თანამშრომლობას, ეცნობიან პოლიციის გამოცდილებას დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით.

ასოციაციას არ აქვს ოფიციალური სტატუსი. ქუჩებში ასოციაციის წევრები არ ერევიან „გარჩევებში“. ისინი მზად არიან დახმარება აღმოუჩინონ დაზარალებულებს. მათ შეუძლიათ გამოიძახონ მოზარდების მშობლები; თუ საჭირო იქნება შეუძლიათ პოლიციისა და სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახებაც.

ასოციაციის წყალობით ქუჩებში დანაშაულებების რიცხვი შემცირდა ორჯერ.

11. „ქუჩაში წესრიგის უზრუნველყოფა“

2007 წელს გაიხსნა ვებპორტალი. მასზე ადგილობრივი მცხოვრებლები ცდილობენ ადგილობრივი მთავრობის ინფორმირებას გადავსებულ ნაგვის ურნებზე, დაბინძურებულ ვიტრინებზე მაღაზიებში და სხვ. მსგავსი ორგანიზაციები წარმატებით მუშაობენ გერმანიაში, საბერძნეთში, დანიაში და ავსტრალიაში.

რაც შეეხება გლობალურ–საზოგადოებრივ ინოვაციებს, მათთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ეს პროექტები თავიანთი მნიშვნელობითა და მასშტაბით სცილდება ცალკეული ეროვნული სახელმწიფოების საზღვრებს, გლობალური ხასიათისაა, მოითხოვს იმაზე მეტ რესურსს (განსაკუთრებით ინტელექტუალურს), რაც თითოეულ სახელმწიფოს ცალკე აღებულს გააჩნია და საშუალო პერიოდზე გათვლილი ეფექტებით კოლოსალურ შემოსავლებთან არის დაკავშირებული. საერთაშორისო დონის წამყვანი სპეციალისტების გათვლებით 2025 წლისთვის მსგავსი ინო-

ვაციებიდან მიღებული შემოსავალი იქნება იმაზე გაცილებით მეტი ვიდრე აშშ-ს და ევროკავშირის მშპ-ს მოცულობაა ერთად აღებული ამჟამად.

გლობალური-საზოგადოებრივი სოციალური ინოვაციების კვლევა ჩაატარა საერთაშორისო ინსტიტუტმა Mc Kinsey(MGI). ამ სამეცნიერო დაწესებულების მკვლევარებმა შეისწავლეს 100 პროექტი, რომელთაგანაც შეარჩიეს 12. მათი პროგნოზით, ეს 12 პროექტი განვითარებულ ქვეყნებს, განსაკუთრებით აშშ-ს და ევროკავშირს, მოუტანს შემოსავალს 14-33 ტრილიონი დოლარის ოდენობით, დიდ გავლენას იქონიებს მსოფლიო ეკონომიკაზე და ძირფესვიანად შეცვლის ადამიანების ცხოვრებას მთელ პლანეტაზე [4 - ინტერნეტბიბლიოთეკა]:

1. „მობილური ინტერნეტი“

2025 წელს ამ პროექტიდან მოსალოდნელი ეფექტი გაუტოლდება 4-10 ტრილიონ დოლარს. ახალი თაობის სმარტფონებითა და პლანშეტებით ინტერნეტით სარგებლობა შესაძლებელი გახდება ნებისმიერ ადგილზე. ამჟამად მსგავსი შესაძლებლობით სარგებლობს 1,3 მლრდ ადამიანი.

2. „ინტელექტუალური შრომის ავტომატიზაცია“

ამჟამად ავტომატიზაცია ეხება ინდუსტრიაში მომუშავეთა საქმიანობას; გონებრივად მომუშავეებს არა.

გონებრივი შრომის ავტომატიზაციის სფეროში პოპულარული მაგალითია I -ის მიერ შექმნილი „ტადრაკის კომპიუტერი“. 1997-2010 წლებში ამ კომპიუტერის სიმძლავრე გაიზარდა 100-ჯერ. 2025 წლისთვის სავარაუდო შემოსავალია 5-7 ტრილიონი დოლარი.

3. „ინტერნეტ საქონელი“

პროექტი გულისხმობს ზოგიერთ დაავადებათა მეურნელობის დისტანციურ კონტროლს. ბოლო ხუთ წელიწადში ურთიერთდაკავშირებული კომპიუტერების რიცხვი გაიზარდა 4-ჯერ. 2025 წლისთვის სავარაუდო შემოსავალია 2,7-6,8 ტრილიონი დოლარი.

4. „რობოტოტექნიკა“

ეს არის რობოტების ნაირსახეობა, რომლებიც არა მარტო აადვილებენ ადამიანის ფიზიკურ შრომას, არამედ ზრდიან მათ ფიზიკურ შესაძლებლობებსაც (მაგალითად ინვალიდების). 2009-2011 წლებში სამრეწველო რობოტების გაყიდვების რიცხვი გაიზარდა 27-ჯერ. 2025 წლისთვის სავარაუდო შემოსავალია 2-4 ტრილიონი დოლარი.

5. „სრულად ან ნაწილობრივ თვითმავალი ავტომობილები“

უპილოტო ავტომობილების გარბენათა რიცხვმა მთავარი 500 ათას კილომეტრს. მოხდა მხოლოდ ერთი ავარიული შემთხვევა, ისიც ადამიანის შეცდომის გამო.

6. „გენომიკა“

გამოიყენება მედიცინაში და სოფლის მეურნეობაში. 1996-2012 წლებში გენეტიკურად მოდიფიცირებული კულტურების მოსავალი გაიზარდა 100-ჯერ.

7. „დრუბლიანობის გამოთვლები“

8. „ენერჯის დაგროვება და შენახვა“

ამ ნოვაციამ შესაძლებელი გახადა ეკოლოგიურად სუფთა ჰიბრიდული ავტომობილების შექმნა. ეს ავტომობილები ღირსეულ კონკურენციას გაუწევს ტრადიციულებს.

9. „3D-ბეჭდვა“

ეს არის ახალი პრინტერების ნაირსახეობა.

10. „თანამედროვე მასალები“

ნანოწამლები, სუპერკონდენსატორები და ულტრასისქის ეკრანები.

11. „გაზისა და ნავთობის მოპოვების უახლესი ტექნოლოგიები“

ეს არის ახალი მეთოდი, რომელიც ზრდის ნავთობისა და გაზის მოპოვებას. ჩრდილოეთ ამერიკაში მოპოვება გაიზარდა 2-ჯერ.

12. „ენერჯის აღმდგენი წყაროები“

ძირითადად ეხება ქარისა და მზის ენერჯიას. 2025 წლისთვის მათზე ნავარაუდევია მსოფლიო ენერჯომომარაგების 16%. 2000 წელს ამ ორი წყაროთი ენერჯის გენერაცია გაიზარდა 19-ჯერ.

უახლესი მომავლის მოთხოვნაა ინოვაციებზე (მ.შ. სოციალურ ინოვაციებზე) ორიენტირებული ეკონომიკების მასშტაბური ფუნქციონირება; ათობით ტრილიონში გაზომილი შემოსავლების მიღება საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების გააქტიურებით, მსოფლიო დონეზე მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვით. სოციალურმა ინოვაციებმა, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, სერიოზული პოპულარობა მოიპოვა ევროკავშირის ქვეყნებში, რის დასტურსაც წარმოადგენს ევროკომისიის მიერ მიღებული სოციალური ინოვაციების რეფორმირების გეგმა. ამ გეგმის ძირითადი მიმართულებები:

- ცოდნაზე ორიენტირებული ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის ზრდა;

- სამეცნიერო, სამრეწველო, ეკონომიკური, რეგიონული და სოციალური პილიტიკის გაერთიანება;

- ევროკავშირის გადასვლა ინოვაციების სტიმულირების ახალ სტრატეგიაზე. ახალი სტრატეგია ითვალისწინებს დანახარჯების გაზრდას სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო

სამუშაოებზე, საერთო ევროპული, ერთიანი სამეცნიერო-კვლევითი სივრცის შექმნას, ინოვაციური პოლიტიკის ჰორიზონტალური და ვერტიკალური კოორდინაციის გაფართოებას და რეგიონული დონის გაძლიერებას.

ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პრობლემების გლობალიზაციის პროცესმა განაპირობა მჭიდრო საერთაშორისო კავშირების აუცილებლობა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა, ერთი მხრივ, ინოვაციების, მ.შ. სოციალური ინოვაციების, განვრცობა და პრაქტიკული გამოყენება და მეორე მხრივ, ინოვაციური სისტემების ინტერნაციონალიზაცია. ევროკავშირის სამიტზე ლისაბონში 2000 წელს გადაწვდა შექმნილიყო ევროპის ერთიანი კვლევითი სივრცე, რომელშიც იგულისხმებოდა 1. სამეცნიერო სივრცის შექმნა ეროვნული საზღვრების გარეშე, 2. ფინანსური რესურსების ეფექტიანობის გაზრდა ინოვაციების მოზიდვის სფეროში, 3. სამეცნიერო-ტექნიკური კადრების, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალების მობილურობის გაზრდა, 4. მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მოზიდვა მესამე ქვეყნებიდან [5,6,7].

გამოყენებული ლიტერატურა

1. Абесадзе Р., Бурдули В. Структурные и инновационные проблемы развития экономики. Тбилиси, Институт экономики Паата Гугушвили ТГУ, 2014.
2. ინტერნეტმასალა – Инновации в социальной сфере.
3. ინტერნეტმასალა – Социальные инновации: новые решения старых проблем.
4. <http://republic.ru/economics/> “ 12 прерывных инновации которые изменят экономику”.
5. <http://www.rusnauka.com> – “Инновационная политика ЕС”.
6. <http://instituteofem.org.ru> – “Инновационное развитие ЕС: некоторые аспекты. М., 2016”.
7. Рутко Д.Ф., Горбач В.В. Развитие инновационной системы в Евроазиатском экономическом сообществе (Евр АзЭС) на основе использования опыта ЕС . журн. „ Экономика и управление“, 2011, № 2.

Iza Natelauri

SOCIAL INNOVATIONS IN EU COUNTRIES: EXPERIENCE AND FOREIGN ECONOMIC ASPECTS

Summary

Presented work is dedicated to innovative projects in health care, employment, education, environmental protection, that is social innovations on the example of EU countries (Germany, Denmark, Greece and etc.). It is emphasized as local individual and global social novelties and innovations.

Against the background of globalization it is analyzed the role of foreign economic in the issue of activation of social innovations.

ილია (აზიკო) სისვაძე

მონეტარული პოლიტიკის ოპტიმიზაცია: თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები

ანოტაცია. ნაშრომის მიზანია მონეტარული პოლიტიკის ისეთი ოპტიმალური საზღვრის დადგენა, რომლისთვისაც მისი წინააღმდეგობრივი შედეგები – ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი მაქსიმალური იქნება, ხოლო ინფლაციით გამოწვეული დანაკარგები მინიმალური. დასახული მიზნის მისაღწევად თეორიული, მათემატიკური და მარკინალური ანალიზის მეთოდებით იქნა გამოკვლეული აღნიშნული შედეგების ფუნქციური დამოკიდებულება იაფი ფულის პოლიტიკის მასშტაბთან, რომლის შედეგებმა საძიებელი ოპტიმუმის არსებობა დაადასტურა.

კვლევის შედეგებს, თეორიულთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს ეროვნული ბანკის ოპტიმალური მონეტარული პოლიტიკის შემუშავებისათვის.

საკვანძო სიტყვები: მონეტარული პოლიტიკა, ოპტიმიზაცია, მეთოდოლოგია

ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა მაკროეკონომიკური პროცესების, პირველ რიგში, ინფლაციისა და ეკონომიკური ზრდის რეგულირების ერთ-ერთ უმძლავრეს ინსტრუმენტადაა მიჩნეული. საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით, ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანა ფასების სტაბილურობის, ინფლაციის მიზნობრივი დონის და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა. ამასთან, მდგრადი ეკონომიკურ ზრდა ისე უნდა იქნეს მიღწეული, რომ ფასების სტაბილურობას საფრთხე არ შეექმნას.

მონეტარული პოლიტიკის განხორციელება, მათ შორის ეკონომიკური ზრდის მიმართულებით, ერთი შეხედვით მარტივი ჩანს – საკმარისია ეროვნულმა ბანკმა „იაფი ფულის პოლიტიკის“ გამოყენებით ეკონომიკაში ფულის დამატებითი ინიექციები შეუშვას, რომ ზრდის მაღალი ტემპი გარანტირებული იქნება. რეალურად კი ამ ბერკეტის გამოყენებას ზღუდავს მისი გარდაუვალი უარყოფითი თანამდევი მოვლენა – ინფლაციით გამოწვეული დანაკარგები, რამაც შესაძლოა ამა

თუ იმ ეტაპზე მოსალოდნელი დადებითი ეფექტი სრულად გადაფაროს. ამიტომ პრობლემა დაიყვანება მიმოქცევაში ფულის ისეთი ოდენობით გაშვებაზე, რომლის დროსაც ეკონომიკური ზრდის ეფექტი ინფლაციური დანაკარგების გათვალისწინებით მაქსიმალური იქნება.

მოცემულ შემთხვევაში ბუნებრივად ჩნდება კითხვა – არსებობს თუ არა იაფი ფულის პოლიტიკის სასურველი ოპტიმალური საზღვარი?

დასმულ კითხვაზე პასუხს მონეტარული პოლიტიკის ფუნდამენტურ მიზნებს – ინფლაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის წინააღმდეგობის ფორმა განსაზღვრავს. პრობლემის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ისინი ერთმანეთს კი არ გამოორციხავენ, არამედ კომპრომისული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას უშვებენ. შესაბამისად, საკითხი ისმის ეკონომიკური ზრდის და ინფლაციური დანაკარგების ოპტიმალური შესამების შესახებ, რომლის პირობებში მაქსიმალური დადებითი ეფექტი მიიღწევა, ხოლო უარყოფითი მინიმუმამდე იქნება შემცირებული. ამასთან, თუნდაც ემპირიულ დონეზე მონეტარული პოლიტიკის რაციონალური საზღვრები რომ არ არსებუდიყო, მაშინ ამ ინსტრუმენტს არასოდეს გამოიყენებდნენ, რადგან ინფლაციური დანაკარგები მოსალოდნელ დადებით შედეგებს ამა თუ იმ ზომით ყოველთვის ანეიტრალებს. მაგრამ, თუ როგორია სასურველი „ოქროს კვება“, რომლისთვისაც მაქსიმალური მაკროეკონომიკური შედეგები მიიღწევა, თეორიულად ჯერ კიდევ დაუშუშაველებელია. ამიტომ პრობლემის საკუთარ გადაწყვეტას შემოგთავაზებთ.

პროცესის არსიდან გამომდინარე, იაფი ფულის პოლიტიკის საბოლოო ეფექტი შეიძლება გამოვთვალოთ მისი გამოყენებით მიღებული ეროვნული შემოსავლის ოდენობიდან ინფლაციური დანაკარგების გამოკლებით. კვლევა ორ ეტაპად ხორციელდება: პირველი, როგორ ფუნქციურ დამოკიდებულებაში იმყოფება იაფი ფულის პოლიტიკა ეროვნული შემოსავლის ზრდასთან და მის გარდაუვალ შედეგთან – ინფლაციურ დანაკარგებთან; მეორე, დამატებით მიწოდებული ფულის როგორი მასისათვის მიიღწევა მაქსიმალური ეფექტი. პრობლემის გადასაწყვეტად რამდენიმე მეთოდი კომბინირებულად იქნა გამოყენებული: პირველი, იაფი ფულის პოლიტიკის პირობებში ეროვნული შემოსავლისა და ინფლაციური დანაკარგების ამსახველი ფუნქციებისა და შესაბამისი მრუდების მათემატიკური ანალიზი; მეორე, მიმდინარე პროცესების მარშინალური ანალიზი.

ეროვნული შემოსავლის დინამიკა იაფი ფულის პოლიტიკის პირობებში. გრაფიკული დამოკიდებულება ეკონომიკისათვის დამატებით მიწოდებული ფულის ოდენობასა და ამ ფაქტორით განპირობებულ ეროვნული შემოსავლის მატებას შორის შეგვიძლია პირველი მიახლოებით აღმაგალი მრუდით გამოვსახოთ. მიზეზი ცხადია – მასშტაბური ფულადი ინექცია ამცირებს კრედიტზე სარგებლის განაკვეთს, რაც, თავის მხრივ, ინვესტიციებსა და წარმოების გაფართოებას ასტიმულირებს. თუმცა, ლოგიკური იქნება დავეყრდნოთ პარადიგმას, რომ მოსალოდნელი შედეგების დინამიკა მონეტარული პოლიტიკის განხორციელების ცალკეულ ეტაპებზე განსხვავებული იქნება.

კერძოდ, პროცესის დასაწყისში სასურველი ეფექტი არა მყისიერად, არამედ თანდათანობით დადგება, რადგან ამ ეტაპზე ინვესტიციების ნაწილი, როგორც წესი, სწრაფი ეფექტის მისაღებად მოქმედი საწარმოო სიმძლავრეების სრულ დატვირთვაზე წარიმართება. ამ ფაქტორის ხარჯზე წარმოების გაფართოების შესაძლებლობები კი შეზღუდულია. ინვესტიციების მეორე ნაწილი უშუალოდ მოხმარდება საწარმოო სიმძლავრეების ზრდას, მაგრამ სათანადო გადაწყვეტილების მიღება, რეალური ინვესტირება და შესაბამისი შედეგების დადგომა გარკვეულ დროს საჭიროებს. ამ გარემოებათა გამო ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი საწყის სტადიაზე დაბალი იქნება, ხოლო შემდეგში ინვესტირებით მიღებული შედეგები ზრდის ტემპს განსაზღვრულ დონემდე დააჩქარებს. მაგრამ ეს ტენდენცია უწყვეტად ვერ გაგრძელდება, რადგან ამოქმედდება ეკონომიკური ზრდის შემაფერსებელი მთელი რიგი გარემოებები, რომლებიც ჯერ, სხვა თანაბარ პირობებში, ფულის მიწოდების ზრდის ხარჯზე ეროვნული შემოსავლის მატების შენელებას, ხოლო შემდეგ მისი დონის სტაბილიზაციას გამოიწვევს. მათ შორის:

პირველი, მიწოდებული ფული საბოლოოდ რეალურ კაპიტალად ტრანსფორმირდება. შესაბამისად, ფულის მასის გადიდება ეკონომიკის კაპიტალით გაჯერებას და კაპიტალის კლებადი უკუგების კანონის ამოქმედებას გამოიწვევს, რაც ზღვარს დაუდებს ამ ფაქტორის ხარჯზე ეროვნული შემოსავლის ზრდას;

მეორე, მაკროეკონომიკას გააჩნია ერთობლივი საწარმოო სიმძლავრეებით განპირობებული წარმოებრივ შესაძლებლობათა ზღვარი, რაც მის მახლობლად ეროვნული ბანკის შეზღუდული ფინანსური ინექციებით გამოწვეული ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებისა და ბოლოს მისი სტაბილიზაციის მიზეზად იქცევა;

მესამე, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში, შემოსაზღვრულია თვით იაფი ფულის პოლიტიკის პოტენციალიც, რადგან ეროვნული შემოსავლის ზრდის წყაროს წარმოადგენს ფულის მიწოდების გადიდებით გაიფუჭებული კრედიტი. მაგრამ რამდენადაც სარგებლის განაკვეთი მისი მინიმალური დონის ქვემოთ (საკრედიტო რესურსების ფორმირების ხარჯები) ვერ შემცირდება, ეს გარემოება, ფულის მიწოდების მატების მიუხედავად, ზღვარს დაუდებს ეროვნული შემოსავლის ზრდას;

მეოთხე. ეკონომიკაში ფულის ჭარბი მიწოდებით გამოწვეული სარგებლის განაკვეთის დაქვეითება კომერციულ ბანკებს აიძულებს მომგებიანობის უწინდელ დონეზე შენარჩუნების მიზნით ანაბრებზე შესაბამისი განაკვეთი იმავე ზომით დასწიონ. ეს კი, თავის მხრივ, ანაბრების შემოღინებას შეამცირებს, რაც საკრედიტო რესურსების ფორმირების შესაძლებლობას და ამდენად, იაფი ფულის პოლიტიკის ეფექტსაც გაანეიტრალებს. მიზეზი მარტივია – ეროვნული ბანკის მიერ დამატებითი ფულის მიწოდების ეფექტი გადაიფარება ანაბრების მიწოდების შემცირებით, რაც შეაფერხებს ეკონომიკურ ზრდას;

მეხუთე. ეროვნული ბანკის მიერ დამარაგებული ფულის ძირითადი მასა – კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვები, ყალიბდება მოზიდული ანაბრების განსაზღვრული პროცენტის ოდენობით. წინა მიზეზის გამო ანაბრების შემცირება შესაბამისად შეაფერხებს ამ რეზერვების საკმარის დონეზე შევსებას და, ამდენად, იაფი ფულის პოლიტიკის ფინანსურ შესაძლებლობებს;

მეექვსე. განხილული მიზეზების ერთობლივი ზემოქმედებით გამოწვეული ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპების შენელება შეზღუდავს ეროვნული ბანკის მიერ ისეთი ოდენობის ფულის დარეზერვების შესაძლებლობას, რომელიც მიმოქცევაში ფულის მასის უწყვეტ მიწოდებას უზრუნველყოფდა. ასეც რომ არ იყოს, იგი, თვით იდეალურ მაკროეკონომიკურ პირობებშიც კი, თავისი შემოსაზღვრული ფულადი რესურსებით ეროვნული შემოსავლის მუდმივად მზარდი ტემპის დასაფინანსებლად საკმარის ფულად რეზერვებს ვერასოდეს შექმნის.


ამრიგად, გადასაწყვეტი პრობლემის ამოსავალ პარადიგმას შეადგენს იაფი ფულის პოლიტიკის განხორციელების საწყის ეტაპზე მისი ზემოქმედებით შექმნილი ეროვნული შემოსავლის თანდათან აჩქარებული, ხოლო დასკვნით სტადიაზე შენელებული ტემპით ზრდა და საბოლოოდ – სტაბილიზაცია.

ამ გარემოების გათვალისწინებით მიზეზშედეგობრივი კავშირი ეკონომიკისათვის დამატებით მიწოდებული ფულის მასასა და ეროვნული შემოსავლის ზრდას შორის აღიწერება ცენტრალური, ქვედა და ზედა სიმეტრიის ლოგისტიკური ფუნქციებით. პრაქტიკა აჩვენებს, რომ შემოსაზღვრული რესურსების მქონე დიდი რთული სისტემების ფუნქციონირების კანონზომიერებანი, მათთვის დამახასიათებელი ინერციულობის თვისების გამო, ადეკვატურად სწორედ ლოგისტიკური ფუნქციებით გამოისახება. მათ შორის, განსახილველი პროცესის შესაბამისი ფუნქციის ზუსტი ფორმის შერჩევა სპეციალური კვლევიტაა შესაძლებელი. ამჯერად საანალიზო დამოკიდებულებას ცენტრალური სიმეტრიის ლოგისტიკური ფუნქციით და შესაბამისი მრუდით გამოვსახავთ (გრაფიკი 1), რომელსაც გადასაჭრელი პრობლემის პარამეტრების შესაბამისად შემდეგი კონკრეტული ფორმა აქვს:

$$E_M = \frac{E_{Mmax}}{1 + a \cdot e^{-b \cdot M}} \quad (1)$$

სადაც, E_{Mmax} არის ფუნქციის ზედა ჰორიზონტალური ასიმპტოტი, რაც იაფი ფულის პოლიტიკით მისაღები ეროვნული შემოსავლის მაქსიმუმს (გაჯერების წერტილს) შეესაბამება; a და b – მუდმივი კოეფიციენტები გარკვეული მათემატიკური და ეკონომიკური შინაარსით; e – ნატურალური ლოგარითმის ფუძე, ე. წ. ნეპერის რიცხვი; M – დამატებით მიწოდებული ფულის მასა.

ბრაზიკი 1. დამოკიდებულება მიმოქცევაში გაშვებული ფულის დამატებით მასასა და ეროვნულ შემოსავალს შორის სიმეტრიული ლოგისტიკური ფუნქციის მიხედვით



წამოღებულ გრაფიკზე იაფი ფულის პოლიტიკის დასაწყისს ეროვნული შემოსავლის E_{Mmin} მნიშვნელობა შეესაბამება და ამდენად, იგი ცნობილი სიდიდეა. ფულის დამატებითი მასის ზრდასთან დაკავშირებით ამ ფაქტორის ხარჯზე მისაღები შედეგი ჯერ აჩქარებული, ხოლო შემდეგ შენელებული ტემპით იზრდება. მრუდზე არსებული G წერტილი, სადაც მატების ტემპების ცვლილება ხდება, ფუნქციის გადაღუნვის წერტილს შეადგენს. შემდეგში ვნახავთ, რომ საძიებელი ოპტიმუმი მიიღწევა ფულის იმ მასისათვის, რომლისთვისაც ფუნქციის გადაღუნვა ხდება. მისი გამოთვლა ამ წერტილის კოორდინატების მიხედვით შედგენილი განტოლების ამოხსნითაა შესაძლებელი. დავსვათ ამოცანა: განვსაზღვროთ ეკონომიკისათვის მისაწოდებელი დამატებითი ფულის მასის ისეთი ოპტიმალური ოდენობა, რომლისთვისაც საანალიზო ფუნქციის გადაღუნვა ხდება, ე. ი. ეროვნული შემოსავლის ზრდის აჩქარებული ტემპი შენელებულით იცვლება.

ცნობილია, რომ სიმეტრიული ლოგისტიკური ფუნქციის მნიშვნელობა გადაღუნვის წერტილში გაჯერების დონის ნახევარს შეადგენს:

$$E_M^* = \frac{E_{Mmax}}{2}$$

სადაც E_M^* არის ფუნქციის მნიშვნელობა გადაღუნვის წერტილში. მეორე მხრივ, ამ წერტილისათვის:

$$E_M^* = \frac{E_{Mmax}}{1 + a \cdot e^{-b \cdot M^*}}$$

სადაც M^* არგუმენტის კრიტიკული მნიშვნელობა ფუნქციის გადაღუნვის წერტილში. შევადგინოთ განტოლება:

$$\frac{E_{Mmax}}{2} = \frac{E_{Mmax}}{1 + a \cdot e^{-b \cdot M^*}}$$

განტოლების ამოხსნის მიზნით განვასორციელოთ შესაბამისი მათემატიკური პროცედურები:

$$1 + a \cdot e^{-b \cdot M^*} = 2; \quad a \cdot e^{-b \cdot M^*} = 1; \quad \frac{a}{e^{b \cdot M^*}} = 1; \quad e^{b \cdot M^*} = a.$$

მოვახდინოთ გამოსახულების ორივე მხარის გალოგარითმება:

$$b \cdot M^* = \ln a,$$

საიდანაც მიიღება, რომ ფულის მასის კრიტიკული მნიშვნელობა, რომლისთვისაც ლოგისტიკური ფუნქციის გადაღუნვა და ამდენად, პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტა ხდება, განსაზღვრულია ფორმულით:

$$M^* = \frac{\ln a}{b} \quad (2)$$

როგორც საწყისი ლოგისტიკური ფუნქციის, ისე შედეგობრივი ფორმულის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა a და b კოეფიციენტების მნიშვნელობათა ცოდნაზეა დამოკიდებული. მათი გამოთვლა წარსულში განხორციელებული მონეტარული პოლიტიკის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით უმცირეს კვადრატთა მეთოდითაა შესაძლებელი, რაც საკმარისად შრომატევადია. თუ ასეთი ინფორმაცია არ არსებობს, მაშინ ეროვნულმა ბანკმა მთელი აღწერილი პროცესი, ექსპერიმენტის სახით, თავიდან ბოლომდე უნდა გაიაროს შესაბამისი გარდაუვალი მაკროეკონომიკური რისკებით. თუმცა ქვემოთ ვნახავთ, a კოეფიციენტის მნიშვნელობის დადგენა მარტივადაა შესაძლებელი, რაც თავის მხრივ, b -ს გამოთვლასაც აიოლებს.

a -ს სიდიდის განსაზღვრისათვის გამოვთვალოთ ლოგისტიკური ფუნქციის მნიშვნელობა E_M ღერძის გადაკვეთის წერტილში, სადაც $M = 0$, ხოლო $E_M = E_{Mmin}$. ფუნქციაში ამ პარამეტრების ჩასმით და სათანადო გარდაქმნებით მიიღება:

$$E_{Mmin} = \frac{E_{Mmax}}{1 + a \cdot e^{-b \cdot 0}} = \frac{E_{Mmax}}{1 + a}$$

წამოღებულ ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ a განსაზღვრავს ლოგისტიკური მრუდის მიერ E_M ღერძის გადაკვეთის წერტილს. ბოლო ფორმულიდან დგინდება a -ს ისეთი მნიშვნელობა, რომლისთვისაც ლოგისტიკური ფუნქცია ვერტიკალურ ღერძს E_{Mmin} წერტილში გადაკვეთს:

$$1 + a = \frac{E_{Mmax}}{E_{Mmin}}.$$


$$a = \frac{E_{Mmax}}{E_{Mmin}} - 1 \quad (3)$$

მათემატიკური თვალსაზრისით b კოეფიციენტი ლოგისტიკური ფუნქციის მრუდის პირველი ნაწილის ჩაზნექილობის, ხოლო მეორე ნაწილის ამოზნექილობის დონეს ახასიათებს. ამდენად, იგი გრაფიკის პირველ ნახევარში განსაზღვრავს ფუნქციის მატების აჩქარების, ხოლო მეორე ნახევარში შენელების ტემპს.

ინფლაციური დანაკარგების დინამიკა იაფი ფულის პოლიტიკის პირობებში. ინფლაციური დანაკარგების დინამიკა ეროვნული შემოსავლისა და ფულის მასის მატების ტემპების თანაფარდობაზე დამოკიდებული. კერძოდ, თუ ეროვნული შემოსავლის მატების ტემპი ფულის მასისას აჭარბებს და ამ მოვლენას ზრდადი ტენდენციის სახე აქვს, მაშინ ინფლაციის დონე შესაბამისი დანაკარგებით შემცირდება და პირიქით, ფულის მასის წინმსწრები ზრდის შემთხვევაში ინფლაციური დანაკარგები გაიზრდება.

საანალიზო პროცესის თვალსაჩინოდ წარმოდგენის მიზნით იგი გამოსახულია პროცენტულად სტანდარტიზებულ კოორდინატთა სისტემაში (გრაფიკი 2), საიდანაც ჩანს, რომ $0 - M^*$ შუალედის დასაწყისში ფულის მასის ზრდის ყოველ 10 პროცენტზე ეროვნული შემოსავალი ნაკლები ზომით მატებლობს, ხოლო შემდეგ გადაღუნვის წერტილთან მიახლოების კვალობაზე ეროვნული შემოსავალი უფრო დიდი ზომით იმატებს. შესაბამისად, ამ შუალედში ინფლაციური დანაკარგები შემცირდება. $M^* - M_{max}$ შუალედში კი ფულის მასის თანაბარი ტემპით ზრდის პირობებში, ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპის შენელების გამო, ინფლაციური დანაკარგები გაიზრდება და რაღაც მომენტში ეროვნული შემოსავლის ოდენობასაც კი გადააჭარბებს.

გრაფიკი 2. ეროვნული შემოსავლის ნამატი სიდიდების ცვლილება ფულის მასის ზრდის პირობებში



ამ გარემოებათა გათვალისწინებით ეროვნულ შემოსავალთან მიმართებაში ინფლაციური დანაკარგების დინამიკა გამოსახულია მე-3-ე გრაფიკზე, რომლის ფორმა გვიჩვენებს, რომ მას კვადრატული პარაბოლას ფუნქცია შეესაბამება:

$$I = C_0 + C_1 M + C_2 M^2$$

სადაც I ინფლაციური დანაკარგებია.


თუ გაეთვალისწინებთ, რომ მინიმალური ინფლაციური დანაკარგები M^* -სათვის მიიღწევა, ბოლო ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$I_{min} = C_0 + C_1 \frac{\ln a}{b} + C_2 \left(\frac{\ln a}{b}\right)^2 \quad (4)$$

მე-3-ე გრაფიკის შესაბამისად, იმის გამო, რომ ფულის მასის ზრდის $0 - M^*$ შუალედში ეროვნული შემოსავალი აჩქარებული ტემპით იზრდება, ხოლო ინფლაციით გამოწვეული დანაკარგები მცირდება, მათ შორის სხვაობა და ამდენად, იაფი ფულის პოლიტიკის ეფექტი გაიზრდება. მომდევნო $M^* - M_{max}$ შუალედში კი ეროვნული შემოსავლის შენელებული ტემპით, ხოლო ინფლაციური დანაკარგების აჩქარებული ტემპით ზრდა, მათ შორის სხვაობასა და იაფი ფულის პოლიტიკის ეფექტს შეამცირებს. მაქსიმალური ეფექტი – უდიდესი სხვაობა იაფი ფულის პოლიტიკით განპირობებულ დამატებით ეროვნულ შემოსავალსა და ინფლაციურ დანაკარგებს შორის მიიღწევა ფულის მასის ისეთი მნიშვნელობისათვის, რომელსაც ლოგისტიკური ფუნქციის გადაღუნვის წერტილი შეესაბამება. ფულის შესაბამისი ოპტიმალური მასა განსაზღვრულია (2) ფორმულით და ამდენად, მაქსიმალური ეფექტი იქნება:

$$f(M) = \frac{E_{Mmax}}{2} - \left[C_0 + C_1 \frac{\ln a}{b} + C_2 \left(\frac{\ln a}{b}\right)^2 \right] = max \quad (5)$$

ბრაზიკი 3. ეროვნული შემოსავლისა და ინფლაციური დანაკარგების დინამიკა იაფი ფულის პოლიტიკის პირობებში



ფულის ოპტიმალური ოდენობის განსაზღვრის შემოთავაზებული მეთოდის პრაქტიკული გამოყენების აუცილებელი პირობა საანალიზო ფუნქციაში გაჯერების წერტილის, ჩვენი ამოცანისათვის ეროვნული შემოსავლის მაქსიმალური მნიშვნელობის დადგენაა, რაც შემდეგი მეთოდების გამოყენებითაა შესაძლებელი: პირველი, განისაზღვრება ეროვნული შემოსავლის ისეთი მოცულობა, რომლის მიღება შესაძლებელია ფულის მასის მაქსიმალურად გაზრდის პირობებში ჩამოყალიბებული სარგებლის განაკვეთის მინიმალური დონისათვის; მეორე, გამოთვლები დაემყარება გასულ წლებში განხორციელებული მონეტარული პოლიტიკის დროს დაგროვილ ინფორმაციას.

იაფი ფულის პოლიტიკის ოპტიმიზაცია მარჟინალური ანალიზით. იაფი ფულის პოლიტიკის ოპტიმიზაციის განხილული მეთოდის არსი კიდევ უფრო მკაფიო ხდება მარჟინალური ანალიზის გამოყენებით. საამისოდ გრაფიკულად გამოვსახოთ ეროვნული შემოსავლისა და ინფლაციური დანაკარგების საზღვრითი (ნამატი) სიდიდეების ცვლილების დინამიკა.


მე-2-ე გრაფიკიდან ჩანს, რომ მიმოქცევაში გაშვებული ფულის ნამატის ყოველ ერთეულზე მოსული ეროვნული შემოსავლის საზღვრითი (ნამატი) სიდიდეები ჯერ იზრდება, ფულის M^* მასისათვის აღწევს მაქსიმუმს, ხოლო შემდეგ მცირდება და M_{max} -სათვის თანდათან უახლოვდება ნულს. ეროვნული შემოსავლის ასეთი ნამატი ფულის საზღვრით პროდუქტს შეადგენს.

იაფი ფულის პოლიტიკის პირობებში ფულის საზღვრითი პროდუქტის დინამიკა მე-4-ე გრაფიკზეა გამოსახული, რომლის შესაბამისად ფულის მასის ნამატის ყოველ ერთეულზე მოსული საზღვრითი პროდუქტი ჯერ იზრდება, M^* -ის პირობებში აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობას, შემდეგ კი მცირდება.

ამრიგად, ლოგისტიკური მრუდის მარუინალური ანალიზის საფუძველზე მიღებული იქნა ექსტრემუმის თვისების მქონე ახალი მრუდი, რომელსაც თავისი სპეციფიკური ფუნქცია შეესაბამება. ეს უკანასკნელი გამოითვლება პირველყოფილი ლოგისტიკური ფუნქციის გაწარმოებით, რაც უშუალოდ გამომდინარეობს წარმოებულის ეკონომიკური ინტერპრეტაციიდან. კერძოდ, ფუნქციის წარმოებული ასახავს რაიმე ეკონომიკური შედეგის საზღვრითი (ნამატი) სიდიდეების დინამიკის დამოკიდებულებას მისი გამომწვევი რესურსის ან მიმდინარე დანახარჯის ცვლილებასთან. აქედან გამომდინარე, ფულის საზღვრითი პროდუქტის – ეროვნული შემოსავლის საზღვრითი სიდიდების ფუნქციური დამოკიდებულება ფულის მასასთან გამოისახება შესაბამისი პირველყოფილი ლოგისტიკური ფუნქციის გაწარმოებით, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$E_{M\Delta} = \frac{E_{Mmax} \cdot a \cdot b \cdot e^{-b \cdot M}}{(1 + a \cdot e^{-b \cdot M})^2} \quad (6)$$

გრაფიკი 4. ეროვნული შემოსავლის საზღვრითი (ნამატი) სიდიდეების ცვლილება ფულის მასის ზრდის პირობებში




ეკონომიკაში გამოყენებულ ფუნქციათა სისტემა, მათ შორის, ლოგისტიკური ფუნქციის საფუძველზე წარმოებული ეს ფორმა – რთული ტრანსცენდენტური ფუნქცია, ფუნდამენტურად აქვს გამოკვლეული გერმანელ ავტორს გ. ხაუშტაინს [12, გვ. 370], რომლის თანახმად, იგი ექსტრემალურ ფუნქციათა კლასს განეკუთვნება და მაქსიმალურ მნიშვნელობას იღებს, როდესაც $M^* = \ln a / b$, რაც ჩვენი გამოთვლის შედეგებს ემთხვევა. საანალიზო ფუნქციის მნიშვნელობა E_M დერძის გადაკვეთის წერტილში შეადგენს:

$$E_{M\Delta} = \frac{a \cdot b \cdot E_{Mmax}}{(1 + a)^2} \quad (7)$$

სადაც $E_{M\Delta}$ არის ფუნქციის მნიშვნელობა E_M დერძის გადაკვეთის წერტილში.

ფულის საზღვრითი პროდუქტის მარჟინალური ანალიზის შესაბამისად, ეროვნული ბანკის იაფი ფულის პოლიტიკის საფუძველზე ფულის მიწოდების ზრდას, სხვა თანაბარ პირობებში, იმ დონემდე აქვს აზრი, სანამ მის ერთეულზე მიღებული ეროვნული შემოსავლის ნაზრდი იმატებს. ამის შემდეგ, ნაზრდების შემცირების გამო, პოლიტიკა არაეფექტიანი ხდება.

ბრაფიკი 5. ინფლაციური დანაკარგების საზღვრითი სიდიდების



ფულის მასის ზრდის პირობებში ფულის საზღვრითი ინფლაციური დანაკარგების ცვლილება გამოსახულია მე-5-ე გრაფიკზე, რომლის შესაბამისად ისინი ჯერ მცირდებიან, M^* -სათვის აღწევენ მინიმუმს, ხოლო შემდეგ იზრდებიან. ამდენად, ფულის საზღვრითი ინფლაციური დანაკარგების დინამიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

სხვა ფაქტორების უცვლელობისას ფულის მიწოდების ზრდას იმ დონემდე მოაქვს დადებითი ეფექტი, სანამ ფულის ერთეულზე მოსული საზღვრითი ინფლაციური დანაკარგები იკლებს. ამის შემდეგ მათი ზრდის გამო იაფი ფულის პოლიტიკა უკვე არაეფექტიანია.


იაფი ფულის პოლიტიკის მაქსიმალური ეფექტი. ფულის საზღვრითი პროდუქტისა და საზღვრითი ინფლაციური დანაკარგების გაერთიანებული გრაფიკების ანალიზი (გრაფიკი 6) შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა:

პირველი, ფულის ნულოვანი მნიშვნელობისათვის მისი საზღვრითი ინფლაციური დანაკარგების მრუდის მიერ E_M ღერძის გადაკვეთის წერტილი უფრო მაღლაა, ვიდრე საზღვრითი პროდუქტისა, რაც უშუალოდ გამომდინარეობს მე-4-ე და მე-5-ე გრაფიკებიდან – პროცესის დასაწყისში ინფლაციური დანაკარგების ნაზრდი ეროვნული შემოსავლის ნაზრდზე მეტია;

მეორე, ერთმანეთის მიმართ მრუდების მდებარეობის მიხედვით ფულის მასის ზრდის სამი მონაკვეთი გამოიყოფა. OM_1 და M_2M_{max} მონაკვეთებში ფულის საზღვრითი ინფლაციური დანაკარგები საზღვრით პროდუქტს აღემატება და ამდენად, ფულის შესაბამისი მასებისათვის მონეტარულ პოლიტიკას მხოლოდ ზარალის მოტანა შეუძლია. ეკონომიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ფულის მიწოდების ზრდა გამართლებულია მხოლოდ M_1M_2 შუალედში, სადაც ფულის საზღვრითი პროდუქტი აღემატება საზღვრით ინფლაციურ დანაკარგებს;

მესამე, ექსტრემალური შედეგები – ფულის მაქსიმალური საზღვრითი პროდუქტი და მინიმალური ინფლაციური დანაკარგები ფულის მასის M^* მნიშვნელობისათვის მიიღწევა, რომლისთვისაც საბოლოო ეფექტი – სხვაობა ფულის საზღვრით პროდუქტსა და ინფლაციურ დანაკარგებს შორის მაქსიმალურია.

**ბრაზიკი 6. ეროვნული შემოსავლის და ინფლაციური დანაკარგების
ნამატი სიდიდების ცვლილება ფულის მასის ზრდის პირობებში**



ძვირი ფულის პოლიტიკას ეროვნული ბანკი იმ შემთხვევაში მიმართავს, როდესაც ფულის ჭარბი მასის დაგროვების გამო ეკონომიკაში მკაფიოდ გამოხატული ინფლაციური პროცესები იწენს თავს. ამ შემთხვევაში ოპტიმუმის ძიება იაფი ფულის პოლიტიკის საპირისპირო მიმართულებით წარიმართება – M_{max} -დან ნულისაკენ. შესაბამისად, ხორციელდება ჭარბი ფულის თანდათანობით ამოღება, რასაც თან მოჰყვება ფულის საზღვრითი ინფლაციური დანაკარგების შემცირება და საზღვრითი პროდუქტის კლება. სასურველი ოპტიმუმი აქაც ფულის მასის იმავე ოდენობისათვის მიიღწევა, როგორც წინა ამოცანაში. ოპტიმალობის ინდიკატორად მიიჩნევა ფულის ისეთი მასა, რომლის შემდეგ, სხვა თანაბარ პირობებში, საზღვრითი ინფლაციური დანაკარგები გაიზრდება, ხოლო ფულის საზღვრითი პროდუქტი შემცირებას დაიწყებს. საძიებელი ეკონომიკური ოპტიმუმი აქაც M^* -სთვის მიიღწევა.

თუ წარსულში განხორციელებული მონეტარული პოლიტიკის შესახებ დაგროვილი ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ ეროვნული შემოსავლის დინამიკა ზედა ან ქვედა სიმეტრიის ლოგისტიკური ფუნქციით აღიწერება, მაშინ მიმდინარე პროცესების ზოგადი კანონზომიერებანი განხილული შემთხვევის ანალოგიური იქნება. მაგრამ მაქსიმალური ეფექტი ფულის სხვა კრიტიკული მასისათვის მიიღწევა, რომლის დადგენა მათემატიკური გამოთვლებით განსაკუთრებულ სიძნელებებთან არაა დაკავშირებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ბარი, პოლიტიკური ეკონომია, ტომი II, თარგმანი ფრანგულიდან რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1995, გვ. 336-355.
2. თ. ბლანსარი, მაკროეკონომიკა, თბილისი, 2010, გვ. 793-822.
3. ე. დოლანი, მაკროეკონომიკა, თარგმანი ინგლისურიდან რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1994, გვ. 197-248.
4. ეკონომიკური თეორია. ვ. ი. ვილიაპინის და სხვათა რედაქციით, რუსულ ენაზე. მოსკოვი, 2002, გვ. 531-537.
5. დ. ვაშაკიძე, მათემატიკური ანალიზის კურსი, ტ. I, თბილისი, 1972.
6. კ. მაკონელი, ს. ბრიუ, ეკონომიკის, ნაწილი II, თბილისი, 1993, გვ. 266-363.
7. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, 2008, გვ. 609-653.
8. დ. ნატროშვილი და სხვები, მათემატიკა ეკონომისტებისათვის, თბილისი, 2008.
9. ლ. ტარასევიჩი, პ. გრებნიკოვი, ა. ლეუსკი, მაკროეკონომიკა, რუსულ ენაზე. მოსკოვი, 2009, გვ. 368-377.
10. პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, ეკონომიკა ტ. III, თბილისი, 2000, გვ. 303-358.
11. დ. სლომანი, კ. ხაინდი, ეკონომიკა ბიზნესათვის, თარგმანი ინგლისურიდან რუსულ ენაზე, მოსკოვი, 2010, გვ. 872-886.

12. გ. ხაუშტაინი, პროგნოზირების მეთოდები სოციალისტურ ეკონომიკაში, თარგმანი გერმანულადან რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1971, გვ. 370.

Iliia (Aziko) Sisvadze

OPTIMIZATION OF MONETARY POLICY: METHODOLOGICAL PROBLEMS

Summary

The purpose of the work is to determine the optimal border of monetary policy for which its contradictory results - the growth rate of national income will be maximal and the inflation caused by the losses is minimal. In the theoretical, mathematical and marketing analysis methods, the functional attitudes of these results were analyzed in the scale of cheap money policy, the results of which were confirmed by the seeking optimum.

The results of the research are practical as well as theoretical for developing the optimal monetary policy of the National Bank.

თენგიზ ქავთარაძე

აშშ-ს სოფლის მეურნეობის ინოვაციურ სისტემაში ტექნოპარკების ფუნქციონირება და მათი გამომწვევების მიზანშეწონილობა საქართველოში

ანოტაცია. ნაშრომში შესწავლილია აშშ სოფლის მეურნეობის ინოვაციურ სისტემებში ტექნოპარკების, როგორც ინოვაციური ინფრასტრუქტურის ობიექტის ფუნქციონირება და მათი გამომწვევების მიზანშეწონილობა საქართველოში. ამ თვალსაზრისით ნაშრომში პირველადია საუბარი აშშ-ში და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ხორცის წარმოების გადიდების ისეთ მძლავრ რეზერვზე, როგორცაა ვოლკის ადრეულ 2-3 დღის ასაკში ასხლეტა და მათი გამოცდილების განზოგადება საქართველოში. პირველადია წამოყენებული წინადადება პირუტყვის საკვებწარმოების გადიდების მიზნით, აშშ-ს და სხვა განვითარებული ქვეყნების მსგავსად, საქართველოს მსხვილი ქალაქების ნაგავსაყრელებთან მოეწოს საჭმლის ნარჩენების გადამამუშავებელი საამქროები. ნახევრებია კვების მრეწველობისათვის განკუთვნილი შაქრის წარმოების მიზანშეწონილობა თხევადი შაქრის სახით.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობის ინოვაციური სისტემები, ტექნოპარკები, ინოვაციური ინფრასტრუქტურის ობიექტები

შესავალი

აშშ-ს სოფლის მეურნეობის ინოვაციური სისტემების ინფრასტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ტექნოლოგიური პარკების ფუნქციონირებას. თავად ტერმინი სამეცნიერო ტექნოლოგიური პარკი (ტექნოპარკი) ნიშნავს განათლების, მეცნიერების, წარმოების, ბიზნესისა და სახელმწიფოს ინტეგრაციას, რომელსაც, როგორც წესი, თან ახლავს გადასახადებისა და დაბეგვრის შეღავათიანი სისტემა.

ტექნოპარკები სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოს ყველა კუთხეში, მათი შექმნით დაინტერესებულნი არიან არა მხოლოდ კერძო საწარმოები ან სასწავლებლები, არამედ მთავრობებიც, ვინაიდან ტექნოლოგიური პარკი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას და სუსტი რეგიონების განვითარებას; ტექნოპარკის ძირითად მიზანს წარმოადგენს გამომგონებლებისა და მკვლევართა ჯგუფებს შორის ან ტექნოლოგიური პროდუქციის სხვადასხვა მწარმოებლებს შორის კომუნიკაციების დამყარება.

* * *

სამეცნიერო ტექნოლოგიური პარკები წარმოადგენს თავისუფალი ეკონომიკური ზონის ისეთ ნაირსახეობას, რომელიც პირდაპირ არის ორიენტირებული ახალი ტექნოლოგიების მოზიდვასა და მეცნიერებატევადი წარმოების განვითარებაზე. ამჟამად საქართველოში არც ერთი ტექნოპარკი არ ფუნქციონირებს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, ტექნოპარკის ჩამოყალიბება ფუფუნებაა. თუმცა ტექნოპარკები შექმნილია ევროპის მცირე ქვეყნებშიც კი. მაგალითად, შვეიცარიაში შვიდი ტექნოპარკი ფუნქციონირებს: ლოზანას სამეცნიერო პარკი; ქუნევის „უახლესი ტექნოლოგიების ცენტრი“; ქუნევის „ყვავების სამეცნიერო სააგენტო“; სიერას „კიდობანი“; ივერდონის ტექნოპარკი; ბერნის ბიო-ტექნიკური პარკი; ციურიხის ტექნოპარკი.

ტექნოპარკი არის არაბეთის გაერთიანებულ ემირატებშიც, რომელიც ცნობილია, როგორც „დუბაის სილიკონის ოაზისი“

ამდენად, ტექნოპარკები არა მხოლოდ დიდი სახელმწიფოების პრივილეგიაა, არამედ პატარა ქვეყნებისაც. საქართველოსათვის პირველ ეტაპზე მიზანშეწონილია უპირატესობა მიენიჭოს

საუნივერსიტეტო ტექნოლოგიური პარკების შექმნას, რისი განხორციელებაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით, სწრაფად და ეფექტურად.

ტექნიკური პარკის მთავარი ფუნქციაა თეორიულ-ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევების წარმოება. ასეთი პარკები, როგორც წესი, მეცნიერებატევად ფირმებს უქმნიან ხელსაყრელ პირობებს მეცნიერული კვლევა-ძიების ნაყოფიერად წარმართვისათვის; სამეცნიერო ტექნოპარკები პირველად აშშ-ში შეიქმნა 1950-იან წლებში, 1970 წლებში კი ასეთი კერები შეიქმნა იაპონიასა და დასავლეთ ევროპაში. მეცნიერებისა და წარმოების შეერთება-შერწყმის ეს პროგრესული ფორმა შემდეგ სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა.

ტექნოპარკად იწოდება ორგანიზაცია იურიდიული პირის უფლებით, რომელსაც აქვს მჭიდრო ფუნქციური კავშირი ერთ ან რამდენიმე კვლევით ცენტრთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, სამრეწველო საწარმოებთან, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან და მეცნიერებატევადი მეწარმეობის განვითარების მიზნით თავის სამოქმედო რეგიონში ქმნის თანამედროვე ინოვაციურ გარემოს. იგულისხმება მცირე და საშუალო სიდიდის ინოვაციური ფირმების მხარდაჭერისა და დამოუკიდებლად სამოქმედო მომზადებისათვის, მეცნიერული ცოდნის, გამოგონებათა, ნოუ-ჰაუსა და მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების წარმოებრივი ათვისებისათვის მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური, სერვისული, ინფორმაციული და სოციალურ კულტურული ბაზის შექმნა.

ტექნოპარკის დამფუძნებლად, როგორც წესი, ერთდროულად გამოდიან უნივერსიტეტები, სამეცნიერო ცენტრები, სამრეწველო საწარმოები, საფინანსო ორგანიზაციები და ხელისუფლების ორგანოები. მისი არსებობისა და ფუნქციონირების ძირითად ნიშან-თვისებებს შორის აღსანიშნავია ის, რომ: აქვს იურიდიული პირის სტატუსი, უძრავი ქონება, განვითარებული ბიზნესინკუბატორი, ხანგრძლივი ვადით არენდით აღებული ფართი, სათანადო სერვისი, რომელსაც ძალუძს კლიენტი ფირმების მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; ჰყავს მენეჯერთა მაღალკვალიფიციური კადრები; რეგიონში წარმოადგენს ისეთ სტრუქტურას, რომელიც საგრძნობ გავლენას ახდენს მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

პირველი ტექნოპარკი შეიქმნა გასული საუკუნის 50-იან წლებში სტენფორდის უნივერსიტეტთან (აშშ), ამჟამად იგი წარმოადგენს უმსხვილეს ტექნოპოლისს, რომელიც თავის შემადგენლობაში 8 ათასამდე ინოვაციურ ფირმას ითვლის. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანში 10 მეცნიერ მუშაკზე მეტი არ მუშაობს. მათ შორის ინტენსიურად მიმდინარეობს მეცნიერულ-ტექნიკური და წარმოებრივი იდეების გაცვლა, რაც ხელს უწყობს მეცნიერებატევადი (მოწინავე) ტექნიკისა და ტექნოლოგიების წარმოების გაფართოებას.

ტექნოპარკის ძირითადი ტიპებია: სამეცნიერო, ტექნოლოგიური, ბიზნესინკუბატორები და ტექნოპოლისები. ტექნოპარკი იქმნება ისეთი ამოცანების გადასაჭრელად, როგორებიცაა:

– დახმარების გაწევა მცირე ზომის დამწვები ინოვაციური ფირმების წარმოშობისა და განვითარებისათვის;

– ინტელექტუალური პროდუქტის გადაქცევა საქონლად;

– საზოგადოებრივ პროგრესში მეცნიერებისა და განათლების როლის ამაღლება;

– სრულიად ახალი ტექნოლოგიების, ნაწარმისა და მომსახურების შექმნა და რეალიზაცია მათი გამოყენების ახალ სფეროში;

– მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;

– ინვესტორების მოზიდვა როგორც ქვეყნის ცალკეული რეგიონებიდან, ისე საზღვარგარეთიდან.

ტექნიკური პარკის მთავარი ფუნქციაა თეორიულ-ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევების წარმოება. ასეთი პარკები, როგორც წესი, მეცნიერებატევად ფირმებს უქმნიან ხელსაყრელ პირობებს (თანაც საკმაოდ ხანგრძლივი ვადით) მეცნიერული კვლევა-ძიების ნაყოფიერად წარმართვისათვის. მიდიან რა დიდ რისკზე, ისინი აფინანსებენ პრიორიტეტულ სამეცნიერო მიმართულებებს. ფუნქციონირების გარკვეული თავისებურებანი ახასიათებს სეციალიზებულ და მრავალპროფილიან სამეცნიერო ტექნოპარკებს.

სამეცნიერო ტექნოპარკები პირველად აშშ-ში შეიქმნა 1950-იან წლებში, 1970-იან წლებში კი ასეთი კერები შეიქმნა იაპონიასა და დასავლეთ ევროპაში. მეცნიერებისა და წარმოების შეერთება-შერწყმის ეს პროგრესული ფორმა შემდეგ სხვა ქვეყნებში გავრცელდა.

სამეცნიერო ტექნოპარკების გადასაწყვეტ ძირითად ამოცანებს შორის აღსანიშნავია:

– ისეთი ორიგინალური მეცნიერული იდეების შემუშავება, რომელთაც ძალუძთ პროგრესული ხასიათის რადიკალური ცვლილებების შეტანა ტექნიკასა და ტექნოლოგიაში;

– სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნის უმაღლესი სასწავლებლებიდან და მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტებიდან მეურნეობრივ პრაქტიკაში გადატანის დაჩქარება;

– უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ცოდნის დონის ამაღლება მათ მიერ კვლევა-ძიებით სამუშაოებსა და დამუშავებაში აქტიური მონაწილეობის ხარჯზე.

აშშ-ს სოფლის მეურნეობის ინოვაციურ სისტემებში ტექნოპარკების გადასაწყვეტ ძირითად ამოცანებს შორის აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში ორიგინალური მეცნიერ-

რული იდეების შემუშავება და რადიკალური ცვლილებების შეტანა დარგის ტექნიკასა და ტექნოლოგიაში. მაგალითად, თანამედროვე მეკარტოფილეობა მეცენარეობის ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური დარგია. იგი ითხოვს დიდხალ კაპიტალდაბანდებას; მანქანების, სასუქების, შხამქიმიკატების შექმნა-გამოყენებას, მორწყვითი სამუშაოების განხორციელებას და ა.შ. კარტოფილის ნათესი ფართობების ყოველ ჰექტარზე თანდათან იზრდება კაპიტალდაბანდება და საშუალოდ აშშ-ის სოფლის მეურნეობის ინოვაციურ სისტემებში შეადგენს 718 დოლარს, მათ შორის ფულადი დანახარჯები – 581 დოლარს. ტექნოპარკების ფუნქციონირების თვალსაზრისით მეტად შთაბეჭდავია მიჩიგანის უნივერსიტეტის მიერ მიჩიგანის შტატის მეკარტოფილეობის 30 ფერმაში 1983 წელს ჩატარებული კვლევები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თითოეულ ფერმაში კაპიტალის მოცულობა საშუალოდ შეადგენდა 349,5 ათას დოლარს; მეკარტოფილეობის მსხვილ ფერმერულ მეურნეობებში, სადაც კარტოფილის ნათესი ფართობების ოდენობა შეადგენდა 101 ჰექტარს, კაპიტალის მოცულობა უდრიდა 444 ათას დოლარს; ფერმის საკუთარი კაპიტალი ამ თანხიდან შეადგენდა 87%. კვლევით ფერმაში შრომითი დანახარჯები საშუალოდ შეადგენდა 10,6 ათას კაცსათს, მათგან 64% მოდიოდა დაქირავებულ შრომაზე. ფულადი დანახარჯების 1/3 მოდიოდა საბრუნავი კაპიტალის დანახარჯების ელემენტებზე (სარგავი მასალები, სასუქები, შხამქიმიკატები და სხვა), დაქირავებული შრომის დანახარჯები კი შეადგენდა 24%.

კარტოფილზე სამომხმარებლო მოთხოვნილების სტრუქტურა განიცდის არსებით ცვლილებას; ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით აღინიშნება კარტოფილზე ნატურით მოხმარების შემცირება 91 კგ-დან 55 კგ-მდე. იზრდება მოთხოვნილება კარტოფილის გადამამუშავებულ პროდუქტებზე ჩიფსების, მშრალ, გაყინულ კარტოფილის ფქვილზე და სხვა სახით. წარმოებული კარტოფილის მეტი წილი მოხმარება გადასამუშავებლად, ნაკლები კი ნატურალური მოხმარებისათვის. თუ 1964 წელს კარტოფილზე სასურსათო მოთხოვნილება შეადგენდა 59%, 1994 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 39%. კარტოფილის გასაღებამ განიცადა არსებითი ცვლილებანი. წარმოიშვა ხარისხობრივად ახალი მომენტები, კერძოდ პროდუქციის შესყიდვის საქმეში სავაჭრო და სამრეწველო ფირმების კონცენტრირება. პრაქტიკაში ფართოდ ინერგება ფერმერული მეურნეობებიდან კარტოფილის პირდაპირი შესყიდვის სისტემა. შესყიდვის სტრუქტურაში მკვეთრად იზრდება გადამამუშავებელი ფირმების როლი და, პირიქით, მცირდება საცალო და საბითუმო ფირმების ქსელი.

სოფლის მეურნეობის ინოვაციური სისტემების ინფრასტრუქტურაში საინტერესო სამუშაოები მიმდინარეობს ტექნოპარკებში მეცხოველეობის ჯიშობრივი სანაშენო მუშაობის სრულყოფის თვალსაზრისით. ხორცის წარმოების გადიდების მნიშვნელოვანი რეზერვია მეღორეობაში ნეზვის გამოყენების ეფექტურობის ამაღლება. მეღორეობის სეციალიზებული მეურნეობების მუშაობის შეფასებისას დამაკამყოფილებლად ითვლება შემდეგი მაჩვენებლები: ნეზვიდან წლის განმავლობაში საშუალოდ 1,7-1,8 მოგების მიღება; ერთ მოგებაზე მრავალნაყოფიერება 9,12 გოჭი; ასხლეტისას 60 დღის ასაკში ნეზვიდან 8-10 გოჭის მიღება, 1 გოჭის ცოცხალი მასა 16 კგ და მეტი. ნეზვის სქესობრივი ციკლი მისი ასეთი გამოყენების შემთხვევაში მოიცავს მაკეობის 114-115 დღეს, წოვების სამოც დღეს და დაგრილების 10-12 დღეს. ამდენად, ხელსაყრელ პირობებში მოგების ერთი ციკლისათვის საჭიროა 184-187 დღე. მაშასადამე ყველა ნეზვიდან მეურნეობაში საშუალოდ ორი მოგების მიღება მეტად ძნელია.

მოგებებს შორის მოგების ინტერვალის შემცირების ერთ-ერთ რეზერვს წარმოადგენს წოვების პერიოდის შემცირება. მიუხედავად არაერთგზის ცდისა, შემცირებინათ აღინიშნული ინტერვალი ნეზვის წოვების პერიოდის შეხამებით მაკეობის პერიოდთან, საიმედო შედეგები ვერ მიიღეს. უფრო წარმატებით აღმოჩნდა მოგებებს შორის ინტერვალის შემცირების მეთოდი გოჭების ადრე ასხლეტის გზით (ლაქტაციის პერიოდის შემცირება). დღეისათვის ძუძუთა გოჭის ხელოვნური გამოზრდა კვლევითი თვალსაზრისით, შეიძლება ჩაითვალოს დამუშავებულად და პრაქტიკული გამოყენებისათვის დაყვანილად.

მაგალითად ინგლისში და აშშ დამუშავებულია ორი-სამი დღის ასაკის გოჭის გამოზრდის მეთოდი ხელოვნური ნეზვის საშუალებით, გერმანიაში ფუნქციონირებს ოთხი დღის ასაკიდან გოჭის გამოსაზრდელი მსხვილი ფაბრიკა. ამასთან ერთად კალენდარული წლის განმავლობაში ნეზვიდან საშუალოდ 25 გოჭს ღებულობენ. ადრეულად ნეზვის გარეშე გამოზრდით გოჭის სიკვდილიანობა არ აღემატება 5%.

შვეციაში არის მეღორეობის მეურნეობები, სადაც ნეზვიდან გოჭის ასხლეტას აწარმოებენ 10 დღის ასაკში. მათი მუშაობის შედეგები სრულიად დამაკამყოფილებელია.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილია გოჭის ადრე წარმატებით ასხლეტის მხოლოდ ერთეული შემთხვევები. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ დაბადებისთანავე გოჭის ხელოვნური გამოზრდა ძლიერ გაძნელებულია. ხსენის მოქმედება გოჭის ორგანიზმზე მთლიანად ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი. რძის შემცველში გამაგლობულისი, ვიტამინი და მიკროელემენტების დამატება ძვირი და ნაკლებ ეფექტური საშუალებაა. ამიტომ ცდები, გამოზრდილ იქნეს გოჭი ნეზვის გა-

რეჟე, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს არ გაცდება ექსპერიმენტის ფარგლებს. ნეზვიდან 7-10 დღის ასაკში ასხლეტილი გოჭის გამოზრდამ მთელ რიგ ქვეყნებში პრაქტიკული გამოყენება პოვა.

ერთდროულად ნეზვისაგან ადრე ასხლეტილი გოჭების გამოზრდის მეთოდების დამუშავებასთან ერთად, მიმდინარეობდა გამოკვლევა მათ შემდგომ გამოყენებაზე გოჭების ადრე ასხლეტის შესაძლებელი არასასურველი შედეგების დასადგენად. ამასთან ერთად დადგენილია, რომ ადრე ასხლეტილი გოჭი გამოზრდის და გასუქების დამთავრების შემდეგ ცოცხალი მასის მატების, საკვების ანაზღაურების და დაკვლის შედეგებით არ განსხვავდება იმ გოჭებისაგან რომლების ნეზვიდან 2 თვის ასაკში იყვნენ ასხლეტილნი. არსებითი განსხვავება არ დადგენილა აგრეთვე ღორის აღწარმოების უნარიანობაში, მრავალნაყოფიერებასა და სხვა მაჩვენებლებში გოჭის 21-45 დღის ასაკში ასხლეტისას.

საქართველოში ყოველწლიურად 6 მილიონი ტურისტი შემოდის. ხორცის წარმოების გადიდების მიზნით აუცილებლად უნდა დაინერგოს რესპუბლიკის მეღორეობის ფერმებში გოჭის ადრეულ ასაკში ასხლეტა. მეღორეობის დარგის განვითარების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგარეჯოს და კრწანისის უნიკალური მეღორეობის ფაბრიკების აღდგენა-ფუნქციონირება.

ამჟამად, როგორც აშშ-ში, ევროპის ქვეყნებსა და რუსეთის ქალაქებში აქტიურად მიმდინარეობს საჭმლის ნარჩენების გადამამუშავება. მაგალითად, პეტერბურგის არაგემური საკვების დამზადების კანტორის მონაცემებით, 1966-1970 წლების პერიოდში პეტერბურგის საგარეუბნო სასუქი მეურნეობების მიერ გამოყენებულ იქნა 180000 ტონა საჭმლის ნარჩენი, რაც დაახლოებით 360000 ტონა მარცლის ან 60000 ტონა ღორის ხორცის (ცოცხალი მასის) ეკვივალენტურია.

აშშ-სა და სხვა ევროპული ქვეყნების გამოცდილების მსგავსად, მეღორეობაში საკვებ-წარმოების გაფართოების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რესპუბლიკის მსხვილი ქალაქების ნაგავსაყრელებთან მოეწოს საჭმლის ნარჩენების გადამამუშავებელი საამქროები, მათი მეშვეობით მოხდებოდა მეღორეობის ფერმებისათვის დიდი რაოდენობით იაფი და ყუათიანი საკვების მიწოდება.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის სამთავრობო პოლიტიკა სოფლის მეურნეობის ინოვაციურ სისტემებში კერძო ფერმებისა და აგრობიზნესის აქტიური მხარდაჭერაა. ფერმერთა ფინანსურ კრედიტში მონაწილეობს მრავალი ბანკი და ფინანსური კომპანია. იმ შემთხვევაში, როცა ფერმერი თავს ვერ აღწევს ფინანსურ სიძნელეს (მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური მხარდაჭერა არსებობს გაკოტრებისაგან თავის დასადგენად ხშირად ეს არ არის საკმარისი), ის კოტრდება და იძულებული ხდება დატოვოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ფერმერობას ინარჩუნებენ მხოლოდ კვალიფიციური ფერმერები, ამიტომ ფერმერთა მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას სოფლის მეურნეობის ინოვაციურ სისტემებში უდიდეს ძალისხმევას ახმარს ამერიკის მთავრობა. დღეისათვის, ზოგიერთი სპეციალისტის გაანგარიშებით, ყოველ 10 წუთში უქმდება ერთი ფერმა. ყველაფერი ეს დიდად საყურადღებოა განსაკუთრებით მისთვის, ვისაც ფერმერობა იოლ საქმედ მიაჩნია და მხოლოდ ფერმერიზაციაში ხედავს გამოსავალს.

აღსანიშნავია, რომ ფერმერების – გლეხების მხარდამჭერი პროგრამები არსებობს დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებშიც, სადაც გლეხებს უწევს მუდმივ და ყოველმხრივ დახმარებას. მაგალითად, პატარა შვეიცარიაშიც კი, სოფლის მეურნეობის დოტაციებმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა ყველა იმ სუბსიდიას, რომლებიც მიეცა სოფლის მეურნეობას რუსეთში 1993 წელს. უცხოური ინვესტიციების ეროვნულ ეკონომიკაში მოზიდვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მაკროეკონომიკურ ინსტრუმენტად უნდა ჩაითვალოს სოფლის მეურნეობის ინოვაციურ სისტემებში სხვადასხვა ფორმებით ტექნოპარკების შექმნა, რადგანაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ტექნოპარკები წარმოადგენს უმაღლესი განათლების, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დაფინანსების წყაროების, ხელისუფლების რეგიონული და ადგილობრივი მართვის ორგანოების ინტეგრაციის პერსპექტიულ და მსოფლიოში აპრობირებულ ფორმებს. აღსანიშნავია, რომ კალიფორნიასა და ჩრდილოეთ კაროლინაში ტექნოპარკების შექმნამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ჩამორჩენილი აგრარული პროფილის რეგიონების გადაქცევას ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონის რეგიონებად.

ჩინეთში შექმნილი შენთუნის ტექნოპარკი პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის იმის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს, თუ როგორ უნდა შეიქმნას ტექნოპარკები – ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით და არა ამერიკული ან ევროპული გაქმოდებილების გაუზრებელი კოპირებით.

მსოფლიოში არსებული ტექნოპარკები იყოფა ორ კატეგორიად – ტერიტორიული და ვირტუალური, ანუ ფუნქციონალური ტექნოპარკები. ტერიტორიული ტექნოპარკების უპირატესობას წარმოადგენს მსგავსი პროფილის თანამედროვე წარმოებების მაღალი კონცენტრაცია ერთ ადგილას. ხშირად ასეთი ტექნოპარკები შენდება მსხვილ უნივერსიტეტებთან. მაშინ, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტში არ არის ტერიტორიული ტექნოპარკების მშენებლობისათვის საჭირო მილიარდები (მაგალითად, საქართველოში), მაგრამ არსებობს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა, მაშინ მიდიან ვირტუალური ტექნოპარკების (ტექნოპარკები კვდლების გარეშე) შექმნის გზით, როგორც ეს მოხდა უკრაინაში. ასეთი ტექნოპარკების მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ქვეყნის ნებისმიერ გეოგრაფიულ ადგილას განლაგებულ ნებისმიერ კომპანიას. ამისათვის

საკმარისია შესაბამის ტექნოპარკში წარდგენილ იქნეს სპეციალურად მომზადებული პროექტი, რომელიც მიმართული იქნება მაღალი ინოვაციური ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვაზე. ასეთი კომპანიის პროექტის დამტკიცების შემთხვევაში კომპანიას მიეცემა ყველა ის შეღავათი, რაც დადგენილი იქნება საქართველოს კანონით „ტექნოპარკების საინოვაციო მოღვაწეობის სპეციალური რეჟიმის შესახებ“, მაგრამ პროექტის შემსრულებელი კომპანია ვალდებული იქნება, თავისთან ცალკე იქონიოს სპეციალური აღრიცხვა პროექტის მიმდინარეობის შესახებ, რომელსაც არსებული წესით გააკონტროლებს სახელმწიფო.

ფუნქციონალური ტექნოპარკების წარმატებული მოღვაწეობის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს უკრაინაში არსებული ტექნოპარკები. უკრაინის ტექნოპარკები წარმოადგენს საკმაოდ სერიოზულ ძალას, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ სტრუქტურაზე. ინოვაციური პროდუქციის წარმოებამ აქ მიაღწია 3 მილიარდ გრივნას წელიწადში, საშუალო წლიური 50%-იანი მატებით.

2000–2009 წლებში უკრაინაში ტექნოპარკების მიერ 112 ინოვაციური პროექტის ფარგლებში წარმოებულ იქნა 14,3 მილიარდი გრივნას ინოვაციური პროდუქცია, შეიქმნა 3,5 ათასი ახალი მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილი. ტექნოპარკების მიერ შესრულებული პროექტებიდან სახელმწიფო ბიუჯეტსა და არასაბიუჯეტო ფონდებში შენატანებმა შეადგინა 943 მილიონი გრივნა და ყველაფერი ეს გაკეთდა რაიმე საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გარეშე. შედარებისათვის, საქართველოში აგრარულ სფეროში სახელმწიფოს მიერ ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეშვეობით დაფინანსებული გრანტებიდან, დღიდან ამ ფონდის დაარსებისა, წარმოებაში არ დანერგილა არც ერთი საინოვაციო პროექტი, არ შექმნილა არც ერთი სამუშაო ადგილი, და, ბუნებრივია, არც მეცნიერებას და არც ეკონომიკას არ დასტეობია საინოვაციო პროექტებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მნიშვნელოვანი სახსრები.

ბოლო წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის აღორძინება შეუძლებელი იქნება სამამულო მეცნიერების ინოვაციური პოტენციალის ამოქმედების გარეშე. საქართველოს სასურსათო კომპლექსის ინოვაციური სისტემებისადმი მზარდი ინტერესი განპირობებულია ადგილობრივი პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობით შიდა და მსოფლიო ბაზრებზე, რაც მოითხოვს სერიოზულ ინვესტიციებს აღნიშნულ დარგში. უცხოური ინვესტიციების ეროვნულ ეკონომიკაში მოზიდვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მაკროეკონომიკურ ინსტრუმენტად უნდა ჩაითვალოს სხვადასხვა ფორმების ტექნოპარკების შექმნა, რადგან საბაზრო ეკონომიკის პირობებში ტექნოპარკები წარმოადგენს უმაღლესი განათლების, მრეწველობის, დაფინანსების წყაროების, ხელისუფლების რეგიონული და ადგილობრივი მართვის ორგანოების ინტეგრაციის პერსპექტიულ და მსოფლიოში აპრობირებულ ფორმებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის აღორძინების მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია სხვადასხვა ფორმებით ტექნოპარკების შექმნა. ტექნოპარკების შექმნისა და საინოვაციო ფუნქციების სპეციალური რეჟიმის სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს კანონით „ტექნოპარკების საინოვაციო მოღვაწეობის სპეციალური რეჟიმის შესახებ“. ტექნოპარკების მიმართ მოქმედებს საინოვაციო მოღვაწეობის სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო მხარდაჭერას ტექნოპარკების, მათი მონაწილეებისა და ერთობლივი საწარმოებისადმი მათ მიერ პრიორიტეტული მიმართულებების შესატყვისი პროექტების რეალიზაციის საქმეში. ამასთან, შეღავათები ეძლევა არა კონკრეტულ საწარმოებს, არამედ მხოლოდ საინოვაციო პროექტებს.

დასკვნა

ტექნოპარკების რეგისტრაციას საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წარდგენით. ცნობა ტექნოპარკის შესახებ გაიცემა პროექტის რეალიზაციისათვის საჭირო ვადით, მაგრამ არაუმეტეს 5 წლის ვადისა, და ეს წარმოადგენს ტექნოპარკების, მისი მონაწილეებისა და ერთობლივი საწარმოებისათვის ინოვაციური მოღვაწეობის სპეციალური რეჟიმის შემოტანისა და სპეციალური ანგარიშების გახსნის საფუძველს. ტექნოპარკების პროექტების რეალიზაციისათვის ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტში ტექნოპარკების მოწოდების მხარდაჭერის პროგრამის შესაბამისად, გამოიყოფა გარკვეული სახსრები. საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული პროგრამა სოფლის მეურნეობას მიიჩნევს პრიორიტეტულ დარგად და ითვალისწინებს სამამულო წარმოების როგორც მცენარეული, ასევე ცხოველური წარმოშობის ნედლეულის წარმოების მკვეთრ გადიდებას.

სტატისტიკური მონაცემებით, სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულია საქართველოს მოსახლეობის 53% და ის იძლევა ეროვნული შემოსავლის მხოლოდ 8,9%. ამ შეუსაბამობის ძირითადი მიზეზია სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის არარსებობა. შედარებისათვის, გასულ წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა 57 საკონსერვო ქარხანა, დღეს

– 4; ჩაის მრეწველობა წარმოდგენილი იყო 200 ფაბრიკით, დღეს ფუნქციონირებს 3-4 მცირე საწარმო; ეთერზეთოვან ზეთებს აწარმოებდა 28 მეურნეობა – ქარხანა, დღეს არც ერთი არ ფუნქციონირებს.

სოფლად, საქართველოს ინოვაციური სისტემების ტექნოპარკების ფუნქციონირების წინაშე მწვავედ დგას სამრეწველო დანიშნულების შაქრის დეფიციტის პრობლემა. სამრეწველო დანიშნულების შაქრის უქონლობის გამო უმოქმედოდ დგას კვების მრეწველობის საწარმოები, აუთვისებელი რჩება ხილ-კენკროვანთა ნედლეულისა და ციტრუსოვანთა ნაყოფების რესურსები. საკონსერვო მრეწველობის ამოქმედების დღეს არსებული პრობლემა და ამ პრობლემასთან დაკავშირებული სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების ჩამორჩენა არ იქნება დაძლეული მანამ, სანამ საქართველოს ინოვაციური სისტემების ტექნოპარკების ფუნქციონირების წინაშე არ მოხერხდება სამრეწველო დანიშნულების სამამულო შაქრის წარმოების ორგანიზება საქართველოში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შაქრის წარმოების განვითარება შეუძლებელია სოფლად საქართველოს ინოვაციური სისტემების ტექნოპარკების ფუნქციონირებაში ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნისა და დანერგვის გარეშე. ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისება და საამისოდ უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების მოზიდვა უნდა განხორციელდეს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდის – ტექნოპარკების შექმნის გზით. შაქრის წარმოების სფეროში არსებულ მასალებზე დაყრდნობით, სპეციალისტებმა დაადგინეს რესპუბლიკაში შაქრის წარმოების განვითარების მიმართული რეკომენდებები.

1) საქართველოში შაქრის წარმოება უნდა განვითარდეს შაქრის ჭარხლის სამრეწველო გამოყენების ეფექტურობის ამაღლებით და ამ კულტურის მოვლა-მოყვანის და ნედლეულის გადაამუშავების პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვით.

2) ახალი შაქარშემცველი მცენარის – შაქრის სორგოს მოყვანა საქართველოში. შაქრის სორგო გვალვაგამძლე მცენარეა, ის შეიძლება მოყვანილ იქნეს გარე კახეთის გვალვიან რაიონებში არსებულ დამლაშებულ ნიადაგებზე. აქ შაქრის სორგოს კულტურის ქვეშ შეიძლება გამოიყოს 60 ათასი ჰექტარი, რაც საშუალებას მოგვცემს, დამატებით ვაწარმოოთ 120 ათასი ტონა შაქარი მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქტის – გლუკოზო-ფრუქტოზული სიროფების სახით. სპეციალისტების აზრით, კვების მრეწველობისათვის განკუთვნილი შაქარი მიზანშეწონილია ვაწარმოოთ თხევადი შაქრის სახით. საამისოდ შექმნილი უნდა იქნეს თხევადი შაქრის მწარმოებელი მინიქარხნები. თხევადი შაქრის წარმოების ტექნოლოგიაზე გადასვლა 20-25%-ით შეამცირებს შაქრის ჭარხლის გადამამუშავებისათვის საჭირო სათბობ-ენერგეტიკულ დანახარჯებს, გაიზრდება ნედლეულიდან შაქრის გამოსავალი.

შაქრის მინიქარხნებში არსებული დანადგარ-მოწყობილობების გამოყენებით უნდა მოეწეოს ნედლი შაქრიდან ფუნქციონალური დანიშნულების თხევადი შაქრის წარმოება. შაქრის მინიქარხნებში არსებულ დანადგარებზე შეიძლება წარმოებულ იქნეს რძის კონცენტრატი, ხილბოსტნეულის წვენების ექსტრაქტები და კონცენტრატები, რაც გამორიცხავს ქარხნის მუშაობის სეზონურობას. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ეთხოვოს საქართველოს მთავრობას, რათა სოფლის მეურნეობის განვითარების გამიზნული სახსრებიდან გამოიყოს თანხები აღნიშნული ტექნოპარკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ინოვაციები – ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2014.
2. ამერიკის ეკონომიკა – ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო. 2010.
3. რევიშვილი ზ., საქართველოს აგრარული განვითარებისა და პოლიტიკის თეორიული საკითხები. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო-სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2015.
4. რუხაძე ს., აშშ-ის სახელმწიფო რეგულირების საკითხები, თბ., 1994.
5. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო “მეცნიერება”, თბ., 2003.
6. ქისტაური ნ., ინოვაციებისა და ცვლილებების მართვის თანამედროვე პრობლემები. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2015.
7. ხარაიშვილი ე., ინოვაციური განვითარების პრობლემები საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა ტ. II. თბ., 2012.
8. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. საგამომცემლო ფირმა სიახლე, თბ. 2006.

9. www, fao, org/corp/statistics.
10. Освоение инновации в агропромышленном комплексе опыт и проблемы – М. : ФГУ РССК 2006 – 136.
11. Changes in market organization and practices of the potato industry. Hastings Area. Florida 1958-1968. Washington, 1970.
12. Kyle L.P. Business analysis summary for potato farms 1973. East-lansing, 1974.

Tengiz Kavtaradze

**FUNCTIONING OF TECHNOLOGIES IN USA INNOVATIVE AGRICULTURE SYSTEMS AND
GENERALIZATION OF THEIR EXPERIENCE IN GEORGIA**

Summary

The work studies the functioning of tecnoparks, in US innovative agriculture systems as an innovative infrastructure facility and their utility in Georgia. In this terms the first thing in the work is to talk about a strong reserve of the increase in meat production in the US and German Federal Republic, such as the removal of pig in the early 2-3 days and the generalization of their experiences in Georgia. For the first time a proposal is offered for the increase of live-stock feeding, to prepare food waste processing factories near large cities in Georgia like the US and other developed countries. The expediency of the production of sugar as liquid sugar for the food industry is shown.

ნუნუ ქისტაური

**საქართველოში ინოვაციურ-ინვესტიციური პოლიტიკის
განვითარების მნიშვნელობა**

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ინოვაციურ-ინვესტიციური პოლიტიკის ფორმირების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის და სახელმწიფოს როლი ამ საქმეში. ავტორი აღნიშნავს, რომ ქვეყნის განვითარების ტემპები მნიშვნელოვნად განისაზღვრება ინოვაციური საქმიანობის ორგანიზების ფორმებით და მისი ხელშეწყობის მეთოდებით, რომელთა შორის ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმია „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის“ („სკპ“) სისტემა. ნაშრომში გაანალიზებულია „სკპ“ სისტემის ფუნქციონირების გამოცდილება სხვადასხვა ქვეყანაში და ასევე ამ გამოცდილების შესწავლისა და დანერგვის უპირატესობები საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ინოვაციურ-ინვესტიციური პოლიტიკა, „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა“, ინოვაციების რეგულირების ფორმები.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი როლი მიეკუთვნება ინოვაციურ-ინვესტიციური პროცესის ფორმირებას. ინოვაციური და ინვესტიციური პროცესების ურთიერთ-გავლენა განსაზღვრავს ერთიანი საფინანსო პოლიტიკის მიმართულებას, ანუ შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ინოვაციურ-ინვესტიციური პოლიტიკა – ეს არის სახელმწიფოს მიზანმიმართული საქმიანობა, რომლის პირველი ამოცანა უნდა იყოს ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების იმგვარი მექანიზმის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული ინოვაციური სისტემის სწრაფ განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ ინოვაცია წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ხარისხობრივ შემადგენელს, ინვესტიციები კი – რაოდენობრივს.

ინოვაციურ-ინვესტიციური საქმიანობის სტიმულირება მიზანშეწონილია განხორციელდეს სახელმწიფოს მიერ (ან სახელმწიფოს შეკვეთით) ინვესტიციებისათვის ხელშეწყობის გზით, სახელმწიფოს ისეთი სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, როგორცაა ინვესტიციური პროცესის დაჩქარება და მისი ხარისხის გაზრდა, ინვესტიციების მოზიდვა პრიორიტეტულ დარგებში ან რეგიონებში და სხვ. ხელი უნდა შეეწყოს როგორც ადგილობრივ, ისე საჭიროების შემთხვევაში, უცხოელ ინვესტორებს. ხოლო, რაც შეეხება ხელშეწყობას, – ესაა ინოვაციების სტიმულირების ღონისძიებათა მთელი კომპლექსი: ინვესტიციურ-საფინანსო, საგადასახადო, ინსტიტუციური ღონისძიებები და ასევე სპეციალური საშუალებები უცხოელებისათვის.

ინოვაციურ-ინვესტიციური სისტემის წარმატების ფორმულა ყველა კონკრეტულ ქვეყანას საკუთარი აქვს, მაგრამ მაინც შეიძლება გამოიყოს ძირითადი ფაქტორები:

- სახელმწიფოს მიერ ინოვაციური პოლიტიკის ნათლად ჩამოყალიბებული ამოცანები და მიზნები;

- არსებული ინოვაციური პოტენციალის რაციონალური გამოყენება;

- სისტემატური ძალისხმევა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გასამყარებლად;

- ინოვაციების კომერციალიზაციის კარგად ჩამოყალიბებული პროგრამა;

შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა ინტელექტუალური საკუთრების დარგში; საერთაშორისო გამოცდილების მუდმივად შესწავლა და დანერგვა.

ეკონომიკურად წარმატებული ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც მიაღწიეს მდგრად ეკონომიკურ ზრდას ინოვაციური საქმიანობის ინტენსიფიკაციის გზით და წარმოდგენილი არიან მსოფლიო ბაზარზე ინოვაციური საქონლის, ტექნოლოგიების და მომსახურების სახით, აჩვენებს, რომ ქვეყნის განვითარების ტემპები მნიშვნელოვნად განისაზღვრება ინოვაციური საქმიანობის ორგანიზების ფორმებითა და მისი ხელშეწყობის მეთოდებით. ამისათვის ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმია „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის“ ინსტიტუტი („სკპ“), როდესაც გამოიყენება ინოვაციური პროცესების ორგანიზების მრავალფეროვანი მეთოდები და ფორმები, ასევე ინოვაციების ირიბი ხელშეწყობის ღონისძიებათა მთელი სპექტრი. „სკპ“ ინოვაციურ სფეროში წარმოადგენს ინსტიტუციურ და ორგანიზაციულ აღიანსს სახელმწიფოსა და ბიზნესს (სახელმწიფო სამეცნიერო ორგანიზაციები, სახელმწიფო სამეცნიერო – საგანმანათლებლო ორგანიზაციები, კერძო ბიზნესი) შორის ინოვაციური პროექტების რეალიზების მიზნით.

სხვადასხვა ქვეყანაში „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის“ სხვადასხვა სახის გამოცდილება არსებობს. მაგრამ ერთი რამ ყველგან მსგავსია – გამოკვეთილია „სკპ“-ს მუდმივად მზარდი ტენდენცია. ამ მხრივ ყველაზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს შემდეგ ქვეყნებში: აშშ, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ისრაელი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, იაპონია. „სკპ“-ს გამოყენების სფეროები ამ ქვეყნებში განსხვავებულია: ინფრასტრუქტურა, გზები, განათლება, მედიცინა და სხვ. რაც შეეხება პარტნიორობის ფორმებს, ეს არის: კონტრაქტები, არენდა, ხელშეკრულებები, ერთობლივი საწარმოები.

„სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის“ პროგრამები პოპულარულია თითქმის ყველა ეკონომიკურად წარმატებული ქვეყნისათვის და ეს ინტერესი აისახება მათ საბიუჯეტო გათვლებშიც, კანონმდებლობაში, განვითარების პროგრამებში. ინოვაციური სისტემების ფორმირების საერთო პრინციპები, დეტალებში განსხვავებების მიუხედავად, ყველა მოწინავე ქვეყნისათვის მსგავსია: სახელმწიფოს როლი ძალიან მნიშვნელოვანია ფუნდამენტური მეცნიერების და ტექნოლოგიების ხელშეწყობის, ინფრასტრუქტურის შექმნის და კერძო კომპანიების ინოვაციური საქმიანობისათვის სასიკეთო კლიმატის შექმნის საქმეში, ხოლო კერძო სექტორის – ახალი ტექნოლოგიების შექმნაში საკუთარი კვლევების და დამუშავებების საფუძველზე, ასევე ინოვაციების ტრანსფერის და ბაზარზე წარმატებით გატანის საქმეში.

დასავლურ მოდელებში, როგორც წესი, დომინირებს სახელმწიფო დაფინანსების როლი ე.წ. „სასტარტო“ ინოვაციური პროექტებისათვის. მაგალითად, გერმანიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში საერთო ინვესტიციებში სახელმწიფოს როლი ინოვაციური ინფრასტრუქტურული ობიექტების შექმნისას დაახლოებით 75%-ია, დიდ ბრიტანეთში – 60%. უფრო გვიან სტადიაზე სურათი საპირისპიროდ იცვლება – იზრდება კერძო ბიზნესის როლი თანადაფინანსების საქმეში. სახელმწიფო, როგორც წესი, ძირითადად აფინანსებს ფუნდამენტურ კვლევებს – უნივერსიტეტებში, კვლევით ინსტიტუტებში. საინტერესოა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ინოვაციების დასანერგად სახელმწიფო საშუალებების განაწილებისადმი მიდგომა სრულიად განსხვავებულია. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში მიღებული წესისაგან განსხვავებით (როდესაც კერძო ფირმებს შორის განაწილება დიფერენცირებული მიდგომით ხდება), აშშ-ში კერძო სექტორის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისკენ მიმართული საშუალებები კონცენტრირებულია კომპანიების მხოლოდ 0,5%-ში, რომლებიც იღებენ სახელმწიფო ასიგნების 84%-ს. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსების ფორმა უმეტესად წამყვანია სახელმწიფოს მიერ ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში: პორტუგალია, საბერძნეთი, პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და სხვ. მაგრამ, როგორც ამ დარგის ექსპერტები აღნიშნავენ, სურათი ნელ-ნელა იცვლება – მსოფლიო ტენდენცია ისეთია, რომ მცირდება მეცნიერებასა და ინოვაციებზე საბიუჯეტო დანახარჯები და სულ უფრო დიდი როლი ენიჭება კერძო სექტორს (დიდი ბრიტანეთში 20 წლის განმავლობაში 1975 წლიდან 1995 წლამდე სახელმწიფოს როლი სკსს-ის დაფინანსებაში შემცირდა 54%-დან 34%-მდე, ხოლო 2014 წელს მიაღწია 27%-ს, კერძო სექტორის როლი კი გაიზარდა 38%-დან 48%-მდე).

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის“ პროგრამების რეალიზაციისას ბევრი ქვეყნის მთავრობები ქმნიან სპეციალურ ორგანოს მრავალრიცხოვანი სახელმწიფო სტრუქტურების მოქმედებათა კოორდინაციის მიზნით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ პროექტების დამუშავებასა და მათი რეალიზაციის ღონისძიებათა გატარებაში. პროექტების ხარისხიანად მომზადებისა და ინვესტორების მოზიდვის მიზნით აუცილებელი ხდება სპეციალიზებული სტრუქტურების შექმნა, სპეციალისტების ჩართვა ამ საქმეში. მთავარ მომენტად გვევლინება საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფა საკანონმდებლო ბაზის შექმნის გზით, რომელიც დაიცავს ინვესტორის უფლებებს, შექმნის საჭიროების შემთხვევაში პროექტებში ჩადებული საშუალებების გარანტირებული დაბრუნების პირობებს. ინოვაციურ სფეროში კერძო კაპიტალის მოზიდვის მიზნით, სახელმწიფოსათვის აუცილებელია იმდაგვარი ეკონომიკური, საინვესტიციო და ორგანიზაციულ-საკანონმდებლო მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს კერძო ინვესტორების დაინტერესებას, მონაწილეობა მიიღონ ინოვაციური პროექტების რეალიზაციის პროცესში, თვით ამ კერძო კომპანიების არჩევის გამჭვირვალე და კონკურენტულ პროცედურას,

რაც, თავის მხრივ, შექმნის პროექტის წარმატებით განხორციელების რისკების შემცირების გარანტიას.

გერმანიაში, როგორც ევროპის ეკონომიკურად ერთ-ერთ წამყვან ქვეყანაში „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის“ პროგრამების რეალიზაცია სამეცნიერო-კვლევით სფეროში 1979 წლიდან დაიწყო, რის შედეგადაც საბიუჯეტო სახსრების წილი სკსსს-ის ხარჯებში 70%-დან 30%-მდე შემცირდა. ბოლო პერიოდისათვის აშშ-ში ფედერალური ბიუჯეტიდან იმავე მიზნებით იხარჯება საერთო დანახარჯების 35%, ხოლო 60% - თვით კომპანიების სახსრების ხარჯზე, იაპონიაში კერძო ინვესტიციების წილი 80%-ია, დანარჩენი 20% ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. საფრანგეთში სკსსს-ზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მთელი დანახარჯების წილის 49,9%-ია, ხოლო დანარჩენი 50.1% კერძო კომპანიებზე მოდის.

საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი სირთულეების გამოსწორებასა და ეკონომიკის სტრუქტურული პროცესის დაჩქარებაში საინვესტიციო გარემოს პირობების გაუმჯობესებამ უმნიშვნელოვანესი როლი უნდა ითამაშოს. სახელმწიფო პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს საინვესტიციო პოლიტიკის მეცნიერული დამუშავება, საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირების ღონისძიებების განსაზღვრისა და დაჩქარების პროცესისათვის ხელის შეწყობა, ეკონომიკაში დაბანდებული სახსრების უკუგების ზრდის საფუძველზე ინვესტირების საგარეო და საშინაო წყაროების ოპტიმალური შეთანაწყობა, ქვეყნის შიდა რეზერვების ამოქმედების მეშვეობით საგარეო ვალის მოცულობის მკვეთრად შემცირება, მრეწველობის განვითარებაზე ადგილობრივ სპეციალური პროგრამების შემუშავება, ინვესტიციების მოსაზიდად და განსახორციელებლად ხელსაყრელი ფაქტორების შექმნა, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ. სხვა სიტყვებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემების საერთო კომპლექსში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უნდა დაეთმოს ინოვაციურ-ინვესტიციური ეფექტური პოტენციალის განვითარებისა და მისი სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის საკითხს, რამაც მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს ქვეყნის სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო, რაც, თავის მხრივ, უნდა გამოიხატოს ახალი ბიზნესების დაფუძნებაში, არსებული ბიზნესების გაფართოებასა და დივერსიფიკაციაში, მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარებაში, უცხოური ინვესტიციების ნაკადების გაზრდაში, მწარმოებლურობის დონის ამაღლებაში, და ქვეყნის პოზიციების გაუმჯობესებაში შესაბამის საერთაშორისო რეიტინგებსა თუ შეფასებებში.

კარგადაა ცნობილი, რომ გარდამავალი პერიოდის საბაზრო ცვლილებებმა დიდი ზიანი მიიყენა ქვეყნის მეცნიერულ-ინტელექტუალურ პოტენციალს. საქართველოს წონა მეცნიერული კვლევების სფეროში უპრეცედენტოდ დაბალია. ქართულ კომპანიებს, რომლებიც რთულ ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებიან, ჯერჯერობით არ ძალუძთ წარმოებაში სიახლების დანერგვა. მხოლოდ საწარმოთა მშენებლობა-ადგენის საქმეში პასიური ინვესტიციების განხორციელება კი წარმოების პროცესის წარმატებული ფუნქციონირების საშუალებას ვერ იძლევა. ეს პროცესები ვითარდება მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო მაღალტექნოლოგიური წარმოებით არის დაკავებული. ცნობილია, რომ იაპონიაში, აშშ-სა და სხვა მოწინავე ქვეყნებში ეროვნული შემოსავლის 85-90% მიიღება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე დაყრდნობით.

ინვესტიციურ-ინოვაციური პროცესების საფუძველს წარმოადგენს ინვესტიციური რესურსების მობილიზაცია და მათი მიმართვა წარმოების საშუალებათა შექმნაზე, შექმნასა და მოდერნიზაციაზე. ამ პროცესს შეუძლია მოიცვას სრული სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო ციკლი: სამეცნიერო კვლევები, საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოები, მოქმედი წარმოების გაფართოება ან რეკონსტრუქცია, ახალი საწარმოს ორგანიზაცია ან ახალი პროდუქციის გამოშვება, გაჯანსაღება და ა.შ.

ჩვენი თვალსაზრისით, ინვესტიციურ-ინოვაციური პროცესის განხილვა შეიძლება, როგორც ეკონომიკური ზრდისათვის დასახული მიზნების მიღწევის სტრატეგიის პროცესის რეალიზაცია მონაწილეთა ეკონომიკური ინტერესების შეთანხმებით.

აღსანიშნავია, რომ მთელ მსოფლიოში, ინოვაციური ეკონომიკის პირობებში, ინვესტიციური საქმიანობის რეგულირების ეკონომიკური, ნორმატიულ-სამართლებრივი და ორგანიზაციული ფორმები, მეთოდები და ინსტრუმენტები მრავალფეროვნებით ხასიათდება. თუმცა შეიძლება მათი დაყოფა პირდაპირი და ირიბი რეგულირების მეთოდებად.

ინოვაციური საქმიანობის პირდაპირი სახელმწიფო რეგულირების მეთოდები რეალიზდება ბიუჯეტური სახსრებით დროის კონკრეტულ მონაკვეთში დასახული პრიორიტეტული მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე. აქ სახელმწიფო გვევლინება მეცნიერული კვლევებისა და დამუშავებების სპონსორად, იგი აფინანსებს ინოვაციურ პროექტებს, იყენებს სიახლეთა მხარდაჭერის მიზნობრივ პროგრამებს და ქმნის სპეციალურ ფონდებს, რომლებიც გასცემენ კრედიტებს და სახსრებს დაბრუნების გარეშე.

ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ირიბი მეთოდები გამოიხატება მეწარმეობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნასა და კერძო ინვესტიციების მოზიდვაში ინოვაცი-

ური მიმართულებით. ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ასეთ მეთოდად გვევლინება ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისათვის გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესება.

2016 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა „იუნესკოს“ ექსპერტების მოხსენება მეცნიერების შესახებ: „2030 წლისაკენ მავალ გზაზე“. ამ მოხსენებაში აღნიშნულია ძირითადი მსოფლიო გრძელვადიანი ტენდენციები. მათ შორის მთავარი ისაა, რომ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება ინვესტიციები მეცნიერებაში და ბოლო, დაახლოებით, 7-8 წლის განმავლობაში მან შეადგინა 31-32%. როგორც აღმოჩნდა, სამეცნიერო ინვესტიციებზე დანახარჯების მხრივ ძალიან სწრაფად ზრდიან თავის მაჩვენებელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები – 29-დან - 37%-მდე, ასევე ბრაზილია, ინდოეთი, თურქეთი. მეცნიერებაზე მსოფლიო დანახარჯების 1/3 აშშ-ზე მოდის, 1/5 – ჩინეთზე, 1/10 – იაპონიაზე (პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ლიდერობს რუსეთი – 1.7%-ით).

ევროკავშირის მიერ შემუშავებული სტრატეგიის „ეროპა 2020“-ის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, 2014 წლის 17 ივნისს საქართველოს მთავრობამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – „საქართველო 2020“ დაამტკიცა.

ცხრილი 1 იძლევა წარმოდგენას, თუ რამდენად წარმატებულად შეიძლება განვითარდეს ინოვაციები და ტექნოლოგიები „საქართველო 2020“-ის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში.

ცხრილი 1

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება საქართველოში 2013-2020 წლებში

მაჩვენებელი	2013	2017	2020
საქართველოს პოზიცია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინდექსში (KEI)	68	55	45
საქართველოს პოზიცია გლობალური ინოვაციების ინდექსში (GI)	73	65	60
ფაქტორების მთლიანი მწარმოებლურობა (TFP), ყოველწლიური (%)	2.70	3.00	3.20
ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსი (ICI)	44	40	36
გლობალური ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდექსი (ITI)	65	58	50

საქართველოსათვის უადრესად მნიშვნელოვანია, შეისწავლოს და პრაქტიკულად გამოიყენოს იმ ქვეყნების გამოცდილება, მათ შორის, რა თქმა უნდა, ევროკავშირის წევრების, რომლებიც თავიანთი განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად თვლიან ინოვაციურ-ინვესტიციურ საქმიანობას. სამეცნიერო-ინოვაციური პროცესების გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოთა ინოვაციურ-ინვესტიციური პოლიტიკა უნდა არეგულირებდეს ინტელექტუალური შრომის რესურსული პოტენციალის განვითარების პროცესს ცოდნის პრიორიტეტული განვითარების სტიმულირების, მაკროტექნოლოგიების შექმნის, კონკურენტუნარიანი მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოების, სოციალურად ორიენტირებული ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისათვის წინაპირობების და საკანონმდებლო მექანიზმების შექმნის გზით. საქართველოს სახელმწიფო ინოვაციურ-ინვესტიციური პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ეკონომიკის რეალურ და მომსახურების სფეროში ინოვაციებზე დაყრდნობილი ინვესტიციების ზრდისათვის საჭირო პირობების შექმნა და ხელშეწყობა. გონივრულად ორგანიზებული ინოვაციურ-ინვესტიციური პოლიტიკა უნდა გახდეს ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის და ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციის ძირითადი ინსტრუმენტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ბურდული ვ. საქართველოს ეროვნული ინოვაციური სისტემის თანამედროვე მდგომარეობა და მისი ფორმირების პრიორიტეტები. საერთაშორისო ქ „ეკონომისტი“ ტ. XII, 2017(1).
2. <http://www.vestifinance.ru/articles/84648> IT-системы станут объектами ГЧП и концессий.
3. <http://strategyjournal.ru/partners-news/perspektivy-dlya-gchp/> Перспективы для ГЧП.
4. <http://sovman.ru/article/6406/> Государственно-частное партнерство на основе проектного подхода.
5. <http://novainfo.ru/article/11116/pdf> ГОСУДАРСТВЕННО-ЧАСТНОЕ ПАРТНЕРСТВО КАК ОБЪЕКТ ПУБЛИЧНОЙ ПОЛИТИКИ. Туровский Александр Алексеевич.
6. <http://eee-region.ru/article/4833/> Проекты государственно-частного партнерства в России и в зарубежных странах.
7. <https://articlekz.com/article/13408> Развитие государственно-частного партнерства в инновационной сфере: международный опыт.
8. <https://monographies.ru/en/book/section?id=11641> Государственно-частное партнерство в инновационной сфере.
9. https://zakon.ru/blog/2013/10/23/gosudarstvennochastnoe_partnyorstvo. Государственно-частное партнёрство – новые возможности при реализации инновационных проектов.
10. <http://vestnik.uapa.ru/ru/issue/2016/01/8/> Государственно-частное партнерство в инновационной сфере как основа консолидированного управления современной экономикой. Гусев В.В. , Гусева Я.В.

11. http://ru.theglobaleconomy.com/Georgia/Health_spending_as_percent_of_GDP/.
12. <http://www.vestifinance.ru/articles/66544?page=1>Топ-10 стран по объему иностранных инвестиций.

Nunu Kistauri

THE SIGNIFICANCE OF DEVELOPMENT OF INNOVATIVE-INVESTMENT POLICY IN GEORGIA

Summary

For the development of country's economy is the most important role belongs to the formation of innovative-investment process. To stimulate innovative-investment activity is better to be implemented by the state. The experience of economically successful countries, who have achieved sustainable economic growth due to intensification of innovative activities and are presented in the world market in the form of innovative products, technologies and services, shows that the rates of development is determined by means of the of innovative activity organization and its supporting methods. To do this, one of the effective mechanisms is Public-Private Partnership Institute (“PPP”), “PPP” in the innovative field is institutional and organizational alliance between business and the state (state scientific organizations, scientific educational organizations, private businesses) to implement the innovative projects.

“Public-Private Partnership” programs are popular almost in all economically successful countries, and this interest is reflected in their budget, legislation, development programs.

International experience shows that when realizing the “public-private partnership” programs many governments have set up a special body to coordinate actions of various state agencies, which are involved in the project development and the realization actions.

In Germany, as one of the leading European countries the realization of “public-private partnership” programs of scientific research in the field has begun since 1979, resulting in the

budget share in “PPP” costs reduced from 70% to 30%. In the US, for the last time, 35% of the total expenditure of the federal budget and 60% of the company's funds is spent on the same goals, private investments in Japan are 80% and the rest 20% is funded by the state. In France, the share of state expenditure on the “PPP” is 49,9% of the total expenditure and the remaining 50.1% comes to private companies.

In the improvement of the challenges created in the Georgian economy and accelerating the structural process of the economy an important role must play the improvement investment environment. State priority should be the scientific process of investment policy, promotion of the process of defining the measures of stimulating and acceleration investment activities.

It is of utmost importance for Georgia to study and practice the experiences of those countries, including, of course, EU members, who consider innovative-investing activities as the priority direction for their development.

მზია შელია

თაობათაშორისი ტრანსფერტის საკითხის კვლევა საქართველოში

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია საქართველოში მაკრო და მიკროდონეზე თაობათაშორისი ტრანსფერტების კვლევის აქტუალობის საკითხი. გაანალიზებულია კვლევათა ფრაგმენტულობის მიზეზები. სოციოლოგიური კვლევის მეთოდით შესწავლილია ოჯახში თაობათაშორისი ტრანსფერტების მიმართულებები, ფორმა და ხასიათი.

საკვანძო სიტყვები: მოსახლეობა, დაბერება, ტრანსფერტი, თაობათაშორისი ურთიერთობა

ბოლო ორი საუკუნეა რესურსების განაწილება-გადანაწილების საკითხი სამეცნიერო წრეების მუდმივი ყურადღების საგანია. თუმცა მოსახლეობის დემოგრაფიულ განვითარებაში მიმდინარე ცვლილებებმა, კერძოდ, მოსახლეობის ინტენსიური დაბერების პროცესმა ეს საკითხი როგორც მაკრო, ისე მიკროდონეზეც აქტუალური გახადა.

ცნობილია, რომ მოსახლეობის დაბერება ასაკობრივი სტრუქტურის ევოლუციის შედეგია და ხანდაზმული და მოხუცი ადამიანების წილის მუდმივ ზრდას გულისხმობს. ამ კონტინგენტის ზრდა კი ცვლის მოხმარების სიდიდეს და შრომით შემოსავლებს. ითვლება, რომ პენსიონერი მოსახლეობა უფრო მომხმარებელია, ვიდრე მწარმოებელი. ამიტომ, თუ ადრე, დემოგრაფიულად ახალგაზრდა საზოგადოებაში თაობათაშორისი ტრანსფერტების საკითხის განხილვისას ინტერესის ძირითადი საგანი იყო სახელმწიფო სოციალური ტრანსფერტი სოციალური დახმარების, საპენსიო უზრუნველყოფის სახით, ამჟამად ამის პარალელურად სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა თაობებს შორის ოჯახში ბიუჯეტისა და რესურსების განაწილება-გადანაწილების საკითხს.

თაობათაშორისი ტრანსფერტების შესწავლა მაკროდონეზე საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ, რამდენადაა დაბალანსებული საზოგადოების მოხმარება არსებული რესურსებით. როგორია პენსიონერთა უზრუნველყოფის პერსპექტივა. როგორ ხდება სიმდიდრის გადანაწილება თაობათაშორის მთელი სიცოცხლის მანძილზე. მიკრო დონეზე კი იგი განსაზღვრავს ოჯახის როლს სო-

ციალური დაცვის სისტემაში. რადგან ოჯახი, ჯერჯერობით, რჩება იმ ორგანიზაციად, რომელიც საზოგადოებისათვის ე.წ. „სოციალური კაპიტალის“ მიმწოდებელია, თაობათაშორისი ტრანსფერტის შესწავლა მიკროდონეზე გვიჩვენებს, როგორ ახდენს ოჯახი შემოსავლის გადანაწილებას თაობათა შორის მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

თაობათაშორისი ტრანსფერტები ოჯახში სხვადასხვა სახისაა. კერძოდ, განასხვავებენ ფინანსურ, მატერიალურ და ინსტრუმენტულ ტრანსფერტებს.

ფინანსური ტრანსფერტი ფულისა და სხვა ფინანსური აქტივების სახით (დაზღვევა, ობლიგაციები, აქციები და სხვ) გადაცემული თანხაა, მატერიალური კი ყოველდღიური ან ხანგრძლივი მოხმარების საგნების გაცვლას გულისხმობს, ხოლო ინსტრუმენტული თაობათაშორის დროის გადანაწილებას, სხვადასხვა მომსახურების გაწევას (მაგალითად, ავადმყოფის მოვლა). ყველა სახის ტრანსფერტი შეიძლება იყოს კერძო ან სოციალური, სახელმწიფო არხებით მიღებული.

მსოფლიო დემოგრაფიული პროცესების მკვეთრი ცვლილებების, კერძოდ, მოსახლეობის ინტენსიური დაბერების ფონზე მაკროდონეზე თაობათაშორის ურთიერთობისა და თაობათაშორისი ტრანსფერტების შესახებ მეცნიერული კვლევები, ძირითადად, 1960-იანი წლებიდან იწყება, მიკროდონეზე კი – 1990-იანი წლებიდან. კერძოდ, განიხილებოდა შემდეგი საკითხები:

- ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფო და კერძო ტრანსფერტებს შორის;
- ურთიერთდამოკიდებულება სოციალურ ტრანსფერტებს, დანაზოგებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის;
- მოსახლეობის დაბერების ფინანსური შედეგები;
- ტრანსფერტების გავლენა შემოსავლების გადანაწილებაზე და უთანასწორობაზე.

ამჟამად სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ისეთი საკითხის კვლევას, როგორიცაა დემოგრაფიული ფაქტორის გავლენა სოციალური ტრანსფერტების მიმართულებაზე, მის სიდიდეზე. ამას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სოლიდარული ურთიერთობები ოჯახსა და საზოგადოებაში. მიჩნეულია, რომ სოლიდარული ურთიერთობები ოჯახსა და საზოგადოებაში სოციალური ევოლუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ფუნქციონალური სოლიდარობა კი გამოიხატება უფასო სიკეთისა და მომსახურების გაწევას, ოჯახის წევრთა ურთიერთდახმარების ინტენსიურობით. ამის ხელშემწყობელი მიზეზი კი შეიძლება იყოს ისეთი დემოგრაფიული პროცესები, როგორიცაა განქორწინების რიცხვის ზრდა, ხელმეორე ქორწინებათა მატება, დაურეგისტრირებელ ქორწინებათა გაზრდა. მიგრაციული პროცესების ინტენსიურობის ზრდის გამო თაობათაშორისი ტრანსფერტები სულ უფრო ხშირად ხორციელდება მეგობრულ და მეზობლურ ურთიერთობათა ხარჯზე [Tukhashvili M., Shelia M., 2012].

საქართველოში სოციალური ტრანსფერტების განაწილება, როგორც მაკრო, ისე მიკროდონეზე, მეცნიერულად ნაკლებადაა შესწავლილი. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი დისკუსია იმართება სოციალური დახმარებისა და პენსიის ოდენობის საკითხებზე და არა მათი ორგანიზაციის მეთოდებზე, პრინციპებზე, სოციალურ ეკონომიკურ შედეგებზე. ამის თაობაზე გადაწყვეტილებები პოლიტიკურ მოსაზრებებს უფრო ეყრდნობა, ვიდრე მეცნიერულად დასაბუთებულ ეკონომიკური ხასიათის დასკვნებს.

ტრანსფორმირებად საზოგადოებაში სოციალური დაცვის რეფორმის აუცილებლობამ ბევრჯერ დასვა საკითხი საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის მოდერნიზაციის შესახებ. განსაკუთრებით გააქტიურდა ამაზე მსჯელობა 2000-იანი წლების დასაწყისში. მიუხედავად ზოგიერთი მკვლევრის მცდელობისა (დ. ძნელაძე, გ. ძნელაძე, დ. ვეკუა, მ.შელია და სხვ.), იგი, ძირითადად, ადმინისტრაციული მსჯელობის სფეროს ვერ გასცდა. მაკროდონეზე ამ საკითხის მეცნიერული კვლევის შედარებით გააქტიურება შეიმჩნევა 2013 წლიდან. შესაბამისად ჩნდება პუბლიკაციები სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფის სრულყოფაზე (ი. არჩვაძე, მ. ჭიპაშვილი, გ. გიგუაშვილი, ნ. გელიტაშვილი და სხვები).

რაც შეეხება საოჯახო ბიუჯეტის საკითხებს, 1970-იან წლებში საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ ჩატარებული შერჩევითი კვლევის საფუძველზე აკად. პ. გუგუშვილი გვთავაზობს ოჯახის ხარჯების ანალიზს. თუმცა თაობათაშორისი ტრანსფერტთა გადანაწილებას ის არ ეხება [პ. გუგუშვილი, 1990]. ეს საკითხი ყურადღების ქვეშ მხოლოდ 2008-2009 წლებში მოექცა, როცა საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში საქართველოში ჩატარდა მასშტაბური კვლევა, „Generation & Gender Survey in Georgia“. სამწუხაროდ, არსებული პროგრამის ფარგლებში კვლევის მესამე ტალღა აღარ ჩატარებულა. მეორე ტალღის მასალა კი შემცირებული მასშტაბით გამოქვეყნდა. ამ კვლევის ფარგლებში დამატებითი ინფორმაციის მისაღებად კი უამრავი ბიუროკრატიული ბარიერის გადალახვაა საჭირო, რაც ართულებს საკითხის სიღრმისეულ კვლევას და, შესაბამისად, კომპლექსური დასკვნების გაკეთებას. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შინამეურნეობათა კვლევის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნეს ის კითხვებიც, რომელიც წარმოდგენას მოგვცემდა ოჯახში თაობათაშორისი ფინანსური თუ მატერიალური რესურსების გადანაწილებაზე. ეს კი სოციალური დახმარების სისტემას უფრო მოქნილს და მისამართულს გახდიდა.

თაობათაშორისი ტრანსფერტების ანალიზისას გამოიყენება როგორც დემოგრაფიული, ისე ეკონომიკური და სოციოლოგიური მიდგომები. კვლევისას იყენებენ როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდებს. თუმცა რაოდენობრივი მეთოდი მხოლოდ ფინანსური და მატერიალური ტრანსფერტების შეფასების საშუალებას იძლევა, ხოლო თვისებრივი მეთოდით ვერ ვლინდება კერძო ტრანსფერტების მასშტაბი.

ჩვენ შევეცადეთ თაობათაშორისი ტრანსფერტები ოჯახში შეგვესწავლა სოციოლოგიური კვლევის მეთოდით. კვლევა ჩატარდა 2013-2014 წწ. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ. იგი ითვალისწინებდა პოსტსაბჭოთა პერიოდში ოჯახში არსებული ურთიერთობების ტრანსფორმაციის შესწავლას. გათვალისწინებულ იქნა თაობათაშორისი ურთიერთობის, თაობათაშორისი ტრანსფერტების საკითხის გამოკვლევა. შემთხვევითი შერჩევის წესით გამოიკითხა 2012 რესპონდენტი. შერჩევა მოხდა რესპონდენტთა სქესის, ასაკისა და განათლების მიხედვით.

კვლევით დადგინდა, რომ ტრანსფერტები უფრო მეტად მიმართულია უფროსიდან უმცროსი თაობისაკენ. უფროსი თაობის რესპონდენტთა 55% მატერიალურ და ფინანსურ დახმარებას უწევს უმცროსი თაობის წარმომადგენლებს, მაშინ, როცა შვილთა თაობიდან ყოველი მეოთხე ახერხებს ამას. მშობელთაგან 22%, შვილების 31% აღნიშნავენ, რომ მხოლოდ მორალურ დახმარებას ახერხებენ. ყველანაირად ეხმარება უფროსი თაობის რესპონდენტთა 4,3%, უმცროსი თაობის რესპონდენტთა 2,6%. ვერანაირად ვერ ეხმარება შვილებს უფროსი თაობის რესპონდენტთა 15%, უმცროსი თაობის რესპონდენტთა 32,2%. აღმოჩნდა, რომ მამაკაცები უფრო ფინანსურად და მატერიალურად ეხმარებიან მშობლებს, ხოლო ქალები – მორალურად. ეს აიხსნება იმითაც, რომ საქართველოში ქალთა საშუალო ხელფასი მამაკაცთა საშუალო ხელფასის მხოლოდ ორი მესამედია. გამოვლინდა, რომ რაც მეტია განათლების დონე, მით მეტია ფინანსური დახმარების სიდიდე. დადგინდა, რომ ფინანსური ტრანსფერტი ოჯახის საშუალოთვიური შემოსავლის 16,2%-ია. თუმცა მშობელთა მხრიდან ის მათი ოჯახის საშუალოთვიური შემოსავლის 21%-ია, შვილებისგან კი – 12%. რესპონდენტთა 70% (როგორც შვილები, ისე მშობლები) ტრანსფერტებს რეგულარულად იღებენ, უმეტესწილად, ყოველთვიურად. ტრანსფერტების მოტივაცია წმინდა ალტრუისტული ხასიათისაა. ხანდაზმულთა რიცხოვნობის ზრდას ქვეყანაში თვით ეკონომიკური კრიზისის პირობებშიც კი არ შეურყევია საუკუნეების განმავლობაში ფორმირებული სოლიდარული ურთიერთობები თაობათაშორის [Shelia, M., 2014]. ამ ფონზე, ბუნებრივია, ჩვენთვის საინტერესო იყო შეგვესწავლა ტრანსფერტები შვილიშვილებსა და ბებია-ბაბუებს შორის. აღმოჩნდა, რომ შვილიშვილი რესპონდენტების დახმარება უმეტესწილად მორალური და ფიზიკური ხასიათისაა (54%), მაშინ, როცა ბებია-ბაბუების მხრიდან ისინი უმეტესად იღებენ ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას (53%). ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს 32,7% და ვერავითარ დახმარებას ვერ იღებს 28,4%. შვილიშვილი რესპონდენტებისგან მხოლოდ 13% ეხმარება ფინანსურად და მატერიალურად ბებია-ბაბუებს. რესპონდენტთა 70% აცხადებს, რომ როგორც გაწეული, ისე მიღებული დახმარება რეგულარულია, უმეტესად ყოველთვიური. რაოდენობრივად ის ძალიან მცირეა, თუმცა ბებია-ბაბუების მიერ გაწეული დახმარების სიდიდე ორჯერ მეტია შვილიშვილებისგან გაწეულ დახმარებაზე. დადგინდა ისიც, რომ ბებია-ბაბუების მიერ გაწეული ფინანსური და მატერიალური დახმარება არაა განსხვავებული არც გენდერულ ჭრილში და არც განათლების მიხედვით. ეს უკანასკნელი გასაკვირიც არაა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ საქონისო ასაკის მოსახლეობის განათლების პოტენციალი საქართველოში მაღალია, ფიქსირებული სახით მიღებული მიზერული რაოდენობის პენსია განათლების დონის მიხედვით ტრანსფერტთა დიფერენციაციის საშუალებას არ იძლევა.

საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ ოჯახი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოხუცთა უსაფრთხოებაში, ის მათი მორალური საყრდენია, რაც აძლიერებს მათ ფსიქო-ფიზიოლოგიურ წონასწორობას და მოხუცთა ორ მესამედს იცავს სოციალური სიკვდილისაგან. მართალია, ფინანსური ტრანსფერტის სიდიდე მცირეა (ზრდასრული შვილებისგან მიღებული ტრანსფერტის საშუალო სიდიდე სახელმწიფო პენსიის 60%, ხოლო შვილიშვილებისგან მიღებულისა 39%-ია), მაგრამ, ტრანსფერტების რეგულარული ხასიათის გამო, ისინი ავსებენ მოხუცთათვის საჭირო სამომხმარებლო მინიმუმს და არ აქვეითებს მათ სიცოცხლისუნარიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩვაძე. არჩვაძე ნ., (2013). მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება და საპენსიო სისტემის ოპტიმიზაციის პრობლემები. თბილისი. მერიდიანი.
2. გუგუშვილი პ., (1990). ოჯახის ეკონომიკის საკითხები. წიგნში: სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემები. თბილისი, მეცნიერება, გვ. 47-69.
3. გიგუაშვილილ გ., (2014). სოციალური დაცვის ეროვნული სისტემის პრიორიტეტები. სამეცნიერო შრომების კრებული/გორის სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი, 6. გვ. 76-80.

4. გელიტაშვილი ნ., (2009). სოციალური დაცვის მოდელები ევროკავშირის ქვეყნებში. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი. თბილისი, №3. გვ. 53-62.
5. ვეკუა დ., (2003). სოციალური დაცვის სისტემის რეფორმა და საქართველოში მისი განხორციელების პერსპექტივები. თბილისი. ფინანსები.
6. ვეკუა დ., (2008). სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მაკროეკონომიკური რეგულირება საქართველოში. სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი, ტ. I, გვ. 196-202.
7. მენაბდიშვილი ლ., (2014). ოჯახის ფორმირების პრობლემები. კრებულში: დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.
8. მენაბდიშვილი ნ., (2014). მეუღლეთა ურთიერთობები და მოვალეობათა განაწილება თანამედროვე ოჯახში. კრებულში: დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.
9. ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთდამოკიდებულება საქართველოში. (2010). გამოკვლევის მე-2 ტაღის ანგარიში. მოსახლეობის კვლევის ეროვნული ცენტრი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი. თბილისი.
10. სულაბერიძე ა., (2007). ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე. თბილისი
11. შელია მ. (1999). მოსახლეობის დაბერება საქართველოში. თბილისი.
12. შელია მ., (2013). ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში (სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები). უნივერსალი. თბილისი.
13. ძნელაძე დ., (2000). სოციალური დაცვა და დაზღვევა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოში. თბილისი.
14. ძნელაძე გ., (2007). საპენსიო რეფორმა საქართველოში -წინამძღვრები, პრობლემები და პერსპექტივები. ბიულეტენი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი. №103. გვ. 37-56.
15. ჭიპაშვილი მ., (2010). სოციალური დაცვის სისტემა საქართველოში რეფორმამდე და რეფორმის შემდგომ. ჟ. ეკონომიკა. თეუსუ. თბილისი, №3(11), გვ. 59-76.
16. Shelia M., (2014). Intergenerational Family Relationships Against the Background of Intensive Aging in Georgia. Social sciences and humanities review 03(03): 431-437.
17. Tukhashvili M, Shelia M., (2012). The impact of labor emigration on the demographic and economic development of Georgia in the post-Soviet period. <http://cadmus.eui.eu/handle/1814/24872>.

Mzia Shelia

STUDY OF THE ISSUE OF INTERGENERATIONAL TRANSFERS IN GEORGIA

Summary

The study of the issue of intergenerational transfers at a macro level in Georgia has begun mainly since 1970s. Its need was caused by considerable demographic changes, in particular, the demographic aging occurring in the population of Georgia. In that period, the country had already become demographically aged, with the share of its inhabitants aged 60 and over amounting to 12,5%. In the post-Soviet period, the process of study of this issue became more active, especially after the year 2000. The system of social protection established during the period of demographic growth required modernization under the conditions of market economy. Respectively, the issue of pension age was actively discussed as it was planned to move from the solidarity (distributive) pension system to the cumulative pension system; however, no large-scale scientific research of this issue was performed. Recommendations with respect to changes to the system of pension provision were drafted based only on the experience of certain individual countries.

As regards the study of the issue at a macro level, respective attempts were made later on, in 2007-2009. In particular, the international project Generation & Gender Survey in Georgia considered studying intergenerational transfers, although, only a small part of the study material was published that did not allow drawing in-depth conclusions. Therefore, in the framework of the study conducted by the Institute of Demography and Sociology of Georgia in 2013-2014, we made an effort to examine the issue of transformation of relationships within the family in the post-Soviet period. Results of the study of the issues of intergenerational relations and intergenerational transfers were also taken into consideration. 2012 respondents were surveyed by random selection. When selecting the respondents, their gender, age and educational background were taken into account. It was established that the transfers are altruistic in nature, with their main direction – from parents to children. Transfers between grandchildren and the elder were studied that led to the conclusion that regardless of scarce transfers, due to their regularity, the family manages to provide the elder with essential material conditions to help them retain vitality. In addition, as a sociological survey does not allow to precisely determine the volume of transfers, we consider it necessary to include respective questions in the survey of households undertaken by the National Office of Statistics. This will enable us to determine

the role of a family in the provision of pensioners that will render the social protection system more mobile and focused on the individuals who are in most need.

*მიხეილ ჩიკვილაძე
თამარ ათანელიშვილი
ნოდარ სილაგაძე*

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ისტორიული ასპექტები საქართველოში

საერთაშორისო გამოცდილებამ ცხადყო, რომ ბიუჯეტური სახსრების ხარჯვაზე ეფექტიანი ფინანსური კონტროლი ასტიმულირებს სახელმწიფო ფინანსების მიზნობრივად ხარჯვას და ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს. ფინანსური კონტროლის ინსტიტუტებს ხანგრძლივი ისტორია აქვთ. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1314 წელს ინგლისში შემოღებულ იქნა სახელმწიფო ხაზინის გენერალური კონტროლიორის თანამდებობა, 1319 წელს საფრანგეთში დაარსდა საანგარიშო პალატა. მერკანტილისტური პოლიტიკის გამტარებელი საფრანგეთში ჟ. კოლბერი 1665 წლიდან სახელმწიფო ფინანსების გენერალური კონტროლიორის თანამდებობაზე მუშაობდა. იგი ასევე იყო საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის დაარსების (1669) ერთ-ერთი ინიციატორი და წევრი.

ფინანსური კონტროლის ინსტიტუტს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს საქართველოშიც. ამჯერად შემოვიფარგლებით მისი მხოლოდ ბოლო პერიოდის ისტორიით, დაწყებული მეცხრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედიდან დღევანდელდღამდე. ამ ინსტიტუტის შექმნის საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში იმთავითვე დაისვა დღის წესრიგში. მაშინ სპეციალისტებს კარგად ესმოდათ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში არსებობდა (და ამჟამადაც არსებობს) განსხვავებული მიდგომები საჯარო ფინანსების მკონტროლებელი ორგანოს სტატუსის და ფუნქციების შესახებ. შემთხვევითი როდია ამ საკითხზე საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების (1918) შემდეგ ჩატარებული საინტერესო დისკუსიები. ცნობილ სპეციალისტთა ერთი ნაწილის (გ. ჟურული, ი. ლორთქიფანიძე, ნ. ელიავა, ბ. ვარაზაშვილი...) აზრით, ამ ინსტიტუტს უნდა გაეკონტროლებინა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები როგორც ზოგადად, ასევე ბიუჯეტურ ორგანიზაციებში. მათ კარგად ესმოდათ, რომ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში კონტროლის ინსტიტუტი მთავრობას ექვემდებარებოდა, მაგრამ ისინი მაინც უპირატესობას ანიჭებდნენ ამ ინსტიტუტის ანგარიშვალდებულებას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსადმი. ეს იმას ნიშნავდა, რომ სახელმწიფო კონტროლიორი პარლამენტს უნდა აერჩია და იგი არ უნდა შესულიყო მთავრობის შემადგენლობაში.

იმავედროულად, საკანონმდებლო ორგანოში დისკუსიის საგანი გახდა ასევე სახელმწიფო კონტროლიორის ფუნქციებიც. დისკუსიის მონაწილეთა ერთი ნაწილის შეხედულებით, ამ ინსტიტუტს, რუსეთის მსგავსად, არა პრევენციული, არამედ ფაქტობრივი კონტროლი უნდა განეხორციელებინა (ბ. ვარაზაშვილი...), სხვები (ი. ლორთქიფანიძე...) ასეთ მიდგომებს არ იზიარებდნენ. საბოლოოდ, დისკუსიები სახელმწიფო კონტროლიორის ინსტიტუტის შექმნით (1918) დასრულდა. დადგინდა, რომ: სახელმწიფო კონტროლიორი მთავრობის შემადგენლობაში არ უნდა შესულიყო, იგი უნდა აერჩია ეროვნულ საბჭოს; სახელმწიფო კონტროლიორის წარდგინებით, ეროვნული საბჭო დანიშნავდა მის მოადგილესაც; სახელმწიფო კონტროლის სხვა მუშაკებს თანამდებობებზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა სახელმწიფო კონტროლიორი; სახელმწიფო კონტროლიორს უნდა გაეწია ბიუჯეტური თანხების ხარჯვაზე კონტროლი (წინასწარი კონტროლი; ფაქტობრივი დანახარჯების რევიზია-კონტროლი), ბიუჯეტის შედგენაზე კონტროლიც მის კომპეტენციაში შედიოდა; სახელმწიფო კონტროლიორს ყოველწლიურად გაწეული მუშაობის ანგარიში უნდა წარედგინა საკანონმდებლო ორგანოში.

ამ ინსტიტუტისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების შედეგი იყო ისიც, რომ ქართულმა საკანონმდებლო ორგანომ პირველ სახელმწიფო კონტროლიორად აირჩია ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პროფესორი ფილიპე გოგიანიშვილი.

ამ პერიოდში ფინანსური კონტროლი ხორციელდებოდა ყველა ბიუჯეტურ დაწესებულებაში და, ასევე, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ საწარმოებში. კონტროლს მიღმა დარჩა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანო (!). ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა გაუმართლებელი იყო, რადგან საქმე ეხებოდა სოლიდურ ბიუჯეტურ თანხებს, რომელსაც იმდროინდელი საკანონმდებლო ორგანო ხარჯავდა.

მთლიანობაში, სახელმწიფო კონტროლი ამოქმედდა: დამტკიცდა სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა, რომელიც აღგენდა შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების წესებს, მათ შორის, პასუხისმგებელ პირებზე, რომელთა საქმეებიც ცალკეულ შემთხვევებში, შესასწავლად გადაეცემოდა სამართალდამცავ ორგანოებს... დადგენილი წესის მიხედვით, შემოწმების მასალები 5-

10 წელი (ცალკეულ შემთხვევებში მეტი ვადითაც) უნდა შენახულიყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ფუნქციონირების პერიოდში სახელმწიფო კონტროლის ორგანოს მიერ გაწეულ პროდუქტიულ სამუშაოებზე მეტყველებს საარქივო ფონდში დაცული არაერთი მასალა, რომელიც ადასტურებს ჩატარებული სამუშაოების მაღალ ხარისხს და სოლიდური ბიუჯეტური თანხების არამიზნობრივი ხარჯების თავიდან აცილებას როგორც სამთავრობო დაწესებულებებში, ასევე რკინიგზის სისტემაში და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ფინანსური კონტროლის ინსტიტუტის აუცილებლობა აისახა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციაში, რომლის მიხედვით, სახელმწიფო კონტროლს დაექვემდებარა (თავი 8. მუხლი: 91 და 92): სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულება – შემოსავალი და ხარჯები, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსები; სახელმწიფო კონტროლიორი უნდა აერჩია პარლამენტს, იგი ვერ იქნებოდა მთავრობის წევრი, მაგრამ ისარგებლებდა მინისტრის სტატუსით და ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე. სამწუხაროდ, ამ ინსტიტუტს მუშაობა დიდხანს არ დასცალდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ძალადობრივად დამყარების (1921) გამო. შემდგომ კონტროლის ორგანოები ყოფილი სსრ კავშირის მაკონტროლებელი ორგანოების შემადგენელი ნაწილი გახდა და ასე გაგრძელდა 1990-იანი წლების დასაწყისამდე – ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ადგილი ჰქონდა სრულყოფილი ფინანსური კონტროლის ორგანოს აღდგენის მცდელობას. საბოლოოდ, 1992 წლის დასაწყისში შეიქმნა საქართველოს კონტროლის პალატა (პირველი თავმჯდომარე, პროფესორი ათანდილ სილაგაძე). იგი 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის სამართალმემკვიდრე გახდა. მისი სტატუსი აისახა დამოუკიდებელი ქვეყნის კონსტიტუციაშიც. იმავე 1992 წლის ნოემბერში საქართველოს კონტროლის პალატა გახდა ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI, დაარსდა 1953 წ.) წევრი. ეს უკანასკნელი არის ავტონომიური, დამოუკიდებელი, არაპოლიტიკური არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის სრული წევრია 194 (ასოცირებული წევრი - 5) ქვეყნის მაკონტროლებელი ორგანო.

შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის დეფიციტის პირობებში ახლად დაარსებულ კონტროლის პალატას იმთავითვე ურთულესი სამუშაოების შესრულება მოუხდა, რამდენადაც ქვეყანაში მძვინვარებდა მწვავე კონფლიქტები, ეკონომიკის მასშტაბების არნახული დაცემა, ჰიპერინფლაცია, სიდუხჭირე, გამოუცდელი საბაზრო ეკონომიკის მშენებლობაში და ა.შ. მიუხედავად სირთულეებისა, კონტროლის პალატამ იმთავითვე მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა, საქმიანი რეკონსტრუქცია დაიკვიდრა და მილიონობით თანხა დაუხოვა სახელმწიფო ბიუჯეტს. შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა კონტროლის პალატის შესაფერისი სამართლებრივი ბაზის უზრუნველსაყოფად. საქართველოს და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონები “საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ” (1993; 1997). მათ საფუძველზე, საქართველოს კონტროლის პალატამ გარკვეულწილად შეინარჩუნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სახელმწიფო კონტროლიორის ზოგიერთი ფუნქცია, მაგრამ არა – სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენაზე კონტროლის ფუნქცია. მის ფუნქციებში ასევე შევიდა საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების ფინანსების კონტროლი და სხვ. ამასთან, კანონის (1997) მე-8 თავის მიხედვით, კონტროლის პალატა უფლებამოსილი იყო, კოორდინაცია გაეწია სახელმწიფო ფინანსურ-ეკონომიკური კონტროლის სხვა ორგანოების საქმიანობაზე (მუხლი 66 და 67).

1995 წლის საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, კონტროლის პალატა ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციაა. კონსტიტუციის მე-6 თავის – „სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი“ – მიხედვით: საჯარო სახსრების ხარჯვას პარლამენტი აკონტროლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მეშვეობით (მუხლი 92); საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი უფლებამოსილია, აგრეთვე შეამოწმოს ფინანსური კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები (მუხლი 97).

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორს 5 წლის ვადით, პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი (მუხლი 97); წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი ანგარიშისა და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ თავისი საქმიანობის ანგარიშს. (მუხლი 97).

2009 წელს ამოქმედებული კანონმდებლობით, არსებითად შეიცვალა კონტროლის პალატის ფუნქციები. კერძოდ, თუ მანამდე მოქმედი კანონმდებლობით კონტროლის პალატა „კონტროლის განმასხვრციელებელი“ ორგანო იყო, ცვლილებების შედეგად, კანონმდებლობამ მას ახალი მანდატი განუსაზღვრა – საჯარო სექტორის აუდიტი და საჯარო დაწესებულებების ექსპერტული მომსახ-

ურება; მისი უფლებამოსილება გავრცელდა ყველა იმ დაწესებულებაზე, რომელიც იყენებს საჯარო სიკეთესა და რესურსებს, მათ შორის უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო დაწესებულება; მისმა აუდიტორულმა საქმიანობამ მოიცვა: ფინანსური აუდიტი, შესაბამისობის აუდიტი და ეფექტიანობის აუდიტი.

სახელმწიფო კონტროლის სისტემამ კიდევ ერთი მოდიფიცირება განიცადა. საქართველოს კანონით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ (22.06.2012.), რომლის საფუძველზე სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამონაცვლეა და უფლებამოსილია: მოახდინოს ექსპერტიზა და გასცეს დასკვნები ფინანსურ-ეკონომიკური სფეროების მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებზე; განახორციელოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი; ჩაატაროს არაგეგმური ფინანსური ან/და შესაბამისობის აუდიტი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის, საპარლამენტო უმცირესობის ან/და იმ ფრაქციის მიმართვის საფუძველზე, რომელიც არ არის გაერთიანებული საპარლამენტო უმრავლესობაში და სხვ.

ქვეყნის ეკონომიკური პროგრესი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული „სახელმწიფო აუდიტის“ გამართულ საქმიანობაზე. სამწუხაროდ, ბიზნესსაქმიანობაში მთავრობის უხეში ჩარევები ქმნის არასტაბილურ ფონს და აფერხებს ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას. სამწუხაროდ, 2012 წლამდე მმართველი ელიტის მიერ ადგილი ჰქონდა „მაკონტროლებლების“ მასობრივად, პოლიტიკური მიზნებით გამოყენებას, რაც გამოიხატა საარჩევნო კამპანიის წინა პერიოდში პოლიტიკური ოპონენტების მიმართ დაუსაბუთებელი მრავალმილიონიანი სანქციების გამოყენებაში. ბოლო წლებში ასეთი ტენდენციები შეწყდა.

მთლიანობაში, საქართველოში სახელმწიფო ფინანსების მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციონირებას სულ მცირე საუკუნოვანი ისტორია აქვს: საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921) ჯერ კიდევ 1918 წელს შეიქმნა სახელმწიფო კონტროლიორის ინსტიტუტი, რომელმაც 1921 წლამდე იარსება; მისი ფუნქციონირება აღდგა პოსტსაბჭოურ საქართველოში; მიმდინარე ეტაპზე სახელმწიფო აუდიტის საქმიანობა მნიშვნელოვანი ხელშეწყობი პროდუქტიული ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკური პროგრესისთვის და მისი სამართლებრივი ბაზა ძირითადად პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ათანელიშვილი თ., 2006. ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921). თბილისი, თბილ. უნ-ტის გამ-ბა.
2. გოგიანიშვილი ფ., 1993. წერილები, მოგონებები. თბილისი, თბილ. უნ-ტის გამ-ბა.
3. კანდელაკი კ., 1935, 1960. საქართველოს ეროვნული ეკონომიკა. წიგნი: 1 და 2. პარიზი.
4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული: 1918-1921.1990. თბილისი.
5. Atanelishvili, T., Chikviladze, M., Silagadze N., 2016. About State Financial Control. Vol.6, №1.
6. Silagadze, A., 2013. Priorities for the Economy of Postcommunist Georgia in the Context of the World Financial Crisis. J. Problems of Economic Transition (USA). Issue: Volume 56, Number 8 / December, pp. 3–16.
7. Silagadze, A., Atanelishvili, T., 2010. Aspects of economic doctrines in Georgia. Peninsula University of Technology, Business and Informatics. San Francisco.
8. Silagadze, A., 2010. Economic Doctrines. Georgian National Academy of Sciences, "Innovation", Tbilisi.
9. Silagadze, A., Atanelishvili, T., 2010. Modern state finances of Georgia. International Academy of Sciences, Education, Industry and Arts. San Francisco.
10. Silagadze, A., Atanelishvili, T., 2004. Economist Scholars – Doctors of Economic Sciences in Georgia." News", Tbilisi.
11. Kharitonashvili, J., 1997. Retrospective of Economic Doctrines and Modern Problems. Book 1-2. Tbilisi.
12. Шегурова, В.П., Желтова, М.Ф., Огарева, Н.П., 2013. Зарубежный опыт организации государственного финансового контроля. с. 209-2012. Ж. Молодой учёный. № 1 (48) / Москва. file:///C:/Users/admin/Downloads/moluch_48_ch1.pdf .
13. ინტერნეტ-მასალები: <http://www.intosai.org/about-us.html>; file:///C:/Users/admin/Downloads/const_1921.pdf; <http://constcommission.parliament.ge/1921>; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/658>; <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>; http://mof.ge/show_law.aspx?id=255; http://sao.ge/files/kanonmdebloba/saxelmcifo-auditis-samsaxuris-shesaxeb-saqartvelos-kanoni_GEO.pdf 30.04.2017.

HISTORICAL ASPECTS OF STATE FINANCIAL CONTROL IN GEORGIA Summary

This article covers some aspects of establishment and functioning of the financial control body. In particular, the following issues are discussed: Short-term experience in functioning of the “State Controller” in the Democratic Republic of Georgia (1918-1921); some aspects of the Chamber of Control and its successor State Audit Office in post-Soviet period. According to the findings of the research, at the first stage, the independent control institute could not function fully due to forceful “sovietization” of Georgia; the scopes of activities of the Control Institute which began functioning in the beginning of the 1990s has systematically been expanding and it is integrated with international profiling organizations; recently, this Institute has undergone reforms which led to the establishment of the State Audit Office with reformed functions. Its legal base mainly meets modern requirements and the “Institute” is an important supporting factor for the economic development of the country.

თინა ჩხვილაძე
ქეთევან ქველიაძე

ინოვაციური განვითარების პორტუგალიის მაგალითი

*პორტუგალიის მიერ ინოვაციური განვითარებისათვის აღებული
კურსი და მიღებული შედეგი მიუთითებს ქვეყნის ნაციონალური
სტრატეგიის სისწორეზე. ქვეყნისა, სადაც 40 წლის წინათ მო-
სახლეობის 80% ნაკლებად განათლებული იყო [7].*

ანოტაცია. სტატიაში განხილულია პორტუგალიის, როგორც ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა.

პორტუგალია არ ფლობს მაღალტექნოლოგიურ კომპონენტებს, მაგრამ ლიდერია ახალი ტექნოლოგიების დანერგვა-გავრცელებაში. საკმაოდ მაღალი დანახარჯები აქვს ინტერნეტის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, რესტრუქტურზაცია, ეკონომიკური პოლიტიკა, კონკურენტუნარიანობა, საგარეო კრედიტორები.

შესავალი

თანამედროვე სამყაროში ნაციონალური კეთილდღეობის ძირითადი ფაქტორი, როგორც ჩანს, არის ინოვაციური აქტივობა, რომელიც ხშირად განიხილება, როგორც ერის აყვავების უშუალო მიზეზი, რომელსაც უკავია ლიდერის პოზიცია მსოფლიო ეკონომიკაში. გლობალიზაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიის განვითარების ეპოქაში უპირატესობას იმსახურებს ის ქვეყანა, სადაც ინტელექტუალური პოტენციალი აქტიურად გამოიყენება სამეცნიერო კვლევის სფეროდან მეტი უკუყვების მიღების მიზნით.

როგორც გამოიკვეთა, მსოფლიო არენაზე ქვეყნის მდგომარეობა განისაზღვრება კონკურენტუნარიანობის მიხედვით, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ინოვაციურ სტრუქტურაზე.

სწორედ ინოვაციის სისტემა აძლევს შესაძლებლობას ქვეყანას, დაიკავოს გარკვეული ნიშა საერთაშორისო დამოკიდებულების სისტემაში.

საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამდღეობის საკითხი მწვავედ დგას პორტუგალიის³⁵ წინაშეც.

³⁵ პორტუგალია ევროპის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე სახელმწიფოა, პორტუგალიის სახელმწიფოს ფართობი უდრის 92,100 კვ. კმ, ხოლო მოსახლეობა 10,102 ათასი, მათ შორის პორტუგალიელები 99,4%-ია. უმაღლესი მწვერვალი – პონტადუიკო (აზორის კუნძულებზე სიმაღლე 2 351 მ ზღვის დონიდან.)

პორტუგალია განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. ევპ მოცულობით (109 მილიარდი დოლარი) მსოფლიოში 34-ე ადგილზეა. ევპ ერთ სულზე მოდის 11,01 დოლარი. სოფლის მეურნეობას უკავია 4%, მრეწველობას 36%, ხოლო მომსახურებას 60%. პოლიტიკური სისტემა-რესპუბლიკა; სახელმწიფო მეთაური – პრეზიდენტი ანიბალ კაკაუ სილვა; მთავრობის მეთაური – პრემიერ-მინისტრი; საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი პარლამენტი (230 წევრი). დედაქალაქი ლისაბონი. პორტუგალიის ეკონომიკა (2008 წლამდე) – ეკონომიკა მრავალდარგიანია: წამყვანია მომსახურების სფერო; ცუდი ეკონომიკური მაჩვენებლებით ხასიათდებოდა საგადასახადო სისტემა, პროდუქტიულობა, კონკურენტუნარიანობა, ზრდის დაბალი პერსპექტივით და სამაგიეროდ მაღალი ვალების დონით. ქვეყანა ძირითადად აწარმოებს ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, პორტეინსა და ღვინოს, თევზის კონსერვებს, მანქანათმშენებლობის ნაწილებს. პორტუგალიაში სუფთა საოჯახო შემოსავალი (მას შემდეგ როცა გადაიხდება ყველა აუცილებელი გადასახადი) არის 20 086

პორტუგალიის ინოვაციური სისტემა მიეკუთვნება ალტერნატიულ მოდელს.

ალტერნატიულ მოდელს მიმართავენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქვეყნები, რომლებიც არ ფლობენ მნიშვნელოვან პოტენციალს ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებებში და არც არიან რესურსებით მდიდარნი, რომლის გაყიდვით მაინც შეეძლოთ კონკურენტუნარიანობის გაზრდა.

ამ ქვეყნებმა ვერ შეძლეს მაღალტექნოლოგიური კომპონენტების გზით წინსვლა, ამიტომ გეზი აიღეს კადრების მომზადებისაკენ (ეკონომიკა, ფინანსები, შრომის სოციოლოგია და ფსიქოლოგია, რეკრეაცია). მიუხედავად ამისა, ბევრმა ამ ბლოკიდან ეკონომიკურ წარმატებას მიაღწია.

ალტერნატიულ მოდელს მიეკუთვნება ტაილანდის, ჩილეს, თურქეთის, იორდანის და პორტუგალიის ნაციონალური ინოვაციური სისტემები.

2005 წელს პორტუგალიის ინოვაციების დონე ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით იყო მე-18 ადგილზე. დანახარჯები 2003 წელს მშპ შეადგენდა მხოლოდ 0.52. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მოკრძალებული შედეგები ჰქონდათ განათლების ინოვაციებში, პორტუგალია დომინირებს ტექნოლოგიების დანერგვაში და გავრცელებაში. მცირე და საშუალო წარმოებებს, რომლებიც მუშაობენ ახალ ტექნოლოგიებთან, ნერგავენ ორგანიზაციულ ინოვაციებს, მათ შორის მენეჯმენტში. საკმაოდ მაღალი დანახარჯები აქვთ ინტერნეტის განვითარებაზე.

პორტუგალიაში ისევე, როგორც მრავალ სხვა ქვეყანაში, რომლებიც პირველად იყენებენ ინოვაციური განვითარების ალტერნატიულ მოდელს, მწვავედ დგას საკითხი ინოვაციური ბიზნესის მოპოვების გამომგონებელ ცენტრსა და მწარმოებელ კომპანიებს შორის – საკითხში, მიუხედავად იმისა, რომ მენურული დაფინანსება (ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით) სულ უფრო იზრდება და იზრდება. ინოვაციების მოცულობა ბიზნესის მხრივ არ მატულობს.

პორტუგალიამ, ირლანდიამ საბერძნეთმა, ესპანეთმა 2008-2010 წლებში მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად ვერ შესძლეს გარე ვალების მომსახურება და მძიმე რეცესიულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მხოლოდ 2013 წელს გამოვიდნენ ამ მდგომარეობიდან. ეს ქვეყნები ფლობენ სხვადასხვა სახალხო-სამეურნეო პოტენციალს, მათ ამ პრობლემების გადასაწყვეტად გამოიყენეს სხვადასხვა მაკროეკონომიკური მექანიზმები და საშუალებები. მიუხედავად ამისა, მათ აქვთ საერთო მნიშვნელოვანი ფართომასშტაბიანი გარე მხარდაჭერა, განპირობებული წაყენებული კონკრეტული პროგრამითა და მოთხოვნებით.

2010 წელს პორტუგალიის მთავრობამ მიიღო „კრიზისიდან გამოსვლის“ პროგრამა, რომელიც პირველ რიგში ითვალისწინებდა სახელმწიფო ხარჯების შემცირებასა და გადასახადების გაზრდას. პარლამენტმა არ მიიღო ეს პროგრამა, რის გამოც მთავრობა 2012 წელს გადადგა, რადგან სახელმწიფო ვალების რეფინანსირების შესაძლებლობა არ ჰქონდა. პორტუგალიის მთავრობამ მიმართა საგარეო კრედიტორებს. შედეგად, იმავე წელს ევროკავშირმა, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ბიუჯეტის გასაჯანსაღებლად და ეკონომიკის რეფორმის გასატარებლად პორტუგალიასთან ხელი მოაწერა სამწლიანი პროგრამის. გახსნეს 78 მილიარდიანი ევროს საკრედიტო ხაზი, რამაც გადაწყვეტი როლი ითამაშა ქვეყნის ფინანსური სფეროს სტაბილიზაციაში.

კრედიტორების მოთხოვნების შესაბამისად, მთავრობამ განახორციელა ხისტი რესტრუქციული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირების, გადასახადების ზრდის, სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციისა და შრომის ბაზრის ლიბერალიზაციისაკენ. გარდა ამისა, მათ შორის იყო თანამშრომელთა დათხოვნის შერბილებული რეჟიმი, განათლების სისტემის გაუმჯობესება. სპეციალური კომისია რეგულარულად ამოწმებდა პროგრამის შესრულებას და შემდგომ შეიმუშავებდა რეკომენდაციებს მომავალი ტრანშის გამოყოფაზე.

ხისტი ზომების მიღების შედეგად 2013 წელს პორტუგალიის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა მშპ 2,6%-ით, რომელიც უფრო მცირე იყო ვიდრე პროგრამით გათვალისწინებული. გაიზარდა სახელმწიფო უზრუნველყოფის საგარეო და საშინაო ფინანსირების შესაძლებლობა, 2014 წლის ბოლოსათვის არსებითად შემცირდა სახელმწიფო საპროცენტო ვადასახადი.

2014 წლის მაისში პორტუგალიამ ოფიციალურად უარი თქვა სესხის კრედიტზე, რომელიც 2011 წელს მიიღო ევროკავშირისაგან დახმარების სახით. ის გახდა მეორე ქვეყანა ირლანდიის

დოლარი წელიწადში. ეს არის ნაკლები ვიდრე ევროკავშირის საშუალო დონე. მოსახლეობის დასაქმებულთა 61%-ს (15 წლიდან 64 წლამდე) აქვთ ხელფასიანი სამუშაო, რაც საერთო მაჩვენებელზე დაბალია (65%). 25-64 წლამდე ასაკის მოსახლეობას აქვს საშუალო განათლება, რაც საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. პორტუგალია 1986 წელს გაწევრიანდა ევროკავშირში, რის შემდეგაც ორი უკანასკნელ ათწლეულში დადებითად შეიცვალა მისი მდგომარეობა. 1998 წლიდან გადავიდა ევროზე, აღინიშნა ეკონომიკური ზრდა და ევროკავშირის საშუალო დონეს ბევრად გადააჭარბა.

შემდეგ, რომელმაც გადადგა ასეთი გაბედული ნაბიჯი. სწორედ ამან მიიპყრო მსოფლიოს ყურადღება. სამი წლის მანძილზე პორტუგალიის სახელმწიფო თანმიმდევრულად უარს ამბობდა გარე კრედიტების შემოთავაზებაზე და მიაღწია კიდეც გამარჯვებას, წაიწია რა წინ რეფორმების გზით, შეძლო ბაზრების დაბრუნება (ესპანეთმა და საფრანგეთმაც მიაღწიეს არცთუ ისე ცუდ შედეგებს, და გადალახეს კრიზისული პროცესი. PIQS-ის ყველა წევრი, ასე თუ ისე, გამორჩეულა საშინაო დავალების წესიერი შესრულებით).

2014 წლის მაისში პორტუგალიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ სამწლიან პროგრამას თვლის შესრულებულად და მზად არის, უარი თქვას შემდეგ საგარეო კრედიტზე, რადგანაც დამოუკიდებლად შეუძლია დაფაროს საგარეო საფინანსო ვალები.

ქვეყანამ, რომელმაც ირლანდიის შემდეგ, შეძლო გადაეწვიტა ის რთული ამოცანები, რომელიც მის წინ დააყენა კრედიტორთა ჯგუფმა, 2014 წლის 17 მაისს ოფიციალურად უარი განაცხადა საგარეო დახმარებაზე. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, პორტუგალიის სახალხო მეურნეობას არ შეხებია უძრავი ქონების ბაზრის კოლაფსი და საბანკო სექტორის პრობლემები. კრიზისული პროცესების ბუნება უმეტესად სტრუქტურულ ხასიათს ატარებდა.

2006 წლის დასაწყისში პორტუგალიაში გავრცელებულ ობლიგაციებზე საშუალო შემოსავალმა მიაღწია 3,58%, რაც თავისი დაბალი მაჩვენებლით რეკორდული იყო. ექსპორტის წილი მშპ-ში 2009-2013 წლებში 28%-დან 41%-მდე გაიზარდა. საგარეო ბაზარზე გადამამუშავებელმა საწარმოებმა გააუმჯობესეს თავისი პოზიციები, როგორცაა ფესვსაძირების წარმოება, მომსახურების სექტორმა დაიწყო დინამიური განვითარება. აღინიშნა პოზიტიური ტენდენცია ეკონომიკაში. გამოიკვეთა საზღვარგარეთის ინვესტიციების დაბრუნების ტენდენცია.

2008 წლამდე ეკონომიკა იზრდებოდა ნელი ტემპით. ნაციონალური საქონლის კონკურენტუნარიანობა და მომსახურება იყო დაბალ დონეზე. ძლიერმა ვერომ ქვეყანას ნელი დეველპაციის უპირატესობა დააკარგინა, იმპორტის ზრდაზე იმოქმედა და დაამუხრუჭა ექსპორტი, რომელმაც საგარეო ვაჭრობის საღლო მიიყვანა მდგრად უარყოფით ნიშნულამდე. კერძო შიდა მეურნეობებისა და სამეურნეო სტრუქტურისათვის იაფი საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობა გახდა ძირითადი მიზეზი მათი დავალიანებების მკვეთრი ზრდისა. ეს მიმდინარეობდა სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობის გაუარესების ფონზე. სახელმწიფო ვალი 2009-2010 წლებში მშპ-ს 76%-დან 97%-მდე გაიზარდა.

ბოლო წლებში ისეთი ქვეყნები, როგორცაა: აშშ, ევროპის წევრი ქვეყნები, ჩინეთი – მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კვლევებში აბანდებენ სულ უფრო და უფრო მეტ საშუალებებს. მთავრობა სერიოზულ ფინანსურ მხარდაჭერას გამოსატავს უნივერსიტეტების სამეცნიერო პროექტებისადმი, რომლებსაც შეიძლება აქონდეთ კომერციული გამოყენება. ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერებაში ჩადებულ ინვესტიციებს, რომელიც გამოიყენება მეცნიერებაში. მხარს უჭერს უნივერსიტეტებს, სამეცნიერო და კვლევით კომპანიებს.

მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური განვითარების პრინციპებს ყველა ქვეყანა იზიარებს, ყველა ქვეყანას მაინც ახასიათებს რაიმე თავისებურება, რომელიც მქლავნდება მის საინოვაციო პოლიტიკაში.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პორტუგალიაში ინვესტიციების მოცულობა სამეცნიერო ინოვაციურ სექტორში შეუფერხებლად იზრდებოდა. სექტორის კვლევისა და განვითარებისათვის ჩადებულმა საერთო თანხამ 2009 წელს 2,791 მლნ ევროს (1,71% მშპ) მიაღწია, რომელიც 10 %-ით მეტია, ვიდრე 2008 წელს. ბოლო წლებში საგრძნობლად იმატა კაპიტალდაბანდებებმა მეცნიერებაში, მსხვილ არასამთავრობო კომპანიებსა და კოორპორაციებში. ასეთმა ინვესტირებამ შეადგინა საერთო ჯამის 58%, რომელიც შეესატყვისება მშპ-ის 0.78%-ს.

მიხედვად მსოფლიო ფინანსური კრიზისისა, ლისაბონი არ ფიქრობს შეამციროს გამოყოფილი სახსრები საინოვაციო სექტორისათვის. ამჟამად ბიუჯეტში 2011 წ. მეცნიერების დაფინანსებისათვის გამოყოფილია 2,192 მლნ ევრო.

2013 წელს შემოდგომაზე პორტუგალიის ეკონომიკის ახალმა მინისტრმა ანტონიო პირეშ დე ლიმამ ქვეყნის სამრეწველო წლის ძირითად მამოძრავებელ ძრავად ეკონომიკა გამოაცხადა. აღნიშნული სტრატეგიის ძირითად მიზანს წარმოადგენს: ექსპორტის გაზრდა, ინვესტიციების კვოტების მხარდაჭერა, მოხმარების ზრდის შემცირება და საშუალო ძალის ხარისხის გაუმჯობესება. დაწყებული 2014 წლიდან, მოსალოდნელია მშპ-ის თანდათანობით გაზრდის ტემპი, ინვესტიციური პროცესების აქტივიზაცია და ნაციონალური მეურნეობის ინტეგრაციის მხარდაჭერა მსოფლიო ეკონომიკაში. 2015 წლიდან პროგნოზირებულია დასაქმების ზრდა.

პორტუგალიას აქვს თავისი სახალხო მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნის გრძელვადიანი სტრატეგია.

დასკვნა და რეკომენდაციები

პორტუგალიის მიერ ინოვაციური სექტორის განვითარებისაკენ მიმართული ღონისძიებები ცხადყოფს, რომ ქვეყანა არის საკმაოდ პროგრესული არა მარტო ევროპაში, არამედ მთელი მსოფლიოშიც [10].

პორტუგალია სულ უფრო და უფრო ააქტიურებს მაღალი დამატებითი ღირებულების საქონლის ექსპორტს ე.ი. ისეთი საქონლის, რაც დამოკიდებულია სამეცნიერო ტექნიკურ პროგრესზე.

მიუხედავად იმ წარმატებებისა, რომელსაც პორტუგალიამ მიაღწია სამი წლის განმავლობაში, რჩება კვლავ გადაუჭრელი მთელი რიგი მაკროეკონომიკური პრობლემები, როგორც არის: ფინანსური საშუალებების ხელმისაწვდომობა, ბიუროკრატია სახელმწიფო სტრუქტურებში, გადასახადების მაღალი მაჩვენებელი და გადასახადების რეგულირება, პოლიტიკური არასტაბილურობა, შრომის ბაზრის დარეგულირება. ამ პრობლემების დაძლევის შემდეგ პორტუგალია შეძლებს არსებითად აიმაღლოს თავისი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://epp.eurostat.ec.europa.eu/cahe/ITY_OFFPUB/KS-GL-14-002/EN/KS-GL-14-002-EN.PDF.
2. WWW.OECDBETTERLIFEINDEX.ORG/.../PORTUGAL-RU.
3. https://ka.wikipedia.org/wiki/portugalia_gtmarket.ru>...>
4. npk-ste.ru/news/read44.html.
5. В. БЕЛОВ – Португалия и группа PIGS основные уроки выхода из кризиса – РСМД. 25/06/2014.
6. <http://portocommerce.com/index.php/biznes-v-portugalii/85-2015-07-24-09-52-13>.
7. <http://portocommerce.com/index.php/biznes-v-portugalii/83-2015-04-16-15-2017>.
8. revolution.allbeat.ru/economy/00264969_0.html.
9. [delorse.ru>fileb/Portugal innov.doc](http://delorse.ru/fileb/Portugal_innov.doc).
10. banks.eu>cases/info/83/.
11. Portugal-passport.com>program/taxation/.

*Tina Chkheidze
Ketevan Kveladze*

PORTUGUESE EXAMPLE OF INNOVATIVE DEVELOPMENT

Summary

The article deals with the situation in of Portugal an innovative development as of one of the EU member states. Portugal does not possess nanotechnologies, but dominates in the introduction and development of technologies.

It is shown that the measures taken by Portugal for the development of nanotechnology represent the country as progressive enough not only in Europe, but throughout the world.

The course taken for Portugal's innovation development and the resulting out comes indicate the correct strategy for economic development selected by the country, whose 80% of population was quite illiterate forty years ago.

Portugal underwent a tight economic restructuring economic policy and in three years (covering external debt) overcame financial crisis and refused creditors for new assistance.

მარინე ცუცქერიძე

ინოვაციური სისტემის გავლენა მეწარმეობის განვითარების ევროინტეგრაციულ პროცესებში

ევროინტეგრაციული პროცესების გააქტიურების პირობებში ბიზნესის არეთა გაფართოებისა და მისი შემოსავლების ზრდის ძირითად საფუძველს ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბება და ამის შესაბამისად მეწარმეობის გარდაქმნა წარმოადგენს. იგი თანამედროვე ევროსამეწარმეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარი მიმართულებაა, რაც ევროკავშირის სახელმწიფოებში არსებული საწარმოო პოტენციალის ინტეგრაციული ურთიერთკავშირების დამყარებისა და მათი მართვის სისტემის გარდაქმნის, მისი ინოვაციურად და რაციონალურად წარმართვის ქმედით საშუალებად გვევლინება.

ბიზნესის განვითარებისა და ამ მიზნით წარმოქმნილი ევწარმოებათა გარდაქმნა ევროინტეგრაციულ პრინციპებთან ურთიერთშესაბამისობაში სამეცნიერო კვლევებისა და გამოგონებების, ახალი ტექნიკის წარმოებაში ათვისებისა და მეწარმეობის მართვის ინოვაციური მეთოდების გამოყენების ძირითადი შედეგია. იგი ევროკავშირში წარმოების ინტეგრაციის, მათი ინოვაციურობის ზრდის მეწარმეობის ახალი სექტორების წარმოქმნის პროცესთან ერთად ხორციელდება. ეს კი ურთიერთგანსხვავებული ინოვაციური სისტემების წარმოშობას უდევს საფუძველად.

ეკონომიკური და მათ შორის ბიზნესის სისტემების ფუნქციონირებაში სტრუქტურული და ინოვაციური გარდაქმნების განხორციელება ევროინტეგრაციული პროცესის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს. სტრუქტურული ელემენტების, ანუ მისი დარგობრივი სექტორების ევროპულ საწყისებთან შესაბამისობაში გარდაქმნა ევროსაბაზრო სივრცის მოსაწესრიგებლად აუცილებელ და ევრომეწარმეობის განვითარებისათვის საჭირო წინამძღვარს წარმოადგენს.

ინოვაციური ევრომეწარმეობის განვითარება და ბიზნესის უსაფრთხოებისათვის მისი ევროპოლიტიკის გატარება მოითხოვს ინოვაციური სისტემების ჩამოყალიბებას. აღნიშნული ევროპულ სახელმწიფოთა მეცნიერული და ტექნიკური პოტენციალის რაციონალურად გამოყენების მიზნებს ემსახურება. იგი ერთიანი საბაზრო პოლიტიკის გატარებისათვის საჭირო საფუძველიცაა და განაპირობებს მათი ეკონომიკური და სოციალური აქტიურობის ზრდას.

ბიზნესის სისტემაში აღნიშნული ევროინტეგრაციული გარდაქმნების განხორციელება, ერთიანი სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების პროგრამის განხორციელება ეტაპების მიხედვითაა შესაძლებელი, პირველ ეტაპს შეესაბამება გამოგონებების და ახალი ტექნიკის წარმოებაში ათვისება და მართვის ინოვაციური მეთოდების ამოქმედებას ისახავს მიზნად. იგი სახელმწიფოს ფარგლებში მოქმედი ინოვაციური სისტემის ძირითადი ქვესისტემების ფუნქციონირებისათვის აუცილებელ წინამძღვარს წარმოადგენს.

ევროკავშირის თავისუფალი საბაზრო სივრცის წარმოქმნა და მასზე ცალკეულ სახელმწიფოთა ინოვაციური სისტემის გავლენა ძირითადად აისახება მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პროცესების და მის ფარგლებში ინტეგრირებულ წარმოებათა ურთიერთკავშირის გზით. ინოვაციური სისტემის აგება და ჩამოყალიბება გულისხმობს: 1. ახალ გამოგონებათა და საპატენტო-სალიცენზიო სამუშაოთა მართვის პროცესის გარდაქმნას და ინოვაციური მეწარმეობის განვითარების მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებას. აღნიშნულის ფარგლებში ხორციელდება საწარმოთა მომსახურება რესურსებითა და კონსულტაციებით. მის მიზანს მეწარმეობაში საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების დანერგვა, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ევროპულ საბაზრო მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა, ასევე ექსპორტის სტიმულირებასა და მის ხელშემწყობ პროცესებში აქტიური მონაწილეობა წარმოადგენს. ამასთან ერთად შესაძლოა განხორციელდეს სამეცნიერო-საწარმოო საქმიანობათა გარდაქმნა, როგორცაა ტექნიკის სიახლეთა ხარისხის ამაღლება, მისი ინფორმაციული უზრუნველყოფა, კადრებით მომსახურების გაუმჯობესება და სხვა. ინოვაციური მეწარმეობის განვითარებაში არსებული პროცესებისა და მისი ტექნიკური და ტექნოლოგიური საფუძვლების გარდაქმნა-გაუმჯობესება განაპირობებს შრომისა და ტექნიკურ მახასიათებელთა მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უდიდეს მიღწევათა ათვისებას და ამით ახალი ინოვაციური სისტემის წარმოქმნას; 2. ინოვაციათა გარდამავალი სისტემის შექმნას და თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოთა სამეცნიერო კვლევების შედეგების მიმართ საერთო სახელმწიფო მართვის სისტემის წარმოქმნას. იგი მიზნად ისახავს მეცნიერულ-ტექნიკურ სიახლეთა მაღალი ხარისხის მიღწევას; ტექნიკის სიახლეთა და ინოვაციური ტექნიკის ეფექტიანობის ზრდას; ინოვაციური ეფექტის ამაღლებასა და საპატენტო-სალიცენზიო ოპერაციებსა და ევროინტეგრაციულ პროცესებში მათ გათვალისწინებას. აღნიშნული მიზნების რეალიზაციის დროს გაითვალისწინება ინოვაციების მეცნიერულ-ტექნიკური დონე; მმართველობით იდეათა და ეფექტურ გადაწყვეტილებათა შესაბამისად მისი სტიმულირების აუცილებლობა; ინოვაციურ დამუშავებათა კონკურენტუნარიანობა, რომელიც განაპირობებს ინტეგრირებულ წარმოებათა უპირატესობას ევროსაბაზრო სივრცესა და მსოფლიო ბაზარზე. ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბება ძირეულად უკავშირდება ევროინტეგრაციული პროცესების ვითარებაში გარდაქმნილი, ბიზნესის საქმიანობის მმართველობითი სისტემის წარმოქმნას, რომელსაც თანამედროვე პირობებში არსებული ევრომეწარმეობის მართვის გარდამავალი სისტემა შეესაბამება. ამ მიმართულებით მნიშვნელობას იძენს კონკურენტუნარიანი და მაღალი ხარისხის მქონე სამრეწველო პროდუქცია, ტექნოლოგიური პროცესები და ახალი სამრეწველო მოდელები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ტექნიკური და ესთეტიკური მახასიათებლებით, რაც ინოვაციური სისტემის ეფექტიანობაზე მიანიშნებს.

ინოვაციური სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათთვის დამახასიათებელი ინოვაციური ეფექტის მაჩვენებლებით, ტექნიკური და ტექნოლოგიური სრულყოფის, შრომის ორგანიზაციის დონეთა, რესურსების ეკონომიისა და პროდუქციის ხარისხის მახასიათებლებით. ასევე ინოვაციური საქმიანობით, რაც გამოიხატება გამოგონებათა, რაციონალიზატორულ გადაწყვეტილებათა, საწარმოო მოდელებისა და სახეობების, სასაქონლო და საბაზრო ნიშნების შემუშავებაში. ამიტომ ძირითადს ევრომეწარმეობის განვითარებისათვის მისი მართვის პროცესების ინფორმაციული უზრუნველყოფა წარმოადგენს. იგი ევროპის მეწარმეთა ელექტრონული კავშირის გზითა და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს საშუალებით ბიზნესის მმართველობისათვის საჭირო და ექსპორტის განხორციელებისათვის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს.

3. ევროკავშირის საერთო სახელმწიფოებრივი სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევის შედეგად და უახლესი ტექნოლოგიების საფუძველზე ინოვაციური სისტემის წარმოქმნის პროცესის

წარმატებით დასრულებას. იგი მნიშვნელოვან ღონისძიებებსაც მოიცავს: ინოვაციური სისტემის აგებას და მისი ფინანსური უზრუნველყოფისათვის აუცილებელ ეკონომიკური სტიმულირებისა და წამახალისებელ წინადადებათა დანერგვას, ბიზნესის ობიექტებში ინოვაციური ტექნიკისა და მეცნიერულ მიღწევებად ათვისების პროცესის ყველა ძირითად ეტაპზე მათ გამოყენებას; უახლესი ინოვაციებისა და სხვა მეცნიერულ მიღწევათა წარმოებაში დანერგვას და მისი მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერტიზის სისტემის წარმოქმნას, იგი ბიზნესის საქმიანობაში სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების რეალიზაციის მიზნებს ემსახურება; მეწარმეობის მართვის ფუნქციების ევროპული გარდაქმნისა და მის სექტორებში ინოვაციური ტექნიკის ათვისების, ასევე მეცნიერულ მიღწევათა საფუძველზე მათი წარმოების ყველა სტადიაზე მიზანმიმართული ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის აგება. ინოვაციური ტექნიკის წარმოებისა და გამოგონებათა ათვისებისთვის აუცილებელ ობიექტებზე ნორმატიული საფუძვლების გაუმჯობესება, რაც საჭიროა მეცნიერულ მიღწევათა წარმოებაში ათვისების პროცესის სტიმულირებისათვის; და, ბოლოს, მეცნიერულ მიღწევათა გზით შექმნილი ინოვაციური ტექნიკის ათვისების პროცესების მართვის სისტემის ორგანიზაციული ფორმების დადგენა.

ინოვაციური მეწარმეობის განვითარების ევროპული კონცეფციის მიხედვით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფოების ინოვაციური პოტენციალის გამოკვლევას, რომელთან შესაბამისობაში შემუშავდა მისი პროექტი, რომლითაც განსაზღვრულია მისი ერთ-ერთი მიმართულების განხორციელება, კერძოდ ევროპული კომპანიების ჩამოყალიბება, ევროსაბაზრო სისტემისათვის უმნიშვნელოვანესი პროდუქციის წარმოებათა ინტეგრაცია და ევროპულ კომპანიებზე გარდაქმნა ინოვაციების ექსპორტის გაძლიერების მიზნით, რაც ინოვაციური სისტემის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს.

ინოვაციური სისტემის ფუნქციონირება ევრომეწარმეობის ინტეგრირებულ სექტორებში მიმართული უნდა იქნეს საექსპორტო საბაზრო სივრცეში პროდუქციაზე ისეთ ძირითად მოთხოვნათა დასაცავად, როგორცაა კონკურენტული უპირატესობა; მომხმარებელთა სიმრავლე და პროდუქციის განსაკუთრებული თვისებები, საწარმოო და მასთან დაკავშირებული საბაზრო ლოგისტიკა; დანახარჯების მინიმალურობა და ფასების უპირატესობა; პროდუქციისა და მომსახურების მაღალი ხარისხი; მისი დიზაინის გამორჩეული ხასიათი; ინოვაციურობა. ამ მოთხოვნათა დაცვის მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ევროპული კომპანიების, მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოო ობიექტებზე საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტების დანერგვის პროგრამა, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ევროპულ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის, ასევე ექსპორტის ხელშეწყობისათვის აუცილებელი მმართველობითი სისტემა.

თანამედროვე ბიზნესის მმართველობითი საქმიანობის გარდაქმნა და წარმოებათა ევრო-ინტეგრაციის ვითარებაში ინოვაციური სისტემების ფუნქციონირება განაპირობებს: 1) ბიზნესის გადაწყვეტილებათა გავრცელებას და გაცვლას ევრომეწარმეობის სექტორებში; 2) ევროსაბაზრო პროცესების, კერძოდ ექსპორტის ტექნიკურ პრობლემათა შესახებ ინფორმაციის გადაცემას; 3) მცირე და საშუალო მეწარმეობის ინტერნაციონალიზაციას მისი ინოვაციურობის მიმართულებით; 4) ევროკავშირის თავისუფალ საბაზრო სივრცეში აქტიურად მონაწილეობას; 5) საქართველოში მეწარმეობის განვითარების პროცესის რაციონალურად წარმართვას ევროპის მეწარმეთა ქსელის საშუალებით და სხვ.

ამრიგად, ინოვაციური სისტემის გავლენა ევროინტეგრაციის პროცესებზე გამოიხატება იმ სახელმწიფოს ეკონომიკის ეფექტიანი ორგანიზაციის, ოპერატიულობისა და განვითარების ინსტრუმენტების მოქმედებაში მოყვანით, რომლის საწარმოების ფარგლებშიც იწარმოება ინოვაციური ტექნიკა, ასევე ხორციელდება ინოვაციური ტექნიკისა და მმართველობითი და საბაზრო სიახლეების დანერგვა, მათი ევროინტეგრაცია სხვა საწარმოებთან. აღნიშნული წარმოადგენს ეკონომიკისა და მისი საწარმოო სისტემის ინოვაციური ეფექტის ამაღლების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016.
2. პაპავა ვლ., რეტროეკონომიკიდან ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის პერსპექტივები საქართველოს ევრაზიული ინტეგრაციის შემთხვევაში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016.
3. ბერულავა გ., გოგოხია თ., ევროკავშირის სამეწარმეო პოლიტიკა, სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016.
4. ცუცქირიძე მ., ინოვაციური ფაქტორების გავლენა ბიზნესის განვითარებაზე საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. VII, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.

**INFLUENCE OF INNOVATION SYSTEM
ON THE EUROINTEGRATION PROCESSES OF DEVELOPMENT OF ENTREPRENEURSHIP
Summary**

The article discusses the aspects of the development of Entrepreneurship and its Eurointegration process; analysis actual issues of enterprise integration in the conditions of Entrepreneurial system formation. Where are given the characteristic of Innovation system, of its sectors and managerial aspects and its influencing on the Eurointegration process.

*ციცინო ძოწენიძე
ანა კირიაკიდი*

**ბიზნეს-სისტემის განვითარების ევროინტეგრაციის პროცესის
კულტურულ განხორციელება და რეალკოლიტიკასთან**

ანოტაცია. ევოლუციური თეორია და ცვლილების ცნება (პროგრესი, განვითარება და ციკლები) ეკონომიკის, როგორც დისციპლინის, უფრო ძლიერ წინასწარმეტყველურ ძალას აძლევს ვიდრე მას ეს ჰქონდა წინასწარობის თეორიების გამოყენების დროს. საერთაშორისო ბიზნესის წარმატება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული, რამდენად ვიგებთ და ვმართავთ კულტურულ განსხვავებულობას. კულტურა უნდა განიხილებოდეს კრიტიკული თეორიის შუქზე. მართალია, ჩვენ მივდივართ მულტიკულტურული საზოგადოებისკენ, სოციალური ქცევის ახლის გასაღები ღრმად არის განპირობებული კულტურული განსხვავებულობების ვაგებით.

საკვანძო სიტყვები: ევოლუციური თეორია, ეკონომიკა, კულტურული განხორციელება, გეოპოლიტიკა, მულტინაციონალური პოლიტიკა

შესავალი

ევოლუციურ თეორიასთან ასოციაციის არსი შემდგომში მდგომარეობს: ყველა ცოცხალი ორგანიზმი შეისწავლება ბიოლოგიისა და ევოლუციური თეორიის საშუალებით. რატომ უნდა ხდებოდეს ეკონომიკის შესწავლა განსხვავებულად? ევოლუციური თეორია და ცვლილების ცნება (პროგრესი, განვითარება და ციკლები) ეკონომიკის, როგორც დისციპლინის, უფრო ძლიერ წინასწარმეტყველურ ძალას აძლევს ვიდრე მას ეს ჰქონდა წინასწარობის თეორიების გამოყენების დროს. შესაბამისად, ნაკლებად ხანგრძლივად გამოდის ალგებრის გამოყენება ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად. ლოგიკა და ისტორიაც კი უკეთესი საშენი მასალაა სპეციალური მეცნიერებებისთვის ვიდრე მათემატიკის დიდი ნაწილი, რომელიც ალბათ უნდა განიხილებოდეს, პირველ რიგში, როგორც მხოლოდ უფრო ეფექტური ენა. მაგალითად, თუკი ეკონომისტები გაიხსენებდნენ ისტორიიდან, რა მოხდა დასავლეთის ცენტრალური ბანკების ლიდერებს შორის მეოცე საუკუნის დასაწყისში, იმის ნაცვლად რომ დაეხარჯათ თავიანთი დრო ისეთი მათემატიკური ფორმულების განვითარებისთვის, როგორცაა „რისკის ღირებულება“ და ბლექ-შოულზის ფორმულა ოპციონების ფასებისთვის, დიდი ალბათობით შესაძლებელი იქნებოდა საბანკო სისტემის კრახის თავიდან აცილება. ამ შემთხვევის დროს შესაძლოა, ვინმემ გაავლო კიდევ პარალელი წინა ფინანსურ კრიზისებთან და სწორად დასვა კითხვებიც. მაგრამ ჩვენ უკვე უარყავით ისტორიული მეთოდი და ამავდროულად უარი ვთქვით ეკონომიკური ისტორიის როლის დაფასებაზეც. შეიძლება მკითხველს უცნაურად მოეჩვენოს ის ფაქტი, რომ ნაბიჯი გადაიდგას უკან, ისტორიის დასაცავად, მაგრამ საკითხი დგას ასე: უფრო მომგებიანი არის კი ისტორიის იგნორირება და წარსულში დატოვება? მაგალითისათვის განვიხილოთ მარკეტინგი, როგორც მეცნიერული დისციპლინა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ასეულ ათასობით სამეცნიერო სტატია, ძალიან ცოტაა მათ შორის თვითკრიტიკული და ისტორიული კვლევა. ჩვენ ვთვლით, რომ საჭიროა სილოგიზმების დაბრუნებაც, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური ლოგიკის ტრადიციები, რბილად რომ ვთქვათ, მოდიდან გამოსულია. ზუსტი აზროვნება სხვანაირად არ გამოდის.

* * *

ერთი მხრივ, ყველანი ვართ ერთი კონკურენტული სისტემის შემადგენელი ნაწილები: ინდივიდუალობები, ორგანიზაციები და ეროვნული სახელმწიფოები. ეს სუბიექტები წარმოადგენენ ერთი და იმავე ბიოლოგიური მექანიზმის განსხვავებულ ასპექტებს, რომლის მიხედვითაც, ბუნება განსაზღვრავს ვინ გადაარჩება ადაპტირების გზით. რასაკვირველია, თანამედროვე კეთილმოწყობილ საზოგადოებაში შედეგები ძალიან მკაცრი არ არის, იმის გამო, რომ ადამიანებს შეუძლიათ არჩევანი გააკეთონ, განსხვავებული ცხოვრების ასარჩევად გადაარჩინონ წარუმატებლები (მიუხე-

დაკად იმისა, რომ ეს ნიშნავს მოქალაქეებს შორის უბრალოდ მოვალეობათა გადანაწილებას) ფუნდამენტური მექანიზმი ყოველთვის იგივე რჩება, ყოველთვის შეგვასხევენებს, რა არის საჭირო გადარჩენისა და წარმატებისათვის. ცალკეული ადამიანების თვალთახედვიდან ეს ბრძოლა იღებს კონკურენციის ფორმას, რაც თანამედროვე ცხოვრებაში გამოხატულია, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური კონკურენციის ფორმით. სხვა სიტყვებით, ჩვენ ვსწავლობთ კონკურენციას ძირითადად ეკონომიკური საქმიანობის ამა თუ იმ ფორმით (კერძო თუ სახელმწიფო სექტორში) და არა საბრძოლო მოქმედებების ხარჯზე. საბოლოო ჯამში, ეს არის საზოგადოების ცალკეული ინდივიდების საქმიანობის ჯამი, რაც განსაზღვრავს ერის კონკურენტუნარიანობას. ამავე დროს, მოგეწონს ეს თუ არა, ყველა ქვეყანაში არიან ისინი, ვისაც თავისი წვლილი შეაქვს სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობაში და ისინი, ვინც სარგებლობენ. აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ არსებობს ქვეყნები, რომლებიც სისტემატიურად უფრო ეფექტურად მოქმედებენ. ამას ვსაზღვრავთ ისეთი მაკროეკონომიკური ინდიკატორებიდან გამომდინარე, როგორებიცაა მშპ, უმუშევრობის დონე, საბიუჯეტო დეფიციტი, ნასესხები სახსრების მოცულობა, საკრედიტო რეიტინგები და ა.შ. მოკლევადიან პერსპექტივაში, რომელიც განსაზღვრულია რამდენიმე წლით ან ზოგჯერ ათწლეულებით, ჩვენ ამ შედეგებს ვხედავთ ფირმების აღმავლობისა და დაცემის კვალობაზე. გრძელვადიან პერსპექტივაში კი, რომელიც იზომება თაობებითა და საუკუნეებით, ამას ვხედავთ დიდი ერების და იმპერიების აღმავლობისა და დაცემის ფონზე.

კულტურული განზომილება. საერთაშორისო ბიზნესის წარმატება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული, რამდენად ვიგებთ და ვმართავთ კულტურულ განსხვავებულობას. აქ ნეოკლასიკური ეკონომიკის აკეთებს კიდევ ერთ მცდარ დაშვებას იმასთან დაკავშირებით რასაც მეცნიერები უწოდებენ ვალიდურობას (რეალობას). ხშირად უშვებენ იმ მოსაზრებას, რომ ერთ კულტურაში განხორციელებული ექსპერიმენტის გამეორება იმავე შედეგით შესაძლებელია სხვა კულტურაშიც. რეალურად კი ხშირად ხდება ისე რომ რეზულტატი ვალიდური არ არის ერთი კონკრეტული სოციალური ჯგუფის მიღმაც კი. კულტურას გააჩნია მნიშვნელობა არა მხოლოდ ერების კონკურენტული უპირატესობის განსაზღვრის დროს, არამედ ყველა ორგანიზაციის ქმედუნარიანობის განსაზღვრისას. „კულტურული განსხვავებულება არის ნომერ პირველი მიზეზი კომპანიების ქვეყნის საზღვრებს მიღმა წარუმატებლობისა.“ მიზეზი იმისა, რომ ჩვენ კვლავ ვიმეორებთ შეცდომებს, მდგომარეობს იმაში, რომ არსებული თეორიები კულტურასა და „უცხოებთან“ დაკავშირებით მცდარია და იმიტომ, რომ იძულებული ვართ ვიფიქროთ ე.წ. პოლიტიკორექტულობის ჩარჩოებში. ამის მაგალითია ის, რომ ჩვენ გვჭირდება სიტუაციების ანალიზი დიქტომიის „ჩვენ და სხვები“-ს შესაბამისად. რადგან წარმოვადგენთ ცალკეულ ინდივიდებს, მაშასადამე უნდა არსებობდეს განსაზღვრებები „ჩვენ“ და „ისინი“. რიგი მეცნიერები წინააღმდეგი არიან ამ დაყოფისა, რადგან განიხილავენ მას აგრესიის, უფრო მეტიც, ნაციონალიზმის და რასიზმის მიზეზად, თითქოს შესაძლებელი იყოს არჩევანის გაკეთება, ადამიანური განპირობებულობის მიღმა დადგომა და იმავდროულად მასში მოქმედება.

კულტურა უნდა განიხილებოდეს კრიტიკული თეორიის შუქზე, როგორც უწყვეტი და გარდაუვალი ბრძოლა ღირებულებებს შორის და არ არის აუცილებელი მან მიიღოს ღია კონფლიქტის ფორმა. მართალია ჩვენ მივიღივართ მულტიკულტურული საზოგადოებისკენ, სოციალური ქცევის ახლის გასაღები ღრმად არის განპირობებული კულტურული განსხვავებულობების გაგებით. ეს გარემოება უცვლელი იქნება მომავალი თაობებისთვისაც.

ბრძოლა არ გულისხმობს მაინცდამაინც ფიზიკურ ძალადობას და არ სჭირდება ომი. ინტერესთა კონფლიქტი ადამიანური ბუნების ნაწილია, რომლის გადაწყვეტაც შეიძლება დიალოგით და მოლაპარაკებებით.

ფართო გაგებით, ამ კვლევის ამოცანას წარმოადგენს, ერთი მხრივ, აჩვენოს გადაწყვეტილებების მიმღებებს რისი მიცემა შეუძლია გეოპოლიტიკის ტრადიციისთვის და, მეორე მხრივ, სცადოს რთული სოციალური ფაქტების გაგება ისე, რომ არ დაძლიოს ცდუნებამ და არ გასცეს სენსაციური პასუხები მსოფლიო მოვლენებზე. ესაა საფრთხე, რომელიც ყოველთვის დამახასიათებელი იყო გეოპოლიტიკისათვის და რომელსაც ეს დისციპლინა ბოლომდე ვერასოდეს დააღწევს თავს.

აზროვნების სახე, რომელიც ასოცირდება გერმანულ ტერმინთან „Realpolitik“ შეიძლება გამოდგეს როგორც სასარგებლო იარაღი სხვა ორგანიზაციებისა და ერების მოქმედებების გასაგებად, თუმცა მისი გამოყენება საკუთარი საზოგადოების მიმართ კატასტროფის ტოლფასია. ადამიანად ყოფნა გულისხმობს თანაგრძნობის გამოხატვასა და სხვისი ინტერესების გათვალისწინებას. მაგრამ გადარჩენა ნიშნავს კონკურენციას. ორივე იდეალი აუცილებელია საზოგადოების წარმატების მისაღწევად. ამას გარდა, კარგი, ალტრუისტული ქმედებები ხშირად წარმოშობს სიმპათიას, რომელსაც, თავის მხრივ, შეუძლია მიგვიყვანოს ეკონომიკურ აყვავებამდე.

მულტიეროვნულ კორპორაციებს და ეროვნულ სახელმწიფოებს აგებული აქვთ თავიანთი საკუთარი პოზიციების ამსახველი მოდელები რათა იცოდნენ შემდგომ რა გააკეთონ. თუ როგორ

გხედავთ ამ მოდელებს, როგორც სუბიექტურ სურათებს თუ როგორც ფაქტებს, ძალიან არის დამოკიდებული ჩვენს საკუთარ ინტერესებსა და ხედვის პერსპექტივაზე.

ჩვენი ქმედებების რეალური მიზნები ხშირად დაფარულია სხვებისაგან, მაგრამ რადც ზომით იგი დაფარულია ჩვენთვისაც, რასაც სოციალურ მეცნიერებებში აღვიქვამთ როგორც ერთგვარ რაციონალურობის მარცხს. სოციალური ქცევები სწრაფად გვევლინება წარმოუდგენლად რთული ფორმით და ყოველთვის არსებობს შემთხვევითობის ელემენტი.

ორგანიზაციაში რამდენიმე ადამიანია ხოლმე, რომელთაც სრული და რეალური წარმოდგენა აქვთ გადაწყვეტილების მოტივებთან დაკავშირებით (თუმცა ის ფაქტი, რომ მათ ესმით და იგებენ, სულაც არ არის იმის გარანტია, რომ რაც მათ უნდათ, ის ისე მოხდება. ყოველთვის დიდი განსხვავება არსებობს ცოდნასა და ქმედებას შორის). იმის საწინააღმდეგოდ, რისი დაჯერებაც გვინდა, მთავარი გადაწყვეტილებები ხშირად რამდენიმე ადამიანის ინიციატივას წარმოადგენს. ეს სიმართლეა დიდი დემოკრატიული ინსტიტუტებისთვისაც, ისეთისთვის, მაგალითად, როგორც ევროკავშირია. ხშირად აქვს ადგილი დაუპატიჟებელი ან გაუთვალისწინებელი აქტიორების მოქმედებებს. სხვა სიტყვებით, შემთხვევა განსაზღვრავს გარკვეულ როლს მიმდინარე მოვლენებში. ამას გარდა, თუ როგორ ვმუშაობთ ორგანიზაციებში ძალიან არის დამოკიდებული ეროვნულ და კულტურულ ღირებულებებზე.

ყველაფერ ამას თუ დავემატებთ რაციონალურობის ძალას, ჩვენ დავინახავთ ორგანიზაციული ქცევისა და რეალური სამყაროს გადაწყვეტილებების მიღების რიგ სირთულეებს. რამდენსაც ვიცობთ რეალობის გამარტივებით მოდელების შექმნისას, იმდენსვე ვკარგავთ ამავე რეალობის გაგებისას. ამდენად, იმის გამო, რომ სოციალური ცხოვრება ასეთი რთულია, ეკონომიკის დისციპლინას მივყავართ ბევრი შესაძლებელი (პოტენციური) იდეის დაკარგვისაკენ.

როგორც ანალიტიკოსებს, ჩვენ არ შეგვიძლია იგნორირება გავუკეთოთ მოსაზრებებს მხოლოდ იმიტომ რომ ისინი პოლიტიკურად არაკორექტული, ნორმატიულად სუბიექტური ხასიათის არიან. მნიშვნელოვანია ის, თუ ისინი რამდენად იქნენ გამოყენებულნი გადაწყვეტილებების მიღების დროს ჩვენს მიერ ან სხვების მიერ. როდესაც გადაწყვეტილებებს ვიღებთ, ჩვენი საქმე არ არის მეორე მხარის მოტივები. პირიქით, სავსებით ბუნებრივია, რომ ეს მოტივები განსხვავებული და ზოგჯერ საწინააღმდეგოც კი იყოს. ვიტოვებთ უფლებას, ვივარაუდოთ, რომ ისინი უმეტესწილად ეგოისტურია.

კაცობრიობა ბევრს ლაპარაკობს მორალზე, მაგრამ ადამიანები თავიანთ ქცევას ყველაზე ხშირად მაშინ ცვლიან, როდესაც ეჯახებიან მას საკუთარი კანონებით (მულტინაციონალური კორპორაციების შემთხვევაში) და საკუთარი რესურსების განსაზღვრული შეზღუდულობებით და შესაძლებლობებით (ეროვნული სახელმწიფოების შემთხვევაში). მორალი ხშირად გვევლინება არგუმენტად და საშუალებად საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. ამ მოსაზრებებს მივყავართ იქამდე, რასაც დასავლეთში მოიაზრებენ როგორც რეალპოლიტიკას, ანუ ორგანიზაციების მიერ ინტერესთა შეფასება დაფუძნებულია საკუთარ ინტერესებზე. ეს რეალპოლიტიკური ხედვა ერთნაირად დამახასიათებელია როგორც გეოპოლიტიკის, ისე გეოეკონომიკისთვის. ეს არ უნდა განიხილებოდეს როგორც პესიმიზმი, არამედ განხილული უნდა იქნეს როგორც რეალიზმი. ამას აგრეთვე ეწოდება პრაგმატიზმი. საკითხავი ის არის, თუ რას უნდა ველოდოთ. როგორც ჰემპრი ეპლნი ამბობს „ცინიკოსი არის ის, ვისაც იდეალისტი უწოდებს რეალისტს“

ტერმინი რეალპოლიტიკა დაფუძნებულია რეალობასა და მატერიალურ მოთხოვნილებებზე უფრო, ვიდრე მორალსა და იდეალებზე. ეს ტერმინი გერმანული წარმოშობისაა და ინგლისურ ტექსტებში მისი გამოყენების ტრადიცია არ არსებობს. ამიტომ, როდესაც ამ კურსში შეგვხდება ტერმინი “რეალპოლიტიკა“, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის გერმანული კონცეფცია.

რეალისტური აზროვნება არ არის ევროპული აზროვნებისთვის ტიპური, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად რჩება ამის შთაბეჭდილება როდესაც ვცტირებთ მაკიაველს ან ჰობსს. ჩინეთში მის გამოყენებას მივყავართ ისეთ სახელმწიფო მოღვაწემდე, როგორც იყო გუან ჩუნი (645 წ. ძვ.წ.ად.), რომელიც ემსახურებოდა ხუან გუნს (მეფობდა 686-643 წწ. ძვ. წ. ად.). ინდოეთში რეალპოლიტიკა გვხვდება კაუტილიასთან მის წიგნში “არხაშასტრა“ დაახლოებით ძველი წელთაღიციხვის 300 წელს. ცნობილ რეალისტ მოაზროვნეებს შორის გვხვდება სუნ ძი, რომლის მოღვაწეობის პერიოდის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ზოგი მიაკუთვნებს მას მესამე საუკუნეს, ზოგი კი ძველი წელთაღიციხვის მეხუთე საუკუნეს. მოგვიანებით (280-233 წწ. ძვ.წ.ად.), ფილოსოფოსი ჰან ფეი ცი წარმოადგენს ჩინელი მოაზროვნეების ჯგუფს, რომელთაც ეწოდებათ რეალისტური ან ლეგალისტური სკოლა. ეს იგივე ტრადიციაა, რაც შემდგომ ევროპაში დამოუკიდებლად, ბევრად მოგვიანებით განავითარა მაკიაველმა და გეოპოლიტიკამ.

გეოპოლიტიკა მოიცავს ალბათ ყველაზე საინტერესო მოსაზრებებს, რაც დაკავშირებულია რეალპოლიტიკასთან. სამწუხაროდ, რიგი ამ „ჩვენი და სხვების მასალები“ გასაიდუმლოებულია ან შეზღუდულია მათზე წვდომა, რადგან ისინი მოთავსებულია ბევრი სადაზვერგო ორგანიზაციის არქივში მთელ მსოფლიოში. მულტინაციონალურ კორპორაციებში რეალპოლიტიკური ინფორმაცია

არსებობს, უმეტესწილად, როგორც ზეპირსიტყვიერი ტრადიცია, რადგან მათი შინაარსი მიხნეულია არაპოლიტიკორექტულად. წერილობითი ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია დაახიანოს რომელიმე კონკრეტული პირი, კომპანია ან ქვეყანა, როგორც წესი, ინახება საიდუმლოდ

ამრიგად, საერთაშორისო ბიზნესის წარმატება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული, რამდენად ვიგებთ და ვმართავთ კულტურულ განსხვავებულობას. აქ ნეოკლასიკური ეკონომიკის აკეთებს კიდევ ერთ მცდარ დაშვებას იმასთან დაკავშირებით, რასაც მეცნიერები უწოდებენ ვალიდურობას (რეალობას). ხშირად უშვებენ იმ მოსაზრებას, რომ ერთ კულტურაში განხორციელებული ექსპერიმენტის გამეორება იმავე შედეგით შესაძლებელია სხვა კულტურაშიც. რეალურად კი ხშირად ხდება ისე, რომ რეზულტატი ვალიდური არ არის ერთი კონკრეტული სოციალური ჯგუფის მიღაც კი.

*Tsitsino Dzotsenidze
Ana Kiriakidi*

**GEO-ECONOMICS' RELATION WITH EVOLUTIONARY THEORY,
CULTURAL DIMENSION AND REALPOLITICS**

Summary

Success in international business is largely a matter of understanding and managing cultural differences. Neoclassical economics makes another wrong assumption here, with respect to what scientists call validity. It frequently assumes that an experiment done in one culture can be replicated with the same result in another culture. That is very often so; in many cases the result will not even be valid outside one particular social group. Culture matters, not just for the competitive advantage of nations, but for the performance of all organizations. "Cultural differences are the number one reason why companies fail overseas. The reasons we continue to make mistakes seem to be because our existing theories about cultures and "otherness" are misleading, and because we are forced to think within the bounds of what is politically correct. One example is our need to analyze situations according to the "us and them" dichotomy. Since we are separate individuals, there must by definition be an "us" and a "them". A number of academics object to this as a cause of aggression, even of nationalism and racism, as if we could choose to eliminate this perspective, to stand outside our human condition and at the same time act within it. Instead, theory is presented as an alternative reality.

Culture should rather be seen in the light of critical theory, as a continuous and inescapable struggle between values, if not necessarily taking the form of open conflict. It is true that we are moving towards a multicultural society, but the keys to understanding social behavior are still very much rooted in the understanding of cultural differences, and that will not change for generations to come. Struggle, however, does not necessarily imply physical violence, and need not lead to wars. Conflict of interests is a part of human nature, and can be addressed through tolerance, dialogue, and negotiations. If we were to think in those terms then perhaps we could become somewhat happier too, less disillusioned by divergences from theoretical ideals. Unfortunately it seems that political ideology is a troublesome trait of the Western mind.

მაია ჭანია

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები გლობალიზაციის ფონზე

ანოტაცია. სტატია შეეხება საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პრობლემებს, ეკონომიკურ ზრდას, განვითარებას მსოფლიოში მიმდინარე საყოველთაო გლობალიზაციის ფონზე. თანამედროვე პირობებში ძნელია ვიპოვოთ ისეთი ეროვნული მეურნეობა, რომელიც არაა ჩართული მსოფლიო მეურნეობის სისტემაში. გლობალიზაცია-ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების შეუქცევადი ტენდენციაა, რომელიც ხასიათდება ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების ზრდის მაღალი ხარისხით. საქართველოს წინაშე არსებული მრავალი გამოწვევის გადასაწყვეტად აუცილებელ პირობას ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: განვითარება; გლობალიზაცია; ინტეგრაცია; ეფექტიანობა.

თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად საყოველთაო გლობალიზაციის პროცესებით განისაზღვრება. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ზრდის პრობლემების შესწავლა და ანალიზი ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტუალურ პრობლემად გადაიქცა. მსოფლიო გლობალიზაციის პროცესები სულ უფრო მეტად მოიცავს მთელ მსოფლიოს, მასში სულ უფრო მეტი ახალი სახელმწიფო ერთეობა და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების განხორციელებით კიდევ უფრო აქტიური მონაწილე ხდება თანამედროვე გლობალიზაციური პროცესებისა. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა.

მსოფლიო საზოგადოება, და მათ შორის ქართველი ერი, იმყოფება პოსტინდუსტრიული განვითარების ეტაპზე, რომელიც ხასიათდება მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკის გლობალური ინტეგრაციით. თანამედროვე პირობებში ძნელია ვიპოვოთ ისეთი ეროვნული მეურნეობა, რომელიც არ არის ჩართული მსოფლიო მეურნეობის სისტემაში. გლობალიზაცია-ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების შეუქცევადი ტენდენციაა, რომელიც ხასიათდება ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების ზრდის მაღალი ხარისხით. ეს ურთიერთობები არის გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძველი.

საქართველოს წინაშე არსებული მრავალი გამოწვევის გადასაწყვეტად აუცილებელ პირობას ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს. არსებითია არა მხოლოდ ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობის ამაღლება. მრავალი მიზეზის გამო ჩვენ გვჭირდება, რომ ქვეყანამ განვითარების სტაბილური და მაღალი ტემპები უზრუნველყოს. ამ მიზნის მისაღწევად საწყისს წარმოადგენს გარკვეული ორიენტირების დასახვა, არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება, დაისახოს განვითარების ეტაპები და სასურველი ტემპები. ისეთი ეკონომიკური მაჩვენებელი, როგორცაა მშპ ერთ სულ მოსახლეზე, მართალია, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სრული მახასიათებელი არ არის, მაგრამ საწყის ეტაპზე ჩვენი მიზნებისთვის და არსებული მდგომარეობის შესაფასებლად სავსებით საკმარისია.

მსოფლიოს ქვეყნები შეიძლება ოთხ დიდ ჯგუფად დავეყოთ, იმის მიხედვით, თუ როგორია მათი მშპ/სულზე:

1. უღარიბესი ქვეყნები – მშპ/სულზე ნაკლებია 1000 აშშ დოლარზე;
2. განვითარებადი ქვეყნები – მშპ/სულზე არის 1000-5000 აშშ დოლარი;
3. საშუალო განვითარების ქვეყნები – მშპ/სულზე არის 5000-12000 აშშ დოლარი;
4. განვითარებული ქვეყნები – მშპ/სულზე 12000 აშშ დოლარზე მეტია.

ეს კლასიფიკაცია, რასაკვირველია პირობითია, განსაკუთრებით, როცა საქმე რიცხვებს ეხება. მთლიანობაში ის ემთხვევა საყოველთაოდ მიღებულ კლასიფიკაციას, თუმცა არის განსხვავება სხვადასხვა ჯგუფების ზღვრულ მაჩვენებლებში. ეს კლასიფიკაცია კარგად ასახავს ქვეყნების ძირითად ჯგუფებს ეკონომიკური განვითარების მიხედვით და მისი საშუალებით შეიძლება გავსახვილოთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. საქართველოს მშპ/სულზე დაახლოებით 2700 აშშ დოლარია. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა. საქართველოზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს ისეთ ქვეყნებს, რომლებიც განათლების დონით ბევრად უფრო ჩამოგვრჩებიან, სადაც მაღალია კორუფციის მაჩვენებელი და გაცილებით დაბალეფექტურია სახელმწიფო აპარატი ვიდრე ჩვენთან. რატომ არის ასე და როგორ მივაღწიოთ ამ მდგომარეობის გამოსწორებას? მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის, რომ საქართველოს სასტარტო პირობები ურთულესი იყო (სამოქალაქო ომი, ეთნოკონფლიქტები, საგარეო აგრესია, ოკუპირებული ტერიტორიები), ქართული ეკონომიკა ფაქტობრივად კოლონიალურ ხასიათს ატარებდა, მრეწველობა განუვითარებელი იყო, სოფლის მეურნეობა ძირითადად პლანტაციურ კულტურებს აწარმოებდა და მიბმული იყო რუსეთზე.

ჩვენი უახლოესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, საქართველო საშუალო განვითარების ქვეყნად ვაქციოთ, მივაღწიოთ 5000-6000 აშშ დოლარიან მშპ/სულზე. ეს არის ეკონომიკური განვითარების ის მინიმალური დონე, საიდანაც შეიძლება საუბარი სოციალურ პროგრამებზე, მეცნიერებისა და განათლების განვითარებაზე. ეკონომიკური განვითარების ამ დონეზე გამოიკვეთება, თუ როგორი იქნება საქართველოს ეკონომიკის როლი და ფუნქციები გლობალურ ეკონომიკაში, რომელი დარგები გახდება წამყვანი, განსაკუთრებით კი მრეწველობის სფეროში. ამ დონის მისაღწევად მშპ რაოდენობით დაახლოებით 20-25 მილიარდ აშშ დოლარს უნდა მიაღწიოს, ანუ მშპ დაახლოებით 10-15 მლრდ აშშ დოლარით უნდა გაიზარდოს. ამისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ინვესტიციების მკვეთრი ზრდა. ამ საჭირო დონის ინვესტირებისთვის საკმარისი რესურსები არც ქართულ ბიზნესს და არც საქართველოს მთავრობას არ გააჩნია, ამიტომ აუცილებელი წყარო უცხოური ინვესტიციებია. ამასთანავე, უცხოური ინვესტიციებით დაინტერესებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა და მათ მოსახიდად ასეთი მაღალი კონკურენციის პირობებში საქართველოს ეკონომიკას მოუწევს შესაბამისი გარემოს შექმნა.

თავისუფალი ეკონომიკის შემთხვევაში მთავრობა, რა თქმა უნდა, ვერ დაიწევს საწარმოების მშენებლობას და პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებას ეკონომიკაში, მაგრამ მას გააჩნია რამდენიმე საშუალება, რომლითაც ხელეწიფება ეკონომიკაზე ეფექტურად ზემოქმედება. ეს საშუალებები შეიძლება დავეყოთ დიდ ჯგუფებად: პირველი ეტაპის ამოცანები ამ გზაზე არის:

- მიმზიდველი ბიზნესგარემოს შექმნა;

- საერთაშორისო ხელშეკრულების დადება, რომელთა მიზანია აარიდოს ინვესტორების ორმაგი დაბეგვრა, აგრეთვე შეუქმნას საქართველოს ხელსაყრელი საგარეო ვაჭრობის რეჟიმი მსოფლიოს ეკონომიკის ძირითად სუბიექტებთან, პირველ რიგში ევროკავშირთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპის ამოცანებიდან ბევრი საკითხი საქართველოს მიერ გადაწყვეტილია. არის ერთი მნიშვნელოვანი და უაღრესად სასურველი საკითხი, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა არსებულ ეკონომიკურ პრობლემებს საქართველოში, ეს არის ხელშე-

კრულემა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ევროკავშირთან, რაც მრავალი ქვეყნის ოცნების საგანია. ამ ხელშეკრულების გაფორმება მნიშვნელოვნად გაზრდის უცხოელი ინვესტორების ინტერესს საქართველოსადმი. ამიტომ, საქართველოს მთავრობამ ამ ხელშეკრულების დასადავებლად ყველა ღონე უნდა იხმაროს. შემდეგი ეტაპის ამოცანაა ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების და მიღწევების რეკლამა, პოტენციური ინვესტორების მოძიება და მათთან მუშაობა.

ინვესტიციების მოსაზიდად საჭიროა გაგერკვეთ, თუ რა ტიპის ინვესტორებისათვის იქნება საქართველო მიმზიდველი; გაგერკვიოთ პოტენციურ ინვესტორთა წრე და რა შეიძლება გაკეთდეს ამ ინვესტორთა წრის გასაფართოებლად. აგრეთვე, უნდა ვიცოდეთ ამ ინვესტორების მოსაზრებები და სურვილები, რომელთა დასაკმაყოფილებლად ყველა არსებული რესურსის გამოყენებაა მიზანშეწონილი. ენერჯია იმაზე კი არ უნდა დაიხარჯოს, რომ მოიძებნოს აბსტრაქტული ინვესტორი ან ველოდოთ შემთხვევას, არამედ შევარჩიოთ პოტენციურ ინვესტორთა წრე, რომელთათვისაც საინტერესო იქნება ინვესტიციები საქართველოში და ვიმუშაოთ მათთან ინტენსიურ რეჟიმში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს დღეს უკვე აქვს გარკვეული პრეფერენციები ევროკავშირთან ვაჭრობაში, რაც მსოფლიოს ბევრ ქვეყანას არ გააჩნია. ამ მხრივ საქართველო შეიძლება მიმზიდველი იყოს ბევრი სამრეწველო კომპანიისთვის, განსაკუთრებით აზიის განვითარებული ქვეყნებისათვის. ამავე მიზეზით საქართველო შეიძლება საინტერესო გახეს ევროპის ზოგიერთი სამრეწველო კომპანიისათვის, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ საკუთარი სამრეწველო სიმძლავრეების ნაწილი ევროპიდან გაიტანოს, ხოლო ნაწარმი განსაზღვროს ევროპისათვის. ასე მაგალითად, შეიძლება გამოდგეს სათამაშოების მწარმოებელი კომპანიები, რომლებიც ინტენსიურად ეძებენ ადგილს საკუთარი წარმოებისათვის. ასეთი საწარმოების და დარგების მოძიება ცალკე შესწავლის საგანი უნდა გახდეს ქართულ რეალობაში, რომლის შედეგების გათვალისწინებით გამოიკვეთება პოტენციურ ინვესტორთა წრე. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება ნაყოფიერი მუშაობა ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით. საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია შემუშავდეს და უახლოეს დროში გატარდეს ერთიანი და თანმიმდევრული პოლიტიკა, რომლის შემადგენელი ნაწილებიც იქნება:

- ბიზნესგარემოს გაუმჯობესება;
- შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების დადება;
- ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის რეკლამა;
- პოტენციურ ინვესტორთა მოძიება და მათთან შესაბამისი მუშაობის ჩატარება;
- ქვეყნის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია;
- კვალიფიციური პერსონალის მომზადება.

ვაცნობიერებთ საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც გამოიხატება მის სიმცირესა და განუვითარებლობაში (მშპ/სულზე შეადგენს საშუალოევროპულის 10%-ზე ნაკლებს), უთანაბრობასა (ჯინის კოეფიციენტი – 0,41) და უმუშევრობაში (15%). მიგვაჩნია, რომ ასეთ პირობებში ეფექტური წინსვლა ვერ მოხერხდება მხოლოდ ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებელი ღონისძიებებითა და ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებით, ასევე ბიუჯეტის მნიშვნელოვნად სოციალური ორიენტაციით. აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ გააცნობიეროს ინდუსტრიის (მრეწველობის), როგორც მთავარი მამოძრავებელი სექტორის მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდის, სამუშაო ადგილების და კეთილდღეობის სახელმწიფოს შექმნის სტრატეგიაში. თანამედროვე ტექნოლოგიებსა და უნარ-ჩვევებზე დაფუძნებული, რესურსების დამზოგველი და ენერგოეფექტური, გარემოსადმი უსაფრთხო და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული სამრეწველო პროდუქტების წარმოებამ უნდა შეასრულოს კომპანის როლი სხვა სექტორებისათვის. მხოლოდ ეკონომიკურად, სოციალურად და ეკოლოგიურად დაბალანსებული წარმოება უნდა იყოს დასაშვები და მიზანშეწონილი, რათა უზრუნველყოთ მწვანე ზრდა და მდგრადი განვითარება. ახალი პროდუქტების შექმნა და ინდუსტრიული მოდერნიზაცია უნდა განხორციელდეს ინვესტიციებით ინოვაციებში, ახალ ტექნოლოგიებში, კვლევებსა და განვითარებაში, სწავლებაში, რაშიც წამყვანი როლი უნდა იკისროს სახელმწიფომ ამ სფეროს კომერციალიზაციასთან ერთად. ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის მთავრობა უნდა დაეყრდნოს ისეთ პრინციპებს, როგორცაა: სახელმწიფოს და კერძო სექტორის პარტნიორობა; სამთავრობო მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს კონკრეტულ პროექტს ან პროგრამას და არა მთლიან დარგს; პროექტის ექსპერიმენტულობა არ უნდა მიიჩნეოდეს, როგორც მისი ნაკლი; პროექტის მიმდინარეობა უნდა იყოს გამჭვირვალე და წარმატების კრიტერიუმი ცხადი, შესაბამისად, პროექტის წარუმატებლობის შემთხვევაში პროექტის დროული შეჩერება – აუცილებელი; პროექტს უნდა ახლდეს თანმდევნი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები; მაღალი პრიორიტეტის მქონე პროექტებით უშუალოდ უნდა იყოს დაინტერესებული მთავრობის მაღალი პოლიტიკური ფიგურა (მაგ., პრემიერ-მინისტრი) და ზედამხედველობას უწევდეს პროექტებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა., ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, 2005, თბილისი. „ინოვაცია“ გვ. 155.
2. ასათიანი რ., 2010, გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი, „სი-ასლე“, გვ. 84.
3. Бек У. Что такое глобализация? перевод с немецкого. М., 2004, Гидденс Э. Ускользящий мир. Как глобализация меняет нашу жизнь, М., გვ.56.
4. 4. Brakman S., Garretsen H., Marrewijk CH., Witteloostuijn A. Global Economy: An introduction. 2008, გვ.18.
5. Bhandari AK., Heshmati A., 2005 “Measurement of Globalization and its Variations among Countries, Regions and over Time”. IZA Discussion გვ.157.

Maia Chania

THE PRIORITIES OF GEORGIAN ECONOMIC DEVELOPMENT IN CONDITIONS OF GLOBALIZATION

Summary

Economic globalization is one of the three main dimensions of globalization commonly found in academic literature, with the two other being political globalization and cultural globalization, as well as the general term of globalization. Economic globalization is the increasing economic integration and interdependence of national, regional, and local economies across the world through an intensification of cross-border movement of goods, services, technologies and capital. Whereas globalization is a broad set of processes concerning multiple networks of economic, political, and cultural interchange, contemporary economic globalization is propelled by the rapid growing significance of information in all types of productive activities and marketization, and by developments in science and technology.

Economic globalization primarily comprises the globalization of production, finance, markets, technology, organizational regimes, institutions, corporations and labor. While economic globalization has been expanding since the emergence of trans-national trade, it has grown at an increased rate due to an increase in communication and technological advances under the framework of General Agreement on Tariffs and Trade and World Trade Organization, which made countries gradually cut down trade barriers and open up their current accounts and capital accounts. This recent boom has been largely supported by developed economies integrating with majority world through foreign direct investment and lowering costs of doing business, the reduction of trade barriers, and in many cases cross border migration. While globalization has radically increased incomes and economic growth in developing countries and lowered consumer prices in developed countries, it also changes the power balance between developing and developed countries and affects the culture of each affected country. And the shifting location of goods production has caused many jobs to cross borders, requiring some workers in developed countries to change careers.

The relationship between globalization and growth is a heated and highly debated topic on the growth and development literature. Yet, this issue is far from being resolved. Theoretical growth studies report at best a contradictory and inconclusive discussion on the relationship between globalization and growth. Some of the studies found positive the effect of globalization on growth through effective allocation of domestic resources, diffusion of technology, improvement in factor productivity and augmentation of capital. In contrast, others argued that globalization has harmful effect on growth in countries with weak institutions and political instability and in countries, which specialized in ineffective activities in the process of globalization. In addition, the results show that economic globalization does affect growth, whether the effect is beneficial depends on the level of income of countries. High and middle income countries benefit from globalization whereas low-income countries do not gain from it. Globalization is fundamentally asymmetric for poor countries, because their economic structure and markets are asymmetric. So, the risks of globalization hurt the poor more. The structure of the export of low-income countries heavily depends on primary commodity and natural resource which make them vulnerable to the global shocks.

The studies of problems of economic growth and its analysis became one of the most popular problems in our country. The processes of economic growth is progressively spreading worldwide and day by day more and more new countries take part in it and throughout other global projects they get more active members of modern globalization processes. And Georgia is not an exception. Development of united politics and holding them in the closest period of time will contain: making business environment better; making specific contracts; advertising country's investment's attractiveness; search of potential investors and work with them; modernize country's infrastructure; qualify personal.

მეკონომიკური უთანასწორობის სექცია

თამილა არნანი-კეპულაძე
გიორგი კეპულაძე

ეკონომიკური უთანასწორობა და სიღარიბე
ინდივიდუალურ და გლობალურ კონტექსტში

ანოტაცია. სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა და სიღარიბე წარმოადგენს თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ყოველსომცველ პრობლემას. მოცემულ ნაშრომში განხილულია სიღარიბის პრობლემა მისი ინდივიდუალური და გლობალური გამოწვევის საფუძველზე. ნაშრომში შემოთავაზებულია სიღარიბის გამომწვევი მიზეზების შესწავლა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების განსაზღვრის კონტექსტიდან გამომდინარე. აღნიშნულია, რომ სიღარიბის გამომწვევისა და შენარჩუნების მრავალი მიზეზის არსებობა მოითხოვს საზოგადოებაში არსებული სიღარიბის საფუძვლიანად შესწავლას, სიღარიბის მიზეზების მიხედვით მოსახლეობის ღარიბი ფენების დაჯგუფებას და ყოველი კონკრეტული ჯგუფისთვის სიღარიბესთან ბრძოლის სპეციალური ღონისძიებების შემუშავებას, რათა მოხდეს არა შედეგების „მკურნალობა“, არამედ სიღარიბის ფესვების აღმოფხვრა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უთანასწორობა, ინდივიდუალური სიღარიბე, გლობალური სიღარიბე, სიღარიბის ობიექტური მიზეზები, სიღარიბის სუბიექტური მიზეზები.

* * *

თანამედროვე საზოგადოება მრავალ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა პრობლემას უპირისპირდება და ამ პრობლემებს შორის ყველაზე ყოველსომცველი და მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა და სიღარიბე. ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა ყოველთვის იყო და დღემდე რჩება პრობლემად, რომელიც საერთოა ყველა ქვეყნისათვის და, ამგვარად, ატარებს გლობალურ ხასიათს. გლობალური სიღარიბის აღმოფხვრა – ეს არის თანამედროვე რეალობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა.

არსებობს მოსაზრება, რომ გარკვეული უთანასწორობა სასარგებლოა საზოგადოებისათვის, ვინაიდან გამოდის თავისებურ მოტივატორად ეკონომიკური აქტიურობისათვის, ადამიანთა უნარისა და შესაძლებლობების განვითარება-გამოყენებისათვის, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს. მაგრამ სიმდიდრის თავმოყრა ცალკეული პირების, ასევე სახელმწიფოთა ხელში, ზღუდავს სხვების წინსვლისა და წარმატების მიღწევის შესაძლებლობებს, ქმნის ე.წ. „სიღარიბის მანქანა წრეს“, რომლის გარღვევა ძალზე რთულია.

როგორც ცნობილია ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ჯოზეფ სტიგლიცმა (Joseph Stiglitz) აღნიშნა, უთანასწორობის მანქანებლებმა უკანასკნელ პერიოდში „სახიფათო დონეს“ მიაღწია და თავისი ზრდის ტენდენციით შეიძლება შეედაროს დიდი დეპრესიისა და მის შემდგომ პერიოდის უთანასწორობის ზრდის ტემპებს [10:49].

2017 წლის 17-20 იანვარს დავოსში (შვეიცარია) გამართულ მორიგ 47-ე მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე ამ ფორუმის ექსპერტების მიერ შედგენილ და წარდგენილ მოხსენებაში „გლობალური რისკების ანგარიში 2017“ (The Global Risks Report 2017) უახლოესი ათი წლისთვის ძირითად გლობალურ რისკებს შორის გლობალურ ეკოლოგიურ საფრთხეებთან, მოსახლეობის დაბერებასა და ციფრულ ტექნოლოგიებზე დამოკიდებულების ზრდასთან ერთად, დასახელებულია ეკონომიკური უთანასწორობისა და მოსახლეობის სოციალური სტრატეფიკაცია (დიფერენციაცია) არის დასახელებული.

უფსკრული ყველაზე მდიდრებსა და ყველაზე ღარიბებს შორის პერმანენტულად იზრდება და ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა უკანასკნელ პერიოდში. როგორც ამას სტატისტიკური მანქანებლები ცხადყოფს, უმდიდრეს ადამიანთა 1%-ის საშუალო შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ 2007 წელს შეადგენდა 1,3 მილიარდ აშშ დოლარს, მაშინ, როცა ყველაზე ღარიბთა 20%-ის შემოსავალი არ აღემატებოდა 17800 აშშ დოლარს [1].

Oxfam³⁶-ის მონაცემებით, 2015 წლიდან მოსახლეობის 1%-ის სიმდიდრე აღემატება მოსახლეობის დანარჩენი 99%-ის ერთობლივ სიმდიდრეს.

Oxfam-ის სხვა მონაცემების თანახმად, 2015 წელს მსოფლიოს რვა უმდიდრესი ადამიანი (იგულისხმება ბილ გეიტსი (ფლობს 75 მილიარდ აშშ დოლარს), ამანსიო ორთეგა (ფლობს 67 მილიარდ აშშ დოლარს), უორენ ბაფეთი (ფლობს 60,8 მილიარდ აშშ დოლარს), კარლოს სლიმი (ფლობს 50 მილიარდ აშშ დოლარს), ჯეფ ბეზოსი (ფლობს 45,2 მილიარდ აშშ დოლარს), მარკ

³⁶ Oxfam - ეს არის 1942 წელს ქალაქ ოქსფორდში ჩამოყალიბებული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ჩვიდმეტი საერთშორისო ორგანიზაციას და რომელიც მიზნად ისახავს ბრძოლას მსოფლიოში არსებულ სიღარიბესა და მასთან დაკავშირებულ უსამართლობასთან.

ცუკერბუგერი (ფლობს 44,6 მილიარდ აშშ დოლარს), ლერი ელისონი (ფლობს 43,6 მილიარდ აშშ დოლარს) და მაიკლ ბლუმბერგი (ფლობს 40 მილიარდ აშშ დოლარს) ერთობლივად ფლობდა 426 მილიარდ აშშ დოლარს და მათ გააჩნიათ მეტი ფული, ვიდრე მსოფლიოში მცხოვრებ 3,6 მილიარდ ლარბ ადამიანს. ანუ, თუ საშუალო სიდიდეების ტერმინებს გამოვიყენებთ, მსოფლიოს რვა უმდიდრესი ადამიანი საშუალოდ ფლობს 53,25 მილიარდ აშშ დოლარს თითოეული, მაშინ როცა 3,6 მილიარდი ლარბი ადამიანიდან თითოეულს საშუალოდ გააჩნია მხოლოდ 120 აშშ დოლარი [13].

2015 წელს უკიდურეს სიღარიბეში, ანუ მსოფლიო ბანკის ახალი მიდგომის მიხედვით დღეში 1,90 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავლით, ცხოვრობდა მსოფლიო მოსახლეობის 10,7%. აქედან უკიდურესად ღარიბი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (47,9%) ცხოვრობდა სამხრეთ საჰარის რეგიონში, ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში [9].


შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განვითარებული ქვეყნები არ განიცდიან სიღარიბის პრობლემას და ეკონომიკური უთანასწორობის საკითხი იქ არ დგას ძალიან მწვავედ. მაგრამ ეს ასე არ არის.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის 20% იმყოფებოდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. ამ პერიოდში აშშ-ში გამოცხადებული „სიღარიბესთან ომის“ შედეგად ეს მაჩვენებელი 14%-მდე შემცირდა, რაც 30 მილიონ ადამიანს შეადგენდა [14:17-18].

2015 წელს აშშ-ში საოჯახო მეურნეობის 12,7% ანუ 15,8 მილიონი საოჯახო მეურნეობა განიცდიდა სურსათის უკმარისობას [2]. USDA (United States Department of Agriculture) მონაცემებით, 2014 წელს ეს საოჯახო მეურნეობები განიცდიდნენ სურსათის უკმარისობას წელიწადში 7 თვის განმავლობაში. ამ ადამიანთა 97%-მა განაცხადა, რომ იძულებულნი არიან შეამცირონ მისაღები საკვების მოცულობა ან გამოტოვონ ერთი კვების მიღება იმის გამო, რომ მათ არ გააჩნიათ საკვების შექმნისათვის საჭირო ფული. 27%-მა კი განაცხადა, რომ ამავე მიზეზით საერთოდ დარჩნენ მშვიფრები მთელი დღის განმავლობაში [7:4-11]. აშშ-ს მოსახლეობის აღწერის ბიუროს (United States Census Bureau) თანახმად, 2015 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში 43,1 მილიონი ადამიანი იყო ღარიბი და სიღარიბის ოფიციალური დონე შეადგენდა 13,5% [8:12].

მიუხედავად იმისა, რომ დღეს სამყარო უფრო მდიდარია, ვიდრე ის ორასი წლის წინ იყო [5], ეკონომიკური უთანასწორობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, თვით განვითარებულ ქვეყნებს შორის და განვითარებად ქვეყნებს შორის ის კიდევ უფრო გაიზარდა. 1980-იან წლებიდან და, განსაკუთრებით, 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდგომ პერიოდში, ქონებრივი უთანაბრობა კიდევ უფრო გაძლიერდა [12] და დღეს მსოფლიო მოსახლეობის 70% ცხოვრობს ქვეყნებში, რომლებშიც ეკონომიკური უთანასწორობა კიდევ უფრო გადრმავედა უკანასკნელი 30 წლის მანძილზე. თუ მე-19 საუკუნის დამდეგს დასავლეთი სამყაროს ქვეყნების სიმდიდრე 90%-ით აღემატებოდა სხვა დანარჩენი სამყაროს სიმდიდრეს, 2000 წლისთვის ამ განსხვავებამ სიმდიდრეში 750%-ს მიაღწია [3:9].


ქვეყნებს შორის ეკონომიკური არათანაბარი განვითარება შეიძლება განიხილოს, როგორც *ისტორიულ ჭრილში*, ასევე *მიმდინარე პერიოდში*. *ისტორიულ ჭრილში* ეკონომიკის არათანაბარი განვითარება გამოისახება, პირველ რიგში, მოსახლეობის ერთ სულზე ქვეყნებში დაგროვებული სიმდიდრის მოცულობის არათანაბარ განაწილებაში, ხოლო *მიმდინარე პერიოდში* – მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის არათანაბარ განაწილებაში, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის არა აბსოლუტურ, არამედ შეფარდებით მოცულობაში (იხ. ნახაზი):



ნახაზი. მშპ და სიმდიდრის განაწილება ერთ ზრდასრულ მოსახლეზე ქვეყნების მიხედვით (აშშ დოლარებში, 2016 წელი)

შეღებნილია ავტორის მიერ. წყარო: 1). GDP: World Development Indicators, World Bank; 2). Credit Suisse Global Wealth Databook 2016.

არათანაბრად არის განაწილებული აგრეთვე ქვეყნებს შორის მსოფლიო სიმდიდრე. მსოფლიო სიმდიდრის ყველაზე დიდი წილი – 33,2% თავმოყრილია აშშ-ში. მსოფლიოს კიდევ 13 ქვეყნიდან თითოეული ფლობს მსოფლიო სიმდიდრის 1%-ზე მეტს (კერძოდ, იაპონია ფლობს მსოფლიო სიმდიდრის 9,4%-ს, ჩინეთი – 9,1%-ს, გაერთიანებული სამეფო – 5,5%-ს, იტალია – 3,9%-ს, გერმანია – 4,9%-ს, საფრანგეთი – 4,7%-ს, კორეა – 2,5%-ს, ავსტრალია – 2,5%-ს, ტაივანი – 1,3%-ს, ინდოეთი – 1,2%-ს, ბრაზილია 1%-ს), რაც საერთო ჯამში 49,1% შეადგენს, ხოლო მსოფლიოს დანარჩენი 202 ქვეყანა, Global Wealth Databook მიხედვით, ფლობს მსოფლიო სიმდიდრის დარჩენილ 17,7%-ს (იხ. დიაგრამა).



დიაგრამა. სიმდიდრის განაწილება: ქვეყნის წილი მსოფლიოს სიმდიდრეში (%-ში, 2016 წელი)

შეღებნილია ავტორის მიერ. წყარო: 1). GDP: World Development Indicators, World Bank; 2). Credit Suisse Global Wealth Databook 2016.

სიღარიბის პრობლემის ყოველმხრივი და საფუძვლიანი კვლევისათვის მეთოდოლოგიურად მიზანშეწონილია მისი განხილვა ორი პოზიციიდან გამომდინარე: პიროვნების ან საოჯახო მეურნეობის პოზიციიდან გამომდინარე და სახელმწიფოს პოზიციიდან გამომდინარე ანუ მიკროდონეზე და, ასევე, მაკრო/მეზო დონეზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა გავიხილოთ *ინდივიდუალური სიღარიბე* და *გლობალური სიღარიბე*. ამგვარი მიდგომიდან გამომდინარე, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1. *გლობალური სიღარიბის* ანუ მაკრო-/მეზო- დონეზე (სახელმწიფოს პოზიციიდან გამომდინარე): რა იწვევს ქვეყნებისა და ერების სიღარიბეს? რატომ არიან ზოგი სახელმწიფოები მდიდრები, ხოლო მეორენი – ღარიბები? რატომ მდიდრდებიან მდიდარი სახელმწიფოები უფრო მეტად მაშინ, როცა ღარიბი ქვეყნები სულ უფრო ღარიბები ხდებიან? როგორ შეიძლება ღარიბმა ქვეყნებმა და ერებმა დააღწიონ თავი სიღარიბეს?

2. *ინდივიდუალური სიღარიბის* ანუ მიკრო-დონეზე (ცალკეული პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის, საოჯახო მეურნეობის პოზიციიდან გამომდინარე): რა იწვევს ადამიანთა სიღარიბეს? რატომ არიან ადამიანები ღარიბები და რატომ არ შეუძლიათ მათ დააღწიონ სიღარიბეს? რატომ არიან ზოგი ადამიანები ძალიან მდიდრები და სხვები ძალიან ღარიბები? რატომ ხდება, რომ მდიდარი ადამიანები უფრო მდიდრდებიან, ხოლო ღარიბი ადამიანები კიდევ მეტად ღარიბდებიან? რა უნდა გაკეთდეს, რათა ღარიბმა ადამიანებმა დაძლიონ თავიანთი სიღარიბე? ვინ აგებს პასუხს სიღარიბეზე – თავად ღარიბი ადამიანები თუ საზოგადოება?

კითხვაზე, თუ რატომ არიან ზოგი ქვეყნები მდიდრები და სხვები სიღარიბეში აგრძელებენ ცხოვრებას, ცალსახა პასუხის გაცემა რთულია. ამერიკელი ეკონომისტი, პოლონეთში, ბოლივიასა და რუსეთში გატარებული „შოკური თერაპიის“ პოლიტიკის ერთ-ერთი ავტორი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანის მრჩეველი მდგრადი განვითარების საკითხებში ჯეფრი დევიდ საქსი (*Jeffrey David Sachs*) გამოყოფს ქვეყნების სიღარიბეში დარჩენის შვიდ მიზეზს [15]:

1. „*სიღარიბის ხაფანგი*“: როცა ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის ქვეყანას საკუთარ ეკონომიკაში ინვესტიციების განხორციელება არ შეუძლია, ის „სიღარიბის ხაფანგში“ რჩება;

2. *მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა*: როცა ქვეყანა უარს ამბობს საბაზრო ურთიერთობებსა და საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვაზე;

3. *ვინანსური გადახდის უუნარობა*, როცა მოუწესრიგებელია სახელმწიფოს ხარჯები, დაბალია გადასახადები, ადგილი აქვს საომარ მდგომარეობას;

4. *ცუდი მართებლობა*, როცა მძინვარებს კორუფცია, მართვა არის არაეფექტიანი და ხორციელდება არაკომპეტენტური პირების მიერ;

5. *არახელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა*, რაც გამოიხატება ბუნებრივი რესურსების სიმწირეში, ცენტრალური სატრანსპორტო სისტემებიდან დაცილებაში, ცუდ კლიმატურ პირობებში;

6. *კულტურული ბარიერები*, რაც გამოიხატება გენდერულ უთანასწორობასა და დისკრიმინაციაში;

7. *გეოპოლიტიკა* ანუ ურთიერთობები მეზობლებთან, მოკავშირეებთან თუ მოწინააღმდეგეებთან, ქვეყნის კოლონიური ისტორია.

სიღარიბის პრობლემის გაგება და მის დაძლევაზე მიმართული ღონისძიებების განსახდვრა დიდწილად დამოკიდებულია სიღარიბის გამომწვევი მიზეზების გაგებაზე.

სიღარიბის გამომწვევი მრავალი მიზეზი არსებობს. ეს მიზეზები შეიძლება პირობითად დაჯგუფდეს ობიექტური ხასიათის და სუბიექტური ხასიათის მქონე მიზეზებად.

ობიექტური ხასიათის მქონე მიზეზებს შორის შეიძლება აღინიშნოს:

- საზოგადოებაში არსებული *არახელსაყრელი ეკონომიკური კონიუნქტურა* და მის მიერ გამოწვეული უმუშევრობა, დაბალი ხელფასები ან ხელფასების გაუცემლობა, ინფლაცია და სხვ;

- *პოლიტიკური არასტაბილურობა* – ომები, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები და სხვ;

- *სამთავრობო ორგანოების არაეფიციენტური პოლიტიკა* – ეკონომიკაში შექმნილ სიტუაციაზე არაადეკვატური ან დაგვიანებული რეაგირება;

- *ეკოლოგიური კატაკლიზმები* – მიწისძვრები, ცუნამი, ზვავი და სხვ;

- *რეგიონულ-გეოგრაფიული განსხვავებები* (ღარიბი ადგილები) – ცალკეული რეგიონებისა და ტერიტორიების არათანაბარი ეკონომიკური განვითარება, ბუნებრივი რესურსების არათანაბარი განლაგება, მიწის დაბალი ნაყოფიერება;

- *კლიმატური განსხვავებები* – უდაბნოები, გვალვა და სხვ;

- *მუშაობის სეზონურობა* – საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე დასაქმების და, მაშასადამე, შემოსავლების არასტაბილურობის წლის მანძილზე;

- *კულტურული განსხვავებები* – ცალკეულ ადგილებზე (ტერიტორიებზე) ანდა ადამიანთა ჯგუფებში ჩამოყალიბებული რელიგიურ-ფილოსოფიური ცხოვრების წესი, რომელიც უარყოფს სწრაფვას მატერიალური კეთილდღეობისკენ.

სუბიექტური ხასიათის მიზეზთა შორის შეიძლება დასახელდეს:

- განათლების დაბალი დონე - ადამიანს არ აძლევს საშუალებას, დაიკავოს მაღალშემოსავლიანი სამუშაო ადგილი;
 - ჯანმრთელობის მდგომარეობა - სხვადასხვა მიზეზებით ჯანმრთელობის გაუარესება ადამიანს ზოგჯერ (საერთოდ ან ნაწილობრივად) აკარგვინებს უნარს, სრულფასოვნად მიიღოს მონაწილეობა შრომით საქმიანობაში და, მაშასადამე, შემოსავალი;
 - ხანდაზმულობა - უფროსი თაობების ადამიანებს ასაკის მომატებასთან ერთად შეიძლება დაუქვეითდეს შრომისუნარიანობა და, შესაბამისად, შემოსავლის მიღების შესაძლებლობა;
 - სოციალური კაპიტალის (სოციალური ურთიერთობების) დაბალი დონე - მათ, ვისაც არ გააჩნია საჭირო სოციალური კონტაქტები (კავშირები), ნაკლებად არიან ინფორმირებულები კარგი სამუშაო ადგილების არსებობის შესახებ, მათ ნაკლებად შეუძლიათ კარგი სამუშაო ადგილების დაკავება და, მაშასადამე, შემოსავლების მიღება;
 - სიღარიბის თვითწარმოშობა - ადამიანის, ოჯახის (სოციალური ჯგუფის, ქვეყნის) ცხოვრების დაბალი დონის აღწარმოება და ე.წ. „სიღარიბის მანკიერი წრის“ წარმოშობა, როცა ღარიბი ოჯახები თუ სოციალური ჯგუფები ვერ უზრუნველყოფენ თავისი შვილების (ჯგუფის წევრების) მომავალში შემოსავლის მაღალი დონის მიღწევისათვის საჭირო სასტარტო პირობებს (მატერიალურ მდგომარეობას და, აქედან - განათლების საჭირო დონესა და აგრეთვე საჭირო სოციალურ კონტაქტებსა და სხვ.). იგივე ეხება ღარიბ ქვეყნებს. ამ ქვეყნების მოსახლეობა ვერ იძენს წარმოებულ პროდუქციას, რასაც მოჰყვება წარმოების პროცესის შეფერხება, დასაქმების პრობლემის ზრდა და, აქედან გამომდინარე - შემოსავლების შემცირება. ღარიბი ოჯახებისთვის, სოციალურ ჯგუფებსა თუ ქვეყნებისთვის ძალზე გართულებულია სიღარიბიდან გამოსვლა.
 - ასოციალური თვისებები (ინდივიდის ასოციალური ქცევა) - ნარკოტიკების მოხმარება, ლობობა, სიზარმაცე, პარაზიტიზმი და ა.შ.;
 - ინერტულობა - რეალობის პასიური აღქმა, არსებული (ღარიბული) ცხოვრების წესის შეცვლის სურვილის უქონლობა, ცხოვრებისადმი შეგუება და სხვ.
- სიღარიბის გამომწვევისა და შენარჩუნების მრავალი მიზეზის არსებობა მოითხოვს საზოგადოებაში არსებული სიღარიბის საფუძვლიანად შესწავლას, სიღარიბის მიზეზების მიხედვით ღარიბი ფენების დაჯგუფებას და ყოველი კონკრეტული ჯგუფისთვის სიღარიბესთან ბრძოლის სპეციალური ღონისძიებების შემუშავებას, რათა მოხდეს არა შედეგების „მკურნალობა“, არამედ სიღარიბის ფესვების აღმოფხვრა.

* * *

მაშასადამე, სიღარიბის პრობლემა ეხება როგორც ცალკეულ ადამიანებს, ასევე ცალკეულ ქვეყნებს, რის გამოც სიღარიბის ფენომენი უნდა განიხილოს როგორც ინდივიდუალურ, ასევე გლობალურ დონეებზე.

სიღარიბის გამომწვევი მრავალი მიზეზი არსებობს. სიღარიბის პრობლემის გაგება და მის დაძლევაზე მიმართული ღონისძიებების შემუშავების მიზნით აუცილებელია სიღარიბის გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული გააზრება და მკაცრი გამიჯვნა და ამის საფუძველზე მის დაძლევაზე მიმართულ ღონისძიებათა შემუშავება. ანუ, სიღარიბესთან ბრძოლა მიმართული უნდა იყოს არა სიღარიბის გამოვლენაზე, არამედ სიღარიბის ფესვებზე, რათა ვებრძოდოდ არა შედეგებს, არამედ მიზეზებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Average Federal Tax Rates in 2007, Congressional budget office, June 2010.
<https://www.cbo.gov/sites/default/files/112th-congress-2011-2012/reports/AverageFedTaxRates2007.pdf>
2. Coleman-Jensen, Alisha, Christian Gregory, and Anita Singh. 2016. Report Summary: Household Food Security in the United States in 2015. U.S. Department of Agriculture, Economic Research Service, September 2014.
3. Galasso V. Nicholas, 2014, The Drivers of Economic Inequality, Oxfam America Research Backgrounder, <https://www.oxfamamerica.org/static/media/files/oxfam-drivers-of-economic-inequality.pdf>
4. World Development Indicators, World Bank, 27-Apr-2017.
5. Global Wealth Databook 2016, Research Institute Thought leadership from Credit Suisse Research and the world's foremost experts, November 2016.
<http://publications.credit-suisse.com/tasks/render/file/index.cfm?fileid=AD6F2B43-B17B-345E-E20A1A254A3E24A5>
6. Global Inequality, <http://inequality.org/global-inequality/>
7. Household Food Security in the United States in 2014, pp. 4-11.
8. Income and Poverty in the United States: 2015, Current Population Reports, Issued September 2016, P60-256 (RV), U.S. Department of Commerce, Economics and Statistics Administration.
9. Roser Max, Ortiz-Ospina Esteban, 2017, Global Extreme Poverty, Our World in Data, March 27, 2017, <https://ourworldindata.org/extreme-poverty/>

10. Stiglitz Joseph, 2012, *The Price of Inequality: How Today's Divided Society Endangers Our Future*, W. W. Norton & Company, New York, London, http://resistir.info/livros/stiglitz_the_price_of_inequality.pdf
11. *The Global Risks Report, 2017*, Insight Report, 12th Edition, World Economic Forum, ISBN: 978-1-944835-07-1, Geneva, 2017. http://www3.weforum.org/docs/GRR17_Report_web.pdf
12. Ейтс, Майкл Д., 2017, Измерение глобального неравенства, 9.01.2017. //Michael D. Yates, "The Great Inequality", *Monthly Review* 63, no. 10 (March 2012): 1–18// <http://commons.com.ua/ru/izmerenie-globalnogo-neravenstva/>
13. Глобальное неравенство: восемь человек владеют половиной богатства мира, 02.02.2017. <http://theworldonly.org/globalnoe-neravenstvo-vosem-chelovek-vladeyut-pоловиной-bogatstva-mira/>
14. Проблемы бедности в США и России: стратегия социальной политики. М., 1997., с. 17-18.
15. Сакс Дж.Д., 2011, *Конец бедности. Экономические возможности нашего времени*, Пер. с англ. Н.Эдельмана. ISBN 978-5-93255-306-0, М.: Изд. Института Гайдара, - 424с. <http://padaread.com/?book=75470>

Tamila Arnania-Kepuladze
Giorgi Kepuladze

ECONOMIC INEQUALITY AND POVERTY IN THE INDIVIDUAL AND GLOBAL CONTEXT

Summary

The modern society faces many social, economic, political and other problems the most important of which are socio-economic inequality and poverty. The socio-economic inequality of human beings and nations has always been and remains to be a problem that is common to all countries and thus has a global character. Socio-economic inequality and poverty are one of the most important and ever-present problems in the modern world. An elimination of poverty is one of the biggest challenges of nowadays' reality.

Among the seven global risks that the world will face to the nearest ten years, *The Global Risks Report 2017* (Davos, January 11, 2017) mentions economic inequality and social stratification.

This paper offers to consider poverty from two positions: in the individual context (or micro-level position) and global context (or macro- and meso- level position).

Proceeding from global context of poverty, the answers to the next questions should be done: Why some countries and nations are poor? What causes the poverty of the countries and nations? Why the rich nations become richer when the poor nations become poorer? What could be done for overcoming the poverty of the poor nations and in the poor countries?

Based on the individual approach the following questions should be asked: Why are people poor and what causes their poverty? Why people are unable to escape poverty? Why the rich people become richer when the poor become poorer? Who is responsible for the poverty of people – poor persons themselves or society?

There are many reasons for poverty and the measures for the poverty overcoming largely depend on its causes. These reasons can be conditionally grouped as objective reasons and subjective reasons.

Among the objective reasons of poverty could be mentioned the following:

- *Adverse economic conjuncture* that causes unemployment, inflation, low wages, etc.;
- *Political instability* such as wars, ethnic conflicts, religious conflicts, etc.;
- *Incorrect policy of government agencies* - inadequate or delayed response on the existing economic situation;
- *Ecological cataclysms* - earthquakes, tsunamis, avalanche, and others;
- *Regional and geographical differences (poor places)* - unequal economic development of some territories and regions, uneven distribution of natural resources, low capability of land, etc.;
- *Climatic differences* - deserts, drought and others;
- *Seasonality of work* – proceeding from the features of the job activity, an instability of revenue during a year, etc.;
- *Cultural differences* – based on the religious-philosophical lifestyle of some separate areas (territories) or groups of people that reject the pursuit to a material well-being.

Among the subjective reasons of poverty could be mentioned the following:

- *Low level of education* – that does not allow people to hold high income jobs;
- *Problems with health* - deterioration of a health could make people to be unable to take full advantage from labour market participation and, therefore, to get income;
- *Elderly* - older generations can lose a capacity for work and, therefore, the possibility to get income (in case of a low retiring pension);
- *Low level of social capital (social networks)* – those, who do not have the necessary social contacts are less aware of the existence of good jobs, they are less likely to be able to take good jobs and, therefore, get revenue;
- *Self-reproduction of poverty* - the low level of life of person, family or social group and its reproduction provokes so-called "vicious cycle of poverty";
- *Asocial properties (asocial behavior of the individual)* - drug use, drunkenness, laziness, parasitism and so on;

- *Inertia* – a passive perception of a reality, lack of desire to change the existing (poor) lifestyle, maladjustment to life, etc.

The existence of a number of reasons of poverty invokes to group poor according to poverty reasons and to elaborate relevant approaches for its overcoming.

*Изтелеу Айдархановна Бибатырова
Куралай Оразгалиевна Нурғалиева*

ФАКТОРЫ РЕАЛИЗАЦИИ КОНЦЕПЦИИ УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ В КАЗАХСТАНЕ

***Аннотация.** В данной статье рассматриваются важные факторы реализации концепции «Устойчивое развитие» в Казахстане. К таким факторам отнесены качество человеческого капитала и развитие инновационной сферы. Подчеркивается их особая роль и их воздействие на эколого-экономическую систему страны. С использованием статистического материала показан уровень их развития в Казахстане. Статья рассчитана на широкий круг читателей, а также лиц, заинтересованных в изучении концепции «Устойчивое развитие»*

***Ключевые слова:** человеческий капитал, управленческий корпус, образование, социальные услуги, инвестиции, инновации, национальная инновационная система, инклюзивное развитие, «зеленый рост».*

Концепция «Устойчивое развитие» в самом широком смысле направлена на достижение гармонии в отношениях между обществом и природой и имеет глобальный характер. Это связано с тем, что социально-экономический и экологический кризис, по мнению авторов доклада «Наше общее будущее», положившего начало формированию этой концепции, «..географически охватил весь мир: все его регионы, развитые и развивающиеся страны, дойдя до необитаемых частей суши и глубин океана...затронул все сферы общественной жизни: от экономики до культуры».

Необходимость реализации основных положений этой концепции заставила все мировое сообщество более активно вести работу по научным исследованиям и формированию конкретных путей для практических действий. Согласно решениям ООН, каждая страна должна разработать свой национальный план перехода на путь устойчивого развития.

Казахстан, подписав в Рио-де-Жанейро базовые документы конференции ООН по окружающей среде и развитию, принял на себя ответственность за сотрудничество в области перехода к устойчивому развитию. Поэтому страна находится в поиске факторов, способствующих реализации этой концепции. Рассмотрим некоторые из таких факторов.

1. Известно, что любая хозяйственная деятельность невозможна без использования продукции сырьевых отраслей, т.е. без использования природных ресурсов. Все же есть отрасли и сферы, где их применение составляет незначительную часть, что вполне соответствует концепции устойчивого развития. Следовательно, главными факторами устойчивого развития могут такие факторы, которые не сильно зависят от природных ресурсов и оказывают не столь губительное влияние на экологическую ситуацию. К таким факторам можно отнести, прежде всего, всемерное развитие **человеческого капитала**, трудовых ресурсов экономики, рост и развитие его квалификационно-профессиональной подготовленности, общей интеллектуальной и культурно-психологической образованности и высокой ответственности перед обществом и природной средой. Именно человеческие ресурсы, превратившись из затратного фактора в производительный и социальный, в настоящее время играют ту большую специфическую роль в формировании национального богатства страны, повышении эффективности современной экономики и обеспечении снижения нагрузки на окружающую среду. Его способность влиять на организационную, научно-технологическую, управленческую структуры национальной экономики, обеспечивать должное качество трудовой мотивации и предпринимательской активности, формировать соответствующие ценностные ориентиры напрямую определяют возможность успешной реализации концепции устойчивого развития. Чем профессиональней, умней и интеллектуальней будут трудовые ресурсы, тем выше будет уровень развития экономики, уровень благосостояния граждан, тем свободнее, справедливее и гуманнее будет политическая система и общество в целом. Поэтому основным полем международной конкуренции в мире становится борьба за высокое качество человеческого капитала. Именно человеческий капитал является самым важным и одновременно самым динамичным фактором современного производства, фактором способствующим решению стратегических задач любой страны. В мире сформировалось отчетливое понимание, что лидирующие позиции в мире будут занимать те страны, которые могут стать наиболее привлекательными для высокообразованных, профессионально подготовленных людей. Признается, что человеческий капитал выступает как движущая сила НТП и является не только носителем новых знаний, но и их создателем.

К тому же высокое качество человеческого капитала и самих трудовых ресурсов обуславливает и высокое качество жизни всего населения страны, через накопление знаний, опыта, умений и других позитивных свойств человека. А все это обеспечивает не только снижение нагрузки на экологию, но и обеспечивает рост эффективности экономики в результате умелой, профессионально грамотной организации производства, снижения ресурсо- и энергоемкости, сокращения транспортных расходов, снижения отходов и брака. В результате

повышается конкурентоспособность национальной экономики и усиливается роль страны в мировом экономическом пространстве.

В составе человеческого капитала особенно важно подчеркнуть особую роль управленческого корпуса. Чтобы подчеркнуть эту особую роль видный американский экономист Майкл Портер пишет: «Географическое расположение, природные ресурсы и даже военная мощь уже не служат решающими факторами. Теперь процветание страны зависит от того, как ее граждане управляют экономикой, какие они создают институты. И какие делают инвестиции – вместе или по отдельности.» [1.С147.]

В самом деле, только реальные управленческие решения, использование научно-обоснованных методов прогнозирования, планирования, программирования, выбор стратегических целей развития страны, умение найти собственную нишу на мировом рынке, реализация и других инструментов управленческих функций определяют направление движения всей хозяйственной жизни населения конкретной территории. Например, в Казахстане за годы независимости попытка страны уйти от сырьевой направленности, навязанной территориальной политикой руководства бывшего Союза, не принесли существенных изменений в структуре экономики, поскольку именно эти сырьевые отрасли обеспечивают стране возможности держать «на плаву» и все остальные сферы жизнедеятельности. Методы управления в советский период практически игнорировали долгосрочные перспективы развития территорий, а подчиняли хозяйственную жизнь регионов сиюминутным, краткосрочным выгодам, не считаясь с экологическим равновесием на конкретной территории. Сейчас Казахстан наряду с усилиями диверсифицировать свою экономику и изменить ее отраслевую структуру, развивать региональную инфраструктуру и т.д., понимая важную роль человеческого капитала и управленческого корпуса в развитии страны, уделяет большое внимание развитию процессов, обеспечивающих их эффективное развитие. Так, в 2015 году по результатам исследований, охвативших 124 страны мира, Казахстан по уровню развития человеческого капитала занял 37 место, поднявшись по сравнению с 2013 годом на 8 позиций (с 45 места) и показав высокие результаты по показателям уровня образования и качества системы образования. Однако специалисты отмечают, что «существующая система казахстанского образования все еще отстает от потребностей социально-экономического развития нового качества и нуждается в реформировании» /2.С.171./

Анализ состояния некоторых направлений развития человеческого капитала в стране показывает, что инвестиции, направляемые в развитие сфер, формирующих человеческий капитал, в том числе и в систему образования, здравоохранение и социальные услуги значительно отстают от темпов роста их общего объема и составляют весьма незначительную величину их объема.

Таблица 1

Инвестиции в основной капитал по направлениям за 2011-2015 гг.

	Показатели	2011	2012	2013	2014	2015	% роста
1.	Инвестиции в основной капитал, в млн.тенге. в том числе	5010231	5473161	6091482	6591482	7024709	140,2
2.	Образование	161610	187717	154639	220360	198607	122,8
	Удельный вес общининвестициях	3,2	3,4	2,5	3,3	2,8	
3.	Здравоохранение и соц. услуги	100439	79987	103250	113950	74649	-25,7
	Удельныйвес в общих инвестициях	2,0	1,4	1,7	1,7	0,6	

Составлено автором по: Казахстан в 2015 году. Статистический ежегодник, Астана 2016, стр.204-205

Как видно из таблицы 1, инвестиции, выделяемые на развитие этих важнейших сфер, в 2015 году составили незначительные величины, увеличившись по сравнению с 2011 годом на образование на 22,9%, а на здравоохранение и социальные услуги сократившись на 25,7 %, тогда как общий объем инвестиций в целом в национальную экономику вырос за этот период на 40,2 %. Удельный вес инвестиций в эти сферы также составляют весьма незначительные величины - от 0,6 до 3,3 % по различным годам.

К тому же специалисты отмечают нехватку в Казахстане дошкольных учреждений, организаций, занимающихся предшкольной подготовкой в регионах, а так же слабую подготовленность педагогических кадров и даже наличие кадров, не имеющих специальной профессиональной подготовки.[3.С.131-132].Учитывая важнейшую роль образования, здравоохранения и социальной сферы в формировании человеческого капитала следует признать настоятельную необходимость усиления внимания к функционированию этих сфер.

Поэтому в стране в дальнейшем будут осуществляться меры повышения конкурентоспособности образования, удовлетворения потребностей населения в качественных услугах организаций дошкольного воспитания и обучения, улучшения здоровья граждан Казахстана для обеспечения устойчивого социально-демографического развития страны, сокращения безработицы для обеспечения устойчивой занятости. Проведена кардинальная модернизация правовой базы системы образования Казахстана на 2011-2020 годы, приняты

соответствующие законы «Об образовании», «О науке», «О Государственной образовательной накопительной системе» и др.

Продолжается реализация мероприятий по государственным программам развития образования Республики Казахстан на 2011 - 2020 годы, развития здравоохранения «СаламаттыҚазақстан» на 2011 - 2015 годы, программам «Балапан» на 2010 - 2020 годы и «Дорожная карта занятости 2020». Словом, сосредоточиваются усилия страны по целенаправленному развитию человеческого капитала и преобразованию сферы управления и стремлению задействовать все процессы, определяющие их эффективность.

2. Другим важным фактором, способствующим реализации концепции устойчивого развития может быть инновационный фактор - создание и внедрение прогрессивных нано-, био-, ресурсо- и энергосберегающих технологий и новой техники. Впрочем заметим, что этот фактор является производным от первого фактора – качества человеческого капитала, уровня его интеллектуальной и профессиональной образованности. Известно, что Япония, одна из процветающих стран мира, относительно небогатая природными ресурсами, благодаря высокому уровню своих трудовых ресурсов и продуманного менеджмента успешно использует достижения своих технологических изобретений. И сейчас страна имеет один из самых высоких показателей качества жизни своего населения.

Усиленное внедрение прогрессивной новой техники и разработка эффективных технологий на основе использования энергии ветра, солнца, возможностей Мирового океана и других инноваций, без сомнения, снизят нагрузку на природно-ресурсный потенциал Земли и на мировую экологическую среду. Здесь большое значение имеет формирование национальной инновационной системы путем создания благоприятного инвестиционного и инновационного климата для всех хозяйствующих субъектов. Все направления формирования такого климата будут положительно влиять на реализацию основ устойчивого развития.

Инновации с позиции устойчивого развития понимаются «как органическая совокупность результата, процесса и эффекта, связанная с созданием и распространением новшеств в различных сферах человеческой деятельности, способствующая повышению социально-экономической эффективности и формированию системы устойчивого развития общества» [4.С.5]

Анализ мирового опыта реализации концепции устойчивого развития показал, что режим устойчивого развития реализуется успешно в тех странах, где развитие идет с опорой именно на инновационный фактор. В этих в странах созданы эффективные модели национальных инновационных систем, которые стимулируют инновационную активность своих хозяйствующих субъектов стимулируют создание новых экологически востребованных нано-, био-, информационных технологий и новой техники, способных экономно расходовать невозпроизводимые природные ресурсы и снижать антропогенную нагрузку на окружающую природную среду. А это отражается положительно на решении проблемы устойчивого развития. К тому же инновации обеспечивают устойчивое конкурентное преимущество и как следствие, высокий уровень конкурентоспособности любого государства, конкретного региона и других систем разного масштаба.

Для Казахстана формирование полноценно функционирующей национальной инновационной системы является не только важной, но и сложной задачей. В первой пятилетке принятой Государственной программы форсированного индустриально-инновационного развития страны (ГПФИИР) до 2019 года была заложена определенная производственная и инфраструктурная база для экономической модернизации общества. На 2015-2019 годы в этой же Программе определены основные этапы и механизмы дальнейшего формирования такой системы. Однако инновационная активность казахстанских предприятий пока находится на невысоком уровне, что отражается на медленных темпах роста доли инновационной продукции в ВВП страны. Так, эта доля снизилась с 1,58 % в 2005 году до 1,50% в 2014 году, при этом наиболее сильное снижение было в 2009 – 2011 годы – 0,51%, 0,66%, 0,86% соответственно. [5.С.15.]. В 2014 году инновационной продукции на 1 предприятие было произведено на 300 млн. тенге, что ниже, чем было произведено в 2003 году. Это говорит о том, что в течение 10 лет существенных сдвигов в инновационной динамике предприятий не наблюдается. Интересно и следующее сравнение: в 2014 году 33 % мирового производства электроэнергии были возобновляемые источники, а в Казахстане их удельный вес составил всего 0,5 %. [6.С.18.]К тому же внедрение инноваций, а так же динамика инновационного развития в регионах страны происходит крайне неравномерно, хотя государство оказывает поддержку инновационной деятельности одинаково всем регионам.

Важным моментом в эффективном функционировании национальной инновационной системы является эффективная деятельность таких ее элементов как научно-образовательная система, в которой ее субъекты – научно-исследовательские учреждения, вузы, технопарки, малые инновационные фирмы и т.д. – генерируют новые знания и идеи и инновационная инфраструктура, субъекты которой – финансово-кредитные институты, венчурные инновационные компании, страховые фирмы, фонды поддержки и т.д. - воплощают в реальность эти новшества и создают благоприятные условия для осуществления всего инновационного процесса.

В то же время следует отметить, что в последние годы (2014, 2015, 2016 гг.) государством прилагаются немалые усилия для динамичного развития инновационной сферы. Так за последние 5 лет, с 2011 по 2015 год объем произведенной инновационной продукции в Казахстане вырос на 160 %, с 235962,7 тенге до 377196,7 тенге, объем текущих затрат на исследования и разработки так же вырос на 160%, с 43351,6 млн.тенге до 69302,9 млн.тенге. Выросла и инновационная активность с 5,71 в 2011 году до 8,1 в 2015 году.[7.С.217.]

Специалисты считают, что в Казахстане имеется значительный потенциал для развития инновационного фактора устойчивого развития в следующих трех направлениях: а) инклюзивное развитие; б) «зеленый рост»; в) формирование постиндустриальных наукоемких производств. [6.С.20-21]

Концепция инклюзивного развития исходит из необходимости обеспечения развития всех сфер жизнедеятельности общества и способствующий вовлечению всего населения, включая сельскохозяйственное население, людей с ограниченными возможностями и даже маргинальные слои. А направления – это всевозможные дочерние предприятия, трудоемкие отрасли промышленности, а так же традиционные ремесла и даже экологический туризм. Такой подход позволяет задействовать потенциал малого и среднего частного бизнеса. Именно на базе малого инновационного предпринимательства могут развиваться многие наукоемкие производства.

Развитие «зеленой экономики» базируется на использовании экологически чистых технологий, не допускающих загрязнение и деградацию природной среды. В Казахстане в ряде отраслей разработаны очень прогрессивные технологии, которые могут не требовать огромных инвестиций, быть быстроокупаемыми и их реализация привлекательна для малого и среднего бизнеса. Это технологии по развитию ветро – и солнечной энергетики, технологии по производству биотоплива, биогаза, органических удобрений и комбикормов и другие.

Особую значимость для Казахстана имеет такое направление как формирование постиндустриальных наукоемких производств. Представленные выше направления развития инновационной сферы являются, в основном, приоритетами индустриального этапа развития общества, поэтому для страны важно определить возможные «точки роста» новых постиндустриальных комплексов, высокотехнологичных производств. Для их развития пока в стране еще нет достаточных условий, но имеются предпосылки для освоения прогрессивных зарубежных технологий и развития на их основе, так называемых, аддитивных производств, предполагающих диверсификацию экономики, которая позволит совершенствовать традиционную отраслевую структуру.

Для решения этих сложных задач ускорения процесса трансформации экономики страны в инновационное русло большая роль принадлежит эффективному функционированию национальной инновационной системы, которая должна иметь рациональную структуру, соответствующую конкретному состоянию экономического развития страны и которая должна способствовать разработке и производству новых знаний, новых идей и успешному их практическому применению.

Использованная литература

1. М.Портер, Х. Такеути, М.Сакакибара. Японская экономическая модель. М. 2005
2. Онюшева И.В., Дузбаева Р.М., Мендигалиев К.Е. Роль образования как продукта экономики знаний в развитии человеческого капитала страны./ Материалы научно-практической конференции, Тбилиси, 2016.С.171
3. М. Касенов, Л. Мухамбетова, Г. Чимкентбаева. Роль образования в формировании конкурентоспособного человеческого капитала инновационного формата. // Экономика и статистика, 2016, №3
4. Митякова О.И. Проблемы устойчивого развития экономики России на основе инновационных преобразований: автореф.дисс., Н.Новгород, 2009
5. Аннакулиева Г.А., Беркимбаева С.Б. Инновационные механизмы реализации: Анализ и перспективы развития./ Материалы научно-практической конференции, Тбилиси, 2016.
6. Днишев Ф.М. Сопряженность приоритетов промышленной и инновационной политики в Казахстане// Экономика: стратегия и практика // 2016, №1(37).
7. Казахстан в 2015 году. Статистический ежегодник. Астана,2016

*Izteleu Bibatirova
Kuralai Nurgalieva*

THE FACTORS FOR THE IMPLEMENTATION OF THE CONCEPT OF "SUSTAINABLE DEVELOPMENT" IN KAZAKHSTAN

Summary

This article examines important factors for the implementation of the concept of "Sustainable Development" in Kazakhstan. These factors include the quality of human capital and the development of the innovation sphere. Their special role and their impact on the country's ecological and economic system are underlined. Using the statistical material, the level of their development in Kazakhstan is shown.

The article is intended for a wide range of readers, as well as for those, who are interested in studying the concept of "Sustainable Development".

**ქვეყნის რესურსების ეფექტური გამოყენება
საჭიროებს სწორ მიმართულებას**

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების დამოკიდებულება ხელისუფლების სწორ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ბუნებრივი რესურსების სწორად შეფასებისა და ბიზნესში ეფექტური და ეკოლოგიური ნორმების მიხედვით გამოყენების შესახებ. აღნიშნულია, რომ ჩვენს ქვეყანას გააჩნია საკმაო წიაღისეული სიმდიდრეები, რომელთა რაციონალურად გამოყენებისა და თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების დანერგვით შესაძლებელია, ისინი ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედად გაქცეოთ. დროა გადავიდეთ ულვეი, აღდგენადი რესურსების მიზანმიმართულ, გონივრულ გამოყენებაზე, რომლებსაც შეუძლია დიდი სარგებლობა და შემოსავლები მოუტანოს ქვეყანას.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები, რეფორმები, რესურსები, ტექნოლოგიები, ბიზნესი.

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლება და ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება დამოკიდებულია ხელისუფლების სწორ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომლის შემუშავება დაკავშირებულია საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, ამ სფეროში მომუშავე მაღალკვალიფიციურ და გამოცდილ კადრებზე, რომლებიც დღეისადაც უნდა ზრუნავდნენ მაღალეფექტური გადაწყვეტილების მიღებაზე, რეფორმების გატარებაზე და მათს აღსრულებასა და კონტროლზე. ხელისუფლების მაღალჩინოსნებს თუ რიგით მოხელეებს უნდა ესმოდათ, რომ მათი დამქირავებელი, ანუ ქვეყნის საზოგადოება, მათგან მოითხოვს, პირად ინტერესებზე მაღლა დააყენონ საზოგადოების ინტერესები. ხელისუფლება მუდამ იმის ძიებაში უნდა იყოს, რომ ქვეყანაში მუდმივად შემოიტანოს, რომ მოსახლეობამ იგრძნოს მათი საქმიანობის რეალური შედეგი. ხელისუფლების ყველა შტოს სახელმწიფო მოხელე დაინტერესებული უნდა იყოს თავისი ქვეყნის მოქალაქეების პრობლემების გადაწყვეტით. ხელისუფლება მიზეზებს კი არ უნდა ეძიებდეს, არამედ – პროგრესულ ტექნოლოგიებს, ნოვაციებს, ატარებდეს რეფორმებს და ნერგავდეს ყველა იმ სიახლეს, რაც აუცილებელია ქვეყნის მოსახლეობისთვის.

უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი დიდი წინაპრების გამოცდილება. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის სწორმა პოლიტიკურმა კურსმა კავკასიის იმპერია ეკონომიკურადაც უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. მაგ., ივანე ჯავახიშვილის კვლევებით, ყმადნაფიცი ქვეყნების გარდა, საკუთრივ საქართველოს ყოველწლიური სახელმწიფო ფულადი შემოსავალი 3 მილიონ 700 ათას ოქროს მანეთს უდრიდა მაშინ, როცა ამავე პერიოდის მთელი მცირე აზიის შემოსავალი 2 მილიონ 475 ათას მანეთს შეადგენდა. როგორც ირკვევა, ქვეყნის მოსახლეობა საკმაოდ უზრუნველყოფილი იყო საარსებო საშუალებებით. დავითისა და თამარის იმპერიაში არავის შიოდა, მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან ერთად ხელისუფლება ჭკვიანურად ზრუნავდა სოფლის მეურნეობის გაძლიერებაზე. სწორედ ამას ემსახურებოდა თამარის ბრძანებით ალაზნის ველზე ორი დიდი სარწყავი არხის გაყვანა. ერთ-ერთი არხის სიგრძე 119 კილომეტრი იყო. ეს არხი 53 ათას ჰექტარ მიწას რწყავდა, ხოლო მეორე, სამგორისა, 20 კილომეტრი სიგრძის იყო. გასაკვირია დღევანდელი XXI საუკუნის საქართველოში არსებული ვითარება, როცა მოსახლეობის პირადი მოთხოვნილებების საშუალებებით უზრუნველსაყოფად ქვეყანას გააჩნია უამრავი რესურსი, რომლის ეფექტურად გამოყენების შემდეგ ასე მთლიანად დამოკიდებული აღარ ვიქნებით იმპორტზე, ადამიანები დასაქმდებიან და ადგილი არ ექნება მასიურ მიგრაციას ქვეყნიდან. საჭიროა სწორი და გონივრული ეკონომიკური სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ყოფაცხოვრების შემსუბუქებას და მოტივირებულს გახდის მშრომელ ადამიანს.

ჩვენი წინაპრები დღეისადაც ზრუნავდნენ რა სიკეთე ეკეთებინათ ხალხისთვის და ქვეყნისთვის, რა სიახლეები შემოეტანათ მოსავლიანობის ზრდისათვის. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს 1202 წელს ანტონ მწიგნობართუხუცესის მიერ შიო მღვიმის უდაბნოს სოფელ სხალტიდან 7 კილომეტრი სიგრძის წყალსადენის გაყვანა, რომელიც ამ ბრწყინვალე და უკვდავ სავანეს დღე-ღამეში 243 ათას ლიტრ წყაროს წყალს აძლევდა, რომელსაც ადგილობრივები იყენებდნენ როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე სარწყავი მიზნით. ეს არხები და წყალსადენები მაშინდელი საქართველოს ჰიდროტექნიკურად მაღალ განვითარებას ადასტურებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მესხეთი ოდითგანვე მარცვლეულის ბელელი და საუცხოო საზაფხულო საძოვრების ადგილი იყო. ამ სტრატეგიული დანიშნულების გამო თამარ მეფემ თბილისიდან მესხეთამდე თრიალეთის გავლით უმოკლესი საქარაგნო გზა გაიყვანა და გზის პირას ვაჭრებისა და მოგზაურებისთვის ფუნდუკები და სასტუმროები ააშენებინა. მაშინ, როცა დღევანდელი თვითმმართველობის ზოგიერთ მუნიციპალიტეტს არ უზრუნია სოფლების რაიონულ ცენტრთან დამაკავშირებელი კეთილმოწყობილი გზების გაყვანაზე. ასევე აუცილებელია, ინფრასტრუქტურა პასუხობდეს სოფლის მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს, რაც სოფლის მცხოვ-

რებლებს მისცემს იმის საშუალებას, რომ მიწა არა მხოლოდ შინა მეურნეობისათვის გამოიყენოს, არამედ იფიქროს მცირე ბიზნესზე, ანუ მოეკიდოს სამეწარმეო საქმიანობას, მიწა დაამუშაოს, მოიწიოს უხვი მოსავალი და მიიღოს დამატებითი შემოსავალი. როცა მთელ ქვეყანაში სოფლის მიმართ ხელისუფლება განსაკუთრებული ყურადღებით იქნება განმსჭვალული, ვფიქრობთ, ამდენი პრობლემა არ ექნება სოფელსა და ქვეყანას. გასაკვირია, რომ უდაბნოში მდებარე ისრაელი წალკოტად არის ქცეული და წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის 60% საექსპორტოდ გააქვს ბაზარზე. მივბაძოთ ასეთ ქვეყნებს, ვისწავლოთ მათგან ის, რაც ჩვენ არ ვიცით. საქართველოს გააჩნია შესაბამისი რესურსი და ტრადიციები მიწათმოქმედებაში, რათა არ ჩამოვრჩეთ საუკეთესო პირობებში მყოფ ქვეყნებს.

დღევანდელმა ხელისუფლებამ ბევრ წარმატებასთან ერთად, ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო ქვეყანაში უამრავი გადაუწყვეტელი პრობლემის აღმოფხვრა, რაც მოსახლეობაში დიდ უკმაყოფილებას იწვევს. ჩვენი დაკვირვებით, საქართველოში დასაქმებული მოსახლეობის თითქმის ყველა სფეროში ძალიან დაბალია ინოვაციისადმი ლტოლვა, პროფესიონალიზმი და გამოცდილება, რაც აგრერიგად სჭირდება მომავალ ძლიერ საქართველოს. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ყველა რანგის ხელმძღვანელს უნდა ახასიათებდეს პატრიოტიზმი და თავისი სამშობლოსადმი არა სიტყვიერი, არამედ საქმით გამოხატული ერთგულება. ჩვენი ქვეყნისთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია აშშ-ს ახალადარჩეული პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მოწოდება – „ამერიკა ამერიკელებისთვის“. ამერიკელმა ამერიკული პროდუქტი უნდა შეიძინოს, ამერიკული ბიზნესი ამერიკაში უნდა მუშაობდეს და თავისი წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებაში. სწორედ ასე უნდა ფიქრობდეს ქვეყნის ყველა ხელისუფალი, რათა კარგი პირობა შეუქმნას მოქალაქეებს, რომ შემოქმედებითი უნარი გამოიყენოს თავისი სამშობლოს აყვავებისთვის. ამის ნათელი მაგალითია პროფესორი ნოდარ წიგვივაძე, რომელიც მსოფლიოში აღიარებული ნაპირსამაგრი სამუშაოების სპეციალისტია და მისი ხელმძღვანელობით საზღვარგარეთ მრავალი რთული ამოცანა გადაუწყვეტიათ. დასანანი და ძალზე გასაოცარიც, რომ ჩვენს თანამემამულე ამ უდიდეს სპეციალისტს საზღვარგარეთ იწვევენ, ხოლო საქართველოს ხელისუფლება ანაკლიაში სამშენობლო სამუშაოების პროექტის განსახორციელებლად უცხოელ სპეციალისტებს იწვევს. ასეთი მაგალითები ბევრია, როცა სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულები ასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს მაშინ, როცა ჩვენი მოქალაქეები არაფერს ვაკლებდით გარბიან ემიგრაციაში.

დღევანდელ ეტაპზე ხელისუფლებისა და ყველა პატრიოტის ძირითად ამოცანას შეადგენს ადამიანური რესურსების დასაქმება, ანუ დენადობის მინიმუმამდე დაყვანა, რათა კიდევ უფრო არ გაუარესდეს დემოგრაფიული მდგომარეობა. როგორც ცნობილია, გაეროს მოსახლეობის ფონდმა გამოაქვეყნა კვლევა, რომლის მიხედვითაც 2045 წლისთვის 28%-ით შემცირდება საქართველოს მოსახლეობის რიცხვი, ასეთი ვარდნა ძირითადად ეთნიკური ქართველების ხარჯზე მოხდება.

ფაქტია, რომ ქვეყნის ყველა რეგიონს გააჩნია ამა თუ იმ სახის რესურსები, რომლებიც მინიმალურადაც არ არის ათვისებული და გამოყენებული მაშინ, როცა ქვეყნის ექსპორტის ხვედრითი წილი მაღალი იყო და საქართველოდან ვაჭრებს გაჰქონდათ ბამბა, მატყლი, აბრეშუმი, ტანისამოსი, ხალიჩები, ქურქები, სინდიყი ანუ ვერცხლის წყალი. გაჰყავდათ ცხენები და ჯორები. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ საქართველოში დამზადებული ოქრო-ქსოვილები მსოფლიოში საუკეთესო იყო, რომლითაც ევროპისა და აზიის უდიდესი ხელმწიფენი და დიდებულნი იმოსებოდნენ. იმ დროში მეურნე ადამიანს უხვად მოჰყავდა მოსავალი და კმაყოფილი იყო თავისი შრომით. ხოლო დღევანდელი ყოფა-ცხოვრებით ადამიანი უკმაყოფილოა, იმის ფიქრშია, როგორ წავიდეს საზღვარგარეთ, ყველა წუწუნებს, ვერ ფიქრობს ქვეყნის კეთილდღეობაზე, პირზე აკერია უცხო ქვეყანა და იმას კი ვერ აცნობიერებენ, თუ როგორი შრომით განვითარდა სხვა ქვეყნები, როგორ მიაღწიეს პროგრესს, როგორ ისწავლეს დემოკრატია, ურთიერთპატივისცემა, სიყვარული თავისი ქვეყნისადმი, როგორ არ ხარჯავენ დროს უქმად ურთიერთ შურსა და ბოღმაზე აღმოცენებულ დაპირისპირებათა გამორკვევაზე, როგორ უთმობენ ძირითად დროს ინოვაციებს, პროგრესს, სამეცნიერო კვლევებს, რადგან იცინან, რომ გააზრებულ და მოტივირებულ შრომას წარმატებები მოაქვს.

ხელისუფლების გადაუდებელ, უმნიშვნელოვანეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის უზრუნველყოფა, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს მისცემს იმის შეგნებას, თუ როგორი შრომა და ცოდნა არის საჭირო წარმატებული ბიზნესის განვითარებისთვის. დღესდღეობით ქვეყანა იმპორტის ამარადაა დარჩენილი და წერილმანიც კი შემოაქვთ საზღვარგარეთიდან. ექსპორტში ძირითადად ღვინო, მინერალური წყლები და თხილი გაგვაქვს. უნიკალურ ქართულ თხილზე საზღვარგარეთ დიდი მოთხოვნაა, კერძოდ, დარჩეული თხილის ფასი კილოგრამზე 5 დოლარიდან იწყება. კომპანიების განცხადებით, მათი თხილი ყაზახეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და ჩეხეთის ბაზრებზე გააქვთ, ხოლო მომავალში კი სხვა ბაზრების, მათ შორის ჩინეთის ათვისებასაც გეგმავენ. აგრეთვე აღსანიშნავია კეთილშობილი მარადმწვანე დაფნა, რომელიც დასავლეთ საქართველოს შავი ზღვისპირეთის რაიონებში ხარობს. ადრე მასზე დიდი მოთხოვნა იყო, მაგრამ მიზეზთა გამო ეს მოთხოვნა შემცირდა და შესაბამისად,

დაფნის მოვლა-გაშენებაზე ზრუნვაც შენედა, ასობით დაფნის პლანტაცია აიჩეხა. საბედნიეროდ, უკანასკნელ პერიოდში იმატა მასზე მოთხოვნამ და პლანტაციების გაშენებაც დაიწყო. კულისარიანში უმთავრესად ფოთლი გამოიყენება, რომელიც 2-3,5% ეთერზეთს შეიცავს. დაფნის საშუალო საექტარო მოსავალი 4 ტონამდე აღწევს. საქართველოში წარმოებული დაფნა ყაზახეთის საექსპორტო ბაზრის ათვისებას გეგმავს. კომპანია „გულაბი“, რომელიც 2012 წლის თებერვალში შეიქმნა, აბაშის რაიონში დაფნის პლანტაციის 60 ჰექტარს და გადამამუშავებელ ქარხანას ფლობს, რომელიც დაფნის პროდუქციას როგორც ფხვნილის, ისე ფოთლების სახით აწარმოებს. არ უნდა უგულებელვყოთ აგრეთვე ქვეყნის შიდა ბაზრის მოთხოვნებიც. დასავლეთ საქართველოში უხვად მოდის კივის, ფეისოას მოსავალი, რომელზეც ბაზარზე დიდი მოთხოვნაა და მათ მაღალი საგემონო კვებითი ღირებულება გააჩნია, არანაკლები მოთხოვნაა ქართულ ვაშლსა და ტექნოლოგიურად დამზადებულ ჩაიზე. ამიტომ საჭიროა, აღნიშნული და სხვა კულტურების მოვლა-მოყვანას შესაბამისი ყურადღება დაეთმოს, ამით შესაძლებელია ასეულობით ადამიანური რესურსის დასაქმება და ზოგადად მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა აგრობიზნესის განვითარების მხრივ, რადგან ქართველი გლეხი დღეიდანაა ზრუნავდა მევენახეობის, მესაქონლეობის, მემცენარეობის, მებოსტნეობისა და სხვა დარგების განვითარებაზე.

მისასალმებელია ის გარემოება, რომ უკვე კარგა ხანია, რაც ადგილობრივი ფერმერების მიერ წარმოებული საქონლის ხორცის და ცხვრის ექსპორტი ხორციელდება საქართველოდან. უცხოელი ბიზნესმენების დაინტერესება ქართული ხორციითა და ცხვრით მათმა გამორჩეულმა გემომ, სიაყემ და ტრანსპორტირების დაბალმა ღირებულებამ განაპირობა. ერთი მხრივ, ეს უთუოდ კარგი ტენდენციაა, მაგრამ, მეორე მხრივ, ცუდია, როცა ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნები ხორცპროდუქციაზე კომპენსირდება ჩინეთიდან, ბრიტანეთიდან, ინდოეთიდან, ბრაზილიიდან და სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული, შედარებით იაფი, მაგრამ მდარე ხარისხის პროდუქტით, რასაც ხელს უწყობენ კორუფციაში ჩაბმული ჩინოვნიკები. მიუღებელია, როცა საექვო და დაბალი ხარისხის ხორცს იყენებს ისეთი დიდი მწარმოებლები, როგორცაა „ნიკორა“, „ვაკე“, „მითანა“ და სხვა კომპანიები, რომლებიც ძეხვსა და სოსისს ამზადებენ. როგორც ამას ანტიკორუფციული კავშირის ხელმძღვანელი გიორგი ბურჯანაძე აცხადებს, ამ კომპანიებიდან მოსახლეობას უხარისხო პროდუქტია მიეწოდება. ქვეყანაში არსებობს ყველა რესურსი იმისთვის, რომ მესაქონლეობა განვითარდეს მაღალი ტემპებით და უზრუნველყოთ მოსახლეობის დაკმაყოფილება კარგი საგემონო თვისებების მქონე ადგილობრივი წარმოების ხორცპროდუქტით. ამ დროს ფერმერული მეურნეობის განვითარების მხრივ საქართველოში უამრავი პროექტია, რომელიც არ ხორციელდება, სამაგიეროდ ფალსიფიკაცია ყვავის. ეს კიდევ ერთი მასტიმულირებელი ფაქტია ადგილობრივი ფერმერული მეურნეობის განვითარებისათვის.

ასევე სხვა დარგებთან ერთად გამორჩეულია მებაბრეშუმეობა, რესპუბლიკაში 4500 ტონა აბრეშუმის პარკს ამუშავებდნენ და 6 მილიონი კვადრატული მეტრი ნატურალური აბრეშუმის ქსოვილი იქსოვებოდა. მარტო ლავოდების რაიონში არსებული აბრეშუმის ფაბრიკა 380 ტონა პარკს ამზადებდა, რაც იმ დროისთვის 4 მილიონ მანეთს უდრიდა. სამწუხაროდ, მებაბრეშუმეობის განადგურებით 18 ათასამდე სამუშაო ადგილი დაიკარგა, რამაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქართველი ხალხი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბუნების დაცვა, მისი რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია დიდი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა. ამასთან, ბუნებრივი სიმდიდრე მთელი საზოგადოების, მისი ყოველმხრივი თავისუფალი განვითარებისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უშრეტი წყაროა. სწორედ ამიტომ საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბუნების რაციონალურ გამოყენებასა და კვლავწარმოებას. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მშენებლობაში წარმატების მიღწევა ყოველთვის ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებას უკავშირდება.

მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში ადამიანი აქტიურად ზემოქმედებს ბუნების ცალკეულ ელემენტებზე და ცვლის ბუნებრივი რესურსების მთელ კომპლექსს. ბუნებრივი რესურსების ერთი ნაწილი გამოუღვევადია, რადგან ისინი სწორი ექსპლუატაციის კვალდაკვალ თვითგანახლებადი ხდება. არის ისეთი ბუნებრივი რესურსიც, რომელთა მარაგი თანდათან კლებულობს და საბოლოოდ ამოიწურება, ამიტომ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება კაცობრიობის უპირველესი საზრუნავია.

როცა ქვეყნის სათავეში პირველი ეროვნული ხელისუფლება იყო, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა რესპუბლიკაში არსებული ბუნებრივი რესურსების მეცნიერულ შესწავლასა და მათს რეალიზაციას. იმ დროს ყატარელი ბიზნესმენები ჩამოვიდნენ, რათა საქართველოში ჩამოსხმული სასმელი წყალი გაეტანათ, რომელზეც ხელშეკრულება წინასწარ იყო გაფორმებული. ყატარელთა დელეგაციამ სასმელი წყალი ასპინძის რაიონში შეარჩია. ისინი თავიანთი ხარჯებით აშენებდნენ ქარხანას, ჩამოასხამდნენ მტკნარ წყალს და ერთ ლიტრში 4 ამერიკულ დოლარს გადაგვიხდიდნენ! საქმე გადაწყვეტილი იყო და ყატარელები ხარობდნენ – მთელ ყატარს

მომარაგებს საქართველოს წყალი! ეს იქნებოდა უდიდესი შემოსავალი საქართველოსთვის. მაშინ კიდევ ერთ საინტერესო ინიციატივას ეყრებოდა საფუძველი, ბერძნები საქართველოში ქარხნის აშენებას აპირებდნენ, სადაც 4 ათას კაცს დაასაქმებდნენ, წელიწადში 12 მილიონი ქილა ბაყაყის კონსერვი უნდა დამზადებულიყო და თითოეულში საქართველოს 14 ამერიკულ დოლარს გადაუხდიდნენ. პროექტი ყოველნაირად შესწავლილი ჰქონდათ, დაინტერესება გამომდინარეობდა იქიდან, რომ ჩვენს ბუნებაში ბინადრობდა ბაყაყის ისეთი სახეობა, რომელიც დელიკატესად ითვლება. პროექტი ითვალისწინებდა ბაყაყების საშენის მოწყობასც. სამ წელიწადში ბერძნები თვითონ ააშენებდნენ ქარხანას, მოამზადებდნენ სპეციალისტებს, იზრუნებდნენ პროდუქციის გასაღებაზე და შემოსავლის 70%-ს საქართველოს დაუტოვებდნენ, რაზეც წინასწარი ხელშეკრულება გაფორმებული იყო. მაგრამ არც ერთი ეს პროექტი არ განხორციელდა იმის გამო, რომ ქვეყანაში მოხდა კრიმინალური გადატრიალება.

აღსანიშნავია, რომ დმანისისა და ბოგდანოვკის რაიონში მსოფლიოში ბაზალტის მარაგის ცხრა მეათედია დავანებული. ბაზალტი შეუცვლელი პროდუქტია ბევრ სამრეწველო დარგში. ბაზალტის გადამუშავებით ამზადებენ სპეციალურ ძაფს. ამ ძაფით დამზადებული ქსოვილით იკერება კოსმონავტების სკაფანდრები, რომლის გარეშე ადამიანი კოსმოსში ვერ გაფრინდება. ასევე ბევრი სხვა აუთვისებელი მდიდარი ბუნებრივი რესურსია ჩვენს ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი გეოლოგიური სკოლა ჰქონდა და შესანიშნავი გამოკვლევებიც არსებობდა, მაშინ, კომუნისტების ეპოქაში, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით იმალეობდა საქართველოს ბუნებრივი წიაღისეული სიმდიდრეების რეალური სურათი. ამ დარგმა ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში დიდი დანაკლისი და წყვეტა განიცადა, ლიკვიდირებულ იქნა გეოლოგიური სამმართველო, გეოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, გეოლოგიის ფაკულტეტზე თითქოსდა ამ დარგის უპერსპექტივობის გამო შეწყდა აბიტურიენტების ნაკადი. ამას თან დაერთო მადნეულის მოპოვება-დამუშავებასთან დაკავშირებული მრავალი საწარმოს განიავება-განადგურება. მაგალითად, დარიშხანის საბადოებიდან, რომლებიც სვანეთსა და რაჭაშია, ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს იაპონელები ათეული წლების განმავლობაში ეზიდებოდნენ დარიშხანს და მერე მსოფლიო ბაზარზე ასმაგად ყიდდნენ. თანამედროვე საქართველოსთვის ეს მდიდარი საბადო გეოლოგიურ საფრთხედ იქცა იმ მომწამლავი ნარჩენების გამო, რომლებიც საწარმოს დახურვის შემდეგ უმეტესად ყურედ დარჩა. არსებობს სერიოზული კვლევები, რომელთა თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე 1261 დასახელების სასარგებლო წიაღისეული მოიპოვება. ამ დროს არსებობენ მაღალგანვითარებული ქვეყნები, მათ შორის ეკონომიკის ისეთი გიგანტები, როგორცაა იაპონია და გერმანია, რომელთაც თითქმის ამის მეასედი ბუნებრივი რესურსი არ გააჩნიათ, მაგრამ მეცნიერების, ტექნოლოგიების, ეკონომიკის განვითარებისა და შრომის დისციპლინის ხარჯზე მაღალ შედეგებს აღწევენ. როცა ქვეყანას აქვს უამრავი დასახელების სასარგებლო წიაღისეული, მისი მეცნიერული კვლევების ჩასატარებლად უცხოელები კი არ ჩამოვიყვანოთ, არამედ ჩვენი, ჯერ კიდევ შემორჩენილი, მაღალკვალიფიციური გამოცდილი კადრები გამოვიყენოთ, მათივე დახმარებითა და უცხოური თანამედროვე მიღწევების გამოყენებით ამ დარგში აღუზარდოთ ახალგაზრდა სპეციალისტთა თაობა, რათა ქართველმა ხალხმა გაიგოს რის პატრონები ვართ. ამასთან ერთად, ჩვენი სიმდიდრე ხელში არ ჩავუგდოთ უცხოელებსა და შინაურ თაღლითებს.

ჩვენს ქვეყანას გააჩნია საკმაო წიაღისეული სიმდიდრეები, რომელიც რაციონალურად გამოყენებისა და თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიებით უნდა ვაქციოთ ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედად, ჩავაყენოთ მოსახლეობის კეთილდღეობის სამსახურში. დროა გადავიდეთ ულვეი, აღდგენადი რესურსების (მინერალური, სამკურნალო და თერმული წყლები, წარმატებული აგრარული მეურნეობისთვის არსებული უნიკალური ბუნებრივი პირობები, ტყეები, მდინარეები, ტბები, კანიონები, წყალსაცავები, მყინვარები, მთები, ზღვა) მიზანმიმართულ, გონივრულ გამოყენებაზე, რომლებსაც შეუძლია დიდი სარგებლობა და შემოსავლები მოუტანოს ქვეყანას, ინვესტირებასა და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს.

ყოველივე ამ და სხვა ჯერ კიდევ რესურსად ვერაქმული სიმდიდრის გამოყენებას სჭირდება სახელმწიფოებრივი ნება, საკითხებისადმი გააზრებული მიდგომა, ცოდნა, გამოცდილება, მონდომება, კრეატიული აზროვნება და არა ბრმა მიმბაძველობა. როგორც ცნობილია, წარმატებული ბიზნესის მიღწევა შეუძლებელია ორგანიზაციის სწორი მენეჯმენტის გარეშე. ჩვენი ისეთი რამე ხომ არ გვჭირს, როგორც ერის მამა ბრძანებდა „ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არ ჰყავს“.

როცა ქვეყანას გააჩნია რესურსები, რომლებიც ჯერ კიდევ გამოვლენილი და სათანადო შესწავლილი არ არის, მაშინ ქვეყნის ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და გამოიხაროს ყოველი საშუალება იმისათვის, რომ უზრუნველყოს იმ პროგრამებისა და ინიციატივების დაფინანსება, რომლებიც მიმართულია აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრისათვის და ამით ხელი შეუწყოს ქვეყნის წინსვლას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, სამუშაო ადგილების შექმნას.

EFFECTIVE USE OF COUNTRY RESOURCES REQUIRES PROPER MANAGEMENT

Summary

The paper deals with the improvement of the economic potential of the country and the improvement of the welfare of the workers on the correct economic policy of the government. It also shows that policy development is connected with the legislative and executive authorities of the country, highly qualified and experienced staff working in this field, that should take care of making highly effective decision, reform and its control. The officials of all branches of the government should be interested in solving the citizens' problems of their country. The government must focus on progressive technologies, innovations, reforms, and all those innovations that are necessary for the well-being of the country's population. The paper concludes historical facts about how our ancestors took care about developing the country and the welfare of the population in the distant feudal era.

It also deals with the correct assessment of natural resources and their rational and ecological use norms in business. It is shown that the urgent and most important task of the government should be to support SMEs, which will give Georgian citizens self-consciousness of what kind of work and knowledge are needed for successful business development. There are examples about possible improvement of export products and improvement of the share of the internal market. It states that our country has enough fossil wealth, and its rational use with the help of modern high technologies must be as a cornerstone of the country's development, to provide for the welfare of the population. It's time to move on reasonable use of limitless, renewable resources (mineral, medicinal and thermal springs, a successful agriculture for the unique natural conditions, forests, rivers, lakes, canyons, reservoirs, glaciers, mountains, sea) which can benefit and profit country, investors and our citizens.

სიმონ გელაშვილი
გიორგი მიქელაძე

ინვესტიციების ეკონომეტრიკულ-სტატისტიკური მოდელები და
მათი ემპირიული რეალიზაციის შესაძლებლობები საქართველოში

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ინვესტიციების ხუთი განსხვავებული მოდელის საწყისი და მოდიფიცირებული სახეები (ინვესტიციების მარტივი და მოქნილი აქსელერატორის მოდელები, ინვესტიციების ავტორეგრესიული მოდელი, ინვესტიციების ფულადი ნაკადების მოდელი, ტობინის ქ მოდელი, ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელი) და შეფასებულია თითოეული მათგანის დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები. ამასთან, კრიტიკულადაა განხილული აშშ-ს ეკონომიკის მაგალითზე ჩატარებული რ. კოპკეს კვლევის შედეგები და მათი გამოყენების შესაძლებლობები საქართველოში. ნაშრომში მოცემულია საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე ჩასატარებელი კვლევის მოსალოდნელი პრობლემები და მათი გადაჭრის ალტერნატიული მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციები, ეკონომეტრიკული მოდელი, ავტორეგრესია, ავტორეგრესია, რეგრესორი.

შესავალი

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს ინვესტიციების თეორიული მოდელების განხილვა, აშშ-ს ეკონომიკაზე ჩატარებული მსგავსი კვლევის შედეგების ანალიზი და საქართველოს მაგალითზე მათი გამოყენების შესაძლებლობისა და ადეკვატურობის დადგენა.

კვლევის ამოცანაა შემოწმდეს, შესაძლებელია თუ არა ინვესტიციების მოდელირება თეორიულად პოსტულირებული ცნობილი მიდგომებით და არსებობს თუ არა სპეციფიკური ფაქტორები, რომლებიც გვევლინება განსხვავებული შედეგების მიზეზად.

ინვესტიციების ეკონომეტრიკულ-სტატისტიკურ შესწავლას ორი ძირითადი მიზეზი განაპირობებს: 1) მას მნიშვნელოვანი წილი უჭირავს ერთობლივ დანახარჯებში და გვევლინება ეკონომიკური ზრდისთვის საჭირო კაპიტალის შექმნის წყაროდ; 2) იგი არის ერთობლივი დანახარჯების ყველაზე არამდგრადი ნაწილი.

ინვესტიციების მრავალი მოდელი და კლასიფიკაცია არსებობს, რაც გამოწვეულია ქვეყნების ეკონომიკის განსხვავებით თუ მკვლევართა შეხედულებებით მოდელში შესატან ფაქტორულ ცვლადებთან დაკავშირებით [Andrew A., ... 1986: 252].

* * *

საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს მწყობრი თეორია და მეთოდოლოგია, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ზუსტად განსაზღვრავს ინვესტიციებზე მოქმედ ეკონომიკურ ფაქტორებსა თუ ადეკვატურ სტატისტიკურ მოდელებს. აღნიშნული საკითხის ძირეულად შესასწავლად, უპირვე-

ლესად, სასურველია განვიხილოთ სხვა ქვეყნის (კერძოდ, აშშ-ს) მაგალითზე ჩატარებული ანალოგიური კვლევების შედეგები, შესაძლო პრობლემები და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზები, რომლებიც წარმოიშევა კვლევის პროცესში.

ამერიკელმა მეცნიერმა რიჩარდ კოპკემ აშშ-ს ეკონომიკის მაგალითზე ემპირიულად შეამოწმა ინვესტიციების ხუთი მოდელი: ინვესტიციები აქსელერატორის, ავტორეგრესიული, ტობინის q, ფულადი ნაკადების და ნეოკლასიკური მოდელი [Kopcke R., 1982: 27] ამ მოდელების ზოგადი ფორმალიზებული სქემა ასეთია:

მოდელის სახელწოდება	მოდელის შესაფასებელი ფორმალიზებული სახე
ინვესტიციების აქსელერატორის მოდელი	$I_t = a_0 + \sum_{i=0}^{m-1} b_i Y_{t-i} + b_k k_{t-1} + u_t$
ინვესტიციების ავტორეგრესიული მოდელი	$I_t = a + \sum_{j=1}^m b_j I_{t-j} + u_t$
ინვესტიციების ფულადი ნაკადების მოდელი	$I_t = a + \sum_{j=0}^{m-1} b_j \left(\frac{F}{j}\right)_{t-1} + c k_{t-1} + u_t$
ინვესტიციების ტობინის მოდელი	$I_t = a + \sum_{j=0}^{m-1} b_j (q-1)_{t-j} k_{t-j-1} + b_k k_{t-1} + u_t$
ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელი	$I_t = a_0 + \sum_{j=0}^{m-1} b_j \left(\frac{P}{C}\right)_{t-j} Y_{t-j} - \sum_{j=0}^{m-1} c_j \left(\frac{P}{C}\right)_{t-j} Y_{t-j-1} + d k_{t-1} + u_t$

სქემა 1. ინვესტიციების მოდელების კლასიფიკაცია [Берншт Э., 2005: 269]

ინვესტიციების აქსელერატორის მოდელის ემპირიული რეალიზაცია

რ. კოპკემ ჩაატარა პრაქტიკული კვლევები და გაიანგარიშა სხვადასხვა სტატისტიკური მანკვენებლები, რითაც მან შეაფასა როგორც აქსელერატორის, ასევე ინვესტიციების სხვა მოდელები [Kopcke R., 1985: 23]. კვლევისას გამოიყენა აშშ-ს არასაცხოვრებელი ფართებისა და გრძელვადიანი მოხმარების საწარმოო საშუალებების კვარტალური სტატისტიკური მონაცემები. მან კვლევა სამ ეტაპად ჩაატარა: 1) 1954-1977 წწ.; 2) 1958-1973 წწ.; 3) 1956-1979 წლები. კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, თითოეულ კვლევაში კოპკე ითვალისწინებდა ნარჩენების ავტოკორელაციის გამოთვლის სხვადასხვა მეთოდს. კვლევის მე-2 და მე-3 ეტაპზე კოეფიციენტების შესაფასებლად მან გამოიყენა ალმონის მე-3 რიგის პოლინომი, სადაც კოეფიციენტებს არ ჰქონდა შეზღუდვები.

რ. კოპკემ კვლევის შედეგად დაადგინა შემდეგი:

პირველი: კოეფიციენტების განაწილების ლაგის სიგრძე დამოკიდებულია განხილული პერიოდის სიგრძეზე. პირველ კვლევაში ლაგის სიგრძე იყო ყველაზე მცირე ზომის ($m = 5$), ხოლო ბოლო კვლევაში ყველაზე გრძელი ($m = 12$). აღსანიშნავია, რომ კოეფიციენტები ალტურვილობაზე შედარებით მაღალია, ვიდრე შენობებზე. მიღებული შედეგი ლოგიკურია, რადგან ალტურვილობაზე ინვესტიციების ლაგი შედარებით მოკლეა, ვიდრე შენობა-ნაგებობებზე. ბოლო ორ კვლევაში ლაგის კოეფიციენტებს კლების ტენდენცია ახასიათებს დროის ტაქტის ზრდასთან მიმართებაში. როდესაც პირველ კვლევაში კოეფიციენტები კლებულობს, შემდეგ იზრდება და ბოლოს კვლავ კლებულობს, საბოლოოდ ტენდენცია იღებს ინგლისური ასო-ბგერა „S“-ის ამოტრიალებულ ფორმას.

მეორე: კვლევის მე-3 ეტაპზე ძირითადი ფონდების ინვესტიციების კოეფიციენტების

ლაგირებული მნიშვნელობა არის უარყოფითი ორივე სახის ფორმისათვის, რაც ნიშნავს ერთპერიოდთან გამოსახულებიდან $\delta < \rho$. მკვლევარი აღნიშნავს, რომ მან ცვეთის ნორმების მნიშვნელობებზე შენობებზე 5%, ხოლო ალტურვილობაზე 15% გაითვალისწინა.

მესამე: ავტოკორელაცია ნარჩენობით წევრებში იყო მაღალი: ρ მერყეობდა 0,91-დან 0,997-მდე. პირველი რიგის ავტოკორელაცია გავრცელებულია ინვესტიციების თითქმის ყველა მოდელში.

ავტორეგრესიული ინვესტიციური მოდელის ემპირიული რეალიზაცია

ავტორეგრესიული ინვესტიციების ემპირიული რეალიზაციისას მკვლევარებს - ზელნერს და პალმს მოდელის შემოწმებისას არასწორად მიაჩნდათ ინვესტიციების მოდელის, როგორც ავტორეგრესიული (AR), ასევე მცურავი საშუალოს (MA) სპეციფიკაცია. ინვესტიციების მოდელის

MA სპეციფიკაცია არის მიმზიდველი, ვინაიდან იგი დაფუძნებულია მოლოდინებზე, რომლებიც შესაძლებელია იყოს როგორც ადაპტური, ასევე რაციონალური [Берншт Э., 2005: 623].

აღნიშნული მოდელის ემპირიული რეალიზაცია რიხარდ კოპკემ მოახდინა კვლევის სამ ეტაპად აშშ-ს მაგალითზე. დამოკიდებული ცვლადის როლში მკვლევარმა განიხილა I_t/K_{t-1} . [Kopcke R., 1985: 24]. კვლევის სამივე ეტაპზე კოპკე იყენებდა უმცირეს კვადრატთა მეთოდს.

რ. კოპკეს კვლევის განსაკუთრებულ შედეგს წარმოადგენს აღნიშნული სპეციფიკაციის მოდელის მიხედვით მიღებული მაღალი არასაიმედო შედეგები როგორც ალტურვილობის, ასევე შეიარაღების ჭრილში. კოპკეს პირველ კვლევაში ალტურვილობის ლაგების რიგი იყო 1, მეორეში - 3, ხოლო მესამეში - 8. შეიარაღების ლაგების რიგი კი იყო, შესაბამისად, 1, 2 და 6. კოპკეს კვლევის კრიტიკოსები მიღებულ შედეგს ხსნიან წინა საუკუნის 70-იან წლებში დიდი ეკონომიკური ვარდნებით, რადგან შეუძლებელი იყო ეკონომიკური ვარდნების ზუსტად გათვალისწინება მოდელში და სწორედ ეს იყო მიღებული შედეგის ძირითადი მიზეზი.

ინვესტიციების ფულადი ნაკადების მოდელის ემპირიული რეალიზაცია

რიხარდ კოპკემ 1982 წელს ემპირიულად შეამოწმა ფულადი ნაკადების მოდელი, სადაც I_t/K_{t-1} არის დამოკიდებული ცვლადი [Kopcke R., 1982: 28]. მკვლევარი კვლევის ეტაპებზე იყენებდა ლაგის სხვადასხვა სიგრძეს აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე. კვლევის პირველ ეტაპზე მეცნიერი მივიდა დასკვნამდე, რომ ფულადი ნაკადები არ ახდენდა არსებით გავლენას ალტურვილობასა და შეიარაღებაზე. კვლევის მეორე ეტაპზე მან მიიღო მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ ფულადი ნაკადები შედარებით დიდ გავლენას ახდენს შენობა-ნაგებობებზე, ვიდრე ალტურვილობაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კვლევის პირველ ეტაპზე, სადაც ჩართული ფაქტორების ლაგების სიგრძე შედარებით მაღალი კოეფიციენტების კლება-ზრდის ტენდენციების განმეორებადობა ქმნიდა ხერხისებურ ფორმას. კვლევის მეორე ეტაპზე კოეფიციენტებს ჰქონდა შემცირების ტენდენცია.

რ. კოპკეს მიერ ფულადი ნაკადების მოდელის შეფასებისას $b_x = (\delta - g)$ მნიშვნელობა სტატისტიკურად ნულთან ახლოსაა. კაპიტალის ლაგირებული მნიშვნელობა მოდელში არ არის მნიშვნელოვანი და მეცნიერმა კვლევის შემდეგ ეტაპზე ეს ცვლადი უგულებელყო.

მოდელის შეფასებისას პირველ ეტაპზე ρ -ს მნიშვნელობები მერყეობს 0,81 - 0,83 შუალედში, ხოლო მეორე ეტაპზე კი 0,936 - 0,956 ინტერვალში.

ინვესტიციების ტობინის q მოდელის ემპირიული რეალიზაცია

ინვესტიციების ტობინის q მოდელი ასევე ემპირიულად შეამოწმა რ. კოპკემ. დროის ფაქტორის მიხედვით მან კვლევა სამ ეტაპად ჩაატარა: I ეტაპზე მან K_{t-j} -ის მაგივრად გამოიყენა $(\frac{K}{Y})_{t-j}$, რომელიც მოდელში ასახავდა კომპანიის ფულადი ნაკადების მოძრაობას. კვლევის II ეტაპზე რ. კოპკემ მოდელის ორივე მხარე K_{t-1} -ზე გაყო და ისე შეაფასა, ხოლო III ეტაპზე რეგრესორის როლში მან განიხილა $\frac{I_t}{K_{t-1}}$ სადაც q_t არის კომპანიის საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების დონე [Kopcke R.,

1985: 30]. მეცნიერმა თავის კვლევებში მიიღო პირველი რიგის ავტორეგრესიული პროცესი. ამასთან, კვლევის II და III ეტაპზე რ. კოპკე იყენებდა აღმონის განაწილების ლაგის მე-3 რიგის პოლინომს, ხოლო I-ზე – მეოთხე რიგისას. მკვლევარმა კაპიტალი გაყო ორ ნაწილად: შენობა-ნაგებობებად და ალტურვილობად, რის მიხედვითაც მან ააგო მოდელი. აღნიშნული კვლევის შედეგად მეცნიერმა მიიღო საინტერესო შედეგი, კერძოდ: q არ წარმოადგენდა სპეციფიკურ ცვლადს ცალ-ცალკე შენობა-ნაგებობებისა და ალტურვილობებისთვის, არამედ იგი ასახავდა მათ კომბინაციას.

ემპირიული რეალიზაციისას ინვესტიციების ტობინის q მოდელში შეინიშნება ნარჩენების სერიული ავტოკორელაცია და ρ -ს მნიშვნელობები მერყეობს შენობა-ნაგებობებისთვის 0,82-დან 1-მდე, ხოლო ალტურვილობებისთვის კი 0,82-დან 0,994-მდე.

ტობინის q მოდელიც, სხვა მოდელების მსგავსად, ითვალისწინებს მოლოდინებს, რაც მის მიმზიდველ (დადებით) თვისებას წარმოადგენს. თუმცა არ არსებობს თეორია, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ მოდელის ერთმნიშვნელოვნად ზუსტად განსაზღვრული ფორმა და ლაგების სიგრძე. კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, ყოველი მკვლევარი მას ინდივიდუალურად აფასებს.

ტობინის q მოდელი თეორიულად მეტად მიმზიდველია, თუმცა პრაქტიკაში თავს იჩენს მრავალი პრობლემა, როგორცაა, მაგალითად, q-ს ზღვრული მნიშვნელობის გამოთვლა, არამატერიალური აქტივებისა და საგადასახადო ფაქტორის გაუთვალისწინებლობა, რომლებიც ფორმის ღირებულებაზე ახდენენ გავლენას. მოდელში შეინიშნება ასევე ნარჩენობითი წევრების მაღალი სერიული კორელაცია. გარდა ამისა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ტენდენცია ნაკლებად

ასახულია q -ს ცვლილებაში და მოდელის გამოყენება პროგნოზების ასაგებად შეუძლებელი, ვინაიდან ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამომავლო განვითარების განჭვრეტა მეტად რთულია, განსაკუთრებით გრძელვადიანი პერიოდისათვის.

ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელის ემპირიული რეალიზაცია

რ. კოპკემ ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელი შეაფასა შემდეგი ფორმით [Kopcke R., 1977: 15]:

$$I_t = a_0 + \sum_{j=0}^{m-1} b_j \left(\frac{P}{C}\right)_{t-j} Y_{t-j} - \sum_{j=0}^{m-1} c_j \left(\frac{P}{C}\right)_{t-j} Y_{t-j-1} + \delta K_{t-1} + u_t$$

კვლევის ძირითად დაშვებას წარმოადგენდა კობი-დუგლასის ფუნქციის მასშტაბის მუდმივი უკუგება. მკვლევარმა თავის კვლევაში შეაფასა 26 პარამეტრი, საიდანაც 13 იყო c_j , და ასევე b_j -ს რაოდენობაც იყო 13. კოეფიციენტების შეფასებისას მან გამოიყენა ლაგური წევრების კოეფიციენტების განაწილების Λ -ტიპი.

რ. კოპკეს კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შეფასებული პარამეტრები გამოირჩეოდა სტატისტიკური სტაბილურობით. ამასთან, ნეოკლასიკურ ინვესტიციების მოდელშიც, სხვა მოდელების მსგავსად, ადგილი აქვს ნარჩენობითი წევრის ავტოკორელაციას. მოდელის სპეციფიკაცია არ წარმოადგენს მკაცრად განსაზღვრულს და იგი შეიძლება იყოს განსხვავებული კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. ასევე, პრობლემატურია მოდელში ჩართული ყველა პარამეტრის განსაზღვრაც.

საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე ჩასატარებელი კვლევის პრობლემები და მათი გადაჭრის მეთოდები

საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე ინვესტიციების ამა თუ იმ მოდელის ემპირიული რეალიზაციისას წარმოიშევა რიგი პრობლემები, როგორცაა: 1) ინვესტიციების მოდელში ფაქტორული ცვლადების ლაგების რიცხვის განსაზღვრა; 2) დიდი რაოდენობის ფაქტორული ცვლადების არსებობის შემთხვევაში რეგრესიულ განტოლებაში მულტიკოლინეარობის პრობლემა; 3) ცვლადების შესახებ ემპირიული ინფორმაციის არარსებობა; 4) რეგრესიულ განტოლებაში ფაქტორულ და შედეგობრივ ცვლადებს შორის ფუნქციური დამოკიდებულების განსაზღვრა (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკაში უმეტესად ადგილი აქვს კორელაციურ კავშირებს და ფუნქციური და კორელაციური კავშირების მკაცრი განცალკევება ხორციელდება მხოლოდ მათი მათემატიკური ინტერპრეტაციის დროს [გელაშვილი ს. 2017: 187]); 5) დიდი რაოდენობის ლაგების შემთხვევაში მოდელში ფაქტორული ცვლადების კოეფიციენტების შეფასება; 6) მოდელის განტოლების შეფასების მეთოდის შერჩევა. თითოეული ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია განსხვავებული მეთოდებით.

ინვესტიციების მოდელში ფაქტორი ცვლადების ლაგების რიცხვის განსაზღვრა. ინვესტიციების ემპირიულ მოდელში ფაქტორული ცვლადების ლაგების რიცხვის განსაზღვრა შესაძლებელია განხორციელდეს რამდენიმე მეთოდით (როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი, ან ორივე მათგანის კომბინაციით): პირველი, ემპირიულ მოდელში პერიოდულად მოხდეს ლაგების რიცხვის ზრდა და ოპტიმალურ მოდელად შეირჩეს საუკეთესო სტატისტიკური მახასიათებლების მქონე განტოლება; მეორე, შესაბამისი დარგის კვალიფიციური ექსპერტების მიერ განისაზღვროს ფაქტორული ცვლადების ლაგების რიცხვი; მესამე, ეკონომიკური თეორიისა და სტატისტიკური მეთოდებით განისაზღვროს თითოეული ეკონომიკური ინდიკატორის გავლენის ხარისხი საშედეგო ცვლადზე.

დიდი რაოდენობის ფაქტორული ცვლადების არსებობის შემთხვევაში რეგრესიულ განტოლებაში მულტიკოლინეარობის პრობლემა. მოდელში მულტიკოლინეარობის პრობლემის გადაჭრის გზა დაიყვანება ორ ალტერნატივაზე: პირველი, განტოლებიდან ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორების გამორიცხვით, ან მეორე, მოდელში დასაშვები მულტიკოლინეარობის დატოვებით.

ემპირიული ინფორმაციის არარსებობა. საქართველოში მრავალ ეკონომიკურ ინდიკატორზე ჯერ კიდევ არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია, რაც გამოწვეულია სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით. ამ პრობლემის დასაძლევად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ემპირიული ინფორმაციის არმქონე ფაქტორული ცვლადების ჩამნაცვლებელი ცვლადები. ასევე, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ მეთოდს წარმოადგენს არარსებული ცვლადის შესახებ ინფორმაციის გამოთვლა სხვა განტოლებით ან სხვა მეთოდით. ასევე, შესაძლებელია ეკონომიკურად მსგავსი ქვეყნის შესაბამისი ცვლადის ემპირიული ინფორმაციის კორექტირება საქართველოს ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით, ე. წ. ანალოგიის მეთოდით [გელაშვილი ს. 2017: 55].

რეგრესიულ განტოლებაში ფაქტორულ და შედეგობრივ ცვლადებს შორის ფუნქციური

დამოკიდებულების განსაზღვრა. შედეგობრივ და ფაქტორულ ცვლადებს შორის ფუნქციური დამოკიდებულების შინაარსი, ხშირ შემთხვევაში, განსაზღვრულია ეკონომიკური თეორიით. ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ეკონომეტრიკული ცდები, სადაც შემოწმდება სხვადასხვა ფუნქციური სახე და უპირატესობა მიენიჭება სტატისტიკურად უკეთესი მახასიათებლის მქონე მოდელს [Winfrey R., 1985: 19].

დიდი რაოდენობის ლაგების შემთხვევაში მოდელში ფაქტორული ცვლადების კოეფიციენტების შეფასება. ასეთ დროს კოეფიციენტების შეფასება შესაძლებელია: 1) ლაგური წევრების კოეფიციენტების განაწილების Λ -ტიპი, რომელიც შემოგვთავაზა ფ. დე ლიუკმა 1962 წელს. აღნიშნულის მიხედვით, კოეფიციენტები, დაწყებული β_0 -დან $\beta_0 = 0$ $m/2$ წევრამდე იზრდება და აღწევს პიკს, ხოლო შემდეგ კლებულობს და ბოლო წევრის კოეფიციენტი ხდება 0. 2) ევანსის მიერ შემოთავაზებულ იქნა M ტიპის ორმაგი ლაგობრივი სპეციფიკაცია, რომელიც შინაარსით ახლოს დგას ფ. დე ლიუკის სპეციფიკაციასთან. 3) კოეფიციენტების ლაგური პოლინომის წინასწარი შეფასებით, რომელსაც აფასებენ ანალიტიკოსები. აღნიშნული ხერხი ცნობილია „აღმონის ლაგის“ სახელით.

მოდელის განტოლების შეფასების მეთოდის შერჩევა. იმ შემთხვევაში, თუ შესაფასებელ მოდელში ეკონომიკურ ცვლადებს გააჩნია შემთხვევითი წევრები, მაშინ სტატისტიკურად არ არის მართებული მათი გაერთიანება ერთ ნარჩენობით წევრად და მოდელის შეფასებისას უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენება. ემპირიული მოდელის აგებისას, თუ გაერთიანდება შემთხვევითი წევრები, მაშინ მოდელი უნდა შეფასდეს უმცირეს კვადრატთა მეთოდისგან განსხვავებული მეთოდით.

დასკვნა

აშშ-ს მაგალითზე ემპირიულად შემოწმებული ინვესტიციების მოდელის ანალიზით დგინდება, რომ თითქმის ყველა მოდელის ნარჩენობით წევრებში შეინიშნება ავტოკორელაცია. აღნიშნული შედეგი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე ჩასატარებელ კვლევაში შეიძლება წარმოიშვას მოდელის შეფასების პრობლემა, რადგან უმცირეს კვადრატთა მეთოდის საფუძველზე მიღებული შედეგები არ იქნება კორექტული.

ინვესტიციების ცნობილი თეორიული მოდელებით აშშ-ს მაგალითზე ჩატარებული ემპირიული კვლევიდან ასევე დგინდება, რომ ინვესტიციების ავტორეგრესიული მოდელის გამოყენება სტატისტიკურად მართებული არ არის. ამასთან, აშშ-ს ეკონომიკას ყველაზე კარგად (აღეკვებულად) ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელი ასახავს.

საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე ჩასატარებელი კვლევის თითოეულ ეტაპზე მკვლევარმა უნდა შეარჩიოს ზემოთ აღნიშნული თითოეული პრობლემის ოპტიმალური გადაჭრის გზა.

სასურველია, რომ კვლევის შემდგომ ეტაპზე ემპირიულად შემოწმდეს ინვესტიციების ცნობილი თეორიული მოდელის ვერიფიკაცია საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე. ამასთან, მხედველობაში მისაღებია ის, რომ ყოველი ქვეყნის ეკონომიკა ხასიათდება განსაზღვრული თავისებურებებით, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს კვლევებში და სასურველია შეიქმნას ადეკვატური თეორიული მოდელები, რომლებიც აუცილებლად უნდა შემოწმდეს ემპირიული მონაცემებითა და სათანადო გაანგარიშებებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელაშვილი ს. 2017. *სტატისტიკური პროგნოზირება ეკონომიკასა და ბიზნესში*. წიგნი I. თბ., „მერიდიანი“, გვ. 326.
2. Andrew Abel, B. and Oliver Jean Blanchard. 1986. *The present value of profits and cyclical movements in investment*. *Econometrica*, 54:2 March, pp. 249-273.
3. Берндт Эрнст, 2005. *Практика эконометрики: классика и современность*. М., стр. 847.
4. Bischoff, Charles W. 1969. *Hypothesis Testing and the Demand for Capital Goods*. *Review of economics and statistics*, 51:3, August, pp. 354-368.
5. Kopcke, Richard W., 1977. *The Behavior of Investment Spending during the Recession and Recovery*. *New England Economic Review*, Boston. Mass.: Federal Reserve Bank of Boston. November/December, pp. 14-25.
6. Kopcke, Richard W., 1982. *Forecasting Investment Spending: The Performance of statistical Models*. *New England Economic Review*, Boston. Mass.: Federal Reserve Bank of Boston. November/December, pp. 13-32.
7. Kopcke, Richard W., 1985. *The Determinants of Investment Spending* *New England Economic Review*, Boston. Mass.: Federal Reserve Bank of Boston. July/August, pp. 19-35.
8. Winfrey, Robert, 1985. *Statistical Analyses of Industrial Property Retirement*, Ames, Iowa: Iowa Engineering Experiment Station, Bulletin 123, December, pp. 11-29.

**ECONOMETRIC AND STATISTICAL MODELS OF INVESTMENT AND POSSIBILITIES OF
THEIR EMPIRICAL REALIZATION ON EXAMPLE OF GEORGIA**

Summary

Investment is an important indicator of a country's economy. It not only enables the creation and maintenance of capital, but also is an essential source of economic growth.

The paper reviews Base models and their modified types of investment's five different models (Investments Autoregressive, Tobin's q, Neoclassical, Monetary, Naive and Flexible accelerator models). The paper estimates pros and cons of each investment's model. The article includes critical analysis of the results of Richard Kopcke's research on example of USA and possibilities for their use on Georgian economy. The paper discusses examples of the possible problems for the future research on Georgian economy's example and the alternative methods to solve them.

ციცინო თეთრაული

ეკონომიკური რყევების მიზეზები და ფორმები

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ეკონომიკური რყევების გამომწვევი მიზეზები და ფორმები; განალიზებულია ეკონომიკური ციკლების ბუნება და თავისებურებები, მათი გავლენა მაკროეკონომიკის განვითარებაზე; დახასიათებულია ეკონომიკური ციკლის ფაზები.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური რყევები, ეკონომიკური ციკლები, მაკროეკონომიკის განვითარება

დღეს ეკონომიკური საკითხების განხილვა შეუძლებელია გლობალიზაციის გვერდის ავლით. გლობალურ პროცესებში ჩართულია თითქმის მთელი მსოფლიო, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნები. გლობალიზაციამ სახელმწიფოები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. როცა ვსაუბრობთ გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესში საქართველოს მონაწილეობის შესახებ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერ სახელმწიფოზე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი ახდენს როგორც დადებით, ასევე უარყოფით გავლენას. დადებითი ეფექტი, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს გასაღების ბაზრის გაფართოებაში. გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი ჩვენს ქვეყანას აძლევს დიდ შესაძლებლობებს, გააფართოოს შიდა და გარე ბაზარი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების გამოყენებით. ბაზრის გაფართოება კი გადამწყვეტ როლს თამაშობს ინვესტიციების მოცულობის ზრდაში. ეს მოიხილავს უცხოელ ინვესტორებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში დააბნდებენ და შემოიტანენ ახალ ტექნოლოგიებს.

მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში შეიმჩნევა ეკონომიკის საგრძნობი ზრდა, ცხოვრების დონის ამაღლება. ყოველი საზოგადოება ცდილობს, მიაღწიოს უწყვეტ ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას პერიოდულად თან ახლდა და ახლავს ეკონომიკური არასტაბილურობა, რაც გამოიხატება წარმოების მკვეთრი დაქვეითებით. ეკონომიკურმა აღმავლობამ შეიძლება განაპირობოს ეკონომიკური დაქვეითება, ანუ ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც მოჰყვება მშპ-ს, დასაქმებისა და მოსახლეობის რეალური შემოსავლის შემცირება; შემდეგ ეს პროცესი შეიძლება განმეორდეს, ანუ აღმავლობას კვლავ მოჰყვება ახალი დაქვეითება კრიზისი. მაკროეკონომიკა მოიცავს მთელ ეროვნულ ეკონომიკას. მაკროეკონომიკური განვითარება ხორციელდება ტალღისებური რყევების სახით. ეკონომიკური მერყეობა წარმოადგენს მაკროეკონომიკის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელთა გადახრას, მათი მდგრადი მდგომარეობიდან (მოძრაობის ტრაექტორიიდან) ამგვარ გადახრებს ადგილი ჰქონდა წარსულში და მომავალშიც ექნება. მათი გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს საერთაშორისო მოვლენები, პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ეკონომიკური პირობების ცვლილებები, ომები, ტექნოლოგიური ცვლილებები. ეკონომიკური რყევები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი მასშტაბებითა და ვადიანობით; ამ ნიშნით ისინი შეიძლება დაყვით შემდეგ კატეგორიებად:

1. მოკლევადიანი,
2. საშუალოვადიანი,
3. გრძელვადიანი.

მოკლევადიანი ეკონომიკური რყევები ასახავს ეროვნული წარმოების მოცულობის, სამუშაო ძალის დასაქმებისა და ფასების დონის შედარებით მცირე მასშტაბისა და ხანგრძლივობის ცვლილებებს. ასეთი მერყეობები გამოწვეულია მაგ., სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზრის კონიუნქტურის სეზონური ცვალებადობით.

საშუალოვადიანი ეკონომიკური რყევები ნიშნავს მნიშვნელოვან გადახრებს წონასწორობის მდგომარეობიდან ეროვნულ მეურნეობაში, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

გრძელვადიანი ეკონომიკური რყევები ხასიათდება წარმოების ძალიან დიდი აღმავლობებითა და დაცემებით. მეცნიერული დაკვირვების თანახმად, ასეთი რყევა მეორდება, დაახლოებით, ყოველი ორმოცდაათი წლის შემდეგ. ტალღისებურ რყევებს ექვემდებარება ეროვნულ მეურნეობაში გადამწვევტი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების მახასიათებელი შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები: წარმოებისა და შემოსავლის მოცულობა მთლიანად ქვეყანაში (მშპ და ეროვნული შემოსავალი); ფასების დონე ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბით; სამუშაო ძალის დასაქმება. ამ ძირითად მაჩვენებლებზე დიდად არის დამოკიდებული შემდეგი წარმოებული ცვალებადი სიდიდეები: მთლიანი მოგების მოცულობა ეროვნულ მეურნეობაში (დამოკიდებულია წარმოების მოცულობასა და ფასების დონეზე), სასესხო სარგებლის ნორმა (დამოკიდებული მოგების ნორმასა და ფასების დონეზე).

ეკონომიკური აღმავლობისა და დაქვეითების მონაცვლეობას ეკონომიკურ ციკლს უწოდებენ. ეკონომიკური ციკლები პერიოდულად მეორდება დროითი მომენტის გათვალისწინებით. ამრიგად, ეკონომიკური ციკლი არის პერიოდი ერთი კრიზისიდან მეორემდე ან ერთიდან – შემდგომ ბუშამდე. საშუალოდ, დაახლოებით, ხუთი წელი გადის ერთი კრიზისის დაწყებიდან მეორემდე ან ერთიდან – შემდგომ ბუშამდე; ეკონომიკური ციკლი არის მაკროეკონომიკის წრიული მოძრაობა, რომელშიც თანმიმდევრულად მეორდება ოთხი ფაზა:

1. კრიზისი (დაქვეითება),
2. დეპრესია (ფსკერი),
3. აღმავლობა (გამოცოცხლება),
4. ბუმი (პიკი).

კ. მარქსი ერთ-ერთი პირველი ეკონომისტი იყო, რომელმაც ამ პრობლემას დიდი ყურადღება მიაქცია და თავის შრომებში მოგვცა მისი ფორმულირება. მარქსიზმის კლასიკოსები ეკონომიკური კრიზისების წარმოშობის ძირითად მიზეზად მიიჩნევდნენ კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობებს: წინააღმდეგობას წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და წარმოების შედეგების მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის. მათი აზრით, კრიზისი, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება საქონლის ჭარბ წარმოებაში, კრედიტების შემცირებასა და სასესხო პროცენტის ამ-აღლებაში. ეს კი იწვევს მოგების შემცირებას და წარმოების ვარდნას, საბანკო დავალიანებების ზრდას, საბანკო კრახსა და ეკონომიკის სხვა სფეროებში საწარმოთა გაკოტრებას.

ცალკეული ეკონომიკური ციკლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავისი ხანგრძლივობითა და ინტენსიურობით. არცერთი ციკლი ზუსტად არ იმეორებს მეორეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ მაინც აქვთ ბევრი საერთო ნიშანი: დაქვეითება, დეპრესია, აღმავლობა და ბუმი, რომელიც ყოველი ეკონომიკური ციკლისთვის დამახასიათებელი საერთო ფაზებია.

კრიზისს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მცირდება მშპ, ქვეყანაში მიმდინარეობს საქონლისა და მომსახურების ჭარბწარმოება (მიწოდება მნიშვნელოვნად აჭარბებს მოთხოვნას), ამ მომენტში ეკონომიკური ზრდის დონე და ტემპები ზღვრულად დასაშვებ ზომაზე ქვემოთ ეცემა. სამრეწველო და საგაჭრო საწარმოთა მასა კოტრდება; დარჩენილი საწარმოები სამუშაოდან ითხოვენ მუშებს, ამცირებენ ნედლეულის მოცულობას, რასაც მოსდევს წარმოების შეკვეცა და უმუშევრობის ზრდა. წარმოების შემცირება ასუსტებს მოთხოვნას ნედლეულზე, შესაბამისად კლებულობს ნედლეულის ფასები და მცირდება მათი მიწოდება. საზოგადოებაში ირღვევა საკრედიტო კავშირები. ყველა მეწარმე განიცდის მწვავე მოთხოვნილებას საკრედიტო საშუალებებზე სწრაფად წარმოქმნილი ვალების დასაფარად და ამიტომ მნიშვნელოვნად იზრდება საბანკო სარგებლის ნორმა. ეკონომიკური დაქვეითების დროს მკვეთრად ეცემა მოგების მოცულობა და ნორმა. ამის წინასწარი მაშუშებელია აქციების კურსის დაცემა; სხვა რა მიზეზებიც არ უნდა იყოს, საწარმოთა და მომხმარებელთა ხარჯების შემცირება დაქვეითების (კრიზისის) დასაწყისს მოასწავებს.

დაქვეითება (კრიზისი) მთავრდება მეორე ფაზით – დეპრესიით. დეპრესიის პერიოდში ეკონომიკა ციკლის ყველაზე დაბალ წერტილს (ფსკერს) აღწევს, სადაც იქმნება პირობები კრიზისიდან გამოსასვლელად; საწარმოთა უმრავლესობა არასრული სიმძლავრით მუშაობს ან საერთოდ გაჩერებულია; უმუშევრობა მაღალ დონეზეა; უმნიშვნელო მოთხოვნის გამო იზრდება თავისუფალი ფულადი კაპიტალის მოცულობა და მინიმუმამდე მცირდება საბანკო სარგებლის განაკვეთი. საქონლისა და მომსახურების მიწოდება წვევტს მოთხოვნაზე გადაჭარბებას; საქონლის გამოშვების შეწყვეტა კი ამცირებს მათ მიწოდებას მოთხოვნის დონემდე; ეკონომიკის მომგებიანობა რჩება დაბალ დონეზე; მცირდება ფასები წარმოების საშუალებებზე და იაფდება კრედიტი, რაც ხელს უწყობს გაფართოებული კვლავწარმოების აღდგენას ახალ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საფუძველზე.

გარკვეული დროის შემდეგ ეკონომიკა იწყებს გაჯანსაღებას და შედის საქმიანი აქტივობის ციკლის რიგით მესამე აღმავლობის (გამოცოცხლების) ფაზაში. აღმავლობის პერიოდში წარმოება

და, შესაბამისად, მიწოდება ფართოვდება კრიზისამდელ დონემდე; სასაქონლო მარაგების მოცულობა დგინდება ბაზრის შეუფერხებელი მომარაგებისთვის აუცილებელ დონეზე; იწყება საბაზრო ფასების ამაღლება, რაც გამოწვეულია სყიდვისუნარიანი მოთხოვნის გადიდებით; იზრდება სამუშაო ძალის დასაქმება, იზრდება მოთხოვნა ფულად კაპიტალზე და საბანკო სარგებლის განაკვეთი, რაც თან მოჰყვება კაპიტალის მომგებიანობის დონის ამაღლება. აღმავლობის ფაზა, ჩვეულებრივ, სულ ცოტა, სამ წელს გრძელდება ხოლმე; თუმცა ყველაზე ხანგრძლივი აღმავლობა აშშ-ს ისტორიაში 1921 წელს დაიწყო და 2000 წლის ბოლომდე გაგრძელდა.

ბოლოს დგება მეოთხე – ბუმის (პიკის) ფაზა. ამ პერიოდში ეკონომიკა ყვავის. საქონლის გამოშვება აჭარბებს კრიზისამდელ დონეს და სამუშაო ძალის დასაქმება სწრაფად იზრდება; სყიდვისუნარიანი მოთხოვნის გაფართოებას მოსდევს საქონელზე ფასების სპეკულაციური ზრდა. დიდდება მოთხოვნა საკრედიტო საშუალებებზე და, შესაბამისად, იზრდება საბანკო სარგებლის განაკვეთი, საგრძნობლად მაღლდება წარმოების მომგებიანობა. ამრიგად, ბუმის დროს საწარმოთა ინვესტიციებისა და მომხმარებელთა ხარჯების დონე ყველაზე მაღალია, მიუხედავად ამისა, ვინაიდან ეკონომიკა სრული ან თითქმის სრული დატვირთვით მუშაობს და საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა დიდდება, იზრდება ფასებიც და, შესაბამისად, მომგებიანობაც.

ეკონომიკური ციკლის აღწერილი მოძრაობა ძირითადად დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის; მაღალ-განვითარებული სახელმწიფოებისთვის კი, უპირატესად, ტიპური ბუმის ფაზით დაწყებული ეკონომიკური ციკლები. ეკონომიკური ციკლის ახსნაში უდიდესი როლი შეასრულა კეინზის ნაშრომმა „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“. კეინზისეული თეორია ციკლს განიხილავს, როგორც ეროვნულ შემოსავალს, მოხმარებასა და კაპიტალის დაგროვებას შორის მოძრაობის ურთიერთდამოკიდებულების შედეგს. კეინზურ მოდელში ციკლური პროცესები ყალიბდება ეფექტიანი მოთხოვნის დინამიზრების შედეგად, რომელიც, თავის მხრივ, განისაზღვრება მოხმარებისა და კაპიტალდაბანდების ფუნქციებით. ამ მოდელში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მულტიპლიკატორის კოეფიციენტი (ეროვნული პროდუქტის ზრდის დამოკიდებულება ინვესტიციის მატებაზე) და აქსელერატორის კოეფიციენტი (ინვესტიციის მოცულობის დამოკიდებულება ეროვნული პროდუქტის მატებაზე). აღნიშნულმა თეორიამ შემდგომი განვითარება პოვა სამუელსონის, ჰიკსის, ჰანსენის ნაშრომებში. კეინზის აზრით, ფულის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ მისი წარმოება შეუძლებელია ნებისმიერი მასშტაბით. იგივე შეიძლება ითქვას სამუშაო ძალაზე, რომელიც, მართალია, იზრდება შობადობის ხარჯზე, მაგრამ არა ყველა ქვეყანაში და არა ადეკვატური ტემპებით. კეინზისაურ თეორიას უპირისპირდება ციკლის მონეტარული თეორია (ფრიდმენი), რომლის თანახმად, ეროვნული შემოსავლისა და ციკლის დინამიკაში მთავარ როლს ასრულებს მიწოდების არასტაბილურობა. ეს თეორია ეკონომიკურ ციკლს აკავშირებს ფულის და კრედიტის შემცირებასა და ზრდასთან.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში გავრცელდა ციკლის საკრედიტო-ფულადი კონცეფცია. მონეტარული თეორია ეკონომიურ ციკლს აკავშირებს ფულისა და კრედიტების ზრდასა და შემცირებასთან. ჯ. ჰოუტერი და ი. ფიშერი ციკლის დაქვეითების ფაზის წარმოშობის მიზეზად თვლიდნენ დისპროპორციების წარმოშობას ფულის მასის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. XX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა ეკონომიკის განვითარების პირველი ენდოგენური კონცეფციები. ამ პერიოდში გამოქვეყნდა მეცნიერული გამოკვლევები (ა. შპიპოფი, გ. კასელი), რომლებშიც ციკლური მერყეობა დაკავშირებულია კაპიტალის დაგროვების სიჭარბის კონცეფციასთან. აფტალიონის აზრით, მოხმარების საგნების წარმოებასა და ძირითადი კაპიტალის დაგროვებას შორის არსებობს სპეციფიკური ურთიერთ-დამოკიდებულება; იგი იმით ვლინდება, რომ სამომხმარებლო მოთხოვნის მცირე ცვლილებას შეუძლია გამოიწვიოს წმინდა ინვესტიციის მნიშვნელოვანი მერყეობა (აქსელარაციის პრინციპი). კაპიტალის დაგროვების სიჭარბის საკუთარი ვარიანტი წამოაყენა ცნობილმა გერმანელმა მეცნიერებმა ი. შუმპეტერმა, რომელმაც ციკლური მერყეობა დაუკავშირა ტექნიკურ პროგრესს; მისი მტკიცებით, ეკონომიკური ზრდა ციკლური პროცესისა და განპირობებულია წარმოების ახალი აღმოჩენების დანერგვის ნახტომისებური ხასიათით.

ეკონომიკური ციკლის თეორიების ისტორიაში შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ეტაპი. პირველ ეტაპზე, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, 1929-1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე, გაბატონებული იყო კაპიტალისტური ეკონომიკის თვითრეგულირების იდეა, რომლის თანახმად, მიწოდება ავტომატურად წარმოშობს მოთხოვნას. მეორე ეტაპზე XX საუკუნის 30-იანი წლებიდან 60-იან წლებამდე, გავრცელდა და გაბატონდა ციკლის კეინზიანური თეორია, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოს დახმა-რებით „ეფექტიანი მოთხოვნის“ შექმნას; ამ პირობებში ეკონომიკა ორიენტირებულია მოთხოვნაზე. მესამე ეტაპი - 70-იანი წლებიდან – დაკავშირებულია ციკლის ნეოკლასიკური მონეტარული კონცეფციის აღორძინებასთან. მოთხოვნიდან ყურადღების გადატანა მოხდა წარმოებაზე, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა მიწოდების თეორია. პირველი ეკონომიკური ციკლი აღინიშნა ინგლისში 1825 წელს, როცა წამყვან დარგებში მანქანური წარმოება გაბატონდა. მას მოჰყვა 1836 წლის ეკონომიკური კრიზისი ინგლისში, რომელმაც გავრცელდა პოვა აშშ-ში. მესამე კრიზისი დაიწყო 1847 წელს, მეოთხე კი - 1857 წელს, რომელიც უკვე მსოფ-

ლიო ეკონომიკურ კრიზისს წარმოადგენდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეკონომიკურმა კრიზისებმა უფრო ხშირი ხასიათი მიიღო. 1857 წლის კრიზისს მოჰყვა 1866 წლის კრიზისი. შემდეგი კრიზისები განმეორდა 1873, 1882, 1890 წლებში. ეკონომიკაზე ყველაზე დამანგრეველი ზემოქმედება მოახდინა 1920-1921, 1929-1933, 1937-1938 წლების კრიზისებმა.

XX საუკუნის პირველი ეკონომიკური კრიზისი დაიწყო 1900 წელს, რომელსაც მოჰყვა 1907 წლის პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1920-1921 წწ. დაიწყო ახალი ეკონომიკური კრიზისი; მას მოჰყვა ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკის სტაბილურობა, რომელმაც წარმოშვა არნახული სიძლიერის 1929-1933 წლების ეკონომიკური კრიზისი – ე.წ. „დიდი დეპრესია“. ეს კრიზისი განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი სიღრმით, სიმწვავეთა და წარმოების ხანგრძლივი ვარდნით. სწორედ ამ კრიზისმა განაპირობა შემდგომ ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გაძლიერება. ყველაზე ადრეული ეკონომიკური ციკლის თეორიას მიეკუთვნება ნაკლებმომხმარებლის კონცეფცია. იგი ეკონომიკური კრიზისების მიზეზად მიიჩნევდა მშრომელთა მასის სიღარიბეს; ამასთან დაკავშირებით, ეს თეორია ამართლებდა არამწარმოებლური მოხმარების გადიდებას. წერილ-ბურჟუაზიული მიმართულების წარმომადგენლები სისმონდი და ჰობსონი ამ კონცეფციას იყენებდნენ მშრომელთა ინტერესების დასაცავად. ასევე მშრომელთა ინტერესების დაცვას ისახავდა მიზნად ციკლისა და ეკონომიკური კრიზისების მარქსისტული თეორია, რომელიც სრულყოფილად და მოცემული მარქსისა და ენგელსის ნაშრომებში.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკური ციკლის პროგნოზები მრავალ მანქანებელზეა დაფუძნებული. კომპიუტერების ეპოქა შესაძლებლობას იძლევა, შეიქმნას ფართომასშტაბიანი მაკროეკონომიკური მოდელები. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური კრიზისები თავიანთი გამოვლენის ფორმებით მრავალგვარია; მათში გამოიყოფა, უწინარეს ყოვლისა, წარმოების საერთო დაქვეითება მთლიანად ეროვნულ მეურნეობაში. მათთან ერთად ან ცალკე მიმდინარეობს კერძო კრიზისები რომელიმე სფეროსა თუ დარგში. მაგ., ფინანსური კრიზისი - სახელმწიფო ფინანსების სიღრმისეულად მოშლა; ფულად-საკრედიტო კრიზისი - კომერციული და საბანკო კრედიტების მკვეთრად შემცირება; აგრარული კრიზისი - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების მკვეთრად შეფერხება; სავალუტო კრიზისი - ეროვნული ვალუტის გაუფასურება. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერებებისთვის ცნობილია ციკლურობის ათასზე მეტი ტიპი. ეკონომიკური ციკლები სხვადასხვა ხანგრძლივობით ხასიათდება. შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი მათგანი:

1. უზგლარის ციკლები (7-12წ.). ამ ციკლს აგრეთვე მოიხსენიებენ სხვა სახელწოდებებითაც: „სამრეწველო ციკლი“, „საშუალო ციკლი“, „დიდი ციკლი“.

2. ჯ. კიტჩინის ციკლები (2-4 წ.). ჯ. კიტჩინმა დიდი ყურადღება დაუთმო ეკონომიკური ციკლების მოკლე ტალღების კვლევას.

3. კუზნეცის ციკლები (16-25 წ.) ს. კუზნეცი კვლევის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეროვნული შემოსავლის, სამომხმარებლო ხარჯების, საწარმოო დანიშნულების მოწყობილობებში, მშენებლობებსა და ნაგებობებში ერთობლივი ინვესტიციების მანქანებლები მოწივდა ურთიერთდაკავშირებული ოცწლიანი რყევების არსებობას.

4. კონდრატევის ციკლები (40-60 წ.) - „გრძელი ტალღები“. XX საუკუნის 20-იან წლებში გამოქვეყნდა ნ. კონდრატევის ნაშრომი „კონიუნქტურის დიდი ციკლები“, რომელშიც ეკონომიკური კრიზისები წარმოდგენილია, როგორც ხანგრძლივი რივის კონიუნქტურული დეპრესია. მის კონცეფციაში ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების შესწავლის ამოსავალ პუნქტად მიჩნეულია საქონლის ფასების დინამიკა და ეკონომიკური ციკლის პერიოდიზაცია, დაფუძნებულია ციკლის ორფაზიან მოდელზე.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში ფართოდ გავრცელდა „კონიუნქტურის თეორია“, რომელიც ცდილობდა, მოეცა კაპიტალისტური სამყაროს სამეურნეო განვითარების პროგნოზირება. ამ კონცეფციის ერთ-ერთი ფუძემდებელია გ. კასელი. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის (1929-1933) შემდეგ მრავალი ეკონომისტი (ი. ფიშერი, კ. ზინგერი) შეეცადა, ეკონომიკური კრიზისების მიზეზები აეხსნათ ფულად-საკრედიტო ფაქტორების გავლენით. კაპიტალის დაგროვების სიჭარბის საკუთარი ვარიანტი წამოაყენა ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა ი. შუმპეტერმა, რომელმაც ციკლური მერყეობა დაუკავშირა ტექნიკურ პროგრესს; მისი მტკიცებით, ეკონომიკური ზრდა ციკლური პროცესია და განპირობებულია წარმოების ახალი აღმოჩენების დანერგვის ნახტომისებური ხასიათით.

ეკონომიკური ციკლის არსი გულისხმობს შენელებულ რეგულირებას. თუ ეკონომიკა დაუყოვნებლივ უპასუხებს ნებისმიერ შოკს, უნდა მოველოდოთ მწარმოებლურობის მკვეთრ აღმავლობასა და დაცემას, მაგრამ არა რეცესიას ან გამოდმებული აღდგენის პერიოდებს. ნეოკლასიკური სკოლის ძირითადი ვარაუდი ის არის, რომ ყველა ბაზარი რეგულირდება თითქმის ერთდროულად. რეალურად, გამოშვება ყოველთვის არის დასაქმების სრულ დონეზე, ვინაიდან, ეკონომიკური ციკლი უდავოდ არსებობს, ნეოკლასიკოსმა ეკონომისტებმა უნდა ახსნან ციკლი არა როგორც მერყეობა ერთობლივ მოთხოვნასა და გამოშვებაში პოტენციური მიმართულების გარშემო, არამედ, როგორც მოკლევადიანი მერყეობა თავისთავად პოტენციურ გამოშვებაში. ეს ახსნა ცნობილი გახდა რეალური ეკონომიკური ციკლის სახელწოდებით. მისი მომხრეები ამტკიცებენ, რომ მაკროეკონომი-

კა მოიცავს დინამიკურ ცვალებადობას გარკვეულ დროში და რომ ისეთი გამარტივება, როგორცაა მოხმარების ფუნქცია, მეტისმეტად მარტივია, სასარგებლოც რომ იყოს. რეალური ეკონომიკური ციკლის თეორეტიკოსები უბრალოდ განიხილავენ რეალურ გამოშვებას, რომელიც ასახავს როგორც მიწოდებას, ასევე მოთხოვნას და სავარაუდოა ორივეს გათანაბრება პოტენციური გამოშვების დროს. ამ თვალსაზრისით, ეკონომიკა შოკის დარტყმებს განიცდის (მაგალითად, აღმოჩენები ტექნოლოგიაში, ცვლილებები სამთავრობო პოლიტიკაში...), რაც შემდგომ ცვლის მის მიერ შემუშავებულ რთულ გეგმებს და ზრდის ქცევის წონასწორობას, რომელიც ეკონომიკურ ციკლს ჰგავს. რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიები ახალია და საჭიროა მათი სრულყოფილად დამუშავება. რეალური ეკონომიკური თეორიები უშვებს, რომ გამოშვება ყოველთვის პოტენციურია და მერყეობები პოტენციური გამოშვების თავისთავადი თანხმლებია. დროებითი პერიოდების გათანაბრებას შეუძლია წარმოქმნას მდგრადი რეაქციები ცვლილებების მიმართ. გარკვეულ მერყეობას აქვს ადგილი პოტენციური გამოშვებისას, მაგრამ ბევრი მოკლევადიანი მერყეობა ალბათ ასახავს კეინზიანურ გასვლას პოტენციური გამოშვებიდან. ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებას თავისი წვლილი შეაქვს ეკონომიკურ ციკლში.

ეკონომიკური ციკლები მაკროეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სადისკუსიო თემაა. ის ცნობილი კონცეფციები, რომლებიც მეტ-ნაკლებად გვიხსნის ეკონომიკური ციკლების რყევების ბუნებას, უნაკლოდ მაინც ვერ ჩაითვლება. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ ციკლს ბევრი მიზეზი განაპირობებს ომებიდან, ან ნავთობის ფასის ცვლილებებიდან დაწყებული, ახალი გამოგონებებით დამთავრებული. მასზე გავლენას ახდენს მთავრობის პოლიტიკაც. გადასახადებისა და სამთავრობო დანახარჯების ზრდა ამცირებს ერთიან ეროვნულ პროდუქტს, ფულის მასის (მიმოქცევაში არსებული მთლიანი ფულადი მასის) მატება ზრდის ერთიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობასა და ფასებს. აღნიშნულმა პოლიტიკამ შეიძლება გააუარესოს ეკონომიკური ციკლი გახანგრძლივებული რეცესიებითა და ინფლაციის წარმოქმნით; ან შეამციროს ეკონომიკური ცვლებადობები.

მაკროეკონომიკაში გაუთავებელი დავაა იმის თაობაზე, თუ რამდენად შეუძლია მთავრობას ეკონომიკის სტაბილიზაცია. ცხადია, მას არ შეუძლია, სრულად გააკონტროლოს ეკონომიკა, ამიტომაც ხშირია მკაცრი რეცესიები და ინფლაცია, მაგრამ, რადგან მთავრობა აკონტროლებს მთლიანი დანახარჯების დიდ ნაწილს და მიმოქცევაში დაბანდებული ფულის რაოდენობას, მან უნდა გაითავისოს ეკონომიკურ ციკლზე საკუთარი გავლენის შესაძლებლობა. ის ამ შეგნებით კიდევაც მართავს გარკვეულ დონისძიებებს, როდესაც ეკონომიკას რეცესია ემუქრება, გადასახადები შეიძლება შეამციროს; ასევე შეიძლება შეზღუდოს ფულის მასის ზრდის ტემპიც, როდესაც ინფლაცია სწრაფად იმატებს.

გლობალიზაციის პირობებში კრიზისული მოვლენების მიზეზები განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისთვის, არსებითად, საგარეო ხასიათისაა. ის გამოიხატება ნედლეულზე მოთხოვნის ვარდნასა და კაპიტალის გადინებაში, რაც იწვევს თანამდევ ჯაჭვურ რეაქციას - აქტივების გადაფასებას, დაკრედიტების მკვეთრ შემცირებას და მოთხოვნის შემდომ ვარდნას. ამასთან, შიდა მიზეზების კვლევა, რომლებიც განაპირობებს ეკონომიკის ციკლის რყევებს, ასევე დიდ ინტერესს იწვევს. მსოფლიო საფინანსო და პროდუქციის ბაზრების მზარდმა ინტეგრაციამ ქვეყნების უმეტესობა მეტისმეტად დამოკიდებული გახადა მსოფლიოზე. ეკონომიკური ციკლები მდიდარ ქვეყნებში ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

ამრიგად, ეკონომიკური ციკლები განეკუთვნება ყველაზე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პრობლემების რიცხვს, რომელიც, ხანგრძლივი შესწავლის მიუხედავად, მაინც სადისკუსიო საგნად რჩება; ის პირდაპირ და ირიბად მოქმედებს საბაზრო ეკონომიკის ყველა სუბიექტზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თეთრაული ც. ეკონომიკური განვითარების ზოგადი ტენდენციები. ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2016.
2. აბესაძე რ. ინოვაციები - ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2014.
3. პაპავა ვ. არასტანდარტული ეკონომიკისი. თბილისი, 2014.
4. ბეგი დ., ფიშერი.ს, ღორნბუში რ. ეკონომიკა. გამომცემლობა „ცისარტყელა“, 1999.

THE REASONS AND FORMS OF ECONOMIC FLUCTUATIONS

Summary

The paper deals with the reasons and forms of economic fluctuations. The nature and peculiarities of economic cycles, their impact on the development of macroeconomics are analyzed. The economic cycle phases are characterized.

Lia Totladze

Mamuka Khuskivadze

CONSUMER CONFIDENCE INDICATOR AS ONE OF LEADING ECONOMIC INDICATOR

Annotation. *Consumer confidence indices exemplify the potential contribution of the psychological dimension in economic science. Consumer confidence indicator under cognitive expression influence on economy. Its agenda is focused on understanding the role of the consumer in the transition economy and on analysis of consumer confidence index dynamic in Georgia.*

The objective of research is to investigate the relationship between consumers' expectations about the future of the economy and economic growth. In other words is there relationship between psychological aspects and economy, is there influence consumer confidence index on aggregative economic indicator such economic growth. Changes in consumer confidence help to explain real economic variables and be the useful in helping to forecast the real economy.

Keywords: *Consumer confidence indicator, forecasting, leading economic indicators.*

Business cycle theories found their way into the economic theories at the beginning of 20th century. The research in this area was concentrated mainly at the National Bureau of Economic Research (NBER) in United States. The business cycles (called sometimes economic cycles) are regular fluctuations of economic variables in market economies. There are two different approaches to the fluctuations: business cycles (classical view) and deviation cycles. The leading indicator became an important research tool of business cycle analysis mainly in the US and the member countries of OECD.

The classical view of business cycles is the simplest and most accurate approach in cyclical analysis. But the experience of many countries proves that a long-term slowdown of growth can cause more damage to the economy than the recession itself. In the second half of 20th century the classic business cycle didn't even occur in some countries – the growth of the output in level continued without break. That's why the attention is devoted also to deviation cycles (called also growth cycles) – fluctuations of time series around its long-term trend. The original time series have to be decomposed into four components – seasonal, trend (long-term), irregular and cyclical component. The objects of the cyclical analysis are the cyclical components of economic indicators with different time resolutions (leading, coincident, lagging). The time series decomposition is contrary to the classical cycle view connected with more inaccuracy. Compared to the classical view the interpretation of deviation cycles differs too. As we talk about expansion or recession in the classical view, deviation cycles describe only the slowdown or an acceleration of the economy. For instance all phases of the deviation cycle pass over during only one phase of the classical cycle (e.g. expansion). Nowadays the research in OECD countries is focused both on the classical as well as on the deviation cycle.

Since the pioneering work of Mitchell and Burns (1938), variable selection has rightly attracted considerable attention in the leading indicator literature, see, e.g., Zarnowitz and Boschan (1975) for a review of early procedures at the NBER and Department of Commerce.

Moore and Shiskin (1967) formalized an often quoted scoring system (see, e.g., Boehm (2001), Phillips (1998-99)), based mostly upon (i) consistent timing as a leading indicator (i.e., to systematically anticipate peaks and troughs in the target variable, possibly with a rather constant lead time); (ii) conformity to the general business cycle (i.e., have good forecasting properties not only at peaks and troughs); (iii) economic significance (i.e., being supported by economic theory either as possible causes of business cycles or, perhaps more importantly, as quickly reacting to negative or positive shocks); (iv) statistical reliability of data collection (i.e., provide an accurate measure of the quantity of interest); (v) prompt availability without major later revisions (i.e., being timely and regularly available for an early evaluation of the expected economic conditions, without requiring subsequent modifications of the initial statements); (vi) smooth month to month changes (i.e., being free of major high frequency movements) [Marcellino, 2005. 4].

Leading Economic Indicators includes ten measures that generally indicate business cycle peaks and troughs three to twelve months before they actually occur. The leading indicators (According NBER methodology) are:

1. Hours of production workers in manufacturing;
2. New claims for unemployment insurance;
3. Value of new orders for consumer goods;
4. S&P 500 Composite Stock Index;
5. New orders for plant and equipment;
6. Building permits for private houses;
7. Fraction of companies reporting slower deliveries;
8. Index of consumer confidence;
10. Change in commodity prices;
11. Money growth rate (M2).

This types of indicators are different by OECD methodology. Differences depend on country's features. For example for Belgium there are: New passenger car registration; Em-

ployment (manufacturing) future trend; Export orders inflow; Demand; Production; Consumer confidence indicator. Also different are LEI for Poland: Real effective exchange rate; Interest rate; Production; Unfilled job vacancies; Production of coal. In some cases most part of indicators are related with psychological factors - as expectation of consumers, consumer confidence and etc. For example in case Netherlands there are 5 leading indicators in total, four of which are confidence indicators.

Consumer confidence indices exemplify the potential contribution of the psychological dimension in economic science. However, several areas for further research could be proposed to deepen our reflections. First, the choice of questions to be included in the composite indicator may impact upon the forecasting power of indices. Consumer confidence indicator under cognitive expression influence on economy. Its agenda is focused on understanding the role of the consumer in the transition economy.

Georgia signed the Association Agreements with EU and Euro Member States stability is very important as for their countries as for Georgia – country with transition economy. Given the volatile nature of transformed economy, there is a need for businesses and government agencies to have access to an accurate leading indicator of transformed economic performance (In particular for Georgia). Relations between macroeconomic variables are crucial as for individual countries growth as strong linkages economies.

The results show that, even with limited monthly observations, it is possible to establish meaningful economic and statistically significant relations between indicators from different sectors of the economy and the present and future direction of economic activity. To detailed information on consumers' financial situation, forecasting models require information on the economic and psychological factors that shape changes in their spending and saving decisions. Is captured that is there relationship between consumers' expectations about the future of the economy and while economy. In other words is there relationship between psychological aspects and economy, is there influence consumer confidence index on aggregative economic indicator such economic growth.

The importance of expectations for the explanation of consumption decisions was also reflected in independent advances in economic theories, sparked by the work of two Nobel laureates. Friedman's permanent income hypothesis (1957) and Modigliani's life-cycle theory (1954), emphasized the role of expectations in determining consumers' current spending and saving decisions. The factors influencing consumer confidence were personal financial circumstances, group membership, political attitudes and information [Savin I., Winker P. (2011). 7].

The analysis of this indicator can help policymakers gauge the short-term direction of economic activity. While such analysis is well established in advanced economies, it has received relatively little attention in many emerging market and developing economies, reflecting in part the lack of sufficient historical data to determine the reliability of these indicators.


The relevance of consumer confidence has been widely investigated in the economic literature. The evidence on the relevance of consumer confidence in addition to the information contained in other economic indicators is mixed.

Several studies, though, suggest that consumer sentiment has predictive power not possessed by economic indicators. The sentiment indicator is found to be particularly informative under circumstances of strong fluctuations in the economy. Broadly speaking, there are two complementary views: the information view and Keynes' animal spirits view. The information view regards consumer confidence as a representation of rational future expectations.

Theoretically, any role given to consumer confidence to explain future spending is not consistent with rational economic expectations (Hall, 1978). This means that explanations of the predictive power of consumer confidence have to be found outside of the rational expectations theoretical framework with frictionless markets. For example, borrowing constraints can prevent the consumer from consuming more today in anticipation of the increase in income [Banerjee A., Marcellino M., Masten I. (2006), 1].

As consumer sentiment can be updated almost instantaneously, its prime value added is that it is leading future economic developments, but does not independently affect these developments.


Consumer Confidence Index for Georgia - Consumer Confidence Survey by ISET follows the standard EU methodology: There are randomly sample 300-350 individuals on a monthly basis and question them about the past, current and future financial situation of their families and the country as a whole. Consumer confidence is the degree of optimism that consumers feel about the overall state of the economy and their personal financial situation. How confident people feel about stability of their incomes determines their spending activity and therefore serves as one of the key indicators for the overall shape of the economy. In essence, if consumer confidence is higher, consumers are making more purchases, boosting the economic expansion. On the other hand, if confidence is lower, consumers tend to save more than they spend, prompting the contraction of the economy. Data are available through the ISET survey. We try to indicate if consumer confidence closely related to GDP.



Consumer Confidence Index for Georgia

Source: <http://www.iset-pi.ge>

As we see on the chart above the consumer confidence index (CCI) continued to increase, sustaining the trend which started in January.



* Adjusted data will be published on November 15, 2016.

Source: geostat.ge

By this statistics we cannot discuss about close relation between GDP and consumer confidence index but in long-term period there might be positive relations. Changes in consumer confidence help to explain real economic variables and be the useful in helping to forecast the real economy.

References

1. Banerjee A., Marcellino M., Masten I. (2006), Forecasting Macroeconomic Variables Using Diffusion Indexes in Short Samples with Structural Change. IEP-Bocconi University;
2. FLOROS, Ch. (2005), Forecasting the UK Unemployment Rate: Model Comparisons. International Journal of Applied Econometrics and Quantitative Studies. Vol.2.-4;
3. Fulop G. & Gyomai G. (2012), "Transition of the OECD CLI system to a GDP-based business cycle target", OECD, Available at: <http://www.oecd.org/std/leading-indicators/49985449.pdf> ;
4. Marcellino M. (2005), Leading Indicators. IEP-Bocconi University, IGIER and CEPR;
5. Nilsson R., Gyomai G. (2007), OECD System of Leading Indicators (Methodological Changes and Other Improvements), Short-term Economic Statistics Division, OECD, November.
6. Romer D. (2012) Advanced Macroeconomics, 4th edition, Mc Graw-Hill/Irvin;

7. Savin I., Winker P. (2011). Heuristic Model Selection for Leading Indicators in Russia and Germany. Joint Discussion Paper Series in Economics coordinated by Philipps-University Marburg.
8. Sorensen P. B. & Whitta-Jacobsen H. J. (2013), Introducing Advanced Macroeconomics: Growth and Business Cycles, 2th edition, Mc Graw-Hill.
9. Zarnowitz V. (1992), Business Cycles: Theory, History, Indicators, and Forecasting, University of Chicago Press. Available at: [//www.nber.org/books/zarn92-1](http://www.nber.org/books/zarn92-1);
10. The Conference Board Leading Economic Index (LEI) for the United States and Related Composite Economic Indexes for July 2014. Available at <https://www.conference-board.org/press/pressdetail.cfm?pressid=5265>
11. <http://www.iset-pi.ge/index.php/en/consumer-confidence-index/1040-may-2015-cci-rising-consumer-expectations-point-to-a-somewhat-brighter-future>
12. www.Geostat.ge

მურმან კვარაცხელია

სიღარიბის დაკლმვა – საქართველოს ეკონომიკის მთავარი გამოწვევა

ანოტაცია. სტატიაში განხილულია საბაზრო ეკონომიკის ყველაზე მწვავე გამოწვევის – უმუშევრობის პრობლემები პოსტკომუნისტურ საქართველოში. გაანალიზებულია მისი გამოწვევი მიზეზები და ის მთავარი ფაქტორები, რომელმაც ხელი შეუწყო იმ არაორდინალური ტენდენციების ჩამოყალიბებას, რაც დამახასიათებელია ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. სტატიაში ასევე განხილულია სიღატაკისა და სიღარიბის მახვენებელთა სისტემა, რომელსაც ადვილი აქვს საზოგადოებაში. ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სოფლის მოსახლეობის პრობლემას, რომლის უმეტესობა სტატისტიკურად არ შედის უმუშევართა კატეგორიაში.

საკვანძო სიტყვები: სიღარიბე, უმუშევრობა, ეკონომიკური განვითარება

გლობალიზაციის ეპოქამ რთული არჩევანის წინაშე დააყენა მსოფლიო ეკონომიკა. საბჭოთა სისტემის მყისიერმა დანგრევამ ეკონომიკის კატასტროფული შედეგები გამოიწვია ახალ სუვერენულ ქვეყნებში. დღის წესრიგში დადგა ახალი ორიენტაციის მყარი გზების ძიება. ისტორიული გამოცდილება კარნახობდა ევროპეიზმისკენ მიმავალ გზად გზაზე უფრო ნათელი პერსპექტივის არსებობას, რის საფუძველსაც მყარად იძლეოდა ჩვენი დიდი წინამორბედების სწორად გააზრებული ორიენტაცია. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, კაპიტალიზმის ჩასახვის მომენტიდან, ქართული საწარმოო ძალის მენტალიტეტი არსებითად მოერგო მის იდეოლოგიას, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები ღრმად იკიდებდა ფესვებს საზოგადოებრივ ეკონომიკურ განვითარებაში.

მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან ისევე მყისიერად შეწყდა ქვეყნის ბუნებრივ-საზოგადოებრივი განვითარება და იგი აღმოჩნდა მარქსისტული მონოიდეოლოგიის დიქტატის ქვეშ. ფაქტობრივად, შვიდ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში შენდებოდა ავტოკრატიული სახელმწიფო წყობილება, რომელსაც ისტორიაში ანალოგი არ მოეპოვებოდა. მას გააჩნდა ბევრი დადებითი, მაგრამ უფრო მეტი უარყოფითი თვისება, რამაც საბოლოოდ წერტილი დაუსვა მის არსებობას. ქვეყანა აღმოჩნდა დილემის წინაშე, ისევე უკან უნდა დაბრუნებოდა იმ ისტორიულ ნიშნულს, რომელშიც საუკუნის წინ იდგა, მაგრამ უკვე სხვა რეალობაში. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მაშინდელი კაპიტალისტური ანუ საბაზრო ურთიერთობები ბევრად ჰგავდა დღევანდელს და ქვეყანას ბევრი რამის ხელახალი გამოგონება არ სჭირდებოდა, მაგრამ წარსულშიც ჩახედვა არავის არ სჭირდებოდა და: „სხვისი ბაძით“ უფრო ადვილი და მარტივი გზების ძიება დაიწყო.

ქვეყანამ გააკეთა თავისი არჩევანი - დასავლური ორიენტაცია. ამას ხელი შეუწყო ევროპის მიერ საქართველოს აღიარებამ, რაც გამოიხატა საგარეო კურსის მხარდაჭერაში. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ევროპეიზმის შესახებ დიდი ქართველი მოაზროვნე და „ერის მამა“ ილია ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენს ისტორიაში უფრო ბევრია ფესვნი ერთობისა, ვიდრე განყოფისა“ და ამიტომ ჩვენი ვაღია პირველი ვახეიროთ და მეორე ამოვიძრკვით. .. [ი.ჭავჭავაძე, 1].

ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, ბოლო 25 წელიწადში საინტერესოდ ჩამოყალიბდა საქართველოს მდგომარეობა. ქვეყნის აღმშენებლობა, მიუხედავად მისი სერიოზული გარღვევებისა, დიდი შეფერხებებით მიმდინარეობს. მოსახლეობის ცხოვრების დონე, ყველაზე თვალსაჩინო კრიტერიუმში ქვეყნის სიძლიერისა, დაბალია – მთლიანი შიდა პროდუქტით მოსახლეობის ერთ სულზე 116-ე ადგილზე ვიმყოფებით მსოფლიო თანამეგობრობაში. ეს აღმოჩნდა შედეგი მრავალი შიდა გამოწვევისა, როგორცაა: სიღარიბე, უმუშევრობა, უწიგნურობა, ჯანმრთელობის პრობლემა და უთანასწორობა [2].

საინტერესოა ის, რომ ქვეყანაში კონტრასტული ტენდენციები ყალიბდება. ერთ მხარეზე აღმოჩნდა მდიდართა და შეძლებულთა ფენა, ჯგუფი, რომელიც მცირერიცხოვანია, მაგრამ ქვეყნის

განვითარების ვექტორის განმსაზღვრელი [5].

მეორე მხარეზე აღმოჩნდა მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომლებმაც ქონებაცა და რწმენაც დაკარგა. ნიჰილისტურმა განწყობამ მთავრ მიზნად თვითგადარჩენა დაუსახა.

ამ პერიოდში მიმდინარე ტრანსფორმაციულმა პროცესებმა უამრავი ნეგატიური გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველოს მოსახლეობა ბოლო პერიოდის განმავლობაში. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით დასტურდება, რომ ტენდენცია ფრიად დამაფიქრებელია.

„საქსტატი“ ბოლო მონაცემები ადასტურებს, რომ მოსახლეობის 21,3 პროცენტი ანუ აბსოლუტურ მონაცემებში 792 ათასი ქვეყნის მოქალაქე სიღატაკის ზღვარზე იმყოფება. წინა წლის მაჩვენებელი 20,8 პროცენტს შეადგენდა. აქედან ცხადია, ტენდენცია უარესდება. აქ უკვე, ჩვენი აზრით, საჭიროა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის არსებითად შეცვლა და აქტივიზაცია სხვადასხვა ფართომასშტაბიანი პროექტების ამოქმედების თვალსაზრისით.

აქ ერთ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. ქვეყანაში ეკონომიკისა და გარე ინვესტიციების ზრდის ტემპი საკმაოდ სტაბილურია – 3-4 პროცენტის ფარგლებში. ამ შემთხვევაში იკვეთება გარკვეული პარადოქსი – ეკონომიკისა და ინვესტიციების ზრდის ფონზე მატულობს მოსახლეობის სიღატაკის დონე, რაც სოციალური უთანასწორობის ზრდის მაჩვენებელიცაა. ჩვენი აზრით, ასეთი ტენდენცია გამოწვეულია მოსახლეობის პრივილეგირებული ნაწილის მაღალშემოსავლიანობით, რომლებიც დასაქმებულია მაღალანაზღაურებად შრომის ბაზარზე არაკონკურირებად გარემოში.

მეტად საინტერესოა სიღარიბის მაჩვენებლებიც. ასე მაგალითად, რეგისტრირებული სიღარიბე 2007 წლის 6,4%-დან 2010 წელს გახდა 9,7% და 2014 წელს კი - 11,6%. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ცხოვრების დონე კლებადი ტენდენციით ხასიათდება [4].

ასეთი მოვლენები არ შეიძლება მხოლოდ დღევანდელი პროცესებით შევაფასოთ.

ღია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომელშიც ბუნებრივად აღმოჩნდა საქართველოს ეკონომიკა, იგი გახდა ეგზოგენური ფაქტორების ობიექტი. მემკვიდრეობით მიღებული ღარიბი ინტელექტუალური პოტენციალის გამო რთული აღმოჩნდა ეკონომიკის გარდაქმნის რაციონალური სტრატეგიის განსაზღვრა. ეს განპირობებული იყო ორი ისტორიული ეპიცენტრის არსებობით, - რეალური დამოუკიდებლობის პროცესის დაწყებით და საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის აუცილებლობით.

ფაქტია, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებას ეკონომიკური პროცესების რღვევა, კერძოდ, საშუალო ადგილების დაკარგვა და გაუქმება მოჰყვა. შემდეგ განხორციელდა ფულის რეფორმა და დაიწყო ძველი მენტალიტეტის სასტიკი ნგრევისა და საშუალო ფენის ჩამოყალიბების უკიდურესად შენელებული პროცესის დაწყება. ამის უამრავი მიზეზი არსებობდა საზოგადოებაში. არ შეიძლება იმაზე დაყრდნობა, რომ მაკროეკონომიკური მიდგომებით შეიქმნას ხელსაყრელი პირობები მეწარმეობის საბაზრო ფორმების ავტომატურად აღმოცენებისთვის. მთავარია დასაქმებისა და უმუშევრობის დონის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი პირობების შექმნა. დღევანდელი მდგომარეობით მცირე მეწარმეობის განვითარება შეფერხებულია. ამის ნათელი დადასტურება არის ის, რომ ქვეყანაში მცირე მეწარმეობა – მისი საზოგადოებრივი ფორმა – მცირე ბიზნესი მხოლოდ მთლიანი შიდა პროდუქტის მეათედს იძლევა. აქ აშკარად ჩანს მათი ორგანიზაციის დაბალი დონე. ამიტომ აუცილებელია მსხვილი და მცირე საწარმოების ინტეგრაციული ერთიანობა, რასაც სჭირდება სახელმწიფო მხარდაჭერა. სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზეა მნიშვნელოვნად დამოკიდებული საშუალო ფენის ჩამოყალიბება. თუმცა საშუალო ფენის როლსა და ადგილს განსაზღვრავს საკუთრება, მისი მაღალი ეფექტიანობით გამოყენების პოტენციალი.

თუ სტატისტიკას გადავხედავთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: 2015 წელს საქართველოს ბიზნესსექტორში წარმოებულია 30 მილიარდი ლარის პროდუქცია (12 მლრდ \$). აქედან მცირე საწარმოებზე მოდიოდა 3 მლრდ ლარი, ანუ 10 %, საშუალოზეც 10 %. დასაქმების მიხედვით მცირე საწარმოებზე მოდიოდა 27%, საშუალოზე – 6%. მცირე საწარმოებში ანაზღაურება 443 ლარი იყო, საშუალოში – 650 ლარი, მსხვილში – 1130 ლარი, მთლიანად ბიზნესსექტორში კი – 900 ლარს შეადგენდა. აქედან ჩანს, რომ მცირე საწარმოში ანაზღაურება ბიზნესსფეროში ანაზღაურების მხოლოდ 49% შეადგენდა [6. ჭითანავა, 3].

ახლა გვინდა შევეხოთ ერთ მეტად პარადოქსულ მოვლენას, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოს სინამდვილეში. ეს არის ყველა ქვეყნის მარადიული პრობლემა – უმუშევრობა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის თანმდევი პროცესია. ექსპერტთა გათვლებით, 90-იანი წლებიდან დაწყებული, მსოფლიოში უმუშევრობის დონე საშუალოდ 5,9 – 6,3 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. ასე მაგალითად, აშშ-ში უმუშევრობის ბუნებრივი დონე 6,5 პროცენტამდეა. ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე 2002 წელს იყო, ხოლო ყველაზე დაბალი მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებამდე – 2007 წელს. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში უმუშევრობა თითქმის არ იყო, თუმცა შრომის ანაზღაურების არაადეკვატური სისტემა იძლეოდა კორუფციის მყარ საფუძველს, რაც დეფიციტური საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორ-

რიც იყო.

პოსტკომუნისტურმა ეპოქამ სუვერენული სახელმწიფოები სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. უმთავრესი გახდა ფინანსური დეფიციტი ანუ ინვესტიციები, ახალ გარემოსთან ადაპტირების გამოუცდელიობა, საგარეო ვალების აღება, იმპორტზე დამოკიდებულება, რომელიც დღევანდელ პირობებში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელზე არსებით გავლენას ახდენს. ყოველივე ამან უმუშევრობის დონე კიდევ უფრო გაზარდა და მნიშვნელოვნად გაუსწრო მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს. ეს ყველაფერი კი მოსახლეობის ქვეყნიდან გადინების ერთ-ერთი ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორი გახდა. საქართველოს მოსახლეობა 1990-2016 წლებში შემცირდა 31,6 პროცენტით [5].

უმუშევრობასთან დაკავშირებით „პოსტსაბჭოური პარადოქსები“ [6] მდგომარეობს იმაში, რომ ბევრ ქვეყანაში სოფლად სტატისტიკურად დასაქმებულებს მიკუთვნებული მოსახლეობის დიდი ნაწილი შემოსავლების არმქონე ფაქტობრივი უმუშევრებია. საქართველოში კი სოფლის ყველა მცხოვრები, ვისაც 2500 კვადრატული მიწის ფართობი ერიცხება, დასაქმებულების კატეგორიაში გადის. პარადოქსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანაში ინვესტიციებისა და ეკონომიკურ ზრდას თან არ ახლავს უმუშევრობის დონის შემცირება. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ქვეყანაში უმუშევართა დახმარებისა და დასაქმების ხელშემწყობი ინსტიტუციური სისტემა არ არსებობს, რის გამოც რეგისტრაციას უმუშევართა შედარებით მცირე ნაწილი გადის. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეკონომიკის რეალური სექტორი არ არის მაღალგანვითარებული, საგარეო ვალების დონე მაღალია, იმპორტდამოკიდებულების მასშტაბები ზრდადია (ამაზე მეტყველებს ექსპორტ-იმპორტის საღიბე), ინოვაციური ეკონომიკა ახლა იწყებს არსებითად განვითარებას. ამის შედეგია სწორედ ის, რომ პოსტსაბჭოთა ეკონომიკების წილი მსოფლიო ეკონომიკაში მხოლოდ 2,7 პროცენტია. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ამ ქვეყნების ეროვნული რესურსები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალურ ეკონომიკაზე.

ზემოთ ნათქვამი გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარების პროცესი თანდათანობით მიდის და საკმაოდ სტაბილურია. თავად ობიექტური პროცესი - საბაზრო პრინციპებზე გადასვლა – ქვეყნის წინსვლის მთავარი ვექტორი ხდება, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ სუსტია საბაზრო ეკონომიკური სისტემა. თუმცა ნეგატიური და პოზიტიური მხარეების შედარებისას, შეიძლება ითქვას, რომ პოზიტიური ჭარბობს, რაც ქვეყნის მომავლის სტრატეგიას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჭავჭავაძე ილია. თხზულებანი, თბილისი, 1989.
2. ჭითანავა ნოდარ. წერილების ციკლი. „საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო “IVERIONI”, 2017. 2.03; 6.03; 10.03; 14.03.
3. Avtandil Silagadze, “Post-Soviet Paradoxes” of Unemployment Rate. (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ.11, №1, 2017.
4. ასათიანი რ. გლობალიზაცია: ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი, 2010.
5. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2002.

Murman Kvaratskhelia

POVERTY REDUCTION – THE MAIN CHALLENGE OF GEORGIA'S ECONOMY

Summary

The article reviews the most urgent challenges of market economy - unemployment problems in postcommunist Georgia. It analyzes the causes and the main factors that have contributed to the development of those extraordinary trends that are characteristic to modern stage of economic development. The article also discusses the system of poverty and poverty indexes in the society. The author emphasizes the challenges of rural population, most of which are not statistically included in the category of unemployed.

*ლეილა მამულაშვილი
მაკა სოსანიძე*

მაკროეკონომიკური პოლიტიკა – სახელმწიფოს ეკონომიკური ძველის მნიშვნელოვანი ორიენტირი

ანოტაცია. ნაშრომში მოცემულია მაკროეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელობა და მასზე მოქმედი ფაქტორები. ასევე განხილულია მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრობლემები საქართველოს მაგალითზე. მოცემულია ის კონკრეტული მონეტარული, ფისკალური და ეკონომიკურ

ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადადგას ხელისუფლებამ ეკონომიკის სტაბილიზაციის და ზრდის ხელშეწყობის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკა, დასაქმება, ინფლაცია, ეკონომიკა, სტრატეგია

მოქნილი მაკროეკონომიკური პოლიტიკა მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეხება საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს, მაკროეკონომიკური მანქანებისა და ნათლად ჩანს თუ სად და როგორ უნდა იქნეს მიმართული ფულადი სახსრები ადამიანთა კეთილდღეობის ასამაღლებლად. მაკროეკონომიკური პოლიტიკა არის სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური მიზნების განხორციელების სტრატეგიული და ტაქტიკური გზების ერთობლიობა. სწორედ მაკროეკონომიკური პოლიტიკა განსაზღვრავს სახელმწიფოს ეკონომიკური ქცევის თავისებურებებს და მასზე დამოკიდებული ქვეყნის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.

მაკროეკონომიკური პოლიტიკა არის ხელისუფლების მიერ ეკონომიკური ქცევების გაკონტროლების და მათზე ზემოქმედების მიზნით, ეკონომიკის სფეროში გატარებულ ღონისძიებათა, ქმედებათა სისტემა და სახელმწიფოს მიზნებიდან, ამოცანებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე ეკონომიკური პროცესებისათვის განსაზღვრული მიმართულებების მიცემა. ზოგადად მაკროეკონომიკა სწავლობს პოლიტიკაში ეკონომიკურ ქცევებს, რომლებიც ზემოქმედებს მოხმარებისა და ინვესტიციების მოცულობაზე, სავალუტო კურსსა და სავაჭრო ბალანსზე, აგრეთვე ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლია განსაზღვროს ფასებისა და ხელფასების ცვლილება, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, ნაღდი ფულის მასის მოცულობა, სახელმწიფო ბიუჯეტი, პროცენტის განკვეთის ცვლილება და სახელმწიფო ვალი.

ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება საკმაოდ რთული პროცესია. მისი პირველი ნაბიჯი ეკონომიკური მიზნების ზუსტი განსაზღვრაა, რომლის შემდეგაც განისაზღვრება მიზნების განხორციელების ალტერნატიული პროგრამები და მათი შესაძლო შედეგები, აგრეთვე, წარსულში ანალოგიური პროგრამების განხორციელების ეფექტიანობა როგორც ერთ რომელიმე ქვეყანაში, ასევე სხვა ქვეყნებში მიზეზშედეგობრივი კავშირებით. უმთავრეს ეკონომიკურ მიზნებად მიჩნეულია:

- სრული დასაქმება;
- ეკონომიკური ზრდა;
- ეკონომიკური ეფექტიანობა;
- შემოსავლების სამართლიანი განაწილება;
- ფასების სტაბილური დონე;
- ეკონომიკური თავისუფლება;
- ეკონომიკური უზრუნველყოფა;
- სავაჭრო ბალანსი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკური მიზნები შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების მთავარი სიძნელე კი სწორედ ამ წინააღმდეგობების დაძლევაა. მაკროეკონომიკური პოლიტიკა მოიცავს ეკონომიკის მართვის ორ ძირითად ბერკეტს: ფისკალურ (საფინანსო-საბიუჯეტო) და მონეტარულ (ფულად-საკრედიტო) პოლიტიკას. ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკის სტაბილურობის მთავარი ინსტრუმენტია. ქვეყნის არასწორმა ფისკალურმა პოლიტიკამ შეიძლება ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში სერიოზული ნეგატიური შედეგები გამოიწვიოს.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე, გარდა ფისკალური და მონეტარული ინსტრუმენტებისა, რომლებსაც წმინდა ეკონომიკური ხასიათი აქვს, მოქმედებს ისეთი ფაქტორებიც, როგორცაა „არაეკონომიკური ფაქტორები“, რომელთა გათვალისწინებაც პრაქტიკულად აუცილებელია. არაეკონომიკური ფაქტორები შეიძლება განვიხილოთ მრავალი სახით:

- სახელმწიფოს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი;
- სოციალ-ეკონომიკური განვითარების არჩეული მოდელის ხასიათი;
- საზოგადოების საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების დონე და ინსტიტუციური სტრუქტურა;

- სახელმწიფოს მიერ დაგროვილი ამოცდილება;
- ერის მენტალიტეტი და ტრადიციები;
- საზოგადოების ეკოლოგიისადმი დამოკიდებულება;
- კრიმინალური მდგომარეობა და ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე;
- დამოკიდებულება ინოვაციებისადმი;
- დემოგრაფიული და ინდივიდუალური მახასიათებლები;
- სასამართლო სისტემის მდგომარეობა და ა.შ.

ამრიგად, უამრავი არაეკონომიკური ფაქტორი არსებობს, რომელთა გათვალისწინებაც საჭიროა მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების დროს. საბაზრო ეკო-

ნომიკა განიცდის ძლიერ ზეგავლენას და მათი გაუთვალისწინებლობით ვერ მიღწევს სასურველ შედეგს. მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება არ დაიყვანება მხოლოდ ტექნიკურ-ეკონომიკურ პრობლემამდე. იგი თავის თავში მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ და კულტურულ პრობლემათა ერთობლიობას.

სწორ შემთხვევაში სხვადასხვა ეკონომიკური სისტემები მარცხს განიცდის, რაც მათი ობიექტური სისტემიდან გადახრით და შეუთავსებლობით არის გამოწვეული.

გამოიყოფა მაკროეკონომიკური პოლიტიკის სამი ძირითადი პრობლემა:

1. უმუშევრობის მაღალი და მდგრადი დონე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში;
2. ინფლაციური პროცესები;
3. გამოშვების მოცულობის ზრდის ტემპები.

აღსანიშნავია, რომ მაკროეკონომიკა მრავალ სხვა პრობლემას სწავლობს, თუმცა ძირითადი მაინც ზემოთ დასახელებული სამი პრობლემაა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების ეკონომიკური კოლაფსის შედეგად საქართველოში მკვეთრად შემცირდა სამუშაო ადგილების რაოდენობა და უმუშევრობამ მასიური ხასიათი მიიღო. საქართველოში შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა ნაკლებადაა განვითარებული. დღემდე არ არსებობს დასაქმების სახელმწიფო რეგულირების სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა. არ ხორციელდება უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამები. არ არსებობს დასაქმების სახელმწიფო სამსახური; არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სხვა სოციალური რისკის მქონე ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმი. უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქად, ისე სოფლად. უმუშევართა შორის დიდ წილი უკავია ახალგაზრდობას, რაც კიდევ უფრო ზრდის სოციალურ რისკებს და საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს.

რაც შეეხება ინფლაციას და ეკონომიკურ ზრდას, საქართველოს ეკონომიკაში შემდეგი მდგომარეობა გვაქვს: 2017 წლის მარტის მონაცემებით რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 5,3 პროცენტი, ხოლო I კვარტალის საშუალო რეალურმა ზრდამ 5,0 პროცენტი შეადგინა. 2017 წლის აპრილის მონაცემებით საქართველოში წლიურმა ინფლაციის დონემ 6,1 პროცენტი შეადგინა.

საქართველოს ეკონომიკასა და ლარის კურსზე მოქმედი ფაქტორები პირობითად შეიძლება დავეყოთ გარე და შიდა ფაქტორებად. გარე ფაქტორებია - მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების ვარდნა (ბარელი ნავთობის ფასი 115 აშშ დოლარიდან დაახლოებით 47-50 აშშ დოლარამდე დაცვა და, სავარაუდოდ, მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში აღნიშნული ტენდენცია გრძელდება). ირანისათვის სანქციების მოხსნის ამოქმედების შემთხვევაში საერთაშორისო ექსპერტები ვარაუდობენ ნავთობის ბაზარზე მიწოდების თანმიმდევრულ ზრდას და ფასის დამატებით 10%-იან კლებას; რუსული რუბლის დეველვაცია დაახლოებით 65%-ით, უკრაინული გრივნასი - 67%-ით, ყაზახური ტენგეს - 49%-ით, თურქული ლირას - 35%-ით, ევროს - 13%-ით და ა.შ. და მათი გავლენა ჩვენს სავაჭრო და საგადასხდელ ბალანსზე; განვითარებად ეკონომიკებში ინვესტიციების მკვეთრი არათუ კლების და არამედ ქვეყნიდან გადინების ტენდენცია; აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის გადაწყვეტილება განაკვეთის გაზრდის თაობაზე, რაც დოლარის კურსის შემდგომი გამყარებისკენ იქნება მიმართული და ა.შ.

შიდა ფაქტორებია - "სოციალურად ორიენტირებული" ეკონომიკური პოლიტიკა; პრივატიზაციის დაბალი ტემპი და შესაბამისად შემოსავლების შემცირება; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არასაკმარისი მოცულობა; ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების კლება, რაც განპირობებულია არა ტურისტთა რაოდენობის კლებით, არამედ შემოსული ტურისტების მიერ მათ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური პრობლემების გამო საქართველოში დახარჯული თანხის შემცირებით; ინფრასტრუქტურული პროექტების არასაკმარისი მოცულობა, საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილებებით შემოსული თანხების მოცულობის კლება და ა.შ. დღეისათვის მაკროეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედება საქართველოს ეკონომიკასა და ლარის კურსზე მნიშვნელოვანწილად ამოწურულია, ლარმა თავის თავზე მიიღო დარტყმა და ლარის ინდექსი მივიდა იმ ნიშნულამდე, რომ შემდგომი დეველვაციისთვის ამ ეტაპზე მაკროეკონომიკური საფუძვლები აღარ არსებობს.

მნიშვნელოვანია ის, რომ ბოლო პერიოდში ხელისუფლებამ, ეკონომიკის სტაბილიზაციის და ზრდის ხელშეწყობის მიზნით, საკმაოდ ქმედითი ნაბიჯები გადადგა. დადებითი შედეგების მომტანია საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის გაზრდის თაობაზე, რაც მიმართულია ფულის გაძვირებისა და ინფლაციური მთლიანობის და რისკების შემცირებისაკენ. ასევე მნიშვნელოვანია მისი გადაწყვეტილება სავალუტო ინტერვენციების აღდგენის და, საჭიროების შემთხვევაში, სავალუტო აუქციონზე რეზერვების გაყიდვის შესახებ.

ასეთ ქმედით ღონისძიებებზე მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობა და განვითარება. აუცილებელია, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაატაროს მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რისთვისაც ეფექტურად უნდა

იქნეს გამოყენებული მის ხელთ არსებული სხვა მონეტარული ინსტრუმენტები ღია ბაზარზე ოპერაციების ჩათვლით.

აუცილებელია განხორციელდეს ღონისძიებები პოლიტიკის შერბილების და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიმართულებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მომავალშიც უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტის არაინფლაციური ხარჯვა.

საჭიროა სახელმწიფომ გლობალურ ეკონომიკურ მოვლენებს ყოველდღიურად ადევნოს თვალი, რადგან დღეისათვის მსოფლიო ეკონომიკა, საერთაშორისო ფინანსური ბაზარი კვლავაც საკმაოდ რყევადია და თუ არა სრულყოფილი ინფორმაციის ფლობა, შეუძლებელი გახდება მიმდინარე პროცესების შესწავლა, გაანალიზება, დასკვნების გამოტანა და საკუთარი სტრატეგიისა და ტაქტიკის რეგულირება. საქართველოს ეკონომიკის განვითარება მეტწილად დაფუძნებული უნდა იყოს ადგილობრივი წარმოების განვითარებასა და დანაზოგების სტიმულირებაზე; უნდა დაიცვას ადგილობრივი ბაზარი უხარისხო საქონლისა და დემპინგური ფასებისაგან.

წინასაარჩევნო პროგრამის მიხედვით, საქართველოს მოქმედმა ხელისუფლებამ მაკროეკონომიკური პოლიტიკის სფეროში საქმიანობები უნდა წარმართოს დასახული პრიორიტეტების ფარგლებში, შემდეგი მიმართულებებით:

- საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად განახორციელოს ცვლილებები შრომის კოდექსში, შემოიღოს კონკურენციის შესახებ რეალური კანონმდებლობა და რეგულირების მექანიზმები, უზრუნველყოს სტანდარტიზაციისა და სერტიფიცირების მექანიზმების დანერგვა.

- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და მთავრობამ განახორციელოს იმპორტისა და შიდა სავალუტო ბაზრის სისტემური ანალიზი;

- მონეტარული პოლიტიკის ძირითად ორიენტირად გახადოს საბანკო სისტემის სტაბილურობა და ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა;

- პრიორიტეტული გახადოს სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური აგრარული ფონდი, რომელიც მოემსახურება სასოფლო-სამეურნეო სექტორს;

- მაღალლიკვიდური და ინვესტორებისათვის მიმზიდველი აქციების საფონდო ბირჟაზე გამოტანით უზრუნველყოს მოთხოვნისა და გარიგებათა რაოდენობის გაზრდა;

- შემუშავდეს საბიუჯეტო პრიორიტეტების დადგენის ქმედითი მექანიზმი, რომელიც საზოგადოების პრობლემების იდენტიფიცირებაზე იქნება ორიენტირებული;

- ბიუჯეტი ყოველწლიურად გამოქვეყნდეს გამარტივებული ფორმატით და მოხდეს მისი საჯარო განხილვა;

- მოხდეს ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზება;

- შემუშავდეს საბიუჯეტო ფონდების ფორმირებისა და განკარგვის როგორც ქმედითი, ასევე გამჭვირვალე მექანიზმები;

ზემოაღნიშნული გარემოებების, მიმდინარე და შემდგომში მოსალოდნელი პროცესების გათვალისწინებით, საჭიროა შემუშავდეს ეკონომიკური მოვლენების განვითარების სხვადასხვა სახის მოსალოდნელი სცენარი და თითოეული მათგანისათვის გაკეთდეს სათანადო მოდელირებები და დაისახოს შესაბამისი ღონისძიებები და ნაბიჯები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ბერიძე, მ. ჭიპაშვილი, დ. მუჯირიშვილი, ლ. ტატუნაშვილი, 2008. მაკროეკონომიკა. სასწავლო პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, „უნივერსალი“.

2. ო. ბლანშარი, 2010. მაკროეკონომიკა - მეხუთე გამოცემა. თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა.

3. მ. ნაცვალაძე, თ. ათანელიშვილი, 2012. მაკროეკონომიკის პრინციპები, აქტიური სწავლება, თბილისი, „უნივერსალი“.

4. http://www.geostat.ge/?action=news_archive&lang=geo

5. <http://evaluation.org.ge/nedproject/fields/macroeconomics.html>

6. <https://bpn.ge/ekonomika/16224-levan-qistauri-makroekonomikuri-faqtrebisa-da-shokebis-zemoqmedeba-saqarthvelos-ekonomikasa-da-laris-kursze-mnishvnelovantsilad-amotsurulia.html?lang=ka-GE>

7. <http://nikolozostapenko.yolasite.com/>

8. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11-11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-1-0utfZz-8-00&a=d&c=ekonomik&cl=CL4.1&d=HASH01327124d82fcbd27ef5b151.18>

**MACROECONOMIC POLICY AS AN IMPORTANT GUIDELINE
FOR GOVERNING ECONOMIC BEHAVIOR
Summary**

Flexible macroeconomic policy is an important factor for maintaining macroeconomic stability and economic growth. Its significance lies in the fact that it deals with all spheres of public life, and macroeconomic indicators clearly show where and how they should be aimed at improving the welfare of human resources.

Macroeconomic policies are the government's economic measures adopted in this area, actions and goals of the system, objectives and interests of economic processes giving directions, economic behavior and controlling them to influence.

Macroeconomic policy includes two main levers of economic management: fiscal (budget and finance) and monetary (money-credit). Fiscal policy is the main tool of economic stability. Wrong fiscal policy can lead to serious negative consequences for the national economy.

Except fiscal and monetary tools which gain pure economic character, other factors also effect on the formation of the macroeconomic policy, - "non-economic factors" which are worthy taking into consideration in practice.

Three major problems of the macroeconomic policy are highlighted:

1. High and steady level of unemployment over a long period of time;
2. Inflation;
3. The growth rate of output.

The article examines the problems of macroeconomic policy in Georgia. Georgia has sharply reduced the number of jobs. Unemployment among young people is dominant, which further increases social risks and jeopardizes the country's future.

It is necessary to take measures to prevent climate change and policies for promoting economic growth. The Ministry of Finance will continue to provide budgetary expenditures of non-inflationary in future as well.

The government must control global economic events every day as the world economic, international financial market are rather insecure and without having perfect information, it will be impossible to study, analyse and make conclusions of current processes and regulating of own strategies and tactics. Georgian economics must be fully based on the development of the local industry and stimulation of savings; and it also must protect the local market from poor quality production and dumping prices.

*მურად მიქელაძე
ილიას ჩილოღლი*

**ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები
გლობალიზაციის პირობებში**

ანოტაცია. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია დღეს არსებული აქტუალური საკითხები გლობალიზაციის პირობებში არსებული ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე. გლობალიზაცია საერთაშორისო ეკონომიკაში წარმოადგენს პოზიტიურ მოვლენას, თუმცა ის შეიძლება გამოიყენებულ იქნეს ნეგატიურადაც, მაგალითად ოფშორული ზონების არსებობა, რომელსაც ხშირად ქვეყნისათვის არასწორი მიზნებისათვის იყენებენ. ასევე გლობალიზაციის შედეგად გაიზარდა ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, რამაც საფუძველი დაუდო ეკონომიკას, როგორც პოლიტიკური ბერკეტის გამოყენებას. დღევანდელი ტენდენცია გვიჩვენებს, რომ ქვეყანა, რომელიც აგრესიულ პოლიტიკას გაატარებს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, პასუხს აგებს ეკონომიკურად.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური განვითარება, გლობალიზაცია, საერთაშორისო ეკონომიკა, ოფშორული ზონები

შესავალი

მსოფლიოში განვითარებული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გამოწვევებიდან გამომდინარე, დღეს უფრო და უფრო აქტუალური ხდება გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესწავლა. ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას გლობალიზაციის პროცესში წარმოადგენს ეკონომიკური გლობალიზაცია. როდესაც ვსაუბრობთ მსოფლიო ეკონომიკურ საკითხებზე, ასევე ყურადღება უნდა გავამახვილოთ მსოფლიო პოლიტიკურ საკითხებზეც, ვინაიდან პოლიტიკა და ეკონომიკა წარმოადგენს როგორც ურთიერთგანმსაზღვრელ ფაქტორებს, აგრეთვე ურთიერთშემავსებელ მოვლენებს. ყველა მაკროეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილება მიიღება ქვეყნების მთავრობების მიერ, რომელიც პირდაპირ კავშირშია პოლიტიკურ ნებასთან. „მთავრობის

პოპულარობის გაზრდა ან შემცირება დამოკიდებულია მათ ეკონომიკურ მიღწევებზე³⁷. გლობალიზაციის შედეგია ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, რაც, ერთი მხრივ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი ქვეყნის მიმართ მეორე ქვეყნის ან გარკვეული ქვეყნების ჯგუფის მიერ პოლიტიკური ზეწოლისათვის. მაგალითად, ცნობილი დასავლეთის ეკონომიკური სანქციები რუსეთის მიმართ ან აშშ-ის სანქციები ირანის მიმართ. ასევე გლობალიზაციის შედეგია კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა, რომელიც კარგი საშუალებაა ქვეყნების განვითარებისათვის, ინოვაციური ცოდნის მისაღებად, კაპიტალის დივერსიფიკაციისათვის, წარმოების სხვა ქვეყანაში გადატანის შედეგად დაბალი დანახარჯებით პროდუქციის წარმოებისათვის (ძირითადად იაფი მუშახელისა და გამართული ინფრასტრუქტურის შედეგად) და ა.შ. თუმცა არის, მაგალითად, ისეთი პრობლემა, როგორცაა ე.წ. ოფშორული ზონები, რომელიც ხშირად გამოიყენება გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით, რაც ხელს უშლის ეკონომიკურ განვითარებას.

ოფშორული ზონების გავლენა თანამედროვე ეკონომიკაში

„ტერმინი „ოფშორი“ პირველად XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს აშშ-ში გამოიყენეს. ეს, უპირველესად, აიხსნება ადამიანების მიერ გადასახადების თავიდან აცილების სურვილით, აგრეთვე, საერთაშორისო ვაჭრობის აქტივიზაციისა და ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მიზიდვის მცდელობით, რომელიც სხვადასხვა სახის შეღავათების დაწესებას ეფუძნებოდა“³⁸.

ე.წ. „პანამის დოკუმენტი“-ს საქმე, რომელიც ჟურნალისტიკის ისტორიაში ერთ-ერთი მასშტაბური საიდუმლო დოკუმენტების გასაჯაროების შემთხვევაა, ნათლად წარმოაჩინეს ოფშორული ზონების ნეგატიურ მხარეს. საქმე ეხება იურდიულ ფირმა მოსაკ ფონსეკას (Mossack Fonseca) 11 მილიონზე მეტ საბუთს, სადაც წარმოდგენილია მსოფლიოს ცნობილი პოლიტიკოსების და გავლენიანი ადამიანების გადასახადებისაგან თავის არიდების შემთხვევები³⁹. თვალსაჩინოებისათვის გრაფიკ 1-ზე წარმოდგენილია იმ კომპანიების რაოდენობა, რომლებიც აღმოჩნდნენ პანამის დოკუმენტში. გრაფიკზე წარმოდგენილია დაახლოებით 200 ათასზე მეტი კომპანია, რომლებიც თავს აფარებენ ე.წ. „საგადასახადო სამოთხეს“. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია მსოფლიოს 143 პოლიტიკოსის შესახებ, რომლებიც ცდილობენ ოფშორული საგადასახადო რეჟიმის გამოყენებას. მაგალითად, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, პაკისტანის პრემიერმინისტრი, უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო და სხვა მრავალი პოლიტიკური ლიდერი⁴⁰. გლობალიზაციამ ე.წ. საზღვრების გახსნილობით მოგვცა სწორედ ოფშორული ზონები, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში ხელს უშლის მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეკ) რეალური დონის განსაზღვრას. ანუ ის პოლიტიკოსები თუ ბიზნესმენები, რომლებიც გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით, ოფშორულ ზონებს აფარებენ თავს, ბუნებრივია, მათი რეალური შემოსავლები არ აღირიცხება იმ ქვეყნების მეკ-ში, რომლის რეზიდენტებიც არიან. „თუ გლობალური ეკონომიკის რაიმე ნაწილი გაურბის სახელმწიფო კონტროლს, მაშინ ეს არის ოფშორული ფინანსები“⁴¹. ავი იონაჰის სიტყვებიც ნათლად წარმოაჩინეს აღნიშნულ პრობლემას. გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით განხორციელებული ეკონომიკური ტრანზაქციები დიდი ალბათობით გადადის კორუფციაში, კორუფცია კი, თავის მხრივ, ხელს უშლის ეკონომიკურ განვითარებას. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ოფშორული ზონების უარყოფითი მხარეებისა, ასევე არსებობს დადებითი მხარეებიც. „საგადასახადო სამოთხეები“ გლობალურ ეკონომიკაში ქმნის ე.წ. „საგადასახადო კონკურენციას“ (Tax competition). პეტტინგერის აზრით, საგადასახადო კონკურენცია ბოლო წლებში მნიშვნელოვანი გახდა, რადგან მულტინაციონალური კომპანიებს მარტივად შეუძლიათ იპოვონ ისეთი ადგილები, სადაც დაბალი გადასახადებია. ეს კი, თავის მხრივ, ქვეყნებს აძლევს მოტივაციას, შეამცირონ გადასახადების განაკვეთები, რადგან ეს ხელს შეუწყობს უცხოური კაპიტალის შემოდინებას, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას და დამატებით საგადასახადო შემოსავლებს⁴². აღნიშნული პროცესი პოზიტიურ გავლენას ახდენს ეროვნულ ეკონომიკაზე, რადგან რაც უფრო დაბალია გადასახადები, მით უფრო მცირეა მთავრობის ზომა ეკონომიკაში და შესაბამისად ქვეყანაში დაგროვებულ სიმდიდრეს საზოგადოება უფრო ეფექტურად განკარგავს.

³⁷ Hans F. Sennholz: „Economics and Politics“, *safehaven*, <http://www.safehaven.com/article/3722/economics-and-politics>

³⁸ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის განმარტება.


³⁹ The International Consortium of Investigative Journalists (ICIJ).

⁴⁰ L. Harding: „What are the Panama Papers? A guide to history's biggest data leak“, *The Guardian*, <https://www.theguardian.com/news/2016/apr/03/what-you-need-to-know-about-the-panama-papers>

⁴¹ Avi Yonah: Reuven S. 2000. „Globalization, Tax Competition and the Fiscal Crisis of the Welfare State.“ *Harvard Law Review* 113:1575-1676

⁴² T. Pettinger: „Tax competition“, *ECONOMICS HELP*, <http://www.economicshelp.org/blog/glossary/tax-competition/>

გრაფიკი 1. 10 ყველაზე პოპულარული „საგადასახადო სამოთხე“ პანამის დოკუმენტში




წყარო: ICIJ

საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, იმყოფება გარდამავალ პერიოდში და, ბუნებრივია, ამ პროცესში უამრავი გამოწვევა არსებობს. ერთ-ერთი გამოწვევა არის სწორედ ოფშორინგთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც ბევრ კითხვას ბადებს საზოგადოებაში. აღსანიშნავია საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) ოფშორული ქვეყნებიდან, რომლის მოცულობაც საკმაოდ მაღალია.

გრაფიკ 2-ზე წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, აღნიშნული ტიპის პუი 2005 წლიდან 2016 წლამდე საშუალოდ შეადგენს მთლიანი პუის 10%-ს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პუი საქართველოს ეკონომიკისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამას მოწმობს თუნდაც, 2007 წლის მონაცემები, როდესაც პუი 2 მლრდ დოლარზე მეტი იყო და ეკონომიკურმა ზრდამ ორნიშნა დონეს მიაღწია. ასევე, საყურადღებოა 2015 წელი, როდესაც იგი 11%-ით შემცირდა 2014 წელთან შედარებით და ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი დაეცა (ბუნებრივია, ლარის გაუფასურებაში სხვა ფაქტორებიც მოქმედებდა).

გრაფიკი 2. ოფშორული ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) საქართველოში და მისი წილი მთლიან პუი-ში (მლნ დოლარი, %)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში შემოსული პუი-ს მოცულობა ოფშორული ქვეყნებიდან არის საკმაოდ დიდი და ვინ დგას ამ ინვესტიციების უკან უცნობია. 2005 წლიდან 2016 წლამდე ოფშორული ქვეყნებიდან განხორციელებული წმინდა პუი (შემოსულს მინუს უკან გატანილი) შეადგენს 1.4 მლრდ დოლარს. საქართველოს ამ ეტაპზე არ აქვს არანაირი ბერკეტი, შეზღუდოს ოფშორულ ზონებში განხორ-

ცივლებული გარიგებები სტრატეგიულ ობიექტებზე, რომელიც, შესაძლოა, მომავალში გამოყენებულ იქნეს ბოლიტიკური მიზნებისთვის, რომელიც პირდაპირ აისახება საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) კვლევის მიხედვით, „ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიების გავლით რუსეთის მოქალაქეები მნიშვნელოვან კაპიტალს ფლობენ საქართველოში და აკონტროლებენ ქვეყნის რამდენიმე სტრატეგიულ ობიექტს“⁴³. მაგალითად შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“, „ხრამქესი 1“- და „ხრამქესი 2“. ასევე ცნობილია „პეტროკას ენერჯი ლიმიტედი“-ს ფაქტი, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა, შეიძინა რუსულმა კომპანია „როსნეფტ“-მა⁴⁴. როსნეფტის 50%-იანი წილის (საკონტროლო პაკეტის) მფლობელი „როსნეფტგაზი“-ია, რომელის 100%-იანი მესაკუთრე რუსეთის სახელმწიფოა⁴⁵. ცნობილია რუსეთის ე.წ. „ენერგოპოლიტიკის შანტაჟი“, რომელსაც იყენებს პოლიტიკურ ბერკეტად საერთაშორისო ურთიერთობებში კონკრეტული რეგიონებისა თუ ქვეყნების მიმართ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული გარიგება საქართველოსათვის შეიძლება საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს რუსეთის მხრიდან, მგრამ პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ გლობალიზაციის მემკვიდრე ოფშორულ ზონაში მოხდა ეს გარიგება და საქართველოს ხელისუფლებას არანაირი ბერკეტი არ აღმოაჩნდა ამის აღსაკვეთად. საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ „ჩვენ არანაირი ბერკეტი არ გავგაჩნია, რომ "როსნეფტთან" დაკავშირებული ტრანზაქციები ჩავშალოთ“⁴⁶.

ეკონომიკა, როგორც პოლიტიკური ბერკეტი

„ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ უამრავი ისტორიული მოვლენა - ეს იქნება ომები, ზავები, შეთქმულებები, კოალიციების წარმოშობა თუ სხვა და მათი კარგად შესწავლის შემდეგ დაინახავთ, რომ ნებისმიერი მათგანის უკან იყო ეკონომიკური დაინტერესება ან, პირიქით, გარკვეული ეკონომიკური მოვლენები პოლიტიკური ქმედებების გამოსმაურება იყო ან კონკრეტული პოლიტიკური მიზნის მიღწევას ემსახურებოდა“⁴⁷. იშვიათია დღეს მსოფლიოში მოიძებნოს ისეთი ქვეყანა, რომელიც არ არის ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში. პრაქტიკულად შეუძლებელია ერთმა ცალკე აღებულმა ქვეყანამ აწარმოოს ყველაფერი მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. გრაფიკ 3-ზე წარმოდგენილი მონაცემებიც ადასტურებს მსოფლიოს ურთიერთდამოკიდებულებას. 2005 წლიდან 2016 წლამდე მსოფლიო საშუალო ექსპორტი შეადგენს \$15,5 ტრილიონს, რომელიც საშუალოდ არის მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 23%. ხოლო მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2015 წელს მსოფლიო პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა \$2,1 ტრილიონი.

⁴³ IDFI: “of Soruli kompaniebi saqarTveloSi - riskebi da rekomendaciebi“, 2016, gv. 5.


⁴⁴ РОСНЕФТЬ, Пресс-релизы: “«Роснефть» и Petrocas создают совместное предприятие в области логистики и розничных продаж”, *Rosneft*, 2014, <https://www.rosneft.ru/press/releases/item/173899/>

⁴⁵ РОСНЕФТЬ: “Структура акционерного капитала”, *Rosneft*, 2017, https://www.rosneft.ru/Investors/structure/share_capital/

⁴⁶ *Business Press News (BPN)*, 2014, <https://bpn.ge/biznesi/8558-kakha-kaladze-chven-aranairi-berketi-ar-gagvachnia-rom-grosneftthanq-dakavshirebuli-tranazaciebi-chavshaloth.html?lang=ka-GE>

⁴⁷ ჟვანია ნ. (2006). საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი (CSS), გვ.4.

გრაფიკი 3. მსოფლიო ექსპორტი და მისი შეფარდება მსოფლიო მშპ-თან (\$ ტრილიონი, %)



წყარო: *International Trade Centre (ITC), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)*

ასევე უნდა აღინიშნოს ტრანსკორპორაციული კომპანიების (ტნკ) როლი საერთაშორისო ურთიერთობებში. ტნკ-ს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ძირითადად ნაკლებად ინდუსტრიულ ქვეყნებში, რაც გამოიხატება ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი მაღალი თანამდებობებისა თუ პოლიტიკური პარტიების მოსყიდვაში⁴⁸. ცხადია, როდესაც თამაშის წესები სამართლებრივ გზებს სცდება და გადადის მოსყიდვა-ლობიზმში, მაშინ ეროვნული ეკონომიკის განვითარება კითხვითი ნიშნის ქვეშ არის. უფრო მეტიც, შეიძლება მსგავსი გარიგებები საფრთხეს უქმნიდეს არა მარტო ეკონომიკის განვითარებას, არამედ ზოგადად ეროვნულ უსაფრთხოებასაც. ტნკ პირდაპირ და ირიბად მონაწილეობენ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში, და შეიძლება ითქვას, რომ ძირითად ძალას წარმოადგენენ⁴⁹. მიუხედავად იმისა, რომ მულტინაციონალური კორპორაციები გლობალურ ბაზარზე არიან წარმოდგენილები, მაინც ნებისმიერი კომპანია თავის ვიწროკორპორაციული ხედვებიდან გამოდის, რაც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს იმ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასთან რომელშიც ის არის წარმოდგენილი. ამასთან, ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ ქვეყნების სწრაფი განვითარების, მათი ეკონომიკების მოდერნიზაციის გენერატორს.

ყველა ქვეყანას აქვს თავისი ეროვნული პოლიტიკა, მიუხედავად იმისა, აღნიშნული პოლიტიკა სწორია თუ არასწორი საერთაშორისო საზოგადოებისათვის. ხშირად გვეხმის „ეკონომიკური სანქციები“, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობა იყენებს იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც პოლიტიკურ დანაშაულს ჩადიან საერთაშორისო ურთიერთობებში. ამისი ნათელი მაგალითია რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია (რომელიც საერთაშორისო საზოგადოებამ არ აღიარა) და აღმოსავლეთ უკრაინის ქალაქებში (დონეცკისა და ლუგანსკის ოლქები) საომარი მოქმედებები. ამ ყველაფერს დასავლეთის მხრიდან ეკონომიკური სანქციები მოჰყვა რუსეთის მიმართ. გრაფიკ 4-ზე წარმოდგენილია რუსეთის ფედერაციის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები სანქციების გათვალისწინებით:

✓ *რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)* – 2013 წლის ბოლოს რუსეთის ხელისუფლება 3%-იან ეკონომიკურ ზრდას პროგნოზირებდა 2014 წლისათვის. თუმცა აღნიშნული პროგნოზი ჩამოვიდა 0,7%-მდე. რეალურად რუსეთის ეკონომიკამ დაკარგა დაახლოებით 50 ლრდ აშშ დოლარი. განსაკუთრებით მძიმე იყო რუსეთისათვის 2015 წელი, როდესაც მშპ-ის ზრდა გადავიდა მინუსში და შეადგინა -2,8%. ასეთი ეკონომიკური ვარდნა რუსეთს 2008 წლის ფინანსური კრიზისის ვარდა არ ჰქონია მიმდინარე საუკუნეში.

✓ *ინფლაცია* – ინფლაცია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პარამეტრი, რომელიც მყისიერად აისახება საზოგადოებაზე, რადგან უძვირდებათ პროდუქციის მოხმარება. 2014 წელს საშუალო წლიური ინფლაცია გაიზარდა 2%-ით და შეადგინა 7,8%. ინფლაციის შესაჩერებლად რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა გაზარდა საპროცენტო განაკვეთი 8%-მდე. საპროცენტო გა-


⁴⁸ Jed Greer and Kavaljit Singh: “A Brief History of Transnational Corporations“, *globalpolicy*, 2000, <https://www.globalpolicy.org/empire/47068-a-brief-history-of-transnational-corporations.html>

⁴⁹ მათა ბლიაძე: „ტრანსნაციონალური კომპანიები და გლობალიზაცია“, *mastsavlebeli* (ინტერნეტგაზეთი), 2015, <http://mastsavlebeli.ge/?p=1331>

ნაკვეთის ზრდა აძვირებს კაპიტალს, რომელიც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ეკონომიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთი 14%-მდეც გაიზარდა, 2015 წელს ინფლაციამ მი-
აღწია 15,5%-ს.

✓ *ოფიციალური გაცვლითი კურსი RUB/USD* - სტაბილური ვალუტა არის ქვეყნის საინვესტი-
ციო გარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. სანქციებისა და ნავთობპროდუქტებზე ფასების
დაცემის შედეგად რუსული რუბლის საშუალო წლიური გაცვლითი კურსი 100%-ზე მეტად
გაუფასურდა 2016 წელს 2013 წელთან შედარებით.

✓ *წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები* - „ევროკავშირის ახალი სანქციები შეეხო 22
რუსულ კომპანიას და 24 რუს სახელმწიფო მოხელეს. ახალ სანქციებში მოჰყვნენ ისეთი დიდი კომ-
პანიები, როგორცაა: „როსნეფტი“, „გაზპრომ ნეფტი“, „ტრანსნეფტი“, „კალაშნიკოვი“ და სხვა. კომ-
პანიებს აეკრძალათ დასავლეთის ბაზრებიდან კაპიტალის მოზიდვა და შეეზღუდათ ტექნოლოგიებ-
ზე წვდომა⁵⁰. ერთ-ერთი ყველაზე დიდი დარტყმა რუსეთის ეკონომიკისათვის სანქციების შედეგად,
იყო სწორედ უცხოურ კაპიტალთან წვდომის შეზღუდვა და, საერთო ჯამში, 2015 წელს წმინდა
პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა \$6,5 მლრდ, რაც 550%-ით ნაკლებია 2013
წელთან შედარებით. ასეთი დიდი შემცირება გამოიწვია კაპიტალის გადინებამ.



შეიძლება ასევე გავიხსენოთ ირანის წინააღმდეგ 2005 წელს დაწყებული სანქციები და-
სავლეთის მხრიდან ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. აღნიშნული სანქციები შეეხო არა
მარტო ნავთობპროდუქტებით ვაჭრობას, არამედ ფინანსურ სექტორსაც. აშშ-ის ტერიტორიაზე
ყველა ირანული სახელმწიფო აქტივი, მათ შორის ირანის ცენტრალური ბანკის აქტივები დაიბლო-
კა.

რუსეთის მიერ გატარებული პოლიტიკა უკრაინის მიმართ დასაგმობია და ასევე ირანის
ბირთვული პროგრამაც საფრთხის შემცველია საერთაშორისო საზოგადოებისათვის, ამიტომ მის
მიმართ გატარებული სანქციები იყო ის აუცილებელი ბერკეტი, რომელიც შეაჩერებდა რუსეთის
აგრესიას და ირანის ატომურ მილიტარიზმს. აქედან გამომდინარე, **ეკონომიკის, როგორც პოლი-
ტიკური ბერკეტის გამოყენებას საერთაშორისო არენაზე** აქვს თავისი დადებითი შედეგიც. და-
სავლეთმა რუსეთი დასაჯა არა ცეცხლის გახსნით, არამედ ეკონომიკურად. ამიტომ, ნებისმიერი
ქვეყნის ეკონომიკა დგას საფრთხის წინაშე აგრესიული საერთაშორისო პილიტიკის გატარების
შემთხვევაში.

⁵⁰ ბესო ნამჩვაძე: „დასავლეთის სანქციების გავლენა რუსეთზე“, Forbes Georgia, 2014, <http://forbes.ge/news/423/დასავლეთის-სანქციების-გავლენა-რუსეთზე>

დასკვნა

გლობალიზაცია წარმოადგენს პოზიტიურ მოვლენას გლობალურ ეკონომიკურ ჭრილში, რადგან ხდება ქვეყნების ურთიერთინტეგრაცია სავაჭრო და საინვესტიციო კუთხით, რომელიც საბოლოოდ გადადის სოციალურ და პოლიტიკურ ინტეგრაციაში. რაც უფრო ღრმად ინტეგრაციის ხარისხი ქვეყნებს შორის, მით უფრო იზრდება ურთიერთდამოკიდებულება და საბოლოოდ იგი აისახება მშვიდობიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. აღნიშნულმა ნაშრომმა გვჩვენა, რომ ოფშორული ზონები ერთი მხრივ წარმოადგენს პოზიტიურ მოვლენას საერთაშორისო ეკონომიკაში, თუმცა ხშირად იგი გამოიყენება გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით და ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ეკონომიკურ გარიგებებში, რაც უარყოფითად შეიძლება აისახოს ქვეყანაზე. აგრეთვე ირანისა და რუსეთის მაგალითები წარმოაჩენს დღევანდელ ტენდენციას საერთაშორისო ურთიერთობებში, თუ როგორ გამოიყენება ეკონომიკა პოლიტიკურ ბერკეტად. რუსეთის შემთხვევაში ამას ჰქონდა დადებითი ეფექტი, თუმცა იმავე რუსეთის მიერ ე.წ. „ენერგოშანტაჟის პოლიტიკას“ ევროპის მიმართ აქვს უარყოფითი შედეგი.

Murad Mikeladze
Ilyas Cilglu

THE CURRENT ISSUES OF ECONOMIC DEVELOPMENT UNDER GLOBALIZATION Summary

In the given work we elaborate on current global issues based on existing facts and relevant data. Globalization is a positive phenomenon in international economics in general, however, it can be used in a negative ways as well, such as offshore zones that are frequently used for inappropriate goals for a particular country/society. In the same manner, interconnectedness between countries has grown as a result of globalization when economic factors may be used as a tool of political influence. As the current tendencies show, a country which adopts inappropriate policies on an international scale, will eventually pay the price in economic terms.

ზურაბ ნოზაძე

ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის გავლენა ბარემოზე

ანოტაცია. სტატიაში მოცემულია ბუნებრივ გარემოზე ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის პირობებში უარყოფითი გავლენის პირობები და ზემოქმედება. დასახული არის კონკრეტული ღონისძიებები და რეკომენდაციები არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ინოვაციური მიმართულებების ფართოდ გამოყენების საშუალებით ბუნებათსარგებლობაში.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური კრიზისი, ფინანსური კრიზისი, გარემო, ინოვაციები

თანამედროვე კრიზისული მოვლენები განსაკუთრებულად შესამჩნევ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პროცესებზე. ეკონომიკური კრიზისის გავლენა ბუნებრივ გარემოზე ორმაგ ხასიათს ატარებს, პირველ რიგში ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა უარესდება, ხოლო მეორე მხრივ, ხდება შედარებითი გაუმჯობესება, რადგან იქმნება წინაპირობა გარემო ბუნებაზე დატვირთვის შესამცირებლად. ეს ყველაფერი დამოკიდებულია კრიზისის ხანგრძლივობასა და მასშტაბებზე.

წარმოების მოცულობის ვარდნას, სატრანსპორტო გადაზიდვების შემცირებას მიყვავართ გამონაბოლქვის და მანქანების ნივთიერებებით დაბინძურების შემცირებისაკენ, ხდება აგრეთვე ენერგომატარებლებზე მოთხოვნილების შემცირება რაც, თავის მხრივ გამოიხატება ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გახის გამოყოფის შემცირებასა და სასათბურე ეფექტების შესუსტებაში.

მაგრამ ასეთი სახის დატვირთვის შემცირებას გარემო ბუნებაზე დროებითი ხასიათი აქვს, როგორც გამოცდილება გვჩვენებს, კრიზისის გავლის შემდეგაც უარყოფითი გავლენა გარემოზე არათუ უბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას, არამედ, როგორც წესი, ძლიერდება.

ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ საწარმოების სწრაფვა შეამციროს დანახარჯები წარმოების განვითარებაზე კრიზისის პირობებში, ეკონომია გასწიოს ყველაფერზე, აისახება ობიექტის სამრეწველო და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკმარისად დიდი მოცულობით შემცირებაზე.

ამასთან ერთად, კრიზისის პერიოდში მართვის ორგანოები, განსაკუთრებით ადგილებზე, არც ისე ხშირად არბილებენ ეკოლოგიურ მოთხოვნილებებს ცალკეული მწარმოებლის მიმართ, რითაც, ერთიანობაში სუსტდება კონტროლი ბუნებადამცავი ორგანოების მხრივ, რის შედეგადაც ეკოლოგიური სიტუაცია, როგორც წესი, რეგიონში შესამჩნევად უარესდება.

წარმოების კლებას თან ახლავს არსებული ფინანსური რესურსების შემცირება პროდუქციის მწარმოებლებისათვის, რაც დამატებითი წყაროების გამოძებნის აუცილებლობა მოჰყვება, შიდა

რესურსებიდან. ყველაზე მეტად ეს გამოიხატება, ბუნებადამცავი ღონისძიების შემცირებაში, რადგანაც ის პირდაპირ არ მოქმედებს საწარმოო პროცესში და საწარმო პირველ რიგში ცდილობს, შეამციროს ეკოლოგიური დანახარჯები, რაც იწვევს ბუნებადამცავი დანადგარების გამორთვას, ელექტროენერჯის ეკონომიას, ძვირადღირებული მოწყობილობების გამოთიშვას. ეს ყველაფერი უარყოფითად მოქმედებს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და წარმოების მასშტაბებზე. კრიზისის პირობებში დანახარჯების შემცირება ბუნებადამცავი საქმიანობისთვის ხორციელდება არა მარტო საწარმოო დონეზე, არამედ ტერიტორიული და ადგილობრივი მმართველობის ფარგლებში, ეს იწვევს ბუნებადამცავი პროგრამების ნაწილობრივ ან მთლიან უგულებელყოფას, ამასთან ერთად, კრიზისის ხელს უწყობს ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის განსაზღვრულ შესაძლებლობებს, კერძოდ იზრდება სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში, იქმნება შესაძლებლობა რადიკალური სტრუქტურულ-ტექნოლოგიური გარდაქმნებისათვის, სანედლეულო გადასვლა ინოვაციურ ეკოლოგიურად მდგრად ეკონომიკაზე.

ფინანსური შესაძლებლობების შემცირებამ შეიძლება მწარმოებელი აუცილებლობის წინაშე დააყენოს, გადახედოს ენერგეტიკულ სტრატეგიას, უარი თქვას ძვირადღირებული და ეკოლოგიურად მავნე პროექტების დანერგვაზე, აგრეთვე სხვა მსხვილი ბუნებრივი რესურსების შემცველი პროექტების განხორციელებაზე.

ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა მოითხოვს მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვას და დროში მის განხორციელებას, რის შედეგადაც, მაღალტექნოლოგიური დარგების ფორმირებისა და განვითარების ნაცვლად, გარემოს დაბინძურების მასშტაბების შემცირების და ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენების დროს, ჩვენ გვქნება უაუფაქტი. ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა მკვეთრად და მტკივნეულად აისახება ეკოლოგიურ სიტუაციაზე. თუ გამოირიცხა წარმოების მოდერნიზაციის შესაძლებლობა, რის შედეგადაც ახალი ტექნოლოგიის ხარჯზე მრეწველობა შეიძლება დადგეს ახალ „ეკოლოგიურ“ რელსებზე, არ შეიძლება უყურადღებოდ დაეტოვოს ის ფაქტი, რომ ეკონომიკური კრიზისის დროს მწარმოებლები დამატებითი ფინანსური წყაროების ძიებისას მიდიან არა სამეცნიერო-ტექნიკური გადაწყვეტის გზით, არამედ ეკონომიას ახდენენ, პირველ რიგში, გარემოს დაცვის ღონისძიებების დანახარჯების შემცირებით. მნიშვნელოვანია აგრეთვე გავითვალისწინოთ, რომ ეკოლოგიური პრობლემები, როგორც წესი, მოითხოვს ხანგრძლივ გადაწყვეტას, რაზედაც, ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ყურადღება შემცირებულია, ამავე დროს, მოითხოვს ასევე ხანგრძლივი პერიოდის ბუნებადამცავ ინვესტიციებს, რომელთა გატარებას ყოველთვის არ მოაქვს სასურველი შედეგი და გამოსყიდვის ვადა იზრდება.

შეიძლება საერთოდ ვერ მივაღწიოთ სასურველ შედეგს და ეკონომიკური ზარალი მივიღოთ ბუნებრივი გარემოს დაბინძურებისაგან.

ფინანსირების ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს ე.წ. „გრძელი“ ფულის არქონა (ეს არის ბანკების მიერ გამოყოფილი საშუალებები ერთ წელზე მეტი პერიოდისათვის) ბუნებადამცავი სფეროს გაუმჯობესებისათვის. ამ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს ისეთი ახალი მექანიზმის გამოყენება დაფინანსებისათვის, როგორცაა კოლექტიური ინვესტიციები და ობლიგაციების სესხები. ამ დაფინანსების უპირატესობას წარმოადგენს მისი სიახვე კომერციულ კრედიტებთან შედარებით, აგრეთვე მისი მიმზიდველობა ინვესტიციებისთვის ეს არის ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე მონაწილეების ეფექტი, საერთაშორისო სისტემების ოპერირების აღრიცხვიანობა, პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, წარმოების ფუნქციონირების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ასეთი ეკოლოგიური სცენარის არსებობას უფრო დიდი შანსი აქვს მისი რეალიზაციისათვის, ეფექტური ეკონომიკური მექანიზმის ეკოლოგიური რეგულირების ფორმირებისათვის, ეკონომიკის მოდერნიზაციის თანამედროვე სიტუაციის გამოყენების მიზნით.

ამას შეიძლება დავამატოთ, რომ თანამედროვე ბაზრის პირობებში ბუნებადამცავი და რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების დონე განსაზღვრავს კონკურენტუნარიანი ეკონომიკის დონეს, ამავე დროს, პროდუქციის ეკოლოგიური ხარისხის და უსაფრთხოების მოთხოვნების ამადლება, ტექნოლოგიების ეკოლოგიური პარამეტრების აღრიცხვა პროდუქციის წარმოებაში ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საერთაშორისო კონკურენციის გაძლიერებისაკენ.

ინოვაციური ეკოლოგიური განვითარება ხელს უწყობს, თანმიმდევრულად შევამციროთ ნეგატიური ანთროპოგენური ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე და ეკოლოგიური სარგებლობა მოვუტანოთ ბიზნესს (რომელიც საჭიროებს შესაბამისი ეკონომიკური თამაშის წესების დამყარებას).

თავის მხრივ, კრიზისიდან გამოყვანის გზების ძიება გვაძლევს შანსს და შესაძლებლობას, მოვახდინოთ ეკონომიკის სტრუქტურულ-ტექნოლოგიური რეკონსტრუქცია რესურსდამზოგველი და ეკოლოგიურად უსაფრთხო წარმოების და მდგრადი ინოვაციური ეკოლოგიური განვითარების ბაზის ფორმირებისათვის. თანამედროვე კრიზისმა გვიჩვენა, რომ სახელმწიფო აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს ეკონომიკაში არა როგორც მესაკუთრის როლში, არამედ როგორც მარეგულირებელი და წარმმართველი ძალა ამ პროცესის დროს.

ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესების, მოსახლეობის ღირსეული ცხოვრების დონის, ჯანმრთელობის ხარისხის მაღალი სტანდარტების უზრუნველსაყოფად საჭიროდ მიგვაჩნია ხელისუფლების ორგანოების, ბიზნესისა და საზოგადოების შეთანხმებული მოქმედება ბუნებრივი გარემოს დაცვის სფეროში.

ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ითვლება წარმოების გადასვლა რესურსდამზოგველ ტექნოლოგიებსა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელ ტექნოლოგიაზე, ეკოლოგიური ეთიკის ფორმირებაზე, ეკოლოგიური ეფექტიანობის პრინციპების განმტკიცებაზე და ეკოლოგიურ სამართლიანობაზე. ამისათვის აუცილებელია ადეკვატური ინსტიტუციური გარემოს შექმნა, ეკონომიკის მოდერნიზაცია და სახელმწიფო ეკოლოგიური პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Бобылев С. Н. Захаров В.М. „Кризис: экономика и экология“ . Москва, 2009.
2. Бурматова О. П., Инновационные аспекты экологической безопасности развития региона в условиях финансово- экономического кризиса", Москва, 2010.
3. Бурматова О.П. Сумская Т. В. Экономический механизм регионального природопользования. Москва, 2012.
4. Василенко В. А. Инновации в ресурсном обеспечении природоохранных мероприятий. Москва, 2012.

Zurab Nozadze

THE IMPACT OF ECONOMIC AND FINANCIAL CRISIS ON ENVIRONMENT

Summary

The article deals with the causes of impact of financial and economic crisis on environment, special recommendations and measures are envisaged for the improvement of exiting situation using widely the innovation directions in nature managing.

*Владимир Егорович Поливанов
Андрей Анатольевич Олейник*

ТРАНСФОРМАЦИЯ ВАЛЮТНО-КУРСОВОЙ ПОЛИТИКИ УКРАИНЫ В УСЛОВИЯХ СОТРУДНИЧЕСТВА С МВФ

Аннотация. Статья посвящена вопросу трансформации валютно-курсового режима Украины в сотрудничестве с МВФ на основе либерализации курсообразования и переходу Украины к инфляционному таргетированию в 2014-2016 гг. Рассмотрено хронологию партнерства Украина-МВФ в валютной сфере, осуществлен анализ основных макроэкономических факторов и проблем Национального банка Украины (НБУ) при внедрении гибкости валютного режима, выделены проблемы управления инфляцией, сформированы предложения по улучшению валютно-курсового сотрудничества Украины и МВФ.

Ключевые слова: валютно-курсовой режим, МВФ, инфляционное таргетирование, плавающий валютный режим, фиксированный валютный режим.

Введение

В условиях цикличности глобализации, возникновения экономических кризисов актуализируется необходимость реформирования экономической модели роста развивающихся стран. Особое значение при этом играют МФО, предоставляющие финансовую помощь, руководствуясь принципами обеспечения финансовой стабильности мирового порядка.

За период 2014-2015 гг. Украина пережила массу шоков, наиболее острым из которых стал валютный кризис. В связи с невозможностью дальнейшего удержания курса национальной валюты, НБУ перешел на гибкое валютное курсообразование и инфляционное таргетирование. Важную роль в проведении этой политики сыграл МВФ, являясь активным сторонником жестких монетарных мер и либерализации валютно-курсового режима.

Однако, существенные изменения в общественно-экономической среде, внедрения экономической программы МВФ по реформированию институтов власти Украины слабо отразились на эффективности валютно-курсовой и денежно-кредитной политики. Заметным является усиление противоречий между декларируемыми мерами НБУ, МВФ и их практическое воплощение в валютной сфере. В частности, вопрос о возможности обеспечения стабильности валютного курса через таргет инфляции, использование плавающего валютного курса. Проблематика выбранной темы усиливается негативным влиянием последних решений в валютной политике на производство и благосостояние населения. В значительной степени произошло снижение доверия населения и бизнеса к монетарному регулятору и к способности национальной валюты – гривны, выполнять покупательские и сберегательные функции.

В связи с этим приобретают актуальность проблемы трансформации валютно-курсового режима Украины, анализа сотрудничества с МВФ валютной сфере. Особую важность представляет формирование рационального видения мер валютно-курсовой политики Украины и её отражение в программах сотрудничества с МВФ как с ключевым международным институтом по обеспечению страны финансовыми ресурсами и как с внешним якорем по внедрению институциональных реформ в финансово-валютной сфере.

* * *

Валютно-курсовой режим является одним из инструментов валютной политики центрального банка и элементом валютной системы страны, стратегическими целями которого являются стабильность национальной валюты, финансовых рынков, инфраструктуры, макроэкономическое и внешнее равновесие.

Важным элементом валютной безопасности является обеспечение низкого уровня и стабильности волатильности курса национальной валюты. На обеспечение стабильности национальной валюты должна быть сосредоточена работа НБУ в сфере денежно-кредитной политики. Закономерно, что прогнозируемая валютная политика является важной составляющей инвестиционной привлекательности страны. В свою очередь, отсутствие валютной политики центрального банка провоцирует возникновение неопределенности, стимулирует отток капитала, ослабляет национальную валюту. Поэтому целью валютно-курсовой политики должно быть обеспечение макроэкономической стабильности во имя роста экономики страны.

Одним из основных учреждений, осуществляющей надзор за валютно-курсовой политикой стран-членов является МВФ (Фонд). С утверждением Ямайской валютной системы валютные паритеты на основе доллара США были отменены и страны стали свободными в выборе валютно-курсового режима. С 70-80-х годов функционирование МВФ было в большей степени направлено на помощь в финансировании рыночных преобразований развивающихся стран. В начале 90-х годов ряды стран-членов МВФ пополнились странами с переходной экономикой, что требовало разработки и усиления существующих инструментов по содействию их перехода от административно-плановой к рыночной экономики. Работа МВФ по ликвидации последствий Азиатской финансовой кризис 1997-1998 гг., мирового валютно-финансового кризиса 2008-2009 гг. и долгового кризиса стран еврозоны с 2012 г. были в значительной степени раскритикованы по причине излишней монетарной жесткости.

Практические стабилизационные программы МВФ обычно включают в себя:

- сокращение государственных расходов, в том числе на социальные цели;
- отмена или уменьшение государственных субсидий на продовольствие, товары широкого потребления и услуги;
- увеличение налогов на личные доходы;
- сдерживание роста или замораживание заработной платы;
- повышение процентных ставок, ограничение кредитов, в том числе потребительского назначения;
- либерализацию внешнеэкономических связей;
- девальвацию национальной валюты.

Эти меры используются в различных комбинациях. Ключевой целью является достижение рыночного равновесия.

Хотя страны свободны в выборе валютно-курсового режима, МВФ особое внимание концентрирует именно на гибкости валютно-курсового режима, что обеспечивает избежание формирования платежных дисбалансов. Исследования показывают, что при прочих равных условиях МВФ остро реагирует на страны, которые объявляют свободное плавание валютного курса, однако внедряют более жесткую валютную политику, то есть, которым присущее явление «страха плаванья». В то время как страны «со страхом фиксации» не вызывают беспокойства у Фонда [Minne, 2013:26].

- create an inventory and open registers of communal property over the local communities, strengthen the responsibility of officials of local government for the use of public property.

In order to strengthen the human resourcing and operation of government authority and local authorities it is necessary to consider:

- development and adoption of a new Law of Ukraine "On service in local government," which determines the principles and bases of service in local government;

- establishment of conducting the transparent competitions for the selection of personnel for vacant positions in the local executive bodies and local authorities, to develop new qualifications for staff;

- adoption of the Law of Ukraine "On administrative procedures" that will regulate relations of local authorities, local governments and their officials and other entities that perform power management functions as for adoption of administrative regulations and their implementation at the legislative level;

- establishment of training programs for officials' skill improvement at local governments, local councils officials of local authorities with the involvement of public institutions, local government associations and others.

The implementation of the proposed measures will form self-sufficient local communities that will contribute to the development of economic potential. At the same time, the improvement of the standard of living in the regions of Ukraine will be the basis for the unity of our country.

References

1. The official website of the Association of Regional Development Agencies of Ukraine [Electronic resource]. – Access mode: <http://www.narda.org.ua>

2. On approval of provisions on regional development agency, the Cabinet of Ministers of Ukraine of 11.02.2016 № 258 [Electronic resource]. – Access mode: <http://www.kmu.gov.ua/control/uk/cardnpd?docid=248941325>

3. On a voluntary association of local communities: Law of Ukraine of 05.02.2015 № 157-III [Electronic resource]. – Access mode: <http://zakon0.rada.gov.ua/laws/show/157-19>

4. On amendments to some legislative acts of Ukraine concerning the decentralization of powers in the field of architectural and construction control and improvement of urban law: the Law of Ukraine of 09.04.2015 № 320-VIII [Electronic resource]. – Access mode: <http://zakon2.rada.gov.ua/laws/show/320-19>

5. On Amendments to the Law of Ukraine "On State Registration of Legal Entities and Individual Entrepreneurs" and other legislative acts of Ukraine to decentralize powers to the state registration of legal entities, individual entrepreneurs and community groups: the Law of Ukraine of 26.11. 2015 № 835-V [Electronic resource]. – Access mode: <http://zakon3.rada.gov.ua/laws/show/835-19>

6. On amending the Law of Ukraine "On State Registration of Rights to Real Estate and Their Encumbrances" and some other legislative acts of Ukraine on decentralization of powers of state registration of rights to immovable property and their burdens: The law of Ukraine of 26.11.2015 № 834-VIII [Electronic resource]. – Access mode: <http://zakon2.rada.gov.ua/laws/show/834-19/page>

7. On amendments to some legislative acts of Ukraine regarding the empowerment of local governments and optimization of administrative services: Law of Ukraine of 10.12.2015 № 888-VIII [Electronic resource]. – Access mode: <http://zakon2.rada.gov.ua/laws/show/888-19/page>

8. On the prior approval of the bill on amendments to the Constitution of Ukraine concerning the decentralization of power, ruling Supreme Council of Ukraine of 31.08.2015 № 656-VIII [Electronic resource]. – Access mode: <http://zakon4.rada.gov.ua/laws/show/656-19>

9. On approval of Methods of forming competent local communities: Cabinet of Ministers of Ukraine 08.04.2015 № 214 [Electronic resource]. – Access mode: <http://zakon.rada.gov.ua/laws/show/214-2015-%D0%BF>

10. The decentralization of power. Combining the community [Electronic resource]. – Access mode: <http://decentralization.gov.ua/region>

*Anna Alexandrovna Chechel
Svetlana Verytelnyk*

THE PRINCIPAL DIRECTIONS OF DECENTRALIZATION IN UKRAINE

Summary

Delivering the output towards decentralization is an important area of systemic change of Ukrainian society. It is necessary to take a number of measures for the regulation of regional and local development, capable of forming local communities, fiscal decentralization, and distribution of powers between the executive and local governments. Currently, Ukraine has formed a huge array of regulations on these issues.

In 2015 the practical implementation of the decentralization reform measures was started. Through the introduction of the practice the new norms of Budget and Tax Codes in Ukraine the significant results in the area of fiscal decentralization have been achieved since then. In particular: the transfer to local governments the additional budget authority and securing stable sources of revenue for their implementation, introduction of a new mechanism for budget management, the increase of expenditure autonomy of local budgets, the introduction of new subsidies from the state budget to local budgets, the increase of the investment resources of local budgets.

However, some problems remain unresolved, threatening the success of decentralization reforms. In particular, they are: not enough financial independence of communities, the reforms in the areas of health, education, culture are not completed; it is difficult to implement ownership community on municipal property.

In order to eliminate defined shortcomings in the article the measures to form self-sufficient local communities that will contribute to the development of economic potential have been proposed.

მალხაზ ჩიქობავა

გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ალტერნატიული ფული

ანოტაცია. ამ ნაშრომში ჩვენ ვსაუბრობთ ალტერნატიული ფულის შექმნაზე. დღეს სულ უფრო ხშირად გვეხმის ისეთი ახალი სიტყვები, როგორცაა „კრიპტოვალუტა“, „ციფრული ფული“, „ვირტუალური ვალუტა“, „ელექტრონული ფული“, „ბიტკოინები“, „ელექტრონული საფულეები“, „ბლოკჩეინები“, „ალტერნატიული ფული“, „ქსელური ფული“ და ა.შ. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მსგავსი ლექსიკონით სარგებლობდა ადამიანთა ძალიან ვიწრო წრე - მათემატიკოსები, პროგრამისტები, სავადახლო და საკომუნიკაციო სისტემის სპეციალისტები, გამშიფრელები ბანკებიდან და სპეცსამსახურებიდან. მიღებულია ახალ კრიპტოინსტრუმენტებს ეწოდოს „ვალუტა“, „ფული“. მაგრამ ეს აშკარად გადაჭარბებაა. ნებისმიერი ფულის ძირითადი ფუნქციაა „ღირებულების საზომის“ ფუნქციაა, ფულის დახმარებით განისაზღვრება ფასები საქონელზე, მომსახურებაზე, აქტივებზე, სამუშაო ძალაზე და ა.შ. თვით თანამედროვე ოფიციალური ვალუტები ცუდად ასრულებს ამ ფუნქციებს, რადგანაც მსოფლიოში ჩამოყალიბდა ქაღალდის ფულის სტანდარტი, ხოლო ვალუტების კურსი მკვეთრი რყევებით ხასიათდება. მით უფრო მერყეობით ხასიათდება კრიპტოვალუტების კურსიც. ზუსტად ასევე შეგვიძლია, რომ კრიპტოვალუტები ასრულებდეს ფულის ზუსტად ისეთ ფუნქციას, როგორცაა „გაცვლის საშუალებისა“ და „გადახდის საშუალების“ ფუნქციები. მრავალრიცხოვანი მაგალითი იმისა, თუ როგორ გამოიყენება კრიპტოვალუტები საქონლისა და მომსახურების საყიდლად – რეკლამების კატეგორიებიდანაა. კრიპტოვალუტების გამოყენებით ყველა ოპერაციის ღირებულება, ესაა სხვა ვალუტებზე გაცვლა. თუ გავითვალისწინებთ კრიპტოვალუტების კურსის მკვეთრ რყევებს, შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ ესაა მარტოოდენ სპეკულაციური ხასიათის ოპერაციები. მაშასადამე, კრიპტოვალუტები ფული არაა, არამედ აზარტული თამაშების ინსტრუმენტი ე.წ. რულეტის ან სათამაშო კარტის მსგავსი.

საკვანძო სიტყვები: გლობალური კრიზისი, ალტერნატიული ფული, კერძო ფული, ცენტრალური ბანკი, თავისუფალი ფული, კრიპტოვალუტა, ციფრული ფული, ვირტუალური ვალუტა, ელექტრონული ფული, ბიტკოინები, ბლოკჩეინები, იტაკას საათი, სამეურნეო-საბაზრო კოოპერატივი.

მიუხედავად იმისა, რომ ფულადი მასა, რომელიც ემიტირებულია ცენტრალური ბანკებისა (ნაღდი ფული) და კომერციული ბანკების მიერ (უნაღდო ანგარიშსწორება, დეპოზიტური ფული), სწრაფად იზრდება, მსოფლიო მაინც განიცდის უსერიოზულეს ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მონაცემებით,

მთელი მსოფლიოს ფულადი მასის ერთობლივი მოცულობა, რომელიც გამოხატულია 2 აგრეგატით (ნაღდი ფული+უნაღდო ფული ბანკების დეპოზიტებზე), 2010 წლისათვის შეადგენდა 50 ტრლნ დოლარზე მეტს. გასული წლის დასაწყისისათვის ფულადმა მასამ გადააჭარბა 71 ტრლნ დოლარს. ნაზრდმა შეადგინა 20 ტრლნ დოლარზე მეტი. თუმცა ბანკების „საბექლო მანქანის“ მუშაობას მსოფლიო ეკონომიკისათვის შვება არ მოუტანია (Катаионов В. Ю., 2016:338).

პირველი, ახალი ფული იმთავითვე მიედინება ფინანსურ ბაზრებზე სპეკულანტების მომსახურებისათვის, ხოლო ეკონომიკის რეალური სექტორი კვლავაც განიცდის „ფულის მწვავე შიმშილს“. მეორე, ძლიერდება ფულის (მისი მსყიდველობითუნარიანობისა და სავალუტო კურსების) არამდგრადობა; ფული კარგავს თავის საბაზისო ეკონომიკურ ფუნქციებს (ღირებულების საზომის, გაცვლის საშუალების და სხვ.). სხვა სიტყვებით, ფული კარგავს უნარს, იყოს ფული და იგი ხდება სპეკულაციისა და საზოგადოებრივი სიმდიდრის გადანაწილების ინსტრუმენტი „ფულის გამგებლების“ (ბანკირების, რომლებსაც მინიჭებული აქვთ უფლება, გამოუშვან ფული) ინტერესების სასარგებლოდ.

საზოგადოებისა და მეწარმეთა იმ ნაწილის რეაქცია, რომლებიც არ განეკუთვნებიან „ფულის გამგებლების“ წრეს, წარმოადგენს მოქმედებას, რომელიც მიმართულია ოფიციალურ ფულზე დამოკიდებულების შემცირებისკენ. ასეთ მოქმედებას, სხვათა შორის, განეკუთვნება ახალი სახის ფულის გამოშვების სხვადასხვა პროექტები. ლიტერატურაში ასეთ ფულს უწოდებენ სხვადასხვანაირად: ალტერნატიული, სხვა, დამატებითი, პარალელური. ყველა ეს სახელწოდება ხაზს უსვამს იმ მომენტს, რომ ეს არის ფული, რომელიც განსხვავდება ოფიციალური ფულისგან. შეიძლება ასევე შევხვდეთ ალტერნატიული ფულის შემდეგ სახელწოდებას: კერძო, ადგილობრივი, რეგიონული, კოოპერატიული, თავისუფალი, ბატონური, ვირტუალური. მსგავსი განსაზღვრება ყურადღებას ამახვილებს ალტერნატიული ფულის ამა თუ იმ მხარეზე.

ერთ-ერთი მთავარი ავტორიტეტი ალტერნატიული ფულის პრობლემებზე, თანამედროვე ბელგიელი ეკონომისტი ბერნარდ ლიეტერია, რომელიც თავის დროზე იყო ევროს პროექტის შემქმნაველი. ლიეტერის შეფასებით, დღეისათვის მსოფლიოში მინიმუმ 2500 ალტერნატიული ფულადი სისტემა არსებობს (Катаионов В. Ю., 2016:340).

ყველაზე ხშირად ავტორები, რომლებიც აღწერენ ალტერნატიული ფულის სამყაროს, მათ უწოდებენ „კერძო ფულს“. ალბათ, ასეთი სახელწოდების არჩევაზე ძლიერი გავლენა მოახდინა ცნობილი ავსტრიელი ეკონომისტის, ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის ნაშრომმა „კერძო ფული“, რომელმაც დღის სინათლე 1976 წელს იხილა. მასში ავტორმა სრულიად მართებულად გააკრიტიკა ოფიციალური ფულადი სისტემები. მაგრამ მათი არასრულყოფილების მიზეზს ის ხედავდა იმაში, რომ ისინი ემყარებოდა იმ ფულს, რომელიც გამოიშვება სახელმწიფოს მიერ. აქ ჰაიეკი აშკარად ცდებოდა, რადგანაც მთელი რიგი ცენტრალური ბანკები, რომლებიც უშვებენ ნაღდ ფულს, თავიანთი სტატუსით იყვნენ და არიან არასახელმწიფო ინსტიტუტები. უპირველეს ყოვლისა, ესაა აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელიც აწარმოებს აშშ-ის დოლარების ემისიას. გარდა ამისა, უნაღდო ანუ სადეპოზიტო ფულის მასის დიდი ნაწილის ემისია ხდება კომერციული ბანკების მიერ, რომლებიც, მცირედი გამონაკლისის გარდა, წარმოადგენენ კერძო ორგანიზაციებს. ამიტომ სახელწოდება, რომელიც წარმოიშვა ჰაიეკის გავლენით („კერძო ფული“), წარუმატებლად შეიძლება ჩავთვალოთ. ფაქტობრივად ის საუბრობდა ფულზე, რომელიც იქნებოდა მსოფლიო ფინანსური ოლიგარქიის მიერ ემიტირებული ფულის ალტერნატივა. ავსტრიელი ეკონომისტი ფულს განიხილადა, როგორც ჩვეულებრივ „საბაზრო საქონელს“, იბრძოდა და მხარს უჭერდა დეცენტრალიზებული ფულადი ემისიის სისტემას და ცალკეული სახის კერძო ფულს შორის კონკურენციის კულტივირებას. ოდესღაც სწორედ ასე იყო მოწყობილი მრავალი ქვეყნის ფულადი სისტემები. კერძოდ, ალტერნატიული ფულის სპეციალისტები ხშირად ახსენებენ „თავისუფალი საბანკო ერის“ დროს (Free Banking Era) აშშ-ში, რომელიც არსებობდა 1837-1866 წლებში. ამ სამი ათეული წლის განმავლობაში ამერიკაში გამოშვებულ იქნა დაახლოებით 8 ათასი სხვადასხვა სახის ფული. ფულის გამოშვებით დაკავებულნი იყვნენ ცალკეული შტატები, მუნიციპალიტეტები, კერძო ბანკები, რკინიგზები, მაღაზიები, რესტორნები, ეკლესიები და თვით ცალკეული ინდივიდებიც კი. მაშინდელმა ფულის ემიტენტებმა მიიღეს „ველური ბანკების“ (wildcat banks) სახელწოდება. მსგავსი რამ არსებობდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაგალითად, იმავე დიდ ბრიტანეთში, მიუხედავად 1694 წელს ცენტრალური ბანკის (ინგლისის ბანკის) შექმნისა, ბანკოტების ემისიით დაკავებული იყო მრავალი კომერციული ბანკი პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე. ამასთან, შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში სახელმწიფო დღემდე ახდენს კერძო ბანკების ლიცენზირებას საკუთარი ქაღალდის ფულის გამოსაშვებად (Катаионов В. Ю., 2016:342).

საკმაოდ ხშირად, ალტერნატიული ფულის მთავარ სახეს უწოდებენ „თავისუფალ ფულს“. ბრუნვაში ეს ტერმინი შემოღებულ იქნა გერმანელი ეკონომისტისა და მეწარმის, სილვიო ჰეხელის მიერ (1862-1930), რომელიც ავტორია თეორიისა „თავისუფალი ეკონომიკა“ (Margrit Kennedy, 1995:19).

თეორიის ძირითადი იდეა აისახა მის პირველ ნაშრომში „მონეტური საქმიანობის რეფორმა, როგორც გზა სოციალური სახელმწიფოსკენ“ (1891). „თავისუფალი ეკონომიკის“ იდეა დასრულებული სახით ფორმულირებულია ფუნდამენტურ ნაშრომში „თავისუფალი მიწა და თავისუფალი ფული, როგორც გზა ბუნებრივი ეკონომიკური წესრიგისკენ“ (1916). ინგლისურ თარგმანში წიგნი ცნობილია სახელწოდებით „ბუნებრივი ეკონომიკური წესრიგი“ (Silvio Gesell, 2010:115). ჰეხელის თეორიის „მარილს“ წარმოადგენს „თავისუფალი ფული“ (გერმ. Freigeld). მის ქვეშ იგულისხმება ფული, რომელიც „თავისუფალია პროცენტებისგან“. უფრო მეტიც, ამ ფულს შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი პროცენტები, რაც მკვეთრად ამაღლებს მათ უნარიანობას, შეასრულოს მიმოქცევის ფუნქცია და ხელს უშლის მის გადაქცევას განად, უმოქმედო კაპიტალად. ჯონ მეინარდ კეინზი თავის ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ ხაზს უსვამს ჰეხელის თეორიის გავლენას მის საკუთარ კონცეფციაზე. კეინზი წერდა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი მეტის ისწავლის ჰეხელისგან, ვიდრე მარქსისგან“ .

„თავისუფალი ფულის“ იდეის პრაქტიკული რეალიზაცია დაიწყო უკვე გერმანელი ეკონომისტის გარდაცვალების შემდეგ. ამას ხელი შეუწყო დაწყებულმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა. პირველ საკმაოდ მსხვილ ექსპერიმენტს „თავისუფალი ფულის“ დანერგვის შესახებ ადგილი ჰქონდა 1932 წელს ავსტრიის პატარა ქალაქში ვიორგლში. ექსპერიმენტის შედეგად, ქალაქში აიგო ხიდი, გაუმჯობესდა გზების მდგომარეობა, გაიზარდა კაპიტალდაბანდებები საზოგადოებრივ მომსახურებაში. სწორედ იმ დროს, როცა ევროპის მრავალი ქვეყანა იძულებული იყო ებრძოლა მზარდი უმუშევრობის წინააღმდეგ, უმუშევრობის დონე ვიორგლში შემცირდა ერთ წელიწადში 25 პროცენტით. როდესაც ავსტრიის 200 თემზე მეტი დაინტერესდა მოცემული მოდელით, ავსტრიის ეროვნულმა ბანკმა ამაში დაინახა თავისი მონოპოლიის მიმართ საფრთხე და აკრძალა თავისუფალი ადგილობრივი ფულის დაბეჭდვა. თუმცა, ვიორგლის ექსპერიმენტის შესახებ ცნობილი გახდა სხვა ქვეყნებში, „თავისუფალი ფული“ გაჩნდა მთელ მსოფლიოში, როგორც წესი, ცალკე ადგილი ქალაქის და რაიონების დონეზე. „თავისუფალი ფული“ სხვადასხვა ვარიაციებით არსებობს ამჟამად. მათი გამოყენების სრულ მასშტაბზე ინფორმაცია არ არსებობს, რადგანაც პროექტების ავტორებს არ სურთ ამის მეტისმეტად გამომხურობა, შიშობენ რა ცენტრალური ბანკების მხრიდან აკრძალვების შემოღებას (Margrit Kennedy, 1995:20).

თუმცა, მრავალ ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაცია ისე სწრაფად უარესდება, რომ ადგილობრივი ფულის გამოშვებას იწყებენ არა მხოლოდ პატარა ქალაქები და დეპრესიული სასოფლო რაიონები, არამედ მსხვილი ქალაქებიც კი. 2012 წლის ბოლოსათვის მასშედიაში გაიქვლია, რომ ბრისტოლი გახდა პირველი ქალაქი გაერთიანებულ სამეფოში, რომელმაც მიიღო საკუთარი ფულადი ერთეული. თავისი მსყიდველობითუნარიანობით ის უტოლდება ჩვეულებრივ ფუნტს. ქალაქმა დაბეჭდა სხვადასხვა ნომინალის კუპიურები 125 ათასი ფუნტის საერთო მოცულობით. იმავე დროს, ანგარიშსწორების ძირითადი მასა ხორციელდება უნაღლო ფორმით. პროგრამის დასაწყისში გაცხადდა, რომ მასში მონაწილეობის მიღებას დათანხმდა 350 ორგანიზაცია და კიდევ 1000 აპირებს მოგვიანებით შეუერთდეს მას. პროექტში მონაწილეობის სტიმული იმ მაღაზიების მფლობელებისათვის, სადაც წავა ადგილობრივი ფული, გახდა ბრისტოლის ხელისუფლების გარანტია, რომლის მიხედვითაც ის მზადაა განახორციელოს ადგილობრივი ფუნტის თავისუფალი გადახურდაგება ეროვნულზე (საკომისიოს გადახდით).

სხვათა შორის, ადგილობრივი ფული უკვე მიმოქცევა აშშ-ის მრავალ საკმაოდ მსხვილ ქალაქში (კალიფორნიაში, ვისკონსინში, ორეგონში, პენსილვანიაში, მიჩიგანსა და მასაჩუსეტსში). მაგალითად, ბერკშირში (მასაჩუსეტსის შტატი), სადაც ცხოვრობს 130 ათასზე მეტი ადამიანი, 2006 წელს შემოღებულ იქნა ფულადი ერთეული სახელწოდებით BerkShares. პროექტში მონაწილეობს ბერკშირის დაახლოებით 350 ორგანიზაცია. BerkShares-ის ადგილობრივი ვალუტა შეიძლება გაიცვალოს ოფიციალურ ვალუტაზე კურსით: 0,95 აშშ-ის დოლარი 100 BerkShares-ზე. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი ვალუტის პროექტის რეალიზაციაში ჩართულია ხუთი ბანკი, მათ 12 განყოფილებაში შესაძლებელია ვალუტის გაცვლა.

არანაკლები პოპულარობით სარგებლობს ალტერნატიული ფული, რომელმაც მიიღო „იტაკას საათის“ (Ithaca hour) სახელწოდება. ამასთან, ამ ვალუტას მარტივად უწოდებენ: საათი. ეს ადგილობრივი ვალუტაა, რომელიც შეიქმნა 1991 წელს ამერიკულ ქალაქ იტაკაში (ნიუ-იორკის შტატი). მისი დამაარსებელია პოლ გლოვერი. ახალი ვალუტის შემოღების შემდეგ ადგილი ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის ამაღლებას, რაიონში გამოცოცხლდა სოფლის მეურნეობა, რადგანაც დაიწყო ადგილობრივი პროდუქციის უფრო მეტად ყიდვა. გლოვერის ვალუტა წარმოადგენს „შრომითი ფულის“ სახესხვაობას, რომლის მსყიდველობითუნარიანობა დამოკიდებულია მხოლოდ ადამიანის შრომითი დანახარჯის სიდიდეზე. გლოვერის სისტემაში შრომითი დანახარჯები განისაზღვრება დროით. ადგილობრივი ფულის მრავალი სისტემისგან განსხვავებით, რომელიც ეფუძნება მხოლოდ კომპიუტერებში ჩანაწერებს (ელექტრონული ფულის მრავალგვარობას),

იტაკას ვალუტა წარმოადგენს ნაღდ ფულს და მაღალი ხარისხის ქაღალდის ნიშნებს, რომელიც გაყალბებისგან კარგადაა დაცული. თავდაპირველად სისტემის თითოეულმა წევრმა მიიღო კუპიურა 4 საათის თანხით (40 დოლარის ეკვივალენტით). მოგვიანებით გამოჩნდა კუპიურები სხვა ნომინალებით. დადგინდა გაცვლითი კურსი: ერთი იტაკას საათი=10 ამერიკული დოლარი. იტაკას საათის მაგალითზე შეიქმნა მსგავსი სისტემები ამერიკულ ქალაქებში მადისონსა (ვისკონსინი) და კორვალისში (ორეგონა). ანალოგები არსებობს სხვა ქვეყნებშიც. იოლია შევამჩნიოთ, რომ იტაკას ვალუტას გააჩნია მსგავსება ჩვენს ქვეყანაში კარგად ცნობილ შრომადღესთან – კოლმეურნეობებში 1930-1966 წლებში შრომის რაოდენობისა და ხარისხის შეფასებასთან და აღრიცხვის ფორმასთან (Катасонов В. Ю., 2016:345).

ალტერნატიული ფულის პროექტების შექმნაში ზოგიერთი ბანკებიც მონაწილეობს. ყველაზე ნათელი მაგალითია შვეიცარიული პროექტი WIR (გერმ. Wirtschaftsring-Genossenschaft, სამეურნეოსაბაზრო კოოპერატივი). ინგლისურენოვან ლიტერატურაში WIR ასევე ცნობილია, როგორც Swiss Economic Circle („შვეიცარიული ეკონომიკური წრე“). WIR დაარსდა 1934 წელს, როგორც საგადახდო კრიზისის დაძლევის მექანიზმი, რომელიც ჩამოყალიბდა დიდი დეპრესიის გავლენით. თავდაპირველად, ეს იყო კოოპერატივი, რომელიც ახორციელებდა მრავალმხრივ ბარტერულ ოპერაციებს შიდა ვალუტის გამოყენებით. კოოპერატივის მონაწილეთა წრე ფართო და ძალზე ჭრელი იყო: სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, მაღაზიები და საგაჭრო ფირმები, სამრეწველო კომპანიები. მაგრამ მთლიანობაში ეს იყო თითქმის მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესი. ამას დამატებული ფიზიკური პირი. თავდაპირველად პროექტში მონაწილეობდა 16 სუბიექტი (კოოპერატივის დამფუძნებლები). 1935 წლისათვის უკვე არსებობდა ანგარიშების 1000-ზე მეტი მფლობელი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ საქონელგაცვლაში. 1936 წელს WIR-მა მიიღო ბანკის სტატუსი. WIR, როგორც ორგანიზაცია, ამიერიდან მოქმედებდა ორ იპოსტასში: როგორც ჩვეულებრივი სადეპოზიტო-საკრედიტო ორგანიზაცია (რომელიც მოქმედებდა შვეიცარიის საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად) და როგორც საქონელგაცვლითი კოოპერატივი, რომლის ფარგლებში გრძელდებოდა ბარტერული ვალუტის – WIR-ის გამოყენება.

თავდაპირველად შიდა ვალუტა WIR-ს გააჩნდა ჰეხელის ფულის ნიშნები, ე.ი. მას ტვირთად აწვა უარყოფითი პროცენტები. ამასთან, ვალუტა WIR-მა მიიღო ასევე ოფიციალური სტატუსი კოლით CHW. ამ ალტერნატიულ ვალუტას გააჩნია მკაცრი საკურსო მიმბა შვეიცარიულ ფრანკთან (1:1). 1952 წელს კოოპერატივმა უარი განაცხადა ჰეხელის გადასახადის ამოღებისგან თავის ვალუტაზე WIR. კოოპერატივის მუდმივი წევრებისათვის ვალუტა WIR უწინდებურად რჩება უპროცენტო ფულად. ვალუტა WIR შვეიცარიულ ფრანკში და სხვა ვალუტებში არ კონვერტირდება. თუ ბანკის კრედიტები გაიცემა WIR-ის ფულად ერთეულებში, მაშინ ვალის დაფარვაც უნდა მოხდეს იმავე ვალუტაში. დღეს WIR Bank იქცა შვეიცარიის უმსხვილეს ფინანსურ დაწესებულებად (<http://www.wir.ch/>). დაახლოებით 65 ათასი მცირე და საშუალო საწარმო – ქვეყნის ყველა საწარმოსა და ფირმის მეოთხედი, წარმოადგენს ამ გაერთიანების წევრს. მასში შედის ქვეყნის მცირე ბიზნესის საწარმოთა 99,7%, რომლებზეც მოდის შვეიცარიის ეკონომიკაში დასაქმებულთა 2/3. WIR-ის ვალუტის ყოველწლიური ბრუნვა შეადგენს საშუალოდ 2 მლრდ შვეიცარიული ფრანკის ეკვივალენტს. ამასთან, ბანკის საქმიანობას ვერ ვუწოდებთ თანაბარს და სტაბილურს. მისთვის დამახასიათებელია პარადოქსული კანონზომიერება: ბანკის ბრუნვა და სხვა მაჩვენებლები იწყებს გაუმჯობესებას სწორედ იმ დროს, როცა ჩვეულებრივი ბანკები შედიან კრიზისის ფაზაში (Катасонов В. Ю., 2016:346).

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს მრავალი მასშედი ალტერნატიული ფულის სახით პირველ პლანზე აყენებს ე.წ. კრიპტოვალუტებს. ამ ვალუტებიდან ყველაზე ცნობილია ბიტკოინები. ზოგიერთი ავტორები ასეთ ვალუტებს უწინასწარმეტყველებენ დიდ მომავალს იმის გათვალისწინებით, რომ დროთა განმავლობაში მათ ექნებათ უნარი, გამოდევნონ ოფიციალური ფული. მაგრამ, ბიტკოინებსა და სხვა სახის კრიპტოვალუტებს მცირე საერთო რამ გააჩნიათ ფულთან, რომელიც უნარიანია, შეასრულოს ღირებულების საზომისა და სხვა ეკონომიკური ფუნქციები. კრიპტოვალუტებს ახასიათებთ სპეკულაციური ოპერაციებისა და აზარტული თამაშების ინსტრუმენტის აშკარად გამოხატული ნიშნები.

დღეს სულ უფრო ხშირად გვეხმის ისეთი ახალი სიტყვები, როგორცაა „კრიპტოვალუტა“, „ციფრული ფული“, „ვირტუალური ვალუტა“, „ელექტრონული ფული“, „ბიტკოინები“, „ელექტრონული საფულეები“, „ბლოკჩეინები“, „ალტერნატიული ფული“, „ქსელური ფული“ და ა.შ. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მსგავსი ლექსიკონით სარგებლობდა ადამიანთა ძალიან ვიწრო წრე – მათემატიკოსები, პროგრამისტები, საგადახდო და საკომუნიკაციო სისტემის სპეციალისტები, გამშიფრებლები ბანკებიდან და სპეცსამსახურებიდან.

დღეისათვის კრიპტოვალუტებზე, ბიტკოინებსა და სხვა აბსტრაქტულ საგნებზე უკვე მსჯელობენ ცენტრალური ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების ხელმძღვანელები,

უმაღლესი დონის პოლიტიკური მოღვაწეები. მაგალითად, ბოლო საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე დავოსში კრიპტოვალუტებზე, ბლოკჩეინებსა და ბიტკოინებზე თემა მრავალი მონაწილის ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ თემაზე დავოსში თავისი აზრი გამოხატა კრისტიანა ლაგარდმაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელმა. ზემოხაზოვანი ტერმინები აღწერს ნოვაციებს, რომლებმაც მოიცვა ფინანსების სამყარო XXI საუკუნეში. საუბარი ეხება ფინანსური ბაზრის უახლეს „ალტერნატიულ“ ოპერაციებსა და ინსტრუმენტებს. ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულია, ამიტომ ზოგჯერ დისკუსიის მონაწილეებს უჭირთ ერთმანეთის გაგება. არანაკლებ რთულია ფინანსების სამყაროში მიმდინარე ცვლილებების შეფასება სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის, რომლებიც გამოსცემენ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს, ასევე სახელმწიფო ორგანოებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას ფინანსურ სექტორზე და ფინანსურ ბაზრებზე. იზრდება ინტერესი „ალტერნატიული“ ინტერესებისა და „ალტერნატიული“ ოპერაციების მიმართ ფინანსურ ბაზრებზე ტრადიციული კერძო ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან, აგრეთვე მილიონობით ჩვეულებრივი მოქალაქეების მხრიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

მთელ ამ ნოვაციებში გარკვევა მარტივი არაა პროგრამისტების, მათემატიკოსების, კომუნიკაციის სპეციალისტების საკმაოდ რთული, პროფესიული ენის გამოყენების გამო. მაგალითად, ვიკიპედიაში, რომელიც, პრინციპში, გათვლილია ფართო აუდიტორიაზე, ჩვენ ვპოულობთ ერთ-ერთი საკვანო ტერმინის, „კრიპტოვალუტის“ (Cryptocurrency) შემდეგ განმარტებას: კრიპტოვალუტა – ციფრული ვალუტის სახეა, რომლის ემისია და აღრიცხვა ეფუძნება დაცვის სხვადასხვა კრიპტოგრაფიული მეთოდების, როგორცაა roof-of-Work და/ან Proof-of-Stake ასიმეტრიულ დაშიფრასა და გამოყენებას. სისტემის ფუნქციონირება ხდება დეცენტრალიზებულად განაწილებულ კომპიუტერულ ქსელში.

მარტივად რომ ავხსნათ, კრიპტოვალუტა, იმ პირობა გაგებით, რომლებმაც შექმნეს ეს ვალუტა და სარგებლობენ ამით, ფულის ახალი სახეა, რომელიც არსებობს პარალელურად ტრადიციულ (ნაღდ და უნაღდო) ფულთან ერთად, მაგრამ მათგან არსებითად განსხვავდება.

პირველი, ასეთი „ალტერნატიული“ ფულით ოპერაციებს გააჩნია კარგი (ზოგიერთის მტკიცებით, 100-პროცენტიანი) ინფორმაციული დაცვა. აქედან მომდინარეობს ვალუტის სახელწოდებაც (ბერძნული სიტყვა „კრიპტო“ ნიშნავს ფარულს, საიდუმლოს).

მეორე, კრიპტოვალუტა – მხოლოდ და მხოლოდ კერძო ფულია (ე.ი. ის იქმნება და ეკუთვნის კერძო პირებს). ასეთი ფული სრულად „ემანსიპირებულია“ სახელმწიფოსგან, ამ უკანასკნელის მარეგულირებელი და საზედამხედველო ფუნქციებისგან.

მესამე, ის იქმნება და მიმოიქცევა დეცენტრალიზებულ სისტემაში. იგულისხმება, რომ ასეთი სისტემა წარმოადგენს მაქსიმალურად „დემოკრატიულს“, სისტემის რომელიმე მონაწილეს არ აძლევს საშუალებას, დაეუფლოს სისტემას ან დააწესოს მასზე თავისი ერთპიროვნული კონტროლი.

ზოგიერთები ერთმანეთში ურევენ ოპერაციებს, რომლებიც ემყარება კრიპტოვალუტას, ინტერნეტ-ბანკინგთან (ელექტრონულ ბანკინგთან). მეორე შემთხვევაში გამოიყენება ჩვეულებრივი ვალუტები, ხოლო ოპერაციების დაცულობის ხარისხი უფრო დაბალია, რამდენადაც იქ სუსტ რგოლად იქცევა საბოლოო მოსარგებლეები; ასევე თვალთახედვიდან არ უნდა გამოგვჩვენოს რისკები არაკეთილსინდისიერი შემუშავებლის სახით. კრიპტოვალუტის მომხრეები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ფულის ეს ახალი სახე ადამიანებს უზრუნველყოფს მაქსიმალური თავისუფლებით. ისინი გამოდიან სახელმწიფოს მეურვეობიდან. ცენტრალურ ბანკებსა და ფინანსური ზედამხედველობის სხვა ინსტიტუტებს, რომლებიც ეჭვით აღევენებენ თვალყურს იმას, რომ არავინ ხელყოს საბანკო მონოპოლია ფულის ემისიის საქმეში, არ ძალუძთ გააკონტროლონ კრიპტოვალუტებთან დაკავშირებული ოპერაციები. კრიპტოვალუტებმა არ იციან ეროვნული საზღვრები, მათი გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაშიც კი, როცა სახელმწიფოს შემოაქვს შეზღუდვები და აკრძალვები საერთაშორისო ანგარიშსწორებაზე. ფაქტობრივად, ესაა უახლესი, ელექტრონული ვერსია მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებული სისტემისა „ხავალა“ – არაფორმალური საფინანსო-საანგარიშსწორებო სისტემისა, რომელიც გამოიყენებოდა უპირატესად აღმოსავლეთში, აფრიკასა და აზიაში (ეს სისტემა საშუალებას იძლევა, გვერდი ავუაროთ ჩვეულებრივ ნაღდი ფულისა და უნაღდო ფულის საზღვარზე გადაადგილებას).

განსაკუთრებით დაკმაყოფილებულნი არიან კრიპტოვალუტის გამოჩენით ავსტრიული ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლები, ლიბერტარიანელები. ისინი მთელი XX საუკუნის განმავლობაში დაუინებოთ იბრძოდნენ ცენტრალური ბანკების მონოპოლიის წინააღმდეგ ფულადი ემისიის საქმეში, მხარს უჭერდნენ კერძო ფულზე გადასვლას (ამ სკოლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლებია: მიზესი, ჰაიეკი, როტბარდტი).

დღეისათვის ყველაზე ცნობილი კრიპტოვალუტა ბიტკოინია (BitCoin). ხშირად ის აღინიშნება ინგლისური აბრევიატურით BTC. ეს არის ვირტუალური ფული, რომელიც შექმნილია კერძო

პირების მიერ, ამასთან, ასეთი ფულის ემიტენტი შეიძლება იყოს ძალიან ბევრი. BTC-ის შექმნისას გამოიყენება გარკვეული ალგორითმები და პროგრამები, რომლებიც მოწყობილია ისეთნაირად, რომ მაქსიმალური რაოდენობა ბიტკოინებისა, რომლის შექმნაც შესაძლებელია, შეადგენს 21 მილიონს. BTC-ის გაერთიანების ყოველ ახალ წევრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს არა მხოლოდ ახალი ვალუტის გამოყენებაში, არამედ მის შექმნაშიც (ასეთ შექმნას ეწოდება „მინინგი“ – ოქროს მოპოვების ანალოგიით). ადგილი აქვს BTC-ის მორიგი ბლოკის შექმნას, რომელიც აგრძელებს ბლოკების ჯაჭვის („ბლოკ-ჩეინების“) აგებას. BTC-ის რაოდენობა, ამ ფულადი ერთეულის შემქმნაველებთან ჩანაფიქრით, არ შეიძლება უსასრულოდ იზრდებოდეს. ბიტკოინი ამ თვალსაზრისით გვაგონებს ოქროს – ლითონის ფულს, რომელიც ხასიათდება შეზღუდული მარაგით ბუნებაში. BTC-ის შემქმნაველები, როგორც ჩანს, საიდუმლოდ იმედოვნებენ, რომ ახალი ვალუტა მოემსახურება საქონლისა და მომსახურების ვაჭრობის დიდ ბრუნვას და წინდახედულად არიდებენ თავს შესაძლო ინფლაციურ ეფექტებს, დებენ რა მასში BTC-ის დეფიციტს. მიუხედავად იმისა, რომ BTC ვირტუალური ფულადი ერთეულია, მას უწოდებენ მონეტას და თვალსაჩინოებისათვის სარეკლამო მასალებში გამოსახვენ ოქროს წრის სახით.

BTC ჯერ კიდევ თავის პირველ ნაბიჯებს დგამს. ახალი ვალუტის შესახებ ადამიანებმა პირველად გაიგეს 2008 წლის 31 დეკემბერს, როდესაც სამყაროს მოველინა დოკუმენტი BTC-ის აღწერით, რომელსაც ჰქონდა პროექტის ავტორის, სატოში ნაკამოტოს (Satoshi Nakamoto) ხელმოწერა. მრავალი ვარაუდობს, რომ ეს არის ფსევდონიმი, რომლის მიღმა იმალება სხვა ადამიანი ან შემქმნაველებთან ჯგუფიც კი. ამ წლების განმავლობაში განხორციელდა მრავალი ჟურნალისტური კვლევა, მაგრამ ვერაფერს შეძლო ენახა საკუთარი თვალთა იდუმალი დამქმნაველები სატოში ნაკამოტო. პროექტი დაიწყო 2009 წლის 3 იანვარს, როდესაც შეიქმნა პირველი ბლოკი BTC-ს ქსელში (ე.წ. გენეზის-ბლოკი). ეს დღე ითვლება ბიტკოინის დაბადების დღედ და BTC-ის გაერთიანების მიერ აღინიშნება მთელ მსოფლიოში.

დღეს უკვე მრავალ ქვეყანაში ჩამოყალიბდა BTC-ის სისტემის მონაწილეთა საკმაოდ ფართო ქსელი (BTC-ის საზოგადოება), რომელიც მოიცავს ე.წ. „მინერებს“ (მათ, რომლებიც ქმნიან ვირტუალურ ფულს ბლოკების სახით), რიგით მოსარგებლებებს (რომლებიც აგროვებენ BTC-ს თავიანთ „ელექტრონულ საფულეებში“ და ხარჯავენ მას), რომლებიც სპეციალიზებული არიან ბირჟებზე. დასავლეთის ზოგიერთ ქვეყნებში გაჩნდა POS-ტერმინალები მაღაზიებში ბიტკოინებით ანგარიშსწორებისათვის, ბანკომატები კრიპტოვალუტებისათვის, აპარატული „საფულეები“ ბიტკოინისათვის. BTC-ის გაერთიანება ითვლის მილიონობით წევრს. სისტემა შეიძლება წარმოვადგინოთ დეცენტრალიზებული გამომთვლელი ქსელის სახით, რომლის მწარმოებლურობა რვაჯერ და უფრო მეტად აღემატება მსოფლიოში „სუპერკომპიუტერის“ კლასის ყველა მანქანის ჯამურ გამოთვლით სიმძლავრეს.

BTC-ს ხშირად უწოდებენ ოქროს ელექტრონულ ანალოგს. ბიტკოინი - „მინინგის“ - გამომთვლელი ოპერაციების პროდუქტია, რომელიც უზრუნველყოფს ტრანზაქციების გადაცემას ბლოკების ჯაჭვით. ადგილი აქვს ერთ ბლოკში ყველა ტრანზაქციის ჩაწერას, რომელიც შესრულებულია ქსელში წინა ბლოკის გამოშვების მომენტიდან (საშუალოდ, ბლოკების შექმნას შორის ინტერვალი შეადგენს დაახლოებით 10 წუთს), და ხდება მასზე „ბეჭდის დადება“ რთული კრიპტოგრაფიული ხელმოწერით. შემდეგი ბლოკი გამოითვლება წინამორბედის გამოწერის საფუძველზე. ყოველი მომდევნო ბლოკის „მოპოვების“ შრომატევადობა იზრდება. დასაწყისში 2009 წლის შემოდგომაზე ყველაფერი იყო ძალიან მარტივად და იოლად. 1 ერთეული BTC-ს ყიდვა შესაძლებელი იყო ერთ ცენტზე უფრო იაფად. მაგრამ BTC-ს ერთეულის „მოპოვების“ შრომატევადობა და მსყიდველობითუნარიანობა სწრაფად იზრდებოდა. BTC-ს გამოყენება დაიწვეს თავდაპირველად ყველაზე უბრალო საქონლის (მაგალითად, ფინჯანი ყავის და პიცების) საყიდლად, შემდეგ ის გამოიყენებოდა ფიჭური ტელეფონებისა და კომპიუტერების საყიდლად. წარმოიშვა სპეციალიზებული ბირჟები, სადაც ვაჭრობდნენ BTC-ის „მონეტებით“ ჩვეულებრივ ვალუტაზე. იყო მომენტი, როცა BTC-ის საბირჟო კურსმა მიაღწია 1000 აშშ-ის დოლარს.

ამასთან, BTC არ წარმოადგენს ერთადერთ კრიპტოვალუტას მსოფლიოში. ზოგიერთი შეფასებით, არსებობს ათასზე მეტი მსგავსი ვირტუალური ვალუტა. მათგან ნაწილი წარმოებულია BTC-სგან, სხვები სრულიად ავტონომიურია, შექმნილი არიან „ნულიდან“. კრიპტოვალუტების საერთო მოცულობა, რომლებიც გამოშვებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, დღეისათვის ითვლის თანხას, რომელიც რამდენიმე მილიარდი დოლარის ეკვივალენტურია. ჯერჯერობით ესაა ზღვაში წვეთი. მაგრამ, ვირტუალური ვალუტის მომხრეები არ დუნდებიან. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ კრიპტოვალუტების ემისიის მოცულობა სწრაფად გაიზრდება, რადგანაც კრიპტოვალუტებს უდავო უპირატესობა გააჩნია ჩვეულებრივ ფულთან შედარებით. გარდა ამისა, BTC და სხვა ვირტუ-

აღური ფული ხასიათდება დეფლაციური ეფექტით, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი დღევანდელი მასაც კი გაზრდის თავის მსყიდველობითუნარიანობას.

ზემოთ ჩვენ ძირითადად აღვწერეთ ის, თუ რა შეიძლება წავიკითხოთ კრიპტოვალუტაზე გამოცემებში, რომლებიც მიდრეკილნი არიან სენსაციებისადმი, ან პუბლიკაციებში, რომლებიც ფარულად ახდენენ ახალი ვალუტის რეკლამირებას. ეს, ასე ვთქვათ, კრიპტოვალუტის „ნათელი მხარეა“. მაგრამ არსებობს „ჩრდილოვანი მხარეც“. ის მასმედიაში გაცილებით ნაკლებად შექდება. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ BTC პოტენციურად იდეალური ინსტრუმენტია ტერორიზმისა და სხვადასხვა სახის ფარული ოპერაციების, მათ შორის, „ნარინჯისფერი რეკლამაციების“ დასაფინანსებლად. გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყნის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ოფშორული იურისდიქციის გამოყენების პირობების გამკაცრების დროს კრიპტოვალუტამ შეიძლება დახმარება გაუწიოს მათ ახალი შეზღუდვების თავიდან აცილებაში. არსებობს ვერსია, რომ BTC ჩაისახა დასავლეთის სპეცსამსახურების წილში. ხოლო BTC-ის ზემოთ ნახსენები შემთხვევები სატომში ნაკამტო – უბრალოდ ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის „საფარია“. სწორედ დასავლური სპეცსამსახურები ენერგიულად ახდენენ BTC-ის პროპაგანდასა და მის დაწინაურებას მთელ მსოფლიოში.

მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების მონეტარული ხელისუფლების დამოკიდებულება BTC-ის მიმართ ძალზე ფრთხილია. არსებობს ნაღდი ფულის (ბანკნოტების) ემისიაზე ცენტრალური ბანკებისა და უნაღდო (დეპოზიტური) ფულის ემისიაზე კომერციული ბანკების მონოპოლიური უფლებისთვის ძირის გამოთხრის საშიშროება. მსოფლიოში სხვადასხვა ალტერნატიული ფულის შესაქმნელად ყოველ წელს მრავალრიცხოვან ცდას აქვს ადგილი. მაგალითად, ჰეხელის თავისუფალი ფულის (რომელიც გაჩნდა გასულ საუკუნეში დიდი დეპრესიის დროს) მსგავსი ადგილობრივი ფულის შესაქმნელად. ალტერნატიული ფულის სხვა მაგალითია კერძო ელექტრონული ფული ოქროს საფუძველზე (e-gold). არსებობს დიდი რაოდენობით კვაზიფული (ყველაზე მარტივი მაგალითი - თამასუქია). მცირე გამოწვევის გარდა, მონეტარული ხელისუფლება ისწრაფვის ჩანასახშივე აღკვეთოს მსგავსი პროექტები. ასეთი მკაცრი პოლიტიკის ფონზე, მრავალი ქვეყნის მონეტარული ხელისუფლების დამოკიდებულება ბიტკოინების მიმართ შეიძლება შევავსოთ, როგორც საკმაოდ „ტოლერანტული“. განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ავსტრალია, ახალი ზელანდია, სინგაპური, გერმანია, ნიდერლანდები. აშკარად სიმპათიას გამოხატავს კრიპტოვალუტების მიმართ აშშ-ის ზოგიერთი შტატის ხელისუფლება. მაგალითად, ნიუ იორკის შტატის ხელისუფლებამ გადაწყვიტა „მოაწესრიგოს“ კრიპტოვალუტების ბაზრების განვითარების სტიქიური პროცესი და მოახდინოს ბიტკოინებით ოპერაციებზე ლიცენზიების გაცემის ორგანიზება. 2015 წლიდან დაწყებული, ბიტკოინების მიმართ საკმაოდ „ტოლერანტული“ დამოკიდებულების დემონსტრირება მოახდინა ჩინეთის სახალხო ბანკმა. კრიპტოვალუტისადმი ხელისუფლების დამოკიდებულის ფორმულა დაახლოებით ასეთია: „ჩვენ არ ვკრძალებთ კრიპტოვალუტების გამოყენებას ოფიციალური ფულად-საკრედიტო სისტემის ფარგლებს გარეთ, მაგრამ, ამ დროს, ნებას არ ვრთავთ ალტერნატიული ვალუტებით განხორციელდეს ოპერაციები ბანკებითა და არასაბანკო ფინანსური ორგანიზაციებით. ჩვენ პასუხს არ ვაგებთ იმ რისკებზე, რომლებიც წარმოექმნებათ კრიპტოვალუტებით ოპერაციების მონაწილეებს, ეს მათი ნებაყოფლობითი არჩევანია“. კრიპტოვალუტების სამართლებრივი სტატუსი ქვეყნების უმრავლესობაში აქამდე არ არის განსაზღვრული. ბიტკოინებისა და სხვა კრიპტოვალუტების გამოყენება ემყარება პრინციპს: ის რაც არ არის აკრძალული, ნებადართულია. ამასთან, არსებობენ ქვეყნები, რომლებიც ყოველგვარი პირობის გარეშე კრძალავენ კრიპტოვალუტებს. მაგრამ მათ შორის არ არის წამყვანი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები. ძირითადად, ესაა მცირე ზომის ქვეყნები ბოლივიისა და ეკვადორის ტიპის. რუსეთში კრიპტოვალუტების მიმართ დამოკიდებულება უკიდურესად თავშეკავებულია. შეიძლება ითქვას, რომ ნეგატიურია. რუსეთის ბანკმა 2014 წლის იანვარში გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც კრიპტოვალუტები „ფულადი სუროგატების“ ნაირსახეობაა, რომლებიც იკრძალება 27-ე მუხლის მიხედვით ფედერალური კანონით „რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის შესახებ“.

მიღებულია ახალ კრიპტოინსტრუმენტებს ეწოდოს „ვალუტა“, „ფული“. მაგრამ ეს აშკარად გადაჭარბებაა. ნებისმიერი ფულის ძირითადი ფუნქცია „ღირებულების საზომის“ ფუნქციაა, ფულის დახმარებით განისაზღვრება ფასები საქონელზე, მომსახურებაზე, აქტივებზე, სამუშაო ძალაზე და ა.შ.. თვით თანამედროვე ოფიციალური ვალუტები ცუდად ასრულებს ამ ფუნქციებს, რადგანაც მსოფლიოში ჩამოყალიბდა ქაღალდის ფულის სტანდარტი, ხოლო ვალუტების კურსი მკვეთრი რყევებით ხასიათდება. მით უფრო მერყეობით ხასიათდება კრიპტოვალუტების კურსიც. სპეციალ-იზებულ ბირჟაზე, სადაც ვაჭრობენ ბიტკოინებით, ამ ვალუტის კურსები ერთი საოპერაციო დღის განმავლობაში შეიძლება იცვლებოდეს ამა თუ იმ მიმართულებით 20 და უფრო მეტი პროცენტით. მაგალითად, ტიპურია სურათი, როცა ვაჭრობის დაწყებამდე 1 ბიტკოინი იცვლება 500 დოლარზე, ხოლო ვაჭრობის ბოლოს - 400 ან 300 დოლარზეც კი და პირიქით.

ზუსტად ასევე საეჭვოა, რომ კრიპტოვალუტები ასრულებდეს ფულის ზუსტად ისეთ ფუნქციას, როგორცაა „გაცვლის საშუალებისა“ და „გადახდის საშუალების“ ფუნქციები. მრავალრიცხოვანი მაგალითი იმისა, თუ როგორ გამოიყენება კრიპტოვალუტები საქონლისა და მომსახურების საყიდლად – რეკლამების კატეგორიებიდანაა. კრიპტოვალუტების გამოყენებით ყველა ოპერაციის ღირებულება იწივს, ესაა სხვა ვალუტებზე გაცვლა. თუ გავითვალისწინებთ კრიპტოვალუტების კურსის მკვეთრ რყევებს, შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ ესაა მარტოოდენ სპეკულაციური ხასიათის ოპერაციები. მაშასადამე, კრიპტოვალუტები ფული არაა, არამედ აზარტული თამაშების ინსტრუმენტი ე.წ. რულეტკის ან სათამაშო კარტის მსგავსი. მოთამაშებს შორის ურთიერთობების რეგულირებისათვის კი გამოიყენება ჩვეულებრივი ვალუტები (Катасонов В. Ю., 2016:359).

ზოგიერთ ქვეყნებში დაიწყო კომპანიებისა და პირების ლიცენზირება, რომლებიც მუშაობენ კრიპტოვალუტებით. მაგრამ, სახელმწიფოს ჩარევას კრიპტოვალუტების სფეროში არ შეუძლია (და არც კი ისწრაფვის) შეცვალოს ამ ინსტრუმენტის ბუნება. უბრალოდ იქმნება კიდევ ერთი „ბაზა“. აქ მოხდება აზარტული თამაშების მათემატიკური ნახევრადკრიმინალური ელემენტებისა და სახელმწიფოებრივი ორგანოების შერწყმა. ეკონომიკა ამისგან, უკეთეს შემთხვევაში, ვერაფერს მოიგებს, უარეს შემთხვევაში წააგებს, რადგანაც ფული რეალური სექტორიდან კიდევ ერთ „სათამაშო მოედანზე“ წავა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Катасонов В. Ю. Смерть денег. Метаморфозы долгового капитализма. Москва, книжный мир, 2016.
2. Margrit Kennedy: Ineterest and Inflation Free Money, Published by Seva International, 1995.
3. Silvio Gesell. "The Natural Economic Order". Translated by Philip Pye M.A. 2010.
4. www.geldreform.de
5. http://www.wir.ch/

Malkhaz Chikobava

THE GLOBAL ECONOMIC CRISIS AND ALTERNATIVE MONEY

Summary

In the article we are talking only about this aspect of experience, like the creation of alternative money. Today, more and more often we hear such new words as "crypto-currency", "digital money", "virtual currency", "electronic money", "bitcoins", "electronic wallets", "block money", "alternative money", " Network money ", etc. A few years ago a very narrow circle of people used such a lexicon - mathematicians, programmers, specialists in payment and communication systems, cryptographers from banks and special services.

New crypto-tools are called "currency", "money". However, this is an obvious exaggeration. The main function of any money is a "measure of value," with the help of money, prices for goods, services, assets, labor, etc. are determined. Even modern official currencies do not perform this function well, because the world has a paper-money standard, and currency rates "walk".

Similarly, it is doubtful that the crypto-currency would perform such a monetary function as a "means of exchange" and a "means of payment". Numerous examples of how the crypto-currency is used to buy goods and services – is from the category of advertising. The lion's share of all transactions using crypto-currency is exchange for other currencies. Given the sharp fluctuations in the rate of the crypto-currency, one can confidently say that these are purely speculative transactions. So, crypto-currency is not money, but a gambling tool, like roulette or playing cards.

გიორგი ხარშილაძე

გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკა: პერსპექტივა, პირითაღი გამოწვევები

ანოტაცია. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ეკონომიკის გლობალიზაციის არსი, მისი ძირითადი მახასიათებლები, ჩამოყალიბების სტადიები და მიმდინარე ტენდენციები. ამავდროულად, ყურადღება ეთმობა გლობალიზაციის ფონზე საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს, ძირითად გამოწვევებსა თუ პრობლემების გაანალიზებას.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები, საგარეო ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

შესავალი

XX საუკუნის შუა ხანებისთვის არსებობდა გაბატონებული აზრი, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათი ძირეულად განსხვავდებოდა XIX საუკუნეში არსებული ანალოგიური ურთიერთობისგან. ამ უკანასკნელში არსებობდა იმის მტკიცე ნება, რომ ეკონომიკური განვითარების მთავარ ამოსავალ წერტილად თავისუფალი ბაზარი ყოფილიყო, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა სახელმწიფო ჩარევებისგან. მიუხედავად ამისა, ამგვარმა რწმენამ ვერ გაუძლო XX საუკუნეში მომხდარ ორ მსოფლიო ომს და ეკონომიკურ კრიზისებს. შედეგად, კიდევ უფრო ნათელი გახდა ეკონომიკური ინტერნაციონალიზმის წარუმატებლობა. სწორედ ამ პერიოდის ჩაყვარა საფუძველი ეკონომიკის რეორგანიზაციას, რომლის ამოსავალ წერტილად მომწესრიგებელი სახელმწიფო [სანიკიძე გ...2001:148] გახდა.

XX საუკუნის 40-იანი წლების შუახანებიდან საფუძველი ჩაეყარა ე.წ. “ბრეტონ-ვუდის სისტემას”, რომელიც ომის შემდგომი პერიოდის ეკონომიკური ურთიერთობების ქვაკუთხედად იქცა. სწორედ ამ პერიოდის ჩაყვარა სახელმწიფოს ძირითადი როლი ვაჭრობის, კრედიტების თუ შრომის სფეროებში. შედეგად, სახელმწიფო გამოვიდა ბაზრის ძირითად რეგულატორად, რის თვალნათელ შედეგად უნდა მივიჩნიოთ კერძო ბანკების ჩანაცვლება სახელმწიფო ბანკებით და ა.შ.

უპირველეს ყოვლისა, ძირითადი ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენდა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს და თუ ამ პერიოდში კონკრეტულმა სახელმწიფომ მიაღწია გარკვეულ პეგემონიას, ეს იყო არსებული პოლიტიკური წესრიგის გაგრძელება: აუცილებელი იყო ის, რომ ძალთა ახალ გადანაწილებას შეექმნა საერთო წონასწორობის გარანტიები [სანიკიძე გ...2001:148]. მრავალი მკვლევარი უსვამდა ხაზს, რომ ამგვარი “მაკროეკონომიკური კაპიტალიზმი” წარმოადგენდა მისი წინამავალი “მაკროეკონომიკური კაპიტალიზმის” პირმშოს [სანიკიძე გ...2001:148].

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ, დასავლეთის მაღალგანვითარებული ქვეყნების თაოსნობით, ეკონომიკური კავშირების გადრმავება-განვითარების მიზნით, განხორციელდა გარკვეული ტიპის სისტემების ჩამოყალიბება, სადაც განსაკუთრებულ როლს ბრეტონ-ვუდის ეგიდით მოქმედი ინსტიტუციები ასრულებდნენ. მათ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა კრიზისების თავიდან არიდებისთვის შესაბამისი მექანიზმების შექმნა. ამასთან, მიღწეულ იქნა შეთანხმება საბაჟო ტარიფებსა და ვაჭრობაზე. ამან კი სათანადო პირობები შექმნა ვაჭრობის ლიბერალიზაციისკენ. სწორედ ამ პერიოდის იწყება ბაზრების ლიბერალიზაცია – თავისუფალი ვაჭრობა დაემორჩილა ახალ საერთაშორისო წესრიგს, გაუჩნდა რა შესაბამისი ძალა, საკუთარი კანონები მოეხვია არსებული პოლიტიკისთვის.

წარმოების პროცესების ავტომატიზაციამ თვისებრივად ახალი ეტაპი შექმნა ეკონომიკურ განვითარებაში. ეკონომიკურმა პროგრესმა შექმნა საზოგადოების ახალ ეტაპზე გადასვლის წინაპირობა, რამაც ასახვა პოვა პორსტინდუსტრიალიზაციის პროცესისკენ, ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლებასა და ეკონომიკის რეალური სექტორის სწრაფ განვითარებაში.

XX საუკუნის 70-იან წლებიდან ინდუსტრიული საზოგადოების გადაზრდამ პოსტინდუსტრიული საზოგადოებისკენ, ბიძგი მისცა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, ხოლო გლობალიზაციის პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროცესში კი ის იყო, მან ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა [ასათიანი რ. 2010:17]. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სწორედ ამ პერიოდის საერთაშორისო ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციამ, ტარიფებისა და ფასების შესახებ ურუგვას რაუნდის შეთანხმებამ, ხელი შეუწყო მსოფლიო სისტემის გახსნილობას, ვაჭრობის მკვეთრ ზრდას და გლობალური პროცესების კიდევ უფრო გადრმავებას.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან კიდევ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო მსოფლიო ეკონომიკის ლიბერალიზაციამ, რაც გამოიხატებოდა სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაზე ზრუნვის შემცირებით, მეწარმეობაზე ზეგავლენის შემცირებით და პროტექციონიზმზე უარის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი არ გამორიცხავს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ დახმარებას ადგილობრივი მწარმოებლებისთვის.

90-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკური ლიბერალიზაციის პროცესი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მიმდინარეობდა, განსაკუთრებით აქტიურად კი ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მკაცრ სახელმწიფო დაგეგმაზე უარის თქმამ, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებამ, მსხვილი ბანკების და სახელმწიფო დაწესებულებების პრივატიზაციამ, საბაჟო ტარიფების შემცირებამ, მათ მისცა შესაძლებლობა, მკვეთრად გაეზარდათ ეკონომიკური ზრდის ტემპები. ამ პროცესების ლოგიკურ შედეგად კი იქცა ეროვნული ეკონომიკების საერთაშორისო ურთიერთქმედების მკვეთრი აქტივიზაცია.

ბოლო 20 წლის განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფინანსური კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია, რამაც განსაკუთრებული გამოვლინება პოვა საინვესტიციო ნაკადების მკვეთრ ზრდაში. მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციას. ამ უკანასკნელის დაჩქარებაზე ორი ძირითადი ფაქტორი

მოქმედებს: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოქმნა. თავის მხრივ, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები ოთხი ძირითადი ეტაპის არსებობაზე მიგვანიშნებს: თავისუფალი სავაჭრო ზონების არსებობა-ჩამოყალიბება, საბაჟო კავშირების შექმნა, ეკონომიკური კავშირების წარმოქმნა-განვითარება და ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბება.

დღესდღეობით გლობალიზაცია წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს ძირითად თავისებურებას, რომელიც “განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკის შინაარსს.” [ასათიანი რ. 2010:18]. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი გლობალურ პროცესებზე არის დამოკიდებული, რადგან იგი რადიკალურად ცვლის თანამედროვე საზოგადოებას არა მხოლოდ ცხოვრების მხრივ, არამედ განაპირობებს ეკონომიკის სტრუქტურის ძირეულ ცვლილებებსაც.

* * *

გლობალიზაციის პროცესის განვითარების პარალელურად ცვლილებები მიმდინარეობს საქართველოშიც. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო ცდილობს მსოფლიო დემოკრატიული პროცესებში მონაწილე ქვეყანა გახდეს. თუმცა, ამ გზაზე ქვეყანას მრავალი სირთულით გააძაბა უწევს – ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, სიღარიბე, უმუშევრობა, ეკოლოგიური საფრთხეები, დასაქმების პრობლემა. ამგვარი ტიპის პრობლემების თავიდან არიდება სასურველი იქნებოდა არა მათი უგულვებელყოფით, არამედ იმ გამოწვევებზე ფოკუსირებული გზების ძიებით, რასაც გლობალიზაციის პროცესი უგზავნის დანარჩენ მსოფლიოს.

საზოგადოდ, მიიჩნევა, რომ ქვეყნის გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს თუ რამდენად არის ესა თუ ის ქვეყანა მზად მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის. გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ძირითად ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევა. თუმცა, ეკონომიკური გლობალიზაციის მაღალ დონეს ერთი ნაკლი აქვს: ასეთი ტიპის ეკონომიკაზე გავლენას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები ახდენს, რადგან ერთი ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სხვა ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებაზე. თუმცა პრაქტიკაში კრიზისისგან მიყენებული ზიანი შეიძლება შედარებით ნაკლები აღმოჩნდეს ვიდრე გლობალიზაციის შედეგად მიღებული სარგებელი. ამის ნათელ მაგალითად შესაძლებელია მოვიყვანოთ საქართველოს სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტემპი 2005-2007 წლებში, რომელიც ბევრად აღემატებოდა 2009 წლის 4%-იან ვარდნას.

XXI საუკუნის დასაწყისში, გლობალური პროცესების გაღრმავების პერიოდში, დღის წესრიგში დადგა გლობალიზაციის საერთო ინდექსის შემუშავების საკითხი. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა გლობალიზაციის “KOF” ინდექსი, რომელიც, დაწყებული 2002 წლიდან, ყოველწლიურად ქვეყნდება. მასში გაერთიანებული კრიტერიუმები ძირითადად ეყრდნობა მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, გაეროს ყოველწლიურ ანგარიშებს. 2016

წლისთვის აღნიშნულმა კვლევამ 207 ქვეყანა მოიცვა. ინდექსის მაჩვენებელი 3 ძირითად კატეგორიად არის დაყოფილი, რომლებიც შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმს ეფუძნება:

- **ეკონომიკური გლობალიზაციის**, რომელშიც მნიშვნელოვან როლს ტრანსნაციონალური კორპორაციები ასრულებენ, განისაზღვრება ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლებით, როგორცაა საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულობის დონე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების დონე, საბაჟო პოლიტიკის სიმკაცრის ხარისხი, საიმპორტო ბარიერები და უცხოური კაპიტალის მოძრაობა;

- **სოციალური გლობალიზაციის** კრიტერიუმად მიიჩნევა უცხოელებთან კონტაქტის სხვადასხვა მაჩვენებელი (მაგ., ტურისტების რაოდენობა, საერთაშორისო სატელეფონო ზარები, უცხო ქვეყნის მოქალაქეების წილი მოსახლეობაში, ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა და სხვა);

- **პოლიტიკური გლობალიზაციის** დონის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია: საელჩოების რაოდენობა ქვეყანაში, საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, გაეროს უშიშროების საბჭოს ეგიდით განხორციელებულ მისიებში მონაწილეობა და საერთაშორისო ხელშეკრულებები.

ჩვენ აქ ყურადღებას გავამახვილებთ ეკონომიკურ გლობალიზაციაზე. ტერიტორიითა და მოსახლეობით მცირე ქვეყნებისთვის გლობალურ, საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრირება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ეს კი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ქვეყნის ეკონომიკის საზღვრები ქვეყნის ფიზიკურ საზღვრებთან არ სრულდებოდეს, წარმოებული პროდუქციის მომხმარებელი მხოლოდ საკუთარი მოსახლეობა არ იყოს.

საქართველოს მიერ 2016 წლის რეიტინგში დაკავებული მე-16 ადგილი განაპირობა საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალურმა პოლიტიკამ და უცხოური კაპიტალის თავისუფლად შემოსვლის შესაძლებლობამ. საქართველოს მაღალი პოზიცია ეკონომიკური შემდგომი პერსპექტივის ამსახველს უფრო წარმოადგენს, ვიდრე მიღწეული განვითარების დონის.

საქართველომ გლობალიზაციის ინდექსში აღმასვლა 2006 წლიდან დაიწყო, რისი შედეგიც იყო 2004-2007 წლებში გატარებული რეფორმების შედეგი. სწორედ აღნიშნულ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი იმ ფუნდამენტს, რომელმაც გაუძღო ომს, ეკონომიკურ კრიზისებს, რუსულ აგრესიას და ა.შ. თუმცა აღნიშნულ გამოწვევებს ემატებოდა საკუთრების უფლების დაცვასა და სასამართლოში არსებული პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ 2013-2016 წლებში ეკონომიკური ზრდა შემცირდა, საშუალო 4%-იან ნიშნულს მაინც ინარჩუნებს. ეს კი უნდა აიხსნას ქვეყნის გლობალიზაციის მაღალი დონით, რასაც საგადასახადო ლიბერალიზაციით, ლიბერალური საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკით, ბიზნესის წარმოებაზე, უცხოური კაპიტალზე, სამუშაო ძალასა და ტურიზმზე რეგულაციების შემცირების წყალობით მივადწიეთ.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებისა, არსებობს რამდენიმე გამოწვევა, რომელზეც საჭიროა ყურადღების გამახვილება. მიიჩნევა, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყანას საშუალებას აძლევს, გამოიყენოს ე.წ. შედარებითი უპირატესობა, ანუ სხვა ქვეყნიდან შემოიტანოს ის საქონელი და მომსახურება, რისი წარმოებაც ქვეყანას არ შეუძლია და პირიქით, სხვა ქვეყნებში გაიტანოს ის საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოებაც თვითონ შედარებით იაფი უჯდება. საბოლოო ჯამში, ქვეყანა იგებს როგორც ექსპორტიდან, ასევე იმპორტიდან. ყველაფერი ეს ზრდის მოსახლეობის დანაზოგს, რაც ინვესტირებისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

ყოველივე ეს დამოკიდებული არის იმაზე, თუ რამდენად თავისუფალია საერთაშორისო ვაჭრობა ყოველგვარი სავაჭრო ბარიერისგან. რაც უფრო მეტია აღნიშნული შეზღუდვა, მით უფრო ძვირად უწევს მოსახლეობას ამა თუ იმ საქონლისა თუ მომსახურების შეძენას, რაც ამცირებს ეროვნულ დანაზოგს და შესაბამისად ინვესტიციასაც. შედეგად, ქვეყანა რჩება ჩაკეტილ საზღვრებში, განვითარების ნაკლები პერსპექტივით.

გლობალიზაციის პირობებში საქართველოსთვის მნიშვნელოვან როლს რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობა წარმოადგენს, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ქვეყნებს შორის პოლიტიკური თანამშრომლობის გაუმჯობესებას, სტაბილურობის განცდის შექმნას, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას. მაგალითისთვის, ექსპორტისა და იმპორტის წილის ზრდას მშპ-ში მოჰყვება ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება. აღნიშნული მაჩვენებელი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა.

XXI საუკუნეში საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები მრავალდონიანი სისტემის ფარგლებში შეიძლება განვიხილოთ, რომელსაც საფუძვლად საერთაშორისო შეთანხმებები უდევს. ამგვარი კავშირების არარსებობა შეიძლება იყოს ეროვნული ეკონომიკების არაკონკურენტუნარიანობის მიზეზი ან პირიქით. 2014 წელს ევროკავშირთან მოწერილი დრმა და ყოველმხომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ხელმოწერის შემდგომ საქართველოს მიეცა უნიკალური შესაძლებლობა, გაეზარდა ევროკავშირის 500 მლნ, ბაზარზე. შედეგად, ქვეყანას მიეცა ხელსაყრელი ბიზნესგარემოს და ინვესტორთა დაინტერესების შესაძლებლობა, რაც თავის თავში მოიაზრებს დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივას.

საქართველომ ვერ მოახერხა, გადაქვეულიყო ექსპორტზე ორიენტირებულ ქვეყნად. დღესდღეობით სამომხმარებლო ბაზრის დიდი ნაწილი იმპორტულ საქონელს უჭირავს. მსოფლიოს თანამეგობრობასთან ეკონომიკური კავშირების დამყარების შედეგად ვითარდებოდა საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები და ფართოვდებოდა ვაჭრობის გეოგრაფია. თუმცა, უარყოფითი საგადასახდელო ბალანსი კვლავ რჩება საქართველოს ეკონომიკის უმთავრეს გამოწვევად. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, სავაჭრო ბალანსის უარყოფითმა საღდომ 2015 წლისთვის შეადგინა -5,525.4 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი - 30.9%. მიუხედავად აღნიშნულისა, მთავრობის მიერ განხორციელებულმა სატარიფო პოლიტიკამ და ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმამ საშუალება მისცა საქართველოს გამხდარიყო მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ლიბერალურ ქვეყნად საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის თვალსაზრისით. მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობები მთელი რიგი პრობლემებით ხასიათდება.

ბოლო ათწლეულში ეკონომიკური ზრდის მთავარ წყაროდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, გაზრდილი საგარეო ვადლებულებები და ფულადი გზავნილები რჩებოდა. აღნიშნულ სამ ძირითად ფაქტორს ემატებოდა საბანკო დაკრედიტების მკვეთრი ზრდა. შედეგად მივიღეთ შიდა მოთხოვნის ზრდა, რაც მეტწილად იმპორტის ზრდით კმაყოფილდებოდა. აღნიშნულ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკა არაადეკვატურად იზრდებოდა, არ იქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები, არ განვითარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანმდევი მაღალტექნოლოგიური დარგები, რაც გამოიხატა იმაში, რომ ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა მკვეთრად დაეცა.

საქართველოს შემთხვევაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება ისეთ სფეროებში უნდა განხორციელდეს, რომლებიც პროდუქციის წარმოებაზე დამოკიდებული და შესაძლებელია საერთაშორისო ბაზრებზე მისი რეალიზაცია. ინვესტიციების პრიორიტეტულ დარგებში დაბანდება

ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების წინაპირობის შესაძლებლობას იძლევა. თავის მხრივ, კაპიტალის დაბანდება მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდის შესაძლებლობას იძლევა. ამ უკანასკნელში გაწეული სახსრების ეკონომია კი საგრძნობლად დააქვეითებს საზოგადოების ეფექტიანობას, რაც მსოფლიოში ეკონომიკაში ინტეგრაციის გართულებას ნიშნავს.

მნიშვნელოვან გამოწვევად უნდა ჩაითვალოს ძირითად კაპიტალში ინვესტიციების ზრდისა და მისი გამოყენების საკითხი. პროდუქციისა თუ მომსახურების წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ასახვას პოვებს პროდუქციის ხარისხზე, რაც მისი კონკურენტუნარიანობის ზრდის შედეგს წარმოადგენს. ინვესტიციების გარეშე, განსაკუთრებით კი ინოვაციების ტიპის კაპიტალში, წარმოდგენილია კვლავწარმოების საკითხის წარმატებული გადაწყვეტა.

ტექნოლოგიების განვითარების პირობებში ინოვაციურ განვითარებაზე უარის თქმა საფრთხის მომტანი შეიძლება გახდეს ეროვნული ეკონომიკისთვის. თანამედროვე ეტაპზე ინოვაციების, წარმოებისა და მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით საქართველო მკვეთრად ჩამორჩება დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებს. ამ მიმართულებით პროგრესი გულისხმობს წინსვლას სოციალურ-ეკონომიკურ, მეცნიერებისა და ინსტიტუციურ დონეზე, მათი მიღწევების პრაქტიკაში გამოყენებას საზოგადოების განვითარების ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური მოდელების ფორმირებისთვის.

მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ჩამოყალიბება, რომელსაც კოორდინირების და მედიატორის მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქვეყანაში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების კუთხით. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების მიღწევაში საკუთარი წვლილის შეტანა და ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების საფუძველზე ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება.

გლობალიზაციის პროცესში საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან გამოწვევად უნდა მივიჩნიოთ ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ქვეყნის ყველაზე პერსპექტიული დარგების: წარმოების, ტურიზმის და სოფლის მეურნეობის აღორძინების მთავარი წინაპირობაა. საქართველოს სტრატეგიული ადგილმდებარეობა საშუალებას აძლევს, გახდეს ლოგისტიკური ჰაბი, დამაკავშირებელი რგოლი აზიასა და ევროპას შორის. მიუხედავად არსებული პოტენციალისა, განვითარებული ინფრასტრუქტურა საშუალებას არ აძლევს ქვეყანას, სრულყოფილად გამოიყენოს აღნიშნული პოტენციალი. მთავარი პრობლემა იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ცუდად არის განვითარებული ქსელური ეფექტი.

ის გარემოება, რომ საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, ანიჭებს პასუხისმგებლობას, დაიკავოს შესაბამისი ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში. გადაიდგა კიდევ გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები, რაც გამოიხატა იმაში, რომ საფუძველი ჩაეყარა ტრანსკავკასიურ ნავთობსადენის – “ბაქო-თბილისი-ერზრუმის,” “ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის” პროექტების განხორციელებას ასევე განხორციელდა თანამედროვე აბრეშუმის გზის – “ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს” სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა და ა.შ. ამ პროექტებმა მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას და საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციისა თუ კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას. მიუხედავად აღნიშნულისა, ქვეყანაში მაინც რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები და ხელისუფლების მხრიდან ყურადღების გამახვილებას მოითხოვს.

გლობალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის ეკონომიკის დივერსიფიკაციას ენიჭება. ასეთი ტიპის ეკონომიკის უპირატესობა ისაა, რომ დივერსიფიცირებული ეკონომიკა საქონლისა და მომსახურების მრავალფეროვნების, დარგობრივი სტრუქტურის კრიზისის დაძლევის საშუალებას იძლევა. დღესდღეობით საქართველოს ეკონომიკა მეტწილად იმპორტზეა დამოკიდებული. ეს უკანასკნელი კი ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ იგი აფერხებს რეალური წარმოების და მომსახურების სფეროს დივერსიფიკაციას. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინტერესები უნდა გაერთიანდეს ეკონომიკის დივერსიფიკაციის და იმპორტის ჩანაცვლების პრობლემების და შრომის დანაწილების პროგრამების გამოყენების ირგვლივ.

მიუხედავად აღნიშნული გამოწვევებისა, გლობალიზაციას შეუძლია სარგებლის მოტანა. მთავარია ქვეყანამ გამოიყენოს ის უპირატესობები, რაც საქართველოს ბუნებრივად აქვს ბოძებული: კარგი გეოპოლიტიკური თუ გეოგრაფიული პოტენციალი. საქართველოს ტრანზიტული ენერგეტიკული, ტურისტული პოტენციალის სრულყოფილად ათვისება განაპირობებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას და ეკონომიკურ განვითარებას. გლობალიზაციის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინტეგრაციის მეტად რთულ პირობებში საქართველომ უნდა შეინარჩუნოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და საკუთარი ტრადიციების საფუძველზე უნდა ააშენოს ევროპული დემოკრატიული, ცივილიზებული სახელმწიფო.

დასკვნა

გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფომ იმგვარად უნდა იმოქმედოს, რომ ქვეყანამ სწრაფად აუწიოს ფეხი მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ძვრებს. ამისთვის კი საჭიროა ისეთი ქმედითი ნაბიჯების განხორციელება, როგორცაა:

- ქვეყნის, როგორც სატრანზიტო ფუნქციის სრულყოფა და განვითარება;
- დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობების და მსოფლიო ეკონომიკაში პოზიციების გამყარება;
- ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარება;
- ქვეყანაში ინოვაციებისა და მეცნიერებატევადი მიმართულების დარგების სრულყოფა და გაძლიერება;

• აუცილებლობას წარმოადგენს იმის შეფასება, თუ რა დადებითი ეფექტი შესაძლოა მოჰყვეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, კერძოდ, ეკონომიკური ზრდის წახალისება, ტექნოლოგიების დანერგვა.

• გლობალიზაციის პირობებში საქართველოსთვის უმჯობესი იქნება საერთაშორისო საწარმოებთან ალიანსების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროდუქციის საერთაშორისო გაყიდვების სტიმულირებას.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მიმართულებად მაკროეკონომიკური სტაბილურობა უნდა მივიჩნიოთ. სწორად წარმართული ფისკალური თუ მონეტარული პოლიტიკა წარმოადგენს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების საფუძველს, რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკის მიმართ ნდობის გაძლიერება. ყოველივე ეს, როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში აისახება დასაქმებისა თუ ეკონომიკურ ზრდაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სანიკიძე გ., კილურაძე ნ., 2001, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია [სახელმძღვ. სოციალ. მეცნ. მაგისტრანტებისთვის / ლია კაჭარავა]; ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ გვ. 148.
2. ასათიანი რ. 2010, გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო გვ. 17, 18.
3. ქავთარაძე მ., ბეჟანიძე ნ., 2016, „საქართველო და გლობალიზაციის გამოწვევები“ – ჟურნალი „ეკონომიკა“ №11-12 გვ. 43-45, 49.
4. <http://globalization.kof.ethz.ch/>
5. www.geostat.ge
6. <http://forbes.ge/news/692/saqarTvelos-ekonomikuri-globalizacia;>

Giorgi Kharshiladze

GLOBALIZATION AND ECONOMY OF GEORGIA: PERSPECTIVE, MAIN CHALLENGES

Summary

Economic globalization is one of the three main dimensions of globalization commonly found in academic literature, with the two other being political globalization and cultural globalization. Economic globalization is the increasing economic integration and independence of national, regional and local economies across the world through an intensification of cross-border movement of goods, services, technologies and capital. Whereas globalization is a broad set of processes concerning multiple networks of economic, political and cultural interchange, contemporary economic globalization is propelled by the rapid growing significance of information in all types of productive activities and by developments in science and technology. Nowadays, in the world exists a new trend, which is reflected in the fact that is formatted new competitive situation, is tightened types of competitive struggles. According to this, countries must have adequate policy for economic development, elimination of social disbalance, institutional development.

Economic globalization primarily comprises the globalization of production, finance, markets, technology, organization regimes, institutions, corporations and labor. While economic globalization has been expanding since the emergence of trans-national trade. It has grown at an increased rate due to an increase in communication and technological advances under the framework of General Agreement on Tariffs and Trade and World Trade Organization, which made countries gradually cut down trade barriers and open up their current accounts and capital accounts. This recent boom has been largely supported by developed economies integrating with the majority world through foreign direct investment and lowering costs of doing business, the reduction of trade barriers and in many cases cross border migration.

Meanwhile, globalization has radically increased incomes and economic growth in developing countries and lowered consumer prices in developed countries. It also changes the power balance between developing and developed

countries and effects the culture of each affected country. And the shifting location of goods production has caused many jobs to cross borders, requiring some workers in developed countries to change careers.

Simultaneously with the development of globalization processes, Georgia became more open, democratic and integrated into the world processes. The borders of different countries became open for our citizens, the establishment of business relations, political, legal and cultural relations with the foreigners became possible.

Global situations are very similar to Georgian - the violation of the countries' territorial integrity, poverty, arrests, ecological threats, and employment problems, also familiar to our country. Actuality of global processes is expressed in the fact, that it effects society's social-economic, technological or ecological development. It has very great importance, because countries have opportunities for identification those main challenges, which exists in the globalization period.

**ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა
სოციალურ-დემოკრატიული მოდელის კონცეფციაში**

ანოტაცია. იმ ქვეყნების წრე, რომლებიც იზიარებენ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის კონცეფციას, მუდმივად ფართოვდება. ცხადია ისიც, რომ მსოფლიო მასშტაბით, ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებს, სადაც კსპ-ს ღონისძიებებს გააჩნია დიდი ხნის ისტორია, აქტიურად უერთდებიან განვითარებადი ქვეყნებიც. საზოგადოებისთვის ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა – ეს უფრო ინტეგრაციული სოციალური სახელმწიფოსა და ფარული სეგმენტაციის მქონე შრომის ბაზრის ახალი ტიპის პოლიტიკური სახეა. წინამდებარე სტატიაში განხილულია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის თავისებურებანი სოციალურ-დემოკრატიული მოდელის ქვეყნებში. ამ გამოცდილების გაზიარება უდავოდ მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, სოციალური პასუხისმგებლობა, სოციალურ-დემოკრატიული მოდელი, ინსტიტუციური მოწყობა.

შესავალი

საზოგადოებრივი შეხედულებები ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საზღვრებზე მუდმივად განიცდიდა ტრანსფორმაციას. მათ ფორმირებაზე ზეგავლენას ახდენდა ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა, საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური პროცესები, ტექნოლოგიური განვითარების დონე. სოციალურ-დემოკრატიული მოდელის ქვეყნები ხასიათდება იმით, რომ სოციალური სტატუსის, ქონებრივი მდგომარეობის, შრომითი წვლილის და ა.შ. მიუხედავად, საზოგადოების ყველა წევრის თანასწორობის პრინციპი განსაზღვრულია მათი სოციალური პოლიტიკით.

გ. ესპინგ-ანდერსენი [Esping-Andersen G, 2009: 34] თვლის, რომ სოციალ-დემოკრატიები უფრო განვითარებენ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს კონცეფციას, რომელიც უზრუნველყოფს სწორედ ყველაზე მაღალი სტანდარტების და არა მინიმალური მოთხოვნილებების თანასწორობას, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. ისინი ასეთ თანასწორობას ამჯობინებენ სახელმწიფოსა და ბაზარს შორის ორმაგი სტანდარტების დამკვიდრებას. ამ მიზნის მისაღწევად, ჯერ ერთი, საჭიროა შემოსავლების დონის ამაღლება და მომსახურებათა ხარისხის ზრდა იმ დონემდე, რომელიც თანაზომადია ახალი საშუალო კლასის სტანდარტებთან და, მეორე, მუშებისთვის გარანტირებული უნდა იყოს უფლებების დაცვის ისეთივე ხარისხი, როგორც საზოგადოების უფრო მაღალურუნველყოფილ ფენებშია - აღნიშნავს გ. ესპინგ-ანდერსენი. სოციალურ-დემოკრატიული რეჟიმის ყველაზე შესამჩნევი ნიშანია – შესაძლებლობისა და შრომითი საქმიანობის ერთიანობა. ის გულისხმობს სრული დასაქმებისა და გამოყენებული ძალისადმი საზღაურის შესაბამისობის გარანტიებს. ერთი მხრივ, დასაქმების უფლებას გააჩნია თანაბარი სტატუსი შრომითი შემოსავლების დაცვის უფლებასთან, მეორე მხრივ კი დანახარჯები საყოველთაო კეთილდღეობის უნივერსალური მოდიფიცირებადი სისტემის შენარჩუნებაზე მეტია. ეს ნიშნავს, რომ მთელი ძალა მიმართული უნდა იყოს სოციალური პრობლემების გადაჭრისა და შემოსავლების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენებისკენ. ასეთი მიზნების მიღწევის ყველაზე მიზანშეწონილი საშუალება, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა და სოციალური გადარიცხვების ხარჯზე მცხოვრებთა რიცხვის შემცირებაა.

ამრიგად, სოციალ-დემოკრატიული მიდგომის ძირითად ნიშნებს წარმოადგენს შემდეგი:

- ყველა მოქალაქის უფლება თანაბარ სოციალურ უზრუნველყოფაზე;
- დამსაქმებელსა და მუშაკს შორის ურთიერთობებს მკაცრად აკონტროლებს სახელმწიფო;
- სოციალური ღონისძიებების მიმართულების განსაზღვრას და მათ დაფინანსებას ახორციელებს სახელმწიფო;
- გადასახადების მაღალი დონე;
- სავალდებულო სოციალური დაზღვევა.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გამო, სოციალურ-დემოკრატიული მოდელი განსხვავდება ბიუროკრატიის ყველაზე მაღალი ხარისხით. ის სახელმწიფო სხვა მოდელთან შედარებით, საკუთარ თავზე იღებს წამყვან როლს მოსახლეობის სოციალური დაცვის საკითხებზე. სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში მოცემული მოდელის ქვეყნებში 50%-ზე მეტს შეადგენს. ამ ხარჯების ძირითადი ნაწილი მიდის სოციალური დანიშნულების ობიექტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. მათ შორის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ტრანსფერტული გადასახადებიც, რომელთა წყალობითაც ხდება ეროვნული პროდუქტის გადანაწილება მოსახლეობის ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების სასარგებლოდ.

სოციალურ-დემოკრატიული მოდელის კიდევ ერთ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს საწარმოო დემოკრატიის განვითარებული სისტემა, შრომითი ურთიერთობების რეგულირება ზოგადეროვნულ დონეზე და არა ცალკეული საწარმოების ან დარგების მიხედვით. გამოიყენება ის ქმედითი საშუალებები, რომლებიც გვაძლევს უმუშევრობის დონის მინიმუმაციის შესაძლებლობას.

უკანასკნელ პერიოდში ყველაზე აქტუალურია სოციალური სახელმწიფოს შვედური მოდელი. სწორედ მას, როგორც წესი, იყენებენ მკვლევარები სოციალურ-დემოკრატიული ტიპის მოდელის ილუსტრაციისთვის. შვედურ მოდელს ზოგჯერ ეგალიტარულს უწოდებენ. მას საწყისი დაედო 1913 წელს, როდესაც მიღებულ იქნა საყოველთაო საპენსიო უზრუნველყოფის გადაწყვეტილება. ამ დროიდან სახელმწიფო ახორციელებდა რეფორმებს „პროიზონტალური“ გათანაბრების მიმართულებით (ჯანმრთელებსა და ავადმყოფებს, ბავშვიან და უბავშვო ოჯახებს, მომუშავეებსა და უმუშევრებს შორის), ასევე „ვერტიკალური“ გათანაბრების (მდიდრებსა და ღარიბებს შორის) მიზნით. სამედიცინო და სოციალური დახმარება გახდა ხელმისაწვდომი ყველასთვის, შემოსავლისა და პროფესიის მიუხედავად. შვედეთის მიერ არჩეული განვითარების გზა არაერთხელ იქნა გაკრიტიკებული როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. შვედური კაპიტალიზმის სოციალური მიმართულების კრიტიკა განსაკუთრებით გაძლიერდა კრიზისულ პერიოდებში, მაგრამ ყველაფერ ამას ხელი არ შეუშლია ქვეყნისთვის, წასულიყო ამ გზით და მოეხდინა მისი სიცოცხლისუნარიანობის დემონსტრირება.

უსათუოდ, სოციალური პოლიტიკის ასეთმა „ეგალიტარულმა“ ხასიათმა განაპირობა ეკონომიკის რესტრიქტული (შემზღვევლი) ხასიათი. ასეთი რესტრიქტულობა ეხება როგორც მოსახლეობის პირად, ისე მეწარმეების შემოსავლებს და რეალიზებულა პროგრესული საგადასახადო სისტემის მეშვეობით, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ამოვიღოთ პირველადი განაწილებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტში. თავის მხრივ, მკაცრი საგადასახადო სისტემა წარმოადგენს ფინანსურ ბაზას სხვადასხვა სახის ტრანსფერტული გადასახადებისთვის და მაღალხარისხიანი სოციალური მომსახურებების ფართო ქსელს. ტრანსფერტული გადასახადების მნიშვნელოვან როლს მოჰყვა შვედური სახელმწიფოს აქტიური ჩარევა სოციალური დაზღვევის ორგანოების ფუნქციონირებაში, რომლებიც იმყოფებიან მკაცრი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ და მნიშვნელოვანწილად ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ გადასახადების დონე შვედეთში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში.

ასეთი ინსტიტუციური მოწყობა ყველაზე კარგად შეიძლება იქნეს დახასიათებული, როგორც საზოგადოება მსხვილი და ცენტრალიზებული ინსტიტუტების სიჭარბით. მის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს, ა. ლინდბეკის [Lindbek A., 2006: 56] თვალსაზრისით, წარმოადგენს:

- სახელმწიფო სექტორის მნიშვნელოვანი ხარჯები და მაღალი გადასახადები, რომლებიც ასახავს საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების ამბიციებს;

- ინტერვენციების მაღალი ხარისხით გამორჩეული სტაბილიზაციური პოლიტიკა, რომელიც თავდაპირველად განკუთვნილია სრული დასაქმების ორგანიზაციისთვის, შრომის ბაზარზე უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტის აქტიურ პოლიტიკასთან ერთად.

- სახელმწიფოს ცდები, ზემოქმედება მოახდინოს ერთობლივი დანაზოგის დონეზე, კრედიტებისა და ინვესტიციების შეთავაზებაზე, აგრეთვე, მათ განთავსებაზე სახელმწიფო დანაზოგების, კაპიტალის ბაზრის, გადასახადებისა და სუბსიდიების რეგულირების საშუალებით;

- ადგილობრივი ადმინისტრაციების მკაცრი კონტროლი ცენტრალური მთავრობის მხრიდან;

- ხელფასის ცენტრალიზებული დადგენა ეროვნულ დონეზე;

- კერძო სექტორში მიღებული გადაწყვეტილებების ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხი: მწარმოებლებს შორის ბატონობს მსხვილი ფირმების მცირე ჯგუფი, საფინანსო აქტივების ფლობა, აქციების ჩათვლით, აგრეთვე, კონცენტრირებულია რამდენიმე ინსტიტუტში – სამ ან ოთხ ბანკში, ექვს სადაზღვევო კომპანიაში და რამდენიმე საინვესტიციო კორპორაციაში;

- თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რომელსაც, თუმცა ერწყმის ნახსენები ცენტრალიზებული სტრუქტურები.

სახელმწიფოს ასეთი აქტივობა არ შეიძლება არ აისახოს შვედების ცხოვრების ხარისხზე. ა. ლინდბეკი [Lindbek A., 2006: 61] აღნიშნავს, რომ:

- ჯინის კოეფიციენტი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მსოფლიოში;

- აღინიშნება სიღარიბის შედარებით დაბალი დონე;

- განსხვავება ხელფასში მამაკაცებსა და ქალებს შორის, აგრეთვე მნიშვნელოვნად შემცირებულია;

- ადგილები, რომლებიც დამნაშავეობის წყაროს წარმოადგენს აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში, შვედეთში პრაქტიკულად არ არსებობს;

- შვედეთში უმუშევრობის დაბალი დონეა;

• სოციალურ მომსახურებათა მაღალი სტანდარტები, რომლებსაც უმთავრესად, სახელმწიფო იძლევა.

ყველაფერი ეს თავის კვალს ამჩნევს საზოგადოების დამოკიდებულებაზე ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისადმი. ერთი მხრივ, ცხოვრების საკმაოდ მაღალი დონე ამცირებს სოციალურ დაბაბულობას, მაშასადამე, კსპ-ს მრავალი ინსტრუმენტის (მაგალითად, ქველმოქმედების) აქტუალობასაც, რომელიც გვეხმარება ამ დაბაბულობის შემცირებაში. მეორე მხრივ, შვედური საზოგადოება გაზრდილი მოთხოვნებით ბიზნესისადმი განსაკუთრებით მკაცრად ადევნებს თვალყურს ეთიკური ნორმების დაცვას, განსაკუთრებით კი სამეწარმეო სფეროში.

ამას მოწმობს ეს ფაქტიც: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015 წლის „გლობალური გენდერული უთანასწორობის ანგარიში“ [Corporate Social Responsibility, 2015: 76] მითითებულია, რომ შვედეთი და სხვა სკანდინავიური ქვეყნები „თავიანთი პრაქტიკული მიღწევებით გენდერული თანასწორობის დარგში არიან ჭეშმარიტი ლიდერების რიცხვში... და, ამრიგად, წარმოადგენენ ნიმუშს საერთაშორისო შედარებებისთვის“. გენდერული უთანასწორობის რეიტინგი ზომავს სხვაობას სქესების შორის ცალკეული ქვეყნების მიხედვით ეკონომიკური, პოლიტიკური და საგანმანათლებლო კრიტერიუმების, აგრეთვე, ჯანმრთელობის მაჩვენებლების საფუძველზე.

“Global 100-ის” 2016 წლის რეიტინგში, შვედური კომპანიები ჩართული არიან კორპორაციული სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მსოფლიო 100 ლიდერის რიცხვში. რეიტინგი ითვალისწინებს ისეთ კრიტერიუმებს, როგორებიცაა: ნახშირორჟანგის გამონაბოლქვი, მართვის დივერსიფიკაცია, საგადასახადო დისციპლინის დაცვა და სხვა [Hohnen, P., Potts, J., 2017: 312].

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კიდევ ერთ საზომს წარმოადგენს დოუ-ჯონსის მდგრადი განვითარების მსოფლიო ინდექსი. ეს რეიტინგი მოიცავს მხოლოდ იმ კომპანიებს, რომელთა საქმიანობა აკმაყოფილებს უმაღლეს მოთხოვნებს გარემოსთან, შრომის დაცვასთან, ადამიანის უფლებებთან მიმართებაში. 2015 წელს მასში შევიდა 392 კომპანია მსოფლიოს 29 ქვეყნიდან, მათ შორის შვედური კომპანიები *Atlas Copco*, *Electrolux*, *Sandvik*, *SKF*, *SCA*, *Swedbank*, *Telia Sonero* და *Volvo*. 2015 წელს სამი შვედური კომპანია დასახელებულია მასში ოქროსა და ვერცხლის კლასის ლიდერებად.

Goldman Sachs და *UBS* – უმსხვილესი მსოფლიო საინვესტიციო ბანკები და სპეციალისტებია ფასიან ქაღალდების ოპერაციების დარგში. ისინი, ჩვეულებრივ, აძლევენ მაღალ შეფასებებს შვედურ კომპანიებს მათი საქმიანობის მდგრადობის თვალსაზრისით. ასე მაგალითად, *Goldman Sachs* შეჰყავს კონცერნები *Volvo* და *SKF* მსოფლიო ასპარეზზე თავისი განუყოფელი ფავორიტების რიცხვში, მაგრამ, ამავე დროს, ეს ფირმები შედიან სამრეწველო სექტორში საუკეთესოთა ათეულშიც. ბანკი თვლის, რომ თავის ლიდერობას შვედური კომპანიები განსაკუთრებით უნდა უმაღლოდნენ გამჭვირვალობასა და ფართო საინფორმაციო ღიაობას ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებთან მიმართებაში. *UBS* აგრეთვე შთამბეჭდავად თვლის შვედური კომპანიების მიღწევებს მდგრადობის დარგში, განსაკუთრებით გამოირჩევიან რა ამ თვალსაზრისით კომპანიები *Assa Abloy*, *Atlas Copco*, *Sandvik* და *SKF*.

შვედეთმა, აგრეთვე მსოფლიოში პირველმა, დააგადადგინა სახელმწიფო კომპანიები, წარმოედგინათ ანგარიშები მდგრადი განვითარების შესახებ⁵². ეს ანგარიშები უნდა პასუხობდეს მდგრადი განვითარების დარგში გლობალური ინიციატივის სტანდარტებს (Global Reporting Initiative, GRI).

საპენსიო უზრუნველყოფის შვედური სახელმწიფო სისტემის ოთხი ფონდი – 1, 2, 3 და 4 (e.i. *Allmanna Pensionsfonder*, ანუ საყოველთაო საპენსიო დაზღვევის ფონდები) – ახორციელებს თანამშრომლობას ბაზართან ეთიკურ საკითხებში თავისი საბჭოს ჩარჩოებში. თავის საქმიანობაში ეს საბჭო აღწევს პოზიტიურ ცვლილებებს კომპანიების მუშაობაში შვედეთის ფარგლებს გარეთ, რომლებიც შემჩნეული არიან გარემოს დაცვაზე და ადამიანის უფლებებზე არსებული საერთაშორისო კონვენციების დარღვევაში. მაგალითად, მზა ტანსაცმლის ქსელი *H&M* iTvლის დაახლოებით 2000 მაღაზიას მსოფლიოში. სულ ახლახან მის ასორტიმენტში გამოჩნდა *Conscious Collection* ბრენდის ტანსაცმლის ახალი ეკოლოგიური ხაზი. *H&M* აწარმოებს აქტიურ მუშაობას თავის მიმწოდებლებთან, აღწევს რა მათ წარმოებებში მშრომელთა უფლებების დაცვასა და გარემოზე მანეჟმენტის უმჯობესების შემცირებას. *H&M* პროდუქცია შემოდის დაახლოებით 700 მწარმოებლისაგან, რომელთაგან მრავალი ბაზირებულია იმ ქვეყნებში, სადაც ბავშვთა შრომის გამოყენება და უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე წინანდელივით პრობლემას წარმოადგენს. *H&M*-თან მოქმედებს საინსპექციო ჯგუფი 70 ადამიანის შემადგენლობით, რომელიც აკონტროლებს მიმწოდებლების მიერ კომპანიის კორპორაცი-

⁵² მდგრადი განვითარება ისეთი განვითარებაა, რომელიც, ბრუნტლანდის კომისიის (რომელსაც ოფიციალურად ეწოდება გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისია) განსაზღვრებით, აკმაყოფილებს რა დღევანდელი მოთხოვნებს, საფრთხის ქვეშ არ აყენებს მომავალი თაობების მოთხოვნებთან დაკმაყოფილებას.

ული ქვეყნის კოდის დაცვას. შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით H&M აწარმოებს, აგრეთვე, მიმწოდებელთა სწავლებას.

მკაცრმა კანონმდებლობამ გარემოს დაცვის დარგში ეკოლოგიური პრობლემატიკის გაცნობიერებისა და გაგების მაღალ დონესთან ერთად შევედური კომპანიები მათ საქმიანობაში გარემოს დაცვის ამოცანათა ინოვაციური და ეფექტური გადაჭრის გზაზე დააყენა. საწარმოო ტექნოლოგიები, რომლებიც ზიანს არ აყენებს გარემოს, განსაკუთრებით კი სამრეწველო წარმოების სფეროში, ამჟამად, არცთუ იშვიათად, შევედური ექსპორტის საგანია.

შევედური კომპანიები ლიდერის პოზიციებს იკავებენ აგრეთვე მსოფლიოში სუფთა და საწმენდი ტექნოლოგიების – „კლინტეკის“ დარგში (ტერმინი „კლინტეკი“ გამოიყენება იმ პროდუქციისა და მომსახურების აღსანიშნავად, რომლებიც, აუმჯობესებენ რა საექსპლუატაციო მახასიათებლებს, მწარმოებლურობასა და ეფექტურობას, ხელს უწყობენ დანახარჯების, ნედლეულის ხარჯის, ენერგომომხმარების, ნარჩენებისა და დამაბინძურებელი გამონაბოლქვის შემცირებას). ასეთი ტექნოლოგიების დანერგვა ხელს უწყობს აგრეთვე კონკურენტუნარიანობის გამტკიცებას და შევედური მრეწველობის ზრდას.

შევედეთის გარდა სხვა სკანდინავიური ქვეყნებიც ახორციელებენ მსგავს მიდგომას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისადმი, ახდენენ რა, ამასთანავე, თავიანთი სპეციფიკის დემონსტრირებას.

დანიამი სახელმწიფოს აქტიური ჩარევა სოციალურ პოლიტიკაში მოგვიანებით დაიწყო და პქონდა გაცილებით ნაკლები მასშტაბები, ვიდრე შევედეთში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დანია თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ სოციალ-დემოკრატიული მოდელის სახელმწიფოებს. ხ. ქრისტოფერსენი აღნიშნავს, „დანიელებს მიაჩნდათ, რომ ბაზარი აყენებს სერიოზულ შეზღუდვებს და, მაშასადამე, საჭიროა მისი მნიშვნელოვანი კორექტირება, იმ შემთხვევაში თუ მიზანი მდგომარეობს მაქსიმალურად შესაძლო კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. ამიტომ მოქალაქეთა ინდივიდუალური უპირატესობები, რომლებიც ასახავს პოვნებს ბაზარში, კორექტირებულ უნდა იქნეს ზოგადი კეთილდღეობიდან გამომდინარე. ე. ი. არ შეიძლება არ ვაღიაროთ ის, რომ დანიაში სახელმწიფოს როლი ბაზრის რეგულირებაში საკმაოდ მაღალია“.

დიდი ბრიტანეთის კვალდაკვალ, 2008 წლის 16 დეკემბერს დანიაში მიღებულ იქნა კანონი (Act amending the Danish Financial statements act (Accounting for CSR in large businesses), რომელიც 2009 წლიდან ყველა მსხვილ კომერციულ ორგანიზაციას ავალდებულებს, ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარმოადგინოს ანგარიშგება სოციალური პასუხისმგებლობის დარგში თავისი საქმიანობის შესახებ. მოცემული კანონის მიღება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაზე, სამთავრობო გეგმის ნაწილი იყო, რომელიც წარმოადგენდა იქნა 2008 წლის 14 მაისს (Action Plan for Corporate Social Responsibility (CSR) და მიზნად ისახავდა კომერციული ორგანიზაციების სტიმულირებას სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებში.

ამასთან ერთად, საკვანძო მომენტს ამა თუ იმ კეთილდღეობის შეთავაზებაში წარმოადგენს მოქალაქეთა უფლებების თანაზომადობა მათ ვალდებულებებთან. ამავე დროს განიხილება ორი მნიშვნელოვანი საკითხი: როგორია სახელმწიფოსა და სოციალური პარტნიორების როლი კსპ-ს პროგრამების რეალიზაციაში და როგორ დაეუკავშიროთ ერთმანეთს სახელმწიფო პოლიტიკა და ბიზნესის ინტერესები იმისათვის, რომ გადაგვრათ სოციალური პრობლემები და ამავე დროს არ დავარდვიოთ კაპიტალისტური ბაზრის დინამიკა და მოქნილობა. დანიური მოდელისთვის (და ამაშია სწორედ მისი მსგავსება ლიბერალურ მოდელთან) ძალზე მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს ნებაყოფლობითობის პრინციპი. სწორედ ეს პრინციპი წარმოშობს რამდენიმე სერიოზულ პრობლემას.

საზოგადოებისთვის ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა – ეს უფრო ინტეგრაციული სოციალური სახელმწიფოსა და ფარული სეგმენტაციის მქონე შრომის ბაზრის ახალი ტიპის პოლიტიკური სახეა (მომავალი მოლოდინი). ბიზნესისთვის სოციალური პასუხისმგებლობა – ეს სტრატეგიაა, რომელიც წარმოიქმნა პასუხად დინტერესებულ ჯგუფთა მოლოდინის ლეგიტიმიზაციისა და მოგების მიღების მოთხოვნაზე. სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიასთან მიმართებით ერთ-ერთი ყველაზე ძნელად გადაჭრადი დილემა მდგომარეობს საზოგადოების პრობლემების მჭიდროდ დაკავშირებაში ბიზნესის ინტერესებთან.

დანიამი, ისევე, როგორც გერმანიაში, ძირითადი ყურადღება ეთმობა სოციალურ პასუხისმგებლობას შრომის ბაზარზე. დანიური მოდელის ეს ნიშანი აახლოებს მას კონტინენტურ მოდელთან. ცხრილში, სადაც წარმოდგენილია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტული ინტერპრეტაცია, ახდენს იმ ადგილის დემონსტრირებას, რომელიც უკავია კსპ-ს შრომით ბაზარზე დანიის სოციალურ პოლიტიკაში

ფაქტობრივად, აქტიური სახელმწიფო პოლიტიკა შრომის ბაზარზე იქცა ეროვნულ პრიორიტეტად და ეს არ არის შემთხვევითი. იან ჰეტლანდ მიულერი [Ian Hetland Miuler., 2014.,211] აღნიშნავს, რომ „ბიზნესის ეთიკა წარმოადგენს საკვანძო ფაქტორს კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების-

თვის დანიის შრომის შეზღუდულ ბაზარზე. მეწარმეები, რომლებიც ახდენენ კსპ-ს საკითხების იგნორირებას, მომავალში შეიძლება წააწყდნენ კვალიფიციური კადრების უკმარისობას, რაც საფრთხის ქვეშ დააყენებს მათ გლობალურ კონკურენტუნარიანობას“

ამიტომ სოციალური პოლიტიკის ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა ზომები ჯანმრთელობის დაცვასა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე მოქალაქეთა შრომაში ჩაბმა, ახალგაზრდებთან მუშაობა, უმუშევართა სწავლება და გადამზადება მათი უსწრაფესი დასაქმების მიზნით და ა. შ., იქცა კსპ-ს ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად, რომელსაც საზოგადოება მოელის როგორც ბიზნესის, ისე სახელმწიფოსაგან.

ცხრილი 1

**ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის
სტანდარტული ინტერპრეტაცია დანიაში [Blair R. Fisher., 2005: 53]**

კსპ-ს მიმართულება	მიზანი	ინსტრუმენტების მაგალითები
საშინაო სოციალური პასუხისმგებლობა	სამუშაოდან გათავისუფლების თავიდან აცილება	ზომები ჯანმრთელობის დაცვასა და შრომის უსაფრთხოებაზე; ავადმყოფობის გამო შევბუღების შემცირების მეთოდები; დასაქმების რეჟიმი, რომელიც ხელს უწყობს ოჯახური ურთიერთობების შენარჩუნებას; თითოეულისთვის სამუშაოზე მოწოდების შესაძლებლობა; სწავლება მთელი ცხოვრების მანძილზე; პენსიაზე გასვლის მოქნილი პროგრამები
	მუშაკების შენარჩუნება, რომლებიც რისკავენ, იყვნენ გათავისუფლებული სამუშაოდან	აქტიური დახმარება დაავადებებისადმი განწყობილ პირებს ან ასაკის, ფიზიკური ან გონებრივი დაავადებების გამო შეზღუდული შრომისუნარიანობის მქონე პირებს; არაფორმალური „მოქნილი“ და „რბილი“ სამუშაო ადგილები; სოციალური პუნქტები კოლექტიურ ხელშეკრულებებში
საგარეო სოციალური პასუხისმგებლობა	უმუშევართა და სამუშაოდან გათავისუფლებულთა ინტეგრირება	მთლიანობაში, სამუშაო ადგილებისა და სპეციალიზებული სამუშაო ადგილების შექმნა; ხელფასის სუბსიდირების ფორმალური სქემები („მოქნილი“ და „რბილი“ სამუშაო ადგილების სქემები); სწავლება სამუშაო ადგილზე კერძო და სახელმწიფო სექტორებში; განათლება და პროფესიული მომზადება; სამუშაო ადგილების როტაცია ან რეაბილიტაციის სქემები

ასეთი პოლიტიკის კიდევ ერთ მიმართულებად იქცა ხანდაზმულ მოქალაქეთა აქტივობის გაზრდა, რაც აგრეთვე ხელს უწყობს შრომისუნარიანი მოსახლეობის წილის ზრდას. სოციოლოგების მონაცემებით, დანია ქვეყანაა, სადაც ყველაზე კარგად ეპყრობიან მოხუცებს. პენსიაზე გასვლა ამ ქვეყანაში არ ნიშნავს, რომ ადამიანი გამოდის სოციალური ცხოვრებიდან. პირიქით, ის აგრძელებს მნიშვნელოვანი სოციალური როლის თამაშს და ფართო შესაძლებლობები გააჩნია იმისათვის, რომ ცხოვრების აქტიური წესით იცხოვროს.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების და პრაქტიკის დანერგვა აუცილებელია ბიზნესსექტორის განვითარებისთვის. ეს არის საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციის, სტაბილურობის უზრუნველყოფის, მდგრადი განვითარების და ბიზნესრეპუტაციის გამყარების დამატებითი ინსტრუმენტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მსხვილი ბიზნესი და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა – დამოკიდებულება და არსებული გამოცდილება, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბ., 2007.
2. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, გაეროს „გლობალური შეთანხმების“ საქართველოს პროგრამა საქართველოში, თბ., 2007.
3. Социальная Ответственность Компании: Практическая Польза для Бизнеса, Ассоциация Менеджеров, М., 2002.
4. Blair R. Fisher. The Rules of the Game. Promo, December 2005. P 53.

5. Carroll, Archie B., Corporate Social Responsibility, Evolution of a Definitional Construct, Business & Society, Vol. 38, No. 3, 2000.
6. Ian Hetland Miuler Corporate Social Responsibility, Discussion Paper, Australian Government, Corporation an Markets Advisory Committee, November, 2012.
7. Corporate Social Responsibility: A Draft International Strategic Framework, UK Government, 2015.
8. CSR an Developing Countries – What Scope for Government Action? Sustainable Development Innovation Briefs, Issue 1, February, 2007.
9. Esping-Andersen G. The Three Worlds o Welfare Capitalism. N.Y 2009.
10. Hohnen, P., Potts, J., Corporate social Responsibility: An Implementation Guide for Business, International Institute for Sustainable Development, 2017.
11. Lindbek A., The Political Economy of CSR in Western Europe, Corporate Governance, vol. 6, No 4, 2006, pp.
12. Porter, M. E., & Kramer M. R., The Competitive Advantage of corporate Philanthropy, Harvard Business review, December 2002.
13. Thomas, G., & Nowak, M., Corporate Social Responsibility: A Definition, GSB Working Paper No 62, 2006.

Khatuna Berishvili

SOCIAL RESPONSIBILITY OF BUSINESS IN THE COUNTRIES OF SOCIO-DEMOCRATIC MODEL

Summary

A circle of the countries, which share the conception of policy of business social responsibility, keep permanently widening. It is also clear that within the world scale economically developing countries intensively join economically developed countries, which have a long history of arrangements of corporation political responsibility. For the society the business social responsibility is more a political image of an integration social state and of a new type labor market with concealed segmentation. The present article discusses political peculiarities of business political responsibility in the countries of socio-democratic model. To share this experience is of great importance for Georgia.

მადონა გელაშვილი

საინვესტიციო ბაზაუზვეტილება, როგორც სოციალური მოვლენა

ანოტაცია. ინვესტიციების, როგორც სოციალური მოვლენის, კვლევასა და ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, რადგან იგი მიმართულია მწარმოებლურობისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, რაც, საბოლოო ჯამში, აამაღლებს მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხს. სტატიაში განხილულია საკითხები, რომლებიც ეხება საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას ადამიანთა მოქმედების მოტივაციის ფაქტორებს, რაც ინვესტიციური პროცესების ნათელი წარმოსახვისთვისაა აუცილებელი.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციები, საინვესტიციო გადაწყვეტილება, მოტივაცია, ფინანსური ანალიზი.

შესავალი

ინვესტიციური პროცესების მოდელი ეფუძნება ეკონომიკურად რაციონალურ მიზნებსა და პიროვნულ გადაწყვეტილებებს, რაც განსაზღვრავს ინვესტირების თეორიისა და პრაქტიკის შემდგომ განვითარებასაც. “ინვესტირების”, როგორც კატეგორიის განსაკუთრებულობა კი უკავშირდება იმას, რომ თვით ინვესტიციები, ასევე პროდუქცია და შემოსავალი, რეალიზდება მხოლოდ გარკვეულ გრძელვადიან ინტერვალში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საინვესტიციო აქტივობის ეფექტიანობის განსაზღვრის ლოგიკიდან გამომდინარე, არსებობს საკმაოდ მკვეთრი ზღვარი თეორიასა და პრაქტიკას შორის. გარკვეული რაოდენობის ფირმები ინვესტიციური პროცესების ანალიზისას იყენებენ საკმაოდ მარტივ, პრიმიტიულ მიდგომებს და ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ამ სფეროში ახალი იდეების ძიებასა და საინვესტიციო პროცესის შემდგომი პერიოდის კონტროლს.

ბევრი მეცნიერი ცდილობდა, გაცვა პასუხი კითხვისათვის, თუ რატომ არსებობს ასეთი მკვეთრი გარღვევა თეორიასა და პრაქტიკას შორის. ნუთუ უცნობია ის თეორიული მიდგომა, რომელიც დაგროვილია საინვესტიციო აქტივობის ფინანსური ანალიზის ახალ მეთოდებთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციური პროცესების შესახებ მეცნიერული შეხედულებანი დინამიკურად იცვლება, თეორიულად ჯერ კიდევ ვერ შეიქმნა ის მოდელი, რომელიც აღეკავტურად ასახავს პრაქტიკას.

ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა განვიხილოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც უდავოდ დაკავშირებულია თეორიისა და პრაქტიკის შეუთავსებლობასთან. ხშირად უგულებელყოფილი რჩება ის, რომ გადაწყვეტილების მიღება – ეს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ქმედებაა და არა ობიექტური მექანიკური პროცესი. სწორედ ეს ფაქტია დარჩენილი ყურადღების გარეშე ტრადიციულ ინვესტიციურ თეორიაში.

საინვესტიციო გადაწყვეტილების მოტივაცია

საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ადამიანის მოქმედების მოტივაციის ფაქტორები, რაც ინვესტიციური პროცესების ნათელი წარმოსახვისათვის, აუცილებელია მივიღოთ მხედველობაში. ამისათვის მიზანშეწონილია დაზუსტეს გამოკვლევის ტერმინოლოგიური აპარატი, ცნებები “რაციონალურობა” და “მიზანშეწონილობა”. სწორედ ამ კონცეფციაზე არის დაფუძნებული ინვესტიციების ეკონომიკური თეორია. მიზანშეწონილობის ვიწრო გაგებამ შეიძლება მიგვიყვანოს ინვესტიციური პროცესების არასწორ შემეცნებასთან.

უდავოა, აგრეთვე, რომ ფინანსური ანალიზის შედეგები შეიძლება გამოვიყენოთ იმის მიხედვით, თუ რა მიზანი არის დასახული. ფინანსური ინფორმაციის არაერთგვაროვან გაგებას შეუძლია გამოიწვიოს ინვესტიციური გადაწყვეტილებების პრაქტიკაში განხორციელება. საბოლოო მიზანი კი მდგომარეობს გადაწყვეტილებების მიღებაში, პროცესის ფართოდ გაგებაში და ფინანსური ანალიზის როლის წარმოჩენაში ინვესტიციური პროცესების შეფასებისას.

საინვესტიციო საქმიანობა უკავშირდება გადაწყვეტილების მიღებას. ამავე დროს, როგორც წესი, იგულისხმება, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას ადამიანები მოქმედებენ “რაციონალურად”, მაგრამ რას ნიშნავს ეს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა აუცილებელია თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებული ზღვარის გასარკვევად და შემდგომ გადასახალხავად. ყველა მეთოდიკა, რომლებიც შემუშავებულია თეორიის სფეროში, ემსახურება რაციონალური ინვესტიციური შედეგების მიღებას, რაც გულისხმობს სწორედ კონკრეტული საკითხის “რაციონალურად” გადაწყვეტას. მაგრამ, თუ ადამიანს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, განსხვავებული შეხედულება გააჩნია მიზანშეწონილობაზე, ვიდრე ეს ამა თუ იმ მეთოდიკაშია გათვალისწინებული, წარმოიქმნება შეუსაბამობა. ჩვენ კი არ შეგვიძლია პრაქტიკაში მივიღოთ ის მეთოდები, რომლებსაც არ შეუძლიათ გამოხატონ იმ ადამიანთა მოტივაციის “მიზანშეწონილობა” რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას. ინვესტიციებმა ჩამოაყალიბეს მასში “რაციონალურობის” შესაბამისი გაგება, რაც გულისხმობს, იმას, რომ ადამიანებს, რომლებიც იღებენ ეკონომიკურად რაციონალურ გადაწყვეტილებას, განსაზღვრავენ მიზანს, უნარი აქვთ დასახონ მათი განხორციელებისათვის აუცილებელი გზები და ხერხები, განჭვრიტონ საბოლოო შედეგები და მიიღონ “რაციონალური” არჩევანი წინასწარ დასახული მიზნის ოპტიმალურად განხორციელებისათვის.

“მიზანი ყოველთვის დამალულია სადღაც დაბანდებულსა და მიღებულს, სტიმულსა და პასუხისმგებლობას შორის... მაგრამ რაც არ უნდა იყოს, იგი გააკეთებს ყველაფერს, რათა მიადლოს მას. გამოდის რა მწარმოებლის როლში იგი შეეცდება მაქსიმუმამდე აიყვანოს მოგება” [Squire L, 1981:38].

ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღებაში ეკონომიკურ მოდელს ცოტა რამ აქვს საერთო ჩვეულებრივი ადამიანების ბუნებასთან, რომლებიც იღებენ ინვესტიციურ გადაწყვეტილებას. გ. კუპერი აღნიშნავდა, რომ “ფირმებში ინვესტიციური პროექტების შეფასების ფორმალურ მეთოდებზე უარის თქმა განპირობებულია იმით, რომ ფირმის ქმედება შეიძლება არ დაემთხვას ეკონომიკური კონცეფციის მიზანშეწონილობის გადაწყვეტილების მიღებას” [Cooper, 1975:199].

რეკომენდებული ფინანსური ანალიზის მეთოდები, დისკონტირებული ფულადი ნაკადები, ემყარება იმ დაშვებას, რომ მენეჯერის მიზანია მოგების ზრდის მაქსიმალიზაცია ინვესტიციური პროცესის შედეგად. რა თქმა უნდა, ყოველი ადამიანი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, გამოდის თავისი კონკრეტული მიზნებიდან, რაც შეიძლება გულისხმობდეს: პირადი შემოსავლის ზრდას, თავისი პოზიციების გაძლიერებას, გარკვეული ძალაუფლების მოხვეჭას და ა. შ. და ეს მიზნები შეიძლება არც ემთხვეოდეს ფირმის მოგების მაქსიმალიზაციის შესაძლებლობას. ამგვარად, წარმოიშობა მიზნების შეუსაბამობა – ის, რაც მისაღები და სასურველია ერთი მხარისათვის, არ არის საუკეთესო არჩევანი მთელი ორგანიზაციისათვის.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ ადამიანი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, მოქმედებს ორგანიზაციის ინტერესების ფარგლებში, დისკონტირებული ფულადი მეთოდების გამოყენება აწყდება უამრავ სირთულეს. აუცილებელი მოგების ნორმის განსაზღვრისათვის მენეჯერმა უნდა დაადგინოს მომავალი ალტერნატიული ხარჯები, რისკის ხარისხი, რომელიც უკავშირდება ფულადი ნაკადის პროექტებს და პროექტის ფინანსირებისათვის საჭირო კაპიტალის ღირებულებას, გააჩნდეს ზუსტი წარმოდგენა ყველაზე დიდი მოცულობის ფულად ნაკადზე, პროექტის განვითარების შესაძ-

ლო ვარიანტების ეკონომიკური შეფასებანი. შემდგომ, თუ მენეჯერს არ გააჩნია რაღაც ზებუნებრივი ძალა, მისთვის რთულია განჭვრიტოს მომავალი. კ. მაკრიდაკის ამის შესახებ წერდა: “ზედმეტად გადაჭარბებულია იმ ეკონომისტებისა და ფინანსისტების, ანალიტიკოსების უნარი, სრულად შეაფასონ ცვლილებები ქვეყნის ეკონომიკაში ან ცალკეულ დარგში, კონკრეტულ ფორმაში ან ცალკეულ პროექტში. მათი გეგმები და პროგნოზები დემონსტრირებაა საკუთარი არასრულყოფილებისა” [Makridakis and Hogarth, 1981:75].

პროექტის შეფასების მოცემული მეთოდის გამოყენების მეორე სირთულე მდგომარეობს თვით ადამიანების ქმედებაში. რ. რეგარტი გამოყოფს იმ ფსიქოლოგიურ თავისებურებას, რომლებიც ზღუდავს მენეჯერის უნარს, სწორად აითვისოს და გამოიყენოს არსებული ინფორმაცია. საქმე ეხება ადამიანის მიდრეკილებას, მეხსიერებაში შერჩევით შეინარჩუნოს მისთვის მისაღები ინფორმაცია და გათავისუფლდეს იმ მონაცემებისაგან, რომელიც ეწინააღმდეგება მის ინტერესებს.

სხვა ფსიქოლოგიური თავისებურებებია ის, რომ ადამიანები უშვებენ: რაც მეტია ინფორმაცია, მით უფრო უკეთესია მიღებული გადაწყვეტილება. თუმცა შეიძლება მონაცემების გარკვეული ნაწილი სრულიად უსარგებლო აღმოჩნდეს. ეს და კიდევ სხვა ფსიქოლოგიური თავისებურებანი იძლევა არასწორ პროგნოზს, რომელიც შემდგომ განიხილება როგორც საკმაოდ დასაბუთებული.

ამკარაა, ნამდვილად არსებობს თეორიის პრაქტიკაში გამოყენების პრობლემა. გამოკვლევები ცხადყოფს, რომ პრაქტიკა არ ასახავს ტერიტორიულ წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიიღონ ადამიანებმა საინვესტიციო გადაწყვეტილებანი, იმისათვის, რომ გავიგოთ იმ ადამიანების მოტივები და მოთხოვნები, რომელიც პრაქტიკაში იღებს გადაწყვეტილებას, ჩვენ უნდა ვიპოვოთ ალტერნატივა იმისა, თუ რა არის რაციონალური და მიზანშეწონილი ქმედება ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღებისას.

რაციონალური ქმედება – ეს მთელი კონცეფციაა, რომელსაც დიდი ყურადღება ეთმობა სოციოლოგიურ ლიტერატურაში, ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია მაქს ვებერის ნაშრომები. იგი ასაბუთებს, რომ კომერცია წარმოადგენს ქმედების ერთ-ერთ სახეობას, რომელიც თვითონ წარმოშობს რაციონალურობის მისეულ გაგებას.

მიზანშეწონილობის ალტერნატიული გაგების გამოყენებამ ინვესტიციური გადაწყვეტილების განხილვისას შეიძლება მოგვცეს საკმაოდ საინტერესო შედეგი და თუ მენეჯერები გადაწყვეტილების მიღებისას არ იყენებენ ფინანსური ანალიზის რთულ მეთოდებს, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი იქცევიან ირაციონალურად. მაგალითად, 15 წლის წინათ ტყის დამამზადებელ კომპანიას რომ მიეღო გადაწყვეტილება სწრაფმზარდი ტყეების მოშენების შესახებ, ასეთი გადაწყვეტილება ჩაითვლებოდა ეკონომიკურად გაუმართლებლად. დღევანდელი სოციალური და პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე კი ჩანს, რომ ამგვარი გადაწყვეტილება საუკეთესო იქნებოდა კომპანიის გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივისათვის.

მაგრამ ყველაფერი ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს რაციონალური ინვესტიციური გადაწყვეტილებების ალტერნატიული შეხედულება უარყოფს ფინანსური ანალიზის რთულ მეთოდებს. სინამდვილეში ეს მეთოდები დიდ დახმარებას უწევს მენეჯერებს ნებისმიერი ზემოთ აღწერილი მიზანშეწონილი გადაწყვეტილების მიღებისათვის.

საინვესტიციო გადაწყვეტილების ფინანსური ანალიზის მეთოდები

ჩვენ ვიცით, რომ ფირმის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსური ანალიზის რთული მეთოდების გამოყენებას შორის არის პირდაპირი და უკუდამოკიდებულებაც, რაც გვაფიქრებინებს, რომ ნაკლებ წარმატებული ფირმები თავისი პრობლემების გადაწყვეტას სწორედ შეფასების რთული მეთოდების გამოყენებაში ხედავენ. სამწუხაროდ, ნაკლებ სავარაუდოა, რომ შეფასების რთული მეთოდები თავისთავად წარმოადგენს წარმატების გარანტიას ინვესტირების პროცესში. ამგვარად, ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღება გამოდის პროექტის ფინანსური ანალიზის ჩარჩოებიდან – იგი არ იწყება და არ მთავრდება რთული ფინანსური გამოთვლებით.

იმისათვის, რომ ფინანსური ანალიზი სრულყოფილად იქნეს გამოყენებული პრაქტიკაში, უნდა განისაზღვროს მისი გამოყენების წესი. იმის შემდეგ, რაც დავადგინეთ, რომ ეკონომიკური მიზანშეწონილობა არ წარმოადგენს ინვესტირების პროცესის ერთადერთ მამოძრავებელ ძალას, საჭიროა ყურადღება დაეთმოს პრაქტიკაში იმ ინფორმაციის გამოყენებას, რომელიც ფინანსური ანალიზის შედეგია.

ლიტერატურაში საკმაოდ არის გაშუქებული ალტერნატიული მოდელები, რომლებიც ცხადყოფს, თუ როგორ გამოიყენონ მენეჯერებმა ბუღალტრული ინფორმაცია. ამგვარადვე შეიძლება იქნეს გამოყენებული ფინანსური ანალიზის ინფორმაციებიც.

ბუღალტრულ აღრიცხვას ამ მოდელებში ეკისრება:

- 1.რაციონალური; 2.სიმბოლური; 3.რიტუალური; 4.პოლიტიკური; 5. დამკანონებლის; 6.დისციპლინური; 7.რეპრეზენტაციულ-იდეოლოგიური როლი.

ბუღალტრული ინფორმაციის გამოყენების ზემოთ ჩამოთვლილი გზებიდან ბევრი ეკონომიკური მიზანშეწონილობის ჩარჩოებს მიღმა რჩება, მაგრამ საკმაოდ ხორციელდება პრაქტიკაში [გელაშვილი მ. 2012: 223].

ბუნებრივია, ამ საკითხის განხილვისას იბადება კითხვა: რა კავშირი აქვს ზემოთქმულს ინვესტიციურ გადაწყვეტილებასთან? ის, რომ ინვესტიციური გადაწყვეტილება არ შეიძლება განვიხილოთ ერთმნიშვნელოვნად. მასზე, როგორც “მიზანშეწონილობაზე”, მოქმედებს სხვადასხვა შეხედულება და მიდგომა და, აქედან გამომდინარე, ფინანსური ანალიზის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა პრაქტიკით. მაგალითად, საინვესტიციო პროექტების შეფასებისას წმინდა დაყვანილი ღირებულების (NPV) მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც პროექტის ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის საფუძველი. აქ მთავარია ის, რომ ინვესტიციური გადაწყვეტილების პრაქტიკა არ შეიძლება განვიხილოთ ორგანიზაციული და პოლიტიკური კონტექსტისაგან დამოუკიდებლად. ინვესტიციური საქმიანობა განსაზღვრავს მოცემული ორგანიზაციის არსებობის საფუძველს, მაგრამ თვითონაც გარკვეულწილად დამოკიდებულია მასზე.

ამის ნათელი დადასტურებაა ორგანიზაციის ის საქმიანობა, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღებასთან. ესაა: 1. მოტივაცია და საქმიანობის შეფასება და 2. სტრატეგიული დაგეგმვა.

ხშირად წარმოიშობა სიტუაციები, როდესაც “ეკონომიკური მიზანშეწონილობა” ემთხვევა იმ პირთა მიზანშეწონილობას, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას. ეკონომიკურად რაციონალური გადაწყვეტილება გულისხმობს წმინდა დაყვანილი ღირებულების და რისკის ხარისხის ანალიზს. წმიდა დაყვანილი ღირებულების (NPV) მეთოდის გამოყენება მენეჯერებისაგან მოითხოვს ფულადი ნაკადის მაჩვენებლებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას.

NPV-ს ანალიზი მიმართულია ორგანიზაციის და, აქედან გამომდინარე, მისი მესაკუთრის “მოგების” მაქსიმალიზაციისაკენ, მაგრამ ბევრ ორგანიზაციას გააჩნია როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი მიზნები. იმდენად, რამდენადაც კაპიტალდაბანდებები გულისხმობს რესურსების ხანგრძლივ პერიოდთან გამოყენებას, ინვესტიციური გადაწყვეტილებებიც ორიენტირებული უნდა იყოს გრძელვადიან პერსპექტივაზე. პროექტის შეფასების მოცემული მეთოდებიც განიხილავს დროის ხანგრძლივ მონაკვეთს. ამდენად, მენეჯერის წინაშე დგას რთული ამოცანა, რადგან სწორედ მას უხდება მოცემული გრძელვადიანი პროექტების შეფასება და მიღება. ამასთან, შედეგის განჭვრეტა რთულია, რადგან იგი მიიღწევა მხოლოდ პროექტის განხორციელების შემდეგ, ეს პრობლემა სირთულეებს წარმოქმნის გადაწყვეტილების მიღებად ადამიანთა საქმიანობის შეფასებაში. ხშირ შემთხვევაში ძალიან დიდი დროა გადაწყვეტილების მიღებასა და შედეგს შორის. მენეჯერმა კი, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის შედეგებზე, ამ პერიოდში შესაძლებელია მიიღოს სხვა უფრო რაციონალური გადაწყვეტილება.

ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მენეჯერის საქმიანობის შეფასების სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მის ისეთ ქმედებებს, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის ეკონომიკური მიზნების განხორციელებას. ძალიან რთულია პრაქტიკაში იმის გარანტირება, რომ მენეჯერი მიიღებს ორგანიზაციისათვის ოპტიმალურ გადაწყვეტილებას, თუ მას არ ექნება ამისათვის სათანადო მოტივები. ეს მოტივები კი შეიძლება წარმოიშვას ანაზღაურების სისტემის ეფექტიანად გამოყენების შედეგად. მენეჯერი მაქსიმალურად უნდა იქნეს დაინტერესებული იმაში, რომ იმოქმედოს ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე.

ამგვარი სირთულეების თავიდან აცილების მიზნით ორგანიზაციები მიმართავენ კაპიტალდაბანდებების შეფასების მოკლევადიან ინდიკატორებსაც. მენეჯერთა საქმიანობისა და ინვესტიციურ გადაწყვეტილებათა შეფასებებს შორის კავშირის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ამ უკანასკნელის ეფექტიან ამაღლებას. მენეჯერთა საქმიანობა შეიძლება შეფასდეს ბუღალტრული აღრიცხვის შედეგების საფუძველზე. ამ მიზნით გამოიყენება მაჩვენებლები: მოგების ნაზარდი ან მოგება კაპიტალზე.

მთავარი პრობლემა ისაა, რომ ადამიანმა, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, აუცილებელია გადალახოს წინააღმდეგობა პირად ინტერესებსა და ორგანიზაციის ინტერესებს შორის. ამის მიღწევა კი შესაძლებელია ურთიერთკავშირის დამყარებით გადაწყვეტილების მიღებას, მოტივაციასა და მენეჯერის საქმიანობის შეფასებას შორის. ამგვარად, ორგანიზაციაში ინვესტიციური საქმიანობა მით უფრო შედეგიანი და ეფექტიანია, რაც უფრო მაღალია მოცემული პროექტის ორგანიზაციის შიგა გარემოსთან შეთანხმებისა და შეთანაწყობის დონე.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია კავშირი ინვესტიციურ გადაწყვეტილებებსა და სტრატეგიულ დაგეგმვას შორისაც. ეს ურთიერთკავშირი გააანალიზა თავის შრომებში რ. ბიუერმა. ამ კავშირის აუცილებლობის გასაგებად უნდა განვსაზღვროთ “სტრატეგიული გადაწყვეტილების” ხასიათი.


იკვლევდა რა ინვესტიციურ პრაქტიკას, ერთ-ერთ ფირმაში ერხარდი აღნიშნავდა სტრატეგიულ დაგეგმვასა და ინვესტიციურ გადაწყვეტილებას შორის ურთიერთკავშირზე: “მიუხედავად იმისა,

რომ ყველა პროექტი, რომელიც ჩვენ განვიხილეთ მთლიანად იყო შეთანხმებული ფირმის სტრატეგიულ გეგმასთან და უდავოა გამომდინარეობდა მისგან, სრული დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, თვით სტრატეგიული გეგმაც ფორმირებული იყო იმ პროექტების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება გვეწინასწარმეტყველა სტრატეგიული გეგმის "შედგენისას" [Эрхардт Л., 1991:37].

ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ შეცდომა იქნებოდა ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღებისას მთელი ყურადღება გაგვემახვილებინა ფინანსური ანალიზის რადიკალური ინსტრუმენტებზე. კაპიტალდაბანდების სტრატეგიული წარმატების მისაღწევად საჭიროა გაცილებით უფრო მეტი. აქ გათვალისწინებული უნდა იქნეს სოციალური ფაქტორები და პოლიტიკური თამაშები, რომლებიც უკავშირდება ადამიანთა მისწრაფებას, მიაღწიონ პირად მიზანს, ძალაუფლებას და გვალენას.

თუ დავუბრუნდებით ინვესტიციური პროცესების მოდელის განხილვას, ცხადი გახდება, რომ იგი ძალიან გამარტივებულია და წარმოადგენს თანმიმდევრულ, მექანიკურ ინვესტიციურ პროცესს, იდეის წარმოქმნიდან მისი რეალიზაციის კონტროლამდე. ეს არის ეკონომიკური მიზანშეწონილობის კონცეფცია, რომელშიც სტრატეგიული დაგეგმვა და ადამიანური ფაქტორი ფიგურირებს, მაგრამ ისინი ძირითადი ინვესტიციური პროცესისაგან განცალკევებულად განიხილება.

ამიტომ ინვესტიციური გადაწყვეტილებების მიღებისას მაქსიმალური ეფექტიანობის მიღების მიზნით მეტად მნიშვნელოვანია სოციალური მოვლენების გათვალისწინება. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს, გადავლახოთ ის ძირითადი პრობლემა, რომელიც მდგომარეობს ინვესტიციური აქტივობის პროცესში თეორიისა და პრაქტიკის უნივერსალური მოდელის გამოყენებით, რომლის სქემაც მოყვანილია ქვემოთ [გელაშვილი მ. 2012: 231].



დასკვნა

ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების თეორიისა და პრაქტიკის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინვესტიციათა ეფექტიანობის მაჩვენებლებისა და კრიტერიუმების უფრო საფუძვლიანი ანალიზი და კვლევა, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია საერთაშორისო სტანდარტებზე და სრულად პასუხობს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, არ დაგვავიწყდეს ეროვნული ეკონომიკის თავისებურებები, რაც უნდა გამოიხატოს ეროვნული მეთოდოლოგიის შემუშავებაში დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით.

Отношения социально-экономического обмена осуществляются на основе институциональной базы сформированной государством посредством реализации экономической политики. Экономическая политика с позиций концепции экономического поведения осуществляется путем воздействия на сознание и подсознание субъектов экономики. Понимаемая в таком контексте цель сводится к коррекции их поведения. Поэтому государство стремится стимулировать своих граждан к принятию таких решений, которые соответствовали бы основным задачам и намерениям государства в аспекте прагматической мотивации и рациональности как в краткосрочном, так и долгосрочном периоде. Государство обеспечивает социальное равновесие потребителей и производителей, обеспечивается общенациональное чувство спокойствия и относительной материальной удовлетворенности. Это достигается путем реализации различных социальных программ, например, помощи малоимущим, безработным, пенсионерам, многодетным и др, предоставлении гарантий и реализации программ развития малого и среднего бизнеса. При этом такая политика формирует позитивный имидж государства в глазах населения.

Заключение

В демократическом обществе, к созданию которого стремится Украина, принципиально важно исследовать социальное мнение по поводу трансформации экономических отношений, учитывать социокультурную динамику общества, поскольку на этой основе должна формироваться эффективная и адекватная интересам большинства населения социально-экономическая политика. При этом в учет должны браться рациональность, прагматичность и особенности социально-экономического обмена субъектов хозяйствования в условиях трансформации экономической системы.

Перспективами дальнейших исследований является выявление культурных особенностей экономического поведения субъектов хозяйствования, выявление методов их коррекции посредством институционального проектирования социально-экономического развития общества в краткосрочном и долгосрочном периодах.

Использованная литература

1. Никонов Л., 2014. Моральна логікарівності і нерівності в ринковому суспільстві. У збірнику: Моральність капіталізму. Те, про щови не почувте від викладачів. За ред. Тома Дж. Палмера К.: Основи, – 128 с.
2. Петрушина Т.О., 2008. Социально-экономическое поведение населения Украины в условиях институциональных перемен. – К.: Институт социологии НАН Украины, – 544 с.
3. Тамбовцев В. Л., 1994. Опыт эмпирического исследования экономического поведения. Ж.: Вестник Московского университета. Сер.6. Экономика. № 3. С. 46-54.
4. Эрроу К., 1995. Информация и экономическое поведение. Ж.: Вопросы экономики. № 5. С. 98-107.

*Elena Fomina
Elena Ziza*

ECONOMIC BEHAVIOR OF BUSINESS ENTITIES UNDER THE CONDITIONS OF ECONOMIC SYSTEM TRANSFORMATION Summary

The article deals with the socio-economic behavior of business entities. It is indicated that economic behavior is a goal-oriented activity of an economic entity, regulated by the criterion of maximizing profits. The study is based on elucidating the behavioral characteristics of key micro-level entities, the producer and the consumer, the employer and the employee, taking into account the government influence on them. Economic behavior involves obtaining various

benefits, maximizing utility from the use and recombination of economic resources. It was found out that economic behavior is characterized by such signs as rationality of activity, pragmatic motivation, relations of social and economic exchange. Rationality is reviewed as an empirical adequacy, reasonableness, meaningfulness of decision-making about the action under the existing conditions.

Rationality of socio-economic behavior is formed under the relevant institutions influence, it structuring and guiding. The universal rationality criterion is the existence of the maximum benefit with a minimum of resource costs by the subject of activity. The pragmatic motivation implies consciously following in its activity the idea of rational maximization of benefits, not taking into account social, legal and other institutional norms. Socio-economic exchange relations are the orderly actions of the entity about the pragmatic mutual reward, mutual orientations and expectations. These relations arise between producers and consumers as a social division realizing form of business entity.

In a democratic society, which Ukraine strives to create, it is of fundamental importance to investigate social opinion about the transformation of economic relations, to take into account the socio-cultural dynamics of society majority, because on this basis an effective and adequate socio-economic policy must be formed. At the same time, rationality, pragmatism and features of the socio-economic exchange of economic entities in the conditions of transformation of the economic system should be taken into account.

Prospects for further research are the business entities economic behavior cultural features identification, the identification of methods for their correction through institutional design of the society socio-economic development in the short and long periods.

ფატი შენგელია

სტრატეგიული მენეჯმენტის როლი კომპანიის საქმიანობაში

ანოტაცია. თანამედროვე ეტაპზე წარმატებული კომპანიის განვითარების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სწორად შერჩეულ სტრატეგიას. სტრატეგიული მენეჯმენტი არის გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია სტრატეგიის ფორმულირების, დანერგვისა და ორგანიზაციული მიზნების რეალიზაციისკენ. სტრატეგიული მართვა მიზნად ისახავს ორგანიზაციის რესურსების ეფექტიანად გამოყენებას და პროდუქტიულობის ზრდას დასახული მიზნის მისაღწევად. ყველა ორგანიზაცია ფუნქციონირებს განსაზღვრულ გარემოში, რომელსაც ახასიათებს ცვალებადობა და განუსაზღვრელობა. მენეჯერთა საქმიანობაში მნიშვნელოვანია გარემოს, სირთულისა და ფაქტორთა ურთიერთკავშირის განსაზღვრა, რომ მიღწეულ იქნეს კომპანიის საბოლოო მიზანი – მოგება.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიული მენეჯმენტი, კომპანია, მისია, სტრატეგიული ხედვა

ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში სტრატეგიული მენეჯმენტის აქტუალობისა და პოპულარობის ხარისხი აღმასვლას განიცდის, დღეს არც ერთ კომპანიას არ შეუძლია იარსებოს განვითარების ზუსტად ფორმულირებული სტრატეგიების გარეშე. მხოლოდ ჯანსაღი აზრისა და მინიმალური სპეციალური ცოდნის გამოყენებით წარმატებული კომპანიის შექმნა შეუძლებელია. ამჟამად ბაზარზე ადგილის დამკვიდრებისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის საჭიროა დარგში საკუთარი მდგომარეობის ზუსტი განსაზღვრა და საკუთარი გრძელვადიანი პერსპექტივების ყველა კონკურენტის მოქმედების გათვალისწინებით შემუშავება, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიებმა, და განსაკუთრებით ინტერნეტტექნოლოგიებმა, შექმნა ახალი შესაძლებლობები, ამასთან, მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრა არ არის საკმარისი. აუცილებელია გაითვალისწინოთ მუდმივად ცვალებადი გარემო, მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებები, კონკურენტების მდგომარეობა ბაზარზე და მომხმარებელთა სწრაფად ცვალებადი გემოვნება. სწორად განსაზღვრული სტრატეგია ნებისმიერი კომპანიისათვის წარმატების საწინდარია.

თანამედროვე მსოფლიოში მენეჯერთა ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს კომპანიის სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა. მსოფლიოში გვაქვს უამრავი მაგალითი, როდესაც ყოველწლიურად დიდი რაოდენობით მცირე და მსხვილი კომპანია კოტრდება სწორედ მენეჯერთა არასათანადო კვალიფიკაციის გამო, რაც, ხშირ შემთხვევაში, გამოიხატება არასწორად ფორმულირებულ და არასათანადოდ გათვლილ სტრატეგიებში. ზედა რგოლის მენეჯერები უნდა ხელმძღვანელობდნენ სტრატეგიული მენეჯმენტის მოთხოვნილებების შესაბამისად. სტრატეგიული მენეჯმენტი არის გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია სტრატეგიის ფორმულირების, დანერგვისა და ორგანიზაციული მიზნების რეალიზაციისკენ. სტრატეგია კონკრეტულ მოქმედებათა კომპლექსს ეფუძნება, რომელთა მეშვეობითაც ორგანიზაციის მენეჯმენტი აპირებს უზრუნველყოს ეფექტიანი საქმიანობა. სტრატეგიული მენეჯმენტი უფრო მეტია, ვიდრე გარკვეული წესების თანმიმდევრობა, ის უნდა მოიცავდეს მართვის თითოეულ რგოლს, მის შექმნაში უნდა მონაწილეობდეს კომპანიის ყველა დონის მენეჯერი და თითოეული თანამშრომ-

ლისთვის უნდა იყოს გასაგები, ყველა თანამშრომელი უნდა აცნობიერებდეს, რომ სტრატეგიული მართვა არის მეთოდების, პროცესებისა და გადაწყვეტილებების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზაციის რესურსების მართვას ერთი დასახული მიზნისკენ და უზრუნველყოფს ამ სვლის ეფექტურობასა და პროდუქტიულობას. სტრატეგიული მართვა არის სისტემა, რომელიც ორგანიზაციას აიძულებს იფიქროს, რა კონკრეტული სარგებლის მოტანა შეუძლია მას საზოგადოებისთვის, ეძებოს ახალი შესაძლებლობები, დაგეგმოს და განახორციელოს ეფექტური ქმედებები მათი რეალიზაციისთვის წინასწარ განსაზღვრული დანიშნულების ფარგლებში. ორგანიზაციის შექმნისას აუცილებელია განისაზღვროს ორგანიზაციის მიზანი. რთული, მაგრამ მიღწევადი მიზნები კომპანიას არ აძლევს მოღუნების, მერყეობის საშუალებას და უზრუნველყოფს ბალანსირებას ორგანიზაციაში. კომპანიაში არსებობს ორი ტიპის მიზანი: ფინანსური და სტრატეგიული. ფინანსური მიზნები – ეს დაგეგმილი ფინანსური მაჩვენებლებია. ფინანსური მიზანი აუცილებელია, რადგან ფინანსური რესურსების უკმარისობის გამო კომპანია შეიძლება, საერთოდ, ზრდისათვის აუცილებელი რესურსების გარეშე დარჩეს. სტრატეგიული მიზნები მიმართულია ბაზარზე კომპანიის კონკურენტული პოზიციების გამყარებისაკენ და ორიენტირებულია მთლიანად დარგში ზრდის მაღალ ტემპებზე, ასევე ბაზრის წილის ზრდაზე, კონკურენტებთან შედარებით პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, დანახარჯების დაბალი დონის უზრუნველყოფაზე, ფირმის რეპუტაციის გაუმჯობესებაზე [არტურ ა. ტომპსონი-უმც., ა. ჯ. სტრიკლენდი III, 2010: 47]. ასევე, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს თუ რას და ვის უნდა ემსახურებოდეს ორგანიზაცია და რა სარგებელს მიიღებს საზოგადოება მისი საქმიანობიდან. ამ განცხადებას ჩვეულებრივ ეწოდება ორგანიზაციის მისია. მისი არსი უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ფორმულირებული, სტიმულს უნდა აძლევდეს ერთი იდეით გაერთიანებულ ორგანიზაციის წევრებს; კომუნიკაციის საშუალებებით საზოგადოებაში უნდა გაიგოს თუ ვინ ქმნის ორგანიზაციას; დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ორგანიზაციის არსის მოკლე და დამაჯერებელი აღწერა. ასევე კომპანიას უნდა გააჩნდეს ხედვა. ხედვა არის, თუ როგორ წარმოვიდგინოთ ორგანიზაციის სასურველ მომავალს 10-20 წლის შემდეგ. არსებობს მკვეთრად გამოხატული სხვაობა მისიის ელემენტსა და ხედვას შორის, რაც მძლავრი, გრძელვადიანი სტრატეგიის ბირთვის წარმოადგენს. ხედვა არის მომავლის პერსპექტივა, ეს არის ორგანიზაციის მიერ არჩეული გზა, მომავალი. იგი წარმოადგენს ორგანიზაციის წარმოსახვის პროდუქტს, მისი ღირებულებებისა და რწმენის არსს, იმედებს. სტრატეგიული ხედვა მექანიზმია, რომელიც ქმნის პერსპექტივის მიღწევის შესაძლებლობას. ის ახალი რეალობის შექმნის საშუალებაა. თუ მისია წარმოადგენს ორგანიზაციის მიზანს, რომელიც აწმყოფა ორიენტირებული, ხედვა წარმოადგენს მომავალზე ორიენტირებულ კონტექსტს, მისიის გაგრძელებას. როგორც ამბობენ, „წარმოსახვა მართავს სამყაროს“. ვინც არსებულ რეალობას არ თვლის როგორც ფიქსირებულს და უცვლელს და მათ მიღმა იხედება, ცვლილებების ოსტატი ხდება. ბევრ ქარიზმატულ ლიდერს აქვს მომავლის ხედვა, მაგრამ ხედვის ფორმირება არ უნდა წარმოადგენდეს ერთი ქარიზმატული ლიდერის შთაგონებას, ფაქტობრივად, ორგანიზაცია, რომელიც ერთი ლიდერზე დამოკიდებული, დიდი რისკის ქვეშაა, რადგან ხედვა დასრულდება, როდესაც ლიდერი რაიმე მიზეზის გამო დატოვებს ორგანიზაციას (როტაციის, გადარჩევის, ავადმყოფობის ან გარდაცვალების მიზეზით). ერთი პირის შთაგონება შეიძლება არ იყოს ერთსულოვნად მიღებული მენეჯმენტის დანარჩენი წამომადგენლების მიერ. შესაძლოა ბრძენ ხელმძღვანელს გააჩნდეს მომავლის გარკვეული იდეები, მაგრამ იგი მხარს უნდა უჭერდეს იდეების გაცვლას, რათა ჩამოყალიბდეს საერთო ხედვა, წინსწრაფვა, რომელიც ყველას ეკუთვნის. ეს წინსწრაფვა იქნება გრძელვადიანი ორიენტირი მენეჯმენტის წევრთა შეცვლისას.

მიზნები პირობითად შეიძლება დავეყოთ რამდენიმე დონედ. უმაღლესი დონის მენეჯერები განსაზღვრავენ ორგანიზაციის იმ სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც ეხება კომპანიის მთლიანად განვითარებას. ეს მიზნები მოიცავს შემდეგ ძირითად სფეროს: ბაზარს; ახალი პროდუქციის შექმნასა და სიახლეების დანერგვას; ადამიანურ რესურსებს; საფინანსო რესურსებს; მატერიალურ რესურსებს; შრომის ნაყოფიერებას; სოციალურ პასუხსმგებლობას; მოგებას. საშუალო დონის მენეჯერები ადგენენ იმ ამოცანებს, რომლებიც ეხება ქვედანაყოფების საქმიანობას. ამდენად, სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად ისინი ქმნიან წინაპირობებს. ქვედა დონის მენეჯერები ადგენენ იმ ოპერატიულ ამოცანებს, რომლებიც ეხება ფირმის მიმდინარე საკითხების გადაწყვეტას. ისინი განსაზღვრავენ ორგანიზაციის ტაქტიკური და სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობებს. მიზანი არ წარმოადგენს შედეგს, არამედ ის არის შედეგის მიღწევის საშუალება. ამდენად, ცალკეულ დონეებზე დასმული მიზნების რეალიზაცია შეიძლება ყოველთვის აისახოს ორგანიზაციის მთავარ მიზანში. აქ აუცილებელია მიზნის რეალიზაციის კოორდინირება. ოპერატიული მიზნების რეალიზაცია უნდა პასუხობდეს ტაქტიკურ ამოცანებს და ეს უკანასკნელი – სტრატეგიულს.

სტრატეგიული გეგმები არის ორიენტირებული სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე. ისინი, როგორც წესი, განისაზღვრება ხანგრძლივი პერიოდით და მოიცავენ ორიდან ხუთ წლამდე პერი-

ოღს. ამ ტიპის გეგმებს დირექტორთა საბჭოსთან შეთანხმებით შეიმუშავებენ უმაღლესი დონის მენეჯერები.

ტაქტიკური გეგმები განხილულია ტაქტიკური მიზნების რეალიზაციისა და სტრატეგიული გეგმების მხარდაჭერაზე. მათ შეიმუშავებენ საშუალო დონის მენეჯერები დაბალი დონის მენეჯერებთან შეთანხმებით და წარუდგენენ მართვის უმაღლეს რგოლებს.

ოპერატიული გეგმები არის მიმართული ოპერატიული მიზნების რეალიზაციისა და ტაქტიკური გეგმების მხარდაჭერაზე. ოპერატიული გეგმები მოიცავს ერთ წლამდე პერიოდს. მათ შეიმუშავებენ უმაღლესი დონის მენეჯერები საშუალო დონის მენეჯერებთან შეთანხმებით.

ძირითადი სტრატეგია განსაზღვრავს გადასაჭრელი სტრატეგიული ამოცანების შინაარსსა და პრიორიტეტულობას. ყველა ადამიანისა თუ ორგანიზაციისთვის არსებობს რთული და შედარებით ნაკლებად რთული ამოცანები. ერთი ადამიანისთვის რთული ამოცანა შესაძლოა მეორისთვის მარტივი იყოს და პირიქით, მაგრამ ყველასთვის არსებობს ისეთი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაც ერთი შეტევით, მარტივად ვერ ხერხდება, რომელსაც დაჯდომა და დაფიქრება სჭირდება – გზების გააზრება, სტრატეგიების არჩევა და უფრო დეტალური დაგეგმვა, ვიდრე ეს მარტივი ამოცანების შემთხვევაში არის საჭირო. ასეთი ამოცანების გადაწყვეტის გზების მოფიქრებისთვის მნიშვნელოვანია მეთოდების შემუშავება და მათი განხორციელება.

ნებისმიერი სირთულის ამოცანის გადასაწყვეტად სამი ეტაპის გავლაა საჭირო: სტრატეგიის დანერგვა; ძლიერი იდეების მოფიქრება; დეტალური გეგმის შემუშავება.

კომპანიაში სტრატეგიის რამდენიმე ვარიანტი შეიძლება იყოს შემუშავებული, მაგრამ მათ შორის არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, არსებობს ერთი ყველაზე სწორი. მის ზუსტად ამორჩევაზე ბევრი რამეა დამოკიდებული. რამდენად სწორად იქნება აქცენტი გაკეთებული; რამდენად იქნება სწორად განაწილებული რესურსები; რამდენად ადეკვატური იქნება ძალისხმევა, ხშირ შემთხვევაში სწორედ ძირითად სტრატეგიის შერჩევაზეა დამოკიდებული. სტრატეგიის ძიება მიზნის განსაზღვრით იწყება. სწორედ მიზნის მკაფიო ცხადი ფორმულირება არის მთავარი სასტრატეგო წერტილი ამ პროცესში.

მნიშვნელოვანია, მიზანი დაიწეროს, ვინაიდან თავში გავლილი აზრების ვერც გააზრებაა ადვილი, ვერც სხვებისთვის ჩვენება და ვერც კარგი განხილვა ვინმესთან. ეს პროცესი კიდევ უფრო ნათელს გახდის ამოცანას და შესაბამისად უფრო ადვილად დაძლეველს გახდის მას. ამოცანის არსის კარგი გააზრება და მიზნის მკაფიოდ ჩამოყალიბება მისი გადაწყვეტის გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთია.

სამწუხაროდ, ადამიანები ხშირად სათანადოდ არ აფასებენ ამ ეტაპის მნიშვნელობას და, როგორც წესი, პირდაპირ გზების დამუშავებაზე გადადიან, რაც მოფიქრების შანსებს ამცირებს, მუშაობის ვადებსაც ზრდის და ამ მუშაობის პროცესში კამათის და უნაყოფო მსჯელობის ალბათობასაც.

მეორე ეტაპია ამოცანის დაშლა შედარებით პატარა ამოცანებად და მისი სირთულის მიხედვით დაყვანა თითოეულ რგოლამდე. პატარა ამოცანებს შორის პრიორიტეტების და აქცენტების სწორად გაკეთება სტრატეგიის ფორმირების დასკვნითი და, ამასთანავე, ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპია. ამ დონეზე დაშვებულმა შეცდომამ ყველაზე მეტად შეიძლება წარუმატებლობა გამოიწვიოს, ვინაიდან სწორედ აქ წყდება ქვეამოცანების რომელ ნაწილზე ზემოქმედება იძლევა ყველაზე მაქსიმალური შედეგის მიღწევის შესაძლებლობას. სამწუხაროდ, კომპანიის რესურსები შეზღუდულია, ყველაფერზე ერთდროულად და ერთნაირი ხარისხით ზემოქმედება შეუძლებელია, ამიტომ არჩევანის გაკეთება გვიწევს თუ რომელი ქვეამოცანა უნდა გადაიტარას პირველ რიგში საუკეთესო შედეგის მისაღებად.

სწორი სტრატეგიის დამუშავება, რომელიც მიზნის ცხადი ფორმულირებით, დიდი ქვეამოცანებად დაშლით და მათ შორის პრიორიტეტების სწორად განაწილებით მიიღწევა, დიდი ამოცანების გადაწყვეტის პირველი და უმნიშვნელოვანესი ეტაპია, თუმცა ხშირად არაა საკმარისი, ვინაიდან სწორად განსაზღვრული ქვეამოცანები ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მათ ეფექტურად გადაწყვეტას შევძლებთ. ამისათვის ასევე კარგი იდეების მოფიქრებაა საჭირო. რთული ამოცანების გადაწყვეტა მათზე მომუშავე ადამიანებისაგან ითხოვს როგორც სისტემური, სტრუქტურული აზროვნების უნარს (განსაკუთრებით სტრატეგიის ფორმირების ნაწილში), ისე შემოქმედებითი აზროვნების უნარს (განხორციელების, იდეების და დახვეწის ნაწილში) და სკურპულოზური მუშაობის უნარს, დეტალური სამოქმედო გეგმის შემუშავების ნაწილში. ამ სამი უნარის გარეშე ძნელია კარგი გზების დამუშავება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იდეების მაქსიმალური სიმრავლე და მრავალფეროვნება, მათ შორის ყველაზე ეფექტურის სწორად შერჩევა და მათი შემდგომი დახვეწა-დეტალიზაცია. იდეების მრავალფეროვნებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს „ფიქსირებული რაოდენობის პრინციპი“, ანუ წინასწარ განისაზღვროს რა რაოდენობის იდეაა საჭირო ამა თუ იმ ამოცანის გადასაჭრელად. იდეების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ამა თუ იმ ქვეამოცანის გადასაჭრელად რამდენად

ორიგინალური და საინტერესო გზის გამოძებნაა საჭირო. გენერაციის შემდეგ ხდება იდეების გადარჩევა. იდეების გენერაცია შერჩეული იდეების დეტალური დამუშავებით მთავრდება, სადაც თითოეულისათვის ცალ-ცალკე განისაზღვრება რაში მდგომარეობს იდეის არსი, რაზე მოახდენს ის ყველაზე მეტად გავლენას და ა. შ.

ყველაზე სწორი სტრატეგია და ძალიან ძლიერი იდეებიც კი შეიძლება ვერ განხორციელდეს თუ მათ ნიუანსების დონეზე დეტალურად დამუშავებული სამოქმედო გეგმა არ ახლავს თან. დეტალური სამოქმედო გეგმაზე მუშაობისას მნიშვნელოვანია: მოქმედების სწორი თანმიმდევრობის განსაზღვრა; მოსალოდნელი საფრთხეების რისკების გამოვლენა და პრევენციისათვის საჭირო მოქმედების გათვალისწინება სამოქმედო გეგმაში; გეგმის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების, პირობების, მხარდაჭერის, ასევე სხვა საჭიროებების გამოვლენა და გათვალისწინება.

სიტუაციური ანალიზი ეხმარება ორგანიზაციას, დაინახოს განსხვავება არსებულ და სასურველ რეალობას შორის იმისთვის, რომ განსაზღვროს მოკლევადიანი ტაქტიკური ამოცანები. ყველა ორგანიზაცია ფუნქციონირებს განსაზღვრულ გარემოში, რომლის კომპონენტებიც მასთან მჭიდროდ ურთიერთქმედებს. ამასთან, ორგანიზაციის მენეჯმენტს არ ძალუძს გარემოს ფაქტორთა ზემოქმედების თავიდან აცილება – ამ ფაქტორთა გათვალისწინებით მისი საქმიანობა შეძლებისდაგვარად უნდა მიესადაგოს გარემო პირობებს. გარემო არ გამოირჩევა მდგრადობით: ცვალებადობა და განუსაზღვრელობა ართულებს ზემოქმედებისადმი ადეკვატური ზომების გატარებას და ამცირებს შინაგანი სტაბილიზაციის შესაძლებლობებს. ამიტომაც, მენეჯერთა საქმიანობაში მნიშვნელოვანია გარემოს სირთულისა და ფაქტორთა ურთიერთკავშირის განსაზღვრა, მისი ზემოქმედების ზუსტად შეფასება. ნებისმიერი კომპანიის საბოლოო მიზანია მოგების მიღება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს პენრი ფორდის სიტყვები „მოგება წარმოადგენს სასარგებლო საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებულ ჯილდოს“, თუ კომპანია ვერ შეძლებს სასარგებლო საქმიანობის განხორციელებას, შესაბამისად ვერ მიიღებს მოგებას, რომელიც კომპანიის მიერ დაგეგმილი მომავალი საქმიანობის წარმატებით განხორციელებასთან უშუალოდ კავშირშია: „თუ თქვენ წარუმატებლად დაგეგმავთ ... თქვენ დაგეგმავთ წარუმატებლობას“. ორგანიზაციის გამართული ფუნქციონირებისთვის ბევრნაირი გეგმებია საჭირო, ასევე საჭიროა მათი სწორი დაკავშირება. საჭიროა რომ ისინი ერთი დიდი გეგმის ნაწილები იყვნენ და ერთი მთავარი მიზნის მიღწევას ემსახურებოდეს. ამ შემთხვევაში გეგმები ორგანიზაციის რესურსების ყველაზე ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ფუნქციონალური გეგმები ასახავს თითოეული სტრუქტურული ერთეულის როლს და სამოქმედო გეგმას დასახული მიზნების მისაღწევად, მათთვის საჭირო რესურსებს და მხარდაჭერას მენეჯმენტისა და სხვა სტრუქტურული ერთეულებისაგან.

სტრატეგიული მენეჯმენტის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონტროლის და მონიტორინგის მექანიზმის გამოყენებას. კონტროლი ორგანიზაციას საშუალებას აძლევს, აკონტროლოს დაგეგმილი მოქმედების შესრულების მიმდინარეობა; დროულად გამოავლინოს გადახრები; გაანალიზოს მისი გამოწვევი მიზეზები და მოახდინოს ადეკვატური რეაგირება მდგომარეობის გამოსასწორებლად. კონტროლი განიხილება, როგორც მართვის ერთ-ერთი ადმინისტრაციული მოღვაწეობის დასრულებული პროცესი, რომელიც უწყვეტ კავშირშია მართვის ისეთ ელემენტებთან, როგორცაა: დაგეგმვა, ორგანიზაციული საქმიანობა, რესურსთა განაწილება, ხალხის მოქმედების უშუალო ხელმძღვანელობა და ცვლილებათა და კორექტივების დროულად შეტანა ამ პროცესში. კონტროლი აუცილოებელია ყველა დონის მმართველებისათვის – ფირმის პრეზიდენტებიდან დაწყებული, უბნის და საამქროს ოსტატით დამთავრებული. რამდენიმე ათეული წლით ადრე, ფაიოლმა ზუსტი განმარტება მისცა კონტროლის ფუნქციას: „კონტროლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გადამოწმდეს თუ როგორ შესაბამისობაში სრულდება ის, რაც დაგეგმილია, რასაც ითვალისწინებს განმტკიცებული ინსტრუქციები და მიღებული პრინციპები. კონტროლის მიზანია, გამოავლინოს სუსტი მხარეები და შეცდომები, რათა დროულად აღმოფხვრას, შესწორდეს და არ დაიშვას მათი განმეორება. კონტროლს ექვემდებარება ყოველივე საგნები, ხალხი და მათი მოქმედება“ [შინაშვილი გ., რუსიძე კ., 2010: 68].

თანამედროვე ორგანიზაციებში განსაზღვრავენ ორი სახის კონტროლს – ოპერატიულს, რომელსაც ხშირად მოიხსენებენ, როგორც ადმინისტრაციულს ან ტაქტიკურს და მართვით კონტროლს ანუ სტრატეგიულს.

ოპერატიული ანუ მართვითი კონტროლის ამოცანას კი ორგანიზაციის მიზანთან მიღწევისას რესურსების მაღალეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა წარმოადგენს. კონკრეტული სფეროს მიუხედავად, კონტროლის პროცესი შეიცავს სამ ეტაპს:

1. სათანადო ნორმატივების ჩამოყალიბებას.
2. ფაქტობრივად მიღებული შედეგების შედარებას ნორმატიულთან.
3. გადახრათა კორექტირებას მიღებული გეგმებისა და ნორმატივების შესაბამისად.

მმართველთა შრომის გამარტივების მიზნით და კონტროლის ეფექტიანობის ასამაღლებლად ორგანიზაციათა სისტემაში აყალიბებენ ნორმატივთა სისტემას. ეს ნორმატივები წარმოადგენს

შრომის ეფექტიანობის კრიტერიუმებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ყველა სახის საქმიანობაზე წარმოდგენილია ზუსტი ნორმატივების ჩამოყალიბება. მაგალითად, ფინანსურ საკითხებში ძნელად ექვემდებარება ზუსტ კონტროლს ფირმის ვიცე-პრეზიდენტის ყოველდღიური მოღვაწეობა ან დირექტორის საქმიანობა, ამ ხელმძღვანელთა (მმართველთა) შრომის ეფექტიანობის შესაფასებლად გამოიყენება მიახლოებით ზოგადი ნორმატივები და შეფასებები, როგორცაა ფირმის ფინანსური კეთილდღეობა და საიმედოობა, მათი პირადი ენთუზიაზმი, ხელქვეითთა ინდივიდუალობა და სხვა.

ამრიგად, კომპანიის წარმატებული საქმიანობისთვის აუცილებელია სწორად ჩამოყალიბებული სტრატეგიის არსებობა. გრძელვადიანი პერიოდის წინასწარი განსაზღვრა დაეხმარება კომპანიას, მუდმივად ცვალებად მოთხოვნილებებს აუწყოს ფეხი, მონიტორინგის საშუალებით მოახდინოს არსებული სიტუაციის ზუსტი ანალიზი, დროულად გამოავლინოს და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შეიტანოს სტრატეგიულ გეგმაში დასახული მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1 არტურ ა. ტომპსონი-უმც., ა. ჯ. სტრიკლენდი III. სტრატეგიული მენეჯმენტი, საქართველო, 2010.
2. ბარათაშვილი ე., გაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გეზბაია ბ., მესხიშვილი დ., თანამედროვე ბიზნესის სტრატეგიები, თბ., 2011.
3. შისაშვილი გ., რუსიძე კ., მენეჯმენტი, თბილისი, 2010.
4. Gareth R, Jones, introduction to Business, McGraw-Hill, Texas A&M University, 2010.
5. www.mbaskool.com
6. www.investopedia.com
7. https://en.m.wikipedia.org
8. www.open2study.com
9. www.strategicmanagementinsight.com
10. www.managementstudyguide.com
11. www.strategymanage.com
12. www.strategic-planet.com
- 13 .www.searchio.techtarget.com

Fati Shengelia

THE ROLE OF STRATEGIC MANAGEMENT IN COMPANY'S ACTIVITY

Summary

Strategic Management is one of the most important „hard skills“ in business management. Strategic management is the continuous planning, monitoring, analysis and assessment of all that is necessary for an organization to meet its goals and objectives. Strategic management involves the formulation and implementation of the major goals and initiatives taken by a company's top management on behalf of owners, based on consideration of resources and assessment of the internal and external environments in which the organization competes. The strategic management process is more than just a set of rules to follow. It is a philosophical approach to business. The five stages of the process are goal-setting, analysis, strategy formation, strategy implementation and strategy monitoring.

მანანა ხარხელი

კონფლიქტების ეფექტიანი მართვა ორგანიზაციაში

ანოტაცია. ნებისმიერ ორგანიზაციაში შეიძლება შეეხვედეთ სხვადასხვა სახის კონფლიქტს, რომელიც სათანადო დონეზე არ არის მართული მენეჯმენტის მხრიდან, რაც იწვევს თანამშრომელთა დროისა და ენერჯის არაპროდუქტიულ დანაკარგს. მოცემულ ნაშრომში გამოკვლეულია ის, თუ რა არის ორგანიზაციული კონფლიქტი, რა შეიძლება იყოს მისი გამომწვევი მიზეზები, როგორ შეიძლება კონფლიქტების გადაწყვეტა და რისი გათვალისწინება არის მნიშვნელოვანი აღნიშნულ პროცესში. კვლევა ატარებს თეორიულ ხასიათს.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, მიზეზი, ორგანიზაცია, მართვა

შესავალი

ნებისმიერ ორგანიზაციაში შეიძლება შეეხვედეთ მრავალი სხვადასხვა მიზეზით გამოწვეულ კონფლიქტს. რაც განპირობებული შეიძლება იყოს. არაერთი კვლევაა მიძღვნილი მოცემული

თემისთვის, რაც განპირობებულია კონფლიქტის ყოველმომცველი ხასიათით. კონფლიქტი – ეს არის პროცესი, სადაც ორი ან მეტი მხარის ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. კონფლიქტი ჩვენს წარმოდგენაში შეიძლება ასოცირდებოდეს ნეგატივთან, არამეგობრულ სიტყვებთან და ოპოზიციასთან, თუმცა სინამდვილეში, ეს კონფლიქტის პროცესის მხოლოდ მცირე ნაწილია [Mashanne and Glinow, 2008]. ჩვენი მიზანია იმის გამოკვლევა, თუ რა იწვევს კონფლიქტს, რა მიდგომები არსებობს კონფლიქტების ეფექტიანად გადაჭრისთვის და რა სიტუაციაში რომელი სტრატეგიის თუ ინსტრუმენტების გამოყენება არის მეტად ეფექტიანი.

ცნების განსაზღვრება და ხედვები კონფლიქტებზე

როგორც ზემოთ ვახსენეთ, კონფლიქტი ენდემურია და სოციალური ცხოვრების განუყრელი ნაწილია. მრავალი მკვლევარის ინტერესის საგანი იყო კონფლიქტი, რამაც გამოიწვია მისი ერთმანეთისგან განსხვავებული განმარტებების ჩამოყალიბება. არ არსებობს კონფლიქტის ყოველმომცველი ან შეთანხმებული განსაზღვრება. მისი განმარტება რთულია, რადგან რთულია, მივიღეთ კონსენსუსამდე იმასთან დაკავშირებით თუ რას წარმოადგენს კონფლიქტი [Borisoff and Victor, 1998].

ჩვენ შევეცადეთ გამოგვეკვლია განსაზღვრებები კონფლიქტების შესახებ, რათა ჩამოგვეყალიბებინა კომპლექსური ხედვა კონფლიქტებთან მიმართებით.

ლევის კოსერის განმარტების შესაბამისად, კონფლიქტი – ეს არის „მდგომარეობა, სადაც ხდება ღირებულებებისა და ინტერესების შეჯახება, რაც გამოწვეულია მონაწილეთა ხედვით „რა არის“ და „რა უნდა იყოს“ [Coser, L.A., 1956]. ჯ. ბერკოვიჩი განმარტავს კონფლიქტს, როგორც სიტუაციას, სადაც წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან მონაწილეთა ღირებულებები და მიზნები [Jacob Bercovitch, 2011]. კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვეს ასევე კოლეგის მიერ ნათქვამი ფრაზის არასწორი ინტერპრეტაციითაც, როგორც კ. ტიდველი აღნიშნავს, კონფლიქტი არ წარმოიშვება მხოლოდ მაშინ, როცა იკვეთება სხვადასხვა მხარის ღირებულებები ან საჭიროებები. მასთან მაშინაც გვაქვს საქმე, როდესაც რომელიმე მხარე მას ასეთად აღიქვამს [Tidwell, 1998].

ჰ.ტომასის განსაზღვრების შესაბამისად, კონფლიქტი – ეს არის ადამიანისა და ჯგუფების ბუნებრივი შეუთანხმებლობა, რომელიც გამოწვეულია დამოკიდებულებების, რწმენის, ღირებულებებისა და საჭიროებების განსხვავებულობით [Thomas, 2005].

ს. რობინსის განმარტებით, კონფლიქტი – ეს არის ნებისმიერი სახის ოპოზიციური ხასიათის ან ანტაგონისტური ინტერაქცია ორ ან მეტ მხარეს შორის [Robbins P. Stephen, 1978].

საბოლოო ჯამში, კონფლიქტების სხვადასხვა განსაზღვრებებს თუ გავაანალიზებთ, შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტი – ეს არის პროცესი, როდესაც იკვეთება ორი ან მეტი მხარის ინტერესი, ამასთან, კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს დამოკიდებულებების, რწმენის, ღირებულებების, საჭიროებების ან რესურსების განაწილების შესახებ ხედვების შეუთავსებლობა. კონფლიქტის მონაწილე მხარეები, იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები (ანუ ემოციური არსებები) არიან, შეიძლება გამოწვეული იყოს მეორე მხარის არასწორი ინტერპრეტაციითაც.

კონფლიქტის პროცესის უკეთ მართვისთვის მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნეს ხედვები კონფლიქტებთან მიმართებით, რომელიც იცვლებოდა მეოცე საუკუნეში. სულ არსებობს სამი ხედვა კონფლიქტებთან მიმართებით, ესენია: ტრადიციული ხედვა, ადამიანურ ურთიერთობებზე დაფუძნებული ხედვა და ინტერაქციული ხედვა.

ტრადიციული ხედვის შესაბამისად (1930 – 1940) კონფლიქტი განიხილება, როგორც ნეგატიური მოვლენა, რომელიც მაქსიმალურად სწრაფად და დასაწყისშივე უნდა აღმოფხვრას, რადგან ჯგუფში ნეგატიურ ურთიერთობებს აყალიბებს. მოცემული ხედვის შესაბამისად, ნებისმიერი კონფლიქტი, როგორც არ უნდა იყოს ის, ნეგატიურია და საჭიროებს აღმოფხვრას, ამასთან, მისი აღმოფხვრა შეუძლია მხოლოდ ტოპმენეჯმენტს.

ადამიანურ ურთიერთობებზე დაფუძნებული ხედვა ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის 40 – 70-იან წლებში და, მის შესაბამისად, კონფლიქტები წარმოადგენს ადამიანურ ურთიერთობების ბუნებრივ ნაწილს და ვერც ერთ ორგანიზაციაში, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდება მისი სრულად აღმოფხვრა. ადამიანური ურთიერთობების სკოლის ხედვის შესაბამისად, კონფლიქტს შეუძლია გარკვეული სარგებელი მოუტანოს კომპანიას [Robbins, S. (2005). *Organizational Behavior: New Jersey: Prentice Hall*], რადგან იძლევა საშუალებას, კონფლიქტის საგანი უფრო შემოქმედებითი გზით გადაიჭრას [Leung, 2010]

ინტერაქციული ხედვის შესაბამისად, კონფლიქტი არა მხოლოდ პოზიტიური, არამედ აუცილებელი მოვლენაცაა ინდივიდის მიერ თავის ეფექტიანად წარმოსაჩენად. კონფლიქტის

გადაჭრა თავის თავში მოიაზრებს პროცესებისა და პროცედურების ეფექტიანობის გაუმჯობესებას პროდუქტიულობისა და ინოვაციური მიდგომის საშუალებით [Robbins, S.P., 2003].

ჩვენი აზრით, მენეჯმენტის დამოკიდებულება ორგანიზაციაში წარმოქმნილი კონფლიქტის მიმართ უნდა იყოს ოპერატიული, მუდმივად უნდა აკვირდებოდეს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებს და წარმოშობილ კონფლიქტებს, რადგან დროზე შეძლოს რეაგირების მოხდენა, შედეგად კი, ნეგატიურზე მეტი დადებითი შედეგი მოიტანოს ორგანიზაციულმა კონფლიქტმა.

კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, მახასიათებლები და გადაჭრის გზები

იმისთვის, რომ კომპანიის მენეჯმენტმა შეძლოს კონფლიქტების ეფექტიანად მართვა და კომპანიისთვის სასარგებლო მიმართულების მიცემა, მონაწილე მხარეებისთვის აუცილებელია პირველ რიგში კარგად გაერკვეს მის გამომწვევს მიზეზებში. სწორედ ამიტომ, არაერთი კვლევა ჩატარდა მოცემული მიმართულებით, კერძოდ კი იმისთვის, რომ დადგენილიყო რა არის კონფლიქტის გამომწვევი ყველაზე გავრცელებული მიზეზები.

კონფლიქტის მიზეზები ორგანიზაციაში შეიძლება განპირობებული იყოს სტრუქტურული ან პერსონალური მიზეზებით [Bernard Oladosu Omisore, 2014, 126].


სტრუქტურული მიზეზები შეიძლება იყოს შემდეგი: ა) სპეციალიზაცია. კომპანიაში დასაქმებული ადამიანები თავიანთი საქმის სპეციალისტები არიან სხვადასხვა მიმართულებით, სრულყოფილად არ ფლობენ ინფორმაციას სხვა თანამშრომლების შესასრულებელი საქმის შესახებ. ეს შეიძლება გახდეს კონფლიქტის მიზეზი, რადგან რომელიმე მხარის მიერ მეორე მხარისთვის წაყენებული მოთხოვნა შესასრულებელი საქმის ვადასთან მიმართებით იყოს არარეალური და კონფლიქტის მასტიმულირებელი; ბ) საერთო რესურსები. მუშა პროცესში, კომპანიის სხვადასხვა თანამშრომელს ესაჭიროება საზიარო რესურსების გამოყენება, რაც შეიძლება გახდეს კონფლიქტის მიზეზი, გამომდინარე რესურსების შეზღუდულობიდან და თანამშრომელთა განსხვავებული ხედვიდან, თუ როგორია მისი სამართლიანი გადანაწილება; გ) მიზანთა შეუთანხმებლობა. ძალიან ხშირად, შესაძლოა კომპანიაში აღმოჩნდეს სიტუაცია, როცა სხვადასხვა დეპარტამენტს ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფი მიზნები აქვს დასახული (ასე მაგალითად, გაყიდვების დეპარტამენტის თანამშრომლის მიზნები შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს საწარმოო განყოფილების მიზნებთან); დ) ურთიერთდამოკიდებულება. როგორც პრაქტიკა ამბობს, კონფლიქტის აღბათობა იზრდება ერთ დავალებაში ორი ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების ზრდასთან ერთად. მკვლევარების ხედვით ეს განპირობებულია იმით, რომ პრაქტიკაში, საქმის არგამოსვლის შემთხვევაში „ხელის გაშვერა“ ხდება ერთმანეთის მიმართულებით; ე) როლი და მოლოდინები. ნებისმიერ თანამშრომელს აქვს კომპანიაში ერთი ან რამდენი როლი. როლი მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორც არის თანამდებობის დასახელება, ვალდებულებები, ფუნქცია-მოვალეობები, შეთანხმება თანამშრომელს და ორგანიზაციას შორის. იმ შემთხვევაში, თუ მენეჯმენტის მხრიდან არ არის მკაფიოდ განსაზღვრული კონკრეტულად ვის რა ევალება, ეს შეიძლება გახდეს გაურკვევლობისა და კონფლიქტის საფუძველი კადრებში [Whitlam & Cameron, 2012].

დ. კატცის კვლევის შესაბამისად, კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს: ა) სტრუქტურული მიზეზები (კონფლიქტი, გამოწვეული მენეჯერების განსხვავებული ხედვიდან, სხვადასხვა დანაყოფების ფუნქცია-მოვალეობებთან მიმართებით). ბ) როლებით გამოწვეული კონფლიქტი გ) რესურსების განაწილებით გამოწვეული კონფლიქტები [D. Katz, 1964].

ს. რობინსის კვლევებმა აჩვენა, რომ კონფლიქტის გამომწვევის მიზეზები შეიძლება იყოს: ა) კომუნიკაციური (კონფლიქტები გამოწვეული ერთმანეთის გაუგებრობიდან); ბ) სტრუქტურული; გ) პერსონალური [S.P. Robbins, 1974].

ძირითადად, როგორც ჩატარებული პრაქტიკული კვლევები ამბობს, კონფლიქტის მიზეზები შეიძლება იყოს: სტრუქტურული ხასიათის, პერსონალური მიზეზებით (ღირებულებების, ფასეულობების, ხედვების შეუთანხმებლობით) განპირობებული, რესურსების განაწილების არასამართლიანად აღქმის და არაეფექტიანი კომუნიკაციით გამოწვეული.

კონფლიქტების ეფექტიანად მართვისთვის მენეჯერს კარგად უნდა ესმოდეს კონფლიქტების ესკალაციური ხასიათი. ეს მას დაეხმარება კონფლიქტის სიმძაფრის ამოცნობაში და მისი (მენეჯერის) ზემოქმედებაც იქნება ადეკვატური და სიტუაციის შესაბამისი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება კონფლიქტი განვითარდეს ისეთი მიმართულებით, რომელიც, ნეგატიურის გარდა, არანაირ შედეგ არ მოიტანას. დანიის კონფლიქტის ცენტრის მიერ გამოყოფილია კონფლიქტის ესკალაციის შემდეგი საფეხურები (დიაგრამა 1).



**დიაგრამა 1. კონფლიქტის ესკალაცია
(კონფლიქტების გადაჭრის დანიის ცენტრი)**

როგორც დიაგრამაზე ჩანს, კონფლიქტური სიტუაციის დაწყების პირველი საფეხური არის შეუთანხმებლობა. შეუთანხმებლობის წარმოშობა თავისთავად არ გულისხმობს, რომ კონფლიქტი აუცილებლად განვითარდება. ამ ეტაპზე შეთანხმების შემთხვევაში, პროცესის გადაზრდა არ მოხდება კონფლიქტში, მაგრამ ხშირად სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო გადაჭრის ნაცვლად ღრმავდება დაპირისპირება, რასაც მოსდევს პრობლემის პერსონიფიცირება, რაც თავდაცვის პოზიციაში აყენებს მეორე მხარეს და ძალაუნებურად იწვევს სიტუაციის დამატებით ესკალაციას პროცესის. თავის მხრივ სიტუაციის დამძიმებისას ხდება პრობლემის განზოგადება და „მივიწყებული“ ფაქტების წამოწევა და „გახსნება“. შემდეგ საფეხურზე უკვე მხარეები ერთმანეთს „ადარც“ უსმენენ და წყდება საუბარი, რაც ძალიან ამცირებს პრობლემის მოგვარების შანსებს, რადგან ჯანსაღი კომუნიკაციის გარეშე პრობლემის გადაჭრა რთულია. აქვე საჭიროა ხაზი გაესვას იმას, რომ საუბრის შეწყვეტა კარგია იმ შემთხვევაში, თუ მხარეები გადაწყვეტენ ემოციურად დაწინარებას და ამიტომ შეწყვეტენ საუბარს და არა იმიტომ, რომ კონფლიქტის შემდეგ საფეხურზე გადაინაცვლონ, ანუ „მტრის ხატის შექმნის ეტაპზე“, რომელსაც უკვე ღია დაპირისპირება, შეურაცხყოფა და ძალიან დიდი ნეგატივი და უაზრო დიდი ენერჯის ფლანგვა მოჰყვება. კონფლიქტის ბოლო ეტაპზე უკვე შეუძლებელი ხდება ერთად თანაცხოვრება ან მუშაობა კონფლიქტის მონაწილე მხარეებისთვის და მუშაობს პრინციპი „ან ჩვენ, ან ისინი“.

ძალიან მნიშვნელოვანია, მენეჯმენტი აკვირდებოდეს კონფლიქტის მიმდინარეობის პროცესს, არ დაუშვას, კონფლიქტმა მიიღოს დესტრუქციული ხასიათი და ჰქონდეს დამატებითი სტიმული კადრების გაზრდისთვის. საკითხს, თუ როგორ უნდა განახორციელოს კონფლიქტების მართვა მენეჯმენტმა და რა ქმედებები განახორციელოს, არის საკმაოდ რთული და კომპლექსური და ალბათ ამიტომაც მრავალი ნაშრომი მიძღვნილი მოცემულ საკითხზე. მეცნიერების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით განსაზღვრულია კონფლიქტების გადაჭრის შემდეგი საფეხურები [Bernard Oladosu Omisore, 2014, 129]:

1. მოხდეს იდენტიფიცირება კონფლიქტის ელემენტების, ემოციების, ქცევებისა და კოორდინაციის.
2. ტრანსფორმაცია: მოხდეს კონფლიქტის მიმართულების შეცვლა და კონფლიქტის მონაწილე მხარეების სრულყოფილად ჩაყენება საქმის კურსში კონფლიქტის ელემენტების შესახებ
3. გადაწყვეტა: კონფლიქტის ელემენტების იმგვარად შეცვლა, რომ შესაძლებელი გახდეს კონფლიქტის მიმართულების ტრანსფორმაცია, რაც კონფლიქტის გადაწყვეტის საფუძველი გახდება.

კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესში მნიშვნელოვანია:

- კონფლიქტის მონაწილე მხარეების პატივისცემა [Bodtker & Jameson, 2001];
- კონფლიქტის მონაწილე მხარეებისთვის გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობის მიღების უფლების მიცემა [Hughes, 1993];
- მოვლენათა განვითარებასთან დაკავშირებით მონაწილეთა ხედვების და პერსპექტივების პატივისცემა [Kazan & Ergin, 1999; Bodtker & Jameson, 2001];
- სამართლიანობა [Bernard Oladosu Omisore, 2014, 129];
- არა ძალადობრივი გადაწყვეტა კონფლიქტის, ტრანსფორმაცია კონფლიქტში ჩართული ინდივიდებისა და სოციუმის [Bodtker & Jameson, 2001].

დასკვნა

კონფლიქტი წარმოადგენს განუყრელ ნაწილს ნებისმიერი სოციალური გაერთიანების და მათ შორის ორგანიზაციისთვისაც. ყოველისმომცველი ხასიათის გამო არსებობს მისი მრავალი განსაზღვრება, თუმცა შემაჯამებელი სახით რომ წარმოვადგინოთ, კონფლიქტი – ეს არის პროცესი, რომლის დროსაც იკვეთება მისი მონაწილე მხარეების ინტერესები, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს: რწმენის, ღირებულებების, საჭიროებების ან რესურსების გადანაწილების შესახებ ხედვების შეუთავსებლობასთან. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ კონფლიქტის მონაწილეები ადამიანების არიან გარკვეული სტრუქტურითა და დამოკიდებულებებით, კონფლიქტის მიზეზი შეიძლება იყოს არასწორი ინტერპრეტაციაც. კონფლიქტები შეიძლება გამოწვეული იყოს: სტრუქტურული მიზეზებით, პერსონალური მიზეზებით, რესურსების განაწილების შესახებ განსხვავებული ხედვით და არაეფექტიანი კომუნიკაციით. კონფლიქტი თავისთავად არ წარმოადგენს ნეგატიურ მოვლენას ეფექტიანი მართვის შემთხვევაში, რაზეც საუბარი იყო მოცემულ ნაშრომში. კონფლიქტი შეიძლება გახდეს ინოვაციური მიდგომისა და პროდუქტიულობის ამაღლების სტიმულატორი, თუმცა მენეჯმენტის მხრიდან არასაკმარისი ყურადღების დათმობის შემთხვევაში კონფლიქტი შეიძლება გახდეს საკმაოდ ბევრი ნეგატიური მოვლენის მასტიმულირებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Amason, A.C. (1996), Distinguishing the Effects of Functional and Dysfunctional Conflict on Strategies Decision-making: Resolving a Paradox for Top Management Groups. *Academy of Management Journal*, 39, 123-148.
2. Aritzeta, A., Ayestaran, S. and Swailes, S. (2005) „Team role preference and conflict management styles“, *The International Journal of Conflict Management*, 16 (2), pp. 157-182
3. <http://nuweb.northumbria.ac.uk/library/norapowersearch/index.html> (Accessed: 21 of January 2011).
4. Berg, B. (2009) *Qualitative research methods: For social sciences*. Boston: Pearson Education
5. Boddy, D. (2002) *Managing Projects*. Edinburgh Gate: Pearson Education.
6. J. Bercovitch, (1992) *Conflict and Conflict Management in Organizations: A Framework for Analysis*, 117
7. Bodtker, A.M. and Jameson, J.K. (2001) „Emotion in conflict formation and its transformation: application to organizational conflict management“, *The International Journal of Conflict Management*, 12 (3), pp. 259-275 [Online] Available at:
8. Babyegaya, E. (2002). *Educational Planning and Administration*. Dar es Salaam: Open University of Tanzania: Pg 220-221. ,
9. Barki, Hahartwick, J. (2004). *Conceptualizing the Construct of Interpersonal Conflict*. *International Journal of Conflict Management* 15 (3), 244.
10. Borisoff, D. & Victor, D.A. ., (1998) *Conflict Management: A Communication Skills Approach*. Needham Heights: Allyn & Bacon, A Viacom Company. 78-80
11. Brett, J.M. (2007). *Negotiating globally: How to Negotiate Deals, Resolve Disputes and Make Decisions*. San Francisco: Jossey Bassy. 125
12. Coser, L.A. (1956). *The Functions of Conflict*. New York: Routledge and Kogan Paul. Pp 250
13. Tidwell, A.C. (1998). *Conflict Resolved? A Critical Assessment of Conflict Resolution*. New York. A Cassell Imprint , 152
14. Hoban J. Thomas (2005), *Managing conflict, a guide for watershed partnerships*, Associate Professor, North Carolina State University, Retrieved November 15, 2006, 234
15. Robbins, S. (2005). *Organizational Behavior*: New Jersey: Prentice Hall.
16. Robbins P. Stephen (1978), ‘Conflict management’ and ‘Conflict Resolution’ are not synonymousterms, *California Management Review*; Winter 1978; 21, 000002; ABI/INFORM Global, p 67
17. Rubin, P.D. & Sung, H.K. (1994). *Social Conflict Escalation: Stalemate and Settlement*. New York: McGraw-Hill. 134

18. Leung, Yu Fai (2009). Conflict Management and Educational Intelligence. Unpublished Thesis for Degree of Business Administration, Southern Cross University, Lismore. 143

19. D. Katz, (1964) "Approaches to Managing Conflict", in Power and Conflict in Organizations, ed. By R.L. Kahn and K.E. Boulding, New York: Basic Books, . 105-114.

20. S.P. Robbins, (1974) Managing Organizational Conflict: A Non-Traditional Approach ., Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall., 154

Manana Kharkheli

EFFECTIVE MANAGEMENT OF CONFLICTS IN ORGANIZATIONS

Summary

The paper deals with issues related to effective management of conflicts. In the research process, we set goal to find out what is conflict, what are the views of the conflict in the modern world, how goes process of conflict and what is important to take care of this process, paper also discusses the necessary steps for effective management of conflicts and develops recommendation.

According to our research there is not one definition of conflict, which includes and can explain all aspects of what really means conflict, if we summer many scientific definitions, conflict is a process, in which struggles interest of its parts and it can be related to: faith, values, needs and resources. Also, as in conflict process are taking part people, who have different attitudes and stereotypes, conflict can be based on wrong interpretation. The cause of conflict can be based on structural, personal and resource grounds. Also, cause of conflict can be non effective communication. Despite what we mentioned above, conflict is not bad, if it is managed well, it can stimulate the rise of productivity and creativity of stuff, but if management doesn't pay adequate attention to this process, it can be the cause of many negative facts.

**INSTITUTION CONCEPT FOR CULTURE IN CONTEXT OF
STATE'S SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT**

Annotation. *The research discusses the culture as a concept of informal institute is introduced. The quantitative characteristics of culture have been used to investigate the ratio of these indices for Georgia compared with the same indicators of the EU and various world states. Depending on the informal nature of the culture institute, it is noted that the long-term mechanism of culture transformation should be considered together with the institutionalization process as a whole. Within the problem of the institutionalization it is of great importance to ensure the regular ratio of formal and informal institutes in the development of the country's socio-economic institutional structure. The directions of long-term transformation of cultural values have been identified.*

Key Words: *globalization, European integration, culture, informal institute, cultural dimensions*

Introduction

In modern conditions, it is extremely important for Georgia, on the one hand, due to the country's European orientation, to carry out a systematic analysis of the EU business environment to ensure the full application of the new socio-economic development potential and the country's effective integration into the Euro-Atlantic structures. On the other hand, the requirements of globalization call for an adequate and systemic understanding of global business environment and the effective use of its capabilities, identification of any possible short and long term challenges, and if necessary, taking appropriate preventive measures [Bedianashvili, 2015; Bedianashvili, 2016].

Global business environment has a complex structure [Harrison, 2014]. In its composition, due to the systematic approach positions, several important components affecting business can be identified: political, economic and legal institutes, socio-cultural, socio-demographic, natural-climatic, scientific-technical and technological factors, as well as social issues and factors. Due to the systemic conceptual positions of Georgia's (as well as any other country wishing to join the EU) effective and complex social and economic development, logically, the business environment should be considered in the global and European Union context bearing the significant differences between them in mind. It should be taken into account that globalization and European integration processes do not exclude local and other mezoregional integration processes, but develop critical analysis thereof and where appropriate, make Georgia's involvement in these processes in any extent more urgent (stimulating and facilitating of international communications of business structures by the state, also, and if necessary, formation and operation of appropriate institutional mechanisms).

Literature review

Generally, the country's socio-economic development, particularly business processes is largely influenced by the significance and the role of socio-cultural factors (for the research of different aspects of cultural phenomenon, see, for example, the scientific papers [Bedianashvili, 2014; Hofstede, 1980; Triandis, 1994; Шварц, 2008; Инглхарт ..., 2011; Hall ..., 1990; Тромпенаарс ..., 2004; Ball ..., 2001; Ясин ..., 2008; Аузан ..., 2011; Gladwin ..., 1978; Murdock, 1965; Socio-cultural ..., 2011; etc.]).

Under the current conditions of globalization, we believe, the appropriate development of the culture as an important factor and its effective implementation at different levels is the challenge the modern society faces. Indeed, the well-known phrase, "Culture is important" for any country's socio-economic development [Культура ..., 2002] casts no doubt. Also it is known that the culture plays an important role in international and local business [Barry..., 2011; Luthans..., 2012].

In reviewing the culture theories, George Murdoch's approach, the famous American scientist [Murdock, 1965], should be highlighted. Based on the interdisciplinary research, the author proposed seven fundamental features of culture. Obviously, fundamental and universal features play an important role in the adequate understanding of the culture concept and in tackling a variety of cross-cultural issues. The features are as follows: 1. Culture is transferred through instructions (which means that culture is neither given to a person by birth, nor biologically, though the principles of teaching are generally similar in various cultures); 2. Culture is assimilated through upbringing; 3. Culture is social; 4. Culture is ideational (culture constituent group traditions in most cases are represented by ideal norms or patterns); 5. Culture provides satisfaction (culture necessarily satisfies the basic biological and secondary needs emerged on the basis thereof); 6. Culture is adaptive (it adapts to the environment, in addition, G. Murdoch identifies geographic, socio-cultural, biological and psychological environment of adaptation); 7. Culture is integrative (elements of each culture tend to form a mutually integrated whole, which means that the culture is not strictly a balanced and integrated system).

Some interesting and well known assumptions on the concept of culture should be outlined. For instance, Geert Hofstede, the famous Dutch scholar, defines the culture as the brain's collective mental programming, the part of our

preliminary definition of the world, which is common to our nation, region, or other members of the group [Hofstede..., 2005]. In essence, the author discusses the culture through the prism of values and norms as a combination thereof and also as Shalom Schwartz, the well-known researcher, says, culture is the foundation of people's beliefs, rules, practices, symbols, norms and values dominant in the society. He points out, the culture is a latent hypothetical variable that we can measure by means of its specific manifestation and in this respect (the author specifies) culture is not localized in an individual's mind and actions. It (culture) is more outside of an individual and is connected to the pressure that the individual is experiencing because he is living in a definite social system [Hofstede, 1980].

Data and methodology/Analyses

As for the culture and value modeling and quantitative measurement thereof, one of the first and recognized approaches in the world developed by Geert Hofstede is of special importance. The Hofstede model identifies quantitatively measurable individual units of the culture, which in combination represent the community values. The latest version of the model offers the following six units and the indices: Power distance (PDI) shows people's willingness to accept the power hierarchical structure in the community and institutions and the unequal distribution thereof; Individualism vs. Collectivism (IDV), represents people's (public's favored characteristic tendencies) choice in the format (the interest priorities of respective groups) of independence and activity under mutual dependence; Uncertainty Avoidance (UAI) shows tolerance level of an individual and the society as a whole to unknown (indefinite) situations; Masculinity vs. Femininity (MAS), is the evaluation of individuals and society as a whole in terms of the features, such as determination, putting ahead business interests, strictness and concentration on success; Long-term orientation vs. Short-term orientation (LTO), indicates the extent how much oriented people and the society are at long-term strategic pragmatic future compared to short-term traditional (operational) orientation; Indulgence (IND), marks the level of self-control and tolerance. The lower the index, the greater the impact of traditions and norms limiting the society's and people's behavior and vice versa. The greater value of this indicator points to a comparatively higher level of personal impulsive behavior.

2005 წლიდან სოციალური პენსიის ოდენობა 10-ჯერ გაიზარდა და 2015 წელს მთლიანმა ხარჯმა (მარჩენალდაკარგულთა და შშმ პირების ჩათვლით) შეადგინა მშპ-ს 5,2%, რაც მთლიანი საბიუჯეტო ხარჯების 16,2%-ია. დემოგრაფიული სტრუქტურის მოსალოდნელი ცვლილების გათვალისწინებით, ასაკით პენსიონერთა ხარჯები 2060 წლისათვის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგნოზით, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯების 33 %-ის ტოლფასი იქნება, ამასთან, 2060 წლისათვის, თუკი არსებული 18%-იანი ჩანაცვლების კოეფიციენტი შენარჩუნებული იქნება, ასაკით პენსიონერთა ხარჯები მიაღწევს მშპ-ს 10%-ს. სამუშაო ასაკში მყოფი მოსახლეობის რაოდენობის შემცირებისა და პენსიონერთა რაოდენობის მატების ფონზე, გრძელვადიან პერსპექტივაში, სულ უფრო გართულებდა პენსიის არსებული ჩანაცვლების კოეფიციენტის შენარჩუნება, ეს საბიუჯეტო რესურსის სულ უფრო მზარდ მობილიზაციას მოითხოვს მომავალში.

ცხრილი 1

	2013	2014	2015
მთლიანი ხარჯი (მლნ ლარი)	7 863,6	8 813,3	9 659,4
პენსიები (მლნ ლარი)	1 030	1 049	1 132
წილი მთლიან საბიუჯეტო დანახარჯებთან მიმართებით (%)	13,1	11,9	11,7

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეთა რაოდენობის და ხარჯების მიხედვით სოციალური პენსია ყველაზე დიდ სოციალურ პროგრამას წარმოადგენს და მასზე სახელმწიფო ხარჯების საკმაოდ მაღალი წილი მოდის, იგი პენსიონერთა ღირსეულ სიბერეს მაინც ვერ უზრუნველყოფს.

დღეს საქართველოში შესაძლო სამსვეტიანი საპენსიო სისტემის მოდელიდან პრაქტიკულად მხოლოდ ორი სვეტი ფუნქციონირებს, აქედან პირველი - სახელმწიფო პენსიების კომპონენტი - მთლიანად მოიცავს ქვეყნის მოსახლეობის ამჟამინდელ საპენსიო უზრუნველყოფას და იგი, დროთა განმავლობაში, შეიძლება დეფიციტური და კრიზისული გახდეს, ხოლო, რაც შეეხება მესამე სვეტს - ნებაყოფლობით დაგროვებად პენსიას - ეს კომპონენტი პრაქტიკულად ძალიან უმნიშვნელო ტემპით ვითარდება: „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევა საქართველოში განვითარების ძალიან დაბალ დონეზეა და სამთავრობო ინიციატივების გარეშე, მისი გამოცოცხლება შეუძლებელია. მიიმე სოციალური ფონი და ფინანსური ინსტიტუტების მიმართ გაზრდილი, მაგრამ არასაკმარისი ნდობა ხელს უშლის კერძო საპენსიო დაზღვევის განვითარებას“ [მურდულია შ., 2013].

საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის მანქანებლები მოკრძალებულია. ასეთ სიტუაციაში მიზანშეწონილია საგადასახადო დაგროვებადი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბება. „აუცილებელია ეტაპობრივად დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბაზისო პენსიის არამდგრადი ზრდისაგან გამოწვეული წნეხის შემსუბუქებას. ასევე მნიშვნელოვანია საბაზისო პენსიის ინფლაციასთან მიბმის პრინციპის შემოღება და პენსიის ზრდის ყველაზე ღარიბ პენსიონერებზე ორიენტირება, რაც დაიცავს პენსიის მსყიდველობითუნარიანობას“ [4, 2013; 57].

სახელმწიფოსათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია კერძო სექტორთან თანამშრომლობა და რისკების გაყოფა ყველა იმ სექტორში, სადაც ამის რეალური შესაძლებლობა არსებობს, მნიშვნელოვანია არასახელმწიფო საპენსიო სისტემის, როგორც სოციალური დაცვის ერთ-ერთი ბერკეტის როლის ზრდა.

კერძო სექტორის ამოქმედების და დაგროვებით პენსიაზე გადასვლის ხელშეწყობა, როგორც წესი, უპირატესად საგადასახადო სტიმულების შექმნის გზით ხდება. მცირე ხნის განმავლობაში (2004 წელს) საქართველოშიც არსებობდა არასახელმწიფო საპენსიო დანაზოგების დაგროვების საგადასახადო ხელშეწყობის პრეცედენტი (როცა დამკირავებელს შეეძლო, კერძო საპენსიო ფონდში დაქირავებულის ანარიცხის შეტანა ხარჯებში გაეტარებინა), მაგრამ ახალმა საგადასახადო კოდექსმა ეს შეღავათი გააუქმა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნორმის რამდენიმეთვიანი მოქმედებაც საკმარისი იყო, რათა საპენსიო სექტორის მიმართ ინტერესი გაზრდილიყო.

ცხადია, საწყის ეტაპზე საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში კერძო სექტორის ხელშეწყობი მექანიზმების შემოტანა ნაწილობრივ შეამცირებს იმ შემოსავლებს, რომლებიც არსებულ საგადასახადო რეჟიმში იკრიბება, თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს წაახალისებს საპენსიო სექტორის ამოქმედებას და ხელს შეუწყობს ახალი ტიპის ინსტიტუციური ინვესტირების – კერძო საპენსიო ფონდების შექმნას, რომელთა საქმიანობა ასევე უზრუნველყოფს დამატებით ეკონომიკურ აქტივობას და, შესაბამისად, გადასახადების გადახდას.

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც განხორციელდა საპენსიო რეფორმები, ეს წამოწყება ყოველთვის სარგებლობდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი მხარდაჭერით.

ცხრილი 2

**მსოფლიო ბანკის ფინანსური დახმარება სხვადასხვა ქვეყნებში
საპენსიო რეფორმების განხორციელებისას**

ნა თანხა (მლნ დოლარი)

ქვეყანა	თანხა (მლნ დოლარი)
ბრაზილია	1 326
მექსიკა	604
არგენტინა	481
პერუ	363
ყაზახეთი	324
რუსეთი	288
თურქეთი	198

წყარო: მსოფლიო ბანკი.

როგორც საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, საპენსიო პრობლემატიკის მოგვარება, პირველ ყოვლისა, სისტემის ინსტიტუციურ შეცვლასა და გამართვას მოითხოვს, რაც მეტად რთული სამუშაოების შესრულებასთანაა დაკავშირებული.

ამგვარად, საქართველოში სახეზეა დემოგრაფიული გამოწვევები, მცირე ზომის ეკონომიკა, გადასახადების გადამხდელთა შეზღუდული რაოდენობა, რაც საფრთხეს უქმნის არსებულ საპენსიო სისტემას; „მთავრობის საბიუჯეტო ვალდებულებები სოციალური პენსიის კუთხით, ყოველწლიურად იზრდება, რაც კლებადი სამუშაო ძალის და მზარდი პენსიონერთა რაოდენობის ფონზე სირთულეს წარმოადგენს" [3, 2016; 15]. ამასთან, არსებული სახელმწიფო პენსია ვერ უზრუნველყოფს ხანდაზმულ მოქალაქეთა ღირსეულ სიბერეს; ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროა ახალი საპენსიო მოდელის დანერგვა, რომელსაც ექნება დაგროვებითი ხასიათი და საშუალებას მისცემს მოქალაქეებს თავადვე ჩაუყარონ საფუძველი მომავალში საკუთარ ღირსეულ სიბერეს. ამასთან, აღნიშნული მოდელი შექმნის პირობებს რისკების შემცირებისათვის, განაპირობებს უფრო მაღალ მოქნილობას საპენსიო უზრუნველყოფაში სახელმწიფო და კერძო სექტორების მონაწილეობის მოცულობათა განსაზღვრისას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მურდულია შ., ვუახლოვდებით ევროპას? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში <http://heconomic.wordpress.com/2013/07/27/pension-georgia>
2. საპენსიო რეფორმა, გლობალური და ქართული პერსპექტივა - საჭიროა თუ არა საპენსიო რეფორმა? ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ანგარიში, თბ., 2013.
3. საქართველოს საპენსიო რეფორმა, არსებული სოციალური საპენსიო სისტემის მოდიფიკაცია და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში, 2016 წ. მარტი.
4. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო - 2020, საქართველოს მთავრობა, 2013 წ. ნოემბერი.

Khatuna Todua

GEORGIAN PENSION SYSTEM – THE EXISTING REALITY AND THE MAIN CHALLENGES

Summary

The perfection of pension system is a matter of major importance in the light of ongoing reforms in Georgia.

The necessity of implementation of pension reform is dictated by a political and economic expediency, current pension system model is not in compliance with an existing reality, most likely it will significantly hamper the economic development of country in the future and also it will deepen the resisting acute social problems. That's why the radical pension reform is necessary in Georgia.

Many developed and developing economies are modifying their pension systems nowadays, and this is extremely important reforms, because pensions risks are increasing through the time and the governments will have to take care on more citizen's pension.

The goal of reforms is to address more effectively the issues of retirement income adequacy, financial sustainability of fiscal budgets and demographic trends in the population.

The main objectives of the reforms are also to increase the purchasing power of the social pension as much as possible, to improve the ratio of pension income due to earned salary and to ensure the financial sustainability of the social pension model. It's indisputable, that Georgia stands before the high necessity for the reform because of several arguments:

Firstly, Georgia's demographic condition has changed a lot during the last period. Decline in fertility rates and migration trends have changed significantly contributed to a reduced workforce population. At the same time, the number of pensioners and the average life expectancy at retirement have increased as people are living longer. This, ultimately means, that, in the near future the working-age population will have to carry a burden of a growing elderly population.

Secondly, the analyzes of the existing pension system clearly shows that replacement rates cannot be improved only through government financing.

Besides, the universal pension now meets the poverty alleviation goal but needs to maintain in line with price inflation in order to continue to meet this objective.

Also pension expenditures have increased very much in the last period. So, the supplementary saving mechanisms must be introduced for the working population to achieve income, which will be proportional and adequate to their earnings, in retirement. So, according to the new pension scheme, the pension should be determined to citizens as of the wages, they have earned through the years.

So, the private pension model will be a supplementary addition to the existing social pensions.

Private pension savings will allow citizens accumulate assets during working life and generate additional old-age income at retirement, thus receiving higher replacement income which depends on the history of earnings through the working life of a person. So that's the mechanism, which will enable citizens to plan oldness well and not to be depended merely on state allowance.

ლაშა კელიხაშვილი

ბანათლება როგორც სოციალური უთანასწორობის გამომწვევი ფაქტორი

***ანოტაცია.** სოციალური უთანასწორობა და მისი გამომწვევი მიზეზები აქტუალური საკითხია ეკონომიკური მეცნიერებისთვის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალური უთანასწორობის შემცირება ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს და ეს საკითხი საქართველოსთვისაც აქტუალურია.*

სტატიის მიზანია, გაანალიზოს სოციალური უთანასწორობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა სხვა მაკროეკონომიკურ პარამეტრებთან - ადამიანისეულ კაპიტალსა და მოსახლეობის ერთ სულზე მოდიან შიდა პროდუქტთან ურთიერთკავშირში.

***საკვანძო სიტყვები:** სოციალური უთანასწორობა, მოსახლეობის კვალიფიკაციის დონე, ეკონომიკური ზრდა.*


შესავალი

სოციალური უთანასწორობა საბაზრო ეკონომიკის მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს, რომლის შემცირებაც სახელმწიფოს ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს. თუმცა, მასთან ბრძოლისას სახელმწიფოს როლი არა მის სრულ აღმოფხვრაში, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ სოციალური უთანასწორობა ეკონომიკის სხვა მაჩვენებლებზეც ახდენს გავლენას რასთან დაკავშირებითაც, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდასა და ადამიანისეულ კაპიტალზე. ეკონომიკურ ზრდას, სოციალურ უთანასწორობასა და ადამიანისეულ კაპიტალს შორის არსებული ურთიერთკავშირის კვლევის საფუძველზე 1988 წელს ოდედ გალორისა და ჯოზეფ ზეირას მიერ შემუშავებულ იქნა მოდელი, რომელიც გალორ-ზეირას მოდელის სახელითაა ცნობილი (Galor O. Zeira J. 1988).

მიუხედავად იმისა, რომ არ ითვალისწინებს სოციალურ უთანასწორობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირს, აღნიშნული მოდელით მიღებული შედეგი გარკვეულწილად თანხვედრაშია რობერტ სოლოუს ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკურ მოდელთან, რომელშიც გრძელვადიან პერიოდში, ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად ტექნოლოგიური პროგრესი, მათ შორის ადამიანისეული კაპიტალი განიხილება [Solow R. 1956].

ოდედ გალორისა და ჯოზეფ ზეირას ეკონომიკური მოდელი, რომელიც განიხილავს დამოკიდებულებას სოციალურ უთანასწორობას, განათლებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის, მარტივი ინტერპრეტაციით გამოსახულია დიაგრამა 1-ზე.



დიაგრამა 1

წყარო: Galor O. Zeira J. „Income Distribution and Macroeconomics“, Working Paper No. 89-25, Brown University, 1988.


აღნიშნული მოდელის მიხედვით, სოციალური უთანასწორობის მაღალი დონის პირობებში განათლებაზე ხელმისაწვდომობის ხარისხი დაბალია, რაც სოლოუს ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელით ეკონომიკური ზრდის ტემპს მნიშვნელოვნად ზღუდავს (Galor O. Zeira J. 1988).

მოცემულ ნაშრომში სოციალურ უთანასწორობას, განათლებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთდამოკიდებულების დასადგენად გამოვიყენეთ სამი პარამეტრი:

1. GDP მოსახლეობის ერთ სულზე გადაანგარიშებით (ნომინალურ გამოსახულებაში). ამასთანავე, ანალიზისთვის გამოყენებულია არა ამ მაჩვენებლის აბსოლუტური, არამედ მისი გალოგარიტმებული მნიშვნელობები.
2. მოსახლეობის ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონე 20%-ის შემოსავლების წილი, რომელიც შემოსავლების უთანასწორობის მაჩვენებლად გამოყენებული
3. კვალიფიციური მოსახლეობის მაჩვენებელი ინდექსი. აღნიშნულ ინდექსად აღებულია მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული ინდექსის - „Knowledge Economic Index“-ის შემადგენელი ერთ-ერთი პარამეტრი.

ინფორმაცია ზემოხსენებული მაჩვენებლების შესახებ, 76 ქვეყნისთვის აღებულია მსოფლიო ბანკისა და www.knoema.com მონაცემთა ბაზიდან. სანამ უშუალოდ სოციალურ უთანასწორობასა და ადამიანისეულ კაპიტალს შორის კავშირს გავაანალიზებთ, მოკლედ მიმოვიხილოთ საქართველოში არსებული მდგომარეობა აღნიშნული მაჩვენებლების თვალსაზრისით.


შემოსავლების განაწილება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, საქართველოში, მათ შორის პოსტსაბჭოთა სივრცეში, ერთ-ერთი ყველაზე უთანაბროა. დიაგრამა 2-ზე გამოსახულია შემოსავლების განაწილების დინამიკა ბოლო 16 წლის მანძილზე აღმოსავლეთ ევროპის, მათ შორის პოსტსაბჭოთა რამდენიმე ქვეყნისთვის. აღნიშნულ ქვეყნებს შორის, საქართველოში, უდარიბესი 20%-ის შემოსავლის წილი ქვეყნის მთლიანი შემოსავლის 6%-ზე დაბალია და ყველა სხვა ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს ჩამორჩება. ამასთანავე, 2001 წლიდან მოყოლებული, აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოში მცირედ, თუმცა მაინც გაუარესების ტენდენციით ხასიათდება.



დიაგრამა 2. მოსახლეობის უდარიბესი 20%-ის შემოსავლების წილი მთლიან შემოსავლებში

წყარო: www.worldbank.org


რაც შეეხება ადამიანისეულ კაპიტალს, აღნიშნული მაჩვენებლის როლში მოცემულ კვლევაში გამოვიყენებთ მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული KEI ინდექსის (knowledge economic index) ერთ-ერთ შემადგენელ პარამეტრს, რომელიც ქვეყანაში მოსახლეობის კვალიფიკაციის დონეს ასახავს. აღნიშნული ინდექსის მნიშვნელობა 1-10 ინტერვალში სკალაშია მოქცეული. რაც უფრო მაღალია ქვეყანაში მოსახლეობის კვალიფიკაციის დონე, ინდექსის მნიშვნელობა მით მაღალია და პირიქით. მსოფლიოს 135 ქვეყნისთვის აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა 2014 წლისთვის გამოსახულია დიაგრამა 3-ზე. საქართველოსთვის აღნიშნული ინდექსის მნიშვნელობა დაახლოებით 6-ის ტოლია და ჩამორჩება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობას. მთლიანობაში კი, აღნიშნულ 135 ქვეყანას შორის 53-ე ადგილზე იმყოფება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ინდექსის მნიშვნელობა 2002 წლის შემდეგ არაარსებითად - 0,5 ით გაუმჯობესდა.



დიაგრამა 3. მოსახლეობის კვალიფიკაციის მაჩვენებელი ინდექსი

წყარო: www.worldbank.org, www.knoema.com, ავტორის გამოთვლები.

მთლიანობაში, დამოკიდებულება შემოსავლების განაწილებას, მოსახლეობის კვალიფიკაციის დონესა და მოსახლეობის ერთ სულზე მთლიან შიდა პროდუქტს შორის მოცემულია დიაგრამა 4-ზე.



დიაგრამა 4. დამოკიდებულება შემოსავლების უთანაბრობას, მოსახლეობის კვალიფიკაციის დონეს და მოსახლეობის ერთ სულზე მთლიან შიდა პროდუქტს შორის
 წყარო: www.worldbank.org, www.knoema.com, ავტორის გამოთვლები.

როგორც დიაგრამა გვიჩვენებს, გარკვეული კავშირი შეინიშნება ერთი მხრივ, შემოსავლების განაწილებასა და მოსახლეობის ერთ სულზე მთლიან შიდა პროდუქტს შორის, მეორე მხრივ კი შემოსავლების განაწილებასა და ქვეყანაში მოსახლეობის კვალიფიკაციის დონეს შორის.

აღნიშნული კავშირის რიცხობრივი შეფასებისთვის გამოთვლილი კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობები სამივე ცვლადისთვის მოცემულია ცხრილ 1-ში. მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ დამოკიდებულება შემოსავლების უთანაბრო განაწილებასა და განათლებას შორის საკმაოდ მჭიდროა. დამოკიდებულება შემოსავლების განაწილების უთანაბრობასა და მოსახლეობის ერთ სულზე მთლიან შიდა პროდუქტს შორის კი შედარებით სუსტია. ამასთანავე, ვინაიდან კორელაციის კოეფიციენტს დადებითი მნიშვნელობა გააჩნია, შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ ქვეყანაში მოსახლეობის კვალიფიკაციის დაბალი დონე შემოსავლების უთანაბრო განაწილების განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ცხრილი 1

	შემოსავლების განაწილება	განათლება	GDP მოსახლეობის ერთ სულზე
შემოსავლების განაწილება	1	0	0
განათლება	0.4742	1	0
GDP მოსახლეობის ერთ სულზე	0.2357	0.8263	1

წყარო: www.worldbank.org, www.knoema.com, ავტორის გამოთვლები

დასკვნა

სოციალურ უთანასწორობას, მოსახლეობის კვალიფიკაციის დონესა და მოსახლეობის ერთ სულზე მთლიან შიდა პროდუქტს შორის დამოკიდებულების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვანი კავშირი შეინიშნება სოციალურ უთანასწორობასა და მოსახლეობის კვალიფიკაციას, ე.წ. ადამიანისეულ კაპიტალს შორის. კერძოდ, შემოსავლების განაწილების უთანაბრობა შედარებით დაბალია იმ ქვეყნებში, რომლებშიც მაღალია მოსახლეობის კვალიფიკაციის დონე და პირიქით. გარკვეული კავშირი შეინიშნება ასევე, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიან შიდა პროდუქტსა და შემოსავლების განაწილებას შორის. საქართველო შემოსავლების განაწილების უთანაბრობით აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე იმყოფება. ანალო-

გიური სიტუაციაა მოსახლეობის არაკვალიფიციურობის თვალსაზრისითაც, რაც შემოსავლების უთანაბრობის შემცირებას გადაუჭრელ პრობლემად ტოვებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Galor O. Zeira J. „Income Distribution and Macroeconomics“, Working Paper No. 89-25, Brown University, 1988.
2. Group of authors, International monetary fund. Causes and Consequences of Income Inequality: A Global Perspective. 2015
3. Stiglitz J. “Inequality and Economic Growth”, Columbia University, 2015
4. Solow R.. "A contribution to the theory of economic growth". Quarterly Journal of Economics. Oxford Journals. 1956
5. Castelló A, Doménech R. “HUMAN CAPITAL INEQUALITY AND ECONOMIC GROWTH: SOME NEW EVIDENCE”, The economic Journal. 2002.
6. A.Berg and J.Ostry, ‘Inequality and unsustainable Growth: Two Sides of the Same Coin?’ IMF Staff Discussion Note No. 11/08, April 2011, International Monetary Fund.
7. www.worldbank.org
8. www.knoema.com

Lasha Kelikhashvili

EDUCATION AS THE CAUSATIVE FACTOR OF SOCIAL INEQUALITY

Summary

Social inequality and its reasons is very actual for economic science. There is not country with market economy and absolutely equal society but income and wealth is distributed more unequally in some societies than in another. While this problem is more actual in some countries, decreasing it is one of the key issue for policymakers in every country and Georgia is not an exemption. Economic theory indicates several factors causing inequality. Main factor is the unequal allocation of resources among the society members. This research focuses on social inequality as the problem causing the slowing down of economic growth. For this purpose, level of the social inequality is considered as the function of the human capital.

The first goal of the research is to define the situation in Georgia in terms of social inequality and human capital relative to east European countries.

Another goal of the research is to measure the relationship between social inequality and human capital, as the long term determinant of social inequality.

The research takes GDP per capita into account during the analyze as the another factor of inequality and as a result of high economic growth at the same time. Several statistical methods are incorporated into the analyze to measure the relationship between economic variables in numbers.

*ნანა კირვალიძე
მაია ჯებაშვილი*

ლუდის წარმოება საქართველოში

ანოტაცია. სტატიაში განხილულია საქართველოში ლუდის მწარმოებელი საწარმოების მნიშვნელობა, მათი სამეურნეო საქმიანობის შედეგები. კერძოდ: ლუდის წარმოების დინამიკა, პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურა და ფასწარმოქმნა, ექსპორტ-იმპორტის ტენდენციები, საწარმოების რაოდენობა, მომუშავე პერსონალის რაოდენობა და მათი შრომის ანაზღაურება. აღნიშნულია, რომ ლუდის წარმოებისათვის საქართველოში არ ფუნქციონირებს ნედლეულის და დამხმარე მასალების მიმწოდებელი საწარმოები, ფირმები იყენებენ იმპორტულ ნედლეულს, მაგრამ ისინი აწარმოებენ კონკურენტუნარიან პროდუქციას, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საქართველოში მომხმარებელთა მოთხოვნას და ექსპორტირდება კიდევ. მომხმარებელი აღნიშნავს, რომ ქართული ლუდი ხარისხიანია და იმპორტულ პროდუქციას კონკურენციას უწევს.

სტატიაში ავტორები ასევე საუბრობენ ბაზრის დასაცავათ საჭირო მთავრობის მიერ გასატარებელ პროტექციონისტულ ღონისძიებებზე, რაც საჭიროა მოზღვავებული იმპორტისაგან ადგილობრივი წარმოების დასაცავად, მაღალ სააქციო გადასახადებზე და სხვა.

საკვანძო სიტყვები: ლუდის მწარმოებელი საწარმოები, პროტექციონისტული ღონისძიებები,

საქართველოში საბაზრო მექანიზმის დანერგვა განაპირობებს საწარმოების (ფირმების) საქმიანობაში თავისუფალი სამეურნეო საქმიანობის არჩევანსა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის

წარმოებას; ახალი საქონლის, ტექნოლოგიების და ბაზრების ათვისებას; რენტაბელური საწარმოო სიმძლავრეების მომხმარებლის მოთხოვნასთან დაკავშირებას; ქმედითი მმართველობითი მექანიზმის პირველ ადგილზე წამოწევას.

ამ კანონზომიერებების არსებობის გამო საქართველოში მრავალი არარენტაბელური და არაკონკურენტუნარიანი დარგი და საწარმოო განადგურდა.

საქართველოში ლუდის (მცირეაღკოპოლიანი სასმელი) წარმოება და მოხმარება ყოველთვის იყო პოპულარული. გასული საუკუნის 90-იან წლებში ყველასათვის ცნობილი მოვლენების – ტრადიციული სამეურნეო კავშირების გაწყვეტის და ენერგოკრიზისის მიუხედავად, ამ დარგში არსებულმა საწარმომ – „ყაზბეგი-1881“ – შეძლო არსებობა და განვითარება. მან ეს შეძლო საკუთარი ძალებით. ფირმა დაეყრდნო განახლებულ წარმოებას, რომელიც უკვე ათვისებული იყო მუშების და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის მიერ. მის გვერდით შეიქმნა ლუდის მწარმოებელი ახალი ფირმები. სამამულო საწარმების პროდუქცია ძლიერ კონკურენტუნარიან უწევს იმპორტულ ლუდს.

2010-2015 წლებში საქართველოში ლუდის წარმოებაში შექმნილი მთლიანი დამატებითი ღირებულება არასტაბილურობით ხასიათდება და მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 0,2%-ს შეადგენს (2015 წლის მონაცემებით. ცხრ. 1).

ცხრილი 1

საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი და მ.შ. ლუდის წარმოებაში შექმნილი დამატებითი ღირებულება 2015-2016 წლებში მლნ ლარი⁵³

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016*
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში	20743,4	24344,0	26167,3	26847,4	29150,5	31756,6	33921,6
% წინა წელთან შედარებით	100,0	117,4	107,8	102,6	108,6	108,7	106,8
მ.შ. ლუდის წარმოებაში შექმნილი დამატებითი ღირებულება	25,7	35,5	60,2	40,4	56,3	64,7	**
% წინა წელთან შედარებით	100,0	138,1	169,6	67,1	139,4	114,9	-

* 2016 წლის მონაცემები არის წინასწარი.

** მონაცემები არ არის.

ამჟამად საქართველოში ამ დარგში ფუნქციონირებს 23 დიდი და მცირე საწარმო. ლუდის წარმოებაში მოქმედი ძირითადი მწარმოებლებია: „ყაზბეგი“, „კასტელი საქართველო“, „ნატახტარი“, „ზედაზენი“. გარდა ამისა, საქართველოში არის ლუდის მწარმოებელი 20-მდე მცირე საწარმო. მათი წარმოებული პროდუქცია მრავალფეროვანია. დიდი საწარმოები აწარმოებენ 5-8 დასახელების ლუდს ყველა გემოვნების მომხმარებლისათვის. ლიდერ ფირმებს შორის კონკურენტული ბრძოლა მიმდინარეობს საქონლის მახასიათებლებით: ახალი საქონლის, ლუდის ხარისხის, მიწოდების სისწრაფის, სავაჭრო მარკის გავლენის, ფასების დონის მიხედვით და სხვ. მაგალითად, ფირმა „ზედაზენი“ აწარმოებს შემდეგი დასახელების ლუდს: „ზედაზენი“, „ბავარია“, „სვიანი“, „საიუბილეო“, „კიონიგ პილსნერი“ და „კიონიგ პილსნერი“ მუქი. ჩამოსხმა ხდება მინის, პლასტმასის, ლითონის ქილის ჭურჭელში, 30 ლიტრიან და 50 ლიტრიან კასრებში. ფირმა „ნატახტარის“ პროდუქციაა: „ნატახტარი“, „ნატახტარი კასრის“, „ნატახტარი ექსტრა“, „მთიელი, ოლდ აირიში“. ფირმა „ყაზბეგი“ ჩამოასხამს 8 დასახელების ლუდს და სხვ. ლუდი დამზდებულია უმაღლესი ხარისხის ნედლეულისა და ხარისხიანი დამხმარე მასალებისაგან. ოთხივე ფირმა თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი, სისტემატურად ხდება მანქანა-მოწყობილობების განახლება. ლუდს ხარშავენ როგორც ფირმაში შექმნილი ტექნოლოგიით, ასევე ჩეხური, გერმანული, პოლანდიური ტრადიციების გამოყენებით. ლუდის ნედლეულისა და დამხმარე მასალების მწარმოებელი ქარხნები საქართველოში აღარ არის, ამიტომ ნედლეულს (ალაო, სვია) იძენენ გერმანიის, პოლონეთის, ჩეხეთის, ბელორუსიის, უკრაინის, რუსეთის ქვეყნების ფირმებიდან, ხოლო ტარას და სხვა დამხმარე მასალას – თურქეთიდან, ირანიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან. ლუდსახარშ ფირმებსა და მიწოდებლებს შორის დამყარებულია მრავალწლიანი საიმედო პარტნიორული ურთიერთობები. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ლუდის წარმოების დინამიკა საქართველოში (ცხრ. 2). იგი არასტაბილურობით ხასიათდება, მაგრამ ლუდის საწარმოების მიერ მიღწეული წარმატებები მართლაც დიდია. ე.ი. შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში განვითარდა დარგი, რომელიც მთლიანად

⁵³ სტატიაში მოყვანილი ყველა ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

იმპორტულ ნედლეულსა და დამხმარე მასალებს იყენებს (წყალს თუ არ ჩავთვლით). მაგრამ საქართველოში შესაძლებელია ალალს მწარმოებელი ფირმების შექმნა. მინის ტარის საწარმოებლად საქართველოდან სომხეთში გააქვთ ნედლეული (კვარცის ქვიშა), შემდგომ კი სომხეთიდან შემოაქვთ მინის ბოთლები. აქ არსებული ერთადერთი ფირმა ვერ აკმაყოფილებს ბოთლებზე გაზრდილ მოთხოვნებს, მაშინ როდესაც ასეთი საწარმოები საქართველოში შეიძლება შეიქმნას.

საქართველოში წარმოებული ლუდი მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი კონკურსის ჯილდოს მფლობელია. ფირმა „ვაზბეგი“ მონაწილეობდა მადრიდში, ბრიუსელში, პარიზსა და მოსკოვში ჩატარებულ საერთაშორისო კონკურსში. დაჯილდოებულია პრიზებით, დიპლომებით ნომინაციაში წლის საუკეთესო ლუდი, ლუდის მწარმოებელი საუკეთესო კომპანია და ა.შ.

ლუდის მწარმოებელ საწარმოებში ფასების პოლიტიკა მოქნილია. ფასწარმოქმნა ხდება საწარმოო ხარჯების გათვალისწინებით, ითვალისწინებენ კონკურენტების ფასებს. 2010-2016 წლებში 1 ლიტრი ლუდის საშუალო ფასი 0,55-1,0 აშშ დოლარი იყო და ზრდის ტენდენციით ხასითდება, რაც გამოწვეულია თვითღირებულების გაზრდით.


ცხრილი 2

საქართველოში ლუდის წარმოება 2010-2016 წლებში

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016*
ათ. დეკალიტრი	8279,0	7873,9	9903,4	1009,0	9965,5	8605,8	9772,4
% წინა წელთან შედარებით	100,0	95,1	125,8	101,9	98,8	86,7	113,6
ღირებულება (ათასი ლარი)	106418,1	101372,4	130538,5	128204,3	146228,5	117179,4	115027,2
% წინა წელთან შედარებით	100,0	95,3	128,8	98,2	114,1	80,1	98,2

* 2016 წლის მონაცემები არის წინასწარი.

ლუდის ფასს მნიშვნელოვნად ზრდის აქციზის გადასახადი. ბოლო წლებში აქციზის გადასახადი გაიზარდა 0,40 ლარიდან 0,60 ლარამდე, რის შედეგადაც ლუდის ბიზნესიდან მიღებული შემოსავალი ბიუჯეტში 22-24%-ით შემცირდა (ექსპერტების შეფასებით). ლუდის რენტაბელობა არ აღემატება 12-15%-ს. ლუდის თვითღირებულების სტრუქტურა მოცემულია 1 ნახაზზე.



ნახ. 1. ლუდის თვითღირებულების სტრუქტურა

ლუდის ბაზარზე შეიმჩნევა მომხმარებელთა (რესტორნები, საცალო სავაჭრო ფირმები) კონკურენტული გავლენა. მომხმარებელი კარნახობს ლუდის მიწოდების პირობებს, ფასებს და სხვ.

საქართველოში დამზადებული ლუდი აზერბაიჯანში, სომხეთში და დსთ სხვადასხვა ქვეყანაში ექსპორტირდება, რადგან ევროპის ბაზარი გაჯერებულია ადგილობრივი წარმოების პროდუქციით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იყო წლები როცა ქართული ლუდი ავსტრიასა და პოლონეთშიც ექსპორტირდებოდა (გასაკვირი არ არის, რომ ქართული ლიმონათი იგზავნება 33 ქვეყანაში: აშშ, დიდი ბრიტანეთში, ევროპის და დსთ ქვეყნებში). ლუდის ექსპორტი ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 0,05 %-ს შეადგენს, ხოლო იმპორტი მთლიანი იმპორტის – 0,1%-ს 2016 წლის მონაცემებით (ცხრ. 3).

ევროპის ქვეყნებში ლუდის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 100 ლიტრს აღემატება, საქართველოში კი ერთ სულ მოსახლეზე ლუდის მოხმარება 23-25 ლიტრია წელიწადში. ამ მოთხოვნას სრულად აკმაყოფილებს სამამულო ლუდის წარმოება, რომელიც იმპორტულს სამომხმარებლო თვისებებით არ ჩამოუვარდება, საქართველოს ბაზარი კი გაჯერებულია მოზღვავებული იმპორტული ლუდით. იმპორტული პროდუქცია საცალო სავაჭრო ობიექტებში წარმოდგენილია 7-8 დასახელების ლუდით. მოზღვავებული იმპორტი კი ხელს უშლის სამამულო წარმოების განვითარებას. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ლუდს არ ეხება.

რა თქმა უნდა, ჩვენ იმპორტის წინააღმდეგი არ ვართ, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ უნდა აიკრძალოს იმპორტი. მაგრამ როცა მომხმარებელთა მოთხოვნა კმაყოფილდება სამამულო პროდუქციით, მაშინ საჭიროა მთავრობამ გაატაროს პროტექციონისტული პოლიტიკა. თუ არა საქართველოს მთავრობა, სხვა ვინ დაიცავს ქართულ ბაზარს. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ აქციზის გადასახადი იქნებოდა მხოლოდ იმპორტულ ლუდზე, იმპორტზე დააწესებდნენ მაღალ საბაჟო გადასახადს.

მე-3 ცხრილში მოცემულია ლუდის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა საქართველოში.

ცხრილი 3

საქართველოში ალკოჰოლის ლუდის ექსპორტ-იმპორტი 2010-2016 წლებში

წელი	ექსპორტი		იმპორტი	
	ათ. აშშ დოლარი	ათასი ლიტრი	ათ. აშშ დოლარი	ათასი ლიტრი
2010	495,4	856,7	8686,4	14994,1
2011	1776,9	2972,3	9352,0	13104,9
2012	2804,5	5207,4	7598,5	9046,1
2013	2468,1	4452,8	7416,2	7842,0
2014	1355,4	1911,5	7607,3	7864,3
2015	908,2	1035,6	6699,8	7840,9
2016	1133,2	1143,2	7014,3	8208,7

ლუდის ექსპორტი იმპორტს 7065,5 ათ. ლიტრით აღემატება (2016 წლის მონაცემებით).

ზედმეტი არ იქნება, თუ მოვიყვანთ სათანადო სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოში ლუდის მწარმოებელი ფირმების რაოდენობის, დასაქმებულთა რაოდენობის და მათი შრომის ანაზრაურების შესახებ. მონაცემებს ზრდის ტენდენცია აქვს (ცხრ. 4).

ყველასათვის ხელმისაწვდომი ოფიციალური მონაცემებით, ტრანსეროვნულ ფირმა „ჰაინეკენს“ (Heineken) საქართველოში მწვანე შუქი აუნთეს. „ჰაინეკენის“ პროდუქცია მოზღვავებულია ქართულ ბაზარზე და მისი შემოსვლა არ შედის მომხმარებელთა ინტერესებში. ეს ნიშნავს, რომ „ჰაინეკენი“ გაანადგურებს საქართველოში ლუდის საწარმოებს. გაანადგურებს არა მარტო 20-მდე საწარმოს, არამედ სერიოზული პრობლემები შეექმნება ოთხ ლიდერ კომპანიასაც, 1600-მდე ადამიანი უმუშევარი დარჩება, მაშინ როდესაც საქართველოში შეიძლება შემოვიდეს საკონსერვო, სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის, საფეიქრო, ავეჯის, სილიკატური პროდუქციის მწარმოებელი ფირმები. ადგილობრივი საწარმოები ამ პროდუქციას არ აწარმოებენ.

ცხრილი 4

საქართველოში ლუდის მწარმოებელი საწარმოების ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი 2010-2016 წლებში

წელი	საწარმოთა რაოდენობა	დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	დასაქმებულთა საშუალო ანაზრაურება, ლარი
2010	18	973	1085,8
2011	26	1039	1304,7
2012	19	1338	1186,8
2013	21	1609	1234,0
2014	25	1547	1320,0
2015	24	1579	1518,8
2016	23	1586	1482,9

ლუდის მოხმარებას სეზონური ხასიათი აქვს. ოქტომბერ-აპრილში მომხმარებელთა უმეტესობა, ტრადიციისამებრ, ღვინოს მიირთმევს. მხოლოდ მაისიდან ხდება ლუდის მოხმარება ინტენსიური. მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგად დავადგინეთ, რომ მომხმარებელთა 15% თითქმის ყოველდღე მიირთმევს ლუდს, 40% – კვირაში რამდენჯერმე, 25% – თვეში რამდენჯერმე. 20% საერთოდ არ მიირთმევს ლუდს. მომხმარებელთა 42% ერთჯერადად მიირთმევს 0,5 ლიტრამდე ლუდს, 46% – 0,5-1,0 ლიტრამდე, ხოლო მომხმარებელთა 12% ერთჯერადად სვამს 1 ლიტრზე მეტ ლუდს. მომხმარებელთა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს ქართულ ლუდს (85%), რადგან იმპორტულთან შედარებით იაფია და ხარისხიანი. მომხმარებელთა 15% აუცილებლად ირჩევს ძვირადღირებულ იმპორტულ ლუდს. მომხმარებელთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ ქართული ლუდი იმპორტულს ხარისხით სულაც არ ჩამოუვარდება.

გამოკითხულ მომხმარებელთა 20%-მდე არის ცალკეული მარკის ლუდის ერთგული, დანარჩენი 80%-თვის მნიშვნელობა არ აქვს რა მარკის ლუდს მიირთმევს, მთავარია ლუდი ხარისხიანი იყოს. ყველა მომხმარებელი აღნიშნავს, რომ საცალო ქსელში როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული ლუდის არჩევანი ფართოა.

დასკვნა

შედეგებმა ცხადყო, რომ ლუდის მწარმოებელმა დიდმა საწარმოებმა გადალახეს სიძნელეები, აქვთ დიდი და სერიოზული მიღწევები. ქართული ლუდი არა მარტო სრულად აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნას, არამედ ექსპორტირდება კიდევ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შუბლაძე გ., ნანიტაშვილი მ., დოღეკაშვილი ლ., „სტრატეგიული მენეჯმენტი“, თბილისი, „უნივერსალი“. გვ. 70-146, გვ. 301-330.
2. ნანიტაშვილი მ., შუბლაძე გ., „მარკეტინგის მენეჯმენტი“, თბილისი, „უნივერსალი“. გვ. 102-130, გვ. 230-260.
3. Товароведение и экспертиза потребительских товаров, под ред. Шевченко В.В. М., 2001, ст. 223-227.
4. www.geostat. ge

*Nana Kirvalidze
Maia Jebashvili*

BEER PRODUCTION IN GEORGIA Summary

The article touches upon the subject of the importance of beer production factories based in Georgia. More specifically are the dynamics of beer production assortment structure, cost price and setting, as well as export and import tendencies, number of factories, number of employees and their pay. The authors note that there are no factories that produce raw and supplementary materials and that the local beer factories need to require the materials from outside the country. The produce that local breweries produce is competitive and completely meet the requirements of the local demand.

The consumers say that local beer is competitive and is of a high quality.

The authors also touch upon the subject of protectionism necessary to local factories.

თამარ ლაზარიაშვილი

ღვინის ბაზრის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში

ანოტაცია. სტატიაში განხილულია ღვინის ბაზრის განვითარების პერსპექტივები, გაანალიზებულია საქართველოში ღვინის წარმოების შესაძლებლობები, შესწავლილია ამ სექტორში კონკურენტული უპირატესობები, შეფასებულია სახელმწიფოს როლი ამ დარგის განვითარებაში.

ნაშრომში გამოვლენილია ღვინის მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორები, გაკეთებულია დასკვნა, რომ ღვინო საქართველოსთვის ტრადიციისა და ისტორიული იდენტობის ნაწილია, ღვინის წარმოებისა და ექსპორტის მასშტაბზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქართველოს რეგიონების ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სტატიაში შემოთავაზებულია დასკვნები და რეკომენდაციები ქართული ღვინის ტრადიციული და პერსპექტიული ბაზრების განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, ღვინის ბაზარი, ღვინის ექსპორტი, ღვინის იმპორტი, კონკურენტული უპირატესობა.

პრობლემის აქტუალობა

საქართველოსთვის მეღვინეობა ყოველთვის წარმოადგენდა უპირველეს საქმიანობას აგროსასურსათო სფეროში. განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყნებს შორის საქართველო მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობებით გამოირჩევა. ამას ძირითადად შემდეგი გარემოებები განაპირობებს: მევენახეობა-მეღვინეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და დაგროვილი უნიკალური გამოცდილება, ვახის კულტურის გაშენებისა და ღვინის წარმოების მდიდარი ჩვევები, ორიგინალური ჯიშობრივი შემადგენლობა, საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია გეოგრაფიული მდებარეობით და რელიეფის ხასიათით. სწორედ ამ ფაქტორების ოპტიმალური შესამებით ყალიბდებოდა ქართული მეღვინეობის განსაკუთრებული ნიშანთვისებები, რომლებმაც ღირსეული ადგილი და როლი დაუკვიდრა ქვეყანას მსოფლიო მეღვინეობაში. იმისათვის, რომ ქართულმა ღვინომ მოახერხოს და კონკურენცია გაუწიოს ისეთ ქვეყნებს, რომლებიც უკვე წლებია ღვინის ბაზრის ლიდერები არიან, აუცილებელია მეტი ქართული ბრენდის შექმნა, მათ შორის საოჯახო წარმოების ღვინის გატანა საზღვარგარეთ. აუცილებელია მათი პოპულარიზაცია და ხაზგასმა იმ უპირატესობების, რაც გამოარჩევს ქართულ ღვინოს სხვა ღვინისაგან. ასევე მნიშვნელოვანია ცნობიერების გაზრდა მეღვინეებს შორის, რათა ისინი მხოლოდ ლოკალურ ბაზრებზე არ დარჩნენ.

მეცნიერების მიერ გამოკვლეულია ღვინის წარმოების შესაძლებლობები გლობალიზაციის პროცესების შესაბამისად და ახსნილია ღვინის მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორები. ამ მხრივ გაანალიზებულია ღვინის უმსხვილესი ბაზრები [1]. კვლევით დადასტურებულია, რომ ღვინის წარმოება ზრდადია იმ ქვეყნებში, სადაც ამ პროდუქტის წარმოების ტრადიციები არსებობს. ღვინოზე მოთხოვნას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორცაა სამომხმარებლო ბაზარი, ღვინის ტურიზმზე მოთხოვნის ზრდა, გაყიდვების არხები და სხვა [2]. ღვინის ბაზარი მუდმივად არის დამოკიდებული მომხმარებლის გემოვნებისა და უპირატესობების ცვლილებებზე. ამ თავისებურების გათვალისწინებით აუცილებელია გამოვლინდეს ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალი და შემუშავდეს ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგიები. აღნიშნულთან ერთად განსაკუთრებით აქტუალურია ღვინის გლობალურ ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების ახლებურად შეფასებაც [3].

კვლევისათვის გამოყენებულია როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული კვლევის მეთოდები, კერძოდ ინტუქციის, დედუქციის, ანალიზის, სტატისტიკური დაჯგუფების და სხვა მეთოდები.

საქართველოში ვენახების ფართობი დაახლოებით 45 ათას ჰექტარს შეადგენს, რაც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე 30 წლის წინ იყო (თითქმის 120 ათასი ჰა) და დაახლოებით უტოლდება XX საუკუნის 30-იანი წლების მაჩვენებელს [4]. მსოფლიო ვენახების ფართობის 0,8% საქართველოზე მოდის. ღვინისადმი განსაკუთრებული ინტერესი რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული: პირველ რიგში, ღვინო საქართველოსთვის ტრადიციისა და ისტორიული იდენტობის ნაწილია; გარდა ამისა, ღვინის წარმოებისა და ექსპორტის მასშტაბზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქართველოს რეგიონების, განსაკუთრებით კახეთის რეგიონის, ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. საქართველოში დაახლოებით 150-200 ათასი ტონა ყურძენი იწარმოება. ყურძენი საქართველოში ძირითადად ღვინის საწარმოებლად გამოიყენება. აქედან დაახლოებით 30-40 ათასი ტონა გადაამუშავდება ღვინის კომპანიებში, 15 ათასი ტონა მოიხმარება სუფრის ყურძნად, დარჩენილი 100 ათას ტონაზე მეტი გადაამუშავდება არარეგისტრირებული კერძო პირების მიერ „საოჯახო ღვინოების“ დასამზადებლად.


საქართველოში წარმოებული ღვინოები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან მევენახეობის რაიონისა და გამოყენებული ჯიშების მიხედვით. გასათვალისწინებელია ღვინის დაყენების სხვადასხვა მეთოდიც. ქართული ღვინოებიდან გამოირჩევა წინანდალი, მუკუზანი, საფერავი, ქინძმარაული, ხვანჭკარა, ასევე, კახური ტრადიციული და მასიურად გავრცელებული, ე.წ. ოჯახის ღვინო და ალაზნის ველი.

მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, ყურძნის ენდემური ჯიშების მრავალფეროვნება, ნედლეულის მაღალი ხარისხი, ღვინის წარმოების ისტორია და ტრადიციები, ქართული ღვინის ცნობადობა, კონკურენტული ფასები განაპირობებს ქართულ ღვინოზე მოთხოვნის ზრდის სტიმულირებას და ზრდადი მოთხოვნის შესაბამისი მიწოდების უზრუნველყოფას.

საქართველოში მეღვინეობის სექტორი თანდათან ვითარდება და იზრდება როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ბაზარზეც. ბოლო წლებში ქვეყნის შიგნით ბოთლის ღვინის გაყიდვები ზრდადია, საერთაშორისო ბაზარზე გამოჩნდა ახალი ქვეყნები, სადაც არსებობს ექსპორტის ზრდის

კარგი შესაძლებლობები. ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2017 წლის იანვარ-თებერვალში, საქართველოდან მსოფლიოს 32 ქვეყანაში ექსპორტირებულია 8.77 მილიონი ბოთლი (0.75 ლ) ღვინო, რაც 94%-ით აღემატება 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. თანხობრივად ღვინის ექსპორტის შემოსავალმა \$20.5 მილიონი შეადგინა, მოცულობების მიხედვით, ექსპორტის ყველაზე დიდი - 280%-იანი მატება ჩინეთის ბაზარზეა, სადაც უკვე ექსპორტირებულია 832 ათასი ბოთლი. 2017 წლის მონაცემებით, ექსპორტის 2/3 რუსეთზე მოდის [5].

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული შემდეგია: რუსეთი - 10 198 085 ბოთლი; უკრაინა - 2 286 977 ბოთლი; ჩინეთი - 1 884 665 ბოთლი; ყაზახეთი - 1 764 286 ბოთლი; პოლონეთი - 1 070 454 ბოთლი. ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ექსპორტირებულია „ქინძმარაული“ – 2 626 364 ბოთლი, „მუკუზანი“ – 1 006 732 ბოთლი, „წინანდალი“ – 830 149 ბოთლი, „ახაშენი“ – 426 899 ბოთლი, „ხვანჭკარა“ – 132 033 ბოთლი და ა.შ.



დიაგრამა. 2016 წლის ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული

2016 წლის შესაბამის პერიოდში კი ეს მაჩვენებელი \$20 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. რაც შეეხება 2016 წლის სრულ მონაცემებს, ამ პერიოდში ღვინის ექსპორტმა \$113 მილიონი შეადგინა, რაც 2015 წლის მონაცემებს 18%-ით აღემატება. ბრენდის ექსპორტმა კი \$91 მილიონი შეადგინა, რაც 2015 წლის მაჩვენებელს 41%-ით აღემატება. 2016 წელს, გაყიდვების აბსოლუტური ლიდერი „ქინძმარაული“ იყო. ხუთეულში ასევე შედის: „მუკუზანი“ (2 568 547 ბოთლი) და „ახაშენი“ (923 780) გურჯაანის რაიონის მიკროზონიდან, „წინანდალი“ (2 023 915) თელავის რაიონის მიკროზონიდან და აღექსანდროულისა და მუჯურეთულის კუპაჟი, რაჭული „ხვანჭკარა“ (413 823), ამბროლაურის რაიონის მიკროზონიდან. ტრადიციული ბაზრების გარდა, ღვინის ექსპორტის ზრდა შეინიშნება შედარებით ახალ ბაზრებზე, რომლებსაც ღვინის ეროვნული სააგენტო სტრატეგიულ მიმართულებად მიიჩნევს. აღსანიშნავია ქართული ღვინის ექსპორტის 89%-იანი ზრდა ჩინეთში, 46%-იანი – პოლონეთში, 28%-იანი – დიდ ბრიტანეთში და 19%-იანი – ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც 2016 წელს 294 ათასი ბოთლი ქართული ღვინო გაიყიდა. ქართული ღვინის სტრატეგიულ საექსპორტო ბაზრებად რჩება ბალტიისპირეთის ქვეყნები, ბოლო ორი წლის მონაცემებით, ლატვიაში საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნა ქართულ ღვინოზე და შედეგად, ქვეყანა პირველ ადგილზეა ბალტიისპირეთში ქართული ღვინისა და სპირტიანი სასმელების (ჭაჭა,ბრენდი) იმპორტის მოცულობით. უწყების ინფორმაციით, ლატვია და ესტონეთი ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების ათეულში შედიან. 2016 წელს ლატვიაში (მე-6 ადგილი) საქართველოდან ექსპორტირებულია 980 ათასამდე ბოთლი ღვინო, რაც 6%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო ესტონეთში (მე-8 ადგილი) 516 ათასამდე ბოთლი, რაც 33%-ით მეტია 2015 წლის ანალოგიური პერიოდის ექსპორტზე. მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 40,1 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც თითქმის გაორმაგებული

მანვენებელია 2016 წლის ამავე პერიოდთან შედარებით, როდესაც აღნიშნულმა შემოსავლებმა 20 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. 2017 წელს, მიზნობრივ სამოქმედო ბაზრებს დაემატა იაპონიის ბაზარი, სადაც ქართული ღვინის გაყიდვებმა 2016 წელს 16%-ით მოიმატა და თითქმის 160000 ბოთლი შეადგინა. იაპონიაში უკვე საკმაოდ პოპულარობით სარგებლობს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეკოლოგიურად სუფთა ყურძნისგან დაყენებული ბიოღვინოები: მათ შორის, გურული „ჩხავერი“, ქართლის „ჩინური“, კახური „ართანული“ და მესხური „მწვანე“. მაგრამ ის, რაც ქართული ღვინის ნამდვილი სახეა – ტრადიციული ტექნოლოგიით დაყენებული ქვევრის ღვინო, უცხოურ ბაზარზე დიდი ცნობადობით არ გამოირჩევა. ეს ბუნებრივიცაა - ის კომპანიები და ოჯახური მეღვინეობები, რომლებიც ასეთ პროდუქტს ამზადებენ, ცოტაა, არ აქვთ გათვლა მასიურ ექსპორტზე და ამიტომაც, არც შესაბამისი სახსრები გააჩნიათ ევროპის ან რომელიმე სხვა დიდ ბაზარზე მასშტაბური სარეკლამო კამპანიისათვის.

ქართულ ღვინოს საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრება მკაცრ კონკურენტულ გარემოში უწევს. მსოფლიოში ყურძნისა და ღვინის მიწოდება აჭარბებს მასზე მოთხოვნას. ამიტომ საქართველო ყურძნის დაბალი ფასების მიხედვით უნიკალურ შემთხვევად ვერ განიხილება. ბაზრის დივერსიფიკაციის სტრატეგია მაღალი ხარისხის ყურძნის მიწოდებაზე უნდა იყოს ორიენტირებული [6]. მაღალი ხარისხის ღვინის წარმოება გაცილებით მარტივია მსხვილი მეურნეობების შემთხვევაში, როდესაც დიდია მწარმოებლის საბაზრო ძალაუფლება, დამოუკიდებლად, საკუთარი სახსრებით ხდება ღვინის წარმოება, უცხოური ბაზრის მოძიება და ღვინის ექსპორტი. ქართული ღვინის ბაზრების გაფართოება მოითხოვს ღვინოების პოპულარიზაციას, ამისათვის კი აუცილებელია:

- ადგილობრივი და საერთაშორისო მომხმარებლის ინფორმირება საქართველოს შესახებ, როგორც ვახისა და ღვინის კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების უწყვეტი გამოცდილების მეშვეობით;

- ადგილობრივ ბაზარზე ღვინის კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;

- ქვევრის ღვინის დამზადების უნიკალური წესისა და ტრადიციების წინ წამოწევა როგორც გამოფენა-ღონისძიებების, ასევე სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით;

- ვენახების ფართობების აღრიცხვა, რეგისტრაცია, პასპორტიზაცია, სპეციფიკური ზონების საზღვრების დაზუსტება;

- სპეციალიზებული სადედო ნარგაობებისა და სანერგეების შერჩევა/მოწყობის ხელშეწყობა;

- გასამრავლებელი, უნიკალური და იშვიათი ჯიშების ასორტიმენტის შედგენა რეგიონების მიხედვით.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი მევენახეების ინფორმირებულობის დონის ამაღლებაში ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა: უცხოურ ბაზრებზე არსებული მოთხოვნა ქართული ღვინის სხვადასხვა სახეობებზე; საზღვარგარეთ მზარდი მოთხოვნა ბიოღვინოზე და მისი დამზადების ტექნოლოგიები; ღვინის ან ღვინომასალის ექსპორტის განხორციელება დამოუკიდებლად; შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა უფრო აქტიურად უნდა ითანამშრომლონ სამეცნიერო წრებთან და ხელი შეუწყონ კვლევებისა და განვითარების ერთობლივი პროექტების განხორციელებას [7].

მიზანშეწონილია, შეიქმნას საერთაშორისო ბაზარზე ღვინისა და კონკურენტუნარიანი ღვინომასალის გასატანად უცხოური ჯიშების, მაგალითად შარდონე, კაბერნე სავინიონი, პინო შავი და სხვა კონკურენტული წარმოებისა და გადაამუშავების ხელსაყრელი პირობები. ღვინის ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს წარმოადგენს: საკრედიტო ხაზის ამოქმედება, ადგილობრივი წარმოების მატერიალური რესურსების მაქსიმალურად გამოყენება, სამეურნეო გარიგებების სამართლებრივი მოწესრიგება ყურძნის შესყიდვასა და პროდუქციის რეალიზაციაზე, გარემო პირობების შექმნა ინვესტიციების მოზიდვაზე, მარკეტინგული სამსახურის პრიორიტეტულად განვითარება და სხვა [8].

დამატებითი ღონისძიებებია გასატარებელი ღვინის ბაზრის დივერსიფიკაციის მდგრადობის შენარჩუნება/გაფართოებისათვის სტრატეგიულ ბაზრებზე (მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩინეთში, დიდ ბრიტანეთში, პოლონეთში); შესამუშავებელია ღვინის ბაზრის დივერსიფიკაციის სტრატეგია ახალ ბაზრებზე (ბალტიისპირეთის ქვეყნები, იაპონია), საერთაშორისო ბაზრებზე წარმატებით გასავლელად აუცილებელია: ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს უზრუნველყოფა, ხარისხის კონტროლისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ქართული ღვინის სახელის დაცვა საერთაშორისო ბაზარზე, რომელიც ინვესტიციების მოზიდვისკენ იქნება მიმართული, ბიზნესის მონიტორინგი, არსებული ტექნოლოგიებისა და ვენახების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, მევენახეობის დაგეგმვა ქვეყნის მასშტაბით, რუკების შექმნა.

ღვინის ბაზრის ანალიზის საფუძველზე შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები გამოვლინდა:

• ღვინის წარმოება ზრდადია იმ ქვეყნებში, სადაც ამ პროდუქტის წარმოების ტრადიციები არსებობს. საქართველოშიც ღვინის წარმოების დინამიკა ზრდადია. ღვინოზე მოთხოვნას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორცაა სამომხმარებლო ბაზარი, ღვინის ტურიზმზე მოთხოვნის ზრდა, გაყიდვების არხები და სხვა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით უნდა აიგოს ქართული ღვინის ბაზრის განვითარების სტრატეგიები.

• ქართული ღვინის ბაზარზე დიდი წილი უჭირავს საშუალო და მცირე ზომის ღვინის კომპანიებს. მაღალი ხარისხის ღვინის წარმოება გაცილებით მარტივია მსხვილი კომპანიების შემთხვევაში, როდესაც დიდი მწარმოებლის საბაზრო ძალაუფლება. ასეთ შემთხვევაში ადვილია უცხოური ბაზრის მოძიება და ღვინის ექსპორტიც. ღვინის კომპანიების ოპტიმალური მასშტაბების დადგენა მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის დივერსიფიკაციას შეუწყობს ხელს.

• ქართული ღვინის ბაზრებზე კომპანიების წილის გაფართოება მოითხოვს ღვინოების პოპულარიზაციას, ამისათვის კი აუცილებელია ადგილობრივი და საერთაშორისო მომხმარებლის ინფორმირება ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების უწყვეტი გამოცდილების, ასევე ამ პროდუქტების კონკურენტულობის შესახებ;

• მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება მოითხოვს ღვინის ბაზრის დივერსიფიკაციის პროცესის მდგრადობას სტრატეგიულ ბაზრებზე (მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩინეთში, დიდ ბრიტანეთში, პოლონეთში); შესაძრავებელია ღვინის ბაზრის დივერსიფიკაციის სტრატეგია ახალ ბაზრებზე (ბალტიისპირეთის ქვეყნები, იაპონია).

• საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის წინაპირობა ადგილობრივ ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნაა. ფირმებმა უნდა აწარმოონ მსოფლიო კლასის ღვინოები, მით უმეტეს, თუ მთავარი გათვლა ექსპორტზე კეთდება, აუცილებელია ბრენდზე ზრუნვა. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს უახლესი ტექნოლოგიების მოხმარებას და პროფესიონალი მუშახელის დაქირავებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხარაიშვილი ე., მოთხოვნა ქართულ ღვინოზე და მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის კონკურენტული უპირატესობის ფაქტორების შეფასება, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ. IX, №4, 2016.
2. Anderson K., Nelgen S., Wine's Globalization: New Opportunities, New Challenges Kym Anderson and Signe Nelgen (Wine Economics Research Centre), 2011.
3. Kharaiashvili E., Small Farm Diversification Opportunities in Viticulture-Wine making Sector of Georgia, World Academy of Science, Engineering and Technology, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering Vol:10, No:5, 2016.
4. ღვინის ეროვნული სააგენტო, georgianwine.gov.ge/geo/company
5. ასოციაცია ქართული ღვინო - <http://www.gwa.ge/>
6. E. Kharaiashvili, M. Chavleishvili, M. Natsvaladze, Trends and Prospects for the Development of Georgian Wine Market, World Academy of Science, Engineering and Technology - ICEMBIT 2014 : International Journal of Social, Menejment, Economics and Business Engineering Vol:8 No:10, 2014.
7. ლაზარიაშვილი თ. სუბსიდირების პროგრამების ეფექტიანობა მევენახეობა - მეღვინეობაში, ჟ. „ეკონომისტი“ №2, 2016.
8. ლაზარიაშვილი თ., მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პრობლემები კახეთის მხარეში, მონოგრაფია, თბილისი, 2007.

Tamar Lazariashvili

WINE MARKET DEVELOPMENT OPPORTUNITIES IN GEORGIA Summary

The paper discusses wine market development indicators, analyzes producing opportunities of wine in Georgia, studies competitive advantage in this sector, evaluates the role of government in development of this sector.

The research underlines factors, which have an influence on wine demand and concludes that for Georgia wine is the part of traditions and historical identity. Economic development of Georgian regions, especially Kakheti, depends on the production and export of wine. Production of high quality wine is efficient for medium and large scale production.

The paper discusses international markets of wine. There are recommended different activities to promote the positioning of Georgian wine on the international markets, for instance, promoting business development, providing stable macroeconomic environment, controlling activities for quality and safety, protecting the name of Georgian wine, implementing economic policy to attract investors, monitoring business, identifying existed technology and vineyard – registration, planning, etc.

The paper discusses traditional and new markets of Georgian wine. For expansion it is important: to popularize different species of wine; to introduce Georgia as an heir of wine culture, history and traditions between international consumers; to increase the promotion of wine culture on the domestic market; to popularize the unique and traditional methodology of winemaking. There should be implemented additional activities to maintain and expand sustainability of wine market diversification on strategic markets (for example, USA, China, United Kingdom, Poland); Diversification opportunities of wine market should be developed in new markets (Baltic countries, Japan).

To become competitive on international market depends on the competitive environment of domestic market. Firms have to produce world class wine, especially, when they try to increase export. It is important to care about the brand. Modern technologies and high qualified labor force also are very important.

There are offered several conclusions and recommendations regarding the development opportunities of traditional and perspective markets of Georgian wine.

*დალი სოლოლაშვილი
ნატალია საღარეიშვილი*

**პროგრამული ბიუჯეტის შემდგენის ხარვეზები
აღბილობრივ თვითმმართველ ერთეულებში**

ანოტაცია. სტატია ეხება საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით განწერისას დაშვებულ ხარვეზებს და წარმოხენილია პროგრამულ ბიუჯეტთან დაკავშირებული უარყოფითი მხარეები, რომლის გამოსწორებაც მნიშვნელოვან შედეგს მოგვცემს ქვეყნის განვითარებისათვის. შესწავლილი და გამოკვლეულია რამდენად ახერხებენ მუნიციპალიტეტები, დაიცვან ამ მიმართულებით არსებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები. კვლევის პროცესში გამოვლენილია ნაკლოვანებები ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადების ყველა ეტაპზე და შემუშავებულია წინადადებები დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ბიუჯეტი, თვითმმართველობა, პროგრამის შედეგი, ინდიკატორი.


პროგრამული ბიუჯეტი ტრადიციული სტრუქტურის ბიუჯეტის ალტერნატივაა და იმ უპირატესობით გამოირჩევა, რომ ის დაგეგმვის პროცესიდანვე შედეგზეა ორიენტირებული. მასში ხარვეზები კონკრეტული პროგრამების მიხედვით არის დაყოფილი და უფრო თვალსაჩინოა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები კონკრეტულ დონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის. პროგრამულ ბიუჯეტი – ეს არის შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირება, რომელიც OECD-ის განსაზღვრებით, წარმოადგენს „ბიუჯეტირების ფორმას, რომელიც აკავშირებს გამოყოფილ რესურსებსა და გაზომვად შედეგებს“. აშშ-ს უმაღლესი აუდიტორული ორგანოს (U. S. General Accounting Office -GAO) განსაზღვრებით კი, „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება გულისხმობს მიღწეულ შედეგებზე ინფორმაციის ინტეგრირებას ბიუჯეტირების პროცესში“.

პროგრამული ბიუჯეტირება, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების მექანიზმი, მოიცავს ორ უმთავრეს კომპონენტს: ა) დანახარჯების კლასიფიკაცია დასახული მიზნების (მთავრობის მიერ განსახორციელებელი პროგრამების) მიხედვით და ბ) შედეგების შესახებ ინფორმაციის (პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარვეზებისა და მიღებული სარგებლის ანალიზი) სისტემატური გამოყენება ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრისას.

პროგრამული ბიუჯეტირებისას, თითოეული პროგრამა წარმოადგენს ამა თუ იმ პრიორიტეტის განხორციელების საფუძველს, მას აქვს განხორციელების საპროგნოზო პერიოდი, ჰყავს განმარტებული ორგანო და აქვს წინასწარ განსაზღვრული მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები. პროგრამული ბიუჯეტირებისათვის ამოსავალ წერტილს მისაღები საბოლოო და შუალედური შედეგები წარმოადგენს.

საქართველოში ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს ბიუჯეტების პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით მომზადება კანონმდებლობით 2013 წლიდან დაევადათ. ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადება რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით (№385; 2011 წლის 8 ივლისი, ქ. თბილისი) „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“, რომელიც მოიცავს პრიორიტეტების ფარგლებში გაწერილი პროგრამების აღწერასა და მიზანს, მოსალოდნელ შედეგებსა და შედეგების შეფასების ინდიკატორებს, რაც პროგრამული ბიუჯეტის უმთავრეს უპირატესობას და, ამავდროულად, სირთულეს წარმოადგენს.

იმის მიზნით, რომ დაგვედგინა თუ რამდენად ახერხებს სქართველოს 79 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადებას, ჩვენ შევისწავლეთ 35⁵⁴ მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტი.



სურათი 1. ანალიზისთვის შერჩეული მუნიციპალიტეტები

გამოკვლევული მუნიციპალიტეტებისათვის, ზოგიერთ შემთხვევაში პროგრამული ბიუჯეტის დანართში მოცემული მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებებისა და მოსალოდნელი შედეგების წარმოდგენა ხდება აგრეგირებულად, პროგრამების დონეზე, და არ ითვალისწინებს მათ შემდგომ დეტალიზაციას ქვეპროგრამებად. აღნიშნული ფორმატით წარმოდგენილი პროგრამები და მოსალოდნელი შედეგები არ იძლევა იმის საშუალებას, დადგინდეს თუ რა ნაწილი მიემართება პროგრამისათვის გამოყოფილი მთლიანი ასიგნებიდან რომელიმე კონკრეტული შედეგის მისაღწევად. იმის გათვალისწინებით, რომ შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების უმთავრეს მიზანს სწორედ მიღწეულ შედეგებსა და მიზნის მისაღწევად დახარჯულ რესურსებს შორის კავშირის დამყარება წარმოადგენს, მნიშვნელოვანია დამატებითი ყურადღება გამახვილდეს აღნიშნულ საკითხზე ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა მხარჯავმა დაწესებულებამ გააანალიზოს პროგრამა და მის ფარგლებში მისაღწევი შედეგები, როგორც ამოსავალი წერტილი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა შედეგზეა ორიენტირებული. მის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებლებზე გადანაწილებული რესურსები, არამედ ასევე მისაღები საბოლოო და შუალედური შედეგები. შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტირებისას პარალელურად იგეგმება ის ინდიკატორებიც, რომელთა საშუალებითაც უნდა გავზომოთ პროგრამის შედეგი. ინდიკატორების დაგეგმვისას მუნიციპალიტეტებმა უნდა იხელმძღვანელონ „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით“⁵⁵ განსაზღვრული მოთხოვნებით და თითოეული ინდიკატორი უნდა იყოს:

- ✓ სასარგებლო;
- ✓ შედეგზე ორიენტირებული;
- ✓ ნათელი და გაზომვადი;
- ✓ შესაბამისი და მიღწევადი;
- ✓ შედარებითი.

პროგრამულ დანართში მოცემული ინდიკატორების ზოგადი სურათის წარმოსადგენად ჩატარებული ანალიზის შედეგად მომზადდა სტატისტიკური მონაცემები, რომელიც აღწერს ინდიკატორების არსებული მეთოდოლოგიით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობას (ცხრ. 1).

⁵⁴ ახმეტის, გურჯაანის, ქალაქ თელავის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ჭიათურის, ტყეშელის, წყალტუბოს, ბაღდათის, ვანის, ხონის, აბაშის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, გორის, კასპის, ქარელის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის, ნინოწმინდის, დუშეთის, თიანეთის, ლენტეხის, ონის, ცაგერის.

⁵⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №385 (2011 წლის 8 ივლისი, ქ. თბილისი)

ინდიკატორების შეფასება კრიტერიუმების მიხედვით

ინდიკატორები	სასარგებლო	შედგეზე ორიენტირებული	ნათელი და გაზომვადი	შესაბამისი და მიღწევადი	შედარებითი
2014					
აკმაყოფილებს	60.8%	42.6%	65.7%	66.7%	89.6%
ვერ აკმაყოფილებს	39.2%	57.4%	34.3%	33.3%	10.4%
2015					
აკმაყოფილებს	62.00%	74.00%	56.00%	74.00%	80.00%
ვერ აკმაყოფილებს	38.00%	26.00%	44.00%	26.00%	20.00%
2016					
აკმაყოფილებს	76.2%	75.2%	60.3%	79.6%	83.1%
ვერ აკმაყოფილებს	23.8%	24.8%	39.7%	20.4%	16.9%

როგორც ცხრილიდან ჩანს, მუნიციპალიტეტების მიერ შედგენილი ინდიკატორების საშუალოდ 32-33% არ არის სასარგებლო და არ შეიძლება მისი გამოყენება პროგრამის შედეგების შესაფასებლად. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინდიკატორების დაახლოებით 40% არ არის გაზომვადი და არ იძლევა ზუსტ ინფორმაციას მიღწეული შედეგის შესახებ.

ჩატარებული ანალიზით დგინდება, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც არასრულყოფილად ხდება შუალედური და საბოლოო შედეგების ინდიკატორების განსაზღვრა/ჩამოყალიბება. აღნიშნულში ვგულისხმობთ, რომ ქვეპროგრამის შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები იმავდროულად გამოყენებულია პროგრამის საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორად.

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეპროგრამები მისი ძირითადი პროგრამის საბოლოო შედეგის მიღწევას ემსახურება, ამგვარი გამეორების საჭიროება არ არსებობს და მიზანშეწონილია, პროგრამის საბოლოო შედეგის შესაფასებლად გაიწეროს ერთი ან რამდენიმე ეფექტიანობის ინდიკატორი, რომლებიც, თავის მხრივ, ქვეპროგრამების ფარგლებში წარმოდგენილი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორებს დაეყრდნობა. ამასთან, ინდიკატორების რაჩიურება საშუალებას იძლევა, თავიდან იქნეს აცილებული ცალკეული პროგრამის/ქვეპროგრამისათვის მეთოდოლოგიით განსაზღვრული ინდიკატორების მაქსიმალური რაოდენობის გადაჭარბება.

გამოკვლეული 35 მუნიციპალიტეტიდან 12-ის შემთხვევაში ინდიკატორების 23% მთლიანად ან ნაწილობრივ იმეორებს მოსალოდნელ შედეგებს. მაგალითად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის „წყლის სისტემების რეაბილიტაციის“ პროგრამის მოსალოდნელი შედეგი „მოსახლეობის წყალმომარაგების მდგომარეობის გაუმჯობესება“ და აღნიშნული შედეგის შეფასების ინდიკატორი „მეტი სოფლების წყალმომარაგება“ ერთმანეთის იდენტურია. ამდენად, ინდიკატორი არ არის სასარგებლო და პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგების გაზომვისა და შეფასების საშუალებას არ იძლევა.

ხარვეზები შეინიშნება პროგრამებისა და ქვეპროგრამების შუალედური და საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორების განსაზღვრის დროსაც. ზოგიერთი პროგრამების და ქვეპროგრამებისთვის შედეგების შეფასების ინდიკატორების რაოდენობა სცდება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით“⁵⁶ განსაზღვრული ინდიკატორების დასაშვებ ლიმიტს. პროგრამული დანართების ანალიზით ირკვევა, რომ არსებული პროგრამების დაახლოებით 23%-ისათვის მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შესაფასებლად წარმოდგენილია 6 ან მეტი ინდიკატორი. შედეგად, ზოგ შემთხვევაში რთულია გავარკვიოთ, თუ რომელი ინდიკატორი აფასებს პროგრამის ცალკეულ შედეგს.

ანალიზის შედეგად ასევე ვლინდება, რომ პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაახლოებით 47% საჭიროებს დამატებით ინდიკატორს, რათა სრულყოფილად შეფასდეს პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური/საბოლოო შედეგები.

⁵⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №385 (2011 წლის 8 ივლისი, ქ. თბილისი)

პროგრამული დანართის ანალიზისას ინდიკატორების შემუშავებაში გამოვლენილი სისტემური ხასიათის ხარვეზები მიუთითებს, რომ საჭიროა დამატებითი კრიტერიუმების შემუშავება პროგრამის ინდიკატორების მთლიანი სისტემისთვის. ამასთან, ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ მხოლოდ არსებულ კრიტერიუმებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი, გამართული და ქმედითი შეფასების ინდიკატორის ჩამოყალიბებისთვის.

მიზანშეწონილია, დაიხვეწოს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია. ამასთან, მხარჯავ დაწესებულებებს მიეწოდოს დეტალური განმარტებები და ინსტრუქციები ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მოსამზადებლად.

მეთოდოლოგიის გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, ჯერ კიდევ საჭიროა მისი ეტაპობრივი დახვეწა პროგრამული ბიუჯეტების განვითარების პარალელურად. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადებაში მნიშვნელოვანი ხარვეზები შეინიშნება და ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება მხარჯავი დაწესებულებების მიერ საბიუჯეტო სახსრების ათვისების შედეგად მიღწეული შედეგების ეფექტიანობის შეფასება, მიზანშეწონილია, მომზადდეს დაგეგმვისა და ანგარიშგების უფრო დეტალური ინსტრუქციები საშუალოვადიანი გეგმების, პროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი და მიღწეული შედეგების და შედეგების შეფასების ინდიკატორებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდოლოგიაში მოცემულია ზოგადი აღწერა საშუალოვადიანი გეგმების ფარგლებში წარმოსადგენი ინფორმაციის, მის შედგენაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქცია-მოვალეობების და მიღწეული შედეგების შეფასების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა მხარჯავმა დაწესებულებამ გააანალიზოს პროგრამა და მის ფარგლებში მისაღწევი შედეგები, როგორც ამოსავალი წერტილი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში;

სასურველია, მხარჯავი დაწესებულებების მიერ საშუალოვადიანი გეგმების მომზადების პროცესის პარალელურად გაგრძელდეს აღნიშნული მიმართულებით მეთოდოლოგიის დახვეწაზე მუშაობა და საშუალოვადიანი გეგმების მომზადების, შეფასებისა და ანგარიშგების ეტაპების დეტალური საფეხურებისა და ინსტრუქციების შემუშავება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქ. ფინანსთა მინისტრის ბრძანება №385 „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ (2011 წლის 8 ივლისი ქ. თბილისი).
2. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“.
3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება უკეთესი პრაქტიკის სახელმძღვანელო“, 2014.
4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები.
5. <http://www.oecd.org/gov/budgeting/performancebudgetinginoecdcountries.htm>;
6. <http://www.transparency.ge/blog/rodis-iktseva-kanonad-kveqnis-programuli-biujeti?page=1>
7. <https://matsne.gov.ge/>

Dali Sologhashvili

Natalia Saghareishvili

THE SHORTCOMINGS OF PROGRAM BUDGETING IN LOCAL SELF-GOVERNING UNITS

Summary

The program budget is an alternative to the traditional structure of the budget and the advantage is that it is oriented towards the outcome of the planning process. The expenditures in it are divided by specific programs, and the cause-effectual linkages between the financial resources and the results obtained in the particular event are more visible. Program budget is defined by the OECD's definition of "budgeting that connects resources and measurable results". According to the United States Supreme Audit Agency (U.S General Accounting Office), "results-oriented budgeting means integrating information into the budgeting process."

Program Budget - this is a plan on how resources should be used in the current fiscal year. The budget is the decision-making base and at the same time reporting weapons about how these decisions were made. The main advantage of the program budget is compared to the traditional, organizational structure budget that the program budget allows the budget to be based on the results of the planning process that is effective planning. Effective planning implies that people responsible for its implementation have the necessary skills to solve the problems set out in the program. In the format of the program it is clear that the cause-effective relationship between the financial resources and the results obtained in the concrete measure is the most important precondition for effective use of state finances. Also, the program budget allows the entire budget to be viewed in terms of funding and funding of its funding and not only within the organizational context.

In Georgia, the process of implementing program budgeting in local self-governing units, is at the initial stage. The municipality has been tasked to prepare the program budget from 2013.

As the budget is the main financial document, it is necessary to be accurate and perfectly reflect the financial performance of the organization. Despite this, there are significant shortcomings in the program appendix of budgets drafted by self-governing entities in Georgia.

One of the main purposes of the program budget is to determine what the result is to be spent on the spending. Problems also appear in this direction. Specifically, there are some shortcomings in the stage of determination of indicators of intermediate and final results of programs and sub-programs. In particular, indicators are not useful and do not allow measurement and evaluation of the results achieved within the program.

Considering that the main purpose of the program budgeting is to establish the connection between the achieved results and resources spent on achieving the objective, the drawn-up program budget can be used as an advantage to the effectiveness of the municipality. Thus, we consider it important to focus on this issue. Explore and investigate the gaps allowed in the process of distribution and recording of the revenues and expenditure budgets of the municipalities and fix recommendations and proposals to facilitate the development of comprehensive reporting and successful budget system.

To improve the methodology, there is still a need to improve the gradual development of a parallel program budgeting. Given the fact that this stage of the budget preparation format and the significant shortcomings observed in many cases can not be spending units in the budget as a result of utilization of the results achieved in efficiency, it is recommended to prepare a mid-term planning and reporting more detailed instructions, within the expected and achieved results and the results of the assessment indicators.

ქეთევან ქველაძე

ტურიზმის სექტორში „ტურების დინამიური პაკეტირების“ ინოვაციური მოდელის განვითარების მნიშვნელოვანი საჭარტოვლო

ანოტაცია. სტატიაში განხილულია თანამედროვე ტურიზმის დღევანდელი გამოწვევების ზოგიერთი ძირითადი ასპექტი და მისი მნიშვნელობა საქართველოს ტურიზმის განვითარებაში. კერძოდ, თანამედროვე II – საინფორმაციო ტექნოლოგიები და მისი ერთ-ერთი ინოვაციური მოდელი – „ტურების დინამიური პაკეტირება“. გამოვლენილია ინოვაციური ტექნოლოგიების თანამედროვე მოდელების დანერგვისა და განვითარებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის აუცილებლობა და განსაზღვრულია ის აუცილებელი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს ინოვაციური ტექნოლოგიური მოდელის დანერგვას ჩვენი ქვეყანის ტურისტულ ბიზნესში, რაც კიდევ უფრო მეტად დააახლოებს ჩვენი ქვეყანის ბაზარს მსოფლიო ბაზართან.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ინოვაციური მოდელები, II – საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტურის დინამიური პაკეტირება, ტურპაკეტი, ტურსააგენტო.

შესავალი

თანამედროვე ტურიზმი XXI საუკუნის გლობალურ მოვლენად იქცა, ის ასევე გადაიქცა სამეურნეო საქმიანობის ისეთ სფეროდ, რომელიც ზემოქმედებს მეურნეობის 50-ზე მეტ დარგზე და აქვს მდგრადი მულტიპლიკატორული კავშირები ეკონომიკის სხვადასხვა დარგთან. იგი მოიცავს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, გააჩნია საკუთარი ლოგისტიკა, კადრების მომზადების სისტემა.

ბოლო 15-20 წელია მსოფლიო ტურიზმი კარდინალურად იცვლება. იგი თავისი განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, რაც ტურისტულ სფეროში უამრავი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს ინტეგრაციაშიც გამოიხატა. დამთავრდა მასიური საპაკეტო ტურების ეპოქა, გაფართოვდა დაჯავშნის ინოვაციური ელექტრონული სისტემის და საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვა სახეობების გამოყენება და სხვ., ტურიზმის ტრადიციული მოდელი „ზღვა-მზე-სანაპირო“ – (3S (Sea-Sun-Sand), არსებითად შეიცვალა და გადავიდა ახალ მოდელში - „ტრადიციები – პეიზაჟი - თავისუფალი დრო“ – 3L (Lore – Landscape - Leisure) ან „შთაბეჭდილება - შესწავლა - გართობა“ – 3E (Excitement – Education - Entertainment). მსოფლიოში ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის მიუხედავად, ტურიზმი სტაბილურად ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას. გაეროსთან არსებული მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (მტო) მონაცემებით, 2016 წელს საერთაშორისო ტურისტული მოგზაურობების რიცხვი 46 მლნ-ით (3,9%) გაიზარდა და 1,235 მლრდ მიაღწია, ბოლო წლებში ყოველწლიურმა ნაზარდმა კი – 4-5%. წელიწადში ტურისტული მომსახურებით 5 მლრდ ადამიანი სარგებლობს. ტურისტული ინდუსტრიის წილი მსოფლიო მშპ-ში 9,5%-ს შეადგენს.

მსოფლიო ტურიზმის განვითარების მასშტაბები და ტემპები შთაბეჭდილია, მაგრამ არსებობს უზარმაზარი რეგიონული განსხვავებები ამ მაჩვენებლების მიხედვით. ტურიზმის ეფექტური განვი-

თარება დამოკიდებულია შიდა და გარე გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირების მოხდენაზე, რასაც მუდამ ეჯახება ტურისტული ინდუსტრია.

თანამედროვე ეტაპზე ბევრ ქვეყანაში ერთ-ერთ დიდ პრობლემას წარმოადგენს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება, ავტომატიზაცია, საძიებო მონაცემების ბაზების ერთიანი საინფორმაციო ველის შექმნა, რაც გადაწყვეტს თანამედროვე ტურიზმის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას – ყველა მონაწილეს შორის ოპერატიული კომუნიკაცია.

დღეისათვის ბიზნესის ბევრ დარგში წამყვანი როლი დაიკავა **IT (Information Technology) საინფორმაციო ტექნოლოგიებმა** - (მრავალი სამეცნიერო და ტექნიკური სფეროს ურთიერთდამაკავშირებელი სისტემები, რომლებიც გამოთვლითი ტექნიკის მეშვეობით შეისწავლიან და იყენებენ პრაქტიკაში ინფორმაციის შექმნის, დამუშავების, შენახვის, დაცვისა და გადაცემის მეთოდებს). დღესდღეობით, IT (საინფორმაციო ტექნოლოგიები) წარმოადგენს თანამედროვე ბიზნესის ხერხემაღს. მის მიერ წარმოებული მონაცემები ქმნის ისეთი ტიპის ინფორმაციებს, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე ბიზნესგარემოსთვის და რომელთა გამოყენება ტურისტულ კომპანიებს (ტუროპერატორები და სააგენტოები) საშუალებას აძლევს, რადიკალურად შეცვალონ მართვის სტილი და თვით ბიზნესპროცესები, მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ კომპანიის საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მოდელის დანერგვა ასევე ცვლის საქონლისა და მომსახურების გაყიდვის პროცესს, აახლოებს რა მომხმარებელს მწარმოებელთან. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით ადვილია საქონელმწარმოებელთან უშუალო კონტაქტის დამყარება, პროდუქტისა და მისი მოწოდების საუკეთესო ალტერნატივის შერჩევა, უმოკლეს ვადაში კონტაქტის დამყარება და საქმიანი მოლაპარაკების წარმოება. მსგავსი მოქმედება დროისა და ფულადი სახსრების ეკონომიას იწვევს, რაც, საბოლოო ჯამში, აისახება მომხმარებლის კმაყოფილების ხარისხზე.

თანამედროვე ტურიზმში **IT – საინფორმაციო ტექნოლოგიების ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული მოდელია – ტურების დინამიური პაკეტირება**. ეს არის ტურპროდუქტის ფორმირებისა და რეალიზაციის ახალი ტექნოლოგია, როდესაც ტურის დაჯავშნა მოიცავს მომსახურებათა მინიმალურ კომპლექტს: გადაფრენასა და განთავსებას, ითვალისწინებს რა არჩეულ ტურისტულ მიმართულებებზე ტურპაკეტის ფორმირებას და ფასის გადახდას შეკვეთის მომენტშივე (ე. ი. ინდივიდუალური ტურების უნივერსალური კონსტრუქტორი შესაძლებელს ხდის რამდენიმე წუთში დაიჯავშნოს, გადახდილ იქნეს და გაფორმდეს მზავრობა ელექტრონული ავიაბილეთის კვითრით და ოტელში ცხოვრების ვაუჩერით, ძალიან მომგებიანი პირობებით).

ბოლო პერიოდში ადამიანები დამოუკიდებლად ცდილობენ ავიაბილეთებისა და ოტელების დაჯავშნას, სხვადასხვა საიტებზე ადარებენ ფასებს. ინოვაციური დინამიური საპაკეტო ტურები ძალიან მოსახერხებელია ტურაგენტებისათვის. ესმარება რა მათ, შესთავაზონ საკუთარ კლიენტებს უნიკალური ფასები, ოპერატიული ინფორმაცია ადგილების არსებობის შესახებ და ამით დაიზოგოს დრო ძიებაზე და ასევე მოხდეს მომენტალური დადასტურება მომსახურების გადახდებზე (ავიაბილეთებზე და ვაუჩერი სასტუმროზე). ამავე დროს, გადამყვანების და ოტელების მხრივ სპეციალური ტარიფების ხარჯზე პაკეტის ფასი ყოველთვის უფრო დაბალია, ვიდრე მომსახურებები მომწოდებელთა საიტებზე დაჯავშნის დროს. სხვაობამ შეიძლება 20-30%-საც კი მიაღწიოს. ასევე მინიმალურია ტურის ჩაშლის რისკები. ამ ხერხით ტურსააგენტოებს საშუალება ეძლევათ, თავისი პროდუქტი საკმაოდ კონკურენტუნარიანი გახადონ და უფრო მეტი კლიენტი მოიხილონ. ე.ი დინამიური ტურპაკეტირება, შეიძლება ითქვას, არის არაერთგვაროვანი პროდუქტი ტურიზმის სფეროში და კლასიკური ტურების გაყიდვის დამატებითი ინსტრუმენტი და ალტერნატივა.

კლასიკურ ტურპაკეტს ავტომატურად ემატება, როგორც წესი, ისეთი სერვისები როგორცაა: გადაფრენა, განთავსება, ვიზები, ტრანსფერი, ექსკურსიები, დაზღვევა და ჭკვიანური ლოჯისტიკა. კლასიკური პაკეტური ტურების დარგში ძირითადად გამოიყენება დინამიური ფასწარმოქმნა, როდესაც ტუროპერატორები ცდილობენ, გადაიყვანონ გაყიდვის ოფლაინ ფორმიდან ონლაინში. ამ დროს იქმნება ტურების მონაცემთა ბაზა საკუთარი პროგრამების გამოყენებით, სადაც ჩატვირთულია ინფორმაცია ტურების, ფასების, ფრენების შესახებ. მომხმარებელს შეუძლია მონაცემთა ბაზის დახმარებით მიიღოს სასურველი ინფორმაცია ტურის შესახებ. კლასიკური პაკეტის შემთხვევაში პირობები მკაცრადაა გაწერილი.

ინოვაციური დინამიური პაკეტების ფორმატი ბევრად უფრო მოქნილია, ვიდრე კლასიკური. ტურიზმის დარგში წარმატებული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ უახლოეს პერსპექტივაში ინოვაციური დინამიური პაკეტირება გახდება მსოფლიო ტურინდუსტრიის განვითარების ახალი სტრატეგიის ტექნოლოგიური საფუძველი.

დინამიური ინოვაციური პაკეტირების უპირატესობა კლასიკურთან შედარებით გამოიკველია London Economics-მა ევროპის 17 ქვეყანაში. გამოკითხვის ჩატარების შედეგად ჩამოყალიბდა შემდეგი ძირითადი პუნქტები:

• ეკონომიის შესაძლებლობა, კლასიკური პაკეტების ფასებთან შედარებით (რაც, როგორც წესი, 10%-ს შეადგენს) ან სხვადასხვა საიტების დახმარებით ტურის დამოუკიდებლად შედგენით (50%);

- ეგზოტიკურ ქვეყნებში ტურების ფორმირების შესაძლებლობა (29%);
- საკმაოდ დიდი მოქნილობა მგზავრობის დაგეგმვისას (23%).

სხვადასხვა ბაზრებზე კლასიკურიდან დინამიურზე გადასვლის სინქარე სხვადასხვაა. ბევრია დამოკიდებული კომპანიის მასშტაბებზე, მომწოდებლების მხრიდან კონტრაქტების სიმყარის ხარისხზე, პირობების ექსკლუზიურობაზე და სხვ. მეცნიერების აზრით, დინამიური პაკეტირება ვერასოდეს შეცვლის კლასიკურ ტურპაკეტებს, მაგრამ ძალიან წარმატებით შეიძლება იარსებოს როგორც დამოუკიდებელმა ტურპროდუქტმა.

როგორც აღვნიშნეთ, ინტერნეტი განიხილება სამოგზაურო ინფორმაციის ძირითად წყაროდ, რომელიც თავისი ფასეულობით აღემატება ტრადიციული მედიის ფორმებსა და მარკეტინგის ინსტრუმენტებს. მსოფლიოში ტურისტების ნახევარი (50%) სამოგზაურო ინფორმაციის მიღებისათვის მიმართავს ინტერნეტსაიტებსა და სოციალურ მედიას, 10% ბეჭდურ მედიას, 10% რადიოსა და 10% ტელევიზიას, ხოლო 20% – ტურისტულ სააგენტოებს [4]. ბოლო 10 წლის განმავლობაში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა ყოველწლიურად 200 - 300 მლნ-ით იზრდებოდა (თუმცა მოსახლეობის 4,1 მლრდ ისევ ინტერნეტის გარეშეა დარჩენილი).

დღეს საქართველოშიც ინტერნეტმომსახურებისათვის გამოყენებული ტექნოლოგიური პლატფორმა მზარდ ტექნოლოგიად მიიჩნევა და ქვეყანაში ამ სერვისის დონის გაუმჯობესებას ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებად ასახელებს. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის ტურისტული რეგიონები ცდილობენ, მიუახლოვდნენ და კონკურენცია გაუწიონ უცხოეთის ტურისტულ რეგიონებს, თუმცა ჩვენი კურორტებისთვის რთულია დააკმაყოფილონ საზღვარგარეთის კურორტების სერვისის დონით გათამამებული რეკრეანტების მაღალი მოთხოვნილებები, რადგან საქართველოში არსებული კლასიკური ტუროპერატორებისა და სააგენტოების დიდი ნაწილი ხასიათდება მართვის ტრადიციული სტილით, კერძოდ – იერარქიულობით, ხისტი სტრუქტურებით, ცენტრალიზებით, ლოკალურობით.

საყურადღებოა, რომ ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი რეგიონული ლიდერია ელექტრონული მმართველობის განვითარების კუთხით, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ე.წ. “ციფრული დაშორება,” ანუ ინტერნეტის თანაბარი ხელმისაწვდომობა ქალაქებსა და რეგიონებში. საგულისხმოა, რომ გაეროს ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალიზებული სააგენტოს, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) გამოთვლებით, ინტერნეტი საქართველოს მოსახლეობის 45%-ისათვის არის ხელმისაწვდომი და ინტერნეტ სერვისების 130-ზე მეტი მიმწოდებელია დარეგისტრირებული. ITI-ის ინფორმაციით კი – 2016 წელს მოსახლეობის 40% ყოველდღიურად იყენებს ინტერნეტს. აღნიშნული მონაცემი გასული წლის მაჩვენებელს 5%-ით უსწრებს. აღსანიშნავია ასევე, რომ იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც 2015 წელს ინტერნეტს საერთოდ არ იყენებდა (46%) 3%-ით არის შემცირებული. რაც შეეხება იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებმაც საერთოდ არ იციან, რა არის ინტერნეტი, მათი პროცენტული მაჩვენებელი საერთო რაოდენობაში 1-ია.

ამასთან ერთად, საქართველომ World Economic Forum-ის შორის ტურიზმის კონკურენტუნარიანობის 2017 წლის ინდექსში პოზიცია 1 ადგილით გაიუმჯობესა, რის შედეგადაც 136 ქვეყანას შორის ქვეყანამ 70-ე ადგილზე გადაინაცვლა. საქართველოს მიერ მიღებული ქულა მაქსიმალური 7-დან 3.7-ია (ცხრილი 1).

ცხრილი 1

ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის კომპონენტების მიხედვით საქართველოს პოზიციები მსოფლიოში [8]

	კომპონენტები	პოზიციები	ქულები	შედეგი
1	ბიზნესგარემო	22	5,26	+
2	უსაფრთხოება	29	6,01	+
3	ჯანმრთელობა და ჰიგიენა	36	6,10	-
4	ადამიანური რესურსი	51	4,78	-
5	ტექნოლოგიური განვითარება	67	4,45	+
6	ტურიზმი პრიორიტეტებს შორის	41	4,90	+
7	საერთაშორისო გახსნილობა	66	3,13	-
8	ფასების კონკურენტუნარიანობა	66	4,90	უცვლელი
9	საავიაციო ინფრასტრუქტურა	90	2,20	+
10	საგზაო ინფრასტრუქტურა	63	3,28	+
11	ტურისტული ინფრასტრუქტურა	70	4,03	-


12	ბუნებრივი რესურსები	106	2,39	+
13	ბიზნესტურიზმი	81	1,56	+
14	გარემო მდგრადობა	42	4,42	+

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2016 წელს საერთაშორისო მოგზაურების ჯამურმა რაოდენობამ 6,350,825 შეადგინა, რაც 449,731-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მანუვრებულზე (ზრდა +7.6%), ხოლო შემოსავლებმა საერთაშორისო ტურიზმიდან 2,2 მილიარდ აშშ დოლარი შეადგინა. ტურიზმის წილი მშპ-ში კი – 7,1%-ია. ტურიზმის შემოსავლებიდან, უცხოელი ვიზიტორების ხარჯი 79,5%-ია, ხოლო შიდა ტურისტების – 20,5%. 2016 წლის მანძილზე საქართველოში რეგისტრირებული ვიზიტების 81% საავტომობილო ტრანსპორტზე მოდიოდა, საჰაერო ტრანსპორტზე – 17%, სარკინიგზოზე – 1%, საზღვაოზე – 1%. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ არც ტურიზმის ადმინისტრაცია, არც სტატისტიკის დეპარტამენტი და არც ცენტრალური ბანკი სექტორულ კვლევებს არ ატარებს. ამიტომ, არ მოიპოვება ინფორმაცია, თუ რა არის ტრანსპორტის, სასტუმროს, კვებისა თუ გართობის ხარჯების რეალური წილი ამ მთლიან შემოსავალში. კერძო სექტორის წარმომადგენელთა თქმით, ტურიზმის ინდუსტრიაში მზარდი და მომგებიანი სექტორების იდენტიფიცირება შეუძლებელია. არადა ასეთი კვლევა და გაზომვა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია. ასევე გამოიკვეთა არაადეკვატური ფასები მომსახურებაზე, არაჯანსაღი კონკურენტული გარემო და ინფრასტრუქტურული პრობლემები, სასტუმროებში ცხოვრების მაღალი ფასები, ღირებულებასთან შეუსაბამო დაბალი სერვისი, ასევე დანერგილ კლასიკურ ტურპაკეტს შეჩვეული ტურკლიენტებისათვის ბიზნესის ახალი მოდელის მაქსიმალური ადაპტირების გაძნელება, თითოეული მსურველისათვის დასვენების ამ სახის უპირატესობათა ახსნა, მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მხრიდან ნაკლები ინტერესი ინოვაციური ინტერნეტ-სერვისით ტურპროდუქტის გაყიდვებისა და სხვ., რომელიც გარკვეულწილად აბრკოლებს საქართველოში ტურიზმის დარგში ინოვაციური საინფორმაციო ტექნოლოგიური მოდელის დანერგვას.

საქართველოში ტურისტულ სააგენტოებსა და ტუროპერატორებს დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს ტურების დინამიური პაკეტირება, რომელის გამოყენებაც მათთვის სრულიად ახალი ფორმაა და ძალზე შრომატევადი საქმე, მოითხოვს რა კომპიუტერული სისტემების გამოყენებით ბრონირების, დისპენჩერიზაციის, საწარმოს მართვის სისტემებისა და სხვა ოპერაციების ავტომატიზაციას. თუმცა ტურების დინამიური პაკეტირება, ეკონომიკური თვალთახედვით, ფირმისათვის მომგებიანია, რამდენადაც იძლევა მეტ შემოსავალს ერთ ტურისტზე გაანგარიშებით. შესაბამისად, საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ფორმირებისას უნდა განისაზღვროს ინდივიდუალური ტურიზმის ადგილი და ჩატარდეს ამ კუთხით შესაბამისი ბიზნესპროცესების სრული რეინჟინერინგი, დამუშავდეს ადეკვატური ტურისტული პროდუქტი.

აღსანიშნავია, რომ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით ქვეყანამ უკვე აიღო გეზი და მაგ. 2016 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით და ორგანიზაცია “პროსერვისის” ორგანიზებით მომზადდა ახალი ონლაინ პროგრამა – „სასტუმროების მართვისა და ონლაინ დაჯავშნის სისტემები“, – რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობას. მისი მეშვეობით როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ მოგზაურებს საშუალება ექნებათ, ონლაინ რეჟიმში შეამოწმონ სასურველ სასტუმროში თავისუფალი ნომრები, ასევე შეეძლებათ ონლაინ დაჯავშნა პლასტიკური ბარათით და გადახდა როგორც პირდაპირი გადახდის, ასევე ადგილზე, მოგვიანებითი გადახდის პირობით, შეიქმნება მრავალენოვანი, დინამიური და თანამედროვე ვებგვერდი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში სასტუმრო ბიზნესის განვითარებას და გაზრდის საერთაშორისო მოგზაურების წვდომას ამ სერვისის მიმართ; დაინერგება ტურების გაყიდვების ახალი არხები: გლობალური საძიებო სისტემები; ავიაკომპანიების საიტები; „ონლაინ თრეველ“ აგენტები – OTA; ქსელური პროექტები, ქსელური ბანკები; საქმიანი და პირადი მგზავრობის ორგანიზატორი სააგენტოები.

ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიების – დინამიური პაკეტირების მოდელი 10 წელზე მეტია რაც წარმატებით არსებობს ამერიკულ და ევროპულ ბაზარზე. მაგ., ბოლო წლებში ევროპაში ამ მოდელით ტურისტების თითქმის 50% სარგებლობს. ასევე აღსანიშნავია, რომ კლასიკური პაკეტირების მანუვრებლები პრაქტიკულად უცვლელია, ამიტომ ტურპროდუქტების რეალიზაციის ზრდა მოდის დინამიური მოდელის ხარჯზე (სურათი 1).



ტურპროდუქტის რეალიზაციის სტრუქტურა ევროპაში (2011-2015) [10]
სურათი 1

წყარო: მონაცემები -IT Dynamic Packaging customers, B2C bookings

მიუხედავად იმისა, რომ დინამიური ინოვაციური პაკეტირების წილი ტურპროდუქტების რეალიზაციის საერთო სტრუქტურაში განუხრელად იზრდება, გასულ წელს PhoCusWright-ის (მსოფლიო ტურისტული ბაზრის კვლევის კომპანია) მონაცემებით, უმსხვილესი ევროპული ტუროპერატორების მიხედვით ეს მაჩვენებელი საშუალოზე დაბალი იყო, მაგ., FTI-ს მონაცემებით – 24%, Thomas Cook-ის მონაცემებით – 20%, TUI-ის მონაცემებით – 10%. თუმცა ამ კომპანიების მონაცემებით, დინამიური პაკეტირების გამოყენებამ მათ საშუალება მისცა, გაეფართოებინათ ასორტიმენტი, აემადლებინათ ეფექტურობა, დაეკავებინათ ახალი სამომხმარებლო ნიშნები და სხვ.

ევროპული ბაზრის ერთ-ერთ ძირითად ტენდენციად იქცა ვირტუალური ტუროპერატორების მასიური გაჩენა, რომლებიც მხოლოდ დინამიური მოდელით არიან დაკავებულნი. გერმანიის ბაზარზე განსაკუთრებით პოპულარულია JT Touristik და Vtours. PhoCusWright-ის მონაცემებით უკვე 2012 წელს 140 გერმანული ტუროპერატორისაგან 30 მთლიანად ვირტუალური იყო.

ახალი ტექნოლოგია მნიშვნელოვანია იმითაც, კერძოდ საქართველოსთვის, რომ იგი საშუალებას იძლევა, ტურმომხმარებელს შესთავაზოს პატარა კურორტების რესურსები, რომლებიც დღეს ჯერ არც ერთი ტუროპერატორის ე.წ. „ფორმატში“ არ შედის. ამ შემთხვევაში მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი ხდება ის რეგიონები, სადაც შეუძლებელია ჩარტერული პროგრამების ორგანიზება.

ასევე უზრუნველყოფს მოგზაურთა რაოდენობის გაზრდას ქართული ობიექტების განთავსების გზით როგორც დარგობრივ საძიებო სისტემებში, ისე მონაცემთა ერთიან სისტემაში, რომელთა მომსახურებით მსოფლიოში უამრავი ტურსააგენტო სარგებლობს. მონაცემთა ერთიან ბაზაში ინტეგრაცია კი – შესაძლებელს ხდის ინფორმაცია ტურობიექტების შესახებ ხელმისაწვდომი გახდეს მილიონობით დაინტერესებული პირისათვის;

უახლოეს პერსპექტივაში ინოვაციური დინამიური პაკეტირების ფორმირება მოხდება სარკინიგზო გადაყვანების, ავტობუსით მიმოსვლის ბაზებზე, რათა უფრო მეტად გაიზარდოს ტურისტული ობიექტების მონახულების შესაძლებლობა ორგანიზებული და ასევე დამოუკიდებელი მოგზაურობებისათვის. ამ მიმართულებებით ჩვენი ბაზარი მსოფლიო ტურისტულ ბაზარს საკმაოდ ჩამორჩება.

დასკვნა

ინოვაციური დინამიური პაკეტირების პლატფორმის, როგორც ტექნოლოგიის ახალი დარგის გამოყენება საქართველოში:

- საშუალებას იძლევა ტურისტული დარგის რეგულირების სახელმწიფო მოდელის ეფექტური რეალიზებისათვის, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ურთიერთობათა პრინციპების სანდოობა, ბალანსირება და გამჭვირვალობა;

- გაზრდის ტურისტული დარგის მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკისათვის მისი მონაწილეთა მოქმედებათა გამჭვირვალობისა და სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი შენატანების ზრდის გზით;

- დაეხმარება ქართველ ტურისტებს, გადაერთვნენ საკუთარი კურორტების ათვისების სასარგებლოდ;

- უზრუნველყოფს დამატებითი შესაძლებლობების შექმნას ქართული კომპანიების მიერ ტურმომსახურებათა ასოცირებისათვის საერთაშორისო სისტემებში და გაზრდის უცხოელი ტურისტების ნაკადს საქართველოში;

- უზრუნველყოფს ქართული ტურისტული ბაზრის დაბალანსებას;

▪ უზრუნველყოფს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და შენარჩუნების პირობებს, მოსახლეობის დამატებით დასაქმებას ახალი ტურისტული სადისტრიბუციო მოდელების რეალიზაციის ხარჯზე, კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას (კომპიუტერული „განათლების“ ზრდა);

▪ შექმნის კარგ შესაძლებლობებს ტურიზმის დარგში მცირე ბიზნესის აქტივიზაციისათვის ელექტრონული კომერციის ინფრასტრუქტურის განვითარების გზით;

▪ უზრუნველყოფს დარგში სტატისტიკური კვლევის ნორმალიზაციას, საინფორმაციო უსაფრთხოებას, პერსონალური მონაცემების შენახვის ლოკალიზებას, გამორიცხავს ტურისტების განთავსებისა და ტრანსპორტირების უზრუნველყოფის რისკებს, უზრუნველყოფს რა მომხმარებელის გარანტიას მომსახურებათა რეალიზაციაში, გააფართოებს ტურპროდუქტის ასორტიმენტს;

▪ საშუალებას მისცემს, შეიქმნას ერთიანი, სტაბილური საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც ინტეგრირებული იქნება მომწოდებელთა, აგრეგატორებისა და ტუროპერატორების მონაცემთა ინვენტორულ ბაზებში;

▪ საშუალებას იძლევა, ჩამოყალიბდეს დარგის კომპლექსური განვითარებისადმი სისტემური მიდგომა;

▪ ზრდის ტურმოსახურებათა კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ტურმოსახურების ინტერნეტრესურსებთან ერთად კომპანიების საქმიანობის ბიზნეს-პროცესის ოპტიმიზაციისა და ავტომატიზაციის გზით.

ტურიზმის დარგში რადიკალური ცვლილებების წინაპირობები განპირობებულია ბოლო წლების განმავლობაში მიმდინარე გლობალური მეცნიერულ-ტექნიკური გარდაქმნებით.

პრაქტიკამ აჩვენა რომ, თუ ქვეყანა ფეხს აუწყო მსოფლიო ტურიზმის გამოწვევებს, დარგში ბიზნესპროცესების ინოვაციური საინფორმაციო ტექნოლოგიური მოდელებით რეფორმირება მონაწილეთათვის უფრო ორგანულად და კომფორტულად რომ მოხდეს, აუცილებელია სხვა ქვეყნების გამოცდილების გონივრულად გამოყენება.

საქართველოს აქვს შანსი, გახდეს ერთ-ერთი საინტერესო ტურისტული მხარე. დღეს ამ მხრივ მრავალი სხვადასხვა გადაწყვეტილებაა მისაღები სახელმწიფოს მხრიდან. აუცილებელია დარგობრივი კანონმდებლობის შეცვლა ახალი გლობალური ტენდენციების შესაბამისად; ასევე აუცილებელია: ქვეყნის ტურიზმისა და მისი ბაზრის განვითარებისათვის წინადადებათა ჩამოყალიბება და ექსპერტული დახმარების გაწევა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების შექმნისა და გამოყენების საკითხებში; ქართულ ტურისტულ ბაზარზე არსებული და ახალი ტექნოლოგიური პროექტების საქსპერტო შეფასება; სახელმწიფოს მხრიდან ტურბაზარზე მცირე და საშუალო ბიზნესის კომპანიებისთვის ეფექტური ტექნოლოგიური პროექტების გატარების ხელშეწყობა; დახმარება ეროვნული ტურისტული პორტალის (ეტპ) განვითარებაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს ასევე ტურიზმის სფეროში განათლების სისტემის სრულყოფა, რომელიც მიმართული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიების, ელექტრონული კომერციის დარგში პრაქტიკული ცოდნის მიღებისაკენ, რადგან სწორედ ორიენტირებული სპეციალისტების ახალი თაობის არსებობაზეა დამოკიდებული ქვეყნის ტურინდუსტრიის ხვალინდელი დღე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ბურდული ვ. საქართველოს ეროვნული ინოვაციური სისტემის თანამედროვე მდგომარეობა და მისი ფორმირების პრიორიტეტები. საერთაშორისო ჟ. „ეკონომისტი“, ტ. XII, 2017(1).
2. E-технологии в туризме – инновационный инструмент для... blog.inna.ru/... 27 янв 2016 ...
3. კვლევები | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია gnta.ge/ge/სტატისტიკა/.
4. Динамические пакеты | Динамическое пакетирование туров ... <https://robinzon.travel/2015/05/11/dynamic-packages/> 11 мая 2015 г.
5. Tourism Economics. An Oxford Economics Company. Impact of Online Content on European Tourism, November 2013.
6. ხუსკივაძე მ. შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის დეტერმინანტები და მისი ანალიზი ეკონომეტრიკული მოდელების მეთოდის გამოყენებით საქართველოს მაგალითზე. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, 2015, გვ.454-457.
7. სასტუმროების მართვის და ონლაინ დაჯავშნის ახალი სისტემა ... fortuna.ge/sastumroebis-martva-da-onlain-dajavshnis-akhali-sistem...
8. <http://www.tabula.ge/ge/story/116937-2016-tsels-turizmis-tsili-saqartvelos-ekonomikashi-73-mde-gaizarda>.
9. Forbes Georgia - 3 რეკომენდაცია ტურიზმის განვითარებისთვის... forbes.ge/news/1568/3-rekomendacia-turizmis-ganviTarebisTvis.
10. <http://www.tabula.ge/ge/topic/119195-turizmis-konkurentunarianobit-saqartvelo-136-qvekanas-shoris-70-e-adgilzea>.

11. საინფორმაციო ტექნოლოგიების გლობალური შესაძლებლობები...
bsu.edu.ge/text_files/ge_file_6596_1.PDF.

12. Стахова Л. В., Преимущества использования динамического пакетирования туров для отрасли и бизнеса, научный журнал СЕРВИС PLUS Том 10. 2016 / № 3.

Ketevan Kveladze

THE IMPORTANCE OF INNOVATIVE MODEL DEVELOPMENT IN GEORGIA IN THE TOURISM SECTOR “DYNAMIC PACKAGING OF TOURS”

Summary

The article discusses some of the main aspects of today challenges of modern tourism and their importance in the development of tourism business in Georgia: in particular, modern IT technologies and one of the innovative models of this information technology - "dynamic packaging of tours".

Dynamic packaging of tours is a new technology for forming and realizing tour products when tour booking includes minimal set of services: flight and settling and envisages formation of tours in selected tourist destinations and payment at the moment of ordering.

The paper deals with the importance of this model in the world and Georgian tourism market. The innovative technology of dynamic packaging in America and Europe has been more than 10 years old and in recent years, in Europe, almost 50% of tourists use this model.

Many American and European tour companies have been able to use dynamic packaging to enhance tourism products assortment increase efficiency, take new consumer signs, increase tour production competitiveness on the tour markets and others.

One of the main trends in the European market is the emergence of virtual tour operators that are only engaged in a dynamic model.

The new technology is important, especially for Georgia, that it will allow tourism companies to offer tourists resources of small resorts, which is not included in so-called tour operator `Format". In this case, the regions where it is impossible to organize charter programs are available for tourist. In the nearest future, innovative dynamic packages will be used on railway and bus markets in order to make tourism facilities available for organized and independent travels.

The experience of successful countries in tourism shows that innovative dynamic packaging in the near future will be a technological basis for the new strategy for developing the world tourism.

The use of dynamic innovative packets for Georgian tour operators is a completely new form and our market in this direction is far behind the world tourism market.

The author emphasizes that Georgia has a chance to become one of the most interesting tourist destinations and the use of innovative dynamic packages for Georgian tourism agencies: will help Georgian tourists to move towards their own resorts; Provide additional opportunities

for Georgian companies to associate tourism services in international systems and increase the flow of foreign tourists in Georgia; Also provides to balance tourism market; Provides creation of new job and maintenance conditions, up grading the qualification of staff (increase of computer `education'); Create good opportunities for small business activation in tourism; It will enable the creation of a single, stable information technological system that will be integrated in the inventory databases of suppliers, aggregators and tour operators; Enables a systemic approach to complex development of the field through the optimization and automation of the business process of companies;

The article provides a system of measures the consideration of which enables tourism companies to make more and more tour there to be taken by the states too products on the world market. There are many different decisions in this respect today. It is necessary to change sectoral legislation in accordance with the new global tendencies; It is also advisable: to develop proposals for tourism and its market development and to provide expert assistance in the development and use of modern information technology systems; Expert assessment of existing and new technology projects on Georgian tourism market; Promotion of effective technological projects for small and medium business companies on the tour market by the state; Assistance to the development of the National Tourism portal (ADP).

საქართველოს საგანმანათლებლო ბაზარი და
ენტროპიის კონცეპტუალური საკითხები გლობალური კონკურენციის პირობებში

ანოტაცია. ინოვაციური ეპოქა კონკურენციის ახალ პირობებს აყენებს და ეს, ინფორმაციულ-ქსელური ეკონომიკის მართვის ინსტრუმენტების ფლობაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია მომავლის მართვა და კონკურენტული უპირატესობების მოპოვება გლობალურ დონეზე.

ნაშრომის მიზანია ენტროპიის ბუნების და მისი მიზეზების შესწავლა; კორპორაციულ დონეზე ენტროპიის მართვის შესაძლებლობებისა და გზების განსაზღვრა.

ამ მხრივ მასში განხილულია ენტროპიის მრავალმხრივი ბუნება. ენტროპია, როგორც ეკონომიკური ფენომენი გლობალური კონკურენციის პირობებში, შესწავლილია საქართველოს საგანმანათლებლო ბაზრის ჭრილში.

ნაშრომის ბოლოს ავტორს მოჰყავს ბუნებრივი და ხელოვნური ენტროპიის მიზეზები და იძლევა ენტროპიის უარყოფითი ეფექტების თავიდან აცილების რეკომენდაციებს.

საკვანძო სიტყვები: ბუნებრივი ენტროპია; ხელოვნური ენტროპია; სინერჯია, საზოგადოებრივი აზროვნება; ბიფურკაციის წერტილი.

შესავალი

ენტროპია ბერძნული წარმოშობისაა და მოტრიალებას, გარდაქმნას ნიშნავს. სტატისტიკური კუთხით, ენტროპია არის სისტემის მოწესრიგებულობის მაჩვენებელი. მისი შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ რაც უფრო მაღალია მოწესრიგებულობის დონე, მით უფრო მცირეა ენტროპია და პირიქით, მცირე მოწესრიგებულობის დროს მაღალია ენტროპია.

ბიზნესკომპანიის (ეკონომიკური ძრავი), სამომხმარებლო ბაზრის (ცხელი სხეულის ანალოგი) და მწარმოებელთა ბაზრის (ცივი სხეული ანალოგი) მაგალითზე, მკვლევარი ს. დარდა თავის ნაშრომში: „ენტროპია და ეკონომიკა“⁵⁷ ასაბუთებს, რომ ენტროპია თავისი შინაარსით უნივერსალურ თეორიულ კონცეფციას წარმოადგენს, რომლის გამოყენება შეიძლება ყველა სფეროში.

მართვის თეორიაში ენტროპია სისტემის მოუწესრიგებლობის ზომას გვიჩვენებს. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც გლობალიზაცია დღის წესრიგში ინფორმაციული საზოგადოების ფორმირებას აყენებს, ჩნდება ინფორმაციული ენტროპიის ღრმა და სისტემური შესწავლის საკითხი. აღნიშნული უფრო მეტად პრობლემატური ხდება ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლობის გზაზე ახალგაზრდა სახელმწიფოებს წარმოადგენენ. მათთვის რთულია მოძველებული მეთოდებით ისეთი კრიზისების მართვა, რომელიც ერთდროულად ორგანიზაციულ-მმართველობითი, ფინანსურ-ეკონომიკური და სისტემური ხასიათისაა. ბოლო პერიოდში მკვეთრად გაიზარდა გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკური სისტემის არამდგრადობა, დისბალანსი და დეზორგანიზება. ეს უკანასკნელი მწვავე პრობლემად დგას ასევე კორპორაციულ დონეზეც.

ინოვაციური ეპოქა კონკურენციის ახალ პირობებს აყენებს და ეს, ინფორმაციულ-ქსელური ეკონომიკის მართვის ინსტრუმენტების ფლობაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია მომავლის მართვა და კონკურენტული უპირატესობების მოპოვება გლობალურ დონეზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია ენტროპიის ბუნების და მისი მიზეზების შესწავლა; კორპორაციულ დონეზე ენტროპიის მართვის შესაძლებლობებისა და გზების განსაზღვრა.

გლობალიზაცია და ბუნებრივი ენტროპია

თანამედროვე მსოფლიო ხასიათდება ინფორმაციის დიდი მოცულობებით, რომლის მართვა და გამოყენებაც განსაზღვრავს მოქმედი სტრატეგიურების ენტროპიის ზომას, კონკურენტულ დონეს და მდგრადობას.

გლობალიზაციის ისტორიულ ჭრილში ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ გლობალიზაციის ციკლები, ყოველ წინამდებარესთან შედარებით ხანმოკლე პერიოდით ხასიათდება.

საერთაშორისო ბაზრის ევოლუციის პირველი ტრიადა (VII — XIII სს.) I ციკლი: 637—661 (ტგ); 661—769 (მძ); 769—793 (სბრ); 793—889 (სკ); II ციკლი 889—913 (ტგ); 913—1009 (მძ); 1009—1033 (სბრ); 1033—1117 (სკ). III ციკლი III7—1141 (ტგ); 1141—1225 (მძ); 1225—1249 (სბრ); 1249—1321 (სკ).

საერთაშორისო ბაზრის ევოლუციის მეორე ტრიადა (XIV — XVIII სს.) I ციკლი: 1321—1345 (ტგ); 1345—1417 (მძ); 1417—1441 (სბრ); 1441—1501 (სკ). II ციკლი: 1501—1525 (ტგ); 1525—1585 (მძ);

⁵⁷ S. Darda; 2017; <http://economicentropy.com>

1585—1609 (სბრ); 1609—1657 (სკ). III ციკლი: 1657—1681 (ტგ); 1681—1729 (მბ); 1729—1753 (სბრ); 1753—1789(სკ)

საერთაშორისო ბაზრის ევოლუციის მესამე ტრიადა (XIX — XXI სს.) I ციკლი: 1789-1813 (ტგ); 1813—1849 (მბ); 1849—1873 (სბრ); 1873—1897 (სკ). II ციკლი 1897—1921 (ტგ); 1921—1945 (მბ); 1945—1969 (სბრ); 1969—1981 (სკ). III ციკლი: 1981—2005 (ტგ); 2005—2017 (მბ); 2017—2041 (სბრ); 2041—... (სკ). (В.И. Пантин, ст.258).

როგორც საერთაშორისო ბაზრის ევოლუციის ეტაპებიდან ჩანს, მისი პირველი და მეორე ტრიადა დაკავშირებულია როგორც მსოფლიო ძვრებთან, ასევე ტექნოლოგიურ ინოვაციებთან და ბაზრის რეეოლუციურ ცვლილებებთან. ხოლო ოცდამეერთე საუკუნე, შუა პერიოდამდე, გლობალური ბაზრის რეეოლუციური ძვრებით და სტრუქტურული კრიზისით ხასიათდება. მოცემულ მასალასა და გლობალიზაციის მიმდინარე პროცესებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მომავალში ინოვაციური კონკურენციის შედეგად, ზემოთ მოცემული ციკლების ხანგრძლივობა კიდევ უფრო შემცირდება, რაც სერიოზულ რეფორმისტულ ძვრებთან იქნება დაკავშირებული როგორც წარმოების/მომსახურების გაწევის, ასევე მართვის მხრივაც.

მომავლის კონკურენცია კი იქნება ინფორმაციულ-ქსელური კონკურენცია, რასაც რაღა თქმა უნდა, მოჰყვება ბუნებრივი (ლოგიკური) ენტროპია. ამ შემთხვევაში სისტემის მართვა მარტივია მაშინ, თუ მმართველმა სუბიექტმა კარგად იცის მის ხელთ არსებული კონკურენტული უპირატესობები და სწორად განახორციელებს ენტროპიის მართვას, ანუ ინფორმაციული ქაოსიდან (მოუწესრიგებლობიდან) სისტემას გადაიყვანს მოწესრიგებულობის (ინფორმაციული სინერჯის) მდგომარეობაში. სხვა შემთხვევაში კი, გამარჯვებული გამოვა ის, ვისაც უკეთ შეეძლება მომავლის მართვა და საკუთარი კონკურენტული უპირატესობების რეალიზება.

ხელოვნური ენტროპია, მითი თუ რეალობა

მიუხედავად იმისა, რომ ენტროპიული ეკონომიკა მეცნიერების შედარებით ახალი მიმართულებაა, მის შესახებ მეცნიერ-მკვლევართა მრავალი მოსაზრება არსებობს (ს. ა. დიატლოვი; მ. ა. ბასინი; ი. ს. პოპკოვი; მ. ნ. ტოლმაჩევი; გ. ა. მასსასაგო; ვ. კაპეკი და სხვ.). ზოგად ჭრილში ის შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვადგინოთ: ვინც ფლობს და იყენებს ინფორმაციულ-ქსელური ეკონომიკის ინსტრუმენტებსა და ენტროპიის ლოგიკას, მის ხელთაა მომავლის მართვა, წარმატებით ახდენს საკუთარი კონკურენტული უპირატესობების რეალიზებას და გამოდის გამარჯვებული მწვავე კონკურენციის პირობებში.

ასეთი არგუმენტირება ბადებს კითხვას, შესაძლოა თუ არა, რომ ენტროპიას ჰქონდეს ხელოვნური ხასიათი და როდის ვხვდებით მას? მით უმეტეს განვითარებადი სამყაროსათვის, სადაც ჯერ კიდევ არ არის ინფორმაციული ქაოსიდან გამიჯნული მისი შედეგები და სუბიექტების მართვაც ხშირ შემთხვევაში ინერციით ხდება.

ს.ა. დიატლოვი და ო.ს. კოვალენკო თავიანთ ნაშრომში „ენტროპიული ეკონომიკა და გლობალური ინოვაციური ჰიპერკონკურენცია“, ასეთი კონკურენტული პოლიტიკის აღგორითმს შემდეგნაირად აღწერენ: მმართველი სუბიექტი მიზანმიმართულად ქმნის ქაოსს, რაც ძველ სისტემაზე წინასწარ პროგრამირებული მიზნობრივი ზემოქმედებით ხდება. აღნიშნულს სტაბილური მდგომარეობიდან გამოჰყავს სისტემა, რის შემდეგაც იქმნება ახალი წესრიგი წინასწარ შემუშავებული ახალი მახასიათებლებით, რომელიც პასუხობს მმართველი სუბიექტის ინტერესებს და მის კონკრეტულ მიზნებს (С.А. Дятлов. О.С. Коваленко; ст. 81). ავტორებს აღნიშნულის მტკიცებულებად მოჰყავთ მსოფლიოში უმსხვილესი კორპორაციის „Microsoft“ დამფუძნებლის ბილ გეიტსის სიტყვები, რომ დღეს საქმე ეხება უკვე არა ფულს, არამედ იმას, თუ როგორ ვმართოთ მომავალი (М.А. Басин, И.И. Шилович ст.61).

რა სახით ვლინდება ენტროპია ქართულ კომპანიებში და რა შედეგებთანაა დაკავშირებული ის? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩატარებულმა კვლევამ საგანმანათლებლო სფეროში, სადაც მიზნობრივ სეგმენტებად არჩეულ იქნა საქართველოს საგანმანათლებლო ბაზარზე ფუნქციონირებადი (როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო) უმაღლესი სასწავლებლები (მათი დასახელება, უმაღლესი სასწავლებლების ინტერესიდან გამომდინარე, არ ხდება), დაგვანახა, რომ ენტროპია მთელი თავისი სიძლიერით ვლინდებოდა 2000-იანი წლების დასაწყისში. 2000-2005 წლებში საქართველოს საგანმანათლებლო ბაზარზე იყვნენ ძლიერი მოთამაშეებიც და ახალდამწყები უმაღლესი სასწავლებლებიც, რომლებიც ცდილობდნენ რეფორმების შესაბამისი ქმედებების განხორციელებას და კონკურენციისათვის ფეხის აწყობას. ამ დროს ძლიერი კონკურენტები ბაზარზე პოზიციის გასამყარებლად ქმნიდნენ წინასწარ პროგრამირებულ მიზანმიმართულ ქაოსს (სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობა; ტექნოლოგიური ცვლილებები, პროგრამული ცვლილებები), რომელთა მოწესრიგებული ფუნქციონირება გარკვეულ დროს მოითხოვდა. სწორედ ამ დროში სისტემის ბალანსი (სინქრონული განვითარება) ირღვეოდა და თვალსაჩინო ხდებოდა

ახალი წესრიგის არსებობის აუცილებლობა წინასწარ შემუშავებული პროგრამული მახასიათებლების მიხედვით (დონეების მიხედვით სწავლება; სწავლების ხანგრძლივობა), რომელიც ბოლომდე არ იყო გარკვეული და ჩამოყალიბებული კონკრეტული ინდიკატორების მიხედვით. ეს მდგომარეობა მანამდე გრძელდებოდა ვიდრე ეს ხელს აძლევდა ბაზარზე მეოფ ძლიერ მოთამაშეებს. აღნიშნული სწორედ ის პერიოდია, როდესაც ამ მიმართულებით ბაზარი დეფეციტურია და კონკურენცია მონოპოლური. თუ ჩაუვლრმავედებით აღნიშნულ პროცესს, დავინახავთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ხელოვნურ ენტროპიასთან, რომლის შემცირების ბუნებრივად რეგულირებადი მექანიზმები ჯერ კარგად არ იყო იმ პერიოდისათვის გამოკვეთილი (განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული ერთმნიშვნელოვანი მარეგულირებელი მექანიზმები და მახასიათებლები, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა სისტემის მოწესრიგებული განვითარება) და არც კონკურენტული სუბიექტები იყვნენ ბაზარზე იმ რაოდენობით, რომ თვალსაჩინო გამხდარიყო ენტროპიის ხელოვნური ბუნება. სიტუაცია შეიცვალა 2010 წლიდან, როდესაც კონკურენცია გაძლიერდა და მმართველი ობიექტები დიდხანს ენტროპიულ მდგომარეობაში ვერ იქნებოდნენ. აქ, ენტროპიის სუბიექტებთან ერთად, აუცილებელი გახდა სინერგიული სუბიექტების არსებობაც, რომლებიც აღნიშნულ ქაოსს მოაწესრიგებდნენ. სინერგიული სუბიექტის როლში ამ შემთხვევაში განათლების სამინისტრო გამოვიდა, რომელმაც ბაზარზე არსებული სტრუქტურების სრული ინფორმირება მოახდინა განათლების ევროპული სივრცის (ბოლონიის პროცესი) კონკურენტული მახასიათებლების და განხორციელების მექანიზმის შესახებ. თითქოსდა, ამ პერიოდთან უნდა შემცირებულიყო ქაოსური ენტროპიის მოცულობა და დაწყებულიყო კომპანიათა სინერგიული განვითარება. მაგრამ, 2010-2016 წლების მიხედვით უმაღლეს სასწავლებელთა რეიტინგული მონაცემების საფუძველზე, კონკურენტუნარიანობის შეფასებამ დაგვანახა მათი არაკანონზომიერება. მკვეთრი რეიტინგული ცვლილებები მეტყველებს იმ შიდა კრიზისებზე რომლებიც მიმდინარეობს ამა თუ იმ სტრუქტურაში. ამ კუთხით კვლევის გაგრძელებამ გვიჩვენა, რომ იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც მოხდა მკვეთრი რეიტინგული ცვლილებები (რეიტინგის ვარდნა), ადგილი ჰქონდა მმართველობით კრიზისს. კერძოდ, ენტროპიის შემცირებისა და სინერგიის ზრდის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების საფუძველზე. ეს უკანასკნელი კი მიღებული უნდა იქნეს არა მარტო სისტემის მდგომარეობის წარსულის პარამეტრების საფუძველზე, არამედ მოცემული სისტემის მომავალი მდგომარეობის პოტენციურად მიღწევადი ინფორმაციული მოდელების ვარიანტების შედარებითი ანალიზის საფუძველზეც. სინერგიული ინფორმაციული ეფექტიანი მართვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს უნარი, დღეს დაგეგმო მომავალი. სისტემის ეფექტიანი მართვის პრინციპებს შეადგენს სისტემურობა, მთლიანობა, მიზანმიმართულობა. ყოველივე ამის არსებობა კი შესაძლებელია სწორად დასახული მიზნის შემთხვევაში, რომელიც დომინანტი უნდა იყოს მოცემული სისტემის განვითარებაში ჩართული ყველა მონაწილისათვის.

კვლევამ ცხადყო, რომ დაბალი რეიტინგის მქონე სტრუქტურების (უმაღლეს სასწავლებლებში) 57%-ში შეიმჩნეოდა სისტემური ხასიათის ენტროპია. რაც იმას ნიშნავს, რომ მათ არ აქვთ პრობლემისადმი სისტემური მიდგომა და ამიტომაც ენტროპია სინერგიის ნაცვლად გაღრმავდა, რამაც მათ რეიტინგულ მანევრებელზე პოვა ასახვა; 23%-მა სწორად ვერ განსაზღვრა ძირითადი მიზანი, 15% მიეკუთვნება ე.წ. „თვითკმაყოფილ“ ორგანიზაციათა ტიპს, რომლებიც განიცდიან ცვლილებების ზეწოლას, მაგრამ პრობლემებზე პასუხისმგებლობა გადააქვთ გარე ძალებზე. თუ ცვლილებები გარდაუვალია, ისინი ამას აფასებენ როგორც ადაპტაციას, შესაბამისად ახდენენ მის რეალიზებას სტრუქტურის შიგნით, ხოლო დანარჩენი 5% ქაოსური ტიპის ორგანიზაციებს მიეკუთვნება, რომლებიც წარმოქმნილ პრობლემებზე ცალკეული გადაწყვეტილებებით რეაგირებენ. ისინი თითქოსდა დაკავებული არიან ცვლილებებზე მუშაობით, მაგრამ არ სურთ მათი რეალურად განხორციელება. ასეთ ორგანიზაციებში პრობლემების გადასაწყვეტად აქტიური ქმედებებისათვის მზაობა მინიმალურია. ისინი უპირატესობას ანიჭებენ მშვიდ ცხოვრებას.

დასკვნა

მოცემული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ენტროპიას პერმანენტულად აქვს ადგილი ერთი სისტემიდან მეორეზე ან სისტემაში მოქმედი სტრუქტურების (უნივერსიტეტები) ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლის დროს. იგი უფრო შესაძინევი და პრობლემური ხდება გლობალურ სამყაროში ძლიერი კონკურენციის დროს. მდენად, ენტროპია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, ბუნებრივი ხასიათისაა, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტად განვითარებულ ბაზრებზე, სადაც ბაზრის მონოპოლური/ოლიგოპოლური მექანიზმები უფრო მძლავრობენ, იგი ხელოვნურ ხასიათს იღებს და სისტემის მოწესრიგებულობა ხანგრძლივი პერიოდით გადაიწვევა, რაც, რაღა თქმა უნდა, ეკონომიკური სტრუქტურების (უნივერსიტეტები) სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებში აისახება. კვლევამ გამოავლინა ასევე ხელოვნური ენტროპიის მეორე მიზეზი, რომელიც ენტროპიული სუბიექტების მიერ ხელოვნური ბარიერების

შექმნაში მდგომარეობს. იმის შიშით, რომ სინერგიულ-მმართველობითი საქმიანობის განხორციელებით ენტროპიული სუბიექტები თითქოსდა დაკარგავენ მმართველობით ზეგავლენას სტრუქტურაში, ისინი ხელოვნურ ბარიერებს უქმნიან სტრუქტურის განვითარებას.

ენტროპიის და ეკონომიკურ სტრუქტურებში კრიზისის გაღრმავების კიდევ ერთი მიზეზი მასში მონაწილე პიროვნებათა მოუშზადებლობაა. ამ დროს საზოგადოება სწორად ვერ აღიქვამს ცვლილებებს, ვერ ახერხებს მისგან საჭიროსა და პოზიტიურის რანჟირებას, რაც ინფორმაციული დეფიციტით და არასათანადო კვალიფიკაციითაა განპირობებული.

ეკონომიკური სტრუქტურების სწორი მიმართულებებით წაყვანა შესაძლებელია სინერგიული სუბიექტების (მმართველები, რომლებიც ახორციელებენ სისტემის მოწესრიგებას) არსებობით. მაგრამ, თუ ასეთი სუბიექტები საჭირო პერიოდში სტრუქტურაში არ აღმოჩნდებიან, გარკვეული, ხელოვნურად შექმნილი ბარიერების გამო, მაშინ სტრუქტურის მართვა მოხდება ე.წ. ენტროპიული სუბიექტების მიერ და ეს მანამ გაგრძელდება, ვიდრე არ გამოჩნდება სინერგიული სუბიექტი.

ამდენად, ენტროპიული და კრიზისული მდგომარეობიდან სტრუქტურების სწრაფად გამოყვანისათვის მიზნშეწონილად მიგვაჩნია, რაც შეიძლება სწრაფად გამოვლინდეს სტრუქტურებში სინერგიული მმართველობის შესაძლებლობები. ამ დროს მოხდება ენტროპიის სწრაფად გადაყვანა მოწესრიგებულობის მდგომარეობაში, ანუ სინერგიული ქმედებების განხორციელება. სინერგიულმა სუბიექტმა სწორად უნდა განსაზღვროს სტრუქტურის მიზანი და ბიფურკაციის წერტილი. ამ დროს არანაკლებ მნიშვნელოვანია სინერგიული მართვისადმი სისტემური მიდგომა, პროცესების კონტროლი და ის, რომ დრო არ უნდა დაიკარგოს შემთხვევით რეალიზებად ვარიანტებზე, არამედ მიზანმიმართულად და არგუმენტირებულად უნდა წარიმართოს მთელი ძალისხმევა იქით, რომელიც ყველაზე უფრო სასურველი და ოპტიმალურია სტრუქტურისათვის.

ყოველი დაგვიანებული ნაბიჯი შედეგად სტრუქტურის მსხვერვეს, დაშლას გამოიწვევას, რადგანაც მათი ძალისხმევა მიმართულია მომხმარებელზე, ცოცხალ ადამიანებზე, შემოქმედ სუბიექტებზე, რომლებიც კანონებისა და ტენდენციების აქტუალიზების მოტივატორები არიან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. М.А. Басин, И.И. Шилович, 1999. Синергетика и Internet. СПб: Наука, ст.61.
2. С.А. Дятлов. О.С. Коваленко, 2013. Энтропийная Экономика и Глобальная Инновационная Гиперконкуренция. М. с. 81.
3. С.А. Дятлов, 2012. Энтропийное экономическое мышление. Энтропийный менеджмент. «Астерион», с. 34.
4. В.И. Пантин, 2003. Циклы и волны глобальной истории. Глобализация в историческом измерении. М., с. 258.
5. В.П. Соловьев, 2006. Инновационная Деятельность как Системный Процесс в Конкурентной Экономике (Синергические Эффекты инновации). Киев, с. 384.
6. Крянев А.В., Матюхин В.В., Харитонов В.В. 2010. Энтропийный метод мониторинга реализации экономических стратегий. // Экономические стратегии - №5, с.1-5.
7. S. Darda. Entropy and Economy. 2017 - <http://economicentropy.com>
8. Celles D. Suddenly, Breaking Up Is the Thing to Do 2014 // The New York Times. – 10 Jul, p.81.

Lali Chagelishvili-Agladze

GEORGIAN EDUCATIONAL MARKET AND CONCEPTUAL ISSUES OF ENTROPY IN THE CONTEXT OF GLOBAL COMPETITION

Summary

The innovative century puts new competition conditions and it is the possession of information-network economy management tools without which, it is impossible to manage future and gain competitive advantages at global level.

The purpose of the work paper is to study the nature of the entropy and its causes; Establishment of entropy management capabilities and roads at the corporate level.

It contains the multilateral nature of entropy. Entropy as an economic phenomenon in the context of global competition is studied in the context of Georgian educational market.

At the end of the work, the author brings the causes of natural and artificial entropy and gives recommendations to avoid adverse effects of entropy.

ინფლაცია როგორც რთული ეკონომიკური მოვლენა

ანოტაცია. ინფლაცია, როგორც ფულის მსყიდველუნარიანობის კლება, გამოიხატება ფულის გაუფასურებაში, იგი მაკროეკონომიკური არასტაბილურობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომლის ზრდასაც მიიშე ეკონომიკური შედეგები მოსდევს. ინფლაციის ნეგატიური გავლენა ყველაზე ნათლად სოციალურ სფეროში აისახება, ინფლაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები შემდეგია: ფულადი შემოსავლის გაუფასურება, ფულადი დანაზოგების გაუფასურება, ფულადი სახსრების ფარული კონფისკაცია. ფასების ზრდა და ფულადი შემოსავლების გაუფასურება გავლენას ახდენს სამომხმარებლო კალათის ფორმირებაზე, ასევე, ინფლაცია მოსახლეობის ხელში არსებული ფულადი სახსრების ფარულ კონფისკაციას ახდენს გადასახადების მეშვეობით და ფიზიკური და იურიდიული პირები ექცევიან გადასახადების გადამხდელთა უფრო მაღალ ჯგუფში. ინფლაციად ფულის მსყიდველობითი უნარიანობა უკუპროპორციული სიდიდეებია, რაც უფრო იზრდება ერთი, მცირდება მეორე.

საკვანძო სიტყვები: ინფლაცია; მაკროეკონომიკა; დანაზოგები; კონფისკაცია; გადასახადები; სამომხმარებლო კალათი.

შესავალი

ინფლაცია მაკროეკონომიკური პრობლემებიდან ერთ-ერთი ყველაზე ნაცნობი და კარგად შესწავლილი თემაა. მისი აღმოცენება ნაწილობრივ კავშირშია ფულის წარმოშობასთან, ეს არის ფულის გაუფასურება, მისი მსყიდველობითი უნარიანობის დაქვეითება, დისბალანსი მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. თავდაპირველად იგი ჩნდებოდა საგანგებო შემთხვევებისას, ხოლო გასული საუკუნის 20-30-იანი წლებიდან კი მრავალი ქვეყნის ეკონომიკის ქრონიკულ დაავადებად იქცა.

* * *

ინფლაციის გამომწვევი მიზეზებია: სახელმწიფო შემოსავლებსა და ხარჯებში დისპროპორციულობა, ეკონომიკის მილიტარიზაცია, თავისუფალი ბაზრისა და კონკურენციის არარსებობა, იმპორტირებული ინფლაცია და ინფლაციური მოლოდინი.

ინფლაციის სახეებიდან: ზომიერი, ჭკნებადი და ჰიპერინფლაცია – ყველაზე მეტად საგანგაშოა ჰიპერინფლაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში 1990-იანი წლების პირველ ნახევარში, რომლის დროსაც ფასები გაიზარდა მართლაც ასტრონომიური სიჩქარით, რაც ეკონომიკური კოლაფსის თანმხლები იყო. აღნიშნული მოვლენები ჩვენს ქვეყანაში გამოიწვია ეკონომიკური სისტემის შეცვლამ და ქვეყნის გადასვლამ საბაზრო ეკონომიკის რელსებზე. შედეგად, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა კეთილდღეობის საკმაოდ მაღალი დონის საზოგადოებიდან გადავიდა საზოგადოებაში სადაც სიღარიბემ და გაჭირვებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ზომიერი ინფლაციის დროს ფასები ნელა იზრდება, წელიწადში 10%-ზე ნაკლები, ჭკნებადში კი 20-200%-ით, ხოლო ჰიპერინფლაციისას ასტრონომიული სიჩქარით.

გამომდინარე იქიდან, რომ ინფლაციის ზრდას აქვს მნიშვნელოვანი ეფექტი საზოგადოების ცხოვრებაზე, ხშირად ჩნდება კითხვა „რატომ უნდა იყოს ინფლაცია ნულზე მაღალი“? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ყველაზე მყარი არგუმენტი არის დეფლაციის რისკი, დეფლაცია ინფლაციის შებრუნებული პროცესია. დეფლაცია შესაძლოა უფრო ხარჯიანი იყოს ეკონომიკისათვის, ვიდრე მაღალი ინფლაცია, რადგან ის იწვევს მოთხოვნის შემცირებას, რის შედეგადაც მცირდება ფასი. აქედან გამომდინარე, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ინფლაცია ნულთან ღონეზე მაღალი იყოს, რათა დეფლაციის რისკი შემცირდეს.

ინფლაციაზე ზრუნვა ეროვნული ბანკის პრეროგატივაა, მისი საქმიანობის მიზანია ქვეყანაში ფასების სტაბილურობა, აგრეთვე მან უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში საფინანსო სისტემის სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდა. ინფლაციის დონის მიზნობრივ მაჩვენებელზე შესანარჩუნებლად ეროვნული ბანკი იყენებს ფულად საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტებს, როგორცაა რეფინანსირების სესხები, სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონები, ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები და მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები.

მაღალი და ცვალებადი ინფლაცია აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, პირველ რიგში, მაღალი ინფლაციის დროს ყველაზე დიდი საფრთხე ექმნება ინვესტიციებს, ინვესტიციების მოცულობა მცირდება გამომდინარე იქიდან, რომ მაღალი ინფლაცია ინვესტორებისათვის ქმნის მაღალ ინფლაციურ მოლოდინებს და შედეგად, ისინი მოითხოვენ ურისკო აქტივებთან შედარებით უფრო მაღალ უკუგებას.

ინფლაცია სხვადასხვანაირად მოქმედებს საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებზე. ინფლაციის ზრდის დროს ყველაზე დიდ დარტყმებს ღარიბი და ფიქსირებული შემოსავლის მქონე ჯგუფები იღებენ, რადგან მათი რეალური შემოსავალი გაცილებით მცირდება ფასების ზრდისა და ფულის გაუფასურების გამო.



საქსტატის მონაცემებით, 2017 წლის აპრილში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით 0.1 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 6.1% შეადგინა. მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უაღკოპოლო სასმელები – ჯგუფში ფასები გაიზარდა 1.4%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.42% პროცენტული პუნქტით აისახა, ხილსა და ყურძენზე 8.8, ბოსტნეულსა და ბალახებზე 7.0 პროცენტი, ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე 1.6%. ამასთან, ფასები შემცირდა ზეთსა და ცხიმზე – 0.9%-ით თვეზეულზე 0.6%-ით.

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები შემცირდა 1.7 პროცენტით, ფასები შემცირდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე – 3.3%-ით და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე – 2.4%-ით.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათისა და უაღკოპოლო სასმელების ჯგუფზე დაფიქსირდა 7.6 პროცენტიანი მატება ბოსტნეულზე და ბალახებზე 18.2%, შაქარი, ჯემსა და სხვა ტკბილეულზე – 11.5%, რძე, ყველი და კვერცხი – 10.8%, ხორცი და ხორცის პროდუქტი – 8.0%, ზეთი და ცხიმი 6.7 პროცენტი. ამასთან, ფასები შემცირდა ხილსა და ყურძენზე – 2.5%-ით

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 17.6 პროცენტით. სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე – 25.6%-ით, სატრანსპორტო მომსახურებაზე – 4.5% და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე – 3.7%-ით.

აღკოპოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 14.5%-ით, რაც წლიურ ინფლაციაზე 0.94 პროცენტული პუნქტით აისახა, ფასები იმდენად მომატებულია როგორც თამბაქოს ნაწარმზე 30.0%, ასევე ალკოჰოლურ სასმელებზე – 1.8%.

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 6.1 პროცენტით, რაც 0.54 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში, ჯგუფებში ფასების მატება დაფიქსირდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურის და მოწობილობების ქვეჯგუფებზე – 15.7% და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე – 4.0%.

ინფლაციის დახასიათებისას ცალკე აღნიშვნის საკითხია ლარის გაუფასურების პროცესი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მონეტარული სტატისტიკა:

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
აშშ დოლარი/ლარი	1.7826	1.6860	1.6513	1.6634	1.7659	2.2702	2.3667
ევრო/ლარი	2.3644	2.3437	2.1232	2.2094	2.362	2.5204	2.6172

დასკვნა

სტატიაში წარმოდგენილი მასალები მეტყველებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში შექმნილ მძიმე ფონზე ინფლაციური რისკების და სავალუტო კრიზისების დასაძლევად საჭიროა, შეიცვალოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, რასაც უნდა მოჰყვეს საინვესტიციო გარემოს შეცვლა და ბიზნესის მიმზიდველობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.slideshare.net/qdm_ge
2. www.lari.ge
3. www.geostat.ge
4. www.nbg.gov.ge
5. გრეგორი მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები.
6. www.ndi.org

*Nunu Achuashvili
Sese Khatiashvili*

INFLATION AS A COMPLEX ECONOMIC PHENOMENON Summary

Inflation as a decrease of purchasing power of money is expressed in impairment of money, this is an important significant indicator of microeconomic instability, whose growth is followed by severe economic consequences. The negative impact of inflation is most clearly reflected in social sphere, it's socio-economic consequences are as follows:

Impairment of monetary income and cash savings,

Inflation is also a hidden confiscation of cash in the hands of the population through taxes and physical and legal entities are treated to a higher taxpayer,

Inflation and money purchasing power are inversely proportional,

The more the one increases, the second is reduced,

People's hard-earned money buying ability deprive by increasing inflation,

People have to buy fewer goods and services that lead to worsening of their quality of life.

*Givi Bakradze
Nanuli Dzimtseishvili*

SOME ACCOUNTING ISSUES AND TAXATION OF RETAINED EARNINGS

Annotation. *The present article reviews changes in tax legislation and of Georgian legislation “Financial Accounting, Reporting, and Audit”, impact on business environment. Examines substance of profit tax reform and its replacement with tax of distributed profit. It is noted that replacement reform is quite compatible with international financial reporting standards. Although, introduction of this model does not ensure simplification of tax administration and tax legislation. It is mentioned that there is close connection between the amendments put into Georgian tax legislation and the Law of Georgia on “Financial Accounting, Reporting, and Audit”.*

Keywords: *Financial accounting, tax accounting, tax legislation, profit tax, Estonian model.*

Creation of a stable business environment is inevitable precondition of country's sustainable economic development, as well as solid guarantees of investment safety, inviolability of private property, and state's consistent and forethought economic policy.

Simplification of tax legislation and tax declaring provides effective increase of company's activity and significantly reduces cost of tax administration. In this regard many issues of tax administration in Georgia's tax legislation, still needs to be refined.

Tax code of Georgia occupies a leading place in tax legislative system of the state. Tax Code of Georgia represents complex normative act, which includes not only material, but procedural norms. It is adopted by the high representative organ of the state (parliament of Georgia) and operates on the whole territory of Georgia.

In the aim of practical use of a wide range of legal provisions, the Constitution of Georgia takes into consideration possibility of adoption subordinate normative acts connected with taxation. In addition, Tax Code of Georgia has the preliminary legal force in respect to subordinate normative acts in Georgia.

Despite of current legislative system, there is not established consistent tax legislation system in Georgia. Due to which constantly lasts changes and amendments. In some concrete cases, groundless punishment of taxpayers takes place, which is frequently followed by tax disputes.

Countries with transition economy, including Georgia is characterizing with tax liberalization, which with its essence, is really attractive, and has many supporters. Reduction of tax rates theoretically and practically should ensure economic growth, and the development of real sector, but the main problem in this case is providing budget with tax revenues. The problem of budget deficit causes increasing of internal and external debts. In addition, increase of deficit causes provocation of inflationary processes. It is essential to determine qualitative characteristic of elasticity between these indicators. **Tax burden (Tax Burden)**– is a generalized index, which is characterizes the role of taxes and is defined as the the ratio of the total amount of tax revenues to a joint national product.

Government of Georgia in the light of global crises focused on development of liberal tax policy. Current tax code, which entered into force in 1 January 2011, included a wide range of provisions stimulating business. A simplified tax regulation for small business (micro and small enterprises) was introduced. Institute of Tax Ombudsman was established. Institute of Private tax agent was also established. Institute of warning has been activated as an alternative method of fine; legislation was consolidated, tax and customs codes were unified. Positive aspect was the introduction of “tax agreement” into tax legislation of Georgia. The principle of tax agreement was also acceptable and justifiable to the state, which was maintained in all subsequent amendments. However, in the existing provision of legislation it is not defined in which form of legislative framework should be agreed tax agreement (in basic payment, fine, or surcharge). Consequently, this does not exclude subjectivism. On the basis of current discussion we consider that it should be regulated within the legislation and subordinated to particular legislative frame.

In spite of the measures taken in the last years, that simplified tax legislation and reduced tax interests, fulfillment of legislative base still continues.

From January 1, 2017, an amendment introduced into tax legislation entered into force, according to which, existing profit tax changed by tax of distributed profit, that is similar to Estonian model. The significant change of legislation is that distributed earnings and incurred costs shall be taxed by profit tax, which is not connected to economic activity. company has the right to carry out reinvestment without restriction and taxation at the expense of income - expand, dispose production and deposit money on bank deposit. For the purpose of profit taxes calculating period is considered calendar month. Taxation base is defined according to financial accounting data produced under international standards.

The cost, which is basically connected to company’s economic activity, is free of taxes. An incurred cost or other payment, which is not connected to economic activity, is taxed by profit tax. Deliver of goods/service and cash transfer; or representative expense incurred above marginal amount;

Small and middle sized enterprises have the right of reinvestment without taxation of received income, the same rule is set for large business; when the business has much financial resource in the form of untaxed income, it can carry out reinvestment, and expand production. This must be reflected on reducing of unemployment level, growth of economy and finally, on the increase of budgetary income. This is considered one of the main advantages of Estonian model.

Declaring of tax payments is fully conducted electronically and compatible with international standards of financial accounting. All type of tax privileges set for profit tax is abolished. There is no need to calculate amortization of movable/immovable property. It should be considered, that income is determined according to financial reporting prepared in compliance with international financial reporting standards.

In June 2016, The law of Georgia on “Financial Accounting, Reporting and Audit” was signed. The shall have a significant impact on business environment in Georgia because it is related to financial reporting prepared in compliance with international financial reporting standards, to its usage, publishing and society’s accessibility. The law divides companies/enterprises into 5 categories. The law obliges public interest person (PPI) enterprises and the first category enterprises to implement financial accounting and reporting in compliance with international financial reporting standards (IFRS); Enterprises, from second and third category, should implement financial accounting and reporting according to international financial reporting standards of small and middle sized enterprises (IFRS for SMEs); and enterprises and non-profit legal entities from the forth category, should implement financial accounting and reporting according to standards defined by accounting, reporting and auditing Board of Review.

Thus, enterprises from the first, second, and PPI categories, whose accounting period coincides, must to implement financial reporting according to IFRS by the finished year of 31 December , 2017. Also, they are required to ensure financial reporting audit by the same period.

Conclusion

There is a close connection between the amendments put into Georgian tax legislation and the Law of Georgia on “Financial Accounting, Reporting, and Audit”. Tax base is entirely based on financial reporting data produced according to IFRS. Consequently, substantially increases responsibility and the importance of implementation for readiness of mentioned changes.

Although, it cannot be said that the abolition of tax privileges over tax administration and simplification of tax legislation is conditioned by the introduction of Estonian model. Indeed, in our opinion, these type of changes require perfect ensuring of financial accounting, keeping the standards of international financial reporting standards and hard work from the side of accountants while presenting monthly income declarations.

The work should be continued towards improvement of tax legislation system of Georgia. The urgent issues we consider: ensure the stability of tax system; maximal simplification of tax system and reduction of tax privileges; optimal coordination of direct and indirect taxes. To weaken tax burden by reasonable reduction of tax rates; Improvement of income tax of individuals by taking into consideration the inflationary conditions and Implementation of a minimum of unpaid amounts due to the minimum wage; and establishment of tax-exempted minimum by considering minimum of subsistence.

References

1. Constitution of Georgia, Tbilisi, 2010;
2. Tax Code of Georgia, Tbilisi, 2017;
3. Commentary of Tax Code of Georgia, Book I-II, Tbilisi 2012;
4. International Financial Reporting Standards (in Three books)- Edition 2014;

ნინო ბიწაძე

“საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ხაფანგის” გამომწვევი ინდიკატორები და მისი თავიდან არიდების ბზები

ანოტაცია. „საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ხაფანგი“ ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად იქცა დღევანდელ მსოფლიოში, რადგან 1960 წლიდან მოყოლებული, 101 საშუალო განვითარების მქონე ქვეყნიდან მხოლოდ 13 ქვეყანამ მოახერხა გამხდარიყო მაღალი საშუალო შემოსავლის მქონე. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, რადგან ის უკვე რამდენიმე წელია, მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით, საშუალო განვითარების მქონე ქვეყნების რიცხვში შედის.

საკვანძო სიტყვები: საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ხაფანგი, ეკონომიკურის წონასწორობა, “ხაფანგის” გამომწვევი ინდიკატორები, ეკონომიკური პოლიტიკა.

შესავალი


თანამედროვე ლიტერატურა ეკონომიკური ზრდის პროცესს განიხილავდა როგორც ექსპონენციალურს, მაგრამ 2005 წლიდან აქტუალური გახდა საშუალო განვითარების მქონე ქვეყნების ე.წ. „ხაფანგში გაბმის“ საკითხის შესწავლა.

საშუალო განვითარების მქონე ქვეყნების ხაფანგი არის ფენომენი, რაც ახასიათებს სწრაფად მზარდ განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც ზრდას ამცირებენ ეკონომიკური ზრდის საშუალო დონის მიღწევის შემდგომ.

ემუქრება თუ არა საქართველოს ზემოაღნიშნულ ხაფანგში გაბმის საკითხი? ეს ის ძირითადი აქტუალური კითხვაა, რომელიც შესაძლოა საქართველოს წინაშეც დადგეს და რომელზეც პასუხის გაცემა მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის.

„ხაფანგში გაბმის“ შესაძლო მიზეზებად შეგვიძლია დავასახელოთ: იმიგრაციული ნაკადების ზრდა, არასაკმარისი ადამიანური კაპიტალი, ტექნოლოგიური პროგრესის შენელება, არასაკმარისად განვითარებული ინფრასტრუქტურა, არასაკმარისად განვითარებული ფინანსური ბაზარი და სხვა [1, 2017].

მსოფლიო ბანკი ქვეყნების ეკონომიკის კლასიფიცირებას მთლიანი ეროვნული შემოსავლის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით (GNI per capital-Atlas Method) ახდენს. ამ ინდიკატორის მიხედვით ის ქვეყნებს ოთხ ჯგუფად ჰყოფს: დაბალი შემოსავლის (low-income) მქონე ქვეყნები - მეშ-ი მოსახლეობის ერთ სულზე 1,035 \$ ან ნაკლები უნდა იყოს; დაბალ-საშუალო შემოსავლის (lower-middle-income) მქონე ქვეყნები - 1,036\$ - 4,085\$; ზედა-საშუალო შემოსავლის (upper-middle-income) ქვეყნები - 4,086\$- 12,615\$; და მაღალი შემოსავლის (highincome) მქონე ქვეყნები - 12,616\$ და მეტი [8], აქედან, დაბალ და დაბალ-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებს განვითარებად ქვეყნებს უწოდებენ. იმისთვის, რომ საქართველომ დაბალ-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფიდან უფრო მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფში მოკლე დროში გადაინაცვლოს, ამისთვის მისი მშპ-ს მაღალი რეალური ზრდის ტემპია საჭირო.



ნახაზი 1. საქართველოს მთლიანი ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე 1992-2015 წლებში

* * *

მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, 1960 წლიდან მოყოლებული, 101 საშუალო განვითარების მქონე ქვეყნიდან მხოლოდ 13 ქვეყანამ მოახერხა გამხდარიყო მაღალი საშუალო შემოსავლის მქონე. მათგან მხოლოდ ხუთი იყო აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებიდან. ესენია: იაპონია, კორეა, ტაივანი, ჩინეთი და სინგაპური.

ნაშრომში „ზედის შემცირება და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ხაფანგი,“ რეზიდუალი განსაზღვრულია, როგორც ნარჩენი რაოდენობა, რომელიც მიიღება რეალური ზრდის ტემპსა და შეფასებული მოდელის ზრდის ტემპს შორის სხვაობით. დადებითი რეზიდუალი ნიშნავს, რომ ქვეყანა იზრდება მოსალოდნელზე სწრაფად, ხოლო უარყოფითი რეზიდუალი გულისხმობს საწინააღმდეგოს [3].

მოდელში i წარმოადგენს ქვეყანას, რომელიც განიცდის ზრდის ტემპის შენელებას t პერიოდში თუ სრულდება შემდეგი ორი პირობა:

$$res_t^i - res_{t-1}^i < p(0.20)$$

$$res_{t+1}^i - res_{t-1}^i < p(0.20)$$

მოდელში $p(0.20)$ აღნიშნავს რეზიდუალების ემპირიულ განაწილებას დროის ერთი მონაკვეთიდან მეორეზე 20% სანდოობით. პირველი განტოლება გვეუბნება, რომ დრო $t-1$ და t შორის ქვეყნის რეზიდუალი გახდა უფრო მცირე. ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით, საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები შეგვიძლია დავყოთ სამ ჯგუფად: პროგრესული, ახლოს სტაგნაციასთან და რეგრესული ქვეყნები. სხვა სიტყვებით, ჩვენ ახლა შეგვიძლია იდენტიფიცირება მოვახდინოთ მდგომარეობის, საიდან გამომდინარეც საშუალო განვითარების მქონე ქვეყნები შესაძლოა გაეზარდოს ხაფანგში. ძირითადი შედეგების გადახედვის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინსტიტუციები, დემოგრაფიული პრობლემა, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური გარემო და პოლიტიკა და ფინანსური განვითარების დონე არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასპექტები ქვეყნის განვითარებისთვის. მონაცემებზე დაყრდნობით ისინი შეგვიძლია ქვეყნის ხაფანგში მოხვედრის მთავარ ინდიკატორებად დავასახელოთ.

ინსტიტუცია - უკვე დიდი ხანია აღიარებულია რომ ქვეყნის ინსტიტუტები კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. მაგრამ, ბოლო დროს სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სხვადასხვა ტიპის ინსტიტუციების ანალიზს. ეკონომისტები უკვე მრავალი წელია კამათობენ ინსტიტუციების მნიშვნელობაზე. ისინი ცალსახად ამტკიცებენ, რომ ქვეყნის სამართლებრივი ინსტიტუტების ხარისხმა, მაგალითად, როგორცაა გარე ინვესტიციების სამართლებრივი დაცვა, შესაძლოა გავლენა მოახდინოს ქვეყნის ფინანსურ განვითარებაზე [7, 2008].

დემოგრაფია - როგორც ეს ზრდის თეორიაშია აღწერილი, დემოგრაფია ითვლება ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელ ძალად. დემოგრაფიული ცვლადის ქვეშ განვიხილოთ სამი კატეგორია: 1. მთლიანი მოსახლეობის თანაფარდობა დასაქმებულებთან; 2. სამუშაო ასაკის ზრდის მაჩვენებელი; 3. მოსახლეობის თანაფარდობა დაქორწინებულ მოსახლეობასთან სქესის მიხედვით. პირველი ორი კატეგორია წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ეკონომიკური ზრდისთვის.

ინფრასტრუქტურა - ქვეყნის ინფრასტრუქტურას გააჩნია დადებითი ექსტერნალიები, ის ძირითადად წარმოადგენს საზოგადოებრივ პროდუქტს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ინფრასტრუქტურაზე საუბრისას უნდა განვიხილოთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება: კავშირგაბმულობა, ელექტროენერჯია და საგზაო ინფრასტრუქტურა. მიუხედავად ფინანსური თუ ტექნოლოგიური ბაზრების გახსნილობისა, მრავალი განვითარებადი ქვეყანა არათუ ვერ ახერხებს ტექნოლოგიური მოწყობილობებით განვითარებული ქვეყნების დაწვევას, პირიქით, მაშინ, როდესაც განვითარებული ქვეყნები ინოვაციებით დღითიდღე ხვეწენ საკუთარი წარმოების მეთოდებს, განვითარებადი ქვეყნებში არსებული ტექნოლოგიური დანადგარებიც კი დიფუზიას განიცდის, ძველდება და შორდება თანამედროვე სტანდარტებს. აღნიშნული დანადგარებით ნაწარმოები საქონელი კი, გარდა იმისა, რომ ძვირი ჯდება და არარენტაბელურია, როგორც წესი, საერთაშორისო სტანდარტებსაც ვერ აკმაყოფილებს და, შესაბამისად, არაკონკურენტულია.

მაკროეკონომიკური გარემო და პოლიტიკა - მაკროეკონომიკური ცვლადები პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ ზრდასთან და გავლენას ახდენენ მასზე. ეკონომისტები განასხვავებენ მოკლევადიან ეკონომიკურ სტაბილიზაციას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას, ეკონომიკური ზრდის ცნება პირდაპირ ეხება გრძელვადიან ზრდას; მოკლევადიანი ეკონომიკური ზრდის ვარიაცია გენერირდება ბიზნესციკლში და თითქმის ყველა ეკონომიკა განიცდის პერიოდულ რეცესიას. ციკლი შეიძლება იყოს არაერთგვაროვანი, რადგან რყევები არასოდეს არის ერთნაირი. ამ რყევების ასსნა მაკროეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა. მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები, ბუნებრივი ეკონომიკური ციკლები, ზრდისა და კლების ტენდენციები მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების საკითხებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. არასწორად გააზრებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგების ასაცილებლად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალისა და მიმართულების სწორად შეფასება და გააზრება.

ფინანსური ინსტიტუტების და ბაზრების განვითარების დონე - ქვეყნის ფინანსური განვითარების დონე წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წინამდევარს ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მიმართულებით. კარგად ფუნქციონირებადი ფინანსური სისტემა უდიდეს როლს თამაშობს ქვეყნის გრძელვადიანი ზრდის ხელშეწყობაში. ამ მიმართულებით, ჩვენი ნაშრომისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოთხი ძირითადი ინდიკატორი: 1. ფინანსურ ბაზარზე არსებული კერძო ბანკების რაოდენობა; 2. კერძო დანაზოვის მიმართება GDP-თან ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების მოცულობის დასადგენად; 3. დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი; 4. ბანკის მიერ გაცემული კრედიტის თანაფარდობა ბანკის დეპოზიტებთან.

ზემოთ განხილული ქვეყნებიდან, რომელთაც შეძლეს „ხაფანგიდან“ თავის დაღწევა, შესაძლოა გარკვეული რეკომენდაციების მიღება. პირველი, მათ ყველამ წარმატებულად მოახერხეს მოწინავე ინფრასტრუქტურის განვითარება. ქვეყნებმა, რომელთაც აქვთ ექსპორტზე ორიენტირებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ადჰურვილობის ინდუსტრია (იაპონია, კორეა, ტაივანი), შეძლეს მძიმე მრეწველობის განვითარება ამ მიმართულებით. მეორე, რითაც თავი დააღწიეს ხაფანგს იყო უცხოური ტექნოლოგიების მიმართვა ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნისკენ.

საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების ხაფანგი არ წარმოადგენს გაუთვალისწინებელ შედეგს. ქვეყნის მთავრობას შეუძლია ხაფანგის თავიდან აცილება თუ ზომებს ადრეულ სტადიაში მიიღებს და არა მაშინ, როდესაც სარგებელი იაფი მუშახელის, შემოსავლის მიღების შესაძლებლობა ახალი უცხოური ტექნოლოგიიდან უკვე ამოწურულია. თავის არიდება გულისხმობს დროული პოლიტიკის გატარებას ინფრასტრუქტურის, საკუთრების უფლებების დაცვის, შრომის ბაზრის მიმართულებით [4, 2012].

დასკვნა

ისტორიული გამოცდილება და ემპირიული მტკიცებულებები გვიჩვენებს, რომ საშუალო განვითარების დონიდან მაღალი განვითარების დონემდე ტრანსფორმაციას გარკვეული დრო სჭირდება და ქვეყნის პოლიტიკის გამტარებლებისგან, საჭიროებს განახორციელოს მტკიცე, მყარი და თანმიმდევრული პოლიტიკა, რომ შენარჩუნებული იყოს ეკონომიკური ზრდის ფუნდამენტური მამოძრავებელი. ეკონომიკური ზრდის სხვადასხვა დონე მოითხოვს სხვადასხვაგვარი პოლიტიკის გატარებას და სწორე რეფორმა ხშირად დიდ დროს მოითხოვს ეკონომიკაზე გავლენის მოსახდენად [6, 2016].

„ხაფანგიდან“ თავის დაღწევის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ასევე ინვესტიციების ზრდა მოწინავე ინფრასტრუქტურის და განსაკუთრებით, მსოფლიო სტანდარტის შესაბამისი საკომუნიკაციო ქსელის განვითარების მიმართულებით. კარგი ხარისხის ინფორმაციული და კომუნიკაციის არხების ინფრასტრუქტურა უმთავრეს როლს თამაშობს ინოვაციების ხელშეწყობაში.

ქვეყნებს, რომელთაც საშუალო შემოსავალი აქვთ, „ხაფანგიდან“ თავის დასაღწევად უნდა გააფართოვონ ეკონომიკის ახალი, თანამედროვე სექტორები. ეს მოგვცემს პრაქტიკულ შედეგს, როდესაც ტრადიციული სექტორიდან, სადაც დაბალია შრომის პროდუქტიულობა, საშუალო ძალა გადაინაცვლებს ახალი, მაღალი პროდუქტიულობის მქონე სექტორში. ეს პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ქვეყანა მიემართება საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების ხაფანგისკენ. მაგრამ, ეს პროცესები, რაც გულისხმობს სტრუქტურულ რეფორმას, შესაძლოა იყოს სახიფათო: რეფორმა შესაძლოა იყოს ძალიან რთული და მოითხოვდეს დიდ დროს. მაგრამ, ამავე დროს, შესაძლოა იყოს სწრაფი და მარტივი, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ქვეყნის მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე, ინფრასტრუქტურაზე, ფინანსურ ბაზრებზე, ინსტიტუციებზე [5, 2013]. რაც შეეხება საქართველოს, ის 2015 წლიდან, მსოფლიო ბანკის კლასიფიკატორის მიხედვით, წარმოადგენს საშუალო განვითარების მქონე ქვეყანას. მართალია, ჯერ ნაადრევია იმაზე საუბარი ემუქრება თუ არა ქვეყანას „ხაფანგში“ გაბმის საფრთხე, მაგრამ წინასწარ პოლიტიკის გატარება, რომლის კარგი მაგალითია ზემოაღნიშნული სხვა ქვეყნების პრაქტიკა, თავის დაზღვევის საშუალებას იძლევა.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ისტორია განსხვავებულია, მაგრამ მთავარი პოსტულატები ყველასთვის იგივე რჩება. პოლიტიკის გამტარებლებმა კრიტიკულად უნდა შეაფასონ თავიანთი ზრდის სტრატეგიები, რომ აღმოაჩინონ პროდუქტიულობის ზრდის ყველაზე ეფექტური გზა, რომელიც უმთავრეს წყაროს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის.

საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების ხაფანგის საუკეთესო გააზრებაა ის, რომ ეს მდგომარეობა უნდა გავიგოთ არა როგორც გარდამავალი პოზიცია, არამედ როგორც სტაბილური მდგომარეობა. მთავარ საკითხს ამ შემთხვევაში წარმოადგენს არა მხოლოდ ის, თუ რა იწვევს ზრდის შენელებას, არამედ ის თუ რა პოლიტიკა უნდა აირჩიონ პოლიტიკის გამტარებლებმა თუ ზრდის ტემპი უკვე შენელებულია და ქვეყანა გადასულია წონასწორულ მდგომარეობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Xuehui Han, Shang-Jin Wei, 2017, Re-examining the middle-income trap hypothesis (MITH): What to reject and what to revive? Journal of International Money and Finance;
2. Shekhar Aiyar, Romain Duval, Damien Puy, Yiqun Wu, and Longmei Zhang, 2013, Growth Slowdowns and the Middle-Income Trap, IMF Working Paper;
3. Anna Jankowska, Arne J. Nagengast and José Ramón Perea, 2012, The Middle-Income Trap: Comparing Asian and Latin American Experiences, OECD DEVELOPMENT CENTRE, Policy Insights;
4. Pierre-Richard Agénor, Otaviano Canuto, and Michael Jelenic, 2012, Avoiding Middle-Income Growth Traps, Economic Premise, number 98;
5. Aaron Flaen, Ejaz Ghani, and Saurabh Mishra, 2013, How to Avoid Middle-Income Traps? Evidence from Malaysia, POVERTY REDUCTION AND ECONOMIC MANAGEMENT (PREM) NETWORK;
6. Greg Larson, Norman Loayza, Michael Woolcock, 2016, The Middle-Income Trap: Myth or Reality? Research Policy Briefs From the World Bank Malaysia Hub;
7. Bussiere, Fratscher, 2008, Financial Openness and Growth: Short-run Gain, Long-run Pain;
8. <http://data.worldbank.org/indicator/NY.GNP.PCAP.CD>;

Nino Bitsadze

MAIN INDICATORS OF "MIDDLE-INCOME TRAP" AND THE WAYS TO AVOID IT

Summary

During the last two decades, both the press and economists have dedicated increasing attention to the so-called “middle-income trap.” This refers to a group of countries that became middle-income some time ago, but which have not been able to cross the high-income threshold. The problem with the debate of what prevents these countries from becoming high-income economies is that it is not clear what the trap refers to, as there is no accepted definition.

The “middle-income trap” is the phenomenon that is characterized by rapidly developing countries who stop their economic growth after they reach the middle level.

Is it possible that Georgia can be gambling in the above mentioned trap? This is a major question that might be facing Georgia and which is one of the most important issue for country's economic progress.

The possible causes of "middle income trap" can be: Improving Immigration Flows, Insufficient Human Capital, Slow Technological Progress, Insufficient Development Infrastructure, Insufficiently Developed Financial Market, etc.

The middle-income trap is a narrative of growth stagnation that reflects (and exacerbates) current and long-standing anxieties about slow economic growth. This anxiety is perhaps only growing more acute amid the prevailing notion of a global growth slowdown. This includes even China, the growth star in recent decades.

The aspect that sets countries apart from each other is their productive structure and the specific characteristics of the products that they export. These, in turn, depend on the capabilities that firms possess. Development in this paradigm is a process of generating new activities and letting others disappear. The primary driver of growth is the gradual build-up in firms' capabilities, which raises the economy-wide real wage. Capital accumulation is a complementary effect: the higher real wage makes it profitable for each firm to shift to more capital-intensive techniques. As the firm makes that shift, the rise in its capital-labor ratio further raises the marginal revenue product of labor at the firm level; and so underpins the rising real wage.

Ultimately, each country's growth story is unique but the general prescription remains the same. Policymakers should critically examine their growth strategies to find the most effective ways to boost productivity improvement, which is the key to supporting, nourishing, and preserving long-run economic growth.

თინათინი გუგეშაშვილი

ფინანსური მენეჯმენტის როლი ეფექტური საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების საკითხში

ანოტაცია. ნაშრომში განვიხილავთ, თუ როგორ გამოვიყენოთ ახლანდელი ღირებულების წესი ინვესტირების პრაქტიკულ პრობლემებთან მიმართებაში. სწორი საინვესტიციო გადაწყვეტილებები დაფუძნებულია წმინდა ახლანდელი ღირებულების წესზე. პირველ რიგში უნდა გავერკვიოთ შემდეგ სამ საკითხში. პირველი: რისი დისკონტირება არის საჭირო? საჭიროა ფულადი ნაკადების დისკონტირება. მაგრამ კარგი პროგნოზი ლანგარზე დადებული არ მოგვერთმევა. ხშირად ფინანსური მენეჯერი იძულებულია იმუშაოს „ნედლ“ მონაცემებზე, რითაც მას ამარაგებენ სპეციალისტები საინჟინრო-საკონსტრუქტორო, საწარმოო, მარკეტინგული და სხვ. განყოფილებებიდან. ინფორმაცია ყოველთვის საჭიროებს გადამოწმებას, რამდენად არის ის სრული, შინაგანად შეთანხმებული და ზუსტი.

საკვანძო სიტყვები: წმინდა ფულადი ნაკადები, დისკონტირება, ინვესტირება, ფინანსური მენეჯმენტი, აქტივები

სწორი საინვესტიციო გადაწყვეტილებები დაფუძნებულია წმინდა ახლანდელი ღირებულების წესზე. პირველ რიგში უნდა გავერკვიოთ შემდეგ სამ საკითხში. პირველი: რისი დისკონტირება არის საჭირო? საჭიროა ფულადი ნაკადების დისკონტირება. მაგრამ კარგი პროგნოზი ლანგარზე დადებული არ მოგვერთმევა. ხშირად ფინანსური მენეჯერი იძულებულია იმუშაოს „ნედლ“ მონაცემებზე, რითაც მას ამარაგებენ სპეციალისტები საინჟინრო-საკონსტრუქტორო, საწარმოო, მარკეტინგული და სხვ. განყოფილებებიდან. ინფორმაცია ყოველთვის საჭიროებს გადამოწმებას, რამდენად არის ის სრული, შინაგანად შეთანხმებული და ზუსტი. ამის შემდეგ ფინანსურმა მენეჯერმა ინფორმაციის ამ გროვაში ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა მოიძიოს ფულადი ნაკადები, რომ შემთხვევით მასში არ აერიოს საბუღალტრო მონაცემები, რომლებიც ფულადი ნაკადების მსგავსად გამოიყურება, მაგრამ სინამდვილეში ის არ არის.

მეორე კითხვა: როგორ შეკრას ფინანსურმა მენეჯერმა გაბნეული ინფორმაცია ისე, რომ ისინი საბოლოო ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის გამოდგეს? ეს მოითხოვს საგადასახადო ვალდებულებების გულდასმით აღრიცხვას, საბრუნავი კაპიტალის ბრუნვაში ცვლილებების გათვალისწინებას, ინფლაციის განსაზღვრას, აგრეთვე იმ „სალიკვიდაციო ღირებულების“ გათვლას, რომელიც უნარჩუნდება მოწყობილობა-დანადგარებს და სხვა ქონებას პროექტის დამთავრების დროისათვის.

და ბოლოს, მესამე კითხვა: როგორ გამოვიყენოთ წმინდა ახლანდელი ღირებულების წესი ინვესტირების დროს საწარმოში ან მოწყობილობებში, რომელთაც გააჩნიათ ეკონომიკური სიცოცხლის სხვადასხვა ხანგრძლივობა. წარმოვიდგინოთ, რომ, მაგალითად, არჩევანი უნდა გაეაკეთოთ დაზგა Y-ს, რომელსაც გააჩნია ექსპლუატაციის 5 წლიანი ვადა და დაზგა Z-ს შორის რომელსაც აქვს 10 წლიანი ვადა. დაზგა Y-ის ინვესტიციის ახლანდელი ღირებულება და საექსპლუატაციო დანახარჯები მთელი ეკონომიკური სიცოცხლის განმავლობაში, ბუნებრივია ნაკლებია ვიდრე დაზგა Z-ის, რადგან უკანასკნელი გამოიყენება ორჯერ უფრო მეტი დროის განმავლობაში. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ამ შემთხვევაში Y-ი საუკეთესო ვარიანტია? რა თქმა უნდა არა.

როგორ უნდა გამოვსახოთ აქტივებში ინვესტიციის ახლანდელი ღირებულება და საექსპლუატაციო დანახარჯები ეკვივალენტური წლიური დანახარჯებით, ანუ აქტივების შესყიდვაზე და ექსპლუატაციაზე ერთობლივი დანახარჯები ერთ წელზე გაანგარიშებით. ამას გარდა, ეკვივა-

ლენტური წლიური დნახარჯების საფუძველზე როგორ მივიღოთ გადაწყვეტილებები იმ შესაფერისი დროის შესახებ, როდესაც საჭიროა მოძველებული მოწყობილობის გამოცვლა.

მოკლე და გრძელვადიან მოწყობილობებს შორის, ან ახალ და არსებულ საწარმოო სიმძლავრეებს შორის არჩევანის გაკეთების დროს, თითქმის ყოველთვის არსებობს პროექტების ურთიერთგავლენის პრობლემა. როდესაც ერთ პროექტთან დაკავშირებული გადაწყვეტილება განუყოფელია მეორე პროექტთან დაკავშირებული გადაწყვეტილების, ან მომავალი გადაწყვეტილებებისა. ამ თავის დასასრულს ჩვენ გავარჩევთ პროექტების ურთიერთგავლენის ამსახველ რამდენიმე მაგალითს, სადაც ხდება კერძოდ შემდეგი დილემის ილუსტრირება: ინვესტირება მიზანშეწონილია დღეს თუ უმჯობესია კაპიტალდაბანდების გადადება რაღაც დროით.

რისი დისკონტირება არის საჭირო? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ყოველთვის უნდა მისილით სამ ძირითად პრინციპს:

1. მნიშვნელობა გააჩნია მხოლოდ ფულად ნაკადებს.
2. ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ ნაზარდი ფულადი ნაკადები;
3. აუცილებელია თანმიმდევრულობის დაცვა ინფლაციასთან მიდგომის დროს.

ვცადოთ ავხსნათ თითოეული ეს პრინციპი.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება მდგომარეობს იმაში, რომ წმინდა ახლანდელი ღირებულება დამოკიდებულია მომავალ ფულად ნაკადებზე. ფულადი ნაკადი ძალიან მარტივი ცნებაა: ეს უბრალოდ არის სხვაობა მიღებულ და გადახდილ თანხებს შორის. მიუხედავად ამისა, ბევრი ადამიანი ერთმანეთში ურევს ფულად ნაკადს და ბუღალტრულ მოგებას.

ბუღალტრები იწყებენ ცნებებით „შემოსავალი“ და „გასავალი“, მაგრამ იმისათვის, რომ მივიღოთ ბუღალტრული მოგება, ისინი ახდენენ ამ შემავალი მონაცემების კორექტირებას ორი ძირითადი გზით. პირველ რიგში, ისინი მისწრაფვიან აჩვენონ მოგება მაშინ, როდესაც ის გამომჟღავნებულია და არა მაშინ როდესაც კომპანია და მყიდველი ფაქტობრივად ანაღლებენ ანგარიშებს. მეორე რიგში, ბუღალტრები ფულადი სახსრების გადინებას ყოფენ ორ ჯგუფად: მიმდინარე ხარჯები და კაპიტალური დანახარჯები. მოგების გაანგარიშების დროს ისინი ფულადი შემოსულობებიდან აკლებენ მიმდინარე ხარჯებს მაგრამ არ აკლებენ კაპიტალურ დანახარჯებს. ამის ნაცვლად წლების განმავლობაში ჩამოწერენ კაპიტალური დანახარჯების ამორტიზაციას და ყოველწლიურად აკლებენ მოგებიდან საამორტიზაციო ანარიცხებს. ასეთი პროცედურების შედეგად ზოგიერთი ფულადი ნაკადი ხდება მოგების შემადგენლობაში და ზოგიერთი გამოირიცხება მოგებიდან. მოგება კი მცირდება საამორტიზაციო ანარიცხების სიდიდით, რომლებიც სულაც არ წარმოადგენენ ფულად ნაკადებს [1: 53].

ყოველთვის არ არის ადვილი ტიპური სააღრიცხო მონაცემების გადაყვანა უკან, რეალურ ფულში. თუკი ეჭვი გეპარება ფულადი ნაკადის რეალურ სიდიდეში, უბრალოდ შემოსული თანხებიდან უნდა გაავაკლოთ დახარჯული თანხები. არ უნდა ვიქონიოთ იმის იმედი, რომ ფულადი ნაკადის განსაზღვრას შეძლებთ სააღრიცხო მონაცემების რუტინული საბუღალტრო პროცედურებით, დამატებითი შემოწმების გარეშე.

სრულყოფილად უნდა შევაფასოთ ფულადი ნაკადები გადასახადების შემდგომ გამოსატულებაში. ზოგიერთი ფირმა არ აკეთებს შესწორებას გადასახადებზე. ისინი ცდილობენ ამ შეცდომის გადაფარვას გადასახდელამდელი ფულადი ნაკადების დისკონტირებით იმ განაკვეთით, რომლებიც აღმატება მოზიდული კაპიტალის ალტერნატიულ დანახარჯებს. სამწუხაროდ, არ არსებობს დისკონტირების განაკვეთის მსგავსი კორექტირების საიმედო ფორმულა.

ყველაფერთან ერთად, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ფულადი ნაკადები აიღება მათი წარმოქმნის მომენტში და არა მაშინ, როდესაც სრულდება სამუშაოები ან წარმოიქმნება დავალიანება. მაგალითად, გადასახადების დისკონტირება უნდა მოხდეს მათი ფაქტობრივი გადახდის თარიღიდან და არა იმ თარიღიდან, როდესაც საგდასახადო ვალდებულებები ფიქსირდება ფირმის ბუღალტრულ ანგარიშებში [1: 55].

პროექტის ღირებულება დამოკიდებულია ყველა დამატებით ფულად ნაკადებზე, რომლებიც წარმოიქმნება პროექტის მიღებასთან დაკავშირებით. არსებობს რამდენიმე გარემოება, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია, როდესაც ვაპირებთ განვსაზღვროთ როგორი ფულადი ნაკადი უნდა მივიღოთ მხედველობაში.

არ უნდა ავუროთ ერთმანეთში საშუალო უკუგება დამატებით უკუგებაში

მენეჯერების უმრავლესობას დანაკარგის შემდეგ ემინიათ ფულის შემდგომი დაბანდების. ისინი ცდილობენ, თავი აარიდონ დამატებითი სახსრების ინვესტირებას ზარალის მომტან ქვედანაყოფებში. მაგრამ ზოგჯერ შეიძლება შევხვდეთ ამის საპირისპირო სიტუაციას, როდესაც ზარალიან წარმოებაში დამატებითი ინვესტიციის წმინდა ახლანდელ ღირებულებას გააჩნია არათუ დადებითი, არამედ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა.

და ისევ პირიქით, ერთხელ წარმატებულად დაბანდებული სახსრების შემდეგ ყოველთვის არც ახალი ფულის ჩადებას აქვს აზრი. ქვეგანყოფილებაში, რომელიც ადრე ხასიათდებოდა კარგი რენტაბელობით, შესაძლოა დაკარგოს ხელსაყრელი შესაძლებლობები.

მოვიყვანოთ მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს რა განსხვავებაა საშუალო და მზარდ შემოსავალს შორის. დავეშვათ, სარკინიგზო ხიდს ესაჭიროება სასწრაფო რემონტი. ხიდის არსებობის შემთხვევაში რკინიგზა შეძლებს ფუნქციონირების გაგრძელებას, ხიდის გარეშე არ იქნება რკინიგზაც. ამ შემთხვევაში სარემონტო სამუშაოებიდან უკუგება მოიცავს ყველა სარგებელს რკინიგზიდან. ინვესტიციის წმინდა ახლანდელი ღირებულება მზარდი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით შეიძლება აღმოჩნდეს ძალიან დიდი. რა თქმა უნდა, ეს უკუგება უნდა „გასუფთავდეს“ ყველა დანაკარგისგან და შედგომი რემონტის დანახარჯებისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია რისკავს, ჩაერთოს არარენტაბელური რკინიგზის ნაწილების უსარგებლო მშენებლობაში [3: 63].

მნიშვნელოვანია პროექტების ყველა იმ გვერდითი ეფექტის გათვალისწინება, რომლებიც მოქმედებს დანარჩენ ბიზნესზე. მაგალითად, სარკინიგზო განტოტებას თავისთავად შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი წმინდა ახლანდელი ღირებულება, მაგრამ თუ იგი უზრუნველყოფს ძირითად ხაზზე დამატებით გადახიდვებს, მასში ღირს ფულის დაბანდება.

გვერდითმა ეფექტებმა შეიძლება თავი იჩინოს შორეულ მომავალში. როდესაც GE ან Pratt & Whitney, ან Rolls Royce იწყებენ ახალი რეაქტიული ძრავის პროექტირებას და და წარმოებას, ფულადი ნაკადის მოდინება არ შემოიფარგლება მხოლოდ მზა პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული ამონაგებით. გაყიდვის შემდეგ თითოეული ძრავა იმუშავებს 20 წელი ან მეტი და მთელი ამ დროის განმავლობაში იარსებებს სტაბილური მოთხოვნა სათადარიგო ნაწილებზე. ბევრი ძრავის მწარმოებელი კარგ მოგებას იღებს თავისი პროდუქციის ტექნიკური მომსახურების და რემონტის შედეგად. დასასრულ, მას შემდეგ, რაც ძრავა ექსპლუატაციაში გავიდა, ისწავს მისი მოდიფიკაციის, სრულყოფის და გამოყენების ახალი შესაძლებლობები. ყველა ეს „თანმსლები“ საქმიანობის სახე წარმოშობს მნიშვნელოვან მზარდ ფულად ნაკადებს [2: 33].

წმინდა საბრუნავი კაპიტალი (ხშირად მას უწოდებენ უბრალოდ საბრუნავ კაპიტალს) წარმოადგენს სხვაობას მიმდინარე აქტივებსა და კომპანიის მოკლევადიან ვალდებულებებს შორის. მიმდინარე (საბრუნავი) აქტივები შედგება ძირითადად ფულადი საშუალებების, დებიტორული და ვალდებულებების (კლიენტების გადაუხდელი ანგარიშების). ნედლეულის მარაგისა და მზა პროდუქციისგან. მოკლევადიანი ვალდებულებები ქმნის ძირითადად კრედიტორულ ვალდებულებას (ეს გადაუხდელი ანგარიშებია). პროექტების უმრავლესობა მოითხოვს საბრუნავ კაპიტალში დამატებით ინვესტიციებს. ამიტომ ფულადი ნაკადის პროგნოზში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ასეთი ინვესტიციები. მეორე მხრივ, როდესაც პროექტი სრულდება, როგორც წესი, შეგვიძლიათ ავინახდეთ როგორც ფულადი სახსრების მოდინება.

რესურსების ფასს შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების დროს მაშინაც კი, როდესაც ფულადი სახსრების რეალურ მოძრაობას არ აქვს ადგილი (ანუ როდესაც ფული ხელიდან ხელში არ გადაიცემა). დავეშვათ, მაგალითად რომ ახალ სამრეწველო საწარმოში გამოიყენება მიწის ნაკვეთი, რომელიც სხვა პირობებში გაიყიდებოდა 100 ათას დოლარად. ეს უქმი რესურსი არ არის. მასთან დაკავშირებულია ალტერნატიული დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს იმ ფულს, რომლის მიღებაც შეეძლო კომპანიას, თუ უარს იტყოდა პროექტზე და გაყიდდა მიწას ან მოუძებნიდა მას სხვა პროდუქტიულ გამოყენებას.

ეს მაგალითი გაფრთხილებაა იმის შესახებ, რომ არ შეიძლება მსჯელობა ისე, რომ შევადაროთ ერთმანეთს სიტუაცია პროექტამდე და პროექტის შემდეგ. უფრო სწორი იქნება ერთმანეთს შედარდეს სიტუაცია პროექტით და უპროექტოდ. მენეჯერმა, რომელიც ერთმანეთთან ადარებს მაჩვენებლებს პროექტის განხორციელებამდე და მერე, შესაძლებელია მხედველობიდან გაუშვას მიწის ღირებულება, რადგან ფირმა ფლობს მას მანამდეც და შემდეგაც:

პროექტამდე	პროექტის განხორციელება	პროექტის შემდეგ	ფულადი ნაკადი „მანამდე“ და „შემდეგ“ - 0
ფირმა ფლობს მიწას პროექტით	პროექტის განხორციელება	ფირმა ფლობს მიწას პროექტის შემდეგ	ფულადი ნაკადი „მანამდე“ და „შემდეგ“ - 0
ფირმა ფლობს მიწას პროექტის გარეშე	პროექტზე უარის თქმა	ფირმა ფლობს მიწას შემდეგ	ფულადი ნაკადი პროექტის „გარეშე“ 100000 დოლ.
ფირმა ფლობს მიწას	პროექტზე უარის თქმა	ფირმა ყიდის მიწას 100000 დოლარად	ფულადი ნაკადი პროექტის „გარეშე“ 100000 დოლ.

თუ შევადარებთ ორ „შემდეგ“-ს დავინახავთ, რომ პროექტის მიღების შემთხვევაში ფირმა უარს ამბობს 100 ათ. დოლარზე. ეს დასკვნა ძალაში რჩება მაშინაც, როდესაც მიწა არ გაიყიდება, მაგრამ ელირება ფირმისთვის 100 ათ. დოლარი მისი გამოყენების სხვა ვარიანტის შემთხვევაში.

ზოგჯერ ძალიან ძნელია ალტერნატიული დანახარჯების განსაზღვრა. მაგრამ თუკი შესაძლებელია რესურსის თავისუფლად გაყიდვა, მასთან დაკავშირებული ალტერნატიული დანახარჯები უბრალოდ ტოლია მისი საბაზრო ფასის, სხვაგვარად შეუძლებელია. თუ მიწის ნაკვეთის ღირებულება ფირმისთვის ნაკლებია მის საბაზრო ფასზე, ფირმა გაყიდის მას. მეორე მხრივ, მიწის გამოყენების ალტერნატიული დანახარჯები კონკრეტულ პროექტში ვერ გადააჭარბებს ანალოგიური ნაკვეთის შესასყიდ ფასს [2: 35].

დაუბრუნებელი დანაკარგი წარმოადგენს წარსულში მომხდარი ფულის ნაკადის შეუქცევად გადინებას. რადგან დაუბრუნებელი დანაკარგები მიეკუთვნება წარსულს, მათზე უკვე ვეღარ იმოქმედებს პროექტის მიღება-არმიღებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. ამიტომ სჯობს მათ ყურადღება აღარ მივაქციოთ.

ამას ხშირად ივიწყებენ. მაგალითად 1971 წელს კომპანია Lockheed-ი ცდილობდა საბანკო კრედიტის ფედერალური გარანტიის მოპოვებას თვითმფრინავ TriStar-ის შესაქმნელად სამუშაოების გასაგრძელებლად. Lockheed-ი და მისი მომხრეები თვლიდნენ, რომ სისულელე იქნებოდა იმ პროექტზე უარის თქმა, რომელზედაც უკვე დახარჯულია 1 მლრდ დოლარი. Lockheed-ის კრიტიკოსები ამ მოსაზრების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მათი აზრით, არანაკლებ სისულელეა პროექტის გაგრძელება, რომელიც პერსპექტივაში არ მოიტანს დამაკმაყოფილებელ მოგებას ამ 1 მლრდ. დოლარზე. ორივე მხარეს დაუბრუნებელ დანაკარგებთან დაკავშირებით მცდარი წარმოდგენა გააჩნდა: 1 მლრდ დოლარის უკან დაბრუნება უკვე შეუძლებელია. ამიტომ მას აღარ გააჩნია მნიშვნელობა.

როგორც უკვე ვახსენეთ, ბუღალტრის მიზნები ყოველთვის არ ემთხვევა საინვესტიციო ანალიტიკოსის მიზნებს. ეს ეხება ზედნადები ხარჯების განაწილებასაც. ზედნადები ხარჯების შემადგენლობაში შედის ისეთი სტატიები, როგორც არის ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი, შენობის არენდის გადასახადი, გათბობა და ელექტრობა. შეუძლებელია მსგავსი ხარჯების პირდაპირ მიკუთვნება რომელიმე პროექტისთვის. მაგრამ, ასე თუ ისე, უნდა მოხდეს მათი ანაზღაურება. ამიტომ, როდესაც ბუღალტერი ანაწილებს დანახარჯებს ფირმის პროექტებს შორის, ის, როგორც წესი, ახდენს ზედნადების ხარჯების დარიცხვასაც. მაგრამ ჩვენი ფულადი ნაკადების ზრდის პრინციპის თანახმად, ინვესტიციის შეფასების დროს უნდა გავითვალისწინოთ მხოლოდ პროექტით შექმნილი დამატებითი დანახარჯები. პროექტმა შესაძლებელია მოითხოვოს დამატებითი ზედნადები ხარჯები - შეიძლება არც მოითხოვოს. განსკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვექცეთ იმ დაშვებას, რომ ზედნადები ხარჯების განაწილება, რომელსაც ბუღალტერი ახდენს, ნამდვილად ასახავს დამატებით ხარჯებს, რომელიც წამოქმნილია პროექტთან დაკავშირებით.

როგორც წესი, საპროცენტო განაკვეთებს გააჩნიათ ნომინალური და არა რეალური გამოხატულება. სხვა სიტყვებით, თუ ვყიდულობთ სახაზინო ვექსილს, მთავრობა გვიპირდება, დაგუშვით, 10000 დოლარის გადახდას. მაგრამ არ არსებობს გარანტია იმასთან დაკავშირებით, რის ყიდვას შევძლებთ ამ 10000 დოლარით. ინვესტორები ამას იღებენ მხედველობაში პროცენტის განაკვეთის საფუძვლის განსაზღვრის დროს.

მაგალითად, დაგუშვით, აშშ ერთწლიანი სახაზინო ვექსილების საპროცენტო განაკვეთი ტოლია 8%-ის და რომ მომდევნო წელს მოსალოდნელი ინფლაცია შეადგენს 6%-ს. თუ ვიყიდი ვექსელს, შემდგომ დააბრუნებთ უკან მის ძირითად ღირებულებას და პროცენტს იმ დოლარებში პირველი პერიოდისთვის, რომლებიც ღირს 6%-ით ნაკლები დღევანდელ დოლართან შედარებით:

დოლარების ინვესტირება დღეს	დოლარების მიღება პირველ პერიოდში	რეზულტატი
10000	10800	მომგებიანობის ნომინალური ნორმა 8%

რამდენია 10800 დოლარის შემოსავლის რეალური მსყიდველობითი უნარი? მოდით განვსაზღვროთ მსყიდველობითი უნარი მიმდინარე დოლარებში. დავიყვანოთ პირველი პერიოდის დოლარები მიმდინარე დოლარებამდე შემდეგი გზით: გავყოთ ისინი 1,06-ზე (1 დამატებული ინფლაციის მოსალოდნელი ტემპი).

10800 დოლარის მსყიდველობითი უნარი პირველი პერიოდის = იგივე მსყიდველობითი უნარის მქონე მიმდინარე დოლარების ჯამი = $10800/1,06 = \$10188,68$ ეს არის თამასუქის მფლობელის რეალური ჯილდო:

მიმდინარე დოლარების ინვესტირება	მოსალოდნელი შემოსავლების რეალური ღირებულება პირველ პერიოდსი	შედეგი
10000	10188,68	მოსალოდნელი რეალური მომგებიანობის ნორმა = 0,0187, ან 1,9%

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: „სახაზინო თამასუქის ნომინალური მომგებიანობის ნორმა შეადგენს 8%-ს“ ან: „მისი მოსალოდნელი რეალური მომგებიანობის ნორმა ტოლია 1,9%-ის“. შევნიშნავთ, რომ ნომინალური განაკვეთი ზუსტად ცნობილია, მაშინ როდესაც რეალური განაკვეთი მხოლოდ მოსალოდნელია. ფაქტობრივი რეალური განაკვეთის გაანგარიშება შეუძლებელია პირველი პერიოდის დადგომამდე, სანამ არ გახდება ცნობილი ინფლაციის ტემპი.

თუ დისკონტის განაკვეთი აიღება ნომინალურ გამოხატულებაში, მაშინ ფულადი სახსრების ნაკადიც აუცილებლად უნდა შეფასდეს ნომინალურ გამოხატულებაში სარეალიზაციო პროდუქციის ფასების მოძრაობის ტენდენციების, შრომითი და მატერიალური და სხვ. დანახარჯების გათვალისწინებით. ყოველივე ეს გულისხმობს უფრო რთული გაანგარიშების წარმოებას, ვიდრე უბრალოდ ერთიანი მოსალოდნელი ინფლაციის ტემპების გამოყენებას ფულადი სახსრების ნაკადის ყველა კომპონენტთან მიმართებაში. მაგალითად, შრომითი დანახარჯების ღირებულება ერთი საათის მუშაობაზე ჩვეულებრივ იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე სამომხმარებლო ფასების ინდექსი შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად. ინფლაციის ზრდასთან ერთად არ იზრდება საამორტიზაციო ანარიცხებთან დაკავშირებული საგადასახადო ფარი. ის მუდმივი სიდიდეა ნომინალურ გამოხატულებაში, რადგან აშშ-ს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს აქტივების თავდაპირველ ღირებულებაზე ცვეთის დარიცხვას [4: 15].

რატომ უნდა, არ იქნება შეცდომა, თუ მოვახდენთ ფულადი სახსრების რეალური ნაკადების დისკონტირებას დისკონტის რეალური განაკვეთის მიხედვით, თუმცა ეს მიღებული არ არის. არსებობს უბრალო მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს ორი მეთოდის ეკვივალენტურობას. დავუშვათ, ჩვენი ფირმა ჩვეულებრივ პროგნოზირებს ფულადი სახსრების ნაკადს ნომინალურ გამოხატულებაში და ახდენს მათ დისკონტირებას ნომინალური განაკვეთით 15%. თუმცა მოცემულ ცალკეულ შემთხვევაში ვიღებთ ფულადი სახსრების ნაკადს პროექტის მიხედვით, რეალურ გამოხატულებაში შეფასებულს, ანუ მიმდინარე დოლარებში.

აღბათ არასწორი იქნებოდა ფულადი სახსრების რეალური ნაკადის დისკონტირება 15%-იანი განაკვეთით. ჩვენ გვაქვს ორი ალტერნატივა: ან გადავიყვანოთ ფულადი სახსრების ნაკადი ნომინალურ გამოხატულებაში და მოვახდინოთ დისკონტირება 15%-ით, ან გამოვთვალოთ დისკონტის რეალური განაკვეთი და გამოვიყენოთ იგი ფულადი სახსრების რეალური ნაკადების დისკონტირებისთვის. ორივე გზას მივყავართ ერთი და იმავე შედეგამდე [4: 12].

ხემოთქმულიდან გამომდინარე, დასკვნა საკმაოდ მარტივია: ფულადი სახსრების ნომინალური ნაკადების დისკონტირება უნდა მოხდეს დისკონტის ნომინალური განაკვეთით. ფულადი სახსრების რეალური ნაკადების დისკონტირება კი უნდა მოხდეს დისკონტის რეალური განაკვეთით. ამ პრინციპის უტყუარობა ზოგჯერ მაინც ირღვევა. მაგალითად, 1974 წელს ირლანდიაში ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ მდელვარებას, რომელიც გამოწვეული იყო ხელისუფლების მიერ Bula Mines-წილის შესყიდვით. მთავრობის მიერ გადახდილი 40 მლნ ფუნტი სტ. ფასდებოდა ამ ფირმის შესატყვისი ღირებულებით. მაგრამ კონსულტანტების ერთი ჯგუფი თვლიდა, რომ კომპანიის ღირებულება ტოლი იყო 8 მლნ ფუნტი სტერლინგის და მეორე თვლიდა, რომ ეს ღირებულება შეადგენდა 104 მლნ ფუნტ სტერლინგს. მართალია, ეს შეფასებები ჩატარდა ფულადი სახსრების ნაკადების განსხვავებულ პროგნოზებზე დაყრდნობით, სხვაობა მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია დისკონტის რეალური და ნომინალური განაკვეთების ერთმანეთში არევიტ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მერლანი გ., ჩიტიაშვილი ფ., ჭანტურია ლ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი, 1994. გვ. 53-55.
2. თეთრუაშვილი ზ., თეთრუაშვილი მ., თეთრუაშვილი ზ., ფინანსური ბაზარი და ინვესტიციები, ლექციების კურსი, გორი, 1996. გვ. 33-37.
3. Мескон М.Х., Альберт М., Хедоури Ф. Основы менеджмента (пер.с англ). М., 1992. стр. 62-65.
4. Кунц Г., Доннел С.О., Управление: системный и ситуационный анализ управленческих функций (перевод с английского). М., прогресс, 1981. стр. 12-19.

THE ROLE OF FINANCIAL MANAGEMENT IN THE ISSUE OF EFFECTIVE INVESTMENT DECISIONS

Summary

Wise investment decisions are based on the net present value rule. In this paper we can think about how to apply the rule to practical capital investment decisions. Our task is threefold. First, what should be discounted? We know the answer in principle: discount cash flows. But useful forecasts of cash flows do not arrive on a silver platter. Often the financial manager has to do with “raw” data supplied by specialists in product design, production, marketing, and so on. This information has to be checked for completeness, consistency and accuracy. The financial manager has to ferret out hidden cash flows and take care to reject accounting entries that look like cash flows but truly are not. Second, how does the financial manager pull everything together into a forecast of overall, “bottom-line” cash flows? This requires careful tracking of taxes; changes in working capital; inflation; and the end-of-project “salvage values” of plant, property, and equipment. We will work through a realistic example. Third, how should a financial manager apply the net present value rule when choosing between investments in plant or equipment with different economic lives.

We showed how to transform the present value of an asset’s investment and operating costs into an equivalent annual cost, that is, the total cost per year of buying and operating the asset; how to use equivalent annual costs to decide when to replace aging plant or equipment. Choices between short- and long-lived production facilities, or between new and existing facilities, almost always involve project interactions, because a decision about one project cannot be separated from a decision about another, or from future decisions.

Инна Зелиско

ЭВОЛЮЦИОННЫЕ ТРЕНДЫ ЭКОНОМИЧЕСКОЙ КАТЕГОРИИ ФИНАНСОВЫЕ РЕСУРСЫ

***Аннотация.** В статье рассмотрены эволюционные тренды экономической категории финансовые ресурсы. Определена сущность и значение финансовых ресурсов в управлении деятельностью экономических субъектов. Представлены функции финансовых ресурсов экономических субъектов. Раскрыта одна из причин финансовых кризисов, которые проявляются в функционировании современной глобальной экономики и их взаимосвязь с финансовыми ресурсами и финансовыми отношениями в рыночной экономике.*

***Ключевые слова:** экономическая категория, экономические отношения, финансовые ресурсы, финансовые отношения, общественное воспроизводство, финансы, финансовый механизм.*

Трансформационные процессы, которые происходят в национальной экономике и преобразования финансовых отношений в обществе, требуют системного подхода к пониманию экономической категории финансовые ресурсы. Необходимость структурных преобразований экономики Украины, переформатирование экономических и финансовых отношений, требуют переосмысления понимания экономической сущности и значения финансовых ресурсов в экономических отношениях, их роли в процессах общественного воспроизводства.

Финансовые ресурсы являются важной составляющей системы познания экономических явлений и процессов, они находятся в тесной связи с экономическим состоянием и уровнем развития экономических субъектов. Преобразование характера финансовых отношений между экономическими субъектами, государством, домашними хозяйствами, финансовыми институтами приводит к замещению традиционных экономических механизмов новыми, лучше адаптированными к современному экономическому реалиям.

Объективная необходимость системного подхода к определению сущности финансовых ресурсов через призму эволюционных трендов взглядов на экономическую категорию, объясняется органической взаимосвязью существующих финансовых отношений в обществе с финансовыми ресурсами, концентрируют в себе их материальное содержание.

Постановка проблемы. Для финансовых ресурсов, как достаточно сложной экономической категории, характерны изменения экономической сущности, функций и значения в соответствии с экономическими трансформациями, происходящими в обществе. В связи с этим, ученые в разные времена, относительно определения понятия «финансовые ресурсы», имели определенные особенности в своих трактовках. Однако, в современных условиях необходим системный подход к пониманию финансовых ресурсов и финансовых основ воспроизводственных процессов.

В научных исследованиях недостаточно внимания уделено финансовым ресурсам, с точки зрения изменения их сущности, функций и роли в общественном воспроизводстве в соответствии с экономических трансформаций, происходящей в обществе.

Целью статьи является определение эволюционных трендов сущности и значения экономической категории финансовые ресурсы и выявление связи между трактовкой содержания экономической категории с существующими финансовыми отношениями в обществе.

Изложение основного материала. Экономические категории отражают общественные производственные отношения, они соответствуют определенным историческим условиям, имеют объективный характер и отражают экономическую жизнь человечества. Каждая новая экономическая категория воплощает в себе квинтэссенцию динамики развития общества, обогащает другие существующие экономические категории и приобретает новые масштабы в дальнейшем.

Экономическая категория - это теоретическое выражение, мысленная форма производственных отношений, экономических явлений и процессов, которые реально существуют [1]. То есть, это теоретическое понятие, обобщенно представляет существенные свойства экономических явлений и процессов.

Термин «ресурсы» происходит от французского слова «ressource», которое означает средство, применяемое для достижения результата. Ресурсы применяются во многих сферах и отраслях: от биологии, математики, медицины, психологии, социологии, к экономике, технике, политологии. Терминология многих наук связана со словом ресурс, в экономике выделяют следующие ресурсы - природные, трудовые, материальные, экономические и финансовые [8].

Товарные и денежные отношения существовали до возникновения термина «финансы». Дальнейшее развитие товарно-денежных отношений и возникновение государства, государственных институтов привело к возникновению финансов. Для выполнения функций, возложенных на государство, необходимым условием является аккумуляция и распределение ресурсов, то есть валовой внутренний продукт и национальный доход является материальным источником существования финансов. Поэтому под финансами понимают экономические отношения, возникающие в связи с объективной необходимостью распределения и перераспределения стоимости валового внутреннего продукта [5]. Материальное содержание финансов раскрывается благодаря существованию финансовых ресурсов.

Среди ученых не сложилось единого мнения относительно понимания финансовых ресурсов как экономической категории. И. Зятковский отмечает: «... хотя в экономической литературе и на сегодня нет единства по определению финансовых ресурсов, но все исследователи едины в том, что не признают их экономической категорией» [11]. Л. Окунева придерживается противоположной позиции и определяет, что финансовые ресурсы являются чрезвычайно важной экономической категорией [7].

Финансовые ресурсы являются важной составляющей системы познания финансовых отношений и находятся в тесной связи с экономическим состоянием и развитием государства и экономических субъектов. Они сочетают исторические процессы с их логическим наполнением, отражают динамизм экономического бытия, находятся в движении и постоянном изменении в соответствии с происходящими явлениями. Поэтому, вполне логичным есть понимание финансовых ресурсов как экономической категории.

Анализ научной экономической литературы свидетельствует о том, что финансовые ресурсы являются достаточно популярной экономической категорией, которая очень часто применяется в исследованиях ученых. Для раскрытия финансовых ресурсов как экономической категории используется значительное количество концепций, взглядов и подходов к их сущности и значения.

Считаем необходимым выделить следующие этапы эволюции экономической категории «финансовые ресурсы». Во времена существования плановой, административно-командной экономики роль финансов и денежных ресурсов сводилась к посреднической, а финансовые ресурсы использовались в процессе планирования, регулирования, распределения перераспределения результатов воспроизводственных процессов в обществе в качестве счетного фактора. То есть финансовые ресурсы предоставляли возможности оценить материальные показатели и выступали средством распределения и перераспределения материальных благ, созданных в обществе в процессе воспроизводства.

В советское время А. Бирман определял финансовые ресурсы как выраженную в деньгах часть национального дохода, которая может быть использована государством (непосредственно или через предприятия) с целью расширенного воспроизводства и на общегосударственные расходы [2]. Приведенный макроэкономический подход видения сущности финансовых ресурсов, иллюстрирует существующую в те времена концепцию взаимосвязи возникновения финансовых ресурсов с процессами распределения и перераспределения валового внутреннего продукта и национального дохода, в котором управляющая роль принадлежит государству.

В. Сенгачев при определении понятия финансовых ресурсов указывает, что «... финансовые ресурсы народного хозяйства представляют собой совокупность денежных накоплений, амортизационных отчислений и других средств, которые формируются в процессе создания, распределения и перераспределения совокупного продукта» [9]. Такая трактовка финансовых ресурсов охватывает экономические отношения, связанные с формированием, распределением и перераспределением совокупного общественного продукта.

В зависимости от модели финансовых отношений в обществе (по последовательности распределения валового внутреннего продукта) - рыночной или административной, отличается понимание сущности и применения экономической категории финансовые ресурсы как на уровне государства, то есть макроэкономическом

уровне, так и на уровне экономических субъектов - микроуровне. Для финансовой модели административной экономики характерно вмешательство государства в первоначальное распределение валового внутреннего продукта и наличие элементов перераспределения, а в рыночной модели наоборот преобладает участие государства в перераспределении валового внутреннего продукта и присутствие в первичном распределении с помощью косвенных налогов.

Среди предложенных учеными определений финансовых ресурсов преобладают следующие направления их понимания - фонды денежных ресурсов, доходы и поступления, накопления.

Рыночные экономические преобразования, которые происходили с обретением независимости в Украине стали значительным толчком к мировоззренческим изменениям в науке, в том числе в финансовой теории. В связи с этим, финансовые ресурсы получили новое сущностное понимание роли в процессах общественного воспроизводства во времена зарождения новых экономических условий хозяйствования.

Новый тренд во взглядах многих ученых на финансовые категории сформировался во время зарождения рыночного экономического механизма. В те времена актуальным было правило: «финансовые ресурсы - это единый вид ресурсов субъекта хозяйствования, который имеет способность трансформироваться непосредственно и с минимальным временным лагом в любой другой вид ресурсов» [6].

Зарождались только определенные ориентиры о сущности рыночных механизмов и рычагов хозяйствования, поэтому перед экономическими субъектами стояла задача использования источников существования и развития. Функционирование на основе коммерческого расчета, который предусматривал принципы самофинансирования, саморегулирования и самокупаемости изменило видение источников финансирования и сосредоточило внимание на внутренних источниках - прибыль, амортизационные отчисления. Однако, внутренние источники или удовлетворяли частично потребности деятельности, или почти отсутствовали в переходный период, в период становления рыночных основ хозяйствования. Поэтому, привлечение банковских кредитов и других инструментов заимствований было актуальным вопросом финансирования потребностей деятельности и развития многих экономических субъектов различных форм собственности.

Именно в это время, ученые начали отмечать изменения в определениях финансовых ресурсов. Их появилось большое количество, что свидетельствовало о том, что как на государственном уровне, так и в научных кругах не была сформирована теоретическая концепция изменений, которые происходили, а также не разработаны практически меры реализации этих процессов. Кроме того, ученые в своих взглядах разделились: на сторонников быстрых изменений по существующим моделям финансовых отношений в западных странах; на ярых оппонентов новых преобразований и на тех, кто видел постепенные, эволюционные изменения с учетом экономических условий в стране в те времена [10].

Существенными характеристиками финансовых ресурсов экономических субъектов является их понимание как экономических ресурсов, обеспечивающих хозяйственную деятельность и способность погашать финансовые обязательства перед субъектами финансовых отношений, а также отражают финансовый результат воспроизводственного процесса. Рыночные условия хозяйствования характеризуются приобретением финансовыми ресурсами кардинально другой роли и значения в связи с оторванностью их движения от материально-вещественного воспроизводства. Подтверждением ошибочности и негативным проявлением такой тенденции, является финансовая нестабильность как в мире, так и в Украине. Существующий разрыв между финансово-денежной и материально-финансовой составляющими экономического развития привел к финансовым проблемам, решение которых является крайне необходимым, путем сбалансирования и согласованности всех составляющих общественного воспроизводства.

Современные трактовки финансовых ресурсов отражают существующие экономические проблемы и тенденции. П. Стецюк представляет финансовые ресурсы через призму финансового управления: «Установление качественных характеристик и целевой функции финансовых ресурсов позволяет дать следующее их определение: финансовые ресурсы предприятия (предприятия) - это его наиболее ликвидные активы, обеспечивающие непрерывность движения денежных потоков» [10]. Отличие такой трактовки финансовых ресурсов от других существующих определений ученых, связана с раскрытием финансовых ресурсов через призму финансового управления. То есть, главный акцент делается на обеспечении непрерывности движения денежных потоков с целью предотвращения и недопущения финансовых проблем на предприятии на основе планирования, прогнозирования, анализа и оценки эффективности использования финансовых ресурсов предприятий.

Заслуживает внимания определение финансовых ресурсов экономических субъектов с точки зрения ликвидности активов, которое предложено Е. Гудзь: «... финансовые ресурсы предприятия - это совокупность всех высоколиквидных имеющихся активов, находящихся в распоряжении предприятия и предназначенные для выполнения финансовых обязательств и расширенного воспроизводства» [4].

И. Бланк классификацию финансовых ресурсов представляет следующим образом: по праву собственности (собственные и заемные), по источникам формирования - на внутренние и внешние, по срокам (краткосрочные и долгосрочные) [3].

Таким образом, считаем целесообразным рассматривать финансовые ресурсы экономических субъектов как денежные и другие ликвидные оборотные средства, накопленные и авансированные из собственных, заем-

ных и привлеченных источников в хозяйственную деятельность экономических субъектов для удовлетворения экономических потребностей и интересов его собственников.

Для более глубокого понимания экономического содержания финансовых ресурсов экономических субъектов представим функции, которые они выполняют. Итак, комплексный подход к рассмотрению сущности экономической категории «финансовые ресурсы экономических субъектов» предполагает выделение следующих функций.

Создание финансового базиса для стартовой деятельности экономического субъекта. На первом этапе создания экономического субъекта, финансовые ресурсы могут формироваться без заемных средств, а за счет взносов учредителей, приобретают формы денежных ресурсов, имущественных взносов, эмиссии ценных бумаг.

Обеспечение простого или расширенного воспроизводства и непрерывности производственного процесса. Простое воспроизводство основывается на использовании амортизационных отчислений, а расширенное - за счет полученной прибыли и осуществления капиталовложений. Непрерывность производственного процесса реализуется с одной стороны обеспеченностью финансовыми ресурсами, с другой - результатами их использования в процессе производства.

Поддержка финансовой устойчивости и сбалансированности. Такое финансовое состояние экономических субъектов возможно обеспечить за счет оптимальной и качественной структуры финансовых ресурсов.

Выводы. Результаты проведенных исследований эволюционных трендов экономической категории финансовые ресурсы позволяют сделать следующие выводы.

Выявлена взаимосвязь сформулированных определений сущности экономической категории финансовые ресурсы и финансовых отношений, сложившихся в обществе, экономического состояния и уровня развития страны, модели финансовых отношений в обществе.

Определена весомость и значимость финансовых ресурсов в социально-экономическом развитии страны и в управлении деятельностью экономических субъектов. Существующая противоречивость трактовки этой экономической категории, изменения во взглядах ученых на экономическую сущность и значение финансовых ресурсов в общественном воспроизводстве в процессе эволюционного развития, подтверждают их многогранную и разноаспектную экономическую структуру.

Раскрыты функции финансовых ресурсов экономических субъектов: создание финансового базиса для стартовой деятельности экономического субъекта; обеспечение простого или расширенного воспроизводства и непрерывности производственного процесса; поддержка финансовой устойчивости и сбалансированности экономического субъекта.

Перспективой дальнейших исследований в этом направлении могут быть сущность и роль финансовых ресурсов на микро- и макрофинансовых уровнях, которые приобретают качественно новые признаки, количественно разные свойства и характеристики в соответствии с существующими финансовыми отношениями в стране.

References

1. Academic dictionary of the ukrainian language. Retrieved from <http://www.sum.in.ua/s/ghenezys>.
2. Birman, A. M. (1968). Essays on the theory soviet finance. Moscow: Finansy (in Russ.).
3. Blank, I. O. (2011). Financial support enterprise development. Kyiv: KNTEU (in Ukr.).
4. Gudz, O. Y. (2007). Financial resources of agricultural enterprises. Kyiv: NNC IAE (in Ukr.).
5. Hovorushko, T. A. (2013). Finance for financiers. Kyiv: Tsentr uchbovoi literatury (in Ukr.).
6. Kovalov, V. V. (1996). Financial analyze. Moscow: Finansy i statistika (in Russ.).
7. Okunieva, L. P. (1980). Financial resources of bourgeois state. Finansy SSSR (Finance SSSR), 3, 63-75 (in Russ.).
8. Resources. Retrieved from: http://www.glossary.ru/cgi-bin/gl_sch2.cgi?RQlxzwx:#gltop.
9. Sengachov, V. K. (1982). Financial resources of national economy. Moscow: Finansy i statistika (in Russ.).
10. Stetsiuk, P. A. (2008). Theory and practice of financial resources management. Kyiv: NNC IAE (in Ukr.).
11. Ziatkovskii, I. V. (2000). Theoretical principles of enterprises finance. Finansy Ukrainy (Finance Ukraine), 4, 24-27 (in Ukr.).

Inna Zelisko

EVOLUTIONARY TRENDS OF THE ECONOMIC CATEGORY FINANCIAL RESOURCES

Summary

Reformatting economic and financial relations in society is reflected in the dynamism of the financial basis of social reproduction that requires rethinking the nature and understanding of the economic importance of financial resources. Financial resources are the determining basis of the process of social reproduction and functioning of the state and the enterprises of any legal form and ownership.

The purpose of this article is to identify the relationship evolution of views on the nature and importance of the economic category “financial resources” and financial relations existing in society. Research object – a set of economic phenomena, processes and relationships that take place in the national economy. Subject of investigation – a set of theoretical and applied aspects of the formation and use of financial resources in the process of social reproduction. The methodological basis of research the dialectical method of knowledge of social and economic phenomena, systematic approach and research results of leading scientific economic schools. Applied logical and historical methods to track the evolution of views on the nature and economic substance of financial resources and the abstract - logical - for composite summarizing the results and drawing conclusions.

Evolutionary determinants of economic category “financial resources” should be considered in the context of understanding the concepts of “economic category”, “finance” and “resources”. We consider it appropriate to consider the financial resources of enterprises as money and other liquid current assets that accumulated and advances of their own borrowed and borrowed sources in the business enterprise to meet economic needs and interests of its owners and other stakeholders.

Analysis of evolutionary determinants of economic category “financial resources” in the context of understanding the concepts of “economic category”, “finance” and “resources” revealed dependence defined definitions of financial relations prevailing in society, economic status and level of development, the model of financial relations in society. Is found that the acquisition of financial resources radically different role and value of market economic conditions, due to the isolation of the movement of the material – the material reproduction, which leads to a financial crisis at the level of national economies and the scale of the global economy.

გიორგი თეთრაული

ინფლაციის თარგეთირების ევმპტიანობის შეფასება (საქართველოს მაგალითზე)

ანოტაცია. ინფლაციის თარგეთირება წარმოადგენს თანამედროვე მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს. მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი ასრულებს ქვეყნის ფულადი ბაზრის რეგულირების მნიშვნელოვანი ორიენტირის როლს, მონაწილეობს ძირითადი მაკროეკონომიკური გადაწყვეტილებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამდენად, ინფლაციის სწორი თარგეთირება და ამ პროცესის დროული ადეკვატური შეფასება გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ რეჟიმის წარმატების უზრუნველყოფაში.

მოცემული სტატიის მიზანია ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების ზოგიერთი მეთოდის განხილვა საქართველოს მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: ინფლაციის თარგეთირება, ავტოკორექცია.

შესავალი

ინფლაციის თარგეთირების საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება თანამედროვე ეკონომიკურ პოლიტიკაში. ამის მიზეზი შედარებით მაღალი ინფლაციის უარყოფითი შედეგებია: საფრთხე იქმნება ბიზნესის საინვესტიციო და საკრედიტო შესაძლებლობებისთვის, უარესდება ცხოვრების დონე, ხდება შემოსავლის ფარული გადანაწილება ეკონომიკურ სუბიექტებს შორის, იზრდება სოციალური დაძაბულობა. ინფლაციის რეგულირების მეთოდები ძირითადად საერთოა სხვადასხვა ქვეყნისთვის, თუმცა თავისებურებებიც ახასიათებს. ეს თავისებურებები მრავალი ფაქტორის გამო იქმნება: ინფლაციის ტიპი, დონე, ზოგადი მაკროეკონომიკური მდგომარეობა, ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობა და სხვა.

თარგეთირების რეჟიმზე გადასვლა დაკავშირებული იყო ტრადიციული მეთოდების არაეფექტიანობასთან მზარდი გლობალიზაციის პირობებში. თავდაპირველად ინფლაციის თარგეთირება განვითარებულ ქვეყნებში ხორციელდებოდა, თუმცა 1990-იანი წლების შემდეგ მისი გამოყენება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებშიც დაიწყო.

ინფლაციის თარგეთირება წარმოადგენს ღონისძიებების კომპლექსს, რომელსაც ქვეყნის ცენტრალური ბანკი იყენებს ინფლაციური პროცესების რეგულირების მიზნით. თარგეთირება, როგორც წესი, 4 სტადიისგან შედგება [Логвиненко Е.В...2014: 2]: კონკრეტული პერიოდისთვის ინფლაციის გეგმური მაჩვენებლის განსაზღვრა, ინფლაციის კონტროლის მიზნით შესაბამისი მონეტარული ინსტრუმენტის არჩევა, აუცილებლობიდან გამომდინარე, ამ ინსტრუმენტის გამოყენება, საანგარიშო პერიოდის ბოლოს ინფლაციის ფაქტობრივი და გეგმური მაჩვენებლების შედარება და მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება.

ინფლაციის თარგეთირების არსი და მისი ეფექტიანობის შეფასება

თარგეთირების პროცესი შეიძლება განისაზღვროს, როგორც მონეტარული პოლიტიკის საბოლოო და შუალედური (ოპერაციული) მიზნების ერთობლიობა. შუალედური მიზნების სახით შეიძლება ისეთი ინდიკატორები იქნეს გამოყენებული, როგორცაა ფულის მასის აგრეგატები, საპროცენტო განაკვეთები, ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტების შემოსავლიანობის მაჩვენებლები, ვალუტის გაცვლითი კურსი და სხვ. ამასთან ერთად, ხდება მონეტარული გადაცემის მექანიზმების ანალიზი იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს კონკრეტული ღონისძიების მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება და ოპერაციულ მიზნებთან შესაბამისობის შემოწმება.

ინფლაციის თარგეთირება გულისხმობს მკაფიო, რაოდენობრივად განსაზღვრული ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის არსებობას, რომელიც გამოდის მონეტარული პოლიტიკის ორიენტირის როლში, ხოლო კერძო სექტორისთვის არის ინფლაციური მოლოდინის ფორმირების საფუძველი. ეს მაჩვენებელი ქვეყნის ცენტრალური ბანკისა და მთავრობის ერთობლივი გადაწყვეტილებით მიიღება.

ინფლაციის თარგეთირების დროს მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა საკვანძო საკითხია. კონკრეტული თარგეთის დადგენის მიმართ არსებული თეორიული და პრაქტიკული საკითხები ერთმანეთისგან განსხვავდება. მაკროეკონომიკური თეორიის თანახმად, მიზნობრივი ინფლაცია ნულის ტოლი (ახალი კეინზიანური პარადიგმის თანახმად) ან უარყოფითი (ფრიდმანის წესის თანახმად) უნდა იყოს. თუმცა პრაქტიკაში ყველა ცენტრალური ბანკი დადებით თარგეთს ადგენს. ამ შეუსაბამობის რამდენიმე მიზეზი არსებობს [Хэммонд, Д. 2012: 5-6]. პირველი მიზეზი იმაშია, რომ სტატისტიკური მეთოდებით გაზომილი ინფლაცია თავის ტენდენციაში რამდენადმე აჭარბებს რეალურად არსებულ ინფლაციას [United Nations, 2009: 188-195]. ამიტომ, ამ ეფექტის გათვალისწინებით, საჭიროა თარგეთი ნულზე მაღალი იყოს. მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ინფლაციის დადებითი თარგეთი ამცირებს ნომინალური საპროცენტო განაკვეთების ნულოვან დონემდე შემცირების ალბათობას. კიდევ ერთი მიზეზია დეფლაციის უარყოფითი შედეგები, რომელიც მოიაზრება ინფლაციის შედარებით გაცილებით უარყოფით მოვლენად. ამ თვალსაზრისით, დადებითი მიზნობრივი ინფლაცია საშუალებას იძლევა ვალის დეფლირების პროცესი თავიდან ავიცილოთ. და, ბოლოს, დადებითი თარგეთი ნომინალური ხელფასის შემცირების წინააღმდეგ ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევა.

ინფლაციის თარგეთირებას ახასიათებს აგრეთვე ნაკლოვანებები და პრობლემები [Сомова И. А. 2012: 8-9]:

გარდამავალ პერიოდში მყოფი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ინფლაცია მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელიც ნაკლებად ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს. თუ ინფლაციის ფორმირებაზე ზეგავლენას ახდენს არამონეტარული ფაქტორები, ცენტრალური ბანკის მიერ დიდი მოცულობის მონეტარული რესურსების გამოყენებაც კი შეიძლება არაეფექტიანი იყოს. ინფლაციის თარგეთის მიღწევაზე რესურსების კონცენტრირების შედეგად სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევა პრობლემატური ხდება. მოკლევადიან პერიოდში ამან შეიძლება გამოიწვიოს გამოშვების შეფერხება, ხოლო გრძელვადიან პერიოდში – GDP-ის და დასაქმების მნიშვნელოვანი მერყეობები.

გარდა ამისა, არსებობს მიზნობრივი ინფლაციის კონკრეტული მაჩვენებლის შერჩევის პრობლემა. ზოგიერთ ქვეყანაში გამოიყენება ე.წ. საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი, რომელიც ახდენს საკვები პროდუქტების და ენერგომატარებლების ჯგუფზე ფასების ცვლილების იგნორირებას. მისი გამოყენება იმით არის გამართლებული, რომ ის უკეთ ასახავს ინფლაციური პროცესების დინამიკას. თუმცა პრობლემა იმაშია, რომ საბაზო ინფლაციის თარგეთზე ორიენტირების დროს შესაძლებელია მივიღოთ ფაქტობრივი ინფლაციის მაჩვენებლის დიდი გადახრები თარგეთის მნიშვნელობიდან.

საქართველოს ეკონომიკაში ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების მიზნით გამოყენებულ იქნა ფაქტობრივი ინფლაციის დინამიკური მწკრივის ისეთი მახასიათებლები, როგორცაა სტანდარტული გადახრა და მწკრივის ავტოკორელაცია [Kim, S... 2006: 143-149]. შესაძლებელი რომ ყოფილიყო თარგეთირების ეფექტის გამოყოფა, ეს მაჩვენებლები გამოთვლილი და შედარებულ იქნა ორი სხვადასხვა პერიოდისთვის: თარგეთის შემოღებამდე – 2009 წლამდე და თარგეთირების შემდეგ 2009 წლიდან დღემდე. გამოყენებულია თვიური სისშირის დინამიკური მწკრივი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაციის დონე).


ქვემოთ მოცემულია სტანდარტული გადახრის მაჩვენებლები აღნიშნული პერიოდებისთვის:

სტანდარტული გადახრის მნიშვნელობები თარგეტის შემოღებამდე და მის შემდეგ

	2000-2008	2009-2017
სტანდარტული გადახრა	2.959487	3.908345

*წყარო: ავტორის გამოთვლები

როგორც ანალიზიდან ჩანს, თარგეთირების პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის რყევადობა გაზრდილია, რაც, ერთი შეხედვით, თარგეთირების პოლიტიკის არაეფექტიანობაზე მიანიშნებს. თუმცა სტანდარტული გადახრის ასეთი მნიშვნელობები შეიძლება შოკური მოვლენებით უფრო იყოს გამოწვეული. ამაში დასარწმუნებლად შეიძლება გრაფიკული ანალიზი გამოვიყენოთ:



გრაფიკი. სამომხმარებლო ფასების ინდექსის დინამიკა (წინა წლის შესაბამისი თვე=100)

*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=127&lang=geo

გრაფიკზე ვერტიკალური ხაზით აღნიშნულია თარგეთირების რეჟიმზე გადასვლის მომენტი. აშკარაა, რომ 2009-2011 წლებში ინფლაციის მაჩვენებელი გაცილებით მერყევია, ვიდრე სხვა პერიოდებში. ეს, სავარაუდოდ, გამოწვეული იყო პოსტკრიზისული პერიოდის მოვლენებით და შემდგომი სტაბილიზაციით. ანალიზის ობიექტურობის გასაზრდელად მიზანშეწონილად ჩაითვალა სტანდარტული გადახრის გაანგარიშებისას ამ პერიოდის გამორიცხვა. შედეგად ვიღებთ შემდეგ სურათს:

**სტანდარტული გადახრის მნიშვნელობები თარგეთის შემოღებამდე და მის შემდეგ
(გარეგანი შოკების გამორიცხვით)**

	2000-2008	2009-2017
სტანდარტული გადახრა	2.959487	2.481458

*წყარო: ავტორის გამოთვლები

ამჯერად ვიღებთ განსხვავებულ შედეგს: ინფლაციის რყევადობის მაჩვენებელი ნაკლებია თარგეთირების პერიოდში (შოკურ მოვლენებზე შესწორების შემდეგ). ეს ფაქტი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა თარგეთირების არსებული პოლიტიკის წარმატებულობის შესახებ.

გარდა ჩატარებული ანალიზისა, შესაძლებელია სხვა მხრივაც მოხდეს თარგეთირების ეფექტიანობის შეფასება, კერძოდ, მისი „მუდმივობა“, ანუ წინა მნიშვნელობებზე დამოკიდებულება. ეს შესაძლებელია ავტოკორელაციის ფუნქციის გამოყენებით. შესაბამისი გამოთვლები პროგრამა Eviews-ში განხორციელდა, ტესტის ჩატარებისას ასევე მოხდა შოკური პერიოდის გამორიცხვა. შედეგები ქვემოთ არის მოყვანილი.

ავტოკორელაციის ტესტის შედეგები

ლაგის სიგრძე	2000-2008				2012-2017			
	AC*	PAC**	Q-Stat	Prob	AC	PAC	Q-Stat	Prob
1	0.863	0.863	82.616	0.000	0.877	0.877	37.009	0.000
2	0.710	-0.134	139.09	0.000	0.729	-0.176	63.173	0.000
3	0.559	-0.080	174.42	0.000	0.586	-0.054	80.471	0.000
4	0.432	0.001	195.78	0.000	0.453	-0.052	91.036	0.000
5	0.376	0.180	212.07	0.000	0.392	0.231	99.172	0.000
6	0.332	-0.029	224.87	0.000	0.392	0.167	107.52	0.000
7	0.311	0.049	236.22	0.000	0.389	-0.069	115.93	0.000
8	0.330	0.160	249.15	0.000	0.391	0.025	124.69	0.000
9	0.301	-0.157	260.04	0.000	0.382	0.009	133.24	0.000
10	0.263	-0.026	268.46	0.000	0.335	-0.057	140.01	0.000
11	0.224	0.036	274.58	0.000	0.270	-0.066	144.55	0.000
12	0.202	0.105	279.61	0.000	0.176	-0.176	146.52	0.000
13	0.292	0.396	290.29	0.000	0.101	0.068	147.20	0.000
14	0.373	-0.009	307.91	0.000	0.068	0.080	147.51	0.000
15	0.454	0.087	334.21	0.000	0.060	-0.005	147.76	0.000
16	0.513	0.027	368.21	0.000	0.070	-0.033	148.12	0.000
17	0.531	0.091	405.07	0.000	0.042	-0.234	148.26	0.000
18	0.523	-0.014	441.21	0.000	-0.024	-0.089	148.30	0.000
19	0.476	-0.041	471.40	0.000	-0.117	-0.104	149.42	0.000
20	0.359	-0.218	488.78	0.000	-0.217	-0.059	153.39	0.000

*წყარო: ავტორის გამოთვლები

ავტოკორელაციის შემოწმება მოხდა 20 ლაგისთვის. როგორც ანალიზის შედეგებიდან ჩანს, პირველი წლის მანძილზე ავტოკორელაციის მაჩვენებელი თარგეთირების რეჟიმის პერიოდში უფრო მაღალია ვიდრე თარგეთირების შემოდგამდე პერიოდში. ერთი წლის შემდეგ კი სიტუაცია საპირისპიროდ იცვლება. შესაბამისად, თარგეთირების პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი უფრო მოკლევადიან პერიოდში არის დამოკიდებული წინა მნიშვნელობებზე, ხოლო ერთი წლის შემდეგ ეს დამოკიდებულება მცირდება. ეს ნიშნავს, რომ თარგეთირების პოლიტიკის შედეგად ინფლაციური პროცესები ნაკლებად “ინერციული” გახდა და ამის ნაცვლად მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებებზე არის დამოკიდებული.

დასკვნა

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი წარმატებულია. ამას მოწმობს თარგეთირების შემოდგომის შემდეგ ინფლაციის სტანდარტული გადახრის შემცირება (შოკურ მოვლენებზე კორექტირების გათვალისწინებით), რაც ნიშნავს ერთიანი ტრენდის უპირატესობას შემთხვევით რყევებთან შედარებით. გარდა ამისა, ავტოკორელაციების ანალიზი ასევე თარგეთირების პროცესის წარმატებას ადასტურებს: ავტოკორელაციის უფრო დაბალი მაჩვენებლები თარგეთირების პერიოდში ნიშნავს ინფლაციის მაჩვენებლის ნაკლებ დამოკიდებულებას წარსულ მნიშვნელობებზე, ინფლაცია ნაკლებად „მუდმივი“ მოვლენა გახდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. David Vestin, IIES, Stockholm University, 2000. Price level targeting versus inflation targeting in a forward looking model, გვ. 3-11.
2. Soyoung Kim, Yung Chul Park. BIS Papers No 31. 2006. Inflation targeting in Korea: a model of success? გვ. 143-149.
3. United Nations, New York and Geneva, 2009. Practical Guide to Producing Price Indices, გვ. 188-195.
4. Джилл Хэммонд. Банк Англии, 2012. Практика инфляционного таргетирования, гв. 5-6;

5. И. А. Сомова. Вестник НГУ, 2012. Таргетирование инфляции в России: проблемы и перспективы. 33-8-9.
6. Логвиненко Е.В. Полякова М.Е. 2014. Макроэкономическое моделирование режима инфляционного таргетирования, 33. 2.

Giorgi Tetrauli

EVALUATION OF EFFICIENCY OF INFLATION TARGETING (CASE OF GEORGIA)

Summary

Inflation targeting is one of the most actual issues in modern monetary policy. Inflation target is an important landmark for a money market, plays a crucial role in planning and implementing various macroeconomic decisions. Thus, setting a correct target and timely evaluation of its efficiency has a key impact on success of the whole process of targeting.

Switching to inflation targeting regime was caused by low efficiency of conventional methods in face of growing globalization. Initially targeting was used in developed countries, but since 1990s it has also been implemented by countries with transitional economies.

Inflation targeting means adopting a concrete, transparent, quantitative target value of inflation rate, which is used as a landmark for monetary policy decisions, while for private sector inflation target forms inflation expectations. The target is usually set by the central bank in collaboration with the government.

In this article two different approaches were used to assess inflation targeting efficiency in Georgia: standard deviation of actual inflation rates from its trend and autocorrelation of a corresponding time series. In order to compare periods before and after implementation of inflation targeting, two time periods were used: 2000-2008 and 2009-2017. Monthly time series of annual inflation rates were used for analysis.

Initially, comparison of these two periods reveals that standard deviation of actual inflation rate after the adoption of targeting regime in Georgia (2009) is higher than before this point, which at the first glance points out that targeting was not successful. However, this might be caused by after-crisis shock. In order to eliminate the effect of post-crisis period, data from 2009 to 2012 was excluded from calculations. As a result, recalculated standard deviation for the period of inflation targeting was lower than before 2009. This means that since adopting targeting regime inflation rate dynamics is closer to its trend and is less prone to random shocks. This proves efficiency of targeting regime in Georgia.

Another method of assessment of targeting efficiency encompasses comparing autocorrelation functions for periods before and after implementing the regime. This task was carried out using Eviews software, using time series adjusted for crisis shocks. Comparison of autocorrelation functions for periods 2000-2008 and 2012-2017 reveals that autocorrelation for first 12 lags (one year) during the targeting regime is higher; while for a longer lags it changes conversely. This means that after implementation of inflation targeting in Georgia actual inflation rate has become less “permanent” or “inertial”, i.e. it is less depended on its long-term past values. In other words, inflation became depended more on policy values, than on its long-term trend, which also speaks for efficiency of inflation targeting in Georgia.

ლელა კამლაძე

კატასტროფული რისკების დაზღვევის ზოგიერთი ასპექტის შესახებ

ანოტაცია. ტრადიციულად, სადაზღვევო ბიზნესი ორ კლასად იყოფა: სიცოცხლის დაზღვევის სახეობები და დაზღვევის ყველა დანარჩენი სახეობა. როდესაც ამ კლასებს ახასიათებენ, ძირითადად აღნიშნავენ, რომ სიცოცხლის დაზღვევა წარმოადგენს გრძელვადიან ბიზნესს, ხოლო მეორე კლასში შემავალი სახეობები მოკლევადიანია.

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში კატასტროფული და სხვა ქონებრივი რისკები ერთ პაკეტშია მოთავსებული, აღნიშნული განსხვავებები მოითხოვს, სადაზღვევო კომპანიამ მათ მიმართ მკვეთრად განსხვავებული მიდგომები შეიმუშაოს.

საკვანძო სიტყვები: სადაზღვევო ბიზნესი, კატასტროფული რისკები, ქონებრივი რისკები, სიცოცხლის დაზღვევა.

ტრადიციულად, სადაზღვევო ბიზნესი ორ კლასად იყოფა: სიცოცხლის დაზღვევის სახეობები და დაზღვევის ყველა დანარჩენი სახეობა. როდესაც ამ კლასებს ახასიათებენ, ძირითადად აღნიშნავენ, რომ სიცოცხლის დაზღვევა წარმოადგენს გრძელვადიან ბიზნესს, ხოლო მეორე კლასში შემავალი სახეობები მოკლევადიანია.

ძირითადად ეს დახასიათება სწორია, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. ცნობილია, რომ არსებობს მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევაც, ე.წ. რისკობრივი, არადაგროვებადი დაზღვევა,

სადაც იფარება მხოლოდ დამზღვევის გარდაცვალების რისკი და დაზღვევის პერიოდი ხშირად ერთ წელს არ აღემატება.

ამგვარი გამონაკლისები არასიცოცხლის დაზღვევის სფეროშიც გვხვდება და ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს კატასტროფული რისკების დაზღვევა წარმოადგენს. ეს თეზისი მოითხოვს უფრო დაწვრილებით განხილვას, ვინაიდან, ერთი შეხედვით, მისი მართებულობა არ არის ცხადი. მართლაც, გარეგნულად მომხმარებლის (დამზღვევის) გადასახედიდან კატასტროფული დაზღვევა გამოიყურება, როგორც მოკლევადიანი (განსხვავებით სიცოცხლის გრძელვადიანი დაზღვევის სახეობებისგან).

ამგვარი რისკები (მაგალითისთვის მხედველობაში შეიძლება ვიქონიოთ მიწისძვრის რისკი) ტიპურად ხანძრის, აფეთქების, ძარცვა-ყაჩაღობის, ვანდალიზმის და სხვა რისკებთან ერთად შედის ქონებრივი დაზღვევის პაკეტში და, როგორც წესი, შესაბამისი დაზღვევა ერთი წლის ვადით ფორმდება. ამავე დროს, სადაზღვევო კომპანიებისთვის (მზღვეველთათვის) კატასტროფული რისკები მკვეთრად განსხვავდება სხვა ქონებრივი რისკებისაგან და ძირითადი განსხვავებები შემდეგში მდგომარეობს:

კატასტროფული რისკები არ არის ერთმანეთისგან დამოუკიდებლები – ერთმა სტიქიურმა უბედურებამ შესაძლოა გამოიწვიოს დაზღვეულ რისკთა დიდი ნაწილის განხორციელება. ამისგან განსხვავებით, მაგ., სახანძრო რისკები შეიძლება პრაქტიკულად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩავთვალოთ, თუ არ ვიგულისხმებთ ხის მასალით გაშენებულ ქალაქებს, სადაც ხანძარი კატასტროფულ რისკს წარმოადგენს (ამის მაგალითებია წარსულში მომხდარი დიდი ხანძრები ნიკაგოსა და ლონდონში).

კატასტროფის ალბათობა ერთი წლის განმავლობაში (მაგალითად, ჩვენს რეგიონში) გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ერთი წლის განმავლობაში მზღვეველის პორტფელი სხვა ტიპის რაიმე ზარალს გამოიწვევს. სხვა სიტყვებით, შეიძლება გავიღვს მრავალი წელი ყოველგვარი კატასტროფის გარეშე, იმ დროს, როდესაც თითქმის არ არსებობს ისეთი წელიწადი, რომ პორტფელში არ მოხდეს ერთი ან რამდენიმე ხანძარი, ძარცვა-ყაჩაღობა ან სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში კატასტროფული და სხვა ქონებრივი რისკები ერთ პაკეტშია მოთავსებული, აღნიშნული განსხვავებები მოითხოვს, რომ სადაზღვევო კომპანიამ მათ მიმართ მკვეთრად განსხვავებული მიდგომები შეიმუშაოს.

ეკრძოდ, ნებისმიერი სხვა ქონებრივი რისკების დაზღვევა განხილოს როგორც მოკლევადიანი ბიზნესი, ხოლო კატასტროფული რისკების დაზღვევა – როგორც გრძელვადიანი. მართლაც, ბიზნესის მოკლევადიანობა სხვა სიტყვებით იმას ნიშნავს, რომ პორტფელში აკრეფილი პრემია ჰყოფნის იმავე წლის განმავლობაში პორტფელით გამოწვეული ზარალების დაფარვას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ ეფექტს იძლევა პორტფელში გაერთიანებულ დამზღვევებს შორის რისკის გადანაწილება და ეფექტი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მაღალია მათი ერთმანეთისგან დამოუკიდებლობის ხარისხი.

დამოუკიდებლობის პირობებში ეფექტის სიძლიერეზე ასევე მნიშვნელოვნად მოქმედებს პორტფელის მოცულობა – რაც უფრო დიდია პორტფელი, მისი ერთიანი (ჯამური) რისკი მით უფრო სტაბილური ანუ განჭვრეტადია, და მით უფრო მაღალი სანდოობით არის შესაძლებელი საკმარისი სადაზღვევო პრემიის განსაზღვრა.

გასაგებია, რომ კატასტროფული რისკების არსებობის პირობებში გარკვეულ რეგიონში მოქმედი კომპანიისათვის აბსოლუტურად შეუძლებელია ერთ წელიწადში ისეთი პრემიის აკრეფა, რომელიც ამ წელს მომხდარი კატასტროფის შემთხვევაში დაფარავს მთელ ზარალს.

ამის მიზეზი სწორედ კატასტროფულ რისკებს შორის ზემოთ აღნიშნული დამოკიდებულებაა, რაც ფაქტობრივად ანულებს პორტფელის შიგნით რისკის გადანაწილების ეფექტს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პორტფელის მოცულობა საკმარისად დიდია. მაშასადამე, კატასტროფული რისკების დაზღვევა უნდა განხილოს როგორც გრძელვადიანი ბიზნესი, სადაც რისკის გადანაწილება ძირითადად დროში ხდება და არა დამზღვევებს შორის. კომპანიისათვის ასეთი მიდგომა მართებულია იმის მიუხედავად, რომ გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევისაგან განსხვავებით, წლიდან წლამდე კონკრეტული დამზღვევები შეიძლება იცვლებოდნენ.

საერთაშორისო სადაზღვევო ბაზრის თვალსაზრით, მოცემული რეგიონის კატასტროფული რისკები შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც მოკლევადიანი ბიზნესის საგანი. სხვა სიტყვებით, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ამ რისკების გადაზღვევა და გადამზღვეველის პორტფელში ერთდროულად აღმოჩნდება მრავალი, ერთმანეთისგან დაშორებული რეგიონების კატასტროფული რისკები, კვლავ გაჩნდება დამოუკიდებლობა, ამუშავდება რისკის “სივრცეში” გადანაწილების პრინციპი და ამ პორტფელის წლიურმა პრემიამ შესაძლოა კიდევაც დაფაროს შესაბამისი წლიური ზარალი.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რეგიონული სადაზღვევო კომპანიისათვის გადაზღვევა ადგილობრივი კატასტროფული რისკების დაზღვევის წარმოების სწორი და კარგი საშუალებაა.

ამავე დროს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კატასტროფების იშვიათობის გამო, სწორი სტრატეგია გრძელვადიან პერსპექტივაში რაიმე ტიპის “შერეულ” ქცევაში მდგომარეობს – ზოგიერთ წელს გადავაზღვიოთ ბიზნესი, ზოგიერთ წელს კი – “გავრისკოთ” და არ გადავაზღვიოთ, ან გადავაზღვიოთ მხოლოდ მცირე ნაწილი. ცხადია, თუ კომპანია რომელიმე წელს ბიზნესის დიდ ნაწილს გადააზღვევს, მას ძალზე მცირე შემოსავალი დარჩება და თუ იმ წელს კატასტროფა არ მოხდა, „გადაყრილი ფული“ სინანულს გამოიწვევს.

კომპანიამ შეიძლება ჩათვალოს, რომ მას შეეძლო მეტი შემოსავლის მიღება და პრემიის ნაწილის სამომავლოდ თავად დარეზერვირება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ გზით კომპანიას თავად შეუძლია გრძელვადიანი ბიზნესის წარმოება, ანუ წლების განმავლობაში საკმარისი რეზერვის შექმნა და გადაზღვევაზე საერთოდ უარის თქმა.

განხილულიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: თუ ქცევის კრიტერიუმად კატასტროფის მოხდენამდე საშუალო ჯამურ ფულად ნაკადს ავირჩევთ, რეგიონული სადაზღვევო კომპანია შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ კატასტროფული რისკები საერთაშორისო ბაზარზე გადააზღვიოს, თუ გადაზღვევის პრემია არაბუნებრივად მაღალი არ არის. ეს დასკვნა სამართლიანია როგორც პროპორციული, ასევე არაპროპორციული გადაზღვევისათვის.

სხვა სიტყვებით, პორტფელში გაერთიანებულ რისკებს შორის ძლიერი დამოკიდებულების არსებობისას, ფინანსურად წამგებანია ბიზნესის გრძელვადიან პრინციპებზე წარმოება, ანუ რისკის დროში გადაანაწილება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ყველა შემოსული წლიური პრემია მთლიანად რეზერვირდება და ინვესტირდება ისე, რომ მისი დღევანდელი ღირებულება უცვლელი დარჩეს. უფრო მეტიც, ასევე წამგებანია რაიმე სახის შერეული ქცევა – გადაზღვევის დონის ცვლა წლების განმავლობაში.

კატასტროფული რისკები მაქსიმალურად ფართო პორტფელში უნდა იყოს განთავსებული, რათა მაქსიმალურად იმოქმედოს “სივრცეში” რისკის გადაანაწილების ეფექტმა, თუნდაც ყოველწლიურად კომპანიას გადაზღვევის შემდეგ მინიმალური შემოსავალი რჩებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. А. А. Юшкевич, Р. Я. Читашвили. Управляемые случайные последовательности и Цепи маркова. Успехи мат. наук, том 37, выпуск 6(228), 1982.
2. მიხეილ მანია, გურამ მირზაშვილი. დაზღვევის ძირითადი პრინციპები მათემატიკური თვალსაზრისით. აქტუარების და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაცია. თბილისი, 1999.
3. ნ. ლაზრიევა, მ. მანია, გ. მირზაშვილი, თ. ტორონჯაძე, ო. დლონტი, ლ. ჯამბურია. ფინანსური ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები. ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, საქართველოს სტატისტიკური ასოციაცია, ფონდი “ ევრაზია”, თბილისი, 1999.

Lela Kamladze

SOME ASPECTS OF DISASTER RISK INSURANCE Summary

Traditionally, the insurance business is divided into two classes: life insurance and all other types of insurance. When these classes are characterized, it is important to note that life insurance is the long-term business, and the second class species are short-term.

Despite the fact that catastrophic and other property risks in practice are in one package, these differences require that the insurance company develop dramatically different approaches. If the behavior criterion chooses average gross cash flows before the disaster is over, the regional insurance company should try to maximize the catastrophic risks on the international market if the reinsurance premium is not unnaturally high. This conclusion is just as proportionate as well as disproportionate reinsurance.

In other words, when there is a strong dependence on the risks associated with the portfolio, it is financially profitable to produce a long-term business of business, or even risk distribution, even when all incoming bonuses are fully reserved and invested so that their current value remains unchanged. Moreover, it is also unlikely that any kind of mixed behavior - recession-level shift over the years.

Catastrophic risks should be placed in a broader extent to maximize the effect of risk distribution in the "space", even if the company rewards minimum revenue after each year.

ბადასახადის არსი, მისი წარმოშობა და განვითარება

ანოტაცია. ახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, მისი ფუნქციონირების ეკონომიკური საფუძველი არის გადასახადები. გადასახადების მეშვეობით სახელმწიფო თავს უყრის მატერიალურ და ფინანსურ სახსრებს და მიმართავს მას სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.

გადასახადი არის გამოსაღები, რომელსაც სახელმწიფო იღებს მეურნე სუბიექტებისა და მოქალაქეებისაგან. გადასახადი წარმოადგენს ეკონომიკური კავშირების აუცილებელ რგოლს საზოგადოებაში სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროიდან, რომლის განვითარებას თან სდევს საგადასახადო ურთიერთობების (სისტემების) გარდაქმნა, სრულყოფა.

საკვანძო სიტყვები: გადასახადები, ხარკი, მოსაკრებელი, ეკლესია, კოლხური თეთრი.

შესავალი

საგადასახადო დაბეგვრის პრობლემები მუდმივად იპყრობდა ფილოსოფოსთა, ეკონომისტთა, სახელმწიფო მოღვაწეთა ყურადღებას, ვინაიდან გადასახადებში კონცენტრირდება საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ინტერესები, მიუხედავად სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმისა და მმართველობის სისტემისა. მაგალითად, თ. აქინელი აღნიშნავდა, რომ გადასახადი არის ძარცვის ნებადართული ფორმა. მონტესკიე ამბობდა, რომ არაფერი არ საჭიროებს იმდენ სიბრძნესა და ჭკუას, რაც განსაზღვრა იმ წილისა, რომელსაც ქვეშევრდომებს ართმევენ და იმისა, რასაც მას უტოვებენ.

თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგულირების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს გადასახადები – საგადასახადო პოლიტიკა. გადასახადები სახელმწიფოებრიობის წარმოშობისთანავე გახდნენ ეკონომიკურ ურთიერთობათა აუცილებელი და ორგანული შემადგენელი ნაწილი.

გადასახადებით დაბეგვრის აუცილებლობა და ეფექტიანი საგადასახადო სისტემის არსებობა დაკავშირებულია სახელმწიფოს ფუნქციონირებასა და მის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებასთან.

სახელმწიფო ხელისუფლებას საკუთარი თავის შესანახად ყველა დროში სჭირდებოდა სახსრები. შესაბამისად, საგადასახადო სისტემებმა განვითარების ათასწლოვანი გზა გამოიარა – ნატურალური გადასახადებიდან ფეოდალურ და ადგილობრივ გადასახადამდე. იყო პერიოდები, როდესაც უძველესი სახელმწიფოები ომების წარმოების გზით ძარცვავდნენ სხვა სახელმწიფოებს, მაგრამ, დროთა განმავლობაში, ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ სახელმწიფოებმა ისწავლეს თავის დაცვა მტრულად განწყობილი ახლო თუ შორეული მეზობლებისგან. ამისთვის კი საჭირო იყო რეგულარული არმიის შექმნა, მეომრის შეიარაღება და შენახვა და სწორედ ამ მიზნებისთვის ე.წ. მისაგებლის სახით მოსახლეობისგან სხვადასხვა ფორმით აიკრიბებოდა გადასახადი.

ბევრ ქვეყანაში კი, სადაც ეკლესია თამაშობდა დიდ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აიკრიბებოდა სავალდებულო საეკლესიო გადასახადები. შემდგომი სახელმწიფოების წინაშე მდგარ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-სოციალური ფუნქციების შესასრულებლად გადასახადებმა მიიღო მკაცრი სავალდებულო ხასიათი და მათ საფუძველად დაედო საზოგადოების მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანოების გადაწყვეტილებანი.

სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით მოქმედებდა განსხვავებული მექანიზმები.

საინტერესოა გადასახადების წარმოშობისა და განვითარების ისტორია რუსეთში. გადასახადების პირველი ფორმები აქ ჩნდება მე-9 საუკუნის ბოლოს. სამთავროთა ხაზინის ძირითადი შემოსავლის წყაროს თავდაპირველად შეადგენდა ხარკი, რომელსაც საწყის ეტაპზე ჰქონდა არალეგალური ხასიათი. რუსეთის საგადასახადო სისტემა შედარებით მოწესრიგდა ივანე მრისხანეს (1530-1584) მეფობის დროს. ამ პერიოდში შემოღებულ იქნა გადასახადი არმიის შენახვაზე, საბაჟო მოსაკრებელი, გადასახადი ლუდზე და ა.შ.

საგადასახადო სისტემის გაუმჯობესების კუთხით რუსეთში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა იმპერატორმა პეტრე პირველმა (1672-1725). ამ პერიოდში იქნა შემოღებული გადასახადები საკვები პროდუქტების გაყიდვიდან, გადასახადი სახლის გაქირავებიდან და სხვა.

შუა საუკუნეებში და შემდგომ პერიოდში საგადასახადო სისტემა თანდათან იწყებს განვითარებას. ინგლისში, დანიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში შემოღებულ იქნა ახალი გადასახადები: აქციზი, საბაჟო მისაგებელი, საგანგებო გადასახადები, კომუნალური და ადგილობრივი გადასახადები, სავაჭრო გადასახადი და სხვა. ამასთანავე, განისაზღვრა გადასახადების ადმინისტრირების სამართლებრივი რეგულაციები.

მსგავსად მსოფლიოს სხვა ქვეყნებისა, საქართველოშიც დაბეგვრას საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფოს წარმოშობისთანავე. ისტორიას ცოტა რამ შემორჩა უძველეს საქართველოში არსებული გადასახადებისა და დაბეგვრის შესახებ. შედარებით მეტი ინფორმაციაა შემონახული შუა საუკუნეების, ფეოდალური და შემდგომი პერიოდის გადასახადების შესახებ. მსოფლიო ეკონომიკური აზრის განვითარების პარალელურად „ქართული“ ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბება დაიწყო ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში.

ნათელი დადასტურებაა, რომ ძვ. წელთაღრიცხვით VI–III საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა სახელმწიფო, რომელშიც გამოიყენებოდა ფულადი ნიშნები – ე.წ. „კოლხური თეთრი“. ეს იყო იმ პერიოდის ევოლუციური მოვლენა და ბარტერული გაცვლიდან ფულად-სასაქონლო ურთიერთობებზე გადასვლა.

აღსანიშნავია ცნობილი მეფეების – ფარნავაზის, ვახტანგ გორგასლის, გიორგი ბრწყინვალეს მიერ წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკით სახელმწიფოს მართვის მეთოდები და ტექნიკა. ფარნავაზმა ქართლი დაყო სხვადასხვა სამთავროებად, რომლებსაც ევალებოდათ ჯარის შეკრება, ხარკის აკრება და სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დავით აღმაშენებლის ეპოქა, რომლის განხორციელებული ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ფართომასშტაბიანი რეფორმების შედეგი მისი შთამომავალი მეფეების რამდენიმე თაობას გაჰყვა.

დავით აღმაშენებელი დიდად უწყობდა ხელს ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას. მან შეღავათიანი პირობები შეუქმნა ვაჭრებს, ააგო ხიდები, გზები, ააშენა ფუნდუკები, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრებს უფასოდ შეეძლოთ დამის გათვვა.

XII საუკუნეში განხორციელებული ფინანსური რეფორმების შედეგად შეიცვალა ფულის ნიშანი და მიმოქცევაში დამკვიდრდა ეროვნული ვალუტა. საფუძველი ჩაეყარა მტკიცე საფინანსო-საკრედიტო სისტემის და იმდროინდელი მთავარი ინსტიტუტის „საჭურჭლეს“ (ხაზინა) ჩამოყალიბებას. იმ პერიოდის საქართველოში უკვე არსებობდა სპეციალური საკრედიტო დაწესებულება – დღევანდელი გაგებით ბანკები, რომელსაც ორტადი ეწოდებოდა და ის იძლეოდა სესხს სხვადასხვა გირაოს ქვეშ ან მის გარეშე. აღნიშნული პერიოდის საქართველოს ძლიერების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი ეფექტიანი პოლიტიკა იყო.

საქართველოში გადასახადებით დაბეგვრის საკითხებზე პირველი სამართლებრივი დოკუმენტი და მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო, რომელშიც მოცემულია საგადასახადო დაბეგვრის საკითხები, არის მანდატურთუხუცეს ბექასა და მისი შვილიშვილის ადბუღა ათაბაგ ამირსპასალარის „წიგნი სამართლისა“. აღნიშნულ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ქვეყნის ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, ამიტომ მიწის მესაკუთრეების, თავადების ინტერესთა დაცვა ქვეყნის აღორძინების საფუძველია, ხოლო მიწის მოსარგებლე პირი ვალდებული იყო მეზობლისთვის გადაეხადა მიწის რენტა.

გიორგი V (1286 – 1346) ბრწყინვალემ განახორციელა მნიშვნელოვანი სახელმწიფო რეფორმები, ამ კუთხით კი აღსანიშნავია ფინანსური რეფორმა - ფულის მოჭრა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება.

აღსანიშნავია საქართველოში გადასახადების განვითარების რეფორმები ვახტანგ VI (1675-1737) მიერ. მან ფართო ბრძოლა გააჩაღა ქვეყნის კულტურული და სამეურნეო-ეკონომიკური განვითარებისთვის. მნიშვნელოვანი იყო სარწყავი არხებისა და სავაჭრო სამომოსვლო გზების მშენებლობა, სამეფო მეურნეობის განვითარება, სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მოხელეთა უფლებებისა და ფუნქციების განსაზღვრა და სხვა. მის სახელთანაა დაკავშირებული პროგრესულ განათლებულ მეცნიერთა დასის - სწავლულ კაცთა კომისიის დიდი კულტურული საქმიანობა და 1707 – 1709 წწ. დაწერილი სამართლის წიგნი (კანონთა კრებული), რომელიც ითვლება „ბატონყმური რიგის“ მოწესრიგების მნიშვნელოვან დონისძიებად. იგი წარმოადგენდა სახელმძღვანელო დოკუმენტს და მიზნად ისახავდა ფეოდალთა ძალადობის შეზღუდვას და მწარმოებელთა მინიმალური უფლებების დაცვას. წიგნში სისტემურადაა ასახული სხვადასხვა დროის გარიგებები, რომელიც არეგულირებდა ფეოდალურ ურთიერთობათა სამეურნეო იერარქიას, განსაზღვრავდა დაბეგვრის პროცესს და იცავდა კერძო საკუთრების ინსტიტუტს.

ვახტანგ VI კანონებში მიუთითებდა, რომ ყმა გლეხი ფეოდალის საკუთრებაა, რომელსაც ევალება ბატონის სასარგებლოდ საგადასახადო ვალდებულებების შესრულება. მის მიერ შედგენილი „დასტურლამალი“ იძლევა გადასახადების განაკვეთებს, რომელთა უმრავლესობა, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების დაბალი დონის გამო ნატურალური ფორმით იყო წარმოდგენილი. მან დაამკვიდრა საქართველოში გამართული საფინანსო-სავადასახადო სისტემა და უზრუნველყო შესაბამისი სამართლებრივი ბაზით – ფინანსური სამართლით.

საქართველოში გადასახადის და ფულად-სასაქონლო მეურნეობის განვითარების კვალდაკვალ მრავალფეროვანი ხდებოდა გადასახადების სახეები, ამასთან ფართოვდებოდა გადასახადებით დასაბეგრი ბაზის მონაცემებიც. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მოქმედებდა შემდეგი სახის

გადასახადები: სურსათის, კოდის პურის, მახტა, ფულადის, მახტა პურეულით, მალი, ღალა, საბალახე, ყალანი, კულუხი, საკომლო, საადღვომო, საშობაო, სამასპინძლო, საქვრივე, ნაბადი და სხვა.

ამრიგად, მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის საქართველოში გადასახადის ნატურალური ფორმა თანდათანობით იცვლებოდა ფულადი ფორმით. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდში საქართველომ, სამწუხაროდ, ვერ შეძლო საკუთარი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება.

გასაბჭოების შემდეგ კი საგადასახადო სისტემა დაეფუძნა საბჭოთა კავშირში არსებულ გადასახადებს. ამ დროისთვის შემოსავლების მნიშვნელოვანი წილი მოდიოდა ისეთ გადასახადებზე, როგორცაა ბრუნვიდან და მოგებიდან გადასახადები.

მე-20 საუკუნის მიწურულს საქართველომ ხელმეორედ მოიპოვა დამოუკიდებლობა და ქვეყნის ეკონომიკა დაადგა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს. ჩვენს ქვეყანაში საგადასახადო სისტემა ძირითადად 1991–1992 წლების მიჯნაზე ჩამოყალიბდა ქვეყანაში მიმდინარე კარდინალური ეკონომიკური განვითარების პერიოდში, რის გამოც საგადასახადო სისტემაში საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით მთელი რიგი ნაკლოვანებები გამოიკვეთა, მათ შორის:

- საგადასახადო კანონმდებლობის გაუმართაობა და მისი შეუსაბამობა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან.

- საგადასახადო სისტემის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების საგადასახადო კანონმდებლობის გაუმართაობა. გადასახადების გადამხდელების მხრიდან გადასახადის გადახდისგან თავის არიდება.

- ეკონომიკის კრიმინალიზაციის მაღალი დონე, კორუფციისა და მექრთამეობის მასშტაბების ზრდა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა გადასახადებისგან თავის არიდებას და ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდას.

როგორც ვხედავთ, წარმოშობიდან დღემდე, გადასახადებმა, როგორც ეკონომიკურმა კატეგორიამ, განიცადა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, იცვლებოდა როგორც გადასახადის სახეები, ასევე დასაბეგრი ობიექტი და გადასახადის დაქვემდებარებულ ვალდებულ პირთა წრე.

გადასახადების განვითარების კვალდაკვალ, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ფუნქციების რეალიზებისთვის გადასახადები დაიყოფა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ესენია: გადასახადის სუბიექტი, გადახდის ობიექტის შემოღების წესი, ამოღების წესი და დაბეგვრის მეთოდი. გადასახადის სუბიექტის მიხედვით გადასახადები იყოფა ფიზიკური პირის და იურიდიული პირის გადასახადებად.

გადასახადების დაყოფას საფუძვლად დაედო გადასახადების დაკისრების კრიტერიუმები. არაპირდაპირი გადასახადის ტვირთი აწევა მყიდველს, მომხმარებელს, ხოლო გადასახადის სუბიექტს წარმოადგენს მწარმოებელ-გამყიდველი, ვინაიდან ის იღებს არაპირდაპირ გადასახადს და მას გადაურიცხავს სახელმწიფოს. აღსანიშნავია გადასახადების კლასიფიკაცია დაბეგვრის მეთოდის მიხედვით, რა დროსაც გამოიყოფა:

- პროპორციული – ასეთ შემთხვევაში ყველა გადასახადის გადამხდელი იხდის გადასახადს თანაბარი განაკვეთით. საგადასახადო დასაბეგრი ბაზის ზრდის შემთხვევაში გადასახადის განაკვეთი რჩება უცვლელი, ხოლო გადასახადი იზრდება პროპორციულად. პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა ვალდებულია სახელმწიფოს გადაუხადოს თავისი შემოსავლებიდან თანაბარი წილი. მაგალითად, საშემოსავლო გადასახადი საქართველოში -20%.

- პროგრესული – ასეთ შემთხვევაში საგადასახადო ბაზის ზრდის პარალელურად იზრდება საგადასახადო განაკვეთი. აღნიშნული დაბეგვრის პრინციპი მდგომარეობს შეფარდებით პროპორციულ საგადასახადო ტვირთში, რათა შემცირდეს უთანასწორობა. ანუ, მაღალი შემოსავლის მქონე გადამხდელი უნდა დაიბეგროს შედარებით უფრო მეტად, ვიდრე დაბალი შემოსავლის მქონე გადამხდელი. მაგალითად, საქართველოში ფიზიკური პირების მიერ ქონების გადასახადის ვალდებულების განსაზღვრისას (გარდა მიწისა).

- რეგრესული – აღნიშნული მეთოდი წარმოადგენს პროგრესული მეთოდის საპირისპიროს, რა დროსაც საგადასახადო ბაზის ზრდასთან ერთად მცირდება გადასახადის განაკვეთი.

- ფიქსირებული – აღნიშნულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელთა საქმიანობის სახეების მიხედვით დგინდება ფიქსირებული თანხა.

დასკვნა

ამრიგად, სხვადასხვა ქვეყნებში გადასახადების წარმოებისა და განვითარების რეტროსპექტიული ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიკვეთოს სამი ძირითადი ეტაპი:

- პირველი ეტაპი მოიცავს უძველესი დროიდან შუა საუკუნეების დასაწყისამდე პერიოდს, როდესაც სახელმწიფოს ჩამოყალიბების კვალდაკვალ მიმდინარეობდა „საგადასახადო სისტემის“ ფორმირება, მაგრამ იგი ქაოსურ ხასიათს ატარებდა.

• მეორე ეტაპი მოიცავს პერიოდს მე-16 საუკუნის დასასრულიდან მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, როდესაც მთელ რიგ ქვეყნებში შეიქმნა საგადასახადო-საფინანსო დაწესებულებების ქსელი და სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო საგადასახადო ადმინისტრაციული და მეთოდური საკითხების გადაწყვეტა.

• გადასახადების განვითარების მესამე ეტაპზე სახელმწიფო საკუთარ ხელში იღებს გადასახადების დადგენისა და აკრეფის ყველა ფუნქციას, ადგენს საკანონმდებლო-სამართლებრივ ბაზას, განსაზღვრავს ქვეყნის ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას, ასევე უზრუნველყოფს მისი შესრულებისთვის აუცილებელი კონტროლის მექანიზმის შემუშავებასა და დანერგვას.

გადასახადების წარმოშობისა და განვითარების ანალიზიდან ირკვევა, რომ გადასახადები წარმოადგენს სახელმწიფო შემოსავლების გვიანდელ ფორმას, რომელიც ყალიბდებოდა სახელმწიფოს მოწყობის პარალელურად. მას შემდეგ, რაც გადასახადებმა თავი დაიმკვიდრა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სახელმწიფო შემოსავლების მთავარი წყარო გახდა, შეიქმნა თეორიები, რომლებიც ემსახურება გადასახადების ბუნების და მათი როლის განსაზღვრას სახელმწიფოში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მესხია ი., ნიკოლაიშვილი თ., გადასახადები და დაბეგვრა. თბ., „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, 2002.
2. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., საგადასახადო საქმე. თბ., „ვერუე“ 2002.
3. ცაავა გ. საჯარო ფინანსები. თბ., „დანი“. 2013.
4. ყამარაული ს., ჩიკოლაშვილი მ., ყამარაული ლ., გადასახადები და დაბეგვრა, თბ., „მერიდიანი“, 2010.
5. სვანაძე ს., გადასახადების ისტორია, ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2000.

Elguja Konjaria

THE MEANING OF PAYMENT, ITS ORIGIN AND DEVELOPMENT

Summary

It is important to create each country's financial marketing, which will succeed to provide country's income system. The most important is to improve healthy taxing policy, create healthy business system, eliminate marketing's economic disadvantages and solve social problems. Taxes are the main element in economic system, it describes the level and degree of interrelation of state and economy. It makes a great deal in reapportionment of economic system, which is directed to satisfy state's marketing. It is impossible to provide the state without taxeis. Hard, stable financial system is necessary for the state. It is impossible to describe taxes as to decide social-economical problems. It characterizes social-economic advantages and disadvantages, but straightened economic system can and want to be one of the main axes for transformation of social-economic system.

As national and foreign historical experiences show the tax system is deficient and maybe improved. Although imperfect, but stable tax system is better than its absence. In modern countries it is important to use tax mechanism to improve budget. It is necessary to state, that taxes have no alternative in modern life.

Tax problem is the most difficult and certainly it is impossible to decide it separately.

თვა ლაზარაშვილი

საინვესტიციო გარემო და მისი თავისებურებები საქართველოში

ანოტაცია. ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს ფორმირება, როგორც მიკრო, ისე მაკრო –ეკონომიკაზე, მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული პროცესების ზეგავლენის შედეგად ხორციელდება.

საქართველოში ინვესტიციური გარემოს ერთმნიშვნელოვნად შეფასება საკმაოდ რთულია. საინვესტიციო გარემოს შესაფასებლად აუცილებელია კომპლექსური ფაქტორების დამუშავება და ანალიზი. მათ შორის მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი მდგომარეობის, ფინანსური რესურსების, სოციალური სფეროს, პოლიტიკური გარემოს, მეურნეობის ზოგადი სტრუქტურის შესწავლა და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვისას საქართველოში გათვალისწინებული იყოს ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტის საკითხიც.

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, აღმოიფხვრას დისპროპორციები რეგიონული განვითარების კუთხით, რისთვისაც საჭიროა განვახორციელოთ ისეთი საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც ჩამორჩენილ რეგიონებში გაზრდის მოტივაციას ინვესტიციების

მოზიდვის კუთხით. ეს კი დაგვეხმარება, აღვადგინოთ და ეფექტიანად ავაშუშაოთ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური დარგები.

ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, შემცირდეს სხვაობა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და შიგა ინვესტიციებს შორის. აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის რეალურ სექტორში განხორციელდეს.

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საინვესტიციო პოლიტიკა, საქართველოს ეკონომიკა, ეკონომიკური ზრდა.

შესავალი

საქართველოში ინვესტიციური გარემოს შესაფასებლად აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი მდგომარეობის, ფინანსური რესურსების, სოციალური სფეროს, პოლიტიკური გარემოს, მეურნეობის ზოგადი სტრუქტურის შესწავლა და სხვა.

დღესდღეობით მსოფლიოში უცხოური დაბანდებების განხორციელების მრავალი ფორმა და მეთოდი გამოიყენება, თუმცა ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, რადგან საქართველოში უცხოური კაპიტალის შემოდინების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა სწორედ პირდაპირი რეალური ინვესტიციებია. ეკონომიკური რეფორმის მნიშვნელოვან პრობლემას საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და მათი რაციონალური გამოყენება წარმოადგენს. ამ პრობლემის გადაწყვეტაზე დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკის რეალური ზრდა და მისი ჩართულობის დონე მსოფლიო მეურნეობაში.

მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ უცხოელი ინვესტორების მოტივაციაზე, რომელიც ყველაზე მეტად გამოკვეთილია თანამედროვე ეტაპზე. ესაა, პირველ რიგში ინვესტირებად ქვეყანაში რესურსებზე არსებულ რეალურზე უფრო დაბალი ღირებულება. ახალი ბაზრების დაპყრობა და სხვა.

როდესაც საუბარია უცხოური ინვესტიციების გავლენაზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე, აქ გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები: პირველ რიგში, თუ რამდენადაა განვითარებული ქვეყნის ეკონომიკა, როგორია საბაზრო მექანიზმების განვითარების ხარისხი, რამდენადაა მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა და სხვა. იმისდა მიხედვით, თუ ეკონომიკის რომელ სექტორში ხდება ინვესტირება და ინვესტიციების რა ფორმები და მეთოდები გამოიყენება, ეკონომიკაზე სხვადასხვანაირად აისახება. ინვესტიციების გავლენა შეიძლება გამოვლინდეს: ეკონომიკის ზრდის ტემპში, ინვესტიციური აქტიურობის გამოცოცხლებაში, ტექნოლოგიური პროგრესის ზრდაში, ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაში, შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენებაში და სხვა.

ინვესტიციების დადებით ეფექტს წარმოადგენს ისიც, რომ იგი არა მარტო იმ დარგის განვითარებას იწვევს, სადაც იდება ინვესტიციები, არამედ მომიჯნავე დარგებისასაც.

ინვესტიციების მოზიდვისას ქვეყანაში შემდეგი ფაქტორებია გასათვალისწინებელი:

1. თუ რა სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებს ქვეყანა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში;
2. საინვესტიციო ბიზნესის ხელშეწყობა;
3. ეკონომიკური ფაქტორები.

ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად უნდა შეიქმნას ხელსაყრელი კლიმატი და მისი ეფექტიანად გამოყენებისათვის ჩამოყალიბდეს საჭირო მექანიზმები. როდესაც ქვეყანა განიცდის საკუთარი სასწრების დეფიციტს, შიდა ინვესტიციების განხორციელებისათვის ერთადერთი გზა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა რჩება. აგრეთვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ რა საინვესტიციო პოლიტიკას ახორციელებს ქვეყანა, რადგანაც სწორედ მასზე დამოკიდებული, თუ რა რაოდენობის ინვესტიციები შემოვა და როგორ მოხდება მათი ეფექტიანად გამოყენება. სწორედ ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკა განსაზღვრავს მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნას ქვეყანაში.

როდესაც საუბარია ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, პირველ რიგში მნიშვნელოვანია ეს ინვესტიციები მიიმართოს ეკონომიკის რეალურ სექტორში. მთლიანობაში, უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა დამოკიდებულია ქვეყანაში მოზიდული ინვესტიციების ხარისხსა და რაოდენობაზე. თანაც მნიშვნელოვანია, ინვესტიციებმა უზრუნველყოს ახალი ტექნიკა-ტექნოლოგიების დანერგვა ქვეყანაში, დაინერგოს ინოვაციები, ეროვნული ინტერესები მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული, აგრეთვე დაცული იყოს ეკოლოგიური უსაფრთხოება. ყოველივეს გათვალისწინებით ძალზე დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სწორი ინვესტიციური პოლიტიკის განსაზღვრას, რადგან საბაზრო მექანიზმები ყოველთვის ჩვენი ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებს. სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად მოხდეს ინვესტირებისადმი მხარდაჭერა იმ დარგებსა და რეგიონებში, რომელთა განვითარება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საწინდარია. მეცნიერულად დასაბუთებული ინვესტიციური პოლიტიკის გატარების გარეშე შეუძლებელი იქნება მათ ეფექტიანობაზე საუბარი.

ინვესტიციების მოზიდვისას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება უცხოელი ინვესტორებისათვის სამართლებრივი გარანტიების მიცემას, რომ მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციები კანონით იქნება დაცული. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშემწყობი გარემოს მთავარი მიზანია ისეთი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბება, რომელშიც კერძო სექტორი თავისუფალი იქნება გადაწყვეტილებების მიღებაში და მაქსიმალურად იქნება დაცული საკუთრების უფლება.

როგორც აღვნიშნეთ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად აუცილებელია, კერძო სექტორი იყოს თავისუფალი და მთავრობის საქმიანობა იყოს გამჭვირვალე და ეფექტური. ამისათვის მნიშვნელოვანია ისეთი ინსტიტუციური გარემო ჩამოყალიბდეს, სადაც საკუთრების უფლება იქნება მაქსიმალურად დაცული, კორუფციის დონე იქნება დაბალი და სხვა.

საქართველო უცხოური ინვესტიციებისათვის მიმზიდველი ქვეყანაა შემდეგი გარემოებების გამო: აქ მიმზიდველი ეკონომიკური გარემოა, მოქმედებს ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები, ლიბერალურია საგადასახადო კოდექსიც, აქტიურად ხდება სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, სტრატეგიული გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, აგრეთვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველო უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანაა.

როდესაც ესაუბრობთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე საქართველოში, მნიშვნელოვანია ყურადღება გადაამახვილოთ მსოფლიო ბანკის კვლევებზე, კერძოდ, მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ მსოფლიო განვითარების ანგარიშზე, სადაც განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის კონტექსტში საქართველოც მოხვდა. ანგარიშში ძირითადად ეხება დასაქმების, ციფრული ჩართულობის, ელ-მმართველობის, გადასახადების გადახდის ელექტრონული სისტემის და სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შეფასებას მსოფლიო ბანკის წევრ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში. კვლევაში განხილულ საკითხებს შორისაა განვითარებადი ქვეყნებში სამუშაოს კომპიუტერიზაციის მაჩვენებელი. კვლევის თანახმად, განვითარებადი ქვეყნებში გაცილებით მაღალია ისეთი პროფესიების რაოდენობა, რომელსაც შესაძლებელია კომპიუტერიზაცია შეეხოს, თუმცა ასეთ ქვეყნებში ეს პროცესი გაცილებით ნელა ხორციელდება, რადგან მცხოვრებ დასაქმებულთა მხოლოდ 1/3 იყენებს ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიებს.

კვლევის მიხედვით დღესდღეობთ საქართველოში სამუშაოს 40%-ია კომპიუტერიზებული, თუმცა 60%-ის კომპიუტერიზებაა შესაძლებელი. ამ მაჩვენებლით საქართველო მკვეთრად ჩამორჩება ლატვიასა და ლიტვას.

ციფრული ტექნოლოგიებისაგან მიღებული სარგებლის ფართოდ გავრცელება განპირობებულია ამ ტექნოლოგიების გამოყენებით დასაქმების სხვადასხვა სფეროში. ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას დადებითი გავლენა აქვს დასაქმებასა და დასაქმებულთა ხელფასზე, რომელიც ძირითადად სამი მიმართულებით ხორციელდება: სამუშაო ადგილების შექმნა, დასაქმებულის პროდუქტიულობის გაზრდა და მომხმარებლისათვის სარგებლის მოტანა.

როგორც კვლევა ცხადყოფს, გადასახადის დარეგისტრირებისა და გადახდის ელექტრონული სისტემის შემოღების შემდეგ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში საგადასახადო შეღვათების ალბათობა საშუალოდ 13%-ით შემცირდა, საქართველოში – შემოწმების ალბათობა 15%-ით.

მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების სფერო ყველაზე მაღალი რისკის მატარებელია და სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ელექტრონული შესყიდვების სისტემის დანერგვა. ეს სისტემა უზრუნველყოფს მეტ გამჭვირვალობასა და მნიშვნელოვნად შეამცირებს სახელმწიფო დანახარჯებს. ეს კი, თავის მხრივ, უკეთესი ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების წინაპირობაა.

საქართველოს მსგავსად, ბევრმა ქვეყანამ განახორციელა ინვესტიცია ციფრულ ტექნოლოგიებში, თუმცა ვერ შეძლო სათანადო გარემოს შექმნა ტექნოლოგიებზე დაფუძნებული განვითარების მისაღწევად.

მსოფლიო ბანკის 2016 წლის განვითარების ანგარიშში საქართველო განეკუთვნება დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყანას, რომელიც გარდამავალ ეტაპზე იმყოფება. მსოფლიო ბანკის ანგარიშში გასატარებელი პოლიტიკის კუთხით, სამი პრიორიტეტული მიმართულებაა წარმოდგენილი, რომლებშიც საჭიროა კომპლექსური რეფორმების განხორციელება.

- რეგულატორები - ბიზნესგარემო, სადაც კონკურენციის პირობებში კომპანიებს შეეძლება, ინტერნეტი და ინოვაციური ტექნოლოგიები მომხმარებლების სასარგებლოდ გამოიყენონ;

- უნარები - დასაქმებულები, მეწარმეები და საჯარო მოხელეები, რომლებსაც შეეძლება ისარგებლონ ციფრული ტექნოლოგიებით;

- ინსტიტუტები - ანგარიშვალდებული მთავრობა, რომელიც ეფექტიანად გამოიყენებს ინტერნეტს მოქალაქეთა ჩართულობის და საჯარო სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად.

მსოფლიო ბანკის კიდევ ერთი პროექტი „Doing Business“ უკვე რამდენიმე წელია იკვლევს მსოფლიო უმეტესობა ქვეყნებს ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შეფასების თვალსაზრისით. ამ კვლევის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით 190 ქვეყანას

შორის მე-16 ადგილზე იმყოფება. საქართველო წინა წელთან შედარებით რვა პოზიციით დაწინაურდა. ამ დაწინაურების მიზეზი 2015-2016 წლებში გატარებული რეფორმებია, რომელიც ეხება ქონების რეგისტრაციას, კერძოდ თბილისში მიწის ადმინისტრირება გაუმჯობესდა კერძო მფლობელობაში არსებული ნაკვეთების რუკაზე დატანით, რამაც საქართველოს პოზიცია მსოფლიოში ქონების რეგისტრაციის სიმარტივეთ გააუმჯობესა და მესამე ადგილი დაიკავა.


საქართველოში აგრეთვე გაძლიერდა მცირე ინვესტორების დაცვა მინორტარ აქციონერთა უფლებების და როლის გაზრდით კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღებაში, რის გამოც მეშვიდე ადგილი დაიკავა.

ელექტრონული დამუშავების სისტემის გაუმჯობესებამ ექსპორტისა და იმპორტის დოკუმენტების უფრო სწრაფად წარდგენის საშუალება მოგვცა, აგრეთვე დაინერგა წინასწარი ელექტრონული დოკუმენტების წარდგენის შესაძლებლობა. ყოველივე ამან საგარეო ვაჭრობის სიმარტივის მიმართულებით საქართველო 54-ე ადგილზე გაიყვანა. საგადასახადო სისტემის კუთხით საქართველო 22-ე პოზიციას იკავებს.

კვლევის მეთოდოლოგიის ცვლილების გამო საქართველომ 2016 წელს 9 პოზიციით უკან დაიხია და 24-ე ადგილი დაიკავა, თუმცა 2006 წელს მას 98-ე ადგილი ეკავა.

თუ დავეყრდნობით სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2016 წელს 1645 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 22%-ით აღემატება წინა წლის მონაცემებს.

2012-2016 წლების მონაცემები მოცემულია დიაგრამაზე.



დიაგრამა 1
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2012-2016 წწ.
(მლნ აშშ დოლარი)

მნიშვნელოვანია როგორ გამოიყურება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების ათეული (ცხრ. 1).

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2016 წლის მიხედვით
(მლნ აშშ დოლარი)

	2012	2013	2014	2015	2016*
სულ	912	942	1,758	1,564	1,645
მათ შორის:					
აზერბაიჯანი	59	82	341	550	578
თურქეთი	81	43	63	73	272
გაერთიანებული სამეფო	94	55	108	386	121
ნიდერლანდები	35	153	374	155	95
ჩეხეთი	8	44	52	17	93
ლუქსემბურგი	42	143	110	106	79
პანამა	10	26	71	10	78
აშშ	20	45	182	18	45
კვიპროსი	39	-106	-5	-29	38
დანარჩენი ქვეყნები	524	459	464	279	246

რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილებას ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2016 წლის მიხედვით, შემდეგი სურათი გვაქვს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით
2012-2016 წწ. (მლნ აშშ დარი)

	2012	2013	2014	2015	2016*
სულ	912	942	1758	1564	1645
მათ შორის:					
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	73	140	434	585	645
ენერჯეტიკა	179	245	190	124	203
მშენებლობა	42	50	317	111	163
საფინანსო სექტორი	163	166	115	179	136
დამამუშავებელი მრეწველობა	168	100	205	67	120
სასტუმროები და რესტორნები	18	-13	125	139	111
უძრავი ქონება	53	42	139	90	70
სამთომოპოვებითი მრეწველობა	5	44	43	88	38
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	18	1	-10	140	27
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	16	12	12	15	10
დანარჩენი სექტორები	178	156	188	28	122

*წინასწარი მონაცემები.

დასკვნა

სტატისტიკურ მონაცემს თუ დავეყრდნობით, ბოლო წლებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი:

- ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის სტაბილური საკანონმდებლო გარემო. ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები აფრთხობს ინვესტორებს;

- საკმაოდ გაჭიანურდა შრომის კოდექსის რეფორმირების პროცესი;

- ახალი რეგულაციები საფოსტო მომსახურებასა და შრომითი მიგრაციის სფეროში;

- საქართველოში აგრეთვე არ არსებობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მოიცავდა ეკონომიკის ყველა სფეროს.

საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს“ საქმიანობა უფრო მეტად გამჭვირვალე უნდა გახდეს, რაც მის საქმიანობას უფრო მეტად ეფექტურად წარმართავს.

საჭიროა ქვეყანაში ისეთი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარება, რომელიც გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს საქართველოში და უფრო მეტად გაზრდის ინვესტორების ნდობას.

აუცილებელია ქვეყანაში გატარდეს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. ბარათაშვილი, დ. მაგრაქველიძე. 2009. საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები. თბილისი.
2. ვლ. პაპავა, თ. თაფლაძე. 2013. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და პერსპექტივების შესახებ. ჟ. „ეკონომისტი“, 12.
3. <https://idfi.ge/ge/world-bank-development-report-2016-georgia>
4. www.nbg.gov.ge
5. www.mfa.gov.ge
6. www.geostat.ge

Tea Lazarashvili

INVESTMENT ENVIRONMENT AND ITS PECULIARITIES IN GEORGIA

Summary

Formation of the investment environment in the country, both in micro and macro -economy is carried out as a result of the impact of a number of interrelated processes.

It is quite difficult to strongly estimate the investment environment in Georgia. For the investment environment evaluation it is necessary to process and analyze complex factors. Among them it is important to study economic potential of the country, organizational and legal status, financial resources, social sphere, political environment, general structure of farming etc. It is important to consider the country's economic sovereignty issue when attracting foreign investments in Georgia.

It is important for sustainable economic development of the country to eradicate disproportions in regional aspect. This requires the realization of such an investment policy that will increase the incentives for attracting investment in the lagging regions. This will help us to restore and effectively enact economic sectors important for the country.

For effective investment policy it is necessary to reduce the difference between foreign direct investment and domestic investment. Equally important is the mobilization of the direct foreign investments to be implemented in the real sector of the country.

Based on statistical data a number of positive steps were done to attract foreign investments in recent years, but there are still many things to do:

- There is still no stable legislative environment in the country yet. Frequent legislative changes threaten investors;

- The process of reform of the Code of Labor reform is quite complicated;

- New regulations in postal services and labor migration;

- There is no unified state policy for foreign investments in Georgia, including all sectors of economy.

The activities of the National Investment Agency established in order to facilitate attracting investments in Georgia should be more transparent, which will be more efficient in carrying out its activities.

It is necessary to carry out such monetary and fiscal policy in the country, which will improve the investment environment in Georgia and will increase the trust of investors more.

It is necessary to take such measures that will promote science, technology and innovation in the country.

დალი მაგრაქველიძე

საკრედიტო სისტემაში წარმოქმნილი მაკროეკონომიკური რისკები და მისი შეფასების მოდელები

საბანკო რისკებსა და მაკროეკონომიკური ინდიკატორების დინამიკას შორის ურთიერთკავშირის ანალიზის არქონა არცთუ ისე დიდი ხნის წინ, საბანკო საქმიანობის ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ მიღებული საბანკო რისკების რეგულირების სტანდარტული მიდგომის პრობლემას წარმოადგენდა. ამ მიდგომის თანახმად, კაპიტალის საკმარისობის (რომელიც წარმოადგენს საბანკო რისკების რეგულირების კონცეფციის ბირთვს) გამოთვლისას აქტივების რისკის ხარისხი სტატიკურად მიიღება, რომელიც არ არის დამოკიდებული საბანკო საქმიანობის მაკროეკონომიკურ პირობებზე, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს რისკების აღრიცხვის ეფექტურობას.

ამ პრობლემის აქტუალობამ სტიმული მისცა ისეთი საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების ინტერესის ზრდას, როგორცაა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა, რომ დაწესებულიყო ე.წ. მაკროპრუდენციული ინდიკატო-

რების (*macroprudential indicators*) მოსაძებნი სამუშაოები, რომელებიც, გარკვეულად, საბანკო სისტემების რისკებთან და მდგრადობასთან დაკავშირებულ მანვენებლების კომპლექსს (საკუთრივ საბანკოს და მაკროეკონომიკურს) წარმოადგენენ.

მაკროპრუდენციული ანალიზის მექანიზმი მოიცავს სხვადასხვა ინდიკატორების აგებას და გამოყენებას, რომელებიც დაფუძნებულია ცენტრალური ბანკებიდან და ზედამხედველობის ორგანოებიდან მიღებული საბანკო სისტემის აგრეგირებულ მანვენებლებზე, ასევე იმ მაკროეკონომიკურ და ფინანსურ მანვენებლებზე, რომელებიც ახასიათებენ საბანკო სექტორის მდგრადობას. ეს ინდიკატორები საბანკო სისტემის შიგნით რისკების გაზრდის ტენდენციის, მის გარეთ რყევის პოტენციური წყაროების გამოვლენის საშუალებას იძლევა, ასევე „ინფექციის გადატანის“ არსების, რომელებითაც ერთი საკრედიტო ინსტიტუტის პრობლემებს შეუძლია სწრაფად გაგრძელდნენ სხვა ქვეყნის საბანკო დაწესებულებებზე. სისტემური ანალიზის გამოყენებული ტექნიკა ეყრდნობა რაოდენობრივ ინდიკატორებს და იმ ინფორმაციის ხარისხობრივ ინტერპრეტაციას, რომელიც მიიღება საბანკო ზედამხედველობის პროცესში. ძირითადი მაკროპრუდენციული ინდიკატორები მოყვანილია 1 ცხრილში.

მაკროპრუდენციული ინდიკატორების გამოკვლევის ამჟამად მიღებული შედეგების შეზღუდულობის გამო, საბანკო საქმიანობის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზისათვის აუცილებელია მივმართოთ ფინანსური კრიზისის წარმოშობის თანამედროვე მოდელებს.

ფინანსური კრიზისების მიზეზების შესწავლა აქტიურად მიმდინარეობს ბოლო წლების განმავლობაში, მაგრამ როგორც მიზეზების, ისე გამოვლენის მხრივ კრიზისების მრავალგვარობის გამო დღესდღეობით არ არსებობს მდგრადი, ყველასთვის მისაღები თვალსაზრისი მრავალი საკითხის ირგვლივ. არ არსებობს კონსენსუსი იმის მიმართაც კი, თუ როგორ განისაზღვროს ფინანსური კრიზისის ცნება. ამის გამო ერთი და იმავე ქვეყნის ერთი და იმავე დროის პერიოდში ფინანსური ბაზრების ქცევის მკვლევარი ეკონომისტები ითვლიან კრიზისული ეპიზოდების სხვადასხვა რიცხვს, ამასთან, შეფასებები 1,5-2-ჯერ შეიძლება განსხვავდებოდეს.

ძირითადი მაკროპრუდეციული ინდიკატორები :

აგრეგირებული მაკროპრუდეციული ინდიკატორები	მაკროეკონომიკური ინდიკატორები
<p>1. კაპიტალის საკმარისობა</p> <ul style="list-style-type: none"> კაპიტალის ერთობლივი საკმარისობის კოეფიციენტი კაპიტალის საკმარისობის განაწილების სიხშირე (კონცენტრაცია) ბანკების უგუფების მიხედვით <p>2. საკრედიტო ორგანიზაციების აქტივების ხარისხი</p> <ul style="list-style-type: none"> ეკონომიკის სექტორების მიხედვით გაცემული კრედიტების განაწილება უცხოურ ვალუტაში ნომინირებული კრედიტები ვადაგადახილებული დავალიანებები და რეზერვები სახელმწიფო სექტორის პრობლემური კრედიტები აქტივების რისკის დონე დაკავშირებული დაკრედიტება ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი <p>3. მსესხებლის მდგომარეობა</p> <ul style="list-style-type: none"> ფარდობა „ვალი/კაპიტალი“ საწარმოს მოშვებიანობა საწარმოს მდგომარეობის სხვა მახასიათებლები საოჯახო მეურნეობების დავალიანება <p>4. მართვის ხარისხი</p> <ul style="list-style-type: none"> ხარჯების მარკვენბელი წმინდა მოგება ერთ მუშაკზე ფინანსური ინსტიტუტების რიცხვის ზრდა <p>5. მოშვებიანობის მარკვენბელი</p> <ul style="list-style-type: none"> აქტივის რენტაბელობა სააქციო კაპიტალის რენტაბელობა შემოსავლებისა და ხარჯების მარკვენბელი მოშვებიანობის სტრუქტურული ინდიკატორები <p>6. ლიკვიდურობა</p> <ul style="list-style-type: none"> ცენტრალური ბანკის კრედიტები ფინანსურ ორგანიზაციებზე ბანკთა შორის საპროცენტო განაკვეთის სეგმენტაცია დეპოზიტების ფარდობა ფულად აგრეგატებთან „კოეფიციენტი/კრედიტები/დეპოზიტები“ აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა ვადის მიხედვით (აქტივის ლიკვიდობის კოეფიციენტი) შეორადი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ლიკვიდობის მარკვენბელი <p>7. საბაზრო რისკისადმი მგრძობელობა</p> <ul style="list-style-type: none"> გაცვლითი კურსების ცვლილების რისკი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი აქტივის კურსის ცვლილების რისკი ნედლმასალებზე ფასების ცვლილების რისკი <p>8. ბაზრის ძირითადი მახასიათებლები</p> <ul style="list-style-type: none"> ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულება, აქციების ჩათვლით ჭარბი შემოსავლიანობის მარკვენბელი საკრედიტო რეიტინგი სახელმწიფო ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლების წაკლებობა 	<p>1. ეკონომიკური ზრდა</p> <ul style="list-style-type: none"> ზრდის მთლიანი ტემპი სხვადასხვა სექტორებში ზრდის ტემპის ვარდნა <p>2. საგადასხდელო ბალანსი</p> <ul style="list-style-type: none"> მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი სავალუტო რეზერვების საკმარისობა საგარეო ვალი (ვალიანობის სტრუქტურის გათვალისწინებით) ვაჭრობის პირობები კაპიტალის წაკადები (შემაფენლობისა და ვადის მიხედვით) <p>3. ინფლაცია</p> <ul style="list-style-type: none"> ინფლაციის გაქანება (ვოლატილობა) <p>4. საპროცენტო განაკვეთები და სავალუტო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> საპროცენტო განაკვეთისა და ეროვნული ვალუტის კურსის ვოლატილობა შიდა ბაზარზე რეალური საპროცენტო განაკვეთის დონე გაცვლითი კურსის მდგრადობა გარანტირებული სავალუტო კურსი <p>5. დაკრედიტების მოცულობისა და აქტივიც ღირებულების ზრდა</p> <ul style="list-style-type: none"> დაკრედიტების მოცულობის ზრდა აქტივის ღირებულების ზრდა <p>6. „დაინფიცირების“ უფექტი</p> <ul style="list-style-type: none"> კრიზისი გავრცელების საგარეო ვაჭრობის არხები ფინანსური ბაზრების დინამიკაში კორელაცია <p>7. სხვა ფაქტორები</p> <ul style="list-style-type: none"> მიმართული (სახელმწიფოს მიერ) კრედიტები და ინვესტიციები საბანკო სისტემის რესურსების გამოყენება სახელმწიფოს მიერ ერთობლივი დავალიანება ეკონომიკაში

სავალუტო და საბანკო კრიზისების განსაზღვრება ჩამოაყალიბეს შესაბამისად ფრანკელმა და როუზმა, და დემირგიუკ-კუნტმა და დეტრაგინმა.

ფრანკელმა და როუზმა შემოგვთავაზეს, **სავალუტო კრიზისის** ქვეშ გვესმოდეს ეროვნული ვალუტის 25%-იანი ნომინალური გაუფასურება, რომელსაც თან ახლავს ბოლო 5 წლის დონესთან შედარებით ვალუტის კურსის გაუფასურების ტემპის საშუალოდ 10%-იანი ზრდა.

დემირგიუკ-კუნტის და დეტრაგინის კვლევის თანახმად, სიტუაცია საბანკო სისტემაში შეიძლება შეფასდეს როგორც **კრიზისული**, თუ სრულდება ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთი მაინც: 1. საერთო აქტივების მოცულობაში არამომუშავე აქტივების წილი აჭარბებს 10%-ს; 2. საბანკო სისტემის აღდგენაზე დანახარჯები აჭარბებს მთლიანი შიგა პროდუქტის 2%-ს; 3. საბანკო სექტორის პრობლემებს მიეყავართ საბანკო სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილის (10%-ზე მეტი)

ნაციონალიზაციამდე; 4. ხდება დეპოზიტების მასობრივი ამოღება ან მათ გადახდაზე შეზღუდვის დაწესება, ცხადდება „საბანკო არდადეგები“.

საბანკო და სავალუტო კრიზისების ერთობლივი განხილვა განპირობებულია ორი მიზეზით: 1) კვლევისთვის გამოიყენება მსგავსი მეთოდები, ხოლო ერთი და იმავე ანალიზის სისტემის გამოყენება საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს როგორც საბანკო სისტემის კრიზისის წარმოქმნის საფრთხე, ისე ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვანი დეველვაციის რისკი; 2) როგორც შემდგომ იქნება ნაჩვენები, საბანკო და სავალუტო კრიზისები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ეროვნული ვალუტის დეველვაცია მნიშვნელოვნად ზრდის საბანკო კრიზისის წარმოშობის რისკს და, პირიქით.

ფინანსურ ბაზარზე კრიზისული სიტუაციის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლის შემსრულებელი ფაქტორების (ე.წ. კრიზისის „წინმსწრები“ ინდიკატორების) ძებნა ეკონომიკური კვლევის მეთოდების გამოყენებით აქტიურად დაიწყო 90-იან წლებში. თეორიული მუშაობის მიმართ ემპირიულ გამოკვლევებში შეფერხებების წარმოქმნა შეიძლება აიხსნას ორი მიზეზით. პირველი, მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების საშუალებით კრიზისის მიზეზების ანალიზი მოითხოვს რიგი ხანგრძლივი დაკვირვებების არსებობას. მეორე, წინასწარ აუცილებელი იყო გამოკვლევების შესაბამისი მეთოდის შემუშავება [Ciby Joseph, 2013:381].

შემუშავებული იყო ფინანსური კრიზისების ფაქტორების განსაზღვრის სამი სხვადასხვა მიდგომა. პირველი მიდგომარეობს სტანდარტული რეგრესიული ანალიზის მეშვეობით ფინანსური კრიზისის წარმოქმნაში სხვადასხვა ფაქტორების წვლილის გამოვლენაში.

სტანდარტული რეგრესია გამოიყენება სავალუტო კრიზისის მიზეზების გამოსავლენად. ასეთი მიდგომა საშუალებას არ იძლევა განისაზღვროს კრიზისის დაწყების დრო, მაგრამ მისი საშუალებით შეიძლება დადგინდეს რომელმა ქვეყნებმა შეიძლება განიცადონ ეროვნულ ვალუტაზე სპეკულაციური შეტევა სიტუაციის ნეგატიური ცვლილებებისას ფინანსურ და სასაქონლო ბაზრებზე.

პირველად მოცემული მეთოდი გამოყენებული იყო საქსის, ტორნეის და ველაკოს მიერ 1994-1995 წლებში მექსიკური სავალუტო კრიზისის მიზეზების კვლევისას (შემდგომში – *STV* მოდელი). *STV* მოდელი ვარაუდობს, რომ ფაქტორებს გააჩნია სავალუტო კრიზისის წინასწარმეტყველების ძალა, თუ β_i პარამეტრის თითოეული ინდივიდუალური მნიშვნელობა და მათი ჯამი სტატისტიკურად განსხვავდება ნულისაგან შემდეგ განტოლებაში:

$$\ln d = \alpha_0 + \sum_{i=1}^n \beta_i F_i, \quad (1)$$

სადაც $\ln d$ კრიზისის ინდექსის მნიშვნელობაა⁵⁸, F_i - განმმარტებელი ცვლადების მნიშვნელობა (ფაქტორის კონკრეტული მნიშვნელობა ან „ფიქტიური“ (ბინარული) ცვლადი, რომელიც იღებს მნიშვნელობებს 0-ს ან 1-ს იმაზე დამოკიდებულებით, აჭარბებს თუ არა ფაქტორის მნიშვნელობა დადგენილ კრიტიკულ დონეს).

STV მოდელში ნაჩვენები იყო, რომ ქვეყნის მიდრეკილება სავალუტო კრიზისისაკენ იმ პერიოდში იყო უფრო მეტი, რომელშიც უფრო დაბალი იყო ოქროსავალუტო რეზერვით ფულის მასის (M_2) დაფარვის დონე, რაც უფრო მეტად იყო გადაფასებული ეროვნული ვალუტა ტრენდის დონის მიმართ რეალურ გამოსახვასთან და წინა წლებში რაც უფრო მაღალი იყო კერძო სექტორის კომერციული დავალიანებების ზრდის ტემპი ბანკების წინაშე.

გარდა ამისა, საკსმა და სხვებმა აჩვენეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს გააჩნია დაბალი რეზერვები და გადაფასებული ვალუტა, კრიზისის წარმოშობის ალბათობა და მისი ფარდობითი ძალა იმდენად მეტი იქნება, რაც უფრო მაღალია მოკლევადიანი სახსრების წილი მოზიდული კაპიტალის სტრუქტურაში და მაღალი სახელმწიფო ხარჯი მთლიან შიგა პროდუქტში.

ანალოგიური შედეგები იქნა მიღებული ტორნელის მიერ აზიური კრიზისის გამოკვლევისას 1997 წელს. მან აჩვენა, რომ *STV* მოდელში გამოყოფილ სამ ფაქტორს (ფარდობა M_2 /ოქროსავალუტო რეზერვები, ტრენდის დონეს გადაჭაბებული რეალური გაცვლითი კურსი და საბანკო კრედიტების ზრდის ტემპი) შეუძლია ახსნას კეინზისის ინდექსების 44%-იანი რხევა იმ ქვეყნებში, რომლებიც დაზარალდნენ 1997-1998 წლებში აზიური კრიზისით. კრიზისის ინდექსის ფაქტობრივ მნიშვნელობებსა და სტატისტიკური რეგრესიით გამოთვლილს შორის კორელაცია არ განსხვავდებოდა 1-ისგან.

⁵⁸ კრიზისის ინდექსი კრიზისის პერიოდში ოქრო-ვალუტის რეზერვების ცვლილების და ტრენდული მნიშვნელობიდან ვალუტის კურსის ფაქტობრივი გადახრის შეწონილი ჯამის ტოლია, როცა წონები ისეთია, რომ უზრუნველყოფილია ინდექსის კომპონენტების პირობითი დისპერსიების ტოლობა.

ორი სხვა მოდელი, რომელზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ, ერთნაირადაა გამოსადეგი როგორც საბანკო, ისე სავალუტო კრიზისების მიზეზების გამოსავლენად.

1970 წლიდან 1995 წლამდე პერიოდში 20 განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში მომხდარი სავალუტო კრიზისის მაგალითზე კამინსკიმ და სხვებმა აჩვენეს, რომ სავალუტო კრიზისის ადრეული ინდიკატორის სახით შეიძლება განხილული იყოს შემდეგი ფაქტორები: მშპ-ს მიმართ მაღალი შიგა კრედიტის მოცულობა; ფულის მიწოდების სწრაფი ზრდა; ბანკიდან მენაბრეების სახსრების გადინება; საექსპორტო შემოსავლების დაწვევა; რეალურ გამოსახვაში ეროვნული ვალუტის გადაფასება; კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები; მნიშვნელოვანი საგარეო ვალი; დაბალი ოქროსავალუტო რეზერვი; მოკლევადიანი ვალდებულებების რეზერვებით სუსტი დაფარვა; ეკონომიკის ზრდის დაბალი ტემპები; საფონდო ბაზარზე ნეგატიური რხევები.

გარდა ამისა, ერთ ქვეყანაში სავალუტო კრიზისი ზემოთ სწევს მისი სხვა ქვეყნებში წარმოშობის ალბათობას, უპირველესად ისეთებში, რომლებიც იმავე რეგიონშია და/ან აქტიურადაა მასთან სავაჭრო არხებით დაკავშირებული („დასნებოვნების“ ეფექტი).

კრიზისის ფორმირების მექანიზმის ანალიზისათვის ყველაზე ხშირად გამოიყენება ალბათური მიდგომა. ამ მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის, პირველ რიგში, კრიზისის წარმოშობაში თითოეული ფაქტორის წვლილის შეფასების საშუალებას იძლევა, მეორე კრიზისის არსებობის შესახებ მონაცემთა განხილვისას თითოეულ ქვეყანაში დროის სხვადასხვა პერიოდებში გამოსაკვლევი ფაქტორების, როგორც დამოუკიდებელი ხდომილობების, როდენობაზე შეზღუდვას ხსნის. ალბათური ანალიზისათვის ჩვეულებრივ გამოიყენება წლიური სტატისტიკური მონაცემები [მაგრაქველიძე დ., 2015:546].

ამ მეთოდის თანახმად, იმის ალბათობა, რომ კრიზისი მოხდება განსაზღვრულ დროს ცალკე აღებულ ქვეყანაში, წარმოადგენს $X(i, t)$ განმმარტებელი ცვლადების n ვექტორის ფუნქციას. განმმარტებელი ცვლადი $P(i, t)$ იღებს 1-ის ტოლ მნიშვნელობას იმ შემთხვევაში, თუ სავალუტო კრიზისი წარმოიშვა i ქვეყანაში დროის t მომენტში, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში 0-ის ტოლია. კრიზისული სიტუაციის ფორმირებაში ეგზოგენური ცვლადების წვლილის განსაზღვრისათვის იყენებენ მაქსიმალური დასაჯერებლობის მეთოდს. ამ შემთხვევაში გამოსაკვლევი ფუნქციას ექნება შემდეგი სახე:

$$\ln L = \sum_{i=1}^T \sum_{i=1}^n P(i, t) \ln\{\beta X(i, t)\} + [1 - P(i, t)] \ln\{1 - F[\beta X(i, t)]\}, \quad (2)$$

სადაც T დაკვირვებების პერიოდების როდენობა,

F - ალბათური განაწილების კუმულატიური ფუნქციაა,

β - განმმარტებელი ცვლადების დროს შესაფასებელი კოეფიციენტების ვექტორი.

უნდა აღინიშნოს, რომ ეგზოგენური ცვლადებისას კოეფიციენტები გვიჩვენებს განმმარტებელი ცვლადების მნიშვნელობათა ერთი ერთეულით ცვლილების ზემოქმედებას კრიზისის წარმოშობის ალბათობაზე.

1957 წლიდან 1991 წლამდე ლათინოამერიკულ ქვეყნებში ეროვნული ვალუტის დეველვაციის 80 შემთხვევის მიხედვით მონაცემების გამოყენებით კლეინმა და მარიონმა აჩვენეს, რომ დადგენილი კორიდორის საზღვრებს გარეთ ვალუტის კურსის გასვლის ალბათობა დადებითად დამოკიდებულია ეროვნული ვალუტის რეალური კურსის გადაფასების ხარისხზე და უარყოფითად – ოქროსავალუტო რეზერვის სიდიდეზე. სტრუქტურული ფაქტორები, როგორცაა ეკონომიკის გახსნილობა (მშპ-ში გარევაჭრობის ბრუნვის წილი), პოლიტიკური სტაბილურობა, ექსპორტის დივერსიფიცირებულობა, ასევე ახდენს გავლენას კრიზისის წარმოშობის ალბათობაზე და ვალუტის დეველვაციის ხარისხზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ალბათური მოდელით ანალიზი ასევე აჩვენებს სავალუტო და საბანკო კრიზისების ფორმირების მექანიზმების მნიშვნელოვან მსგავსებას.

დემირგიუკ-კუნტის და დეტრაგიჩის ნაშრომები საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში პირველად მოხდა კრიზისის წარმოშობის ალბათობაზე ბანკების ფინანსებისა და ინსტიტუციური ფაქტორების გავლენის გაანალიზება. ავტორების მიერ ნაჩვენები იყო, რომ საბანკო კრიზისის წარმოშობის ალბათობა მით უფრო მაღალი იქნება, რაც უფრო ნაკლებია კაპიტალის და ბანკის აქტივების თანაფარდობა, რაც უფრო სუსტია საბანკო საქმიანობის რეგულირების და ზედამხედველობის საკანონმდებლო სისტემა. გარდა ამისა, დემირგიუკ-კუნტის და დეტრაგიჩის აზრით, ფიზიკური პირების დაბანდებებზე გარანტირების (დაზღვევის) სისტემის შემოტანა კი არ ამცირებს, პირიქით, ზრდის საბანკო კრიზისის წარმოშობის ალბათობას. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ დაბანდებების გარანტირების სისტემა, რომელიც დაბლა სწევს პანიკიუს ალბათობას,

ბანკებს აძლევს მომეტებული რისკების აღების სტიმულს (დეპოზიტების დაზღვევასთან დაკავშირებული „მორალური“ რისკი).

კრიზისები შეიძლება დაიყოს არა მხოლოდ წარმოშობის დროის თავლსაზრისით, არამედ რეგიონული ნიშნითაც. ფინანსური კრიზისების რეგიონული ხასიათი დასტურდება ემპირიული გამოკვლევებითაც. ტაიპა, გლიკმა და როუზმა ემპირიულად დაამტკიცეს „დასნებოვნების“ ეფექტის რეგიონული ხასიათი სავალუტო კრიზისის შემთხვევაში და ახსნეს მისი სასაქონლო კონტაქტების მაღალი რეგიონიზაცია. მეორე მხრივ, პარდმა და ფასარბასიოლდომ აჩვენეს რეგიონული „ფიქტიური“ ცვლადების მნიშვნელობა იმ განტოლებებში, რომელიც მაკროეკონომიკური ცვლადების დინამიკას და საბანკო კრიზისების წარმოშობის ალბათობებს ერთმანეთთან აკავშირებს. კერძოდ, მათ დაადგინეს, რომ ერთდროულად განხორციელებული საბანკო კრიზისის ფაქტორები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის და ნედლეულის ექსპორტის მიმართულების მქონე ქვეყნების ეკონომიკაში მნიშვნელოვნად განსხვავდებიან.

მიზანშეწონილია საბანკო კრიზისების უფრო წვრილი დაყოფა – ქვეყნების მიხედვით. თუმცა თანამედროვე მათემატიკური სტატისტიკური მეთოდებით შეუძლებელია გამოვეყნოთ კრიზისის საქვეყნო ფაქტორები, მარტივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფაქტორების ჩამონათვალი, რომელიც განაპირობებს კრიზისს, როგორცაა გეოგრაფიული მდებარეობა ისე ქვეყნების ეკონომიკური განვითარება, განსხვავებული იქნება. პირველ რიგში, ქვეყნებს შეუძლიათ საქონლისა და მომსახურების სხვადასხვა ნაკრების ექსპორტირება (იმპორტირება) და შესაბამისად განიცადონ სხვადასხვა საეჭრო „შოკი“. მეორე, როგორც ნაჩვენებია, ქვეყნის ფინანსური მდგრადობა ძლიერ არის დამოკიდებული პოლიტიკური სისტემის მდგრადობაზე და განსაკუთრების იმ საკანონმდებლო ბაზაზე, რომელიც არეგულირებს ეკონომიკურ საქმიანობას. მაგალითად, ინდონეზიაში ფინანსური კრიზისის სიმძიმე 1997 წელს მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციით და ქვეყანაში გამოკვლეული გაკოტრების მექანიზმის არქონით.

აქედან გამომდინარე, თითოეული ქვეყნისთვის უნდა აირჩეს საკუთარი სპეციფიკური ნაკრები, რომელიც ექვემდებარება ფინანსური, მაკროეკონომიკური და ინსტიტუციური ცვლადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელთა ქცევაზეა დამოკიდებული საბანკო სექტორის მდგრადობა და სავალუტო კურსის მდგრადობა.

კრიზისის რეგიონული და საქვეყნო სპეციფიკური ფაქტორების გარდა, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ისინი ფინანსური ბაზრის სიტუაციაზე ზემოქმედებენ სხვადასხვა დროითი ლაგებით. ერთი ფაქტორი შეიძლება მივაკუთვნოთ მიმდინარეს, მეორე – კრიზისის ადრეულ ინდიკატორებს, ამასთან, ზოგიერთი ფაქტორისათვის (მაგალითად, ინფლაცია ან კაპიტალის მოძრაობა) შეიძლება დამახასიათებელი იყოს ქცევის სპეციფიკური თავისებურებანი. სხვა სიტყვებით, რომელიც ფაქტორი იძლევა სიგნალს კრიზისის დადგომის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მისი ზრდა იცვლება დაწვეით ან პირიქით.

ანალიზის დროს მოცემული თავისებურებების გათვალისწინება ორი ხერხით შეიძლება. პირველი, კრიზისის ინდექსის (კრიზისის წარმოშობის ალბათობის მანველებელი) გამოთვლისას შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც მიმდინარე, ისე ლაგირებული მანველებლები, ხოლო ინდიკატორებს მივანიჭოთ სხვადასხვა წონები. მეორე, რაოდენობრივი ანალიზი (კრიზისის ინდექსის გამოთვლა) შეიძლება შეივსოს ხარისხობრივი ანალიზით, რომლის მსვლელობისას შეიძლება გამოვავლინოთ წინასაკრიზისო პერიოდებისათვის დამახასიათებელი სავალუტო და საბანკო კრიზისების ინდიკატორების დინამიკის თავისებურებანი.

ხარისხობრივი ანალიზი შეიძლება სასარგებლო იყოს სხვა მიზეზებითაც, კერძოდ: 1. ინდიკატორის სიდიდის ერთი და იგივე გადახრა შეიძლება განპირობებული იყოს როგორც ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების ფუნდამენტური მახასიათებლებით ან ქვეყნის ეკონომიკის ცვლილებით, ისე შემთხვევითი სტატისტიკური გაბნევითაც; 2. „მშვიდ“ მდგრადობაში ინდიკატორის მნიშვნელობის კიდურა მნიშვნელობიდან ფაქტობრივი გადახრის ზრდა ფინანსური ბაზრის მდგრადობისათვის წარმოადგენს იმაზე დიდ საშიშროებას, ვიდრე ანალოგიური ცვლილება კრიზისის შემდგომ პერიოდში.

დასასრულ, სავალუტო და საბანკო კრიზისების წარმოშობის საფრთხის ადრეული იდენტიფიკაციის ეფექტური სისტემის შექმნას გააჩნია კომერციული ფასეულობა. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ წინასაკრიზისო სიტუაციის იდენტიფიკაციამ ბანკს საშუალება უნდა მისცეს, დროულად მოახდინოს თავისი აქტივების და ვალდებულებების გადაწყობა იმგვარად, რომ შეძლოს ფინანსური დანაკარგების მინიმიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაგრაქველიძე დ., 2015, ფინანსური რისკები და მათი დაწვევის მათემატიკური მეთოდები, თბილისი. გვ. 546.
2. Ciby Joseph, 2013, Advanced Credit Risk Analysis and Management, John Wiley & Sons, Ltd, pg. 381.

MACROECONOMIC RISKS OF CREDIT SYSTEMS AND ITS ESTIMATION MODELS

Summary

The mechanism of macroprudential analyzes involves the development and use of various indications, which are based on aggregated indicators received from central banks or supervisory bodies, as well as on macroeconomic and financial indicators, which characterize sustainability of banking castor.

It is necessary to apply modern models of the financial crisis for the analysis of macroeconomic risks in banking activities due to the limitations of the currently obtained results of macroprudential indicators.

The definition of currency and banking crises was founded by Franklin and Roose, and Demiriguk-Kunt and Demagich. Franklin and Roose proposed to understand 25% nominal devaluation of national currency as the crisis of currency that had been accompanied by a 10% increase in the rate of impairment rate during past five years.

According to the research done by Demiriguk-Kunt and Demagich, the situation in the banking system can be assessed as a crisis, if one of the following conditions is fulfilled: 1. The share of non-working assets in the total volume of assets exceeds 10%; 2. Cost on banking system recovery exceeds 2% of the gross domestic product (GDP); 3. Problems in banking sector lead to nationalization of main part of banking sector (more then 10%); 4. There is a mass withdrawal of deposits or a restriction on their payments("bank holidays").

მერაბ მიქელაშვილი

ძონების საგადასახადო დაბეგვრის ზოგიერთი თეორიული და პრაქტიკული ასპექტის შესახებ

ანოტაცია. ქონების გადასახადი მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, თავისი არსით წარმოადგენს გადასახადს შენობაზე, ნაგებობასა და მიწაზე. ის არის რეგულარული გადასახადი და ის გადაიხდება ხდება წელიწადში ერთხელ განურჩევლად იმისა, ქონების ექსპლუატაცია ხდება თუ არა. თავისი შინაარსით, ქონების გადასახადი ადგილობრივი გადასახადია, რომელიც ხელს უწყობს ქონების რაციონალურ გამოყენებას და რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: გადასახადი ქონების გადაცემაზე, საგადასახადო ბაზის განსაზღვრის მეთოდი, ქონების გადასახადის გადამხდელები, ადგილობრივი ბიუჯეტი, საგადასადო პოლიტიკა ადგილობრივ გადასახადებთან მიმართებაში

შესავალი

გადასახადები ქონებაზე წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ სავალდებულო გადასახადს. ეს განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ადრეულ ეპოქაში უძრავი ქონება მიწისა და მასზე განლაგებული შენობის სახით იყო ერთადერთი ობიექტი, რომელზეც სახელმწიფოს შეეძლო ზემოქმედება. მსოფლიოში დღევანდელი ფორმით არსებულ ქონების გადასახადს საფუძვლად დაედო გადასახადი ქონების გადაცემაზე და მემკვიდრეობაზე. თავისი შინაარსით ქონების გადასახადი იქცა გადასახადად მიწაზე, მშენებლობაზე, შენობასა და ნაგებობაზე. ის წარმოადგენს რეგულარულ გადასახადს და ის გადაიხდება წელიწადში ერთხელ, მიუხედავად იმისა ქონების ექსპლუატაცია ხდება თუ არა. თავისი ბუნებით ის ადგილობრივი გადასახადია და მნიშვნელოვანი ფისკალური დატვირთვის მატარებელია ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის. ქონების საგადასახადო დაბეგვრის რეგულირების ინსტრუმენტების საზღვარგარეთული გამოცდილება იმ დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ საქართველოში უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან ქონების საგადასახადო დაბეგვრის უფრო ეფექტური სისტემის მშენებლობის მიმართულებით.

* * *

ქონების საგადასახადო დაბეგვრა ზოგადად საგადასახადო დაბეგვრის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, რადგან სწორედ ამ გადასახადში ჩანს თვალნათლივ გადასახადის ფისკალური, სოციალური და მარეგულირებელი ფუნქციების მნიშვნელობა. ყველა ზემოჩამოთვლილი ფუნქციის რეალიზაცია კი შესაძლებელია ამ გადასახადის შემოღების დროს გონიერი და ეკონომიკურად დასაბუთებული მიდგომებით, გადასახადის შემოღების მოსალოდნელი სოციალური და ეკონომიკური შედეგების გათვალისწინების საფუძველზე.

ქონების გადასახადი (wealth tax), ბრაიან ბატლერის დიდი ფინანსური ლექსიკონის მიხედვით, განსაზღვრულია, როგორც ზოგიერთ ქვეყანაში დაგროვილ ქონებაზე წელიწადში ერთხელ გადასახდელი გადასახადი [1], ამასთან, ოქსფორდის ფინანსების ლექსიკონის მიხედვით, ქონების გადასახადი (property tax) არის პირდაპირი გადასახადი, რომლის დაბეგვრის ობიექტია იურიდიული და ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების ღირებულება [2].

ისტორიულად, ქონების გადასახადი პირველად ფიქსირდება მემკვიდრეობაზე და ჩუქებაზე მოსაკრებლის სახით. ქონების გადაცემის რეალური საფუძველი გახდა კერძო საკუთრების განვითარება, რომელმაც ობიექტურად გააჩინა სამოქალაქო-სამართლებრივი აქტების საფუძველზე მისი ყიდვა-გაყიდვა, ჩუქებისა და მემკვიდრეობით გადაცემის აუცილებლობა. სწორედ საკუთრება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, გვევლინება საგადასახადო დაბეგვრის ისტორიულ წინაპირობად და მის საფუძველად.

მემკვიდრეობასა და ჩუქებაზე მოსაკრებლები პირველად გვხვდება ძველ ეგვიპტეში და ძველ რომში, ხოლო თვითონ ამ პროცესის მწყობრი სისტემის არსებობა ადრეული განვითარებული ცივილიზაციის არსებობის ნიშანს წარმოადგენს. ქონების გადასახადის პირველადი სახე – გადასახადი ქონების მემკვიდრეობასა და ჩუქებაზე (**vicesima hereditatum**) შემოღებული იქნა რომის იმპერიაში [3, გვ. 211] ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში, ზოგიერთი წყაროს ცნობით, ოქტავიან ავგუსტუსის მიერ და შეადგენდა გადაცემული ქონების ღირებულების 5%-ს. აღნიშნული გზით ხაზინაში შესული თანხა რომის ლეგიონერების ვეტერანებისთვის იყოს განკუთვნილი. რომაელებმა ამ გადასახადის დაწესების იდეა ეგვიპტელებისაგან გადმოიღეს, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში ჰქონდათ ქონების გადაცემის საგადასახადო დაბეგვრის პრაქტიკა. ჩვ. წ. 13 წელს, რომის მოქალაქეების მხრიდან დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მემკვიდრეობის გადასახადი საბოლოოდ შევიდა და დამკვიდრდა რომის სახელმწიფოს საგადასახადო სისტემაში. ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში რომის იმპერიაში არ არსებობდა სხვა გადასახადი, რომელსაც ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში ქონების გადაცემის გადასახადზე უფრო მეტი შემოსავლების მოტანა შეეძლო. ამ გადასახადმა არსებობა შეწყვიტა იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს, რომელმაც პირველად შემოიღო მიწის გადასახადი და 297 წლიდან საიმპერატორო საგადასახადო სისტემა უფრო სტანდარტიზებული გახდა.

ქონების საგადასახადო დაბეგვრის საინტერესო ისტორიული მაგალითები ფიქსირდება ძველ საბერძნეთში, სადაც ჯერ კიდევ პირველ ათასწლეულში, ცალკეული ქალაქების მიხედვით ადგენდნენ მიწათმფლობელების კადასტრებს და ატარებდნენ მოქალაქეთა ქონების აღწერას. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში საგადასახადო დაბეგვრის უმთავრესი ფორმა იყო ქონების საგადასახადო დაბეგვრა. ყველაზე უფრო ძველი და გავრცელებული იყო შენობების გადასახადი, მაგალითად, ბრიტანეთში შუა საუკუნეებში ახდევინებდნენ ქონების გადასახადს 2 მილინგის ოდენობით თითოეული საბუხრე მილის მიხედვით, შემდეგ ცნობილი „ლონდონური ხანძრების“ გამო, ამ გადასახადს ახდევინებდნენ სახლების ფანჯრების რაოდენობის მიხედვით.

გადასახადი „**vicesima hereditatum**“ ევროპის სახელმწიფოებში ქონების გადაცემის გადასახადის საგადასახადო კანონმდებლობის პირველწყარო გახდა. როცა პოლონელებმა XVII საუკუნეში შემოიღეს გადასახადი ქონების მემკვიდრეობასა და ჩუქებაზე, მათ პირდაპირ საზგასმით აღნიშნეს, რომ მაგალითს იღებდნენ ოქტავიან ავგუსტუსისაგან. შემოღებული გადასახადი იბეგრებოდა 5-30%-იანი განაკვეთით, ნათესაური კავშირის ხარისხის მიხედვით. მოგვიანებით, ეს გადასახადი ინგლისელებმა დანერგეს ბრიტანეთის საგადასახადო სისტემაში. თავდაპირველად ის ითვალისწინებდა გადაცემული ქონების ღირებულების 1/3-ის გადახდას გადასახადის სახით. გერმანიაში XVII საუკუნიდან არსებობდა ქონების გადაცემის გადასახადი, რომელიც განისაზღვრებოდა გადაცემული ქონების ღირებულების 10%-ის ოდენობით. XIX საუკუნის ბოლოდან აღნიშნულმა გადასახადმა საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი დასავლეთ ევროპის საგადასახადო კანონმდებლობაში. მისი გადახდისგან თავისუფლდებოდნენ აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავები. აღნიშნულმა გადასახადმა განვითარება პოვა სწორედ XIX საუკუნეში და უკავშირდება წარმოებისა და ეკონომიკის განვითარებას, აგრეთვე საგადასახადო თეორიების მეცნიერულ დამუშავებასა და გააზრებას. დაგროვების პროცესების გაძლიერება გამოიხატა საკუთრებაში არსებული ქონების მნიშვნელოვან ზრდაში, რამაც ქონების გადაცემის გადასახადი ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროდ აქცია [4, გვ. 155].

ქონების საგადასახადო დაბეგვრას არ დაუკარგავს თავისი შინაარსი თანამედროვე ეტაპზე და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უმრავლეს განვითარებულ და განვითარებადი ქვეყნების საგადასახადო სისტემებში. ამასთან, საგადასახადო დაბეგვრის მსოფლიო პრაქტიკა იყენებს ქონების დაბეგვრის ორ მიდგომას. პირველის მიხედვით, არ შეიძლება ამ გადასახადის დიფერენცირება გადასახადის გადამხდელების მიხედვით, ხოლო მეორე მიდგომის თანახმად, გადასახადის ამოღება უნდა მოხდეს ცალ-ცალკე ფიზიკური და იურიდიული პირებისგან. სხვადასხვა გადასახადის გადამხდელების მიმართ ერთიანი და ზოგადი მიდგომები უზრუნველყოფს საგადასახადო სისტემის სიმარტივეს და მთლიანობას. იგი ერთგვაროვანი ქონების მფლობელების მიმართ ერთნაირი მოთხოვნების ფორმირების საშუალებას იძლევა. ამასთან ერთად, ასეთი მიდგომა საგადასახადო ტვირთის მომხმარებელზე გადამისამართებას უზრუნველყოფს. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ამცირებს საგადასახადო კონტროლისათვის საჭირო ფინანსურ ხარჯებს, რადგან იყენებს საგადასახადო ბაზის გამოთვლის ერთიან სისტემას. საგადასახადო დაბეგვრის ერთიანი სისტემა, რომელიც ეფუძნე-

ბა გადასახადის გადამხდელების არა დიფერენცირებას, ზღუდავს საგადასახადო დაბეგვრის ობიექტების დაყოფას საგადასახადო ბაზის საფუძველზე. ეს სისტემა სახელმწიფოსგან დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულებას მოითხოვს ყველა გადასახადის გადამხდელისათვის ერთიანი საგადასახადო ბაზის შესაქმნელად, რადგან საგადასახადო დაბეგვრის განცალკევების შემთხვევაში ორგანიზაციები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ საგადასახადო ბაზას და ბიუჯეტის კუთვნილი ქონების გადასახადის ოდენობას. იმავედროულად, ორგანიზაციის საგადასახადო ბაზა წარმოადგენს სხვა გადასახადების გაანგარიშების საფუძველს (მოგების გადასახადი, დღგ ქონების რეალიზაციის შემთხვევაში), რაც უზრუნველყოფს სააღრიცხვო სისტემის ერთიანობასა და მთლიანობას. ამის გარდა, საგადასახადო დაბეგვრის განცალკევება საგადასახადო კანონმდებლობის გამარტივების საშუალებას იძლევა. გადასახადის გადამხდელების აბსოლუტური უმრავლესობა – ფიზიკური პირები – წარმოადგენენ საცხოვრებელი ბინებისა და სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეებს, რაც შესაბამისად, მარტივი საგადასახადო სისტემის ფორმირების საშუალებას იძლევა.

საქართველოს საგადასახადო სისტემა საგადასახადო დაბეგვრის საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბდა ქონების ორი კომპონენტის – მიწისა და მასზე არსებული ნაგებობების განცალკევებულად დაბეგვრის მიმართულებით. ეს, პირველ რიგში, განპირობებული იყო მიწის კანონმდებლობის, აგრეთვე ქონების რეგისტრაციისა და მისი შეფასების მეთოდოლოგიის არარსებობით. პრინციპული განსხვავება ფიზიკური და იურიდიული პირების საგადასახადო ბაზის ფორმირებაში, აგრეთვე, მოქალაქეთა დაბალი რეალური შემოსავლები და პრაქტიკულად მოქალაქეთა ეკონომიკური განათლების არასასურველი დონე, გახდა ქონების გადასახადის სუბიექტური პრინციპების საფუძველზე ფორმირების საფუძველი.

ქონების ფლობა გულისხმობს მესაკუთრეების შესაძლებლობას, ჩაატაროს ამ ქონებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ოპერაციები, კერძოდ, გასხვისება, გადაცემა, გაცვლა, ჩუქება. ამ ოპერაციების განხორციელება დაკავშირებულია საკუთრების უფლების გადაცემასთან, ოპერაციის მონაწილე სუბიექტების მიერ შემოსავლის მიღებასთან ან გაწეულ ხარჯებთან. სახელმწიფო, იყენებს რა საგადასახადო ურთიერთობებს, ამ ოპერაციების ელემენტებს გადასახადებით ბეგრავს. სწორედ ეს წარმოადგენს ქონების საგადასახადო დაბეგვრის ეკონომიკურ არსს. ქონების საგადასახადო დაბეგვრის დროს გადასახადის გადახდას ექვემდებარება ამ ოპერაციის შედეგად მიღებული შემოსავალი და თვითონ ქონების გადაცემის ფაქტი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის დროს, ასეთი ოპერაციის დაბეგვრა სრულიად გამართლებულია, რადგან ქონების ახალი მფლობელი დამატებით ხარჯებს არ იღებს ამ ქონების მისაღებად, ხოლო ძველი მფლობელი არ იღებს არავითარ ეკონომიკურ სარგებელს.

სახელმწიფო რეგულირება ქონების საგადასახადო დაბეგვრის ბერკეტების გამოყენებით, მართვის ერთ-ერთ ეკონომიკურ მეთოდს წარმოადგენს და უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს და, მეორე მხრივ, ფიზიკური პირებისა და მეწარმეების ინტერესების ურთიერთკავშირს. ქონების საგადასახადო დაბეგვრა განპირობებულია მასზე დაკისრებული ფუნქციებით. გადასახადები ქონებაზე მიმართულია არა მხოლოდ ფისკალური ფუნქციის შესრულებისკენ, რომელიც გამოიხატება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შეესებაში, არამედ იმაშიც, რომ ის ზემოქმედებას ახდენს მოქალაქეთა პირადი საკუთრების სტრუქტურის ფორმირებაზე. ამ გადასახადების განაკვეთების დიფერენციაცია და სხვადასხვა საგადასახადო შეღავათების დაწესება ხელს უწყობს საზოგადოების ქონებრივი დიფერენციაციის შემცირებას. რაც შეეხება ქონების გადასახადის სხვა ფუნქციებს, ის გამოჩნდება საზოგადოების წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე არსებული ამოცანებიდან.

თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო, რომელიც აქტიურად იყენებს გადასახადის მარეგულირებელ ფუნქციას. საკუთრების სხვადასხვა ფორმებთან სახელმწიფოს ურთიერთობის დროს უმნიშვნელოვანეს ბერკეტად გვევლინება სწორედ გადასახადები ქონებაზე. გადასახადების ეს ჯგუფი შეიცავს ეკონომიკური სტიმულის ელემენტებსაც. სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის მასტიმულირებელი ქვეფუნქცია შეღავათების სისტემის დაწესების საფუძველზე. ის გამოიხატება საგადასახადო ბაზის მოცულობის შემცირებით, გადასახადის განაკვეთის ცვლილებით, გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან მთლიანი გათავისუფლებით. პრეფერენციის მაგალითად შეიძლება გამოდგეს საგადასახადო დაკრედიტება და მიზნობრივი შეღავათები წარმოების გადართობის პროცესში საინვესტიციო და ინოვაციურ ხარჯებთან მიმართებაში.

ქონების გადასახადის მარეგულირებელი ფუნქცია გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ეს გადასახადი აქტიურად მოქმედებს ეკონომიკაზე. მას შეუძლია კვლავწარმოების პროცესის სტიმულირება ან შეკავება, კაპიტალის დაგროვების პროცესის გაძლიერება ან შესუსტება, მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის გაფართოება ან შემცირება. ასეთი გავლენა განპირო-

ბეჭულია უძრავი ქონების ობიექტების გამოყენებით ნებისმიერი საწარმოო პროცესის დროს. ქონების გადასახადის საშუალებით შეიძლება საქმიანი აქტივობის სტიმულირება ან შეზღუდვა, შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობის ცალკეული სექტორების განვითარება ან დამუხრუჭება. ზემოქმედების მნიშვნელოვან ბერეკტს წარმოადგენს ქონების გადასახადის განაკვეთი, რომლის დიფერენციაციის გზით სხვადასხვა ეკონომიკური მიზნის განხორციელებაა შესაძლებელი.

ქონების გადასახადთან მიმართებაში საგადასახადო პოლიტიკის შემუშავების დროს საინტერესოა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების გაცნობა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა დაიწყო საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადაყვანა და კერძო საკუთრების საკანონმდებლო დონეზე დაკანონება, საგადასახადო პოლიტიკამ გადასახადების მარეგულირებელ ფუნქციებთან ერთად შეიძინა დაბალანსებული ბიუჯეტის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია. განვითარებული ეკონომიკის პირობებში ეს მიზანი მიიღწევა არა საგადასახადო ტვირთის ზრდით, არამედ საგადასახადო ბაზის მოცულობის გაფართოებით და საგადასახადო განაკვეთის შემცირებით. საზღვარგარეთის ქვეყნების საკანონმდებლო ბაზა და მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება საგადასახადო სისტემების მშენებლობის (მათ შორის ქონების გადასახადის ნაწილში) საქმეში ექვემდებარება გააზრებას და ქართულ სინამდვილესთან ადაპტირებას.

მიმდინარე ეტაპზე ქონების საგადასახადო დაბეგვრა ხორციელდება მსოფლიოს 130-მდე ქვეყანაში, ამასთან, ადგილი აქვს მნიშვნელოვან მრავალფეროვნებას გადასახადის გადამხდელების სამართლებრივი სტატუსის, საგადასახადო დაბეგვრის ობიექტის, საგადასახადო ბაზის განსაზღვრის წესის, გადასახადის გადახდევინების მეთოდების თვალსაზრისით. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე მრავალი ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს, რომ უძრავ ქონებაზე გადასახადს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კაპიტალზე და ქონებაზე გადასახადის ზოგად სტრუქტურაში.

უძრავი ქონების, მათ შორის მიწის, საგადასახადო დაბეგვრის ძირითად პრინციპს წარმოადგენს პრინციპი "ad valorem" – "შესაბამისობა ფასთან", ე.ი. გადასახადი პროპორციულია უძრავი ქონების მიმდინარე საბაზრო ღირებულებასთან. საგადასახადო ბაზა განისაზღვრება უძრავი ქონების საბაზრო ფასიდან ან ამ ქონების იჯარის გაცემიდან მიღებული შემოსავლის ოდენობისგან [5, გვ.101].

თანამედროვე პირობებში, მთელ მსოფლიოში ადგილობრივი ბიუჯეტების შევსების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ქონების გადასახადი. ჰოლანდიაში ამ გადასახადიდან შემოსავლები შეადგენს ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების 9%, კანადაში – 81%, საფრანგეთში – 52%. ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვადასხვა შტატების მიხედვით ეს ციფრი მერყეობს 10%-დან 70%-მდე. მსოფლიო ბანკის ანგარიშებიდან გამომდინარეობს, რომ ზოგიერთ განვითარებად, საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავალი ადგილობრივ ბიუჯეტში მერყეობს 40-დან 80%-მდე, რაც ცხადყოფს იმას, რომ თანმიმდევრული რეფორმირების პირობებში ამ გადასახადის ხვედრითი წილის ზრდის საკმაოდ სოლიდური ბაზა არსებობს საქართველოში [6].

სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს ქონების საგადასახადო დაბეგვრის თავისებურებები, უძრავი ქონების ღირებულების განსაზღვრის დროს, როგორც წესი, გამოიყენება საბაზრო მონაცემები, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) საგადასახადო ბაზად იყენებენ საიჯარო ქირის ღირებულებას, ხოლო სხვა შემთხვევებში – ობიექტის კაპიტალურ ღირებულებას. შეფასებითი ღირებულების განსაზღვრის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს გაყიდვების შედარების მეთოდი და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის დროს დაფიქსირებული ფასების ანალიზის მეთოდი (ავსტრია, დანია, შვედეთი, იაპონია); შეღავათების სისტემა ასევე განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით, მაგალითად, დანიაში, სამხრეთ კორეაში, შვედეთში, ჩილეში შეღავათები გათვალისწინებულია უძრავი ქონების ობიექტების და არა გადასახადის გადამხდელების მიმართ. სხვა ქვეყნებში შეღავათების დაწესების დროს გვხვდება შერეული სისტემა, რომელიც მიმართულია როგორც უძრავი ქონების ობიექტის, ასევე გადასახადის გადამხდელის მიმართ. თუ აქცენტი მაინც გადატანილია დაბეგვრის ობიექტზე, გადასახადის გადამხდელებსაც, რომლებიც შეღავათებით სარგებლობენ, ძირითადად მიეკუთვნებიან პენსიონერები და შეზღუდული უნარის მქონე პირები. ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, შეღავათებით სარგებლობის დაწესების დროს მხედველობაში იღებენ გადასახადის გადამხდელების შემოსავლებს. უმრავლეს ქვეყნებში გადასახადის გადახდისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლებული არიან კულტურისა და განათლების სფეროს, სახელმწიფო მართვის და რელიგიური მიზნისთვის განკუთვნილი ობიექტები. საქმიანობის გარკვეული სახეების სტიმულირების მიზნით, გადასახადისაგან გათავისუფლება წესდება ფიქსირებული ვადით. მაგალითად, ჩილეში, იაპონიაში, შვედეთში და აშშ-ის ზოგიერთ შტატში ახალმშენებლობებს უწესდებათ რამდენიმეწლიანი შეღავათი, ხოლო ჰოლანდიაში ეს შეღავათი მოიცავს იმ დროს, რაც აუცილებელია შენობის ასაშენებლად.

გადასახადის განაკვეთის ოდენობა სხვადასხვა ქვეყნის კონკრეტულ საკანონმდებლო და ეკონომიკურ პრაქტიკაზე დაფუძნებული. კანონის მიხედვით, განაკვეთი შეიძლება იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი. ფიქსირებული განაკვეთი განისაზღვრება როგორც დასაბეგრო ბაზის პროცენტი, ასეთ შემთხვევაში საგადასახადო შემოსავლების მოცულობა წინასწარ არ არის ცნობილი, რადგან საგადასახადო ბაზა ყოველწლიურად იცვლება, ფიქსირებული განაკვეთები გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, ინდონეზიაში, ჩილეში, შვედეთში, იაპონიაში. ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ავსტრალია, კანადა, ჰოლანდია, აშშ, საფრანგეთი, შვეიცარია, ადგილობრივი ხელისუფლებები ქონების გადასახადის განაკვეთს გეგმავენ მოსალოდნელი საბიუჯეტო შემოსავლების და საგადასახადო დაბეგვრის ბაზის მოცულობის საფუძველზე, ე.ი. ამ შემთხვევაში საგადასახადო განაკვეთი არის ცვალებადი. ამასთან, ჰოლანდიასა და შვეიცარიაში ადგილობრივ ხელისუფლებებს გადასახადის განაკვეთების დადგენის დროს მინიჭებული აქვთ ყველაზე ფართო უფლებამოსილებები. უძრავებს ქვეყნებში გადასახადის მაქსიმალური და მინიმალური განაკვეთი ზოგადასახელმწიფოებრივ დონეზე საკანონმდებლო აქტითაა განსაზღვრული. გადასახადის განაკვეთები სხვადასხვა ქვეყანაში 7-10% ფარგლებში მერყეობს [7].

ზოგიერთ ქვეყანაში ქონების გადასახადის შემოღებას მხოლოდ აპირებენ და ექსპერიმენტს ატარებენ მის შემოსაღებად. 2011 წელს ჩინეთში, შანხაიში, დაიწყო ექსპერიმენტის ჩატარება უძრავ ქონებაზე გადასახადის შემოსაღებად. იქ შემოღებული გადასახადი დიფერენცირებული იყო შენობის ფართობისა და ღირებულებების მიხედვით და მერყეობდა 0,4%–0,6% ფარგლებში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ტერიტორიის რეზიდენტებს ქონების გადასახადს ახდევინებენ მხოლოდ მეორე და შემდგომი ობიექტის შეძენის შემთხვევაში, ხოლო არარეზიდენტს აღნიშნული გადასახადის გადახდის ვალდებულება ეკისრება პირველივე ობიექტის შეძენის დროს.

საზღვარგარეთ დაგროვილია ქონების საგადასახადო დაბეგვრის მდიდარი გამოცდილება. მსოფლიო პრაქტიკაში უკვე შემუშავებულია ძირითადი პრინციპები, რომელიც საშუალებას იძლევა, მოხდეს საგადასახადო დაბეგვრის რაციონალური დაგეგმვა. სასურველია, ეს პრინციპები გათვალისწინებულ იქნეს საქართველოში უძრავი ქონების საგადასახადო სისტემის ფორმირების დროს. ამ პრინციპებს შეიძლება მიეკუთვნოს:

- ✓ საგადასახადო დაბეგვრის ობიექტს, როგორც წესი, წარმოადგენს მიწა, შენობა და/ან ნაგებობა, რადგან მათი განსხვავება მოძრავი ქონებისგან თვალსაჩინოა;

- ✓ საგადასახადო ბაზის საფუძველია დასაბეგრი ობიექტის საბაზრო ღირებულება, რაც ხელს უწყობს მათ რაციონალურ გამოყენებას;

- ✓ უძრავი ქონების ღირებულების განსაზღვრის დროს, როგორც წესი, გამოიყენება საბაზრო ღირებულება

- ✓ შეღავათები, როგორც წესი, დგინდება სოციალურად დაუცველი გადასახადის გადახდის საფასურის უძრავი ქონების სახეობების მიხედვით ან იმ ობიექტებისთვის, რომლებიც სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს. უპირატესობა შეღავათების დადგენის დროს ენიჭება ობიექტებისთვის შეღავათების მინიჭებას, რადგან ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია ქონება და არა გადასახადის გადამხდელი.

- ✓ ქონების გადასახადის ელემენტებია გადასახადი ფიზიკური პირის ქონებაზე და მიწაზე, რომელიც მთლიანად მიემართება ადგილობრივ ბიუჯეტში. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სრულად არ ხდება ამ გადასახადის ფისკალური და ეკონომიკური ფუნქციის რეალიზაცია. იმ რეალობის გათვალისწინებით, როცა ამ გადასახადის სახით, საშუალოდ ყოველწლიურად ქვეყნის ბიუჯეტში მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 3,3% (დაახლოებით 245 მლნ ლარი) შედის [8], იქნებ მიზანშეწონილი იყოს უფრო გამარტივებული ქონების გადასახადის შემოღება, რომელიც გააერთიანებს მიწაზე ქონების გადასახადს და ფიზიკური პირების უძრავ ქონებაზე გადასახადს.

- ✓ მხოლოდ ერთი ათეული წელია დაიწყო ქონების პროფესიული შემფასებლების სისტემის ფორმირება და მისი თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზის ფორმირება. სახეზეა ქონების შეფასების მეთოდების შერჩევის პრობლემები. საკუთრების ღირებულებით კი ინტერესდებიან არა მხოლოდ საგადასახადო, არამედ სხვა სახელმწიფო ორგანოებიც, ბანკები, სასამართლოები და ა.შ. ამიტომ პროფესიონალ შემფასებელთა სისტემის ჩამოყალიბება გადაუდებელი ამოცანაა.

- ✓ ქონების გადასახადი, თავისი არსით, შენობა-ნაგებობების მესაკუთრეთა გადასახადად იქცა. ის წარმოადგენს რეგულირებულ გადასახადს და მისი გადახდა სავალდებულოა ყოველწლიურად იმის მიუხედავად, ქონების მესაკუთრე ამ ქონებას იყენებს თუ არა;

- ✓ უძრავი ქონების საგადასახადო დაბეგვრის კონცეფციის მთავარი პრინციპი უნდა იყოს დაბეგვრის პროცესის სიმარტივე, გადასახადის განაკვეთის დამოკიდებულება უძრავი ქონების ობიექტის და მიწის ნაკვეთის ხარისხთან, საგადასახადო ტვირთის სამართლიანობა, დაუბეგრავი საგადასახადო მინიმუმის გამოყენება;

✓ განსაკუთრებული განხილვის საგანი უნდა იყოს სატყეო ფონდის და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე შეღავათების დაწესების მეთოდოლოგია;

დასკვნა

მიმდინარე ეტაპზე საქართველოს საგადასახადო სისტემის ანალიზი [9] ცხადყოფს, რომ ქონების საგადასახადო დაბეგვრის სფეროში სახელმწიფო რეგულირების დონე არასაკმარისია. განვითარებული უცხო ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირებას დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ურთიერთობების ქონებრივი სფერო მოითხოვს სახელმწიფოსგან განსაკუთრებულ ყურადღებას, არა მხოლოდ ქონების საგადასახადო დაბეგვრის ფისკალური შემადგენლის, არამედ ეკონომიკური ურთიერთობების მექანიზმის თვალსაზრისითაც, რომელიც შეიცავს მასტიმულირებელ ელემენტებს.

მიზანშეწონილი იქნება “საქართველოში ქონების საგადასახადო დაბეგვრის სისტემის განვითარების კონცეფციის” შემუშავება და მიღება. ამ კონცეფციის ძირითადი პრინციპები უნდა დაეფუძნოს ქონების საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სიმარტივეს, გადასახადის განაკვეთის ღირფრენციაციას უძრავი ქონების ხარისხისა და ადგილმდებარეობის მიხედვით, საგადასახადო ტვირთის გადანაწილებას საცხოვრებელი ქონების ნაწილში, საგადასახადო სტიმულებისა და შეღავათების სისტემის გონივრულ და სამართლიან ფორმირებას, დაუბეგრავი საგადასახადო მინიმუმის შემოღებასა და გამოყენებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ელექტრონული რესურსი: http://finance_dictionary_en_ru.academic.ru/2893/WEALTH_TAX
2. ელექტრონული რესურსი: <http://enc.biblioclub.ru/search/Property%20tax>
3. Кучеров И. И. Теория налогов и сборов (правовые аспекты): монография. М.: ЮрИнфоР, 2009.
4. Пушкарева В.М. История финансовой мысли и политики налогов: учеб. пособ. М.: Финансы и статистика. 2008.
5. Государственное регулирование земельных отношений за рубежом. Учебное пособие / Под ред. Л.И. Кошкина. – М.: ВШПП, 2001.
6. ელექტრონული რესურსი: <http://www.worldbank.org/en/topic/macroeconomics>
7. ელექტრონული რესურსი: <http://ftp.vsau.ru/files/41/e5852879dd2df9a25cf37dd73f5c45.pdf>
8. ელექტრონული რესურსი: <http://www.rs.ge/5905>
9. ელექტრონული რესურსი: <http://www.doingbusiness.org/~media/wbg/doingbusiness/documents/profiles/country/geo.pdf>

Merab Mikelashvili

SOME THEORETICAL AND PRACTICAL ASPECTS OF PROPERTY TAXATION

Summary

Property taxes represent one of the most compulsory ones. This is the outcome of the fact that in earlier times, realty was the only thing through which the government could influence on people. Property tax includes the tax of land, construction process and constructions. It's a regular tax and is paid once a year, whether the property is exploited or not. This is a local tax and has an important fiscal function for the budgets of the areas where it's on. Concluding from the international instruments of regulating the property taxation, we can say that Georgia needs to draw out a more effective system of it.

Nowadays, based on the analysis of the Georgian taxation system, we can say that the state regulation level of property taxes is not enough. Experience of foreign, developed countries shows us that the state regulation of economic relations has an integral part in economic and social development. Property relations area demands a massive involvement of the state regarding the property taxation fiscal component as well as economic relations mechanism, which includes some of the stimulating elements.

Creating and implementing “Property taxation development concept in Georgia” would be expedient. The main principles of this concept should be based on the following: simplicity of property taxation system, differentiation of tax rate regarding quality and location, taxation burden allocation in the area of residential properties, smart and fair formation of taxation stimuli and preferential duties system, creating and using of the untaxed minimum.

The inevitability of improved property taxation system is caused by the necessity of the rational usage of the land and the property based on that land. The existing state taxation accounting and withdrawal mechanism mainly serves fiscal goals and has a less general-economic character, which itself makes it harder to use the means of exploiting lands, buildings and constructions effectively. The new property taxation system should facilitate the renewal of production base, establishment of new technologies, territorial development, effective usage of properties and “banish-

ment” from the market of those, who cannot use their properties’ potential as the income source. Socialization of this tax is inevitable, based on which there should be the fair accounting of the property tax and withdrawal from budget based on the solvency of the owner.

Uniting land property tax and real estate tax, as the main directions of the existing property taxation, will give us a way to reduce property taxation administrative costs importantly and will establish the tax burden, which will transform the ineffective usage of the property by the owners as a disadvantageous objectivity.

*Сурен Альбертович Овакимян
Тамара Суреновна Овакимян*

ВОПРОСЫ ОЦЕНКИ И ОБЕСПЕЧЕНИЯ ФИНАНСОВОЙ СТАБИЛЬНОСТИ В СТРАНАХ С ПЕРЕХОДНОЙ ЭКОНОМИКОЙ

Ключевой проблемой современного мира является его финансовая безопасность, в обеспечении которой особую роль играет устойчивое развитие экономики и финансовой системы. Последствия мирового финансового кризиса оказали ощутимое влияние на устойчивость финансовых систем практически всех государств. Сказанное приобретает особую значимость для постсоветских стран, учитывая слабую развитость их финансовой системы и уязвимость экономики. В этих условиях проблемы оценки и разработки путей повышения уровня финансовой стабильности весьма актуальны.

Однако на сегодняшний день нет единства в понимании как самого понятия устойчивости системы, так и в классификации видов устойчивости. Как известно, Программа оценки финансового сектора МВФ/ВБ (FSAP) предполагает проведение оценки надежности отдельных подсистем (прежде всего банковской системы), качества банковского, страхового, финансового рынков и надзора по принятым международным стандартам, проведение стресс-тестов, оценки способности монетарных властей эффективно реагировать в случае системного стресса, однако не раскрывает понятие устойчивости всей финансовой системы и не содержат в себе единого подхода к проблеме ее повышения.

В отличие от ценовой стабильности финансовую стабильность сложно оценить с помощью одного показателя, поэтому для оценки финансовой стабильности часто используют несколько показателей финансового состояния и устойчивости финансовых учреждений страны и их контрагентов из реального сектора экономики и сектора домашних хозяйств. Глобальный финансовый кризис 2008 года оказал значительное влияние на экономику стран по всему миру и привлек внимание к проблеме построения агрегированного индекса, который отражал бы изменение уровня финансовой стабильности в конкретной стране во времени. В 2003 г. Международным валютным фондом (МВФ) был представлен перечень из 39 индивидуальных показателей финансовой устойчивости (Financial Soundness Indicators — FSI) для цели мониторинга уровня финансовой стабильности экономики.⁵⁹ Тем не менее, разнонаправленное движение нескольких десятков показателей существенным образом осложняет возможность однозначной оценки уровня и характера изменения финансовой стабильности экономики. В частности, данный набор не позволил спрогнозировать нестабильность 2008–2009 гг., либо был неинформативен для принятия решений на их основе. Поэтому возникла потребность в построении интегрального индикатора, позволяющего решить данную проблему. Задача построения интегральных индикаторов уже решалась в отдельных странах, таких как Турция, Колумбия, Чехия, Макао и т.д.⁶⁰ Однако, опыт этих стран показывает, что построение агрегированного индекса в зависимости от выбранного метода не дает одинаковые и окончательные результаты в связи с многообразием входящих подиндексов, объединяющихся в агрегированный индекс, рассчитываемый как средневзвешенная сумма входящих показателей.

Более того, в исследовании Даттелса в 2010 году анализируется динамика глобальной карты финансовой стабильности, впервые введенной МВФ в апреле 2007 года и публикуемой на постоянной основе два раза в год.⁶¹ Графическое отображение карты представляет собой октаэдр с отрезками, соединяющими центр с вершинами, и наложенной на них сеткой. Вдоль каждого из отрезков вставляется текущее балльное (оцениваемое исходя из исторической динамики) значение некоего индикатора, являющегося агрегатом факторов, отнесенных к нему. Для интерпретации получаемой карты необходим анализ изменений каждого из индикаторов, что и привело авторов к заключению, что данная карта не может быть сведена к единому индексу.

Медленный и неустойчивый рост мировой экономики, волатильность цен сырьевых ресурсов и финансовых активов на международных рынках, сопровождающийся увеличением неопределенных рисков, ограничивают реальные возможности устойчивого развития экономики и финансовой системы, особенно для стран с переходной

⁵⁹ Geršl A., Hermánek J. Indicators of Financial System Stability: Towards an Aggregate Financial Stability Indicator? // Prague Economic Papers. — 2008. — Vol. 3. pp. 127–142.

⁶⁰ Турции (Central Bank of the Republic of Turkey, 2009), Колумбии (Morales, Estrada, 2010), Чехии (Geršl, Hermánek, 2008))

⁶¹ Dattels P., McCaughrin R., Miyajima K., Puig J. Can You Map Global Financial Stability? IMF WP/10/145. www.imf.org/external/pubs/ft/wp/2010/wp10/145.pdf

экономикой. В то же время, в связи с уже установленной степенью конвергенции экономических и финансовых рынков образована единая макроэкономическая среда. Опыт этих стран за последние двадцать лет показал также, что политика, применяемая для развития отечественной экономики, направленная на расширение возможностей вмешательства международных организаций, не обеспечивает желаемых результатов, и что открытая экономическая система не обеспечивает единого подхода к интеграции, которая была бы способна обеспечить экономическое развитие для всех стран. Тем более, когда эта политика, как правило, направлена на снижение роли национального государства.

Только в октябре 2010 г. Консультативная «Группа тридцати» (Group of Thirty) выпустила руководство, где были приведены четыре ключевые характеристики финансовой стабильности: ответственность за устойчивость финансовой системы в целом, ограничение системных рисков, применение специфического набора инструментов, взаимодействие с другими институтами государственной политики. Поскольку практика ужесточения регуляторами нормативных требований деятельности финансовых организаций уже показала, что отдельные организации будут обладать достаточным собственным капиталом и ликвидностью, чтобы самостоятельно справляться с шоками и выполнять свои обязательства, но когда финансовый сектор переживает циклические колебания применяемые базовые нормативы могут быть недостаточными. Перед регулятором встает выбор между поддержкой реальной экономики и финансовой системы.⁶² Причиной изменения подходов оценки стабильности послужили наблюдающиеся тенденции развития таких макроэкономических показателей, как темпы роста бедности и безработицы мирового населения, увеличение внешнего долга государств, а также отток капитала из развивающихся стран в развитые страны. Те значительные успехи, которые были достигнуты за последнее десятилетие в процессе сокращения бедности, постепенно сходят на нет, а процесс достижения общего процветания во многих странах приостановился. Около 14 процентов населения стран азиатского региона, или более 66 миллионов человек, живут за чертой бедности. Из них 19 миллионов людей живут менее чем на 2,50 долл. США в день, т.е. ниже установленного для региона уровня крайней бедности.⁶³

На повестке дня глобальной экономики сегодня стоит необходимость выработки директивными органами обоснованных, подкрепленных практикой решений, способствующих социальной справедливости и социальной интеграции, устойчивому макроэкономическому регулированию, прозрачности и эффективности государственного сектора, повышению производительности, развитию финансового сектора и его стабильности. Странам необходимо определить верное сочетание мер управления бюджетом, политики управления долгом и экономического роста.⁶⁴ Объем долга в развивающихся странах продолжает расти, что становится поводом для «существенного беспокойства», предупредил Институт международных финансов (ИФ).

Сумма долгов правительств, домохозяйств, корпоративного и финансового секторов в развивающихся странах выросла в 2015 г. на \$1,6 трлн и достигла \$62 трлн, при этом превысив 210% их совокупного ВВП. Развитые же страны продолжили сокращать свою задолженность, она уменьшилась на \$12 трлн, составив \$175 трлн. По данным ИФ, компании из развитых стран сократили свою задолженность в 2015 г. на 0,4%, что составляет 87,4% от их ВВП, а из развивающихся – увеличили ее на 6,7%, что составляет 101,3% от их ВВП. Совокупный корпоративный долг в 19 развивающихся странах, которые изучает ИФ, вырос более чем на \$1,9 трлн, превысив \$25 трлн. В 2016 и в последующие четыре года заемщикам всех категорий в развивающихся странах придется особенно активно погашать облигации и кредиты: с апреля по декабрь им нужно выплатить \$730 млрд, а в 2017 г. – более \$900 млрд. Сильный доллар, низкие цены на сырье, медленный экономический рост в развивающихся странах и повышающиеся процентные ставки в США существенно затрудняют привлечение необходимых средств финансирования. Сложности в этой сфере уже наблюдаются: объем выпущенных облигаций и полученных кредитов в 2016 году на 35% ниже, чем за аналогичный период 2015 г. Просрочка по банковским кредитам растет и этот процесс продолжится, поэтому риск корпоративных дефолтов в этом году будет повышаться, считают эксперты ИФ.⁶⁵ BIS в своем докладе предупредил о порочном круге: сокращение долгового бремени, нестабильность на финансовых рынках и замедление роста мировой экономики.

Следует отметить, что международные организации выделяют те страны, где число бедных или находящихся в положении уязвимых групп превышает тридцать процентов населения страны. К таким странам относятся Таджикистан-79%, Армения-76%, Грузия-74%, Киргизия-70%, Албания-46%, Молдова-38%, Азербайджан-34%. По показателю безработицы список возглавляет Армения-18.64%, в Грузии он составляет 14.3%, в Азербайджане-5.5%, России-5.8%, Украине-7.9%, Белоруссии-5.9%, Узбекистане-10.8%, Таджикистане-

⁶² Пасько А. В., Корень А. В. Макропруденциальная политика // Экономика и социум. 2013

⁶³ <http://www.vsemirnyjbank.org/ru/about/annual-report/overview> 2016

⁶⁴ Анализ состояния экономики стран СНГ в мировом пространстве http://www.sovetnikprezidenta.ru/114/2_sodrugestvo.html

⁶⁵ 17.03.16 19:36 Financial Times, Джонатан Уитли

10.8%, Туркмении-10.7%, Киргизии-7.9%:⁶⁶ Величина внешнего долга в Армении достигает 48 процентов от ВВП, Киргизии - 51,1%, Словении-53,6%, Словакии- 53,6%, Сербии-56,3% и Литвы-63,8%.⁶⁷

Исходя из этих проблем Британская газета "The Guardian", ссылаясь на данные ВБ, еще в 2015 году отмечала, что экономические санкции против России наносят существенный вред не только экономике самой России, но и экономике девяти других стран. В частности, экономика Армении на 21% зависит от трансфертов, поступающих из России, Грузии-на 12%, Узбекистана-12%, Киргизии-31.5%, Молдавы-25%, Таджикистана-42%, Украины-5.5%, Литвы-4.5%, Азербайджана- 2.4%. Общая потеря всех стран по оценкам газеты составила около 10 млрд. долларов. При этом больше всех это негативно отразится на экономике Киргизии, поскольку почти 80% получаемых от трудовой миграции трансфертов в страну поступает из России. В Армении доля этих поступлений составляет 70%, в Украине, Молдавии, Узбекистане, Таджикистане и Грузии- соответственно 40%.⁶⁸

В результате, почти все постсоветские страны оказались в тяжелой макро- и микро экономической среде, что сокращает реальные возможности не только для устойчивого развития национальной экономики, но и угрожает стабильности обслуживания государственного долга и финансовой безопасности в целом.

Из сказанного очевидно также, что хотя и проблемы одинаковые почти у всех стран, однако воздействие отдельных факторов на финансовую устойчивость может быть разным в зависимости от специфики экономики. Для выявления основных факторов и степени их влияния на стабильность финансовой системы, с использованием «Statistical Package for the Social Sciences» (SPSS 10), нами на примере Армении были скорректированы основные факторы, обуславливающие макроэкономическую стабильность республики: импорт, экспорт, внешний долг, ВВП, денежные трансферты, а также дана количественная оценка этих взаимосвязей. Следует отметить, что при рассмотрении указанных факторов в отдельности связь получается достаточно слабой, коэффициент детерминации не превосходит 0.6, а коэффициент корреляции - 0.7. При рассмотрении же их в совокупности коэффициент корреляции получается $R=0,9$, коэффициент детерминации $R\text{ Square} = 0.8$, что свидетельствует о имеющейся тесной взаимосвязи между рассматриваемыми факторами и финансовой стабильностью (см. Таблица 1):

Таблица 1

Взаимосвязь макроэкономических факторов со финансовой стабильностью РА⁶⁹

<i>Regression Statistics</i>	
Multiple R	0,893342222
R Square	0,798060325
Adjusted R Square	0,7692118
Standard Error	0,31627725
Observations	25

ANOVA				
	<i>df</i>	<i>SS</i>	<i>MS</i>	<i>F</i>
Regression	3	8,301742729	2,767247576	27,66381737
Residual	21	2,100657271	0,100031299	
Total	24	10,4024		

	<i>Coefficients</i>	<i>Standard Error</i>	<i>t Stat</i>	<i>P-value</i>
Intercept	-0,890865834	0,301261133	-2,957121705	0,007522785
Exports , mln US dollars	0,010760086	0,001439804	7,473297593	2,41074E-07
Imports, mln US dollars	-0,002010867	0,000250797	-8,017920781	7,94495E-08
transvert	-0,000556844	0,000447435	-1,244524779	0,227017633

⁶⁶ Global Employment Trends 2014: The risk of a jobless recovery http://www.ilo.org/global/research/global-reports/global-employment-trends/2014/WCMS_233953/lang--en/index.htm, http://www.ilo.org/global/research/global-reports/weso/2016/WCMS_443480/lang--en/index.htm

⁶⁷ <http://svspb.net/danmark/vneshnij-dolg-stran.php>

⁶⁸ <https://www.theguardian.com/world/2015/jan/18/russia-rouble-threat-nine-countries-remittances>

⁶⁹ etd.asj-oa.am/3327/1/Suren_Hovakimyan_.pdf

Степень воздействия макроэкономических факторов на финансовую стабильность
Correlations, SPSS10

		Y	EXPORT	IMPORT	TRANSF	PUBDEBT	GDP
Y	Pearson Correlation	1	.422(*)	-.495(*)	.098	-.738(**)	-.234
	Sig. (2-tailed)	.	.035	.012	.642	.000	.261
	N	25	25	25	25	25	25
EXPORT	Pearson Correlation	.422(*)	1	.461(*)	.318	-.219	.672(**)
	Sig. (2-tailed)	.035	.	.020	.122	.293	.000
	N	25	25	25	25	25	25
IMPORT	Pearson Correlation	-.495(*)	.461(*)	1	.057	.510(**)	.871(**)
	Sig. (2-tailed)	.012	.020	.	.787	.009	.000
	N	25	25	25	25	25	25
TRANSF	Pearson Correlation	.098	.318	.057	1	-.235	.237
	Sig. (2-tailed)	.642	.122	.787	.	.257	.253
	N	25	25	25	25	25	25
PUBDEPT	Pearson Correlation	-.738(**)	-.219	.510(**)	-.235	1	.269
	Sig. (2-tailed)	.000	.293	.009	.257	.	.193
	N	25	25	25	25	25	25
GDP	Pearson Correlation	-.234	.672(**)	.871(**)	.237	.269	1
	Sig. (2-tailed)	.261	.000	.000	.253	.193	.
	N	25	25	25	25	25	25

Полученные результаты регрессионного анализа указывают, что на финансовую устойчивость Армении самое негативное воздействие оказывает внешний государственный долг - 0.738, далее следуют импорт -0.495 и ВВП -0.234, положительное влияние оказывают экспорт -0.422 и трансферты-0.098. В то же время они указывают те приоритетные направления, к которым должно быть нацелено внимание государственной политики при проведении мониторинга за обеспечением финансовой стабильности страны (см. Таблица 2). Это обеспечение устойчивого развития ВВП, сокращение государственного долга и урегулирование финансовых потоков путем повышения уровня координации проводимых политик по обеспечению финансовой безопасности страны.

Suren Ovakimyan
Tamara Ovakimyan

**THE PROBLEMS OF EVALUATION AND ENSURE FINANCIAL STABILITY
IN THE COUNTRIES WITH ECONOMIES IN TRANSITION**

Summary

A key issue of the modern world is its financial security. A sustainable development of the economy and financial system plays a special role in providing that security. The global financial crisis had a significant impact on the stability of the financial system of almost all countries. The foregoing has greater relevance for the countries with economies in transition if we take into account their weakly developed financial system and vulnerable economy. This article is devoted to an actual problem of provision of financial stability in the countries with economies in transition. This research observes international experience of financial stability provision, identifies factors that negatively affect on financial stability and offers the mechanisms of its regulation.

თეა უდესიანი
თათია უდესიანი

თაღლითობის პრევენცია, გამორეზნა და კვლევა აუდიტის პროცესში

ანოტაცია. სტატია ეხება პრაქტიკაში არსებულ ისეთ რეალურ პრობლემას, როგორც თაღლითობა. პროფესიული თაღლითობის ფაქტები კვლავ მნიშვნელოვანი პრობლემა ხდება არა მარტო ჩვენს რეალობაში, არამედ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სტატისტიკურად შემთხვევით აღმოჩენილი თაღლითობის ფაქტები უფრო ხშირია, ვიდრე შიდა აუდიტის, შიდა კონტროლის ან გარე აუდიტორების მიერ აღმოჩენილი შემთხვევები. აღნიშნული დასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ორგანიზაციებს სჭირდებათ გააქტიურება კონტროლისა და აუდიტორული შემოწმებების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

საკვანძო სიტყვები: აუდიტორი, აუდიტი, თაღლითობა, რისკი, ფინანსური ანგარიშგება, კონტროლი.

ცნება "თაღლითობა" აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით გულისხმობს საწარმოს ხელმძღვანელობის, თანამშრომლების ან მესამე მხარის ერთი ან მეტი წარმომადგენლის მიერ განზრახ ჩადენილ ქმედებას, რაც მიზნად ისახავს მოტყუების გზით არაკანონიერ უპირატესობას ან დაუმსახურებელი სარგებლობის მოპოვებას, რომლის შედეგადაც მოხდა ფინანსური ანგარიშგების დამახინჯება. თავის მხრივ, ფინანსური ანგარიშგების დამახინჯება ნიშნავს შესაბამისი მონაცემების არასწორად ასახვასა და წარდგენას. აღნიშნული უზუსტობები შეიძლება წარმოიქმნას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. მათ შორის ის განსხვავებაა რომ თაღლითობა არის ქმედება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის განზრახ არასწორად წარდგენით ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის მიზნით, ხოლო შეცდომა არ არის წინასწარ განზრახული. არსებობს თაღლითობის მეორე ტიპიც, რომელიც აქტივების არაკანონიერ მითვისებას უკავშირდება.

თაღლითურად შედგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიძლება მოიცავდეს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის საჭირო ბუღალტრული ჩანაწერებისა და პირველადი დოკუმენტების ფალსიფიკაციას, სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის ფინანსური შედეგების გაყალბებასა და ოპერაციებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის არასწორ წარდგენის ან განზრახ გამოტოვების ფაქტებს. ასევე შეფასების, აღიარების, კლასიფიკაციის, წარდგენისა და ახსნა-განმარტებებთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების განზრახ არასწორად გამოყენებას. თაღლითურად შედგენილი ფინანსური ანგარიშგების დროს გვხვდება ისეთი ტიპის დარღვევები, როგორც არის:

- ფიქტიური საქონლად გატარებები, რაც უკავშირდება სააღრიცხვო პერიოდის დამთავრების დროს საოპერაციო შედეგებით მანიპულაციებს;

- დაშვებების მიზანშეწონილად შესწორებები და ანგარიშთა შესაფერისად გამოყენებული მიღგომებისა და გადაწყვეტილების შეცვლა;

- საანგარიშო პერიოდის მანძილზე მომხდარი მოვლენების და სამეურნეო ოპერაციების გამოტოვება, მათი წინასწარ ან დაგვიანებით აღიარებით რთულ ოპერაციებში ისეთი მონაწილეობის მიღება, რომელიც სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ მიღგომარებასა და მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს უარესი კუთხით წარმოაჩენს;

- მნიშვნელოვან და არაორდინალურ სამეურნეო ოპერაციებთან დაკავშირებული ჩანაწერებისა და პირობების შეცვლა და სხვა.

აუდიტორის დამოკიდებულება თაღლითურ ქმედებებთან განპირობებულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობების გამოწვევით. პრაქტიკულად ძალზე რთულია იმის განსაზღვრა, ქმედება წინასწარ განზრახულია თუ არა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა აუდიტორს ეჭვი გაუჩნდეს ან გამოავლინოს კიდევ თაღლითობის შემთხვევა, საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მან არ უნდა გააკეთოს სამართლებრივი განმარტება ნამდვილად მოხდა თუ არა თაღლითობა. აუდიტორმა უნდა შეაფასოს რისკი, რომელიც თაღლითობასა და შეცდომებს მოჰყვება, გამოავლინოს და განსაზღვროს მათი წარმოშობის ალბათობა.

წინასწარ განზრახული დამახინჯებები სამეურნეო სუბიექტის პერსონალის განზრახ ქმედების ან უმოქმედობის შედეგია. დარღვევის სახის დადგენა აუდიტის მიზანს არ წარმოადგენს, იგი სამართალდამცავი ორგანოების პრეროგატივაა.

თაღლითობის პროცესი შედგება შემდეგი ძირითადი ელემენტებისაგან

განზრახვა – არასწორი ქმედების მიზანმიმართულად განხორციელება ან კანონმდებლობასთან შეუსაბამო მიზნის მიღწევა. განზრახვა იშვიათად არის თავისთავად აშკარა, ის საჭიროებს რამდენიმე აქტივობით დადასტურებას. განზრახვის გამოხატვის რამდენიმე კონკრეტული საშუალება არსებობს, მათ შორის მტკიცებულება იმისა, რომ დამრღვევს:

- არ ჰქონდა ლეგიტიმური მოტივი ამგვარი ქმედების განხორციელებისათვის;
- ის განმეორებით ახორციელებდა აშკარა არამართლზომიერ ქმედებებს;
- ის აკეთებდა ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს;
- ხელს უშლიდა დანაშაულის გამოძიებას;
- აკეთებდა მტკიცებულებებს, რომლებიც მან ზუსტად იცოდა, რომ იყო მცდარი.

მიზნის დაფარვა – ინფორმაციის დამახინჯება თაღლითური სქემის შესრულების მიზნით. ინფორმაციის დამახინჯებას ადგილი აქვს მტკიცებულებათა წარმოდგენისას, რაიმე ქმედების ან უმოქმედობის მიზეზით.

ნდობა – დამრღვევი მიზანმიმართულად ამახინჯებს ინფორმაციას, ხოლო დაზარალებული ენდობა ან მოქმედებს ამგვარ დამახინჯებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ნებაყოფლობითი მოქმედება – დაზარალებული ეხმარება დამრღვევს.

დანაშაულის დაფარვა – დანაშაულის ცოდნის ფაქტის დაფარვა ან აღკვეთა. დაფარვასთან დაკავშირებული თაღლითური სქემები მოიცავს შემდეგს:

- დანაშაული მეტად მცირეა იმისათვის, რომ დაზარალებულმა ის შეამჩნიოს. მაგალითად, გაფლანგვის შემთხვევაში ერთჯერადად აღებული თანხის რაოდენობა, ჩვეულებრივ, მცირეა მთლიან აქტივებთან შედარებით.

- კომპლექსური ფინანსური კვლევა. რაც უფრო ბუნდოვანია ქმედება, უფრო რთულია მისი გამოვლენა. მაგალითად, არსებობს თაღლითური ქმედებები, რომლის დროსაც დანაშაულის დაფარვის მიზნით გამოიყენებენ ყალბ დოკუმენტაციას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ფინანსური აუდიტის დროს აუდიტორმა აუდიტი უნდა დაგეგმოს არსებითი დამახინჯების ფაქტების გამოვლენისათვის საჭირო გონივრული მტკიცებულებების საფუძველზე, რომელსაც პირდაპირი და მატერიალური გავლენა აქვს ფინანსური ანგარიშგების თანხებსა და სხვა ფინანსური მონაცემების განსაზღვრაზე. ხოლო შესაბამისობის აუდიტის პროცესში ამოცანების განსაზღვრისას, აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს თაღლითობის, უკანონო ქმედებებისა თუ ხელშეკრულებების დარღვევის ფაქტების გავლენა და უზრუნველყოს მათზე შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება. როდესაც აუდიტორული ამოცანებისთვის მნიშვნელოვანია კანონმდებლობა, რეგულაციები, ხელშეკრულებები და დებულებები, აუდიტორებმა უნდა განსაზღვრონ აუდიტორული მიდგომები და პროცედურები იმისათვის, რომ მისაღებულ იქნეს დარღვევათა გამოვლენისათვის საჭირო გონივრული მტკიცებულება, რომლებსაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს აუდიტის შედეგებზე.

თაღლითობის გამოსავლენი ძირითადი აუდიტორული მიდგომებია:

- ✓ შიდა კონტროლის მექანიზმების შეფასება;
- ✓ ინფორმაციის დეტალური ანალიზი;
- ✓ პროფესიული სკეპტიციზმი.

შიდა კონტროლის მექანიზმების შეფასება გულისხმობს კონტროლის საერთო გარემოს შესწავლას, მენეჯერთა მუშაობის სტილის შეფასებასა და ორგანიზაციის შიგნით თანამშრომელთა ეთიკის, ჩართულობისა და კომპეტენციის შეფასებას, რაც ყველა სხვა კონტროლის კომპონენტების საფუძველს წარმოადგენს. შიდა კონტროლი არის პროცესი, რომელზედაც მოქმედებს ორგანიზაციის ზედამხედველობის ორგანო, მენეჯმენტი, ან სხვა თანამშრომელი, რომელიც იმის საფუძველზე მტკიცებულებას წარმოადგენს, რომ ორგანიზაციის ამოცანები მიღწეული იქნება. ეს ამოცანები და მათთან დაკავშირებული რისკები შესაძლოა კლასიფიცირდეს ერთ ან მეტ შემდეგ კატეგორიად:

- ოპერაციები – ოპერაციების ეფექტურობა;
- ანგარიშგება – შიდა და გარე მოხმარებისთვის საჭირო ანგარიშების სანდოობა;
- შესაბამისობა – მოქმედ კანონმდებლობასა და რეგულაციებთან შესაბამისობა;
- აქტივების დაცულობა – რესურსების დაცვა დაკარგვისგან გახარჯვის, ძალადობის, დარღვევის, შეცდომების და თაღლითობის მიზეზით.

ინფორმაციის დეტალური ანალიზის დროს უნდა მოხდეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მიღება. ამ ეტაპზე აუდიტორთა სამიზნეს უნდა წარმოადგენდეს დოკუმენტაციის მოგროვება ოპერაციების სრულად შესასწავლად.

პროფესიული სკეპტიციზმის დაცვისას აუდიტორთა წინაშე არსებული გამოწვევებია: სათანადო პროფესიული ზრუნვა, სათანადოდ შეფასებული შიდა კონტროლის მექანიზმები, სათანადო, საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მიღება, აუდიტის ობიექტის შესახებ კომპეტენტური ინფორმაციის მიღება. პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენება ხდება რისკის ფრთხილი და ზუსტი შეფასებისას. სკეპტიციზმის პერსონალური მახასიათებლებია:

- შეკითხვების არსებობა;
- ანალიზისა და კრიტიკული შეფასების უნარი;
- პრობლემის მოგვარების უნარი;
- ეთიკური და მორალური მსჯელობა;
- გადაწყვეტილების შეჩერების სურვილი;
- ცოდნის ძიების ტენდენცია;
- ავტონომიურობის გრძნობა;
- თვითშეფასებაზე დაფუძნებული ნდობა.

ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ხარისხისა და მოთხოვნათა გარემო პირობების ცვლილებების გათვალისწინებით, შესაბამისი პროფესიული სკეპტიციზმის გააზრება და შესაბამისობის გამოყენების შესაძლებლობა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებული პირისთვის, რომელიც მონაწილეობს ფინანსური ანგარიშგების პროცესში.

თაღლითობის ფაქტების პრევენციისათვის აუცილებელია ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის გამართული ფუნქციონირება. აუდიტორები ჩართულები არიან თაღლითობის ფაქტის აღმოჩენის საქმეში ფაქტის წარმოშობის შემდგომ, ხოლო მენეჯმენტი პასუხს აგებს თაღლითობის ფაქტის აღკვეთაზე ფაქტის წარმოშობამდე. აუდიტორებს შეუძლიათ გასწიონ რეკომენდაცია შესაბამისი შიდა საკონტროლო მექანიზმების შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობს თაღლითობის ფაქტების შესაძლებლობის მინიმიზაციას. სამწუხაროდ, აუდიტორები და მარეგულირებელი ორგანოები ხშირად ზედმეტ ყურადღებას აქცევენ არასწორ საკონტროლო კომპონენტების ასპექტებს, რომელშიც ხორციელდება გასაკონტროლებელი დონისიები (პროცედურები, დოკუმენტაცია და ა.შ.) და რომლებიც ორგანიზაციის წარმატების და თაღლითობის აღკვეთის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენს. შეუსაბამო აქცენტებმა შესაძლოა აიძულოს მენეჯერები, ყოველდღიურ საქმიანობებში გამოიყენონ ძლიერი, მაგრამ არასწორი პრევენციული საკონტროლო მექანიზმები, რაც ძირითადად ხელს შეუშლის ორგანიზაციის რეალური პრობლემების გამოსწორების მცდელობებს.

თაღლითობის თავიდან ასაცილებლად ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ უნდა განიხილოს თაღლითობის რისკფაქტორები. არ არის აუცილებელი თაღლითობის რისკის ფაქტორები მეტყველებდეს იმაზე, რომ არსებობს თაღლითობა, ისინი ხშირად წარმოდგენილია თაღლითობის წარმოშობის დროს. თაღლითობის რისკფაქტორები მოიცავს შემდეგს:

ინიციატივა/ზეწოლა – ხელმძღვანელობას ან სხვა თანამშრომლებს აქვთ ინიციატივა ან არიან ზეწოლის ქვეშ, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობის ჩადენის მოტივირებას.

შესაძლებლობა – არსებობს ვითარებები, რომლებიც ხელს უწყობს თაღლითობის ფაქტის მოხდენას, მაგალითად: საკონტროლო მექანიზმების არარსებობა, არაეფექტური საკონტროლო მექანიზმები ან ხელმძღვანელობის მიერ საკონტროლო მექანიზმების გაუთვალისწინებლობის შესაძლებლობა და სხვა.

დამოკიდებულება/რაციონალიზაცია – ჩართულ თანამშრომლებს შესწევთ უნარი, მოახდინონ ჩადენილი თაღლითობის რაციონალიზაცია. ზოგიერთ თანამშრომელს აქვს დამოკიდებულება, ხასიათი ან ეთიკური ღირებულებები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ, მიზანმიმართულად ჩაიდინონ არაკეთილსინდისიერი ქმედებები.

აუცილებელია, ხელმძღვანელობამ მოახდინოს მნიშვნელოვანი ცვლილებების იდენტიფიცირება, ანალიზი და მათზე რეაგირება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შიდა კონტროლის ეფექტური ფუნქციონირება, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეამცირებს თაღლითობის ფაქტებს.

პროფესიული თაღლითობის ფაქტები სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა ხდება არა მარტო ჩვენს რეალობაში, არამედ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სტატისტიკურად შემთხვევით აღმოჩენილი თაღლითობის ფაქტები უფრო ხშირია, ვიდრე შიდა აუდიტის, შიდა კონტროლის ან გარე აუდიტორების მიერ აღმოჩენილი შემთხვევები. აღნიშნული ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ორგანიზაციებს სჭირდებათ გააქტიურება კონტროლისა და აუდიტორული შემოწმებების დაგეგმვისა და განხორციელებისას თაღლითობის ფაქტის აღმოჩენის მიზნით. წარსულში, შიდა კონტროლის მექანიზმი იშვიათად გამოიყენებოდა აუდიტორების მიერ, დღეს კი ისინი დეტალურად მოწმდება, რადგან მდგრადი შიდა კონტროლის მექანიზმები ყველაზე ეფექტური ხელსაწყოა ორგანიზაციებში შეცდომებისა და თაღლითობების წინააღმდეგ. შიდა აუდიტის როლი თაღლითობის აცილებაში, გამოვლენასა და გამოძიებაში საკმაოდ დიდია. შიდა აუდიტორები მხარს უჭერენ მენეჯმენტის ძალისხმევას, დანერგონ კულტურა, რომელიც მოიცავს ეთიკასა და პატიოსნებას. ისინი ეხმარებიან მენეჯმენტს შიდა კონტროლისა და თაღლითობის რისკების ანალიზის შეფასებასა და თაღლითობასთან დაკავშირებულ გამოძიებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (Iშ).
2. აუდიტი და შიდა მიმოხილვა ACCA წიგნი 2.6.
3. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები.
4. აუდიტისა და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის სახელმძღვანელო – საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, თბილისი, 2010.
5. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“. თბილისი, 2010.
6. „სახელმწიფო სექტორში რისკების მართვის სახელმძღვანელო“ - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2011.

FRAUD PREVENTION, DETECTION AND INVESTIGATION IN AUDITING PROCESS

Summary

In accordance with international standards of audit, the notion of “fraud” means the intentional act of the enterprise’s management, employees or one or more representatives of the third party, which resulted in misstatement in the financial statements. For its part, misstatement in the financial statements means incorrect data reflection and their misrepresentation. The mentioned inaccuracies may result from fraud or errors. The difference between them is that fraud is an act, which may result from intentional misrepresentation of information in the financial statements, but the error is not intentional. There is also another type of fraud, which is associated with misappropriation of assets.

To prevent fraud, the leadership of an organization should consider the risk-factors for fraud. The fraud risk-factors do not have to point to the existence of fraud, often, they are represented at the time when fraud arises.

The management has to identify and analyze significant changes, as well as to respond to them, in order to ensure the effective functioning of the internal control.

In fact, it is very difficult to determine whether an act is intentional or not. Despite fact that an auditor may be in doubt, or he/she may even detect the fraud, according to international standards, he/she has to make clarification of legal nature whether the fraud was established or not. An auditor has to assess the risk associated with fraud and errors, detect and determine the likelihood of them.

Auditing for fraud detection is a process of identifying evidence of fraud, which includes the collection analysis of evidence to detect and prevent these cases.

The cases of professional fraud become increasingly significant problems not only in our reality, but in the developed world as well. It is unfortunate that cases of fraud detected by accident are more frequent than cases detected by internal auditing, internal control or by the external auditors. This confirms the assertion that anyway, the organizations need again to work better to plan actively the control and audits, for the purpose of detecting the fraud. In the past, the mechanisms of internal control have rarely been considered by the auditors, but today, they are checking in detail, because the mechanisms of a stable internal control are the most effective tools against the errors and frauds in the organizations.

ლეილა ღუღუშაური

საბანკო რისკების მართვის აქტუალური საკითხები

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია საბანკო რისკების მართვის თანამედროვე მეთოდოლოგია, რომელიც ემყარება საკრედიტო დაწესებულებების მიერ შესაძლო დანაკარგების შეფასების ერთიანი მიდგომების შემუშავებას საბანკო პორტფელის VaR მაჩვენებლების შეფასებისა და სტრესტესტირების პროცედურების გამოყენებით და ითვალისწინებს რისკვაქტორთა შეუზღუდავი რაოდენობის ერთდროულად გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ასეთი შეფასების ხარისხსა და ეფექტიანობას.

საკვანძო სიტყვები: საბანკო პორტფელი, VaR მაჩვენებლები, სტრეს-ტესტირება, სცენარების ანალიზი, რისკვაქტორთა შეფასება.

საკრედიტო ორგანიზაციებში რისკმენეჯმენტის საერთაშორისო და სამამულო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს რისკების შეფასების მარტივი და ეფექტიანი მეთოდოლოგიის შექმნის აქტუალობასა და აუცილებლობას. გარდა ამისა, აღნიშნული პრობლემის კვლევის მნიშვნელობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- კომერციულ ბანკებში რისკმენეჯმენტის ორგანიზაციისა და ჩატარების პროცედურების – საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებით;
- ბანკების ზედამხედველობისა და კაპიტალის საკმარისობის შეფასების – ბაზელის კომიტეტის შეთანხმებითა და მიდგომებით;
- საქართველოს საკრედიტო დაწესებულებებში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისობის აუცილებლობით;
- საკრედიტო დაწესებულებების კაპიტალისა და მოსალოდნელი დანაკარგების შეფასების საყოველთაოდ მიღებული კონცეფციისა და საკმარისად ფორმალიზებული მეთოდოლოგიის არარსებობით.

თანამედროვე ეტაპზე საკრედიტო ორგანიზაციები თავიანთი მოსალოდნელი დანაკარგების ანალიზისათვის ძირითადად იყენებენ ერთფაქტორულ მოდელებს, რაც ხშირად მოცემულ სიტუაციაში არაადეკვატური და გაუმართლებელი შეიძლება აღმოჩნდეს, ვინაიდან ერთფაქტორული

მოდელები რისკის რამდენიმე ფაქტორის ერთდროული ცვლილების გათვალისწინების საშუალებას არ იძლევა.

საბანკო რისკების ოპტიმალური მართვისათვის აუცილებელია საკრედიტო დაწესებულებების მიერ შესაძლო დანაკარგების შეფასების ერთიანი მიდგომების შემუშავება, რომელიც რისკ-ფაქტორთა შეუზღუდავი რაოდენობის ერთდროული ცვლილების გათვალისწინების საშუალებას იძლევა, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ასეთი შეფასების ხარისხსა და ეფექტიანობას.

საბანკო პორტფელის შესაძლო დანაკარგების შეფასებისა და მართვის ძირითადი მიმართულებები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. საბანკო პორტფელის შეფასება სტრესტესტირებისა და VaR მანევრებლების საფუძველზე

რისკების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს ერთდროულად წარმოშობილი დიდი მოცულობის ზარალის თავიდან აცილება, რომელმაც შეიძლება კატასტროფული შედეგი მოუტანოს საკრედიტო ორგანიზაციას. ასეთი რისკების შესაფასებლად გათვალისწინებულია **VaR** ანალიზის კონცეფციაზე დამყარებული მეთოდების, აგრეთვე სტრესტესტირების სხვადასხვა პროცედურების გამოყენება.

VaR (Value at Risk)⁷⁰ ანალიზის კონცეფციაზე დამყარებული რისკის შეფასების მეთოდები საშუალებას იძლევა განისაზღვროს საბანკო პორტფელის მოსალოდნელი მაქსიმალური ზარალი დადგენილი ალბათობით, მომავალში მიმდინარე საბაზრო ტენდენციების შენარჩუნების პირობით.

VaR ანალიზის კონცეფციისაგან განსხვავებით, სტრესტესტირების პროცედურები საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსალოდნელი ზარალის მაქსიმალური ოდენობა ისეთი ალბათური შემთხვევებისთვის, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდებიან მიმდინარე ეკონომიკურ ტენდენციებს და ამიტომ პროგნოზირებასაც ნაკლებად ემორჩილებიან.

საერთაშორისო და სამამულო პრაქტიკაში გამოიყენება საბანკო პორტფელის შეფასების **VaR** მანევრებლებისა და სტრესტესტირების სხვადასხვა მეთოდები. ანალიტიკოს ბანკირთა ძირითადი ნაწილი იყენებს ან ერთფაქტორულ, ან მსგავსი ტიპის რისკფაქტორულ მოდელებს. საბანკო პრაქტიკაში საკრედიტო და საბაზრო რისკების ფაქტორთა ერთდროული ანალიზის მოდელები იშვიათად გვხვდება. ასეთი სიტუაციის დროს საკრედიტო ორგანიზაციებს უჭირთ ადეკვატურად შეაფასონ (ან ხშირად საერთოდ ვერ აფასებენ) თავიანთი ფინანსური პორტფელის დანაკარგები სრულად, ვინაიდან ერთფაქტორული მოდელები რისკის რამდენიმე ფაქტორის ერთდროული ცვლილების გათვალისწინების საშუალებას არ იძლევა.

2. რისკფაქტორთა იდენტიფიკაცია, ანალიზი და შეფასების მეთოდები

რისკების შეფასების მეთოდები ეყარება საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობაზე მოქმედი სხვადასხვა რისკფაქტორთა შესაძლო ცვლილებების დეტალურ და ფუნდამენტურ ანალიზს. როგორც წესი, საკრედიტო ორგანიზაციის რისკმენეჯმენტი რისკების საიდენტიფიკაციოდ საბანკო პორტფელის სტრუქტურის დეტალურ ანალიზს ახორციელებს. ამ დროს ვლინდება რისკების ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც უშუალო ზეგავლენას ახდენენ როგორც მთელ საბანკო პორტფელზე, ასევე მის ცალკეულ შემადგენელ სტრუქტურულ ნაწილზე. ასეთი ფაქტორები, ჩვეულებრივ, მოიცავს საკრედიტო და საბაზრო რისკების სხვადასხვა კომპონენტებს.

საკრედიტო რისკის ფაქტორის სახით, როგორც წესი, გამოიყენება უცხოური სარეიტინგო სააგენტოების შეფასება ან საკრედიტო ორგანიზაციების მიერ ბანკის ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის კონტრაგენტების (შიდა რეიტინგების) შიდასისტემური ანალიზის საფუძველზე მიღებული შეფასებები. თავის მხრივ, საბაზრო რისკის ფაქტორის ქვეშ იგულისხმება საფონდო, სავალუტო და საპროცენტო რისკების სხვადასხვა ფაქტორები (ფასიანი ქაღალდებისა და ვალუტის კურსები, საპროცენტო განაკვეთები და ა. შ.). ფინანსურ ინსტრუმენტზე რისკ-ფაქტორების გავლენის შესაფასებლად გამოიყენება სიდიდე, რომელიც ასახავს ფინანსური ინსტრუმენტის ფარდობით ცვლილებას (ღირებულების ზრდას), გამოწვეულს შესაბამისი რისკფაქტორის მნიშვნელობის ცვლილებით, რასაც არითმეტიკულ „შემოსავლიანობასაც“ უწოდებენ და განსაზღვრავენ შემდეგი ფორმულით [Синки Дж., 2007: 22]:

$$r = \frac{A_{t+1} - A_t}{A_t}$$

სადაც **t** – ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება **t** დროისათვის; **A_{t+1}** – ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება **t+1** დროისათვის.

⁷⁰ Value at Risk (VaR) meTodi pirvelad iqna ganxiluli naSromSi - CreditMetrics Tehnical Document. Gupton, Greg M., Cristofer C. Finger and Mickey Bhatia. New York: J. P. Morgan and Co. Incorporated, 1997.

3. VaR მაჩვენებელთა შეფასება

VaR მაჩვენებელი, გამოხატული საბაზო ვალუტაში, წარმოადგენს ზარალის შეფასების მაჩვენებელს, რომელსაც განსაზღვრული ალბათობით (ნდობითი ალბათობით) არ გადააჭარბებს საბანკო პორტფელის მოსალოდნელი ზარალი გარკვეული პერიოდის (დროითი პერიოდის) განმავლობაში, საბაზრო კონიუნქტურის არსებული მაკრო და მიკროეკონომიკური ტენდენციების შენარჩუნების პირობებში. ნდობითი ალბათობა, ჩვეულებრივ, რისკმენეჯმენტის მიერ შეირჩევა რისკის მიმართ დამოკიდებულების ხარისხის მიხედვით, რომელიც ასახულია საზედამხედველო ორგანოების მარეგლამენტირებულ დოკუმენტებში ან მიღებულია კორპორაციულ პრაქტიკაში. მაგალითად, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი რეკომენდაციას უწევს, გამოყენებულ იქნეს ნდობითი ალბათობის 99%-იანი დონე [Basel, 2001:37]. **VaR** მაჩვენებელთა ანალიზის დროითი პერიოდები განისაზღვრება დროის ისეთი პერიოდით, რომლის განმავლობაში საბანკო პორტფელი მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის [Henley M., 2000: 45-61].

VaR მაჩვენებელთა შეფასებისას გაითვალისწინება ორი ძირითადი მიდგომა: *პირველი* მათგანი ეფუძნება რისკფაქტორების მნიშვნელობათა გამოთვლის *ანალიტიკური აპროქსიმაციის ფუნქციას*, რაც ანალიზის გამარტივებული მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. აღნიშნული მიდგომის ჩარჩოში გამოიყენება **VaR** მაჩვენებელთა შეფასების *დელტა ნორმალური მეთოდი*. მეორე მიდგომა ემყარება რისკფაქტორების მნიშვნელობათა უშუალო გაანგარიშებას. ამ მიდგომის ჩარჩოში გამოიყენება *ისტორიული მოდელირების მეთოდი (Back testing)* წინა პერიოდებში რისკ-ფაქტორების მნიშვნელობათა გათვალისწინების საფუძველზე, აგრეთვე, *სტოქასტიკური მოდელირების მეთოდები (მონტე-კარლო)*, რომელშიც რისკ-ფაქტორების მნიშვნელობების მოდელირება შემთხვევითი რიცხვების გადამცემის საშუალებით ხორციელდება.

4. სტრესტესტირება

სტრესტესტირების პროცედურა შეიძლება განისაზღვროს, როგორც საკრედიტო ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე რისკფაქტორებში მიმდინარე მთელი რიგი ცვლილებების პოტენციური ზემოქმედების შეფასება, რომლებიც შეესაბამება განსაკუთრებულ, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ რეალურ შემთხვევებს და, რომელთა პროგნოზირებაც შეუძლებელია ისე, როგორც, მაგალითად, **VaR** მეთოდოლოგია ითვალისწინებს. ერთ-ერთ ძირითად ანალიტიკურ ინსტრუმენტს, რომელიც გათვალისწინებულია საკრედიტო ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური კონიუნქტურის შესაძლო მოულოდნელი ცვლილებებით გამოწვეული პოტენციური დანაკარგების შესაფასებლად, წარმოადგენს საბანკო პორტფელის ფინანსური შედეგების სტრესტესტირება, რომელმაც საერთაშორისო საფინანსო პრაქტიკაში ფართო გავრცელება პოვა.

საბანკო პრაქტიკაში სტრესტესტირების სხვადასხვა მეთოდიკა გამოიყენება. თანამედროვე ეტაპზე ყველაზე გავრცელებულს *სცენარების ანალიზი* წარმოადგენს. ის საშუალებას იძლევა შეფასდეს საკრედიტო ორგანიზაციაზე რიგი რისკფაქტორების ერთდროული ზემოქმედების პოტენციური შედეგები. ამ მიდგომის დროს რისკფაქტორთა შესაძლო ერთდროული ცვლილებების სცენარები ფორმირდება ან უკვე წარსულში მომხდარი ისტორიული მოვლენების, ან ჰიპოტეზური მოვლენების საფუძველზე, რომლებიც შეიძლება მომავალში წარმოიშვას. მაქსიმალური დანაკარგების შეფასებისას განისაზღვრება რისკფაქტორთა რამდენიმე მნიშვნელობის შესაძლო კომბინაცია, მათი დინამიკის ნეგატიური მიმართულებანი, რომლებსაც პოტენციურად შეუძლიათ მაქსიმალური ზარალი მიაყენონ საკრედიტო ორგანიზაციას.

სცენარების ანალიზი საშუალებას იძლევა, შეფასდეს არა მარტო მაქსიმალურად შესაძლო დანაკარგები, არამედ ჩატარდეს საბანკო პორტფელის ფინანსური შედეგების მგრძობელობის ანალიზი რისკფაქტორთა მნიშვნელობების ცვლილებების მიმართ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ანალიზის შედეგები ძირითადად მოკლევადიანი ხასიათისაა. მგრძობელობის ანალიზით ფასდება საკრედიტო ორგანიზაციის პორტფელზე იმ მოვლენების ზემოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია ერთ-ერთი კონკრეტული რისკფაქტორის მნიშვნელობის ცვლილებასთან (მაგალითად, ვალუტის კურსის ზრდა/შემცირება; საპროცენტო განაკვეთების ზრდა/შემცირება; საბაზრო ინდექსების ზრდა/შემცირება და ა. შ.).

ამრიგად, საბანკო რისკმენეჯმენტის კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია ორიენტირებულია საბანკო პორტფელის შესაძლო დანაკარგების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტაზე, სახელდობრ:

➤ რისკფაქტორების ცვლილებების შეფასება და მათი სტატისტიკური ურთიერთკავშირის გამოვლენა-დადგენა. რისკის მოცემული ფაქტორების ცვლილებებისადმი საბანკო პორტფელის ფინანსური მგრძობელობის ანალიზის განხორციელება;

➤ საბანკო პორტფელის ფინანსური შედეგების **VaR** მაჩვენებლების შეფასება, როგორც მისი ცალკეული ინსტრუმენტების, ასევე მთელი პორტფელის მიხედვით. VaR მაჩვენებლების შესა-

ფასებლად ანალიზის სამი ძირითადი მეთოდის: *დელტა-ნორმალური, ისტორიული მოდელირების და სტოქასტიკური მოდელირების (მონტე-კარლო)* გამოყენება;

➤ ბექტესტირების ჩატარება საბანკო პორტფელის ფინანსური შედეგებისა და მისი შემადგენელი ნაწილების **VaR** მაჩვენებლების შეფასების საფუძველზე;

➤ საბანკო პორტფელის ფინანსური შედეგებისა და მისი შემადგენელი ნაწილების სტრესტესტირების სხვადასხვა პროცედურების ჩატარება *სცენარების ანალიზის* ან სხვა მეთოდების გამოყენებით.

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის თავისებურებას წარმოადგენს საკრედიტო, საფონდო, სავალუტო და საპროცენტო რისკვაქტორების საკმაოდ ეფექტიანი, ინტუიციურად ჩამოყალიბებული მოდელები, აგრეთვე მათი ერთდროული აღრიცხვის შესაძლებლობა საბანკო პორტფელში მისი სტრუქტურის ნებისმიერი ხარისხის დეტალიზაციის გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Синки Дж.. Финансовый менеджмент в коммерческом банке и в индустрии финансовых услуг. Перевод с английского. INEC-Алпина Бизнес Букс. Москва, 2007, гв. 22.
2. Basel Committee on Banking Supervision. Principle for the management and supervision of interest rate risk. Consultative document. 2001 January, гв. 37.
3. Basel Committee on Banking Supervision. Principle for the management of credit risk. Consultative document. 2000 September.
4. Henley M. Integrated risk management. London, LLP, 2000, гв. 45-61.
5. CreditMetrics Tehnical Document. Gupton, Greg M., Cristofer C. Finger and Mickey Bhatia. New York: J. P. Morgan and Co. Incorporated, 1997.

Leila Ghudushauri

CURRENT BANKING RISK MANAGEMENT ISSUES Summary

In recent years, the banking system has undergone rapid changes both within the country and outside the country, resulting in a rise in complex risks associated with banking operations, which differ from time to time, as well as quality and influence. Therefore, it is important to consider the risks as a whole, a change in risk, as a rule affects other risks. This makes it difficult to assess the specific risk, optimal decision often requires deeper analysis and consideration of additional risk factors.

Risk research should be distinguished by two main directions: 1. determining the risk level and assessment and 2. decision making in the risk area. To assess the risks it is recommended to use methods based on the concept of **VaR** analysis (*delta normal, historical modeling and stochastic modeling (Monte Carlo)*) as well as various *stress testing* procedures.

Methods of risk assessment based on the concept of VaR analysis allow the maximum possible loss of the banking portfolio with the probability established by the current market trends in the future.

Unlike the concept of VaR analysis, stress testing procedures allow you to estimate the maximum amount of expected losses for probable cases that are not directly related to the current economic trends and therefore are less likely to predict. The most common method of stress testing in banking practice is the *analysis of scenarios* in the modern stage.

Effectively managing risks, the management of the bank can improve the cost of the assets, receive information about possible bank damage in the future, improve access to information and processes for system solutions based on access to information, use a more accurate base of the bank's performance assessment, as well as assess the risks that are characteristic of the bank's relatively complex tools or business activities and create a healthy infrastructure that will strengthen the bank's competitiveness.

ხათუნა შალამბერიძე

საბანკო კონკურენციის სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი საქართველოში

ანოტაცია. საქართველოში საბანკო საქმიანობა მნიშვნელოვნად საჭიროებს ისეთ რეგულირებას, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი და საკმარისი კონკურენციის პირობების შექმნას, რაც ქვეყნის საბანკო სექტორის ეფექტიანი განვითარების გარანტიაა. საბანკო სისტემის მღვრადობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია კონკურენციის დონის არსებობა. დღეს იგი

საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა, რამდენადაც კონკურენცია საბანკო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და პროგრესული განვითარების აუცილებელი ელემენტია.

საკვანძო სიტყვები: საბანკო კონკურენციის საკანონმდებლო-სამართლებრივი სივრცე; ინსტიტუციური უზრუნველყოფა; მეთოდური რეკომენდაციები.

შესავალი

საქართველოს საბანკო სექტორი ორ ათეულ წელზე მეტია ფუნქციონირებს და ვითარდება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მან უკვე მოასწრო მოთხოვნების მიმართ ადაპტირება და გამოიმუშავა საბანკო საქმიანობის არასასურველი შედეგებისა და შეცდომებისაგან თავის დაზღვევის მექანიზმები და ღონისძიებები. მაგრამ კრიზისული სიტუაციები ქვეყანაში ხშირად გამოავლენს განუსაზღვრელობის პრობლემებს საბანკო სექტორის ფუნქციონირებაში, რასთან დაკავშირებითაც იგი განიცდის სირთულეებს შემდგომ განვითარებაში. საბანკო ინფრასტრუქტურის განვითარების რეგიონული უთანაბრობა და განსხვავება ცალკეული ტერიტორიების საბიუჯეტო-საგადასახადო პოტენციალში იწვევს ქვეყნის საბანკო სექტორის მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხის გამწვავებას. ამასთან დაკავშირებით, ბანკთაშორისი კონკურენციის ეროვნული თავისებურებების განსაზღვრა და მათი სრულყოფის მიმართულებების გამოკვეთის აუცილებლობა ადასტურებს საკვლევი თემატიკის ინტერესსა და აქტუალობას.

საბანკო კონკურენცია არის ბანკებს შორის მეტოქეობის პროცესი, რომელიც განპირობებულია განსაზღვრულ ბაზარზე მოგების წყაროებისა და ზრდის შესაძლებლობების შეზღუდულობით და მიმართულია მათ გადანაწილებაზე ყველაზე მეტად ეფექტიანი ბანკების სასარგებლოდ. ფაქტობრივად, ეს განსაზღვრება ასახავს კონკურენციის წინაპირობასაც – განვითარებისათვის შესაძლებლობების შეზღუდულობა, მის შედეგაც – ყველაზე ეფექტიანი ბანკების ბუნებრივი შერჩევა, და მის დინამიურობასაც – რესურსების მუდმივი გადანაწილება. კონკურენციის სფეროებისაგან დამოკიდებულებით, გამოიწვეულია ცნებები “შიდა და საერთაშორისო” საბანკო კონკურენცია და ბანკების “ეროვნული და საერთაშორისო” კონკურენტუნარიანობა.

საყოველთაოდ აღიარებული მიდგომისაგან განსხვავებით, საერთაშორისო საბანკო კონკურენცია განხილულია, როგორც კონკურენცია ეროვნულ და უცხოურ ბანკებს შორის ეროვნულ ბაზრებზე. საერთაშორისო კონკურენცია გამოვლინდება ეროვნულ ბაზრებზე ტრანსსასაზღვრო ოპერაციების ან ფილიალებისა და უცხოური შვილობილი ბანკების ოპერაციების ფორმით. ეროვნული კონკურენტუნარიანობის ქვეშ გაგებულია ცალკეული ქვეყნების ბანკების უნარი, კონკურირება გაუწიონ უცხოურ ბანკებს ეროვნულ ბაზარზე. მისგან განსხვავებით, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა მდგომარეობს ეროვნული ბანკების უნარში, კონკურირება გაუწიონ უცხოურ ბანკებს საზღვარგარეთულ ბაზრებზე.

ბანკების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა, თავის მხრივ, წარმოდგენილია ორგვარად: საზღვარგარეთულად და უცხოურად. საზღვარგარეთულ კონკურენტუნარიანობაზე საუბრისას მხედველობაში მიიღება ეროვნული ბანკების უნარი, კონკურენცია გაუწიონ უცხოურ ბანკებს უცხოურ ბაზრებზე რეზიდენტი კლიენტების საერთაშორისო ოპერაციების მომსახურებისას. ხოლო, უცხოურ ბანკებთან კონკურირების უნარი არა მხოლოდ რეზიდენტი კლიენტების ეროვნულ ბაზარზე მომსახურებისას, არამედ უცხოელი კლიენტების უცხოურ ბაზარზე მომსახურების დროსაც წარმოქმნის უცხოურ კონკურენტუნარიანობას – საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის განვითარების უმაღლეს ხარისხს.

საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის განვითარების ხანმოკლე ისტორიის ანალიზით დადგენილია, რომ კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური რეგულირებისათვის სამართლებრივი და ორგანიზაციული ბაზის მშენებლობა არათანამიმდევრულობით, წყვეტილობითა და წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა. ისევე, როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, საქართველოშიც კონკურენციული პოლიტიკა, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის სრულიად ახალი მიმართულება, გარკვეული ობიექტური პრობლემებისა და არსებული წინააღმდეგობების ფონზე ვითარდებოდა, რასაც კიდევ უფრო ართულებდა 90-იან წლებში ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. 2000-იანი წლების დასაწყისში, ნაცვლად კონკურენციული პოლიტიკის განვითარებისა და საერთაშორისო ნორმებთან მიახლოებისა და ანტიმონოპოლიური სამსახურის სტატუსის გაძლიერებისა, თანდათან გამოიკვეთა ზოგადი კონკურენციული კანონმდებლობის დარგობრივი ნიშნით ფრაგმენტაციისა და იმ დროს მოქმედი ანტიმონოპოლიური სამსახურის დასუსტების მცდელობა. ამრიგად, ანტიმონოპოლიური რეგულირების ოცდაოთხწლიანი პერიოდის დიდი მონაკვეთი გამოირჩევა ქვეყნის ხელისუფლების მიერ კონკურენციული პოლიტიკის როლისა და მნიშვნელობის არასრულფასოვანი დამოკიდებულებით და კანონისა და

აღმასრულებელი ინსტიტუტის ფორმალური არსებობით. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განვითარების აღნიშნული პერიოდის განმავლობაში იყო გარკვეული წარმატებებიც როგორც საკანონმდებლო ბაზის, ასევე ინსტიტუციური განვითარებისა და კანონმდებლობის აღსრულების პროცესში. ამასე მიუთითებს როგორც ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობის ამსახველი მასალები, ასევე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ უცხოელი ექსპერტის შეფასებაც.

საბანკო კონკურენციის რეგულირების ქართული გამოცდილების დაკვირვების საფუძველზე გაირკვა, რომ კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფი საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზის გაფართოება კომერციულ ბანკებს აიძულებს, უფრო ქმედითი ნაბიჯები გადადგან მომხმარებლებისაკენ. აქ იგულისხმება როგორც საბანკო მომსახურების ხარისხი, ასევე მისი მიწოდების გეოგრაფია და ცალკეული საბანკო პროდუქტის ხელმისაწვდომობა. საქართველოს საბანკო სექტორის კონკურენტული გარემოს განმაზოგადებელი მაჩვენებლების ანალიზით დადგენილია, რომ რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის პრინციპების გათვალისწინებით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში სულ უფრო მეტი დრო ეთმობა ბანკების მომგებიანობის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვას. ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორცაა მასშტაბის ეფექტი, ბაზრის ნიშის ან სხვა კონკურენტული უპირატესობის არსებობა და საპროგნოზო საკრედიტო დანაკარგების შეძლებისდაგვარად შეფასება.

საქართველოს საბანკო სისტემაში წარმოდგენილია მსოფლიოში ბევრი კარგად ცნობილი ბანკი თუ სხვა საფინანსო ინსტიტუტი. აღსანიშნავია, რომ ქართული ბანკების კაპიტალის 86%-ის მფლობელები უცხოელი ინვესტორები არიან. ხშირ შემთხვევაში მსხვილი სესხები გაიცემა მშობეული კომპანიების გარანტიებით და ზოგჯერ სრულად თუ ნაწილობრივ მათ მიერ ფინანსდება. საკმაოდ ხშირია კონკურენტი ბანკების მიერ სხვა ბანკებიდან კლიენტების გადმოზიდვის ფაქტები სესხების რეფინანსირების გზით. ეს ფაქტორი კიდევ უფრო გამწვავდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინსწრებით დაფარვის საკომისიოს 2%-იანი ზედა ზღვარის დაწესების შემდეგ. ეს თვალშისაცემია გამაფრებელი სარეკლამო კამპანიებითაც: სესხების პორტირება, სამი თვის პროცენტი სანუქრად და სხვა.

კონკურენციას ხელს უწყობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი, რითაც შესაძლებელი გახდა სესხისა და დეპოზიტის რეალური, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის სხვადასხვა ბანკებში შედარება. კონკურენციის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს სინდიცირებული სესხების თითქმის არარსებობაც, რაც საკმაოდ ხშირია სხვა ქვეყნებში. სწორედ კონკურენცია იწვევს მარკეტინგის მაღალ ხარჯებს, რაც ასევე თვალში საცემია ჩვეულებრივი მოქალაქისათვის. ამ ხარჯებმა წინა წლებში გადასახადებამდე წმინდა მოგების 9%-ს, ხოლო მთლიანი შემოსავლების თითქმის 3%-ს მიაღწია. საქართველოს ეკონომიკის დაკრედიტების საკმაოდ დაბალი დონის მიუხედავად, სესხის მომსახურების ტვირთი თითოეულ მსესხებელზე საკმაოდ მძიმეა, რასაც მაღალი საპროცენტო განაკვეთები და მოკლე ვადიანობები განაპირობებს. ყოველივე ეს კი, სესხის ყოველთვიურ შენატანს ზრდის. ვადიანობის ზრდა მაღალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში აზრს კარგავს, რადგან ვადიანობის მიუხედავად, ყოველთვიურ შენატანში დიდია და არ იცვლება პროცენტის წილი, ხოლო ძირითადი თანხა უმნიშვნელოდ მცირდება. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთების შემცირება სასურველია არა მარტო საერთო ეკონომიკური განვითარებისათვის, არამედ აუცილებელი წინაპირობაა თვით ბანკების შემდგომი ზრდის მისაღწევად. საქართველოში, მაღალი საკრედიტო რისკებიდან გამომდინარე, რისკების მართვის ფუნქციის გაძლიერება ბანკების მხრიდან რაციონალური და მოსალოდნელი ნაბიჯია. რისკების მართვის განვითარების წასახალისებლად აქტიურად მუშაობს სებ-იც, რაც, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპების მზარდი გამოყენებით გამოიხატება.

საბანკო სექტორში კონკურენტული სივრცის შექმნა და გაფართოება პირდაპირ უკავშირდება კონკურენციის შესახებ საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის გაუმჯობესებას. ხელისუფლების მთავარი გამოწვევა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაიხვეწოს საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ საბანკო კონკურენციის რეგულირებაზე. ამასთან დაკავშირებით, გარკვეული ამოცანები დგება საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე, მისი მარეგულირებელი და საზედამხედველო როლის გააქტიურების თვალსაზრისით. საბანკო კონკურენციის სფეროში არსებული კანონმდებლობის შესწავლის საფუძველზე შეიძლება გამოიკვეთოს, რომ არსებული საკანონმდებლო ნაკლოვანებების გათვალისწინებით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა, სასურველია, შეიმუშაონ და მიიღონ საბანკო სფეროში კონკურენციის სრულყოფის უზრუნველყოფი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მთელი კომპლექსი, შესწორებები შეიტანონ უკვე არსებულ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთისა და რეგულირების პრობლემატიკის უფრო სრულად მოცვის მიზნით. ასევე დასახვეწია არსებული კანონი “კონკურენციის შესახებ”, რომელშიც გაითვალისწინება თანამედროვე მსოფლიო გამოცდილება და რომელიც მაქსიმალურად დაუახლოვდება ევროკავშირის საკონკურენციო კანონმდებლობას და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებს კონკურენციის სფეროში.

საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის ინსტიტუციური და სტრუქტურული მოწყობის არაეფექტურობა საჭიროებს საბანკო სისტემის ფუნქციონირებაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს კონკურენტული საბანკო გარემოს ფორმირების ინსტიტუციურ უზრუნველყოფას. საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების ორგანოებს უნდა შესწავლეთ უნარი, განახორციელონ სისტემური დაკვირვება და ანალიზი საბანკო სექტორის ფუნქციონირებაზე მთლიანობაში, აკონტროლონ მაკროეკონომიკური გარემოს გავლენა ფულად-საკრედიტო სფეროზე და ამ უკანასკნელის ზემოქმედების ხარისხი წარმოების განვითარებაზე, ყველაზე ადრეულ სტადიაზე გამოავლინონ საბანკო სექტორში წარმოქმნილი პრობლემები და შეაფასონ ეროვნული ბანკისა და მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგები, ჩამოაყალიბონ პოზიცია საბანკო რეგულირების ინსტრუმენტების გამოყენების მიზანშეწონილობასა და დროულობაზე.

ბანკების შეფასებისათვის გამოიყენება განსხვავებული მაჩვენებლების ერთობლიობაზე დაფუძნებული სხვადასხვა სახის რეიტინგები. ასეთი რეიტინგები ბანკებს აფასებს სამი ძირითადი მიმართულებით: საიმედოობა, ფინანსური მდგრადობა და კრედიტუნარიანობა. თუმცა, დღეისათვის, ბანკის სტაბილურობის ყველაზე უფრო მეტად საჯარო და გავრცელებულ კრიტერიუმს წარმოადგენს სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგები. საკრედიტო რეიტინგები ინფორმაციას აწვდის კრედიტორს ან ინვესტორს დაბანდებული საშუალებების რისკიანობაზე. ბანკისათვის რეიტინგი გავლენას ახდენს კაპიტალის წოდებაზე და განსაზღვრავს მის ღირებულებას. მენეჯმენტისა და საზოგადოებისათვის საკრედიტო რეიტინგები გამოიყენება, როგორც მოცემული ბანკის წარმატებულობის ინდიკატორი. გამოყენებული მაჩვენებლების სიმრავლის მიუხედავად, საკრედიტო რეიტინგები, უმთავრესად, ფოკუსირდებს ფინანსური მდგომარეობის შეფასებაზე, მაშინ როდესაც კლიენტთა მოლოდინებსა და მოთხოვნილებებს არასათანადო ყურადღება ეთმობა. რეიტინგის შედგენის პროცესში გამოიყენება ინფორმაციის დიდი რაოდენობა, რომელიც მიუწვდომელია ფართო საზოგადოებისათვის, მისი შერჩევისა და დამუშავების მეთოდოლოგია იშლება სრული მოცულობით, ანალიტიკოსების დასკვნები და წინადადებები კი ყოველთვის შესაძლებელი არ არის ინტერპრეტირდეს როგორც კონკურენტული უპირატესობა ან ნაკლოვანება. ასევე, ყველა ბანკი ვერ იყენებს სარეიტინგო სააგენტოების მომსახურებას. ეს მიზეზები განაპირობებს ბანკების კონკურენტუნარიანობის შეფასების მეთოდის შემუშავების აუცილებლობას, რომელმაც უნდა უპასუხოს შემდეგ მოთხოვნებს: გაითვალისწინოს ბანკის უნარი, დააკმაყოფილოს კლიენტის მოთხოვნილებები და მოთხოვნები; გამოიყენოს უპირატესად საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია; დაეყრდნოს უპირატესად შეფარდებით მაჩვენებლებს და მათ საშუალო საბაზრო მნიშვნელობებს, რაც შეესაბამება კონკურენტუნარიანობის შეფარდებით ბუნებას და იძლევა ბაზრის განვითარების თავისებურებებისა და ტენდენციების გათვალისწინების საშუალებას; იყოს სტრუქტურული, რათა შესაძლებელი გახდეს მსჯელობა არა მხოლოდ კონკურენტუნარიანობის დონეზე, არამედ ასევე კონკურენტულ უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე.

ბანკის კონკურენტუნარიანობის შეფასებისას მთავარი აქცენტი ეთმობა ორ საკვანძო საკითხზე: კლიენტთა ღირებულებასა და ფინანსურ მდგრადობაზე. კლიენტთა ღირებულების ქვეშ, როგორც წესი, იგულისხმება მათი ერთგულება ბანკისადმი, ანუ მტკიცე კავშირების არსებობა, უპირატესად მისი მომსახურებით სარგებლობა. თუმცა, თუ გამოვალთ პოსტულატიდან, რომ კლიენტების მაღალი ღირებულება დამოკიდებულია მოცემულ ბანკში მომსახურების მიმხედველობაზე (მომსახურების ხარისხი, ფასი, იმიჯი და ა.შ.), მაშინ ყოველთვის არსებობს კლიენტების მიგრაციის ალბათობა იმ ბანკში, რომელსაც გააჩნია უკეთესად მომსახურების უზრუნველყოფის უნარი და, მაშასადამე, უფრო მაღალი ღირებულება. ამრიგად, ღირებულება, როგორც კონკურენტუნარიანობის ფაქტორი, განაპირობებს აგრეთვე ახალი კლიენტების მოზიდვის ალბათობას.

ბანკის კონკურენტუნარიანობის შეფასების მეორე მეთოდიკა – ბანკის ფინანსური მდგრადობა, წარმოადგენს ბაღურ რეიტინგულ მეთოდს. ბანკის კონკურენტუნარიანობის ყოველი ფაქტორის, სუბფაქტორისა და კრიტერიუმისათვის გამოიყოფა ხუთი დონე. უფრო მაღალი რანგის შემადგენელთა შეფასება გამოითვლება როგორც უფრო დაბალი თანრიგის შემადგენელთა შეწონილ შეფასებათა ჯამი. ამ მეთოდის გამოყენება ქართული ბანკების კონკურენტუნარიანობის შეფასებისათვის შესაძლებლობას იძლევა, გამოვლინდეს კონკურენტი-ბანკების ჯგუფების ძლიერი და სუსტი მხარეები, შეფასდეს საქართველოს საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობის თანამედროვე მდგომარეობა და განისაზღვროს მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები.

დასკვნა

ამრიგად, კონკურენცია ყოველთვის ბრძოლაა ბაზარზე საუკეთესო მდგომარეობის მისაღწევად. კონკურენტული ბრძოლის პროცესში ბანკები იძენენ ზოგიერთ კონკურენტულ უპირატესობას. ბანკების კონკურენტული უპირატესობის ქვეშ იგულისხმება მათი უაღრესად მაღალი

მიღწევები საქმიანობის შერჩეულ მიმართულებაში მეტოქეთა მიღწევებთან შედარებით, რომელიც აღიარებულია მოცემული სუბიექტის გარემოცვით საბანკო ბიზნესში.

საბანკო სექტორში კონკურენტული სივრცის შექმნა და გაფართოება პირდაპირ უკავშირდება კონკურენციის შესახებ საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის დახვეწას. ხელისუფლების მთავარი გამოწვევა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაიხვეწოს საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს საბანკო კონკურენციის რეგულირებაზე.

კონკურენტული უპირატესობა შეიძლება გამოქვეყნდეს მხოლოდ ბანკის გარესამყაროსთან ურთიერთქმედებაში და იგი ერთდროულად გამოდის როგორც კონკურენტული მეტოქეობის მიზანი და ინსტრუმენტი. კონკურენტული უპირატესობა ქმნის კონკურენტუნარიანობას – სხვა თანაბარ პირობებში, ბაზრის სხვა მონაწილეებთან წარმატებით კონკურირების უნარს. კონკურენტუნარიანობას შეიძლება ფლობდეს საბანკო პროდუქტი – მომსახურება, თვით ბანკი და საბანკო სისტემა მთლიანად.

ფაქტორების, სუბფაქტორების, კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების სისტემატიზაციის საფუძველზე წარმოდგენილია ბანკის კონკურენტუნარიანობის შეფასების მოდიფიცირებული მეთოდიკა, რომლითაც შესაძლებელი ხდება კონკურენტი-ბანკების ჯგუფების ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება, მათი კონკურენტუნარიანობის თანამედროვე მდგომარეობისა და სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგოხია მ., “საბანკო საქმე”, თბილისი, 2007.
2. კოუზანაძე ი., კონტრიძე გ., “თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა”, თბილისი, 2014.
3. მოსიაშვილი ვ. ლომაძე ფ., ქოქოსაძე ფ., “საბანკო საქმე”, თბილისი, „დონი“, 2009.
4. სულამანიძე კ., “ახალი საბანკო პროდუქტების დანერგვის პროცესში რისკების მართვის კონტროლისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი”, თბილისი, 2010.
5. სილაგაძე ნ., ავტორეფერატი “საბანკო სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში”, თბილისი, 2012.
6. ქოქიაური ლ., „საბანკო საქმიანობის საფუძველები“ თბილისი, „პოლიგრაფი“, 2012.
7. ცაავა გ., “საბანკო საქმე”, თბილისი, „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“, 2005.
8. www.nbg.gov.ge
9. www.geostat.ge
10. www.lari.ge
11. www.statistics.ge

Khatuna Shalamberidze

BASIC DIRECTIONS OF IMPROVING THE BANKING COMPETITION IN GEORGIA

Summary

Banking activity in Georgia requires a regulation that will ensure fair and workable competition conditions that guarantee the effective development of the country's banking sector. The existence of a competitive level of sustainability of the banking system is a very important problem today, since the civilized competition is an essential component of the banking system's efficient functioning and progressive development.

იზოლდა ჭილაძე

მოგების გადასახადის ახალი მოდელი საქართველოში და მისი აღრიცხვის საკითხები

ანოტაცია. სტატიაში კვლევის საგანია მოგების გადასახადის ახალი მოდელი, რომელიც საქართველოში 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა, და მისი აღრიცხვის შესაბამისი საკითხები. ამ მოდელის თანახმად, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება. ამდენად, რეინვესტირებული მოგება არ იბეგრება.

ავტორის აზრით, საწარმოში არაპირდაპირ იძულების წესით მოგების რეინვესტირება პანაცეა ვერ იქნება, რადგან, ჯერ ერთი, მოგების რეინვესტირება არც აქამდე არ იყო აკრძალული და მეორეც, მოგების გადასახადის განაკვეთი 15% იმდენად მაღალი არ არის, რომ მესაკუთრემ დივიდენდზე უარი თქვას და მესამე, სამწუხაროდ, საქართველოში, ხშირ შემთხვევაში, გადასა-

ხადების გადახდის აუცილებლობის თვითშემეცნების კულტურის დონეც დაბალია. ამიტომ, დამატებით საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ყველა ტიპის საწარმოსთვის დაკანონდეს მოგების მინიმალური პროცენტული ზღვარი (30%), რომლის რეინვესტირება აუცილებლად განხორციელდება. ზედა ზღვარი დამოუკიდებლად საწარმოებმა გადაწყვიტონ;

- საწარმოებში წლიური მოგებიდან პირველ რიგში გამოიყოს საინვესტიციო მოგების თანხა, და დანარჩენი მოგების გადასახადის გამოქვითვის შემდეგ გაიცეს დივიდენდის სახით;

- მოგების გადასახადის განაკვეთი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთს (20%) გაუ-თანაბრდეს.

მოცემული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, მოგების გადასახადის ახალი მოდელი საქართველოში უფრო დაიხვეწება, საბიუჯეტო შემოსავლები არ შემცირდება, რეალურად გაიზრდება დასაქმებაც და თავიდან იქნება აცილებული საგადასახადო რისკები.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო დაბეგვრა, მოგების გადასახადი, განაწილებული მოგება, რეინვესტირებული მოგება

მოგების გადასახადის აღრიცხვის საკითხებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი ბასს 12 - „მოგების გადასახადი“ არეგულირებს. დასახელებული სტანდარტის მიერ აღიარებული მეთოდის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მოგებიდან გადასახადელი თანხის სიდიდე განისაზღვრება საგადასახადო მოგების საფუძველზე, ნაცვლად ფაქტობრივი წლიური მოგებისა, რომელიც იმავდროულად სააღრიცხვო მოგებას წარმოადგენს. ხოლო, მოგების გადასახადის ხარჯი საწარმომ ანგარიშგებაში უნდა აღიაროს არა იმ თანხით, რაც ბიუჯეტში ფაქტობრივად მიემართება, არამედ, სააღრიცხვო მოგებიდან, რაც წარმოშობს სხვაობებს გადავა-დებული საგადასახადო აქტივის ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების სახით.

საქართველოში 2017 წლის პირველი იანვრიდან აქტუალური გახდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი, რადგან ამ დროიდან ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი რეგულაციები, რომელიც ბასს 12-ის მიდგომებისაგან განსხვავდება და რომელსაც „ესტონური მოდელი“ ეწოდა. როგორც ცნობილია, ამ მოდელს დიდი წარმატება აქვს ესტონეთში. იგი 15 წლის წინ გადავიდა ამ მოდელზე და, როგორც ეკონომისტები წერენ, ამან იქ ეკონომიკის გააქტიურება გამოიწვია და ეკონომიკური კრიზისების მიმართ ეს პატარა ქვეყანა ყველაზე მდგრადი აღმოჩნდა [4].

ესტონეთს მცირე ეკონომიკის სასწაულის ქვეყანასაც უწოდებენ, რაც არაერთი მცირე თუ მასშტაბური რეფორმით იყო განპირობებული. მოგების გადასახადის რეფორმა არაპოპულარი რე-ფორმების რიცხვს ეკუთვნოდა, რაც საწყის ეტაპზე საზოგადოების ან ბიუჯეტის შემოსავლების კლება იწვევს. ესტონეთში ეს რეფორმა თითქმის უმტკივნეულოდ განხორციელდა. მოგების გადასახადის რეფორმა 2000 წელს დაიწყო, რაც მსოფლიოს მასშტაბით უნიკალური მოდელია. რე-ფორმის ძირითადი არსი მარტივია. მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოებში წარ-მოიქმნება არა მოგების მიღების, არამედ მისი დივიდენდის სახით გაცემის დროს. კომპანიას უფლება აქვს, დაუბერავად განახორციელოს მოგების რეინვესტირება, გააფართოს ან გადაიარა-ღოს წარმოება ან დეპოზიტზე შეინახოს. მოგების გადასახადის გადახდა ყოველთვიურად ხდება. შესაბამისად, საწარმოებს საშუალება აქვთ, წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეცვალონ მოგების განაწილების გეგმა და საინვესტიციო პოლიტიკა. მოგების რეინვესტირების უფლება ერთნაირად აქვს მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესს. შედეგად, ესტონეთში გაიზარდა კომპანიების კაპიტალი, აქტივები, წარმოების საშუალებები და, აქედან გამომდინარე, ინვესტიციების განხორ-ციელების მოტივაციაც. ამდენად, როცა ბიზნესს მეტი ფინანსური რესურსი რჩება დაუბერავი მო-გების სახით, ამით კანონმდებლობა უბიძგებს მას, განახორციელოს რეინვესტიცია, გააფართოს წარმოება. ეს კი პირდაპირ აისახება უმუშევრობის შემცირებაზე, ეკონომიკისა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაზე. სწორედ ესაა ესტონური მოდელის მთავარი უპირატესობა. ამასთან, ესტონეთში მკაცრად კონტროლდება გადასახადის დამალვის შემთხვევები და სანქციებიც ძალიან მძიმეა.

რაც შეეხება საბიუჯეტო შემოსავლების მოსალოდნელ შემცირებას, ესტონეთში მხოლოდ მოგების ნაწილში ორი წელიწადს იყო შემოსავლების კლება. სხვა გადასახადებიდან შემოსავლები გაიზარდა და, მთლიანობაში, ბიუჯეტის შემოსავლებიც გაიზარდა. ორი წლის შემდეგ შემოსავლების ზრდა შეუქცევადი გახდა.

ესტონური მოდელის მომხრეები ვარაუდობენ, რომ საქართველოშიც მოხდება ბიზნესის განვითარება და გაფართოება, რაც თავისთავად ეკონომიკისა და დასაქმების ზრდას შეუწყობს ხელს. როგორც ირკვევა, მას ბიზნესიც მხარს უჭერს, რადგან ფიქრობენ, რომ ამ მოდელის დანერ-გვით შემცირდება საგადასახადო წნეხი კერძო სექტორზე და დაახლოებით 400-500 მლნ ლარი კერ-ძო სექტორში დარჩება. მეორე მხრივ, გამარტივდება საგადასახადო ადმინისტრირება [4].

განსხავება ბასს 12-ის (მოგების გადასახადი) მიდგომებთან შედარებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის ის, რომ კომპანია მაშინ დაიბეგრება, როცა მისი მოგება გაიცემა მესაკუთრეზე დივიდენდის სახით. თუ მოგება საწარმოში დარჩება, მაშასადამე მისი რეინვესტირება მოხდა და ეს მოგება არ დაიბეგრება [2]. ეს კი ხელს შეუწყობს ბიზნესის გაფართოებას, რაც დიდი შედეგით იქნება იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ყოველწლიურად მომგებიანია, რადგან მათ რეინვესტირების საშუალება მიეცემათ – წერენ ამ მოდელის მომხრეები [4]. თუმცა, ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, არგუმენტად არ გამოდგება, რადგან მოგების საწარმოში რეინვესტირება აკრძალული არასოდეს არ ყოფილა. მთავარი დადებითი მომენტი ის, რომ კომპანიებს კანონი უბიძგებს მოგება ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოიყენოს. ხოლო უარყოფით მხარედ მიიჩნევენ იმას, რომ პირველ ორ წელიწადში ბიუჯეტის შემოსავლები შემცირდება.

ახალი ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია მოგების გადასახადის გამოთვლისა და გადახდის წესები. მოგების გადასახდით დაბეგრის ობიექტია განაწილებული მოგება. აგრეთვე, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება (მომსახურების გაწევა) ან ფულის გაცემა; დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები [1. მუხლი 97.2]. ხოლო წლიური მოგება ჩვეულებრივ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვრება და აღირიცხება.

არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულებისათვის განაწილებულ მოგებად ითვლება ამ მუდმივი დაწესებულების საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან არარეზიდენტი საწარმოსათვის ფულადი ან არაფულადი ფორმით განხორციელებული განაცემი.

განაწილებულ მოგებად არ ჩაითვლება საწარმოს ლიკვიდაციის ან აქციის (წილის) გამოსყიდვისას ფულადი ან ნატურალური ფორმით განხორციელებული გადახდა (განაცემი), რომელიც კაპიტალში (საწესდებო ან საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას არ აღემატება; საწარმოს პარტნიორზე განხორციელებული გადახდა ამავე საწარმოს აქციის (წილის) საკუთრებაში გადაცემით; საწარმოს მიერ კაპიტალის შემცირებით სახელმწიფოსათვის ან/და მუნიციპალიტეტისათვის აქტივების გადაცემა, თუ ამ საწარმოს აქციების (წილის) 50%-ზე მეტი სახელმწიფოს (ან მუნიციპალიტეტის) საკუთრებაშია; საწარმოს მიერ უცხოური საწარმოსაგან (გარდა შედეგათიანი დაბეგრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისა) მიღებული დივიდენდის განაწილება და სხვა [1. მუხლი 97].

რეფორმის შედეგად არის მოლოდინი, რომ გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო და კაპიტალის მოცულობა 3,23%-ით გაიზრდება. რეფორმის დადებითი ეფექტი მთლიანი შიგა პროდუქტის რეალური ზრდის მაჩვენებელში 1,44%-ით აისახება. მოსალოდნელია მოხმარების ხარჯების 0,85%-ით ზრდა [3].

ამასთან, რეფორმის შედეგად წლიური საბიუჯეტო დეფიციტის 3%-მდე გაზრდაა მოსალოდნელი. პროგნოზული გამოთვლების შედეგად, მთავრობას შეუძლია აღმოფხვრას ეს დისბალანსი, თუ საშემოსავლო გადასახადს 1 პროცენტული პუნქტით ან დღგ-ს 1,25 პროცენტული პუნქტით გაზრდის. თუმცა მოგების გადასახადის კლებით გამოწვეული საბიუჯეტო დანაკარგების ასანაზღაურებლად გაცილებით ოპტიმალური და რეკომენდებული საბიუჯეტო ხარჯების შემცირებაა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკი საგადასახადო შემოსავლების შემცირებაა. როგორც ცნობილია, ბიუჯეტის შემოსავლები უფრო მეტად საგადასახადო შემოსავლებზეა დამოკიდებული. 2015 წელს დამატებული ღირებულების გადასახადმა საგადასახადო შემოსავლების 45,5%, საშემოსავლო გადასახადმა 27%, ხოლო მოგების გადასახადმა 13% შეადგინა [3].

თუ საქართველოში, ესტონეთის მსგავსად, საწარმოები მოგების 59%-ის რეინვესტირებას მოახდენენ და შესაბამისად, არ დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს, მოგების გადასახადის სახით, დაახლოებით 540 მლნ ლარი დააკლდება [2].

ამრიგად, საგადასახადო შემოსავლების შემცირება სახელმწიფო ბიუჯეტში ამ რეფორმის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. ამ ბალანსის აღდგენა შესაძლებელია გადასახადების ზრდის ან საბიუჯეტო ხარჯების შემცირებით. თუმცა, ეს მოკლევადიან პერიოდში, სანამ რეფორმის ეკონომიკური შედეგების ეფექტი დადგება. კერძოდ, ვიდრე გააქტიურდება ბიზნესი და გაიზრდება ეკონომიკა.

ამასთან, არსებობს საგადასახადო რისკები, როგორცაა, გადასახადის დამატების ალბათობა. მაგალითად, განაწილებული მოგების სახით ხელფასის გაცემის შემთხვევა. ასეთი რისკის თავიდან აცილების მიზნით, ჩვენი აზრით, მოგების გადასახადი საშემოსავლო გადასახადს უნდა გაუთანაბრდეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, მოგების გადამხდელი რეზიდენტი და არარეზიდენტი საწარმო მოგების გადასახადს ყოველთვიურად გადაიხდის.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება განხორციელებული განაცემის 0,85-ზე გაყოფით [მ.97.10]. მოგების გადასახადის განაკვეთი რჩება იგივე – 15%.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგების გადასახადით აგრეთვე იბეგრება სხვაობა მოგების გადასახადით გათავისუფლებულ პირთან მიწოდებული საქონლის გარიგებისა და ფაქტობრივ ფასს შორის.

მაგალითად, გადასახადის გადამხდელმა საწარმომ 2017 წლის თებერვალში მოგების გადასახადით გათავისუფლებულ პირთან დადო გარიგება 12000 ლარის საქონლის მიწოდებაზე. მან იმავე თვეში მიაწოდა საქონელი საბაზრო ფასით 11000 ლარის (ე.ი. საქონელი გაიაფდა). საქონლის მიწოდებელმა მყიდველისაგან მიიღო გარიგების ფასით 12000 ლარი. მოცემულ შემთხვევაში საბაზრო ფასი ნაკლებია გარიგების ფასზე. ამიტომ, საქონლის მიწოდებელმა საწარმომ მოგების გადასახადით უნდა დაბეგროს 1000 ლარი.

The total fertility rate by birth order can be calculated only for those countries and for time periods in which the data on the distribution of births by birth order is available for the female age groups. As far as the above countries are concerned no information is available on the websites of statistical agencies in Armenia and Georgia, and Azerbaijan has it only for the last year.

Among the former Soviet Union states, for which there is relevant information, in 2015 the highest total fertility rate for the second births was in Kyrgyzstan (0.864) and Kazakhstan (0.806) and the lowest - in Moldova (0.467) and Ukraine (to 0.506).

Trends in total fertility rate by third births are similar to those mentioned for the second births. It declined from 0.246 in 1990 to 0.114 in 1997 in Latvia, from 0.333 in 1990 to 0.131 in 2002 in Moldova, in Estonia – from 0.266 in 1990 to 0.145 in 1999.

Unlike the total fertility rate, the average birth order in 2015 was higher than in 1990 in all former Soviet Union countries, in which the data for its calculation are available for both years: in Belarus – 1.64 in 1990 and 1.76 in 2015 (average birth order is calculated on the basis of total fertility rates by birth order), in Latvia -1.77 and 1.81 respectively, in Estonia - 1.82 and 1.85. In Azerbaijan and Moldova, the average birth order in 2015 was lower than in 1990.

As far as the countries reviewed are concerned, significantly higher value of average birth order in 2015 was in Kyrgyzstan and Kazakhstan, and in the other countries it varied from 1.70 in Ukraine to 1.85 in Estonia.

The average age of mother at child birth is another generalized characteristics of the age specific fertility model. As a rule, official statistical websites provide it with respect to the first child. Average age of mother at first birth has increased in Armenia (since 2004), Belarus (since 2002), Latvia (1994), Lithuania (1995) Estonia (1995). By 2015, in Armenia it has increased by 2.0 years, in Belarus – 2.7 years, in Latvia – 4.5 years, in Lithuania - by 4.1 years, in Estonia - by 3.8 years (by 2014 and in 2015 the this indicator has decreased).

In Azerbaijan, after unstable dynamics of the average maternal age at first birth in recent years, it was decreased (from 24.4 in 2010 to 23.2 in 2014). Kyrgyzstan also featured this indicator decline (from 23.6 in 2010 to 23.1 in 2015). These two countries featured the lowest average maternal age at the first birth in 2015, while Latvia (27.0) and Lithuania (27.1) - the highest.

The highest share of children born out-of-wedlock (for the former Soviet Union countries, in which this information is available, i.e. for all except Tajikistan, Turkmenistan and Uzbekistan) was in Estonia (58.0%) in 2015. In 2015 approximately one third of children was born out of wedlock in Armenia (34.2%) and Georgia (32.4%). Moreover, in Georgia the share of such children is now significantly less than in 2000-2007, when it exceeded 40%, and in 2006 it was 54.4%. The lowest shares of such births were recorded in Belarus (13.8%), Kazakhstan (14.1%) and Azerbaijan (14.5%) in 2015. In Belarus and Kazakhstan compared to 2005, this index declined by more than 10%.

ნინო გომელაური

მრავალშვილიანი ოჯახი თანამედროვე საზოგადოების თვალთახედვით

ანოტაცია. უმრავლესი კვლევების მონაცემები უჩვენებს, რომ საზოგადოებაში მიმდინარეობს ოჯახური ფასეულობებისა და როლების დეველუაცია, საოჯახო ქცევის მოტივების შესუსტება, რამდენიმე შვილის ყოლის მოთხოვნების დაქვეითება, მისი შეცვლა პიროვნების თვითრეალიზების მოთხოვნებით. თუმცა მრავალშვილიანობა დღეს მაინც ინარჩუნებს ფასეულობით მომხიბვლელობას. ახლობლები და ნაცნობები პატივს სცემენ მათ შრომას, აქებენ მოთმინების, კარიერისა და საოჯახო საქმიანობის შეთავსებისთვის. მრავალშვილიანები ძირითადად არიან ადამიანები აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში შობადობა მცირდება, მესამე და შემდგომი რიგობის ბავშვთა რაოდენობა ცოცხლად დაბადებულთა შორის გაიზარდა და 2016 წელს 21.3% შეადგინა.

საკვანძო სიტყვები: მრავალშვილიანი ოჯახები, დემოგრაფიული პოლიტიკა, დემოგრაფიული გადასვლა, შობადობის სტიმულირება.

შესავალი

თანამედროვე საზოგადოება ადამიანს განიხილავს როგორც მოხმარების ერთეულს. ეს ყოვლისმომცველი პროცესი ავსებს ჩვენს გარემოს. რთულია შეეწინააღმდეგო ამ პროცესს, მაგრამ უფრო რთულია მისი უარყოფა. ადამიანის ცხოვრება სხვადასხვამანა მიმართულებით ვითარდება. სწორედ ოჯახის შექმნა გვაძლევს საშუალებას, დავიცვათ ტრადიციული ფასეულობები და წინ აღვუდგეთ უცხო მომხმარებელურ კულტურას. თანამედროვე ეპოქაში ამის ნიმუშად წარმოგვიდგება მრავალშვილიანი ოჯახი.

“თანამედროვე მრავალშვილიანი ოჯახები ჩვენი დროის დისიდენტებს წარმოადგენენ” [Антонов А.И., 2013]. ეს ხატოვანი ფრაზა ასახავს მრავალშვილიანობას დღევანდელი ცხოვრების პირობებში. ერთი მხრივ, მრავალშვილიანობა საზოგადოების ხედვით დაკავშირებულია ოჯახის სხვადასხვა სირთულეებთან, მეორე მხრივ, მრავალშვილიანობა ასოცირდება სიყვარულსა და პატივისცემასთან, ურთიერთდახმარებასა და მხარდაჭერასთან, ნამდვილ ოჯახურ ყოფასთან. ერთი საკითხის ორივე მხარე გამოიხატება მოსახლეობის გამონათქვამებსა და ქცევაში: ზოგი აჩენს და ზრდის შვილებს, ზოგი პასიურად აკვირდება მომხდარს და აკრიტიკებს.

* * *

საქართველოში საზოგადოების მხრიდან განსხვავებული შეხედულებები არსებობს მრავალშვილიანობისადმი. მოსახლეობის მესამედს, როცა ესმის ფრაზა “მრავალშვილიანი ოჯახი”, მას აღიქვამს, როგორც ოჯახში სირთულეების და სიღარიბის განმსაზღვრელ ფაქტორად. ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა იხრება აზრისკენ, რომ ბევრი შვილი წარუმატებელ ოჯახებშია, სადაც მუდმივი პრობლემები და უსიამოვნებებია. გამოკითხული მრავალშვილიანი ოჯახების 67% ვერ გრძნობს საზოგადოების მხრიდან დადებით დამოკიდებულებას. ყოველდღიურად მრავალშვილიანი დედები აწყდებიან გულგრილობას და მეტიც, გააკიცხვას, მათ უყურებენ როგორც უპასუხისმგებლო, გაუნათლებელ ადამიანებს. მესამე, მეოთხე და შემდგომი რიგითობის ბავშვის გაჩენისას ოჯახისადმი დამოკიდებულების შეცვლაზე საუბრობს ბევრი მრავალშვილიანი მშობელი. პირველი და მეორე ბავშვის გაჩენით ოჯახისადმი დამოკიდებულება დადებითი განწყობისაა. მესამე ბავშვის გაჩენა იშვიათად წარმოქმნის გაუგებრობას, თუმცა მოწონებას იმსახურებს; მეოთხე და შემდგომი ბავშვის გაჩენით გარშემოყოფთა უკმაყოფილება და კრიტიკა იზრდება.

საზოგადოებრივ ცნობიერებაში არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმად, მრავალშვილიანობის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის დაბალი დონე. გარკვეული აზრით მართალია, მაგრამ ეს არ მოწმობს, რომ მატერიალური სიმდიდრის ზრდა გამოიწვევს ბავშვების რაოდენობის ზრდას. მრავალშვილიან ოჯახებში მატერიალური კეთილდღეობა და ბავშვები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. გამოკვლევებით დგინდება, რომ მრავალშვილიანი მამების და დედების ნახევარი მყარად დგანან: მუშაობენ რამდენიმე ადგილას, უნარი აქვთ ფულის შოვნის, არ არიან დარბები, მათი შვილები დადიან სპორტის სხვადასხვა სახეობებზე, ცეკვის და შემოქმედებით წრეებზე. მრავალშვილიან ოჯახებს დღეს ბევრად უფრო აკლიათ მორალური მხარდაჭერა. ბავშვების გაზრდა მოითხოვს არა მხოლოდ მატერიალურ უზრუნველყოფას, არამედ სულიერ, ემოციურ, მორალურ და სხვა რესურსებს. როდესაც ბავშვი ხედავს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სიყვარული და ურთიერთდახმარება, მისი პიროვნება სწორედ ამ ნიადაგზე ყალიბდება. ის პატივს სცემს ყველა ადამიანს, მათ უფლებებსა და თავისუფლებას.

როგორც უმრავლესი კვლევების მონაცემები უჩვენებს, საზოგადოებაში მიმდინარეობს ოჯახური ფასეულობებისა და როლების დევალვაცია, ოჯახში მრავალშვილიანობის მოტივაციის შესუსტება, მესამე და შემდგომი რიგითობის შვილის ყოლის მოთხოვნილებების დაქვეითება, მისი შეცვლა პიროვნების თვითრეალიზების მოთხოვნილებით და “მიიღე ცხოვრებისგან ყველაფერი” [Карлсон А., 2003] პრინციპის კულტივირებით. მრავალშვილიანი ოჯახები ზოგადად აღნიშნავენ, რომ მათ აწუხებთ ჩინონიკების გულგრილობა სკოლებში, საავადმყოფოებში, სხვადასხვა მომსახურების ცენტრებში.

თანამედროვე საზოგადოებაში ოჯახში შვილიანობის და ოჯახური ცხოვრების ფასეულობების ტრანსლაცია, აღზრდა ძირითადად ხორციელდება ტელევიზიისა და ინტერნეტის საშუალებით. თანამედროვე მასკულტურას შეიძლება ანტიოჯახური ეუწოდოთ. როდოსის საერთაშორისო ფორუმის “ცივილიზაციათა დიალოგის” ჩარჩოში ჩატარებულ, მასიური ინფორმაციის საშუალებებით ოჯახური ფასეულობების ფორმირებისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდის მუშაობაში, სადაც მონაწილეობდნენ ექსპერტები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან, ხაზი გაუსვეს ნეგატიური ინფორმაციური ზეგავლენის ტრანსნაციონალურ ხასიათს, მასმედიის საშუალებების წინააღმდეგობრივ ქმედებას ადამიანის სულიერ სფეროზე, კულტურული და მორალური კოდის შენარჩუნებაზე. სასურველია, რომ კინო და ტელეინდუსტრიის სფერო ატარებდეს სრულიად გააზრებულ სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მრავალშვილიანობისკენ

და ოჯახური ფასეულობებისადმი, განსაკუთრებით იმ ტელე და კინოპროდუქციის მეშვეობით, რომლებიც სახელმწიფოსგან ფინანსირდებიან. უნდა არსებობდეს სოციალური დაკვეთა, მათ შორის შესაბამის საინფორმაციო და კულტურის პოლიტიკაზე, რომლის მიზანია საოჯახო ცხოვრების გაჯანსაღება და შობადობის ზრდა.

ამ ფონზე საინტერესოა გავანალიზოთ საქართველოში ოჯახში შვილიანობის მოკლე ისტორია 1960-2016 წლებში. უწინარესად უნდა ითქვას, რომ საქართველოს ოჯახებში შვილიანობა უკავშირდება ერთი მხრივ, გლობალური დემოგრაფიული გადასვლის კანონზომიერებებს, მეორე მხრივ სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობას, რასაც ასახავს კიდევ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

1970 წლამდე ოჯახში შვილიანობის მაღალი მაჩვენებელი, მათ შორის მრავალშვილიანობა დაკავშირებულია მოსახლეობის აღწარმოების მესამე ფაზის დადგომასა და “ბები ბუმის” დამთავრებასთან. შედეგად, 1960 წელს საერთო დაბადებულებში მესამე და მომდევნო რიგითობის ბავშვთა მაღალი მაჩვენებელი 36,5% 1970 წლისთვის 4,1%-ით 32,4%-მდე შემცირდა. ამ პერიოდში კომუნისტურ ქვეყანაში ტარდებოდა სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა – ბავშვის დაბადებისას მის სრულწლოვანების მიღწევამდე ფინანსური დახმარება. მაგრამ 1970-იან წლებში ქვეყანაში ევროპული დემოგრაფიული ქცევის ფორმირებამ და “ბავშვთა ცენტრიზმმა” შეცვალა მრავალშვილიანობისადმი დამოკიდებულება. 1984 წელს საქართველოში, საკავშირო მთავრობის მხარდაჭერით, დაიწყო მრავალშვილიანობის სტიმულირება. 3 და მეტ შვილიან დედებს ყოველთვიური ფინანსური დახმარების გარდა ურიგოდ აძლევდნენ სახელმწიფო ბინებს, ავტომანქანებს და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა გარკვეული ნეგატიური გამოვლინებები (კორუფცია და ა.შ.), საერთო ჯამში გარკვეული დემოგრაფიული შედეგი მოიტანა და 1990 წლისთვის მესამე და მომდევნო შვილთა წილმა დაბადებულთა საერთო რაოდენობაში 21,4% შეადგინა.

ცხრილი

ცოცხლად დაბადებულები რიგითობის მიხედვით საქართველოში 1960-2016 წწ.
[Tsuladze G. 2016. Demographic Yearbook of Georgia 2015. Tbilisi, pp. 53-54].

წლები	დაბადების რიგითობა, %				სულ ცოცხლად დაბადებულები	მესამე და მომდევნო რიგითობის ბავშვთა წილი, %
	I	II	III	ოთხი და მეტი		
1960	34.7	28.8	17.2	19.3	102860	36.5
1970	36.6	31.1	16.7	15.6	90206	32.3
1980	48.6	33.0	12.1	6.3	89458	18.4
1990	44.6	34.0	15.6	5.8	92815	21.4
1992	49.8	33.6	12.1	4.5	72631	16.6
1994	54.1	32.3	9.8	3.8	57311	13.6
1996	51.6	33.7	10.6	4.1	55000	14.7
1998	50.9	33.4	11.5	4.2	51526	15.7
2000	51.9	33.3	10.8	4.0	48800	14.8
2007	60.6	28.5	8.3	2.6	49287	10.9
2008	55.4	32.1	9.5	3.0	56565	12.5
2009	53.1	33.3	10.5	3.1	63377	13.6
2010	49.6	35.6	11.3	3.4	62585	14.7
2011	47.6	37.4	11.6	3.4	58014	15.0
2012	46.2	38.1	12.1	3.5	57031	15.6
2013	45.3	38.1	12.8	3.8	57878	16.6
2014	43.5	38.2	14.4	3.9	60635	18.3
2015	41.7	38.2	15.5	4.6	59249	20.1
2016	40.5	38.1	16.6	4.7	56569	21.3

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გამწვავებამ ქვეყანაში ერთბაშად გააუარესა დემოგრაფიული ქცევა. გაიზარდა ქვეყნის გარეთ ემიგრაციის პროცესი და 1992 წლიდან 2015 წლამდე 1,5-ზე მეტი კაცი გავიდა ქვეყნიდან. აღნიშნულმა მოვლენებმა დააჩქარა მოსახლეობის აღწარმოების ტიპის ცვლილება და ქვეყანაში ფორმირება დაიწყო უახლესმა ტიპმა, რაც ძირითადად ევროპაში 1970-იან წლებში დაწყებულმა

მორე დემოგრაფიულმა გადასვლამ განაპირობა. შემცირდა შობადობა და დაბერების ზრდის ფონზე გაიზარდა გარდაცვლილთა რაოდენობა. 1995-2007 წლებში შობადობის შემცირების და მოკვდაობის ზრდის შედეგად ბუნებრივი მატება ნულოვან დონეზე აღინიშნებოდა და ქვეყანა დეპოპულაციის პირას დადგა.

ამ ფონზე, მიუხედავად დემოგრაფთა არაერთი წინადადებისა და რეკომენდაციისა, მთავრობა არაფერს აკეთებდა. მესამე და მომდევნო რიგითობის ბავშვთა წილი დაბადებულთა საერთო რაოდენობაში 2007 წლისათვის უკიდურესად დაბალ დონემდე 14,7%-მდე დაეცა. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო “დემოგრაფიული გარდატეხა”. სახელმწიფოს უმოქმედობის ფონზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოწოდებამ მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვის მონათვლის თაობაზე არნახული დემოგრაფიული შედეგი მოიტანა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა ევროპის ქვეყნებში და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ქართველ დემოგრაფთა (ა. სულაბერიძე, გ. წულაძე) მეცნიერულმა კვლევებმა შეასრულა, მათ მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებდა, რომ ქართულ ოჯახში არსებობდა მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვზე მოთხოვნილება, რომლის რეალიზება არა მხოლოდ მატერიალური მდგომარეობის გამო, არამედ სახელმწიფოს მხრიდან დემოგრაფიული ვითარების გამოსწორების მიზნით პოლიტიკური ნების არარსებობის გამო არ ხდებოდა.

ამდენად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოწოდებამ მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა და მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვის წილი დაბადებულთა საერთო რაოდენობა 1990 წლის დონეს (21,4%) გაუთანაბრდა. 2007 წლიდან 2014 წლისათვის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მაჩვენებელი 1,76-დან 2,33-მდე (ოფიციალურად 1,45-დან 2,19-მდე) გაიზარდა.

2010 წლიდან გარკვეულწილად შეიცვალა სახელმწიფოს დამოკიდებულება ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ვითარების მიმართ და მრავალშვილიანი ოჯახების დამოკიდებულებასთან მიმართებაში. საყურადღებოა ბოლო წლებში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებები, რომლის ერთ-ერთი ნაწილია შობადობის სტიმულირება. 2014 წლის 1-ლი ივნისიდან რეგიონებში, სადაც შობადობის მნიშვნელოვანი კლებაა და არ არის ბუნებრივი მატება, ყოველი მესამე, 2 წლამდე ასაკის ბავშვის მშობელი სახელმწიფოსგან ყოველთვიურ დახმარებას იღებს. დახმარების ოდენობა მთიან რეგიონებში – 200 ლარის, ხოლო ბარში 150 ლარის ოდენობით განისაზღვრა. ეს არის სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც მოიცავს რამდენიმე მიმართულებას. მოდელის შერჩევა მოხდა დემოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარე და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით. რეგიონებში, სადაც დემოგრაფიული ბალანსი უარყოფითია და მაღალი მოკვდაობა და დეპოპულაციაა, სახელმწიფო სტრატეგია სწორედ მრავალშვილიანობის სტიმულირებისკენაა მიმართული. გაიზარდა დეკრეტული შვებულება 477-დან 780 კალენდარულ დღემდე, ანაზღურების რაოდენობა 600 ლარის ნაცვლად 1000 ლარი გახდა. ანაზღურებადი შვებულება 126 დღის ნაცვლად 183 კალენდარული დღეა.

სამწუხაროდ, ქვეყანაში არ არის განსაზღვრული მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი. უნდა არსებობდეს ერთი სტანდარტი, თუ რომელი ოჯახი ითვლება მრავალშვილიანად. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ძალისხმევით, 1990 წელს, “გმირი დედის წოდება” “ქართველის დედის” წოდებით შეიცვალა. დებულების პროექტით, რომელიც დღემდე არ დამტკიცებულა, წოდება ეძლეოდათ 5 და მეტშვილიან დედას, რომლის ოჯახის ყველა წევრი ლაპარაკობს ქართულ ენაზე და ოჯახში არავინაა ნასამართლელი. 1995 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შეღავათებში გათვალისწინებულია, რომ ქალი, რომელსაც მინიჭებული აქვს “ქართველის დედის” საპატიო წოდება სარგებლობს საგადასახადო შეღავათით. ეს მხოლოდ ფურცელზე დაწერილ კანონად დარჩა, რადგან “ქართველის დედის” წოდება არავისთვის მიუნიჭებიათ.

დასკვნა

ქვეყანაში გატარებულ ღონისძიებებთან ერთად, აუცილებელია, შეიცვალოს საზოგადოებაში მრავალშვილიანი ოჯახებისადმი დამოკიდებულება, მათი როგორც პრობლემური, წარუმატებელი და კმაყოფილებაზე მყოფი ოჯახებისადმი. ეს უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს, საზოგადოების და ეკლესიის ერთობლივი ძალისხმევით და მრავალშვილიანი ოჯახის მიმზიდველი სახე მოექცეს საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მრავალშვილიანები მისაბაძნი უნდა გახდნენ ახალგაზრდებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა - ევროკავშირის სახელმწიფოები და საქართველო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. IDFI, 2016, თბილისი.

2. საქართველოში მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება სოციალურ-დემოგრაფიული ქცევისა და ოჯახის პრობლემებისადმი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა. 2016, თბილისი.
3. სულაბერიძე ა. 2007, ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე. თბილისი.
4. წულაძე გ. 2013, საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები 2015-2030 წლები. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
5. Bengston, V. L. (2001). Beyond the nuclear family: The increasing importance of multigenerational bonds. *Journal of Marriage and Family*, 63(1), 1-16.
6. Bittman M., Craig L., & Folbre, N. (2004). "Packaging Care: What Happens When Parents Utilize Non-parental Child Care". In: M. Bittman & N. Folbre, (Eds.), *Family Time: The Social Organization of Care*. London: Routledge.
7. Tsuladze G. 2016. Demographic Yearbook of Georgia 2015. Tbilisi. pp. 53-54.
8. Антонов А.И. Вести с семейного фронта. <http://www.sorokinfond.ru/index.php?id=899>
9. Карлсон А. 2003. Общество-семья-личность: социальный кризис Америки. М., «Грааль».

Nino Gomelauri

MULTIPLE CHILDREN FAMILY IN THE EYES OF MODERN SOCIETY

Summary

The majority of studies show that the society is going through devaluation of family values and roles, mitigating family behavior motivation, reducing demand for many children, changing it with the need for self-realization. However, multiple children family is still remaining a valuable charm. Relatives and acquaintances respect their work, endure their patience, for combining career and family activities. Multiple children families mostly are people with an active lifestyle. Despite the fact that in recent years the birth rate decreases, the third and subsequent sequencing of children among the living born was increased and in 2016 amounted to 21.3%.

There are different opinions on multiple children families in the society in Georgia. A third of the population perceives the phrase "multiple children family", as a factor determining difficulties and poverty in the family. Most of the population of the country thinks that many children are in unsuccessful families, where there are permanent problems and troubles. 67% of the surveyed multiple children families have no feelings of positive attitude from society. Every day many mothers face indifference and even some of the blame. Giving birth to the third, fourth and subsequent child, lots of mothers are speaking about the changed attitude towards them. By having first and second child, attitude towards family is absolute positive. Having third child rarely creates misunderstanding, but deserves its approval; but having fourth and subsequent children appear to grow critic and unsatisfactory feelings around.

In public consciousness, there is a view that the main obstacle for families with many children is the low level of material status of the population. In some sense, it is true, but it does not prove that the increase of material wealth will increase the number of children. In large families, material welfare and children do not contradict each other. Studies show that half of many mothers have stable life: they work in several places, have the ability to earn money, they are not poor, their children go to sports, dancing and creative circles. Multiple children families have much less moral support today. Upbringing of children requires not only material support but also spiritual, emotional, moral and other resources. When the child sees how much love and mutual help is important, his/her personality is formed on this ground. He honors all people, their rights and freedom.

Modern mass culture can be called an antifamily. In the work of the Round Table dedicated to the formation of family values by means of mass media in the framework of the Rhodes International Forum "Civilizations Dialogue", where the experts participated from almost every country of the world emphasized transnational nature of negative informative influences, contradicting activities of mass media on the spiritual sphere, cultural and moral code maintenance. It is desirable that the field of film and television-industry will have a completely thought-out state demographic policy, aimed at families with many children and family values, especially through that television and film production that are financed by the state. There should be a social order, including the relevant information and culture policy aimed at improving family lifestyle and increasing childbirth.

The appeal of Katholikos-Patriarch of Georgia Ilia II on the background of the inaction of the State brought an unprecedented demographic result. The total number of children born in the third and subsequent birth order sequence was equal to 1990 levels (21,4%). From 2007 to 2014, the overall birth rate coefficient increased from 1,76 to 2,33 (officially from 1,45 to 2,19).

From 2010, the state's attitude toward demographic situation in the country and the dependency of many multiple children families has been changed. It is noteworthy that the Ministry of Labor, Health and Social Affairs of Georgia has carried out the activities concerning child birth in recent years. From June 1, 2014, in regions where there is a significant decline in birth and is not natural increase, parents of every third child under 2 years, receives monthly assistance from the state. The amount of assistance in mountainous regions is - 200 GEL and 150 GEL in the plain. This is a

state strategy that includes several directions. The model was selected based on the demographic situation and sharing international experience. In the regions where demographic balance is negative and there is a high mortality and depopulation, state strategy is aimed at stimulating childbirth. The maternity leave increased from 477 to 780 calendar days, and the number of insolvencies became GEL 1000 instead of 600 GEL. The paid leave is 183 days instead of 126 calendar days.

Unfortunately, the country does not have determined a status for parent with multiple children. There should be one standard determining which family is considered to be a multiple children one.

Together with the measures taken in the country, it is necessary to change the attitude in the society towards the multiple children families, as a problematic, unsuccessful and dependent. This should be done through the joint efforts of the state, society and the Church and the attractive type of the multiple children family should be in the center of attention. Large families have to become role models for young people.

გულნაზ ერქომაიშვილი

სოციალური პასუხისმგებლობის ფორმირების ობიექტური წინამძღვრები საქართველოში

ანოტაცია. ნაშრომში გადმოცემულია სოციალური პასუხისმგებლობის ფორმირების ობიექტური წინამძღვრები საქართველოში. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ბოლო 10 წელია აქტუალურია, თუმცა მეცენატობასა და ქველმოქმედებას ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. საქართველოში კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობა ძირითადად ქველმოქმედებაში და მოწვევადი ჯგუფების დახმარებაში, ასევე სხვადასხვა სფეროების მხარდაჭერითაც გამოიხატება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხი და სტრუქტურა საქართველოში ჯერჯერობით მეტისმეტად ქაოსური და უსისტემო ხასიათისაა.

საკვანძო სიტყვები: სოციალური პასუხისმგებლობა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, სოციალური პროექტები, საქველმოქმედო ღონისძიებები, მოწვევადი ჯგუფები.

შესავალი

ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას განვითარებულ ქვეყნებში საუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი გულისხმობს ბიზნესის კეთილ ნებას, უპასუხოს საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებს. სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიები ცდილობენ თავის საქმიანობაში სოციალური, გარემოსდაცვითი და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები გაითვალისწინონ და საზოგადოების განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანონ. რაც უფრო წარმატებულია კომპანია, მას მეტი სოციალური პასუხისმგებლობა აკისრია. წარმატებულთა რიცხვში კი ის კომპანიები ხვდებიან, რომლებიც არა მხოლოდ საკუთარი ბიზნესით ინტერესდებიან, არამედ უფრო გლობალურ, სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პრობლემებზე ახდენენ ზეგავლენას.

საკონსულტაციო კვლევითი ცენტრის Next Consulting-ის გამოკვლევით ევროპულ კომპანიებში სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხი ბევრად მაღალია, ვიდრე ამერიკულ კომპანიებში და ეს ამ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური სისტემის სპეციფიკით არის გამოწვეული. ევროპულ ქვეყნებში ყველაზე მაღალი წილი სკანდინავიურ ქვეყნებს (დანია, შვედეთი, ნორვეგია, ისლანდია, ფინეთი) უჭირავთ, რომლებიც ცხოვრების და კეთილდღეობის დონით ლიდერები არიან მსოფლიოში.

საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ტენდენცია მხოლოდ ბოლო 10 წელია აქტუალურია, თუმცა მეცენატობასა და ქველმოქმედებას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. 1870-იან წლებში საქართველოში ჩამოყალიბდნენ ახალი ფორმაციის ვაჭრები და მეწარმეები, რომლებიც ხელს ჰკიდებენ მომგებიან სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობას. ამ პერიოდში გამოირჩევიან სარაჯიშვილებისა და ზუბალაშვილების სავაჭრო სახლები. აღ. ხანაშვილი 1911 წელს გაზეთ „თემში“ წერდა: „არცერთი საქვეყნო საქმე არ დაწყებულა ამ 30 წლის განმავლობაში, რომ დავით ზაქარიას ძეს თავისი წვლილი არ შეეტანოს, მატერიალური დახმარება არ გაეწიოს, უურნალ-გაზეთის, წიგნის გამოცემა, სცენის მოყვარულთა, მომღერალთა, მემუსიკეთა და მეცნიერთა აღზრდა, სკოლის დამშვენება, ღარიბ-უძღურთა გაკითხვა, უცხოელ და შინაურ მოღვაწეთა გამასპინძლება და მათი ერთმანეთთან დაახლოება – ყველა ეს შეადგენდა საზრუნავ საგანს დავით სარაჯიშვილისა“ [ერქომაიშვილი გ., 2004: 52].


დავითი, გიორგი, მიქელ და ანტონ ზუბალაშვილები სამეწარმეო საქმიანობასთან ერთად თბილისის კომერციული ბანკის უმსხვილესი აქციონერებიც იყვნენ, მაგრამ უმთავრესი, რითაც ისინი შემორჩნენ საქართველოს ისტორიას, ქველმოქმედება იყო. „ვინც ღირსია შეველისა, მოვალენი ვართ ვუშველოთ“ - სტეფანე ზუბალაშვილის (მეწარმეობასთან ერთად საშინაო და საგარეო

ვაჭრობას ეწეოდა ირანთან, თურქეთთან, ინდოეთთან, რუსეთთან და სხვებთან) მიერ მავანის მდ-
ლობის პასუხად თქმული ეს სიტყვები მისი საგვარეულოს ცხოვრებისეულ კრეოდ შეიძლება
მივიჩნიოთ.

**XXI საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ცნობილი კომპანიების სოციალური პასუხ-
ისმგებლობა გაიზარდა.** კომპანიები სშირად ეხმარებიან სოციალურად დაუცველ მოსახლეობას,
მიუსაფარ ბავშვებს, მართავენ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებებსა და აქციებს, არაერთ
სოციალურ პროექტს ახორციელებენ გარემოს დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის განვი-
თარების დასაფინანსებლად და ა.შ.

ბოლო 10 წელია ბიზნესსექტორი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სოციალურ პროე-
ქტებსა და საქველმოქმედო ღონისძიებებში.

2015 წელს ქართულ მედიასივრცეში გამოვლინდა ტოპ 10 კომპანია, რომელთა სოციალური
და საქველმოქმედო აქტივობები ასე გამოიყურება (იხ. დიაგრამა) [5].



დიაგრამა

2015 წლის მონაცემებით პირველ ადგილზეა „თიბისი“ ბანკი (17%), რომლის მიერ მხარდაჭე-
ერილი პროექტები მრავალფეროვანია – ბიზნესის განვითარება და ხელშეწყობა, ნიჭიერი ახალ-
გაზრდების განათლება და პროფესიული განვითარება, კულტურა, ხელოვნება, სოციალურად აქ-
ტუალური თემები, რაგბის პოპულარიზაცია და სხვა. 2015 წელს გამორჩეულია 20 000 ლარის
გადარიცხვა სოლიდარობის ფონდში, რომელიც ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტების
დიაგნოსტიკასა და მეურნეობის დაფინანსებას მოხმარდა. მნიშვნელოვანია „თიბისი ბანკის“ მიერ
გაწეული კონტრიბუცია ახალი „მზიურის“ მშენებლობისათვის.

მეორე ადგილზეა „საქართველოს ბანკი“ (13%), რომელიც 2015 წელს შეზღუდული შესაძლე-
ბლობების მქონე პირებზე ფოკუსირდა. „სიცოცხლის ხის“ აქტივობებში აღსანიშნავია შეზღუდუ-
ლი შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის დღესასწაულის გამართვა, შშმ პირებისთვის თბი-
ლისის ქუჩებში პანდუსების დაგება. გარდა ამისა, „საქართველოს ბანკის“ მხარდაჭერით, პირველად
საქართველოში, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს ადაპტირებული ტაქსი
მოემსახურებათ.

მესამე ადგილზეა „ლიბერთი ბანკი“ (12%). 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგების ლიკ-
ვიდაციისადმი გამოჩენილი სოციალური პასუხისმგებლობა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კომპანიას
აერთიანებს, მაგრამ „ლიბერთი ბანკის“ და „ენერგო პრო ჯორჯიას“ შემთხვევაში, სწორედ 13
ივნისის სტიქიას უკავშირდება ყველაზე დიდი სოციალური პროექტები.

ვითიბი ბანკი უკვე მეათე წელია წარმატებით მოღვაწეობს საქართველოში. სოციალური პასუხისმგებლობა მისი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია, აღნიშნული ბანკის წარმატება განპირობებულია არა მარტო ფინანსურად მომგებიანი პროექტებით, არამედ საზოგადოების წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებით. ბანკი აქტიურად აფინანსებს სპორტს, რადგან ეს არის მომავალი ჯანსაღი თაობის საფუძველი, თანმიმდევრულად, წლიდან წლამდე იზრდება დაფინანსება ამ მიმართულებით. 2015 წელს ვითიბი ბანკმა ჯამურად სამი მილიონი ლარი გაიღო, რადგან მიაჩნიათ, რომ სპორტის, კულტურის, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო პროექტების მხარდაჭერა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოების წინსვლას და განვითარებას.

კომპანია „თელასმა“ „კათარზისის“ მობინადრეებს საინტერესო შობა-ახალი წელი აჩუქა. ასევე „თელასის“ ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ ორგანიზებით, მოხარდთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

„ვისოლ ჯგუფში“ შემავალი კომპანიები საკმაოდ აქტიურად გამოხატავენ სოციალურ პასუხისმგებლობას 2015 წელს. „სმარტმა“ სოციალური საწარმოების სააღდგომო გამოფენა-გაყიდვას უმასპინძლა, „ვისოლ პეტროლიუმმა“ პროექტს – „წიგნი ყველა სოფელს“ გაუწია მხარდაჭერა, ხოლო „ვენდისმა“ ჯადოსნურ საახალწლო წარმოდგენაზე სოციალურად დაუცველ ბავშვებს უმასპინძლა.

კომპანია „სოკარმა“ ნინო სურგულაძის საქველმოქმედო ფონდთან „ნატერის ხე“, ოფიციალური მემორანდუმი გააფორმა.

საქველმოქმედო ფონდმა „ავერსი“ 2015 წელს აიღო ვალდებულება, ეროვნული ოლიმპიური ნაკრების წევრებსა და ვეტერან სპორტსმენებს გაუწიოს უფასო სამედიცინო მომსახურება, „ავერსის“ კლინიკათა ქსელში ასევე უფასოდ უზრუნველყოს მკურნალობისთვის საჭირო ყველა მედიკამენტი. ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, კომპანია „ავერსმა“ სოციალურად დაუცველ 50-მდე ბავშვს „ხალიკოს ცენტრში“ უმასპინძლა.

გარემოს დაცვაზე მზრუნველ კომპანიებს შორის უნდა აღინიშნოს კომპანია „ნატასტარ“, რომელმაც მსხვილი ინვესტიცია განახორციელა წყლის გამწმენდი ნაგებობის შესაძენად. ნაგებობა გამოყენებულ წყალს მანამდე წმენდს, ვიდრე წყალი ჩამდინარე სისტემაში მოხვდება.

შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირების მხარდამჭერ პროექტებს შორის აღსანიშნავია კომპანია „ნიკორას“ ინიციატივით ჩატარებული მედიაპროექტ „ეტალონის“ სპეციალური თამაშები, რომლითაც კომპანია ცდილობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პატარების რესოციალიზაციასა და საზოგადოებაში ინტეგრირების საქმეში წვლილის შეტანას. აღნიშნული კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის მხარდაჭერასაც გულისხმობს. ისინი ახდენენ სოციალურად დაუცველი ოჯახების კვების პროდუქტებით, ასევე სხვა აუცილებელი საოჯახო ნივთებითა თუ ფართით უზრუნველყოფას. სოციალური აქტივობების პარალელურად, კომპანია თანამშრომლობს სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდებთან, მათ შორის „მომავლის გზასთან“, „იანანასთან“, „კათარზისთან“, წითელი ჯვრის საერთაშორისო საზოგადოებასთან და თანამშრომლობის ფარგლებში უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ოჯახებს კვების პროდუქტებით ამარაგებენ.

კომპანიამ „ბორჯომი“ აიღო სოციალური პასუხისმგებლობა, ჩამოეყალიბებინა საქართველოში ერთადერთ ფონდთან – „ჩვენი ბორჯომისათვის“ არსებული ბავშვთა და ახალგაზრდობის ტრენინგ ცენტრი, სადაც უდავოდ დიდი საქმე კეთდება ბორჯომელი ახალგაზრდებისათვის, რომლებიც აქ სრულიად უსასყიდლოდ ეუფლებიან უნარებს, მათემატიკას, ინგლისურს და ა.შ. იმ საგნებს, რომლებიც მათ სჭირდებათ უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ეს არის კომპანია „ბორჯომის“ უაღრესად კეთილშობილური სოციალური მისია და სხვა წარმატებული კომპანიებიც თუ მას მიბაძვენ, ეს დიდ გავლენას მოახდენს ჩვენი ახალგაზრდობის ორიენტაციაზე, მიიღონ სრულფასოვანი განათლება. თუმცა კომპანია „ბორჯომი“ სოციალური პასუხისმგებლობა მხოლოდ ამ აქტივობით არ შემოიფარგლება.

როგორც ვხედავთ, საქართველოში კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობა ძირითადად ქველმოქმედებაში და მოწყვლადი ჯგუფების დახმარებაში გამოიხატება. თუმცა კომპანიები სოციალურ პასუხისმგებლობას ასევე სხვადასხვა სფეროების მხარდაჭერითაც გამოხატავენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხი და სტრუქტურა საქართველოში მეტისმეტად ქაოსური და უსისტემო ხასიათისაა. თუ ვინმე სთხოვს დახმარებას ამა თუ იმ კომპანიას, ასეთ შემთხვევას განიხილავს და წყვეტს, დაეხმაროს თუ არა მას. რეალურად, კომპანია თავად უნდა ირჩევდეს პრიორიტეტს. ვთქვათ, განათლებას, მეცნიერებას, კულტურას, ტრადიციების შენარჩუნებას და ა.შ. უნდა შეირჩეს სოციალური პასუხისმგებლობის ფორმა. შემდეგ ამ მიმართულებით კომპანიამ უნდა განავითაროს გრძელვადიანი პროგრამა. პროგრამული მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ სჭირდება გრძელვადიანი გეგმა. სწორედ ასეთი პროგრამული მიდგომის ნაკლებობაა საქართველოში, დიდმა კომპანიებმა უკვე დაიწყეს სოციალური პასუხისმგებლობის

კუთხით გარკვეული პრიორიტეტების გამოყოფა. ქართული კომპანიები დიდი სოციალური პროგრამების განხორციელებას ძირითადად საკუთარი რესურსების ხარჯზე ცდილობენ, მათ ქმედებას ხშირ შემთხვევაში ერთჯერადი საქველმოქმედო სახე უფრო აქვს, ვიდრე სისტემური სოციალური პასუხისმგებლობის პროექტის. რაც შეეხება სოციალური პასუხისმგებლობის კომპეტენტურად განხორციელებას, ხშირ შემთხვევაში კომპანია თავად ახორციელებს მას. კომპანიებს ურჩევნიათ საკუთარი რესურსებითა და სტაფით იმუშაონ, ვიდრე ტენდერი გამოაცხადოს, შეარჩიოს მესამე მხარე, დაიქირაოს მათი მომსახურება და ა.შ. პრობლემაა არაადეკვატური კომუნიკაციაც. ქველმოქმედების ან რაიმე ერთჯერადი პროექტის სისტემატური გაშუქება ხშირად გამაღიზიანებელი ხდება.

2007 წელს საქართველოში შეიქმნა გაეროს პროგრამა „გლობალური შეთანხმების“ ქართული წარმომადგენლობა „გლობალური შეთანხმება – საქართველო“. დღეისათვის მისი წევრი 40-მდე ადგილობრივი ორგანიზაციაა. მისი მიზანია საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის თემის პოპულარიზაცია და საერთაშორისო სოციალური ანგარიშების წარმოების პრაქტიკის დანერგვა.

საქართველოში უკვე არსებობს სოციალური ანგარიშების წარმოების პრეცედენტები. კომპანიებმა – „ბრიტიშ პეტროლიუმ ჯორჯია“, „ბანკი რესპუბლიკა“, „ვისოლი“, „ნატასტარი“ – უკვე შექმნეს პირველი ქართული სოციალური ანგარიშები.

სოციალური პასუხისმგებლობა ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთი მასშტაბური საქმიანობაა. ზოგიერთ ქვეყანაში კანონმდებლობით განსაზღვრულია საგადასახადო შედავათები. ამიტომ, სოციალური პასუხისმგებლობა დამატებითი მოტივაციაა კომპანიებისთვის. საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა. გარკვეული შედავათების არსებობა სტიმულს მისცემდა კომპანიებს გრძელვადიანი სოციალური პროგრამების შემუშავებისათვის.

დასკვნა. ამგვარად, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ბიზნესკომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის ანალიზიდან ჩანს, კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას (CSR) შეუძლია ცალკეული სფეროების პრობლემების მოგვარება, შესაბამისად საჭიროა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი პოლიტიკის გატარება. თავის მხრივ, CSR-ის პოლიტიკის ხელშემწყობით საქართველოს მთავრობას მიეცემა შესაძლებლობა, მოაგვაროს ისეთი პრობლემები, როგორცაა ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი, სიღარიბე, უმუშევრობა, დაბალი შობადობა, საქმიანობის სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშემწყობა – ადამიანის უფლებების, შრომითი საქმიანობის, პროდუქციაზე პასუხისმგებლობის და ა.შ. ასევე CSR-ის განვითარებას შეუძლია ჩვენი ქვეყნისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი პრობლემის მოგვარებაში, მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში საკმაოდ დიდი წვლილის შეტანა.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა განიხილება როგორც ინვესტიცია, რომელსაც, თავის მხრივ, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში და საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ გვსურს მოვიზიდოთ ინვესტორები დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიდან, რადგან მათი მხრიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების შესრულებას. გარდა ამისა, CSR-ის შემადგენელი კომპონენტის, კერძოდ პროდუქციისა და სერვისების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საგარეო ვაჭრობის განვითარებასა და ქართული პროდუქციის ახალ ბაზრებზე გასვლას. CSR განვითარება მცირე და საშუალო კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს, ჩაერთონ მსხვილი მულტინაციონალური კომპანიების მიწოდების ჯაჭვებში.

ამრიგად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება დადებით ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის მდგრად განვითარებაზე, საგარეო ურთიერთობების გაუმჯობესებაზე და ქვეყანაში არსებულ მრავალ პრობლემაზე. საჯარო სექტორმა უნდა განახორციელოს მართებული ნაბიჯები იმისათვის, რომ კერძო სექტორმა საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებასა და ეროვნული პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის CSR შეიძლება გახდეს ის მძლავრი იარაღი, რომელიც შეძლებს ქვეყნის აღორძინებასა და საზოგადოებრივი მიზნების მიღწევას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ერქომაიშვილი გ., 2004. მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში. თბილისი, თსუ გამომცემლობა, გვ. 52.
2. ი. ლექვინაძე, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში. www.Forbes.ge

3. საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებისა და მოლოდინის კვლევა. 2007. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.
4. ხოფერია ლ. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და საჯარო სექტორის როლი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი N 120. 2011.
5. New Policy on Corporate Social Responsibility. 2011. European Commission, http://ec.europa.eu/enterprise/policies/sustainable-business/files/csr/new-csr/act_en.pdf
6. World of Marketing. www.wom.ge

Gulnaz Erkomaishvili

OBJECTIVE PREREQUISITES OF SOCIAL RESPONSIBILITY FORMATION IN GEORGIA

Summary

The work outlines the objective prerequisites for the formation of social responsibility in Georgia, which has been actual in the last 10 years; however, philanthropy has a long history in our country. The social responsibility of companies in Georgia is mainly supported by charity, as well as by the support of various spheres. It should also be noted that the quality and structure of social responsibility for business in Georgia is far more chaotic and non-violent.

Corporate Social Responsibility (CSR) can solve the problems of individual spheres, and therefore need to carry out corporate social responsibility support policies. The development of corporate social responsibility will have a positive impact on sustainable development of the country, improving foreign relations and many of the problems in the country.

ნაირა ვირსალაძე

ქრისტიანული მოძღვრება სახელმწიფოს და ოჯახის კეთილდღეობის სამსახურში

ანოტაცია. კვლევამ დაგვანახა, რომ რელიგია ყოველთვის არის სახელმწიფოსა და ოჯახის კეთილდღეობის სამსახურში და ღრმა დაინტერესებას იჩენს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური პროცესების მიმართ. სტატიაში დასმულია საკითხი, შესაძლებელია თუ არა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ადამიანთა დაუოკებელი ღვთაება სიმდიდრისაკენ შეუთავსდეს ზნეობრივ იმპერატივებს, სარწმუნოების მოთხოვნებს? რაც უფრო მეტად რელიგიური იქნება საზოგადოება, თითოეული ადამიანი, ის შეძლებს გაუძლოს ყოველგვარ ცდუნებას, ცხოვრებისეული სწორი გზით იაროს, იყოს ზომიერი ოჯახის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში.

საკვანძო სიტყვები: ქრისტიანული სარწმუნოება, სახელმწიფო, ოჯახი, სოციალური პრობლემები, კეთილდღეობა.

* * *

ყველა რელიგია და მათ შორის ქრისტიანულიც, საზოგადოებაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს. მათგან ერთ-ერთი სოციალური ფუნქციაა. რელიგია ღრმა დაინტერესებას იჩენს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური პროცესების მიმართ. რწმენისა და რელიგიური გრძნობების საშუალებით იგი ქმედით ზეგავლენას ახდენს როგორც თითოეულ ადამიანზე, ისე საზოგადოებაზე. ხელს უწყობს მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრას, ცხოვრების გასაზრისებას. რელიგიურ გულმოდგინებას შეუძლია რადიკალურად შეცვალოს საზოგადოება. რელიგიურ რწმენას ადამიანები იღებენ ღრმა მიზეზებით, რომელიც დაკავშირებულია ცხოვრების საზრისის ძიებასთან. რელიგია არა მხოლოდ აძლევს „მოკვდავს“ ნუგეშისცემას, არამედ ის აძლევს აზრს და სხვა ასპექტებს ადამიანურ ცხოვრებას. რელიგიისათვის მნიშვნელოვანია ოჯახი და მისი კეთილდღეობა. ოჯახი საზოგადოების ის ნაწილია, სადაც ადამიანთა ზნეობრივი საძირკველი იყრება, ეს ის სულიერი საწყისია, საიდანაც წარმოიშვნენ ერები და სახელმწიფოები. მართლმადიდებელი ადამიანებისათვის ოჯახი მცირე ეკლესიაა, თუ ის კურთხეული, ცოლქმრული სიყვარულით არის განმტკიცებული.

ისტორიის მანძილზე თითქმის ბანალურ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული, რომ რელიგია თავის მნიშვნელობას დაკარგავდა ან საერთოდ გაქრებოდა სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრების უმთავრესი სფეროებიდან. აკადემიურ წრეებში მიღებული იყო აზრი, რომ მეცნიერული იდეების გავრცელების შედეგად, დავიწყებას მისცემოდა „წმინდისა“ და „უხილავის“ გაგება. მაგრამ ეს წინასწარმეტყველება არ გამართლდა. ვერც მეცნიერების სწავლებამ, ვერც დიდმა მეცნიერულმა აღმოჩენებმა და ვერც XX საუკუნის ტოტალიტარულმა რეჟიმებმა ვერ განდევნა რელიგია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ამ მხრივ გამონაკლისს არც ყოფილი საბჭოთა

კავშირის სივრცე წარმოადგენს. აქაც არ გამართლდა პოლიტიკოსთა და სოციოლოგთა ვარაუდი, რომ რელიგიური ფაქტორი უმნიშვნელო იქნებოდა. მიუხედავად ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე დევნისა და ათეიზმის დანერგვისა, დანგრეული და დაცარიელებული ეკლესიების, სინაგოგების და მეჩეთებისა, პოსტკომუნისტურ ეპოქაში რელიგიას ისევ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრებაში. დღეს მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი ხედავს საკუთარ თავს ყოველგვარი რელიგიის ფარგლებს გარეთ. საქართველოში კი, სადაც 120-ზე მეტი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს, ქვეყნის მოსახლეობის 88,6 პროცენტი ქრისტიანული აღმსარებლობისაა. მათ შორის 3 097,6 ათ. კაცი, ანუ 83,4%, მართლმადიდებელია; ისლამის აღმსარებელია 398.7 ათ. კაცი, ანუ მოსახლეობის 10,7%, სომხური-სამოციქულო აღმსარებლობის მიმდევარია 109.0 ათ კაცი, ანუ 2,9%, იუდეური აღმსარებლობის - 0.1%. და ა. შ. ქრისტიანობა, მსოფლიოში ცნობილ ორასზე მეტი რელიგიიდან ერთ-ერთი ძირითადია. იგი წარმოიშვა იუდაიზმის წიაღში ახ. წ. I საუკუნეში რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში - პალესტინაში. ქრისტიანობის მთავარი არსი გამომდინარეობს 10 მცნებიდან. ქრისტიანობის ერთ-ერთი განშტოებაა მართლმადიდებლობა.

ქრისტიანობა, IV საუკუნიდან მოყოლებული, გადამწყვეტ როლს თამაშობდა საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებაში. თუმცა სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობა ყოველთვის ჰარმონიული არ ყოფილა. მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ საქართველოს ისტორიიდან ერთ-ერთი ფაქტი, რომელიც რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას (1103 წელი) უკავშირდება. ამ კრების მთავრი მიზანი იყო ეკლესია სახელმწიფოს გაძლიერებისა და განმტკიცების სამსახურში ჩამდგარიყო, აღმოფხვრილიყო ის დარღვევები, რომლებიც ქართულ ეკლესიაში არსებობდა (საეკლესიო ქონების განიავება, მცირეწლოვანთა ქორწინება და სხვა). კრებამ მიიღო მნიშვნელოვანი დადგენილება (რუის-ურბნისის ძეგლისწერა), რომელსაც კანონის ძალა ჰქონდა. რუის ურბნისის კრების შემდეგ ქართული ეკლესია სახელმწიფოს დაქვემდებარების ქვეშ გადავიდა. ფაქტობრივად, ეკლესია იყო სახელმწიფოს ერთ-ერთი წამყვანი რგოლი, რომელიც უდიდეს როლს ასრულებდა ქვეყნის მართვა-გამგეობის საკითხებში. თამარის მეფობის ხანაში და შემდგომ პერიოდებშიც იყო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის დაპირისპირების მაგალითები. თუმცა ეს დაპირისპირება კი ყოველთვის სახელმწიფოს საზიანოდ მთავრდებოდა.

საბჭოთა კავშირის პერიოდში ეკლესიის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა მიმდინარეობდა, სახელმწიფო უხეშად ერეოდა ეკლესიის საქმიანობაში და მის გაკონტროლებას ცდილობდა. დღეს ჩვენს ქვეყანაში მართლმადიდებლურ ეკლესიას განსაკუთრებული როლი უკავია, სახელმწიფო კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე აღიარებს ეკლესიას, როგორც დამოუკიდებელ რელიგიურ ორგანიზაციას, იცავს და აწესრიგებს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს. სახელმწიფო მხარს უჭერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვას. გარდა ამისა, კონსტიტუციურ შეთანხმებაში არსებობს უამრავი პრივილეგია, რაც მართლმადიდებლურ ეკლესიას სხვა რელიგიურ დაწესებულებებთან შედარებით ენიჭება.

ამდენად, მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული, სხვადასხვა პერიოდში ეკლესიის როლი სახელმწიფოში განსხვავებული იყო. თუ ადრე ეკლესიას დიდი როლი ენიჭებოდა სახელმწიფო მმართველობის საქმეში, დღეს ეკლესიისა და სახელმწიფოს ფუნქციები მკაცრადაა გამიჯნული. აღიარებულია ქრისტიანული რელიგიის განსაკუთრებული როლი საქართველოს სახელმწიფოსთვის, თუმცა იგი არ წარმოადგენს სახელმწიფო რელიგიას. საეკლესიო კანონები არ არეგულირებს სამოქალაქო თუ სხვა სამართლებრივ ურთიერთობებს. საეკლესიო კანონები მხოლოდ ეკლესიის ფარგლებში მოქმედებს, თუმცა, არ არსებობს რაიმე წინააღმდეგობა საეკლესიო კანონებსა და ქვეყანაში მიღებულ კანონებს შორის. აღნიშნული კი იმის დასტურია, რომ რელიგიას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა რომელიმე კონკრეტული რელიგიის წარმომადგენელია.

სახელმწიფოსთან ერთად რელიგიისათვის მნიშვნელოვანია ოჯახი და მისი კეთილდღეობა. ოჯახი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების საფუძველი და საყრდენია. ოჯახის სულიერი და მატერიალური მახასიათებლები საზოგადოებრივი პროგრესის მთავარი სოციალური კრიტერიუმებია. ოჯახის ღირსებები და კეთილდღეობა საზოგადოების ძირითადი მიზანია, მთავარია ოჯახი დაფუძნებული იყოს ადამიანურ ფასეულობებზე - ზნეობაზე, სამართლიანობაზე, ჭეშმარიტებაზე, სიკეთეზე, სიყვარულზე და ა. შ. ისინი მიმართულია ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისაკენ, მათი ურთიერთობების გაკეთილშობილებისაკენ.

ოჯახის კეთილდღეობისა და ბედნიერების ერთ-ერთი საფუძველი მისი მატერიალური უზრუნველყოფაა. ის შედის იმ ფასეულობათა წრეში, რომელიც აუცილებელია ადამიანთა არსებობისა და განვითარებისათვის. ამასთან, მატერიალურ ფასეულობათა როლი ოჯახის კეთილდღეობისა და ბედნიერებისთვის არაა უპირობო, იგი დამოკიდებულია სხვა ადამიანურ ფასეულობებთან. ფასეულობათა თანაფარდობა ადამიანთა ცხოვრებაში უდიდეს როლს ასრულებს ჭეშმარიტი კეთილდღეობის გარანტიებში. ოჯახის კეთილდღეობისა და ბედნიერების ფუნდამენტი მაშინაა მყარი,

როცა მის საყრდენად საკაცობრიო ფასეულობები გვევლინება. ინტელექტუალური განვითარება და კულტურული პროგრესი გვეკარნახობს ადამიანურ ფასეულობათა გადაქცევას მათი მოქმედებისა და ცხოვრების პრინციპებად. მაგრამ ცხოვრების რეალობა გაცილებით რთულია. ადამიანთა ინტერესები და მათი ქცევა რეალობაში ძნელად შეესაბამება იმ მოთხოვნას, რომ მატერიალური კეთილდღეობისათვის ზრუნვა თანხვედრაში იყოს ზნეობრივ და სამართლიან ქცევასთან, სიკეთესთან.

ზნეობრივი პრინციპების დაცვა წინააღმდეგობებს აწყდებს ადამიანის ცნობიერების სიმრუდის, ასევე ინტერესების საკაცობრიო ფასეულობებთან შეჯახების გამო. ის ხშირად უბიძგებს ადამიანებს თავისივე ბუნებრივი მიდრეკილების საწინააღმდეგო ქცევისაკენ. ცნობიერების ხარვეზები, ფასეულობებში, მათ შინაარსში გაურკვეველობა იწვევს უნებლიე არაზნეობრივ ქცევებს.

გაცნობიერებულად ადამიანთა არაზნეობრივი და არამართლზომიერი შემოქმედებები გარემოს გავლენით, როცა ისინი ეწინააღმდეგება მათსავე ბუნებას, ფართოდაა გავრცელებული. არის შემთხვევები, როცა არსებულ გარემოში შემოსავლის მიღებისა და ზოგჯერ გადარჩენის პირობაც ზნეობრივი თუ სამართლებრივი ნორმის დარღვევაა. სხვა სიტუაციაა, როცა ადამიანები თავისი მენტალიტეტით პირდაპირ ზნეობის ნორმების გამრღვევნი არიან.

კაცობრიობის ცხოვრება აღსავსეა უზნეობათა და უსამართლობათა, ბოროტებათა გამოვლინებებით, რაც საბოლოოდ აისახება ოჯახის, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედის, უდიდესი ნაწილის კეთილდღეობაზე.

საზოგადოებისა და ოჯახის ცხოვრებაში ფასეულობითი წონასწორობის არსებობაში დიდ როლს ასრულებს რელიგია, განსაკუთრებით მართლმადიდებლობა. იგი ნათლად მიუთითებს ამ წონასწორობის დარღვევის შეუთავსებლობაზე ჭეშმარიტ კეთილდღეობასთან, ბედნიერებასთან, ადამიანურ ღირსებებთან.

მართლმადიდებლობა არ ეწინააღმდეგება ადამიანთა ზრუნვას მატერიალური კეთილდღეობისათვის, სიმდიდრის შექმნისა და დაგროვებისათვის. მაგრამ ეს ზრუნვა უნდა იყოს ზნეობრივი და სიმდიდრე გამოყენებული არა მხოლოდ პირადი სიკეთისათვის, არამედ სხვისი კეთილდღეობისთვისაც. „ღმერთმა დაუშვა სხვაზე მეტი გქონდეს არა იმისათვის, რომ სიძვაში, მთვრალეობაში, ნაყროვანებაში, ძვირფას ტანსაცმელსა და განცხრომის სხვა საგნებში დაგეხარჯა, არამედ იმისათვის, რომ გაჭირვებულთათვის გაგენაწილებინა“ (წმინდა მამები).

ქრისტიანული რელიგია მოუწოდებს ადამიანებს ზომიერებისაკენ. ისეთი ოჯახი, რომელსაც ახასიათებს ზომიერება ადვილად დაიკმაყოფილებს თავს და იგრძნობს სიამოვნებას მოხმარებისაგან, მაშინ, როცა ხარბი არასოდეს არაა კმაყოფილი და მოკლებულია მოხმარებულ სიკეთეთაგან სიამოვნებას. ამიტომ რელიგია მოუწოდებს: „დაიმორჩილე სტომაქი, სანამ მას არ დაუმორჩილებიხარ“ (წმინდა მამები). ასევე „არ უნდა ისურვო ისეთი რამ, რომელსაც ვერ მოიხმარ და რომლის მუდმივ ფლობასაც ვერ შეძლებ“ (წმინდა ნილოს სინელი). სიხარბე იმ მსრიაცავა საზიანო, რომ იგი ადამიანებს ბოროტი და ამორალური საქმეებისაკენ მოუხმობს სიმდიდრის მოხვეჭის მიზნით⁷⁴.

მაშასადამე, ქრისტიანული შეგონებები ადამიანებს მოუწოდებს ზნეობრივი სიწმინდისაკენ, რაც მათი კეთილდღეობის აუცილებელი პირობაა. ამ შეგონებათა შესრულება მათ იცავს არა მარტო სულიერი შფოთვისა და დეგრადაციისაგან, არამედ ურთიერთშორის დაპირისპირების, სიძულვილის და სხვა უკეთურობებისაგან, ცხოვრების ხარისხის დაქვეითებისაგან.

საბაზრო ეკონომიკაში, სადაც საკუთარი კეთილდღეობისათვის ადამიანები არაფერს ერიდებიან და დიდია მათი ლტოლვა სიმდიდრისაკენ, სადაც ცხოვრებისეული მოვლენები და ურთიერთობები ერთმანეთთან რთულად არის გადაჯაჭვული, საზოგადოებისა და ოჯახის კეთილდღეობისათვის ზრუნვის პროცესში „ზნეობრივი ეკონომიკის“ ჩამოყალიბება და ქრისტიანული მორალის წესების დაცვა, ამორალური საქმიანობის აღკვეთა, მნიშვნელოვანი პრობლემაა. აქ უფრო ხშირია ადამიანთა დაბნეულობა, იძულებითი გადახრები მათი მიდრეკილების საწინააღმდეგოდ მატერიალური სარფის მიღებისაკენ, ვიდრე სხვა გარემოში. ეკონომიკური დოვლათი, მის სარგებლიანობასთან ერთად, ატარებს მაცდურობის, ფსევდოკეთილდღეობით, ფსევდობედნიერებით ადამიანთა გატაცების წინამძღვრებს, უბიძგებს მერყევ და ხარბ ადამიანებს არაეთიკური, არასამართლებრივი ქცევისაკენ, რომელიც ეწინააღმდეგება რელიგიის, რწმენის, ასევე საკაცობრიო მორალურ იმპერატივებს.

დღევანდელი სინამდვილე, რომ არაფერი ვთქვათ წარსულზე, საკვება ამგვარი ფაქტებით, ზოგიერთი ოჯახის წევრებიც კი, ქონების მოხვეჭის მიზნით, თავად უბიძგებენ ერთმანეთს ამორალური და უკანონო საქმიანობისაკენ. შედეგად, დიდია ოჯახების ქონებრივი დიფერენციაცია, ერთეული ოჯახები ფუფუნებაში ცხოვრობენ, ხოლო უმრავლესობა სიღატაკესა და სიდუხჭირეშია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა ადამიანთა დაუოკებელი ლტოლვა სიმდიდრისაკენ შეუთავსდეს ზნეობრივ იმპერატივებს, სარწმუნოების მოთხოვნებს?

⁷⁴ გ. მალაშხია, მეტაეკონომიკა - ეკონომიკის ფილოსოფია, გვ. 102, თბ., 1995.

ჩვენნი აზრით ეს შესაძლებელია, ვინაიდან საზოგადოებაში რწმენის გაძლიერება ქმნის იმის საფუძველს, რომ ადამიანებმა იცხოვრონ და იმოქმედონ ზნეობრივად, მოხდეს მათი გაკეთილშობილება ცივილიზაციის, კულტურული და საერთო პროგრესის ზემოქმედებით. იყო მორწმუნე ქრისტიანი – ეს იმთავითვე ნიშნავს იყო ზნეობრივი.

საზოგადოებისა და თითოეული ოჯახის კეთილდღეობის საყრდენი უნდა გახდეს კეთილი საწყისი, მისი ზოგადი კულტურა, ინტელექტი, რაშიც დიდი როლი უნდა შეასრულოს სარწმუნოება ოჯახის ჭკმპარიტ ინტერესებსა და ზნეობრივ პროგრესზე დაყრდნობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაღაშხია გიორგი, მეტაეკონომიკა - ეკონომიკის ფილოსოფია, თბ., 1995.
the state to support family values quite "often", i.e. in General, we can recognize the assessment of the current role of the state in supporting family values on the part of workers of mass-media quite restrained. The lack of demand for materials on domestic relations indicated 17% of respondents. But the reason why authors include material on the family in publishing or transmission by estimations of workers of mass-media, lies not in the lack of demand for content about family and family values, and the position of leadership of the editorial Board or the owner of the media (I think up to 33% of respondents) and improper format of the publication, program or channel.

ლელა მენაბდიშვილი

**მართლმადიდებელ მორწმუნეთა რეპროდუქციული
ქცევის თავისებურებები**

ანოტაცია. ნაშრომში, სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე, განხილულია მართლმადიდებელი მორწმუნეების რეპროდუქციული ქცევის თავისებურებები. ნახევრებია სარწმუნოების მნიშვნელოვანი გავლენა ოჯახში ბავშვთა შობის დაგეგმვაზე; რეპროდუქციული ქცევის ინდიკატორებზე; რწმენის ხარისხის, წირვა-ლოცვაზე დასწრების სიხშირის გავლენა ოჯახში ბავშვთა მოსალოდნელ რაოდენობაზე. გამოკვეთილია მორწმუნე მართლმადიდებლების რეპროდუქციული ქცევის მიდრეკილება მრავალშვილიანობისაკენ.

საკვანძო სიტყვები: ბავშვთა შობის დაგეგმვა, ბავშვთა იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რაოდენობა,

ყოველ ადამიანს თავისი აზრი და დამოკიდებულება აქვს დემოგრაფიული პროცესების მიმართ. ეს აზრი და დამოკიდებულება ძირითადად გამოიწვევება ეროვნული, ოჯახური ტრადიციების, რელიგიური მრწამსის, ცხოვრების კონკრეტული პირობების, განათლების დონისა და იმ სოციალური გარემოს მეშვეობით, რომელშიც ადამიანებს უხდებათ ცხოვრება. მეკვლევარები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დემოგრაფიულ ქცევებზე დიდ გავლენას ახდენს სარწმუნოება. რეპროდუქციული ქცევა დემოგრაფიული ქცევების რიცხვს მიეკუთვნება და მის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ის შესაძლებლობას გვაძლევს, გავარკვიოთ რეპროდუქციის პროცესზე ობიექტივაციისა და ნებელობის გავლენა, დღევანდელი მდგომარეობა და მოსალოდნელი შედეგები. მნიშვნელოვანია რეპროდუქციული ქცევის შესწავლა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებში, განსაკუთრებით კი მართლმადიდებელ მორწმუნეებში. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა და უმრავლესობა მართლმადიდებელია და, მეორეც, მათი ქცევის სახელმძღვანელო ის მცნებებია, რასაც მართლმადიდებლობა ქადაგებს.

არაერთმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას და მის წინამძღვარს – კათოლიკოს პატრიარქს, ილია II ყველაზე მაღალი ავტორიტეტი და ნდობის ხარისხი აქვს საზოგადოებაში. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი დამსახურებით მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებები მოხდა ქვეყნის დემოგრაფიულ მაჩვენებლებში. მისმა უწმინდესობამ, ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, 2007 წელს მართლმადიდებელ მოსახლეობას გაუკეთა შემოთავაზება, რომლის თანახმად, ჯვარდაწერილი წყვილის ყოველი მესამე და მომდევნო ბავშვის ნათლია პატრიარქი იქნებოდა. საქსტატის მონაცემებიდან ნათლად ჩანს ამ მოწოდების შემდეგ შობადობაში განხორციელებული ცვლილებები – ცოცხლად დაბადებულთა შთამბეჭდავი ზრდა უკვე 2008 წლიდან. ამასთან, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება ცოცხლად დაბადებულთა რიგითობის განაწილებაში. კერძოდ, 2007 – 2015 წწ. დაბადებულთა საერთო რაოდენობაში მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვთა წილი 10,9%-დან 18,3%-მდე გაიზარდა. შესაბამისად 1,4-დან 2,2 ბავშვამდე გაიზარდა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი. გაუმჯობესდა მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტიც, რომლის შეფასების მაჩვენებელიც ერთის ზევით დაფიქსირდა. ეს დემოგრაფიული მაჩვენებლები გვიჩვენებს, რომ 2009 წლიდან, შობადობის თვალსაზრისით, მოსახლეობის დემოგრაფიული პროცესი შეჩერებულია და იგი მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას უზრუნველყოფს, რაც 1991 წლის შემდეგ 2009 წლამდე არ დაფიქსირებულა. (ა. სულაბერიძე 2016) მართალია, დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში გაიზარდა მესამე და მომდევნო შვილების წილი, მაგრამ პირველი შვილის წილი შემცირდა. ეს ტენდენცია 2015 წელსაც გაგრძელდა. წინა წელთან შედარებით პირველი შვილის პროცენტული წილი 1,8 პუნქტით შემცირდა, მესამე და მომდევნო შვილის პროცენტული წილი 1,8-ით გაიზარდა, ხოლო მეორე შვილის წილი უცვლელი დარჩა (საქსტატი).

შობადობაზე მოქმედი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია შვილთა ყოლის მოთხოვნილება. ის სხვა მოთხოვნილებასთან კავშირში განისაზღვრება. პაატა გუგუშვილი წერდა: „ბავშვებზე მოთხოვნილება – კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი უნივერსალური ფასეულობაა. ბავშვზე, შვილზე

მოთხოვნილება მარადიული ფენომენია და საპატიო ადგილი უჭირავს ადამიანის მორალურ ფასეულობათა სისტემაში“ (პ. გუგუშვილი, 1985).

ოჯახში ხდება ბავშვთა შობის დაგეგმვა, რაც ბავშვთა გარკვეული რაოდენობის ყოლას გულისხმობს. მეუღლეები განსაზღვრავენ ბავშვთა სასურველ რიცხვს, ბავშვთა შობის ინტერვალს, ბავშვის სქესს. ამდენად, ბავშვთა შობის დაგეგმვა შიდაოჯახური რეგულირების მეშვეობით ხორციელდება. მკვლევართა აზრით, ბავშვთა შობის დაგეგმვა ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების არსებობას. იგი დადებითად მოქმედებს ბავშვებისა და დედების ჯანმრთელობაზე. ბავშვთა შობის დაგეგმვა ხორციელდება რეპროდუქციული ციკლის ბუნებრივ მსვლელობაში ცნობიერი ჩარევით. გამოიყენება ჩარევის ისეთი მეთოდები, როგორცაა აბორტი, კონტრაცეფტივი და სხვა.

მართლმადიდებელი ეკლესია „არასასურველი შვილის“ აღნიშნული მეთოდების გამოყენებით მოშორების წინააღმდეგია, რადგან ეს საქციელი წინასწარი განზრახვით, ცნობიერად ხორციელდება, ეს ქმედება შეფასებულია, როგორც მკვლელობა. რწმენიდან გამომდინარე, რესპონდენტების 50% თვლის, რომ ოჯახში შვილთა ყოლის რაოდენობა „ღმერთის ნებით წყდება“ და არა ცოლ-ქმრის (42,9%) ან რომელიმე მეუღლის (ქმარი – 2%, ცოლი – 0,4%) ნებით. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ მორწმუნეთა ოჯახების უმრავლესობაში შვილთა შობის დაგეგმვა არ ხდება⁷⁹.

ჯერ კიდევ 2004 წელს ელგუჯა მენაბდიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა თემაზე: "მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური ფასეულობები და დემოგრაფიული ორიენტაციები"⁸⁰. ჩვენ საშუალება გვაქვს, ამ ორი კვლევის საფუძველზე წარმოვანინოთ განიცადა თუ არა ტრანსფორმაცია მართლმადიდებელ მორწმუნეთა რეპროდუქციულმა ქცევამ. ცხრილ 1-ში მოყვანილია ორი კვლევით მიღებული შედეგები, საიდანაც იკვეთება, რომ შემცირებულია იმ რესპონდენტების რიცხვი, ვინც ბავშვთა შობის დაგეგმვა ღმერთს მიანდო. ასევე შემცირებულია არასასურველი ბავშვის აბორტის საშუალებით მოშორება, გაზრდილია კონტრაცეპტივების გამოყენება.

ცხრილი 1

ბავშვთა შობის დაგეგმვის მეთოდები ქორწინებაში მყოფ რესპონდენტებში

ხდება თუ არა ბავშვთა შობის დაგეგმვა ოჯახში	2004			2015		
	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ
არა, ეს საქმე ღმერთს მივანდეთ	94,5	90,6	91,8	83,0	86,0	85,2
დიახ, მარხვის დაცვით	–	–	–	1,9	3,3	2,8
დიახ, კონტრაცეპტივების საშუალებით	3,8	5,6	5,1	11,3	7,4	8,6
დიახ, აბორტის საშუალებით	1,7	3,8	3,2	0,0	0,8	0,6
არ უპასუხა	–	–	–	3,8	2,5	2,8

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შობადობის შიდაოჯახური კონტროლი გულისხმობს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორისაა შვილთა სასურველი რაოდენობა და სასურველი სქესი. იქიდან გამომდინარე, რომ რესპონდენტთა უმეტესობა შობადობის შიდაოჯახურ კონტროლს არ ახდენს იმ მიზეზით, რომ „ეს საქმე ღმერთის ნებით წყდება“, სრულიად ლოგიკურია, რომ ბავშვთა სქესსაც არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებს, რადგან ესეც ღვთის ნების გამოხატულებად მიიჩნია.

⁷⁹ წარმოდგენილი ნაშრომი ეყრდნობა დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2015 წელს მართლმადიდებელ მორწმუნეებში ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკვლევას. გამოკვლევის ჩატარებაში უდიდესი დახმარება გაავლია თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა პროტოპროსვიტერმა გიორგი ზვიადაძემ და პრორექტორმა ბესარიონ ცინცაძემ. გამოიკითხა 1200 მართლმადიდებელი მორწმუნე.

⁸⁰ 2004 წლის სოციოლოგიური კვლევის შედეგები სრულადაა ასახული ნინო ჩიკვილაძის სადისერტაციო ნაშრომში: „მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური ფასეულობები და დემოგრაფიული ორიენტაციები“, 2006.

ბავშვის სქესის წინსაწარი ცოდნის გავლენა ბავშთა სასურველი რაოდენობის ყოლაზე (%)

	სულ		
	დიახ	არა	არ ვიცი
თქვენთვის სასურველი ბავშვების რაოდენობაში მნიშვნელობა აქვს თუ არა ბავშვის სქესს	13,2	86,4	0,4
თუ თქვენ დაგეგმილი გქონდათ ორი ბავშვის ყოლა, მაგრამ გაიგეთ, რომ მეორეც იმავე სქესისაა, იყოლიებთ თუ არა მას	93,9	1,4	4,7

რეპროდუქციულ ქცევაში იგულისხმება აქტივობა, რომელიც მიმართულია ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამდენად, მას განსაზღვრავს ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება და ის სიტუაცია, რომელშიც შესაძლებელია ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. პიროვნების რეპროდუქციული ქცევის ორიენტაციის გარეგანი საშუალებების სახით, რეპროდუქციული ნორმები წარმოადგენს ბავშვების გარკვეული რიცხვის განენასთან დაკავშირებულ და სხვადასხვა სოციალურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ჯგუფში მიღებული პრინციპებისა და ქცევის ნორმებს. ანტონოვის განმარტებით, ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება წარმოადგენს ინდივიდის სოციალურ-ფსიქოლოგიურ თვისებას, რაც იმაში ვლინდება, რომ ბავშვების გარეშე და მათი შესაფერისი რიცხვის გარეშე ინდივიდი, როგორც პიროვნება, განიცდის დაბრკოლებას (Антонов А. И.).

ბავშვების ყოლის მოთხოვნილება ადამიანს სოციალური გარემოს ზემოქმედებით უყალიბდება, ამიტომ ის შექმნილ ტენდენციას წარმოადგენს. ფსიქიკური ფუნქციონები, რომლებიც რეპროდუქციული ქცევის პოზიტიურ ძალებად განიცდება და წარმართავს ადამიანს ბავშვების ყოლისაკენ, ბავშვების ყოლის მოტივებად იწოდება. ისინი განაპირობებენ ნებისმიერი რიგითობის ბავშვების ყოლას. განასხვავებენ ბავშვების ყოლის ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ მოტივებს.

ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება განსხვავდება საზოგადოების, ცალკეული სოციალური ჯგუფების, ოჯახის და პიროვნების დონეზე. მასზე დიდ გავლენას ახდენს რელიგიური მრწამსი. ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენ მიერ მორწმუნე მართლმადიდებლებში ჩატარებული კვლევის შედეგები.

მართლმადიდებელი მორწმუნეების რეპროდუქციული ქცევის თავისებურებებს განვიხილავთ ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა: ბავშვების იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი (დაგეგმილი) რიცხვი.

ბავშვების საშუალო იდეალური რიცხვი ახასიათებს ადამიანის წარმოდგენას, საერთოდ, ოჯახში ბავშვთა საუკეთესო რაოდენობის შესახებ, მაგრამ არა აუცილებლად თავის ოჯახში. სასურველი რიცხვი კი განიხილება როგორც მაჩვენებელი, რომელიც ყველაზე ახლოს ახასიათებს ბავშვებზე ინდივიდუალურ მოთხოვნილებას და გამოსატავს რესპონდენტთა პიროვნული უპირატესობის გამოვლენას ბავშვების იმ რაოდენობასთან დაკავშირებით, რომელიც რესპონდენტს უნდოდა რომ ჰყოლოდა, თუკი მას ხელს არაფერი შეუშლიდა ამ ბავშვთა რაოდენობის ყოლის სურვილში.

მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ ბავშვთა როგორც იდეალური, ისე სასურველი რაოდენობა სამ ბავშვს აღემატება და ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან. ბავშვთა საშუალო სასურველი რაოდენობა მხოლოდ ორი მეათედით ჩამორჩება იდეალურს. ამ მხრივ მართლმადიდებელი მორწმუნეები გამოირჩევიან, რადგან არც ერთ სხვა სოციალურ ჯგუფში ეს ტენდენცია არ შეინიშნება.

ბავშვთა მოსალოდნელი (ან დაგეგმილი) რიცხვი ბავშვთა ის რაოდენობაა, რომლის ყოლასაც საერთოდ აპირებს ადამიანი. ის ახასიათებს ადამიანის და ოჯახის რეპროდუქციული გეგმების რეალურ განზრახვებს მათი ცხოვრების კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. სტატისტიკოს დემოგრაფთა მიერ ეს მაჩვენებელი განიხილება როგორც პროგნოზირებისთვის ყველაზე მეტად პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სიდიდე. ვინაიდან ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა (სულ) შეადგენს ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობის და ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობის (კიდევ) ჯამს, ამიტომ, შესაძლებელია, განვიხილოთ როგორც რეპროდუქციული განწყობა (გ. წულაძე, ა. სულაბერიძე, ნ. მაღლაფერიძე).

რეპროდუქციული განწყობა მართლმადიდებელ მორწმუნეებში (საშუალო)

	მამაკაცი	ქალი	სულ
რამდენი ბავშვი უნდა იყოს, საერთოდ, ოჯახში	3,41	3,30	3,32
პირადად თქვენ რამდენი ბავშვის ყოლა გსურთ	3,25	3,11	3,12
ამჟამად რამდენი ბავშვი გყავთ	1,86	1,87	1,87
კიდევ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ	1,91	2,29	2,18
ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობა	3,77	4,16	4,05

ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა არის ბავშვების ის რაოდენობა, რომლის ყოლასაც აპირებს ადამიანი საერთოდ, „ბავშვების ყოლის მოთხოვნილებიდან“ გამომდინარე და კონკრეტული ცხოვრებისეული პირობების გათვალისწინებით. ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება წარმოადგენს ბავშვების რაოდენობის ინდივიდუალურ ოპტიმუმს კონკრეტულ პირობებში. ეს მაჩვენებელი 2015 წელს გამოკითხულ მართლმადიდებელ მორწმუნეებში აღემატება 2004 წლის მონაცემს.

ბავშვთა რეალური და კიდევ მოსალოდნელი რაოდენობა 2004 და 2015 წლებში გამოკითხულ მართლმადიდებელ მორწმუნე რესპონდენტებში (საშუალო)

	2004 წელი	2015 წელი
ამჟამად რამდენი ბავშვი გყავთ	2,33	1,87
კიდევ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ	1,62	2,18
ბავშვთა სულ მოსალოდნელი რაოდენობა	3,95	4,05

ეკლესიაში სიარულის სიხშირე დიდ გავლენას ახდენს ბავშვთა ყოლის რაოდენობაზე. სულ ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობა ყველაზე მაღალია იმ რესპონდენტებში, ვინც ყოველ კვირას დადის ეკლესიაში და იკლებს ეკლესიაში სიარულის სიხშირის კლებასთან ერთად.

ეკლესიაში სიარულის სიხშირის გავლენა ბავშვთა რაოდენობაზე (საშუალო)

	უფრო ხშირად ვიდრე კვირაში ერთხელ	კვირაში ერთხელ	თვეში ერთხელ	წელიწადში რამდენჯერმე	საეკლესიო დღესასწაულებზე
ბავშვების იდეალური რაოდენობა	3,5	3,4	3,2	3,3	2,9
ბავშვების სასურველი რაოდენობა	3,5	3,1	3,1	2,9	2,7
ამჟამად ბავშვების რეალური რაოდენობა	2,4	2,2	1,8	1,8	1,9
ბავშვების კიდევ მოსალოდნელი რაოდენობა	2,8	2,6	2,7	2,1	2,3
ბავშვების სულ მოსალოდნელი რაოდენობა	5,2	4,8	4,5	3,9	4,2

მონაცემები გვიჩვენებს, რომ საკმაოდ ძლიერია ეკლესიურობის გავლენა მორწმუნე მართლმადიდებელთა რეპროდუქციულ ქცევაზე. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ სხვა სოციალურ ჯგუფებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოში ოჯახები ძირითადად ორიენტირებულნი არიან ორ შვილიან ოჯახებზე⁸¹. ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება საშუალოდ მოსახლეობის მარტივ აღწარმოებასაც კი ვერ უზრუნველყოფს. ქორწინებაში მყოფი რესპონდენტების ბავშვების საშუალო სასურველი და სულ მოსალოდნელი რაოდენობა დაახლოებით 2,5-ია. მართალია, მართლმადიდებელ მორწმუნეებში შესაბამისი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება (4,05) მოყვანილ მაჩვენებელს, მაგრამ არასაკმარისია იმისთვის, რომ გააწონასწოროს ქორ-

⁸¹ 2013 წელს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტმა საქართველოს სამ ქალაქში – თბილისი, ქუთაისი და კასპი – ჩატარა გამოკვლევა თემაზე: „ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაციის თავისებურებანი“, რომლის შედეგები, სხვა საკითხებთან ერთად, საშუალებას იძლევა, შესწავლილ იქნეს 18-49 წლის ქალების და მამაკაცების რეპროდუქციულ ქცევასთან დაკავშირებული საკითხები.

წინებაში არმყოფები, უშვილოები და ისინი, რომლებსაც არ შეუძლიათ ერთ ან ორ შვილზე მეტის ყოლა.

ამრიგად, კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მორწმუნე რესპონდენტების რეპროდუქციულ ქცევაზე დიდ გავლენას ახდენს რელიგიური მრწამსი.

- სარწმუნოებიდან გამომდინარე, მათი ოჯახების უმრავლესობაში არ ხდება არც ბავშვთა შობის და არც ბავშვის სქესის დაგეგმვა;

- ყველა სხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, მართლმადიდებელ მორწმუნე რესპონდენტებში ბავშვთა იდეალური და ბავშვთა სასურველი რაოდენობა თითქმის თანაბარია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ, საერთოდ, ოჯახში ბავშვთა საუკეთესო რაოდენობის შესახებ მათი წარმოდგენა თითქმის თანხვედრაშია თავის ოჯახში სასურველ ბავშვთა რიცხვთან.

- ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობა საკმაოდ მაღალია არა მხოლოდ სხვა სოციალური ჯგუფების ანალოგიურ მაჩვენებელზე, არამედ უსწრებს მართლმადიდებელი მორწმუნეების წინა წლებში დაფიქსირებულ მაჩვენებელსაც.

- ეკლესიაში სიარულის სიხშირე დიდ გავლენას ახდენს ბავშვთა ყოლის რაოდენობაზე. ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობა ყველაზე მაღალია იმ რესპონდენტებში, ვინც კვირაში რამდენჯერმე დადის ეკლესიაში და ეს მაჩვენებელი იკლებს ეკლესიაში სიარულის სიხშირის კლებასთან ერთად.

- ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობა დემოგრაფიაში განიხილება, როგორც პროგნოზირებისთვის ყველაზე მეტად პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სიდიდე. მართლმადიდებელი მორწმუნეების მოსალოდნელი ბავშვების მაჩვენებლის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი რეპროდუქციული ქცევა მიმართულია საშუალოშიდლიანობიდან მრავალშვილიანობისაკენ გაცნობიერებული მოთხოვნებით. თუმცა არასაკმარისია იმისთვის, რომ გააწონასწოროს ქორწინებაში არმყოფები, უშვილოები და ისინი, რომლებსაც არ შეუძლიათ ერთ ან ორ შვილზე მეტის ყოლა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პ. გუგუბშვილი, ნებით ნუ გადავშენდებით. გაზეთი „თბილისი“, 1985 წლის 19 ოქტომბერი №242(9860), გვ. 6.
2. ა. სულაბერიძე, საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ზოგადი ტენდენციები. წიგნი: „საქართველოში მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება სოციალურ დემოგრაფიული ქცევისა და ოჯახის პრობლემებისადმი“. 2016. გვ 19–20.
3. გ. წულაძე, ა. სულაბერიძე, ნ. მაღლაფერიძე. დემოგრაფია – სახელმძღვანელო. თბ., 2007, გვ. 132.
4. ნ. ჩიკვილაძის სადისერტაციო ნაშრომში: „მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური ფასეულობები და დემოგრაფიული ორიენტაციები“, 2006.
5. Антонов А. И. Репродуктивное поведение. Народнонаселение, Энциклопедический словарь. М., 1994.
6. GeoStat.Ge

Lela Menabdishvili

THE PECULIARITIES OF REPRODUCTIVE BEHAVIOR OF ORTHODOX BELIEVERS

Summary

The views and attitudes of every human being towards the demographic processes is developed generally through the national, family traditions, religious affiliation, the certain living conditions, education level and the social environment, where people live.

The religious affiliation exerts an important influence on the demographic behaviors. The clear example of that is a proposal of His Holiness Catholicos – Patriarch of all Georgia Ilia II to the Georgian population, made in 2007. As a result, the percentage share of third and the subsequent child was increased accordingly from 10,9% to 18,3% among the total number of those born during 2014-2015 years.

The reproductive behavior of Orthodox Christians is characterized with the important peculiarities because of their faith: family planning is not common practice in their families, according to their point of view, this matter is decided by the God’s will (85,2%). Concerning the fact that the most respondents are not practicing interfamily birth control, no essential importance is given by them to the child’s gender as well (86,4%); The number of children considered as an ideal, as well as a desired among the orthodox believers doesn’t exceed 3 children and this figure is very close to each other. The average desired number of children is behind the ideal only by two tenths. They are really distinguished by this, because this trend is not revealed in other social groups. The total of expected number of children equals to

4,05. This figure exceeds the same figure for 2004 year (3,95) and the other social groups figures (2,5) as well. The church attendance frequency exerts a great influence on the number of children in the family. The total of expected number of children is the highest among the respondents, who attends church on a weekly basis (5,2) and this figure is dropping with the church attendance frequency decrease.

ნანა მენაბდიშვილი

თვითმოვლითი ქცევა სტუდენტებში

ანოტაცია. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია სტუდენტი ახალგაზრდების თვითმოვლითი ქცევა. ნაშრომი ეყრდნობა სოციოლოგიური გამოკვლევით მიღებულ შედეგებს. შესწავლილია თვითმოვლითი ქცევის ინდიკატორები. რესპონდენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, ჯანმრთელობის გავლენა თვითმოვლითი ქცევის ინდიკატორებზე, ჯანმრთელობაზე ზრუნვის მეთოდები. სტუდენტთა დამოკიდებულება ისეთი მავნე ჩვევებისადმი, როგორცაა თამბაქო, ალკოჰოლი, ნარკომანია.

საკვანძო სიტყვები: თვითმოვლითი ქცევა, თვითმოვლითი ქცევის ინდიკატორები, ჯანმრთელობა, ცხოვრების ჯანსაღი წესი.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან სოციოლოგთა და დემოგრაფთა მხრიდან მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა თვითმოვლითი ქცევის შესწავლას⁸². სწრაფვა, შესწავლილ იქნეს ადამიანთა სურვილები საკუთარ ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ვადებზე, ნაკარნახევია იმით, რომ ამ სურვილების რეალიზაცია იძლევა გარკვეულ შედეგებს როგორც ცალკეული პიროვნებისთვის, ისე ქვეყნის დემოგრაფიული და ეკონომიკური თვალსაზრისით. ის მნიშვნელოვნად განაპირობებს არა მარტო მოსახლეობის, არამედ მატერიალური დოვლათისა და ერის სულიერი ღირებულებების გამრავლებას. სწორედ ამიტომ, თვითმოვლითი ქცევის შესწავლა დიდ მიღწევად ითვლება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ საკითხის შესწავლა ახალგაზრდა ასაკში, რადგან ადამიანის ჯანმრთელობა და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა ძირითადად მისივე ცხოვრების წესზეა დამოკიდებული. ნაშრომში განხილულია ახალგაზრდების ერთი ჯგუფის – სტუდენტების თვითმოვლითი ქცევა. შედეგები მიღებულია სოციოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე⁸³.

თვითმოვლითი ქცევა განიხილება როგორც ქმედებებისა და ურთიერთობების სისტემა, რომელიც, ცხოვრების სრული ციკლის განმავლობაში, მიმართულია ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და სიცოცხლის ვადების გაგრძელებაზე. თვითმოვლითი ქცევა შესაბამისი განწყობის რეალიზაციას წარმოადგენს. მისი შესწავლა ისეთი ინდიკატორებით ხდება, როგორცაა: სიცოცხლის ხანგრძლივობის იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი წლები. სიცოცხლის იდეალური ხანგრძლივობის წლები ახასიათებს პიროვნების წარმოდგენას საერთოდ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის საუკეთესო წლების შესახებ. რესპონდენტებში სიცოცხლის იდეალურ ხანგრძლივობად დასახეულა საშუალოდ 84,8 წელი. მამაკაც რესპონდენტებში სიცოცხლის იდეალური ხანგრძლივობა 3,3-ით მაღალია ქალ რესპონდენტებთან შედარებით.

სიცოცხლის სასურველი რაოდენობა ყველაზე ახლოს ახასიათებს ინდივიდუალურ მოთხოვნილებას სიცოცხლის ხანგრძლივობაზე და გამოხატავს პიროვნულ უპირატესობას. რესპონდენტებში სიცოცხლის სასურველმა ხანგრძლივობამ საშუალოდ 83,2 წელი შეადგინა. მამაკაცებთან სიცოცხლის სასურველი ხანგრძლივობა 1,4-ით აღემატება ქალებისთვის სასურველს. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა კი საშუალოდ 78,3 წელია. მამაკაცებში 1,9-ით მაღალია.

ცხრილი 1

თვითმოვლითი ქცევის ინდიკატორები (საშუალო)

	სულ	მამაკაცი	ქალი
სიცოცხლის იდეალური ხანგრძლივობა	84,8	86,4	83,1
სიცოცხლის სასურველი ხანგრძლივობა	83,2	83,9	82,5
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა	78,3	79,2	77,3
„დიდხანს სიცოცხლე“ – ეს ნიშნავს იცოცხლოთ	95,7	97,9	93,5

⁸² დემოგრაფიულ ლიტერატურაში გამოიყენება „თვითშენახვითი“ ქცევა, რაც წარმოადგენს რუსულიდან – „самосохранение“ პირდაპირ თარგმანს. ქართველმა დემოგრაფმა ავთანდილ სულაბერიძემ „თვითშენახვითი“ ქცევის მაგივრად დაამკვიდრა „თვითმოვლითი“ ქცევის ცნება, რაც, ვფიქრობთ, ზუსტად ასახავს ამ ცნების შინაარსს.

⁸³ 2016 წელს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტმა შეისწავლა სტუდენტი ახალგაზრდების თვითმოვლითი ქცევა. სპეციალური კითხვარით სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში გამოიკითხა 1200 სტუდენტი.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ყველა მანევრებელში სავარაუდო ვადებზე მამაკაცების წარმოდგენები აღემატება ქალებისას და წინააღმდეგობაში მოდის სტატისტიკურ მანევრებლებთან, რადგან სტატისტიკური მონაცემების მიხედვით პირიქითაა, ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა აღემატება მამაკაცებისას. ამას გარდა საკმაოდ მაღლია განსხვავება ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებსა და გამოკვლევით მიღებულ მონაცემებს შორის⁸⁴. ოფიციალური სტატისტიკით მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 68,6 წელია, ხოლო ქალების – 77,2 წელი. მამაკაცების მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა თითქმის 10 წლით აღემატება სტატისტიკურ მონაცემს, ქალებთან კი განსხვავება მხოლოდ ორი წელია.

განსხვავებული ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე რესპონდენტებს განსხვავებული შეხედულება აქვთ თვითმოვლითი ქცევის ინდიკატორებსა და „დიდხანს სიცოცხლეზე“.

ცხრილი 2

რესპონდენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გავლენა თვითშენახვითი ქცევის ინდიკატორებზე (საშუალო)

	კარგი	დამაკმაყოფილებელი	ცუდი	არ მიუთითა
სიცოცხლის იდეალური ხანგრძლივობა	85,5	84,8	81,2	80,2
სიცოცხლის სასურველი ხანგრძლივობა	84,4	82,8	78,0	79,2
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა	80,2	77,9	69,5	74,2
„დიდხანს სიცოცხლე“ – ეს ნიშნავს იცოცხლოთ	97,0	95,4	92,2	86,9

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, ჯანმრთელობა ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობაა და არა მარტო დაავადების და ფიზიკური დეფექტების არარსებობა. მიხნეულია, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს ზეგავლენას. მათგან ძირითადად გამოყოფენ: ცხოვრების წესს და პირობებს – 48-50%, გარემოს – 20-22%, გენეტიკურ ფაქტორებს – 18-20%, ჯანმრთელობის დაცვის წილს – 12-14%(medportal.ge).

ადამიანს ქცევის ისეთი ელემენტები უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული, რომლებიც საშუალებას მისცემს, დაიცვას, შეინარჩუნოს და განამტკიცოს საკუთარი ჯანმრთელობა. ჩვენი რთული დემოგრაფიული, სოციალური და ეკოლოგიური მდგომარეობის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და დანერგვა, რადგან ამ გზით შესაძლებელია მრავალი დაავადების პრევენცია. მით უფრო, რომ ცხოვრების წესი დიდ გავლენას ახდენს ზოგიერთი დაავადების ჩამოყალიბებაზე, მაგალითად, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებთა 54–55% გამოწვეულია ცხოვრების არაჯანსაღი წესით. მათ შორის გულის იშემიური დაავადების 60%, ხოლო თავის ტვინის სისხლძარღვების დაზიანების – 65%. (გ. ლორთქიფანიძე, ა. თოთაძე, 2007)

მნიშვნელოვანია, რომ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ადამიანს ოჯახში ბავშვობის ასაკიდანვე განუვითარდეს. რესპონდენტთა უმრავლესობაში (82,9%) ჯანმრთელობაზე ზრუნვა ბავშვობიდანვე იყო მიღებული. მაგრამ მათ თავად განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ჯანმრთელობაზე ზრუნვის ასაკზე. უმეტესობის აზრით (32,5%), ადამიანმა საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ათ წლამდე ასაკში უნდა დაიწყო, არც თუ მცირეა მათი წილი (26,6%), ვისთვისაც ასეთ ასაკად 10–19 წელია მართებული მიხნეული. 21,1% ასახელებს 20–39 წელს. 15,4% კი 40 წელზე მეტს. ამგვარი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება განსაზღვრავს, რომ რესპონდენტები მუდმივად არ ზრუნავენ საკუთარ ჯანმრთელობაზე.

ცხრილი 3

საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის სიხშირე რესპონდენტებში (%)

	ყოველთვის ვზრუნავ	ხანდახან ვზრუნავ	ავადმყოფობისას ვზრუნავ	არ ვზრუნავ	არ უპასუხა
რამდენად ხშირად ზრუნავთ საკუთარ ჯანმრთელობაზე	29,2	39,9	22,8	7,3	0,8

ცხოვრების ჯანსაღი წესი ემყარება რელიგიურ-ეროვნულ ტრადიციებს და ემსახურება ადამიანის ფიზიკური, სულიერი, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფას და მოი-

⁸⁴ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შესახებ, გარდა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებისა, არსებობს გაეროს და ექსპერტთა (გ. წულაძის) მონაცემები. განსხვავება მათ შორისაცაა, კერძოდ გაეროს მონაცემებით სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მამაკაცებში 71, ქალებში 79 წელია. გ. წულაძის მონაცემით კი, მამაკაცებში – 67,4, ქალებში – 76,3 წელია. ოფიციალური სტატისტიკით კი მამაკაცებში – 68,6, ქალებში – 77,2.

ცავს ღირებულებით ორიენტაციითა მთელ ერთობლიობას, რომელიც თავის გამოხატულებას ცხოვრების წესის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებში პოულობს. ამიტომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ცალკეული პიროვნების, არამედ მთელი საზოგადოებისათვის. ეს განაპირობებს იმას, რომ ქვეყნის დემოგრაფიული სიტუაციის შესწავლისას, სხვა საკითხებთან ერთად, არანაკლები მნიშვნელობა სწორედ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას ენიჭება.

ცხრილი 4

ჯანმრთელობაზე ზრუნვის ჩვევები რესპონდენტებში (%)

ჯანმრთელობაზე ზრუნვის ჩვევები	%
სისტემატური სამედიცინო შემოწმება	14,2
კვების სწორი რეჟიმი და ზომიერება	25,2
ჰიგიენური წესების სრული დაცვა	34,3
სისტემატური სპორტული დატვირთვა	13,1
დასვენების რეჟიმი	10,6
დროდადრო ყველაფერს ერთად	0,7
ზოგჯერ სამედიცინო შემოწმებას	0,2
არ არის მითითებული	1,7

იმის მიუხედავად, რომ მცირეა იმ რესპონდენტების წილი, ვინც საკუთარ ჯანმრთელობაზე არ ზრუნავს, საინტერესოა, რით ხსნიან ისინი ამგვარ ქმედებას. სახელდება ისეთი მიზეზები, როგორიცაა: „არაფერში არ მინდა შევიზღუდო თავი“ (10,2%), „არ მყოფნის ნებისყოფა“ (14,0%) და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, – „არ ვიცი როგორ ვიზრუნო“ (3,8%). მართალია, ეს უკანასკნელი რესპონდენტთა საკმაოდ მცირე ნაწილმა დაასახელა, მაგრამ, დამაფიქრებელია, რადგან რესპონდენტები არიან სრულწლოვანები და პოტენციური მშობლები, რომლებმაც თვითონ უნდა ასწავლონ საკუთარ შვილებს თვითმოვლის ჩვევები. შეუძლებელია ასწავლო სხვას ის, რაც თავად არ იცი. ის ახალგაზრდები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ არ იციან როგორ იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე, საფრთხეს უქმნიან არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ მის გარშემო მყოფთაც.

ცხოვრების ჯანსაღი წესის უამრავი კომპონენტიდან ერთ-ერთ ბაზისურ ნაწილად არის გამოყოფილი მავნე ჩვევებზე – თამბაქოს, ალკოჰოლის და ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებაზე – უარის თქმა. ამ მავნე ჩვევების დამანგრეველ გავლენაზე გაფრთხილებებს სხვადასხვა ფორმით იძლევა ჯანდაცვის სამინისტრო, თუმცა პრობლემა კვლავ მწვავეა. საფრთხე დგას დემოგრაფიული თვალსაზრისითაც, რადგან ამ მავნე ჩვევებმა შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ მომხმარებელთა გულისსახლდარღვთა სისტემის, ღვიძლის, ფილტვის და სხვა ორგანოების დაავადება, არამედ სხვადასხვა ანომალია დაავადებულ მშობელთა ახალშობილებში, შეაფერხოს ნაყოფის განვითარება ან სულაც უშვილობის მიზეზი გახდეს. ურთულესი დემოგრაფიული ვითარების პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მაქსიმალურად შემცირდეს აღნიშნული ფაქტორების გავლენა ჯანმრთელობაზე.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ამოცანა სწორედ მავნე ჩვევებისადმი – თამბაქო, ალკოჰოლი, ნარკოტიკული საშუალებები – სტუდენტი ახალგაზრდების დამოკიდებულების გარკვევა იყო. თამბაქოს მომხმარებლები ორივე სქესის რესპონდენტებში არიან. თუმცა გამოიკვეთა ამ მავნე ჩვევისადმი თავის დანებების ტენდენცია, რესპონდენტებში 7,3%-ით შემცირდა თამბაქოს მომხმარებელთა წილი, მამაკაცებში 9,3%-ით, ხოლო ქალებში – 5,4-ით.

ცხრილი 5

თამბაქოს მოხმარება რესპონდენტებში (%)

	ოდესმე თუ ეწეოდით			ამჟამად თუ ეწევით		
	დიახ	არა	არ უპასუხა	დიახ	არა	არ უპასუხა
მამაკაცი	50,4	46,8	2,8	41,1	58,9	0
ქალი	23,6	73,0	3,4	18,2	81,3	0,5
სულ	37,0	59,8	3,1	29,7	70,0	0,3

რესპონდენტებშიც ალკოჰოლის ზომიერი მოხმარება შეინიშნება. 37% ალკოჰოლურ სასმელს თვეში ერთხელ სვამს, ხოლო 31,1% საერთოდ არ ღებულობს. რაც შეეხება რესპონდენტთა შეფასებას ზოგადად ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისადმი, უმეტესობა (80,0%) მას უარყოფითად აფასებს. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისადმი დადებითი დამოკიდებულება გამოხატა რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილმა (3,6%). ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნეეს 15,9%, ხოლო 0,5% საკუთარ პოზიციას არ აფიქსირებს.

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება რესპონდენტებში (%)

მოვისმარიათ თუ არა ნარკოტიკული საშუალებები	მამაკაცი	ქალი	სულ
გამისინჯავს	32,2	5,9	19,0
ხანდახან მოვისმარ	7,7	2,0	5,0
ხშირი მოხმარებული ვარ	2,5	0,4	1,4
არასდროს მოვისმარია	57,1	90,6	73,8
არ არის მითითებული	0,5	1,1	0,8

ჯანმრთელობაზე ზრუნვაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პროფილაქტიკის მიზნით ექიმთნ დროულ ვიზიტს. ქვეყანაში განხორციელებულმა საყოველთო ჯანდაცვის დაზღვევამ მნიშვნელოვანი შედეგით გააუმჯობესა მოსახლეობას – ჯანდაცვა ხელმისაწვდომი გახდა ყველასათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხშირია თვითმკურნალობის შემთხვევები,

ექიმთან ვიზიტი (%)

წელიწადში ერთხელ გადივართ პროფილაქტიკური შემოწმების სრულ კურსს	16,2
ექიმს ვსტუმრობ დაავადების პირველივე ნიშნების გამოვლენისას	38,4
ექიმს უკიდურეს შემთხვევაში მივმართავ	22,8
თვითონ ვმკურნალობ	11,6
ვმკურნალობ ხალხური მედიცინის საშუალებებით	3,2
ვღებულობ წამლებს რომლებსაც ახლობლები მირჩევენ	6,5
არ არის მითითებული	1,3

რისი ნათელი მაგალითიცაა მეშვიდე ცხრილში მოყვანილი მანქანებლები. ვფიქრობთ, იმისთვის რომ მოსახლეობაში, კერძოდ კი ახალგაზრდებში, ამალდეს თვითმოვლითი ქცევის კულტურა, მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი. მით უფრო, რომ მათ საკმაოდ მძიმე ეკოლოგიურ პირობებში უწევთ ცხოვრება.

სტუდენტი ახალგაზრდების თვითმოვლითი ქცევის შესწავლისას გამოიკვეთა:

– სტუდენტი მამაკაცების მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა თითქმის 10 წლით აღემატება სტატისტიკურ მონაცემს, ქალებთან კი განსხვავება მხოლოდ ორი წელია. ამგვარი განსხვავების ახსნა შესაძლებელია ფსიქოლოგიური ფაქტორით – ქალებისაგან განსხვავებით, მამაკაცებისთვის დამახასიათებელია პირადი მიღწევების მაღალი შეფასება.

– განსხვავებული ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე რესპონდენტებს განსხვავებული შეხედულება აქვთ თვითმოვლითი ქცევის ინდიკატორებსა და „დიდხანს სიცოცხლეზე“. ის რესპონდენტი, ვინც თვლის, რომ კარგი ჯანმრთელობა აქვს, სიცოცხლის მოსალოდნელ წელსაც ყველაზე მაღალს ასახელებს.

– საკუთარი ჯანმრთელობისადმი ზრუნვით არ გამოირჩევიან რესპონდენტები. მათი მხოლოდ მეოთხედზე მეტი ზრუნავს მუდმივად საკუთარ ჯანმრთელობაზე. რესპონდენტებს შორის არიან ისეთები, ვინც საკუთარ ჯანმრთელობაზე არ ზრუნავენ. მიზეზების დასახელებისას გამოიკვეთა მათი არასერიოზული დამოკიდებულება საკითხისადმი, თუმცა იყვნენ ისეთები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ არ იციან როგორ იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე. ჩვენი აზრით, ეს მეტად დამაფიქრებელია, რადგან ეს ახალგაზრდები საფრთხეს უქმნიან არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ გარშემო მყოფთაც.

– რესპონდენტთა საკმაოდ დიდ ნაწილს საკუთარი ჯანმრთელობისადმი ზრუნვის მიუღებელი მეთოდები აქვს – ავადობის შემთხვევაში მიმართავს თვითმკურნალობას ან უკიდურეს შემთხვევაში „სტუმრობს“ ექიმს.

– მანვე ჩვევებისადმი სტუდენტი რესპონდენტებს ზომიერი დამოკიდებულება ახასიათებთ, თუმცა ორივე სქესის წარმომადგენლებში დაფიქსირდა თამბაქოს და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შემთხვევები.

– სტუდენტი ახალგაზრდების თვითმოვლითი ქცევის შესწავლამ დაგვანახა, რომ მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი, რათა ახალგაზრდა თაობამ გაითავისოს ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა როგორც პირადად მისთვის, ისე მთელი საზოგადოებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. ლორთქიფანიძე, ა. თოთაძე, ერი ერმა უნდა გადაარჩინოს. თბ., 2007, გვ.100.
2. გ. წულაძე, საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული, 2015.
3. <http://www.medportal.ge/>

SELF-PRESERVATION AMONG STUDENTS**Summary**

The self-preservation behavior is directed towards the preservation of health and the extension of lifespan throughout the full life cycle. It has the greatest role as for the certain person, also for the country from the demographic and the economic point of view.

The study of the self-preservation behavior is carried out by following indicators: an ideal, a desired and an expected years of life expectancy. Our study is based on the research results carried out among the students. Respondents named 84,8 years on average as the ideal life expectancy, the desired life expectancy was amounted accordingly 83,2 on average. The expected life expectancy on average equals to 78,3 years. The expected life expectancy is the less among the respondents, who estimates health as "the bad". The ideal life expectancy exceeds the desired by 3,2 years in this group, but the expected - by 11,7 years. Among the respondents who estimates own health as "the good", the desired life expectancy exceeds the expected by 8,5 years. The life expectancy in respondents, who estimated own health as "the good", the difference between the ideal and the desired life expectancy is only 1,1 year, but between the ideal and the expected accordingly – 5,5 years. The desired figure of life expectancy exceeds the expected only by 2,2 years. The sharp difference in the ideas and expectations is obvious among the respondents, with the different health status towards the self-preservation behavior figures.

The most respondents (82,9%) have received the regular health care from the infancy, but they doesn't have a simple attitude towards this issue. The respondents are not characterized by the permanent care of their health. More than 1/5 of respondents cares only during illness. Unfortunately, there are respondents who never care about health. The lack of knowledge concerning the health care was named one of the reasons of this.

The study of dependence to bad habits has shown that, tobacco consumers are noted among the both sexes of respondents – 41,1%. The moderate consumption of alcohol is revealed in respondents on the whole. 31,1% of respondents never uses alcohol. As for using of narcotics, the majority of respondents 73,8% never use, but at the same time there are frequent users among them. Only small number of the respondents - 16,2% cares about health. But the sizable number of respondents doesn't seriously care about own health, uses a self-medication during illness or "visits" a doctor only in an extreme case.

As the self-preservation behavior study of students and youths has shown, it is necessary to carry out the important measures, in order to realize the importance of a healthy lifestyle for the younger generations personally and for the whole society.

ვლადიმერ სულაბერიძე**დემოგრაფიული სტრუქტურის ევოლუცია საქართველოში**

ანოტაცია. სტატიაში განხილულია საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის ევოლუცია 120 წლის (1897-2015) მანძილზე. გაანალიზებულია მოსახლეობის ყველა აღწერის წლების მიხედვით მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის გამსხვილებული ჯგუფები (15 წლამდე, 15-64 წლის, 65 წ. და მეტი ასაკის), რომელიც აშკარად აჩვენებს მისი ევოლუციის დემოგრაფიულ შედეგებს და რაც, ერთი მხრივ, რეგრესული ტიპის სტრუქტურის ფორმირებაში, ხოლო მეორე მხრივ, დემოგრაფიული ვითარების გაუარესებასა და მოსალოდნელ დემოპულაციაში გამოიხატება.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფიული სტრუქტურა, რეგრესული ტიპი, დემოპულაცია, მიგრაცია, ასაკობრივი ჯგუფები.


შესავალი

ქვეყნის დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებით როლს თამაშობს მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურა. მისი ევოლუცია, ერთი მხრივ, ბევრადაა დამოკიდებული ქვეყანაში დემოგრაფიულ პროცესთა (შობადობა, მოკვდაობა, მიგრაცია) განვითარებაზე, მეორე მხრივ, მისი ევოლუცია, თავის მხრივ, დემოგრაფიულ ფაქტორებთან (ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება, სიცოცხლის ხანგრძლივობა, ქორწინება და სხვა) ერთად, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის არა მხოლოდ დემოგრაფიულ, არამედ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

* * *

ჩვეულებრივ, მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის ევოლუციას განსაზღვრავენ მრავალი თაობის და წლის განმავლობაში (100 წელი და მეტი) [სულაბერიძე ა., 2007]. დიაგრამა 1-

დან ჩანს, რომ საქართველოს დემოგრაფიული სტრუქტურა თითქმის 120 წლის (4,5 თაობა) მანძილზე (1897-2015) მნიშვნელოვნად შეიცვალა და იგი რეგრესულ ტიპად ჩამოყალიბდა, სადაც მცირდება 15 წლამდე და იზრდება 60-65 წელს გადაცილებული მოსახლეობა.



დიაგრამა 1. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდები 1897, 1959 და 2015 წლებში საქსტატის მონაცემებით

მოყვანილი დიაგრამები გვიჩვენებს 120 წლის მანძილზე საქართველოში განვითარებული დემოგრაფიული, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების საბოლოო დემოგრაფიულ შედეგს. მაგალითად, 1897-1959 წლების მოსახლეობის სტრუქტურის ფორმირება, გარდა პირველი და მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდებისა, რამაც საკმაოდ დიდი რაოდენობის მოსახლეობა შეიწირა, მიმდინარეობდა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში. 1959-1989 წწ. დემოგრაფიული სტრუქტურის ფორმირება წინა პერიოდთან შედარებით, მშვიდობიან გარემოში მიმდინარეობდა. 1990 წლიდან ქვეყანაში შეცვლილმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ თავისი დადი დაამწვია როგორც დემოგრაფიულ განვითარებას, ასევე შესაბამისად მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურას. 1989, 2002 და 2015 წლების მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის ფორმირებაში, განსხვავებით წინა პერიოდებისა, შობადობის შემცირებასთან ერთად, განსაკუთრებული როლი ქვეყნის გარეთ ემიგრაციამ ითამაშა. ქვეყნიდან ძირითადად წავიდა ფერტილური და სამუშაო ასაკის მოსახლეობა, რამაც მოსახლეობის დაბერების დონე გაზარდა (რაც აშკარადაა ასახული მოყვანილ პირამიდაზე) და რამაც, თავის მხრივ, გაზარდა დემოგრაფიული დატვირთვა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ბოლო ორი თაობის მანძილზე, რაც აისახა 1959-2015 წლების მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურაში. 1959 წლის მოსახლეობის დემოგრაფიული პირამიდის „ფართო“ ფუძე, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არსებული „ბები-ბუმის“, ხოლო 2015 წლის პირამიდის „ვიწრო“ ფუძე კი 1990-იან წლების პერიოდში შობადობის მკვეთრი შემცირების შედეგია. 1959 და 2015 წლების პირამიდების შუა წელის განსხვავებული სიდიდეები, კერძოდ, 15-19 წლიანი ასაკობრივი ფგუფები მიგვანიშნებს თითოეული სტრუქტურის ფორმირებამდე 10-20 წლით წინანდელ პერიოდებში არსებულ შობადობის დაბალ დონეზე. ასევე, 10-დან-20 წლამდე ასაკობრივ ფგუფებთან შედარებით 20-დან 35 წლამდე ასაკობრივი ფგუფები უფრო ფართოა, რაც ადასტურებს თითოეული სტრუქტურის ფორმირებამდე 20-35 წლის წინანდელ (1959 წლის პირამიდის შემთხვევაში 1924-1939 წწ. ხოლო 2015 წლის პირამიდის შემთხვევაში 1980-1992 წწ.) შობადობის მაღალ დონეს.

თითოეული პირამიდის 30-65 წლის ასაკობრივი ფგუფები გვიჩვენებს მიგრაციის ინტენსივობის დონეს მათში ამ ასაკობრივი ფგუფების ფორმირებამდე 30-65 წლით ადრე, ანუ 1959 წ. პირამიდაში ამ ასაკობრივი ფგუფების ფორმირება ძირითადად განაპირობა 1920-1939 წწ. პერიოდში საქართველოში არსებულმა პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა და დემოგრაფიულმა პროცესებმა. სწორედ ამ პერიოდში კოლექტივიზაციასა და ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან საქართველოში შემოყვანილ იქნა დიდი რაოდენობით სამუშაო ძალა. როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ჯალოშვილი წერს: „სწორედ ამით აისხნება 1927-1937 წწ. მოსახლეობის ყველაზე მაღალი საშუალო-წლიური ზრდის პროცენტი (2,37%). არასოდეს საქართველოს არც მანამდე, არც მის შემდგომ

პერიოდში (მით უფრო 1989 წლის შემდეგ - ვ. სულაბერიძე) არ ახსოვს თავისი მოსახლეობის არსებითი ზრდა" [ჯაოშვილი ვ., 1968].

მაღალ ემიგრაციულ პროცესებთან ერთად, ამ პერიოდში მოსახლეობის ზრდის მაღალ ტემპს, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალმა დონემ, რის შედეგადაც მოსახლეობის ახალგაზრდული, პროგრესული სტრუქტურა ჩამოყალიბდა. 1959 წლის დემოგრაფიული სტრუქტურა უკეთესი იქნებოდა, რომ არა მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც, მაშინდელი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე ყველაზე მეტი ადამიანი შეიწირა. ეს აისახა კიდევ 1959 წლის დემოგრაფიული სტრუქტურის 35-50 წლიანი მამაკაცების ასაკობრივი ჯგუფების შემცირებაში, რომელიც ამავე ასაკის ქალთა ჯგუფებთან შედარებით აშკარად უფრო „ვიწროა“.

2015 წლის მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურასთან შედარებით ბევრად „ვიწროა“ 1959 წლის დემოგრაფიული პირამიდის „წვერი“, განსაკუთრებით მამაკაცების, რაც მიუთითებს ამ პერიოდში ქალებთან შედარებით მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობის დაბალი მოკვდაობის მაღალ დონეზე.

1959 წლის შემდგომ 55 წლიან პერიოდში განვითარებულმა, ერთმანეთისგან აშკარა კონტრასტულმა პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა და დემოგრაფიულმა პროცესებმა არსებითი გავლენა იქონია 2002 და განსაკუთრებით 2015 წლების დემოგრაფიულ სტრუქტურაზე. ამ პერიოდის მოსახლეობის ორმა თაობამ (თაობა 27 წელი) განსხვავებული „წვლილი“ შეიტანა ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაში. 1959-1992 წლების პერიოდში, 1990-იანი წლების შემდგომ პერიოდთან შედარებით, მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელ დემოგრაფიულ სიტუაციასთან ერთად ასევე მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი „პოლიტიკური მშვიდობა“ და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება განსაზღვრავდა. მოსახლეობის ბუნებრივი მატება აღემატებოდა მიგრაციის უარყოფით საღდოს, რაც განაპირობებდა მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდას. ამასთან, ამავე პერიოდში არსებული მოსახლეობის აღწარმოების მესამე ფაზისთვის დამახსიათებელი შობადობის სწრაფი შემცირება და მოკვდაობის ნელი ზრდის ტემპები, მაინც უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად, დემოგრაფიული სტრუქტურის ევოლუციას მეტ-ნაკლებად სტაბილური ხასიათი ჰქონდა და გაეროს სკალის თანახმად, სტაციონალურ ტიპად რჩებოდა.

1992 წლიდან ქვეყანაში განვითარებულმა ნეგატიურმა პოლიტიკურმა (ტერიტორიული მთლიანების დარღვევა, სამოქალაქო დაპირისპირება და ა.შ.) და სოციალურ-ეკონომიკურმა (სიღარიბის და უმუშევრობის მაღალი დონე, საბიუჯეტო კრიზისი და ა.შ.) მოვლენებმა დემოგრაფიული პროცესებიც „ჩაითრია“ და დემოგრაფიული ვითარება ერთბაშად გაუარესდა. ამას დაემატა მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვედან უახლეს ტიპზე გარდამავალი პერიოდი და მეორე დემოგრაფიული გადასვლისთვის დამახსიათებელი დემოგრაფიული ქცევის ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების გავრცელება [სულაბერიძე ვ., 2004]. ყოველივე აღნიშნულმა 1995-2007 წწ. მოსახლეობის ბუნებრივი მატება ნულოვან დონეზე დაიყვანა, ხოლო მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი 1990 წლიდან 1-ს (2005-2007 წწ. - 0,6) ჩამოსცილდა და ფარული დეპოპულაციის დასაწყისი დააფიქსირა.

ამავე პერიოდში, მოსახლეობის აღწარმოების ბრუტოკოეფიციენტის თანახმად, 2025-2030 წლების მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაში 35%-ით ნაკლები გოგონა შევა დედის ასაკში.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მატების ნულოვან დონეს ისეთი გავლენა არ მოუხდენია დემოგრაფიულ სტრუქტურაზე, რაც გამოიწვია მოსახლეობის ემიგრაციის მაღალმა დონემ. 1992-2015 წწ. ქვეყანა დატოვა 1700 ათასამდე კაცი [წულაძე ვ., სულაბერიძე ა., 2016]. აღნიშნულიდან გამომდინარე, 1959 და 1989 წლების დემოგრაფიულ სტრუქტურებთან შედარებით ერთობ გაუარესდა 2002 და 2015 წლების დემოგრაფიული სტრუქტურები. საქმე ისაა, რომ 1959-1990 წწ. საქართველოსთვის მართალია დამახსიათებელი იყო უარყოფითი ემიგრაციული საღდო, რომელმაც ამ პერიოდში 200 ათასი კაცი შეადგინა, მაგრამ ბუნებრივი მატების საშუალო დონის პირობებში მან მკვეთრი გავლენა ვერ მოახდინა 1979 და 1989 წლების დემოგრაფიული სტრუქტურების გაუარესებაზე.

როგორც დიაგრამა 1-დან ჩანს, 1959 წელთან შედარებით, 2015 წლის დემოგრაფიულ სტრუქტურაში გაზრდილია 50 წლის და უფროსი ასაკის ჯგუფების მაჩვენებელი, რის შედეგადაც მან დეფორმირებული სახე მიიღო. მართალია, მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის მნიშვნელოვანი დეფორმაცია ძირითადად 2002 წლიდან აღინიშნება, მაგრამ 2015 წლის სტრუქტურა მასთან შედარებით კიდევ უფრო დაბერებული და რეგრესული ტიპისაა.

მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის რეგრესულ ტიპს, უწინარესად, ახალგაზრდობის დაბალი წილი და დაბერებულთა მაღალი დონე განაპირობებს. გაეროს სტანდარტით, დემოგრაფიული სტრუქტურა დაბერებულია, თუ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 65 წელს

გადაცილებული წილი 7%-ს აღემატება, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი 2-ჯერ მაღალია და 2016 წელს 14,2% შეადგინა.

საქართველოს დემოგრაფიული სტრუქტურის დეფორმაციაში არა მხოლოდ ასაკობრივი სტრუქტურა თამაშობს გარკვეულ როლს, არამედ მოსახლეობის სქესობრივი თანაფარდობაც. 2016 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 52,3% – ქალია, ხოლო 47,7% მამაკაცი. ამასთან, უმნიშვნელო სქესობრივი დისპროპორცია მამაკაცების სასარგებლოდ აღინიშნება 30 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში, ხოლო 30 წლის ზემო ჯგუფებში ქალთა მეტობა მამაკაცებზე საკმაოდ დიდია. განსაკუთრებით 60 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფებში, სადაც ქალთა რაოდენობა მამაკაცებს თითქმის 1,5-ჯერ აღემატება. 30 წლის ზემო ასაკებში ვაჟთა ნაკლებობას ქალებთან შედარებით, ძირითადად განაპირობებს ვაჟთა ემიგრაციული პროცესები და 50 წლის ასაკის ზემოთ მოკვდაობის მაღალი დონე. ამასთან, ნიშანდობლივია ქალთა და მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის 7-8 წლიანი სხვაობა, რაც ევროკავშირის არც ერთ ქვეყანაშია და არსებით გავლენას ახდენს 50 წლის ზემო ასაკებში ვაჟთა მოკვდაობებზე. განსაკუთრებით საგანგაშოა 70 წლის ზემო ასაკობრივი ჯგუფები, სადაც ქალთა მეტობა მამაკაცებზე 2-ჯერ მაღალია.

მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის შეფასებისას ხშირად იყენებენ 15 წლამდე, 15-64 და 65 წლის და უფროსი ასაკის გამსხვილებულ ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფების ანალიზს, რომლებიც შედარებით ზუსტად ასახავს იმ პერიოდის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენას მოსახლეობის დემოგრაფიულ განვითარებასა და სტრუქტურის ფორმირებაზე.

ცხრილი 1

**საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურა
ძირითადი (გამსხვილებული) ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 1897-2016 წწ., % [Tsuladze G. 2016]**

	1897	1959	1970	1979	1989	2002	2015	2030*
15 წლამდე	40,5	29,3	30,5	26,0	24,8	21,0	19,1	14,3
16-64 წლის	55,5	63,0	61,2	64,7	66,3	66,2	66,5	63,8
65 და უფროსი ასაკის	4,0	7,7	6,3	9,3	8,9	12,8	14,4	21,9
მოსახლეობა სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

* წულაძე გ. 2013. საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები: 2015-2300 წლები.

ცხრილი 1 ნათლად ასახავს საქართველოს დემოგრაფიული სტრუქტურის ევოლუციას გამსხვილებული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 1897-2016 წლებში ცალკეული პერიოდების მიხედვით. უწინარესად თვალშისაცემია, 120 წლის მანძილზე შობადობის შემცირების შედეგად, მთელ მოსახლეობაში, 15 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის წილის 40,5%-დან 19,1%-მდე შემცირების ფონზე, 65 წლის და უფროსი ასაკის წილის 10,4%-ით ზრდა. რაც შეეხება 1959-2016 წლებში მოსახლეობის ორი თაობის ასაკობრივ ცვლილებებს, აქაც იგივე სიტუაციაა, 10,2%-ით მცირდება 15 წლამდე ასაკის და თითქმის 7%-ით იზრდება 65 წელს გადაცილებული მოსახლეობა. როგორც ვხედავთ, დემოგრაფიული დაბერების ინტენსივობა ძირითადად 1959 წლიდან იწყება.

1959-2002 წლებში მ. შელიას გაანგარიშებით, 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის ზრდის შედეგად საქართველოს მოსახლეობა 6 წლით დაბერდა [შელია მ., 2014], ხოლო ა. სულაბერიძის მიერ, 65 წელს გადაცილებულ მოსახლეობაზე გაანგარიშებით, 1959-2014 წლებში 6,7 წლით დაბერდა [სულაბერიძე ა., 2016]. რაც შეეხება შრომისუნარიან ასაკობრივ ჯგუფებს, მათი წილი 60%-ის ფარგლებში მეტ-ნაკლებად სტაბილურია. დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით, შობადობის დონის ზრდისთვის 1959-2015 წლებში ყველაზე ხელსაყრელი დემოგრაფიული სტრუქტურა 1970 წელს იყო. როდესაც 15 წლამდე ასაკის მოსახლეობამ 30,5% შეადგინა. მისგან განსხვავებით, 2015 წლის დემოგრაფიული სტრუქტურის ანალოგიური მაჩვენებელი შობადობის შემცირების ტენდენციაზე მიგვანიშნებს.

გაეროს მონაცემებით, ასევე არასახარბიელო დემოგრაფიული სტრუქტურაა მოსალოდნელი უახლოეს პერსპექტივაში. როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, 2030 წლისთვის 14,3%-მდე შემცირდება 15 წლამდე ასაკის და 21,9%-მდე გაიზრდება 65 წელს გადაცილებულთა წილი სავარაუდო მოსახლეობაში. ასევე შემცირდება და 1959 წლის დონეზე (63,8%) იქნება შრომისუნარიანი მოსახლეობის წილიც [წულაძე გ., 2013].

დასკვნა

განხილულიდან გამომდინარე, საქართველოს დემოგრაფიული სტრუქტურის ევოლუცია 120 წლის მანძილზე ნეგატიურ ფონზე განვითარდა. იგი სხვადასხვა პერიოდებში სხვადასხვა რაოდენობით მცირდებოდა, რასაც, ერთი მხრივ, დემოგრაფიული (შობადობა, მოკვდაობა, მიგრაცია), მეორე მხრივ, არადემოგრაფიული ფაქტორები განსაზღვრავდა. 1989 წლისთვის დემოგრა-

ფიური სტრუქტურის სტაციონალური ტიპი რეგრესულით შეიცვალა, ხოლო 2015 წლისთვის კიდევ უფრო გაუარესდა და ქვეყნის პოლიტიკური, დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით არასასურველ სტრუქტურად ჩამოყალიბდა. პრობლემას ამძაფრებს ისიც, რომ უახლოეს პერსპექტივაში, 2030 წლისთვის მოსალოდნელია დეპოპულაცია, ხოლო დაბერების მაღალი ინტენსივობის გამო გაიზრდება დემოგრაფიული დატვირთვა და იგი სოციალურ-ეკონომიკურად დაბაბული იქნება.

ამდენად, 1959 წლის მომდევნო წლებში დაბადებულმა ორმა თაობამ თავისი „დემოგრაფიული მისია“ ვერ შეასრულა და ქვეყანა დეპოპულაციამდე მიიყვანა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქსტატი. მოსახლეობის აღწერის მასალები 1897-2014 წწ.
2. სულაბერიძე ა. 1986. საქართველოს მთიანეთის დემოგრაფიული პრობლემები. თბილისი. „მეცნიერება“.
3. სულაბერიძე ა., გომელაური ნ. 2016. დემოგრაფიული დაბერება და მეორე დემოგრაფიული დივიდენდის ფორმირების თავისებურებანი საქართველოში. ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები. თსუ.
4. სულაბერიძე ვ. 2004. დეპოპულაცია და საქართველოდ დემოგრაფიული უსაფრთხოება. საკანდიდატო დისერტაცია.
5. შელია მ. 2013. ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში. თბილისი. „უნივერსალი“.
6. ჯაოშვილი ვ. 1968. საქართველოს მოსახლეობა (რუსულ ენაზე). თბილისი. „მეცნიერება“.
7. წულაძე გ., სულაბერიძე ა. 2016. საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები. თბილისი.
8. წულაძე გ. 2013. საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები: 2015-2300 წლები. თბილისი.
9. Tsuladze G, 2016. Demographic yearbook of Georgia 2015. Tbilisi. “Vesta”.

Vladimer Sulaberidze

EVOLUTION OF DEMOGRAPHIC STRUCTURE IN GEORGIA

Summary

The article discusses the evolution of the age-sex structure of the population of Georgia for 120 (1897-2015) years. Formation of structures of 1897-1959 was undergoing severe social and economic conditions during the First and Second World War and Georgia's independence periods, which resulted in a large number of people being sacrificed. Contrast political, socio-economic and demographic processes happened during period of 55 year after 1959 had a substantial impact on 2002 and especially on the demographic structure of 2015. The two generations of this period had given different contributions for the demographic development of the country. During the period of 1959-1992 the natural increase of population exceeded the negative balance of migration, which led to the increase in population. At the same time rapid reduction of birth rate and slow growth of mortality, characteristic to the third phase of population reshuffle, would provide low level of expanded population reserve. Evolution of demographic structure has been more stable in accordance with the entire above-mentioned and remained stable according to UN scrutiny. Since 1992, the political and socio-economic negative events in the country have drawn demographic processes and the demographic situation has worsened.

This is the transition period from modern to the latest type of reproduction and the spread of liberal-democratic values of demographic behavior characteristic to the second demographic transition.

All the above-mentioned brought the level of natural growth to zero in 1995-2007, and the net coefficient of population resettlement came to the 1 (2005-2007) from 1999 year and marked the beginning of the depopulation. In the same period, according to the gross population coefficient, in the demographic structure of population there will be 35% less women who will come into mother age. It should be noted that the zero level of natural growth of the population has not had any impact on the demographic structure that had high levels of emigration of the population. In 1992-2015, nearly 1700 thousand people has left the country. The demographic structures of 2002 and 2015 have deteriorated in comparison with the demographic structures of 1959-1989. The point is that in the 1959-1990 years, Georgia was characterized by a negative emigration balance that reached 200 thousand people in this period, but in the medium level of natural growth it did not influence much on the worsening of the 1979 and 1989 demographic structures.

The population of Georgia in 1959-2002 according to M. Shelia calculation, the growth of population over 60 years resulted in the aging for 6 years and according to A. Sulaberidze calculations the population over 65 years in 1960-2014 for 6,7 years. As for the working age groups, their share is more or less stable within 60%. In terms of demographic development, the most favorable demographic structure to increase the level of birth in 1959-2015 was in 1970, when population under age 15 was 30.5%. In contrast, the similar indicator of the demographic structure of 2015 indicates the trend of decreased birth rate. According to the United Nations data, an unprecedented demographic struc-

ture is expected in the near future. By 2030, the share of 15 years old will be reduced to 14.3% and that of those over 65 years will be increased to 21.9% The share of the working population will be also decreased at the level of 1959 (63.8%). Thus, the evolution of the demographic structure of Georgia for 120 years was different in different periods; on the one hand it was defined by demographic processes, on the other hand, undemographic factors. It was changed in 1989 by the regressive type, and by 2015 it became worse in terms of political, demographic and socio-economic security in the country and became undesirable regressive structure. The problem is aggravated by the fact that in the latest perspective (2030) is expected the depopulation, and due to high intensity of aging the demographic load will be increased and it will be socially and economically tense.

Thus, in the years following 1959, two generations did not fulfill their demographic mission and brought the country to depopulation.

ვანო შუშტაკაშვილი

ოჯახის მოდერნიზაციის პრობლემები საქართველოში 1970-2002 წწ.

ანოტაცია. თანამედროვე ეტაპზე ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაცია განიხილება, როგორც საზოგადოებრივ ფასეულობათა სისტემაში ფორმირებული ინდივიდუალური ორიენტაციის შესაბამისი ქცევის ახალი სოციალურ-დემოგრაფიული ფასეულობათა და ნორმების ჩამოყალიბება ოჯახში. საქართველოს საზოგადოება და ოჯახი კი მოუმზადებელი შეხვდა ობიექტურობით განპირობებულ ქვეყნის, როგორც სხვა, ისე, ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიულ მოდერნიზაციას.

საკვანძო სიტყვები: ოჯახის ტიპი, საოჯახო პოლიტიკა, დემოგრაფია, ოჯახის ბირთვი.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ევროპაში სოციოლოგთა და დემოგრაფთა მიერ გამოიყო თანამედროვე ოჯახის ოთხი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი: 1. იურიდიულად გაუფორმებელი ერთობლივი ცხოვრების (არარეგისტრირებული ქორწინება) და ოჯახის ალტერნატიული ფორმების ფართოდ გავრცელება; 2. ოჯახის ბაჟშეთა ცენტრული მოდელიდან, პარტნიორული წყვილის მიერ ინდივიდუალურად ორიენტირებულ შეილთა რაოდენობაზე გადასვლა; 3. შეილიანობის შეცნობილ გეგმიანობაზე გადასვლა; 4. ოჯახის ტრადიციული მოდელიდან დემოკრატიულ-პლურალისტულ მოდელზე გადასვლა. ზოგიერთი დემოგრაფი მონაწილეში ოჯახის ინსტიტუტის გაქრობასაც კი ვარაუდობდა.

თუ განვიხილავთ ამ ნიშნებს საქართველოში, მეორე და მესამე ნიშანი ქართულ ოჯახში ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან აღინიშნება, რაც საზოგადოებაში დასავლური სოციალურ-ეკონომიკური ქცევის ფარულ გავრცელებას მოჰყვა. პირველი და მეოთხე ნიშანი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოფიციალურად არაღიარებულ ჯვრისწერას, ცალკეული შემთხვევების სახით, ძირითადად 2000 წლიდან აღინიშნება (შეილიანობის ტიპები საქართველოს ოჯახებში. ჟურნალი ეკონომიკა. მენაბლიშვილი ე., შუშტაკაშვილი ვ., 2006).

* * *

საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ოჯახის მოდერნიზაციაზე ფუნდამენტურ (განვითარების ობიექტური კანონზომიერებები) ფაქტორებთან შედარებით, არსებითი გავლენა ლოკალურმა სპეციფიკურმა ფაქტორებმა იქონია (ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა და სხვ.). ევროპის ქვეყნებში მოქმედი ფუნდამენტური ფაქტორები საქართველოში განსხვავებულია წარმომავლობით, მოქმედების ძალით, ხანგრძლივობით და სოციალური შედეგებით. საქართველოს საზოგადოება და ოჯახი კი მოუმზადებელი შეხვდა ობიექტურობით განპირობებულ ქვეყნის როგორც სხვა, ისე სოციალურ-დემოგრაფიულ მოდერნიზაციას.

გარდამავალი ეტაპის მოსამზადებლად ქვეყანაში არ გატარებულა არავითარი სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა, რის გამოც ქვეყანა მოუმზადებელი შეხვდა ამ პროცესს. ოჯახის მოდერნიზაცია 2000 წლამდე უფრო რევოლუციური იყო, ვიდრე ევოლუციური. თუ 2000 წლამდე ქართული ოჯახის ძირითად ფუნქციებზე (დემოგრაფიული, ეკონომიკური, სულიერი და სხვა) ფუნდამენტურ ფაქტორებთან შედარებით, უფრო მეტი გავლენა სპეციფიკურმა ფაქტორებმა იქონია, 2000 წლის შემდეგ სპეციფიკურთან შედარებით უფრო მეტად გამოიკვეთა ფუნდამენტურ ფაქტორთა მოქმედების ძალა (სულაბერიძე ა., დემეტრაშვილი მ., შუშტაკაშვილი ვ., 2005. მოსახლეობის აღწარმოების ტიპთაშორისი პერიოდი საქართველოში. ჟურ. „მაცნე“, №4, გვ. 70-84.)

თუ განვითარებულ ქვეყნებში იზრდება მარტივ ოჯახთა და მცირდება რთულ ოჯახთა წილი, საქართველოსთვის სხვა ტენდენციაა დამახასიათებელი. თუ 1970-1989 წწ. ოჯახის სიდიდეზე მოქმედებდა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: ა) ახალგაზრდული ქორწინებების მნიშვნელოვანი ზრდა,

ანუ იმ ოჯახების, რომლებიც დემოგრაფიული ციკლის საწყის ფაზაში იმყოფებოდნენ; ბ) ნუკლარიზაციის შემდგომი გაღრმავება; გ) შობადობის შემცირება და მცირეშვილიან ოჯახთა გავრცელება, 1990 წლიდან ვითარება შეიცვალა (მენაბდიშვილი ე., შუშტაკაშვილი ვ., 2015. ოჯახური ცხოვრებისათვის მნიშვნელოვან ღირებულებათა ტრანსფორმაცია თანამედროვე ეტაპზე. დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები. გვ. 41).

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, 1989-2002 წწ. ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობა 4,1-დან 3,5 სულამდე შემცირდა. მისი შემცირება რომ განხორციელებულიყო ახალგაზრდა ოჯახების ცალკე გამოყოფის შედეგად (ნუკლარიზაცია), იგი დადებით, პროგრესულ მოვლენად ჩაითვლებოდა, მაგრამ მოხდა საპირისპირო. 2002 წლისათვის, მარტოხელები თითქმის გაუთანაბრდნენ 2 და 3 წევრიან, ხოლო 6 და მეტწევრიან ოჯახებს კი 2-3-ჯერ გადააჭარბეს. აღნიშნული გამოწვეულია: დაქვრივების მაღალი დონით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შედეგად ქვეყნისათვის მანადმე უცნობი, ფორმირებული დევნილი ოჯახების წარმოქმნით, მაღალი ემიგრაციული პროცესებით, 30 წლის ზემო ასაკში დასაქორწინებულთა მაღალი წილით (ოჯახთა საერთო რაოდენობის 16,1%) და სხვ. (შვილიანობის ტიპები საქართველოს ოჯახებში. ჟურნალი ეკონომიკა. მენაბდიშვილი ე., შუშტაკაშვილი ვ., 2006).

ცხრილი 1

საქართველოს ოჯახების განაწილება ოჯახის წევრთა რიცხოვნობის მიხედვით (%-ით) 1970-2002 წწ. (მოსახლეობის აღწერების მიხედვით)

წლები	ოჯახები სულ	მ.შ. ოჯახი შედგება							
		1 წევრისაგან	2 წევრისაგან	3 წევრისაგან	4 წევრისაგან	5 წევრისაგან	6 წევრისაგან	7 და მეტი წევრისაგან	ოჯახის საშუალო სიდიდე
1979	100.0	-	21.1	19.9	25.0	16.7	9.8	7.5	4.0
1989	100.0	-	21.3	19.5	25.2	16.1	9.8	8.0	4.1
2002	100.0	16.1	17.4	17.0	21.6	13.8	8.3	5.2	3.5

ოჯახის განვითარების ტენდენციის და ოჯახის სტრუქტურის პროგნოზირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის დემოგრაფიული ტიპების შესწავლას, რაც ძირითადად, მხოლოდ მოსახლეობის აღწერების მასალებითაა შესაძლებელი, რის გამოც, ჩვენი გამოკვლევა ამ აღწერის მასალებზეა დაფუძნებული.

ოჯახის დემოგრაფიულ ტიპს ძირითადად განსაზღვრავს „ოჯახის ბირთვი“, რომელიც შეიძლება იყოს სრული და შედგებოდეს დაქორწინებული წყვილისაგან შვილებით ან უშვილებოდ და არასრული, რომელშიც მხოლოდ დედაა (მამა) შვილებით. ასეთი ტიპოლოგია საშუალებას იძლევა, გამოვყოთ ოჯახი საოჯახო ბირთვით და საოჯახო ბირთვის გარეშე.

„დანარჩენი“ ოჯახების წევრები ერთმანეთთან შეიძლება დაკავშირებული იყვნენ როგორც პირდაპირი, ასევე გვერდითი ხაზით. ნათესაობის პირდაპირ ხაზად ითვლება ნათესაური კავშირი, რომლის დროსაც ერთი ადამიანი მეორისაგან მომდინარეობს, ხოლო ნათესაობის ხარისხად – შობადობათა რიცხვი, რომელიც ნათესაებს ყოფს ამ ხაზზე. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა გამოვყოთ მარტივი ოჯახი, რომლის ყველა წევრი გაერთიანებულია „ოჯახის ბირთვში“ და რთული, რომლის შემადგენლობაში არიან ოჯახის სხვა წევრებიც, პირდაპირი ან გვერდითი ხაზით დაკავშირებული ნათესაელები. ეს პრინციპი შენარჩუნებულია ოჯახის ყველა ტიპოლოგიაში. თუმცა, მის ერთიან ტიპოლოგიაზე დემოგრაფთა შორის ჯერ კიდევ მიმდინარეობს სჯაბაასი ერთიანი ტიპოლოგიის შესაქმნელად.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ყველა აღწერის დროს თანდათან სრულყოფილი ხდებოდა ოჯახის ტიპოლოგია, რაც ოჯახის პრობლემათა შესწავლაში არსებით როლს თამაშობდა. მაგალითად, თუ 1970 წლის მოსახლეობის აღწერაში გამოყოფილი იყო ოჯახის 6 ტიპი, 1979 წელს იგი 7 ტიპამდე გაიზარდა, ხოლო 1989 წლის მოსახლეობის აღწერისას კი გამოიყო ოჯახთა 9 ტიპი და, 1979 წლისგან განსხვავებით ცალკე ჯგუფად იქნა გამოყოფილი დედები შვილებით და დედის ერთ-ერთი მშობლით და მამები შვილებით და ერთ-ერთი მშობლით. ეს ვარიანტი პრაქტიკულად შენარჩუნდა საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერისას. უფრო მეტიც, დაემატა კიდევ 8 ტიპიდ და გამოიყო 17 ტიპი. ანალოგიურად 17 ტიპის მიხედვით მუშავდება მოსახლეობის 2014 წლის ეროვნული აღწერის მასალები.

ოჯახის ცვლილების ტენდენციის დინამიკაში შესწავლის მიზნით, ჩვენ გამოვიყენეთ უფრო გამსხვილებული სპეციფიკური ტიპოლოგია, რომელიც, მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა და ნაკლისა, საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ 1970-2002წწ. აღწერებს შორის პერიოდში ოჯახების ტიპთა ცვლილების დინამიკა, რაც შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ტიპი I – ოჯახები, ერთი საქორწინო წყვილით, შვილებით და უშვილებოდ;

ტიპი II – ოჯახი, ერთი დაქორწინებული წყვილით, შვილებით და უშვილებოდ, მეუღლეთა ერთ-ერთი მშობლით (ან მათ გარეშე) და სხვა ნათესავეებით (ან მათ გარეშე);

ტიპი III – ოჯახი, ორი ან მეტი დაქორწინებული წყვილით, შვილებით და უშვილებოდ, მეუღლეთა ერთ-ერთი მშობლით (ან მათ გარეშე), სხვა ნათესავეებით ან მათ გარეშე;

ტიპი IV – დედები (მამები) შვილებით;

ტიპი V – დედები (მამები) შვილებით, ერთ-ერთი მშობლით, სხვა ნათესავეებით;

ტიპი VI – დანარჩენი ოჯახები.

ცხრილი 2

მოცემული ტიპის ოჯახთა წილი ოჯახთა საერთო რიცხვში (%) 1970-2002 წწ.

წლები	ტიპი I	ტიპი II	ტიპი III	ტიპი IV	ტიპი V	ტიპი VI
1970	56,3	22,3	10,1	6,6	3,0	1,7
1979	57,2	17,4	8,9	10,4	1,7	4,4
1989	51,5	18,1	12,6	11,1	2,0	4,7
2002	41,5	11,8	9,8	10,0	2,4	2,3

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, 1970-2002 წწ. რთული, სრული ოჯახების ხვედრითი წილის შემცირების (ტიპი V) ფონზე, უარყოფით ტენდენციად წარმოგვიდგება მარტივი არასრული ოჯახების (ტიპი IV) წილის ზრდა. ასეთი ოჯახები, როგორც წესი, სრულ ოჯახში განქორწინების ან ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების, აგრეთვე, ქორწინების გარეშე შობადობის შედეგია. მათი გარკვეული ნაწილი იქმნება ცოცხლად დარჩენილი მეუღლის და ერთ-ერთი ცალკე მცხოვრები შვილის გაერთიანებით, ასევე, მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრების შედეგად.

სრული და არასრული ოჯახების რიცხოვნობა, როგორც წესი, ყალიბდება ქორწინების, მოკვდაობის და განქორწინების პროცესთა ხანგრძლივი ურთიერთზემოქმედების შედეგად, მიუხედავად ინფორმაციის შეზღუდულობისა, ოჯახთა ამ ორი ძირითადი ჯგუფების წილების შედარება საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ მართალია საოჯახო სტრუქტურაზე გავლენას ახდენს მოკვდაობა და განქორწინება, რაც იწვევს საქორწინო წყვილის დაშლას და არასრული ოჯახების ჩამოყალიბებას, მაგრამ იგი არსებით ზეგავლენას ვერ ახდენს მოსახლეობის აღწარმოებაზე. მიუხედავად ამისა, ასეთი ოჯახების ხვედრითი წილის ზრდის ტენდენცია მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას.

ცხრილი 3

ოჯახთა ხვედრითი წილი „საოჯახო ბირთვით“ და დაქორწინებული წყვილით ოჯახთა საერთო რაოდენობაში 1970-2002 წწ. (%-ით)

	ოჯახები „საოჯახო ბირთვით“ ყოველ 100 ოჯახზე				ოჯახები დაქორწინებული წყვილით ყოველ 100 ოჯახზე			
	1970	1979	1989	2002	1970	1979	1989	2002
საქართველო	97,1	95,6	95,3	94,8	83,6	83,6	82,1	81,4

როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, ყველა ოჯახთა შორის უმრავლესობას შეადგენს ოჯახები საქორწინო წყვილებით, რაც თავისთავად დადებითი მოვლენაა. ოჯახის უპირატესი ტიპი, რომელიც ყველაზე მეტად გავრცელებული იყო და არის ჩვენს ქვეყანაში, არის მარტივი ანუ ნუკლეარული ოჯახი, რომელიც შედგება ცოლ-ქმრული წყვილის შვილებით ან უშვილო ცოლქმრული წყვილისაგან (ტიპი I).

დასკვნა

მოსახლეობის აღწერის მასალების შესწავლამ გვიჩვენა, რომ 1970-2002 წწ. საქართველოში, მიუხედავად „საოჯახო ბირთვით“ ოჯახების ხვედრითი წილის 2,3%-ით შემცირებისა, 2002 წლისათვის უმრავლესობას მაინც ისინი შეადგენენ. ამასთან, რამდენადაც საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მასალები ოჯახის ტიპების მიხედვით არ და-

მუშავებულა რეგიონულ ჰრილში, ამიტომ ოჯახის ტიპოლოგიის ევოლუციის შესწავლისას მხოლოდ ქვეყნის საერთო მანკვებლით დავკმაყოფილდით.

გამოყენებული ლიტერტურა

1. სულაბერიძე ა., დემეტრაშვილი მ., შუშტაკაშვილი ვ., 2005. მოსახლეობის აღწარმების ტიპთაშორისი პერიოდი საქართველოში. ჟურ. „მაცნე“, №4, გვ. 70-84.
2. სულაბერიძე ა., 2007. ფიქრები ქართულ ოჯახზე და დემოგრაფიაზე. მონოგრაფია, გვ. 490.
3. მენაბდიშვილი ე., შუშტაკაშვილი ვ., 2015. ოჯახური ცხოვრებისათვის მნიშვნელოვან ღირებულებათა ტრანსფორმაცია თანამედროვე ეტაპზე. დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები. გვ. 41.
4. შვილიანობის ტიპები საქართველოს ოჯახებში. ჟურნალი ეკონომიკა. მენაბდიშვილი ე., შუშტაკაშვილი ვ., 2006.

Vano Shushtakashvili

FAMILY MODERNIZATION PROBLEMS IN GEORGIA IN 1970-2002

Summary

At the modern stage the social-demographic modernization of the family is considered as the formation of new social-demographic values and norms of the behavior of the individual orientation in the system of public value forming in the family. Georgian society and family are unprepared to meet modern social and demographic modernization of the country as a whole, as well as others. In the 70s of the last century, sociologists and demographers in Europe have allocated four main characteristics of the modern family: 1. The widely disseminated joint legal life (unregistered marriages) and alternative forms of family; 2. Transition to the number of children individually oriented by the partner couples from the child modeling model; 3. Transition to a familiar plan of childhood; 4. Transition from traditional family model to a democratic-pluralistic model. Some demographers were even thinking about the disappearance of the family institution in the future.

If we consider these signs in Georgia, the second and third sign of the social and economic behavior of the Georgian family followed.

The first and fourth sign, if we do not take into account the officially recognized crossing of the crown, are separate cases since 2000.

In comparison with other countries, in terms of fundamental (development objective patterns) factors, the local specific factors (the political and socio-economic transparency of the country, the loss of territorial integrity etc.). The fundamental factors in European countries are different in Georgia, by force of action, duration and social outcomes. There is no social-demographic and family policy in the country for the preparation of a transitional phase, and the country is unprepared for this process. Modernization of the family was more revolutionary till 2000, rather than evolutionary.

In comparison with the fundamental factors of the Georgian family (demographic, economic, spiritual and other) till 2000s, more influences have been made by specific factors since 2000 the strength of the fundamental factors has been more evident than the specifics.

If in developed countries are growing small families and the share of difficult families is decreasing, there is another tendency for Georgia. 1970-1989 the following key factors were acted on the family size: A) Significant growth of youth marriages, i.e. families in the initial phase of the demographic cycle; B) Further enhancement of nucleation; C) Reduction of birth and the spread of small families, the situation has changed since 1990.

In 1989-2002 the average number of family members has decreased from 4,1 to 3,5. If reduction was to be carried out as a result of separation of young families (nucleation), it would be considered a positive, progressive event, but on the contrary, by 2002, the lone survivors were almost equal to 2 and 3 members families, and exceeded the families of 6 and more 2-3 times.

The number of complete and incomplete families are usually formed by marriage, divorce and mortality as a result of interaction of a long process, the comparison of shares the families of these two major groups allows to conclude that the family structure is affected by the death or divorce, which leads to the breakup of the couple's wedding and forming the incomplete families. Though it does not affect greatly.

The majority of all families are families with wedding couples, which is a positive phenomenon. The most prevalent type of family that was most common in our country is a simple or nutrient family consisting of couples or childless couples.

შესყიდვების ანუ პროკიურემენტის არსი, პრინციპები, ორგანიზაცია

ანოტაცია. სტატიაში განხილულია პროდუქციის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის ანუ პროკიურემენტის არსი, მიზნები, ამოცანები, პრინციპები და ორგანიზება. ჩამოთვლილია შესყიდვების ელემენტები და განხორციელების ეტაპები, განხილულია შესყიდვების პრინციპები – ღიაობა და გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, კონკურენტულობა, სამართლიანობა, ეფექტიანობა, დასაბუთებულობა. განხილულია შესყიდვების სისტემის სამი ბლოკი – უშუალოდ შესყიდვის, დაფინანსების და კონტროლის ბლოკები.

საკვანძო სიტყვები: პროკიურემენტი, შემკვეთი, მომწოდებელი, ტენდერი, საქონლის შესყიდვა

შესავალი

პროკიურემენტი, როგორც შესყიდვის სინონიმი, გვიან გამოჩნდა ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში. პროკიურემენტზე არათუ ფუნდამენტური ნაშრომი, არამედ სტატიებიც კი იშვიათად იწერება. მცირე მოცულობის გამოკვლევა აქვს მეცნიერ ო. კიკვაძეს და მეცნიერ თ. ხომერიკს.


ამ ნაშრომით ჩვენ ვიწყებთ პროკიურემენტის ძირეულ შესწავლას, რომელსაც შემდეგ ნაშრომებში გავაგრძელებთ.

* * *

პროკიურემენტი წარმოადგენს პროცესს, რომელშიც გამოყენებული მეთოდების და პროცედურების ერთობლიობა პროდუქციაზე, სამუშაოებსა და მომსახურებაზე შემკვეთის (იგივე შემსყიდველი, ანდა მყიდველი) მოთხოვნილებების მაქსიმალურად ეფექტიანი დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა.

პროკიურემენტი მოიცავს (ნახაზი 1):

- შესყიდვების დაგეგმვა;
- შეთავაზებული შესყიდვების მიზანშეწონილობის განსაზღვრას;
- შესყიდვების რეგლამენტირებას;
- შესყიდვების განხორციელებას;
- შესყიდვების კონტროლს.



ნახაზი 1. პროკიურემენტის ელემენტები [Кузнецов К. В., 2011: 13]

ტერმინი „პროკიურემენტი“ სათავეს რომის იმპერიაში იღებს. ადამიანებს, რომელთაც რომის იმპერიის ჯარების (ლეგიონების) მომარაგება ევალებოდათ, პროკიურატორები ეწოდებოდათ. ხშირად ისინი რომის იმპერიის რომელიმე პროვინციის მმართველებიც იყვნენ.

პროკიურემენტის ძირითადი ამოცანაა, რაც შეიძლება მაქსიმალურად ეფექტიანად დააკმაყოფილოს შემსყიდველი ორგანიზაციის ანუ შემკვეთის ობიექტური მოთხოვნილებები პროდუქციაზე, სამუშაოებსა და მომსახურებაზე. ეს მიიღწევა პროკიურემენტის სწორი მეთოდების შერჩევით – შესყიდვების სწორი დაგეგმვით, მისი სახეების და მოცულობის მიზანშეწონილობის განსაზღვრით და აგრეთვე კონტროლით. თითოეულ ამ პროცედურას საფუძვლად უნდა დაედოს სახსრების ეკონომია. მაგრამ ეს მიღწეული უნდა იყოს არა საჭირო საქონლის არშეძენით, ან ნაკლები რაოდენობით შეძენით, არამედ მხოლოდ იმის შეძენით, რაც შემკვეთისთვის ობიექტურად აუცილებელია მოცემულ მომენტში.

საჭირო საქონლის, სამუშაოს და მომსახურების შესყიდვის ეფექტური დაკმაყოფილება აუცილებლად გულისხმობს, აგრეთვე, მომწოდებლისგან მოწოდების ვადების დაცვას, საქონლის მაღალ ხარისხს და შეთავაზებულ საქონელზე შემკვეთისთვის მისაღებ ფასს.

შემკვეთმა ამ სამი მახვენებლით უნდა შეაფასოს ბაზარზე წარმოდგენილი მომწოდებლები და მათ შორის აირჩიოს ის (ისინი), რომელიც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს ამ მოთხოვნების შესრულებას. ეს დავალება უნდა შეასრულონ შემკვეთი ორგანიზაციის მარკეტინგის სპეციალისტებმა და საკონკურსო შესყიდვების სპეციალისტებმა.

გვახსოვდეს, რომ იზოლირებულად არც ერთ ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნას – მოცულობა, ხარისხი, ფასი, მოწოდების ვადა – არ უნდა მიეცეს უპირატესობა. ისინი ურთიერთშეთანხმებული უნდა იყოს. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება პროკიურემენტი ეფექტიანი და წარმატებული. მაგალითად, განა სწორი იქნება, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ სიიაფის გამო საჭირო 100 ცალი საქონლის ნაცვლად იყიდოს 1000 ცალი? რა თქმა უნდა, არა, რადგან მას საწყობში შენახვის ხარჯი სჭირდება, შეიძლება დაძველდეს და გაფუჭდეს კიდევ და, რაც არანაკლებ მთავარია, შემსყიდველის ბიუჯეტიდან დამატებით იხარჯება ზედმეტი ფული 900 ცალი საქონლის შესყიდვისთვის, რაც შემსყიდველის ბიუჯეტის განსაზღვრულობის პირობებში აუცილებლად გამოიწვევს რომელიმე სხვა საჭირო საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს ვერ ან ნაკლებ შესყიდვას.

ჩვენ ზევით ვახსენეთ შემსყიდველის ობიექტური მოთხოვნილებები. ეს მეტად დიდი პრობლემა არა მხოლოდ ორგანიზაციებში, არამედ ოჯახების და ცალკეული ფიზიკური პირების დონეზეც ყველგან, ყოველ წელს იგეგმება სხვადასხვა საქონლის შესყიდვა. შემსყიდველი ორგანიზაციების სპეციალური საშემსყიდველო-მომმარაგებელი სამსახურები ამას ახორციელებენ სხვადასხვა აუქციონებზე, ტენდერებზე, კონკურსებზე [კიკვაძე ო., 2016:19]. იქ ირჩევენ ისინი მომწოდებლებსაც და მათ მიერ მოსაწოდებელ საქონელსაც. თითოეულმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ იცის, და ამის სურვილიც აქვს, რომ შეიძინოს ყველაზე საუკეთესო, საიმედო, მაღალმწარმოებლური (თუ ეს ტექნიკას ეხება) საქონელი, რაღა თქმა უნდა, მისაღებ ფასად. მაგრამ იშვიათი გამონაკლისის სახით, თითქმის არავინ არ ასაბუთებს ამ შესყიდვის საჭიროებას. ორგანიზაციის რომელიმე განყოფილების განცხადება, რომ მას სჭირდება თანამედროვე სკანერი, სრულიად საკმარისი ხდება მომარაგების განყოფილებისთვის, რომ მან იგი ჩასვას კვარტალური შესყიდვის გეგმაში და შეიძინოს დამკვეთი განყოფილებისთვის. არავინ, არც ეს განყოფილება და არც მომარაგების განყოფილება, არ ანგარიშობს და არ ასაბუთებს ამ სკანერის საჭიროებას, მის უკუგებას (მის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა გვაქვს მხედველობაში) მის ფასთან მიმართებაში. კი, ეს სკანერი შეიძლება ამ განყოფილებამ ერთ-ორჯერ გამოიყენოს თვეში, დანარჩენ დროს კი იგი უბრალოდ იდგება უმოქმედოდ, მხოლოდ ოფისის დასამშვენებლად. დასაძინია, რომ საქართველოს სინამდვილეში ასეთი ქმედება შემთხვევითი კი არ არის, არამედ, წესად არის ნაქცევი. ასე იქცევიან ორგანიზაციები, ოჯახები და ცალკეული ადამიანებიც კი. მათ სჭირდებათ რაღაც ნივთი და ყიდულობენ მას. ეს ნივთი, მისი ფუნქციების მრავალფეროვნების და ესთეტიკური გამომსახველობის გამო, შეიძლება სხვადასხვა ფასიანი იყოს – ძალიან ძვირიც, საშუალოდ ძვირიც და იაფიც. როგორც აღვნიშნეთ, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი თაობისაა იგი და რამდენ ფუნქციას ასრულებს.

საქართველოში საჭირო საქონლის შესყიდვა ხორციელდება არა პრაგმატულობის, არამედ მოდის გავლენით. ყოველთვის მოდაში ბოლო თაობის საქონელია. ეს განსაკუთრებით ეხება ტექნიკას – კომპიუტერი, ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი და სხვა. ასეთი საქონელი მისი მფლობელისთვის პრესტიჟად ითვლება. დასაძინია, რომ თითქმის იგივე მდგომარეობაა როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიულ პირებში. შედეგად უმიზნოდ იხარჯება დიდიხალი ფული.

პროკიურემენტის ამოცანებია [Крилова М. Д., 2011:17]:

- რესურსებზე სწორი მოთხოვნილების განსაზღვრა და დაგეგმვა;
- შესყიდვებზე გაწეული დანახარჯების ოპტიმიზაცია;
- ბაზარზე არსებული შემოთავაზებებიდან საჭირო რესურსების მოწოდების თავისუფალი და ოპტიმალური არჩევანის გაკეთება;
- შემოსული რესურსების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
- არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

რესურსებზე სწორი მოთხოვნილების განსაზღვრა და დაგეგმვა. უმრავლეს საჯარო და კერძო სამართლის ორგანიზაციებში რესურსების შექმნა წლიური და კვარტალური გეგმების მიხედვით ხდება. თავდაპირველად ორგანიზაციის განყოფილებები ადგენენ მათთვის საჭირო საქონლის ჩამონათვალს. ამ ჩამონათვალის საფუძველზე დგება ხარჯების გეგმა (ხარჯთაღრიცხვა). შემდეგ ხდება ამ ხარჯთაღრიცხვის კორექტირება (პლუს-მინუსით) იმ შემოსავლის მიხედვით, რომელიც ორგანიზაციას გააჩნია. ასე ჩასწორებული ხარჯთაღრიცხვა იქნება შესყიდვის საბოლოო გეგმა. მაგრამ ხდება ისეც, რომ დაფიქსირდება შესასყიდი საქონლის საჭიროება, მაგრამ არ ხდება ხარჯთაღრიცხვის დეტალიზება და არც შესყიდვის საბოლოო გეგმა დგება. შესყიდვებისადმი ასეთი მიდგომა საკმაოდ მოქნილი (როგორც კი გაჩნდება საჭიროება, მაშინვე მოხდება საქონლის შესყიდვა), მაგრამ ნაკლებ კონტროლირებადია.

შესყიდვების თანამედროვე მენეჯერები აკრიტიკებენ მისი გეგმის არსებობას. მას შესყიდვების თავისდროულად და სწორად განხორციელების შემაფერხებელ ფაქტორად თვლიან. ისინი ამას იმით ასაბუთებენ, რომ წინასწარ შედგენილი გეგმის აღსრულებამდე გასულ დროში სიტუაციები ისე იცვლება, რომ გეგმაში ჩაწერილი დაავალება „არქაულად“ გვევლინება.

ასეთი მიდგომა ნაწილობრივ სწორია და როცა ასე ხდება სწორედ მაშინ უნდა მოხდეს შესყიდვის გეგმის კორექტირება და არა ამ მიზეზით მასზე საერთოდ უარის თქმა. ამ საკითხზე ერთობლივად უნდა შეთანხმდნენ ორგანიზაციის მართვის აპარატი (დირექტორატი), შესყიდვის განყოფილება, ფინანსების და კონტროლის (შიდა აუდიტი) განყოფილებები.

ბაზარზე არსებული შემოთავაზებებიდან საჭირო რესურსების მოწოდების თავისუფალი და რატიონალური არჩევანის ბაპეტივა. შემსყიდველ ორგანიზაციას ასეთი არჩევანის გაკეთება ყველაზე უკეთ შეუძლია ღია საკონკურსო შესყიდვებზე, სადაც სხვადასხვა მომწოდებლები იქნებიან წარმოდგენილი. ამის მიღწევა შეიძლება მომწოდებლებზე სრული ინფორმაციის ფლობითაც.

არსებული რესურსების უფაქტიანი გამოყენება. მანამ, სანამ შემსყიდველი ორგანიზაცია ამა თუ იმ, მისთვის საჭირო საქონლის შესყიდვას დაგეგმავდეს, მან უნდა გადახედოს თავის შიგა, არსებულ რესურსებს. მან შეიძლება თავისთან აღმოაჩინოს გამოუყენებელი ან ნაწილობრივ გამოყენებული ასეთივე საქონელი. პირველ რიგში მან სწორედ ეს საქონელი უნდა გამოიყენოს. იგივე ეხება საქონლის მარაგსაც, რომელსაც თითქმის ყველა ორგანიზაცია ქმნის. შეიძლება ამ მარაგში აღმოჩნდეს ადრე, რეზერვად ნაყიდი ასეთი საქონელი. მაშინ მისი ახლიდან ყიდვა აღარ იქნება საჭირო.

შესყიდვების ანუ პროკიურემენტის ძირითადი პრინციპებია [Кузнецов К. В., 2011:13]:

- ღიაობა და გამჭვირვალობა;
- პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება;
- კონკურენტულობა;
- თანასწორობა და სამართლიანობა;
- ეფექტიანობა;
- დასაბუთებულობა.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე და ვნახოთ რა იგულისხმება თითოეულ მათგანში:

ღიაობა და გამჭვირვალობა. შესყიდვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია თავისდროულად და სრული მოცულობით ყველა მომწოდებლისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ მომწოდებლებს ჰქონდეთ დრო, რათა თავისი კომერციული შეთავაზებები და პროცედურები იმ კრიტერიუმების და მოთხოვნების მიხედვით მოამზადონ, რომელთა მიხედვით შემკვეთი (შემსყიდველი) ირჩევს მომწოდებელ-კონტრაგენტს.

შესყიდვების ჩატარების შესახებ მომწოდებელთა ინფორმირებისთვის შემკვეთი იყენებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს (ელექტრონული ჩათველით). დაინტერესებულ მომწოდებლებს, რომლებმაც ადრეც გამოიჩინეს მასთან მუშაობის ინტერესი და რომელთა კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს, უგზავნის „ადრესულ“ მოწვევებს და ა. შ.

შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა მაკონტროლებელი ორგანოსთვის გამჭვირვალე და დოკუმენტირებული უნდა იყოს, მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი შესყიდვების ორგანიზატორის არჩევის და მისი ქმედებების მოტივი.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება. შესყიდვების ორგანიზატორმა ეს პროცესი დადგენილი წესების და პროცედურების სრული დაცვით და მაღალი პასუხისმგებლობით უნდა ჩატაროს. წესების დარღვევის შემთხვევაში იგი პერსონალურად აგებს პასუხს.

შესყიდვების ყველა საკანძო მომენტი შესაბამის დოკუმენტებში – ოქმები, ანგარიშგებები და სხვა – უნდა დაფიქსირდეს. საჭირო შემთხვევაში ისინი წარედგინება შესყიდვებზე კონტროლის უფლებამოსილ განყოფილებას.

კონკურენტულობა. შესყიდვების ოპტიმალური შედეგი მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის პირობებში მიიღება (იშვიათი გამონაკლისის დროს შეიძლება პირდაპირი შესყიდვაც, მაგალითად, სამხედრო იარაღის). ასე რომ, მომწოდებელ-კონტრაგენტის არჩევა ხდება მათი ურთიერთმოხიზობის საფუძველზე, რომელიც კონკურენციისას გამოჩნდება.

ამასთან, კონკურენცია არ შეიძლება იყოს აბსოლუტური, ანუ შესყიდვის პროცედურაზე ყველა მომწოდებელი კი არ უნდა დაიშვას, არამედ მხოლოდ ისინი, ვინც აკმაყოფილებენ შემკვეთის ე. წ. „საკვალიფიკაციო ბარიერს“. სხვა შემთხვევაში ყველა მომწოდებლის შემოთავაზების გასინჯვა და შეფასება მეტად ძვირი დაუჯდება (ხარჯების თვალსაზრისით) შემსყიდველ ორგანიზაციას.

თანასწორობა და სამართლიანობა. შესყიდვების ჩატარების, მომწოდებლების კვალიფიკაციისადმი წარდგენილი მოთხოვნები და გამარჯვებულის გამოვლენის წესი ყველა მომწოდებლისთვის ერთნაირი და წინასწარ განსაზღვრული უნდა იყოს. არანაირი დისკრიმინაცია და შესყიდვების პროცესში წესების შეცვლა არ დაიშვება.

ეფექტიანობა. შესყიდვები მაქსიმალური ეფექტიანობით უნდა ჩატარდეს. ამის ანგარიში შესყიდვაზე გაწეული ხარჯების იმ შედეგთან (ეკონომიკური სარგებელი) თანაშეზომველად ხდება, რომლის შედეგიც მისცა შემკვეთს კონკურსზე შექმნილმა საქონელმა.

დასაბუთებულობა. შემკვეთმა მხოლოდ ის საქონელი უნდა შეისყიდოს, რომელიც ნამდვილად სჭირდება მას და დააკმაყოფილებს მის რეალურ მოთხოვნილებებს.

შესყიდვების სისტემა, როგორც წესი, სამი ბლოკისგან შედგება:

1. **შესყიდვების ბლოკი.** ამ ბლოკში შედის შემკვეთის ანუ შემსყიდველი ორგანიზაციის ის განყოფილებები, რომლებიც ეძებენ და ირჩევენ მომწოდებელ-კონტრაგენტებს, დებენ მათთან ხელშეკრულებებს, ხელმძღვანელობენ შესყიდვებს და მიღებული საქონლის ორგანიზაციის შიგნით განაწილებას.

2. **დაფინანსების ბლოკი.** ამ ბლოკში, გარდა შემსყიდველი საქონლის დამფინანსებელი განყოფილებისა, შედის აგრეთვე ის განყოფილებები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ხარჯთაღრიცხვის შედგენას, დამტკიცებასა და ხელშეკრულებების შედგენაში.

3. **კონტროლის ბლოკი.** ამ ფუნქციას ასრულებს შემკვეთის (შემსყიდველის) ხელმძღვანელობა.

როლების ასეთი განაწილება დამახასიათებელია როგორც სახელმწიფო, ისე კომერციული შესყიდვებისთვის. პირველ შემთხვევაში შემსყიდველის ზოგიერთი ფუნქცია გადაცემული აქვს სხვა ორგანოს. ასე მაგალითად, საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების დაფინანსებას ახორციელებს ხაზინა, ხოლო კონტროლს – ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სახელმწიფო აუდიტის სამსახური (ყოფილი კონტროლის პალატა).

დასკვნა

საკითხის დამუშავების დასრულებისას ვაკეთებთ შემდეგ დასკვნებს:

- შესყიდვებში ამა თუ იმ მომწოდებლისთვის უპირატესობის მინიჭება მხოლოდ იმ მოტივით, რომ მისი ფასი ყველაზე მისაღებია, როგორც ეს ამჟამად ხდება საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში, არასწორია. ანგარიში უნდა გაეწიოს საქონლის ხარისხს და მოწოდების ვადებსაც;

- სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებს მკაცრად დაევალოთ შესყიდვის საჭიროების დასაბუთება;

- შესყიდვების გაკონტროლების უფლება ჰქონდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კიკვაძე ო., 2016. სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფა საჯარო ფინანსების ადმინისტრირებაში, თბილისი, „თეკა და კომპანია“, გვ. 19.

2. Кузнецов К. В., 2011, Прокьюремент: тендеры, конкурсы, конкурентные закупки, Москва, «Алфа», გვ. 19.

3. Крилова М. Д., 2011. Закупочная и распределительная логистика, Москва., МГУП, გვ. 17.

Mikheil Bagdavadze

THE ESSENCE OF PROCUREMENT, ITS PRINCIPLES, ORGANIZATION

Summary

In the main part of this article it is discussed the essence of procurement, its obligation, consisting elements, function, principles, motivation of choosing the supplier, organization of purchase etc.

Procurement is a combination of these methods and procedures to meet the requirement of purchaser on product, service and work. There are achieved by: purchase planning, defining the target of purchase, regulations, accomplish purchase and its control. So, procurement is the process of purchase. It is realized by the state organization by the mean of budget and commercial (private) organizations by their own resources.

The purchase of good is accomplished in competitions, auctions, tenders. The purchaser is mentioned as a supplier. The quality of good should be evaluated by the client who is the best supplier. In Georgian state purchase, the main attention is paid to the fare of good what isn't correct. The approval of purchase necessity is seldom as well. In state purchase such behavior was made as a rule. At this time the first task of procurement is the correct definition on goods demanding. Before the client finds the supplier of goods, he must look for the resources of its satisfaction.

The suppliers should be given the information about the ways of purchase. All the procedures of purchase must be objective. They must be accomplished according to the rules.

On the purchase procedures should be permitted only those suppliers who are suitable for competition barrier. The rule of showing the winner should be known in advance for all the suppliers.

There are three parts in purchasing. These are: purchase block, financial block and control block. The first block consists of the part of supply, the second one- financial part and accounting, the third part –the guidance of client or invited audit.

This work ends with the summarizing conclusion.

თონა გელევანიშვილი

კრიზისებით გამოწვეული საფრთხის აღრეული გამოვლენა კომპანიაში

ანოტაცია. განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, კრიზისულ სიტუაციაში მყოფი იმ კომპანიების მასიურად გაკოტრების დაძლევის გზების ძიება, რომელთაც ვერ შეძლეს ახალ ეკონომიკურ გარემოში ადაპტაცია, მეტად აქტუალურ და პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ორგანიზაციებში კრიზისებით გამოწვეული საფრთხის ადრეული გამოვლენის გზები და კრიზისის დროს ორგანიზაციის სტრატეგიის შემუშავების თავისებურებანი.

საკვანძო სიტყვები: კრიზისი, მონიტორინგი, საფრთხე.

შესავალი

საქართველოში მოვლენები ხშირად ელვის სისწრაფით ვითარდება და შეიძლება ერთ კვირაში, ან სულაც ერთ დღეში, საკმაოდ ძლიერი ორგანიზაცია კრიზისულ სიტუაციაში აღმოჩნდეს. ასეთი ცვლილებები კომპანიის მენეჯმენტს აიძულებს, ყოველთვის იყოს ფორმაში, აღიქვავდეს და აკონტროლებდეს გარემოს და სწორად რეაგირებდეს მიმდინარე პროცესებზე.

ფაქტობრივად, ყველაზე დიდი ზიანი ორგანიზაციის რეპუტაციასა თუ მის ფინანსურ მდგომარეობას, შესაძლოა კრიზისით გამოწვეულმა პრობლემებმა მიაყენოს. დღესაც კი მრავალი კომპანია აგრძელებს პოლიტიკას, როდესაც კრიზისის მართვის უფლებამოსილებათა დელეგირება ხდება საშუალო რგოლის მენეჯერებზე, რაც დიდი შეცდომაა. იგი აუცილებლად, უმადლესი რგოლის ხელმძღვანელობის პრეროგატივაა.

კომპანიის ანტიკრიზისული მართვა საქართველოს საწარმოების ახალ პირობებთან ადაპტირებისათვის ეფექტური ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი ღონისძიებები გამოიყენება რაციონალურად და ეფექტურად.

ძველ პერიოდში, კვლევების და ინფორმაციის ნაკლებობის გამო საკმაოდ რთული იყო საწაროს გაკოტრების მიზეზის დასაბუთება და მათი გადარჩენის გზების შემუშავება. საწარმოს ეკონომიკური მდგარადობის ანალიზი ანტიკრიზისული მართვის მნიშვნელოვანი შემადგენელია, იგი გვაძლევს საშუალებას, მივიღოთ გადაწყვეტილება გაკოტრებული საწარმოს ფუნქციონირების შესაძლებლობის შესახებ. შევიმუშავოთ მისი ეკონომიკური მდგარადობის აღდგენასა და ხელშეწყობაზე მიმართული ღონისძიებები. როგორც ჩანს, ანტიკრიზისული მართვა კომპლექსური მიდგომით განხილვის აუცილებლობას საჭიროებს. ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს არჩეული საკვლევი თემის აქტუალობას. კვლევის საგანია საწარმოთა გაკოტრების და მათი გადარჩენის საკითხები. ძირითადი ყურადღება უნდა გავამახვილოთ საწარმოთა ფინანსური მდგარადობის და მისი ფინანსური რისკების საკითხების შესწავლაზე.

მონიტორინგის საჭიროება ორგანიზაციებში საფრთხის ადრეულ ეტაპზე გამოცნობისათვის და მოქმედებები ორგანიზაციის კრიზისიდან გამოყვანისათვის

კრიზისგან მინიმალური ზიანის მისაღებად საჭიროა, ორგანიზაცია შევამზადოთ წინასწარ, მანამ, სანამ კრიზისი დაწყებულია. პირველ რიგში საჭიროა ორგანიზაციაში კრიზისის იდენტიფიკაციის სისტემის შექმნა, რაც გულისხმობს საკონტროლო პარამეტრების დადგენას. პარამეტრები შესაძლოა იყოს როგორც გარე, ასევე შიდა. მაგალითად, შიდა პარამეტრებია კრედიტორები, რეალიზაცია, დებიტორები და სხვა, ხოლო გარე – კურსის ცვლილება, ეკონომიკური სტაბილურობა და სხვა). ორგანიზაციაში კრიზისული პარამეტრების დადგენისას საჭიროა ყველა ამ პარამეტრის მორგება კონკრეტულ ორგანიზაციაზე, ამიტომ არჩეული უნდა იყოს 4-5 პარამეტრი, რომელიც ხშირად კონტროლირებადი იქნება.

აღნიშნული პარამეტრებისათვის საჭირო იქნება ასევე მინიმალური დასაშვები ცვლილებების დადგენა. ანუ ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს, რა სიტუაციაში და რომელი პარამეტრის ცვლილებისთანავე იწყებენ რეაგირებას, რა განსაზღვრავს რეაგირების ღონისძიებებს და მათ პრიორიტეტულობას.

პარამეტრების შერჩევას, ხშირ შემთხვევაში რაოდენობრივ და ფინანსურ პარამეტრებთან ერთად, ზოგჯერ საჭირო ხდება სხვა თვისებრივი პარამეტრების განსაზღვრა, ეს პარამეტრები შეიძლება იყოს კლიენტის კმაყოფილების დონე, თანამშრომლების კმაყოფილების დონე.

პარამეტრების ცვლილების შემთხვევაში ორგანიზაცია იწვებს მათ დეტალურად განხილვას იმისათვის, რომ მოხდეს კრიზისის მასშტაბის და მოსალოდნელი გართულებების გამოვლენა, რისთვისაც ხშირად იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც წარადგენს დეტალურ ანგარიშს პარამეტრების ცვლილებების შესახებ.

არსებობს კრიზის რამდენიმე ხარისხობრივი მაჩვენებელი. ისინი სხვადასხვა სიმწვავეს ატარებენ. ზოგადად ორგანიზაციაში კრიზისები ეხება: მართვის სტრუქტურას, ფინანსურ გეგმებს, მიღგომას და ორგანიზაციაში სტრატეგიულ დაგეგმარებას.

როგორც წესი, ორგანიზაციაში ყველაზე რთული მაინც მისი მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის მორგებაა კრიზისულ პირობებთან. მაგალითად, მართვის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები კრიზისების დროს მათი ცენტრალიზაციაა, ანუ ორგანიზაციაში კრიზისების დროს გადაწყვეტილების მიმღებთა მინიმუმამდე დაყვანა ან/და გადაწყვეტილების მიმღები მხოლოდ ერთი ადამიანი ხდება.

განსაკუთრებული კონტროლი ასევე საჭიროა ფინანსური რესურსების კუთხითაც. საჭირო ხდება მინიმალურ ვადებში ხარჯებზე გადაწყვეტილების მიღების სისტემის გაუქმება და ბიუჯეტში ადრე დაგეგმილი ხარჯების გადახედვა, შემცირება იქ, სადაც ეს შემცირება დასაშვებია. ხშირ შემთხვევაში ხარჯების შემცირება ხდება რამდენიმე ძირითადი მიმართულებით: მარკეტინგული, ადმინისტრაციული, პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები და საოპერაციო ხარჯები. რა თქმა უნდა ყველა მიმართულებით განსხვავებულია ხარჯების შემცირების ძირითადი მიმართულებები და პრინციპები, რომლებსაც წვევს ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

კიდევ ერთი საყურადღებო საკითხი კრიზისების დროს არის კადრებთან სწორად მუშაობა. მნიშვნელოვანია, მინიმუმ, კადრების ყველაზე ანგარიშგასაწვევი ნაწილის გამოკვეთა, რომლის დაწინაურებაც და წინსვლაც მენეჯმენტის გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა მოხდეს. საჭიროა მათთან კომუნიკაციის გააქტიურება მათთვის მინიმალური პირობების უზრუნველყოფის მიზნით. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საკადრო მიმართულებით მიღებული გადაწყვეტილებები არ გასცდეს სამართლიანობის ჩარჩოებს, რასაც არანაკლებ ცუდი შედეგის მოტანა შეუძლია შედარებით გრძელვადიან პერიოდში. ასევე საჭიროა მენეჯმენტმა იზრუნოს თანამშრომლების ინფორმირებულობაზე, მინიმუმამდე დაიყვანოს მათ შორის პანიკის შექნის ალბათობა და არასწორი დამახინჯებული ინფორმაციების არაფორმალური არხებით გავრცელების შესაძლებლობები.

ბოლო საკითხი, რაზეც აუცილებლად უნდა იზრუნოს მენეჯმენტმა კრიზისის დროს, არის მესამე პირებთან (მომწოდებლები, მომხმარებლები, პარტნიორები გაყიდვებში და ა.შ.) ურთიერთობების ისეთი რეგულირება, რომელიც გამორიცხავს ან მინიმუმამდე ამცირებს არასწორი კომუნიკაციის შესაძლებლობებს მათთან. ამისათვის საჭიროა, ყველა თანამშრომელს, რომელიც მათთან შეხებაში შეიძლება აღმოჩნდეს, სათანადოდ ჰქონდეს ინსტრუქტაჟი ჩატარებული, თუ რა ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მათ განსაკუთრებული ხაზგასმით, რაზე საუბარი არ შეიძლება, ან არ არის მიზანშეწონილი მათთან, როგორი უნდა იყოს ქვეყნის ძირითადი წესები და მათთან ურთიერთობის სტილი. ამისათვის საჭიროა მოკლე ვადაში შესაფერისი თანამშრომლების ჯგუფების განსაზღვრა და მათი დატრენინგება.

დასკვნა

ზემოსხენებული მოქმედებები აქტუალურია თითქმის ყველა კრიზისის დროს. თუმცა, არსებობს ასევე კონკრეტული მოქმედებები, რომლებიც მხოლოდ კონკრეტული კრიზისების დროს ხორციელდება. ამ ღონისძიებების შინაარსი და თანმიმდევრობა დამოკიდებულია ორგანიზაციაში არსებული კრიზისის ბუნებაზე და მის გამომწვევ მიზეზებზე. კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა კრიზისის იდენტიფიკაციის ფაზაშივე ხდება და ყველა შემთხვევაში მხოლოდ ღონისძიების პარალელურად ხორციელდება.

ამავდროულად მნიშვნელოვანია, რომ კრიზისის დასრულების შესახებ გადაწყვეტილებასთან ერთად გამოცხადდეს მართვის ჩვეულ ფორმაში ჩადგომისათვის საჭირო მოქმედებების გეგმაც. ანუ ყველა ის უკუცვლილება, რომელიც უნდა განხორციელდეს მართვის შემდგომი ნორმალიზაციის მიმართულებით.

კრიზისის სწორი და სრული შეფასება აუცილებელი პირობაა ორგანიზაციის ჩვეულ რეჟიმში დასაბრუნებლად. სხვა შემთხვევაში კრიზისის უარყოფითი ფსიქოლოგიური ან სხვა სახის ზემოქმედება დიდი ხნის განმავლობაში გაგრძელდება.

კრიზისის ბოლოს აუცილებელია გადაიხედოს კრიზისის იდენტიფიკაციის პარამეტრული სისტემა. გაანალიზდეს ხომ არ არის ახალი პარამეტრების დამატების საჭიროება ან ხომ არ ითხოვს ცვლილებას მათი დასაშვები სიდიდეები. ასევე უნდა გაანალიზდეს წინასწარ

მომზადებული ანტიკრიზისული სცენარები, მოქმედებათა გეგმები, რამდენად ქმედითი აღმოჩნდა აღნიშნული გეგმები, ხომ არ იყო უმჯობესი სხვა სქემებით მოქმედება სხვადასხვა სახის გართულებების შემთხვევაში. მენეჯმენტი ცდილობს, მნიშვნელოვნად გადაახალისოს ანტიკრიზისული პროგრამა, გამომდინარე ახალი გამოცდილებიდან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ც. ქოროლიშვილი, „საფინანსო სისტემებში რისკების პროგნოზირება ხელფონური ინტელექტის მეთოდების გამოყენებით“. თბილისი, 2015.
2. <http://www.nplg.gov.ge/>
3. http://eprc.ge/admin/editor/uploads/files/Brochure_Crisis_II_WEB.pdf
4. Н.А БЛАНК Основы Финансового Менеджмента ,Том 2, Киев 2006 г.
5. გ. ქველაშვილი, „ანტიკრიზისული მენეჯმენტი“, თბილისი, 2013.
6. ი. ჯიმშიტაშვილი, ანტიკრიზისული მართვის ელემენტები თანამედროვე ორგანიზაციებში - ეკონომიკა და ბიზნესი, მაისი-ივნისი 2014, თბილისი 2014.
7. A. Shemetev – Complex Financial Analysis and Bankruptcy prognosis and also Financial Management-Marketing manual, Russia, 2012.

Teona Gedevanishvili

PREVIOUS DETECTION OF THE THREAT CAUSED BY CRISES IN COMPANIES

Summary

In developing countries, including Georgia, the companies which are in crisis and failed to adapt the new economic environment search for ways to overcome the massive bankruptcy which is the problematic issue.

Crisis means the condition of organization, which precedes there qualitative transition. Crisis in the industrial firm is a long and difficult problem. It can cause damage to the reputation of the organization and also to its financial condition.

The crisis in the organization depends partly on external factors as well, but if the firm's management is carried out properly, then the risk of the crisis happening is less.

In fact, the biggest damage comes to the reputation of the organization or its financial position, which may cause problems. Even today many companies continue the policy when delegation of crisis management is going on to middle-level managers, which is a big mistake. It is definitely the prerogative of the superior leadership.

As such, anti-crisis management helps organizations and companies to survive, learn to adapt to a new environment, maintain the most valuable, necessary and forgetful old may be important, but the new environment may be the first cause of death.

Anti-crisis management cannot be a constant state of the organization. In the usual setting the organization, as a rule, usually operates on a different scheme and approaches, organizations form an emergency management regime that is followed by giving the appropriate width of the indicators.

For example, one such alert signal may be a dramatic decline in revenues, increase of liabilities and impairment of assets. In any of the above situations, the situation of the organization is quite acute. The organization needs a preformed, well thought plan.

Anti-crisis management is a process involving previous crisis management, crisis management, post-crisis actions and decisions.

The paper presents early detection of the threat and the way of developing a strategy during the crisis.

ირინე დავრაშელიძე

მსხსენებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის თვისებრივი მეთოდები

ანოტაცია. სტატიაში განხილულია მსესხებლის ისეთი მახასიათებლები, რომელთა ერთობლიობა ქმნის მსესხებლის საკრედიტო რეიტინგს. ასეთებია ბაბუშკინის მეთოდი, ირკუტსკის მეთოდი, CAMPARI, PARSERI და „5-C-ის წესი“. ამ მახველებების ნაწილი პროცენტებში გამოიხატება, ნაწილი კი – ქულებში.

მათი გამაერთიანებელი მახველებელი ჯერჯერობით შემუშავებული არ არის. განკებიც და მსესხებელი კომპანიებიც თავისი თვალთახედვით აძლევენ რომელიმე მათგანს უპირატესობას.

საკვანძო სიტყვები: კრედიტუნარიანობა, მსესხებელი, საკრედიტო რეიტინგი, საკრედიტო ისტორია

შესავალი

არც საქართველოში და არც მსოფლიოში მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის ერთი, უნიფიცირებული მაჩვენებელი არ არსებობს. ზოგიერთი კომპანია და ბანკი მას რაოდენობრივი მაჩვენებლებით (რენტაბელობის დონე, ლიკვიდობის დონე, კაპიტალის სტრუქტურა და ა. შ.) ზომავს, ზოგი კი ხარისხობრივი მაჩვენებლებით.


მოცემულ სტატიაში ჩვენ შევეცდებით დავახასიათოთ კრედიტუნარიანობის არსებული ხარისხობრივი (თვისებრივი) მაჩვენებლები და შევაფასოთ ისინი.

* * *

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსესხებლის კრედიტუნარიანობა ისაზღვრება თვისებრივი (ხარისხობრივი) მაჩვენებლებითაც. ამ შემთხვევაში დგება მსესხებლის საკრედიტო რეიტინგი. ასეთი რეიტინგის შედგენის მრავალი მეთოდოლოგია არსებობს, რომელთაგან პოსტსოციალისტურ სივრცეში ყველაზე მეტად გავრცელდა რუსი მეცნიერის ს. ბაბუშკინის მეთოდოლოგია. ამ მეთოდოლოგიით მსესხებლის კრედიტუნარიანობა ფასდება შემდეგი მაჩვენებლებით (იხ. ნახაზი 1):

1. საკრედიტო ისტორია (რეპუტაცია) – 10%
 2. ფინანსები – 30%
 3. კრედიტის უზრუნველყოფა (გირაო) – 25%
 4. მსესხებლის მენეჯმენტი – 15%
 5. მსესხებლის საქმიანობის ბაზარი/დარგი – 20%
- სულ – 100%

ჩამოთვლილი მაჩვენებლების თითოეული ჯგუფისთვის მინიჭებული ქულების რაოდენობა 0-დან 100-მდე დიაპაზონში მერყეობს. რამდენად დაბალია ქულა, უკეთესია მსესხებლის მდგომარეობა, ანუ იმდენად ნაკლებია საკრედიტო რისკი. ამასთან, 0 – შეფასება მეტად უარყოფითი შეფასებაა.



ნახაზი 1. მსესხებლის კრედიტუნარიანობის რეიტინგის დადგენის ს. ბაბუშკინის მიერ შემუშავებული სქემა [Петров А., 2007:238]

მეცნიერი ს. ბაბუშკინი მსესხებლის რეიტინგის განმსაზღვრველ თითოეულ მაჩვენებელს ქულების შემდეგი რაოდენობით აფასებს:

1. მსესხებლის საკრედიტო ისტორიის შეფასება.

საკრედიტო ისტორია	ქულა
3-წელზე მეტი	10
2-დან 3 წლამდე	30
1,5-დან 2 წლამდე	50

0,5-დან 15 წლამდე	70
0,5 წელზე ნაკლები	90
საკრედიტო ისტორია არა აქვს (გაიცემა პირველი კრედიტი)	100

2. მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა.

ფინანსური მაჩვენებლის ჯგუფი	მაჩვენებლის შესაბამისობა ნორმატივთან	ქულა	წონითი კოეფიციენტი
ლიკვიდურობის მაჩვენებლები	შეესაბამება არ შეესაბამება	10	0,3
		30	
		50	
		70	
		90	
		100	
ფინანსური მდგრადობის (გადახდისუნარიანობის) მაჩვენებლები	შეესაბამება არ შეესაბამება	10	0,25
		30	
		50	
		70	
		90	
		100	
საქმიანი აქტივობის (ბრუნვადობის) მაჩვენებლები	შეესაბამება არ შეესაბამება	10	0,15
		30	
		50	
		70	
		90	
		100	
რენტაბელობის მაჩვენებლები	შეესაბამება არ შეესაბამება	10	0,3
		30	
		50	
		70	
		90	
		100	

3. კრედიტის უზრუნველყოფის შეფასება.

უზრუნველყოფის სახე	ქულა
ვალუტით უზრუნველყოფა	10
უძრავი ქონებით უზრუნველყოფა	25
მთავრობის გარანტია	20
სამრეწველო მოწყობილობა	50
ავტოტრანსპორტი	35
ფასიანი ქაღალდები	20
იურიდიული პირის თავდებობა	90
ფიზიკური პირის თავდებობა	100

4. მენეჯმენტის ხარისხის შეფასება.

მაჩვენებლების ჯგუფი	შინაარსი	ქულა	წონითი კოეფიციენტი
საკუთრების ფორმა	➢ სახელმწიფო საწარმო	20	0,2
	➢ შერეული საწარმო	25	
	➢ კერძო საწარმო	50	
მართვის ორგანიზებული სტრუქტურა	➢ კლასიკური საწარმო	10	
	➢ სათავო საწარმო	25	
	➢ მცირე საწარმო	75	
ხელმძღვანელობის ტიპი	➢ საკვანძო ფიგურა (ძირითადი მფლობელი და დამფუძნებელი)	70	0,5
	➢ კლასიკური ხელმძღვანელი	15	
	➢ აღმასრულებელი დირექტორი	50	
	➢ ტექნიკური დირექტორი	75	

5. ბაზრის ან დარგის კონიუნქტურის შეფასება.

მაჩვენებლების ჯგუფი	შინაარსი	ქულა	წონითი კოეფიციენტი
ეკონომიკის დარგი	<ul style="list-style-type: none"> ➤ ელექტრომრეწველობა ➤ შავი მეტალურგია ➤ ქიმიური მეტალურგია ➤ მანქანათმშენებლობა ➤ კვების მრეწველობა ➤ ტრანსპორტი ➤ მშენებლობა ➤ სოფლის მეურნეობა ➤ ვაჭრობა ➤ დანარჩენი დარგები 	<p>25 10 75 60 50 100 100 100 50 75</p>	0,3
წილი ბაზარზე (%)	<ul style="list-style-type: none"> ➤ 1-ზე ნაკლები ➤ 1-დან 2-მდე ➤ 3-დან 5-მდე ➤ 5-დან 24-მდე ➤ 25-დან 50-მდე ➤ 51-ზე მეტი ➤ მონოპოლია 	<p>100 85 70 50 35 25 10</p>	0,3
კონკურენციის დონე	<ul style="list-style-type: none"> ➤ დაბალი ➤ საშუალო ➤ მაღალი ➤ ძალიან მაღალი 	<p>25 50 75 100</p>	0,4

ამ შეფასების შედეგის შემდეგ თითოეული მიმართულებით ბანკი ანგარიშობს საშუალო ქულას (იგი იანგარიშება ქულის გადამრავლებით წონით კოეფიციენტზე) და აჯამებს მათ. შეჯამებულ მაჩვენებელს კი ეძლევა რისკის კატეგორია:

- 10-დან 20 ქულამდე → 1 ანუ მინიმალური
- 21-დან 40-მდე → 2 ანუ დაბალი
- 41-დან 60-მდე → 3 ანუ საშუალო
- 61-დან 80-მდე → 4 ანუ მაღალი
- 81-ზე მეტი → 5 ანუ ძალიან მაღალი

გარდა ამ მეთოდისა, ფართოდ არის ცნობილი დასავლეთში გამოყენებული მეთოდიკები. ისინი ორ კატეგორიად იყოფა [პაპასკირი რ., 2012:110]:

1. ნორმალურ მსესხებელზე ორიენტირებული.
2. არანორმალურ (გაკოტრებასთან ახლოს მყოფ) მსესხებელზე ორიენტირებული.

ნორმალურ მსესხებელზე ორიენტირებული მეთოდის მიხედვით, მსესხებლის კრედიტუნარიანობა 5 პარამეტრით (მენეჯმენტი, ბაზარი/დარგი, კლიენტთან ურთიერთობები, ეკონომიკაში არსებული ვითარება, საწარმოს განვითარებაში არსებული პერსპექტივა) ისაზღვრება. შეფასებას იძლევიან 6 ბალიანი სისტემით, სადაც 6 ბალი ყველაზე უარესი ვარიანტია, 1 ბალი აღნიშნავს სრულ საიმედოობას ანუ 100%-ს. ყოველი მომდევნო კი 25%-ით ამცირება მას. ასეთ შეფასებაზე აგებული მსესხებელთა კრედიტუნარიანობის განსაზღვრის ცნობილი ინგლისური PARSERI-ს და CAMPARI-ის მეთოდიკები. ეს უკანასკნელი 7 პარამეტრზეა აგებული.

CAMPARI-ს მეთოდის შინაარსი ასეთია:

- C – character – მსესხებლის დახასიათება.
- A – ability – კრედიტის დაბრუნების უნარი
- M – means – კრედიტის თხოვნის საჭიროება.
- P – purposr – კრედიტის მიზანი.
- A – amount – კრედიტის სიდიდე.
- R – repogment – კრედიტის დაფარვის შესაძლებლობა.
- I – insurance – კრედიტის უზრუნველყოფა (რისკის დაზღვევა).

ამერიკის ბანკებში კი გამოიყენება „ხუთი C-ის წესი“. მისი შინაარსი ასეთია:

- C – Capasity – ხესხის დაფარვის შესაძლებლობა.
- C – CHoracter – მსესხებლის რეპუტაცია.
- C – Capital – კაპიტალის ფლობა.
- C – Collateral – გირაოს არსებობა.
- C – Conditions – ეკონომიკური კონიუნქტურა.

დასკვნა

მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსილული მეთოდების მრავალფეროვნება იმის მიმანიშნებელია, რომ მეცნიერ-ეკონომისტები ვერ შეთანხმდნენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთი მეთოდის გამოყენებაზე. არადა, ჩვენი აზრით, გლობალიზაციის ეპოქაში ეს აუცილებელია, რადგან ერთი ქვეყნის კომპანია შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის კომერციული ბანკის მსესხებელი და ამ ქვეყნებს საკრედიტო რეიტინგის დადგენის მეთოდის ერთნაირი უნდა ჰქონდეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპასკირი რ., 2012. ლექციების კურსი საბანკო მენეჯმენტსა და კორპორაციულ ფინანსებში, თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 110.
2. Петров А., Петрова В., 2007. Комплексный анализ финансовой деятельности банка, Москва, «Финансы и статистика», гв. 238.

Irina Davrashedidze

THE QUALITATIVE DEFINING METHODS OF CREDITOR'S CREDITABILITY

Summary

In this article it is considered and evaluated the specific qualitative defining methods of creditor's creditability. These are: the method of 5-C, PARSERI, CAMPARI, the methods of Irkutsk and Babushkin.

The combination of features makes its credit rating. These features are:

- Credit history;
- The level of financial providing;
- Credit providing by deposit;
- The management of creditor's company or management level;
- Creditor's business market.

This method was invented by the Russian scientist Babushkin. These features make creditor's creditability. These features are evaluated by different methods: with marks or percent. Low mark or low percent means better payment. (0 point is a negative assessment).

Commercial banks are making weight ratio from these features, there is no doubt that it is different in different banks and it depends on how important this feature is in payment. The author thinks that this approach is a fault of creditability.

In England and some European countries there are different defining methods of creditability (PARSERI, CAMPARI). They are built on S-7 parameter.

The creditor is evaluated by the method of CAMPARI: with general features (C), the possibility to return credit(A), the necessity of demanding credit(M), the target of credit (P), the length of credit (A), the possibility of credit payment(R) and credit providing (I).

In USA commercial banks creditor's creditability is being made by the rule of 5_C. It means the S parameter assessment by the creditor. These parameters are: the possibility to pay the credit, creditor's reputation, owning a sum, having a deposit, economical conjuncture.

The author draws conclusion that the mobilization demands that commercial banks of all countries should have the same method of creditor's creditability assessment.

ალექსანდრე ერგეშიძე

სავალუტო კურსის გავლენა მაკროეკონომიკურ გარემოზე

ანოტაცია. ბოლო 10 წლის განმავლობაში, გაცვლითი კურსის მერყეობის ეპიზოდებმა აჩვენა, რომ გაცვლითი კურსი არის ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ნომინალური გაცვლითი კურსის გაუფასურება ექსპორტის ხელშემწყობია, თუმცა დადებითი ეფექტი შესაძლოა გადაფაროს იმპორტირებული შუალედური საქონლითა და მაღალი დოლარიზაციით გამოწვეულმა უარყოფითმა ეფექტმა. ამ კვლევის მიზანია გააანალიზოს გაცვლითი კურსის ეფექტი საქართველოს ეკონომიკაზე. მიღებული შედეგების მიხედვით ნომინალური გაცვლითი კურსის გამყარება იწვევს ინფლაციის, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთისა და ლარის სესხების სპროცენტო განაკვეთების შემცირებას, ხოლო ეკონომიკურ ზრდაზე საშუალოვადიან პერიოდში უარყოფითი გავლენა აქვს, თუმცა მოკლევადიან პერიოდში გავლენა სტატიისტიკურად უმნიშვნელოა.

საკვანძო სიტყვები: გაცვლითი კურსი, სტრუქტურული ვექტორული ავტორეგრესია (SVAR), რესტრიქციული გაუფასურების პიპოთეზა

შესავალი

ბოლო 10 წლის განმავლობაში, გლობალური ფინანსური კრიზისის (2008) და ნავთობის ფასის შემცირების (2014) შედეგად, გაცვლითი კურსის მერყეობა გაიზარდა. გარდა ამისა, რამდენიმე ცენტრალურმა ბანკმა (ამერიკის სარეზერვო ფონდმა, ევროპის გაერთიანებულმა ბანკმა, ჩეხეთის და სხვა ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა) დაიწყო გაცვლითი კურსის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტად გამოყენება ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად და ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის მისაღწევად. გაცვლითი კურსის მერყეობის ეპიზოდებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გაცვლითი კურსი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ფინანსურ სტაბილურობასა და სოციალურ კეთილდღეობაზე. მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, დიდ მნიშვნელობას იძენს მაკროეკონომიკურ გარემოზე ნომინალური გაცვლითი კურსის ეფექტის სიღრმისეული ანალიზი, რათა მოხდეს პოლიტიკის გამტარებლების ინფორმირება და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა.

სტანდარტულ მცირელია ეკონომიკის მოდელებში (ტრადიციული მანდელ-ფლემინგ-დორნბუშის (MFD) და ახალ ღია ეკონომიკის მაკრო (NOEM) მოდელებში) ნომინალური გაცვლითი კურსის გაუფასურებას ექსპანსიური ეფექტი აქვს ეკონომიკურ ზრდაზე, რაც გამოწვეულია ექსპორტის წახალისებითა და იმპორტის შემცირებით. თუმცა, ეს ეფექტი შეიძლება საპირისპიროდ შეიცვალოს ისეთ ეკონომიკურ მოდელებში, რომლებიც ხასიათდება მაღალი დოლარიზაციითა და იმპორტირებული შუალედური საქონლის მაღალი წილით (Krugman, 1999). ამ კვლევის მიზანია, გაანალიზოს გაცვლითი კურსის ეფექტი ექსპანსიურია თუ რესტრიქციული საქართველოსთვის და რაოდენობრივად შეაფასოს მისი გავლენა მაკროეკონომიკურ ცვლადებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია პოლიტიკის გამტარებლებისათვის, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ინფლაცია, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და საპროცენტო განაკვეთი ლარით გაცემულ სესხებზე. აღნიშნულის შესაფასებლად გამოყენებულია სტრუქტურული ვექტორული ავტორეგრესიული (SVAR) ანალიზი. საქართველო, როგორც მაღალდოლარიზებული ქვეყანა იმპორტირებული შუალედური საქონლის მაღალი წილით, წარმოადგენს საინტერესო მაგალითს რესტრიქციული გაუფასურების ჰიპოთეზის გასაანალიზებლად და ეს კვლევა ღირებულ შედეგებსა და ინფორმაციას მიაწვდის პოლიტიკის გამტარებლებს.

ლიტერატურის მიმოხილვა

სტანდარტულ მცირელია ეკონომიკის მოდელებში ნომინალური გაცვლითი კურსის გაუფასურებას ექსპორტის წახალისებისა და იმპორტის შემცირებით გზით დადებითი გავლენა აქვს ეკონომიკურ ზრდაზე. თუმცა სხვადასხვა მკვლევარებმა (Krugman, 1999, Aghion, Bacchetta, and Banjee, 2000, Kamin and Rogers, 2000) აღმოაჩინეს, რომ გაცვლითი კურსის გაუფასურებას შესაძლებელია ჰქონდეს რესტრიქციული ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე. როდესაც ვალდებულებები დენომინირებულია უცხოური ვალუტით, ხოლო შემოსავალი არის ადგილობრივ ვალუტაში, გაცვლითი კურსის გაუფასურება ზრდის ვალის ტვირთს, გაუარესებული საბალანსო ანგარიში ზრდის რისკის პრემიუმს და შესაბამისად იწვევს ინვესტიციების შემცირებას. აქედან გამომდინარე, გაცვლითი კურსის გაუფასურება არის რესტრიქციული, თუ აღნიშნული ნეგატიური ეფექტი გადაჭრის დადებით გავლენას წმინდა ექსპორტზე.

რესტრიქციული გაუფასურების შესახებ არსებული ლიტერატურა მოიცავს ბაჰმანი-ოსკოისა და მიტეზას (Bahmani-Oskooee, Miteza, 2003) ნაშრომს, რომლებმაც დაასკვნეს რომ რესტრიქციული გაუფასურების გამომწვევი ძირითადი მიზეზები არის შემოსავლის გადანაწილება დაბალი მოხმარების მიდრეკილების მქონე ადამიანებზე, ინვესტიციების შემცირება, ვალის მომსახურების ზრდა, იმპორტირებული პროდუქციის ღირებულების ზრდა, ხელფასების ინდექსაცია ფასების ღონეზე დაყრდნობით და კაპიტალის ღირებულების ზრდა. თუმცა, არსებობს ასევე ვრცელი ლიტერატურა, რომელიც ვერ ადასტურებს რესტრიქციული გაუფასურების ჰიპოთეზას. კრუეგერმა (Krugger, 1978) გამოიკვლია 22 მნიშვნელოვანი გაუფასურება სხვადასხვა ქვეყნებში და ვერ იპოვა რესტრიქციული გაუფასურების მტკიცებულება. მსგავსი შედეგი მიიღო გილფასონმა (Gylfason, 1987), რომელმაც შეისწავლა 32 გაუფასურების პერიოდი. საერთო ჯამში, მტკიცებულება რესტრიქციული გაუფასურების შესახებ საკმაოდ შერეულია და შედეგები დამოკიდებულია კვლევაში გამოყენებულ მეთოდოლოგიაზე.

მეთოდოლოგია

სტრუქტურული ვექტორული ავტორეგრესია წარმოადგენს ტრადიციული ვექტორი ავტორეგრესიული (VAR) ანალიზის გაფართოებას. იგი აერთიანებს ეკონომიკურ თეორიას დროითი მწკრივის მონაცემებთან და რაოდენობრივად აფასებს სხვადასხვა შოკების და ეკონომიკური პოლიტიკის

გავლენას მაკროეკონომიკურ ცვლადებზე. მთავარი უპირატესობა SVAR ანალიზის არის მოდელის იდენტიფიკაციისთვის საჭირო მინიმალური დაშვებების რაოდენობა. შეზღუდული ფორმის SVAR მოდელი შესაძლოა შეფასდეს დაშვებებით, რომლებიც თავსებადია ეკონომიკურ თეორიასთან. მოდელის იდენტიფიკაციის შემდეგ შესაძლებელია სტრუქტურული შოკების შეფასება და მათი გამოყენებით იმპულს-რეაქციის და ვარიაციის დეკომპოზიციის ფუნქციების შექმნა. შეზღუდული ფორმის SVAR მოდელში შოკების იდენტიფიკაციისთვის გამოიყენება ქოლესკის დეკომპოზიცია, რომელიც წრფივი განტოლებათა სისტემის ამოსახსნელად ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს. აღნიშნულის შემდეგ შესაძლებელი იქნება შევასოთ ნომინალურ გაცვლით კურსზე ეგზოგენური შოკის გავლენა ეკონომიკურ ზრდასა და სხვა მაკროეკონომიკურ ცვლადებზე. ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი შეგვიძლია წარმოვადგინოთ დაყვანილი ფორმით:

$$Y_t = C_0 + \sum_{i=1}^n A_i Y_{t-i} + B X_t + e_t$$

სადაც, Y_t აღნიშნავს ენდოგენური ცვლადების ვექტორს, C_0 - გადაკვეთის კოეფიციენტებს, A_i - ენდოგენური ცვლადების დროითი ლაგების კოეფიციენტების მატრიცას, B - ეგზოგენური ცვლადების კოეფიციენტების მატრიცას, X_t - ეგზოგენური ცვლადების ვექტორს და e_t - სტრუქტურული შოკების ვექტორს.

მოდელის თითოეული განტოლების შეფასება ხდება გადახრების კვადრატების ჯამის მინიმიზაციის გზით. მნიშვნელოვანია რომ მოდელი იყოს კოვარიაციულად სტაციონარული, რათა შოკების ზეგავლენა მიიღოს გრძელვადიან პერიოდში და მივიღოთ იმპულს ფუნქციების სწორი შეფასება. თუ მოდელი კოვარიაციულად სტაციონარულია, მაშინ მისი ყველა კომპონენტი სტაციონარული იქნება.

მონაცემები და შედეგები

ვექტორული ავტორეგრესიული ანალიზისთვის გამოყენებულია კვარტალური მონაცემები 2004 წლის I კვარტლიდან 2016 წლის IV კვარტლამდე. მოდელი მოიცავს 5 ენდოგენურ, 1 ეგზოგენურ და 1 სტრუქტურული ცვლილების აღმწერ ცვლადს. ენდოგენური ცვლადებია: მშპ-ს რეალური წლიური ზრდის ტემპი, წლიური ინფლაცია, მონეტარული პოლიტიკის მდგომარეობის ინდექსი, საპროცენტო განაკვეთი ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის წლიური ზრდის ტემპი. ეგზოგენურ ცვლადად აღებულია წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის ცვლილება, რომელიც ასახავს სხვაობას ქვეყნის საგარეო აქტივებსა და ვალდებულებებს შორის. საგარეო ვალდებულებების გაზრდას, მოსალოდნელია, მოკლევადიან პერიოდში დადებითი გავლენა ჰქონდეს ეკონომიკურ ზრდაზე. ხოლო სტრუქტურული ცვლილების ცვლადი შეესაბამება ფინანსური კრიზისის პერიოდს, რომლის შემდეგაც ეკონომიკის პოტენციური ზრდის ტემპი შემცირდა (Podpiera, Jiri et al. 2017).

აღსანიშნავია, რომ 2009 წლამდე ეროვნული ბანკი არ იყენებდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს, რადგან მონეტარული აგრეგატების თარგეთირებას ახდენდა. აქედან გამომდინარე, 2004-2009 წლების მონეტარული პოლიტიკის მდგომარეობის აღსაწერად ჩვენ ვყვრდებით ეროვნული ბანკის (2013) კვლევას, რომელიც აღნიშნულ პერიოდში მონეტარული პოლიტიკის მდგომარეობის აღსაწერად იყენებს სარეზერვო ფულის ზრდის ტემპსა და ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთს. მათი გამოყენებით შექმნილია ინდექსი, რომლის ცვლილება შეესაბამება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შესაბამისი პროცენტული პუნქტით ცვლილებას.


ვექტორული ავტორეგრესიის ქოლესკის დეკომპოზიციით ამოხსნისას მნიშვნელოვანია ცვლადების რიგიობა, რადგან ის ასახავს, თუ რომელი ცვლადები რეაგირებს იმავე პერიოდში სხვა ცვლადების ეგზოგენურ შოკზე. ემპირიული კვლევების (საქართველოს ეროვნული ბანკის კვლევა, 2013) შესაბამისად, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა პირველ ადგილზეა, რადგან ის არ ახდენს ცვლილებას სხვა ცვლადების მიმართ იმავე კვარტალში. შემდეგ პოზიციაზეა ფასები, რომლებიც ასევე საკმაოდ ხისტია ერთი კვარტლის პერიოდში. შემდეგ ადგილზეა მონეტარული პოლიტიკის ინდექსი, რომელიც შესაძლოა შეიცვლოს იმავე კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის და ფასების ცვლილების შედეგად. შემდეგ პოზიციაზეა საპროცენტო განაკვეთი და ბოლოს გაცვლითი კურსი, რადგან კურსი ყველა სხვა ფაქტორის ცვლილებისას იმავე პერიოდში განიცდის კორექტირებას.

ლაგების რაოდენობის შესარჩევად ვყვრდებით LR ტესტისა და აკაიკეს კრიტერიუმებს, რომლებიც საბაზისო მოდელში ორი ლაგის ჩასმას გვირჩევენ. მოდელი კოვარიაციულად სტაციონარულია, რადგან ყველა მისი ფესვი ერთეულოვანი წრის შიგნით მდებარეობს. შესა-

ბამისად, ყველა კომპონენტი სტაციონარულია და იმპულს რეაქციის ფუნქციის სწორ შეფასებებს მივიღებთ.

მოცემული კვლევა განსხვავდება წინა კვლევებისგან მონაცემთა უფრო ხანგრძლივი დროითი მწკრივით, ლაგების მეტი რაოდენობითა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის ეგზოგენურ ცვლადად გათვალისწინებით, რაც მიღებული შედეგების მეტ სანდოობას უზრუნველყოფს.

მიღებული შედეგების მიხედვით, ნომინალური გაცვლითი კურსის 1%-ით გამყარება იწვევს ინფლაციის ეტაპობრივად შემცირებას. მესამე-მეოთხე კვარტალში ინფლაცია მცირდება დაახლოებით 0.3 პროცენტული პუნქტით, თუმცა გრძელვადიან პერიოდში კურსის გააღწევა ინფლაციაზე მცირდება და ნულს უახლოვდება (დიაგრამა I). ინფლაციის შემცირების შედეგად 0.15 პროცენტული პუნქტით მცირდება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი მოკლევადიან პერიოდში, რაც თავის მხრივ აისახება ლარის სესხების საპროცენტო განაკვეთების დაახლოებით 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირებაში. ხოლო გაცვლითი კურსის გამყარების გააღწევა ეკონომიკურ ზრდაზე საშუალოვადიან პერიოდში უარყოფითია (0.1 პპ), თუმცა მოკლევადიან პერიოდში სტატისტიკურად უმნიშვნელოა.



დიაგრამა I. ნომინალური ეფექტური კურსის 1%-ით გამყარების გავლენა ინფლაციაზე

აღსანიშნავია, რომ ალტერნატიული მოდელებიდან, რომლებშიც ცვლადები განსხვავებული რიგითობით არის დალაგებული, მიღებული შედეგები სტატისტიკურად უმნიშვნელოდ განსხვავდება საბაზისო მოდელიდან მიღებულ შედეგებთან შედარებით, რაც ადასტურებს მიღებული შედეგების მდგრადობას.

დასკვნა

არსებობს ფართო ლიტერატურა, რომელიც აფასებს ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენას მაკროეკონომიკურ გარემოზე და ამოწმებს რესტრიქციული გაუფასურების ჰიპოთეზას. მთლიანობაში, მტკიცებულებები რესტრიქციული გაუფასურების ჰიპოთეზის შესახებ საკმაოდ შერეულია და შედეგი დამოკიდებულია გამოყენებულ მეთოდოლოგიასა და მონაცემებზე. ეს არის ძალიან საინტერესო საკითხი საქართველოსთვის, რადგან ქვეყანაში დოლარიზაციის მაღალი დონეა და იმპორტირებული შუალედური საქონლის წილი საკმაოდ მაღალია.

SVAR მოდელზე დაყრდნობით შეფასდა ნომინალური კურსის გავლენა ეკონომიკაზე. მიღებული შედეგების მიხედვით, ნომინალური ეფექტური კურსის გამყარება იწვევს ინფლაციის შემცირებას, მონეტარული პოლიტიკის შერბილებას და შედეგად ლარის სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას. კურსის გამყარებას უარყოფითი გავლენა აქვს ეკონომიკურ ზრდაზე საშუალოვადიან პერიოდში (1-2 წელიწადში). თუმცა მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკურ ზრდაზე ეფექტი სტატისტიკურად უმნიშვნელოა. შესაბამისად, შესაძლებელია საშუალოვადიან პერიოდში ნომინალური კურსის გაუფასურების რესტრიქციული გავლენის ჰიპოთეზის უარყოფა, თუმცა მოკლევადიან პერიოდში არ არის საკმარისი მტკიცებულება აღნიშნული ჰიპოთეზის უარყოფისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი იური. “ეკონომეტრიკა”, მერიდიანი, 2014.

2. ბლუაშვილი ალექსანდრე. “მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმები საქართველოში: ბოლოდროინდელი დინამიკა, ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“.
3. ერგეშიძე ალექსანდრე. საკრედიტო რისკის მოდელი: იპოთეკური სესხის გაცემისას მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასება, ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“.
4. კაკულია ნაზირა. ვალუტის გაცვლითი კურსის რეჟიმები და მათი გავლენა მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2013.
5. პაპავა ვლადიმერ. სავალუტო კრიზისის პირობებში „სავალუტო ფარის“ ქმედითობა პოლანდიური დაავადებით ინფიცირებულ ეკონომიკაში (საქართველოს მაგალითზე).
6. Aghion, P., Bacchetta, P., & Banerjee, A. (2000). A simple model of monetary policy and currency crises. *European economic review*, 44(4), 728-738.
7. Bahmani-Oskooee, Mohsen, and Ilir Miteza. "Are devaluations expansionary or contractionary? A survey article." *Economic Issues Journal Articles* 8, no. 2 (2003): 1-28.
8. Cooper, Richard. "Exchange rate devaluation in developing countries." *Princeton Essays in International Finance* 86 (1971).
9. Gylfason, Thorvaldur, and Michael Schmid. "Does devaluation cause stagflation?." *Canadian Journal of Economics* (1983): 641-654.
10. Kamin, S. B., & Rogers, J. H. (2000). Output and the real exchange rate in developing countries: an application to Mexico. *Journal of development economics*, 61(1), 85-109.
11. Krueger, Anne O. "Liberalization attempts and consequences." NBER Books (1978).
12. Krugman, Paul, and Lance Taylor. "Contractionary effects of devaluation." *Journal of International Economics* 8, no. 3 (1978): 445-456.

Alexander Ergeshidze

THE IMPACT OF EXCHANGE RATE ON MACROECONOMIC ENVIRONMENT

Summary

During the last 10 years, exchange rate volatility increased worldwide as a result of global financial crisis (2008) and the decline in commodity prices including oil price (2014). In addition, several central banks, including FED, ECB, Bank of England, Czech National Bank, Central Bank of Japan, People's Bank of China, started to use exchange rate as a monetary policy instrument to amplify economic growth and achieve their inflation target. Current episodes of exchange rate volatility confirmed that exchange rate is one of the important tools, which can affect country's economic situation, financial stability and social welfare. Taking into account current events, review of existing literature about exchange rate impact on macroeconomic environment and in-depth analysis of exchange rate effect is becoming significant, in order to inform policy makers and implement correct economic policies.

The aim of this research is to analyze whether exchange rate depreciation is expansionary or contractionary in Georgia and quantify its impact on macroeconomic variables that are important to policy makers. Georgia, as a high dollarized economy with high share of imported inputs, is an interesting case to analyze contractionary depreciation hypothesis and will provide valuable insight for policy makers. In February, 2017 up to 65% of total loan portfolio and 70% of total deposits were in US dollars. In addition, imports used as inputs of production in agricultural, manufacturing, transportation and communication and financial intermediation sectors are as high as 36% in Georgia, which are therefore exposed to currency fluctuations. So, the nominal exchange rate depreciation could directly lead to a negative supply shocks. Moreover, exchange rate risk is one of the main issues that financial sector in Georgia faces. Banking sector is very vulnerable with respect to exchange rate depreciation, because it increases credit risk and rises financial stability concerns.

In standard small-open economy models (e.g. Svensson, 2000), a nominal exchange rate depreciation has an expansionary effect on output through promoting export and reducing imports. This impact is mostly valid in traditional Mundell-Fleming-Dornbusch (MFD) models and in the new open economy macro (NOEM) models. However, this impact can be reversed in an economy with high dollarization and high share of imported inputs. Various researchers, Krugman (1999), Aghion, Bacchetta, and Banerjee (2000), Kamin and Rogers (2000), found out that exchange rate depreciation can have contractionary impact on output. When liabilities are denominated in foreign currency, while income is in local currency, exchange rate depreciation increases debt burden, deteriorated balance sheet position increases risk premium and subsequently causes drop in investment. So, exchange rate depreciation is contractionary if this negative impact outweighs positive impact on net export.

Literature about contractionary depreciation includes paper by Diaz-Alejandro (1965), who examined Argentina's devaluation in 1959. He claims that contractionary depreciation happened due to income distribution in favor of people with low-propensity to consume. Another important paper in this subject is by Cooper (1971), who evaluated 24 periods of devaluation and concluded that improvement in external position can potentially be outweighed by higher debt service and income redistribution. As Bahmani-Oskooee and Miteza (2003) summarized, the main reasons behind contractionary depreciation is income redistribution towards people, with low marginal propensity to consume, a drop

in investment, increased debt service, decrease in real wealth and possible increase in interest rate, increase in imported input prices, wage indexation based on price levels and increase in cost of capital. However, there is also wide literature, that could not confirm contractionary depreciation hypothesis. For example, Kruegel (1978) examined 22 major devaluations of different countries and could not find evidence of contractionary depreciation. Similar result was achieved by Gylfason (1987), who examined 32 devaluation periods. Overall, evidence on the contractionary devaluation hypothesis is quite mixed and results depend on adopted methodologies of the different studies.

Effect of exchange rate differs from country to country, according to the structure of the economy, so it is crucial to take into consideration country's characteristics for implementation of correct exchange rate policy. To analyze impact of exchange rate on macroeconomic variables research is conducted using structural vector autoregression (SVAR). SVAR (proposed by Sims, 1980) is an extension of traditional vector autoregression (VAR) analysis. It combines economic theory with time series data to quantify impact and response of variables on different shocks or economic policies. Main advantage of SVAR analysis is that it needs a minimum of identifying assumptions. Reduced form model can be estimated using restrictions that are based on economic theory. To identify structural shocks in reduced form SVAR model cholesky decomposition is used, which is one of most often used approaches for this analysis. After recovering structural shocks, they can be used to perform impulse response and variance decomposition. Afterwards, it is possible to evaluate impact of shocks to different variables.

To conduct vector autoregression analysis quarterly data from the 1st quarter of 2004 to the IV quarter of 2016 has been used. The model consists of 5 endogenous, 1 exogenous and 1 structural change variables. Endogenous variables are: annual growth rate of real GDP, annual inflation rate, monetary policy rate, interest rate on loans issued in national currency and annual growth rate of nominal effective exchange rate. The exogenous variable is change in the net international investment position that reflects the difference between foreign assets and liabilities of the country. Increase in foreign liabilities is expected to have a positive impact on the economic growth in the short term. While the variable of structural change corresponds to the period of financial crisis, after which the potential growth of the economy decreased (Podpiera, Jiri et al. 2017).

In cholesky decomposition order of variables is important to reflect which variables react to exogenous shock to other variables in the same period. Growth rate of gross domestic product is located on the first place, because it does not adjust to the change of other variables in the same quarter. Respectively, on the following positions are inflation, monetary policy rate, interest rate on domestic currency loans and on the last position is the exchange rate, because it reacts to changes to all other variables in the same period.

According to the obtained results, appreciation of the nominal exchange rate by 1% leads to a gradual reduction in inflation. Inflation in the third-fourth quarter decreases by 0.3 percentage points. As a result of reduction in expected inflation, the monetary policy rate is reduced by 0.15 percentage points in the short term, which in turn decreases interest rates of domestic currency loans by 0.1 percentage points. The impact of exchange rate appreciation on economic growth is negative in the medium term (0.1 pp), but in the short term it is statistically insignificant. It should be noted that the result obtained from alternative models, where variables are sorted in a different order, are not statistically different compared to the results obtained from the baseline model, which confirms the robustness of attained results.

To sum up, obtained results showed that the nominal exchange rate appreciation leads to decline in inflation rate, monetary policy rate and interest rate of domestic currency loans, while impact on economic growth is negative in the medium run, but statistically insignificant in the short run. Therefore, it is possible to reject the contractionary depreciation hypothesis in Georgia in the medium term, but in the short run, there is not enough evidence to reject this hypothesis.

დავით კეშელავა

სტრუქტურული ტრანსფორმაციის თავისებურებები საქართველოში 1990-2015 წლებში

ანოტაცია. სტრუქტურული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მწარმოებლურობის ზრდაზე, სწორედ ამ აღმოჩენას შეუძლია წარმატებით ახსნას ეკონომიკური ზრდის განსხვავებული ტემპები ერთი და იმავე შესაძლებლობების მქონე ქვეყნების შემთხვევაში. ამ სტატიის მიზანია, შეისწავლოს საქართველოს ეკონომიკური სტრუქტურის განვითარება ბოლო პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ზრდის მასტიმულირებელი სტრუქტურული ტრანსფორმაცია მიმდინარეობს და, ერთი შეხედვით, ცვლილებები სწორი მიმართულებით ხორციელდება, სტრუქტურული ცვლილებების ტემპი შესამჩნევად დაბალია. ამის შედეგად, მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ კონცენტრირებულია დაბალმწარმოებლურ სექტორებში.

საკვანძო სიტყვები: სტრუქტურული ტრანსფორმაცია, მწარმოებლურობა, სექტორული განაწილება

გლობალიზაციამ და რეგიონულმა ინტეგრაციამ თითქმის ყველა განვითარებად ქვეყანაზე (გარდამავალ ეტაპზე მყოფი ეკონომიკების ჩათვლით) იქონია გავლენა და სულ უფრო მეტად ჩართო ისინი მსოფლიო ეკონომიკაში. გლობალიზაციის კვლადაკვალ, სავაჭრო ტარიფებმა ისტორიულ მინიმუმს მიაღწიეს, მნიშვნელოვნად გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები, ამასთანავე, ძალზე გამარტივდა ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემა. მიუხედავად ამისა, ისარგებლებს თუ არა ქვეყანა გლობალიზაციის სიკეთებით, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის იგი ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკაში [McMillan at al, 2011].

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საბჭოთა კავშირში ზედმეტად ინდუსტრიული ეკონომიკა იყო და მსოფლიოს სხვა, საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებთან შედარებით მის ინდუსტრიულ სექტორში ძალზე მაღალი იყო სამუშაო ძალის კონცენტრაცია. ამიტომაც, მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და მსოფლიო ბაზართან მეტად ინტეგრირების შედეგად, მყისიერად შემცირდა სამუშაო ძალა ინდუსტრიულ სექტორში და გაჩნდა ამბიციური რეფორმების საჭიროება. გარდამავალ ეტაპზე მყოფმა წარმატებულმა ქვეყნებმა (მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა) ეს რეფორმები ისე განახორციელეს, რომ სტრუქტურული ტრანსფორმაცია სწორი მიმართულებით წარიმართა – სამუშაო ძალამ ინდუსტრიული სექტორიდან მაღალმწარმოებლურ მომსახურების სექტორში გადაინაცვლა [Mickiewicz at al, 2002].

სამწუხაროდ, საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სტრუქტურული ტრანსფორმაცია არასწორი მიმართულებით მოხდა. გარდამავალი პერიოდის დასაწყისში საქართველომ რამდენიმე ომი გადაიტანა, განახორციელა წარუმატებელი რეფორმების მთელი წყება, რის შედეგადაც განადგურდა ინფრასტრუქტურა, შეიქმნა გადასახადების ამოღების პრობლემა, დაიწყო ჰიპერინფლაცია, კორუფცია მომძლავრდა და გაიზარდა კრიმინალი. ამ ყველაფერმა, რაღა თქმა უნდა, საქართველოში ინვესტიციის ჩადებისა და ბიზნესის კეთების ყველანაირი ინტერესი გააქრო. შედეგად, დეინდუსტრიალიზებული სექტორებიდან გამოთავისუფლებულმა სამუშაო ძალამ თავის სარჩენად სოფლის მეურნეობაში გადაინაცვლა.

1990 წელს საქართველოში სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა მთელი დასაქმების 26.3%, მაშინ როცა ინდუსტრიულ და მომსახურების სექტორებში შესაბამისად 31.2% და 14.6% იყო დასაქმებული. 2000 წლისთვის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულითა წილი 52,1%-მდე გაიზარდა, მაშინ როცა ინდუსტრიულ სექტორში დასაქმებამ მთლიანი დასაქმების 9,8% შეადგინა [Raiser at al, 2003]. აქედან ნათელია, რომ საქართველოში სტრუქტურული ტრანსფორმაცია არასწორი მიმართულებით განვითარდა და არათუ ხელი შეუწყო სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევას, არამედ მნიშვნელოვნად შეაფერხა იგი.

სტრუქტურული დეკომპოზიცია საქართველოში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ (2003) არაერთი წარმატებული რეფორმა გატარდა, დასაქმების სტრუქტურა დიდად არ შეცვლილა. რეფორმების დაწყების წლებში ეკონომიკა საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა, თუმცა სწრაფი ზრდა არა სწორი მიმართულებით განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების, არამედ სექტორებში გაზრდილი მწარმოებლობის ხარჯზე ხდებოდა. შედეგად, სწრაფი ზრდის ტემპი დიდხანს არ შენარჩუნებულა და არც სიღარიბის პრობლემის დაძლევა გამხდარა შესაძლებელი.

პირველ გრაფიკზე წარმოდგენილია ინფორმაცია 2015 წლისთვის სხვადასხვა სექტორებში დასაქმებული მოსახლეობის წილის შესახებ მთლიანად დასაქმებულ მოსახლეობაში. პირველ რიგში, 2015 წელს სამუშაო ძალის დასაქმებაში კვლავ სოფლის მეურნეობა ღიდებოდა, მასზე დასაქმებული მოსახლეობის 57% მოდიოდა. მაშასადამე, 2003 წლის შემდგომ განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების წილი 2000 წელთან შედარებით დიდად არ შეცვლილა. მეორე მხრივ, წარმოება საკმაოდ უმნიშვნელო აღმოჩნდა დასაქმების თვალსაზრისით, დასაქმებულთა მხოლოდ 4% მუშაობდა მრეწველობის სექტორში. ე. ი. საქართველოში დეინდუსტრიალიზაცია შედარებით დიდი მასშტაბებით განხორციელდა და ამ სექტორში დასაქმებული მოსახლეობის პროცენტული წილი მკვეთრად ჩამორჩება წარმატებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის 7% განათლების, ხოლო 5% საჯარო მმართველობის სექტორზე მოდიოდა, რაც კვლავაც სახელმწიფოს სექტორის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიგვიჩვენებს. დასაქმების ასეთი სტრუქტურა მკვეთრად განსხვავდება გარდამავალ ეტაპზე მყოფი წარმატებული ქვეყნების სტრუქტურისგან, სადაც მაღალმწარმოებლურ მომსახურებას დიდი წილი აქვს დასაქმებაში, ხოლო სოფლის მეურნეობას – მცირე [შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკითხვა – საქსტატი].

მეორე გრაფიკი გვაწვდის ინფორმაციას მთლიანი შიდა პროდუქტის სექტორული განაწილების შესახებ. გრაფიკიდან ცხადად ჩანს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ყველაზე დიდი ნაწილი საცალო და საბითუმო ვაჭრობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის და მრეწველობის

სექტორებში იქმნებოდა (მთლიანი შიდა პროდუქტის 37%). ხოლო სოფლის მეურნეობის და განათლების სექტორი მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9 და 5%-ს ქმნის [შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკითხვა – საქსტატი].

სტრუქტურული ცვლილებები 2003-2015 წლებში

იმისათვის, რომ უკეთ შევისწავლოთ, თუ რამდენად სწორი მიმართულებით ხორციელდება სტრუქტურული ცვლილებები და როგორია მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, მაკმილანი და როდრიკი (2011) სწავლობენ დამოკიდებულებას დროთა განმავლობაში სექტორში დასაქმებული მოსახლეობის წილის ცვლილებასა და დარგის ფარდობით მწარმოებლურობას შორის. კონკრეტულ სექტორში დასაქმებული ადამიანების წილის ცვლილება მთლიან დასაქმებაში განისაზღვრება, როგორც აღნიშნულ სექტორში დასაქმებული მოსახლეობის წილების სხვაობა 2003 და 2015 წლებში. მაგალითად, თუ ერთ-ერთ სექტორში დასაქმებული მოსახლეობის წილი მთლიან დასაქმებულებში 7% იყო 2003 წელს და 9%-მდე გაიზარდა 2015 წელს, წილის ცვლილება მხოლოდ 2%-ით განისაზღვრება. რაც შეეხება გრაფიკის ინტერპრეტაციას, ორდინატა ღერძის მარცხნივ განთავსებული მნიშვნელობები დასაქმების წილის შემცირებას, ხოლო მარჯვნივ დასაქმების წილის ზრდას მიუთითებს. ფარდობითი მწარმოებლურობა კი გამოითვლება, როგორც შესაბამისი სექტორის მწარმოებლურობის ფარდობა ეკონომიკის მთლიან მწარმოებლურობასთან. შესაბამისად, აბსცისათა ღერძის ქვემოთ საშუალოზე დაბალი მწარმოებლურობის მქონე სექტორებია განთავსებული [McMillan at al, 2011].

ავტორების თანახმად, სტრუქტურული ცვლილებები ზრდას ამცირებს, თუ სამუშაო ძალა, დროთა განმავლობაში, დაბალმწარმოებლურ სექტორებში ინაცვლებს. ამ შემთხვევაში, აღნიშნული ორი ცვლადის დამაკავშირებელი რეგრესიის წრფე უარყოფითი დახრილობის იქნება. შესაბამისად, დადებითი სტრუქტურული ცვლილებების შემთხვევაში სამუშაო ძალა უფრო მაღალმწარმოებლურ სექტორებში გადადის და რეგრესიის წრფე დადებითი დახრილობისაა. ამასთანავე, რაც უფრო მეტად დახრილია რეგრესიის წრფე, მით უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სტრუქტურული ცვლილებები.


მესამე გრაფიკი გვიჩვენებს საქართველოში 2003-2015 წლებში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებების რამდენიმე საინტერესო მახასიათებელს. ვხედავთ, რომ დასაქმების წილსა და სამუშაო ძალის ფარდობით მწარმოებლურობას შორის დადებითი და ძლიერი კავშირია, რაც ცალსახად ზრდის მასტიმულირებელ სტრუქტურულ ცვლილებაზე მიუთითებს. აღნიშნული ტენდენცია დაბალმწარმოებლური სოფლის მეურნეობისა და საბითუმო-საცალო ვაჭრობის სექტორებში დასაქმებული მოსახლეობის წილის შემცირებით აიხსნება. 2003 წელთან შედარებით, 2015 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის წილი 4,62 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ამასთანავე, საცალო-საბითუმო ვაჭრობის სექტორში აღნიშნული ცვლილება მხოლოდ 0,89 პროცენტულ პუნქტს შეადგენდა.

რეგრესიის წრფის დადებითი დახრილობა არა მხოლოდ დაბალმწარმოებლურ სექტორებში დასაქმებული მოსახლეობის წილის შემცირებით, არამედ ზოგიერთ ძალიან მაღალმწარმოებლურ სექტორში შრომითი რესურსების კონცენტრაციის ზრდითაც აიხსნება. მაგალითად, მშენებლობასა და ფინანსური მომსახურების სექტორებში დასაქმებული მოსახლეობის წილი მთლიან დასაქმებაში შესაბამისად 1,54 და 0,85 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ამასთანავე, განათლება არის ერთადერთი საშუალოზე დაბალმწარმოებლური სექტორი, სადაც დასაქმების წილი 2003-2015 წლებში გაიზარდა, პროდუქტიულობის ზრდამ კი მხოლოდ 0,46 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

მესამე გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ ეკონომიკის სექტორების უმეტესობა კონცენტრირებულია ორდინატა ღერძის (ღერძის) გასწვრივ, რომელიც აღნიშნავს ნულოვან ცვლილებას დასაქმებაში. ასეთი სურათი უჩვეულო არ არის ნაკლებად შრომატევადი მაღალპროდუქტიული სექტორებისთვის, როგორცაა სამთო მოპოვება და ელექტროენერჯის წარმოება-განაწილება. აღნიშნულ სექტორებში შექმნილი ღირებულების ზრდა არა შრომითი რესურსების მობილიზაციის, არამედ სექტორების შიგნით გაზრდილი პროდუქტიულობის ხარჯზე ხდება. ამიტომაც, დადებითი სტრუქტურული ცვლილებების ინიცირების საქმეში აღნიშნული დარგების იმედი ნაკლებად უნდა გვქონდეს. უფრო საგანგაშო ის არის, რომ არ იცვლება დასაქმებაში მრეწველობის წილი. საქართველოში ამ სექტორის ზომა მნიშვნელოვნად ჩამორჩება გარდამავალი ეკონომიკის მქონე წარმატებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს.


მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ზრდის მასტიმულირებელი სტრუქტურული ტრანსფორმაცია მიმდინარეობს და, ერთი შეხედვით, ცვლილებები სწორი მიმართულებით ხორციელდება, სტრუქტურული ცვლილებების ტემპი შესამჩნევად დაბალია. მაგალითად, 2003-2015 წლებში ყველაზე სწრაფად სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული მუშაკების პროცენტული წილი მცირდებოდა მთლიან დასაქმებაში. თუმცა, საბოლოოდ, დასაქმების წილი მხოლოდ 4,62%-ით

შემცირდა, რაც არასაკმარისია, რადგანაც საქართველო ჯერ კიდევ ძალიან შორს არის წარმატებული ქვეყნების სტრუქტურული დეკომპოზიციისაგან. ყველაზე სწრაფი ზრდა კი მშენებლობის სექტორმა განიცადა, თუმცა დასაქმებულთა წილის ზრდის 1,54%-იანი მაჩვენებელი არ შეიძლება მნიშვნელოვან მიღწევად ჩაითვალოს. ამ ყოველივეზე დაყრდნობით კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტრუქტურული ცვლილებების თვალსაზრისით საქართველო პრაქტიკულად ერთ ადგილზე დგას.




გრაფიკი №1: სექტორული დასაქმების წილი მთლიან დასაქმებაში, 2015 წელი

წყარო: შიდამეურნეობების ინტეგრირებული გამოკითხვა



გრაფიკი №2: სექტორული მთლიანი შიდა პროდუქტის წილი მთლიან GDP-ში, 2015 წელი

წყარო: საქსტატი



გრაფიკი №3: კორელაცია სექტორის მწარმოებლურობასა და დასაქმებაში ცვლილებას შორის საქართველოში, 2003-2015

წყარო: ავტორის გამოთვლები, საქსტატი, საოჯახო მეურნეობების ინტეგრირებული გამოკითხვა⁸⁵

დასკვნა

რომ შევაჯამოთ, სტრუქტურული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროდუქტიულობის ზრდაზე, სწორედ ამ აღმოჩენას შეუძლია წარმატებით ახსნას ეკონომიკური ზრდის განსხვავებული ტემპები ერთი და იმავე შესაძლებლობების მქონე ქვეყნების შემთხვევაში. სამწუხაროდ, საქართველო იმ ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებმაც ვერ შეძლეს გარდამავალი პერიოდის საწყის წლებში შრომითი რესურსების გადაადგილებისთვის სწორი მიმართულება მიეცათ, შესაბამისად, სტრუქტურული ცვლილებები არასწორი მიმართულებით წარიმართა. ამასთანავე, 2003 წელს განხორციელებული წარმატებული რეფორმების მიუხედავად, ვხედავთ, რომ ეკონომიკის სტრუქტურა დიდად არ შეცვლილა და დასაქმებულთა წილის განაწილება ისევ არაპროდუქტიული სოფლის მეურნეობის სექტორისკენ არის გადახრილი.

განვითარებულ ქვეყნებთან დასაწევად საქართველომ სტრუქტურული ტრანსფორმაცია უნდა დააჩქაროს: ექსპორტის დივერსიფიკაციით (ნედლეულის ექსპორტს უნდა გასცდეს), საექსპორტო სექტორებში, როგორცაა წარმოება, შედარებით უპირატესობის მოპოვებით, ექსპორტის კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შექმნით, სამუშაო ძალის მობილურობის გასაუმჯობესებლად სამუშაო უნარების გაუმჯობესებით და, ბოლოს, ბიზნესში ინვესტირებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნითა და შენარჩუნებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. McMillan, M. S., & Rodrik, D. (2011). Globalization, structural change and productivity growth (No. w17143). National Bureau of Economic Research.
2. Mickiewicz, T., & Zalewska, A. (2002). Deindustrialisation: lessons from the structural outcomes of post-communist transition, N463, 1-43.

⁸⁵ 2003 წელს თითოეული სექტორის შედარებითი ზომა მოცემულია წერტილოვან გრაფიკზე დატანილი წერტილების ზომით. აბრევიატურები: სმ - სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყვეობა, აბრევიატურები: agr - სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა, თევზჭერა და მეთევზეობა, wtt - საცალო და საბითუმო ვაჭრობა, elec - ელექტროენერჯის წარმოება და განაწილება, man - მრეწველობა, hsw - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება, pa - სახელმწიფო მმართველობა, phed - საოჯახო მეურნეობების მიერ საშინაო სერვისის გაწევა, min - სამთომომპოვებელი მრეწველობა, res - ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომსახურება, hr - სასტუმროები და რესტორნები, trc - ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ocs - კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება, fin - ფინანსური შუამავლობა, con - მშენებლობა, edu - განათლება.

3. Rada, C., & Taylor, L. (2006). Developing and transition economies in the late 20th century: diverging growth rates, economic structures, and sources of demand. New York: United Nations Department of Economic and Social Affairs.
4. Raiser, M., Schaffer, M., & Schuchhardt, J. (2004). Benchmarking structural change in transition. *Structural Change and Economic Dynamics*, 15(1), 47-81.
5. Thießen, U., & Gregory, P. R. (2005). Modelling the structural change of transition countries (No. 519). DIW Discussion Papers.
6. Timmer, M. P., & de Vries, G. J. (2009). Structural change and growth accelerations in Asia and Latin America: a new sectoral data set. *Cliometrica*, 3(2), 165-190

David Keshelava

PECULIARITIES OF STRUCTURAL TRANSFORMATION OF GEORGIA IN 1990-2015

Summary

Structural transformation of the economy is one of the most important determinants of economic development. Almost invariably, nations that have managed to pull themselves out of poverty were able to diversify their economies away from low productivity sectors. In advanced countries, productivity differences between sectors are generally small, and growth mostly happens because of productivity improvements within sectors. Developing countries, on the other hand, are characterized by large productivity gaps between the sectors of their economies. These gaps are potentially good growth engines. When a labor force moves from a low productivity sector to a high productivity one, economic growth happens even if there is no productivity improvement within the sectors. This “development recipe” sounds simple, yet the speed of structural transformation differs greatly between countries. One may say that this is the key factor that differentiates unsuccessful economies from successful ones.

It is a widely recognized fact that the Soviet Union was an over-industrialized economy, with an exceptionally high labor concentration in the industrial sector, as compared to the other middle-income countries in the world. Therefore, after the Soviet Union collapsed, one should have expected an intensive deindustrialization process, which indeed was what happened. Across the former USSR, the transition to a market economy and increased integration with the world market resulted in an immediate reduction of labor employment in the industrial sector and created the need for ambitious reforms. Successful transition economies (like the Baltic countries) managed to implement these reforms in a way which led structural transformation in the “right” direction, i.e., labor moved from the industrial sector to high-productivity services.

Georgia, unfortunately, was the most distinctive case of ineffective structural transformation following the collapse of the USSR. In the early stages of transition, Georgia experienced several wars and cascades of unsuccessful reforms which resulted in destroyed infrastructure, problems with tax collection, hyperinflation, high corruption and increased criminal activities. This, of course, killed the incentives to invest and do business in Georgia. As a result, excess labor from the deindustrialization process moved into subsistence agriculture. Therefore, it is clear that Georgia experienced a “growth reducing” structural transformation, as labor moved from more productive sectors to less productive ones.

Despite the fact that Georgia experienced a series of successful reforms after the Rose Revolution (2003), the structure of employment did not change that much. The agricultural sector was still the leader in terms of labor employment, absorbing 57% of the employed population. On the other hand, the importance of manufacturing in terms of labor employment is extremely low, with only a 4% share. Furthermore, it is notable that 5% of employed people are still involved in public administration (which is ranked fourth in terms of employment shares). This employment structure is sharply different from what we commonly observe in successful transition countries, which are characterized by a high share of employment in high productivity services, and a low share of employment in agriculture.

Despite the fact that Georgia has been experiencing a growth-enhancing structural transformation, with changes moving in the right direction, the speed of structural changes has been notably low. The fastest change was observed in the agricultural sector, where the share of employment dropped by 4.62%. This is not fast enough, as Georgia is still very far away from the structural decomposition of successful nations. To catch up with developed countries, Georgia should speed up structural transformation by diversifying industrial exports (moving away from raw materials export); creating a comparative advantage in tradable sectors, such as manufacturing; creating macroeconomic conditions to keep exports competitive; improving labor skills to enhance labor mobility; and last but not least, creating and maintaining a good environment for business investment.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებანი დიდი დეპრესიის პერიოდში

ანოტაცია. დიდი დეპრესია – სწორედ ამ სახელით არის ცნობილი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური, ხანგრძლივი და მძიმე ეკონომიკური კრიზისი, რომლის დაძლევის გზების ძიებაშიც მსოფლიო ეკონომიკური აზროვნება საძულადმოდ შეიცვალა და ცხადი სახით ჩამოყალიბდა ეკონომიკური მეცნიერების ისეთი მნიშვნელოვანი განსტოება, როგორც არის მაკროეკონომიკა. სტატიაში განხილული და გაანალიზებულია აღნიშნული კრიზისის მიმდინარეობისას აშშ-ს მთავრობებისგან გადადგმული მაკროეკონომიკური ნაბიჯები.

საკვანძო სიტყვები: დიდი დეპრესია; გამოშვება; უმუშევრობა; მოხმარება; „ახალი კურსი“.

შესავალი

დიდი დეპრესია იყო მსოფლიო მასშტაბის, ყველაზე ხანგრძლივი და მძიმე რეცესია, რომლის კერასა და ეპიცენტრს ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენდა. მისი გამოშვები წინაპირობებისა და გართულების მიზეზების კვლევა დღესაც საკმაოდ აქტუალურია. დიდი დეპრესიისას გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის შესწავლა და გაანალიზება საჭირო ცოდნას გვაძლევს კრიზისული სიტუაციებისას შესაძლო შეცდომების თავიდან აცილებისა და მისი მართვის შესახებ.

დიდი დეპრესია და პრეზიდენტი ჰერბერტ ჰუვერი

აშშ-ს რიგით 31-ე პრეზიდენტის, ჰერბერტ ჰუვერის (პრეზიდენტობის წლები: 1929-33) ინაუგურაციიდან მხოლოდ 6 თვე იყო გასული, როცა საფონდო ბირჟამ კრაში განიცადა. უნდა აღინიშნოს, რომ ჰერბერტ ჰუვერის წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ მთავარ გზავნილს კერძო სექტორის სრული დამოუკიდებლობის გამყარება წარმოადგენდა. ეკონომიკური „ბუშის“ დროს გაპრეზიდენტებული ჰუვერისთვის დიდი დეპრესიის დასაწყისი მოულოდნელი აღმოჩნდა. თუმცა, საფონდო ბირჟის კრაშის მიუხედავად, მან სიმშვიდე შეინარჩუნა და 1929 წლის ნოემბერში მოსახლეობას განუცხადა, რომ დაეჭვება აშშ-ს ეკონომიკის ნათელ მომავალში და კერძო სექტორის სიძლიერეში აზრს მოკლებული იყო.

ეკონომიკური დადამასვლის გაგრძელების შემდეგ ჰუვერი იძულებული გახდა, ეღიარებინა ვითარების სირთულე და ეკონომიკის გაჯანსაღების გზებზე დაეწყო ფიქრი, თუმცა ეკონომიკურ პროცესებში პირდაპირი ჩარევისგან კატეგორიულად იკავებდა თავს. ამის მიზეზი იყო, ერთი მხრივ, მისი წინასაარჩევნო დაპირებები და პოზიცია კერძო სექტორის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, მეორე მხრივ, იმ დროისთვის გაბატონებული კლასიკური ეკონომიკური მოძღვრება სახელმწიფოსგან ეკონომიკაში ჩაურევლობის შესახებ.

პრეზიდენტი ჰუვერის მიერ გატარებული მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის „დახმარებით“, 1929 წელს დაწყებული ეკონომიკური კრიზისი კი არ შემსუბუქდა, არამედ დიდი დეპრესიის სახე მიიღო. საჭიროა ხაზგასმით გამოვყოთ მის მიერ გადადგმული მცდარი ნაბიჯების მიმართულებები:

სტაბილური ხელფასების პოლიტიკა

ჰერბერტ ჰუვერი 1921-28 წლებში აშშ-ს ეკონომიკის მინისტრი იყო. 1920-21 წლების რეცესიის დროს ხელფასების დონე 10%-ით დაეცა, რამაც მეტად გაართულა მაშინდელი ეკონომიკური სურათი. მთელი ათწლეულის განმავლობაში ეკონომიკის მინისტრი ხელფასების დონის სტაბილურობის პოლიტიკას ქადაგებდა. დეპრესიის საწყის ეტაპზეც, 1930-31 წლებში, ჰუვერმა ფირმებისგან ხელფასების დონის სტაბილურად შენარჩუნება მოითხოვა, ფიქრობდა, რომ ამით მოხმარების დონეს მაღალ ნიშნულზე დატოვებდა. თუმცა, ფასების კლების და ხელფასების მუდმივობის პირობებში რეალური ხელფასი მკვეთრად გაიზარდა, კომერციული მოგება კი შემცირდა, ფირმებმა დასაქმებულების მასობრივი დათხოვნა დაიწყეს და კიდევ უფრო გაიზარდა უმუშევრობის დონე, რომლის ნაზრდმაც 1930 წლის ბოლოდან, 1931 წლის ბოლო თვის ჩათვლით, 36% შეადგინა. უმუშევრობის ზრდასთან ერთად მატულობდა კონგრესმენებისა და მთავრობის წევრების ზარების რაოდენობა პრეზიდენტის ტელეფონზე უმუშევრობასთან ბრძოლის მოთხოვნით, რასაც ჰუვერმა სამოქალაქო სამსახურების შექმნით უპასუხა, თუმცა მათი შემდგომი დაფინანსება და კოორდინირება ცალკეულ შტატებსა და ადგილობრივ მთავრობებს დაავალდა. ის თვლიდა, რომ უმუშევრობის პრობლემის აღმოფხვრა მხოლოდ ადგილობრივ მთავრობებს ან პირად ქველმოქმედებას შეეძლო [4].

პროტექციონისტული პოლიტიკა (სმუთ-ჰოულის ტარიფი)

პრეზიდენტი ჰუვერის მცდარი სტრატეგიის მომდევნო რგოლი პროტექციონისტული პოლიტიკა გახდა. 1930 წლის 17 ივნისს მიღებულ იქნა აშშ-ს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი, ხოლო საერთაშორისო მასშტაბით ყველაზე რადიკალურად პროტექციონისტული საკანონმდებლო აქტი. ეს

იყო სენატორი რიდ სმუთისა (Reed Smoot) და წარმომადგენლობითი პალატის წევრის, უილის ჰოულის (Willis C. Hawley) მიერ ინიცირებული კანონპროექტი. მიუხედავად მრავალი ეკონომისტის უმაყოფილებებისა, ჰერბერტ ჰუვერმა კანონპროექტი მაინც აამოქმედა. „სმუთ-ჰოულის ტარიფის“ მიზანს ფერმერების სასოფლო-სამეურნეო იმპორტისგან დაცვა წარმოადგენდა, თუმცა საბოლოოდ აბსოლუტურად სხვა შედეგი იქნა მიღებული. კანონპროექტის მიღებიდან მალევე, პრეზიდენტ ჰუვერს მართვის სადავეები ხელიდან დაუსხლტა და აგრარული სექტორის დაცვის მაგივრად, მთელი ეკონომიკის იმპორტისგან დაცვას დაემსგავსა. უაზროდ და არათანაბრად იზრდებოდა ტარიფები ქვეყანაში შემავალ სხვადასხვა პროდუქციაზე. ტარიფმა ვერ შეძლო დაგეგმილი ფუნქციის შესრულება, ფერმერების ყოფა არ შემსუბუქებულა. ამასთან, სხვა ქვეყნებმა საპასუხო ტარიფები დაუწესეს აშშ-ს, რამაც დამატებითი დარტყმა მიაყენა გამოშვებას და უმუშევრობა კიდევ უფრო გაიზარდა. „სმუთ-ჰოულის ტარიფის“ და მისგან გამოწვეული საპასუხო დაწესებული ტარიფების გავლენით 1929 წლიდან 1934 წლამდე საერთაშორისო ვაჭრობა 66%-ით შემცირდა [6], [7], [8].

დივიდენდების სტაბილურობის პოლიტიკა

ჰერბერტ ჰუვერის მორიგი მცდარი ნაბიჯი საბანკო კრიზისის დაწყების მთავარი მიზეზი გახდა. მან ფირმებს დივიდენდების სტაბილურობა მოსთხოვა, თუნდაც მოგების კლების ხარჯზე. შედეგად, 1930 წელს დივიდენდების მაჩვენებელი 1929 წლის მაჩვენებელს მართლაც არ ჩამოუვარდებოდა, თუმცა კორპორაციული მოგება 2.8 მილიარდი დოლარიდან 2.6 მილიარდ დოლარამდე დაეცა (შესაძლოა ეს რიცხვები უმნიშვნელოდ მოგვეჩვენოს, თუმცა, ვინაიდან 1929 წელს აშშ-ს მთლიანი ეროვნული პროდუქტი 103.1 მილიარდ დოლარს შეადგენდა, აღნიშნული კლებაც არსებითი იყო). მოგების კლების შედეგად, ფირმების ფასიანი ქაღალდებისა და აქციების ფასები მკვეთრად შემცირდა, მათი პორტფოლიოები ბანკებში გაუარესდა. აღნიშნული პროცესების შემხედვარე ამერიკელ ხალხში კომერციული ბანკებისადმი ნდობა დაეცა, დეპოზიტორებმა თანხების მასიურად გამოთხოვნა დაიწყეს, ბანკებისგან სესხების გაცემაც შეფერხდა და მათი გაკოტრების პროცესი დაიწყო. 1930 წლის ნოემბერში ბანკების დახურვის პირველმა ტალღამ იჩინა თავი. ბანკებიდან ფულის გადინება გრძელდებოდა. გაკოტრების მორიგი ტალღა 1931 წლის გაზაფხულსა და შემდეგ იმავე წლის შემოდგომას დაფიქსირდა და ბოლოს, 1932 წლის შემოდგომას ბანკების მასიურად დახურვის მეოთხე ტალღით დასრულდა. 1933 წლის დასაწყისში კომერციული ბანკების თითქმის ნახევარი აღარ ფუნქციონირებდა.

ფისკალური პოლიტიკა

ზიანის მომტანი გამოდგა ჰუვერის მიერ პრიმიტიულად და დოგმატურად გატარებული ფისკალური პოლიტიკაც. 1929 წლის დეკემბერში, ბიუჯეტის პროფიციტის საშუალებით, ეკონომიკური თავდაჯერებულობის სადემონსტრაციოდ, მან გადასახადები 1%-ით შეამცირა. 1930 წელს კი, როცა ბიუჯეტი დეფიციტური გახდა და დადმასვლა *განაგრძო*, მან გადასახადები გაზარდა. შედეგად, მწვავე რეცესიის დროს ისედაც არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ამერიკელების ცხოვრება კიდევ უფრო გაუარესდა. კიდევ უფრო შემცირდა გამოშვება, სამომხმარებლო ხარჯები და ეკონომიკური აქტივობა.

წარმოგიდგინო ჰერბერტ ჰუვერის პრეზიდენტობის წლების განმავლობაში მომხდარ მაკროეკონომიკურ ცვლილებებს აშშ-ს ეკონომიკაში.

ცხრილი №6

1929-1933 წლების აშშ-ს ეკონომიკის სტატისტიკური შეჯამება

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)	მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეკ)	უმუშევრობის დონე 1933 წელს (1929წ. 3.2%)	ფასების დონე	კომერციული ბანკები 1933 წელს (1929წ. 24970)	სახელმწიფო ხარჯები
-54.4%	-30.5 %	24.9 %	-24.4 %	14207(-43.1%)	-7.4 %

დიდი დეპრესია და პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი

1932 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დიდი უპირატესობით (17.76%) გაიმარჯვა ფრანკლინ დელანო რუზველტმა, რომელმაც პოპულარობადაკარგული ჰერბერტ ჰუვერი დაამარცხა. რუზველტმა საპრეზიდენტო ოფისი 1933 წლის 4 მარტს დაიკავა და ხალხისადმი პირველივე მიმართვაში, ინაუგურაციისას, თავისი ცნობილი სიტყვები წარმოსთქვა: „ერთადერთი, რისიც უნდა გვემინოდეს, თავად შიშია“.

⁸⁶ [კაკულია ნ., გვ. 171], [4], [5], [9].

რუხველტმა ქვეყანაში იმედი დააბრუნა. ჰუვერისგან განსხვავებით, რუხველტი ხვდებოდა, რომ სამთავრობო ინტერვენციის გარეშე ეკონომიკური პრობლემები არ მოგვარდებოდა და მომხრე იყო პირდაპირი სამთავრობო ჩარევებისა, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკაზე მთავრობისგან ზემოქმედება იმ დროისთვის ექსპერიმენტულ და რისკიან ნაბიჯად აღიქმებოდა.

პრეზიდენტობის მეორე დღესვე, პრეზიდენტმა რუხველტმა 4 დღიანი „საბანკო არდადეგები“ გამოაცხადა, რითაც დასუსტებულ ბანკებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა და ხალხის მიერ ფულის გამოთხოვნის პროცესი შეაჩერა. 4 დღის შემდეგ კი, 9 მარტს, კონგრესმა რუხველტის მიერ შემუშავებული საბანკო სისტემის დახმარების აქტი (Emergency Banking Act) მიიღო, რომელიც ბანკების რეორგანიზებას და საბანკო კრიზისის დაძლევას ისახავდა მიზნად. 3 დღის შემდეგ, თავის პირველ რადიომიმართვაში, პრეზიდენტმა ხალხს ბანკებისადმი ნდობის გაზრდისა და ფულის კვლავ ბანკებში შენახვისკენ მოუწოდა. თვის ბოლოს დახურული ბანკების თითქმის 3 მეოთხედი კვლავ გაიხსნა. აღნიშნული კანონპროექტი გულისხმობდა ბანკების დახმარებას, მათ ფუნქციონირებას ხაზინასთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნებით, მათ ფინანსურ ხელშეწყობას საჭიროების შემთხვევაში და ბანკების მხრიდან სახელმწიფოსთან კოორდინირებულ მუშაობას. მოსახლეობაში ბანკებისადმი ნდობის აღდგენა მართლაც დაიწყო, იმავე წლის სექტემბერში საბანკო კრიზისი წარსულს ჩაბარდა.

პირველი 100 დღის განმავლობაში პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შეიმუშავა ეკონომიკის სარეაბილიტაციო, სარეფორმო გეგმა „ახალი კურსი“ (New Deal), რომლის ფარგლებშიც 15 სარეფორმო აქტი იქნა დამტკიცებული. მათში რუხველტმა გააფორმა ტენესის რეგიონის მხარდასაჭერი აქტი (Tennessee Valley Authority Act), რომლის ფარგლებშიც აშენდა კაშხლები და ჰიდროელექტროსადგურები აშშ-ს სამხრეთ, შედარებით ღარიბ, ტენესის რეგიონში. შედეგად, შეიქმნა სამუშაო ადგილები, კონტროლირებადი გახდა მდინარე ტენესიზე დატბორვის საშიშროება და დაიწყო ელექტროენერჯის მიწოდება რეგიონში [10].

„ახალი კურსის“ ფარგლებში გამოსარჩევია ორი საკვანძო კანონპროექტი. საუბარია სასოფლო-სამეურნეო რეგულირების აქტსა (Agricultural Adjustment Act) და ინდუსტრიული რეაბილიტაციის აქტზე (National Industrial Recovery Act). ორივე მათგანი პრეზიდენტ რუხველტის მრჩეველების მცდარი შეხედულებისამებრ ჩამოყალიბებული პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა. მათი აზრით, დიდი დეპრესიის გამომწვევი მიზეზი, არა ერთობლივი მოთხოვნის კლება, არამედ გადაჭარბებული წარმოება გახდა. მათი შეხედულების შესაბამისად, ფრანკლინ რუხველტმა გამოშვების კლების და ხელფასებისა და ფასების ზრდის პოლიტიკის გატარება დაიწყო. დიდი დეპრესიის დროს, ისედაც განახევრებული გამოშვების კიდევ უფრო შემცირება ქვეყანას კრიზისიდან, ცხადია, ვერ გამოიყვანდა. პრეზიდენტის ენთუზიაზმით სავსე ადმინისტრაციამ ვერ გაითვალისწინა ელემენტარული რამ, მთელი ეკონომიკის მასშტაბის რეალური ხელფასებისა და რეალური ფასების ერთდროული ზრდის შეუძლებლობა.

სასოფლო-სამეურნეო რეგულირების აქტი (Agricultural Adjustment Act) მიზნად ფერმერების დახმარებას ისახავდა. მის ფარგლებში კეთდებოდა ყველაფერი აგრარულ ბაზრებზე ჭარბწარმოების შემცირებისა და ფასების გაზრდისათვის. ყველაზე მეტად გამოყენებადი მეთოდი გახდა წარმოების შემცირების სანაცვლოდ მაკომპენსირებელი თანხების გადახდა მწარმოებლებისთვის. მაგალითად, ბამბის მწარმოებელ ფერმერებს მთავრობა უხდიდა მაკომპენსირებელ გადასახადებს იმისათვის, რომ მიწის განსაზღვრულ მონაკვეთზე წარმოება შეეწყვიტათ. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ გადასახადებს სახელმწიფო მიწის მფლობელებს აძლევდა და არა მოიჯარეებს. მიწის მფლობელების უმეტესობა, რომლებსაც კანონიერი ვალდებულება ამ გადასახადის მოიჯარესთან გაყოფაზე არ ჰქონდათ, მიღებული თანხიდან მოიჯარეს მცირედსაც არ უთმობდა. შედეგად, წარმოების კლებისა და საკომპენსაციო თანხის მიუღებლობით უკმაყოფილო მოიჯარე მწარმოებლების რიცხვის ზრდა წარმოებას კიდევ უფრო ამცირებდა. იქ, სადაც მაკომპენსირებელი თანხით მწარმოებლის დაყოფილება არ ხერხდებოდა, მთავრობა თავად ყიდულობდა გარკვეული მოცულობის პროდუქციას იმისათვის, რომ ბაზარზე ჭარბი მიწოდება გაექრო და ფასები გაზრდილიყო.

ინდუსტრიული რეაბილიტაციის აქტის (National Industrial Recovery Act) დამტკიცებასთან ერთად შეიქმნა ეროვნული რეაბილიტაციის ადმინისტრაცია (National Recovery Administration), რომელიც რეალური სექტორის რეკონსტრუქციას ისახავდა მიზნად. ამ პროგრამამ გარანტირებული გახადა მომუშავეთა უფლება გაერთიანებულიყვნენ და ერთად მოეთხოვათ მაღალი ხელფასები და უკეთესი სამუშაო პირობები. პროფკავშირების მოძლიერებასთან ერთად, თითოეულ დარგში გაჩნდა სამთავრობო მაკონტროლებელი ორგანოებიც, რომლებიც ფერმებს თავად უსაზღვრავდნენ დასაშვები გამოშვებისა და ინვესტიციების ოდენობას, რითაც ფასებზე ზეგავლენის მოხდენასაც ცდილობდნენ. ამ ღონისძიებების მიზანი, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუხველტის ადმინისტრაციის არასწორი პოლიტიკის განხორციელება იყო, რომელიც მიზნად ფასებისა და ხელფასების მატებას და ამავე დროს, გამოშვების კიდევ უფრო შემცირებას ისახავდა. შედეგად, 1933 წლის შემოდგომიდან 1935 წლის

ზაფხულამდე ეკონომიკური აქტივობის მხოლოდ მცირედით ზრდა აღინიშნა. მსგავსი ძალადობრივი პოლიტიკის შედეგად ფირმების უკმაყოფილება გაიზარდა, მათი გარკვეული რაოდენობა აღარც ემორჩილებოდა ადმინისტრაციის მოთხოვნებს. 1935 წლის 27 მაისს აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ინდუსტრიული რეგულირების აქტი არაკონსტიტუციურად სცნო და გააუქმა, ხოლო 1936 წლის 6 იანვარს სასოფლო-სამეურნეო რეგულირების აქტიც გაუქმდა. ფრანკლინ რუზველტმა, სასამართლო პროცესის სათავესოდ გადაწყვეტილების, უზენაესი სასამართლოს მისი მხარდამჭერი მოსამართლეებით დაკომპლექტება განიზარა, თუმცა ვერაფერს გახდა. ხსენებული პროექტები მაინც გაუქმდა, რუზველტის ეს ნაბიჯი კი ამერიკელი ხალხის დიდი უკმაყოფილების მიზეზი გახდა და მისი საპრეზიდენტო მოღვაწეობის შავ წერტილად დარჩა.

მიუხედავად დიდი ენთუზიაზმისა, 1933-35 წლებში აშშ-ს ეკონომიკა ვერ განვითარდა, უმუშევრობა კვლავ მაღალი იყო, ხალხი კი მოთმინებას კარგავდა. 1935 წლის გაზაფხულზე პრეზიდენტმა რუზველტმა სარეგულირაციო პროგრამების მეორე, უფრო აგრესიული ტალღა წამოიწყო, რასაც „მეორე ახალ კურსსაც“ უწოდებენ (Second New Deal). აპრილში პრეზიდენტმა შექმნა გრძელვადიანი დასაქმების პროგრამა (Work Progress Administration; WPA), რომელიც ყველაზე წარმატებული რეფორმა გამოდგა რუზველტის რეფორმებს შორის, ამერიკის ისტორიაში კი დიდი ასოებით ჩაიწერა. პირველი 2 წლის განმავლობაში შექმნილი მოკლევადიანი სამოქალაქო დასაქმების პროგრამებისგან განსხვავებით, WPA მიზნად ისახავდა უმუშევრობის საფუძვლიანად აღმოფხვრას ფართო სამთავრობო ინვესტიციებისა და გრძელვადიანი მოქმედების მეშვეობით. დასაქმების პროგრამა კონკურენციას არ უწევდა კერძო სექტორის წარმომადგენლებს, ის ემსახურებოდა სახელმწიფო ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და რეკონსტრუქციას. იკებოდა გზები, შენდებოდა სკოლები, ხიდები, საფოსტო ოფისები და სკვერები. ამ პროგრამის მეშვეობით 1935-1943 წლებში უმუშევართა დიდი ნაწილი, 8.5 მილიონი ადამიანი კვლავ დასაქმდა.

გამოსარჩევია 1935 წლის ივლისში მიღებული შრომითი ურთიერთობების აქტი (National Labor Relations Act), რომელიც მომუშავეთა უფლებების დაცვის გარანტი გახდა. აგვისტოში კი ხელი მოეწერა სოციალური უსაფრთხოების აქტს (Social Security Act), რომლის ფარგლებშიც მოგვარდა პენსიებთან დაკავშირებული პრობლემები, დაწესდა უმუშევრობის კომპენსაცია და მოგვარდა საზოგადოებრივი ყოფის უამრავი საკითხი. აღსანიშნავია Securities and Exchange Commission და Federal Deposit Insurance Corporation კანონპროექტების ამოქმედებაც, რომელთაგან პირველი მათგანი ფასიანი ქაღალდებისა და გაცვლითი კურსების მონიტორინგს ემსახურებოდა, მეორე კი ანაბრების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. აღდგენითი პროცესის წამახალისებელი იყო რუზველტის მიერ 1934 წელს პროტექციონისტული პოლიტიკის გაუქმება და საერთაშორისო ვაჭრობის აღდგენაზე ზრუნვაც.

„მეორე ახალი კურსის“ ფარგლებში განხორციელებული აგრესიული პოლიტიკის, ზემოთ ხსენებული აქტიური ღონისძიებების და უზენაესი სასამართლოს მიერ კერძო სექტორის შემზღვეველი კანონპროექტების გაუქმების შედეგად აშშ-ს ეკონომიკამ საგრძნობი წინსვლა შეძლო. 1935 წლიდან 1937 წლის ივნისამდე უმუშევრობა 12%-მდე შემცირდა, განვითარდა ქვეყნის ინფრასტრუქტურა, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ბუნებრივ, 9%-ს დაუბრუნდა. ამკარაა, რომ „ახალი კურსის“ პირველი ტალღისგან განსხვავებით, 1935 წელს დაწყებულ 2 წლიან აღმავლობის პერიოდში რუზველტის ეკონომიკური პოლიტიკა ჯონ მენარდ კეინის იდეოლოგიას ეფუძნებოდა, რაც სახელმწიფოს მხრიდან გრძელვადიანი ინვესტიციებითა და გაზრდილი ხარჯებით უმუშევრობასთან ბრძოლას და მოხმარების სტიმულირებას გულისხმობდა.

1937 წლის ივნისში ეკონომიკური აღმავლობის პერიოდი დასრულდა, რაც რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. პირველ რიგში, პროფკავშირებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების გავლენით დასაქმებულებმა პრივილეგიებული პოზიცია დაიკავეს დამსაქმებლებთან ურთიერთობაში და ხელფასებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას მიაღწიეს. ფირმებისთვის გაიზარდა სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯები. ამასთანავე, 1930-32 წლების ფინანსური კრიზისისგან შეშინებული კომერციული ბანკები, „ფედ“-ისგან მოთხოვნილი რეზერვის ნორმის გარდა, პრევენციის მიზნით დამატებით ფინანსურ სახსრებს არეზერვებდნენ. მსგავსი ზედმეტი რეზერვების გასაქრობად, 1936-37 წლებში „ფედ“-მა ბანკებს რეზერვის ნორმა გაუზარდა, მაგრამ ბანკებმა კვლავ აღადგინეს გადამეტებული რეზერვები, რაც სესხების გაცემის შემცირების ხარჯზე მოახერხეს. ამგვარმა ქმედებებმა ეკონომიკაში ფულის მიმოქცევის შემცირება გამოიწვია. ასევე, აღსანიშნავია ფისკალური პოლიტიკის ფაქტორი. ეკონომიკური აღმავლობით კმაყოფილმა პრეზიდენტმა რუზველტმა ნაადრევად ჩათვალია, რომ სიმშვიდის საფუძველი ჰქონდა და ბიუჯეტის გაზრდილი დეფიციტის აღმოსაფხვრელად გადასახადები გაზარდა. ამ სამი ფაქტორის გავლენით, 1937 წლიდან მომდევნო 13 თვის განმავლობაში აშშ კვლავ ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა. ამ რეცესიამ მიღწეული პროგრესის დიდი ნაწილი გააქარწყალა, წარმოება საგრძნობლად დაეცა და უმუშევრობა 19.1%-იან ნიშნულზე ავიდა. ამის შემხედვარე რუზველტმა კიდევ უფრო დიდი

სიმძლავრით აამუშავა სამოქალაქო დასაქმების პროგრამა (WPA). ასევე, მიუხედავად ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების დაცემისა, სამომხმარებლო პროდუქტებზე მოთხოვნა სტაბილურად შენარჩუნდა რეცესიის განმავლობაში. ამ ორი ფაქტორის შედეგად, 1938 წლის ზაფხულში რეაბილიტაციის ასალი ეტაპი დაიწყო. ეკონომიკა კვლავ ვითარდებოდა, თუმცა ნელი ტემპით.


1939 წელს ევროპაში მიმდინარე მოვლენებმა აშშ-ს ხელისუფლება აიძულა თავდაცვის გაძლიერებაზე ეზრუნა. რუზველტმა, რომელიც მიმდინარე საომარ ვითარებაში ნეიტრალური პოზიციის დაკავებას აპირებდა, უსაფრთხოების მიზნით, თავდაცვის გაძლიერებაზე ფულის ხარჯვა დაიწყო. ამან ეკონომიკის განვითარებასაც შეუწყო ხელი, უმუშევრობა ნელ-ნელა მცირდებოდა [4], [10], [11].

1941 წლის დეკემბერში იაპონელებმა პერლ ჰარბორი და ადგილზე მყოფი ამერიკის ფლოტი დაბომბეს. აშშ იძულებული შეიქნა მეორე მსოფლიო ომში ჩართულიყო. დაიწყო საყოველთაო გაწვევები, ქარხნები კი მთელი სიმძლავრით აამუშავეს. ამ ყველაფერმა უმუშევრობის პრობლემა მთლიანად გააქრო ქვეყანაში, ეკონომიკამ სრული რეაბილიტაცია მოახდინა. დიდი დეპრესია დასრულდა.

დასკვნა

პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტის აგრესიული „ანტიდეპრესანტული“ პოლიტიკა, მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, დადებითად შეფასდა. მის მიერ განხორციელებული „ახალი კურსი“ (New Deal) დღესაც ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეფორმად ითვლება აშშ-ს ისტორიაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს ერთი რამ: 1932-41 წლებში აშშ-ს საგარეო ვალი 3 მილიარდით გაიზარდა, ხოლო 1942 წელს, საომარი მოქმედებების დროს, 23 მილიარდით, 1943 წელს კი 60 მილიარდსაც გასცდა. თუ 1929 წელს აშშ-ს სახელმწიფო ხარჯები მთლიანი ეროვნული პროდუქტის 3.04%-ს შეადგენდა, ეს მაჩვენებელი 1939 წელს 9.77%-ზე იყო ასული, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრეზიდენტ რუზველტს, ისევე, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, სახელმწიფო ხარჯები კიდევ უფრო მეტად რომ გაეზარდა, სავარაუდოდ, დიდი დეპრესიის ბოლომდე აღმოფხვრასაც მალევე შეძლებდა. გთავაზობთ აშშ-ს სახელმწიფო ხარჯების სტატისტიკას 1929-1942 წლებში:

*აშშ-ს სახელმწიფო ხარჯები 1939-1945
(მილიარდი დოლარი)*



გრაფიკი 1 [9]

გამოყენებული ლიტერატურა

1. ოლივიე ბლანშარი. *მაკროეკონომიკა* (მე-5 გამოცემა), გვ. 707-715.
2. N. Gregory Mankiw. *Brief Principles of Macroeconomics* (Sixth Edition)
3. კაკულია ნ., ჩიქობავა მ. (2011), *მაკროეკონომიკა*. თბილისი, „ინტელექტი“, გვ. 171-172
4. *Great Depression* by Gene Smiley. Retrieved from <http://www.econlib.org/library/Enc/GreatDepression.html>
5. <http://www.history.com/topics/great-depression>
6. *The Great Depression of 1929* by Kimberly Amadeo(2017). Retrieved from <https://www.thebalance.com/the-great-depression-of-1929-3306033>

7. <http://www.investopedia.com/terms/s/smoot-hawley-tariff-act.asp>
8. <https://www.theguardian.com/us-news/2017/jan/29/smoot-hawley-tariffs-protectionism-donald-trump>
9. <http://www.shmoop.com/great-depression/statistics.html>
10. <http://www.history.com/topics/new-deal>
11. <https://www.khanacademy.org/humanities/ap-us-history/period-7/apush-great-depression/a/franklin-delano-roosevelt-as-president>

Luka Lazviashvili

MACROECONOMIC POLICY DURING THE GREAT DEPRESSION

Summary

The Great Depression - that's how we call the most widespread, durable and severe economic slump in history of modern world. While seeking for solutions, an economic thinking changed eternally and that process formed such an important direction of economic science as macroeconomics. The article includes some descriptions and analysis of the macroeconomic policies made by US governments during that huge crisis.

ნინო ლობჯანიძე

სამართლებლო საგადასახადო სისტემის გავლენა მცირე და საშუალო მეწარმეობაზე

ანოტაცია. სტატიაში შეფასებულია მცირე და საშუალო მეწარმეობაზე მოქმედი საგადასახადო ფაქტორები. გაანალიზებულია საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებები, მოყვანილია სხვადასხვა განვითარებული ქვეყნის მაგალითები და შესაბამის მარკეტებთან შედარებით ანალიზის გზით განხილულია მცირე და საშუალო მეწარმეობის მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკა ცალკეული ქვეყნის შემთხვევაში.

ნაშრომში გაანალიზებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის ძლიერი და სუსტი მხარეები, დასაბუთებულია მისი როლი ქვეყნის სამეწარმეო გარემოსა და მთლიანად ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. განხილულია მეწარმეობის განვითარებაზე მოქმედი სამთავრობო პოლიტიკა და მათ შორის გამოკვეთილია საგადასახადო სისტემის გავლენა, მიმოხილულია საგადასახადო შეღავათები ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეების მიმართ ყველა იმ ქვეყნის მაგალითზე, რომელთანაც საქართველოს აქვს დადებული ორმავი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმება. ასევე, შეფასებულია უკვე გატარებული საგადასახადო რეფორმების შედეგები და სამომავლოდ ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკასთან პარმონიზაციის შესაძლებლობები.

სტატიაში განხილულია ადგილობრივი თუ უცხოელი მეწარმეების მცირე და საშუალო მეწარმეობაში ინვესტიციების განხორციელების შემაფერხებელი პრობლემები. გამოვლენილი პრობლემების შესაბამისად წარმოდგენილია დასკვნები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო სისტემა, დაბეგვრა, საგადასახადო სანქცია, საგადასახადო შეღავათები, პარმონიზაცია.

სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისა და განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მიმზიდველი და სტაბილური საგადასახადო გარემოს შექმნა. ეს გულისხმობს საგადასახადო კანონმდებლობის მუდმივ სრულყოფას, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანას, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან პარმონიზაციას და საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას არაპირდაპირი გადასახადების (დღგ, აქციზი) ნაწილში. 2011 წლის იანვარში ძალაში შევიდა კანონი “ახალი კურსი სამართლიანი, მარტივი და სანდო საგადასახადო სისტემა”⁸⁷. საგადასახადო კოდექსში 2005 წელს შეტანილმა ცვლილებებმა მთლიანად შეცვალა საქართველოს ფისკალური ლანდშაფტი. საკანონმდებლო ცვლილებების მიღების შემდეგ 2004 წელს არსებული ოცდაერთი გადასახადიდან მხოლოდ 6 შენარჩუნდა. ახალი სისტემა ისეთი დაბალი დაბეგვრის დონით ხასიათდება, რომელიც საქართველოს მსოფლიო რეიტინგში მე-4 ადგილზე აყენებს. დროთა განმავლობაში რამდენიმე ცვლილებისა და დამატების მიღების შემდეგ საგადასახადო კოდექსი დღევანდელი ფორმით შემდეგ გადასახადებს და საგადასახადო განაკვეთებს აწესებს⁸⁸:

¹ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო http://www.bec.ge/images/doc/new_course.pdf

² შემოსავლების სამსახური <http://www.rs.ge/5509>

გადასახადები/განაკვეთები

- საშემოსავლო გადასახადი – 20%
- მოგების გადასახადი – 15%
- დამატებული ღირებულების გადასახადი – 18%
- აქციზი – დიფერენცირებულია
- იმპორტის გადასახადი – 0%; 5%; 12%

სპეციალური/პრეფერენციული დაბეგვრის რეჟიმი მიკრო და მცირე ბიზნესისთვის

- მიკრობიზნესი (ბრუნვა არაუმეტეს 30 000 ლ.) – გათავისუფლებულია
- მცირე ბიზნესი (ბრუნვა არაუმეტეს 100 000 ლ.) – 3% ან 5%

საგადასახადო რეფორმები პირდაპირ აისახება მცირე და საშუალო მეწარმეების საქმიანობის ფექტიანობაზე. საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების ინსტიტუციური და საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბება 1990-იანი წლების ბოლოს დაიწყო. 1999 წელს მიღებულ იქნა კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავდა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ძირითად პრინციპებს. 2002 წელს დამტკიცდა „მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო დახმარების პროგრამა“. სამთავრობო დახმარების კონცეფციისა და სპეციალური პროგრამის განხორციელების შედეგად მცირე და საშუალო საწარმოთა აქტიურობის ზრდის პროცესი სტაბილური გახდა.

ბოლო წლებში გატარებულმა რეფორმებმა სათანადო ასახვა პოვა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებულ პოზიტიურ შეფასებებში, რომლებიც ძირითადად დაეფუძნა ახალი კანონებისა და საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზს. ამავე დროს, მკვეთრად გაუარესდა საკანონმდებლო და რეგულაციური გარემო მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში. გაუქმდა კანონი „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ და ის სამთავრობო გადაწყვეტილებები, რომლებიც მიზნად ისახავდა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობას. 2011 წელს ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა მცირე ბიზნესის განვითარებისათვის. ამოქმედდა დამწყები ბიზნესისთვის წამახალი-სებელი საგადასახადო შეღავათები. კერძოდ, საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის შედეგად განისაზღვრა მიკრო და მცირე ბიზნესის ცნებები. დაბეგვრის სპეციალური შეღავათიანი რეჟიმებით სარგებლობის უფლება მიენიჭა მიკრო, მცირე და ფიქსირებული სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელებს. საგადასახადო კოდექსით მიკრობიზნესის მწარმოებლად განიხილება ფიზიკური პირი, რომლის ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს. ამასთან, აღნიშნული სტატუსის ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს. მცირე ბიზნესის სტატუსი კი მიენიჭა მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს, მისი დასაბეგრი შემოსავალი, იბეგრება 5 პროცენტით ⁸⁹.

მცირე და საშუალო ბიზნესში საგადასახადო სისტემის ანალიზის მიზნით ჩატარდა მცირე მეწარმეების SWOT ანალიზი, გამოვლინდა მისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

მცირე მეწარმეების ძლიერი და სუსტი მხარეები

ძლიერი	სუსტი
მაღალი კონკურენტუნარიანობა, სიხლეუთა სწრაფი დანერგვა, დასაქმების ხელშეწყობა, საგადასახადო შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა, სწრაფი ადაპტაციის უნარი, მოქნილი მენეჯმენტი.	დაბალი კონკურენტუნარიანობა, საკრედიტო რესურსებისადმი ნაკლები ხელმისაწვდომობა, საქმიანობის წარმართვის გამოუცდელიობა, კაპიტალდაბანდების დაკარგვის მაღალი რისკი და სხვა.

მეტად საყურადღებოა ის **საგადასახადო სამართალდარღვევები** და მასზე დაწესებული სანქციები, რომლის გადახდაც დღეს მეწარმეებს უწევთ. საგადასახადო სამართალდარღვევა არის გადასახადის გადამხდელის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლისთვისაც საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. საგადასახადო სანქციები გამოიყენება საურავისა და ფულადი ჯარიმის სახით. არსებობს სხვადასხვა სახის ჯარიმები:

- საგადასახადო ორგანოებში გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე დადგომის წესის დარღვევა – იწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით;

⁸⁹ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი, 2010, თავი 12, მუხლი 88.

- საგადასახადო დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენა – იწვევს დაჯარიმებას ამ დეკლარაციის საფუძველზე დასარიცხი თანხის 5 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 200 ლარისა, ყოველ დაგვიანებულ სრულ (არასრულ) საგადასახადო თვეზე;

- საგადასახადო დეკლარაციაში ან/და გაანგარიშებებში გადასახადის ოდენობის შემცირება – იწვევს დაჯარიმებას შემდეგი ოდენობებით: 15 000 ლარამდე – შემცირებული თანხის 25%; 15 000-დან 25 000 ლარამდე – შემცირებული თანხის 50%, 25 000 ლარზე – შემცირებული თანხის 75%; 25 000-ზე მეტი – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;

- საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირისათვის წინააღმდეგობის გაწევა – იწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით;

- ყაღაღადებული ქონების მფლობელობის, სარგებლობის ან/და განკარგვის წესის დარღვევა – იწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით;

- შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების აღრიცხვის წესის დარღვევა (ერთ საგადასახადო პერიოდში) – იწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით;

- გადახდის წყაროსთან გადასახადის დაუკავებლობა – იწვევს დაჯარიმებას დაუკავებელი თანხის 10%-ის ოდენობით;

- დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე ფუნქციონირება – იწვევს დაჯარიმებას გადასახდელი დღგ-ის 100 %-ით;

- დღგ-ს საგადასახადო ანგარიშფაქტურის არასწორად ან/და არასრულად შევსება, თუ ეს იწვევს დღგ-ის თანხის შემცირებას ან ჩასათვლელი თანხის ზრდას – იწვევს დაჯარიმებას შემცირებული დღგ-ის თანხის ან გაზრდილი ჩასათვლელი თანხის 100%-ით;

- საგადასახადო ანგარიშფაქტურის არასრული შევსება – იწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით;

- გადასახადის გადამხდელის მიერ კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, რისთვისაც გათვალისწინებულია ჯარიმა, მაგრამ არ არის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა – იწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით⁹⁰.

საგადასახადო სისტემის ოპტიმიზაცია ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოკვეთილი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დოკუმენტში⁹¹.

უნდა აღინიშნოს საგადასახადო მიზნებისათვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის საქმიანობის მნიშვნელოვნება. მისი ძირითადი მიზანია წევრ-სახელმწიფოებში საგადასახადო სფეროში გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის შესახებ საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის უზრუნველყოფა.

ამჟამად გლობალური ფორუმის წევრია 134 იურისდიქცია, მათ შორის G-20-ის და OECD-ის ყველა ქვეყანა. საქართველო საგადასახადო მიზნებისათვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის წევრი გახდა 2011 წლის 11 აპრილს.

2014 წლის 29 ოქტომბერს საქართველო არჩეულ იქნა გლობალური ფორუმის ექსპერტთა ჯგუფის წევრად (PEER REVIEW GROUP (PRG)), 2015 წლიდან – სამი წლის ვადით. აღნიშნული ჯგუფი მუშაობს საგადასახადო გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტის დახვეწაზე და გლობალური ფორუმის წევრი და არაწევრი სახელმწიფოების კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასებაზე. ექსპერტთა ჯგუფში გაწევრიანებულია 30 სახელმწიფო.

2013-2014 წლებში გლობალური ფორუმის ექსპერტები აქტიურად შეისწავლიდნენ საქართველოს საკანონმდებლო ბაზა, რომლის საფუძველზე 2014 წლის 4 აგვისტოს გლობალური ფორუმის (OECD) მიერ გამოქვეყნდა ანგარიში და აღიარებულ იქნა, რომ საგადასახადო გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის კუთხით საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება გლობალური ფორუმის (OECD) მიერ დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს.

2016 წლის 11 მარტს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის მიერ დამტკიცდა საქართველოს იურისდიქციის შეფასების მეორე ფაზის ანგარიში. სამწლიანი პრაქტიკის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში საგადასახადო

⁹⁰ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი, 2010, კარი 13.

⁹¹ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“ - <http://www.mof.ge/ViewFile.aspx?Id=64>

მიზნებისათვის ინფორმაციის გაცვლისა და გამჭვირვალობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს (რეიტინგი: „Largely Compliant“)⁹².


„ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ შეთანხმებების მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებასა და ინვესტიციების მოზიდვას. 2008 წლიდან აქტიურ ფაზაში გადავიდა აღნიშნული შეთანხმებების გაფორმება იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს გააჩნია ეკონომიკური ინტერესები. ამგვარ შეთანხმებათა ტექსტები ეფუძნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მოდელს და განსაზღვრავს ქვეყნებს შორის დაბეგვრის პრინციპებს. კერძოდ, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მეორე ქვეყანაში გაწეული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი დაიბეგრება იმ ქვეყანაში, სადაც იგი იქნა მიღებული ან რეზიდენტობის ქვეყანაში. შემოსავლის წყაროს ქვეყანაში დაბეგვრის შემთხვევაში, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით, რეზიდენტი ქვეყანა იღებს ვალდებულებას, გადასახადის გადამხდელს ჩაუთვალოს წყაროს ქვეყანაში გადახდილი გადასახადი. შეთანხმების მთავარი მიზანია ასევე, გადასახადების გადაუხდელობისაგან თავის არიდება, რაც მიიღწევა საგადასახადო მიზნებისათვის ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით.

უნდა აღინიშნოს, რომ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინების მხარდასაჭერად საქართველოს საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა სპეციალური სტატუსები: საერთაშორისო საწარმო და უცხოური კომპანიის ფილიალი. საინვესტიციო მიზნებისათვის შეიქმნა სპეციალური ეკონომიკური ზონები, სადაც ინვესტორთათვის დაბეგვრა ნულპროცენტოანი განაკვეთით არსებობს.

უცხოურ ინვესტორებთან დაკავშირებით შემოღებულ იქნა სპეციალური საგადასახადო შეღავათები⁹³:

- სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, დამატებული ღირებულებისა და სოციალური გადასახადების არარსებობა;
- კაპიტალის დანახარჯები შესაძლებელია გამოიქვითოს ინვესტიციის განხორციელების წელს, ნებადართულია ზარალის გადატანის 10 წლიანი პერიოდის გამოყენება;
- კაპიტალის აფასებით მიღებული შემოსავლების დაბეგვრისგან გათავისუფლება;
- ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება;
- უცხო წყაროდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრისაგან გათავისუფლება.

თუ შევადარებთ იმ საგადასახადო განაკვეთებს (იხ. დიაგრამა 1)⁹⁴, რაც გამოიყენება უცხოური ინვესტიციების განმახორციელებელი და რეზიდენტი კომპანიების მიმართ, ცხადი ხდება, რომ უცხოური ინვესტიციების განმახორციელებელი კომპანიების მიმართ მიღგომა საკმაოდ ღიბერალურია შემოსავლებისა და მოგების დაბეგვრის კუთხით.



დიაგრამა 1. შემოსავლების, დივიდენდებისა და პროცენტების დაბეგვრა 2004-2014 წწ.

⁹² “Global Forum of Transparency and Exchange of Information for Tax Purposes”

<https://www.oecd.org/tax/transparency/GFratings.pdf>

⁹³ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო - <http://investinggeorgia.org/en/georgia/taxation>

⁹⁴ www.geostat.ge


საინტერესოა, როგორ ასტიმულირებს ცალკეულ ქვეყნებში საგადასახადო პოლიტიკა მცირე და საშუალო მეწარმეობას. ამ მხრივ გამორჩეულია დიდი ბრიტანეთი, აშშ, გერმანია, იტალია, ფინეთი. დიდი ბრიტანეთის მცირე საწარმოები გათავისუფლებულნი არიან მოგების გადასახადისაგან ინფორმაციულ და ტელეკომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე მიმართულ სახსრებზე, აგრეთვე აქვთ შეღავათები დღგ გადახდისას და ქონების ადგილობრივ გადასახადზე. ის საწარმოები, რომელთა ბრუნვა არ აღემატება 56 ათას გირვანქა სტერლინგს, საერთოდ არ ექვემდებარებიან რეგისტრაციას სამეფო სამსახურის საბაჟო და აქციზების ადგილობრივ განყოფილებებში დღგ ან აქციზის გადახდის მიზნით. გარდა ამისა, მოგების გადასახადის პროგრესული სკალა, რომელიც მოქმედებს გაერთიანებულ სამეფოში, ყველაზე მეტად მოგებიანია უშუალოდ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. მცირე ბიზნესს აქვს ცალკეული შეღავათები საგადასახადო ანგარიშგების წარმოებაში. მეტიც, ამჟერად მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მოქმედებს წლიური მოგებიდან 825 გირვანქა სტერლინგის გადახდის შეღავათი, თუ ფინანსური ანგარიშგება იქნება შესრულებული ელექტრონული სახით.

დიდ ბრიტანეთში მოქმედებს მცირე საწარმოებზე გარანტირებული სესხების პროგრამა. პროგრამის მიხედვით, მცირე ბიზნესის სამსახური კომერციულ ბანკს კრედიტების ღირებულების 75%-მდე დაბრუნების გარანტიას აძლევს მცირე საწარმოს გადახდისუუნარობის შემთხვევაში. კომერციულ ბანკებზე გარანტიების გაცემის გარდა, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა ხორციელდება აგრეთვე რეგიონულ დონეზე სხვადასხვა ფონდების გამოყენებით⁹⁵.

საქართველოს საგადასახადო სფეროში იკვეთება ყურადსაღები პრობლემები. უნდა ვაღიაროთ, რომ საგადასახადო ორგანოებს საქმე აქვთ საზოგადოებასთან, რომელიც ტრადიციულად გაურბოდა გადასახადების გადახდას. საქართველოში გადასახადების გადახდის კულტურა შედარებით განუვითარებელია, რაც აიხსნება კოლონიალიზმით და სახელმწიფოს სისუსტით, ასევე იმით, რომ საზოგადოება ვერ ხედავს კავშირს გადასახადებსა და პირად სარგებელს შორის.

საგადასახადო სფეროში არსებული სისუსტეები ასახულია ბიზნესის კეთების ანგარიშში, რომლის მიხედვით საქართველოს შემდეგი პოზიციები უკავია:

- გადახდისუუნარობის პროცენტური - 108-ე ადგილი;
- კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების დონე (%) – 33,6%




დიაგრამა 2. საქართველოს პოზიცია „Doing Business“-ის რეიტინგის მიხედვით⁹⁶

მსოფლიო ბანკი და „Doing Business“-ი უკვე მათე წელია მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობას აფასებს ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს არსებობის თვალსაზრისით. ზემოთ მოყვანილი თვალსაჩინოებებიდან ჩანს საქართველოს მიერ დაკავებული ადგილი ცალკეული მახასიათებლის მიხედვით. უნდა ითქვას, რომ „Doing Business“-ის გამოკვლევას გააჩნია ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი, ის სიტუაციას აფასებს უფრო მეტად ფორმალური კუთხით, ანუ

⁹⁵ „UK tax System“ <https://1office.co.uk/blog/uk-tax-system-explained-foreigners/>
⁹⁶ ანგარიში „ბიზნესის კეთება 2017“ <http://www.doingbusiness.org/doing-business-2017>

სახელმწიფოებში მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების ანალიზის ფონზე და ჩრდილში რჩება ქვეყნის შიგნით არსებული არაფორმალური ურთიერთობები და ზოგადი პოლიტიკური ვითარება, რაც ზოგჯერ უფრო მეტ გავლენას ახდენს საინვესტიციო გარემოზე, ვიდრე საკანონმდებლო სივრცე.

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ადგილობრივი კაპიტალის ბაზარზე დაფინანსების მოზიდვის და ვენჩურულ კაპიტალზე ხელმისაწვდომობის მიხედვით. ასევე, ვენჩურული და კერძო კაპიტალისთვის ქვეყნის მიმზიდველობის ინდექსში (2013) საქართველო 118 ქვეყნიდან 72-ე ადგილზეა⁹⁷.



დიაგრამა 3. ვენჩურული და კერძო კაპიტალისთვის ქვეყნის მიმზიდველობის ინდექსი (2015)

ახალი საწარმოების შექმნის კუთხით აუცილებელია ინსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესის დაჩქარება და ფინანსური სექტორის გაჯანსაღება. ამ მხრივ საგადასახადო ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გატარებულმა საგადასახადო და ეკონომიკური რეგულირების რეფორმებმა 2005-2015 წლებში საქართველოს უცხოელ ინვესტორთა თვალში მოუტანა უცხოური ინვესტიციებისათვის ეფექტიანი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნის იმიჯი, რაც, ასევე აისახა რიგ საერთაშორისო მოსხენებებსა და რეიტინგებში. საგადასახადო ფაქტორებს შორის კი უცხოური ინვესტიციებისათვის უფრო მნიშვნელოვანი პრაქტიკაში არსებული საგადასახადო რეგულირების თავისებურებებია ვიდრე კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთები.

მცირე და საშუალო ბიზნესში საგადასახადო სისტემის სრულყოფის მიზნით სასურველია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგი:

- ქვეყნის შეფარდებითი უპირატესობების განსაზღვრა საინვესტიციო პოტენციალის ჭრილში და შესაბამისი საინვესტიციო პროექტების ინიცირება მცირე და საშუალო მეწარმეობაში;
- ქვეყნის საგადასახადო კოდექსის სრულყოფა და მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობი საგადასახადო შეღავათების დაწესება როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი მეწარმეებისათვის;
- საგადასახადო სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესის დაჩქარება, რათა აღნიშნულმა ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო მეწარმეების საქმიანობის სტიმულირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ერქომაიშვილი გ., ხარაიშვილი ე., ფირმის ეკონომიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2015.
2. ჩიკვილაძე მ., კოპალეიშვილი თ., გადასახადები და დაბეგვრა, გამომცემლობა „ფავორიტი პრინტი“, თბილისი, 2011.
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია: საქართველო 2020 <http://www.mof.ge/ViewFile.aspx?Id=64>

⁹⁷ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში 2016 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3493782>

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში 2016. http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/GCI_2016_2017_GEO_13.12.16.pdf
5. „საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა“ ფინანსთა სამინისტროს ანგარიში, სექტემბერი 2016. http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/Doing_Business_2017_-_GEO_8.12.pdf
6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (ხელშეკრულებები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ) - <http://www.mof.ge/4793>
7. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები). http://www.economy.ge/uploads/ek_mimokhilva/fdi_investiciebi/investments_2015.09_geo.pdf
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა "საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ"). http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FDI_2016Q3-GEO- with%20cover.pdf
9. კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2016. <http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2016/competitiveness-rankings/>
10. მსოფლიო ბანკის ანგარიში „ბიზნესის კეთება 2017“ <http://www.doingbusiness.org/reports/global-reports/doing-business-2017>
11. Dunning, John H. ‘Trade, Location of Economic Activity and MNE: A Search for an Eclectic Approach’, in B. Ohlin, P. O. Hesselborn, and P. M. Wijkman (eds.), *The International Allocation of Economic Activity*. London: Macmillan. 1977
12. “Global Forum of Transparency and Exchange of Information for Tax Purposes” <https://www.oecd.org/tax/transparency/GFratings.pdf>
13. Jensen, Nathan, *Politics and Foreign Direct Investment; Michigan Studies in International Economy*, 2012
14. OECD-Detailed Benchmark Definition of Foreign Direct Investment (Paris OECD 1996) Third edition.
15. Olivier De Schutter, Johan Swinnen, Jan Wouters, *Foreign Direct Investment and Human Development: The Law and Economics of International Investment Agreements*, 2012
16. “UK tax System” <https://1office.co.uk/blog/uk-tax-system-explained-foreigners/>

Nino Lobzhanidze

IMPACT OF THE TAX SYSTEM ON SMALL AND MEDIUM SIZED ENTREPRENEURSHIP IN GEORGIA Summary

The paper evaluates the role of the tax factors in improving the conditions of small and medium sized enterprises. The characteristics of the tax system are analyzed. There are discussed best cases of stimulating tax policies in a developed country and the corresponding data for the comparative analysis of small and medium sized businesses for individual cases in each country.

Firstly the paper evaluates the strengths and weaknesses of the small and medium sized enterprises and its role in the improvement of the business environment and the overall economic situation in the country. The paper discusses the development of entrepreneurship in accordance with existing government policy and highlights the impact of the tax system; it is reviewed tax benefits for the local and foreign entrepreneurs of all the countries in which Georgia has signed an agreement of double taxation and tax zero out evasion. Also, it is estimated already conducted tax reforms and the future EU tax harmonization policy capabilities. The article discusses the problems that are the obstacles for local and foreign entrepreneurs to invest in small and medium sized entrepreneurship. Conclusions are made regarding the problems identified on and recommendations are suggested.

თამთა მესხორაძე

**პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია ინტიტუციურ ზრილში:
შოკური თერაპიისა და ბრალშალიზმის წინააღმდეგობრივი ხასიათის შესახებ**

ანოტაცია. სტატიაში მოთხრობილია ყოფილი კომუნისტური ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ისტორიული პროცესის შესახებ. აქვე განხილულია აღნიშნული პროცესის დასაწყისშივე ეკონომიკური რეფორმების შესახებ წარმოქმნილი შეხედულებების ორი სკოლა და მათი წინააღმდეგობრივი ხასიათი. ასევე ნახვენებია, რომ სწრაფი და საყოველთაო რეფორმების წაყ-

ლობით შესაძლებელი გახდა უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდის, მეტი პოლიტიკური თავისუფლებისა და უკეთესი ინსტიტუტების მიღება.

საკვანძო სიტყვები: პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია, შოკური თერაპია, გრადუალიზმი.

თითქმის ერთი თაობა გავიდა მას შემდეგ, რაც დაეცა კომუნიზმი და დაიწყო კაპიტალიზმისა და დემოკრატიაზე გადასვლის (ტრანსფორმაციის) ისტორიული პროცესი. 1989 წელს ბერლინის კედლის დამხობამ ევროპის ისტორიაში ახალი თავი გახსნა. ხალხის უმეტესობას, რეგიონსა და მის ფარგლებს გარეთ, თითქმის ან საერთოდ აღარ ახსოვს ძველი სისტემები, არც ის აღსანიშნავი ტრანსფორმაციის გზა, რომელმაც ქვეყნები მოიყვანა იქამდე, სადაც დღეს არიან. უკან თუ გავიხედავთ, რთული დასაჯერებელია, რომ ეს იყო ბუნებრივი პროცესი, ამასთან გარდაუვალიც კი. კომუნისტურმა პერიოდმა ქვეყნებს დაუტოვა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური დისბალანსები და სტრუქტურული პრობლემები. ფისკალურმა და მონეტარულმა პოლიტიკებმა, რომლებიც მიზნად ისახავდა უფრო მეტად სამრეწველო ზრდის მხარდაჭერას, ვიდრე მაკროეკონომიკური ბალანსის მიღწევას, წარმოქმნა ქრონიკული ჭარბი მოთხოვნა და ფართოდ გავრცელებული საქონლის დეფიციტი. საბოლოოდ, ამ ქრონიკულმა ჭარბმა მოთხოვნამ ასევე გამოიწვია არამდგრადი საგარეო ვალი და მაღალი ან ჰიპერინფლაცია. სამწუხაროდ, ამ დროს ეკონომისტებისა და პოლიტიკოსების მხოლოდ მცირე რაოდენობას ჰქონდა საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, რაც მათ შეეხიდეოდა რთულ ამოცანებთან გამკლავებაში. ფაქტობრივად, თავდაპირველად, მკვლევარების უმეტესობა ფიქრობდა, რომ ძალისხმევა შედეგს არ მოიტანდა. როგორც გრიგორი იაველინსკმა აღწერა ტრანსფორმაციის გამოწვევა ლაკონურად: „არ არის რთული აკვარიუმიდან ამოყვანილი თევზებით წვნიანის მოშადება, მაგრამ რამდენად შესაძლებელია თევზის წვნიანის ისევ თევზებით სახსე აკვარიუმიდან გადაქცევა – ამაში მდგომარეობს მთავარი შეკითხვა.“

როგორც უკვე ითქვა, ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე აღინიშნა გამოშვების მკვეთრი ვარდნა. საბოლოოდ, ქვეყნებმა ფეხზე წამოდგომა მოახერხეს, თუმცა ამისთვის თითოეულს განსხვავებული დრო დასჭირდა. რა განსაზღვრავდა ამ ტემპებს?

სხვადასხვა მკვლევარის მიერ გაკეთებულმა ტრანსფორმაციის ადრეულმა ანალიზმა ეს საკითხი შემდეგნაირად განიხილა:

- ჰავრილიშინმა და სხვებმა მიმოიხილეს 1990-97 წლების ეკონომიკური ზრდის დეტერმინანტები ტრანსფორმაციულ ქვეყნებში. მათ აღმოაჩინეს, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია (ფისკალური შეზღუდვების ჩათვლით) და სტრუქტურული რეფორმები ხელს უწყობდა მდგრადი ზრდის მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ გამოშვების თავდაპირველი შემცირება გარდაუვალი იყო, გრძელვადიანი ზრდა ასოცირებული იყო მდგრადი რეფორმის განხორციელებასთან. მათ აღმოაჩინეს, რომ არასასურველი საწყისი პირობების როლი – საიდანაც ქვეყნებმა დაიწყეს ტრანსფორმაციის პროცესი – უარყოფითია, მაგრამ მცირე [Havrylyshyn, 1998:141].

- ანალოგიურად, ფიშერმა და სხვებმა დაადგინეს, რომ უფრო წარმატებული სტაბილიზაციის საზომები (რომელიც აისახებოდა დაბალ ინფლაციასა და უფრო სტაბილურ გაცვლით კურსებში), ძლიერი დახმარება და უფრო სწრაფი და ყოვლისმომცველი სტრუქტურული რეფორმები ამ პერიოდის განმავლობაში ზრდის უკეთეს შედეგებთან იყო დაკავშირებული [Fischer, 1998:52].

- დე მელუმ და სხვებმა აღნიშნეს, რომ: „ეკონომიკური ლიბერალიზაცია ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის განსხვავებებს“ [De Melo, 2001:1]. მაგრამ კამპოსმა და კორხელმა შემდგომში, შეაჯამეს რა უამრავი კვლევა, თქვეს, რომ ფასის ლიბერალიზაცია და მკაცრი მაკროეკონომიკური პოლიტიკა არ არის საკმარისი ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად. ისინი აღნიშნავენ: „ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უწყობენ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას, წარმოადგენენ ფუნდამენტურ წინაპირობას, რომელიც, კერძოდ, დაკავშირებულია ფინანსურ ბაზრებთან და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემასთან“ [Campos, 2002: 825].

კომუნიზმის დაცემის შემდეგ, ძალიან მალევე წარმოიქმნა ეკონომიკურ რეფორმებზე შეხედულების ორი სკოლა. ზოგიერთი ეკონომისტი უპირატესობას ანიჭებდა წარსულიდან სწრაფ გამოსვლას, მაშინ როცა დანარჩენები მხარს უჭერდნენ თანმიმდევრულ პოლიტიკას. მოგვიანებით ამ ორი მხარის მომხრეებს შორის მწვავე დებატები გაჩაღდა. ბევრი გრადუალისტი ამტკიცებდა, რომ ეკონომიკის სტრუქტურული ხარვეზები ჩაშლიდა ლიბერალიზაციის განხორციელების მცდელობებს, და, შესაბამისად, თვლიდა, რომ რეფორმები უნდა განხორციელებულიყო თანდათანობით, თანმიმდევრული გზით. მაგრამ სხვებისთვის – მათ შორის ისეთი მთავარი ფიგურის ჩათვლით, როგორცაა ლეშეკ ბალცეროვიჩი პოლონეთში და მოგვიანებით, იგორ გაიდარი რუსეთში – პრობლემის გაგება საპირისპიროს გულისხმობდა: სწრაფი რეფორმა იქნებოდა უნაკლო და მხოლოდ იმ შემთხვევაში გაამართლებდა, თუკი ყველა ცვლილება ერთად მოხდებოდა, რადგან საჭირო იყო, რომ ლიბერალურ ფასებს, გაუმჯობესებულ მმართველობასა და სტაბილურ

ეკონომიკურ თუ ფინანსურ გარემოს ერთმანეთი გაეძლიერებინა; მათი აზრით, ნაწილობრივი რეფორმით მხოლოდ ცოტას მიღწევა გახდებოდა შესაძლებელი.

მაგალითად, პოლონეთში გვიან, 1989 წელს საბაზრო რეფორმისთვის კომისიამ ლეშეკ ბალცეროვიჩის მეთაურობით შეაჯამა გეგმები, რომელთა განხორციელება დაიწყო 1990 წლიდან და ცნობილი გახდა, როგორც „შოკური თერაპია“; ტერმინი შემოიღო ჯეფრი საქსმა – პოლონელი რეფორმატორების მრჩეველმა – 1980-იანის შუა წლებში ლათინურ ამერიკაში მიმდინარე რეფორმებისთვის [Sachs, 1994: 102]. პოლონეთში განხორციელებულმა სწრაფმა რეფორმებმა მაგალითი შექმნა რეგიონის სხვა ქვეყნებისთვის.

დასაწყისში ტრანსფორმაციის იგივე გზა აირჩია სსრკ-მაც, როდესაც ახლად არჩეულმა რუსულმა პარლამენტმა მხარი დაუჭირა გრიგორი იაველინსკისა და სტანისლავ შატალიანის მიერ შეთავაზებულ პროგრამას სახელწოდებით „500 დღე“, რომელიც ითვალისწინებდა სწრაფი რეფორმების განხორციელებას. გეგმის მიხედვით, პირველი 100 დღე დაეთმოდა სახელმწიფო ქონების ფართო პრივატიზებას, შემდეგი 150 დღე – ფასების ლიბერალიზაციასა და ადმინისტრაციული კონტროლის მოხსნას. მომდევნო 150 დღის განმავლობაში მოხდებოდა ბაზრის სტაბილიზაციის მიღწევა თავდაპირველი ფასების შოკის შემდეგ, და ბოლო 100 დღეში – ეკონომიკური ზრდის განახლება. თუმცა საბჭოთა პარლამენტმა და მთავრობამ ეს პროგრამა ზედმეტად ამბიციურად მიიჩნიეს. და, საბოლოოდ, პრეზიდენტმა გორბაჩოვმა აღნიშნულ პროექტზე უარი თქვა სოციალური შედეგების შიშით, მან სანაცვლოდ აირჩია გრადუალური ტრანსფორმაციის გზა, რამაც ნაკლებად გაამართლა.

ამერიკელი მაკროეკონომისტებისთვის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის, მსოფლიო ბანკის და შეერთებული შტატების მთავრობისთვის ლათინური ამერიკის 1980-იანი წლების მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის გამოცდილება საკმარისი აღმოჩნდა სასურველი გზის ასარჩევად. მათი შეხედულება მდგომარეობდა იმაში, რომ რადიკალური და საყოველთაო რეფორმის პროგრამა განკურნების საუკეთესო საშუალება იქნებოდა [Bruno, 1988: 275]. ამ პროგრამას ჯონ უილიამსონმა „ვაშინგტონის კონსენსუსი“ უწოდა (1990). მისი შეჯამება შეიძლება, როგორც „წინდახედული მაკროეკონომიკური პოლიტიკა, გარე ორიენტაცია და თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმი,“ და იგი ემყარებოდა ნეოკლასიკურ ძირითად (mainstream) ეკონომიკურ თეორიას. ისიც შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის სახელი არასწორად შეარჩიეს, რადგან ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ეკონომიკურ პოლიტიკას მსოფლიოს ვაშინგტონი კარნახობდა.

ვაშინგტონის კონსენსუსის მიხედვით, რეფორმის 10 განზომილებიდან 5 უნდა შესრულდებოდა ადრე და სწრაფად. ეს იყო: მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, ბაზრის ლიბერალიზაცია, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ლეგალური რეფორმები და უმუშევრობის კომპენსაცია. დანარჩენი, მსხვილმასშტაბიანი პრივატიზაციის ჩათვლით, უნდა დაწყებულიყო მოგვიანებით და უნდა გაწეულიყო დროში.

გრადუალისტები ეთანხმებოდნენ სწრაფი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მნიშვნელოვნებას და ხშირ შემთხვევაში ხელაღდნენ პატარა ზომის ობიექტების ადრეული პრივატიზაციის საჭიროებასაც, ასევე ახალი ბიზნესის დაწყებისთვის თავისუფლების მინიჭების აუცილებლობას [Stiglitz, 2000: 27]. თუმცა ვაშინგტონის კონსენსუსი მაინც ნაკლებად სარწმუნო იყო მათთვის, რადგან ისინი კომუნისტიდან კაპიტალიზმზე გადასასვლელად არჩევდნენ მიდგომას „ჯერ ინსტიტუტები“. ადრეული გრადუალისტები, მათ შორის ფილიპ აიონი და ოლივიე ბლანშარი, ამტკიცებდნენ, რომ ტრანსფორმაციის მნიშვნელობა მეტწილად მოცემული იქნებოდა სოციალისტური ეკონომიკის უნარობაში. არეულობების თავიდან ასაცილებლად, მათი აზრით, ცვლილებები თანმიმდევრული/გრადუალური უნდა ყოფილიყო, რაც ახალ ინდუსტრიებსა და სამუშაო ადგილებს დროს მისცემდა შესაქმნელად, რადგან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში მოხდა ძველი ინდუსტრიებისა და სამუშაო ადგილების მასობრივი დახურვა ან რესტრუქტურისაცია [Aghion, 1994: 283].

შეხედულებების ორივე სკოლა აღიარებდა ინსტიტუტების მნიშვნელობას, მაგრამ იგი, უდავოდ, უფრო ცენტრალური იყო გრადუალისტებისთვის, რომლებიც თვლიდნენ, რომ უკეთესი ინსტიტუტების შექმნამდე ლიბერალიზაცია უნდა გაჭიანურებულიყო.

მეტიც, გრადუალიზმის დამცველები ამტკიცებდნენ, რომ ინსტიტუციური განვითარება წინ გაუსწრებდა ბაზრის ლიბერალიზაციას, რითაც გაზრდიდა ამ უკანასკნელის ეფექტიანობას. რეალურად კი არც ერთი პოსტკომუნისტური ქვეყანა არ გაჰყოლია მოვლენათა ამ თანმიმდევრობას. ყველგან ინსტიტუციური განვითარება მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ეკონომიკურ რეფორმებს.


რაც შეეხება შოკური თერაპიის მომხრეებს, მათი მტკიცებით, შეიძლებოდა ინსტიტუციური განვითარებისთვის ლოდინი ეკონომიკური რეფორმების განხორციელებამდე, რეფორმების საერთოდ არქონის წინაპირობა გამხდარიყო. ისინი თვლიდნენ, რომ უკეთესი იყო პოსტკომუნისტური ეიფორიის მოკლე „თაფლობის თვის“ პერიოდის გამოყენება, რათა ახალი ლიბერალური რეჟიმი სწრაფად მოსულიყო მწყობრში და თავიდან აცილებულიყო რეფორმის ცვლილებები. უმუშევრო-

ბასთან გასამკლავებლად, შოკური თერაპიის მომხრეები გვთავაზობდნენ სოციალური უსაფრთხოების სისტემას, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განხორციელებულიყო.

ბოლო 25 წლის განმავლობაში მიღებულმა მტკიცებულებებმა დაადასტურა ე.წ. შოკური თერაპიის უპირატესობა. გრადუალიზმის ძირითადი არგუმენტი მდგომარეობდა იმაში, რომ ძალიან სწრაფ რეფორმებს, წესით, დიდი სოციალური დანაკარგები უნდა გამოეწვია. სინამდვილეში კი, მოხდა ისე, რომ სწრაფმა რეფორმატორებმა განიცადეს უფრო მოკლე რეცესიები და შედარებით მალე დადგნენ ფეხზე, ვიდრე გრადუალური რეფორმატორები. მართლაც, კეთილდღეობის უფრო ფართო საზომიც – ადამიანის განვითარების ინდექსი (Human Development Index) იმავე დასკვნაზე მიუთითებს: ტრანსფორმაციის სოციალური დანახარჯები სწრაფად მოძრავ ქვეყნებში უფრო დაბალი იყო.

25 წელზე მეტი გავიდა კომუნიზმის დაცემის შემდეგ. დროს ეს მონაკვეთი საკმარის ინფორმაციას აწვდის მკვლევარებს ტრანსფორმაციის პროცესში ჩართული ქვეყნების გამოცდილებების შესახებ. სიძნელეს წარმოადგენდა რეფორმატორების დაყოფა სწრაფ და გრადუალურ რეფორმატორებად. თუმცა კლასიფიკაცია მაინც შესაძლებელი გახდა, რადგან ტრანსფორმაციამ მოიცვა ბევრი ისეთი განზომილება, რომელთა საშუალებითაც მოხდა ქვეყნების დალაგება რეფორმების განხორციელების სიჩქარის დონის მიხედვით.

სხვადასხვა ქვეყანაში რეფორმების მუშაობის უკეთ გასაგებად განვიხილავთ პოსტკომუნისტურ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ ტრანსფორმაციის ინდექსს – ტრანსფორმაციის პროგრესის ინდიკატორს (TPI), რომელიც ყოველწლიურად ითვლება რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის (EBRD) მიერ. TPI ზომავს ქვეყნის საბაზრო ორიენტაციის ხარისხს 1-დან 4.5 სკალაზე, სადაც 1 გამოხატავს ცენტრალურად დაგეგმილ რეჟიმს, ხოლო 4.5 – მთლიანად ფუნქციონირებად ბაზარს.



ნახაზი 1. EBRD-ის ტრანსფორმაციის პროგრესის ინდიკატორი, 2004

წყარო: EBRD, Transition Report 2004 (London: EBRD, 2004), <http://www.ebrd.com/pubs/econo/series/tr.htm>

ნახაზი 1 გვიჩვენებს 2004 წელს 28 ყოფილი კომუნისტური ქვეყნისთვის TPI-ის რეიტინგებს. ქვეყნები 5 კატეგორიად არიან დაჯგუფებული: ცენტრალური ევროპა, ბალტიისპირეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ევროპა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნები (აღსანიშნავია, რომ ამ დროს საქართველო ჯერ დსთ-ს ქვეყნებს შორის შედიოდა) რეფორმების ზომიერი ხარისხით, და დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის სამი წევრი ქვეყანა ძალიან შეზღუდული რეფორმებით.

ცხრილი 1

რეფორმის სტრატეგიების მიხედვით დაჯგუფებული ტრანსფორმაციული ქვეყნები

I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი	IV ჯგუფი	V ჯგუფი
ესტონეთი	უნგრეთი	ალბანეთი	აზერბაიჯანი	ბელორუსია
ლატვია	სლოვენია	ბულგარეთი	სომხეთი	უზბეკეთი
ლიტვა		მაკედონია	საქართველო	თურქმენეთი
ჩეხეთის რესპუბლიკა		ყირგიზეთი	ყაზახეთი	
პოლონეთი		რუსეთი	უკრაინა	
სლოვაკეთი			ტაჯიკეთი	

მაშასადამე, ცხრილი 1 გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ექვს ქვეყანას შეიძლება ვუწოდოთ მტკიცე შოკური თერაპიის რეფორმატორი. ამ ქვეყნებმა კომუნისტური მმართველობის დასრულების შემდეგ პირველ რამდენიმე წელიწადში გააყეთეს დიდი ნახტომი ლიბერალიზაციის მიმართულებით. მათ მიაღწიეს და შეინარჩუნეს დაბალი ინფლაცია, და განუწყვეტლად ზრდიან თავიანთი TPI-ის მაჩვენებლებს დღესაც. გვემხიბაშლილი შოკური თერაპიის მომხრე ქვეყნებმა პირველ წლებში მიაღწიეს TPI-ის მაღალ მაჩვენებლებს, მაგრამ მათ რეფორმის ტემპი ვერ შეინარჩუნეს. ქვეყნები გრადუალური რეფორმების კატეგორიაში თავიდანვე ითვისებდნენ თანმიმდევრულობას. ამ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია გადაიდო თითქმის 2-დან 3 წლამდე ვადით და ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო დიდხანსაც. და, ბოლოს, შეზღუდული რეფორმების კატეგორია შედგება ქვეყნებისგან, რომელთაც მიაღწიეს ძალიან შეზღუდულ პროგრესს საბჭოთა კავშირის ეკონომიკიდან.

ახლა კი განვიხილოთ ინსტიტუციური განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ინსტიტუციური განვითარების ბევრი ინდიკატორი არსებობს, გუბრუნდებით ისევ EBRD-ს, რადგან იგი გვაძლევს უფრო თანმიმდევრულ დროით მონაცემებს ყოფილი კომუნისტური ქვეყნებისთვის, ვიდრე სხვა შეფასებები და ასევე გვაძლევს საშუალებას, პირდაპირ შევადაროთ ლიბერალიზაციის ინდიკატორი სხვა ინდიკატორებს. ცხრილი 2 TPI-ის მონაცემებს ალაგებს ლიბერალიზაციისა (ლიბ) და ინსტიტუციური განვითარების (ინსტ) მონაცემებთან.

ცხრილი 2

ეკონომიკური ლიბერალიზაციისა და ინსტიტუციური განვითარების რეგიონობა

ქვეყნები	ინდექსი	1994	1999	2005
ცენტრალური ევროპა	ლიბ	3.7	4.2	4.3
	ინსტ	2.7	3.1	3.3
ბალტიისპირეთი	ლიბ	3.7	4.1	4.3
	ინსტ	2.3	2.9	3.2
ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ევროპა	ლიბ	3.0	4.0	4.1
	ინსტ	1.7	2.2	2.5
დსთ, საქართველო	ლიბ	2.2	3.1	3.9
	ინსტ	1.4	2.1	2.2
ბელორუსია, უზბეკეთი, თურქმენეთი	ლიბ	1.9	2.0	2.3
	ინსტ	1.4	1.6	1.5

წყარო: EBRD, 1994-2005 Annual Transition Reports, <http://www.ebrd.com/pubs/econo/series/tr.htm>

როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრმა ქვეყნებმა უმნიშვნელო პროგრესს მიაღწიეს ინსტიტუციური განვითარების კუთხით, მათ შორისაა საქართველოც, მაგრამ ისინი ჩამორჩებოდნენ ცენტრალური ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს. იმ ქვეყნებმა, ვინც ჯერ ლიბერალიზაცია აირჩია, ინსტიტუციური განვითარების მხრივ უფრო სწრაფ პროგრესს მიაღწიეს.

მსჯელობის საფუძველზე რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეიძლება. პირველი, ყველა ფორმირებად კომუნისტურ ქვეყანაში ინსტიტუციური განვითარება ჩამორჩა ეკონომიკურ ლიბერალიზაციას. მეორე, ის ქვეყნები, რომლებიც სწრაფად და ადრე მოძრაობდნენ ლიბერალიზაციისკენ, ასევე სწრაფად მოძრაობდნენ ინსტიტუციური განვითარებისკენ. მესამე, არც ერთ ქვეყანაში, გრადუალისტური ქვეყნების ჩათვლით, ინსტიტუციური განვითარება წინ არ უძღოდა ლიბერალიზაციას.

საბოლოო ჯამში, დღეს სწრაფ რეფორმატორებს უკეთესი ინსტიტუტები აქვთ, ვიდრე თანმიმდევრულ რეფორმატორებს. ეს შედეგი შეესაბამება ჰიპოთეზას, რომ პოლიტიკური ელიტები, რომლებიც მისდევდნენ ეკონომიკურ ლიბერალიზაციას, ასევე მისდევდნენ შემდგომ ინსტიტუციურ განვითარებას. და, პირიქით, პოლიტიკური ელიტები, რომლებიც მხარს უჭერდნენ თანმიმდევრულ რეფორმებს, ამას იმ მიზნით აკეთებდნენ, რომ ეკონომიკისგან მიეღოთ მაქსიმალური რენტები. გრადუალიზმის (თანმიმდევრულობის) ერთ-ერთი უკიდურესი შედეგი იყო ოლიგარქიული კლასების ჩამოყალიბება. რაც შეეხება რეფორმების სიჩქარესა და სიღრმეს, ქვეყნების შედარებითი პოზიცია დიდწილად უცვლელი რჩებოდა. ქვეყნების უმეტესობა, რომელიც ადრე წავიდა წინ, ისევ ყველაზე წინაა.

დასასრულ, იმის გასაგებად, თუ რამ განაპირობა სწრაფი რეფორმატორების ძალისხმევის წარმატებულობა, შეიძლება ოთხი მნიშვნელოვანი ფაქტორის გამოყოფა:

პირველი, **თვითონ რეფორმატორები**. გაბედულმა პოლიტიკოსებმა და რეფორმატორებმა წინ გადადგეს ნაბიჯები და მიიღეს გამოწვევა, შეემუშაებინათ რეფორმები და აეხსნათ მათი შედეგები წინდახედული საზოგადოებისთვის. ამ რეფორმატორებს ესმოდათ თავიანთი ამოცანის ისტორიული ბუნება და გაბედულად გადალახეს კიდევაც ტრანსფორმაციის ეს გამოწვევა.

მეორე, **ჭკვიანური რეფორმის სტრატეგიები**. რეფორმის სტრატეგიები შეიქმნა ტრანსფორმაციის ძირითად იმპერატივებზე დაყრდნობით, ესენი იყო: რესურსების გადანაწილების წახალისება, ქრონიკული დეფიციტისა და ინფლაციის აღმოსაფხვრელად ფინანსების დასტაბილურება, კომპანიებსა და მათ კაპიტალზე გაუმჯობესებული მმართველობის პროცესის დასაწყებად სახელმწიფო კომპანიების/აქტივების პრივატიზება, ფასების ლიბერალიზაციის საჭიროებაზე ორიენტირება.

მესამე, **მაგნიტური ვერობა**. წლების განმავლობაში დასავლეთის ეკონომიკური სისტემისგან იზოლაციაში ყოფნის შემდეგ, და კომუნისტური სისტემის დარღვევის შემდეგ, მოქალაქეების უმეტესობას უბრალოდ სურდა, ეცხოვრა ნორმალური ეკონომიკის მქონე ნორმალურ ქვეყანაში, მათი ისტორიისა და გეოგრაფიის გათვალისწინებით, ეს ხედვა მდგომარეობდა დასავლეთის ქვეყნებთან რეინტეგრაციაში. ევროკავშირის მხრიდან რეგიონის ქვეყნებისთვის გაკეთებულმა ისტორიულმა შეთავაზებამ გრავიტაციულად უზიდა პოლიტიკოსებს, რომ დაეფუძნებინათ და განეხორციელებინათ რთული რეფორმები. ვინაიდან, რეფორმების განხორციელების პროცესში მთავრობები მიდიოდნენ და მათ ადგილს ახალი მთავრობები იკავებდნენ, ლაკმუსის ტესტი კი ნებისმიერი ახალი პოლიტიკოსთვის ერთი და იგივე რჩებოდა: „ისევ გავვიძღვება ის უკან ევროპისკენ“ ტესტი, რომელიც გამორიცხავდა უფრო მეტად არასასურველ ექსპერიმენტს. მაგალითად, პოლონეთში მთავრობები მიდიოდნენ და მოდიოდნენ, მაგრამ რეფორმა ისევ წინ მიიწვედა.

და მეოთხე, საგარეო მხარდაჭერა. ვალისა და საგადამხდელი ბალანსის ტვირთი მთავრობებს მკაცრ პირობებს უწესებდა, თუმცა იქმნებოდა სტრუქტურული რეფორმების განსახორციელებლად ფინანსურ დესტაბილიზაციასთან ბრძოლის პროცესში. მაგრამ, დაფინანსებამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, EBRD-ისა და ორმხრივი კრედიტორების მხრიდან, და ზოგიერთ საკვანძო შემთხვევაში, ოფიციალური და კომერციული ბანკის კრედიტორების მხრიდან ვალის შემსუბუქებამ, ხელი შეუწყო ამ შეზღუდვების შემცირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Aghion Philippe & Blanchard Olivier J., 1994, "On the Speed of Transition in Central Europe," NBER Chapters, in: NBER Macroeconomics Annual 1994, Volume 9, pages 283-330 National Bureau of Economic Research, Inc.
2. Bruno Michael, 1988, Econometrics and the Design of Economic Reform. NBER Working Paper No. 2718, Econometrica, vol. 57, no. 2, pp275-306.
3. Campos, Nauro F., and Fabrizio Coricelli, 2002, "Growth in Transition: What We Know, What We Don't, and What We Should," Journal of Economic Literature, Vol. 40, No. 3, pp. 793-836.
4. De Melo, Martha, Cevdet Denizer, Alan Gelb, and Stoyan Tenev, 2001, "Circumstance and Choice: The Role of Initial Conditions and Policies in Transition Economies," World Bank Economic Review, Vol. 15, No. 1, pp. 1-31.
5. EBRD, 1994-2005, Transition Reports (London: European Bank for Reconstruction and Development).
6. Fischer, Stanley, 1998, "The Russian Economy at the Start of 1998," Speech delivered at the US-Russian Investment Symposium at Harvard University on January 9 (Available at <https://www.imf.org/external/np/speeches/1998/010998.htm>).
7. Fischer, Stanley, Ratna Sahay, and Carlos Végh, 1998, "From Transition to Market: Evidence and Growth Prospects," IMF Working Paper No. 98/52 (Washington: IMF).
8. Havrylyshyn, Oleh, 2016, "25 Years of Reforms in Ex-Communist Countries," Development Policy Analysis no. 795 (Washington: Cato Institute).
9. Havrylyshyn, Oleh, Ivailo Izvorski, and Ron van Rooden, 1998, "Recovery and Growth in Transition Economies 1990-97: A Stylized Regression Analysis," IMF Working Paper No. 98/141 (Washington: IMF).
10. Sachs, Jeffrey, and Wing Thyé Woo, 1994, "Structural Factors in the Economic Reforms of China, Eastern Europe and the Former Soviet Union," Economic Policy, April, pp. 102-145.
11. Stiglitz, Joseph, 2000, "Whither Reform? Ten Years of Transition," Annual Bank Conference on Development Economics (Washington: World Bank).
12. United Nations Development Program, Human Development Report 1998 (UK: Oxford University Press, 1998).

**POST-COMMUNIST TRANSITION IN INSTITUTIONAL CONTEXT:
SHOCK THERAPY VERSUS GRADUALISM**

Summary

The paper tells us about the historic transition of ex-communist countries from socialism to the market economy. Herewith, it analyzes the transition period based on the opinions existed between those who advocated rapid reforms, and those who advocated a gradual approach. This paper shows that early and rapid reformers ended up with better institutions than gradual reformers. As to the timing of institutional development, the arguments that it should precede liberalization are not supported by the historical facts. The fastest progress on institutions was made by the very same countries that undertook rapid liberalization.

Yerkezhan Moldakenova

**FOREIGN EXPERIENCE OF STATE REGULATION OF INNOVATIVE PROCESSES
IN AGRARIAN AND INDUSTRIAL COMPLEX**

***Annotation.** The most important priorities of development of agricultural industry in modern conditions are the innovative processes allowing a message continuous updating of production on the basis of achievements of science and technology. Broad application of scientific and technical achievements is the most effective and effective form of ensuring sustainable development of branch, and scientific technical progress is defined by opportunities of an innovative way of development of agrarian production. In article examples of development of agrarian and industrial complex of Kazakhstan, Russia and Georgia are given.*

***Keywords:** agricultural industry, innovative processes, agrarian and industrial complex, state regulation*

Process of introduction of innovations in agricultural industry represents a constant and continuous stream of the concrete biological, biotechnological and technical ideas on creation of new scientific production (the equipment, technologies, new materials, new grades, breeds of animals) and finishing it before its use directly in agro-industrial production.

Experience of developed countries shows that success of innovative activity of agricultural organizations, scientific institutions can be realized successfully only at necessary changes in agrarian policy of the state. For improvement of effectiveness of development of agrarian and industrial complex and receiving new competitive production first of all it is necessary to arrange agricultural production and to introduce the received production on the domestic market, to make this production available to local population. Many prefer to buy products of domestic manufacturer, but on counters either foreign or domestic expensive production, i.e. not public.

Kazakhstan achieved considerable success in the field of economic transformations in recent years. The agrarian sector over the last 10 years shows sustained economic growth. The share of branch grew and reached 9,6% of GDP of the country. Kazakhstan more and more actively participates in world trade by production of agrarian sector. Volumes of deliveries increase. Now the Kazakhstan production about 170 names of over 2 bln. dollars is exported to 38 countries [1].

The agro-industrial complex of Kazakhstan represents one of primary branches of economy of the republic. In it about a third of a national income is made. The agrarian and industrial complex of Kazakhstan has considerable potential what the large volume of agricultural holdings which total area makes 223 million hectares, including arable lands - 21 million hectares testify to; high labor capacity of the village (about 45% of the population of the country live in the rural zone); favorable climatic conditions for cultivation of grain and leguminous crops, potatoes and vegetables; considerable capacity of territories of pastures for occupation by livestock production (84% of the total area of land grounds) [1].

For the purpose of realization of strategic tasks in development of agrarian and industrial complex which are ensuring domestic market with available high-quality agricultural products occupation of the leading positions in foreign markets, the state pursues system institutional policy. In this regard, the national operating Kazagro holding which enables the realization of public policy by ensuring effective management of investment assets and development of corporate culture of the affiliated joint stock companies which are carrying out activity in the agrarian and industrial complex sphere was created: JSC Food Contract Corporation; JSC Kazagrofinance; JSC Agrarian Credit Corporation; JSC Fund of Financial Support of Agricultural Industry; JSC Mal Onimderi korporatsiyasy; JSC Kazagromarketing; JSC Fund of Guaranteeing Performance of Obligations for Grain Receipts [1].

Consolidation in group of companies of holding of financial, productive and infrastructure resources allows to reach synergetic effect of rendering the joint and coordinated support of development of agrarian and industrial complex.

In this regard, the strategic directions of state regulation of agrarian and industrial complex are: stimulation of a gain in productivity of work of agrarian and industrial complex through industrialization and diversification, participation in ensuring food security of the country by means of development and regulation of the domestic food market, assistance to development and realization of the export potential of agrarian and industrial complex, development of available financial, production and service infrastructure of agrarian and industrial complex.

In the conditions of realization of strategic problems of development of agrarian and industrial complex of Kazakhstan at the regional level the main priority is production diversification, taking into account innovative tendencies of development of world economy. And in this regard, agrarian and industrial complex of the Kostanay region "The road map of business of 2020", "Agrobusiness-2020", the state program of the forced industrial and innovative development (SPFIID) realizes investment projects within state programs [1].

The innovative policy of Kazakhstan in agrarian branch is one of the strategic and priority directions. Expansion of innovative process, development of the innovations capable to provide continuous updating of technical, technological, organizational base of agricultural production and receiving new competitive production is the important factor improving effectiveness of development of agrarian and industrial complex. Regional aspects of innovative policy in Kazakhstan more and more active come to the agenda.

It is possible to achieve considerable success in development of agrarian and industrial complex only thanks to a complex of instruments of the state support which will allow to create optimum conditions for increase in competitiveness of subjects of agrarian and industrial complex in the conditions of the forthcoming accession to WTO, and also implementation of target state programs of stimulation of innovative development of agrarian and industrial complex of Kazakhstan.

Considering similarity of economic processes, in Russia in connection with introduction of the ban on import of agricultural production from some foreign countries the question of development of agricultural industry in the conditions of a difficult economic situation is particularly acute. The leading scientists, in particular, experts in the field of the national economy (E. I. Lipkovich [2], I. A. Minakov [3], V. I. Suslov [4], A. A. Chernyaev [5], R. G. Yanbykh [6], etc.), fairly note that innovative development of agrarian sector of economy needs state regulation, and it should be considered one of the most right ways of improvement of a condition of domestic agricultural industry.

For increase in innovative activity of agricultural producers and expansion of scales of development of agricultural industry on an innovative basis, and also creations and development of the institutional environment necessary for development and large-scale use of innovations and, respectively, acquisition stimulation agricultural producers of hi-tech cars and the equipment within implementation of the state program of development of agricultural industry and regulation of the markets of agricultural production, raw materials and food for 2013-2020, developed the state program "Development of agro-industrial complex of the Nizhny Novgorod Region" till 2020", approved by the resolution of the government of the Nizhny Novgorod Region of October 23, 2013 No. 767. The main objectives of the program are: strengthening of a financial and economic condition of agricultural producers, stimulation of innovative activity and innovative development of agrarian and industrial complex, support of development of production infrastructure, technical and technological capacity of agrarian and industrial complex, a scientific methodological support of effective development of agrarian and industrial complex, improvement of quality of life of a rural population, formation of personnel capacity of agrarian and industrial complex in the Nizhny Novgorod Region [7]. Following the results of 2013 according to the Ministry of Agriculture and Food Resources of the Nizhny Novgorod Region, 25,9 billion rubles, including from the federal budget – 2,2 billion rubles (8,4% of the total amount of financing) were directed to 3,5 billion rubles to implementation of the regional target program "Development of Agro-industrial Complex of the Nizhny Novgorod Region for 2013-2020" approved by the resolution of the government of the Nizhny Novgorod Region of December 04, 2012 No. 882, from the regional budget (13,5%), by 0,05 billion rubles from the local budget (0,2%), 20,2 billion rubles – means of the organizations and credit resources (77,9%). In total actual financing made 99,7% of planned values of the program, including of the federal budget – 98,9%, from regional – 99,7%, of the local budget – 95,2%, other sources – 100%. Capital investments made 694,0 million rubles of the total amount of financial means [8].

For Georgia agricultural industry not only part of national economy, but also part of its history, mentality and cultural heritage. Georgian wines, tangerines, tea are familiar to each person living in the territory of the former Soviet Union. Uniqueness of a geographical location caused existence in the territory of the country of 22 various microclimatic zones and 49 types of soil. And, in spite of the fact that Georgia is located in the central and western part of Transcaucasia, 43,4% (more than 3 million hectares) of its territory treat farmlands. As well as all countries which were a part of the USSR, Georgia had hard economic times that, certainly, exerted negative impact and on agricultural industry which moved by inertia. Today, having chosen the European vector of development, the government of the country intends to carry out high-quality changes of public policy in agrarian branch and to promote its development.

On the basis of data of a research of the business conducted by Group of the World Bank in 2015, Georgia takes the 15th place in the rating of economies of the countries on usefulness of conditions of business. And it is high appreciation which once again shows the favorable enterprise environment in the country for opening and functioning of the enterprise [9].

Development of agricultural industry is one of the main priorities of the government of Georgia, accurately certain agrarian policy and significant growth in financial resources of agricultural sector will be a paramount guarantee of what. Strategic development of agricultural industry of Georgia provides creation of such environment based on the principles of sustainable development which will assist increase in competitiveness in agricultural industry, to stable increase in production of high-quality production, ensuring food security and overcoming poverty in the village.

Within realization of agrarian policy assistance will be rendered development of the market of farmlands, the register of farmers will be created, the agricultural sector will be provided with service and raw materials, the credit and leasing agricultural system will be strengthened and developed, small and average farmers will be provided with available money. Productivity, profitability and competitiveness will increase in agrarian sector, income gained from agricultural production will increase. The Government budget, the credits and grants given by the certain donor countries and the international organizations, private investments (local and foreign) will be a source of financing of agricultural industry.

The strategy of development of agricultural industry of Georgia for 2014-2020 covers seven main directions: increase in competitiveness of farmers and employed in agrarian sector; assistance to development of production of the full cycle creating additional costs; institutional development and trainings; development of regional and agricultural infrastructure; safety of products; harmlessness of products, Wednesday and biovariety.

Realization of these strategically important actions will promote rate of development of agricultural industry of Georgia, efficiency, increase in production and expansion of the export markets of production of the Georgian production. The "Strategies of Development of Agricultural Industry of Georgia for 2014-2020" project was developed as a result of cooperation of the Georgian agricultural department with the Organization of food and agricultural industry of the UN (FAO). The Ministry of Agriculture of Georgia and FAO in July, 2013 issued the agreement with the purpose of development of the Georgian agricultural sphere. According to the document, FAO takes the obligation to assist the government of Georgia in implementation of those tasks which are reflected in the strategy of development of agricultural industry for 2012-2022, in the strategic action plan for 2013-2015 and in other documents [10].

Cooperation between the parties will be carried out in six main priority directions: the help in connection with creation of policy; increase in sources of the income and food security of the population in the post-conflict environment; health of animals; protection of plants; safety of food and consumer protection; forest branch and fish breeding.

References

1. The strategy of development for a joint stock company "The national operating Kazagro holding for 2011 - 2020, of 31.01.2011 [the Electron. resource] / access Mode: <http://www.natd.gov.kz>.
2. Lipkovich E. I. Economic problems of technical and technological rearmament of agricultural industry of Russia / agrarian and industrial complex: Economy, management. 2014. No. 5. Page 12-20.
3. Minakov I. A. Methods and main directions of state regulation of agro-industrial complex / Economy of agricultural and processing enterprises. 2013. No. 6. Page 22-26.
4. Suslov V. I. Russia in a mirror of the international ratings//the Board of directors of Siberia. - 2015. - No. 9 (120). - Page 9.
5. Chernyaev A. A., Serdobintsev D. V. Mekhanizm of formation and model of functioning of regional agro-industrial clusters in Volga region / Economy of agricultural and processing enterprises. 2014. No. 3. Page 1-5.
6. Yanbykh R. G. Measures of support of rural development: coming back to experience of the European Union / Rural economics of Russia. 2014. No. 9. Page 81-85.
7. The state program "Development of agro-industrial complex of the Nizhny Novgorod Region" till 2020 [An electronic resource]. URL: <http://base.consultant.ru> (date of the address: 31.10.2014).
8. The report on efficiency of implementation of the regional target program for 2013 [An electronic resource] .URL:http://www.mcx-nnov.ru/apk_nizhobl_vc/(date of the address: 31.10.2014).
9. Army A.E., Kochubey of Page E., Naumov E. A. Sustainable development of national economies and world finance in the 21st century. - Astana, 2011. - 480 pages.
10. Information from the website of agrarian and industrial complex the Inform: [Electron. resource] / access Mode: http://www.apk-inform.com/ru/exclusive/topic/1052369#.WLj-um_yjIU

ნინო ჟორჯიკაშვილი

საქართველოს ეროვნული ბანკის სახელმძღვანელო პოლიტიკის თავისებურებანი

ანოტაცია. 2007-2009 წლების გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა გამოაგვლინა ხარვეზი ქვეყნების ცენტრალური ბანკების სახელმძღვანელო საქმიანობის კუთხით. მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე აკადემიურ წრეებში გავრცელებული იყო ხედვა, რომ მონეტარულ პოლიტიკასა და პრუდენციულ პოლიტიკას შორის არსებობს კონფლიქტი (ინფლაცია/ფინანსური სტაბილურობა), რაც ამართლებს მონეტარული და პრუდენციული ფუნქციების გაყოფას. ამ მიდგომიდან გამომდინარე

ნარე. ზოგიერთ ქვეყანაში მოცემული ფუნქციების განცალკევების მნიშვნელოვანი ტენდენცია შეინიშნებოდა. კრიზისის შემდეგ ნათლად წარმოჩნდა ამ მიდგომის სისუსტეები, რისი შედეგიც მაკროპრუდენციული თემების უზულებელყოფა გახდა.

დღესდღეობით მიღწეულია კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ საბანკო საზედამხედველო ნორმების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა აუცილებელი პირობაა თითოეული ქვეყნის ფინანსური და ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად.

საკვანძო სიტყვები: საზედამხედველო საქმიანობა, მაკროპრუდენციული პოლიტიკა, ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები, საბანკო სტაბილურობის ინდექსი.

მიმდინარე პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ეროვნული ბანკის მიერ საზედამხედველო პოლიტიკის განხორციელების საკითხები. როგორც ცნობილია, საქართველო ემყარება უცხოურ გამოცდილებას, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის 9 ქვეყანა (დანია, ბელგია, ლუქსემბურგი, ფინეთი, ირლანდია, შვედეთი, ავსტრია, გერმანია, საფრანგეთი) იყენებს როგორც განცალკევებულ, ისე შერეული ზედამხედველობის მოდელს. აღსანიშნავია, რომ 9-დან 8 ქვეყანაში განხორციელდა საპირისპირო ცვლილება (გარდა შვედეთისა, სადაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონტრ-რეფორმაზე მუშაობა), ვინაიდან რეფორმისათვის გამოყენებულმა მექანიზმებმა ზედამხედველობის განცალკევების მიმართულებით არ გაამართლა. ამრიგად, ამ ქვეყნებში ზედამხედველობა დაუბრუნეს ცენტრალურ ბანკს ან გააძლიერეს მისი როლი აღნიშნულ საქმიანობაში. აღსანიშნავია, რომ საბანკო ზედამხედველობა ცენტრალური ბანკის დაქვემდებარებაშია აშშ-შიც.

ევროპის ცენტრალური ბანკი (ECB)⁹⁸ ღიად უჭერს მხარს ზედამხედველობის ფუნქციის დარჩენას ცენტრალური ბანკის ფარგლებში, რაც გამომდინარეობს მისი ხანგრძლივი გამოცდილებიდან ამ სფეროში [European Central Bank, 2010: 5-7]. 2008-2009 წლის გლობალურმა და ევროზონის ფინანსურმა კრიზისმა⁹⁹ ნათლად გამოავლინა საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის ცენტრალური ბანკის ფარგლებში არსებობის უპირატესობა. აღნიშნულმა მოვლენამ განაპირობა 2000-იან წლებში დაწყებული ტენდენციის საპირისპირო მიმართულებით შეცვლა ევროპაში. იმ ქვეყნებში, სადაც რამდენიმე წლის წინ ზედამხედველობის ფუნქცია გამოყოფილი ცენტრალურ ბანკს, განახორციელეს კონტრ-რეფორმა: თითქმის ყველა შემთხვევაში, ცენტრალურ ბანკს მთლიანად ან ნაწილობრივ დაუბრუნეს საფინანსო ან საბანკო ზედამხედველობის პრეროგატივა. გამოვლინდა, რომ ზედამხედველობის ფუნქციის ცაკლე არსებობა ხელს უშლის ცენტრალურ ბანკს, აღასრულოს მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა – შეინარჩუნოს ქვეყნის მონეტარული და ფინანსური სტაბილურობა, მოახდინოს დროული რეაგირება მიმდინარე ფინანსურ რყევებზე. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს საზედამხედველო ფუნქცია 2009 წელს დაუბრუნდა (საზედამხედველო ფუნქცია სებ-ს 2008 წელს ჩამოერთვა). ზედამხედველობის ფუნქციის გამოყოფის შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება სებ-ის მიერ მისი კონსტიტუციური მოვალეობის შესრულების შესაძლებლობა მონეტარული პოლიტიკის წარმოებისა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიმართულებებით.

საქართველოში მაკროპრუდენციული პოლიტიკის ჩარჩო-პირობების ტექნიკური დოკუმენტაცია შემუშავდა სსფ-ს¹⁰⁰ მიერ საქართველოსთან პერიოდული კონსულტაციების შედეგად. სსფ-ს შეფასებით, საქართველოში კარგად არის კომბინირებული მაკროპრუდენციული და მონეტარული პოლიტიკა. კარგად ორგანიზებული მაკროპრუდენციული პოლიტიკა უნდა უწყობდეს ხელს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიან მუშაობას ფასებისა და ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად. ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა კი უნდა იყოს ამ ორი მიზნის მიღწევის გარანტი.

საქართველოს ეროვნული ბანკი არის საზედამხედველო ორგანო, რომელსაც ევალება მაკროპრუდენციული პოლიტიკის გატარება. ბანკში ფუნქციონირებს საბანკო საზედამხედველო ორგანო და ასევე სპეციალიზებული ჯგუფები, რომელიც იძლევა რეკომენდაციებს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მისაღწევად. დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის გაცვლას მაკროეკონომიკურ და სტატისტიკის დეპარტამენტთან. მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის მიერ

⁹⁸ ECB – ევროპის ცენტრალური ბანკი, დაფუძნდა 1998 წლის 1 ივნისს. შტაბბინა მდებარეობს გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში. იგი ევროპის ფულად-საკრედიტო ინსტიტუტის (EMI) სამართალმემკვიდრეა, რომელიც წამყვან როლს თამაშობდა 1999 წელს ევროს შემოდების მომზადებაში.

⁹⁹ გლობალური ფინანსური კრიზისი 2008 წელს გამოწვეული იყო ეკონომიკური ვარდნის რამდენიმე მნიშვნელოვანი ინდიკატორით მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

¹⁰⁰ სსფ – საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ; International Monetary Fund) — საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებების სტატუსი აქვს მინიჭებული. სსფ მიზნად ისახავს გლობალური ფინანსური სისტემის უზრუნველყოფას უცხოური გადაცვლის კურსების და საგადახდელო ბალანსის მონიტორინგის მეშვეობით.

სახელმძღვანელო რეგულირების კუთხით გატარებული ღონისძიებები, კერძოდ, 2010 წლის ოქტომბრიდან ამოქმედდა ბანკების გარეაუდიტორული შემოწმების წესი, რომელიც მომზადდა „საერთაშორისო აღრიცხვისა და მარწმუნებელი საბჭოს“ (IAASB) მიერ. გარეაუდიტორული შემოწმების წესის საფუძველზე, ეროვნული ბანკი იღებს დაწვრილებით ინფორმაციას ბანკების მიერ ფასს-ის შესაბამისად სესხების და რეზერვების პოლიტიკის შესახებ, დამფუძნებელი სათავე ბანკისა და ჰოლდინგის ფინანსურ ანგარიშგებას, რაც ზედამხედველს დიდ დახმარებას უწევს მისადმი დაქვემდებარებული ბანკის რისკის შეფასებაში. პრუდენციულ რეგულირებასთან ერთად, ეროვნული ბანკისათვის მნიშვნელოვანია მომხმარებლის უფლებების დაცვა ფინანსურ ბაზარზე. ამ მიზნით 2011 წლიდან ამოქმედდა „კომერციული ბანკების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი“, რაც არეგულირებს კომერციული ბანკების მიერ ფიზიკური პირებისათვის კრედიტის გაცემისა და სადეპოზიტო მომსახურების გაწევისას სრული, აუცილებელი, უტყუარი და გასაგები ინფორმაციის მიწოდებას [საქართველოს ეროვნული ბანკი, 2011: 57-58].

2015 [საქართველოს ეროვნული ბანკი, 2015:89] წელს გრძელდებოდა მუშაობა სახელმძღვანელო ჩარჩოს დახვეწასა და განვითარებაზე. ამ პერიოდის მანძილზე სახელმძღვანელო პროცესის ფარგლებში თანმდევი რისკის შეფასების პარალელურად, ასევე მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო რესურსი იხარჯებოდა კომერციულ ბანკებში რისკის მართვის ფუნქციის შეფასებასა და მის ქმედუნარიანობის წახალისებაზე. აღნიშნული შეფასება მოიცავდა სამეთვალყურეო საბჭოს, მენეჯმენტისა და შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობის განსაზღვრას. 2015 წლის დეკემბერში დამტკიცდა „კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკისთვის კაპიტალის ბუფერის განსაზღვრის ინსტრუქცია“. საქართველოს ეროვნული ბანკმა დაიწყო კაპიტალის კონტრაციული ბუფერის დანერგვა ბაზელ III-ის მიხედვით, 2015 წლისათვის. სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკებისათვის სავალდებულოა კონტრაციული ბუფერის პრაქტიკაში დანერგვა მომდევნო 5 წლის განმავლობაში. სხვა ქვეყნების გამოცდილება შესაძლებლობას იძლევა, საქართველოში გამოყენებულ იქნეს აპრობირებული მაკროპრუდენციული ინსტრუმენტები, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციის გაძლიერებას ფინანსური სტაბილურობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის გამოქვეყნებით. ეროვნულმა ბანკმა განახორციელა რამდენიმე ღონისძიება მაკროპრუდენციული პოლიტიკის მიმართულებით, კერძოდ კი კონტრაციული ბუფერის გამოყენება. 2002-2008 წლებში სესხების გაცემაზე დაწესდა ლიმიტი 100%, ხოლო 2008-2010 წლებში შემცირდა 50%-მდე, 2011 წელს ისევ გაიზარდა 75%-მდე. იგივე პოლიტიკა იქნა გამოყენებული სარეზერვო მოთხოვნებთან დაკავშირებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა LTV და PPI¹⁰¹ ინსტრუმენტების აქტიურად გამოყენებას. მაკროპრუდენციული პოლიტიკის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ვალუტის სტაბილურობისათვის, რაც დაკავშირებულია საკრედიტო და ლიკვიდობის რისკის შემცირებასთან, ასევე დედოღარიზაციის ხელშეწყობასთან.

ფინანსური სტაბილურობის ინდექსი და ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები

საერთო საბანკო სტაბილურობის ინდექსი (ABSI) ფინანსური სტაბილურობის სისტემური შეფასების ერთ-ერთი საშუალებაა, ის წარმოადგენს უქმნის პოლიტიკის განმსაზღვრელებს ფინანსური სისტემის მდგრადობაზე შესაძლო არასასურველი შოკების დროს. ამის გარდა, ინდექსის მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს დაკვირვება ფინანსური სისტემის სტაბილურობაზე დინამიკაში, მის დროში ევოლუციაზე. სხვა მეთოდებთან შედარებით მისი უპირატესობაა გამჭვირვალობის მაღალი დონე, საჭირო სტატისტიკური მონაცემების ადვილად იდენტიფიცირებადობა. ინდექსის გამოთვლის სირთულეს წარმოადგენს ცალკეული ინდიკატორების შერჩევა, მათი ნორმალიზაცია და შესაბამისი წონების განსაზღვრა.

შვეიცარიის ეროვნულ ბანკს შექმნილი აქვს საერთო სტრესინდექსი (Composite Stress index) ქვეყნის საბანკო სისტემისათვის და რეგულარულად აქვეყნებს მას ფინანსური სტაბილურობის წლიურ ანგარიშში. ინდექსის შემადგენლობაში შეყვანილია სხვადასხვა ცვლადები; ისინი ზომავენ ბანკების მომგებიანობასა და კაპიტალის ადეკვატურობას (Hanschel and Monnin, 2005). ალბულესკუმ (Albulescu, A2010) განავითარა საერთო სტაბილურობის ინდექსი რუმინეთის ფინანსური სისტემისათვის. მან ინდექსის შემადგენლობაში ჩართო 20 ინდიკატორი, რომლებიც კავშირშია ფინანსური სისტემის მდგრადობასთან, სიჯანსაღესა და საერთაშორისო ეკონომიკურ კლიმატთან. მან თითოეულ ინდიკატორს გაუკეთა ნორმალიზაცია და შემდეგ საერთო ინდექსში გააერთიანა.

ანალოგიურად, თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა 6 ქვეინდექსის გამოყენებით ფინანსური სიძლიერის ინდექსი შექმნა (Financial Strength Index). ეს ინდექსი მოიცავს აქტივების ხარისხს, ლიკ-

¹⁰¹ LTV – სესხის მოცულობის აქტივის ფასთან ფარდობის მაჩვენებელი, PPI – სესხის შენატანების შენატანებთან ფარდობის მაჩვენებელი.

ვიდურობას, საპროცენტო განაკვეთების რისკს, მომგებიანობას, გაცვლით კურსს და კაპიტალის ადეკვატურობას.

საბანკო სტაბილურობის ინდექსის გამოთვლისას გამოყენებულია საქართველოს კომერციული ბანკების ფინანსური მონაცემები 2005-2012 წლების პერიოდისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს საბანკო სექტორი მოიცავს მთლიანი საფინანსო სისტემის აქტივების 90%-ზე მეტს, ინდექსის გამოთვლით მიღებული შედეგების განზოგადება შესაძლებელია სისტემის მასშტაბით. უფრო მეტი სიზუსტისათვის, ინდექსი გამოთვლილია კვარტალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

საბანკო სტაბილურობის ინდექსის მაღალი ხარისხის მიღწევის მიზნით, მის შემადგენლობაში ჩართულ იქნა ფინანსური სტაბილურობის სხვადასხვა შინაარსის ინდიკატორები (FSIs). ინდიკატორების ეს ჯგუფი რეკომენდებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ ფინანსური სექტორის სიჯანსაღის მონიტორინგისა და შეფასებისთვის; ინდიკატორები მოიცავს: კაპიტალის ადეკვატურობას, აქტივების ხარისხის დონეს, მომგებიანობას, ლიკვიდურობას, სავალუტო რისკს (იხ. გრაფიკი 1)

ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები		
კაპიტალის ადეკვატურობა	საზედამხედველო კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	I1
	წმინდა უმოქმედო სესხები/კაპიტალი	I2
აქტივების ხარისხი	უმოქმედო სესხები/მთლიანი სესხები	I3
მოგება და მომგებიანობა	უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA)	I4
	უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE)	I5
	წმინდა საპროცენტო შემოსავალი/მთლიანი შემოსავალი	I6
	არასაპროცენტო ხარჯი/მთლიანი შემოსავალი	I7
ლიკვიდურობა	სხვაობა სესხისა და დეპოზიტის განაკვეთებს შორის	I8
	ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები	I9
	ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები	I10
სავალუტო რისკი	კლიენტის დეპოზიტები/მთლიანი სესხები	I11
	წმინდა ღია სავალუტო პოზიცია/საზედამხედველო კაპიტალი	I12


გრაფიკი 1. ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2013, საერთო საბანკო სტაბილურობის ინდექსი, ტომი I, N3, გვ. 40

საზედამხედველო კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (I1) – იგი ზომავს დეპოზიტური კორპორაციების კაპიტალის ადეკვატურობას, კერძოდ ბანკის უნარს, გაუმკლავდეს უარყოფით შოკებს და გაუთვალისწინებელ დანაკარგებს. იგი ასევე გვიჩვენებს ბანკის ლევერიჯის დონეს, ანუ რამდენად ფინანსდება ბანკის აქტივების სხვა წყაროებით, გარდა საკუთარი კაპიტალისა. წმინდა უმოქმედო სესხები/კაპიტალი (I2) – წმინდა უმოქმედო სესხები არის უმოქმედო სესხებს გამოკლებული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი. ეს ინდიკატორი აღწერს ბანკის შესაძლებლობას, გაუძლოს სტრესს, რომელიც გამოწვეულია უმოქმედო სესხების არსებობით. უმოქმედო სესხები/მთლიანი სესხები (I3) – აღწერს სასესხო პორტფელის ხარისხს და გვიჩვენებს საკრედიტო რისკის დონეს. უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA) (I4) – ინდიკატორი ზომავს ბანკის მომგებიანობასა და ეფექტიანობას მისი აქტივების გამოყენების თვალსაზრისით. უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE) (I5) – ინდიკატორი ზომავს ბანკის მომგებიანობასა და ეფექტიანობას მისი კაპიტალის გამოყენების თვალსაზრისით. წმინდა საპროცენტო შემოსავალი/მთლიანი შემოსავალი (I6) – მაჩვენებელი ასახავს წმინდა საპროცენტო შემოსავლის (საპროცენტო შემოსავალს მინუს საპროცენტო ხარჯი) ფარდობით წილს მთლიან შემოსავალში. ბანკის დაბალი ლევერიჯის შემთხვევაში, ინდიკატორი, როგორც წესი მაღალია.

არასაპროცენტო ხარჯი/მთლიანი შემოსავალი (I7) – გვიჩვენებს ადმინისტრაციული ხარჯების მოცულობას მთლიან შემოსავალთან მიმართებაში ანუ, ბანკის მიერ რესურსების გამოყენების ეფექტურობას. სხვაობა სესხებსა და დეპოზიტების განაკვეთებს შორის (I8) – ბანკის მომგებიანობის მაჩვენებელია; ასევე ასახავს სექტორის კონკურენტუნარიანობის დონეს. ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები (I9) – ლიკვიდური აქტივების წილი მთლიან აქტივებში. ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები (I10) – ლიკვიდური აქტივების წილი მოკლევადიან ვალდებულებებში. კლიენტის დეპოზიტები/მთლიანი სესხები (I11) – კლიენტის დეპოზიტების წილი მთლიან სესხებში. წმინდა ღია სავალუტო პოზიცია/საზედამხედველო კაპიტალი (I12) – წმინდა ღია სავალუტო პოზიციის წილი საზედამხედველო კაპიტალში.

ტივები/მთლიანი აქტივები (I9) – ლიკვიდობის მაჩვენებელი, რომელიც აღწერს რამდენად არის შესაძლებელი მოსალოდნელი და მოულოდნელი მოთხოვნის დაკმაყოფილება ნაღდ ფულზე. ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები (I10) – ასახავს ლიკვიდობის შეუსაბამობას ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის. ასახავს, რამდენად აქვს შესაძლებლობა ბანკს, გაუმკლავდეს მოკლევადიან პერიოდში თანხების გადინებას ლიკვიდობის მხრივ პრობლემების წარმოქმნის გარეშე. კლიენტების დეპოზიტები/მთლიანი სესხები (I11) – ინდიკატორი გვიჩვენებს, სესხები პორტფელის რა წილი ფინანსდება კლიენტთა დეპოზიტებით. თუ ფარდობის მნიშვნელობა ნაკლებია ერთზე, სესხის გაცემის დასაფინანსებლად ბანკი დამოკიდებულია ნასესხებ სახსრებზე. წმინდა ღია სავალუტო პოზიცია/საზედამხედველო კაპიტალი (I12) – ზომავს ბანკის მგრძობელობას სავალუტო რისკების მიმართ, საზედამხედველო კაპიტალთან მიმართებაში. იგი ასახავს შეუსაბამობას ბანკის უცხოურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის.



გრაფიკი 2. მომგებიანობა %


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 04/2017, საფინანსო სექტორის მიმოხილვა, გვ. 12

დრო	05/16	06/16	07/16	08/16	09/16	10/16	11/16	12/16	01/17	02/17
ROA *	2.8	2.6	2.6	2.7	2.9	2.7	2.8	2.9	2.8	3
ROE **	19.4	18.4	18.4	18.2	18.9	20.4	19.1	19.2	20.6	21.1
* უკუგება აქტივებზე = (ბოლო 12 თვის მოგებათა ჯამი)/(ბოლო 12 თვის აქტივების საშუალო)										
** უკუგება კაპიტალზე=(ბოლო 12 თვის მოგებათა ჯამი)/(ბოლო 12 თვის კაპიტალის საშუალო)										

გრაფიკი 3. უკუგება აქტივებსა და კაპიტალზე

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 04/2017, საფინანსო სექტორის მიმოხილვა, გვ. 15.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილია საბანკო სტაბილურობის ინდექსის დინამიკა საქართველოსათვის 2005-2012 წლებში. როგორც ჩანს, საბანკო სტაბილურობის ინდექსის და მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა ემთხვევა ერთმანეთს, ორივე მაჩვენებელი მცირდება გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე, ხოლო შემდგომ ეკონომიკის გამოჯანსაღებასთან ერთად იწყებს ზრდას.



გრაფიკი 4. საბანკო სტაბილურობის ინდექსის (ABSI) განვითარება 2005-2012 წლებში

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2013, საერთო საბანკო სტაბილურობის ინდექსი, ტომი I, N3, გვ. 43

ფაზა 1 - 2005 წლიდან 2007 წლის ბოლომდე, როდესაც ინდექსის მნიშვნელობა უმეტესად 0-ზე მაღალია, რაც ხაზს უსვამს ქვეყანაში ფინანსური სისტემის სტაბილურობის მეტ-ნაკლებად მისაღებ დონეს.

ფაზა 2 - 2008 წლიდან 2010 წლის მეორე კვარტლის ჩათვლით, როცა ინდექსის მნიშვნელობა უარყოფითია, ეს პერიოდი ემთხვევა გლობალურ ფინანსურ კრიზისს.

ფაზა 3 - 2010 წლის მესამე კვარტილიდან 2012 წლის ბოლომდე. ამ პერიოდში ნელ-ნელა იწყება კრიზისიდან გამოსვლა, შესაბამისად ფინანსური სექტორის სტაბილურობაც იზრდება.

კორელაცია					
ლაგი (კვარტალი)	1	0	-1	-2	-3
2005-2011	0.654	0.792	0.802	0.789	0.593
2006-2010	0.69	0.862	0.897	0.826	0.599
2007-2009	0.884	0.877	0.914	0.866	0.674

გრაფიკი 5. კორელაცია GDP-ის ზრდის ტემპსა და საბანკო სტაბილურობის ინდექსის სხვადასხვა ლაგის მიხედვით

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2013, საერთო საბანკო სტაბილურობის ინდექსი, ტომი I, N3, გვ. 48

ყურადღებას ასევე იქცევს ის ფაქტი, რომ რაც უფრო ვამცირებთ დროის დიაპაზონს კრიზისის დაწყების თარიღის ირგვლივ, მით უფრო იზრდება კორელაცია, რაც დამატებით მიუთითებს ინდიკატორის ეფექტურობაზე, განსაკუთრებით კრიზისის წინა და შემდგომ პერიოდებში.

ზემოთ მოყვანილი ფაქტი მიუთითებს ინდიკატორის წარმატებულ ფუნქციონირებაზე და თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ინდექსმა ასევე წარმატებით უნდა იმუშაოს საქართველოს მსგავს ეკონომიკებშიც.

დასკვნა

გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად გამოვლენილი სახედამხედველო პოლიტიკის ხარვეზებმა დღის წესრიგში დააყენა მაკროპრუდენციული პოლიტიკის მეთოდებისა და ნორმების პრაქტიკაში დანერგვა და მათი აქტიური გამოყენება. თითოეული ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ გაანალიზდა მონეტარული და სახედამხედველო საქმიანობის ინტეგრაციის აუცილებლობა ფინანსური და ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად. შედეგად, დაინერგა ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები, რომლებიც კარგად რეაგირებენ მაკროეკონომიკურ შოკებზე და ხედამხედველებს საშუალებას აძლევენ, გაატარონ ეფექტური კონტრაციული პოლიტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, 2011, ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, გვ. 57-58.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი, 2013, საერთო საბანკო სტაბილურობის ინდექსი, ტომი I, გვ. 48.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი, 2015, ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, გვ. 89.
4. Albulescu C.T., 2010, Forecasting the Romanian Financial System Stability Using a Stochastic Simulation Model. Journal for Economic Forecasting, vol. 13, no. 1, pp. 81-98.
5. European Central Bank, 2010, *Recent Developments in Supervisory Structures in the EU member states*, pp. 5-7

Nino Zhorzhikashvili

SUPERVISORY POLICY PECULIARITIES OF THE NATIONAL BANK OF GEORGIA

Summary

The 2007-2008 global financial crisis revealed defective supervisory policy activities. In the academic circles before the global financial crisis there was a widespread perspective that there was a conflict between the monetary policy and the prudential policy (inflation / financial stability), which justifies the division of monetary and prudential functions. Depending on this approach, in some countries there was a significant tendency for separation of certain functions. After the crisis, the weakness of this approach was clearly demonstrated by the fact that the result was the negation of macroprudence themes.

Nowadays, consensus has been suggested that development of banking regulatory norms and their implementation in practice is a necessary condition for achieving the financial and economic stability of each country.

ცოტნე ჯორჯიანი

ინსტიტუტების ზომა და განვითარების ტრენდი საქართველოს ეკონომიკაში

ანოტაცია. ინსტიტუციური განვითარება მნიშვნელოვანი საკითხია როგორც ეკონომიკური მეცნიერებისათვის, ასევე აქტუალური პრაქტიკული საკითხია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ინსტიტუციურ ცვლილებათა თემა განსაკუთრებით მგრძობიარეა განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის პოსტკომუნისტური ეკონომიკებისთვის, ისეთის, როგორც საქართველო. სტატიის მიზანია საქართველოს ეკონომიკაში არსებული ინსტიტუტების ზომის შეფასება, კავშირების შესწავლა სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის და მათი შედარება დანარჩენი პოსტკომუნისტური ქვეყნების ინსტიტუტებთან.

საკვანძო სიტყვები: ინსტიტუციური განვითარება, ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები, შიდა და გარე ინსტიტუტები.

შესავალი

ეკონომიკური განვითარება მეტწილად განისაზღვრება იმ ინსტიტუციური ჩარჩოთი, რომლის შიგნითაც მიმდინარეობს ეკონომიკური პროცესები. ინსტიტუციური ჩარჩო კი მოიცავს უამრავ ინსტიტუციურ ერთეულს, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან დანიშნულებით, სტრუქტურით თუ ბუნებით. შესაბამისად, ინსტიტუციური ანალიზი საჭიროებს განსხვავებული ინსტიტუტების დაჯგუფებას გარკვეული ნიშნების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუციურ სივრცეს ახასიათებს მუდმივი ცვალებადობა. ინსტიტუტები იცვლიან სტრუქტურას ან ნაცვლდებიან ახალი ინსტიტუტებით. გარკვეული ინსტიტუტების გაქრობა არის არა ვაკუუმის შემქმნელი, არამედ შედეგი საზოგადოების ღირებულებების და მიზნების გრძელვადიანი ცვლილების (ნორტი დ., 1981: 14). შედეგად, ხდება გადაჯგუფება ინსტიტუციურ სივრცეში. მოტივაცია ცვლილებებისთვის მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ცვლილებისათვის გასაწევი ხარჯების მოცულობაზე. ინსტიტუციურ სივრცეზე კი გავლენას ახდენს როგორც ტრანს-ფორმაციული, ისე ტრანსაქციული ხარჯები (ნორტი, 1991: 13).

ყველაზე გავრცელებული და პოპულარული ინსტიტუციური დაჯგუფება მოცემულია ნობელის პრემიის ლაურეატის, ეკონომისტი დუგლას ნორტის მიერ. ის მოიცავს ინსტიტუტების (ნორმების) დაყოფას ორ ფართო ჯგუფად: ფორმალური და არაფორმალური. არაფორმალური ნორმა განისაზღვრება ქცევის წესებით და შეთანხმებებით და ნაწილია ჩვენი კულტურის. ფორმალური ნორმები, მათგან განსხვავებით, დაწერილია და მოიცავს იურიდიულ უფლებებს კონსტიტუციიდან სხვადასხვა ტიპის კანონებამდე, ასევე ნებისმიერი სახის ინდივიდუალურ კონტრაქტებს (ნორტი დ., 1991: 14-17).

ჩვენს კვლევაში შეგვიძლია ასევე გამოვიყენოთ ერთი საინტერესო თეორიული დაჯგუფება ინსტიტუტების შესახებ. ეს არის შიდა და გარე ინსტიტუტები. მსგავსი დაჯგუფება პირველად ნახსენებია გერმანელი ეკონომისტის ლუდვიგ ლაჰმანის მიერ 1973 წელს. თანამედროვე გერმანელი ეკონომისტი სტეფან ვოიგტი კი გვთავაზობს ამ განსხვავების შემდეგ აღწერას: ნორმა არის გარე, თუ მის აღსრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს, ხოლო შიდა ნორმის სანქცირება ხდება უშუალოდ საზოგადოების მიერ [ვოიგტი ს., 2016: 3]. ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია შიდა ინსტიტუტები, რომლებიც პირველად ვილაცამ აღმოაჩინა, დარწმუნდა მის სარგებლიანობაში და შემდეგ მოხდა მისი გამოყენების ფართოდ დანერგვა საზოგადოებაში [კასპერი ვ., 1999: 100-109]. სტეფან ვოიგტი თავის ნაშრომში, ასევე გვთავაზობს ინსტიტუტების განაწილების თეორიულ მოდელს ორივე ზემოთ ნახსენები მეთოდის მიხედვით (ფორმალური და არაფორმალური, შიდა და გარე).

* * *

თუ გამოვიყენებთ ორივე მიდგომას, ჩვენ მივიღებთ ორგანოზომილებიან ინსტიტუციურ სტრუქტურას 4 ჯგუფის შემადგენლობით. ეს ჯგუფებია: ფორმალური შიდა, ფორმალური გარე, არაფორმალური შიდა და არაფორმალური გარე ინსტიტუტები. ნაშრომის შემდგომ ნაწილში, მათს ნაცვლად რიგ შემთხვევებში გამოვიყენოთ აღნიშვნები: ფორმალური შიდა – FI, ფორმალური გარე – FE, არაფორმალური შიდა – II და არაფორმალური გარე – IE. თითოეული ინსტიტუციური ჯგუფი მოკლედ შეგვიძლია აღვწეროთ შემდეგი სახით: ფორმალური გარე ინსტიტუტები (FE) – კანონები და სხვა ოფიციალური ნორმები, რომელიც რეგულირდება სახელმწიფოს მიერ; ფორმალური შიდა ინსტიტუტები (FI) – საზოგადოებასა და ბიზნესში არსებული ფორმალური ნორმები; არაფორმალური გარე ინსტიტუტები (IE) – სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობა და საზოგადოების დამოკიდებულება საჯარო ინსტიტუტების მიმართ; არაფორმალური შიდა ინსტიტუტები (II) – დაუწერელი ქცევის კანონები საზოგადოებაში, მაგალითად: ეთიკური ნორმები.

თეორიული საფუძვლების წყალობით, ინსტიტუტების დაჯგუფების შემდეგ, მნიშვნელოვანი ეტაპი არის იმ ინდიკატორების მოძიება, რომლის საშუალებით მოხდება თეორიული მოდელის ელემენტების პრაქტიკული გაზომვა. ზოგადად, ინსტიტუტების ზომის შეფასება ეკონომიკურ მეცნიერებაში პრობლემატური საკითხია, რადგან ცვლადთა უმეტესობა არ არის რაოდენობრივი ხასიათის. თუმცა, მოიძებნება უამრავი ინდიკატორი, რომელიც აფასებს ინსტიტუციური განვითარების დონეს სხვადასხვა ასპექტების მიხედვით. ნაშრომში, ზემოთ მოცემული ორგანოზომილებიანი მოდელისთვის ყველაზე მეტად შესაბამისია გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსები, რომელიც გაიანგარიშება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ყოველწლიურ კონკურენტუნარიანობის ანგარიშის ფარგლებში. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი მოიცავს ინფორმაციას 140 ქვეყანის შესახებ და თითოეული მათგანისთვის აერთიანებს ინდექსებს 12 ძირითად ჯგუფში. ამ ჯგუფებიდან, ნაშრომისთვის საინტერესოა 1-ლი ჯგუფი – „ინსტიტუტები“. მოცემული ჯგუფი მოიცავს 21 ინსტიტუციურ ინდიკატორს გაერთიანებულ 7 ქვეინდექსად. ინსტიტუციური ინდიკატორების წყარო არის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ჩატარებული ყოველწლიური საზოგადოებრივი აზრის კვლევები.

შემდეგომ ეტაპზე ხდება თითოეული ინსტიტუციური ინდიკატორისთვის ორივე განზომილების მინიჭება (არის შიდა თუ გარე, არის ფორმალური თუ არაფორმალური?). გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსები მარტივად ნაწილდება ორგანოზომილებიანი ინსტიტუციური მოდელის ერთ-ერთი განზომილების (შიდა და გარე) მიხედვით. ინდექსების ჯგუფი „ინსტიტუტები“ იყოფა ორ ქვეჯგუფად: „სახელმწიფო ინსტიტუტები“ და „კერძო ინსტიტუტები“ შესაბამისად, სახელმწიფო ინსტიტუტებში არსებული ინდიკატორები შეგვიძლია მოვიაზროთ გარე ინსტიტუტების დასახასიათებლად, ხოლო კერძო ინსტიტუტებში არსებული ინდიკატორები შიდა ინსტიტუტების დასახასიათებლად. მეორე განზომილების (ფორმალური და არაფორმალური) შესაფასებლად საჭიროა თითოეული ინდიკატორის განაწილება მათი შინაარსის მიხედვით, ახასიათებენ ისინი წერილობით ნორმებს თუ არა?

განაწილების შედეგად, ორგანოზომილებიანი მატრიცის თითოეულ ჯგუფში აღმოჩნდა შემდეგი ქვეინდექსები და ქვეინდექსებში შემავალი ინდიკატორები (მოცემულია ფრჩხილებში):

ფორმალური გარე ინსტიტუტები (FE): საკუთრების უფლებები (საკუთრების უფლებების დაცვა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა); საჯარო სექტორის ეფექტიანობა (სახელმწიფო ხარჯების ეფექტიანობა, სახელმწიფო რეგულაციების ტვირთი, დავების მოგვარების კანონმდებლობის ეფექტიანობა, რეგულაციების საკანონმდებლო ბაზის ეფექტიანობა, საჯარო პოლიტიკის გამჭვირვალობა).

არაფორმალური გარე ინსტიტუტები (IE): ეთიკური ნორმები და კორუფცია (სახელმწიფო რესურსების დივერსიფიკაცია, საზოგადოებრივი ნდობა პოლიტიკოსების მიმართ, არაფორმალური

გადახდები და თაღლითობა); არაფორმალური ზეგავლენა სახელმწიფო სექტორზე (სასამართლოს დამოუკიდებლობა, საჯარო გადაწყვეტილებების ობიექტურობა); უსაფრთხოება (ბიზნესის ხარჯები ტერორიზმის წინააღმდეგ, ბიზნესის ხარჯები კრიმინალის წინააღმდეგ, ორგანიზებული კრიმინალის დონე, საპოლიციო სერვისების საიმედოობა).

ფორმალური შიდა ინსტიტუტები (FI): ანგარიშვალდებულება (აუდიტის და ანგარიშგების სტანდარტების ხარისხი, კორპორაციული საბჭოების ეფექტიანობა, მცირე მეწილე აქციონერების დაცვა, ინვესტორების დაცვა).


არაფორმალური შიდა ინსტიტუტები (II): კორპორაციული ეთიკა (ფირმების ეთიკური ქცევა ბიზნესსაქმიანობაში)

გლობალური კონკურენტუნარიანობის 2016-2017 წლის ანგარიშში საქართველოს მანქანების მარკეტის ანგარიშის 4.2 (1-7) და მსოფლიოს 140 ქვეყანას შორის 66-ე ადგილზეა. უშუალოდ ინსტიტუციური ინდიკატორების ჯგუფის ქულა აღემატება ინდექსის საერთო ქულას – 4.4 (1-7), მათ შორის სახელმწიფო ინსტიტუტები – 4.4, ხოლო კერძო ინსტიტუტები – 4.3. ინდიკატორების განაწილების ზემოთ მოცემული მეთოდის მიხედვით შეგვიძლია გავზომოთ ოთხივე ინსტიტუციური ჯგუფი ცალკე საქართველოს მაგალითზე. ამისათვის, პირველ რიგში მოვახდინოთ ინდექსების რეკალკულაცია 1-7-იდან 0-100-მდე, ხოლო შემდეგ დავითვალთ მარტივი საშუალო არითმეტიკული თითოეულ ჯგუფში შემავალი ყველა ქვეინდექსისთვის (მარტივი საშუალო არითმეტიკული გამოყენების მიზეზი არის ქვეინდექსების თანაბარი წონა საერთო ინდექსის გაანგარიშებაში). შედეგად მივიღეთ ახალი კოეფიციენტები თითოეული ჯგუფისთვის:

- ფორმალური გარე ინსტიტუტები (FE) - 53.6
- ფორმალური შიდა ინსტიტუტები (FI) – 59.1
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები (IE) – 58.7
- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები (II) - 48.0

როგორც ვხედავთ, ყველაზე მაღალი მნიშვნელობა (59.1) აქვს ფორმალურ შიდა ინსტიტუტებს, ანუ იმ ოფიციალურ/ფორმალურ თამაშის წესებს, რომელიც გვხდება კერძო სექტორის ეკონომიკურ საქმიანობაში. ამ ჯგუფში შემავალი ინდიკატორებიდან გამოსარჩევია აუდიტის და ანგარიშგების სტანდარტების ხარისხი – 4.6 ქულა 7.0-დან, კორპორაციული საბჭოების ეფექტიანობა – 4.6 ქულა 7.0-დან, ინვესტორების დაცვა 6.1 -10.0-დან).

ინსტიტუციური ჯგუფების ზომის ამსახველი კოეფიციენტები პოსტ-კომუნისტური ქვეყნების ჯგუფების მიხედვით (0-100); 2016 წელი



დიაგრამა 1

ასევე მაღალი კოეფიციენტი აქვს არაფორმალურ გარე ინსტიტუტებს (58.7). ის ხასიათდება საზოგადოების დამოკიდებულებით სახელმწიფო ინსტიტუტების და მთლიანად სახელმწიფოს მიმართ. შედარებით მცირე მანქანების ქულა აქვს სახელმწიფოს მოცემულ ჩარჩო პირობებს. ფორმალური გარე ინსტიტუტების კოეფიციენტი არის 53.6, სადაც გამოსარჩევია რეგულაციების ტვირთის კოეფიციენტი (4.7 ქულა 7.0-დან). რეგულაციების ტვირთი საქართველოში მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე დაბალია (მე-7 ადგილი 140 ეკონომიკიდან) ოთხი ინსტიტუციური ჯგუფიდან,

ხოლო ყველაზე მცირე მაჩვენებელი გვხვდება არაფორმალურ შიდა ინსტიტუტებში (48.0), რომელიც გამომდინარეობს საზოგადოებაში არაფორმალური ურთიერთობებიდან. საზოგადოების დამოკიდებულება და ქცევა ბიზნესსაქმიანობაში, ასევე სხვა საქმიანობებში ჯერ კვლავაც აქტიურ ტრანსფორმაციულ პროცესშია. ჩვენს მაგალითში მოცემული ინსტიტუციური ჯგუფი განისაზღვრება კოეფიციენტით „ფორმების ეთიკური ქცევა“.

მნიშვნელოვანი საკითხია ასევე მაჩვენებლების დინამიკა, რომელიც მოცემულია ცხრილში. ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ქვეყანაში ინსტიტუტების ხარისხი მკვეთრად გაზრდილია. სხვადასხვა ჯგუფებს შესაძლებელია დადებითი გავლენა ჰქონდეს ერთმანეთზე სინერგიული ეფექტით, მაგალითად, სახელმწიფო ორგანიზაციებში დამკვიდრებული ეფექტიანი წესები შესაძლებელია ათვისებულ იქნეს კერძო სექტორში (ან პირიქით) ან ბიზნეს ინსტიტუტების ეფექტიანმა მმართველობამ ამ მოსაზრების სასარგებლოდ, ერთ-ერთი ფაქტორი ამ ჯგუფებს შორის არსებული მაღალი კორელაციის კოეფიციენტები შესაძლებელია იყოს.

ცხრილი 1

კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის საქართველოში, 2007-2016 წლები

	FE	FI	IE	II
FE	1.00	0.62	0.93	0.84
FI	0.62	1.00	0.59	0.55
IE	0.93	0.59	1.00	0.79
II	0.84	0.55	0.79	1.00

ცხრილი 2

ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტები პოსტკომუნისტური ქვეყნების მიხედვით (0-100); 2016 წელი

ქვეყანა	FE	FI	IE	II
ალბანეთი	42,2	60,3	44,7	55,0
სომხეთი	47,9	57,3	49,5	40,8
აზერბაიჯანი	52,2	57,0	54,2	53,7
ბოსნია და ჰერცეგოვინა	29,9	45,0	37,2	35,0
ბულგარეთი	39,8	60,0	38,3	43,8
კამბოჯა	37,8	46,7	39,9	47,1
ჩინეთი	54,9	53,0	56,7	51,4
ხორვატია	35,3	56,5	46,0	43,5
ჩეხეთი	52,1	65,6	51,2	46,9
ესტონეთი	66,5	66,7	71,8	64,0
საქართველო	53,6	59,1	58,7	48,0
უნგრეთი	32,6	52,7	41,7	27,4
ყაზახეთი	52,6	59,3	53,6	52,2
ყირგიზეთი	38,7	49,6	37,4	39,8
ლაოსი	47,0	46,3	52,1	50,3
ლატვია	46,7	56,9	50,4	49,1
ლიტვა	48,0	63,2	53,9	54,6
მაკედონია	47,4	60,9	47,8	50,4
მოლდოვა	32,4	48,8	32,2	35,5

მონტენეგრო	44,4	52,2	46,0	48,3
პოლონეთი	44,3	61,4	50,2	49,9
რუმინეთი	40,9	52,2	43,7	37,9
რუსეთი	39,2	53,1	43,2	48,6
სერბეთი	33,0	49,5	38,9	38,8
სლოვაკეთი	40,1	60,4	38,0	37,8
სლოვენია	46,1	59,7	54,0	48,3
ტაჯიკეთი	55,7	56,4	57,5	57,5
უკრაინა	33,0	44,6	30,4	39,6
ვიეტნამი	44,1	45,9	48,1	43,9

ცხრილი 3

ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტები საქართველოში (0-100); 2007-2016 წლები

	FE	FI	IE	II
2007	38,4	48,0	46,0	43,5
2008	42,9	50,9	51,3	47,3
2009	42,0	51,3	49,1	46,8
2010	41,6	52,1	51,2	45,8
2011	41,2	54,1	53,8	49,2
2012	39,6	55,4	55,0	51,5
2013	41,2	54,7	54,5	50,1
2014	45,4	55,4	58,6	53,0
2015	50,5	57,0	61,2	52,1
2016	53,6	59,1	58,7	48,0

იმისათვის რომ დავინახოთ, რით გამოირჩევა საქართველოს ინსტიტუციური სტრუქტურა საჭიროა მსგავსი მეთოდით გავიანგარიშოთ კოეფიციენტები სხვა ეკონომიკებისთვისაც. რადგან საქართველოში არსებული ინსტიტუტების ნაწილს აქვს საფუძვლები გეგმურ ან პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეკონომიკაში, ამიტომ შედარება მოვახდინოთ პოსტკომუნისტურ და პოსტტრანსფორმაციულ ეკონომიკებზე. ამისათვის გამოვიყენოთ, მსოფლიო ბანკის 2002 წლის ჩამონათვალი 26 ქვეყნის შემადგენლობით, ამ ქვეყნების ნაწილი დღეს ჯერაც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ფაზაშია, ზოგმა კი უკვე გაიარა ტრანსფორმაციის პროცესი და პოსტტრანსფორმაციულ გზას ადგას, თუმცა ინსტიტუციურ ცვლილებათა პროცესი ყველგან აქტუალურია. ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ესტონეთი, ვიეტნამი, კამბოჯა, ლაოსი, ლატვია, ლიტვა, მაკედონია, მოლდოვა, მონტენეგრო, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, საქართველო, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, სომხეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა, უნგრეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ჩეხეთი, ჩინეთი, ხორვატია. შედეგები მოცემულია დანართში (ცხრილი). საინტერესოა, რომ საქართველოს მახვენებელი ოთხივე ჯგუფში აღემატება პოსტკომუნისტური ქვეყნების საშუალოს, ხოლო სამ ჯგუფში ევროკავშირში შემავალი ქვეყნების საშუალოზე მეტია (რომელთა უმეტესობა განვითარებული ეკონომიკების რიგს მიეკუთვნება).

დასკვნა

ინსტიტუციური ანალიზი გვიჩვენებს კორელაციას სხვადასხვა ტიპის ინსტიტუტებს შორის. შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოში ინსტიტუციურ განვითარებას აქვს გამოკვეთილი აღმავალი ტრენდი სხვადასხვა მიმართულებებით. ფორმალური შიდა ინსტიტუტები, საზოგადოებაში დამკვიდრებული ოფიციალური წესების სახით არიან ყველაზე ძლიერია როგორც საქართველოში, ისე დანარჩენ პოსტკომუნისტურ ეკონომიკებში. სხენებული ჯგუფის მახვენებლები განსაკუთრებით მაღალია ევროკავშირის წევრ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, სადაც კერძო კონტრაქტების და არბიტრაჟის საკმაოდ მაღალი სტანდარტია. სხვა ინსტიტუციურ ჯგუფებთან შედარებით, საქართველოში არცთუ წარმატებული მდგომარეობაა არაფორმალური შიდა ინსტიტუტების კუთხით, რადგან ბიზნესეთიკა ჯერაც ჩამოყალიბების საწყის სტადიაზეა და დროში დაგვიანებით პასუხობს ლეგალური ჩარჩო-პირობების შესაბამის განვითარებას. შესაბამისად, ყოველი დაგვი-

ანებული ნაბიჯი ფორმალური ინსტიტუტების განვითარებასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო აფერხებს დროში რიგი საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმების ტრანსფორმაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბალარჯიშვილი ი., 2008, „ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ბარიერული ხასიათი - ტრანსპლანტაცია თუ ევოლუცია“. თბილისი, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, №1.
2. კაკულია ნ., 2009, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციონალური თავისებურებები და „ევოლუციური თეორია“. თბილისი, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, № 3, გვ. 37-46.
3. პაპავა ვ., 1998. „პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ანალიზი“. მეცნიერება და ტექნიკა, 1-3.
4. Kasper W, Streit M. E., 1999, *Institutional Economics: Social Order and Public Policy*, The Locke Institute, Cheltenham UK, 100-109.
5. North, D. C., 1981, *Structure and Change in Economic History*, W.W. Norton & Company, London, 13-20.
6. North, D. C., 1991, *Institutions, Institutional Change and Economic Performance*, Washington University, St Louis, 3-11, 36-54.
7. Voigt S., 2016, *How to Measure Informal Institutions*, Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2748214>, 1-10.
8. Voigt S., 2013, *How (not) to measure institutions*, Journal of Institutional Economics volume 9, Issue 1, 2013, DOI: <https://doi.org/10.1017/S1744137412000148>, 1-8.
9. The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2002, *The First Ten Years Analysis and Lessons for Eastern Europe and the Former Soviet Union*, Washington, DC.
10. World Economic Forum, 2015, *The Global Competitiveness Report 2015–2016*

Tsothe Zhgenti

THE SIZE AND DEVELOPMENT TRENDS OF INSTITUTIONS

Summary

The institutional development is one of the actual topic in economics science. Directions of institutional development is depended on its structure and framework. Transformation of institutions is important for every economy, especially for developing countries. Institutions have a major role in our daily life. Economic processes are influenced as economic as non-economic institutions. They are different by their importance, structure and nature. So, economic analysis of institutions requires their arrangement into different groups characterized by specific features.

To measure different institutions, firstly we must group them. The most popular distinction is formal and informal institutions. Also, an interesting question is who sanctions rule-breaking? Government or society? So internal vs external institutions is present as a second dimension in the institutional structure.

First goal of research is to measure a size for each institutional type in transition/post-transition countries and compare to the Georgian economy. Considering both dimensions of institutional structure (formal vs informal, internal vs external) we get four types of institutions. We can use different indicators, but most suitable for our research are Global Competitiveness indexes.

Second aim of research is to determine interactions between institutions. We can use statistical methods to evaluate interactions between different types of institutions.

Institutional analysis shows important correlation between developments of different institutional groups. Formal internal institutions are most powerful in transition/post-transition countries. These institutions are more successful in post-transition EU economies where arbitration of private sector is too effective. Like other transition countries, in Georgia formal internal institutions are powerful. Formal external institutions such most legislation have positive effect on the development of state efficiency.

Quality of informal internal institutions are too low as in Georgia as in other countries, because informal norms of society weakly corresponds to formal institutional environment. Public opinion about business-making is formed only after desolation of Soviet Union.

Also, dynamics of formal internal institutions development is similar to informal external institutions in Georgia. So, efficient policy of government and stable business environment causes formation of corporate ethics. But it is long-run process and has not instant sharp impact. In the overall, quality of the institutional space are progressing with close connections and synergy effect of different institutions.

ერთობლივი საწარმოების არსი, ტიპები, ფორმირების ეტაპები

ანოტაცია. სტატიაში მოცემულია ერთობლივი საწარმოების, როგორც საერთაშორისო ბიზნესის ერთ-ერთი ფორმის, დახასიათება, მისი გავრცელების მიზეზი და მიზანი, ერთობლივი საწარმოების ტიპები და ფორმირების ეტაპები.

სტატიას წითელ ხაზად გასდევს ავტორის აზრი იმის შესახებ, რომ როცა ქვეყანას საკუთარი ინვესტიციები არ ყოფნის, მან ეკონომიკური ზრდა უცხოური ინვესტიციებით უნდა განახორციელოს. ამის ყველაზე საუკეთესო გზა არის უცხოელ ინვესტორთან ერთად ერთობლივი საწარმოს დაფუძნება.

საკვანძო სიტყვები: ერთობლივი საწარმო, უცხოური ინვესტიცია, პარტნიორი

შესავალი

აღმოსავლეთ ევროპის ყოფილმა სოციალისტურმა ქვეყნებმა იმის კარგი მაგალითი აჩვენეს თუ როგორ შეუძლია ქვეყანას განვითარდეს ერთობლივი საწარმოების გახსნით. პარტნიორებად მათ მაღალგანვითარებული ქვეყნების ინვესტორები აირჩიეს, რომელთა თავისუფალი კაპიტალით და ახალი ტექნოლოგიებით თავის ქვეყნებში (უნგრეთი, ჩეხეთი და სხვები) მოაწვეეს ექსპორტზე მომუშავე ერთობლივი საწარმოები. მათი ეს გამოცდილება ნიმუში უნდა იყოს საქართველოსთვის.

* * *

ბოლო პერიოდში სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში სამეურნეო კავშირებისა და სტრუქტურების გადახდართვის პროცესი შესამჩნევად გაძლიერდა. ამასთან, გეოგრაფიულმა ფაქტორმა რამდენადმე დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ამ პროცესის საწყის მორგანიზებულ ძალად საერთაშორისო საქმიანობის ფორმები მოგვევლინა, რომლებიც თანამედროვე საგარეო ბიზნესის თავისებურებებსა და მასშტაბებს განასახიერებენ. სპეციალისტების აზრით, არ არის აუცილებელი ისინი მაინცდამაინც მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების სახით წარმოვიდგინოთ, ამ ცნების ქვეშ ყოველთვის საწარმოს გრანდიოზული მასშტაბები არ იგულისხმება [ჯოლია გ., 1998:285]. პრაქტიკა აჩვენებს, რომ არსებობს შედარებით მცირე სიდიდის საერთაშორისო ფორმები, რომლებიც ადგილობრივი და უცხოური ქვეყნის ერთობლივი კაპიტალით იქმნებიან და, განსხვავებით ტრანსნაციონალური კომპანიებისგან, არავითარ საფრთხეს არ უქმნიან მათი განლაგების ქვეყანას. ასეთი საწარმოები, რომელთაც ერთობლივი საწარმოები ეწოდებათ, განსაკუთრებით სჭირდებათ განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში იმყოფებიან და რომლებსაც მსოფლიო საბაზრო ეკონომიკაში სრულყოფილი ჩართვისთვის საკუთარი საკმარისი ინვესტიციები არ გააჩნიათ. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა არის საქართველო.

ყველასათვის ცნობილია, რომ დღეს საქართველოში რეალურად არ არის ჩამოყალიბებული ქართველ ინვესტორთა მძლავრი ფენა, რომელიც მოახდენს მსხვილმასშტაბიანი საინვესტიციო პოლიტიკის წარმოებას საქართველოში, ამიტომ მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვაზე. ამის გარეშე ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია. ამ ფონზე მეტად აქტუალურია ერთობლივი საწარმოების ფორმირების მეცნიერული და პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებათა შემუშავება, მით უფრო, რომ ერთობლივ საწარმოთა ეფექტიანობა საქართველოში არ იქნება დაბალი, რადგან სამუშაო ძალა ჩვენთან იაფია.

ერთობლივი საწარმო, ანუ სტრატეგიული კავშირი წარმოადგენს ორ ან რამდენიმე მხარეს შორის პარტნიორული ურთიერთობების ორგანიზაციის ფორმას, რომელშიც საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი უცხოელი მხარის (ინვესტორის) საკუთრებას წარმოადგენს [ლობჯანიძე ვ., 2011:257].

თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებულია ერთობლივი საწარმოების შემდეგი ტიპები:

- ერთი და იმავე ქვეყნის კომპანიები აფუძნებენ ერთობლივ საწარმოს სხვა ქვეყანაში;
- სხვადასხვა ქვეყნის კომპანიები აფუძნებენ ერთობლივ საწარმოს სხვა ქვეყანაში;
- უცხოური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები აფუძნებენ ერთობლივ საწარმოს;
- ერთობლივი საწარმო ფუძნდება უცხოური და ადგილობრივი კერძო კაპიტალის შერწყმით.

ერთობლივი საწარმოს შექმნა მრავალმხრივი, რთული, ხანგრძლივი და მრავალეტაპიანი პროცესია. ის მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, მიზნების სწორ განსაზღვრას და მათი რეალიზაციის გზებისა და მოსალოდნელი შედეგების დასაბუთებას. ამ სამუშაოთა ეტაპები და თანმიმდევრობა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ერთობლივი საწარმოს ფორმირების ეტაპები [ლობჯანიძე ვ., 2011:261].

1. ერთობლივი საწარმოს მიზნები. ➤ ერთობლივი საწარმოს სტრატეგიული მიზნების განსაზღვრისა და მათი მიღწევის ვადების დადგენა.
2. დანახარჯების სარგებლის განსაზღვრა. ➤ ერთობლივი საწარმოს უპირატესობებისა და ნაკლოვანებების შეფასება განსაზღვრული მიზნების მიღწევის სხვა წესებთან შედარებით (მაგალითად, ლიცენზირებასთან) შემდეგი კრიტერიუმების პრიზმაში: ✓ ა) დაფინანსება; ✓ ბ) ძალისხმევის გაერთიანების ეფექტი (სინერგია); ✓ გ) მართვა; ✓ დ) რისკის შემცირება; ✓ ე) კონტროლი; ✓ ვ) ბაზარზე შეღწევის დაგეგმილი ვადა; ✓ ზ) სხვა უპირატესობანი/ნაკლოვანებანი.
3. პარტნიორის (პარტნიორების) არჩევა. ➤ ა) პარტნიორის სასურველი მახასიათებლის განსაზღვრა; ➤ ბ) კანდიდატების გამოვლინება ერთობლივი საწარმოსათვის და მათი მცირე სიის შედგენა; ➤ გ) ერთობლივი საწარმოსათვის პოტენციური პარტნიორების სელექცია და შეფასება; ➤ დ) პირველდაწყებითი გაცნობა/მოლაპარაკებები; ➤ ე) პარტნიორის არჩევა.
4. ბიზნესგეგმის დამუშავება. ➤ შეთანხმების მიღწევა სხვადასხვა საკითხების ფართო წრეზე.
5. ერთობლივი საწარმოს შექმნაზე შეთანხმების პირობების განხილვა. ➤ საბოლოო შეთანხმება ბიზნესგეგმაზე.
6. კონტრაქტის შედგენა. ➤ შეთანხმების ფორმალიზაცია იურიდიული კონტრაქტის სახით. გამაგრებული მხარეების ვალდებულებებით და დამატებითი შენიშვნით შეთანხმების პირობებში ცვლილებების შემდგომი შეტანის შესაძლებლობის შესახებ.
7. ეფექტიანობის შეფასება. ➤ კონტროლის სისტემის შემოღება საწარმოს ეფექტიანობის შეფასებისათვის.

ეტაპი 1: ერთობლივი საწარმოს მიზნები. ერთობლივი საწარმოები იქმნებიან მრავალი მიზეზით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: ახალ ბაზრებზე შესვლა, საწარმოო დანახარჯების შემცირება და ახალი ტექნოლოგიების სწრაფი დამუშავება და გავრცელება.

ახალ ბაზრებზე გასვლა. ბევრი კომპანია აცნობიერებს ახალ ბაზრებზე გასვლის მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელებისათვის მათ განკარგულებაში არსებული ცოდნისა და რესურსების არასაკმარისობას. გარდა იმისა, რომ ცდილობს დამოუკიდებლად მოაგვაროს ეს პრობლემები, კომპანიამ შეიძლება მიმართოს მარკეტინგული საქმიანობის მოთხოვნილი ცოდნისა და გამოცდილების მქონე სხვა ორგანიზაციებს.

საწარმოო დანახარჯების შემცირება. ერთობლივ საწარმოში მონაწილეობა კომპანიებს საშუალებას აძლევთ, მასშტაბის ეფექტის მიღწევის ან სიმძლავრის უფრო სრულად დატვირთვის გააერთიანონ კაპიტალი ან მათ განკარგულებაში არსებული საწარმოო სიმძლავრე და ამ გზით მიაღწიონ საწარმოო დანახარჯების შემცირებას.

ტექნოლოგიების დამუშავება და ბაზრცვლილება. ერთობლივი საწარმოების ორგანიზაციის კიდევ ერთ უპირატესობას წარმოადგენს ტექნოლოგიური „ნოუ-ჰაუს“ ორ ან რამდენიმე კომპანიაში ერთობლივი გამოყენების შესაძლებლობა ისეთი პროდუქტების დამუშავებისათვის, რომელთა შექმნა მხოლოდ ერთი კომპანიის ძალისხმევით ტექნოლოგიურად შეუძლებელი იქნებოდა.

ეტაპი 2: დანახარჯების/მოგების ანალიზი. მონაწილეობა ერთობლივ საწარმოში შეიძლება დასახული მიზნების მიღწევის საუკეთესო წესი არ აღმოჩნდეს. ამიტომ ის უნდა შევადაროთ შეღწევის სხვა სტრატეგიებს. ასეთი ანალიზი უნდა დაემყაროს სავარაუდოდ (პოტენციური) შუამავლების არჩევის კრიტერიუმებს.

ეტაპი 3: პარტნიორის (პარტნიორების) არჩევა. როდესაც დაგრწმუნდებით, რომ საწარმოს ორგანიზაცია წარმოადგენს ფირმის მიზნების მიღწევის საუკეთესო საშუალებას, უნდა შევუდგეთ ერთობლივი საწარმოსათვის პარტნიორის ძებნას. ეს პროცესი, ჩვეულებრივ, ხუთი ბიჯისგან შედგება.

პირველი ბიჯი: პარტნიორის სასურველი მახასიათებლების განსაზღვრა. ჩვეულებრივი კომპანიები თვლიან აუცილებლად, რომ პარტნიორს რესურსების შემდეგი სახეებიდან ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე:

- „ნოუ-ჰაუს“ პროდუქტების დამუშავების სფეროში;
- გამოცდილება გასაღების ან სერვისულ საქმიანობაში;

- დაბალხარჯებიანი საწარმოო სიმძლავრე;
- საწარმოო პოტენციალის სტრატეგიულად აუცილებელი დონე;
- რეპუტაცია და აღიარებული ბრენდი;
- ბაზრის ცოდნა და მასზე შეღწევა;
- თავისუფალი ფინანსური სახსრები.

მეორე ბიჯი: ერთობლივი საწარმოსათვის პარტნიორობის კანდიდატების გამოვლენა.

მრავალ შემთხვევაში მუშაობა პარტნიორის ძებნის ამ სტადიაზე მიმდინარეობს სათანადო გულმოდგინების გარეშე. პირველივე კანდიდატი, ჩვეულებრივი საქმიანი პარტნიორების კარნახით, ბანკის ან კოლეგების რეკომენდაციით, მოცემულ ქვეყანაში უკვე აწეობილი ბიზნესით, ხშირად აღმოჩნდება ის, ვისთანაც კომპანია იწყებს მოლაპარაკებას, რეალური სელექცია პრაქტიკულად არ მიმდინარეობს ისე, როგორც კანდიდატის მოტივირების და შესაძლებლობების დრმა შესწავლა.

მესამე ბიჯი: ერთობლივი საწარმოსათვის სავარაუდო პარტნიორობის სელექცია და შემოწმება. პარტნიორების მიერ ერთიმეორის კარგი ცოდნა პირველდაწყებით წინამძღვრებს ქმნის წარმატებით თანამშრომლობისათვის, მე-2 ცხრილში წარმოდგენილია სავარაუდო პარტნიორების ეფექტიანობის შეფასებისათვის გამოყენებული ზოგიერთი კრიტერიუმი.

ცხრილი 2

სავარაუდო ინფორმაცია პარტნიორების შესწავლისათვის

1. ფინანსები.
➤ ფინანსური ისტორია და საერთო ფინანსური მდგომარეობა.
2. ორგანიზაცია.
➤ ორგანიზაციის სტრუქტურა.
3. ბაზარი.
➤ რეპუტაცია ბაზარზე და კონკურენტებს შორის კვლევითი სამუშაოების განხორციელება.
4. წარმოება.
➤ მფლობელობაში არსებული სადგომების/ქარხნების მდგომარეობა. წარმოების ეფექტიანობა/ საწარმოო ფართობების განლაგების მოხერხებულობა.
5. ინსტიტუციური დონე.
➤ კავშირი სამთავრობო და საქმიან წრესთან (გაველენა).
6. სავარაუდო პოზიცია მოლაპარაკებების განხორციელებისას.
➤ შემწეუნარებლობა თუ სიმკაცრე საკუთარი ინტერესების ბოლომდე დაცვაში.


მეოთხე ბიჯი: პირველდაწყებითი ნაცნობობა/მოლაპარაკებები. კომპანიებს შორის ურთიერთობები, არსებითად, ადამიანთა შორის ურთიერთობებია, კომპანიების მაღალი ხელმძღვანელობის წარმომადგენლები ცდილობენ, პირადად შეხვდნენ სავარაუდო პარტნიორების სიიდან დარჩენილ ორი ან სამი ფირმის მაღალი ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს. მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას პირადი ფაქტორების არსებობას საქმიან ურთიერთობებში. საკითხების განხილვა ეხება როგორც საზოგადოებრივ, ასევე პირად ინტერესებს, ამიტომ ნებადართულია, განისაზღვროს მოლაპარაკების მონაწილეთა შემთავსებლობის დონე.

მეხუთე ბიჯი: პარტნიორის არჩევა. პარტნიორი უნდა ფლობდეს იმ რესურსებს და შესაძლებლობებს, რომლის უკმარისობას განიცდის სხვა მხარე. იდეაში პარტნიორების უპირატესობა არ შეიძლება გადაიკვეთოს, რამდენადაც მხოლოდ ასეთი უპირატესობა შეიძლება იყოს დაცული და შეთანხმებული ხანგრძლივი დროის მანძილზე. ძირითადი მიზანია პარტნიორების ძალისხმევის გაერთიანების ოპტიმალური სქემის მოძებნა და მათ მიერ ურთიერთსარგებლიანობის მიღწევა.

მუხავი 4: ბიზნესბეზმის დამუშავება. ერთობლივი საწარმოს დაფუძნებამდე უნდა შეთანხმდეს შემდეგი საკითხები:

- საკუთრების განაწილება (დიდი ნაწილი, ნაკლები ნაწილი, 50-50);
- მართვა (დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა, ორგანიზაცია და ა. შ.);
- წარმოება (მოწყობილობათა დაგეგმვა, სწავლება და ა. შ.);
- მარკეტინგი (4P – მარკეტინგის კომპლექსი, ორგანიზაცია).

მუხავი 5: ერთობლივი საწარმოს შემწნაში შეთანხმების პირობების განხილვა. როგორც პირველ სქემაზე ნაჩვენებია, საბოლოო შეთანხმების პირობები დამოკიდებულია საბაზრო ხელისუფლების პოტენციურ პარტნიორებთან თანაფარდობაზე.



სქემა 1. პარტნიორებს შორის ურთიერთობები ერთობლივი საწარმოს შექმნის პროცესში

მზაპი 6: კონტრაქტის შედგენა. ერთობლივი საწარმოს შექმნაზე მორიგების მიღწევის შემდეგ შეთანხმების პირობები აუცილებელია დაფიქსირდეს წერილობითი სახით, მხარეების ვალდებულებები გამაგრებული უნდა იყოს იურიდიული კონტრაქტის ფორმით. კონტრაქტში იწერება როგორც პარტნიორების „შეერთების“ პირობები, ასევე მათი „გაშორების“ პირობებიც, განისაზღვრება აგრეთვე ერთობლივი საწარმოს ბედი.

მზაპი 7: ეფექტიანობის შეფასება. ერთობლივი საწარმოს მუშაობის ეფექტიანობის შეფასება დაკავშირებულია განსაზღვრულ სიძნელეებთან. მენეჯერები ხშირად გაუგებრობაში ვარდებიან, ერთობლივ საწარმოს აფასებენ როგორც კომპანიის შიდა ქვეგანყოფილებას, რომლებიც მუშაობენ მკვეთრად განსაზღვრული სტაბილური ფუნქციების და რისკის თითქმის სრულიად არარსებობის პირობებში. ამ პირობებში წმინდა მოგების ზომა, არსებული ფულადი რესურსების მოძრაობა, ბაზრის წილი და სხვა ტრადიციული საფინანსო მაჩვენებლები ედარება ეფექტიანობის მიზეზულ კრიტერიუმებს. მაგრამ ამგვარ კრიტერიუმებზე ორიენტაცია შეიძლება არასაიმედო აღმოჩნდეს ორი მიზეზით. პირველი – ისინი ასახავენ საწარმოს მუშაობის ეფექტიანობას დროის მოკლე შუალედურ მონაკვეთში, ხოლო ფინანსური მაჩვენებლების მაქსიმუმისაგან მისწრაფება საწყის ეტაპზე შეიძლება უარყოფითად აისახოს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ კავშირის პერსპექტივაზე. მეორე – ზოგიერთი ერთობლივი საწარმოს ეფექტიანობის განსაზღვრა არ არის ადვილი შესაძლებელი რაოდენობრივი მაჩვენებლების თვალსაზრისით.

დასკვნა

წინამდებარე სტატიაში ერთობლივი საწარმოების არსის, ტიპების და ფორმირების ეტაპების განხილვით ჩვენ ვაკეთებთ დასკვნას, რომ მათი სტატუსი და შექმნის სტადიებიც ყველა ქვეყანაში ერთნაირია, რაც მეტად აადვილებს სხვადასხვა ქვეყნის პარტნიორების ურთიერთდაახლოებას და მათ მიერ მათთვის უკვე ცნობილი ტექნოლოგიით ერთობლივი საწარმოს შექმნას. ეს გზა და ეს მეთოდები, სასურველია, ფართოდ გამოიყენონ ქართველმა ბიზნესმენებმაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლობჯანიძე ვ., 2011, საერთაშორისო ბიზნესის მართვა და რეგულირება, თბილისი, „ლაიპარი“, გვ. 257.
2. ჯოლია ვ., 1998, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, თბილისი, „მეცნიერება“, გვ. 285.

Maia Rokhvadze

**THE ESSENCE OF JOINED VENTURES, THEIR TYPES AND FORMATION STAGES
Summary**

In the article: "The essence of joined ventures, their types and formation stages" is discussed an effective type of enterprise – such as joined venture. It was spread after globalization. It was found that the capitals of many countries in the world are free, in another ones there is a lack of it, but they own their product and cheap working power. Such coun-

tries are connected to each other and under partnership are making joined ventures. Therefore both sides are the winners.

In the article there are mentioned the types of joined venture. It might be founded by the different government or the companies of different countries. Georgia is a poor country, it doesn't have free, huge capital, but has different products and unemployed population. So, Georgian government can get investors from different countries in foundation of joined venture

In the article 7 types of joined venture formation are given: define the aims and profit with expenses, choose a partner, work on business plan, discuss about the agreement to open joined venture, make a contract, evaluate its effectiveness.

The author thinks that these stages of joined venture formation are typical for all countries. This moment makes agreement easier between the presenters of different countries to open joined venture and accomplish all the necessary procedures which are familiar for them theoretically.


The author reminds that the "Bicycle" of joined venture's making and working is invented and it must be spread in Georgia as well.

ლევან სილაგაძე

მშპ-სა და პუი-ს თანაზარდობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

თანამედროვე გლობალიზებულ ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) გარეშე წარმოდგენილია ცივილიზებული ქვეყნების ეკონომიკების განვითარება. მეკლევართა ერთი ნაწილი FDI-ის უკუგებაზე ამახვილებს ყურადღებას, მეორე ნაწილი ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტიანობასა და კეთილდღეობაზეა კონცენტრირებული. სამწუხაროდ, გარდამავალი ეკონომიკის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, მწვავე ფინანსური დეფიციტის გამო, დიდი არჩევანი არ აქვთ. 1990-იან წლების დასაწყისში, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ აღმოცენებულ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში დაფინანსების ტრადიციული სისტემის შენარჩუნების ყოველგვარი მცდელობა განწირული იყო მარცხისთვის. ისინი განსხვავებულად, მაგრამ მაინც დაადგინეს საბაზრო ეკონომიკის მშენებლობას, რომელიც იმთავითვე გამორიცხავდა მსგავს მიდგომებს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი ნაკადების შედინება მოხდა ნავთობისა და ბუნებრივი აირის რესურსებით მდიდარ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.


მდიდარი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გარდა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ინვესტიციების მოზიდვას განსაზღვრავს: ეკონომიკის რეფორმირების სწრაფი ტემპი, ეროვნული ვალუტის სიმყარე, ლიბერალიზებული ფასები, საკუთრების დაცულობის ხარისხი, ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობა, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდებარეობა, სტაბილური გარემო, არჩეული საგარეო კურსი და ა.შ. ამასთან, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ხელს უწყობს დასაქმებისა და შემოსავლების ზრდას და იგი სულ უფრო მეტ როლს ასრულებს ქვეყნების მშპ-ს მოცულობის ზრდაში (გრაფიკი 1).



გრაფიკი 1. პუი-ის %-ული წილი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მშპ-ში (2015)

შედგენილია: <http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD?view=chart>; <http://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD?view=chart>; <http://data.worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL?view=chart>; 23.05.2017.

ჩამოყალიბებული ტენდენციების მიხედვით, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობით ლიდერები არიან ნავთობითა და გაზის რესურსებით მდიდარი ქვეყნები: თურქმენეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი. თუმცა, მშპ-ში პუი-ს მაღალი % წილით კი გამოირჩევიან აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, თურქმენეთი და საქართველო. ამ მხვენებლით, საქართველო ასევე ლიდერი ქვეყანაა უახლოეს მეზობელ პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის (გრაფიკი 2).



გრაფიკი 2. საქართველოში და უახლოეს პოსტსაბჭოურ მეზობელ ქვეყნებში პუი-ს წილი მშპ-ში (% , 2015)

გაანგარიშებულია:
http://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD?name_desc=false&view=chart; <http://data.worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL?view=chart>; <http://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.WD.GD>

პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დასავლეთის ქვეყნებიდან შემოდინებული მზარდი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, თუმცა მისი გამოყენება ეკონომიკის რეალურ სექტორში მიზერულია.

ამრიგად, პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის ყველაზე მეტი პუი-ს შედინება მოხდა ნავთობისა და გაზის რესურსებით მდიდარ ქვეყნებში – თურქმენეთში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში; მშპ-ში პუი-ის მაღალი პროცენტული წილით გამოირჩევა აზერბაიჯანი, ყირგიზეთი და თურქმენეთი; საქართველო ამ მხვენებლით ლიდერი ქვეყანაა უახლოეს მეზობელ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, მაგრამ ამან ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე მოსალოდნელი ეფექტი ვერ მოახდინა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ., 2001. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია:
2. საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი.
3. სილაგაძე ლ., 2016. „პორტფელური ინვესტიციების“ დოქტრინის შესახებ. ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული: ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. თბილისი, გვ. 533-535.
4. სილაგაძე ლ., 2015. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გენეზისის ასპექტები. ეკონომისტი. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. დეკემბერი, 5. თბილისი, გვ. 53-57.
5. სიჭინავა ა., 2010. „ინვესტიციები“, თბილისი.
6. ქოქიაური ლ., 2010. საინვესტიციო საქმე. თბილისი.
7. ყუფარაძე გ., 2013. საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში. თბილისი.
8. Zubiashvili, T., Silagadze, L., 2016. Some aspects of the Georgian economy at the contemporary stage. J. Ecoforum. Vol. 5. №2, pp. 70-73.

9. Silagadze, A., 2016. Concerning "Paradox" of investment and Employment. Innovative economy and Problems of its Formation in Post-Communist Countries. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Paata Gugushvili Institute of economics. Tbilisi, pp.84-85.
10. Silagadze, A., 2013. Priorities for the Economy of Postcommunist Georgia in the Context of the World Financial Crisis. J. Problems of Economic Transition (USA). Issue: Volume 56, Number 8 / December. 2013, pp. 3-16.
11. Solomon, E.M., 2011. Foreign Direct Investment, Host Country Factors and Economic Growth. Ensayos Revista de Economia, 30(1), 41-70. <http://core.ac.uk/download/pdf/6340633.pdf>
12. Sharpe W.F., Alexander G.J., 2001. Fundamentals of Investments, 3/E. NY: Prentice-Hall.
13. Silagadze, L., 2017. Forgeit Direct Investments in the post-soviet period: the case Georgia. Vol. 6, No 1 . <http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco>
14. Tvalchrelidze, A., Silagadze, A., Keshelashvili, G., Gegia, D., 2011. Georgia's Social Economic Development Program. "Nekeri", Tbilisi.
15. Tobin, J., 1956. "The Interest-Elasticity of Transactions Demand for Cash," Review of Economics and Statistics, 38(3), pp. 241-247.
16. Vernon, R., 1966. International Investment and International Trade in the Product Cycle - Quarterly Journal of Economics, 2, 190-207. [http://bev.berkeley.edu/ipe/readings/ International% 20Investment% 20and% 20International % 20Trade % 20in% 20the% 20Product% 20Cycle.pdf](http://bev.berkeley.edu/ipe/readings/International%20Investment%20and%20International%20Trade%20in%20the%20Product%20Cycle.pdf)
17. World Investmens Report, 2016: [http://unctad.org/en/pages/Publication_Webflyer.aspx? publicationid =1555](http://unctad.org/en/pages/Publication_Webflyer.aspx?publicationid=1555)
18. Комаров, В.В., Литвина, Н.И., 2012. Мировая экономика. Прямые иностранные инвестиции. Москва.

Levan Silagadze

GDP-DFI INTERRELATION IN POST-SOVIET STATES

Summary

It is impossible to retain traditional economic state financing in the new states emerged after the collapse of the Soviet Union because there is no sufficient internal financial resources. It is impossible to introduce innovative economy with such efforts. The focus should be placed on attraction of foreign investments and simultaneously, on the development of innovative economy. The analysis given in this work reveals that in post-Soviet period, more investments are attracted in the states which are rich in resources but the same cannot be said about DFI % share in GDP.

სალომე სილაგაძე

ქალთა განათლება – ეკონომიკის განვითარების ახალი საწყისი: პრიორიტეტები, წინააღობები, რეკომენდაციები

ანოტაცია. მსოფლიოს და მეცნიერების ყურადღების ცენტრში აქტიურად ექცევა ახალი ეკონომიკური ძალა, რომლის მნიშვნელობა ყოველდღიურად იზრდება. აღნიშნული ძალა აუმჯობესებს როგორც გლობალურ, ასევე ნაციონალურ ეკონომიკასა და საზოგადოებას.

ქალბატონების ეკონომიკური და ფინანსური აქტივობა მსოფლიოს განსხვავებული, თუმცა უფრო პოზიტიური რეალობის წინაშე აყენებს. აღნიშნული წარმატება ვერ იქნებოდა მიღწეული განათლების გარეშე, რომლის მიღების უფლებაც ქალბატონებმა მხოლოდ რამდენიმე საუკუნის წინ მიიღეს.

აქტუალურ თემაზე დაფუძნებული მეცნიერული ნაშრომი განიხილავს იმ ცვლილებებს, რაც სუსტი სქესის წარმომადგენლების გააქტიურებას მოჰყვა ეკონომიკურ ბაზარზე და, ასევე, ის ანალიზს უკეთებს იმ სოციო-ეკონომიკურ ასპექტებს, რომლებიც ხელს უშლის ქალბატონების სრულფასოვანი განათლების მიღება. მოცემული არგუმენტები დასაბუთებულია სანდო სტატისტიკური ინფორმაციით და გამყარებულია მაკალითებით, რომლებიც დადასტურებულია აღიარებული საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ჩატარებული კვლევებით.

გასათვალისწინებელია, რომ ავტორი სტატიაში წარმოადგენს არა მხოლოდ პრობლემების ჩამონათვალს და მათ ანალიზს, არამედ მათი გადაჭრის სავარაუდო ხერხებსაც.

საკვანძო სიტყვები: ქალთა განათლება, ქალთა ეკონომიკური და ფინანსური აქტივობა, ეკონომიკური განვითარება

შესავალი

ჯერ კიდევ 1898 წელს მწერალი შარლოტ პერკინს გილმანი თავის ნოვატორულ წიგნში "ქალი და ეკონომიკა – ეკონომიკური ურთიერთობა ქალსა და მამაკაცს შორის როგორც სოციალური განვითარების ფაქტორი" თავისი მოსაზრებების შესაბამისად ამტკიცებდა, რომ ქალთა

ეკონომიკურ დამოუკიდებლობას მხოლოდ სიკეთის მოტანა შეეძლო საზოგადოებისთვის. დაახლოებით ასი წლის შემდეგ, ანუ 1995 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები წელიწადში დაახლოებით 11 ტრილიონ აშშ დოლარს გამოიმუშავენდნენ, მაშინ, როდესაც მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი ქვეყნის – ჩინეთის 2015 წლის მთლიანი შიდა პროდუქტი 10.9 ტრილიონ დოლარს უდრიდა. მაქსინზის გლობალური ინსტიტუტის მეცნიერები ვარაუდობენ, რომ აღნიშნული მონაცემი 2025 წლისთვის 25 ტრილიონ აშშ დოლარს უნდა გაუტოლდეს, რაც თავისთავად იწვევს ეკონომიკაში სრულიად ახალი მიმართულებების განვითარებას.

გენდერული თანასწორობის საკითხი იწვევს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესს, როგორც არის მსოფლიო ბანკი (WORLD BANK), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (United Nations- UN), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (Organisation for Economic Co-operation and Development- OECD) და საერთაშორისო სავალუტო ფონდი (International Monetary Fund- IMF). აღნიშნული ინტერნაციონალური ინსტიტუტები აწარმოებენ სტატისტიკურ და მეცნიერულ კვლევებს, მდედრობითი სქესის ზეგავლენაზე მთლიან შიდა და ეროვნულ პროდუქტზე, ოჯახების ხარჯვის ჩვევებზე და ასევე, ფინანსური ტრანზაქციების რაოდენობასა თუ მიმართულებებზე.

ქალთა ეკონომიკა (Womenomics) იქცა როგორც მდედრობითი სქესის ეკონომიკური დამოუკიდებლობის, ასევე ქვეყნების განვითარების შეფასების კრიტერიუმებად. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, ეკონომისტები უკვე დეტალურად აკვირდებიან თუ რა შემოსავალი აქვთ მანდილოსნებს, თუ რამდენ მათგანს აქვს მაღალანაზღაურებადი თანამდებობება და თუ რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის მაღალი პროფესიული და საპარლამენტო პოზიციები. თუმცა, ყველა მეცნიერი ერთხმად აღიარებს რომ ქალების ეკონომიკური განვითარება დამსახურებაა მათი განათლების, რომლის უფლებაც მათ საერთაშორისო დონეზე მე-19 საუკუნის დასასრულისკენ მიიღეს. თუმცა, დღესაც არსებობს ქვეყნები, სადაც სუსტი სქესის წარმომადგენლებს არ აქვთ შესაძლებლობა, რომ განათლება მიიღონ.

ეკონომიკური გენდერული თანასწორობის საკითხი იმდენად მწვავედ დგას სხვადასხვა სახელმწიფოებში, რომ ხშირად მთავრობების მოთხოვნით ზევით აღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციებში იქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფები, რომლებიც შეისწავლიან, თუ რა ეკონომიკური, სოციალური თუ იურიდიული პოლიტიკის გატარება არის საჭირო იმისათვის რომ ქალებმა მიიღონ მეტი განათლება, რაც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ რამდენად აქტუალურია ქალთა როლის შესწავლა თანამედროვე საზოგადოებაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქალთა უფლებებმა ყურადღება იმპერიის დანგრევიდან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მიიქცია. მას შემდეგ, რაც ყოფილმა წევრებმა სუვერენიტეტისა და თავიანთი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლა დაასრულეს, მთავრობების მთავარი საფიქრალი არა იყო, არამედ სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარება გახდა. წინსვლისთვის კი არა მხოლოდ მამაკაცების, არამედ ქალთა აქტიური მუშაობა და განვითარება არის საჭირო. თუმცა, ყველა საბჭოთა კავშირის ყოფილი წევრისათვის აღნიშნული საკითხი ერთ სიმაღლეზე არ დგას, გამომდინარე ქვეყანაში არსებული კულტურული და სოციალური მდგომარეობიდან.

შესაბამისად, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სტატიის მიზანია, განიხილოს მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის მიერ გამოცემული უახლესი ნაშრომები და სტატისტიკური მონაცემები თანამედროვე ქალბატონებზე, ქალთა განათლების როლზე თანამედროვე ეკონომიკაში და თუ რა წინააღმდეგობები ხვდებათ ქალებს განათლების მიღებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო მონაცემები შედარდეს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობასთან. წარმოდგინდეთ ზოგიერთ მნიშვნელოვან რეკომენდაციებს, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს ურჩევენ ზევითაღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციები, იმისათვის რომ მდედრობით სქესის წარმომადგენლებს ჰქონდეთ დამატებითი მოტივაცია სწავლისათვის.

სტატიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შევძლებთ გავაკეთოთ დასკვნები თუ რა ეკონომიკური და სოციალური უპირატესობები აქვს განათლებული ქალების ყოფნას საზოგადოებაში, რა წინაღობები ხვდებათ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს საერთაშორისო ასპარეზზე განათლების მიღების მხრივ და თუ რა ეკონომიკური და საერთაშორისო პოლიტიკის გატარება შეუძლია სახელმწიფოს იმისათვის, რომ განავითაროს ე.წ. ქალთა ეკონომიკა.

1 ქალთა განათლების პრიორიტეტები


აღამიანებში ინვესტიციის გაკეთება აუმჯობესებს სოციალურ და ეკონომიკურ ფონს ახალგაზრდებში, რაც, გაზრდილი ტემპით ტექნიკური განვითარების და სიღარიბის შემცირების საწყისი ხდება. დამატებით, განათლებული აღამიანების წყალობით, ქვეყანაში მცირდება ჩვილთა და

ბავშვთა გარდაცვალების რაოდენობა, მაღლა იწევს ჯანმრთელობაზე ზრუნვის სხვადასხვა სოციალური თუ კერძო ინიციატივების/ პროგრამების ხარისხი და, ასევე მომავალ თაობებში ჩადებული განათლების ინვესტიცია ორმაგდება. შესაბამისად, ქალბატონების განათლებაზე ფულის დახარჯვა ძალიან მნიშვნელოვანია მით უმეტეს ისეთ ქვეყნებში, სადაც განათლების დონე სქესთა შორის ძალიან განსხვავებულია. მაგალითად, აფრიკის კონტინენტზე უფრო დიდი და აქტიური ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ ქალბატონები უფრო ეფექტურად ჩაერთონ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. გენდერული თანასწორობა განათლებაში საწყისია უკეთესი მომავლისაკენ სვლაში.

თუ გადავხედავთ ისტორიას და მაგალითად, განვიხილავთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალთა განათლების ისტორიას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1727 წლის შემდეგ (მაშინ, როდესაც წმ. ურსულას მონასტრის დედაობმა პირველი ქალთა კათოლიკური სკოლა გახსნეს ამერიკაში) პირველ რიგში დაიწყო ქალთა უფლებების განვითარება, რასაც მოჰყვა მათი პოლიტიკური უფლებების მიღება (1920 წელს ქალებმა მიიღეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება), რასაც მოჰყვა ქალბატონთა აქტიურობა სამუშაო ბაზარზე.

მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევა პირდაპირ ამტკიცებს, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი ქალთა განათლებასა და მომავალი თაობების ცხოვრების დონეებს შორის.

კონკრეტულად იმ საზოგადოებაში, სადაც განათლებულ სუსტი სქესის წარმომადგენლებს აქვთ საშუალება რომ ისწავლონ (შესაბამისად მაღალია გენდერული თავისუფლების ინდექსი, Gender Parity Index, GPI), მცირდება გენდერული დისკრიმინაცია, ჩვილთა და ბავშვთა სიკვდილიანობა და იზრდება ადამიანთა განვითარების ინდექსი (Human Development Index, HDI). აღნიშნული კვლევების შინაარსს ამტკიცებს მსოფლიო ბანკის სტატისტიკა სქესთა თავისუფლების, სწავლის დაფინანსების, ჩვილთა გარდაცვალების ინდექსის და გაერთიანებული ერების ადამიანთა განვითარების მაჩვენებლების 2000-2012 წლამდე სტატისტიკა:



ნახაზი 1. გენდერული თავისუფლების ინდექსი, დანახარჯი განათლებაზე (%), ჩვილთა გარდაცვალება და ადამიანთა განვითარების ინდექსები 2000-2012 წწ¹⁰².

¹⁰² "Human Development Reports." Human Development Reports. United Nations, n.d. Web. <http://hdr.undp.org/en/indicators/137506#>;

"School Enrollment, Tertiary (gross), Gender Parity Index (GPI)." School Enrollment, Tertiary (gross), Gender Parity Index (GPI) | Data. World Bank, n.d. Web. 15 Jan. 2017. <http://data.worldbank.org/indicator/SE.ENR.TERT.FM.ZS>;


"School Enrollment, Tertiary (gross), Gender Parity Index (GPI)." School Enrollment, Tertiary (gross), Gender Parity Index (GPI) | Data. World Bank, n.d. Web. 15 Jan. 2017. <http://data.worldbank.org/indicator/SE.ENR.TERT.FM.ZS>;

როგორც ნახაზი 1-დან ჩანს, 2000 წლიდან მოყოლებული, მსოფლიოში საშუალო გენდერული თავისუფლების GPI ინდექსი საკმაოდ მომატებულია. ასევე, გაუმჯობესებულია ადამიანთა განვითარების და განათლებაზე დახარჯული თანხების რაოდენობა. რაც შეეხება ბავშვთა გარდაცვალების რაოდენობას, იგი დაახლოებით 20,000-ით არის შემცირებული. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია თამამად ვთქვათ: იმისათვის რომ ქვეყანაში ცხოვრების დონე ამაღლდეს, საჭიროა სახელმწიფოს საჯარო პოლიტიკა ქალებს სრულ უფლებას აძლევდეს, რომ მიიღონ ნებისმიერი დონის განათლება.

2015 წლის მონაცემებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი GPI ინდექსი ესტონეთს ჰქონდა, ხოლო ყველაზე დაბალი მანჩენგელი კი ყირგიზეთს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 2012 წლის კვლევის მიხედვით, სქესთა შორის განათლების დონის განსხვავება იზრდება განათლების საფეხურებთან ერთად. აღნიშნული განსხვავებები კი ეკონომიკური ზრდის და სიღარიბის შემცირების შემაფერხებელი მიზეზებია განვითარებადი ქვეყნებისათვის. საერთაშორისო ორგანიზაციის "გენდერული მოქმედების" (Gender Action) მიერ 2002 წელს გამოცემული ანგარიშის მიხედვით კვლევების შედეგად გაირკვა, რომ აფრიკის გარკვეულ ქვეყნებში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში მინიმუმ 0.5%-ით გაიზრდებოდა, გოგონებისთვის რომ სწავლის უფლება მიეცათ. დოლარ და გატტის მიერ 1999 წელს ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით კი – თუ მსოფლიო მასშტაბით 1%-ით მეტი ქალი მიიღებდა განათლებას საშუალო სკოლაში, მთელი დედაძმის მასშტაბით შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე წლიურად 0.3%-ით გაიზრდებოდა.

დადებითი დამოკიდებულება, რაც თან ახლავს სწავლაში ფულის ინვესტიციას, არ აისახება მხოლოდ შემოსავლებსა და განათლებაზე. ინვესტიცია ასევე ზრდის გენდერული ძლიერების საზომს (Gender Empowerment Measure, GEM). აღნიშნული ინდექსის ზრდა კი, როგორც ჰარვარდის, მეინჰემის და ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ უნივერსიტეტების მიერ შემდგარი მეცნიერთა ჯგუფი ამტკიცებს, ამაღლებს ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტს. აღნიშნული მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მშპ-სა და გენდერული ძლიერების ინდექსს შორის ძლიერი კორელაციაა, რომელიც 0.8-ს უტოლდება (ნახაზი 2).



ნახაზი 2. გენდერული ძლიერების ინდექსი და მშპ სხვადასხვა ქვეყნებში¹⁰³

"Mortality Rate, Infant (per 1,000 Live Births)." Mortality Rate, Infant (per 1,000 Live Births) | Data. N.p., n.d. Web. 15 Jan. 2017. <http://data.worldbank.org/indicator/SP.DYN.IMRT.IN>;

"Expenditure on Education as % of Total Government Expenditure (%)." Expenditure on Education as % of Total Government Expenditure (%) | Data. World Bank, n.d. Web. 15 Jan. 2017. <http://data.worldbank.org/indicator/SE.XPD.TOTL.GB.ZS>.

¹⁰³ Doepke, Matthias, Michele Tertilt, and Alessandra Voena. The Economics and Politics of Women's Rights * (2005): n. pag. Harvard University; Northwestern University; University of Mannheim;. Web.

ნახაზის მიხედვით მტკიცდება რომ, რაც მაღალია GEM-ის მაჩვენებელი, მით უფრო უზრუნველყოფს ის სახელმწიფოს მაღალ მშპ-ს.

2 განათლების მიღების შემაფერხებელი ფაქტორები

ა. მატერიალური სიდუხჭირე

განვითარებად სახელმწიფოებში კონსტიტუცია არ მოითხოვს, რომ ახალგაზრდებმა მიიღონ განათლება. თუმცა, მოსახლეობის სწავლის მისაღებად მოტივაციის ასამაღლებლად დაწესებითი კლასები მსგავს დუხჭირ ქვეყნებში უფასოა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ხარჯი გაბათილებულია სახელმწიფოში, ხშირ შემთხვევაში ოჯახებს არ აქვთ საშუალება, ბავშვებს სკოლაში საკვები გაატანონ ან შეუძინონ სასწავლო დაწესებულებისათვის საჭირო ტანსაცმელი და აქსესუარები. სწორედ ზევით აღნიშნული პრობლემები წარმოადგენს განვითარებად ქვეყნებში ქალთა გაუნათლებლობის მაღალი დონის დასაბამს.

ოჯახებისათვის ფინანსურად უფრო მომგებიანია, რომ ბავშვებმა იმუშაონ, ვიდრე განათლება მიიღონ. შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში განათლების მიღების მაგიერ პატარებს არაღვრულად, ფიზიკურად უწევთ სხვადასხვა ე.წ. შავი საქმის კეთება მშობლების დახმარების მიზნით.

აღნიშნული პრობლემა თავს იჩენს ზოგიერთ პოსტკომუნისტურ ქვეყანაშიც. მსოფლიო ბანკის 2010 წლის მონაცემებით მოლდოვაში 7-14 წლამდე მოზარდთა 32.8%-ს უწევდა მინიმუმ 1 საათი შრომა შემოსავლის მიღების მიზნით. უზბეკეთში აღნიშნული ნიშნული იმავე წელს 13.99%-ს უდრიდა ხოლო 2007 წელს კი დადგინდა, რომ ყირგიზეთში ახალგაზრდების 35.6%-ს უწევდა მუშაობა.

ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობლები დამატებითი შემოსავლისათვის თავიანთ შვილებს აბარებენ სხვადასხვა დაწესებულებს პროსტიტუციის მიზნით. გაერთიანებული ერების მონაცემების მიხედვით, დღეს დაახლოებით ათი მილიონი მოზარდი არის ტრეფიკინგის მსხვერპლი, რომელთა უმეტესობას გოგონები წარმოადგენენ. ვარაუდობენ, რომ ყველაზე ცუდი ვითარება მოზარდთა პროსტიტუციის მხრივ ტაილანდში და ბრაზილიაშია, სადაც შესაბამისად დაახლოებით 600,000 და 400,000 ტრეფიკინგის მსხვერპლი ბინადრობს.

აღნიშნულ ახალგაზრდა გოგონებს არათუ განათლების მისაღებად, არამედ ხშირ შემთხვევაში, ფიზიკური გადარჩენისთვის უწევთ ბრძოლა. მათ პატარა ასაკიდანვე აქვთ შეხება სხვადასხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან და თავიანთი "პროფესიის" გამო ხშირად ხდებიან სხვადასხვა ფიზიკური გზით გადამღები დაავადების მსხვერპლი, რომლებიც ხშირად ფატალურ ეფექტს ახდენს მათზე.

ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად და იმისათვის, რომ პატარა გოგონებმა შეძლონ განათლების მიღება, ზოგიერთ სახელმწიფოში მთავრობა აფინანსებს იმ ოჯახებს, რომელთა ქალიშვილებიც სკოლაში დადიან. ასევე, დამატებითი ყურადღება ექცევა სკოლაში/სკოლიდან ტრასპორტირებას და სასწავლო დაწესებულებაში სანიტარული ნორმების დაცვას, რადგან გამართული სასწავლო შენობები იშვიათია და მოქალაქეების უსახსრობის გამო, სახელმწიფო მოსწავლეთა გადაადგილების ხარჯებს თავის თავზე იღებს.

ბ. პატრიარქალური კულტურა

მსოფლიოში გავრცელებული პატრიარქალური კულტურა ადამიანის, განსაკუთრებით კი ქალთა ცხოვრებას ავტომატურად უკეთებს გარკვეულ დიზაინს/მონახაზს. მსოფლიო იმდენად დარწმუნებულია მამაკაცთა უპირატესობაში, რომ ხშირად (განსაკუთრებით მუსულმანურ ქვეყნებში), მშობლები თავიანთ შვილებს განასხვავებენ მათი სქესის და არა პიროვნული თვისებების მიხედვით.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 1989 წელს ჩატარებულ კვლევაში გაანალიზებულია, თუ რატომ ანიჭებენ უპირატესობას მშობლების უმეტესობა თავიანთ ვაჟებს, როდესაც ისინი იღებენ გადაწყვეტილებას თუ მათმა რომელმა შვილმა (გოგომ თუ ბიჭმა) უნდა მიიღოს განათლება. პირველ რიგში, მიზეზი აღნიშნული ფაქტის არის ის, რომ გოგონებზე დახარჯული ინვესტიციის უკან მიღებას დიდი დრო სჭირდება, რადგან, თუნდაც განვითარებულ ქვეყნებში, ქალების ხელფასი იმავე პოზიციაზე მყოფი მამაკაცების გასამრჯელოს 80%-ს შეადგენს.

რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, სადაც ქალთა უფლებები ყოველდღე არის დარღვეული, ხშირ შემთხვევაში საზოგადოების არსებული კულტურული შეხედულების მიხედვით, სუსტი სქესის წარმომადგენლები საერთოდ ვერ ახერხებენ მუშაობას. შესაბამისად, მშობლის გოგონასთვის სწავლაში გადახდილი ფული დანაკარგად ითვლება.

მეორე მიზეზი ზემოხსენებული გადაწყვეტილების კი არის ის, რომ მშობლები "პირდაპირ" მოგებას ნახულობენ ვაჟის განათლებიდან. კონკრეტულად, საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულებების მიხედვით, ქალებისგან განსხვავებით, მამაკაცი დაოჯახების შემდეგ სხვა ოჯახში

არ გადავა საცხოვრებლად. ძირითადად ხომ კაცები ითვლებიან მშობლების მემკვიდრეებად და მათ სავარაუდო მომვლელებად.

რაც შეეხება მესამე მიზეზს, ის მარტივია და აქაც, პატრიარქალური შეხედულებების თანახმად, მშობლებს უბრალოდ უფრო მეტად უყვართ თავიანთი ბიჭები ვიდრე ქალიშვილები, და მიანიხიან, რომ კაცებს მეტის სწავლის უნარი აქვთ.

კულტურიდან გამომდინარე, ისეთ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, როგორებიცაა არიან უზბეკეთი და თურქმენეთი, ხელისუფლებაც კი უპირატესობას მამაკაცებს ანიჭებს, რადგან, 2015 წლის მონაცემებით ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში არ არსებობს კანონები ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ.

გ. ნაადრევი ქორწინება

ნაადრევი ქორწინება ერთ-ერთი ფაქტორია, რის გამოც ახალგაზრდა ქალები ვერ ახერხებენ განათლების მიღებას. რელიგია, ოჯახის დაბალი შემოსავალი და საზოგადოებაში გავრცელებული კულტურა, მოტივაციას აძლევს მშობლებს (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში), რომ თავიანთი შვილები ნაადრევად დააქორწინონ. მსგავსი ტიპის საზოგადოებაში ქალს არ აღიქვამენ სრულფასოვან წევრად და იგი მხოლოდ ოჯახის ქონებად ითვლება. სამწუხაროდ, მრავალ მუსულმანურ კულტურაში (განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, რომლებსაც დაბალი გენდერული თავისუფლების მაჩვენებლები აქვთ, მაგ., ავღანეთში), მამის დაუმორჩილებლობა ადამ-წესების მიხედვით, სწორ შემთხვევაში, ახალგაზრდა ქალების მკვლელობით ან დასახინჩრებით მთავრდება.

უმცა, ნაადრევად გათხოვებით ახალგაზრდა ქალებიც ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლი. 2001 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ დადგენილია, რომ ევროპეში ნაადრევად დაოჯახებული გოგონათაგან 29%-ს განუცდია ძალადობა. აღნიშნული გოგონების 41%-ზე ძალადობა კი სწორედ დაოჯახების შემდგომ მათი ორსულობის პერიოდში მოხდა.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ნაადრევი ქორწინების პრობლემები გვხვდება არა მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც ქალთა დაბალი განათლების დონეა, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც:

ცხრილი 1


არასრულწლოვანთა დაოჯახების სტატისტიკა 2008-2014 წლებში¹⁰⁴

Countries	Child marriage (%) (2008-2014)*	
	Married by 15	Married by 18
Armenia	0	7
Azerbaijan	2	11
Belarus	0	3
Estonia	–	–
Georgia	1	14
Kazakhstan	0	6
Kyrgyzstan	1	12
Latvia	–	–
Lithuania	–	–
Republic of Moldova	0	12
Turkmenistan	1	7
Tajikistan	0	12
Ukraine	0	9
Uzbekistan	0	7

2014 წლის გაეროს მონაცემების მიხედვით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, ოფიციალურად საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობით ახალგაზრდები ოჯახდებოდნენ 18 წლამდე.

მაღალი ქორწინების რაოდენობის შესაბამისად, ჩვენ სამშობლოში ასევე ხშირია არასრულწლოვანთა ორსულობაც:

¹⁰⁴ "Child Marriage." UNICEF DATA. UNICEF, n.d. Web. <<https://data.unicef.org/topic/child-protection/child-marriage/>>



ნახაზი 3. მოზარდთა ფეხმძიმობის მაჩვენებელი (15-19 წლამდე ახალგაზრდებში)¹⁰⁵

კომუნისტური რეჟიმის მოშლის შემდგომ, როგორც ნახაზზე ჩანს, მოზარდთა ორსულობის ყველაზე მაღალი რაოდენობა სომხეთსა და საქართველოში იყო, თუმცა ბოლო 25 წლის განმავლობაში აღნიშნულ ქვეყნებში სიტუაცია დასტაბილურდა.

გაერთიანებული ერების 2008-2014 წლის მონაცემებით, სომხეთში ქალთა უმრავლესობას (99%) კითხვის და წერის უნარი აქვს, თუმცა გოგონების 7% გაჭირვების და, ხშირად, საზოგადოებაში არსებული ტრადიციების გამო, ოჯახის მოთხოვნის შესაბამისად 18 წლამდე ქორწინდება. ასევე, ტრადიციისამებრ, გოგონები, რომლებიც დაოჯახდნენ, უარს ამბობენ განათლების მიღების გაგრძელებაზე და ხშირ შემთხვევაში სკოლასაც კი ვერ ამთავრებენ.

ახალგაზრდების ნაადრევი ქორწინების საყურადღებო მონაცემები გვხვდება საქართველოშიც, ჩვენთან, სომხეთთან შედარებით, ქალთა 14% დაქორწინებულია 18 წლამდე. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ფაქტების გამომწვევი მიზეზები ჩვენს ქვეყანაში იგივეა რაც სომხეთში, რადგან კულტურისა და ეკონომიკის მსგავსება ორ სახელმწიფოს შორის არსებობს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანაში ქალბატონებს ეძლევათ საშუალება, განათლება მიიღონ, ისინი, ხშირ შემთხვევაში, მიღებულ ცოდნას გათხოვების შემდგომ, მომავალში, სათანადოდ არ იყენებენ და ან ნახევარ განაკვეთზე ეძებენ სამუშაოს, ან კიდევ, მარტივ გონებრივ სამუშაოს იმისათვის, რომ მათ ახალ შექმნილ ოჯახებს ხელი შეუწყონ.

3. რჩევები

ა. ქალთა განათლების და/ან გადამზადების ცენტრების შექმნა

მთავრობას შეუძლია მეტი მხარდაჭერა გამოუცხადოს იმ ქალებს, რომლებსაც სურთ მიიღონ პროფესიული განათლება და/ან დაიწყო მუშაობა. მაგალითად, კორეის ხელისუფლებამ 2014 წელს, ქვეყნის მასშტაბით გახსნა გადამზადების ცენტრის, "რესტარტის" 120 ფილიალი. "რესტარტი" ერთადერთი მხარდაჭერი ცენტრია ქალებისა, რომელთა კარიერას ხელი მშობიარობამ, ბავშვის მოვლამ შეუშალა. ცენტრების მეშვეობით დასაქმებაზე კონსულტაციის და პროფესიული

¹⁰⁵ "Adolescent Fertility Rate (births per 1,000 Women Ages 15-19)." Adolescent Fertility Rate (births per 1,000 Women Ages 15-19) | Data. N.p., n.d. <<http://data.worldbank.org/indicator/SP.ADO.TFRT>>.

მომზადების შედეგად 1.03 მილიონმა ქალმა სამსახური იპოვა, მაშინ, როდესაც 2.1 მილიონი დასაქმების პრეტენდენტმა მიმართა გადამზადების ცენტრებს.

ბ. მოტივაციის ამაღლება

მთავრობამ უნდა მოუწოდოს კერძო კომპანიებს, გაატარონ ორგანიზაციებში გენდერული მრავალფეროვნების პოლიტიკა, დაისახონ კონკრეტული მიზნები და აწარმოონ ანგარიშები, თუ როგორ სრულდება მათი გეგმები. ასევე, იმისათვის, რომ ქალებს ჰქონდეთ დამატებითი მოტივაცია განათლების მისაღებად, სასურველია, გაიზარდოს ქალთა წარმომადგენლობა მთავრობაში და მათთვის იქ დაწესდეს ახალი კვოტები.

გ. განათლების სფეროში ინვესტიციების გაკეთება

სწავლის ხარისხის გაუმჯობესება როგორც ზემოთმოცემულმა მაგალითებმა დაასაბუთა უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალთა უნარების და განათლების დონის ამაღლებას, არამედ იგი ეხმარება სახელმწიფოებს რომ გააუმჯობესონ თავიანთი მშპ-ს მონაცემები, ებრძოლონ ბავშვთა გარდაცვალების მაღალ რაოდენობას და გააკეთონ დამატებითი ინვესტიციები მომავალში.

დ. ნაადრევი ქორწინებების და პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლა

ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლას, გაერთიანებული ერების წარმომადგენლები სწორედ განათლების, გამკაცრებული კანონების და ინფორმაციული შეხვედრებით ვეცდებით ვვირჩევინ. საზოგადოებაზე განსაკუთრებით დიდი ეფექტი აქვს თუ აღნიშნულ ინფორმაციულ შეხვედრებს რელიგიური წარმომადგენლებიც ესწრებიან. რაც შეეხება პროსტიტუციას, ისინი სახელმწიფოებს ურჩევენ რომ ეფექტური რეაგირება მოახდინონ ტრეფიკინგის მცირეოდენ მინიშნებებზეც კი.

დასკვნა

„განათლება ყველაზე ეფექტური იარაღია მსოფლიოს შესაცვლელად“ ნელსონ მანდელას ეს სიტყვები ზუსტად ერგება ქალთა განათლებით გამოწვეულ იმ ინოვაციებს ეკონომიკისა თუ ფინანსების სფეროში, რომელიც დღევანდელ გლობალურ ეკონომიკურ ბაზარს ცვლის.

სტატიაში მოცემული ინფორმაციის შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციები თანხმდებიან რომ ქალთა განათლებას არა მხოლოდ დადებითი ეკონომიკური, არამედ მრავალი სოციალური უპირატესობებიც აქვს. მიუხედავად იმისა რომ განათლებას, მხოლოდ პოზიტიური როლის თამაში შეუძლია ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, 21-ე საუკუნეშიც კი მსოფლიოს გარშემო არსებობს მრავალი ისეთი პრობლემა როგორც არის: მატერიალური სიდუხჭირე, ტრეფიკინგი, პატრიარქალური კულტურის კლიშეები და ნაადრევი ქორწინება, რომელიც არა მხოლოდ უშლის ქალების განათლებას ხელს არამედ, ყველაზე უარეს შემთხვევაში სავალალო შედეგებითაც კი მთავრდება.

თუმცა, სახელმწიფოების თანამშრომლობით საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სწორი პოლიტიკის გატარებით, კიდევ უფრო მეტ ქალბატონებს მიეცემათ შესაძლებლობა რომ განვითარდნენ პროფესიულად და კიდევ უფრო გაავრცელონ ე.წ. "ქალთა ეკონომიკა", რომლის ფენომენსაც ყოველდღიურად უფრო მეტი ყურადღება ექცევა და კვლევა ეძღვნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. And Women's Empowerment, as Recommended by the UN High Level Panel on the Post-2015 (2015): n. pag. OECD. Web. <<https://www.oecd.org/dac/gender-development/POST-2015%20Gender.pdf>>.
2. Digest. EARLY MARRIAGE (2001): n. pag. United Nations. Web. <<https://www.unicef-irc.org/publications/pdf/digest7e.pdf>>.
3. Doepke, Matthias, Michele Tertilt, and Alessandra Voena. The Economics and Politics of Women's Rights * (2005): n. pag. Harvard University; Northwestern University; University of Mannheim; Web. http://faculty.wcas.northwestern.edu/~mdo738/research/Doepke_Tertilt_Voena_1211.pdf.
4. "Evaluation of the IMF's Role in Poverty Reduction Strategy Papers and the Poverty Reduction and Growth Facility." A Gender Action Publication (2004): n. pag. Gender Action. World Bank. Web. <<http://genderaction.org/images/GA%20PRSP%20and%20Gender%20Primer.pdf>>.
5. "Facts and Figures: Economic Empowerment." UN Women. N.p., n.d. Web.
6. "Gender Equality in Education, Employment and Entrepreneurship: Final Report to the MCM 2012." OECD. N.p., n.d. Web.
7. "Global Report on Trafficking in Persons." Respiriology 16.1 (2011): 183-84. United Nations. Web. <http://www.unodc.org/documents/Global_Report_on_TIP.pdf>.
8. "Human Development Reports." Human Development Reports. United Nations, n.d. Web.. <<http://hdr.undp.org/en/indicators/137506#>>.

9. "Expenditure on Education as % of Total Government Expenditure (%)." Expenditure on Education as % of Total Government Expenditure (%) | Data. World Bank, n.d. <<http://data.worldbank.org/indicator/SE.XPD.TOTL.GB.ZS>>.
10. Integrating Gender into the World Bank's Work: A Strategy for Action. Washington, D.C.: World Bank, 2002. World Bank. Web. <<http://siteresources.worldbank.org/INTGENDER/Resources/strategypaper.pdf>>.
11. "Mortality Rate, Infant (per 1,000 Live Births)." Mortality Rate, Infant (per 1,000 Live Births) | Data. N.p., n.d. Web. 15 Jan. 2017. <<http://data.worldbank.org/indicator/SP.DYN.IMRT.IN>>.
12. "School Enrollment, Tertiary (gross), Gender Parity Index (GPI)." School Enrollment, Tertiary (gross), Gender Parity Index (GPI) | Data. World Bank, n.d. Web. 15 Jan. 2017. <<http://data.worldbank.org/indicator/SE.ENR.TERT.FM.ZS>>.

Salome Silagadze

**WOMEN'S EDUCATION – A NEW STARTING OF ECONOMIC DEVELOPMENT:
PRIORITIES, OBSTRACLES, RECOMMENDATIONS
Summary**

Scientists all over the world are starting to notice a new, yet unexpected force in economics: women. Ladies are increasingly proving the importance of their participation in both national and global economics, by expending their income and their role in the global professional market. Although, the effect of womenomics on society is staggering and is growing day by day, none of the success would be positive if women had no education.

Education still proves to be a timeless factor and a source of development. However, due to many unfortunate circumstances there are a number of females throughout the world that are unable to receive proper schooling. The article presented discusses the benefits of having erudite women in the society and gives details of why ladies abandon and/or are unable to get schooling. The analyses are based on noteworthy statistical data and studies that are being increasingly conducted by various acclaimed international organization.

Additionally, the author examines various solutions that could be helpful in increasing women's attendance in schools, which would consequently lead to the amplification of their economic performance.

ლიკა ტყემალაძე

გაცვლითი კურსის რეჟიმები და მათი დამზღვევითი ეფექტი

ანოტაცია. დღესდღეობით, გლობალიზაციის ტენდენციებიდან გამომდინარე, ცალკეული ქვეყნების ეკონომიკების ინტეგრაცია სულ უფრო იზრდება და ამის ფონზე სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს სავალუტო ბაზრების და საერთაშორისო ფინანსური სისტემების წყობის შესწავლა. საერთაშორისო ფინანსების შესწავლის ერთ-ერთ კომპლექსურ მიმართულებას წარმოადგენს ოპტიმალური სავალუტო კურსის განსაზღვრა, რომლის გარეშეც წარმოადგენელია ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება. ამ კუთხით ერთ-ერთი მთავარი როლი აკისრია ეროვნული ვალუტის სტაბილურობას. სტაბილურობა ერთ-ერთი უმთავრესია ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის, რადგან სტაბილური ვალუტა ამცირებს სავალუტო რისკებს, ქმნის ნოყიერ ნიადაგს ბიზნესის სექტორის ზრდისათვის და შესაბამისად, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გამყარებას.

საკვანძო სიტყვები: გაცვლითი კურსები, ფიქსირებული გაცვლითი კურსი, თავისუფლად მცურავი გაცვლითი კურსი, მშპ, ინფლაცია, ავტომატური რეგულატორი, ფისკალური პოლიტიკა, მონეტარული პოლიტიკა.

შესავალი

ისეთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან ერთად, როგორცაა მშპ, ინფლაცია და საპროცენტო განაკვეთები, გაცვლითი კურსი ასევე მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკისთვის.

გაცვლითი კურსი წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნების ვალუტების ფარდობით ფასს. სავალუტო კურსი არის ქვეყნის ფულადი ერთეული, გამოსახული სხვა ქვეყნის ფულად ერთეულებში ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების დროს. სხვადასხვა ქვეყნებში არსებობს სხვადასხვა საკურსო რეჟიმები. ყველა ქვეყანა განსხვავებული მექანიზმების საშუალებით ახორციელებს თავისი ვალუტის კურსის მართვას, შესაბამისად ის საზღვრავს სავალუტო კურსის რეჟიმს. მაგალითად, კურსი შეიძლება იყოს: თავისუფლად მცურავი, ხელფუნდრად შენარჩუნებული, ფიქსირებული ან შერეული.

გაცვლითი კურსი და მისი ევოლუცია

გაცვლითი კურსების რეჟიმების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ოქროს სტანდარტის ეპოქამ 1870-1914 წწ. ოქროს სტანდარტის სისტემა წარმოიშვა ოქროს მონეტების გამოყენების საფუძველზე. ოქრო, როგორც დაგროვების და გაცვლის საშუალება, უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ფულად, მაგრამ ოქროს სტანდარტის შემოღების ოფიციალურ თარიღად 1819 წელია მიჩნეული, როცა ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო ე.წ განახლების კანონი. ამ კანონის თანახმად, პარლამენტმა განაახლა ფიქსირებული კურსით ქაღალდის ფულის ნიშნების ოქროზე გაცვლის პრაქტიკა. ამ პერიოდში დიდი ბრიტანეთი წამყვანი ეკონომიკური ძალა იყო. დანარჩენი ქვეყნები იმედოვნებდნენ, რომ ისინიც მიაღწევდნენ წარმატებას, თუ დიდ ბრიტანეთს მიბაძავდნენ. აშშ ოქროს სტანდარტს შეუერთდა 1879 წელს. 1900 წელს მიიღეს ოფიციალურად კანონი, რომლითაც მყარდებოდა კავშირი დოლარის ღირებულებასა და ოქროს ღირებულებას შორის.

ცენტრალური ბანკის მთავარი ამოცანაა, შეინარჩუნოს ოფიციალური პარიტეტი სამამულო ვალუტასა და ოქროს ფასს შორის. ამრიგად, მოცემული ვალუტის კურსის შესანარჩუნებლად ცენტრალურ ბანკს უნდა გააჩნდეს ოქროს ადეკვატური მარაგი. ცენტრალური ბანკი არ იღებდა ოქროს საზღვარგარეთიდან და არც ყიდდა უცხოელებზე დაბალი კურსით. საერთაშორისო რეზერვებს ოქრო წარმოადგენდა, ამიტომ ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის პროფიციტს ან დეფიციტს ქვეყნებს შორის მონეტების ან ოქროს ზოდების გადაღინება განაპირობებდა.

ოქროს სტანდარტს გააჩნდა მძლავრი ავტომატური რეგულატორი, რომელიც უზრუნველყოფდა საგადასახდელო ბალანსის წონასწორობას ყველა ქვეყანაში. ეს მექანიზმი: ფასი-მონეტა-ნაკადი.

ქვეყნების უმრავლესობამ ოქროს სტანდარტზე უარი თქვა პირველი მსოფლიო ომის დროს, ისინი თავიანთი უზარმაზარი სამხედრო ხარჯების დაფინანსებას ფულის ემისიის ხარჯზე ახდენდნენ. რის შედეგადაც 1918 წელს ფასების დონე ყველგან გაიზარდა, ამან კი ქვეყნებში ინფლაციის არნახული ტემპი გამოიწვია. ინფლაციის ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა გერმანიაში 1919 წლიდან 1923 წლამდე ფასების ინდექსი 262-იდან 126160 000 000-მდე გაიზარდა, ანუ 481 მილიარდჯერ.

1944 წლის ივლისში ბრეტონ-ვუდსში ხელი მოეწერა შეთანხმებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის შექმნის შესახებ. მოკავშირეები შეეცადნენ შეემუშავებინათ ისეთი საერთაშორისო სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობდა სრული დასაქმებისა და ფასების სტაბილურობის მიღწევას საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვის გარეშე.

ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებით ჩამოყალიბებული სისტემა მოითხოვდა აშშ-ს დოლარის მიმართ ვალუტის კურსების დაფიქსირებას და ოქროს უცვლელ ფასს დოლარში, 35 დოლარი ერთი უნცია ოქროსთვის, ქვეყნების საერთაშორისო რეზერვებს ოქრო ან დოლარი შეადგენდა.

სსფ-ის წესდებაში არსებობდა მუხლები, რომლებიც საშუალებას აძლევდა ქვეყანას, მიეღწია საგარეო ბალანსისათვის ისე, რომ არ შეეფერებინა საშინაო ამოცანების განხორციელება და შეენარჩუნებინა ვალუტის კურსები ფიქსირებულ დონეზე.

სსფ-ის შეთანხმება მოიცავდა 2 მნიშვნელოვან მექანიზმს.

1. სსფ-ის მიერ კრედიტის გაცემის შესაძლებლობა. სსფ ყოველთვის მზად იყო მიეცა კრედიტები თავისი წევრებისათვის უცხოურ ვალუტაში, რათა დახმარებოდა მათ მიმდინარე ოპერაციების ბალანსის დეფიციტის გადალახვაში, რადგან ისეთი ღონისძიებები, როგორცაა მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გამკაცრება, უარყოფითად მოქმედებდა დასაქმებაზე.

2. კორექტირებადი პარიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ქვეყნის ვალუტის კურსი ფიქსირებული იყო, მისი დევალვაცია ან რევალვაცია დოლარის მიმართ შესაძლებელი იყო, თუ სსფ აღიარებდა, რომ ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი “წონასწორობის ფუნდამენტური დარღვევის” მდგომარეობაში იმყოფებოდა. იგი გამოიყენებოდა იმ ქვეყნების მიმართ, რომელთა პროდუქციაზე მოთხოვნა განუხრევლად მცირდებოდა.


1965 წელს ვიეტნამში აშშ-ის საომარი მოქმედებების გაფართოების გამო მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხედრო შესყიდვები. სახელმწიფო ხარჯების ზრდის კომპენსირება გადასახადების შესაბამისი ზრდით არ ხდებოდა, რის შედეგადაც 1970 წელს აშშ-ში ინფლაცია გაიზარდა.

დოლარი ევროპის ვალუტის მიმართ გაუფასურდა დაახლოებით 8%-ით. ოქროს ოფიციალური ფასი 38 დოლარით გაიზარდა. 1973 წლის მარტში ფიქსირებული კურსების ერა დამთავრდა და საერთაშორისო სავალუტო უერთიერთობებში კურსების თავისუფალი ცურვის მშფოთვარე პერიოდი დაიწყო.

გაცვლითი რეჟიმების კლასიფიკაცია

2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა თუ რაოდენ მჭიდროა ქვეყნის ფინანსური ბაზრების კავშირი ერთმანეთთან. აქედან გამომდინარე კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა სავალუტო ბაზრების და საერთაშორისო ფინანსური სისტემების წყობის შესწავლამ. ოპტიმალური გაცვლითი

კურსის პოლიტიკის არჩევა საერთაშორისო ფინანსების ერთ-ერთ კომპლექსურ მიმართულებას წარმოადგენს. სსფ-ის კლასიფიკაციის მიხედვით გაცვლითი კურსის რეჟიმები იყოფა შემდეგ ძირითად კატეგორიად, დაწესებული სრული დოლარიზაციიდან თავისუფლად მცურავი კურსის რეჟიმამდე.



გაცვლითი რეჟიმების კლასიფიკაცია

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გაცვლითი კურსების რეჟიმების აღწერა:

გარე ვალუტაზე გადასვლა – ქვეყანა უარს ამბობს საკუთარ ვალუტაზე და უცხო ქვეყნის ვალუტას აღიარებს საკუთარ ვალუტად, მონეტარული პოლიტიკა მთლიანად გადაცემულია ამ ვალუტის ემიტენტი ქვეყნის ცენტრალური ბანკისთვის. (ძირითადად ეს ვალუტებია დოლარი, ევრო).

სავალუტო საბჭო – ქვეყანაში არ არის ცენტრალური ბანკი, საბჭო ცდილობს იქონიოს იმ რაოდენობის სავალუტო რეზერვები, რომელიც საკმარისი იქნება დაფიქსირებული გაცვლითი კურსით ეროვნული ვალუტის მთლიანი კონვერტირება (ანუ თავისუფლად შეიძლება მისი გადაცვლა იმ კონკრეტული კურსით).

მონეტარული კავშირი – როცა ქვეყანათა ჯგუფი იყენებს ერთ საერთო ვალუტას და აქვთ ერთი ცენტრალური ბანკი (ასეთია მაგალითად ევროკავშირი).

ტრადიციული “პეგი” – ფიქსირებული კურსი ერთი ვალუტის ან ვალუტების კალათების მიმართ.

მცოცავი “პეგი” – ვალუტის კურსი არის ფიქსირებული, თუმცა მისი კორექტირება ხორციელდება ინფლაციის მნიშვნელოვანი მერყეობის შესაბამისად (ახალი გაცვლითი კურსის დაფიქსირების შესაძლებლობა და მაკროეკონომიკური რყევების თავიდან აცილება).

მართვადი მცურავი კურსი – გაცვლითი კურსი დგინდება უცხოურ სავალუტო ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისად, თუმცა ცენტრალური ბანკები გარკვეულ შემთხვევებში

გაცვლითი კურსების მერყეობის გასანეიტრალებლად ახორციელებენ ჩარევას წინასწარ განსაზღვრული მიზნობრივი სავალუტო კურსის გარეშე.

თავისუფლად მცურავი კურსი – გაცვლითი კურსი დგინდება საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე სახელმწიფო სექტორის ინტერვენციების გარეშე.

ფიქსირებული და მცურავი რეჟიმების შედარება, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები
“თავისუფლად მცურავი” სავალუტო კურსები

სავალუტო კურსების “ცურვის” სტრატეგია გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფო არ ერევა სავალუტო კურსის დაწესებაში და იგი განისაზღვრება თავისუფალ სავალუტო ბაზარზე.

“თავისუფლად მცურავი” სავალუტო კურსების განხილვისას აუცილებელია მისთვის დამახასიათებელი ორი თავისებურების გათვალისწინება: როგორც პრაქტიკამ აჩვენა, კურსების “თავისუფლად ცურვა” იწვევს ზედმეტად მაღალ ინფლაციას, რომლის პირობებშიც ქვეყანა დგება არჩევანის წინაშე: ან შეასუსტოს ინფლაციის ზრდა, რაც განაპირობებს უმუშევრობის ზრდას, ან გაატაროს სრული დასაქმების პოლიტიკა და შეურიგდეს ფასების ზრდას.

“მცურავი სავალუტო” კურსების დროს სახელმწიფო არ ერევა რეგულირებაში, ამიტომ, თუ ბაზარზე განხორციელდება სპეკულაციური თამაშები, მაშინ სავალუტო კურსების რყევა იქნება მნიშვნელოვნად დიდი, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური კრიზისი.

მუდმივად ფიქსირებული კურსები

“თავისუფლად მცურავის” საპირისპიროს წარმოადგენს ფიქსირებული სავალუტო კურსები. მათი უპირატესობები მდგომარეობს ინფლაციის შეკავებასა და მადესტაბილიზებული სპეკულაციის აღკვეთაში. იგი ამცირებს საერთაშორისო ვაჭრობასა და ფინანსებთან დაკავშირებულ რისკს და გაურკვევლობას.

თუ სახელმწიფო აწესებს და ინარჩუნებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფიქსირებულ კურსს, რომელიც არ შეესაბამება რეალურად ჩამოყალიბებულს, მაშინ ეს შექმნის კრიზისულ ვითარებას ეკონომიკაში და გამოიწვევს უცხოური ვალუტის რეზერვების დიდ დანაკარგებს.

ვალუტების მართვადი (რეგულირებადი) “ცურვა”

ვალუტების რეგულირებადი “ცურვა” განსხვავდება “თავისუფალი ცურვისგან” იმით, რომ სავალუტო კურსის დადგენის მომენტში თავისუფალ ბაზარზე მონაწილეობს ცენტრალური ბანკი, რომელიც აკავებს ცურვის ცვალებადობას, რათა უფრო ადვილი გახდეს მათი პროგნოზი.

ამ სფეროში პროგნოზირება საკმაოდ რთული საქმეა, ვინაიდან კურსის წარმოქმნაზე პირდაპირ და ირიბად მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, ამასთან ძალზე ხშირად ეს გავლენა ურთიერთდაკავშირებულია.

როგორც წესი, თუ ცენტრალური ბანკი ცდება თავის გაანგარიშებებში და ჯიუტად აკავებს კურსს, რომელიც განსხვავდება ბაზარზე რეალურად ჩამოყალიბებულისაგან, იწყება “ცალ კარში” ფართომასშტაბიანი სპეკულაციური თამაში, რომლის შედეგადაც ხდება უცხოური ვალუტის რეზერვების შემცირება და სახელმწიფო განიცდის ზარალს.

ფიქსირებული კურსის დადებითი და უარყოფითი მხარეები

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
ინფლაციის შეკავება	საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვა
ფასების კონტროლის შესაძლებლობა	საშინაო წონასწორობის მიღწევის სიმძლეე
ტრანზაქციული ხარჯების შემცირება	”გარე “ შოკების მკვეთრი გავლენა
კურსის ცვალებადობით გამოწვეული ხარჯების თავიდან აცილება	კაპიტალის მოძრაობის შეზღუდვა
პროგნოზირებადი გაცვლითი კურსი	

მცურავი კურსის დადებითი და უარყოფითი მხარეები

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
მონეტარული პოლიტიკის ავტონომიურობა	ფინანსური დისციპლინის შესუსტება
სიმეტრიულობა	მკვეთრი ცვლილებები ფულის ბაზარზე
ავტომატური სტაბილიზატორი	მაღალი ინფლაციის რისკი
გარე შოკებისგან თავის დაცვის შესაძლებლობა	ვალუტის არასტაბილურობა და მისი უარყოფითი გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე
	საეჭვოდ პროგნოზირებადი

ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა ფიქსირებული და მცურავი კურსების დროს

ფიქსირებული გაცვლითი კურსი

ფისკალური პოლიტიკა - ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა ზრდის ერთობლივ მოთხოვნას, იზრდება ფულზე მოთხოვნა, რაც ზრდის საპროცენტო განაკვეთს, ეს იწვევს უცხოური ინვესტიციების და ვალუტის შემოდინებას, სხვა თანაბარ პირობებში ირღვევა ლარი-დოლარის მოცულობა ქვეყანაში და საშიშროებაა გამყარდეს კურსი. ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში საჭიროა წონასწორობის აღდგენა, ამისათვის საჭიროა ეკონომიკაში დამატებითი ლარის გაშვება – ეს კი წაახალისებს ეკონომიკას და ზრდის ეკონომიკურ აქტივობას.

მონეტარული პოლიტიკა – ფულის მიწოდება ამცირებს საპროცენტო განაკვეთებს, იზრდება ინვესტიციები და მოკლევადიანი პერიოდის ეკონომიკური აქტივობა. შემცირებული საპროცენტო განაკვეთი გამოიწვევს კაპიტალის გადინებას, კაპიტალის გადინება გამოიწვევს გაცვლითი კურსის გაუფასურებას, ძველი კურსის მისაღწევად ცენტრალური ბანკი მიმოქცევიდან ამოიღებს ვალუტას.

დასკვნა – ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს ეფექტიანია ფისკალური პოლიტიკა.

მცურავი გაცვლითი კურსი

ფისკალური პოლიტიკა –ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა ზრდის ერთობლივ მოთხოვნას, იზრდება ფულზე მოთხოვნა, რაც ზრდის საპროცენტო განაკვეთებს, იზრდება უცხოური ინვესტიციების და ვალუტის შემოდინება, სხვა თანაბარ პირობებში ირღვევა ლარი-დოლარის მოცულობა ქვეყანაში და საშიშროებაა გამყარდეს კურსი, ცენტრალური ბანკი არ ერევა, ბაზარზე კურსის გამყარება გააძვირებს ექსპორტს და გააიაფებს იმპორტს, შედეგად შემცირდება ექსპორტი და გაიზრდება იმპორტი, შენელებს ეკონომიკური აქტივობა და ეკონომიკა დაუბრუნდება ძველ წონასწორობას.

მონეტარული პოლიტიკა – ფულის მიწოდება ამცირებს საპროცენტო განაკვეთებს, იზრდება ინვესტიციები და მოკლევადიანი პერიოდის ეკონომიკური აქტივობა. შემცირებული საპროცენტო განაკვეთი გამოიწვევს კაპიტალის გადინებას, კაპიტალის გადინება გამოიწვევს გაცვლითი კურსის გაუფასურებას, რაც გაზრდის ექსპორტს და შეამცირებს იმპორტს, იზრდება ერთობლივი მოთხოვნა, რაც კიდევ უფრო წაახალისებს ეკონომიკურ აქტივობას.

დასკვნა – მცურავი გაცვლითი კურსის დროს ეფექტიანია მონეტარული პოლიტიკა.

გაცვლით კურსზე მოქმედი დეტერმინანტები

სანამ გაცვლით კურსზე ზემოქმედი ფაქტორების ანალიზს დაგიწყებდეთ, მნიშვნელოვანია გახსენოთ ნომინალურ და რეალურ გაცვლით კურსებს შორის განსხვავება.

რეალური გაცვლითი კურსი ორივე ქვეყანაში ფასების დონეთა შორის განსხვავებასაც იღებს მხედველობაში. შესაბამისად, რეალური კურსი წარმოადგენს უცხოური საქონლის ფასს, გამოხატულს ადგილობრივი საქონლით (ან პირიქით). საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მაკროეკონომიკური ფაქტორების ანალიზს სწორედ რეალური გაცვლითი კურსისთვის განვიხილავთ, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ინფლაცია პროგნოზირებადი და სტაბილურია.

როდესაც გაცვლითი კურსის განმსაზღვრელ ფაქტორებზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ მოკლევადიან პერიოდში მოქმედი ფაქტორები დიდად განსხვავდება საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მოქმედი ფაქტორებისგან. თუკი გაცვლით კურსზე გრძელვადიან პერიოდში სტრუქტურული ფაქტორების გავლენა დომინირებს, საშუალოვადიან პერიოდში ციკლური, ხოლო მოკლევადიან პერიოდში ბაზრის მონაწილეთა მოლოდინები და ვალუტის მიმდინარე ტრანზაქციებისათვის საჭიროება ახდენს გავლენას.

ეკონომიკური, პოლიტიკური, სტრუქტურული, სამართლებრივი თუ ფსიქოლოგიური ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც პირდაპირ და ირიბად ზემოქმედებს კურსის ცვლილების დინამიკაზე, აღწევს რამდენიმე ათეულს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავს სავალუტო კურსის დინამიკას

მთლიანი შიდა პროდუქტი
სავალუტო ბალანსი

ფულის შიდა და გარე მიწოდება
საპროცენტო განაკვეთი

ფაქტორები, რომელთა მოქმედება გავლენას ახდენს წარმოქმნილ ფაქტორთა ცვლილებაზე: ისინი შეიძლება დაიყოს სახელმწიფო რეგულირებისა და სტრუქტურულ ფაქტორებად.

სახელმწიფო რეგულირების ფაქტორები:
გადასახადები
კვოტები
საბაჟო გადასახადები
ლიცენზიები

სტრუქტურული ფაქტორები:
ბირჟის სტრუქტურა
საბაზრო სტრუქტურა
სეზონური ფაქტორები

ფაქტორები, რომლებიც წარმოიშობა ეკონომიკური სისტემის დინამიური წონასწორობიდან გამოყვანის შემთხვევაში

ბიუჯეტის დეფიციტი
არაკონტროლირებადი ემისია
ინფლაცია
შიდა და გარე ფასებს შორის სხვაობა

მონოპოლიური წარმოებები
პოლიტიკური ფაქტორები
ფსიქოლოგიური ფაქტორები

დასკვნა

წინამდებარე თემაში მოცემული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს შემთხვევაში არც ერთი წინაპირობა არ არის იმისა, რომ მოხდეს კურსის ფიქსირება ან სულაც სრულ დოლარიზაციაზე გადასვლა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ღია ფინანსური ანგარიშის მქონე ქვეყანაა და მისი ბიზნესციკლები განსხვავდება მსოფლიოს წამყვანი ვალუტების მქონე ეკონომიკებისაგან, ადგილობრივ წყობაზე მორგებული დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკა მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს მაკროეკონომიკური პოლიტიკის წარმოებისათვის. მგვარად, საქართველოში მოქმედ მცურავ გაცვლით კურსზე უარის თქმა ქვეყნისათვის უფრო მეტ დანახარჯებთან იქნება ასოცირებული, ვიდრე ახალი რეჟიმით მოტანილი სარგებელი იქნება, გარდა იმისა, რომ საქართველოს არ აქვს ოპტიმალური სავალუტო სივრცე რომელიმე ქვეყანასთან, ჰიპერინფლაციისა და ფინანსური სექტორის არასტაბილურობის რისკები პრაქტიკულად არ არსებობს.

აქედან გამომდინარე, მცირე ღია ეკონომიკების ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოსა და მსგავსი მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისათვის ოპტიმალური გაცვლითი კურსია მცურავი გაცვლითი კურსი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კ. კრუგმანი, საერთაშორისო ეკონომიკა (18, 19 თავი).
2. მ. კაკულია, სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქმეში, გვ. 209-2015.
3. ღ. გოცირიძე, სავალუტო კრიზისი, გვ. 122-131, 118-119.
4. სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი “ეკონომიკა და საბანკო საქმე”, 2015 გვ. 5-12.
5. სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი “მეცნიერება და ცხოვრება”, 2015 გვ. 34-27, 72-76.
6. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>
7. <http://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2009/12/ghosh.htm>
8. <http://www.investopedia.com/articles/forex/12/a-primer-on-currency-regimes.asp>
9. <http://www.economist.com/topics/exchange-rate-regimes>

Lika Tkemaladze

**EXCHANGE RATE REGIMES AND ITS DETERMINANTS
Summary**

Inpractice, the preffered exchange rate regime, particularly for developing and emerging market economies, has evolved considerably over the past couple of decades. Pegging the exchange rate to a strong anchor currency was popu-

lar in the early 1990s. But, the 1990 also saw a spate of capital account leading to collapsing currencies and underscoring the fragility of such fixed exchange rate regimes.

In practice, central banks were willing to follow such a policy of benign neglect because they cannot be indifferent to the value of their currency. When the value of the currency declines, authorities worry about both imported inflation and the balance sheet effects of an exchange rate depreciation on borrowers that have borrowed in foreign currency and suddenly find that debt more expensive to service. On the other hand, when a currency's value rises, there is a loss of export competitiveness.

The current study finds important trade-offs in the choice of exchange rate regimes. Regimes that are more rigid help countries anchor inflation expectations, sustain output growth, and foster deeper economic integration. But they also constrain the use of macroeconomic policies, increase vulnerability to crisis, and impede external adjustment. This trade-off is illustrated by the recent experience. Many countries with less flexible regimes enjoyed strong growth in the years leading up to the present crisis, they also built up large external imbalances, increasing their vulnerability to abrupt and disruptive adjustment and limiting their potential for countercyclical macroeconomic policies.

Zhuldyz Utegenova

INNOVATIVE DEVELOPMENT OF THE ENTERPRISES OF THE PRODUCTION SPHERE OF KAZAKHSTAN, RUSSIA AND GEORGIA

Annotation. *Innovative and technological modernization of branches of economy is a basis for formation and realization of strategy of innovative break without which existence of the civilized competitive state is impossible now. Rates and efficiency of development of the innovative sphere depend on the pursued investment policy which has to provide the conditions favoring to innovative development. Creation of the infrastructure favorable for functioning of the innovative sphere can be the best way of stimulation of innovations.*

In article experience innovative development of the enterprises of the production sphere of Kazakhstan, Russia and Georgia is considered, conclusions according to the carried-out comparative analysis are drawn.

Keywords: *innovative development, enterprises, production sphere, stimulation of innovations.*

The role of innovations considerably increased in modern economy. Without application of innovations it is almost impossible to create the competitive production having high degree of knowledge intensity and novelty. Thus, in market economy of an innovation represent an effective remedy of competitive fight as lead to creation of new requirements, to decrease in product cost, to inflow of investments, to increase in image of the producer of new products, to opening and capture of the new markets including external.

In the conditions of globalization of the market relations, the role of the scientific and technical progress (STP) in ensuring competitiveness of national economies therefore the accelerated development and support of innovative sphere of action gets a strategic importance constantly increases. The innovation is understood as process from emergence and development of the initial idea to creation of new products, services and technologies or their improvement with ensuring legal protection of author's rights, with the subsequent creation of a prototype or model, confirming their practical expediency. Further transition to industrial production, demanded by the market and to receiving the expected profit on sale of this production is called process of commercialization of innovations. Only timely financing in combination with the effective management accompanied with the first-class technical consultation is provided by certain opportunities for implementation of the most perspective innovative projects and the knowledge-intensive developments demanding several years of hard work for successful commercialization which provides satisfaction of market demand within a uniform scientific and reproduction cycle. The continuity and coherence of these kinds of activity depends on the level of integration of science, education, production and the market. Success of innovative activity depends on the general economic situation in the country and the state scientific and technical strategy, on full resource providing, market condition, professionalism of experts and effective management. Innovative process is carried out on the following stages: search of the ideas of new products and services; preliminary selection of the most perspective ideas; search of the investor; carrying out research and development and development of a new product or service; protection of author's rights; production of a product or service; check of their competitiveness; advance of new products or services on the markets. Only existence of the developed innovative infrastructure provides effective realization of all stages of innovative process up to successful commercialization of developments. In this regard we consider expedient, to carry out the analysis of innovative development of the enterprises of the production sphere of Kazakhstan, Russia and Georgia.

One of the main factors of effective functioning of economy in modern conditions is the forced modernization and development of innovations. For Kazakhstan diversification and increase in competitiveness of economy - a complex challenge, the leading domestic economists note if to consider the degraded condition of processing industry and agricultural industry, scientific and technical potential, extremely low level of all infrastructure system and quality of

service. The country should not just organize production of new types of production, to undertake measures for increase in their quality and reduction of prices, and to radically modernize all economy in general [1, p. 155].

In the Republic of Kazakhstan the policy directed to increase in innovation of national economy is implemented by means of the Strategy industrially-innovatsionnogo of development for 2003-2015. Today quality of innovative policy is maintained by the large-scale regulatory base: The law on science RK, the Patent law, Standard of innovative activity of RK, the Program of innovative development of the Republic of Kazakhstan, the Law on innovative activity in the Republic, etc. Within "The program of the forced industrial and innovative development" seven main directions of industrial and innovative development are defined: Agrarian and industrial complex and agricultural-processing, building industry, oil processing, metallurgy, chemical industry and pharmaceuticals, power, transport and telecommunication infrastructures [2].

All innovative processes in Kazakhstan are initiated by the state and to a lesser extent innovations take root at the initiative of business. Today forms of realization of public administration are strategic programs, legal, institutional and infrastructure support of innovative activity.

Industrialization on the basis of innovations became a new valuable reference point of the Kazakhstan society [3]. Kazakhstan has such strategic factor of economic growth and strengthening of competitiveness as considerable scientific and educational potential. It is possible to involve it in market economy only through innovations which are the channel of the embodiment in life of achievements of human intelligence, scientific and technical results. Without innovations in modern economy not to solve any radical problem.

Today the Republic of Kazakhstan is faced by the difficult, but feasible purpose - providing permanent steady progress which prepotent problems is the following: an assekuration of worthy welfare of the population, the statement of a geopolitical role of the state as one of the global world leaders determining the course of worldwide policy. On a formula of progress of the advanced economies [4] the most effective reception of achievement of these is more whole transformation of economy on innovative model of development is. Behind all that the world economic crisis of 2014 aggravated execution of objectives to this day, led to decrease in rates of development of enterprise business community and in general aggravated the existing shortcomings and weaknesses of national innovative system. At present time, namely in the 1st third of the 21st century, in our country innovative development is made in the field of the equipment and technology, it is carried out generally at the enterprises connected with real production sector. Initially it belongs to many-sided industries which represent the main consumers of modern technical and technological innovations.

For improvement of sustainable development of Kazakhstan on the basis of diversification and modernization of economy the accurate objects and the tasks of transition from raw economy to the economy based on knowledge due to use of the income from the oil-extracting, gas and mining industries are set [5]. More and more significant emphasis in Kazakhstan is placed on an innovation, the country seeks for development of scientific technological capabilities and for close integration of science and an entrepreneurial activity.

Kazakhstan concentrated considerable efforts on activization of innovative activity as the means allowing to accelerate economic development and to diversify economy. Initiatives are directed to improvement of components of national innovative system, in particular, on creation of the state institutes of support of innovative activity. The attention was also focused on increase in productivity of the companies, regional features of innovative system and demand for innovations. However, despite the political decisions supported by some program documents, practical actions were concentrated generally on improvement of institutional support [6].

Existence of the richest natural resources and stable economic policy caused creation of favorable investment climate in the country and as result, rapid development of the national extracting and processing industry in the Republic of Kazakhstan. At the same time owing to objective and subjective the reasons the structure of the industry of the republic appeared strongly deformed and does not correspond to structure of final public requirements that led to considerable lag of production of the final products; still specific weight of the extracting branches is considerable, there are no many types of processing industries, etc.

Significant growth in a share of mining industry in relation to the economy overworking in structure, was led to one-sided development of national economy and as a result decrease in competitiveness of the Kazakhstan economy. Whereas, mining industry has to form a basis for development of other sectors of economy and to ensuring macroeconomic stability and modernization of economy.

Studying international experience, state regulation of development of the industry results in positive economic results. However policy of the state should not be directed to influence as ultimate consumers, by increase in demand stimulation as well ensuring development of potential of the domestic industry. Despite presence of potential at domestic processing industry for saturation of domestic market of domestic competitive production, share of goods, works and services of the Kazakhstan origin is much lower than imporktiruyemy [6].

Rather, if to consider experience of Russia, specifics of development of the Russian economy now and the complex of the problems which are slowing down distribution of innovations significantly strengthen a role of the state in regulation of innovative processes in the industry. The tools of state regulation of innovative processes used in developed countries are very various and combine institutional methods with financial support of innovative activity, mainly basic researches. In modern conditions the role of the state considerably increases in development of the innovative

sphere in Russia as during the deformation processes accompanying transformation of socialist economy in market the branch science considerably suffered and the motivation of business structures to innovative activity is extremely weak. The direction where the state support is especially necessary, is a creation of financial conditions for innovative activity. Only at their providing the investment fund can become the effective instrument of the state support of development of the innovative sphere.

Essential obstacle for the sustainable and balanced development of the country are the disproportions which arose in the 1990s and aggravated now in functioning of branches and regions. Orientation to a raw component of economic potential led those regions in which the processing industry prevails to degradation. Restoration on an innovative basis of industrial capacity of the processing branches is an indispensable condition of social and economic development of regions. Investments into innovative and technological development of industrial sector have to be a priority of public policy. Effective functioning of the enterprises of the processing branches will create prerequisites for development of scientific and educational potential, employment of the population and replenishment of the budget of depressive regions [7].

Concerning Georgia, for today innovative activity in economy of Georgia at a low level, is not created and the innovative infrastructure providing a particular treatment for innovations that it is generally connected with shortage of own and raised funds at the enterprises, a lack of both the budgetary, and off-budget sources of financing, etc. is not developed.

Having become on the way of market reforms, Georgia was not ready to work in new conditions of the innovative sphere because there was no corresponding experience and the relevant structures for this activity. Process of formation and requirements of the market is lagged behind by production of innovative production. There are problems of legal and organizational character, the market of scientific and technical products and its corresponding infrastructure (special banks, innovative funds, consulting, leasing, venture forms, scientific and technological parks, etc.) is not created without which the enterprises will not provide sharp improvement of innovative activity [8].

Complete idea of innovative activity in this or that country creates the specific weight of the innovative enterprises and innovative products in the whole output or in structure of foreign trade. For example, the revenue of the innovation-active organizations – innovative leaders of the modern world makes 83%, the specific weight of hi-tech production in export of industrial output – 20%, the specific weight of innovative production in revenue – is more than 16%, and more than a half all working [9] are employed in the innovative organizations.

By the beginning of 2015 from 3% existing in the country to 4 thousand small enterprises only were engaged in innovative activity. It is necessary to consider that circumstance that small enterprises by the opportunities are limited in money because of what it is not possible to invest money in the new equipment, technologies, marketing, production expansion, etc.

Overcoming difficulties requires purposeful studying of innovative policy of developed countries its application taking into account features of the country. All this will promote activization of the innovative sphere. In the countries where actively invest in innovations and technologies rapid economic growth is observed that is the most important component of economic development.

For the solution of the main objectives facing the country, strengthening of a role of innovative technology factor the government of Georgia carries out active capital investments and pays much attention to development of innovations and technologies in the country. The innovative agency where the projects concerning development of innovative infrastructure are developed is founded laboratories on the basis of universities open, the special programs of retraining directed to increase in skills are carried out. In Georgia the technological park is open, there passes the Startup Georgia program. All this demonstrates that in 2015-2016g.g. positions of Georgia in ratings will improve.

Thus, innovative development is long process and demands purposeful policy and strategy. In the conditions of limited financial opportunities most the companies for financing of the current requirements of production address the main financial resources less opportunity remains on their use for implementation of innovative projects.

Efficiency of implementation of the innovative program at all levels will be estimated, proceeding from compliance of the received results to the pursued purposes. The received results will be defined not so much by efficiency of the realized projects which brought a certain progress at the microlevel, how many efficiency of interaction of subjects of innovative activity in the course of implementation of the regional program and intensity of involvement in innovative activity of the greatest number of participants. In turn, experience of the successful countries in innovative development will serve as some kind of reference point in further improvement of the innovative sphere of the countries considered in work.

References

1. Esentugelov. A. Problems of formation of competitive advantages and protectionism in the Kazakhstan economy//Competitiveness: theory, methodology, practice. - Almaty, 2008. - Page 155.
2. Kuzenbayeva A. The state program of industrial and innovative development gains steam. Бизнес&Власть of September 5, 2009 [the Electron. resource] / access Mode: <http://www.news.nur.kz/132268.html>

3. The state program on the development forced industrial innovatively for 2010-2014 of March 19, 2010 [An electronic resource]. - Access mode: http://www.akorda.kz/ru/category/gos_programmi_razvitiya
4. JSC National Technological Development Agency, "Commercialization": Astana, 2014. – [Electron. resource] / access Mode: <http://www.natd.gov.kz>.
5. Report on an assessment of efficiency of implementation of measures of the state support of industrial and innovative activity: quality and quantitative standard. Ministry of national economy of the Republic of Kazakhstan, 2014. – Access mode: <http://www.nif.kz>.
6. Zhuparova A. Characteristic of the present stage of development of the industry of the Republic of Kazakhstan/Messenger TREASURY. Economic series. Almaty. – 2011. - No. 5. Page 74-78.
7. Suslov V. I. Innovative economy: general provisions//Bulletin of the Altai academy of economy and right. - 2015. -No.1. - Page 15-24. <http://elibrary.ru/download/18408334.pdf>
8. Kokashvili Nanuli, Chitadze Haliana of "Innovation in development of economy of Georgia", scientific club SOPHUS, [Electronic resource] – Access mode: http://sophus.at.ua/publ/2016_10_28_kampodilsk/sekcija_section_3_2016_10_28/innovacii_v_razvitii_ehkonomiki_gru_zii/131-1-0-2081
9. The resolution of the government of Georgia "About the adoption of strategy of social and economic development of Georgia Georgia 2020 and the related some actions" [An electronic resource] (No. 40, 17.06.2014 of). – Access mode: <http://sputnik-georgia.ru/economy/20140606/216611070.html>

როლანდ ქათამაძე

დიდი დეპრესია და მისი ბამომწვევი მიზეზები

ანოტაცია. საბაზრო ეკონომიკა დროდადრო განიცდის რყევებს და გადახრებს თავისი განვითარების ბუნებრივი დონისგან, ეს რყევები ზოგჯერ ხასიათდება მცირე ზომებით, ხოლო ზოგჯერ უდიდეს მასშტაბებს აღწევს. დიდი დეპრესია ისტორიაში ყველაზე დიდი ეკონომიკური ვარდნა იყო, რომელმაც უმძიმესი შედეგები მოუტანა მსოფლიო ეკონომიკას. არ წყდება კამათი მისი გამომწვევი მიზეზების ირგვლივ და ასევე არ არის ერთსულოვნება ეკონომისტებს შორის, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მომავალში ეკონომიკური კრიზისების დროს, რათა თავიდან იქნეს აცილებული კრიზისების გადრმაგება და ნეგატიური შედეგების გაფართოება.

საკვანძო სიტყვები: დიდი დეპრესია, საფონდო ინდექსი, FDIC, დეფლაცია, ეკონომიკური კოლაფსი, დასაქმება, ერთობლივი გამოშვება, საბანკო რეზერვები, საბანკო რეზერვები.

შესავალი

ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ სწავლობენ დიდ დეპრესიას, არის ის, რომ ის იყო მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკური კატასტროფა მეოცე საუკუნეში და უდიდესი ეკონომიკური კატასტროფა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1929 და 1933 წლებს შორის, საქონლისა და მომსახურების წარმოება ამერიკის შეერთებულ შტატებში დაეცა ერთი მესამედით, უმუშევრობის დონემ მიაღწია 25%-ს, აქციათა ბაზარმა დაკარგა თავისი ღირებულების 80% და დაახლოებით 7000 ბანკი გაკოტრდა.

ანალიზისთვის, ერთი ფუნტი ქათმის ფასი დაეცა 38 ცენტრიდან 12 ცენტრამდე, კვერცხის ფასი დაეცა 50 ცენტრიდან 13 ცენტრამდე, ერთი გალონი საწვავის ფასი დაეცა 10 ცენტრიდან ხუთ ცენტრზე დაბლა. ამ პერიოდში ძალიან ბევრი ოჯახი შიმშილობდა და ძალიან ცოტას ჰქონდა იმის საშუალება, რომ ჰყოლოდა საკუთარი მანქანა.

სხვა მიზეზი, თუ რატომ სწავლობენ დიდ დეპრესიას, არის ეკონომიკის აბსოლუტური, ძალიან დიდი მასშტაბის კოლაფსი. ფაქტია, დიდმა დეპრესიამ ამერიკის შეერთებული შტატების ყველა რეგიონსა და ყველა ასპექტში პოვა ასახვა. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რათა შეესწავლათ მნიშვნელოვანი ეკონომიკური კონცეფციები და კვლევები ეწარმოებინათ ეკონომიკაში. გარდა ამისა, დიდი დეპრესია გვიჩვენებს მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ფული, ბანკები და სააქციო ბაზრები თამაშობს ეკონომიკაში.

მესამე მიზეზი დიდი დეპრესიის შესწავლისა არის მთავრობის როლის დრამატული ცვლილება, განსაკუთრებით ფედერალური მთავრობისა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში. დიდ დეპრესიამდე ფედერალური მთავრობა ხარჯავდა ამერიკის შეერთებული შტატების მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ზე ნაკლებს. 1939 წელს ფედერალური დანახარჯები მთლიან შიდა პროდუქტში¹⁰⁶ 10% - ამდე გაიზარდა (ამჟამინდელი მდგომარეობით ფედერალური ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 20%-ს შეადგენს). აგრეთვე დიდმა დეპრესიამ ჩვენ მოგვითანა დეპო-

¹⁰⁶ In 1929, federal outlays totaled \$3.1 billion (Economic Report of the President); GDP totaled \$108.1 billion (Gordon, Macroeconomics).

ზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია (FDIC), ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება, სოციალური დაცვის სისტემის დაბადება და პირველი ეროვნული მინიმალური ხელფასი.

რამ გამოიწვია დიდი დეპრესია?

ეკონომისტები კვლავაც განაგრძობენ დიდი დეპრესიის შესწავლას, რადგან ჯერ კიდევ განსხვავდება მათი აზრები იმასთან დაკავშირებით, თუ რამ გამოიწვია ის. ბევრმა თეორიამ ამ ხნის განმავლობაში განიცადა მნიშვნელოვანი სრულყოფა, მაგრამ არ არსებობს ერთიანი აზრი და, რაც მთავარია, უნივერსალური პასუხი იმისა, თუ რამ გამოიწვია დიდი დეპრესია ან როგორ გაჯანსაღდა ეკონომიკა საბოლოოდ.

პირველი, რაც ადამიანებს თავში მოსდით, როდესაც დიდ დეპრესიაზე ფიქრობენ, არის 1929 წლის საფონდო ბაზრის კრაში. აღნიშნულმა საფონდო ბაზრის კრაშმა გაანადგურა მნიშვნელოვანი სიდიდის სიმდიდრე. ალბათ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ საფონდო ბაზრის კრაშმა გამოიწვია ეჭვი ეკონომიკის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რამაც მიიყვანა მომხმარებლები და ფირმები თავიანთი დანახარჯების შემცირებამდე. განსაკუთრებით ძვირადღირებული საქონლის ჩამონათვალზე, როგორებიც არის ავტომანქანები და ტექნიკური მოწყობილობები. თუმცა, რამდენადაც დიდი არ უნდა ყოფილიყო საფონდო ბაზრის კრაში, ის თავისით ვერ გამოიწვევდა დიდ დეპრესიას.




გრაფიკი 1. S&P-ის საფონდო ინდექსი

ზოგი ეკონომისტი დიდი დეპრესიის გამომწვევ მიზეზებზე მიუთითებს პროტექციონისტულ სავაჭრო პოლიტიკაზე და საერთაშორისო ვაჭრობის კოლაფსზე. Smooth-Hawley tarifმა 1930 წელს დრამატულად გაზარდა იმპორტირებული საქონლის დანახარჯები და გამოიწვია საპასუხო ქმედება ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი სავაჭრო პარტნიორების მხრიდან. მიუხედავად ამისა, მხოლოდ საფონდო ბაზრის კრაშს და პროტექციონისტულ სავაჭრო პოლიტიკას არ შეიძლება გამოეწვია დიდი დეპრესია.

სხვა ექსპერტები გვთავაზობენ დიდი დეპრესიის სხვადასხვა ახსნას. ზოგი ისტორიკოსი დიდ დეპრესიას მოიხსენიებს, როგორც კაპიტალიზმის გარდაუვალ ჩავარდნას. სხვები დიდ დეპრესიას აბრალებენ 1920-იანი წლების "სიჭარბეებს": მეტისმეტად ჭარბი რაოდენობის ფართო მოხმარების საგნების წარმოებას, ჭარბ შენობებს, ჭარბ ფინანსურ სპეკულაციებს და შემოსავლისა და სიმდიდრის არასათანადოდ განაწილებას. ეს ახსნები დიდად ეხმარება ეკონომისტებს შესაბამისი ანალიზისათვის. ერთი ახსნა მიუთითებს და აქცენტს აკეთებს საბანკო სისტემის კოლაფსზე და ფულის მიწოდების შემცირებაზე. გამოჩენილმა ეკონომისტებმა მილტონ ფრიდმანმა და ანა შვარცმა დაასაბუთეს, რომ ფულის მარაგის შემცირებამ გამოიწვია ერთობლივი გამოშვებისა და ფასების სწრაფი ვარდნა ეკონომიკაში ¹⁰⁷.

¹⁰⁷ Milton Friedman and Anna J. Schwartz. A Monetary History of the United States, 1867-1960. Princeton: Princeton University Press, 1963.



გრაფიკი 2. 75 ქვეყნის იმპორტის ღირებულება, გაანგარიშებული აშშ დოლარში

როგორც კი ფულის მარაგი შემცირდა, უეცრად დაეცა დანახარჯები საქონელზე და მომსახურებაზე, როგორც აღმოჩნდა, ამან გამოიწვია ის, რომ ფირმებმა შეამცირეს ფასები და გამოშვება და გაათავისუფლეს სამუშაო ძალა. მოგების შემცირების შედეგად გაძნელდა მსესხებლებისთვის ვალების დაფარვა. საგრძნობლად იმატა დეფოლტებმა და გაკოტრებებმა, შეიქმნა სპირალი, რომლის შედეგადაც ბანკების უმეტესობა გაკოტრდა, ფულის მარაგის შემცირება სწრაფი ტემპით გრძელდებოდა, ერთობლივი გამოშვება, ფასები და დასაქმება კი ეცემოდა¹⁰⁸.

ფული, ბანკები და დეფლაცია

ეკონომიკის ფუნქციონირება დამოკიდებულია ფულზე. ფული განვითარდა ათასობით წლების წინ, რადგან ბარტერი კარგად ვერ მუშაობდა. თანამედროვე ეკონომიკას არ შეუძლია ფულის გარეშე ფუნქციონირება და ეკონომიკის ტრენდი ხდება დაღმავალი, როდესაც ფულის რაოდენობა ან ფულის ღირებულება იცვლება მოულოდნელად და დრამატულად. ფულის დიდი მასით დაბეჭდვა და მისი ღირებულების შემცირება იწვევს ფასების ზრდას (ინფლაციას). მეორე მხრივ, ფულის მარაგის შემცირება და ფულის ღირებულების ზრდა იწვევს ფასების ვარდნას (დეფლაციას).

თანამედროვე ეკონომიკაში, დეპოზიტებს და არა მონეტებსა და ბანკნოტებს, აქვს ლომის წილი ფულის მარაგთან მიმართებით. საბანკო დეპოზიტები იქმნება, როდესაც ბანკები ქმნიან სესხებს, ხოლო დეპოზიტები მცირდება, როცა მსესხებლები აბრუნებენ სესხებს. სესხების რაოდენობა, რომელიც შეუძლიათ შექმნან ბანკებმა და აქედან გამომდინარე დეპოზიტების მოცულობა, რომელიც არის შექმნილი, ნაწილობრივ დამოკიდებულია რეგულაციებზე, რეზერვების იმ დონეზე,

¹⁰⁸ Federal Reserve Chairman Ben Bernanke wrote an important article showing that banking panics contributed to the nation's economic collapse not only by reducing the money stock, but also by increasing the costs of borrowing and lending. Ben S. Bernanke. "Nonmonetary Effects of the Financial Crisis in Propagation of the Great Depression," American Economic Review, June 1983, v. 73, iss. 3, pp. 257-76.

რომლის დროსაც ბანკი ვალდებულია, ფლობდეს რეზერვების გარკვეულ მოცულობას და ნაწილობრივ ბანკირების შეფასებით და გადაწყვეტილების მიღებით ბიზნესის მიმართ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საბანკო რეზერვები მოიცავს ნაღდ ფულს, რომელიც ინახება ბანკის საცავებში და დეპოზიტებს, რომლებსაც ინახავენ ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკებში. რეზერვები გამოიშუშავენს ძალიან ცოტა სარგებელს ან საერთოდ არა, ასე რომ, ბანკებს არ სურთ მათი დიდი რაოდენობით შენახვა. მეორე მხრივ, ბანკები თუ მცირე რაოდენობის რეზერვებს შეინახავენ, ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ რისკის წინაშე მოულოდნელად დეპოზიტების გატანისას დეპოზიტარების მხრიდან.

1930-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო ოქროს სტანდარტი, რაც იმას ნიშნავდა, რომ შეერთებული შტატების მთავრობას უნდა გაეცვალა დოლარები ოქროზე ფიქსირებული ფასით. კომერციული ბანკები, ისევე როგორც ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკები, ფლობდნენ თავიანთ წილს კანონის შესაბამისად, როგორც ოქროს ზოდებსა და მონეტებს.

ოქროს რეზერვების ზრდა, რომლის წყარო იყო ადგილობრივი წიაღისეულის მოპოვება ან ოქროს შემოდინება საზღვარგარეთიდან, მისცემდა ბანკებს შესაძლებლობას, გაეზარდათ თავიანთი სესხების მოცულობა, რის შედეგადაც გაიზრდებოდა ფულადი მარაგების მოცულობა. მეორე მხრივ, რეზერვების შემცირება შეამცირებდა ფულის მარაგის მოცულობას. მაგალითად, ნაღდი ფულის ან ოქროს მსხვილი გამტანები ბანკიდან შეამცირებდა ბანკის რეზერვებს, რომელიც ასევე შეამცირებდა დეპოზიტებს და, ამავე დროს, ფულის მარაგსაც.

დიდი დეპრესიის განმავლობაში თავდაპირველად ფულის მარაგი შემცირდა საბანკო პანიკის შედეგად. საბანკო სისტემა ეყრდნობოდა დეპოზიტორების ნდობას, რომლის დროსაც, როდესაც მათ მოუნდებოდათ თავიანთი ფონდების მიღება, ამას განახორციელებდნენ უპრობლემოდ. თუ ეს ნდობა შეირყეოდა, ხალხი მასიურად დაიწყებდა ბანკიდან ფულის გატანას, რათა დაეზღვიათ რისკი იმისა, რომ არ დაეკარგათ თავიანთი ფულადი სახსრები.


იქიდან გამომდინარე, რომ ბანკები თავიანთი დეპოზიტორების მხოლოდ ცოტაოდენ წილს ფლობენ, რეზერვების სახით, უეცარმა და მოულოდნელმა მცდელობამ დეპოზიტების ნაღდ ფულად გადაქცევისა, ბანკები მიიყვანა რეზერვების დეფიციტამდე. ჩვეულებრივ, ბანკები დამატებით სახსრებს სესხულობენ სხვა ბანკებისგან ან ფედერალური სარეზერვო სისტემისგან. თუმცა სესხი სხვა ბანკებისგან გახდა ძალიან ძვირი და შეუძლებელიც კი, როდესაც დეპოზიტორები მოთხოვნას ქმნიდნენ ყველა ბანკში. დიდი დეპრესიის განმავლობაში, ბევრ ბანკს არ შეეძლო ან არ უნდოდა სესხის აღება ფედერალური სარეზერვო სისტემისგან იმიტომ, რომ ისინი განიცდიდნენ შესაბამისი უზრუნველყოფის ნაკლებობას ან კიდევ არ ეკუთვნოდნენ ფედერალურ სარეზერვო სისტემას¹⁰⁹.

ბანკებმა დაკარგეს რეზერვები და შეუმცირდათ სესხები და დეპოზიტები, რამაც შეამცირა ქვეყნის ფულადი მარაგი. ფულის შემცირება დიდი ოდენობით, როგორც წესი, ასოცირდება დიდი რაოდენობით ბანკების გაკოტრებასთან, რამაც გამოიწვია ეკონომიკური კოლაფსი.

ცოტა ფულმა და სესხების გაზრდილმა ხარჯებმა შეამცირა დანახარჯები საქონელსა და მომსახურებაზე, რამაც პროდუქციის წარმოების შემცირება გამოიწვია, დაეცა ფასები და დაითხოვეს მშრომელები. ფასებისა და მოგების ვარდნამ გამოიწვია ეკონომიკის პათოლოგიური მდგომარეობა. დეფლაციამ გაზარდა ვალის მოცულობა, რის გამოც ბევრ ფირმას და საოჯახო მეურნეობას აღარ შესწევდა უნარი, დაეფარა თავისი სესხები. გაკოტრებებისა და დეფოლტების რიცხვმა საგრძნობლად იმატა, რამაც ათასობით ბანკის გაკოტრება გამოიწვია. ყოველ წელს – 1930 წლიდან 1933 წლამდე 1000-ზე მეტი ამერიკული ბანკი დაიხურა.

ფასების ვარდნამ გამოიწვია ნომინალური სარგებლის განაკვეთების შემცირება, მაგრამ ფასები იმდენად დაეცა, რომ ის მინუს ნიშნით იყო რამაც რეალური სარგებლის განაკვეთის ზრდა გამოიწვია. იქიდან გამომდინარე, რომ ბიზნეს-ინვესტიციები რეალური სარგებლის განაკვეთზეა დამოკიდებული, საგრძნობლად შემცირდა ინვესტიციები, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა რეკესიული მდგომარეობა.

¹⁰⁹ Before 1980, only banks that were members of the Federal Reserve System could borrow directly from Federal Reserve banks.



გრაფიკი 3. ნომინალური და რეალური სარგებლის განაკვეთი 1922-33 წლები

დასკვნა

ახლა ჩვენ უკვე შეგვიძლია დასმული საკითხი შემდგენიერად შევაჯამოთ, რომ საბაზრო ეკონომიკა დროდადრო განიცდის რყევებს და ის როდის შეიძლება დაატყდეს თავს ეკონომიკას, ამის პროგნოზირება პრაქტიკულად შეუძლებელია. როგორც ზემოთ ვნახეთ, ზოგჯერ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ კრიზისებისა და დეპრესიის გადრმავებას შეიძლება თვით მთავრობამ შეუწყოს ხელი არასწორი პოლიტიკის შედეგად, რაც კიდევ უფრო ართულებს ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფ ეკონომიკას. დიდი დეპრესია და იქ განვითარებული მოვლენები ამის ნათელი მაგალითია.

დიდმა დეპრესიამ დაადასტურა, რომ ფაქტობრივად ის გამოწვეული იყო ფედერალური სარეზერვო სისტემის არასწორი მოქმედებების შედეგად, რასაც მოჰყვა მონეტარული პოლიტიკის შემდგომში დახვეწა და, პრაქტიკულად, მსგავსი შეცდომები აღარ განმეორებულა, ამის ნათელი მაგალითია უახლოეს წარსულში 2007 წლის გლობალური რეცესია, რომლის დროსაც სწორედ რომ ფედერალური სარეზერვო სისტემის სწრაფმა და ეფექტურმა რეაგირებამ იხსნა ფაქტობრივად ამერიკის ეკონომიკა მეორე დიდი დეპრესიისგან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა დიოგენე, 2008
2. ხადური ნ., კაკულია ნ., ჩიქობავა მ., მაკროეკონომიკა (ლექციების კურსი ბაკალავრიატებისათვის).
3. Andrew B. Abel, Ben S. Bernanke, Dean Croushore, Macroeconomics, seventh edition
4. <https://www.stlouisfed.org/~media/Files/PDFs/Great-Depression/the-great-depression-wheellock-overview.pdf>
5. <http://www.history.com/topics/great-depression>
6. <https://www.thebalance.com/the-great-depression-of-1929-3306033>
7. <https://www.federalreserve.gov/boarddocs/speeches/2004/200403022/default.htm>
8. <https://www.khanacademy.org/humanities/ap-us-history/period-7/apush-great-depression/a/the-great-depression>

GREAT DEPRESSION AND ITS CAUSES

Summary

As economists have learned more and more about the importance of monetary and banking forces in both the contraction and recovery phases of the Great Depression, they have recognized the importance of sound macroeconomic policies in ensuring a strong economy. The Great Depression was not a failure of capitalism or markets, but rather a result of misguided government policies-specifically, the Federal Reserve allowing the money stock to collapse as panics engulfed the banking system. If the Fed had stepped up to the plate and ensured that banks had ample reserves to meet their costumers' withdrawals demand, the money stock would not declined, and the economy probably would not have sharply contracted.

The Great Depression also demonstrated the importance of price stability. Deflation was an important cause of falling incomes and financial distress, as households and firms found it increasingly difficult to repay debts. Because debt contracts almost always specify repayment of a fixed-dollar sum, deflation increases the real cost of a given nominal debt.

Thus, deflation often leads to increases in loan defaults and bankruptcies, which in turn raise the number of bank failures and produces further declines in income, output and employment. Price stability is now widely accepted as a paramount goal for monetary policy because fluctuations in the price level-whethe deflation or inflation – can cause financial instability and hinder economic growth.

ანი ქიმადე

მცირე და საშუალო ბიზნესის საკანონმდებლო და ინსტიტუციური მხარდაჭერა საქართველოში

ანოტაცია. სტატიაში განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ინიციატივები და პროგრამები. ნათქვამია, რომ 1991 წლიდან 2004 წლამდე ქვეყნის მთავრობა აქტიურად ეხმარებოდა ამ სექტორს და უქმნიდა განვითარების ხელსაყრელ პირობებს. 2004 წლიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ეს მხარდაჭერა შეწყდა ქვეყანაში ლიბერალური ეკონომიკური კურსის გატარების გამო. ამ წლებში მეწარმეობის ამ სექტორმა დაცემა განიცადა. 2012 წელს ქვეყანაში მოსულმა ახალმა მთავრობამ მრავალი ინიციატივა წამოიწყო ამ სექტორის გამოსაცოცხლებლად.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, მცირე, საშუალო, მხარდაჭერა, პროგრამები

შესავალი

ქვეყნის ეკონომიკის ზრდას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება უზრუნველყოფს. ეს დამტკიცებულია როგორც მაღალგანვითარებული ქვეყნების, ისე „ახის ვეფხვების“ (სინგაპური, ტაილანდი და სხვები) პრაქტიკითაც. ასეთ დროს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი ერთგვარი „გერის“ როლში დგას. 2015 წლის ინფორმაციით, ამ სექტორმა ქვეყნის მთლიან ბრუნვაში მხოლოდ 17,5% დაიკავა, ანუ 2,4 პროცენტული პუნქტით ნაკლები, ვიდრე 2011 წელს (მეწარმეობა საქართველოში, 2016:27). ასეთ დროს ევროპაში მას საშუალოდ 58% უკავია.

* * *

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების ინსტიტუციური და საკანონმდებლო სისტემის განვითარება დაიწყო 1990-ანი წლების ბოლოს. 1999 წელს მიღებული კანონი „მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ განსაზღვრავდა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ძირითად პრინციპებს. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად ჩამოყალიბდა აგრეთვე, „მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“. აღნიშნული ორგანიზაციების კომპეტენციაში შედიოდა მცირე საწარმოთა ხელშეწყობის ღონისძიებებისა და სპეციალური დახმარების პროგრამების განხორციელება. ამის გარდა, არსებობდა 1994 წელს დამტკიცებული კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომელიც ზოგადად არეგულირებდა ბიზნესს, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესს.

სამთავრობო დახმარების კონცეფციისა და სპეციალური პროგრამის განხორციელების კვალობაზე, მცირე საწარმოთა აქტივობების ზრდის პროცესი სტაბილური და ეფექტიანი გახდა. შესწავლილ იქნა გარდამავალ ქვეყნებში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის საერთაშორისო გამოცდილება. გამოვლენილ იქნა მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობისათვის აუცილებელი მექანიზმები, რომლებიც მოგვიანებით დაინერგა პრაქტიკაში. მიუხედავად ამისა, 2000-იანი წლების დასაწყისში მრავალი დაბრკოლება არსებობდა, რომლებიც ხელს უშლიდა მცირე და საშუალო

საწარმოების განვითარებას, კერძოდ, ქრონიკული საბიუჯეტო დეფიციტი, სისტემური კორუფცია, მოუქნელი ბიუროკრატია, უადრესად არაეფექტური და კორუმპირებული საგადასახადო და საბაჟო სისტემები.

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 22 ივნისის №309 ბრძანებულების საფუძველზე დამტკიცდა „2002-2004 წლებში მცირე და საშუალო საწარმოების სახელმწიფო დახმარების პროგრამა“. აღნიშნული პროგრამა გულისხმობდა საწარმოთათვის სახელმწიფო დახმარების აღმოჩენას ორი ძირითადი მეთოდის გამოყენებით:

1. საფინანსო დახმარების აღმოჩენა:
 - მცირე მოცულობების პირდაპირი სესხები;
 - მცირე საწარმოთათვის გარანტიების გაცემა კომერციულ ბანკებში სესხების მისაღებად;
 - საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება.

საწარმოთა ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სპეციალური ორგანიზაცია გასცემდა გარანტიებს შერჩეულ მცირე და საშუალო საწარმოებზე იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ კომერციული ბანკების მოთხოვნებს გირაოს ანდა ბიზნესრისკებთან დაკავშირებით. სუბსიდირების მიზანს წარმოადგენდა კომერციული ბანკების მაღალი საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რათა კრედიტის საფასური მისაღები ყოფილიყო საწარმოთათვის. საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირების პროგრამა გამოიყენებოდა მთავრობის მიერ წინასწარ განსაზღვრულ პრიორიტეტულ სფეროებში ეკონომიკური და სოციალური პროექტების დასაფინანსებლად.

2. საინფორმაციო, საკონსულტაციო, განათლებისა და ტრენინგის სფეროები: პროგრამა მიზნად ისახავდა მცირე და საშუალო საწარმოთა მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას საინფორმაციო-საკონსულტაციო სფეროში. პროგრამის რეალიზაციის პროცესში მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი ასრულებდა ორ ძირითად ამოცანას:

- მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ძირითადი საშუალებებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაციული უზრუნველყოფა;
- საწარმოთა პერსონალის ტრენინგისა და სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ამგვარად, საქართველოში 2006 წლამდე მიღებულ იქნა მცირე ბიზნესის ხელშეწყობის შემდეგი კანონები და კანონქვემდებარე აქტები:

- „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონი – 1999 წლის 23 ივლისს;
- „მცირე საწარმოთა საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 26 იანვრის ბრძანებულება;
- „მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 8 აპრილის №134 ბრძანებულება;
- „2002-2004 წლებში საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო დახმარების პროგრამის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 22 ივნისის №309 ბრძანებულება;
- „მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 13 აპრილის დადგენილება №21.

კანონი „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ გაუქმდა იქნა 2006 წელს 2004 წელს საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ ეგიდით მოსული ახალი მთავრობის მიერ. მის მიერ ოფიციალურად იქნა დეკლარირებული ლიბერალური ეკონომიკური კურსი, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, გულისხმობდა ბიზნესში ჩაურევლობის პრინციპის დანერგვას და, ამასთანავე, ყველა საწარმოსათვის თანაბარი პირობების შექმნას, განურჩევლად მათი ზომისა. შესაბამისად, მთავრობა ესწრაფოდა ხელსაყრელ ბიზნესგარემოს, ლიბერალური საგადასახადო რეჟიმის, ლიცენზიებისა და ნებართვების გამარტივებული სისტემის ამოქმედებას. „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ კანონის გაუქმების შემდეგ განსაზღვრებები მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ გადატანილი იქნა კანონში „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“. დღეისათვის საქართველოს კანონმდებლობაში მხოლოდ კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ გვაძლევს მცირე ბიზნესის სრულფასოვან განსაზღვრებებს.

უნდა აღინიშნოს იმის თაობაზე, რომ მიუხედავად მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის კანონის გაუქმებისა, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის №110 დადგენილების საფუძველზე დამტკიცდა პროგრამა „დასაქმება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით“.

სახელმწიფოს მხრიდან მცირე ბიზნესისათვის დასახმარებლად ორგანიზებული პროექტების კუთხით ასევე აღსანიშნავია თბილისის მერიის პროგრამა „დაიწყე შენი ბიზნესი მერიის დახმარებით“.

საყურადღებოა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული მცირე ბიზნესის ხელშეწყობი ტექნიკური დახმარების პროექტებიც, რომლებიც საქართველოში ხორციელდება 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან.

2006 წელს საქართველოს კანონის – „მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“ – გაუქმებას, როგორც პრაქტიკოსები, ისე მეცნიერები მუდმივად აკრიტიკებდნენ. ისინი წერდნენ, რომ მიუღებელია მთავრობის პოლიტიკა, რომ თითქოს „ბიზნესი არის ბიზნესი და მცირე ბიზნესის ცალკე გამოყოფა არ შეიძლება“. მეტიც, ჟურნალისტი ნ. არველაძე ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკაში“ სტატიას სტატიაზე აქვეყნებდა, „კანონგარეშე დარჩენილი პრიორიტეტის“ ეგიდით და, რა თქმა უნდა, ამ პრიორიტეტში მცირე ბიზნესს გულისხმობდა [არველაძე ნ., 2009:19-22]. ამას აკეთებდნენ სხვა მეცნიერებიც. მართლაც, დაწყებული 2006 წლიდან, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, საქართველოს მთავრობა სიტყვიერად მცირე ბიზნესს პრიორიტეტად მიიხნევა, მაგრამ არც ამ გაუქმებული კანონის აღდგენას ფიქრობდა და არც საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის შექმნას.

მართალია, „მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“ კანონი ჯერაც არ არის აღდგენილი, მაგრამ 2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში მოსულმა ახალმა მთავრობამ მცირე ბიზნესისთვის პირობების შექმნა 2014 წლიდან დაიწყო. ამ წელს დაფუძნდა „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ და „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“.

მეწარმეობის განვითარების სააგენტო წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკისა და პროგრამის განხორციელების ერთადერთ მაკოორდინირებელ სტრუქტურას საქართველოში.

სააგენტოს მთავარი ფუნქციებია:

- ბიზნესის მხარდაჭერა DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში;
- სხვადასხვა სფეროში საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, საექსპორტო და ადგილობრივ ბაზრებზე არსებული მოთხოვნისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მეწარმეთათვის მიწოდება;
- მეწარმეთათვის დახმარების გაწევა ბიზნესის დაგეგმვისა და განვითარების კუთხით;
- მეწარმეთა დახმარება დონორებსა და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობაში;
- ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა სხვადასხვა სქემების გამოყენებით;
- საერთაშორისო ბაზრებზე მარკეტინგის პროცესში დახმარება და ა. შ.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო წარმოადგენს ცოდნასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერ ძირითად უწყებას.

სააგენტოს ფუნქციებს შორისაა:

- ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა;
- თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვით მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერების ხელშეწყობა;
- ინოვაციებისა და R&D-ისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ცოდნაზე დაფუძნებული ინიციატივების ინოვაციური პროექტებისა და პროდუქტების მხარდაჭერა;
- საწარმოებისთვის კვლევისა და განვითარების მასტიმულირებელი პროგრამების განხორციელება;
- ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაფარვა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით;
- საყოველთაო კომპიუტერიზაციის პროცესის წარმართვა და ა. შ.

ყოველივე ამის პარალელურად ქვეყნის ახალმა მთავრობამ შექმნა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობი პროგრამები და წამოიწყო ინიციატივები, მათ შორისაა სახელმწიფო პროგრამა „წარმე საქართველოში“.

2014 წელს გამოჩნდა საქართველოს მთავრობის ახალი ინიციატივებიც. ამ წელს შემუშავდა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020“, 2015 წელს სამთავრობო პროგრამა – „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ და „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“.

ეს 6 განყოფილებიანი დოკუმენტი მთლიანად ეძღვნება საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სამომავლო განვითარების ხედვას. იგი ასეთი სტრუქტურითაა შედგენილი: ეკონომიკისა და მთავრობის პრიორიტეტების მიმოხილვა, მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის მიმოხილვა, მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის SWOT-ანალიზი, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზანი და ამოცანები, მცირე და საშუალო მე-

წარმოების პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები, განხორციელება და მონიტორინგი [საქართველოს... 2015:3].

დასკვნა

არ ვფიქრობთ, რომ ბოლო 4 წლის პერიოდში საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი ღონისძიებები და მათში გაცხადებული საქართველოს მთავრობის მზაობა, შეუქმნას სათანადო პირობები ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებას, დარჩება „ხმად მლაღაღებლისა უდაბნოსა შინა“, როგორც წინა წლებში დარჩა არა ერთი და ორი სამთავრობო პროგრამა (მაგალითად, „საქართველო სიღარიბის გარეშე“ და სხვ.). როგორც მეწარმეები, ისე საზოგადოება ელოდება მთავრობის მეტ აქტიურობას ამ სექტორში, რადგან ის, რაც კეთდება საკმარისი არ არის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არველაძე ნ., 2009, კანონგარეშე დარჩენილი პრიორიტეტი, ჟ. „საქართველოს ეკონომიკა“, №4, გვ. 19-24.
2. მეწარმეობა საქართველოში, 2015, თბილისი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გვ. 27.
3. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, თბილისი, გვ. 3.

Ani Kimadze

THE LEGAL AND INSTITUTIONAL SUPPORT OF SMALL AND MEDIUM BUSINESS IN GEORGIA

Summary

The article discusses the environment of small and medium business development in Georgia. This environment is made by the state government and expresses the supporting policy for small and medium business. This work considers the legal and institutional maintenance by the Georgian government from 1990. In 1994 the law about entrepreneurs was adopted, in 1999 – the law about the maintenance of small enterprises and in 2000 was created a center of small business development and encouraging and in 2002 – a state help program for small and medium enterprises.

It is said in that from 2004 the actual maintenance of small and medium business was stopped by the Georgian government and the law about “the maintenance of small business” was annulled. The government declared the liberal economic course that meant the creation of equal conditions for all enterprises. Scientists criticized this behavior of Georgian government, but till October, 2012 nothing has changed. The existing government reckoned small business as a priority.

In October, 2012, new Georgian government started to create special conditions for small business. The agency of entrepreneurs development, the agency of innovation and technology was opened, the program “Produce in Georgia” “Credit percent subsidize” started, partnership fund was found etc. Besides, the new government laid down the law: “the strategy of small and medium business development for 2016-2020 years”.

We hope that this document will work effectively and won't stay only on the paper.

ვახტანგ ჩქარეული

ეკონომიკური თავისუფლების ოპტიმალური დონე და მისი ბავშვანა ეკონომიკურ განვითარებაზე

ანოტაცია. მსოფლიოში მილიონობით ადამიანის ეკონომიკური აქტივობების კოორდინირების მხლელად ორი გზა არსებობს, პირველი, ეს არის ცენტრალური დაგეგმვა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს პირდაპირ ჩარევას მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში, რომელსაც ხშირად ტოტალიტარულ მმართველობასაც უწოდებენ, მეორე კი ეფუძნება ნებაყოფლობით თანამშრომლობასა და ლიბერალურ იდეოლოგიას – ე.წ. თავისუფალი ბაზრის პრინციპი.

აღნიშნულ ნაშრომში განვიხილავთ ეკონომიკური თავისუფლების კონცეფციას, ავრუთვე სახელმწიფოს როლს მისი ოპტიმალური დონის მიღწევისათვის და შესაძლო გავლენას ეკონომიკურ განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური თავისუფლება, ეკონომიკური ზრდა.

შესავალი

ეკონომიკური თავისუფლების კონცეფცია

კითხვაზე, თუ რა არის თავისუფლება – შესაძლოა იმდენი მოსაზრება არსებობდეს, რამდენი რესპონდენტიც, თუმცა ეს არ ნიშნავს რომ, რომელიმე მათგანის პასუხი მცდარი იქნებოდა. მაგალითად, ნელსონ მანდელა საკუთარ ავტობიოგრაფიულ წიგნში „Long Walk to Freedom” წერს – თავისუფლება არ არის მხოლოდ ადამიანისთვის ბორკილების მოხსნა, ეს არის ცხოვრება იმგვარად, რომ პატივი ვცეთ „ურთიერთ-თავისუფლებას“. თუკი ჩაველრმავებით აღნიშნულ ამონარიდს, დავინახავთ, რომ იგი ეხმიანება არა მხოლოდ ადამიანისეულ თავისუფლებას, არამედ ეკონომიკურ თავისუფლებასაც.

ეკონომიკური თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, მოდის კერძო საკუთრების ფლობის უფლებიდან. ზოგადად, ინდივიდი შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს, როგორც „ეკონომიკურად თავისუფალი“, თუკი მას გააჩნია ორი ძირითადი უფლება – 1) კერძო საკუთრება, რომელსაც ის იღებს მითვისების, თაღლითობის ან/და ნებისმიერი ძალის გამოყენების გარეშე, დაცულია სხვა ადამიანების ხელყოფისგან და 2) მას შეუძლია გამოიყენოს, გაასხვისოს ან/და გაყიდოს კერძო საკუთრება საკუთარი შეხედულებისამებრ თუკი მისი ეს ქმედება არ ზღუდავს სხვა ადამიანების მსგავს უფლებებს.

ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური თავისუფლება წარმოადგენს ნებისმიერი ადამიანის უფლებას, განკარგოს საკუთარი სამუშაო ძალა თუ კერძო საკუთრება პირადი შეხედულებისამებრ. იქ, სადაც თავისუფალი საბაზრო პრინციპები განკარგავს ადამიანთა ქმედებებს, ინდივიდები თვითონ წყვეტენ, საკუთარი დრო დაუთმონ მუშაობას თუ დასვენებას, საკუთარი შემოსავლების რა ნაწილი მოიხმარონ და რა ნაწილი დაზოგონ, სახელმწიფო აბსოლუტურად გამორიცხულია ინდივიდების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან. თუმცა, მეორე მხრივ, თითოეული ადამიანის წარმატება დამოკიდებულია მათსავე მონდობებასა და ძალისხმევაზე, მათ უნარზე, ინიციატივასა და შესაძლებლობებზე. სახელმწიფო ინსტიტუტების ქმედებები ხასიათდება გამჭვირვალობის მაღალი დონით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური თავისუფლების უმთავრეს წინაპირობას კერძო საკუთრების უფლების ქონა წარმოადგენს, თუმცა მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. დღევანდელ მსოფლიოში აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს, ამდენად რთულია ვისაუბროთ მის ყველა კომპონენტზე. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია გამოვეყოთ რამდენიმე უმთავრესი წინაპირობა, რომელთა არსებობაც წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლების საძირკველს. მაგალითად, სამართლიანი სასამართლოს სისტემა, რათა ქვეყნის მოქალაქეებს ჰქონდეთ საკუთარი უფლებების დაცულობის განცდა. ასევე სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალობა და კორუფციისგან თავისუფლება, რაც ადამიანებს იმის გონივრულ რწმუნებას აძლევს, რომ ყველა მოქმედებს თანაბარ პირობებში. მნიშვნელოვანია ბიზნესისა და სამუშაო ძალის თავისუფლება, რათა ინდივიდები საკუთარი შეხედულებისამებრ, მინიმალური დროისა და რესურსების დანახარჯებით იწყებდნენ ბიზნესაქტივობას ანდა წყვეტდნენ იმას, თუ სად, რა თანხის სანაცვლოდ და რამდენი ხნით იმუშაონ.

ეკონომიკური თავისუფლების ობტიმალური დონე და მთავრობის როლი

მთავრობის მიერ პრობლემის გადაჭრა, როგორც წესი, ისეთივე ნეგატიურია, როგორც თვით პრობლემა და უმეტესწილად ამბაფრებს კიდევ მას – მილტონ ფრიდმანი

ხშირად გვსმენია იმის შესახებ, უნდა ერეოდეს თუ არა მთავრობა ეკონომიკურ პროცესებში, თუ უნდა ერეოდეს, მაშინ რა სიხშირით ან რა დოზით?

როდესაც ვსაუბრობთ მთავრობის მნიშვნელობაზე ეკონომიკური თავისუფლების ჭრილში, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არ ნიშნავს სახელმწიფოს აბსოლუტურ გამორიცხვას ამა თუ იმ ეკონომიკური აქტივობებიდან. პირიქით, მას გააჩნია განსაკუთრებული როლი, აღმოფხვრას ბაზრის არასრულყოფილება (ანუ გაუმკლავდეს იმას, რასაც ბაზარი დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება). ზოგადად, სახელმწიფოს მოქმედება, რომელიც ერევა ადამიანთა ინდივიდუალურ ავტონომიაში, ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, მიზანი არ არის სახელმწიფოს აბსოლუტური ჩაურევლობა. მან უნდა შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და მოახდინოს მისი მართებული ინტერპრეტირება, რათა დაიცვას თითოეული ადამიანის უფლება [Friedman, M., 2002: 7-36].

თუკი მთლიანად ბაზარს წარმოვიდგენთ, როგორც თამაშის რომელიმე სახეობას, ეკონომიკური თავისუფლების ჩამოყალიბების, განმტკიცებისა და განვითარების პროცესში მთავრობა ამ თამაშში იქნება არა როგორც მისი რომელიმე მხარე, არამედ როგორც წესების

განმსაზღვრელი სუბიექტი, რომელიც პასუხისმგებელია სამართლიანი გარემოს ჩამოყალიბებაზე. მისი მოვალეობა არ არის, ჩაერიოს ორ მხარეს შორის მოლაპარაკებისა თუ ურთიერთობის წარმართვის პროცესში, იგი სრულიად აბსტრაქტირებულია აღნიშნულ კონტექსტში. მთავრობის უმთავრესი ფუნქციაა, უზრუნველყოს სამართლიანი გარემოს ჩამოყალიბება, სადაც თითოეული „მოთამაშის“ წარმატება დამოკიდებული იქნება საკუთარ ძალისხმევაზე, შესაძლებლობებსა და არჩევანზე, სადაც მან უნდა დაიცვას თითოეული მათგანი და არ დაუშვას, რომ თამაშის რომელიმე მონაწილისთვის ერთი უფლების მინიჭებით იზღუდებოდეს სხვა მონაწილის ანალოგიური უფლება. ამისთვის კი უმნიშვნელოვანესია გამართული და ეფექტიანი სამართლებრივი ნორმებისა და რეგულაციების არსებობა, ჯანსაღი სასამართლო სისტემა და სხვა მრავალი [Friedman, M., 1990: 31-33].

ეკონომისტები (და არა მხოლოდ ეკონომისტები) ხშირად დაობენ იმაზე, თუ რა არის ეკონომიკური თავისუფლების ოპტიმალური დონე. სად არის ზღვარი, რომლის მიღწევის შემდგომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური თავისუფლება მის ბუნებრივ დონეზე ანდა ოქროს შუალედს იკავებს? ამ კითხვაზე, ცალსახა, კონკრეტული პასუხი არ არსებობს იმ მარტივი მიზეზით, რომ მსოფლიო ეკონომიკა ყოველდღიურად განიცდის ათობით ცვლილებას, რომელთა წინასწარ განჭვრეტაც ხშირად ძალიან რთულია. შესაბამისად, თითოეული ქვეყანა, რომელსაც სურს, გახდეს განვითარებული მსოფლიოს ნაწილი, ცდილობს ფეხი აუწყოს იმ ცვლილებებს, რომელთაც ადგილი აქვს ამა თუ იმ რეგიონში. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური თავისუფლების სასურველი დონე მიღწეულია და არ საჭიროებს არავითარ ცვლილებებს. პირიქით, ის დროში პროგრესირებს მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებთან ერთად.

საუკეთესო პასუხი კი ზემოთ დასმულ კითხვებზე არის ის, რომ ეკონომიკური თავისუფლების ოპტიმალური დონე განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და დამოკიდებულია არა მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორებზე, არამედ სოციალურ, პოლიტიკურ, გეოგრაფიულ თუ სხვა ფაქტორებზეც.

ეკონომიკური თავისუფლება და ეკონომიკური განვითარება

თუკი გავიზიარებთ ძირითადი მაკროეკონომიკური მოდელის კონცეფციას მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ, მაშინ უნდა ველოდოდ, რომ იმ ფაქტორებს, რომლებიც გაზრდიან მოხმარებას, ინვესტიციებს, სახელმწიფო ხარჯებს ანდა წმინდა ექსპორტს, ექნებათ პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდასთან.

ეკონომიკური თავისუფლება, მისი ძირითადი იდეიდან გამომდინარე, წარმოადგენს იმგვარ ფაქტორს, რომელიც დადებით გავლენას უნდა ახდენდეს მთლიანი შიდა პროდუქტის ძირითადი კომპონენტების ცვლილებაზე. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური თავისუფლების გაუმჯობესება უნდა აისახებოდეს ეკონომიკური ზრდის უმთავრეს ინდიკატორზე – მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე [Cebula, R.J., Clark, J., & Mixon, F.G., 2013: 34-41].

ზემოხსენებულის გასამყარებლად მოკლედ განვიხილოთ ეკონომიკური თავისუფლების ძირითადი კომპონენტები და მათი შესაძლო გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე.

საკუთრების უფლება. წარმოუდგენელია წაახალისო მცირე და საშუალო ბიზნესი ეფექტიანი სამართლებრივი ნორმების გარეშე, რომლებიც იცავენ მათ უფლებებს (მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, საკუთრების უფლებას). თუკი ადამიანებს არ შეუძლიათ თავისუფლად განკარგონ მათი საკუთრება, ეს ცხადია, შეამცირებს მათ შესაძლებლობებსა და მოტივაციას, განახორციელონ ინოვაციური იდეები. კორუფციისგან თავისუფლება. კორუფცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო იარაღს რესურსების ეფექტიანად განაწილების წინააღმდეგ. გარდა ამისა საზოგადოება კარგავს რწმენას ხელისუფლების მიმართ, რომ მას შეუძლია წარმართოს ეკონომიკური აქტივობები ხალხის სასარგებლოდ. კვლევების უმეტესობა ცხადყოფს, რომ კორუფციის არსებობა ამცირებს კერძო ინვესტიციებს დონეს. ფისკალური თავისუფლება. ფისკალური თავისუფლება უპირველეს ყოვლისა ზომავს საგადასახადო ტვირთის ზომას. მაღალი საგადასახადო ტვირთი კი პირდაპირ ზემოქმედებს ადამიანთა სტიმულებზე, თავი შეიკავონ ბიზნესაქტივობებისგან. იგი ასევე ამცირებს ინვესტიციების დონეს ქვეყანაში, ვინაიდან არავის აქვს სურვილი, აკეთოს ბიზნესი მაღალი საგადასახადო ტვირთის პირობებში. ბიზნესის თავისუფლება. ნებისმიერი ინდივიდი, რომელსაც გააჩნია სურვილი, დაიწყოს ახალი საქმიანობა, ეძებს ისეთ ადგილს, სადაც, ზემოხსენებულ კრიტერიუმებთან ერთად, ყველაზე მარტივი იქნება ბიზნესის კეთება. აქედან გამომდინარე, ბიზნესის თავისუფლება ერთ-ერთი ყველაზე მთავარი კომპონენტია ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. თუკი ინვესტორს აქვს არჩევანი ქვეყნებს შორის, ცხადია, ის ამჯობინებს საკუთარი რესურსების წარმართვას იმ ქვეყანაში, სადაც ბიზნესის დაწყება და შენარჩუნება მინიმალურ ფულად და ადამიანურ რესურსებთან იქნება დაკავშირებული.


სამუშაო ძალის თავისუფლება. სამუშაო ძალის თავისუფლება არის კომპონენტი, რომელიც პირდაპირ უწყობს ხელს რესურსების ყველაზე ეფექტიან განაწილებას. მნიშვნელოვანია, რომ

დასაქმებულებს, ერთი მხრივ, თავისუფლად შეეძლოთ მოლაპარაკებების წარმოება დამსაქმებლებთან, ხოლო მეორე მხრივ, ყოველგვარი გავლენის, მითითების ანდა ძალდატანების გარეშე შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღება თუ სად, რა ფასად და რამდენი ხნით სურთ საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვა. ნებისმიერმა შეზღუდვამ შრომის ბაზარზე (მაგალითად, მინიმალური ხელფასის დაწესება) შეიძლება მარტივად მიგვიყვანოს კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის წახალისებისკენ. მონეტარული თავისუფლება. მონეტარული თავისუფლება შედგება ორი ძირითადი ქვეკომპონენტისაგან. პირველი, ეს არის ინფლაციის დონე ბოლო სამი წლის განმავლობაში, ხოლო მეორე კი, ფასების კონტროლი. ფასების სტაბილურობა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკური აგენტებისათვის, რათა დაგეგმონ მომავალი სამეწარმეო თუ სხვა ტიპის საქმიანობა. ბაზრის თავისუფლება. ბაზრის თავისუფლების იდეა მდგომარეობს საერთაშორისო ვაჭრობაში. ქვეყნებს გააჩნიათ შეფარდებითი უპირატესობანი სხვადასხვა დარგებში, რაც მათ აძლევთ შესაძლებლობას, ეფექტიანი და მომგებიანი გარიგებები დადონ ერთმანეთთან. თუკი ბაზარი ჩაკეტილია იმპორტის ანდა ექსპორტისთვის, ეს, უპირველეს ყოვლისა, მიგვიყვანს ფასების ზრდისა და კონკურენციის შესუსტებისკენ, რაც პირველ რიგში აზარალებს მომხმარებელს [Ayal, E.B., & Karras, G. 1998: 327-338].

ამდენად, ჩვენ მოკლედ განვიხილეთ ეკონომიკური თავისუფლების ძირითადი კომპონენტები და ვაჩვენეთ, რომ თითოეული მათგანი, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთად, ასტიმულირებს ეკონომიკურ აქტივობებს, რასაც, სხვა თანაბარ პირობებში, მიყვავართ ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისკენ.

კიდევ უფრო თვალსაჩინო რომ გავხადოთ ზემოხსენებული მსჯელობა, მოვახდინოთ მცირე შედარებითი ანალიზი, სადაც წარმოდგენილი იქნებიან ქვეყნები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებიდან ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით და ნაჩვენებია მათი მთლიანი შიდა პროდუქტი, გაანგარიშებული მოსახლეობის ერთ სულზე. თითოეული რეგიონიდან აღებულია ხუთი ყველაზე თავისუფალი ეკონომიკა და შედარებულია მათი შემოსავლები ხუთ ყველაზე არათავისუფალ ეკონომიკასთან იმავე რეგიონში (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამაზე მოცემული ქვეყნების მიხედვით, კორეაციის კოეფიციენტმა ეკონომიკურ თავისუფლებასა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის მოსახლეობის ერთ სულზე შეადგინა 0.81 ($R^2=0.69$), რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მიღებული შედეგი ადასტურებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ეკონომიკურ თავისუფლებას აქვს პირდაპირპროპორციული გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.



დიაგრამა 1

წყარო: www.heritage.org; www.imf.org

დასკვნა

ეკონომიკური თავისუფლება მიჩნეულია ეკონომიკური კეთილდღეობისა და განვითარების მახასიათებლად. იგი ასტიმულირებს სამეწარმეო სახის აქტივობებს. მისი უმთავრესი პრინციპები

აძლიერებს ინდივიდს, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება მისი უფლებების კიდევ უფრო განმტკიცებასა და მეტი არჩევანის მინიჭებაში. ადამიანები კი, რომელთაც გააჩნიათ მეტი არჩევანი და მტკიცე უფლებები, უფრო მეტად იზენენ სამეწარმეო ინიციატივებს, რაც, საბოლოო ჯამში, აისახება უმუშევრობის დონის შემცირებასა და კერძო ინვესტიციების დონის მატებაში. სხვა თანაბარ პირობებში, იგი ხელს უწყობს რესურსების ყველაზე ეფექტიან გადანაწილებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში.

როგორც აღვნიშნეთ, რთულია დავადგინოთ რაიმე ზღვარი ოპტიმალური ეკონომიკური თავისუფლების დონისათვის. იგი მერყეობს ქვეყნების მიხედვით და ხშირად დამოკიდებულია არაეკონომიკურ ფაქტორებზეც. იმისათვის, რომ ეკონომიკურმა თავისუფლებამ მოიტანოს მდგრადი ეკონომიკური განვითარება, საჭიროა ჩანასახშივე იყოს განსაზღვრული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგია და მიზნები, რის მიღწევასაც ხელი უნდა შეუწყოს თავისუფალმა ეკონომიკურმა გარემომ. წინააღმდეგ შემთხვევაში თავისუფლება გარდაიქმნება ფსევდოთავისუფლებად და წარმატებას მხოლოდ საერთაშორისო რეიტინგში დაეინახავთ. აქ კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთავრობის ფუნქცია, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს და განავითაროს რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. დღევანდელ მსოფლიოში, სადაც დემოკრატია და ადამიანის უფლებები უმთავრეს ფასეულობებს წარმოადგენს, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური თავისუფლება, რადგან სწორედ ის წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის მიღწევის ყველაზე აპრობირებულ და სამართლიან გზას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თეთრუაშვილი მ. “სახელმწიფოს ეკონომიკური როლი თავისუფლების პირობებში”. ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა”, 2007, N4.
2. ხადური ნ. “ეკონომიკის რეგულირების “ლიბერალური” ეტაპის წინააღმდეგობანი”. ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2009. N16. თბილისი.
3. Ayal, E. B., & Karras, G. (1998). Components of Economic Freedom and Growth: An Empirical Study. *Journal of Developing Areas*, Vol. 32, No. 3, pp. 327-338.
4. Carlsson, F., & Lundstrom, S. (2002). Economic Freedom and Growth: Decomposing the Effects. *Public Choice*, Vol 112, No. 3/4, pp. 335-344.
5. Cebula, R. J., Clark, J., & Mixon, F. G. (2013). The Impact of Economic Freedom on Per Capita Real GDP: A study of OECD Nations. *The Journal of Regional Analysis & Policy*, pp. 34-41.
6. Friedman, M. (2002). *Capitalism and Freedom*. Chicago: The University of Chicago Press, pp. 7-36
7. Friedman, M. & Friedman R., (1990). *Free to Choose*. Chicago: The University of Chicago Press, pp. 45-51
8. International Monetary Fund. (2017, 05 15). Retrieved from <http://www.imf.org/external/index.htm>
9. The Heritage Foundation. (2016, 06 15). Retrieved from <http://www.heritage.org/index/explore>
10. Walsh, C. E. (2010). *Monetary Theory and Policy*. Massachusetts: Massachusetts Institute of Technology.

Vakhtang Chkareuli

THE OPTIMAL LEVEL OF ECONOMIC LIBERTY AND ITS IMPACT ON THE ECONOMIC DEVELOPMENT Summary

Fundamentally, there are only two ways of coordinating the economic activities of millions. One is central direction involving the use of coercion, so called the technique of the army and of the modern totalitarian state. The other is voluntary co-operation of individuals – the technique of the market place.

A common objection to totalitarian societies is that they regard the end as justifying the means. Liberals disagree with this statement and argue that appropriate means are free discussion and voluntary co-operation, which implies that any form of coercion is inappropriate.

Basically, individuals can be considered as economically free when a) property they acquire without the use of force, fraud or theft is protected from physical invasions by others, and b) they are free to use, exchange or give their property to another as their actions do not violate the identical rights of others.

Economic freedom is a fundamental right of every individual to control his/her own labor and property. In an economically free society, people are free to choose whether they want to work or not, produce, consume, invest etc. Institutions do not discriminate either or in favor of people to any factor unrelated to individual merit, government decision making is characterized by openness and transparency. The allocation of resources for production/consumption is based on the open competition so that every individual gets the chance to succeed.

It is important to distinguish economic freedom from political and civil liberties. Political liberty means that citizens are free to participate in the political processes, elections are fair and competitive and alternative parties are al-

lowed to participate freely. Civil liberty encompasses the freedom of the press and the rights of individuals to assemble, hold alternative religious views, receive a fair trial and express their views without fear of physical retaliation.

When we are talking about what should be the role of government in the layout of economic freedom, first of all we have to sign that it must do something that the market cannot do for itself. Generally, state action or government control that interferes with individual autonomy limits economic freedom, but the goal is not simply an absence of government coercion. The government has its exclusive role to provide proper legal structure and a law-enforcement system that will protect the property rights of owners and enforce contracts in an evenhanded manner.

In this paper we will discuss the concept of economic freedom, what is the role of government to gain an optimal level of “freedom” and what is the possible impact of economic freedom on economic development.

შორენა წიკლაური

ბავშვთა შობის შიბა ოჯახური რეპროდუქცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში

ანოტაცია. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში შობადობის დონე საკმაოდ დაბალია, რისი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია რეპროდუქციულ ქცევაში მომხდარი ცვლილებები. თანამედროვე ადამიანებისათვის უფრო მეტად ფასეული ხდება თვითაქტივობა, თვითკმაყოფილება, პრესტიჟი, წარმატება და სხვა მსგავსი მისწრაფებები, რომელთაც თანამედროვე საზოგადოებაში შეიძლება მეტი ფასეულობა გააჩნდეს, ვიდრე ბავშვებს. ამიტომ ადამიანები უფრო მეტად არიან ორიენტირებული მათი მოპოვებისაკენ, ვიდრე ბავშვების ყოლისაკენ. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში შობადობის კონტროლის ძირითად საშუალებას წარმოადგენს აბორტები. ამასთანავე, ქალების მიერ დასახელებული ბავშვების იდეალური რაოდენობა არ არის მაღალი და იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოსალოდნელია შობადობის დონის შემდგომი კლება.

საკვანძო სიტყვები: აბორტი, კონტრაცეპცია, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები

შესავალი

შობადობის კლების რეალური მიზეზების შესავალი ყოველთვის წარმოადგენდა მეცნიერების ინტერესის საგანს. სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური მიზეზების გარდა, დემოგრაფიის კვლევის ობიექტს წლების მანძილზე წარმოადგენდა ამა თუ იმ საზოგადოების რეპროდუქციული ქცევა და ორიენტაციები. უფრო კონკრეტულად, მოსახლეობის მოსაზრება იმის შესახებ, თუ ბავშვების რა რაოდენობა არის იდეალური მათი და ზოგადად საშუალოდ ოჯახებისთვის (Freedman & Sharp, 1954); (Whelpton, Gampbell, & Pattersan, 1966); (Westoff, Potter, & Sagi, 1963); (Blake, 1966). მეკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ თანამედროვე კონტრაცეფციული საშუალებების ხელმისაწვდომობით ოჯახებში ბავშვების იდეალური რაოდენობა მიუახლოვდა მათ რეპროდუქციულ ქცევას, ხშირ შემთხვევაში ბავშვების იდეალური და ფაქტობრივი რაოდენობა თითქმის გათანაბრდა.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობას ბავშვების იდეალურ და სასურველ რაოდენობაზე შეხედულებები უყალიბდება ადრეულ ბავშვობაში. ამის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს მისი რელიგია, ეთნიკური წარმომავლობა, სკოლა, საზოგადოება და ა.შ. (Westoff & Potvin, 1966). ფროიდის ფსიქოანალიზის თეორიის თანახმად, ბავშვებს პატარა ასაკიდანვე აქვთ თავიანთი შეხედულება საგნებისა და მოვლენების ფარულ თვისებებზე (წულაძე, 1986); (<http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2015/04/froidi-fsiqoanalizi.pdf>, გვ. 10). ამასთანავე, გოგონები უფრო ადრეულ ასაკში იწყებენ ფიქრს ბავშვების იდეალურ რაოდენობაზე, ვიდრე ბიჭები. ხოლო ბიჭების მიერ დასახელებული საშუალო იდეალური რაოდენობა უფრო მაღალია, ვიდრე გოგონების (უსტაფუს, 1968). ოჯახში ბავშვების საშუალო რაოდენობაზე წარმოდგენის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ოჯახის ზომა, რომელშიც ბავშვს უწევს ყოფნა.

რეპროდუქციული ჯანმრთელობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ოჯახის დაგეგმვის ასპექტებთან. ოჯახის დაგეგმვა ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირებით განისაზღვრება, რომელიც წარმოებს კონტრაცეფციის სხვადასხვა მეთოდისა და აბორტების გამოყენების მეშვეობით. გაერთიანებული ერების მიერ 1994 წელს გამართულ მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე შემუშავებული ქაიროს სამოქმედო პროგრამა გულისხმობს, რომ წევრები უნდა იყვნენ ინფორმირებული და ჰქონდეთ საშუალება, ისარგებლონ მათთვის მისაღები ოჯახის დაგეგმვის მეთოდებით და შობადობის დასარეგულირებლად სხვა ლეგალური მეთოდებით (ქაიროს სამოქმედო პროგრამა, 1994).

ანალიზი


1990-იან წლებამდე, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, ისევე, როგორც სხვა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, ხელოვნური აბორტები შობადობის ძირითად მაკონტროლებელ საშუალებას წარმოადგენდა, ამის მიზეზი იყო ის, რომ აბორტი ქალების ძირითად რეპროდუქციულ უფლებად იყო მიჩნეული. ლიბერალური სამთავრობო პოლიტიკა ხელს უწყობდა აბორტების ფართოდ გავრცელებას. აბორტი იყო უფასო და ადვილად ხელმისაწვდომი, ხოლო მაღალხარისხიანი კონტრაცეპტიული საშუალებები პრაქტიკულად არ იყო გავრცელებული. მომდევნო პერიოდში მოხდა გარკვეული ცვლილებები და შეინიშნება ხელოვნური აბორტების მაჩვენებლების კლება, თუმცა აბორტი კვლავაც გავრცელებულ საშუალებად რჩება.

1955-1987 წლებში, მთელ საბჭოთა ტერიტორიაზე გამოცა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც ხელოვნური აბორტი იყო ლეგალური, თუ სამედიცინო ჩვენებიდან გამომდინარე ორსულობა იყო 12 კვირაზე ნაკლები და 28 კვირამდე (სსრკ-ს მიღებული დეკრეტი „აბორტი, აბორტის კანონის გარეშე“, 1955). 1987 წელს აღნიშნულ კანონში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც ორსულობის 28 კვირამდე ხელოვნური აბორტი გახდა ლეგალური, თუ აკმაყოფილებდა შემდეგ პირობებს: ორსულობის დროს მეუღლის გარდაცვალება, ქალის დაპატიმრება, თუ ჰყავდათ 5 და მეტი შვილი, მშობლის უფლების ჩამორთმევა, განქორწინება, ძალადობა, ავადმყოფი ბავშვის დაბადება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში მოქმედებს კანონი აბორტის შესახებ. აღნიშნულის მიხედვით, ყველა ქალს აქვს ოჯახის დაგეგმვის უფლება. ამასთანავე, ხელოვნური აბორტი უნდა გაკეთდეს მხოლოდ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებებში გარკვეული პირობით: თუ ორსულობა არის 12 კვირამდე ან ორსულობის ვადა 22 კვირამდეა, მაგრამ არსებობს გარკვეული სამედიცინო ჩვენებები ან სოციალური პირობები, რომელსაც ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა არეგულირებს.

1970-იანი წლებიდან 1990-იანი წლების დასაწყისამდე საქართველო აბორტების მაჩვენებლით ლიდერობდა კავკასიის რეგიონში. 1990-იანი წლებიდან აბორტების მაჩვენებლები კლების ტენდენციით ხასიათდება და ამასთანავე იზრდება თანამედროვე კონტრაცეპციული მეთოდების გამოყენება (Popov & David, 1999).

აბორტების ზოგადი კოეფიციენტი საკმაოდ უხემ მაჩვენებელს წარმოადგენს აბორტების რეალური დონის შეფასებისათვის. ამასთან ერთად, მიგვაჩნია, რომ აბორტის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ეს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით არის მოცემული. ამდენად, მიზანშეწონილია, აბორტების დონე და ტენდენციები გავაანალიზოთ დემოგრაფიული და ჯანმრთელობის კვლევების შედეგების საფუძველზე. ითვლება, რომ აბორტების ჯამობრივი კოეფიციენტი, რომელიც უჩვენებს რეპროდუქციული ასაკის ერთი ქალის მიერ გაკეთებული ხელოვნური აბორტების რაოდენობას, წარმოადგენს უფრო ზუსტ მაჩვენებელს.




დაგრაფა 1. აბორტების ზოგადი კოეფიციენტი (15-49 წლის ასაკობრივი ჯგუფის 1000 ქალზე გაანგარიშებით)

წყარო: სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სტატისტიკის ეროვნული სამსახურები; *Recent demographic developments in Europe, 2005*

საქართველოში 1999-2000 წელს ჩატარებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის შედეგების მიხედვით, აბორტების ჯამობრივმა კოეფიციენტმა საშუალო წლიურად 1997-1999 წლების პერიოდისათვის შეადგინა 3.7, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია და აღემატება

სამხრეთ კავკასიის დანარჩენი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს. სომხეთში 1998-2000 წლებში ერთი ქალის მიერ გაკეთებული აბორტების რაოდენობამ შეადგინა 2.6, ხოლო აზერბაიჯანში - 3.2.

საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში 2000-იანი წლების დასაწყისში ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით, აბორტების ჯამობრივი კოეფიციენტები მკვეთრად აღემატება შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ პერიოდში ხელოვნური აბორტი შობადობის ძირითად მარეგულირებელ საშუალებას წარმოადგენდა.



დიაგრამა 2: აბორტების ჯამობრივი და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტები

წყარო: საქართველო - (GeoRHS, 2010); სომხეთი - (ArmDHS, 2010); აზერბაიჯანი (AzDHS, 2006)

2005-2006 წლებში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, შემცირდა აბორტების დონე და შობადობისა და აბორტების ჯამობრივი კოეფიციენტები მიუახლოვდა ერთმანეთს. თუმცა საქართველოში (2005 წელს) ერთი ქალის მიერ გაკეთებული აბორტების რაოდენობა კვლავ მაღალია (3.1) და თითქმის 2-ჯერ აღემატება შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტს (1.6).

2010 წელს საქართველოსა და სომხეთში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი აჭარბებს აბორტების ჯამობრივ კოეფიციენტს. როგორც ჩანს, ბოლო პერიოდში ოჯახის დაგეგმვის ძირითად საშუალებას, ხელოვნურ აბორტებთან ერთად, წარმოადგენს კონტრაცეპტივები.

გამოკვლევის შედეგების თანახმად, ქართველი ქალების ნახევარზე მეტი მიმართავს ხელოვნურ აბორტს იმ მიზნით, რომ აღარ სურს მეტი შვილი (1999-2000 წელს აბორტების 74% ჩატარდა ე.წ. „შვილოსნობის შეზღუდვის“ მიზნით, 2005 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 63%, ხოლო 2010 წელს – 51%). აღსანიშნავია, რომ საქართველოში ხელოვნური აბორტების 19-20% სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებითაა გამოწვეული (GeoRHS, 2001); (GeoRHS, 2005); (GeoRHS, 2010). სომხეთში, ჩატარებულმა დემოგრაფიულმა და ჯანმრთელობის კვლევამ აჩვენა, რომ 39%-მა ხელოვნურ აბორტს მიმართა იმ მიზეზით, რომ აღარ სურდა მეტი შვილი, 15%-მა კი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო (ArmDHS, 2010). აზერბაიჯანში აბორტის ძირითად მიზეზს (62-64%) წარმოადგენს „შვილოსნობის შეზღუდვა“. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო 2000 წელს გაკეთდა ხელოვნური აბორტების 18% (AzRHS, 2001) და 2006 წელს - 13% (AzDHS, 2006).

აღსანიშნავია, რომ გარდა ფართოდ გავრცელებული პრაქტიკისა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ქალების უმრავლესობა მისაღებად თვლის ხელოვნურ აბორტს, როგორც ოჯახის დაგეგმვის ძირითად წყაროს. საქართველოსა და აზერბაიჯანში ქალების თითქმის სამი მეოთხედი მიიჩნევს, რომ აბორტი არის გამოსავალი არასასურველი ორსულობის თავიდან ასაცილებლად (GeoRHS, 2001); (GeoRHS, 2005); (AzRHS, 2001).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აბორტი არის ოჯახის დაგეგმვის ძირითადი წყარო და კონტრაცეპტივების გამოყენების „კულტურა“ ძალიან დაბალ დონეზეა.

გამოკვლევის შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ 15-44 წლის ქორწინებაში მყოფი ქალების თითქმის ნახევარზე მეტი არ იყენებს კონტრაცეპტიულ საშუალებებს. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ქალები უპირატესობას ტრადიციულ მეთოდებს ანიჭებენ, თუმცა ბოლო პერიოდში გაზრდილია თანამედროვე კონტრაცეპტიული მეთოდების გამოყენების სიხშირე.

15-44 წლის ქორწინებაში მყოფი ქალების განაწილება კონტრაცეპტივების მეთოდების ამჟამად გამოყენების მიხედვით

	თანამედროვე მეთოდები	ტრადიციული მეთოდები	ამჟამად არ იყენებენ
საქართველო			
1999-2000	19.8	20.7	59.5
2005	26.6	20.7	52.7
2010	34.7	18.7	46.6
სომხეთი			
2000	22.3	38.2	39.5
2005	19.5	33.6	46.9
2010	27.2	27.7	45.1
აზერბაიჯანი			
2000	11.8	43.5	44.7
2006	14.3	36.8	48.9

წყარო: საქართველო - (GeoRHS, 2010); სომხეთი - (ArmDHS, 2010); აზერბაიჯანი (AzDHS, 2006)

როგორც ცნობილია, ასაკი პირველი შვილის დაბადებისას არის მნიშვნელოვანი დეტერმინანტი შობადობის დონის შესწავლისას. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, სომხეთში უფრო პატარა ასაკში აჩენენ პირველ შვილს, ვიდრე აზერბაიჯანსა და საქართველოში (სომხეთში პირველი შვილის გაჩენის მედიანურმა ასაკმა 2000 წელს შეადგინა 21.8, 2005 წელს – 22.1, ხოლო 2010 წელს – 22.5. საქართველოში, 1999-2000 წელს პირველი შვილის გაჩენის მედიანური ასაკი 23 წელს შეადგენდა, 2005 წელს – 23.2, ხოლო 2010 წელს – 23.6. აზერბაიჯანში ეს მაჩვენებელი 2000 და 2006 წლებში იყო 23.7 და 23.8 შესაბამისად). სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში პირველი შვილის გაჩენის მედიანური ასაკი მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ქორწინების მედიანურ ასაკთან. ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ქალები ქორწინებაში შესვლიდან ძალიან მალე აჩენენ პირველ შვილს.

დასკვნა

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მიმდინარეობს შობადობის დონის შემცირება. ამის ძირითადი მიზეზი რეპროდუქციულ განწყობაში მომხდარი ცვლილებებია, ანუ თანამედროვე საზოგადოება ორიენტირებულია მცირეშვილიან ოჯახებზე. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში შობადობის კონტროლის ძირითად საშუალებას წარმოადგენს აბორტები. ხშირ შემთხვევაში, ქალები აბორტებს იკეთებენ იმ მიზეზით, რომ აღარ სურთ მეტი შვილი. მიუხედავად ამისა, მიგვანჩნია, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში არსებობს გარკვეული პოტენციური და სწორად შემუშავებული დემოგრაფიული პოლიტიკა შესაძლებლობას მოგვცემს საზოგადოებრივად საჭირო "ბავშვების ყოლის მოთხოვნების" ფორმირებას, ასევე ხელს შეუწყობს „ბავშვების ყოლის მოთხოვნების“ დაკმაყოფილებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. წულაძე, გ. (1986). შობადობის პრობლემა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე (საქართველოს მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე). თბილისი: ავტორეფერატი. დისერტაცია ისტ. მეც. დოქტ. ხარისხის მოსაპოვებლად.
2. წულაძე, გ., მაღლაფერიძე, ნ., & სულაბერიძე, ა. (2007). დემოგრაფია სახელმძღვანელო. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი.
3. *Analysis of results of the sample survey on fertility preferences of Armenian population*. Yerevan: Ministry of Labor and Social Issues of RA, National Statistical Service of RA and UNFPA-RA.
4. ArmDHS. (2010). *Demographic and Health Survey in Armenia, 2010*. Yerevan.
5. AzDHS. (2006, 2001). *Demographic and Health Survey in Azerbaijan*. Baku.
6. Blake, J. (1966). Ideal family size among white Americans: a quarter of a century's evidence. *Demography* (3), pp. 154-173.
7. Freedman, R., & Sharp, H. (1954). Correlates of values about ideal family size in the Detroit metropolitan area. *Population Studies* (8), pp. 35-45.
8. GeoRHS. (2010, 2005, 2001). *Women's reproductive health survey Georgia, 1999-2000: Final report*. Tbilisi: Serbanescu, F.; Morris, L.; Nutsubidze, N.; Imnadze, P.; Shkazarova, M.
9. Gustavus, S. (1968). *The formation and stability of ideal family size norms among young people (Unpublished doctoral dissertation)*. Florida: Florida State University.
10. <http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2015/04/froidi-fsiqoanalizi.pdf>. (n.d.).

11. Popov, A. A., & David, H. H. (1999). Russian Federation and USSR Successor States: Sex and Society. In *From abortion to contraception; a Resource to Public Policies and Reproductive Behaviors in Central and Eastern Europe from 1917 to the present*. Westport, CT: Greenwood Press.

12. Westoff, C. F., & Potvin, R. H. (1966). Higher education, religion, and women's family size orientations. *American Sociological Review* (31), pp. 489-496.

13. Westoff, C. F., Potter, R. G., & Sagi, P. G. (1963). *The Third Child: A Study in the Prediction of Fertility*. Princeton: Princeton University Press.

14. Whelpton, P. K., Gampbell, A. A., & Pattersan, J. E. (1966). *Fertility and Family Planing in the United States*. Princeton: Princeton University Press.

Shorena Tsiklauri

FAMILY REGULATION OF FERTILITY IN THE SOUTH CAUCASUS COUNTRIES

Summary

Fertility level are quit low in South Caucasus region. One of the main reason of fertility decline is the changes in reproductive behavior: social life and self-activity are valuable more in the modern society than children and modern society are oriented to have a fewer children. In South Caucasus region an abortion is the main means of fertility control. In the most cases, main reasons of abortion is that they do not want more children. Nevertheless, we believe that there is some potential in the South Caucasus countries and a properly designed demographic policy will enable to change the reproductive behavior.

მელვა ხარაიშვილი

მოსახლეობის ცხოვრების დონის უთანასწორობა და მისი გავლენა ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაზე

ანოტაცია. სოციალური ეკონომიკური უთანასწორობის არსებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანისეული კაპიტალის მანქვენებელზე, ეს გავლენა, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება და ამცირებს ადამიანისეული და სოციალური კაპიტალის მანქვენებლის საშუალო დონეს, ხოლო ეკონომიკური ზრდის მიღწევა არ გულისხმობს აღნიშნული პრობლემის ავტომატურ გადაჭრას. მიღწეული ეკონომიკური ზრდა თანაბრად უნდა გადახაწილდეს მთლიან მოსახლეობაზე და არა მარტო ცალკეულ ფენებს შორის.

ნაშრომში განხილულია მოსახლეობის ცხოვრების დონე და შეფასებულია მასზე მოქმედი ფაქტორები: მოსახლეობის შემოსავლები, გაწეული დანახარჯები, ქვეყნში არსებული უთანასწორობა, მშპ-ს ცვალებადობა. მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზი წარმოდგენილია ოთხი ძირითადი მიმართულებით: კეთილდღეობა, ნორმალური დონე, სიღარიბე და სიღატაკე. სიღარიბის დონის შემცირება საქართველოში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად არის მიჩნეული, შესაბამისად შემთავაზებულია მისი შემცირების გზები.

სტატიაში გაანალიზებულია სიღარიბის მანქვენებლები: მედიანური მოხმარება და ჯინის კოეფიციენტი; განხილულია ფარდობითი სიღარიბის მანქვენებლები, შეფასებულია მისი დინამიკა. ფარდობითი სიღარიბის მანქვენებლის ცვალებადობის ანალიზი მოცემულია როგორც მთლიანად ქვეყნის დონეზე, ასევე, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მიხედვით. ნაშრომში წარმოდგენილია მანქვენებელთა დიფერენციაციის გამოწვევი ძირითადი მიზეზები, ახსნილია ჯინის კოეფიციენტის ცვალებადობის ფაქტორები. საქართველოში არსებული სიღარიბის დონისა და ჯინის კოეფიციენტის მანქვენებლები შედარებულია ცენტრალურ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების შესაბამის მანქვენებლებთან.

ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოში ჯინის კოეფიციენტი მაღალია და მონაცემების გაუმჯობესება შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის მიღწევით. თუმცა, ეკონომიკური ზრდა არ არის მიხნეული პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გზად. ამ თვალსაზრისით სტატიაში შეფასებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და გამოკვეთილია ეკონომიკური ზრდის სამი კრიტიკული პრობლემა: კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასაკმარისად განვითარებული ადამიანისეული კაპიტალი და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის განსაზღვრულია პრიორიტეტული მიმართულებები: შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული საშუალო ძალის განვითარება; სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა; ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა.

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნები მოსახლეობის ცხოვრების დონის უთანასწორობისა და მისი ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაზე გავლენის შესახებ, შესაბამისად შემოთავაზებულია რეკომენდაციები მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.

საკვანძო სიტყვები: ცხოვრების დონე, მედიანური მოხმარება, ჯინის კოეფიციენტი, ადამიანისეული კაპიტალი, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა.

მოსახლეობის ცხოვრების დონე გულისხმობს ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხს, რაც თავის თავში მოიცავს მოსახლეობის უზრუნველყოფას მატერიალური, სოციალური დოვლათით და შესაბამისი საცხოვრებელი პირობების არსებობას. ცხოვრების დონე მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათგან მნიშვნელოვანია: მოსახლეობის შემოსავლები, გაწეული დანახარჯები, ქვეყნაში არსებული უთანასწორობა, მშპ-ს ცვალებადობა, ინფლაციის ტემპი.

პრაქტიკაში მოსახლეობის ცხოვრების დონე ოთხი ძირითადი მიმართულებით განიხილება:

- კეთილდღეობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ყოველმხრივ განვითარებას;

- ნორმალური დონე, რომელიც ითვალისწინებს რაციონალურ მოხმარებას მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების მიხედვით და შესაძლებელს ხდის ადამიანის ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების აღდგენას;

- სიღარიბე, რომლის პირობებშიც შესაძლებელია მხოლოდ შრომისუნარიანობის შენარჩუნება, იგი წარმოადგენს სამუშაო ძალის კვლავწარმოების ქვედა ზღვარს;

- სიღატაკე – მასში იგულისხმება საქონლისა და მომსახურების ნაკრები, რომელიც საშუალებას იძლევა, შენარჩუნდეს ადამიანის სიცოცხლისუნარიანობა [1].

ცხოვრების დონე, როგორც ზემოთ თქმულიდან ჩანს, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის მაჩვენებელია. იგი ასახავს განვითარების დონეს და წარმოდგენას ქმნის არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ცხოვრების დონის მიხედვით მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიცირებისას, ეს მაჩვენებელი შეიძლება არ შეესაბამებოდეს მოსახლეობის ერთ სულზე არსებულ ეროვნულ შემოსავალს. აღნიშნული კარგად ჩანს არაბული სახელმწიფოების მაგალითზე, სადაც მაღალია ნავთობის წარმოება და ექსპორტი, შესაბამისად მოსახლეობის ერთ სულზე მაღალია ეროვნული შემოსავალიც, თუმცა ცხოვრების დონის საერთო მაჩვენებლით ისინი ჩამორჩებიან ევროპის ბევრ განვითარებულ ქვეყანას.

საქართველოში არსებული ეკონომიკური უთანასწორობის აღსაწერად განვიხილოთ ცხოვრების დონე სიღარიბის მაჩვენებლების მიხედვით: როგორცაა ფარდობითი სიღარიბე ანუ მედიანური მოხმარება და ჯინის კოეფიციენტი მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით.

ფარდობითი სიღარიბე, ანუ მედიანური მოხმარება – ეს არის მოსახლეობის საშუალო მოხმარების 60%-ის და 40%-ის დაბლა მყოფი მოსახლეობა, რომელიც გამოხატავს შემოსავლების უთანასწორობას.

ცხრილი 1

ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები საქართველოში (%)¹¹⁰

	2006			2007			2008			2009			2010		
	ქალაქი	სოფელი	საქართველო	ქალაქი	სოფელი	საქართველო	ქალაქი	სოფელი	საქართველო	ქალაქი	სოფელი	საქართველო	ქალაქი	სოფელი	საქართველო
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი	22,8	23,7	23,3	17,9	24,9	21,3	18,0	26,2	22,1	17,6	24,3	21,0	18,6	26,7	22,7
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი	8,1	10,7	9,4	6,5	12,1	9,2	7,0	11,9	9,5	7,3	10,2	8,8	8,0	11,9	10,0

¹¹⁰ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემების მიხედვით.

	2011			2012			2013			2014			2015		
	ქალაქი	სოფელი	საკართველო	ქალაქი	სოფელი	საკართველო	ქალაქი	სოფელი	საკართველო	ქალაქი	სოფელი	საკართველო	ქალაქი	სოფელი	საკართველო
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი	18,8	26,9	23,0	17,5	27,0	22,4	15,4	27,1	21,4	15,1	27,4	21,4	14,7	25,3	20,1
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი	7,8	12,9	10,4	6,7	11,7	9,3	6,0	10,7	8,4	5,2	10,7	8,0	4,5	9,6	7,1

მონაცემების მიხედვით, ქალაქად მედიანური მოხმარების მაჩვენებელს ახასიათებს კლებადი ტენდენცია, შედარებისთვის, თუ მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 2006 წელს შეადგენდა 22,8%-ს, 2010 წლისთვის იგი შემცირდა 18,6%-მდე, ხოლო 2015 წელს – 14,7%-მდე; ხოლო მედიანური მოხმარების 40%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 2006 წელს შეადგენდა 8,1%-ს, 2010 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 8% და 2015 წელს 4,5%.

სოფლად მედიანური მოხმარების მაჩვენებელს ახასიათებს ზრდადობა. ზემოთ მითითებული მონაცემების მიხედვით, ხუთწლიან ინტერვალებს თუ შევადარებთ, შევამჩნევთ მკვეთრ ცვლილებებს. 2006 წელს მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი სოფლად შეადგენდა 23,7%-ს, 2011 წელს 26,7%-ს და შემდგომ 2012-2014 წლებში ზრდის შემდგომ შემცირდა 25,3%-მდე. მედიანური მოხმარების 40%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 2006 წელს შეადგენდა 10,7%-ს, 2011 წელს – 12,9%-ს, უკვე 2015 წელს მაჩვენებელი შეცირდა – 9,60% მდე.

2006 წელს მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით მყოფი საქართველოს სრული მოსახლეობის წილი შეადგენდა: 23,3%-ს, 2011 წელს – 23%-ს და 2015 წელს 20,1%-ს, ხოლო მედიანური მოხმარების 40%-ის ქვევით მყოფი მთელი მოსახლეობის წილი 2006 წელს 9,4%-ს შეადგენდა, 2011 წელს ზრდა შეინიშნება 10,4%-მდე, 2015 წელს კვლავ შემცირდა 7,1%-მდე.

განხილული მონაცემების მიხედვით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბოლოო უთანასწორობის მაჩვენებელი შემცირებულია, მაგრამ ქალაქად მცხოვრები მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის მედიანური მოხმარება 2015 წელს შემცირდა 8,1%-ით, 2006 წელთან შედარებით, ხოლო სოფლად ეს მაჩვენებელი გაიზარდა 1,6%-ით, მედიანური მოხმარების 40%-ის ქვევით მყოფი ქალაქის მოსახლეობის წილი 2015 წელს 2006 წელთან შედარებით შემცირდა 3,6%-ით, ხოლო სოფლად – 1,1%. ეს ახსნა მიუთითებს კიდევ ერთ უთანასწორობაზე ქალაქის და სოფლის მოსახლეობას შორის. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება (როგორც მოცემული მონაცემებიდან ჩანს), რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არის შემცირებული სოფლის მოსახლეობა.

ცხრილი 2

მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები¹¹¹

	2011	2012	2013	2014	2015
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის (ათასი კაცი)	4 469.2	4 497.6	4 483.8	4 490.5	3 713.7
მათ შორის:					
ქალაქად (ათასი კაცი)	2 371.3	2 391.7	2 410.8	2 410.8	2 122.9
სოფლად (ათასი კაცი)	2 097.9	2 105.9	2 073.0	2 078.8	1 590.8

ჯინის კოეფიციენტი – ეს არის მონაცემების გაფანტულობის საზომი, ის შემოღებული იქნა იტალიელი სტატისტიკოსის კორადო ჯინის მიერ. ჯინის კოეფიციენტი ზომავს უთანაბრობას მონაცემთა განაწილებაში. კოეფიციენტის მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ უთანაბრობა არ არსებობს, ხოლო 100 ნიშნავს, რომ უთანაბრობა მაქსიმალურია¹¹².

¹¹¹ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემების მიხედვით.

¹¹² <http://hdr.undp.org/en/content/income-gini-coefficient>.

ჯინის კოეფიციენტები¹¹³

	მთლიანი შემოსავლების მიხედვით	მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით	მთლიანი სახსრების მიხედვით	მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით	მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით	მთლიანი ხარჯების მიხედვით
2006	0,45	0,53	0,47	0,40	0,47	0,42
2007	0,46	0,53	0,47	0,41	0,48	0,43
2008	0,45	0,53	0,47	0,41	0,49	0,44
2009	0,46	0,53	0,48	0,42	0,49	0,44
2010	0,46	0,52	0,48	0,43	0,50	0,46
2011	0,46	0,52	0,48	0,42	0,50	0,46
2012	0,43	0,49	0,46	0,41	0,49	0,45
2013	0,42	0,46	0,43	0,40	0,47	0,44
2014	0,41	0,46	0,43	0,40	0,48	0,45
2015	0,42	0,47	0,44	0,40	0,48	0,45

ჯინის კოეფიციენტი საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში 0,45-დან 0,42-მდე მერყეობს, რაც არსებული უთანასწორობის მცირედ გაუმჯობესებაზე მიანიშნებს, თუმცა საქართველოს ინდექსი გვიჩვენებს, რომ საშუალო ფენა არ არსებობს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული 2015 წლის 20 იანვრით დათარიღებული კვლევის მიხედვით, საქართველოს ჯინის კოეფიციენტის მაჩვენებელი რეგიონში ყველაზე მაღალი იყო 40,6 და გაუარესების ტენდენცია შეიმჩნეოდა 2012 წლის მონაცემებთან შედარებით 1,5-ით.

ამავე კვლევის მონაცემებში ფიქსირდება, რომ სიღარიბის მაჩვენებელი საქართველოში 2007 წელს 20,1% იყო, ხოლო 2012 წელს 14,8% შეადგინა. ამ მონაცემების მიხედვით საქართველოს ყირგიზეთსა და სომხეთზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს.

შემოსავლების უთანასწორობა და სიღარიბის დონე შერჩეულ ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის და დსთ-ს ქვეყნებში¹¹⁴

ქვეყანა	ჯინის ინდექსი		სიღარიბის დონე %	
	2007	2012	2007	2012
სომხეთი	29,8	30,30	27,60	32,1
ბელარუსი	28,7	26,4	7,70	6,3
საქართველო	40,6	42,1	20,1	14,8
ყაზახეთი	29,60	28,50	12,70	2,90
ყირგიზეთი	33,40	33,40	35,00	38,00
რუსეთის ფედერაცია	39,20	39,70	13,30	10,70
თურქეთი	38,40	40,10	8,40	2,30
უკრაინა	29,60	24,60	7,10	9,10

გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის მონაცემებით 2013 წელს ჯინის კოეფიციენტმა სომხეთში 31,3, ბელარუსში 26,50, ყაზახეთში 29, ყირგიზეთში 33,4, რუსეთში 40,10, თურქეთში 40, უკრაინაში 25,6 შეადგინა, ხოლო საქართველოში მაჩვენებელი არ შეცვლილა. მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ რეგიონში წლიდან წლამდე უთანასწორობა მზარდია¹¹⁵. როგორც ჩანს, საქართველოში ჯინის კოეფიციენტი რეგიონში ყველაზე მაღალია და მნიშვნელოვანია გარკვეული სახის ქმედებების განხორციელება.

¹¹³ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემების მიხედვით.

¹¹⁴ Source: international labor organization world employment and social outlook, 20.01.2015.

¹¹⁵ <http://hdr.undp.org/en/content/income-gini-coefficient>.

არსებული მონაცემების გაუმჯობესება შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის მიღწევით. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური ზრდა არ არის პრობლემის ავტომატური გადაჭრა, თუ იგი ქვეყნის ყველა ფენას შორის თანაბრად არ გადანაწილდება.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მიხედვით ეკონომიკური ზრდის სამი კრიტიკული პრობლემა გამოიკვეთა, ესენია: კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასაკმარისად განვითარებული ადამიანისეული კაპიტალი და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება;
- სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა;
- ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა [2].

აღნიშნული მიმართულებების გაუმჯობესება მნიშვნელოვანია ადამიანისეული კაპიტალის განვითარების თვალსაზრისით. თუმცა სახელმწიფოს მხრიდან მისი სრულყოფილი შესრულებისთვის აუცილებელია კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. ხოლო საბოლოო მიზანი უნდა ემსახურებოდეს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას, მაღალი განათლების დონის მიღწევას და კერძო სექტორის განვითარების შედეგად სამუშაო ადგილების გაზრდას. ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის აუცილებელია სიღარიბის კოეფიციენტების უკეთესი შედეგების მიღწევა, რაც ადამიანისეული კაპიტალის დონის ამაღლებით მიღწევა. ამიტომ, სოციალურ ხელშეწყობასთან ერთად, აუცილებელია საქართველოსთვის პრიორიტეტული დარგების განვითარება და მის ბაზაზე შესაბამისი განათლების უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ენციკლოპედიური ლექსიკონი, კულტურათაშორისი კომუნიკაციები. №1, თბ, 2007, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=576>;
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020, საქართველოს მთარობა, ნოემბერი, 2013.
3. Unicef, მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა, მოკლე მიმოხილვა, 2015.
4. International labor organization world employment and social outlook, 20.01.2015.
5. N. Wolff, What Has Happened to the Quality of Life in the Advanced Industrialized Nations?. Levy economics institute 2004.
6. P. S. Bauer and B. S. Yamey, The Economics of Underdeveloped Countries (Univ. of Chicago Press, Chicago, 1957).
7. PEP (Political and Economic Planning), World Population and Resources (Essential Books, Fair Lawn, N.J., 1955).
8. R. C. Cook, Human Fertility (Sloane, New York, 1951);
9. Sheldon H. Danzinger, Robert H. Haveman, Understanding Poverty, 2001;
10. V. E. McKelvey, Resources, Population Growth, and Level of Living, 3 April, 1959;
11. W. S. Woytinsky and E. S. Woytinsky, World Population and Production (Twentieth Century Fund, New York, 1953);
12. <http://hdr.undp.org/en/content/income-gini-coefficient>;
13. <https://unstats.un.org/unsd/pubs/gesgrid.asp?id=284>;
14. <http://www.stat.si/StatWeb/en/Field/Index/121>;
15. <https://www.indexmundi.com/facts/indicators/SI.POV.GINI/rankings>;
16. <https://stats.oecd.org/glossary/detail.asp?ID=4842>;
17. <http://www.geostat.ge/>.

Medea Kharashvili

THE INEQUALITY OF LIVING STANDARDS OF THE POPULATION AND ITS INFLUENCE ON A HUMAN CAPITAL FORMATION

Summary

The paper reviews the living standards of the population and assesses the factors that affect it: population revenues, expenditure, inequality in the country, and the variability of GDP. The level of life of the population is presented in four main directions: well-being, normal level, poverty, beggary.

The article analyzes poverty indicators: median consumption and Gini coefficient; The relative poverty index is considered, its dynamics is estimated. The variable analysis of the relative poverty index is given as on a whole country

level, as well as by urban and rural population. The main causes of the differentiation of the indicators are presented in the work, explaining the variability factors of the Gini coefficients. Poverty levels and Gini coefficients in Georgia are comparable to those in the Central, South-Eastern Europe and CIS countries.

Poverty reduction in Georgia is considered to be one of the major challenges in Georgia, and it is suggested to reduce it.

The analysis concludes that the Gini coefficient in Georgia is high and the data can be improved by achieving economic growth. However, economic growth is not the only way to solve the problem. In this regard, the article evaluates the socio-economic development strategy and has three critical problems of economic growth: low competitiveness of private sector, poorly developed human capital and limited access to financial resources.

Priority directions are defined for the development of human capital: development of workforce focused on labor market demand; Improvement of social security system; Providing access to quality health care.

The main purpose of economics is to understand and help to alleviate poverty, there is a relation between investments in human capital and the alleviation of poverty. Human capital refers to the skills, education, health, and training of individuals. That's why it discusses the level of living of human capital, based on which the conclusions are made and the main recommendations are given how to improve the living standards of the population.

The findings on the impact of the level of living inequality and its impact on human capital are made in the paper. The recommendations for improvement of the level of living standards of the population are proposed.

კონფერენციის მონაწილეები

1. **აბუსაძე რამაზ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ინსტიტუტის დირექტორი
2. **ათანელიშვილი თამარ** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი
3. **არმაზაძე ნანული** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
4. **არნანიძე-კვიციანი თამილ** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
5. **АРХАНГЕЛЬСКИЙ ВЛАДИМИР НИКОЛАЕВИЧ** – Кандидат экономических наук, заведующий сектором Лаборатории экономики народонаселения и демографии экономического факультета МГУ имени М.В. Ломоносова (г. Москва, Россия)
6. **ასათიანი როზიტა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი
7. **ასლანიშვილი დავით** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
8. **აჩუაშვილი ნუნუ** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
9. **ბაძრაძე ბიბი** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ვეროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
10. **ბაღდავაძე მიხეილ** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
11. **ბედიანაშვილი ბიბი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ვეროპის უნივერსიტეტის პროფესორი
12. **ბენიძე ნანა** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
13. **ბერიშვილი ხათუნა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
14. **ბერუღაშა ბიორბი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
15. **БИБАТЫРОВА ИЗТЕЛЕУ АЙДАРХАНОВНА** – Кандидат экономических наук, профессор Университета Международного Бизнеса (г. Алматы, Казахстан)
16. **ბიბილაშვილი ნანა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
17. **ბიჭაძე ნინო** – თსუ დოქტორანტი
18. **ბიჭაძე ჯამბუჯ** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
19. **ბრეგვაძე ბიორბი** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
20. **ბურღული მახტან** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
21. **ბაშაძე-შარდია თამაზ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
22. **ბეგევიანიშვილი თეონა** – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი
23. **ბელაშვილი მაკონა** – ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
24. **ბელაშვილი სიმონ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი
25. **ბობოხია რუსუდან** – განათლების აკადემიური დოქტორი, ვეროპის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
26. **ბომბლაური ნინო** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი
27. **ГРУЩИНСКАЯ НАТАЛИЯ НИКОЛАЕВНА** – Доктор экономических наук, заведующая кафедрой международной экономики и экономической дипломатии Дипломатической академии Украины при Министерстве иностранных дел Украины (г. Киев, Украина)
28. **ბუბეგაშვილი თინათინო** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
29. **დავლაშვიტიძე ნატა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
30. **დავრაველიძე ირინე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
31. **დათუნაშვილი ლინა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ინსტიტუტის სწავლული მდივანი
32. **ფვალიშვილი ლია** – თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
33. **ДЖАНАЕВА НАТАЛЬЯ ГЕОРГИЕВНА** – Кандидат экономических наук, старший научный сотрудник Лаборатории экономики народонаселения и демографии экономического факультета МГУ имени М.В. Ломоносова (Москва, Россия)
34. **ЕЛИЗАРОВ ВАЛЕРИЙ ВЛАДИМИРОВИЧ** – Кандидат экономических наук, научный руководитель Центра по изучению проблем народонаселения экономического факультета МГУ имени М.В. Ломоносова (г. Москва, Россия)
35. **ერბაშიძე ალექსანდრე** – თსუ დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული დოქტორი

36. **ერქომაიშვილი გულნაზ** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
37. **ВЕРИТЕЛЬНИК СВЕТЛАНА** – Аспирант Донецкого государственного университета управления (г. Мариуполь, Украина)
38. **ზორსაღამე ნაირა** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
39. **ЗЕЛИСКО ИННА МИХАЙЛОВНА** – Доктор экономических наук, академик Академии экономических наук Украины, профессор кафедры финансов и кредита Национального университета биоресурсов и природопользования Украины (г. Киев, Украина)
40. **ზვინაღამე ეპატერიძე** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიზის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
41. **ЗЫЗА ЕЛЕНА АЛЕКСАНДРОВНА** – кандидат экономических наук, доцент кафедры экономической теории Донецкого национального университета экономики и торговли имени Михаила Туган-Барановского (г. Кривой Рог, Украина)
42. **თეთრაული ბიორბი** – ეკონომიკის დოქტორი
43. **თეთრაული ციციბო** – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
44. **თოდუა ნუზუარ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი
45. **თოდუა ხათუნა** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
46. **თოთღამე ლია** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი
47. **ИСАЕВ СОХРАБ** – Доктор философии по экономике, доцент, Азербайджанский Государственный Экономический Университет (г. Баку, Азербайджан)
48. **КАБЕРТЫ НОДАР ГАВРИЛОВИЧ** – Кандидат экономических наук, доцент Северо-Осетинского государственного университета им. К. Л. Хетагурова, ст. научный сотрудник Северо-Осетинского отделения социологических исследований Института социально-политических исследований РАН (г. Владикавказ, Россия)
49. **კაპულია ეთერ** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
50. **კამღამე ლევა** – აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი
51. **კაპანაძე მანია** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
52. **კელინაშვილი ლაშა** – თსუ დოქტორანტი
53. **კეკელიაძე ბიორბი** – აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
54. **კეშელია ღაბობი** – თსუ დოქტორანტი
55. **კვარაცხელია მურმან** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
56. **კირვალიძე ნანა** – ეკონომიკის დოქტორი
57. **კირიაშვილი ანა** – ეკონომიკის მაგისტრი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
58. **კიჭვარიშვილი ქეთევან** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
59. **КОЛОМИЕЦ ВИКТОРИЯ НИКОЛАЕВНА** – Кандидат экономических наук, доцент, Мелитопольский институт государственного и муниципального управления "Классического приватного университета" (г. Мелитополь, Украина)
60. **კონჯარია ელგუჯა** – ეკონომიკის დოქტორი, გრიგოლ ხვიციას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
61. **კურატაშვილი აღფრედ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
62. **КУЦЕНКО ВЛАДИМИР ИОСИФОВИЧ** – Кандидат технических наук, доцент, кафедра экономики и управления предприятием, Днепропетровский национальный университет имени Олеся Гончара (Украина)
63. **ლაზარაშვილი თეა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
64. **ლაზარიაშვილი თამარ** – თსუ ასისტენტ-პროფესორი
65. **ლაზრიაშვილი ლუკა** – თსუ მაგისტრანტი
66. **ЛЕБЕДЬ ОЛЬГА ЛЕОНИДОВНА** – Кандидат социологических наук, доцент кафедры социологии медицины, экономики здравоохранения и медицинского страхования, Первый Московский Государственный Медицинский Университет имени И.М.СЕЧЕНОВА (г. Москва, Россия)
67. **ლომჯანიძე ნობე** – თსუ დოქტორანტი
68. **ЛЯПИНА ИННАРА РАФАИЛЬЕВНА** – Доктор экономических наук, профессор кафедры маркетинга ФГБОУ ВО «Орловский государственный университет им. И.С. Тургенева» (г. Орел, Россия)
69. **მაბრაქველიძე ღალი** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
70. **მამაღამე ირიძე** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
71. **მამულაშვილი ლეილა** – ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

72. **მასურაშვილი იოსებ** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრის ხელმძღვანელი
73. **მელაშვილი მელა** – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
74. **მინაბიძევილი ლელა** – ეკონომიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
75. **მინაბიძევილი ნანა** – ეკონომიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი
76. **მისრობამე თამთა** – თსუ დოქტორანტი
77. **მიქაბიძევილი ელგუჯა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი
78. **მიქელაშვილი მირაბ** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
79. **მიქელაძე ალექსანდრე** – თსუ დოქტორანტი
80. **მიქელაძე ბიორბი** – თსუ დოქტორანტი
81. **მიქელაძე მურაღ** – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ეკონომიკური კვლევის ცენტრის ასისტენტი
82. **МОЛДАКЕНОВА ЕРКЕЖАН** – Докторант Евразийского национального университета имени Л.Н.Гумилева (г. Астана, Казахстан)
83. **ნათელაშვილი იზა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
84. **ნოზაძე ზურაბ** – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
85. **НУРГАЛИЕВА КУРАЛАЙ ОРАЗГАЛИЕВНА** – Кандидат экономических наук, доцент Университета Международного Бизнеса (г. Алматы, Казахстан)
86. **ОВАКИМЯН СУРЕН АЛЬБЕРТОВИЧ** – Кандидат экономических наук, Центр Автоматизации Бизнеса ООО "УАН СОФТ" (г. Ереван, Армения)
87. **ОВАКИМЯН ТАМАРА СУРЕНОВНА** – Кандидат экономических наук, доцент Ереванского Государственного Университета (Армения)
88. **ОЛЕЙНИК АНДРЕЙ АНАТОЛЬЕВИЧ** – Аспирант кафедры международных экономических отношений, Киевский национальный торгово-экономический университет (Украина)
89. **ომამე ძრისტიანი** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
90. **პაიჭაძე ნუზუარ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
91. **პაპაშა ვლადიმერ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
92. **ПОЛИВАНОВ ВЛАДИМИР ЕГОРОВИЧ** – Кандидат экономических наук, доцент кафедры экономической теории и конкурентной политики, Киевский национальный торгово-экономический университет (Украина)
93. **ჭორჭიპაშვილი ნინო** – თსუ მაგისტრანტი
94. **ჭენტი ცოტნე** – თსუ დოქტორანტი
95. **РАДЕВА МАРИНА** – доктор экономических наук, директор Мелитопольского института государственного и муниципального управления "Классического частного университета" (г. Мелитополь, Украина)
96. **როზვაძე მაია** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
97. **საღარეიშვილი ნატალია** – აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
98. **СИБИРСКАЯ ЕЛЕНА ВИКТОРОВНА** – Доктор экономических наук, профессор кафедры статистики ФГБОУ ВО «Российский экономический университет им. Г.В. Плеханова» (г. Москва, Россия)
99. **სილაბაძე ანთონიდი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი, აკადემიკოსი
100. **სილაბაძე ლევან** – თსუ დოქტორანტი
101. **სილაბაძე ნოდარ** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
102. **სილაბაძე სალომე** – თსუ დოქტორანტი
103. **სისვაძე ილია (აზიძე)** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
104. **სოსანიძე მამა** – ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
105. **სოლოღაშვილი დანი** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
106. **СПАНОВ МАГБАТ УАРЫСБЕКОВИЧ** – Доктор экономических наук, профессор Университета международного бизнеса (г. Алматы, Казахстан)
107. **СТРОЕВА ОЛЕСЯ АНАТОЛЬЕВНА** – Доктор экономических наук, профессор кафедры экономики и экономической безопасности ФГБОУ ВО «Российская академия народного хозяйства и государственной службы при Президенте РФ», Среднерусский институт управления – филиал (г. Орел, Россия)
108. **სულაბერიძე ანთონიდი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი
109. **სულაბერიძე ვლადიმერ** – ეკონომიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
110. **ტყემალაძე ლიპა** – თსუ მაგისტრანტი
111. **უდესიანი თათია** – აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

112. **უდესიანო თეა** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული მასწავლებელი
113. **УТЕГЕНОВА ЖУЛДЫЗ** – Докторант Евразийского национального университета имени Л.Н.Гумилева (г. Астана, Казахстан)
114. **შესტენიძე თეიმურაზ** – აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
115. **ФОМИНА ЕЛЕНА АЛЕКСАНДРОВНА** – кандидат экономических наук, доцент кафедры экономической теории Донецкого национального университета экономики и торговли имени Михаила Туган-Барановского (г. Кривой Рог, Украина)
116. **შუტპარაძე რამაზ** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
117. **ჭავთარაძე თინათინ** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
118. **ჭათამაძე როლანდ** – თსუ მაგისტრანტი
119. **ჭველაძე ქეთევან** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
120. **ჭიშაძე ანო** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
121. **ჭისტაური ნუნუ** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
122. **ღუდუშაური ლეილა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
123. **შალამბერიძე ხათუნა** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
124. **შელია მზია** – ეკონომიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
125. **შენბელია თეიმურაზ** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი
126. **შენბელია შატი** – ეკონომიკის დოქტორი, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
127. **შუშტაპაშვილი ვანო** – ეკონომიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
128. **ჩაბელიშვილი-აბლაძე ლალი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
129. **ЧЕЧЕЛЬ АННА АЛЕКСАНДРОВНА** – Доктор экономики, ассистент-профессор, заведующая кафедрой публичного управления и администрирования Донецкого государственного университета управления (г. Мариуполь, Украина)
130. **ჩიკვილაძე მიხეილ** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
131. **ჩიქობავა მალხაზ** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
132. **ჩიქოღღუ ილიას** – ეკონომიკის დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი
133. **ჩხარეული ვახტანგ** – თსუ დოქტორანტი
134. **ჩხეიძე თინა** – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
135. **ცუცქერიძე მარინე** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
136. **კიციანიშვილი ნანული** – ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
137. **კოჭანიძე ციცინო** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
138. **წიკლაური შორენა** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
139. **ჭანია მაია** – ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასისტენტ-პროფესორი
140. **ჭილაძე ივოლდა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
141. **ხარაიშვილი ვიქტორ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი
142. **ხარაიშვილი მადეა** – თსუ დოქტორანტი
143. **ხარშილაძე ბიორბი** – ეკონომიკის დოქტორი
144. **ხარხელი მანანა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასისტენტ პროფესორი
145. **ხატიანიშვილი სესე** – თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტი
146. **ხვედელიანი ალექსანდრე** – ეკონომიკის დოქტორი
147. **ხუსკივაძე მამუკა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
148. **ჯეგაშვილი მაია** – კოლეჯ „ორიენტირის“ სასწავლო განყოფილების უფროსი

CONFERENCE PARTICIPANTS

1. **ABESADZE RAMAZ** – Doctor of Economic Sciences, Professor, Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Director of Institute
2. **ACHUASHVILI NUNU** – Doctor of Business Administration, Assistant Professor of Georgian Technical University
3. **AREVADZE NANULI** – Academic Doctor of Economics, Chief of department of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
4. **ARNANIA-KEPULADZE TAMILA** – Academic Doctor of Economics, Full Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University (Georgia)
5. **ARKHANGELSKY VLADIMIR** – Candidate of Economic Sciences, Head of Sector of Laboratory of Population Economics and Demography, Faculty of Economics of Lomonosov Moscow State University (Moscow, Russia)
6. **ASATIANI ROZETA** – Doctor of Economic Sciences, Professor of Georgian Technical University, Scientific Consultant of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
7. **ASLANISHVILI DAVID** – Academic Doctor of Economics, Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
8. **ATANELISHVILI TAMAR** – Academic Doctor of Economics, Assistant Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
9. **BAGDAVADZE MIKHEIL** – PhD Student of Georgian Technical University
10. **BAKRADZE GIVI** – Doctor of Business Administration, Associated Professor of European University
11. **BEDIANASHVILI GIVI** – Doctor of Economic Sciences, Professor of European University
12. **BENIDZE NANA** – Academic Doctor of Economics, Associated Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University
13. **BERISHVILI KHATUNA** – Academic Doctor of Economics, Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
14. **BERULAVA GEORGE** – Doctor of Economic Sciences, Professor, Chief of department of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
